INTELLECTUAL PROPERTY
READING MATERIAL

World Intellectual Property Organization

ინტელექტუალური საკუთრება

წიგნი I

ინგლისურიდან თარგმნეს დ. გაბუნიამ, მ. კვიმსაძემ და
ზ. მელითაურმა

საერთო რედაქცია დ. გაბუნიასი

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – "საქპატენტი"

თბილისი 2001

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი გვ.

წინასიტყვაობა 1

ნაწილი I: ინტელექტუალური საკუთრების საწყისები 3

თავი 1: ინტელექტუალური საკუთრების სისტემა 3

A. ინტელექტუალური საკუთრების ცნება 3

B. საავტორო და მომიჯნავე უფლებები 6

C. პატენტები და მონათესავე ცნებები 10

(a) პატენტები გამოგონებაზე 10

(b) სასარგებლო მოდელები 12

D. სამრეწველო ნიმუშები 14

E. სასაქონლო ნიშნები, საფირმო სახელწოდებები და გეოგრაფიული აღნიშვნები 15

(a) სასაქონლო ნიშნები 15

(i) სასაქონლო ნიშნების ფუნქციები 15

(ii) სასაქონლო ნიშნების ეკონომიკური მნიშვნელობა 16

(b) საფირმო სახელწოდებები 18

(c) გეოგრაფიული აღნიშვნები 19

F. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია 21

თავი 2: ინტელექტუალური საკუთრების ისტორია და ევოლუცია 24

A. პატენტების ისტორია და ევოლუცია 24

(a) პრივილეგიები 25

(b) ეროვნული პატენტები 27

(c) ინტერნაციონალიზაცია 29

B. სასაქონლო ნიშნების ისტორია და ევოლუცია 30

C. საავტორო უფლებების ისტორია და ევოლუცია 35

თავი 3. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში 39

A. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო) 39

ს ა რ ჩ ე ვ ი

(a) ისმო-ს ისტორია 39

(b) სტრუქტურა 42

(c) ფუნქციები 44

(d) ადმინისტრაცია 45

(e) წევრობა 47

B. ისმო-ს თანამშრომლობის განვითარების პროგრამები 49

(a) ამოცანები 49

(b) თანამშრომლობის განვითარება სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებით 52

(i) მომზადება 52

(ii) იურიდიული კონსულტაციები და დახმარება 54

(iii) სამრეწველო საკუთრების ორგანიზაციათა შექმნა ან გაძლიერება 54

(iv) ადგილობრივი ინოვაციური და საგამომგონებლო საქმიანობის წახალისება 55

(v) საპატენტო ინფორმაციის გამოყენება 56

(vi) პროგრამები კანონმდებლებისა და სასამართლო სისტემის მუშაკებისათვის 58

(vii) ადგილობრივი საწარმოები 58

(c) თანამშრომლობის განვითარება საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით 59

(i) მომზადება 60

(ii) საკანონმდებლო დახმარება 62

(iii) ინსტიტუციონალური დახმარება 63

(iv) პუბლიკაციები 64

(d) ისმო-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემია 65

ნაწილი II: ინტელექტუალური საკუთრების როლი ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში 67

თავი 4: ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გავლენა ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე 67

A. განვითარებადი ქვეყნების ძირითადი ამოცანები 67

B. სამრეწველო საკუთრება და განვითარება 69

ს ა რ ჩ ე ვ ი

(a) ტექნოლოგიის განსაზღვრება 69

(b) გამოგონება, ტექნოლოგია და განვითარება 71

(i) გამოგონება, ინოვაცია და ეკონომიკური პროგრესი 72

(ii) ინოვაციური პოლიტიკის ევოლუცია 73

(iii) გამოგონება, ინოვაცია და საპატენტო სისტემა 76

(iv) საგამომგონებლო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა 78

(v) გამომგონებელთა აღიარება და დაჯილდოება 81

(vi) თანამშრომლობა გამომგონებელთა შორის 82

(c) სამრეწველო საკუთრების დაცვა და განვითარება 83

(i) შესავალი 83

(ii) პატენტები და საპატენტო ინფორმაცია 84

(iii) სასარგებლო მოდელები 87

(iv) სამრეწველო ნიმუშები 88

(v) სასაქონლო ნიშნები 88

(vi) დასკვნითი შენიშვნები 89

(d) სამრეწველო საკუთრების დაცვის სისტემის გავლენა ინდივიდუალური ბიზნესის მართვაზე 89

C. საავტორო უფლებები და განვითარება 90

თავი 5: ლიცენზირება და ტექნოლოგიების გადაცემა 93

A. შესავალი 93

B. ტექნოლოგიების გადაცემა და შეძენა კომერციულ საწყისებზე 94

(a) ზოგადი საკითხები 94

(b) გაყიდვა: უფლებების გადაცემა 94

(c) სალიცენზიო ხელშეკრულება 95

(d) ხელშეკრულება ნოუ-ჰაუს შესახებ 97

(e) ძირითადი ფონდების გაყიდვა და იმპორტი 101

(f) ფრენჩაიზინგი და კომერციული შუამავლობა 103

(g) საკონსულტაციო ურთიერთობები 104

(h) პროექტი "გასაღების ქვეშ" 107

(i) ერთობლივი საწარმოები 108

C. მოლაპარაკებები სალიცენზიო ხელშეკრულების დადებისას 111

ს ა რ ჩ ე ვ ი

(a) შესავალი 111

(b) მხარეთა იდენტიფიკაცია 112

(c) მხარეთა მიზნები; ლიცენზიის მოცულობა 113

(d) ხელშეკრულების საგანი 114

(e) პროდუქციის ან ხერხის იდენტიფიკაცია 115

(f) გამოგონების იდენტიფიკაცია 115

(g) ნოუ-ჰაუს აღწერა 116

(h) კონფიდენციალობა 117

(i) ტექნიკური გაუმჯობესებისადმი ხელმისაწვდომობა 118

(j) ტერიტორიული განსაკუთრებულობა 119

(k) გამოყენების ნებადართული სფერო 119

(e) გამოყენება 120

(m) დავების გადაწყვეტა 122

D. ანაზღაურება 124

(a) შესავალი 124

(b) პირდაპირი ფულადი კომპენსაცია 124

(i) მყარი თანხა 125

(ii) როიალტი 127

(iii) მყარი თანხისა და როიალტის შედარება 127

(iv) მყარი თანხისა და როიალტის კომბინირებული გადახდა 129

(v) ტექნიკური მომსახურებისა და დახმარების საფასურები 130

(c) არაპირდაპირი და არაფულადი ანაზღაურება 130

(i) შემოსავალი თანხმლები ოპერაციებიდან 130

(ii) დივიდენდები 131

(iii) ღონისძიებები ღირებულების ცვლილებების ან ხარჯებში მონაწილეობის შესახებ 132

(iv) უკუკავშირი ტექნიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებით 133

(v) ბაზრის შესახებ მონაცემების მიღება 133

(vi) ღირებულების შემცირება და სახსრების ეკონომია ლიცენზიატისთვის ან ტექნოლოგიის მიმღებისათვის 133

(d) ვალდებულებებისა და საფასურების ვალუტის აღწერა 134

(i) ვალდებულებათა ვალუტა 134

(ii) გაცვლითი კურსი 135

ს ა რ ჩ ე ვ ი

E. ინტელექტუალურ საკუთრებაზე ლიცენზიის სახეობები 136

(a) შესავალი 136

(b) საპატენტო ლიცენზიები 136

(c) ლიცენზიები სასაქონლო ნიშანზე 137

(d) ლიცენზიები საავტორო უფლებებზე (გამოცემა) 140

F. სალიცენზიო ხელშეკრულებების სახელმწიფო კონტროლი 144

თავი 6: სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის როლი ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობაში 150

A. სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციის როლი ტექნოლოგიის გადაცემაში 150

(a) შესავალი 150

(b) გამოყენება სახელმწიფო ორგანოთა მიერ 153

(c) გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მიერ 154

(d) გამოყენება მრეწველობის მიერ 155

(e) გამოყენება უნივერსიტეტების მიერ 156

B. საპატენტო დოკუმენტაციის სახეობები 158

C. საპატენტო დოკუმენტაციის შინაარსი 160

(a) შესავალი 160

(b) ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია 161

(c) ტექნიკური ინფორმაცია 162

(d) ძიების ანგარიში 162

(e) დოკუმენტების ფორმა 163

D. სამრეწველო საკუთრების ინფორმაციის შენახვის და ხელმისაწვდომობის ახალი ტექნოლოგიები 164

E. სტატისტიკა საპატენტო დოკუმენტების, როგორც ტექნოლოგიური ინფორმაციის წყაროს შესახებ 170

F. საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია (სსკ) 172

G. ევროპული საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სისტემა (EPIDOS) 177

H. კაპრის (CAPRI) სისტემა 179

I. ტექნიკის დონის ძიების პროგრამა 181

ს ა რ ჩ ე ვ ი

J. საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრები განვითარებად ქვეყნებში 183

(a) შესავალი 183

(b) ინსტიტუციონალური ასპექტები 185

(c) ორგანიზაცია 186

(i) შესავალი 186

(ii) დაკომპლექტებისა და საბიბლიოთეკო სამუშაოთა ამოცანები 187

(iii) ფონდების წესრიგში შენარჩუნების ამოცანები 188

(iv) მომხმარებლების დახმარება 189

(v) სამრეწველო საკუთრების უწყებისათვის დახმარების აღმოჩენა სხვა მომსახურების სახით 190

(d) დოკუმენტური ფონდის ორგანიზება 191

(e) მომსახურება 192

(f) მომზადება 193

ნაწილი III: ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ფორმები 195

თავი 7: პატენტები 195

A. შესავალი 195

B. პატენტუნარიანობის პირობები 197

(a) პატენტუნარიანი ობიექტი 197

(b) სამრეწველო გამოყენებადობა (სარგებლიანობა) 198

(c) სიახლე 198

(d) საგამომგონებლო დონე (არაცხადობა) 200

(e) გამოგონების გახსნა 202

C. გამოგონებაზე განაცხადის გაფორმება და შეტანა 204

(a) გამოგონების იდენტიფიკაცია 204

(b) გამოგონებაზე განაცხადის გაფორმების პრაქტიკული ასპექტები 205

D. გამოგონებაზე განაცხადის ექსპერტიზა 209

(a) ფორმალური ექსპერტიზა; შეტანისა და პრიორიტეტის თარიღი 209

(b) ძიება 211

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) არსობრივი ექსპერტიზა 212

(d) პატენტის გაცემა და პუბლიკაცია 213

E. საპატენტო უფლებების დარღვევა 215

(a) პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლება 215

(b) უფლებათა განხორციელება 217

(c) საპატენტო უფლებების დარღვევის სახეობები 218

(d) საპატენტო უფლებების დარღვევის დადგენის ელემენტები 219

(i) აკრძალული ქმედებები 220

(ii) განაცხადის გამოქვეყნების ან პატენტის გაცემის შემდეგ 222

(iii) ქვეყანაში, სადაც გაცემულია პატენტი 223

(iv) გამოგონების ფორმულის მოცულობის ფარგლებში 223

(e) სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც გააჩნია პატენტმფლობელს 225

F. დაპატენტებული გამოგონების გამოყენება 227

(a) ბაზრის შესწავლა გამოგონებისათვის 227

(b) გამოგონების განხორციელებადობა 228

(c) გამოგონების გაყიდვა 230

G. იძულებითი ლიცენზიები 233

(a) არანებაყოფლობითი ლიცენზიების გაცემა პატენტზე უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად 234

(i) პატენტის გამოუყენებლობა 234

(ii) პროცესუალური გარანტიები და კომპენსაცია 239

(iii) პატენტის უფლების ჩამორთმევა ან გაუქმება მისი ბოროტად გამოყენების შემთხვევაში 239

(b) არანებაყოფლობითი ლიცენზიების გაცემა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე 240

(i) საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კერძო პირთა სასარგებლოდ გაცემული არანებაყოფლობითი ლიცენზიები 240

(ii) საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მთავრობის სასარგებლოდ ან მისი სახელით გაცემული არანებაყოფლობითი ლიცენზიები 241

(iii) პროცესუალური გარანტიები და კომპენსაცია 242

ს ა რ ჩ ე ვ ი

H. სასარგებლო მოდელები 243

თავი 8: საავტორო და მომიჯნავე უფლებები 244

A. შესავალი 244
B. საავტორო უფლებათა დაცვა 245
C. საავტორო უფლებათა დაცვის საგანი 248
D. საავტორო უფლებებით მოცული უფლებები 250
(a) რეპროდუცირების უფლება 251
(b) შესრულების უფლება 251
(c) ხმის ჩაწერის უფლება 252
(d) ეკრანიზაციის უფლება 253
(e) მაუწყებლობის უფლება 253
(f) თარგმნისა და გადამუშავების უფლება 254
(g) არაქონებრივი უფლებები 255
E. მომიჯნავე უფლებები 255
F. საავტორო უფლებათა მფლობელობა 265
G. საავტორო უფლებების დაცვის შეზღუდვები 266
(a) დროებითი 266
(b) გეოგრაფიული 267
(c) ნებადართული გამოყენება 267
(d) არამატერიალური ნაწარმოებები 267
(e) სხვადასხვა 268
H. მეკობრეობა და დარღვევები 268
(a) მეკობრეობის გავრცელების სფერო 268
(b) მეკობრეობის შედეგები 271
(i) ავტორები და შემსრულებლები 271
(ii) გამომცემლები და ფონოგრამათა მწარმოებლები 271
(iii) დისტრიბუტორები 272
(iv) მომხმარებლები 272
(v) ხელისუფლების ორგანოები 273
I. სასამართლო დაცვის საშუალებები 273
(a) შესავალი 273

ს ა რ ჩ ე ვ ი

(b) დადგენილება ანტონ პილერის საქმეზე 274

(c) მესამე პირთა წინააღმდეგ საქმის გარემოებებზე მასალების შეგროვება 277

(d) შუალედური სასამართლო დადგენილება 278

(e) სასამართლო დაცვის საბოლოო საშუალებები 279

J. ხალხური შემოქმედების (ფოლკლორულ) ნაწარმოებთა დაცვა 280

(a) შესავალი 280

(b) ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის მცდელობები საავტორო უფლებების შესახებ კანონის საშუალებით 281

(c) ეროვნული კანონმდებლობისათვის ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის სპეციალური ტიპური დებულებები მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისა და ზიანის მომტანი სხვა ქმედებების წინააღმდეგ 283

(i) ევოლუცია 283

(ii) ძირითადი პრინციპები 284

(iii) დაცვის საგანი 285

(iv) ზიანის მიმყენებელი ქმედებები 287

(v) ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის განხორციელება 291

(vi) სანქციები 295

(d) ფოლკლორის რეგიონული და საერთაშორისო დაცვა 295

თავი 9: სასაქონლო ნიშნები 297

A. შესავალი 297

B. განსაზღვრებები 298

(a) სასაქონლო ნიშნები 298

(b) მომსახურების ნიშნები 299

(c) კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნები 300

(i) კოლექტიური ნიშნები 301

(ii) სასერტიფიკაციო ნიშნები 302

ს ა რ ჩ ე ვ ი

C. აღნიშვნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც სასაქონლო ნიშნები 303

(i) სიტყვები 303

(ii) ასოები და ციფრები 303

(iii) გამოსახულება 303

(iv) ზემოთ მოყვანილი 303

(v) ფერადი ნიშნები 304

(vi) მოცულობითი ნიშნები 304

(vii) ბგერითი ნიშნები 304

(viii) ყნოსვითი ნიშნები 304

(ix) სხვა (უხილავი) აღნიშვნები 304

(D. დაცვისუნარიანობის კრიტერიუმი 305

(a) განმასხვავებლობის მოთხოვნა 306

(i) განმასხვავებლობის ნაკლებობა 309

(ii) გვარეობითი ტერმინები 309

(iii) აღწერილობითი აღნიშვნები 310

(iv) სხვა აღნიშვნები, რომლებსაც აკლია განმასხვავებლობა 311

(v) მითითება გეოგრაფიულ წარმოშობაზე 311

(vi) ასოები, ციფრები და მარტივი გეომეტრიული ფიგურები 312

(vii) უცხოური შრიფტი და ტრანსლიტერაცია 313

(viii) ფერები 313

(ix) სახელები და გვარები 314

(b) რეგისტრაციაზე უარის თქმის სხვა საფუძვლები – საზოგადოების ინტერესები 315

(i) შეცდომაში შეყვანა 315

(ii) მითითება გეოგრაფიულ წარმოშობაზე 315

(iii) შეცდომაში ნაწილობრივი შეყვანა 316

(iv) ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება მორალს ან საზოგადოებრივ წერიგს 317

(v) სახელმწიფოს, საზოგადოებრივი დაწესებულებების ან საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ნიშნები 317

ს ა რ ჩ ე ვ ი

E. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დაცვა 318

F. მოთხოვნები გამოყენებაზე 318

(a) სავალდებულო გამოყენების აუცილებლობა 318

(b) პრაქტიკული გამოყენების მოთხოვნები 320

(c) გამოუყენებლობის შედეგები 322

(d) სასაქონლო ნიშნების სათანადო გამოყენება 323

G. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია 325

(a) შესავალი 325

(b) განაცხადი რეგისტრაციაზე 326

(c) ექსპერტიზა 327

(i) ფორმალური ექსპერტიზა 327

(ii) არსობრივი ექსპერტიზა 328

(d) უარი რეგისტრაციაზე 330

(e) რეგისტრაციის თარიღი 330

(f) მოქმედების ვადა და მისი გაგრძელება 331

(g) პუბლიკაცია და რეესტრის მონაცემების ხელმისაწვდომობა 332

H. სასაქონლო ნიშნის რეესტრიდან ამოღება 333

(a) რეესტრიდან ამოღება რეგისტრაციის ვადის გაუგრძელებლობის გამო 333

(b) რეესტრიდან ამოღება რეგისტრირებული მფლობელის მოთხოვნით 333

(c) რეესტრიდან ამოღება გამოუყენებლობის გამო 333

(d) ბათილად ცნობა 334

(e) განმასხვავებლობადაკარგული ნიშნის გაუქმება 335

I. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შედეგად წარმოქმნილი უფლებები 335

(a) სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება 336

(b) სხვების მიერ ნიშნის გამოყენების აკრძალვის უფლება 337

(i) საქონლის მსგავსება 339

(ii) სასაქონლო ნიშნების მსგავსება 341

(iii) გამოყენებისა და გამოუყენებლობის გავლენა 346

(iv) დაცვა აღრევის დონემდე მსგავსების ფარგლებს გარეთ 347

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) განსაკუთრებული უფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი ინტერესებით 348

(d) სასამართლო დაცვის საშუალებები სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევისას 349

J. სასაქონლო ნიშნების მეკობრეობა, კონტრაფაქცია და ეტიკეტებისა და შეფუთვის იმიტაცია 349

(a) სასაქონლო ნიშნის მეკობრეობა 349

(b) კონტრაფაქცია 350

(i) რა არის კონტრაფაქცია? 350

(ii) სამართლებრივი დაცვა კონტრაფაქციისაგან 351

(c) ეტიკეტის და შეფუთვის იმიტაცია 353

K. მფლობელობის შეცვლა 354

(a) მფლობელობის შეცვლის მიზეზები 354

(b) მფლობელობის ნებაყოფლობითი შეცვლა: უფლებების დათმობა 354

(c) ჩანაწერის შეტანა მფლობელის შეცვლის თაობაზე 356

(d) ფორმალობები 358

L. სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიის გაცემა 359

(a) ლიცენზიის გაცემის მნიშვნელობა 359

(b) ძირითადი კონცეფცია: კონტროლი მფლობელის მხრივ 360

(c) ფორმალური მოთხოვნები 361

(d) ლიცენზიატის შეზღუდვები 362

M. საფირმო სახელწოდებები 363

(a) სამართლებრივი პირობები 363

(b) სამართლებრივი დაცვა 364

თავი 10: სამრეწველო ნიმუში 366

A. შესავალი 366

B. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის ევოლუცია 367

C. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა 369

(a) დაცვის საგნის განსაზღვრება 369

(i) ნიმუში როგორც კონცეფცია ან იდეა 369

(ii) გამოყენება ან განსახიერება ნაკეთობაში 371

ს ა რ ჩ ე ვ ი

(iii) სამრეწველო ნიმუშის შეფასება მისი გარეგანი სახის მიხედვით 372

(iv) ფუნქციური დანიშნულებით განპირობებული ფორმის სამრეწველო ნიმუშების გამორიცხვა 373

(b) სიახლე ან ორიგინალობა 375

D. უფლებები სამრეწველო ნიმუშზე 376

(a) უფლებების მინიჭება 376

(b) უფლებების მოპოვება 377

(i) რეგისტრაცია 377

(ii) შექმნა და დაფიქსირება 379

(c) უფლებათა არსი 379

(d) უფლებების მოქმედების ვადა 380

E. კავშირი საავტორო უფლებებთან 381

თავი 11: გეოგრაფიული აღნიშვნა 383

A. შესავალი 383

B. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა ეროვნულ დონეზე 386

(a) დაცვის სპეციალური სახეები 387

(b) კოლექტიური ნიშნების ან სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაცია 388

(c) კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ 391

C. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა საერთაშორისო დონეზე მრავალმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით 392

(a) პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ 392

(b) მადრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბი ან შეცდომაში შემყვანი წარმოშობის აღნიშვნების აღკვეთის შესახებ 394

(c) ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ 396

D. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა საერთაშორისო დონეზე ორმხრივ შეთანხმებათა დებულებების საფუძველზე 400

თავი 12: დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან 401

A. შესავალი 401

ს ა რ ჩ ე ვ ი

B. დაცვის აუცილებლობა 403

C. დაცვის სამართლებრივი საფუძველი 407

(a) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის განვითარება 407

(b) საერთაშორისო დაცვა: სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მე-10bis მუხლი 410

(c) ეროვნული დაცვა: არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობისადმი სამი მთავარი მიდგომა 412

(i) სპეციალურ კანონმდებლობაზე დამყარებული დაცვა 413

(ii) დაცვა, რომელიც დამყარებულია ზოგად სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობებზე და/ან "სხვისი სახელის გამოყენებისა" და კომერციული საიდუმლოების შესახებ კანონებზე 414

(iii) ზემოაღნიშნული ორი მიდგომის კომბინაცია 415

(d) სასამართლო პრაქტიკის როლი 415

D. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტები 416

(a) ზოგადი განსაზღვრა 416

(b) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების სახეობები 420

(c) ქმედებები, რომლებიც იწვევენ აღრევას 421

(i) ზოგადი გარემოებები, რომლის დროსაც ადგილი აქვს აღრევას 421

(ii) აღრევის სახეობები 423

(iii) აღნიშვნასთან დაკავშირებული აღრევა 424

(iv) აღრევა პროდუქტის ფორმის მიმართ 431

(d) შეცდომაში შეყვანა 434

(i) ზოგადი დებულებები 434

(ii) შეცდომაში შეყვანის ცნება 435

(iii) შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთება 437

(iv) გაზვიადება 438

(v) შეცდომაში შეყვანის საგანი 439

(vi) სუბიექტური პირობები 440

(vii) მტკიცებულების მოპოვების ტვირთი 441

(e) კონკურენტების დისკრედიტაცია 442

ს ა რ ჩ ე ვ ი

(i) ზოგადი დებულებები 442

(ii) მითითება კონკრენტულ კონკურენტზე 443

(iii) თავდასხმის საგანი 444

(iv) განზრახვა ან ფაქტობრივი ზიანი 444

(v) ფაქტების მტკიცება 445

(vi) ყალბი განცხადებები 445

(f) კომერციული საიდუმლოების დარღვევა 446

(i) ზოგადი დებულებები 446

(ii) რომელი ინფორმაცია შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება? 448

(iii) ინფორმაციის გამოყენება და გახსნა (ყოფილი) მუშაკების მიერ 450

(iv) ინფორმაციის გამოყენება და გახსნა კონკურენტების მიერ 451

(g) დაუმსახურებელი უპირატესობის მოპოვება სხვათა მიღწევების ხარჯზე ("თავისუფალი თარეში" – "FREE RIDING") 453

(i) ზოგადი დებულებები 453

(ii) სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობის ან რეკლამით შეძენილი პოპულარობის შესუსტება 456

(iii) სხვისი რეპუტაციის გამოყენება 456

(iv) მონური იმიტაცია 458

(v) პარაზიტული ქმედებები 460

(h) შედარებითი რეკლამა 461

(i) განსაზღვრება 461

(ii) საერთო ხასიათის შეზღუდვები: "შეცდომაში შემყვანი" და "მადისკრედიტებელი" შედარებები 461

(iii) ობიექტური შედარების დაშვებისაკენ მიმართული ტენდენცია 462

(iv) შედარებითი რეკლამის განსაკუთრებული საფრთხე 463

(v) შედარებითი რეკლამა და კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ 464

(vi) მესამე პირთა მიერ ჩატარებული შედარებები 465

ს ა რ ჩ ე ვ ი

(i) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სხვა ქმედებები 466

(i) ზოგადი დებულებები 466

(ii) თავის მომაბეზრებელი რეკლამა, შიშის გრძნობის გამოყენება, მეტისმეტი ფსიქოლოგიური ზეწოლა და სხვა 466

(iii) გასაღების ხელშეწყობა: პრიზები, საჩუქრები, ლატარია და ა.შ. 468

(iv) კომერციული საქმიანობის დაბრკოლება 469

თავი 13: ფრენჩაიზინგი 471

A. შესავალი 471

(a) ფრენჩაიზინგის ცნების მოკლე განმარტება 471

(b) ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების მაგალითი 473

B. საცალო გაყიდვის შესახებ შეთანხმების, სტანდარტული სალიცენზიო შეთანხმებისა და ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების შედარებითი დახასიათება 474

(a) შეთანხმება საცალო გაყიდვის შესახებ 475

(b) სტანდარტული სალიცენზიო შეთანხმება 476

(c) ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება 476

(d) სხვადასხვა ტიპის შეთანხმებათა შედარება 478

(i) ლიცენზიის გაცემა ფრენჩაიზის სისტემის გამოყენებაზე 478

(ii) ურთიერთობის რეგულარული და ინტერაქტიული ხასიათი 480

(iii) მუშაობის დაწესებული მეთოდის დაცვა 480

C. ფრენჩაიზის ტიპები 481

D. ფრენჩაიზინგის განხორციელების სტრუქტურული ფორმები 483

(a) საწარმოთა ფრენჩაიზინგი 484

(b) ტერიტორიული ფრენჩაიზინგი 485

(i) შეთანხმება ფრენჩაიზის განვითარების შესახებ 487

(ii) პირველადი ანუ "მასტერ" ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება 487

ს ა რ ჩ ე ვ ი

(iii) კომბინირებული სტრუქტურები 488

E. ფრენჩაიზის ხელშეკრულების ტიპობრივი დებულებები 489

(a) უფლებამფლობელის უფლებები და მოვალეობები 490

(i) საექსპლუატაციო სახელმძღვანელო 491

(ii) მომზადება 492

(iii) დახმარება საწარმოს გახსნაში 494

(iv) ხელშეწყობა მუდმივ საფუძველზე 494

(b) უფლებამოსარგებლის უფლებები და მოვალეობები 495

(i) ფრენჩაიზინგის განვითარების გრაფიკი 496

(ii) საფასურების გადახდა 496

(iii) ხარისხის კონტროლის მოთხოვნათა დაცვა 499

(iv) კონფიდენციალურობის მოთხოვნა 503

(c) სხვადასხვა დებულებები 503

(i) განსაკუთრებულობა 504

(ii) ხელშეკრულების მოქმედების ვადა 506

(iii) დებულებები, რომლებიც ეხება შეთანხმების დარღვევას 507

(iv) მხარეთა უფლებები და მოვალეობები ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისას 509

(v) ხელშეკრულების გადაცემა 513

(vi) ხელშეკრულების გაგრძელება 514

თავი 14: პერსონაჟების მეჩენდაიზინგი (კომერციული გამოყენება) 516

A. პერსონაჟის ცნება 516

(a) განსაზღვრება 516

(b) პერსონაჟების წყაროები და პირველადი გამოყენება 516

B. პერსონაჟის მეჩენდაიზინგის ცნება 518

(a) განსაზღვრება 518

(b) პერსონაჟების მეჩენდაიზინგის მოკლე ისტორია 519

(c) პერსონაჟების მეჩენდაიზინგის სახეობები 522

(i) მოგონილ პერსონაჟთა მეჩენდაიზინგი 522

(ii) პიროვნებათა მეჩენდაიზინგი 523

(iii) გამოსახულებათა მეჩენდაიზინგი 524

ს ა რ ჩ ე ვ ი

C. სამართლებრივი დაცვის ფორმები 525

(a) საავტორო უფლებები 525

(b) სასაქონლო ნიშნები და მომსახურების ნიშნები 528

(c) სამრეწველო ნიმუშები 531

(d) დაცვის სხვა ფორმები 531

ნაწილი IV: ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა 532

თავი 15: სამრეწველო საკუთრებაზე უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა, საავტორო და მომიჯნავე უფლებები 532

A. შესავალი 532

(a) ზოგადი დებულებები 532

(b) დავაის მოგვარება სასამართლო პროცესის გარეშე 533

B. სამრეწველო საკუთრებაზე უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის შესახებ ზოგადი დებულებები 536

(a) საჩივრის განხილვა საპატენტო უწყებაში 536

(b) სამოქალაქო სასამართლო პროცედურები 539

(c) სისხლის სამართლებრივი ქმედებები – ყალბისქმნა 541

C. საპატენტო უფლებები დაცვის უზრუნველყოფა 543

(a) საპატენტო უფლებათა ფარგლების შეფასება 543

(b) პატენტის ძალაში ყოფნა და მასზე უფლებების დარღვევის შეფასება 545

(c) საპატენტო საქმეზე სასამართლო განხილვის ხარჯები 548

D. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის უზრუნველყოფა 549

(a) შესავალი 549

(b) საავტორო და მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო კონვენციების დებულებები უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის შესახებ 549

(c) უფლებათა დაცვის განხორციელების შესაბამისი ახალი საერთაშორისო ნორმები 550

(d) უფლებათა დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა 552

ს ა რ ჩ ე ვ ი

(e) სასაზღვრო ღონისძიებები 554

(f) ფონოგრამების, აუდიოვიზუალური ნაწარმოებებისა და კომპიუტერული პროგრამების მეკობრეობის საწინააღმდეგო ღონისძიებები 555

(i) მეკობრეობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღების მიზეზები 556

(ii) მეკობრეობის საწინააღმდეგო ღონისძიებები 558

E. ისმო-ს საქმიანობა უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის სფეროში 562

F. უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის დებულებები TRIPS-ის შეთანხმებაში 563

თავი 16: ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები 564

A. შესავალი

B. სამრეწველო საკუთრების უწყებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმოხილვა 564

(a) შესავალი 564

(b) აპელაცია პატენტის გაცემამდე 565

(c) აპელაცია პატენტის გაცემის შემდეგ 566

(d) აპელაციასთან დაკავშირებული პროცედურები 567

(i) შესავალი 567

(ii) სასამართლო მოსმენისწინა მოსამზადებელი სხდომა 568

(e) მტკიცებულებები 569

(i) დოკუმენტური მტკიცებულება 570

(ii) ნივთიერი მტკიცებულებანი 571

(iii) საექსპერტო ჩვენებები 572

(iv) საბაზრო კვლევის მონაცემები 573

(v) მტკიცებულებათა წარდგენა 573

(f) საბოლოო დადგენილება 574

C. უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები 574

(a) პატენტზე უფლებების დარღვევა 574

(b) საავტორო უფლებების დარღვევა 576

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევა და კომერციული საქმიანობა სხვისი სახელით 578

(i) სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევა 578

(ii) ხვისი სახელით უკანონო სარგებლობა 580

(d) უფლებების დარღვევა რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშებზე 580

D. სასამართლო დაცვის საშუალებები 582

(a) დაცვის წინასწარი საშუალებები - შუალედური სასამართლო აკრძალვა 582

(b) საბოლოო სასამართლო აკრძალვა 584

(c) მიყენებული ზიანი თუ სავარაუდო მოგება 585

თავი 17: ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავათა საარბიტრაჟო განხილვა 587

A. დავათა ალტერნატიული რეგულირება 587

(a) არბიტრაჟი 587

(b) სამომრიგებლო პროცედურა 588

(c) საექსპერტო ანალიზი 589

B. უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სიტუაციაში 589

C. ისმო-ს საარბიტრაჟო ცენტრი 590

ნაწილი V: საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში 596

თავი 18: პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ 596

A. ისტორიული მიმოხილვა 596

B. ძირითადი დებულებები 598

(a) ეროვნული რეჟიმის პრინციპი 599

(b) პრიორიტეტის უფლება 602

(c) პატენტებთან დაკავშირებული დებულებები 605

(i) პატენტების დამოუკიდებლობა 605

(ii) უფლება გამომგონებლის მოხსენიებაზე 606

(iii) იმპორტი; გამოგონების გამოუყენებლობა და იძულებითი ლიცენზიები 607
(iv) უფლებათა შენარჩუნებისათვის საფასურის გადახდის შეღავათიანი ვადა 611
(v) პატენტები საერთაშორისო ტრანსპორტში 612
(vi) საერთაშორისო გამოფენებზე ექსპონირებული გამოგონებები 612
(d) დებულებები, რომლებიც ეხება სასაქონლო ნიშნებს 614
(i) სასაქონლო ნიშნების გამოყენება 614
(ii) ერთი და იმავე ნიშნის ერთდროული გამოყენება სხვადასხვა საწარმოს მიერ 615
(iii) რეგისტრაციის გაგრძელებაზე საფასურის გადახდის შეღავათიანი ვადა 616
(iv) სასაქონლო ნიშნების დამოუკიდებლობა 617
(v) საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები 618
(vi) სახელმწიფო გერბი, კონტროლის ოფიციალური ბეჭდები და საერთაშორისო ორგანიზაციების ემბლემები 619
(vii) სასაქონლო ნიშნის გადაცემა 621
(viii) კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში 622
(ix) მომსახურების ნიშნები 624
(x) მფლობელის ნებართვის გარეშე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წარმომდგენლის მიერ 625
(xi) სასაქონლო ნიშნით მარკირებული საქონლის სახეობა 626
(xii) კოლექტიური ნიშნები 626
(xiii) სასაქონლო ნიშნების ჩვენება საერთაშორისო გამოფენებზე 628
(e) სამრეწველო ნიმუშებთან, საფირმო სახელწოდებებთან, ადგილწარმოშობის დასახელებებთან და წარმოშობის ადგილის აღნიშვნებთან და არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული დებულებები 628
(i) სამრეწველო ნიმუშები 628
(ii) საფირმო სახელწოდებები 629

ს ა რ ჩ ე ვ ი

(iii) ადგილწარმოგობის დასახელება და წარმოშობის ადგილის აღნიშვნა 630

(iv) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია 632

C. ადმინისტრაციული და საფინანსო დებულებები 633

(a) პარიზის კავშირის ორგანოები 633

(b) ფინანსები 634

(c) გადასინჯვა და შესწორება 635

(d) სპეციალური შეთანხმებები 635

(e) მონაწილეობა კონვენციაში 635

(f) დავები 636

თავი 19: ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია 638

A. საკითხის ისტორია 638

B. ძირითადი დებულებები 639

(a) საბაზო პრინციპები 639

(b) დაცული ნაწარმოებები 639

(c) უფლებათა მფლობელები 640

(d) დაცული პირები 641

(e) დაცვის მინიმალური დონე 641

(f) დაცული უფლებები 641

(g) შეზღუდვები 642

(h) დაცვის ვადა 643

C. ბერნის კონვენციის პარიზის აქტი 643

D. ადმინისტრირება 648

(a) ადმინისტრაციული დებულებები 648

(b) კონვენციასთან მიერთება 649

E. განვითარებადი ქვეყნები და ბერნის კონვენცია 649

თავი 20: ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ 654

A. შესავალი 654

(a) ტრადიციული საპატენტო სისტემა 654

(b) PCT-ის ისტორია 655

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) PCT-ს მიზნები 655

B. PCT სისტემის ფუნქციონირება 658

(a) საერთაშორისო განაცხადის შეტანა 658

(b) საერთაშორისო მოძიება 659

(c) საერთაშორისო პუბლიკაცია 662

(d) საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზა 663

(e) საქმის წარმოება აღნიშნულ (ან შერჩეულ) უწყებებში ("ეროვნული ფაზა") 664

C. PCT სისტემის უპირატესობანი 666

(a) უპირატესობანი საპატენტო უწყებებისათვის 666

(b) უპირატესობანი განმცხადებლისათვის 667

(c) უპირატესობანი ეროვნული ეკონომიკისა და მრეწველობისათვის 668

(d) ტექნიკური ინფორმაცია 669

თავი 21: მადრიდის შეთანხმება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ და მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი 671

A. შესავალი 671

B. საერთაშორისო რეგისტრაციის პრინციპი 671

C. რეგისტრაციის პროცედურა 672

(a) ეროვნული რეგისტრაცია წარმოშობის ქვეყანაში 672

(b) განაცხადის შეტანა საერთაშორისო რეგისტრაციაზე 672

(c) საფასურები, რომლებიც თან ერთვის განაცხადს 673

(d) პრიორიტეტის უფლება 673

(e) საერთაშორისო ბიუროს ექსპერტიზა; რეგისტრაცია, შეტყობინება და გამოქვეყნება 674

(i) არასწორი გაფორმება 674

(ii) საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაცია 675

(iii) საქონლისა და მომსახურების ნუსხა, რომელიც შეიცავს მეტის მეტად გაურკვეველ, გაუგებარ ან ლინგვისტური თვალსაზრისით არასწორ ტერმინებს 676

D. საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება 677

ს ა რ ჩ ე ვ ი

(a) ტერიტორიული მოქმედება 677
(b) იურიდიული მოქმედება 677
(c) საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ვადა და თარიღი 678
(d) კავშირი საერთაშორისო რეგისტრაციასა და საბაზო ეროვნულ რეგისტრაციას შორის 678
E. უარი დაცვის მინიჭებაზე 679
(a) უარის საფუძვლები 679
(b) შეტყობინების ვადა, რომელსაც აგზავნიან საერთაშორისო ბიუროში 680
(c) უარის განხილვა 681
F. ცვლილებები, რომლებიც ეხება საერთაშორისო რეგისტრაციას 682
(a) ტერიტორიული გაფართოება რეგისტრაციის შემდეგ 682
(b) სხვა ცვლილებები 682
G. რეგისტრაციის ვადის გაგრძელება 683
(a) არაოფიციალური შეტყობინება 683
(b) საფასურები 683
(c) გაგრძელების არსი და მოქმედება 684
H. შეტყობინებები, რომლებიც ეგზავნებათ ეროვნულ უწყებებს და პუბლიკაციები 684
I. მადრიდის შეთნხმების პროტოკოლი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (“მადრიდის პროტოკოლი”) 685

თავი 22: ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ 690
A. შესავალი 690
B. საერთაშორისო დეპონირების პრინციპი 690
C. ჰააგის შეთანხმების ძირითადი დებულებები 691
D. ჰააგის შეთანხმებასთან მიერთების უპირატესობანი 694

თავი 23: ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონის შესახებ 696
A. შესავალი 696
B. ხელშეკრულების დებულებები 696
(a) ნიშნები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ხელშეკრულება 696

(b) განაცხადები 697
(c) წარმომადგენლობა 698
(d) შეტანის თარიღი 698
(e) ხელმოწერა 699
(f) ცვლილებები და შესწორებები, რომლებიც ეხება განაცხადებსა და რეგისტრაციებს 699
(g) რეგისტრაციის მოქმედების ვადა და მისი გაგრძელება 700
(h) ხელშეკრულების სხვა დებულებები 700
(i) სხვა კონვენციათა დებულებების დაცვა 701
(j) ინსტრუქციები და ტიპური საერთაშორისო ბლანკები 701
(k) გარდამავალი დებულებები 702

თავი 24: კონვენციები კლასიფიკაციის შესახებ 703
A. ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ 703
(a) შესავალი 703
(b) ნიცის კლასიფიკაციის სამართლებრივი მოქმედების სფერო და გამოყენება 703
(c) ნიცის კავშირის ასამბლეა და ექსპერტთა კომიტეტი 704
(d) ნიცის კლასიფიკაციის გამოყენება და მოდერნიზაცია 705
B. ვენის შეთანხმება ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ 709
(a) შესავალი 709
(b) შეთანხმების ძირითადი თავისებურებანი 709
(c) საერთაშორისო კლასიფიკაციის უპირატესობანი 712
C. ლოკარნოს შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ 713
(a) შესავალი 713
(b) ლოკარნოს კლასიფიკაციის იურიდიული მოქმედება და გამოყენება 714

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი 25: საერთაშორისო კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შესახებ ("რომის კონვენცია") 715

A. რომის კონვენციის ევოლუცია 716

B. ურთიერთკავშირი მომიჯნავე უფლებების დაცვასა და საავტორო უფლებებს შორის 717

C. დაცვის ძირითადი პრინციპი რომის კონვენციის მიხედვით: ეროვნული რეჟიმი 718

D. დაცვის სუბიექტი 719

E. კონვენციით მოთხოვნილი დაცვის მინიმალური დონე 720

F. დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ უფლებათა განხორციელების დისკრეციულ რეგულირებას 721

G. შეზღუდვები 723

H. დაცვის ვადა 724

I. ფორმალურ პროცედურათა შეზღუდვა 724

J. რომის კონვენციის განხორციელება 725

K. რომის კონვენცია და განვითარებადი ქვეყნები 726

თავი 26: სხვა სპეციალური კონვენციები მომიჯნავე უფლებების სფეროში 729

A. სპეციალური კონვენციები 729

B. სპეციალური კონვენციების მიზნები და ამოცანები 729

C. სპეციალური კონვენციების ძირითადი მახასიათებლები 732

D. ფონოგრამების შესახებ კონვენციის მატერიალურ-სამართლებრივი დებულებები 733

E. თანამგზავრების შესახებ კონვენციის მატერიალურ-სამართლებრივი დებულებები 735

F. კონვენციები ფონოგრამებისა და თანამგზავრების შესახებ და განვითარებადი ქვეყნები 736

თავი 27: სასელექციო მიღწევათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია 739

A. შესავალი 739

ს ა რ ჩ ე ვ ი

B. სასელექციო მიღწევათა დაცვის საერთაშორისო კავშირი (UPOV) 740

(a) ისტორიული ცნობა 740

(b) დაცვის მინიჭების კრიტერიუმები 741

(c) დაცვის მოცულობა 743

C. UPOV–ის კონვენციის 1991 წლის აქტი 748

(a) განსაზღვრებანი 750

(b) ხელშეკრულების მონაწილეთა ძირითადი ვალდებულებანი 752

(c) სახეობა და გვარი, რომლებიც უნდა იყოს დაცული 753

(d) სელექციონერის უფლების მინიჭების პირობები 754

(e) განაცხადის ექსპერტიზა 757

(f) წინასწარი დაცვა 758

(g) სელექციონერის უფლებათა მოცულობა 758

(h) ახალწარმოებული ჯიშების გამოყენება 762

(i) გამონაკლისები სელექციონერის უფლებებიდან 765

(j) სელექციონერის უფლებათა ამოწურვა 766

(k) სელექციონერის უფლებათა მოქმედების ვადა 766

(l) ადმინისტრაციული და დასკვნითი დებულებები 767

D. უკანასკნელი მოვლენები 767

თავი 28: შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ (TRIPS) 770

A. შესავალი 770

(a) GATT-ი, WTO და TRIPS-ის შეთანხმება 770

(b) გარდამავალი შეთანხმებები და ტექნიკური თანამშრომლობა (ნაწილი VI) 770

(c) ინსტიტუციური ღონისძიებები (ნაწილი VII) 771

(d) შეთანხმებები ისმო-სთან თანამშრომლობის შესახებ 772

B. ზოგადი დებულებები, ძირითადი პრინციპები და დასკვნითი დებულებები (ნაწილი I და VII) 773

(a) ინტელექტუალური საკუთრების განსაზღვრა 774

(b) პარიზისა და ბერნის კონვენციების მითითების ჩართვა მათზე გზით 774

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) ეროვნული რეჟიმის პრინციპი 774

(d) უპირატესი ხელშეწყობის-ეროვნული პრინციპი 775

(e) არსებული ობიექტის დაცვა 775

(f) დათქმები 776

(g) უსაფრთხოების მოსაზრებასთან დაკავშირებული გამონაკლისები 776

C. ნორმები, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა არსებობას, მოცულობას და გამოყენებას (ნაწილი II) 777

(a) საავტორო და მომიჯნავე უფლებები (კარი 1) 777

(b) სასაქონლო ნიშნები (კარი 2) 780

(c) გეოგრაფიული აღნიშვნები (კარი 3) 781

(d) სამრეწველო ნიმუშები (კარი 4) 782

(e) პატენტები (კარი 5) 783

(f) ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები (კარი 6) 785

(g) საიდუმლო ინფორმაციის დაცვა (კარი 7) 786

(h) ანტიკონკურენტული პრაქტიკის კონტროლი სახელშეკრულებო ლიცენზიების მეშვეობით (კარი 8) 787

D. ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა (ნაწილი III) 787

(a) ზოგადი ვალდებულებები (კარი 1) 787

(b) სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურები და დაცვის საშუალებები (კარი 2) 788

(c) დროებითი ღონისძიებები (კარი 3) 789

(d) სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოთხოვნები (კარი 4) 789

(e) სისხლის სამართლებრივი პროცედურები (კარი 5) 790

E. ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვება და მათი ძალაში შენარჩუნება და ამისთვის საჭირო პროცედურები (ნაწილი IV) 790

F. დავათა თავიდან აცილება და რეგულირება (ნაწილი V) 791

(a) საჯაროობა 791

(b) დავათა რეგულირება

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი VI: ინტელექტუალური საკუთრების ადმინისტრირება და სწავლება 792

თავი 29: სამრეწველო საკუთრების მართვა 792

A. შესავალი 792

B. სამრეწველო საკუთრების უწყების ადმინისტრაციული სტრუქტურა 794

(a) გენერალური დირექტორატი 796

(b) საქმიანობა სამრეწველო საკუთრების დარგში 796

(i) საპატენტო ექსპერტიზა 796

(ii) სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზა 797

(iii) სამრეწველო ნიმუშების ექსპერტიზა 797

(iv) დამხმარე სამსახურები 797

(v) აპელაციები/გაპროტესტება 798

(vi) საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება (PCT) 798

(vii) დოკუმენტაცია და ინფორმაცია 799

(viii) ავტომატიზაცია 800

(ix) პროგრამები და გამოკვლევები 800

C. საპატენტო უწყება 801

(a) ამოცანები 801

(b) საპატენტო განაცხადის მიღება და საფასურები; ფორმალური ექსპერტიზა 801

(c) განაცხადის პუბლიკაცია 801

(d) არსობრივი ექსპერტიზა 803

(e) უარი გაცემაზე 804

(f) პატენტის ძალაში შენარჩუნება 805

(g) სისტემის ფუნქციონირების ღირებულება 805

(h) იძულებითი ლიცენზიები 806

(i) საპატენტო საინფორმაციო მომსახურება 806

D. სასაქონლო ნიშნების უწყება 807

(a) ამოცანები 807

(b) განაცხადის მიღება რეგისტრაციისთვის და საფასურები; ფორმალური ექსპერტიზა 808

(c) უარისთვის აბსოლუტური საფუძვლების ექსპერტიზა 809
(d) უარისათვის შედარებითი საფუძვლების არსებობის ექსპერტიზა 809
(e) უარი რეგისტრაციაზე 811
(f) რეგისტრაციის გაგრძელება 811
(g) სისტემის ფუნქციონირების ღირებულება 812
(h) მოძიების სამსახური 812
E. სამრეწველო ნიმუშების უწყება 813
(a) ამოცანები 813
(b) განაცხადის მიღება რეგისტრაციისთვის და საფასურები; ფორმალური ექსპერტიზა 813
(c) უარი რეგისტრაციაზე 814
(d) რეგისტრაციის გაგრძელება 815
(e) ასეთი სისტემის ხარჯები 815
(f) სისტემის ფუნქციონირების ღირებულება 815
F. მთავრობათაშორისო თანამშრომლობა 816
(a) შესავალი 816
(b) ისმო-ს საერთაშორისო ბიურო 816
(c) სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონული ორგანიზაცია (ARIPO) 818
(d) ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის ორგანიზაცია (OAPI) 821
(e) შეთანხმება ANDEN-ის ჯგუფის ქვეყნების სუბრეგიონული ინტეგრაციის შესახებ 823
(f) ცენტრალური ამერიკის შეთანხმება სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ 824
(g) ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 824
(h) ევრაზიის საპატენტო ორგანიზაცია 825
(i) ევროპის საპატენტო ორგანიზაცია 827
(j) ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობა 829
(i) გაერთიანების პატენტი 829

(ii) გაერთიანების კანონები სასაქონლო ნიშანი და სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონების დაახლოება 829
(iii) კონტრაფაქციული საქონელი 830
(k) ბენილუქსის უნიფიცირებული კანონები ნიშნებისა და ნიმუშების შესახებ 831
G. საგამომგონებლო საქმიანობის სახელმწიფო ხელშეწყობა 832
(a) შესავალი 832
(b) დაცვა 833
(c) დახმარება 834
(d) რეკლამა და წახალისება 835
(e) თანამშრომლობა გამომგონებლებს შორის 836

თავი 30: საავტორო უფლების მართვა 836
A. საავტორო უფლებათა რეალიზაციის ინფრასტრუქტურა 836
(a) შესავალი 836
(b) საავტორო ორგანიზაციათა მიზნები და ფუნქციები 838
(c) საავტორო უფლებების დაცვისა და მართვის ორგანიზაცია 840
(d) საგამომცემლო ორგანიზაციები 845
B. საავტორო უფლებების კოლექტიური მართვა 846
(a) შემსრულებელთა უფლებები და უფლებები ტრანსლაციაზე, რომლებიც წარმოადგენენ მართვის საგანს 847
(i) უფლებათა გადაცემა ავტორების მიერ 847
(ii) გამომცემელთა პოზიცია 849
(iii) უცხოური დუბლიკატები 849
(iv) უცნობ ავტორთა უფლებები 850
(b) დაცული მუსიკის საჯარო შესრულების ან ტრანსლაციის ნებართვა 851
(i) ნებართვის მოცულობა და ფორმა 851
(ii) როიალტის მასშტაბები 851
(iii) შესრულებულ და ტრანსლირებულ ნაწარმოებთა საბუღალტრო აღრიცხვა 853
(iv) დამოკიდებულება წინასწარი ნებართვის გარეშე მუსიკის გამოყენებისადმი 854

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) დოკუმენტაცია 854

(i) კოლექტიური მართვის ორგანიზაციის წევრები და კლიენტები 854

(ii) CAE-ს დოკუმენტაცია 855

(iii) ნაწარმოებთა მითითება 856

(iv) WWL - დოკუმენტაცია 857

(v) საერთაშორისო ბარათები 858

(vi) სუფლიორის ფურცლები 858

(d) განაწილება და საბუღალტრო აღრიცხვა 859

(i) განაწილების პრინციპები 859

(ii) იდენტურობის დადგენა 860

(iii) განაწილების სტადიები 860

(iv) საბუღალტრო ანგარიში 861

(v) დაანგარიშებული, მაგრამ გადაუხდელი თანხები 861

(e) საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაცია 862

(i) საორგანიზაციო სტრუქტურა 863

(ii) მართვის ხარჯები 864

(iii) დამატებითი შემოსავალი 864

(iv) კომპიუტერული სისტემები 865

(f) საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობა 866

(i) სახსრები 866

(ii) სოციალური უზრუნველყოფა 867

(iii) კულტურული საქმიანობა 867

თავი 31: პატენტთა და სასაქონლო ნიშანთა რწმუნებული 868

A. შესავალი 868

B. პატენტრწმუნებულის ფუნქციები 868

(a) შესავალი 868

(b) წინასაგანაცხადო ეტაპი 869

(i) საიდუმლოობა 869

(ii) პატენტუნარიანობის განსაზღვრა 871

(iii) დაპატენტების ქვეყნების განსაზღვრა 872

(iv) განაცხადის შედგენა 873

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) განაცხადის სტადია 875

(d) განაცხადის გამოქვეყნება 878

(e) გადავადებული ექსპერტიზა 880

(f) შედავება 880

(g) არსობრივი ექსპერტიზა 881

(h) ცვლილებები 881

(i) როლი პატენტის მოქმედების პერიოდში 883

(i) ძალაში შენარჩუნება 883

(ii) გაუქმების პროცედურა 883

(iii) იძულებითი ლიცენზიები 884

(iv) უფლებათა დარღვევა 885

(j) განაცხადი უცხოელი კლიენტებისათვის 885

(k) უცხოური განაცხადები ადგილობრივი კლიენტებისათვის 886

C. პატენტრწმუნებულები საწარმოებში 888

(a) სამრეწველო საკუთრების უფლებათა შეძენა 889

(b) მოძიება და მონიტორინგი 890

(c) დოკუმენტაცია ტექნიკის დონის შესახებ 890

(d) თანამშრომლობა საწარმოს სამეცნიერო-კვლევით განყოფილებებთან 890

(e) ლიცენზირება 891

(f) უფლებების ძალაში შენარჩუნება 891

(g) საქმიანობის სხვა სახეობები 891

D. პატენტრწმუნებულთა ასოციაციები 892

(a) ეროვნული 892

(b) საერთაშორისო 893

(c) რეგიონალური 894

E. სასაქონლო ნიშანთა რწმუნებულის ფუნქციები 895

(a) შესავალი 895

(b) სასაქონლო ნიშნის არჩევა 897

(c) განაცხადი ეროვნულ რეგისტრაციაზე 898

(d) სამამულო სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ განაცხადის შეტანა საზღვარგარეთ 899

ს ა რ ჩ ე ვ ი

(i) შესავალი 899

(ii) განაცხადთა განხილვის ეტაპი 901

(e) ლიცენზირება 903

(f) სასაქონლო ნიშნების შენარჩუნება რეგისტრაციის შემდეგ 905

F. მოთხოვნები პატენტრწმუნებულის მომზადებისადმი 906

(a) ტექნიკური განათლება 906

(b) წიგნიერება 906

(c) იურიდიული განათლება 906

(d) პიროვნება 907

თავი 32: ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის სწავლება 908

A. შესავალი 908

B. ინტელექტუალური საკუთრების სწავლების პროგრამები 909

(a) ინტელექტუალური საკუთრების პროგრამათა სახეობები 909

(b) ინტელექტუალური საკუთრების ფაკულტეტი 912

(c) ინტელექტუალური საკუთრების სწავლება განვითარებად ქვეყნებში 913

C. ინტელექტუალური საკუთრების კურსების გამოყოფა 915

D. სწავლების მასალების შერჩევა და სასწავლო გეგმების დაწერა 917

(a) სასწავლო მასალების შერჩევისა და სასწავლო გეგმის დაწერასთან დაკავშირებული ზოგადი შენიშვნები 917

(b) მასალათა შერჩევა კონკრეტული კურსებისთვის 920

(c) სასწავლო მასალები განვითარებად ქვეყნებში 923

E. სწავლების მეთოდიკა და სტრატეგია 925

(a) სწავლების მეთოდიკა 925

(b) ეფექტურობის შეფასება 926

(c) სტუდენტების აქტიურობის წახალისება 927

F. მასწავლებლებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის კონტაქტები 928

G. მასწავლებელთა როლი საკანონმდებლო პროცესში 929

H. კვლევითი ინსტიტუტების ინტელექტუალური საკუთრების კანონის სფეროში 932

(a) შესავალი 932

ს ა რ ჩ ე ვ ი

(b) ინტელექტუალური საკუთრების კანონის ინსტიტუტისა და ბიბლიოთეკის შექმნა: ჩინეთის მაგალითი 935

I. დასკვნა 937

ნაწილი VII: ინტელექტუალური საკუთრების ახალი მიმართულებები 939

თავი 33: ახალი ტექნოლოგიური ობიექტების დაცვა 939

A. კომპიუტერული პროგრამები 939

(a) შესავალი 939

(b) კომპიუტერი და ინტელექტუალური საკუთრება 941

(i) შესავალი 941

(ii) კომპიუტერი და დაცული ნაწარმოებები 941

(c) კომპიუტერული პროგრამების დაცვა 944

B. ბიოტექნოლოგია 946

(a) შესავალი 946

(b) დაცვის აუცილებლობა 948

(c) არსებული დაცვა 949

(d) ბუდაპეშტის ხელშეკრულება მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის 951

(i) ხელშეკრულების დადების წინა ისტორია 952

(ii) ხელშეკრულების მოკლე შინაარსი 952

(iii) ხელშეკრულების ძირითადი უპირატესობანი 954

C. ინტეგრალური მიკროსქემები 956

(a) ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია 956

(b) დაცვის აუცილებლობა 956

(c) ხელშეკრულება ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ინტეგრალური მიკროსქემების მიმართ 957

(d) დაცვის მოცულობა 960

(i) დაცული ობიექტები 960

(ii) მოთხოვნები დაცვისადმი 961

(iii) დაცვის სახეობა 961

(iv) მინიჭებული უფლებები 962
(v) მფლობელის ვალდებულებები; არანებაყოფლობითი ლიცენზიები 962
(vi) უკუკონსტრუირება 964
(vii) გახსნა 964
(viii) დაცვის ვადა 965
(e) სამართლებრივი რეჟიმის შედეგები 965
D. რეპროგრაფია 968
(a) რეპროგრაფია და ინტელექტუალური საკუთრება 968
(b) აუდიო-ვიდეო ჩანაწერი 970
E. კავშირგაბმულობის ახალი ტექნიკა 972
(a) შესავალი 972
(b) თანამგზავრები 972
(i) თანამგზავრის ტიპები 972
(ii) საავტორო უფლება და თანამგზავრები 972
(c) გავრცელება კაბელით 976
F. გავრცელების ციფრული სისტემები 981

თავი 34: შეთავაზებული საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები 986

A. შეთანხმების პროექტი საპატენტო კანონის შესახებ 986
(a) საპატენტო კანონების საერთაშორისო ჰარმონიზაციის სათავეები 986
(b) საპატენტო კანონის შესახებ შეთანხმების მომზადების ისტორია 987
(c) შეთანხმების ძირითადი წინადადება 989
B. ბერნის კონვენციის პროტოკოლის პროექტი და ახალი შესაძლო სამართლებრივი აქტი შემსრულებელთა და მწარმოებელთა უფლებების დაცვის შესახებ 992
(a) შესავალი 992
(b) ბერნის კონვენციის პროტოკოლის პროექტი 993

ს ა რ ჩ ე ვ ი

(c) შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა დაცვის შესაძლო ახალი სამართლებრივი აქტი 1000

C. ჰააგის შეთანხმების გადასინჯვა სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების მიმართ 1006

(a) შესავალი 1006

(b) გადასინჯვის აუცილებლობა 1006

(i) პრობლემები, რომლებიც დგას სისტემის მოსარგებლეთა წინაშე 1006

(ii) პრობლემები, რომლებიც ეხება სამრეწველო საკუთრების უწყებას 1009

(iii) რეგიონალური სისტემები 1010

(c) ექსპერტთა კომიტეტი 1011

D. ისმო-ს შეთანხმების პროექტი სახელმწიფოთა შორის დავათა რეგულირების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში 1011

(a) შესავალი 1011

(b) ხელშეკრულების მიზანი 1014

(c) ხელშეკრულების გამოყენების სფერო 1014

(d) დავათა რეგულირების საშუალებები 1019

(e) კონსულტაციები 1020

(f) კეთილი მომსახურება და შუამავლობა 1021

(g) კომისიის მეშვეობით დავის რეგულირების პროცედურა 1022

(h) არბიტრაჟი 1025

(i) ადმინისტრაციული დებულებები 1027

(j) სამომავლო სამუშაო 1027

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

თანამედროვე მსოფლიოში ის ქვეყნები და ერები არიან მოწინავენი, რომლებსაც ახალი იდეებისა და ცოდნის, რევოლუციური აღმოჩენებისა და ტექნოლოგიური მიღწევების გენერირება და რეალიზება ძალუძთ. ინტელექტუალური პოტენციალი გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში, იგი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია პოლიტიკური გავლენის მოპოვების თვალსაზრისითაც.

აღნიშნულმა პირდაპირი გამოხატულება პოვა იმ ტენდენციებსა და პროცესებში, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმების თვისობრივად ახალ დონეზე ფორმირებასა და განვითარებასთან, როგორც გლობალურ, ისე რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირების გზაზე ერთ-ერთ პრიორიტეტად ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება იქნა მიჩნეული, რამაც ასახვა პოვა როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ისე ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღებაში. მოხდა საქართველოს მიერთება ამ სფეროში მოქმედ ძირითად საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებთან, მათ შორის ორ ისეთ ფუძემდებელ აქტთან, როგორიცაა პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ და ბერნის კონვენცია ლიტერატურულ და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ. საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, ასევე გახდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების მონაწილე.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირება დაიწყო სპეციალიზებულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა (საპატენტო უწყება "საქპატენტი" და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტო), აგრეთვე ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის საზოგადოებებმა.

ნებისმიერ ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური განხორციელება ძირეულად უკავშირდება ამ სფეროს დემისტიფიცირებას, მასში არსებული ცოდნისა და გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, საზოგადოების მზადყოფნას გაითავისოს და სამოქმედოდ აქციოს შესაბამისი პრინციპები და მექანიზმები.

წინამდებარე წიგნი არის სტატიებისა და ლექციების ტექსტების კრებული, რომლებიც მომზადებული იქნა გაეროს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროს თანამშრომლებისა და ისმო-ს

ეგიდით ჩატარებულ სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე მოწვეული ლექტორების მიერ.

წიგნი მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების პრობლემატიკასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან ასპექტს და წარმოადგენს ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომს ამ სფეროში.

წიგნში ფართოდაა გაშუქებული ინტელექტუალური საკუთრების არსი და თავისებურებანი, მის ობიექტებზე უფლებების მოპოვებისა და განხორციელების სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული კულტურული, ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების საკითხები.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს, ამ დარგში სახელმწიფოთაშორისო კოოპერაციის შემდგომი სრულყოფის ამოცანებსა და პერსპექტივებს.

კრებულში სპეციალური თავია მიძღვნილი თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიური მიღწევების (ბიოტექნოლოგიური ობიექტები, კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები, ინტეგრალური მიკროსქემები და სხვა) დაცვის პრობლემებისადმი, განხილულია მათთან დაკავშირებული თავისებურებანი და სირთულეები.

ეს წიგნი გამოცემულია ისმო-ს ოფიციალურ ენაზე. იგი მსოფლიოში სარგებლობს დიდი პოპულარობით, როგორც სახელმწიფო მოხელეებს შორის, ისე საუნივერსიტეტო წრეებსა და ამ სფეროს სპეციალისტებში.

წინამდებარე ნაშრომის ინგლისურიდან ქართულად თარგმნისას დაგვჭირდა ზოგიერთი ახალი ტერმინისა და ტერმინული შესიტყვების შემოტანა; ასევე, თარგმნისას სიზუსტისაკენ მისწრაფებამ ზოგჯერ ხელოვნური სინტაქსური კონსტრუქციებიც მოგვახვია თავს. სარჩევისა და ქვესათაურის დანომვრისას დავტოვეთ ლათინური ანბანი, რათა გაადვილდეს დედანში შესაბამისი თავების მოძებნა.

სარედაქციო ჯგუფი დიდი მადლობით მიიღებს კეთილმოსურნე და სასარგებლო რჩევებსა და შენიშვნებს, რომელთაც უთუოდ გაითვალისწინებს მომდევნო წიგნზე მუშაობისას.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოქვეყნება დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას, ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას საქართველოში.

მადლობას ვუხდით ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას თარგმანის მომზადების საქმეში მხარდაჭერისათვის.

ნაწილი II
ინტელექტუალური საკუთრების როლი ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში

თავი 4
ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გავლენა ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე

A. განვითარებადი ქვეყნების ძირითადი ამოცანები

4.1. განვითარებადი ქვეყნის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანები მიმართულია მისი კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად. ეს პრობლემები განისაზღვრა განვითარებადი ქვეყნების მთავრობათა მიერ სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო ფორუმებზე. მათი ფორმულირება შესაძლებელია, აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნების მთავრობების წინაშე მდგარი სოციალური და ეკონომიკური მიზნების შესწავლის გზით. აქ შეუძლებელია გამოიყოს პირველი რიგის პრობლემები და განვითარების ამოცანები, რადგან ყოველი ქვეყნის თუ რეგიონის პრიორიტეტები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

4.2. განვითარებადმა ქვეყნებმა მიზნად დაისახეს საიმედო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ბაზის შექმნა. მათ შორის, სოფლის მეურნეობის სრულყოფა საკვები პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მიზნით, და აგრეთვე, კომერციული საქმიანობისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. ერთ-ერთ ასეთ ამოცანას წარმოადგენს მრეწველობის პრიორიტეტულ დარგებში შესაბამის მცირე, საშუალო და მსხვილი ზომის საწარმოთა შექმნა და სამრეწველო სექტორის განვითარება იმპორტული საქონლის ნაცვლად საკუთარი პროდუქციის ჩანაცვლების მიზნით, რათა შემცირდეს ამჟამად იმპორტზე არსებული დამოკიდებულების ხარისხი. კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს სამრეწველო დარგებში ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებისა და ექსპორტის ზრდა, განსაკუთრებით მზა ნაწარმის, და არა ნედლეული მასალის სახით. რადგან მრავალ განვითარებად ქვეყანაში ხალხური ხელოვნებისა და ფოლკლორის მდიდარი ტრადიციები არსებობს, რის საფუძველზეც ვითარდება ადგილობრივი ხელოსნობა და დიზაინის საფეიქრო ნაწარმში გამოყენება,

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მიზანია შემოქმედების ამგვარ სახეობათაგან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღება.

4.3. რაც შეეხება სასოფლო ადგილების განვითარებას, განვითარებადი ქვეყნები ყურადღებას უთმობენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სოფლის რაიონების საერთო ინფრასტრუქტურის სრულყოფისაკენ, რათა გაუმჯობესდეს სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და კომფორტი და ხელი შეეწყოს ნაკლებად ძვირ ტექნოლოგიათა დამუშავებას, ადგილობრივი პირობებისათვის შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ჩათვლით.

4.4. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სექტორის ამოცანაა სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც მიმართულია ადგილობრივ პირობებთან მორგებული ტექნოლოგიების შეძენისაკენ, სამართლიანი და გონივრული პირობებით, აგრეთვე, იმპორტული ტექნოლოგიების ათვისებისა და ადაპტაციისაკენ, ორიგინალური ადგილობრივი ტექნოლოგიების დამუშავებისა და სტიმულირებისაკენ, ადგილობრივი საინოვაციო პოტენციალის გამოყენებისა და არაფორმალურ სამრეწველო სექტორში ტექნოლოგიების სრულყოფისაკენ (მაგალითად, მსოფლის სარეწებსა და სამრეწველო ობიექტებში). ენერგეტიკის დარგში განვითარებადი ქვეყნები ყურადღებას ამახვილებენ ახალი და განახლებადი რესურსების დამუშავებისა და ათვისების საჭიროებაზე. მსგავსი ამოცანები არსებული ინფრასტრუქტურების სრულყოფის შესახებ დგას ჯანდაცვის, საბინაო მშენებლობის, კომუნიკაციებისა და ადამიანური რესურსების სფეროებშიც.

4.5. ბევრ განვითარებად ქვეყანაში არსებობს სერიოზული პრაქტიკული დაბრკოლება, რომელიც აძნელებს განვითარების მიზნების მიღწევას. მათ შორის შეიძლება გამოიყოს მოწყობილობების ნაკლებობა, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მომსახურების სისტემათა განუვითარებლობა და სხვ. საბედნიეროდ, უკვე მიმდინარეობს ამ პრაქტიკულ პრობლემათა გადაწყვეტა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მიღწეულია მნიშნელოვანი პროგრესი მათი გადაჭრის გზაზე.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, სამრეწველო საკუთრების როლი ეკონომიკურ განვითარებაში, WIPO/IP/ACC/86/5

B. სამრეწველო საკუთრება და განვითარება

(a) ტექნოლოგიის განსაზღვრება

4.6 ტექნოლოგიას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც სისტემატიზებულ ცოდნას, პროდუქტის წარმოების ან მომსახურების გაწევის შესახებ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ან ვაჭრობაში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ფორმით არის გამოხატული ეს ცოდნა: ეს შეიძლება იყოს გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, ან მცენარის ჯიში ან ტექნიკური ინფორმაცია განსახიერებული გარკვეულ დოკუმენტაციებს ან სპეციალისტთა გამოცდილებასა და კვალიფიკაციაში, რომელიც გამოიყენება ქარხნის ან მისი მოწყობილობების კონსტრუირების, მონტაჟის, მუშაობის უზრუნველყოფის ან მომსახურეობისათვის, აგრეთვე, სამრეწველო ან კომერციული საწარმოს მართვისათვის.

4.7 საჭიროა აღინიშნოს, რომ მოცემული განსაზღვრებით, ტექნოლოგია ნიშნავს ცოდნას, მაგრამ არა ყველანაირს. იგულისხმება ის ცოდნა, რომელიც სისტემატიზებულია და შეიძლება მისი გადაცემა და გამოყენება განსაზღვრულ ამოცანათა და პრობლემათა გადასაჭრელად, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ადამიანის მოღვაწეობისას – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ან ვაჭრობის სფეროში. ამგვარად, ტექნოლოგიის ამ განსაზღვრას სამი კრიტერიუმი გააჩნია.

4.8. პირველი, ცოდნა უნდა იყოს სისტემატიზებული, ე.ი. ორგანიზებული გარკვეული პრობლემის გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

4.9. მეორე, ცოდნა უნდა არსებობდეს განსაზღვრული სახით, წერილობითი ფორმით ან ადამიანის გონებაში, იგი უნდა იყოს გახსნილი ან შესაძლებელი უნდა იყოს მისი გახსნა იმგვარად, რომ გადაეცეს ერთი პირისაგან მეორეს რაიმე გზით.

4.10. მესამე, ცოდნა უნდა იყოს მიზანმიმართული, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა ან ვაჭრობაში სასარგებლო გამოყენებისათვის.

4.11. ამ თვალსაზრისით, ეს შეიძლება იყოს ცოდნა, რომელიც გამოყენებული იქნება ისეთი პროდუქციის წარმოებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ტელევიზორი ან მილაკი, რომელიც მის ნაწილს შეადგენს, ან ჩარხი, ხრახნებისა და ქანჩების დასამზადებლად, რომლითაც მილაკი მაგრდება ტელევიზორის ჩარჩოზე.

4.12. ცოდნა შეიძლება გამოყენებული იქნეს პროდუქტის დამზადების ხერხში, მაგალითად, იმ სადენების დამუშავებისა და საფარის დაფენის პროცესში, რომლითაც სატელევიზიო მილაკი უერთდება ტელევიზორის სხვა კომპონენტებს.

4.13. ეს შეიძლება იყოს ცოდნა, რომელიც გამოიყენება სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, მაგალითად, მიწიდან რკინის მადნის ან ნახშირის ამოსაღებად, ნავთობის საძიებლად და ბურღვისათვის ან, მაგალითად, ზღვის წყლის გასამტკნარებლად ან ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

4.14. ეს შეიძლება იყოს ცოდნა, რომელიც გამოიყენება მცენარეთა თესვისათვის, მაგალითად, იმის განსასაზღვრად, თუ რომელი სასუქი და რა რაოდენობით იქნეს გამოყენებული, ან იმის შესახებ, თუ რა სახისა და რა მოცულობით იქნეს გამოყენებული ინსექციდები მცენარეთა ზრდისათვის, ან თუ რა მანქანა-დანადგარები იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში მოსავლის აღებისას.

4.15. ეს შეიძლება იყოს ცოდნა, რომელიც გამოიყენება ჩარხზე ან მექანიზმზე სამუშაოდ და მათი მომსახურებისთვის, ანდა წარმოებული საქონლის ან სასოფლო-სამეურნეო კულტურის შესაფუთად. აგრეთვე, ისეთი ცოდნა, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული სახის საქონლის ან სასოფლო-სამერნეო კულტურის უპირატესობის წარმოსაჩენად და ამრიგად, მათი რეალიზების ხელშესაწყობად.

4.16. გამოგონება წარმოადგენს სისტემატიზებული ცოდნის ერთ-ერთ მაგალითს, რომელიც მიმართულია განსაზღვრული ტექნიკური პრობლემის გადასაწყვეტად.

4.17. დაპატენტებული გამოგონების შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტა მოცემულია წერილობით საპატენტო დოკუმენტებში, რომლებიც გაიცემა და ქვეყნდება სახელმწიფო ორგანოების მიერ. ეს დოკუმენტი, აგრეთვე, ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს პატენტის მფლობელს ტექნიკურ გადაწყვეტაზე, გარდა ამისა, საპატენტო დოკუმენტაცია წარმოადგენს ტექნიკური გადაწყვეტის აღწერილობის სხვებისათვის გადაცემის საშუალებას. ასეთივე როლს თამაშობს მოწმობა სასარგებლო მოდელზე ან სამრეწველო ნიმუშის ფოტოგრაფიული ან გრაფიკული გამოსახულება, რომლებზეც გაცემულია პატენტი ან რომლებიც, ზოგიერთი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია. ამგვარად, გამოგონება, სასარგებლო მოდელი, ან სამრეწველო ნიმუში ტექ-

ნიკური ცოდნის სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს, რომელიც აღწერილი და გახსნილია გარკვეული ფორმით.

(ნ) გამოგონება, ტექნოლოგია და განვითარება

4.18. შემოქმედებითი და საგამომგონებლო უნარი წარმოადგენს იმ თვისებებს, რომლებითაც ევოლუციის პროცესში ადამიანთა მოდგმა გამორჩეული იქნა ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან, საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების პრაქტიკულად გამოყენების უნარი ადამიანთა საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების ფუნდამენტურ ფაქტორად რჩება. არსებითად, ცალკეული საწარმოს, ორგანიზაციისა და მთელი ხალხის არსებობა დამოკიდებულია მათ უნარზე, არ ჩამორჩნენ მსოფლიო განვითარებასა და პროგრესს.

4.19. გამოგონებები და ინოვაციები წარმოადგენენ ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან და სპეციფიკურ, მაგრამ ყველაზე ნაკლებად წინასწარგანჭვრეტად ქმნილებებს, თუმცა სწორედ ისინი იძლევიან განვითარებისა და პროგრესის შესაძლებლობას.

4.20. გამოგონებები და ინოვაციები წარმოადგენენ დაგროვილი ცოდნისა და არსებულ მოთხოვნილებათა ურთიერთშერწყმის პროცესის ლოგიკურ შედეგს. წარსულში დომინირებდა თვალსაზრისი, რომ გამოგონება და ინოვაცია სპონტანური მოვლენებია, რომლებიც თავის წარმოშობას უნდა უმადლოდნენ შთაგონებით აღვსილ ნიჭიერ ინდივიდუალურ გამომგონებელს. მაგრამ დღეს უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ გამოგონებათა შექმნა შეიძლება იყოს ინიცირებული და სტიმულირებული.

4.21. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეროვნულმა შემოქმედებითმა პოტენციალმა შეიძლება დიდი წვლილი შეიტანოს ტექნოლოგიურ პროგრესში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ეყრდნობა გამომგონებელთა, ინოვატორთა და მათ ინვესტორთა იურიდიულად საიმედო დაცვას.

4.22. სამრეწველო საკუთრების დაცვის სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს გამომგონებლობის განვითარებას. გაეროს სისტემაში შემავალი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო) დაკავებულია შემოქმედებითი და საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებით, აგრეთვე, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა პატივისცემის დამკვიდრებით მსოფლიოში.

(i) გამოგონება, ინოვაცია და ეკონომიკური პროგრესი

4.23. ეკონომიკური პროგრესი მოითხოვს ახალი იდეებისა და ახალი პროდუქციის უწყვეტ ნაკადს ცხოვრების პირობებისა და წარმოების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ახალი პროდუქტისა და წარმოების ხერხების არსებობა მნიშვნელოვანია მოძველებული სამრეწველო ტექნოლოგიების განახლებისა და შეცვლისათვის და, ამრიგად, ეკონომიკის მწარმოებელი დარგების სრულყოფილად გამოყენებისათვის.

4.24. ეკონომიკური პროგრესის ყველაზე ფართოდ მიღებულ კრიტერიუმს (ცალკეული ქვეყნის ან წარმოებისათვის) წარმოადგენს მწარმოებლურობა, ე.ი. პროდუქციის გამოსავლიანობა დაბანდებულ ერთეულზე. რა თქმა უნდა, მწარმოებლურობა დამოკიდებულია ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ფართო სპექტრზე, მაგრამ მათ შორის ტექნოლოგიური ინოვაცია აღიარებულია მწარმოებლურობის ამაღლების ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად. ტექნიკურ სიახლეებს ძალუძს უზრუნველყოს მუშახელის, კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება, და, ამგვარად, საწარმოს საშუალება ეძლევა, გამოუშვას იმავე მოცულობის პროდუქცია ბევრად ნაკლები კაპიტალდაბანდებით.

4.25. მწარმოებლურობის სრულყოფის პრინციპული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაშია. თუ მცირე დაბანდებებით უზრუნველყოფილია იმავე მოცულობის პროდუქციის წარმოება, მაშინ რესურსები, რომლებიც თავისუფლდება წარმოების უფრო ეფექტური ხერხების გამოყენებით, შეიძლება მიმართული იქნეს პროდუქციის ახალი მოცულობების საწარმოებლად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება, როგორც პროდუქციის გამოშვების, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. 4.26. მწარმოებლობის ამაღლებასა და ეკონომიკური ზრდის საქმეში, ინოვაციების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, საგამომგონებლო და საინოვაციო საქმიანობის წახალისება განვითარების პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორს შეადგენს, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყანაში, რომლებსაც აქვთ სურვილი მიიღონ სარგებელი ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესიდან.

4.27. გამომგონებლობის წახალისების საერთო პოლიტიკის კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოგონებათა და სხვა ტექნოლოგიურ სიახლეთა (არსებულ ტექნოლოგიათა ადაპტირების ჩათვლით) შექმნას ცალკე აღებულ ქვეყანაში, მის საკუთარ ტერიტორიაზე, საკუთარი მოქალაქეების

მეშვეობით. ადგილობრივი საგამომგონებლო პოტენციალის გამოყენება ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის შეუცვლელ ელემენტს წარმოადგენს. ასეთი პოტენციალის რეზერვები არსებობს ყველა ქვეყანაში. საჭიროა ამ შემოქმედებითი პოტენციალის სწორად ორგანიზება, რაც გამოიწვევს საგამომგონებლო ნიჭისა და ტექნოლოგიური სიახლეების პრაქტიკულ გამოყენებას რაიმე დისკრიმინაციის გარეშე – სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა წახალისდეს გამომგონებლობის ყველა სახეობა, იმისდა მიუხედავად, ეხება საქმე ყოველდღიური დანიშნულების უბრალო დანადგარს, თუ რთულ გამოგონებას მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე, ან ახალ ტექნიკურ გადაწყვეტას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს კონკრეტულ წარმოებასა თუ მთლიანად მრეწველობაში.

4.28. ბოლო 10-20 წლის მანძილზე ბევრ ქვეყანაში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა გამომგონებლობისა და შემოქმედების წახალისებას არა მარტო მსხვილ, არამედ მცირე და საშუალო საწარმოებშიც და ცალკეულ გამომგონებელთა შემთხვევებშიც კი. მათ, ვინც დროულად შეიგნეს, რომ ინოვაციურ აზროვნებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების წარმატებით განხორციელების საქმეში, გაუღეს კარი ახალ მიდგომებს ტექნოლოგიების, მართვისა და სოციალურ სფეროში, ეკონომიკური პრობლემების დაძლევის მიზნით.

(ii) ინოვაციური პოლიტიკის ევოლუცია

4.29. გამოგონებებსა და ინოვაციებს (როგორც უფრო ზოგადი ტერმინის "მეცნიერება და ტექნოლოგიები" მნიშვნელოვან ელემენტებს) და ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთკავშირმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, რომლის როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობა გახდა განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი. განვითარებად ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი მიჩნეულია ქვეყნის დაჩქარებული განვითარების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად.

4.30. სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულებამ საგამომგონებლო და საინოვაციო საქმიანობის წახალისების მიმართ განიცადა ისტორიული ევოლუცია. ინდუსტრიალიზაციის ეპოქის დასაწყისში, XVIII და XIX საუკუნეებში, როდესაც შემოღებული იქნა საპატენტო დაცვის კლასიკური სისტემა,

განსაკუთრებული საპატენტო უფლების არსებობას ეკონომისტები ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო და ჯონ სტიუარტ მილი, განიხილავდნენ, როგორც "სახელმწიფოს მიერ გამოგონებათა წახალისების საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ ფორმას". ასეთი აზრი არსებობდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ იგულისხმებოდა არავითარი დანახარჯები, არამედ ძირითადად იმიტომ, რომ გამომგონებლის გასამრჯელო და ანაზღაურება დამოკიდებული იყო მხოლოდ კერძო ინიციატივასა და ბაზარზე მისი გამოგონების წარმატებაზე – ფაქტი, რომელიც სრულად შეესაბამებოდა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკას.

4.31. სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რომელიც იმ წლებში იყენებდა ძალზე მცირე სახსრებს, არ ესაჭიროებოდა სახელმწიფოს სპეციალური მხარდაჭერა. საპატენტო კანონი გამომგონებლებს აძლევდა განსაკუთრებული მდგომარეობისა და ბაზარზე მონოპოლიის გარანტიას, მაგრამ ინოვაციის მთელი პროცესი, დაწყებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობიდან და დამთავრებული საქონლის სამრეწველო გამოყენებითა და კომერციალიზაციით, თავისუფალი საბაზრო კანონების გადასაწყვეტი რჩებოდა. ალბათ, ერთადერთ გამონაკლისს, მიეკუთვნებოდა გამოგონებების დანერგვა სამხედრო სფეროში, სადაც სახელმწიფო სულ უფრო და უფრო აკონტროლებდა პროცესს უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული.

4.32. უფრო მოგვიანებით, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სახელმწიფო სექტორი აქტიურად ჩაება საგამომგონებლო და საინფორმაციო საქმიანობის მხარდაჭერის პროცესში. სახელმწიფოს როლი ამ მხრივ დამოკიდებული იყო კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ხასიათზე და, აგრეთვე, ეროვნულ პრიორიტეტებზე, მიზნებსა და ინტერესებზე. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს როლი საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულების მანძილზე, არა მარტო ღონისძიებების განხორციელების გზით, რომლებიც მიმართულია კერძო სექტორის მიერ ამ სფეროში უფრო დინამიური როლის შესრულების სტიმულირებისაკენ, არამედ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნობრივი დაფინანსებითა და ზოგ შემთხვევაში, ამ საქმიანობაში პირდაპირი ჩარევითაც სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების შექმნის გზით. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა პროცესი, რომლის შედეგადაც ინდივიდუალური გამომგონებელი სულ უფრო

უთმობდა ადგილს კერძო საწარმოებისა და სახელმწიფოს სამსახურში მყოფ მკვლევართა და გამომგონებელთა ჯგუფებს.

4.33. თანამედროვე ეტაპზე ბევრ ქვეყანაში განსაკურებული ყურადღება ეთმობა ტექნოლოგიური ინოვაციებისა და საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებას არა მარტო მსხვილ, არამედ მცირე და საშუალო საწარმოებშიც და ინდივიდუალურ გამომგონებელთა დონეზეც, სტრუქტურული ცვლილებებისა და მუდმივი ეკონომიკური ზრდის მიღწევის მიზნით. ქვეყნებმა, სადაც მრეწველობაში საინოვაციო პოლიტიკის ჩართვის პროცესი რაღაც მიზეზთა გამო შეფერხდა, განიცადეს მწარმოებლურობის დონის შემცირება, წააწყდნენ სიძნელეებს ნედლეულის რესურსებსა და ენერგომატარებლებზე მერყევ ფასებთან ადაპტაციისას, მოხდა საერთაშორისო ბაზარზე მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაცემა და განიცადეს ეკონომიკური სტაგნაცია. ამის საწინააღმდეგოდ, სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც წარსულში წარმატებით განახორციელეს შესაბამისი ტექნოლოგიური ცვლილებები, აშკარად აჩვენებს, რომ არსებული ეკონომიკური გარემო, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ბუნებრივ რესურსებსა და ძირითად მასალებზე ღირებულების ზრდას, მოითხოვს ახალ მიდგომას ტექნოლოგიებისა და მართვის სფეროში, საგამომგონებლო და საინოვაციო საქმიანობის დონის ამაღლებას, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ ვითარებაში დასახული სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევა.

4.34. ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ინოვაციების არჩევანი უამრავია, და მეცნიერების განვითარებასთან ერთად ყველა ქვეყნისათვის ჩნდება ახალი შესაძლებლობები. ტექნიკური სიახლენი მრავალდარგოვანი ხდება: ასე, მაგალითად, ტექნოლოგიურ დამუშავებებს ერთ დარგში, მაგალითად, ელექტრონიკაში, კომუნიკაციების საშუალებებში, აეროკოსმოსურ კვლევებში ან გენურ ინჟინერიაში, შეიძლება ჰქონდეს შორს მიმავალი შედეგები მრავალ სხვა დარგში, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევებზე დანახარჯებისა და შესაბამისი კაპიტალდაბანდებების მოცულობის ზრდის ტენდენცია აიძულებს სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო კომპანიებს გააკეთონ საპასუხისმგებლო არჩევანი და მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პოლიტიკის მართვის სფეროში, რათა უზრუნველყონ ახალი და ძველი პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტა.

(iii) გამოგონება, ინოვაცია და საპატენტო სისტემა

4.35. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის, რომელიც, სხვა დანარჩენთან ერთად, დაფუძნებულია გამოგონებათა და ინოვაციათა წახალისების ორგანიზებაზე სწორად მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საპატენტო სისტემა. ეფექტიანად მოქმედ საპატენტო სისტემას ინოვაციათა სტიმულირების საქმეში წვლილი შეაქვს სამი ძირითადი გზით.

4.36. ჯერ ერთი, საპატენტო სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს განსაზღვრული ვადით გამოგონების გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესაძლებლობას, საგამომგონებლო და საინოვაციო საქმიანობის მეტად მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიური დამუშავებები მოითხოვს მნიშვნელოვან ადამიანურსა და მატერიალურ რესურსებს. რომ არა პატენტებით კვლევებისა და დამუშავებების შედეგების დაცვა, მათ გამოყენებას შეძლებდა ყველა, იმათი ჩათვლით, ვისაც არ დაუბანდებია კაპიტალი მეცნიერული კვლევების განვითარებაში. ასეთ სიტუაციაში გამოგონებათა ავტორები, ორგანიზაციები და კერძო პირები აშკარად არასახარბიელო კონკურენტულ მდგომარეობაში აღმოჩდნებოდნენ, რადგან მათ მიერ წარმოებული საქონლის ღირებულებაში უნდა ასახულიყო დანახარჯები კვლევასა და დამუშავებაზე, რაც არ შევიდოდა მათი გამოგონების მიმთვისებელთა მიერ წარმოებული საქონლის ფასში. საპატენტო სისტემა გამოგონების ავტორს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონების გამოყენებაზე შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, რაც აძლევს მას საშუალებას მოითხოვოს ანაზღაურება და დაფაროს კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯები. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს სტიმულს შემდგომი სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური დამუშავებების განხორციელებისათვის.

4.37. მეორე, დროის განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პატენტმფლობელს აქვს უფლება გამოგონების განსაკუთრებულ გამოყენებაზე, ქმნის ვითარებას, რომელიც აადვილებს დაპატენტებულ გამოგონებათა შემდგომ ეფექტურ დამუშავებასა და გამოყენებას. ამ შემთხვევაში გამოგონების ავტორი დაცულია არაკონტროლირებადი კონკურენციისაგან იმათი მხრიდან, ვინც არ წავიდა თავდაპირველ ფინანსურ რისკზე. ამგვარად, იქმნება ისეთი პირობები, როცა სარისკო კაპიტალდაბანდებები შეიძლება გამოყენებული იყოს იმისთვის, რომ გამოგონება გარდაიქმნეს რეალურ ინოვაციად. გამომ-

გონებელს თავისუფლად შეუძლია გამოგონების შემდგომი დამუშავება და კომერციულად მიმზიდველ სახემდე მიყვანა, პროდუქციის ან პროცესის ფორმით, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ბაზარზე მოგების მიღების მიზნით.

4.38. მესამე, საპატენტო სისტემა უზრუნველყოფს სტრუქტურის შექმნას მსოფლიოში არსებული ტექნიკური ინფორმაციის უმდიდრესი მარაგის შეგროვების, კლასიფიკაციისა და გავრცელებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ხელს უწყობს ახალი ცოდნის გავრცელებას, რადგანაც გამომგონებლის უფლება, განსაზღვრული დროის პერიოდში საკუთარი გამოგონების განსაკუთრებულ გამოყენებაზე, შეზღუდულია მთელი რიგი პირობებით. პატენტის მიღების სანაცვლოდ ავტორმა უნდა გაუხსნას საზოგადოებას საკუთარი გამოგონების დეტალები. ამგვარად, ინფორმაცია, რომელსაც პატენტი შეიცავს, ხელმისაწვდომი ხდება სამეცნიერო კვლევებისა და ექსპერიმენტებისათვის (თუმცა არა კომერციული მიზნებისათვის) პატენტის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. პატენტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ინფორმაცია საზოგადოების კუთვნილება ხდება და თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი პირის მიერ კომერციული მიზნებისათვის. ამგვარად, საპატენტო სისტემას შეაქვს საკუთარი წვლილი მრეწველობის ტექნოლოგიური ბაზის განვითარებაში.

4.39. საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმცა საპატენტო სისტემა გამოგონებათა და ინოვაციების წახალისების სასიცოცხლოდ მნიშნელოვან ელემენტს წარმოადგენს, პრაქტიკაში არსებობს მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს წარმატებულ ინოვაციებს. ინოვაციის წარმატებაზე ან მარცხზე გავლენას ახდენს მრავალი გარე ფაქტორი, ეკონომიკურ, ტექნიკურ და იურიდიულ საკითხთა ჩათვლით, რომლებზეც ინოვაციის ავტორს არანაირად არ ძალუძს ზეგავლენის მოხდენა.

4.40. სხვადასხვა ფაქტორების შესწავლამ, რომლებიც ახდენენ გავლენას ტექნოლოგიურ ინოვაციებზე, აჩვენა, რომ წარმატებული ინოვაციების დიდი უმრავლესობა დაფუძნებულია მოთხოვნილების შესწავლაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმატებით რეალიზებული გამოგონება, ჩვეულებრივ, ბაზრის მკაფიოდ განსაზღვრულ მოთხოვნილებათა შედეგს წარმოადგენს. წარმატებული გამოგონება უნდა შეიქმნას დროულად (“just-in-time”), რათა პასუხობდეს ბაზრის კონკრეტულ მოთხოვნილებას. ინოვაცია, შინაარსობრივად, მოიცავს

სამეწარმეო წარმატებას, რამდენადაც იგი ეფუძნება წარმატებულად კომერციალიზებულ გამოგონების იდეას.

(iv) საგამომგონებლო საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა

4.41. დღესდღეობით მრავალი, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი, ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებს სულ უფრო მეტად აქვთ გათავისებული საგამომგონებლო და საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერის მნიშვნელობა და შემოქმედ პიროვნებათა – გამოგონებებისა და ინოვაციების ავტორთა – როლი განვითარების საერთო პროცესში. აქედან გამომდინარე მუშავდება სხვადასხვა მიდგომები, მექანიზმები და კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ქვეყნებში ერთი საერთო მიზნით – ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყოველმხრივი ხელშეწყობისა და დაჩქარებისთვის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

4.42. ქვეყნის განვითარებაში საგამომგონებლო საქმიანობის არსებითი და სასიცოცხლო როლის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ გამომგონებლები სარგებლობენ მთავრობათა ყოველმხრივი მხარდაჭერით. გამოგონებანი, მათი მასშტაბების მიუხედავად, ყოველთვის უწყობენ ხელს ტექნოლოგიების დაბადებასა და სრულყოფას, მრეწველობის პროგრესსა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

4.43. გამომგონებელთა და საგამომგონებლო საქმიანობისთვის სახელმწიფო მხარდაჭერა ბევრადაა დამოკიდებული კონკრეტული ქვეყნის განვითარების დონეზე. ის, უბრალოდ, არ შეიძლება ერთნაირი იყოს დაბალი და მაღალი ინდუსტრიის მქონე ქვეყანაში. გარდა ამისა, სახელმწიფო მხარდაჭერის დონე აშკარადაა დამოკიდებული მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურსა და სოციალურ სისტემაზე. სახელმწიფო მხარდაჭერის ხასიათი და მოცულობა დამოკიდებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ძირითადად დაფუძნებულია ისეთ პირობებზე, როგორიცაა ეროვნული პრიორიტეტები, მიზნები და ინტერესები.

4.44. სახელმწიფო პოლიტიკა ტექნოლოგიურ ინოვაციებთან მიმართებაში შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ფართო სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და პრიორიტეტების მიღწევისაკენ, და მხოლოდ ირიბად ზემოქმედებს ტექნოლოგიურ ინოვაციებზე, მათ შორის, საგამომგონებლო და საინოვაციო

საქმიანობაზე. ასეთი პოლიტიკის მაგალითებია, საქმიანობა მიმართული მრეწველობის, ვაჭრობისა და რეგიონალურ განვითარებაზე, და ა.შ. მეორე კატეგორიას ეკუთვნის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ტექნოლოგიური ინოვაციების პროცესთან და გავლენას ახდენს მასზე. კერძოდ, აქ იგულისხმება ხელსაყრელი ინოვაციური კლიმატის შექმნა, ტექნოლოგიური ინოვაციების მნიშვნელობის გაცნობიერება სხვადასხვა დონეზე (სკოლები, სპეციალიზებული ტექნიკური სასწავლებლების ჩათვლით, უნივერსიტეტები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ა.შ.) და სხვადასხვაგვარი მეთოდით (წიგნებისა და ჟურნალების პუბლიკაციები, რადიო და სატელევიზიო პროგრამები, კინოფილმები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ, ტექნიკური მუზეუმები, ლექციები, სემინარები და ა.შ.) მრეწველობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის.

4.45. სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს სამეცნიერო კვლევითი და ტექნოლოგიური დამუშავების შესაბამისი სტრუქტურების შექმნას, ასევე ისეთი მომსახურე ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, როგორიცაა ტექნოლოგიური დოკუმენტაციის ცენტრები. იგი, აგრეთვე, მიმართული უნდა იყოს საზოგადოებაში საკუთარ გამომგონებელთა და ინოვაციების ავტორთა როლის აღიარებისკენ, ტექნიკური და ფინანსური დახმარების აღმოჩენისკენ გამოგონებათა და ინოვაციათა დამუშავება-დანერგვისათვის, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და მრეწველობას შორის უფრო ეფექტური კოორდინაციისკენ. გარდა ამისა, იგი უნდა ითვალისწინებდეს ისეთი სახის მხარდაჭერას, როგორიცაა სხვა საქმიანობის ახალი პროდუქტების საწარმოო პროცესების გამოცდა, მარკეტინგი, ან წარმოებისა და კომერციალიზაციის პირდაპირი სტიმულირება.

4.46. როგორც უკვე აღინიშნა, გამომგონებელთა და საგამომგონებლო საქმიანობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გამომგონებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. სამრეწველო საკუთრების დაცვა გამომგონებლობის განვითარების საუკეთესო სტიმულია, რადგანაც პატენტები გამოგონებაზე სასარგებლო მოდელებზე ან სასაქონლო ნიშნებზე აძლევენ გამომგონებელს ორმაგ სტიმულს: მატერიალურსა და მორალურს. იგი შეიძლება შესაბამისად გამოიხატოს ფულადი გასამრჯელოთი, რომელსაც ავტორი იღებს ანაზღაურების ან ხელშეკრულებით გათვალისწი-

ნებული თანხის სახით, და თანამედროვეთა და შთამომავალთა მიერ იმისი აღიარებით, რომ გამომგონებელმა საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნა რაღაც არაჩვეულებრივი.

4.47. მაგრამ სახელმწიფოს მოვალეობა გამომგონებელთან მიმართებაში არ ამოიწურება ეროვნული სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გამოგონებათა დაცვა. ამ სფეროს ადმინისტრირება უნდა იყოს ეფექტური და არ იყოს ძვირი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბარიერები გამომგონებლის მიერ სამართლებრივი უფლებების მოპოვების პროცესში.

4.48. რაც შეეხება სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც გამომგონებლებისა და საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერითაა დაკავებული, სიტუაცია ქვეყნების მიხედვით ძლიერ განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების ადმინისტრირების ორგანო საპატენტო უწყებას წარმოადგენს და ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც ამ საკითხებითაა დაკავებული. ამავე დროს, სხვა ქვეყნებში ასეთ ორგანოთა გარდა ამ საქმიანობით დაკავებულია სამინისტროები ან უწყებები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მრეწველობის, ვაჭრობის, ეკონომიკის, მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროებთან. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სპეციალიზებული სტრუქტურები და შედავათების სისტემა ინდივიდუალურ გამომგონებელთა, მცირე საწარმოთა და არაკომერციულ ორგანიზაციათა დასახმარებლად გამოგონებებზე უფლებების მოპოვებისა და მათი ეფექტური მართვისათვის (მაგალითად, განსხვავებული საფასურები, უფასო საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.).

4.49. ქვემოთ მოყვანილია ფინანსური და საგადასახადო კანონების რამდენიმე დებულება, რომლებიც ითვალისწინებს ხელსაყრელი პირობების შექმნას გამომგონებლების და მთლიანად საგამომგონებლო საქმიანობისთვის:

(1) გადასახადის შემცირება იმ შემოსავალზე, რომლის წყაროს საპატენტო ლიცენზიები და ნოუ-ჰაუ წარმოადგენს;

(2) გამომგონებელთათვის სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მოპოვებისა და შენარჩუნების საფასურების შემცირება;

(3) სუბსიდიები და სესხები, უპროცენტო და დაბალპროცენტიანი სესხების ჩათვლით;

(4) გრანტები კონკრეტულ გამოგონებათა და ინოვაციათა დამუშავებისათვის;

(5) სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა “სამეცნიერო კონტრაქტების” დაფინანსებაში.

4.50. სულ უფრო მეტ ქვეყანაში იქმნება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანიზაციები საგამომგონებლო საქმიანობის წასახალისებლად და დასახმარებლად ადგილობრივ გამოგონებათა დამუშავების, გამოყენებისა და გარკვეული კომერციალიზაციისათვის, რაც ხორციელდება გამომგონებლის შესაბამისი მხარდაჭერის საფუძველზე.

4.51. მაგალითად, ზოგ ქვეყნაში გამომგონებლებს შეუძლიათ მიიღონ გარკვეული დახმარება, მათი გამოგონებები კი შეიძლება შესწავლილ და შეფასებულ იქნეს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში ან სამეცნიერო ლაბორატორიებში, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნის, ან რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს. ჩვეულებრივ, ასეთი შეფასება ტარდება არაკომერციულ საფუძველზე, და ზოგ შემთხვევაში დანახარჯები ანაზღაურდება გამოგონების საბაზრო წარმატების შემდეგ.

(iv) გამომგონებელთა აღიარება და დაჯილდოება

4.52. საგამომგონებლო საქმიანობის წახალისების მნიშვნელოვან საშუალებას სახელმწიფოს ხელში წარმოადგენს გამომგონებელთა პირდაპირი წახალისება მათი საზოგადოებრივი აღიარების უზრუნველყოფის გზით. მორალური სტიმულები (მედლები და დიპლომები), ზოგჯერ კი ფინანსური გასამრჯელო, ენიჭება არა მარტო დამსახურებულ გამომგონებლებს, არამედ პოტენციურ გამომგონებლებსაც, ახალგაზრდა მეცნიერთა და გამომგონებელთა კონკურსების ფარგლებში. ზოგ ქვეყანაში მორალური წახალისება და ამ სახის კონკურსები ტარდება მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად.

4.53. გამომგონებელთა მხარდაჭერის კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს გამოგონებათა გამოფენები, რადგანაც ისინი შექმნილ გამოგონებათა ფართო პროპაგანდის საშუალებას იძლევიან და აადვილებენ მრეწველობის წარმომადგენლებთან კონტაქტების დამყარებას. ზოგ ქვეყანაში ამგვარ პროპაგანდისტულ საქმიანობაში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ორგანიზაციებიც, სამრეწველო საკუთრების ადმინისტრირების ორგანოთა ჩათვლით. სხვა ქვეყნებში ამგვარ ღონისძიებათა მორალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, როცა ისინი ორგანიზებულია კერძო

სტრუქტრების მიერ, მაგრამ ტარდება სახელმწიფო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ.

4.54. გამომგონებლობასა და შემოქმედების უნარს, როგორც ადამიანის ნიჭის განსაკუთრებულ გამოვლინებებს, სიცოცხლის განმავლობაში ძალუძთ განვითარება ან ჩაქრობა. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ღონისძიებები განათლების სფეროში. ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდებს შორის საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებას. იქ ეწყობა მოსწავლეების, სტუდენტების, ახალგაზრდების გამოგონებათა კონკურსები და გამოფენები, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს უქმნის მათი ნიჭის განვითარებას რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე.

(vi) თანამშრომლობა გამომგონებელთა შორის

4.55. როგორი მნიშნელოვანიც არ უნდა იყოს სახელმწიფო მხარდაჭერა, გამომგონებლები უნდა აცნობიერებდნენ ერთობლივად მოქმედების აუცილებლობას. მათ ხმას უკეთ გაიგებენ და მათი საარსებო მოთხოვნილებები უფრო სწრაფად დაკმაყოფილდება, თუ ისინი შექმნიან ასოციაციებს, აქტიურად იმუშავებენ მათ ფარგლებში, და ერთმანეთთან ექნებათ მჭიდრო ურთიერთობები რეგიონულსა და საერთაშორისო დონეზე.

4.56 ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ უკვე აღმოუჩინა დახმარება გამომგონებელთა ადგილობრივ ასოციაციებს ან მხარი დაუჭირა გამომგონებლებს ასეთი ასოციაციის შექმნაში. გამომგონებელთა ასოციაციები არსებობს 60-ზე მეტ ქვეყანაში, 30 განვითარებადი ქვეყნის ჩათვლით. გამომგონებელთა ასოციაციის მიზნები ბევრ რამეში ურთიერთმსგავსია: საწყის ეტაპზე ისინი გამომგონებელთა საარსებო მოთხოვნილებებით არიან შემოფარგლული, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი მიზნები ფართოვდება, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში და ამავე დროს, დამსახურებულად დააკმაყოფილონ ასოციაციის წევრთა ინტერესები.

5.57. საერთაშორისო დონეზე გამომგონებელთა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა ხორციელდება ორმხრივ საფუძველზე ან გამომგონებელთა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. მოცემულ ეტაპზე არსებობს გამომგონებელთა ორი საერთაშორისო ორგანიზაცია: ერთი–გლობალური, IFIA (გამომგონებელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია), რომელიც აერთიანებს 40-ზე მეტ ეროვნულ ასოციაციას, და მეორე–რეგიონული: AFIA (გა-

მომგონებელთა ასოციაციების აფრიკული ფედერაცია), რომელიც აერთიანებს წარმომადგენლებს აფრიკის ათი ქვეყნიდან.

(C) სამრეწველო საკუთრების დაცვა და განვითარება

(i) შესავალი

4.58. განვითარებულმა ქვეყნებმა დიდი ხანია აღიარეს, და იყენებენ კიდეც, სამრეწველო საკუთრებას, როგორც ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რის აუცილებლობასაც სულ უფრო მეტი განვითარებადი ქვეყანა იზიარებს. ბევრ განვითარებად ქვეყანაში უკვე გააცნობიერეს, რომ მათი ინტერესები მოითხოვენ სამრეწველო საკუთრების ეროვნული სისტემის შექმნას იქ, სადაც ის არ არსებობს, ან იმ არსებული სისტემების განმტკიცებასა და სრულყოფას, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიული წარსულის მემკვიდრეობას და უკვე აღარ შეესაბამებიან მათი ქვეყნის მოთხოვნილებებსა და პრიორიტეტებს.

4.59. სამრეწველო საკუთრების დაცვის კანონების მიღება ხდება ორი ძირითადი, ურთიერთდაკავშირებული მიზეზის გამო. პირველი, საჭიროა საკანონმდებლო ფორმით განმტკიცდეს ავტორების ეკონომიკური და მორალური უფლებები მათ ქმნილებებზე და მეორე, რათა განხორციელდეს შემოქმედებითი საქმიანობის სახელმწიფო ხელშეწყობა, ამ საქმიანობის შედეგების გავრცელება და გამოყენება, და აქედან გამომდინარე კეთილსინდისიერი კომერციის მხარდაჭერა: ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურსა და სოციალურ განვითარებას.

4.60. მაგალითად, გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება ხელს უწყობს სახსრების ინვესტირებასა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ინტენსიფიკაციას; პატენტის გაცემა ხელს უწყობს კაპიტალდაბანდებებს გამოგონებათა სამრეწველო გამოყენებისათვის; პატენტის ოფიციალურ პუბლიკაციას მივყავართ ტექნიკური ინფორმაციის დოკუმენტური ბაზის გაფართოებისაკენ. უფლებები სასაქონლო ნიშნებზე იცავს წარმოებებს არაკეთილსინდისიერი კონკურენტებისგან, რომლებიც საზოგადოების შეცდომაში შეყვანით ცდილობენ მოგების მიღებას.

(ii) პატენტები და საპატენტო ინფორმაცია

4.61. თანამედროვე საპატენტო სისტემა უზრუნველყოფს გამომგონებლის აღიარებასა და მის მატერიალურ ანაზღაურებას, რის შედეგადაც საგამომგონებლო და საინოვაციო საქმიანობის განვითარების ძლიერ მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს. ის, აგრეთვე, ქმნის ხელსაყრელ გარემოს ტექნოლოგიების გადაცემისათვის, რამდენადაც უზრუნველყოფს პატენტმფლობელის უფლებათა საიმედო სამართებლივ დაცვას.

4.62. საპატენტო კანონმდებლობა აწესებს, რომ განაცხადში, რომელიც ეხება პატენტს გამოგონებაზე, საკმაოდ ნათლად და სრულად უნდა იყოს აღწერილი გამოგონების ყველა ტექნიკური დეტალი, რათა ნებისმიერმა სპეციალისტმა ამ სფეროში შეძლოს გამოგონების განხორციელება. საპატენტო კანონმდებლობა აგრეთვე მოითხოვს, რომ გამოგონებაზე გაცემული პატენტები გამოქვეყნებული იყოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოგონება უნდა იყოს "გახსნილი" (ანუ პატენტის არსი და მისი გამოყენების საშუალებანი უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი) ყველაზე გვიან იმ მომენტისთვის, როცა პატენტი გამოგონებაზე უკვე გაცემულია.

4.63. ინფორმაციის გამოყენება, რაც გამოგონების გახსნის შედეგად არის შესაძლებელი, ტექნიკურ პრობლემათა გადაწყვეტაზე მიმართულ სამუშაოთა ამაო დუბლირებისა და სათანადო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ღირებულების ზრდის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. ამ ინფორმაციამ შეიძლება შეასრულოს კატალიზატორის როლიც შემდგომი გამოგონებებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას.

4.64. საპატენტო სისტემის საინფორმაციო ასპექტის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ის წარმოადგენს სასარგებლო ინსტრუმენტს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან განვითარებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური ინფორმაციის მიღებით. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საპატენტო დაცვა შეზღუდულია დროში და ტერიტორიით. ამ თვალსაზრისით, საპატენტო სისტემა ეფექტურად მოქმედი ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის მეშვეობით სწორად გამოიყენება და სასარგებლოა არა მარტო საზოგადო სექტორისათვის, არამედ არასახელმწიფოებრივი და კერძო სტრუქტურებისათვისაც. თითოეულს ამ სექტორთაგან შეუძლია მიიღოს არსებითი სარგებელი, თუკი საპატენტო ინფორმაციის

სამსახურები მოქმედებენ ეფექტურად და ინტეგრირებულნი არიან ტექნოლოგიური ინფორმაციის მიღების სხვა საშუალებებთან, რომლებიც არსებობს შესაბამის ქვეყნებში ან რეგიონებში.

4.65. საპატენტო დოკუმენტაციაზე დაფუძნებულ ტექნოლოგიურ ინფორმაციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა და სარგებლობა. საპატენტო დოკუმენტაციის ფუნქციებს შეადგენენ:

4.66. ტექნიკურ ლიტერატურაში (იგულისხმება წიგნები და პერიოდული გამოცემები) საპატენტო დოკუმენტაცია პრაქტიკულად იგნორირებულია. ამიტომ ამა თუ იმ ტექნოლოგიური დარგის განვითარების დონის დადგენისას, ნებისმიერი ინფორმაცია, დაფუძნებული მხოლოდ ტექნიკური ლიტერატურის წყაროებზე, არასრულია. ძალიან ხშირად საპატენტო დოკუმენტაცია შეიცავს ინფორმაციასაც, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როგორც იმ მიმართულების განმსაზღვრელი, საითაც უნდა წარიმართოს მეცნიერული კვლევები განსაზღვრული ტექნოლოგიური პრობლემის გადასაწყვეტად. ინფორმაცია ტექნიკის დონის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს ახალ საპატენტო დოკუმენტებში, მკვლევარის კონკრეტულ სამეცნიერო ცოდნასთან ერთად, საშუალებას აძლევს მას გაუმჯობესების მიზნით დაამუშაოს უკვე ცნობილი საკითხები ან სრულიად ახალი მიმართულებით წარმართოს მუშაობა, რის შედეგადაც შექმნას ახალი და პროგრესული ტექნოლოგიები და პროდუქტები. ამგვარად, ამ ინფორმაციის გამოყენება ზოგავს დროს, სახსრებსა და ძალებს, რადგან იმ სამუშაოს გამეორების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, რომელიც ამ მიმართულებით სხვების მიერ უკვე ჩატარდა;

4.67. საპატენტო დოკუმენტაცია სასარგებლოა ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოვლენის საქმეშიც, რომლებითაც შეიძლება ცნობილი ტექნოლოგიების შეცვლა ეკონომიკური ან ეკოლოგიური სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით. ასე მაგალითად, ინფორმაციამ, რომელიც მიღებულია საპატენტო დოკუმენტაციიდან, შეიძლება მოგვცეს იმის მკაფიო სურათი, თუ რა უპირატესობები აქვს ახალი, მნიშვნელოვნად სრულყოფილი მოწყობილობის ექსპლუატაციას უფრო იაფი ნედლეულის გამოყენებით, დამზადების ეტაპების ან დეტალების რაოდენობის შემცირებით და არსებული ტექნოლოგიური პროცესის თანაპროდუქტების შესაძლო გამოყენებით, რომლებიც აქამდე ასეთი გამოყენებისათვის უვარგისად იყო მიჩნეული. მეორე შესაძლებლობაა, როდესაც საპატენტო ლიტერატურაში აღწერილი გამოგონება გვთავაზობს

დამზადების უფრო ხანმოკლე ან სწრაფ პროცესს და, ამგვარად, უზრუნველყოფს ინვესტირებული თანხების უფრო დაჩქარებულ უკუგებას და უფრო მაღალ მწარმოებლურობას. ნებისმიერ შემთხვევაში, საპატენტო დოკუმენტი მიუთითებს კონკრეტულ ტექნოლოგიურ დარგში აქტიურად მომუშავე საწარმოზე, რომლიდანაც შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მიღება;

4.68. საპატენტო დოკუმენტაციის კიდევ ერთ ფუნქციას წარმოადგენს კონკრეტული ტექნოლოგიის შეფასება, რომელიც შესაძენად ან სალიცენზიოდ არის შეთავაზებული. ამ მხრივ, ძიება ტექნიკის დონის დასადგენად საპატენტო დოკუმენტების გამოყენებით იძლევა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას ბაზარზე მყოფი ან ახლახან დამუშავებული სხვადასხვა ტექნოლოგიის შესახებ. ასეთი ინფორმაცია კი, რა თქმა უნდა, საშუალებას იძლევა უკეთესად შეფასდეს და გაანალიზდეს ტექნოლოგია, რომელიც შემოთავაზებულია ლიცენზიით;

4.69. ასეთი საკითხი შეიძლება წამოიჭრას, მაგალითად, წარმოების ახალი მიმართულების დაგეგმვისას, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ტიპის პროდუქციის წარმოებას, ან პროდუქციის დამზადების უკვე არსებული პროცედურების ან ტექნოლოგიების სრულყოფას. ამ მხრივ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმპორტირებულის ნაცვლად ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება ან არსებული წარმოების თანაპროდუქტების გადამუშავება, რომლებიც აქამდე არ გამოიყენებოდა. ასეთ შემთხვევებში საპატენტო ლიტერატურას შეუძლია მეტად ღირებული ინფორმაციის მოცემა, რათა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა შეჩერდეს საუკეთესო ვარიანტზე, ჯერ კიდევ ფირმებთან მოლაპარაკებების დაწყებამდე, რომლებიც სთავაზობენ ტექნოლოგიას ან უკვე მზა საწარმოს გაშვებას.

4.70. ტექნიკის დონის დადგენისას საპატენტო ძიების შედეგად მოკვლეული მასალები, ჩვეულებრივ, იძლევა არსებული ტექნიკური პრობლემების ადრე შემოთავაზებულ გადაწყვეტათა დადგენის საშუალებას. საპატენტო ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება სიძნელეები და ნაკლოვანებანი, რომელთა თავიდან აცილება შეიძლება განსაზღვრული ტექნოლოგიური პროცესის ან კონსტრუქციის გამოყენებით, ან მითითებულია კონკრეტული პროცესის ან კონსტრუქციის უპირატესობა და სარგებელი.

4.71. საპატენტო სისტემის საინფორმაციო ასპექტის ამ უპირატესობათა სრულად გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სათანადოდ

ჩართულია მოცემული ქვეყნის ადმინისტაციულ ინფრასტრუქტურაში. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია, რომ საპატენტო სისტემა და მისი საინფორმაციო ასპექტი შესაბამისად იყოს გაგებული და გათავისებული მთავრობის მიერ, როგორც ქვეყნის განვითარებისკენ მიმართული საკუთარი ძალისხმევის აუცილებელი ნაწილი. ამ თვალსაზრისით, არსებით ელემენტებს წარმოადგენს საპატენტო სისტემის სარგებლიანობის სრულად გაცნობიერება ტექნოლოგიური განვითარებისათვის და სამრეწველო საკუთრების ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც შესაბამისად უზრუნველყოფს საპატენტო საინფორმაციო მომსახურებას. არსებითად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ამ სისტემის, და მისი საპატენტო საინფორმაციო მომსახურების საქმიანობის კოორდინაცია სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურების სხვა განშტოებებთან, რომლებსაც საქმე აქვთ ტექნოლოგიის გადაცემასა და ტექნოლოგიურ განვითარებასთან.

4.72. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, რომ საპატენტო უწყება პასუხობდეს ქვეყნის განვითარების მიზნებს. კერძოდ, ადმინისტრაციას, რომელიც საპატენტო საკითხებით არის დაკავებული, უნდა გააჩნდეს სათანადო უფლებამოსილება და უნარი იმ ამოცანათა გადასაწყვეტად და იმ შედეგების მისაღწევად, რომლებიც დადგენილია საპატენტო კანონმდებლობით. ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ფორმალური კავშირების დამყარებას სხვადასხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურებს ან სამთავრობო ორგანოებს შორის მათი სათანადო კოორდინაციისა და კოოპერაციის მიზნით ქვეყნის ინტერესებით განპირობებული შედეგების მისაღწევად. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებად ქვეყნებში საპატენტო სისტემის არაადეკვატური გამოყენება ხშირად საპატენტო ადმინისტრაციასა და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობის შედეგია. სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ სექტორს შორის სათანადო კავშირების არსებობას შეუძლია უზრუნველყოს საპატენტო სისტემის (საპატენტო კანონების და საპატენტო ადმინისტრაციის) ეფექტური მონაწილეობა ქვეყნის განვითარების პროცესში.

(iii) სასარგებლო მოდელები

4.73. საპატენტო სისტემის ერთ-ერთ ძირითად უპირატესობას წარმოადგენს გამომგონებლობის წახალისება და ქვეყნის მოსახლეობის შემოქმედებითი სამუშაოების სტიმულირება. ასეთი წახალისებისა და სტიმულირების შედეგად

შეიძლება მივიღოთ საგამომგონებლო იდეების დიდი რაოდენობა, თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება არც პასუხობდეს პატენტუნარიანი გამოგონების ყველა მკაცრ მოთხოვნას. მაგრამ ასეთი სახის შემოქმედებითი საქმიანობა უნდა იყოს სათანადოდ ანაზღაურებული და წახალისებული. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სამრეწველო საკუთრების ობიექტის – სასარგებლო მოდელების დაცვა, ნაკლებად მკაცრი მოთხოვნებითა და დაცვის გაცილებით მოკლე ვადით გამოგონებასთან შედარებით.

(iv) სამრეწველო ნიმუშები

4.74. ბევრი განვითარებადი ქვეყანა ძლიერ მდიდარია ტრადიციული ხელოვნებითა და ფოლკლორით, რის საფუძველზეც ვითარდება ადგილობრივი სარეწები. ასეთ ნაკეთობებს უწოდებენ "სამრეწველო ნიმუშებს". სამრეწველო ნიმუშის ავტორის აღიარებითა და მატერიალური წახალისებით უზრუნველყოფილია დაცვის ეფექტური სისტემა, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებით მოღვაწეობას.

(v) სასაქონლო ნიშნები

4.75. სწორად შერჩეულ სასაქონლო ნიშანს აქვს არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა საწარმოსათვის, ვინაიდან შესაძლებლობას აძლევს მას ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენებით დაიკავოს ბაზარზე გარკვეული მდგომარეობა. ამიტომ სასაქონლო ნიშნების ეფექტური დაცვა წარმოადგენს კომერციული საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს ნებისმიერ ქვეყანაში.

4.76. განვითარებად ქვეყნებში სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს ის გავლენა, რომელიც შეიძლება იქონიოს სასაქონლო ნიშნის რეკლამამ და ბაზარზე დამკვიდრებამ მომხმარებელთა მოთხოვნილებების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

4.77. სამრეწველო საკუთრების სფეროში პოლიტიკისა და კანონმდებლობის გამოყენებისა და ფორმირებისას კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა, რა თქმა უნდა, როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, უნდა გაითვალისწინონ თავიანთი ქვეყნის რეალობა და საზოგადოების ინტერესები, რომლებიც სამრეწველო საკუთრების შემთხვევაში უნდა მოიცავდეს მომხმარებელთა ინტერესებსაც.

(vi) დასკვნითი შენიშვნები

4.78. სამრეწველო საკუთრების სისტემა ვერ შეძლებს ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში ეფექტური წვლილის შეტანას, რაოდენ დახვეწილადაც არ უნდა იყოს შედგენილი მისი საკანონმდებლო აქტები და რაოდენ ეფექტურადაც არ უნდა გამოიყენებოდნენ ისინი, თუ ეს სისტემა არ იქნება ფართოდ ცნობილი და გამოყენებული მათ მიერ, ვისთვისაც ის იყო შექმნილი. სამრეწველო საკუთრების სისტემა იქმნება იმისათვის, რომ მოემსახუროს კომერსანტთა, მწარმოებელთა, მრეწველთა, მკვლევართა, ბიზნესმენთა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. პოტენციურ მომხმარებელთა და მოსარგებლეთა ჩამონათვალი ამოუწურავია, და სარგებელი სამრეწველო საკუთრების ეფექტური გამოყენებიდან ეხება ეკონომიკის უკლებლივ ყველა სექტორს.

4.79. მოცემულ ეტაპზე ერთ-ერთი არსებითი ამოცანაა ცოდნის დონის ამაღლება სამრეწველო საკუთრების სისტემის არსის შესახებ მის არსებულ და პოტენციურ მფლობელთა და მომხმარებელთა შორის, სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში. კერძოდ, აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ როგორ შეიძლება სამრეწველო საკუთრების სისტემის ძირითადი კომპონენტების განვითარება და წარმატებით გამოყენება კომერციასა და მრეწველობაში, რათა სამრეწველო საკუთრების სისტემა უკეთ ემსახურებოდეს ეროვნულ ინტერესებსა და ეროვნული განვითარების მიზნებს.

(d) სამრეწველო საკუთრების დაცვის სისტემის გავლენა ინდივიდუალური ბიზნესის მართვაზე

4.80. ნებისმიერი კომპანიის ან თუნდაც მთელი ერის არსებობა და ზრდა, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მისი სწრაფი განვითარების უნარზე, და არა მარტო ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ტექნოლოგიური განვითარების ტემპების ზრდის გამო, რაც ადამიანის ინოვაციური საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, კონკურენტ კომპანიებს განუწყვეტლივ გააქვთ ბაზარზე ახალი პროდუქცია და/ან ტექნოლოგიები, ამდენად ადგილი აქვს საქონლის დამუშავების, სრულყოფისა და განახლების უწყვეტ პროცესს. ნებისმიერი კომპანია, რომელიც მზად არ არის კონკურენციისათვის საერ-

თაშორისო ბაზარზე, განწირულია სტაგნაციისათვის და რაღაც მომენტში უსუსურია კონკურენტთა გამოწვევებისადმი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, მაშინაც კი, თუ იგი ოდესღაც თვლიდა, რომ მისი პროდუქცია კონკურენციის გარეშეა.

4.81. უფლებები სამრეწველო საკუთრებაზე ინოვაციების (საქონლის, პროცესების, მოწყობილობების და ა.შ.) შემქმნელს საშუალებას აძლევს თავისუფლად დაიმკვიდროს ადგილი ბაზარზე, მინიმალური რისკით შეაღწიოს ახალ ბაზრებზე და აინაზღაუროს დანახარჯები იმ მეცნიერულ გამოკვლევებზე, რომლებსაც ეფუძნება ინოვაცია. პრაქტიკულად, ეს ინოვაციები ზოგიერთი ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიის ავანგარდში ექცევა. ეს სულ უფრო ცხადი ხდება თანამედროვე სამყაროში, რომელშიც ტექნოლოგიას მზარდად დომინირებული ადგილი უჭირავს.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, სამრეწველო საკუთრების ელემენტები, WIPO/IP/WDH/93/1

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საგამომგონებლო საქმიანობისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა, WIPO/IP/SUV/93/8

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, სამრეწველო საკუთრება საწარმოები და განვითარება, WIPO/IP/SB/92/25

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, სამრეწველო საკუთრების როლი ეკონომიკურ განვითარებაში, WIPO/IP/ACC/86/5

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, განვითარებადი ქვეყნების საწარმოთა საქმიანობის ინსტრუქცია სამრეწველო საკუთრებასთან მიმართებაში, ისმო-ს პუბლიკაცია №649(E)(1983).

(c) საავტორო უფლებები და განვითარება

4.82. საავტორო უფლება ასრულებს განსაკუთრებულ როლს განვითარების თვალსაზრისით. ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, როდესაც მსოფლიოს პოლიტიკურმა რუკამ მნიშნელოვანი ცვლილებები განიცადა და სახელმწიფოთა მთელმა რიგმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, ზოგი კი ხელახლა ჩამოყალიბდა, განვითარებადი ქვეყნები წააწყდნენ უდიდეს პრობლემებს ხალხის

ფართო მასების განათლების დონის ამაღლების სფეროში. განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც იყენებენ მასობრივი სწავლების, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მეთოდებს დაკარგული დროის ასანაზღაურებლად, წააწყდნენ უდიდეს სიძნელეებს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის შემოქმედებითი აქტიურობის წახალისებისა და აუცილებელი ცოდნის გავრცელების საქმეში, განსაკუთრებით, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში.

4.83. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობამ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ უპირველეს ამოცანათა შორის დააყენა მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება, რათა მოემზადებინა პროფესიული მუშაკებისა და ხელმძღვანელების საკმარისი რაოდენობა, რაც აუცილებელი იყო მათი ქვეყნების განვითარების გეგმების ფორმირებისა და განხორციელებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა საწყისს ეტაპზე ძალაუნებურად მოითხოვდა აქცენტირებას ემიგრანტ თანამემამულეებზე, უცხოურ ნამუშევართა მასობრივ გამოყენებაზე (ტექნიკური დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების ჩათვლით) და, მაშასადამე, უცხოურ მეთოდიკებსა და გამოცდილებაზე. სიტუაციის გამოსწორების მიზნით აუცილებელი გახდა მოსახლეობის პროფესიული მომზადებისათვის ეროვნული ხასიათის მიცემა.

4.84. მართლაც, მომზადება და სწავლება ჰარმონიულად უნდა შეეთავსოს ხალხის ცხოვრების ბუნებრივ გარემოს. ამიტომ სასწავლო მასალები, ლიტერატურული, მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოებების ჩათვლით, უნდა შეიქმნას ადგილობრივი მოსახლეობისათვის ადგილობრივი ავტორების მიერ; საზოგადოება უნდა ხედავდეს მათ ნაწარმოებებში საკუთარი ცხოვრების ასახვას; ავტორი უნდა იყოს თავისი ეპოქის იდეების გამომხატველი და სარკე, რომელიც საკუთარ თანამოქალაქეთა ცხოვრებას ირეკლავს. მანამ, სანამ ეს არ მოხდება, ეს პროცესები კი საკმაოდ ხანგრძლივი და მთელი საზოგადოების განვითარების თანაზომიერია, უცხოური წარმოშობის ნამუშევართა გამოყენება თამაშობს საკმაოდ არსებით როლს. თუმცა, ხანგრძლივ პერსპექტივაშიც კი უცხოურ ნამუშევართა გამოყენება გონივრულ ფარგლებში არ დაკარგავს თავის აქტუალობას კულტურული გაცვლისა და იდეების ურთიერთგაზიარების უზრუნველსაყოფად.

4.85. ბევრ განვითარებად ქვეყანაში იგრძნობა სპეციალისტების ნაკლებობა. ცოდნის გარკვეულ სფეროებში ეროვნულ ავტორთა წახალისება, რომლებიც წერენ საყოველთაოდ მიღებულ და ადგილობრივ ენებზე, მოითხოვს სუბსი-

დირებისა და სტიმულირების სისტემის შექმნას. აგრეთვე, საჭიროა საზოგადოების განათლება საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის სფეროში.

4.86. ეროვნულ ავტორთა შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება შეუძლებელია მათი შრომის ადეკვატური ანაზღაურების გარანტიების გარეშე, რათა მათ შესძლონ სრულად მიუძღვნან თავიანთი დრო და ყურადღება სასწავლო მასალების მომზადებას. საავტორო უფლებათა დაცვა მოიცავს ავტორებისათვის არა მარტო მომხიბლავი და საკმარისი ჰონორარების გადახდას, არამედ გამომცემელთა უფლებების საიმედო დაცვის უზრუნველყოფასაც, რადგანაც ავტორის ნაწარმოებთა გავრცელების შესაძლებლობა მთლიანადაა დამოკიდებული კანონმდებლობაზე, რომელიც იცავს გამომცემლებს. ნაწარმოებთა გავრცელების პროცესი არ უნდა ჩაიკეტოს ეროვნულ ფარგლებში. ამიტომ საჭიროა ავტორთა უფლებების დაცვა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობის არსებობას.

4.87. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ ისეთი საკანონმდებლო ნორმების შემოღება საკუთარი ტრადიციული კულტურის გამოვლინებათა დასაცავად, რომლებიც გამოხატავენ მათ ეროვნულ თავისებურებებს. კანონმდებლობა საავტორო უფლებების შესახებ უნდა შემუშავდეს ეროვნული მოთხოვნილებების შესაბამისად, რათა დაიცვას ეროვნული ინტერესები. იქ, სადაც არ არის ეფექტურად მოქმედი კანონმდებლობა საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ, შეუძლებელია ეროვნული შემოქმედების აღმოცენება და მდგრადი განვითარება.

4.88. საავტორო უფლებების შესახებ კანონების ამოქმედების შემდეგ აუცილებელია შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა მათ გამოსაყენებლად. ასეთი ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა უნდა იყოს მისადაგებული კონკრეტულ ადგილობრივ პირობებთან.

ლიტერატურა

ОსმО-ს საერთაშორისო ბიურო, ინტელექტუალური ქმნილება, როგორც ერის განვითარებისა და კულტურული აღმავლობის სტიმული, WIPO/CNR/CA/85/2

თავი 5

ლიცენზირება და ტექნოლოგიების გადაცემა

(A) შესავალი

5.1. ტექნოლოგიების გადაცემის გზით ეკონომიკური განვითარების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ტექნოლოგიების გადაცემა და შეძენა კომერციულ საწყისებზე. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიების გადაცემა და შეძენა არაკომერციულ საწყისებზეც ხდება. პერსონალმა შეიძლება განათლება და სწავლება გაიაროს სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, ტექნიკურ ინსტიტუტებში ან უმაღლესი განათლების ცენტრებში. ამ პერსონალმა შემდგომ შეიძლება შეისწავლოს მონოგრაფიები, პერიოდიკა და სხვა ლიტერატურა კონკრეტული სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების გარშემო, გაეცნოს საპატენტო დოკუმენტაციას და ამგვარად შეიძინოს ცოდნა კონკრეტული ტექნოლოგიის შესახებ. მაგრამ არცერთი ამ მეთოდთაგან არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამა თუ იმ პერსონალმა შეძენილი ცოდნა, განსაკუთრებით საპატენტო დოკუმენტებში აღწერილი გამოგონებების შესახებ, გამოიყენოს პროდუქციის დასამზადებლად, საქონლის წარმოებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

5.2. ზემოაღნიშნული სამართლიანია ორი მიზეზით. ჯერ ერთი, განსაკუთრებული უფლება გამოგონების განხორციელებაზე ეკუთვნის მის მფლობელს, რომლის ნებართვის გარეშეც სხვა პირს არ შეუძლია გამოგონების გამოყენება. მეორეც, გამოგონების აღწერილობაში არ არის სრული ინფორმაცია – ნოუ-ჰაუ – რომელიც გააადვილებდა გამოგონების გამოყენებას ან რაღაცით სასარგებლო იქნებოდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ უფლებების შეძენა: ან გამოგონების გამოყენების ნებართვის აღება, ან ნოუ-ჰაუს შეძენა, რაც გამოგონების ყველაზე ეფექტური გზით გამოყენების საშუალებას იძლევა.

B. ტექნოლოგიების გადაცემა და შეძენა კომერციულ საწყისებზე

(a) ზოგადი საკითხები

5.3. კომერციულ საწყისებზე ტექნოლოგიების გადაცემა და შეძენა, ანუ დაპატენტებულ გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლებების, ან გამოგონების გამოყენების ნებართვის, ან ნოუ-ჰაუს ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება გარკვეული იურიდიული საშუალებების გამოყენებით.

5.4. ეს იურიდიული საშუალებები ადგენენ იურიდიულ ურთიერთდამოკიდებულებას ერთის მხრივ, განსაკუთრებული უფლებების მფლობელს ან ნოუ-ჰაუს მიმწოდებელსა (რომელიც გადასცემს განსაკუთრებულ უფლებებს, იძლევა ნებართვას ან აწვდის ნოუ-ჰაუს) და მეორეს მხრივ, იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის, რომელიც იძენს ამ უფლებებს, ნებართვას ან ნოუ-ჰაუს. პირველს ეწოდება გადამცემი მხარე, ხოლო მეორეს – მიმღები მხარე. თავისი ბუნებით აღნიშნული იურიდიული ურთიერთობები სახელშეკრულებო ხასიათისაა.

5.5. თავისი ბუნებით, "სახელშეკრულებო" ურთიერთობა ნიშნავს, რომ ტექნოლოგიის გადამცემი მხარე თანახმაა გადასცეს ეს ტექნოლოგია, ხოლო მიმღები მხარე თანახმაა შეიძინოს ეს უფლებები, ნებართვა ან ნოუ-ჰაუ.

5.6. არსებობს სამი ძირითადი იურიდიული საშუალება, რომელთა გამოყენებით შეიძლება ტექნოლოგიების გადაცემა და შეძენა კომერციულ საწყისებზე.

(b) გაყიდვა: უფლებების გადაცემა

5.7. პირველი საშუალებაა – მფლობელის მიერ ყველა განსაკუთრებული უფლების გაყიდვა დაპატენტებულ გამოგონებაზე და ამ უფლებების შეძენა სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ.

5.8. როდესაც გამოგონებაზე პატენტით მინიჭებულ ყველა განსაკუთრებულ უფლებას მფლობელი გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს დროში შეზღუდვის ან რაიმე სხვა პირობების გარეშე, ითქმის, რომ ადგილი ჰქონდა უფლებების გადაცემას. ამ ქმედების

აღმნიშვნელი ტერმინი “assignment” – წმინდა ინგლისური გამონათქვამია, რომელიც აღნიშნავს ახლახან აღწერილ იურიდიულ ქმედებას. აღნიშნული ტერმინი გვხვდება რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში. იგი გამოიყენება აგრეთვე, განსაკუთრებული უფლებების მიმართ სასარგებლო მოდელებზე, სამრეწველო ნიმუშებსა და სასაქონლო ნიშნებზე, ისევე, როგორც სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებზე. მაგრამ სიმარტივის მიზნით ამ იურიდიული ქმედების შემდგომი ახსნა-განმარტება შეეხება დაპატენტებულ გამოგონებაზე უფლებების გადაცემის პრინციპებსა და მახასიათებლებს. ამგვარივე პრინციპები და მახასიათებლები გამოიყენება სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებზე უფლებების გადაცემისას.

5.9. იურიდიულ აქტს, რომლითაც დაპატენტებული გამოგონების მფლობელი სხვას გადასცემს თავის უფლებებს, წარმოადგენს წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც ჩვეულებრივ ეწოდება “საპატენტო უფლებების გადაცემის აქტი” ან “საპატენტო უფლებების გადაცემა” ან კიდევ უფრო მარტივად “უფლებების გადაცემა”. გადაცემის შესრულების შემდეგ გადამცემ მხარეს აღარა აქვს უფლებები დაპატენტებულ გამოგონებაზე. მიმღები მხარე ხდება დაპატენტებული გამოგონების ახალი მფლობელი და იძენს გამოგონებაზე პატენტის გაცემით წარმოქმნილ ყველა განსაკუთრებულ უფლებას.

(c) სალიცენზიო ხელშეკრულება

5.10. ტექნოლოგიის გადაცემისა და შეძენის მეორე იურიდიული საშუალებაა ლიცენზირება, ანუ დაპატენტებული გამოგონების მფლობელის მიერ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გარკვეულ ქვეყანაში დროის განსაზღვრული პერიოდით ერთი ან მეტი ქმედების ნებართვის მიცემა, რაზედაც განსაკუთრებული უფლებები გააჩნია ამ ქვეყანაში დაპატენტებული გამოგონების მფლობელს. ასეთი ნებართვის მიცემა ნიშნავს ლიცენზიის გაცემას. აღნიშნულ ქმედებებს განეკუთვნება გამოგონების შემცველი პროდუქციის დამზადება და გამოყენება, ან პროდუქციის დამზადება ხერხით, რომელიც შეიცავს გამოგონებას, ან ასეთი გამოგონების შემცველი ხერხის გამოყენება. ტერმინი “ლიცენზია” ტიპური ინგლისური

გამოთქმაა და მოიცავს ზემოაღწერილ იურიდიულ ცნებას. იგი გვხვდება მრავალი სხვა ქვეყნის კანონმდებლობაშიც და გამოიყენება განსაკუთრებული უფლებების მიმართ სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებზეც. აქაც სიმარტივისათვის ლიცენზიის პრინციპებისა და მახასიათებლების შემდგომი გაცნობა შემოფარგლული იქნება დაპატენტებული გამოგონებებით. მსგავსი პრინციპები და მახასიათებლები გამოიყენება აგრეთვე სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების ლიცენზირებისას.

5.11. როდესაც საუბარია ლიცენზიაზე, დაპატენტებული გამოგონების მფლობელის მიერ გაცემული ნებართვის იურიდიულ დოკუმენტს ჩვეულებრივ ეწოდება სალიცენზიო ხელშეკრულება, ან უფრო მარტივად, ლიცენზია. დაპატენტებული გამოგონების მფლობელს, რომელიც იძლევა ნებართვას, ეწოდება ლიცენზიარი, ხოლო ნებართვის მიმღებ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს – ლიცენზიატი.

5.12. სპეციალური დასახელება "სალიცენზიო ხელშეკრულება" გამოიყენება იმიტომ, რომ მასში ორი ტიპის იურიდიულ აქტს ან გარიგებას აქვს ადგილი: ჯერ ერთი, ადგილი აქვს დაპატენტებული გამოგონების მფლობელის მიერ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის ნებართვის გაცემას ერთ ან რამდენიმე ქმედებაზე, რომლებიც ამ გამოგონებაზე არსებული განსაკუთრებული უფლებებით არიან მოცული. ასეთ ნებართვას ან უფლებამოსილებას ეწოდება ლიცენზია. ხოლო მეორეც, ლიცენზია ჩვეულებრივ გაიცემა წერილობით დოკუმენტში შეთანხმებული გარკვეული პირობებით, რომლითაც ლიცენზია ფორმდება ლიცენზიატზე.

5.13. ერთ-ერთი ამ პირობათაგანი ეხება ლიცენზიატის მიერ თანხის გადახდას გაცემული ლიცენზიისათვის. ასე მაგალითად, ლიცენზიატი შეიძლება ვალდებული იყოს გადაიხადოს ფიქსირებული თანხა განსაზღვრულ დროს ან ფიქსირებული თანხები მომავალში დროის დადგენილ პერიოდებში ან თანხა, რომლის სიდიდე დამოკიდებული იქნება დაპატენტებული გამოგონების გამოყენების ხარისხზე.

5.14. სხვა პირობა შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ გამოგონება ლიცენზიატის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ გარკვეული დანიშნულების პროდუქციის საწარმოებლად, მაგალითად ფარმაცევტული

პრეპარატების დასამზადებლად, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ ადამიანისათვის და არა ცხოველებისთვის. ერთი პირობა შეიძლება ისიც იყოს, რომ ლიცენზიატი გამოგონებას გამოიყენებს მხოლოდ გარკვეულ ფაბრიკებში, ან გამოგონების შემცველ პროდუქციას გაყიდის მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ რეგიონებში.

5.15. აღნიშნული პირობები ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულე-ბებს ან ქმედებებს ლიცენზიატის მხრიდან. შესაძლებელია აგრეთვე, რომ შეთანხმების პირობებით გათვალისწინებული იყოს განსაზღვრული ვალდებულებები ან ქმედებები ლიცენზიარისთვისაც. მაგალითად, ლიცენზიარმა შეიძლება აიღოს ვალდებულება უპასუხოს სასამართლოში ლიცენზიატის წინააღმდეგ მესამე პირის მიერ აღძრულ სარჩელს, რომლითაც იგი აცხადებს. რომ ლიცენზიატის მიერ ლიცენზირებული გამოგონების გამოყენება არღვევს სხვა პირზე ადრე გაცემული პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებულ უფლებებს.

(d) ხელშეკრულება ნოუ-ჰაუს შესახებ

5.16. ტექნოლოგიის გადაცემისა და შეძენის მესამე იურიდიული საშუალება დაკავშირებულია ნოუ-ჰაუსთან.

5.17. ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებული დებულებები შეიძლება ჩაიწეროს სალიცენზიო ხელშეკრულებაში ან ცალკე დოკუმენტში. თუ ნოუ-ჰაუ ეხება დაპატენტებულ გამოგონებას, რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს ან სამრეწველო ნიმუშს, მაშინ შესაბამისი დებულებები ჩვეულებრივ ჩართულია სალიცენზიო ხელშეკრულებაში, რომელიც ეხება დაპატენტებულ გამოგონებას ან სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც დაპატენტებული გამოგონების ან სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტის მფლობელი ამავე დროს არის მოცემული ნოუ-ჰაუს დამმუშავებელი და მფლობელი. მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ამ შემთხვევაშიც კი, ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებული დებულებები შეიძლება დაფიქსირებული იყოს ცალკე წერილობით დოკუმენტში. ასეთ დოკუმენტს ჩვეულებრივ ეწოდება ხელშეკრულება ნოუ-ჰაუს შესახებ.

5.18. ამ პირობების თანახმად, ერთი მხარე – ნოუ-ჰაუს მიმწოდებელი – იღებს ვალდებულებას გადასცეს ნოუ-ჰაუ მეორე მხარეს – ნოუ-ჰაუს მიმღებს – ამ მეორე მხარის მიერ მის გამოსაყენებლად.

5.19. ნოუ-ჰაუ შეიძლება გადაცემულ იქნეს მატერიალური ფორმით. ასეთებს მიეკუთვნებიან დოკუმენტები, ფოტოები, კომპიუტერული პერფობარათები, მიკროფილმები და ა.შ. ასეთი სახით გადაცემული ნოუ-ჰაუს მაგალითებია აგრეთვე, ქარხნების შენობების არქიტექტურული გეგმები, ქარხნებში დანადგარების განლაგების დიაგრამები და სქემები, მოწყობილობების ნახაზები, მარაგნაწილების ჩამონათვალი, დანადგარების ექსპლოატაციის ან მაკომპლექტებელი ნაკეთობების აწყობის ინსტრუქციები, ახალი მასალების ჩამონათვალი და მახასიათებლები, სამუშაო და სამანქანო დროის გაანგარიშებები, ტექნოლოგიური დიაგრამები, შეფუთვისა და შენახვის ინსტრუქციები, მონაცემები გარემოს ზეგავლენის მიმართ მდგრადობის შესახებ, ტექნიკური პერსონალისა და სპეციალისტების მუშა ინსტრუქციები. მატერიალური ფორმით გამოსახულ ნოუ-ჰაუს ზოგჯერ უწოდებენ ტექნიკურ ინფორმაციას ან ტექნიკურ მონაცემებს.

5.20. ნოუ-ჰაუ შეიძლება გადაიცეს აგრეთვე არამატერიალური ფორმით. ასეთი ფორმის მაგალითებია გადამცემი საწარმოს ინჟინრის მიერ პროცესის ახსნა-განმარტება მიმღები საწარმოს ინჟინრისადმი ან მიმღებ საწარმოში გადამცემი ქარხნის წარმომადგენლის მიერ საწარმოო პროცესზე თვალყურის დევნება. კიდევ ერთი მაგალითია მიმღები მხარის პერსონალის სწავლება მისსავე ფაბრიკაში ან გადამცემი მხარის საწარმოში.

5.21. არამატერიალური ფორმის ნოუ-ჰაუს, რომელიც დაკავშირებულია წარმოების მეთოდების დემონსტრირებასთან, წარმოების ტექნოლოგიის ან სხვა საკითხების შესახებ კონსულტირებასთან, ზოგჯერ ეწოდება ტექნიკური მომსახურება. სწავლებასთან დაკავშირებულ არამატერიალური ფორმის ნოუ-ჰაუს ხანდახან უწოდებენ ტექნიკურ დახმარებას. თუ ნოუ-ჰაუ არამატერიალური ფორმით საწარმოო პროცესის ორგანიზაციის ცალკეული სტადიების პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევაში მდგომარეობს, როგორიცაა, მაგალითად, დაგეგმვა ან ფინანსური მართვა, კადრების შერჩევა ან მარკეტინგი, მაშინ მას

უწოდებენ მმართველობით მომსახურებას (სამენეჯმენტო მომსახურებას).

5.22. ნოუ-ჰაუს ამ სხვადასხვა ფორმებთან დაკავშირებული დებულებები შეიძლება საკმაოდ დიდი მოცულობისა იყოს. მათ შეიძლება გააჩნდეთ ხელშეკრულების თანმხლები დანართები, ჩამონათვლები და ცხრილები, რომლებიც უკეთებენ ზუსტ რეგლამენტირებას შეთანხმებული ტექნიკური ინფორმაციის ან მონაცემების გადაცემის, მომსახურების ან დახმარების გაწევის პროცესებს.

5.23. ნოუ-ჰაუს, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფორმით, გადაცემასთან დაკავშირებული დებულებები შეიძლება იყოს წარმოდგენილი ცალკე წერილობით დოკუმენტებში. ზოგიერთი ქვეყნის კანონებით ეს დებულებები უნდა შედიოდეს ცალკეულ ხელშეკრულებებში, რომელთაგან თითოეული უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ფორმას. მათ ჩვეულებრივ ეწოდება ხელშეკრულება ტექნიკური ინფორმაციის შესახებ (ან ნაკლებ ოფიციალურად, ხელშეკრულება ნოუ-ჰაუს შესახებ), ხელშეკრულება (ან შეთანხმება) ტექნიკური მომსახურების შესახებ, ხელშეკრულება (ან შეთანხმება) ტექნიკური დახმარების შესახებ, ხელშეკრულება (ან შეთანხმება) მმართველობითი მომსახურების შესახებ (მენეჯმენტის შესახებ).

5.24. ამავე დროს, გადასაცემ ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებული დებულებები არ შემოიფარგლება ნოუ-ჰაუსა და მისი გადაცემის საშუალებების აღწერით. ეს დებულებები აგრეთვე ვრცელდება ფასზე, რომელსაც იხდის მიმღები მოცემულ ნოუ-ჰაუსა და ზოგიერთ ისეთ ქმედებაზე, რომელიც ეხება მის გახსნას მესამე პირებისათვის.

5.25. ის, რომ მიმწოდებლის მიერ მიმღებისათვის გადაცემული ნოუ-ჰაუ შეიძლება ნებსით ან უნებლიეთ აღმოჩნდეს გახსნილი მესამე პირებისათვის, წარმოადგენს საკმაოდ რეალურ საშიშროებას ნოუ-ჰაუს მიმწოდებლისათვის.

5.26. ნოუ-ჰაუ, რომელიც მიმწოდებელს ეკუთვნის, ჩვეულებრივ მის მიერაა შეძენილი ან დამუშავებულია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის პროცესში, აგრეთვე, თავის საწარმოში სამრეწველო და კომერციული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად. ნოუ-ჰაუს არსებობა სავსებით შეიძლება იყოს მიმწო-

დებლისთვის კონკურენტუნარიანი, და მეტიც, მოწინავე პოზიციის საფუძველი ტექნიკის შესაბამის დარგში. ნოუ-ჰაუ როგორც ასეთი, წარმოადგენს მიმწოდებლის მნიშვნელოვან აქტივს, რომლის შენარჩუნება აუცილებელია. ამასთან, იგი რესურსია, რომელიც მიმწოდებელმა შეიძლება გაიღოს მიმღებ მხარესთან ან სხვა პირთან შეთანხმებული საფასურის სანაცვლოდ. აქედან გამომდინარე, მისი გადაცემა მიმღები მხარისათვის არის გარიგების შედეგი. გარიგების ფასი არის არა მხოლოდ მიმღების მიერ გადახდილი ფულადი თანხა, რომელიც გათვალისწინებულია შეთანხმებით მიმწოდებელსა და მიმღებს შორის; იგი აგრეთვე გულისხმობს მიმღების ვალდებულებას არ გაუხსნას ნოუ-ჰაუ მესამე პირებს, გარდა გარკვეული გარემოებებისა ან მიმწოდებელთან შეთანხმების გარეშე.

5.27. ამრიგად, ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებული დებულებები მოიცავს არარწმუნებულ პირთათვის ნოუ-ჰაუს გახსნისაგან დაცვის სხვადასხვა ზომებს. გარკვეული დაცვითი ზომების მიღება შესაძლებელია როგორც მოლაპარაკების დაწყებამდე, ისე მისი ჩატარებისას. ამდენად, ეს ზომები შეთანხმებული უნდა იყოს ხელშეკრულების განხორციელებამდეც.

5.28. რიგ ქვეყნებში საპატენტო ან კომერციული კანონმდებლობით დადგენილია დოკუმენტის იურიდიული ფორმა, რომელიც მოწმობს უფლებების გადაცემას ან სალიცენზიო ხელშეკრულებას. დადგენილია აგრეთვე უფლებების გადაცემასა და ლიცენზირებასთან დაკავშირებული სხვა ფორმალობები და მოთხოვნები.

5.29. ასე მაგალითად, შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა საპატენტო უფლებების გადაცემაზე დოკუმენტის გარკვეული ფორმით შედგენის შესახებ, მაგალითად, იმის თაობაზე, რომ დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს არა მხოლოდ გადამცემი, არამედ მიმღები მხარის მიერაც.

5.30. გარდა ამისა, შეიძლება იყოს მოთხოვნა, რომ თუ გადამცემი არის ფიზიკური პირი, მაშინ მისი ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს ხელისუფლების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. თუ გადამცემი მხარე არის იურიდიული პირი, კანონმდებლობით შეიძლება მის წარმომადგენელს მოეთხოვოს წარუდგინოს ხელისუფლებას მტკიცე-

ბულება იმისა, რომ მას აქვს დოკუმენტების ხელმოწერის უფლება ამ იურიდიული პირის სახელით.

5.31. ანალოგიური მოთხოვნები კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სალიცენზიო ხელშეკრულების, ლიცენზიარისა და ლიცენზიატის მიმართ.

5.32. გარდა ამისა, რიგი ქვეყნების საპატენტო კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ დოკუმენტმა საპატენტო უფლებების გადაცემის შესახებ ან სალიცენზიო ხელშეკრულებამ უნდა გაიაროს რეგისტრაცია საპატენტო უწყებაში. რეგისტრაციის აქტით შესაბამისი სახელმწიფო აღიარებს უფლებების გადამცემ პირს, ან ლიცენზიარს, როგორც გადამცემ მხარეს ან გადასაცემი უფლებების მფლობელს.

5.33. რიგი ქვეყნების კანონმდებლობა შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს, რომ უფლებების გადაცემის შესახებ დოკუმენტით ან სალიცენზიო ხელშეკრულებით დადგენილი დებულებები და პირობები განხილული, შეთანხმებული და მოწონებული იქნენ ერთი ან რამდენიმე ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. მაგალითად, საზღვარგარეთიდან ტექნოლოგიის შეძენისას ან მისი საფასურის უცხოურ ვალუტაში გადახდისას ასეთი ორგანოები შეიძლება იყვნენ უცხოური ინვესტიციების კომისია ან ცენტრალური ბანკი, ან ორივე ერთად.

5.34. როგორც უფლებების გადაცემისა და სალიცენზიო ხელშეკრულების შემთხვევაში, კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ხელშეკრულებაც ნოუ-ჰაუს შესახებ – ან ნოუ-ჰაუს სხვადასხვა ფორმების მომცველი ცალკეული ხელშეკრულებები და შეთანხმებები – გარკვეული წესით იყოს ხელმოწერილი. ამ შემთხვევაშიც, კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს მოთხოვნას, რომ ხელშეკრულება ნოუ-ჰაუს შესახებ ექვემდებარებოდეს რეგისტრაციას ან შეთანხმებას და მოწონებას ერთი ან მეტი სათანადო სამთავრობო ორგანოს მიერ.

(e) ძირითადი ფონდების გაყიდვა და იმპორტი

5.35. ტექნოლოგიის კომერციული გადაცემა და შეძენა შეიძლება განხორციელდეს მოწყობილობებისა და სხვა ძირითადი ფონდების

გაყიდვასთან, ყიდვასა და იმპორტთან ერთად. ძირითადი ფონდების მაგალითებია ის დანადგარები და იარაღები, რომლებიც საჭიროა პროდუქციის წარმოებისათვის ან მისი დამზადების პროცესის გამოყენებისათვის.

5.36. ძირითად ფონდებად შეიძლება აგრეთვე განვიხილოთ ნედლეული, მაგალითად, ნედლი ნავთობი ან ფოსფორმჟავა, თუმცა ისინი თავად წარმოადგენენ პროდუქციას. ისინი საჭიროა სხვა პროდუქციის წარმოებისათვის, მაგალითად, ბენზინის ან სასუქის მისაღებად. ანალოგიურად, ნახევარფაბრიკატები, მაგალითად, ბამბა, პოლიეთერული ძაფი, ქსოვილები და ტყავი, რომლებიც ტანსაცმლის შესაკერად გამოიყენება, აგრეთვე საბურავები, რადიატორები და ძრავები, რომლებითაც აღჭურვილია ავტომობილები, თავისი ბუნებით შეიძლება განვიხილოთ როგორც ძირითადი ფონდები, ვინაიდან ისინი აუცილებელია სხვა ნაკეთობების საწარმოებლად.

5.37. ძირითადი ფონდების ყიდვა-გაყიდვა და იმპორტი გარკვეულწილად შეიძლება განვიხილოთ როგორც გარიგება ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ. მათ ხშირად თან ახლავს იმ დოკუმენტაციის გადაცემა, რომელიც შეიცავს აუცილებელ ტექნიკურ ინფორმაციას. მაგალითად, ჩარხებისა და სხვა დანადგარების დაყენების, ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციებს, ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების ზომების, ხარისხის, ფერის, სიმკვრივისა და სხვა მაჩვენებლების სპეციფიკაციებს, ნაწილებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების აწყობის ინსტრუქციებს. ასეთი დოკუმენტაცია შეიცავს ცოდნას, რომელიც მნიშვნელოვანია ძირითადი ფონდების გამოყენებისათვის.

5.38. ხელშეკრულებები ძირითადი ფონდების ყიდვა-გაყიდვისა და იმპორტის შესახებ ზოგჯერ დაკავშირებულია სალიცენზიო ხელშეკრულებებთან, ან დებულებებთან ან ხელშეკრულებებთან ნოუ-ჰაუს შესახებ. ზოგ შემთხვევაში ძირითადი ფონდების გაყიდვასთან, ყიდვასა და იმპორტთან დაკავშირებული დებულებები შეიძლება შევიდეს სალიცენზიო ან ნოუ-ჰაუს ხელშეკრულებებში.

(f) ფრენჩაიზინგი და კომერციული შუამავლობა

5.39. ტექნოლოგიის კომერციულ გადაცემას შეიძლება აგრეთვე ადგილი ჰქონდეს საქონლისა და მომსახურების ფრენჩაიზინგის ან კომერციული შუამავლობის პირობებში.

5.40. ფრენჩაიზინგი ან კომერციული შუამავლობა წარმოადგენს საქმიან ურთიერთობას, როდესაც ერთი მხარის რეპუტაცია, ტექნიკური ინფორმაცია და გამოცდილება შერწყმულია მეორე მხარის ინვესტიციებთან, უშუალოდ მომხმარებლისათვის საქონლის გაყიდვის ან მომსახურების გაწევის მიზნით.

5.41. საქონელი, რომელზედაც საუბარია, შეიძლება იყოს ხანგრძლივი მოხმარების საგანი, მაგალითად, ავტომობილი ან საშინაო მოხმარების ნივთი. იგი შეიძლება იყოს საქონელი, რომელიც მოხმარების პროცესში იხარჯება, მაგალითად, კვების პროდუქტი ან სასმელი. მომსახურება შეიძლება შეიცავდეს ავტომობილების, ტრაილერების, ენერგეტიკული დანადგარების იჯარით გაცემას ან სასასტუმრო მომსახურებას, ქიმწმენდასა და სამდივნო საქმიანობას.

5.42. ასეთი საქონელი და მომსახურება ბაზარზე, ჩვეულებრივ, შედის სასაქონლო ან მომსახურების ნიშნით, ან საფირმო სახელწოდებით და სპეციალური სიმბოლიკით ან გაფორმებით. ასეთ ნიშნებზე ან სახელწოდებებზე ლიცენზიის გაცემა, ჩვეულებრივ, შეთავსებულია მფლობელის მიერ რაიმე ფორმით ნოუ-ჰაუს გადაცემასთან, მაგალითად, ტექნიკური ინფორმაციის, ტექნიკური მომსახურების, ტექნიკური დახმარების ან მმართველობითი მომსახურების ფორმით, რაც დაკავშირებულია წარმოებასთან, მარკეტინგთან, ტექნიკურ მომსახურებასთან ან მართვასთან. ასეთი ნიშნის, საფირმო სახელწოდების ან ნოუ-ჰაუს მფლობელს ეწოდება "უფლებამფლობელი" ან "ლიცენზიარი". მხარეს, რომელზეც გაიცემა ლიცენზია, უწოდებენ "უფლებამოსარგებლეს", "დისტრიბუტორს" (კომერციულ შუამავალს) ან "დილერს". უფლებამოსარგებლე, კომერციული შუამავალი ან დილერი შეიძლება იყოს შენობების მფლობელი ან შეუძლია თავისი სახსრებისა და დროის ინვესტირება განახორციელოს კომერციულ ფირმაში. მათი საქმიანი ურთიერთობების სხვა ასპექტები, ფრენნჩაიზინგიდან ან კომერციული შუამავლობიდან მიღებული

მოგების განაწილების ჩათვლით, უნდა იყოს შეთანხმებული უფლებამფლობელს ან ლიცენზიარსა და უფლებამოსარგებლეს, დისტრიბუტორს ან დილერს შორის და ასახული წერილობით დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება ხელშეკრულება "ფრენჩაიზინგის ან კომერციული შუამავლობის შესახებ".

5.43. ისევე, როგორც უფლებების გადაცემის, სალიცენზიო ხელშეკრულებისა და ნოუ-ჰაუზე შეთანხმების შემთხვევებში, კანონმდებლობამ შეიძლება მოითხოვოს, რომ ხელშეკრულება ფრენჩაიზინგის ან კომერციული შუამავლობის შესახებ ექვემდებარებოდეს რეგისტრაციას ან შეთანხმებას და მოწონებას ერთი ან რამდენიმე სათანადო სახელმწიფო ორგანოს მიერ.

5.44. საქმიანი ურთიერთობებისა და ტექნოლოგიების გადაცემის გარიგებების სირთულე ხშირად უქმნის პრობლემებს საწარმოებსა და სხვა დაწესებულებებს, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ ტექნოლოგიების შეძენა. მათი გამოცდილება ტექნოლოგიის შეძენაში შეიძლება არ იყოს ისე დიდი, როგორც იმ საწარმოთა გამოცდილება, რომლებსაც გააჩნიათ ტექნოლოგია და სურთ მისი გადაცემა. აქედან გამომდინარე, შემძენი მხარისათვის შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი ან სასურველი გარედან კონსულტაციის მიღება ამ ტექნოლოგიის გამოყენების დაგეგმვისა და შეძენის თაობაზე. შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი ან სასურველი ტექნოლოგიის გადამცემ მხარესთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაც კი, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება, მაგალითად, სალიცენზიო ან ნოუ-ჰაუს ხელშეკრულების დადებისას.

5.45. ქვემოთ განხილულია საქმიანი ურთიერთობების სამი სხვა სახეობა, რომლებსაც შეუძლია მიმართოს ტექნოლოგიის შემძენმა მხარემ. ეს არის საკონსულტაციო ურთიერთობები, პროექტები "გასაღების ქვეშ" და ერთობლივი საწარმოები.

(g) საკონსულტაციო ურთიერთობები

5.46. ინდივიდუალური კონსულტანტის ან საკონსულტაციო ფირმის დახმარება, რომელიც იძლევა რჩევებს და ეწევა სხვა მომსახურებას ტექნოლოგიის გამოყენების დაგეგმვასა და ფაქტობრივ შეძენასთან

დაკავშირებით, შეიძლება იყოს სასარგებლო, თუ არა აუცილებელი, იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომელთაც სურთ ტექნოლოგიის შეძენა სხვა ქვეყნის საწარმოსაგან.

5.47. ასეთი სახის საქმიანი ურთიერთობისას უზრუნველყოფილია არა მხოლოდ დახმარება ტექნოლოგიის შეძენაში. ინდივიდუალურ კონსულტანტთან ან საკონსულტაციო ფირმასთან ერთობლივი მუშაობის პროცესში გროვდება გამოცდილება, რომელიც შემდგომში გარდაიქმნება ძვირადღირებულ ცოდნად და ემსახურება მომავალი პროექტების უკეთ განხორციელებას.

5.48. დაგეგმვის სფეროში რჩევა და მომსახურება დაკავშირებულია გამოსაშვები ან გასაუმჯობესებელი პროდუქციისა და გამოსაყენებელი ტექნოლოგიის შერჩევასთან, საჭირო ინვესტიციებთან, წარმოების ორგანიზაციის ფორმასთან ან სხვა ურთიერთობების დამყარებასთან, აგრეთვე, მათ ვარგისიანობასთან დასახული მიზნის ან მიზნების მისაღწევად.

5.49. რჩევები და მომსახურება დაგეგმვის შესახებ შეიძლება გავრცელდეს რეკომენდაციებზე, რომლებიც დაკავშირებულია გამოსაშვები პროდუქციის სახეობასთან, წარმოებაში გამოსაყენებელი ტექნოლოგიისა და მისი შესაძლო წყაროების შერჩევასთან.

5.50. ეს მომსახურება შეიძლება შეიცავდეს სიტუაციის საერთო ანალიზს შესასწავლ რეგიონში ან რეგიონებში, მათი ვარგისიანობის განსაზღვრის მიზნით წარმოების განთავსებისათვის ან პროდუქციის მარკეტინგისათვის.

5.51. მომსახურება შეიძლება შეიცავდეს სამუშაო ძალის, ნედლეულის, შუალედური პროდუქტების, ნაწილებისა და კომპონენტების ხელმისაწვდომობის ანალიზს. იგი შეიძლება მოიცავდეს ტექნოლოგიის გარემოზე ზეგავლენის ანალიზს, საველე გამოცდებისა და ლაბორატორიული ანალიზების ჩათვლით. შეიძლება, აგრეთვე, გათვალისწინებული იქნეს ინვესტიციების შეფასება, დაფინანსების წყაროებისა და წინასაინვესტიციო ტიპის სხვა მომსახურების განსაზღვრა. საკონსულტაციო მომსახურება შეიძლება შეიცავდეს საქმიანი ურთიერთობების შესაძლო სახეობების ანალიზსაც. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მომზადდეს რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ სხვადასხვა

იურიდიული საშუალებებიდან რომლის გამოყენებაა საჭირო შერჩეული ტექნოლოგიის შესაძენად.

5.52. საკონსულტაციო მომსახურება შეიძლება გავრცელდეს პროექტის განხორციელების სტადიაზეც. ამის დამახასიათებელი მაგალითია მომსახურება "პროექტირებასა და დამუშავებასთან" დაკავშირებით. ასეთი მომსახურება შეიცავს ქარხნის განლაგების გეგმის მომზადებას, ფაბრიკის შენობის პროექტირებას, ჩარხებისა და სხვა დანადგარების პროექტირებას, დოკუმენტაციის მომზადებას ტენდერისათვის შენობის ან მოწყობილობების პროექტირებასა და სამშენებლო სამუშაოებზე, აუქციონების პირობების შეფასებასა და რეკომენდაციებს კონტრაქტების თაობაზე, ზედამხედველობას ფაბრიკის მშენებლობაზე მოწყობილობის მონტაჟის ჩათვლით, ზედამხედველობას მოწყობილობების გაშვებასა და გამოცდაზე და დასკვნის მომზადებას გამოყენებული პროცესის განხორციელების შესახებ, აგრეთვე რეკომენდაციებს, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული დანადგარების ან მთლიანად ქარხნის ექსპლუატაციის საწყის პერიოდთან.

5.53. საკონსულტაციო მომსახურება შეიძლება გავრცელდეს სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზეც, წარმოებული პროდუქციის ან გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ანდა თანაპროდუქტების შესაძლო გამოყენების განსაზღვრისათვის ან ახალი პროდუქციის ან პროცესების შესაქმნელად.

5.54. მომსახურების გასაწევად შეიძლება მოწვეული იქნეს ერთი ან რამდენიმე ინდივიდუალური კონსულტანტი ან საკონსულტაციო ფირმა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ასეთი ინდივიდუალური კონსულტანტი ან საკონსულტაციო ფირმა სპეციალიზებულია გარკვეული ტიპის მომსახურების მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, ინვესტიციების დაგეგმვა, პროექტირება და დამუშავება, გარემოზე ზემოქმედება, მარკეტინგი ან წარმოებისა და მართვის ორგანიზაცია. გარკვეული გაგებით საკონსულტაციო მომსახურება წარმოადგენს ნოუ-ჰაუს ფორმებს. ამიტომ იგი შეიძლება განხილულ იქნეს ნოუ-ჰაუს ხელ-

შეკრულების ჩარჩოებში, ან უფრო კონკრეტულად, ტექნიკური მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ან შეთანხმების ფარგლებში.

(h) პროექტი "გასაღების ქვეშ"

5.55. ზოგიერთ შემთხვევაში საქმიანი ურთიერთობების სხვადასხვა სახეობები და მათი შესაბამისი იურიდიული საშუალებები ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ფაბრიკის დაგეგმვა, მშენებლობა და ექსპლუატაცია დაკისრებული აქვს ტექნოლოგიის ერთ მიმწოდებელს ან მიმწოდებელთა მეტად შეზღუდულ რაოდენობას.

5.56. ამგვარად, პროექტი "გასაღების ქვეშ" შეიძლება შეიცავდეს გარკვეულ იურიდიულ საშუალებათა ყოველმხრივ გამოყენებას, რის შედეგადაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას გადასცეს კლიენტს – ტექნოლოგიის მიმღებს – მთლიანად აღჭურვილი ქარხანა, რომელსაც შეუძლია შეთანხმებული საწარმოო მაჩვენებლების შესაბამისად მუშაობა. უფრო ხშირად, პროექტი – "გასაღების ქვეშ" – შეიცავს ერთი მხარის მიერ კლიენტისთვის ქარხნის საპროექტო დოკუმენტაციისა და მისი მუშაობის შესახებ ტექნიკური ინფორმაციის გადაცემას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება გადაიდგას დამატებითი ნაბიჯები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიაზე უფლებების მოპოვებასთან, მშენებლობასთან, ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფასთან, მოწყობილობების შეძენასა და მონტაჟთან, ნედლეულის, დეტალებისა და კომპონენტების შეძენასთან, პერსონალის სწავლებასთან, ქარხნის მუშაობაზე (საწყის ეტაპზე მაინც) ზედამხედველობასთან.

5.57. სახელწოდება პროექტი – "გასაღების ქვეშ" – განპირობებულია იმით, რომ მის საბოლოო შედეგს თითქოს წარმოადგენს კლიენტისთვის ქარხნის კარების გასაღების ჩაბარება. ეს სიმბოლური გამონათქვამი ნიშნავს მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებას.

5.58. რა თქმა უნდა, ისიც შესაძლებელია, რომ ტექნოლოგიის მიმღებმა, საკუთარი გამოცდილებისა და რესურსების გათვალისწინებით, თავად შეასრულოს ერთი ან რამდენიმე კონკრეტული ეტაპი, მაგალითად განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების ნაწილი, ქარხნის შენობის

აგება, მოწყობილობების შეძენა და დაყენება, აგრეთვე, ქარხნისა და დანადგარების პროექტირებაც კი.

5.59. როგორც საკონსულტაციო შეთანხმებებს, ისე პროექტებს – "გასაღების ქვეშ" – გააჩნიათ თავიანთი ნაკლოვანებები. პირველი მათგანი, ჩვეულებრივ, არ ითვალისწინებს კონსულტანტის პასუხისმგებლობას შედეგებზე. მეორე შემთხვევაში, ტექნოლოგიის მიმწოდებელს ასეთი პასუხისმგებლობა აკისრია. მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული მიმწოდებლის ვალდებულება, ადვილად ხელმისაწვდომი გახადოს მიმღები მხარისათვის გადაცემული ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესებანი, ეს იმიტომ, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული შეთანხმებიდან არ შეიცავს ტექნოლოგიის მიმწოდებლის ვალდებულებას შემდგომი რჩევებისა და მომსახურების შესახებ, ან გაუმჯობესებული ან დამატებითი ტექნოლოგიის მიწოდების თაობაზე. ეს შეთანხმებები ასევე არ შეიცავენ ზომებს შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი ფინანსირებით ან სხვა რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ.

5.60. ამ ნაკლოვანებებისა და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე სამრეწველო ან კომერციული თანამშრომლობის უფრო მიმზიდველი მექანიზმი შეიძლება ერთობლივი საწარმო იყოს.

(i) ერთობლივი საწარმოები

5.61. ქვემოთ ახსნილია თუ რა იგულისხმება ერთობლივი საწარმოს ცნებაში, აღწერილია ერთობლივი საწარმოს ორი სახეობა და მოყვანილია მათი გამოყენების მაგალითები, აგრეთვე განმარტებულია თუ როგორ შეიძლება ასეთი ურთიერთობების პირობებში სხვადასხვა იურიდიული საშუალებების გამოყენება.

5.62. ფართო გაგებით ერთობლივი საწარმოს ცნება, როგორც ეს თავად ტერმინიდან გამომდინარეობს, გულისხმობს ორი ან რამდენიმე პირის ან საწარმოს ერთობლივ საქმიანობას, რომელსაც შეუძლია წარმატებამდე მიყვანა ან არმიყვანა. სამეწარმეო სფეროში ეს არის საქმიანი ურთიერთობების ერთ-ერთი სახეობა ან საქმის ორგანიზების ერთ-ერთი ფორმა. იგი მდგომარეობს შეთანხმებაში ორ ან რამდენიმე ფიზიკურ პირს შორის ან ორ ან რამდენიმე საწარმოს შორის

(შეიძლება ერთ ან რამდენიმე ფიზიკურ პირს და ერთ ან რამდენიმე საწარმოს შორის) გარკვეული სახით თავიანთი განსაზღვრული სახეობისა და ოდენობის რესურსების გაერთიანების შესახებ პროდუქციის დამზადების, წარმოების ან გაყიდვის ან მომსახურების გაწევის მიზნით. ასეთი შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე მისაღები მოგებისა და შესაძლო რისკის გარკვეული სახით ერთმანეთში განაწილებას.

5.63. არსებობს ერთობლივი საწარმოს ორი ძირითადი ფორმა: წილობრივი და საკონტრაქტო.

5.64. წილობრივი ერთობლივი საწარმო არის ორგანიზაცია, რომელიც იქმნება როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი ორი ან რამდენიმე მხარის შეთანხმებით. მხარეებს შეაქვთ თავიანთი ფინანსური ან სხვა რესურსები შენატანის სახით ამ იურიდიული პირის საწესდებო ან სხვა ფონდებში. ასეთი იურიდიული პირი ფუძნდება როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და განსხვავდება მის შექმნაში მონაწილე ნებისმიერი მხარისაგან. ასეთი საზოგადოება ხდება თითოეული მხარის მიერ შეტანილი რესურსების მფლობელი. თავის მხრივ, თითოეული მხარე ხდება ამ საზოგადოების თანამფლობელი, ანუ ითვლება, რომ მასში თითოეულ მხარეს აქვს წილი.

5.65. თუ ერთი (ან რამდენიმე) მხარე არის უცხოური საწარმო ან ორგანიზაცია, მაშინ მას (მათ) ეწოდება უცხოელი მონაწილე (ან მონაწილეები). მხარეები, ან მონაწილეები თანხმდებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზნებსა და ფუნქციებზე, ჩადებული კაპიტალის თანაფარდობასა და მოგების წილზე, აგრეთვე სხვა ასპექტებზე, როგორიცაა მისი მართვა, ფუნქციონირება, საქმიანობის ხანგრძლივობა და შეწყვეტა. ამ ასპექტებიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე შეიძლება რეგულირდებოდეს კანონმდებლობით ერთობლივი საწარმოების ან სხვადასხვა სახის საზოგადოებების შესახებ, აგრეთვე, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობით, საგადასახადოსა და შრომითის ჩათვლით.

5.66. მეორეს მხრივ, საკონტრაქტო ერთობლივი საწარმო იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირის დაფუძნების აუცილებლობა ან შესაძლებლობა. ეს შეიძლება იყოს იმ

შემთხვევებში, როდესაც პროექტი ითვალისწინებს ვიწრო ამოცანის გადაჭრას ან შეზღუდულ საქმიანობას, ან მისი განხორციელება ლიმიტირებულია დროით, ან როცა იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც საქმიანი ოპერაციები უნდა განხორციელდეს, არ ითვალისწინებს უცხოელების მიერ საკუთრების მფლობელობას. მხარეთა ურთიერთობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

5.67. ერთობლივი საწარმოს ორგანიზების ნებისმიერი ფორმის პირობებში შესაძლებელია ტექნოლოგიის გადაცემისა და შეძენის სხვადასხვა იურიდიული საშუალების გამოყენება.

5.68. დაპატენტებულ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე ან სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების გადაცემა ერთ-ერთი მონაწილის მიერ შეიძლება წარმოადგენდეს მის წილ შენატანს ერთობლივი საწარმოს ფონდში. რა თქმა უნდა, აგრეთვე შესაძლებელია, რომ ერთობლივ საწარმოში თავისი შენატანის ნაწილის სახით ერთ-ერთმა მონაწილემ გასცეს ლიცენზია დაპატენტებულ გამოგონებაზე ან სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტზე ან გადასცეს ნოუ-ჰაუ. მაგრამ, უფრო ხშირად, ლიცენზიის გაცემა ან ნოუ-ჰაუს გადაცემა ამა თუ იმ ფორმით ხდება საგანი ერთი ან რამდენიმე ხელშეკრულების, რომელიც იდება ერთობლივი საწარმოს დაფუძნების შემდეგ. ასეთი ხელშეკრულება დაიდება ერთ მონაწილეს, როგორც ტექნოლოგიის გადამცემსა, და ერთობლივ საწარმოს შორის. ასეთი ხელშეკრულების მეშვეობით მოცემული ტექნოლოგია შეიძლება გადაეცეს ერთობლივ საწარმოს, რითაც მას ეძლევა თავისი ფუნქციების განხორციელების საშუალება.

5.69. საკითხი, თუ რომელი იურიდიული საშუალება და როდის იქნება გამოყენებული ერთობლივი საწარმოს დასაფუძნებლად, მოლაპარაკების საგანია მომავალ მონაწილეთა შორის. მოლაპარაკების შედეგები უნდა აისახოს ხელშეკრულებაში ერთობლივი საწარმოს შესახებ. სალიცენზიო, ნოუ-ჰაუს, ტექნიკური მომსახურების ან ტექნიკური დახმარების ხელშეკრულებები, ფრენჩაიზინგის შეთანხმება, აგრეთვე, სხვა კომერციულ საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები

შეადგენენ ერთობლივი საწარმოს შესახებ ხელშეკრულების დანართებს. მათზე ხელმოწერა ხდება ერთობლივი საწარმოს დაფუძნების შემდეგ.

5.70. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ ხელშეკრულება ერთობლივი საწარმოს შესახებ, ეხება თუ არა იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებას, აგრეთვე, სხვადასხვა იურიდიული საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული შეთანმებები, უნდა დაიდოს სათანადო კანონებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, როგორიცაა საგადასახადო კანონმდებლობა, კანონმდებლობა წარმომადგენლობის ან პარტნიორობის შესახებ, აგრეთვე სხვა ეკონომიკური კანონები, რომლებიც, მაგალითად, დაკავშირებულნი არიან შრომით და კომერციულ საქმიანობასთან, დაზღვევასა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან.

<u>ლიტერატურა</u>

ისმოს - საერთაშორისო ბიურო, <u>პატენტების ლიცენზირება: ტექნოლოგიების კომერციული გადაცემისა და შეძენის მეთოდები და ხელშეკრულებები</u>, WIPO/IP/WDH/93/6

C. მოლაპარაკებები სალიცენზიო ხელშეკრულებების დადებისას

(a) შესავალი

5.71. ნებისმიერი ტექნიკური სალიცენზიო ხელშეკრულება შეიძლება გაანალიზდეს შემდეგი ძირითადი ელემენტების მიხედვით:

– ხელშეკრულების საგანი;
– ლიცენზიარის ვალდებულებები;
– ორივე მხარისათვის საერთო ვალდებულებები.

5.72. პრაქტიკაში ეს ელემენტები ხშირად გაფანტულია ტექსტში და შეიძლება არც კი იყვნენ ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნულნი. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების ამ კუთხით ანალიზს გააჩნია ის უპირატესობა, რომ იგი იძლევა იმ არსებითი ასპექტების ცხადი და ლოგიკური შესწავლის საშუალებას, რომლებიც უნდა იქნეს განხილული ხელშეკრულების მომზადებისას.

5.73. ქვემოთ მოყვანილი საკითხები ტიპურია მოლაპარაკებისთვის, რომელსაც მივყავართ სალიცენზიო ხელშეკრულების დადებამდე ან განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ხელშეკრულების დებულებათა მომზადებისას. ეს დებულებები განხილულია პატენტების ლიცენზირების კუთხით, მაგრამ მათი გამოყენება შესაძლებელია ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმების მიმართაც.

(b) მხარეთა იდენტიფიკაცია

5.74. ერთ-ერთი პირველი მომენტი, რომელიც სალიცენზიო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკებისას ეჭვს ბადებს – არის იმ საწარმოთა ან პირთა იდენტიფიკაცია, რომლებიც უნდა გახდნენ ხელშეკრულების მხარეები, ანუ ვინც ხელი უნდა მოაწეროს ხელშეკრულებას და აიღოს ვალდებულება მისი დებულებების შესრულებაზე.

5.75. სალიცენზიო ხელშეკრულების მხარეთა აღწერის მიზანია თითოეული მათგანის საკმარისად გამოკვეთილი იდენტიფიკაცია, რათა თითოეული იურიდიული ან ფიზიკური პირის განსაზღვრა, რომლისგანაც მოსალოდნელია გარკვეული ქმედებების შესრულება ან რომელიც ელოდება ამ ქმედებების განხორციელებას, შემდგომში არ გახდეს უთანხმოების საგანი.

5.76. ეს მიზანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომპლექსური საქმიანი გარიგებებისას, როდესაც თითოეული მხრიდან მონაწილეობს ერთზე მეტი იურიდიული ან ფიზიკური პირი. ასეთი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას სალიცენზიო და ნოუ-ჰაუს ხელშეკრულებათა დადებისას სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს შორის.

5.77. მაგალითად, სალიცენზიო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკებისას ერთ-ერთი მხარე შეიძლება იყოს იურიდიულ პირთა ჯგუფი, რომელიც შექმნილი და განთავსებულია ერთ ან სხვადასხვა უცხოეთის ქვეყანაში. მაგრამ ორივე შემთხვევაში მათ შეიძლება ჰყავდეთ ერთი მესაკუთრე, იმართებოდნენ ერთობლივად ან გააჩნდეთ სხვა საერთო ინტერესები. ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ლიცენზია პატენტზე გაიცემა ჯგუფში შემავალი ერთი იურიდიული პირის მიერ (ან შეიძლება ისეთი იურიდიული პირის მიერ, რომელიც

სულაც არ არის ამ ჯგუფის წევრი), ხოლო სხვა ქმედებები განხორციელდება ჯგუფში შემავალი ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირის მიერ.

5.78. ანალოგიური საკითხები წამოიჭრება, როდესაც ერთ-ერთ მხარეს უწევს მოლაპარაკების პროცესში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო საწარმოების, კერძო იურიდიული პირების ჩართვა. მათ რიცხვში შეიძლება შედიოდნენ ერთობლივი საწარმოებიც უცხოელი იურიდიული პირების მონაწილეობით.

5.79. შემდეგ უნდა იქნეს განხილული საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთი დოკუმენტის გაფორმება და ხელმოწერა, სადაც დაფიქსირებული იქნება ყველა პირობა და ორივე მხარის ყველა პირის ვალდებულებები, თუ უნდა გაფორმდეს და ხელი მოეწეროს სხვადასხვა დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა პირობებსა და ვალდებულებებს.

(c) მხარეთა მიზნები; ლიცენზიის მოცულობა

5.80. როდესაც მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებას სალიცენზიო ხელშეკრულებაზე, ისინი ჩვეულებრივ ეყრდნობიან იმას, რომ გარკვეული ტექნოლოგია აუცილებელია კონკრეტული პროდუქტის დასამზადებლად ან კონკრეტული ხერხის განსახორციელებლად, რითაც იწარმოება პროდუქტი ან მიიღწევა სხვა შედეგი. სხვა სიტყვებით, სალიცენზიო ხელშეკრულების დადების საბოლოო მიზანია ლიცენზიარის მიერ ტექნოლოგიისა და მისი გამოყენების უფლების გადაცემა და ლიცენზიატის მიერ შეძენა, რათა ეს ტექნოლოგია და უფლება გამოიყენოს მოცემული პროდუქტის დასამზადებლად ან გასაყიდად, ან მოცემული პროცესის მეშვეობით ამ პროდუქტის ან სხვა შედეგის მისაღებად.

5.81. მხარეთა ეს მიზნები უნდა იყოს გამოხატული სალიცენზიო ხელშეკრულებაში, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული სახით.

5.82. მათი მიზნები ზოგადი სახით უნდა აისახოს ან სალიცენზიო ხელშეკრულების პრეამბულაში დეკლარაციული ფორმით, ანდა

უშუალოდ სალიცენზიო ხელშეკრულების ნორმების დამდგენ ნაწილში ცალკე მუხლის სახით, სახელწოდებით "ზოგადი დებულებები".

5.83. მხარეთა მიზნები უფრო კონკრეტულად მოცემულია სალიცენზიო ხელშეკრულების შემდგომ დებულებებში, რომლებითაც შემოფარგლულია სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების "მოცულობა". ამ დებულებების ერთი ნაწილი განსაზღვრავს სალიცენზიო ხელშეკრულების საგანს (კერძოდ, პროდუქციას ან პროცესს, გამოგონებას და ნოუ-ჰაუს, აგრეთვე, ტექნიკურ მიღწევებს, თუკი ასეთები არის). დებულებათა მეორე ჯგუფი განსაზღვრავს, თუ რომელ მხარეს აქვს უფლება განახორციელოს გამოყენებასთან დაკავშირებული ერთი ან მეტი ქმედება, დაადგინოს ადგილი ან ადგილები, სადაც ეს ქმედებები უნდა შესრულდეს, განსაზღვროს გამოყენების ხანგრძლივობა, დააზუსტოს მიზნები, რომლებისთვისაც შეიძლება ტექნოლოგიის გამოყენება. სხვა დებულებებით შეიძლება განისაზღვროს გამოგონების დამუშავების დონე, დაზუსტდეს მისი გამოყენებისათვის საჭირო საშუალებები, დადგინდეს ანაზღაურება გამოყენებისთვის, განისაზღვროს შედეგები წარუმატებლობის ან შეფერხებების შემთხვევაში ტექნოლოგიის გამოყენებასთან ან სხვა შეთანხმებულ პირობებთან დაკავშირებით.

(d) ხელშეკრულების საგანი

5.84. სალიცენზიო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ მის ტექნიკურ არსს, არსებითად განსაზღვრავენ ტექნოლოგიას, რომელიც უნდა გახდეს გამოყენების საგანი, და საბოლოო ჯამში, თუ სალიცენზიო ხელშეკრულება დაიდება, განსაზღვრავენ იმ ტექნოლოგიას, რომელიც უნდა იქნეს გადაცემული ლიცენზიარის მიერ და შეძენილი ლიცენზიატის მიერ.

5.85. ეს დებულებები აღწერენ პროდუქციას, რომელიც უნდა დამზადდეს, იქნეს გამოყენებული და გაიყიდოს, ანდა აღწერენ ხერხს, რომლის გამოყენებითაც უნდა დამზადდეს პროდუქცია, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იქნეს გამოყენებული ან გაყიდული. ისინი, აგრეთვე, განსაზღვრავენ გამოგონებებს, რომლებიც მოცულია ამ პროდუქციით ან ხერხით, აღწერენ შესაბამის ნოუ-ჰაუს (თუკი ასეთი არსებობს),

განსაზღვრავენ ორივე მხარის ტექნოლოგიურ მიღწევებს და იმ პირობებს, რომლის დროსაც ერთი მხარის მიღწევები ხელმისაწვდომი იქნება მეორე მხარისათვის.

(e) პროდუქციის ან ხერხის იდენტიფიკაცია

5.86. ვინაიდან ლიცენზიატის საბოლოო მიზანი დაკავშირებულია პროდუქციასთან ან ხერხთან, სალიცენზიო ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულებით ეს პროდუქტი ან ხერხი უნდა იყოს მოკლედ იდენტიფიცირებული. როგორც წესი, ეს დებულება უნდა შედიოდეს სალიცენზიო ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსაზღვრებებს.

5.87. პროდუქცია შეიძლება განისაზღვროს ფართოდ, მაგალითად, – "საწერი ინსტრუმენტები", რაც მოიცავს ავტოკალმებს, ბურთულიან კალმისტრებს და ფლომასტერებს. პროდუქციის განსაზღვრა შეიძლება უფრო კონკრეტულადაც, რითაც, მაგალითად, მოცული იქნებოდა ავტოკალმების ერთი ან რამდენიმე ტიპი, და არა ყველა მათგანი.

5.88. ხერხი შეიძლება განისაზღვროს ქიმიური ფორმულით, რომლის მიხედვითაც გარკვეული ქიმიური ნივთიერებები ურთიერთქმედებენ ერთმანეთში, რასაც, განსაზღვრული კატალიზატორის შეყვანით, მივყავართ კონკრეტული პროდუქტის მიღებამდე.

5.89. პროდუქციასთან ან ხერხთან დაკავშირებული გამოგონების საპატენტო განაცხადში მოცემული დასახელება და რეფერატი შეიძლება გახდეს ამოსავალი წერტილი პროდუქციის ან ხერხის აღწერისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

(f) გამოგონების იდენტიფიკაცია

5.90. პროდუქციასთან ან ხერხთან დაკავშირებული გამოგონების ან გამოგონებების განმსაზღვრელი დებულებები, ჩვეულებრივ, შეიცავენ მითითებებს გამოგონების პატენტის ან განაცხადის ნომერზე, ქვეყანაზე, სადაც პატენტი იქნა გაცემული ან განაცხადი შეტანილი, პატენტის გაცემის ან განაცხადის შეტანის თარიღზე და ზოგ შემთხვევაში, გამოგონების დასახელებასა და განაცხადის სტატუსზე. თუ პროდუქცია ან ხერხი შეიცავს რამდენიმე გამოგონებას, მაშინ შესაბამისი

ინფორმაცია ამ გამოგონებების შესახებ არის დაჯგუფებული და შეტანილი ჩამონათვალში, რომელიც თან ერთვის სალიცენზიო ხელშეკრულებას.

(g) ნოუ-ჰაუს აღწერა

5.91. მოქმედ საპატენტო კანონმდებლობათა უმრავლესობის სტანდარტული მოთხოვნების შესაბამისად, განაცხადში გამოგონების პატენტის მისაღებად გამოგონების აღწერილობამ უნდა გახსნას იგი იმდენად ცხადად, დაწვრილებით და ზუსტად, რომ ამ დარგში ჩვეულებრივი ცოდნის მქონე პირს შეეძლოს გამოგონების განხორციელება. ზოგიერთი საპატენტო კანონი უფრო შორსაც მიდის და მოითხოვს, რომ გამოგონების აღწერილობაში იყოს მითითებული გამოგონების განხორციელების სრული ვარიანტი, რომელიც ცნობილია გამომგონებლისათვის. მაგრამ ეს საპატენტო კანონები არ მოითხოვს დამატებითი საშუალებების ჩართვას, რაც გააადვილებდა გამოგონების განხორციელებას. ასეთი დამატებითი საშუალებები შეიძლება მდგომარეობდეს ტექნოლოგიური ინფორმაციისა და გამოცდილების გამოყენებაში, რომელიც გამოგონებებზე ხანგრძლივი ექსპერიმენტების ჩატარების შედეგია.

5.92. უფრო ხშირად ეს ტექნიკური ინფორმაცია ან გამოცდილება არ არის გახსნილი, ვინაიდან იგი არ იყო ცნობილი პატენტის მისაღებად განაცხადის წარდგენის მომენტში. გამოგონების აღწერილობა ხშირად ემყარება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რომლებიც ჩატარებულია ლაბორატორიული ან საცდელი ნიმუშის წარმოების პირობებში. სამრეწველო წარმოება, და საცდელი პარტიის წარმოებაც კი, შეიძლება უფრო გვიან სტადიაზე დაიწყოს. მაგრამ მაშინ უკვე გვიანი იქნება შესაბამისი მონაცემების შეტანა გამოგონების აღწერილობაში განაცხადში ცვლილებების სახით, ვინაიდან პატენტი გამოგონებაზე უკვე დიდი ხნის გაცემულია. შემდეგ, გამოგონებაზე განაცხადის შეტანის მომენტში არ არის ცნობილი, იქნება თუ არა გამოგონება კონკურენტუნარიანი. ზოგჯერ შეუძლებელია სამრეწველო წარმოების ღირებულების განსაზღვრა მის დაწყებამდე, სანამ არ იქნება მიღწეული წარმოების ოპტიმალუ-რი დონე.

5.93. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო შეიძლება აღმოჩნდეს სასარგებლო, თუ არა აუცილებელი, რომ პოტენციურმა ლიცენზიატმა მიიღოს ლიცენზიარისგან ან მისი დახმარებით სხვისგან პრაქტიკისა და გამოცდილებიდან გამომდინარე ტექნიკური ინფორმაცია, მონაცემები და ცოდნა, ანუ ნოუ-ჰაუ, რომელიც აწმყოში ან მომავალში სასარგებლო იქნება მოცემულ პროდუქციასთან ან ხერხთან დაკავშირებული გამოგონების ან გამოგონებების გამოსაყენებლად.

5.94. რაც შეეხება ასეთი ნოუ-ჰაუს აღწერილობას, შესაბამისი ტექნიკური ინფორმაციის მიღება შეიძლება სათანადო დოკუმენტაციის მეშვეობით, როგორიცაა, ქარხნის საერთო ხედის სქემები, დანადგარების ნახაზები, სათადარიგო ნაწილების ნუსხები, დანადგარების მუშაობის ან ნაწილების აწყობის წესები ან ინსტრუქციები, ნედლეულის სპეციფიკაციები, სამუშაო და სამანქანო დროის გაანგარიშებები, შეფუთვისა და შენახვის ინსტრუქციები, ინფორმაცია სტაბილურობისა და გარემოზე ზემოქმედების შესახებ. შეიძლება შედგეს თითოეული ექსპერტის მუშაობის აღწერა, ვისი ტექნიკური ან პროფესიონალური გამოცდილებაც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს. ასეთი ინფორმაცია შეიძლება განისაზღვროს სალიცენზიო ხელშეკრულებაზე თანდართულ ერთ ან რამდენიმე დანართში, დამატებაში ან ჩამონათვალში.

(h) კონფიდენციალობა

5.95. ლიცენზიარის მიერ ნოუ-ჰაუს შეძენა ან შექმნა ხდება სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისას, ლიცენზიარის საწარმოში სამრეწველო და საქმიანი ხერხების გამოყენების პროცესში. ხშირად ნოუ-ჰაუ არის ლიცენზიარის კონკურენტუნარიანი, და შესაძლოა უფრო მეტიც, მოწინავე პოზიციის მიზეზი ტექნოლოგიის ამა თუ იმ სფეროში. ამ როლში ნოუ-ჰაუ წარმოადგენს მიმწოდებლის მნიშვნელოვან აქტივს, რომელსაც შენარჩუნება სჭირდება. ამავე დროს, იგი არის რესურსი, რომლის გაღებაზეც მიმწოდებელი მზად არის ლიცენზიატთან ან მისი გამოყენების მსურველ სხვა პირთან შეთანხმებული საფასურის სანაცვლოდ. აქედან გამომდინარე, ლიცენზიატისათვის ნოუ-ჰაუს

მიწოდება არის გარიგების შედეგი, რომლის ფასი არის არა მარტო სალიცენზიო ხელშეკრულებაში მითითებული ფულადი ანაზღაურება, არამედ ლიცენზიატის ვალდებულებაც, არ გაუხსნას ნოუ-ჰაუ მესამე პირებს, გარკვეულ გარემოებათა გამოკლებით ან ლიცენზიართან შეთანხმების გარეშე.

5.96. სალიცენზიო სელშეკრულების პირობების განხილვისას მხარეებმა უნდა განსაზღვრონ ამა თუ იმ მხარის მიერ შექმნილი ნოუ-ჰაუს რა ნაწილი, და რა ვადებში უნდა გაიხსნას ან არ გაიხსნას. მხარეებმა, აგრეთვე, უნდა განსაზღვრონ შედეგები არასანქციონირებული უნებლიე გახსნის შემთხვევაში, იმ შედეგების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სალიცენზიო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან მისი მოქმედების ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, მათ შორის, თუ ეს მოხდება შეთანხმებულ ვადაში ამა თუ იმ მხარის მიერ გაუხსნელობის პირობების დარღვევის გამო.

(i) ტექნიკური გაუმჯობესებისადმი ხელმისაწვდომობა

5.97. ტექნიკურ გაუმჯობესებებს, რომლებიც სალიცენზიო ხელშეკრულების მხარეთა უშუალო ინტერესს წარმოადგენენ, ჩვეულებრივ, მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც მნიშვნელოვან ან არსებით გავლენას ახდენენ ლიცენზიის ობიექტის ძირითად მახასიათებლებზე, პროდუქციის შემთხვევაში წარმოების მოცულობაზე, დამზადების ღირებულებაზე ან გამოყენების ეფექტურობაზე, ხოლო ხერხის შემთხვევაში – მისი განხორციელების მატერიალურ პირობებზე, აგრეთვე, განხორციელების ღირებულებაზე ან ეფექტურობაზე.

5.98. სალიცენზიო ხელშეკრულების მხარეებს შეიძლება გააჩნდეთ სხვადასხვა მიდგომა ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებით და იმ ტექნიკურ გაუმჯობესებებზე თავიანთი უფლებების განსაზღვრის თაობაზე, რომლებიც შეიძლება მათ მიერ იქნეს შეძენილი ან შექმნილი.

5.99. მხარეებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ ინფორმაციის გაცვლა ტექნიკური გაუმჯობესებების შესახებ სავსებით პასუხობს მათ ინტერესებს და რომ თითოეულ მხარეს აქვს უფლება უფასოდ გამოიყენოს მეორე მხარის ტექნიკური გაუმჯობესებანი. ამას ეწოდება ჯვარედინი ლიცენზირება. მათ, აგრეთვე, შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ

თუ რომელიმე მხარე გარკვეული ანაზღაურების ფასად ხელმისაწვდომს გახდის მეორე მხარის ტექნიკურ გაუმჯობესებებს მესამე პირთათვის, მაშინ ამ მეორე მხარეს აქვს უფლება ჰქონდეს წილი ამ ანაზღაურებაში შეთანხმებული პირობებითა და ოდენობით. ჩვეულებრივ გათვალისწინებულია, რომ მხარემ, რომელმაც შექმნა გაუმჯობესება, უნდა მოითხოვოს საპატენტო დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაწყვეტს ეს არ გააკეთოს, მეორე მხარეს შეუძლია საპატენტო დაცვის მოთხოვნა თავის ხარჯზე და ორივე მხარის სახელით.

(j) ტერიტორიული განსაკუთრებულობა

5.100. სალიცენზიო ხელშეკრულების პირობები, იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს, რომელ ტერიტორიაზე შეუძლია განახორციელოს გამოყენებასთან დაკავშირებული გარკვეული ქმედებები, აგრეთვე, რა გავლენა ექნებათ ასეთ ქმედებებს ლიცენზიარის ან ლიცენზიატის ურთიერთობებზე მესამე პირებთან, რომლებიც ასევე არიან დაინტერესებულნი ტექნოლოგიის გამოყენებით – არის სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხები. ისინი ურთიერთკავშირშია, ვინაიდან თითოეული მათგანი ეხება ლიცენზიარის განსაკუთრებულ უფლებას, რომელიც გამომდინარეობს მასზე გაცემული გამოგონების პატენტიდან და არის სალიცენზიო ხელშეკრულების საგანი. სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მკაფიო პასუხს თითოეულ ამ შეკითხვაზე.

(k) გამოყენების ნებადართული სფერო

5.101. დებულებები გამოყენების ან საქმიანობის სფეროთა შესახებ განსაზღვრავენ გამოგონების ან ნოუ-ჰაუს გამოყენების მიზნებს. ისინი ემსახურებიან ლიცენზიატის მიერ ამ გამოყენების ფარგლების დადგენას. ამავე დროს, ამ დადგენილი ფარგლებიდან გამომდინარე, ლიცენზიარს აქვს უფლება გასცეს ლიცენზია ან გადასცეს ნოუ-ჰაუ რიგ სხვა ლიცენზიატებს, რომელთაგან თითოეული სპეციალიზებულია გამოგონების ან ნოუ-ჰაუს გამოყენების სხვადასხვა სფეროში. ეს იძლევა გამოგონების ან ნოუ-ჰაუს ყველაზე მიზანშეწონილად

გამოყენების საშუალებას თითოეული კონკრეტული ლიცენზიატის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

5.102. უნდა აღინიშნოს, რომ ლიცენზიატის მიერ ტექნოლოგიის შესაძენად გადასახდელი თანხა შეიძლება იცვლებოდეს იმ მიზნის ან მიზნების მიხედვით, რისთვისაც ტექნოლოგია იქნა შეძენილი. ლიცენზიარმა შეიძლება ნებართვა გასცეს გამოგონების ან ნოუ-ჰაუს გამოყენებაზე მხოლოდ მოცემულ სფეროში ან საქმიანობის მოცემული სახისათვის. სხვა შემთხვევაში ლიცენზიარი მზად არის ნებართვის გასაცემად ნებისმიერი მიზნით გამოყენებაზე. უკანასკნელ შემთხვევაში, მოთხოვნილი საფასური შეიძლება იყოს მეტი, ვიდრე გამოყენების ან საქმიანობის შეზღუდული სფეროს პირობებში. თუმცა გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით ლიცენზიატისთვის შეიძლება უმჯობესი იყოს გააჩნდეს ტექნოლოგიის ნებისმიერი მიზნით გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ფასთა სხვაობის შეფასება. ეს მით უფრო აუცილებელია, თუ ლიცენზიატს არც ამჟამად და არც მომავალში არ ექნება შეზღუდული მიზნების ფარგლებს გარეთ ტექნოლოგიის გამოყენების საშუალება.

(m) გამოყენება

5.103. ლიცენზიარს იმედი აქვს, რომ ლიცენზიატი არა უბრალოდ გამოიყენებს გამოგონებას და ნოუ-ჰაუს, არამედ ამას გააკეთებს სალიცენზიო ხელკშეკრულების პირობებით ნებადართულ, მაქსიმალურად შესაძლო ფარგლებში.

5.104. მხარეებმა შეიძლება დააზუსტონ, რომ ლიცენზიატი დაამზადებს, გამოიყენებს ან გაყიდის დაპატენტებული გამოგონების შემცველ პროდუქციას ან გარკვეული სახით გამოიყენებს ნოუ-ჰაუს განსაზღვრული შედეგის მიღების მიზნით. მხარეებმა შეიძლება დაადგინონ ლიცენზიარის ისეთი ვალდებულებებიც, რომელთა შესრულება დაეხმარება ლიცენზიატს მოსალოდნელი შედეგების მიღწევაში.

5.105. გამოყენების შედეგებსა და ზღვრებთან დაკავშირებით ჩვეულებრივ წამოიჭრება შემდეგი საკითხები: პროდუქციის ხარისხი, წარმოების მოცულობა, მესამე პირების მიერ პროდუქციის ნაწილის დამზადება

ლიცენზიატის ნებართვით, პროდუქციის იმპორტი ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოცემულ ქვეყანაში დამზადების უკმარისობის გამო და ლიცენზიარის გასაღების არხების გამოყენება.

5.106. პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის გაყიდვას, ლიცენზიატის გუდვილის დამკვიდრებას და ბაზარზე ლიცენზიატის კონკურენტუნარიანი პოზიციის შენარჩუნებას.

5.107. პროდუქციის ხარისხი შეიძლება დაკავშირებული იყოს ლიცენზიარის რეპუტაციასთან, თუ პროდუქცია ბაზარზე გადის მისი სასაქონლო ნიშნით. საზოგადოების თვალსაზრისით, სასაქონლო ნიშნის მატარებელი პროდუქცია თავის თავში განასახიერებს ხარისხისა და საიმედოობის გარკვეულ სიმბოლოს, რაზედაც ვიღაც, ცნობილი ან უცნობი, მიიჩნევს თავს პასუხისმგებლად.

5.108. სწორედ ამიტომ, პროდუქციის ხარისხის სტანდარტი, მის მისაღწევად გამოსაყენებელი ნოუ-ჰაუ და ხარისხის პარამეტრები ყოველთვისაა ასახული სალიცენზიო ხელშეკრულების შესაბამის დებულებებში.

5.109. სალიცენზიო სელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს პროდუქციის ხარისხის შეთანხმებული სტანდარტები. ამ შემთხვევაში სალიცენზიო ხელშეკრულება ჩვეულებრივ მოიცავს, აგრეთვე, დებულებას იმის შესახებ, რომ ლიცენზიარი მიაწოდებს ლიცენზიატს ინფორმაციას, თუ რა ხერხებით უნდა დამზადდეს პროდუქცია, რათა მიღწეული იქნეს ხარისხის აუცილებელი სტანდარტები.

5.110. არსებობს სხვა, ირიბი გზებიც, პროდუქციის ხარისხის გარკვეული სტანდარტის მისაღწევად. შეიძლება დადგინდეს, რომ წარმოების გარკვეული ეტაპების განსახორციელებლად ლიცენზიატი გამოიყენებს ლიცენზიარის მიერ მითითებულ საწარმოო პერსონალს.

5.111. ლიცენზიატმა შეიძლება დაბეჯითებით მოითხოვოს ლიცენზიარისგან გარკვეული გარანტიები დაპატენტებული გამოგონებისა და ნოუ-ჰაუს ფაქტობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს გარანტია შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ ლიცენზიარის მიერ დაპატენტებული გამოგონებისა და გადაცემული ნოუ-ჰაუს გამოყენებით ლიცენზიატმა

შესძლოს დაიკმაყოფილოს მოლოდინი სალიცენზიო ხელშეკრულებიდან, ანუ მიიღოს შესაბამისი პროდუქცია, რომელშიც რეალიზებული იქნება დაპატენტებული გამოგონება ან ნოუ-ჰაუ. გარანტიაში შეიძლება იგულისხმებოდეს ისიც, რომ წარმოების განხორციელებისას ლიცენზიატს შეეძლოს საჭირო პროდუქციის ან სხვა შედეგის მიღება ხერხით, რომელშიც რეალიზებულია დაპატენტებული გამოგონება ან ნოუ-ჰაუ.

5.112. დაპატენტებული გამოგონების ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებით ლიცენზიატს შეიძლება, აგრეთვე, აინტერესებდეს, იქნება თუ არა ლიცენზიარის მიერ გადაცემული ნოუ-ჰაუ ადეკვატური ან შესაბამისი თავისი მიზნის მისაღწევად: აწარმოოს დაპატენტებული პროდუქტი ან მიიღოს ეს პროდუქტი ან სხვა შედეგი დაპატენტებული ხერხის მეშვეობით.

5.113. ამ საკითხის გადაწყვეტა ძირითადად მდგომარეობს ლიცენზიარის მიერ ვალდებულებების აღებაში გადაცემულ ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებით. ასეთ ვალდებულებებს ეწოდება ნოუ-ჰაუს გარანტია.

5.114. გარანტია მოცემულ კონტექსტში ნიშნავს იმის განცხადებას, რომ ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებულ განსაზღვრულ ფაქტს ან მოვლენას ნამდვილად აქვს ან ექნება ადგილი მისი გამოყენებისას. ასეთ მტკიცებას თან ახლავს პირობა, რომ თუ ამ ფაქტს ან მოვლენას ადგილი არ ექნა, მაშინ განხორციელდება შესწორება, ან მის მაგივრად რაიმე სხვა ქმედება.

5.115. სალიცენზიო ხელშეკრულების საგარანტიო დებულებების ფორმულირებისას გათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: მიწოდებული ნოუ-ჰაუს შესაბამისობა შეთანხმებულ აღწერილობასთან, რომლის მიწოდებაც იყო დაპირებული; ნოუ-ჰაუს გამოყენებით მისაღწევი შედეგები; ნოუ-ჰაუს შესაბამისობა ლიცენზიატის ტექნოლოგიურ მოთხოვნებთან.

(m) დავების გადაწყვეტა

5.116. როდესაც არსებობს გარკვეული პირობების შეუსრულებლობის ალბათობა ან მათი ფაქტობრივი შეუსრულებლობა, ხოლო სალიცენზიო ხელშეკრულებაში არ არის ასეთი შეუსრულებლობის შეთანხ-

მებული შედეგების განმსაზღვრელი დებულებები, ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება წამოაყენოს გადაწყვეტილება, რომელიც მეორე მხარისთვისაც მისაღები იქნება. გადაწყვეტილება შეიძლება მდგომარეობდეს დამატებითი ვადის გამოყოფაში ქმედების განხორციელებისათვის ან შესაბამისი შეცდომის, ან შეცდომების არსებით კორექციაში. შეიძლება შეთავაზებული იქნეს მცდარის ნაცვლად რაიმე სხვა ქმედების განხორციელება. ასეთი გზით მხარეები შეიძლება მივიდნენ დავის მომრიგებლური სახით გადაწყვეტამდე, სასამართლოში ან სხვა ორგანოში საქმის აღძვრის გარეშე.

5.117. მაგრამ შეიძლება წარმოიშვას გარემოება, როდესაც მეორე მხარის მიერ შესაბამისი ქმედებების შეუსრულებლობით დაზარალებულ მხარეს არ წარედგინება დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება. ვალდებულებათა შეუსრულებლობაში ბრალდებულმა მხარემ შეიძლება უარყოს, რომ ადგილი ჰქონდა შეთანხმებული პირობების დარღვევას. ასეთი შემთხვევებისათვის საჭიროა დავების გადაწყვეტის გარკვეული მექანიზმის გათვალისწინება, საქმის სასამართლოში ან სხვა ორგანოში გადაცემამდე. ასე მაგალითად, სადავო საკითხი განსახილველად შეიძლება გადაეცეს დამოუკიდებელ ექსპერტებს ან თითოეული მხარის წარმომადგენელთაგან შექმნილ ჯგუფს რეკომენდაციების შესამუშავებლად და მორიგების პროცედურის ჩასატარებლად, ან საარბიტრაჟო ორგანოს, უკიდურეს შემთხვევაში კი, სასამართლოს ან ამ საკითხში სხვა კომპეტენტურ ორგანოს. კერძოდ, სალიცენზიო ხელშეკრულებაში შეიძლება ჩაირთოს დებულება ისმო-ს საარბიტრაჟო ცენტრის, როგორც დავების გადაწყვეტის ფორუმის შესახებ.

<u>ლიტერატურა</u>

<u>ფ. დესემონტე, ინტელექტუალური საკუთრება სალიცენზიო და ფრენჩაიზინგის კონტრაქტებში</u>, ISIP/86/8.

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, <u>სამრეწველო საკუთრების უფლებების – პატენტების ლიცენზირება</u>, WIPO/IPE/IR.93/9.

(D) ანაზღაურება

(a) შესავალი

5.118. მხარეთა შორის მოლაპარაკების ერთ-ერთი გადამწყვეტი და ყველაზე რთული მომენტია – მთლიანად ან ლიცენზიით შესაძენი სამრეწველო საკუთრებისა და გადასაცემი ტექნოლოგიის "ფასი" ან "ღირებულება".

5.119. "ფასი" ან "ღირებულება" დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომლებიც მოიცავენ სამრეწველო საკუთრების უფლებათა და ტექნოლოგიის ხასიათს, აგრეთვე, მხარეთა პოზიციების შეფარდებით სიძლიერეს გარიგების პროცესში მოლაპარაკებებისას. პოტენციური გადამცემი მხარე, ჩვეულებრივ, გულდასმით აფასებს კონკრეტული ტექნოლოგიის ღირებულებასა და საჭიროებას, ალტერნატიული ტექნოლოგიების არსებობას, ტექნიკური გაუმჯობესებებისა და საწარმოო შესაძლებლობების პერსპექტივებს, აგრეთვე, სავარაუდო მიმღები მხარის მუშაობის მომგებიანობას. პოტენციური გამყიდველი ასევე აკეთებს დეტალურ პროგნოზს წარმოების თაობაზე და სხვა პოტენციური ლიცენზიატებისგან ან ტექნოლოგიის მიმღებთა საერთო შემოსავლების ნაკადის შესახებ.

5.120. პოტენციური მიმღები აფასებს ჯამურ გადასახადს, რომელიც მან უნდა გადაიხადოს მოცემული ტექნოლოგიის და მისი გაუმჯობესებებისათვის, საწარმოს მომგებიანობასთან შეფარდებით დროის შესაბამისი პერიოდის მანძილზე. ამ თანხებს იგი აფასებს ალტერნატიული ტექნოლოგიის ღირებულებასა და ანალოგიურ გარიგებებთან დაკავშირებულ გადასახადთან შედარებითაც.

(b) პირდაპირი ფულადი კომპენსაცია

5.121. სამრეწველო საკუთრებაზე ან ტექნოლოგიაზე უფლებებისათვის პირდაპირ ფულად კომპენსაციას შეიძლება გააჩნდეს სხვადასხვა ფორმა: "მყარი თანხა" – როდესაც წინასწარ არის გაანგარიშებული ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი თანხა; "როიალტი" – როდესაც გადასახადი არის მრავალჯერადი და იანგარიშება შესაბამის პერიოდში ეკონომიკური გამოყენებიდან ან შედეგიდან გამომდინარე

(პროდუქციის, მომსახურების, გაყიდვის ან მოგების ერთეულიდან); "ჰონორარები" – როდესაც ხდება ტექნიკური ან პროფესიონალი ექსპერტების მომსახურებისა და დახმარების ანაზღაურება გარკვეული ოდენობით ან მუშაობის განსაზღვრულ პერიოდში თითოეულ პირზე გაანგარიშებით.

5.122. კონკრეტულ ხელშეკრულებაში სამრეწველო საკუთრებაზე ლიცენზიის ან ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ შეიძლება ანაზღაურების ამ ფორმების ერთმანეთში კომბინირება. ამ შემთხვევაში მყარი თანხის ფორმას შეუძლია მთლიანად შეცვალოს როიალტის სისტემა, თუმცა სხვა შემთხვევაში შეიძლება მათი ამა თუ იმ გზით კომბინირება. სხვა შემთხვევაში ლიცენზიატს ან ტექნოლოგიის მიმღებს შეიძლება მიეცეს არჩევანი გადაიხადოს როიალტი პროდუქციის ერთეულიდან და არა გაყიდვის ერთეულიდან. ტექნიკური მომსახურებისა და ხელშეწყობის ჰონორარის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ცალკე ან დადგინდეს საჭიროებისამებრ.

5.123. უნდა აქვე აღინიშნოს, რომ, როგორც ეს ქვემოთ იქნება განხილული, ზოგიერთი ქვეყნის ტექნოლოგიის გადაცემის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით ცალკეული უფლებები ან ტექნოლოგიის ელემენტები უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე და ცალკე ლიცენზიის ან ხელშეკრულების საგანიც კი უნდა გახდნენ.

(i) მყარი თანხა

5.124. სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების გადაცემისას მყარი თანხის გადახდა შეიძლება მოხდეს გადაცემის მომენტისათვის, ხოლო სამრეწველო საკუთრებაზე ლიცენზიის ან ტექნოლოგიის გადაცემაზე ხელშეკრულების შემთხვევაში – ლიცენზიის ან ხელშეკრულების დადებისათვის ან რაღაც დროის შემდეგ ამ მომენტიდან ერთჯერადი გადასახადის ან მიმდევრობითი გადასახადების სერიის სახით. ეს გადასახადები შეიძლება დაკავშირებული იყოს განსაზღვრულ მოვლენებთან, მაგალითად, ლიცენზიის ან ხელშეკრულების ხელმოწერასთან ან გარკვეული ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებასთან.

5.125. მყარი თანხის გადახდა ხშირად ხდება სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მთლიანად შეძენისას, შესყიდვის ან უფლებების გადაცემის გზით, აგრეთვე, სამრეწველო საკუთრების უფლებებზე ლიცენზიის გაცემის ან ნოუ-ჰაუს გადაცემის შემთხვევაში, როდესაც ტექნოლოგია შეიძლება გადაიცეს ერთბაშად და მთლიანად და ლიცენზიატი ან მიმღები მზად არის იგი მთლიანად მიიღოს და გამოიყენოს. ასეთი ანაზღაურება გამოიყენება უფლებების გადაცემისას მარტივ ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ ნოუ-ჰაუზე. ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების თვალსაზრისით, იგი შესაფერისია, თუ ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის მხრიდან არ არის აუცილებელი ტექნიკური გაუმჯობესებების ან პროდუქციის მარკეტინგის შესახებ ტექნიკური ინფორმაციისა და დახმარების უწყვეტი მიწოდება ლიცენზიატისთვის ან ტექნოლოგიის მიმღებისთვის. მაგალითად, მყარი თანხა შეიძლება გადახდილი იქნეს უფლებების მისაღებად დაპატენტებულ პროდუქციაზე ან ხერხზე, ანდა ნახაზების, სპეციფიკაციების ან სხვა ტექნიკური ინფორმაციის კომპლექტზე, რაც თავისთავად საკმარისია ლიცენზიატისთვის ან ტექნოლოგიის მიმღებისათვის გარკვეული პროდუქციის საწარმოებლად და გასაყიდად.
5.126. ზოგიერთ ქვეყანაში, ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ კანო-ნების მიხედვით, გადახდა მყარი თანხის სახით სამრეწველო საკუთ-რებაზე ან ტექნოლოგიაზე უფლებების შეძენისას შეიძლება გან-ხორციელდეს მხოლოდ გარკვეულ პირობებში. ერთ-ერთი ასეთი კა-ნონის თანახმად, მყარი თანხა შეიძლება გადახდილი იქნეს გან-საზღვრული სახელმწიფო ორგანოს ნებართვით, თუკი შეიძლება ამ თანხის წინასწარ განსაზღვრა გაყიდვების მოცულობის შეფასების საფუძველზე ლიცენზიის ან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, და თუ ამ თანხის სიდიდე არის იმ მაქსიმალურ ზღვრებში, რომლებიც დადგენილია ეკონომიკის მოცემული სექტორისათვის, საქმიანობის ამ სახისათვის ან ამ პროდუქტისათვის.

(ii) როიალტი

5.127. როგორც ზემოთ აღინიშნა, როიალტი არის შემდგომ გაანგარიშებული პერიოდული გადასახადი, რომლის სიდიდე იანგარიშება ეკონომიკური გამოყენებიდან ან შედეგიდან გამომდინარე.

5.128. პერიოდულ გადასახადსა და ეკონომიკურ გამოყენებას ან შედეგს შორის ამ ფუნქციური დამოკიდებულების დასადგენად ლიცენზიის ან შეთანხმების დებულებები შეიძლება ეყრდნობოდეს წარმოების მოცულობას, ტექნოლოგიის გამოყენებით წარმოებული პროდუქციის გასაყიდ ფასს (ან, სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიის შემთხვევაში, ამ ნიშნით გასაყიდი პროდუქციის ფასს), ან ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების მოგებას.

5.129. როგორც ადრე აღინიშნა, ზოგიერთ ქვეყანაში ტექნოლოგიის გადაცემის მარეგულირებელი კანონების თანახმად როიალტი არის ანაზღაურების ერთადერთი ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს გათვალისწინებული ზოგიერთი სახის ლიცენზია სამრეწველო საკუთრებაზე ან ხელშეკრულებებში ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ. კერძოდ, ასეთი კანონები ითხოვენ, რომ როიალტი უნდა დადგინდეს პროცენტული შეფარდებით ან ფიქსირებული მნიშვნელობით ერთეულ პროდუქციაზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში გასაყიდი ფასის საფუძველზე ან მასთან დამოკიდებულებაში, ან, სადაც ეს მისაღებია, იგი უნდა იყოს დაკავშირებული პროდუქციის გაყიდვით მიღებულ მოგებასთან.

(iii) მყარი თანხისა და როიალტის შედარება

5.130. მყარი თანხა ხასიათდება იმით, რომ შესაბამისი ვალდებულება სრულდება დაუყონებლივ ან საკმარისად სწრაფად. გარდა ამისა, მხარეებს არ უწევთ ხანგრძლივი ანგარიშსწორება, მათი სისწორისა და თანხების გადარიცხვის კონტროლი, რასაც ადგილი აქვს როიალტის გადახდისას.

5.131. მყარ თანხას როიალტისთან შედარებით შეიძლება ჰქონდეს გარკვეული საგადასახადო უპირატესობა. დროში გაწელილი როიალტის გადახდა დაბეგვრის თვალსაზრისით განიხილება, როგორც ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის შემოსავალი და

ამიტომაც როიალტი ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. ერთდროულად, და თუნდაც ნაწილ-ნაწილ გადასახადი მყარი თანხა განიხილება, როგორც გაყიდვის ან შეძენის ოპერაციის ანალოგი იმავე ფინანსური შედეგით, თუკი, ამავე დროს, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების გადაცემას და ნოუ-ჰაუს მიწოდებას განვიხილავთ საქონლის გაყიდვის ანალოგიურად. ლიცენზიარს ან ტექნოლოგიის მიმწოდებელს ასევე მოუწევს გადასახადის გადახდა მიღებული მყარი თანხიდან. მაგრამ ერთდროული მყარი თანხა შეიძლება დაიბეგროს სხვა (ხშირად უფრო მაღალი) გადასახადით, ვიდრე შემოსავალი როიალტის სახით. ზოგიერთი საგადასახადო კანონის მიხედვით, შეიძლება ერთდროულ მყარ თანხაზე უფრო მაღალი ან პროგრესული გადასახადების თავიდან აცილება, თუ ეს სახსრები ჩაიდება მოწყობილობებში და გადახდილი იქნება რამდენიმე ფისკალური წლის მანძილზე, რითაც ისინი მოხვდებიან უფრო დაბალი საგადასახადო განაკვეთების ქვეშ.

5.132. როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მეტ-ნაკლებად ერთჯერადი ქმედება არის გაანგარიშებადი ღირებულების მქონე, მაშინ მყარი თანხის გადახდას შეიძლება მოჰყვეს ორივე მხარისათვის ეკონომიკურად უფრო გამართლებული შედეგები. თუ, მაგალითად, მიღწეულია გაყიდვების მოულოდნელად მაღალი მოცულობა, განსაკუთრებით ვალუტის კურსის ცვალებადობის ან სხვა ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, როიალტის სისტემას მივყავართ მოულოდნელ და გაუმართლებლ უკუგებამდე ლიცენზიარისათვის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლისათვის. მყარი თანხის გადახდისას ლიცენზიარი ან ტექნოლოგიის მიმწოდებელი მიიღებდა მხოლოდ თავისი ერთჯერადი ქმედების შესაბამის გაანგარიშებულ ანაზღაურებას, რომელიც, მისი აზრით, გამართლებული იყო ხელშეკრულების დადების მომენტში.

5.133. მეორეს მხრივ, მყარი თანხით ანაზღაურებაც შეიძლება სარისკო იყოს ლიცენზიატისთვის ან ტექნოლოგიის მიმღებისათვის, თუ პროდუქციის წარმოება ან გაყიდვა მოსალოდნელ მოცულობაზე ნაკლები იქნება და მყარი თანხა აღმოჩნდება ლიცენზიარის ან

ტექნოლოგიის მიმწოდებლის ქმედების ეკონომიკური ღირებულების არაპროპორციული.

(iv) მყარი თანხისა და როიალტის კომბინირებული გადახდა

5.134. ბევრ შემთხვევაში სამრეწველო საკუთრების ან ნოუ-ჰაუს უფლებებზე ანაზღაურება არის მყარი თანხისა და როიალტის გადახდის კომბინაცია.

5.135. მყარი თანხის გადახდა ხშირად განიხილება როგორც პირველადი გადასახადი ინფორმაციის გახსნისათვის, რომელიც პოტენციურ ლიცენზიატს ან ტექნოლოგიის მიმღებს აძლევს ამ ტექნოლოგიის შეფასების შესაძლებლობას. ლიცენზიარი ან ტექნოლოგიის მიმწოდებელი ასეთ გადასახადს განიხილავს როგორც პირველად ანაზღაურებას იმ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის, რომლებზედაც ტექნოლოგია არის დაფუძნებული. პირველადი გადასახადის რეალური სიდიდე სხვადასხვა შემთხვევისთვის მნიშვნელოვნად განსხვავებულია და შეიძლება შეადგინოს დაწყებული მცირე თანხიდან საწყისი ტექნიკური ინფორმაციის მიწოდებისთვის, დამთავრებული საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხებით რთული ტექნოლოგიისათვის, რომელიც მოითხოვს სერიოზულ კვლევასა და დამუშავებას. ზოგიერთ შემთხვევაში მყარი თანხის პირველადი გადახდა შეიძლება განხილული იქნეს როგორც მინიმალური ანაზღაურება ან ჩაითვალოს წინასწარ გადახდად ან ავანსად როიალტისთან მიმართებაში. ამას გარდა, ტექნოლოგიის მისაღებად ლიცენზიატს შეიძლება მიეცეს მყარი თანხის დამატებითი გადახდის შესაძლებლობა, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული ან შეთანხმებული გადახდის ასეთი ფორმის შერჩევის მომენტში, უკვე გადახდილი როიალტის გათვალისწინებით.

5.136. მყარი თანხისა და როიალტის კომბინირებული გადახდის სახით ანაზღაურებაზე მოლაპარაკებისას ლიცენზიატმა ან ტექნოლოგიის მიმღებმა უნდა ზედმიწევნით შეაფასოს ამ ანაზღაურების საერთო სიდიდე და პირობები სხვადასხვა კომბინაციების ფორმებთან შედარებით. მაგალითად, გადასახდელი მყარი თანხის სიდიდის შეფასებისას მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთების გათვალისწინება,

მაშინ, როცა როიალტის პროცენტის შეფასებისას არსებითია წარმოების მოცულობისა და გაყიდვებიდან შემოსული თანხების პროგნოზი ლიცენზიის ან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

(v) ტექნიკური მომსახურებისა და დახმარების საფასურები

5.137. ტექნოლოგიის გადაცემისას ან პროდუქციის მარკეტინგისას გარკვეული სასაქონლო ნიშნით, შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის მხრიდან კონკრეტული ტექნიკური მომსახურების გაწევა და დახმარება, რაც ცალკე უნდა ანაზღაურდეს.

5.138. პატენტზე ან სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიასთან ან ტექნიკურ ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურებისა და დახმარების ანაზღაურება შეიცავს: ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების თანამშრომელთა სწავლების პროგრამათა ღირებულებას; ტექნიკური მომსახურებისა და დახმარების ანაზღაურებას, რომელსაც ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის ტექნიკური ექსპერტები გაუწევენ ლიცენზიატს ან ტექნოლოგიის მიმღებს მისსავე საწარმოში ლიცენზიის ან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში; ტექნიკური მომსახურების ან დახმარების ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების საწარმოში ტექნოლოგიის გამოყენებისთვის აუცილებელ ჩარხებსა და დანადგარებთან ან წარმოების სხვა საშუალებებთან.

(C) არაპირდაპირი და არაფულადი ანაზღაურება

(i) შემოსავალი თანმხლები ოპერაციებიდან

5.139. ლიცენზიარმა ან ტექნოლოგიის მიმწოდებელმა შემოსავალი შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ოპერაციებიდან, როგორიცაა: საკომისიოები პროდუქციის გაყიდვიდან ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების სახელით ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის გასაღების არხების მეშვეობით; შემოსავლები პროდუქციის გაყიდვიდან, რომელიც მიეწოდება ლიცენზიარს ან ტექნოლოგიის მიმწოდებელს განსაკუთრებული მიწოდების შესახებ შეთანხმების თანახმად;

შემოსავლები ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღებისთვის დამატებითი პროდუქციის გაყიდვისაგან, რომელიც უზრუნველყოფს მარკეტინგის პროგრამას; შემოსავლები ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღებისათვის ნედლეულის, შუალედური პროდუქტის, ნაწილების ან კომპონენტების გაყიდვიდან; აგრეთვე, შემოსავალი საიჯარო გადასახადი დანადგარებზე ან წარმოების სხვა საშუალებებზე, რომელთაც ლიცენზიარი ან ტექნოლოგიის მიმწოდებელი გადასცემს ლიცენზიატს ან ტექნოლოგიის მიმღებს.

(ii) დივიდენდები

5.140. თუ ლიცენზიარი ან ტექნოლოგიის მიმწოდებელი თანახმაა ფინანსური მონაწილეობის მიღებაზე ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების წარმოებაში ან თუ ისინი ქმნიან ერთობლივ საწარმოს, მაშინ ლიცენზიარი ან ტექნოლოგიის მიმწოდებელი, წარმატებული კომერციული ოპერაციების შემთხვევაში, იღებს დივიდენდებს თავისი ფინანსური მონაწილეობისათვის. თუ კომერციული ოპერაციების არსებითი ნაწილი დამოკიდებულია სამრეწველო საკუთრების უფლებებზე ან ლიცენზიარის ტექნოლოგიაზე, ანდა ტექნოლოგიის მიმწოდებელზე, შეიძლება პირდაპირი დამოკიდებულება იყოს როიალტისა და დივიდენდების სიდიდეებს შორის: რაც უფრო მეტია როიალტი, მით ნაკლებია დივიდენდი და პირიქით. მონაწილეობის ხარისხს, აგრეთვე, საფინანსო და საგადასახადო ფაქტორებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ გადასახადის თითოეული ფორმის ოდენობასა და რეზერვების წარმოქმნაზე ან მოგებიდან ანარიცხებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური მონაწილეობის მოცულობის გაზრდა.

5.141. ამ კონტექსში საჭიროა ყურადღება მიექცეს ზოგიერთი იმ ქვეყნის ტექნოლოგიის გადაცემის მარეგულირებელ კანონს, რომლებიც მოგებად თვლიან სამრეწველო საკუთრების უფლებების ან ტექნოლოგიის ფასის ანაზღაურებას ფილიალსა და სათავო კომპანიას შორის ან ფილიალებს შორის. ყურადღების გამახვილებაა საჭირო მაშინაც, როდესაც მხარეებს შორის არსებობს ეკონომიკური ან ინტერესების ერთიანობა, ან როცა ტექნოლოგიის მიმწოდებელი ახორციელებს

ტექნოლოგიის მიმღების ეფექტიან ტექნიკურ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ და კომერციულ მართვას, ანდა როცა ტექნოლოგიის მიმწოდებელი აწვდის მიმღებ მხარეს პროცესში გამოსაყენებლად ნედლეულს ან შუალედურ პროდუქტს იმ ოდენობით, რომელიც აღემატება პროდუქციის ღირებულების განსაზღვრულ პროცენტს. ზოგიერთი ამ კანონთაგანი ითვალისწინებს, რომ ამ შემთხვევებში არ შეიძლება არც მყარი თანხისა და არც როიალტის განხილვა შენატანად საწესდებო კაპიტალში და მათ არ შეუძლიათ შეადგინონ წილი ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების საწარმოს მოგებაში ან ფონდებში. ამ დროს არ შეიძლება მათი გამორიცხვა მოგებაზე გადასახადის გაანგარიშებიდან.

5.142. ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტექნოლოგიის გადაცემასთან დაკავშირებული კანონების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიატს ან ტექნოლოგიის მიმღებს შეუძლია როიალტის გადახდა ლიცენზიარისთვის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლისათვის იმ შემთვევაშიც კი, თუ ამ უკანასკნელს აქვს ფინანსური მონაწილეობა, აუცილებელია ასეთი როიალტის სიდიდის მნიშვნელოვნად შემცირება, თუ ლიცენზიარს ან ტექნოლოგიის მიმწოდებელს გააჩნია უპირატესი წილი ლიცენზიატთან ან ტექნოლოგიის მიმღებთან შედარებით. გარდა ამისა, ჩვეულებრივ, არ დაიშვება როიალტის გადახდა მთლიანად უცხოეთის საკუთრებაში მყოფი კომპანიის მიერ მისი უცხოური სათავო კომპანიისათვის.

(iii) ღონისძიებები ღირებულების ცვლილების ან ხარჯებში მონაწილეობის შესახებ

5.143 ღირებულების ცვლილებასთან ან ხარჯებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებამ, მაგალითად, პატენტის ან სასაქონლო ნიშნის უფლებების დაცვის ან შენარჩუნების ხარჯების მიმართ, შეიძლება გამოიწვიოს ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის დანახარჯების შემცირება და ტექნოლოგიის გადაცემის გარიგების ღირებულების გაზრდა ლიცენზიატისთვის ან ტექნოლოგიის მიმღებისთვის.

(iv) უკუკავშირი ტექნიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებით

5.144. ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების ტექნიკური ნოუ-ჰაუ, რომელიც უკან გადაეცემა ლიცენზიარს ან ტექნოლოგიის მიმწოდებელს, ასევე შეიძლება გახდეს ამ უკანასკნელის შემოსავლის წყარო.

(v) ბაზრის შესახებ მონაცემების მიღება

5.145. ლიცენზიარმა ან ტექნოლოგიის მიმწოდებელმა შეიძლება სარგებლობა მიიღოს ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების მიერ მიწოდებული ინფორმაციით, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის მარკეტინგთან ადგილობრივ ტერიტორიაზე, გაყიდვების ხელშეწყობის ახალი ხერხების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, რაც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს პროდუქციის მარკეტინგისათვის სხვა ტერიტორიაზეც.

(vi) ღირებულების შემცირება და სახსრების ეკონომია ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღებისათვის

5.146. ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ კონკრეტული გარიგების ზოგიერთმა ელემენტმა შეიძლება გამოიწვიოს ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების მიმდინარე ხარჯების შემცირება ან სხვა სახის ეკონომია ტექნოლოგიის მიმღებისათვის.

5.147. შეიძლება აღინიშნოს ისეთი ზომები, როგორიცაა, ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების მიერ ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის გასაღების არხების გამოყენება; ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნის უსასყიდლოდ გამოყენება; ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების დაშვება ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის ინფორმაციასთან – არსებულ გამოგონებებში გაუმჯობესებათა შესახებ, ან ნოუ-ჰაუს განვითარების თაობაზე, ანდა ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის ახალი გამოგონებების შესახებ, ან ახალი უფლებების თაობაზე ამ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებებთან დაკავშირებით; და აგრეთვე, სარგებლის მიღების შესაძლებლობა მარკეტინგული ინფორმაციიდან და ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის სხვა ტექნიკური მომსახურებისა და დახმარებიდან.

(d) ვალდებულებებისა და საფასურების ვალუტის აღწერა

5.148. ვალუტის მითითებისას აუცილებელია ორი ასპექტის ერთმანეთისგან განსხვავება. პირველი ეხება ვალუტის განსაზღვრას, რომელშიც ხორციელდება გადახდის ვალდებულებათა გაანგარიშება, ხოლო მეორე – ვალუტის შერჩევას, რომელშიც უნდა განხორციელდეს გადახდა, რათა დააკმაყოფილოს ეს ვალდებულებები. ვალდებულებათა ვალუტა და გადახდის ვალუტა შეიძლება ერთი და იგივე იყოს. მაგრამ ეს არ არის აუცილებელი და რეალობაში ისინი სხვადასხვა შეიძლება იყოს, როგორც ეს ხშირად ხდება საერთაშორისო კომერციული გარიგებისას.

(i) ვალდებულებათა ვალუტა

5.149. ერთდროულად გადასახდელი თანხის შემთხვევაში, ვალდებულებათა ვალუტა შეიძლება იყოს ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის ქვეყნის ვალუტა, ანდა ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების ქვეყნის ვალუტა, ან სულაც მესამე ქვეყნის ვალუტა.

5.150. როიალტის შემთხვევაში, თუ მისი სიდიდე დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე და არ არის დაკავშირებული ერთეული პროდუქციის ღირებულებასთან, შეიძლება შეირჩეს ან იმ ქვეყნის ვალუტა, სადაც ხორციელდება წარმოება, ან სხვა ქვეყნის ვალუტა. თუ როიალტის სიდიდე დაკავშირებულია გაყიდვების მოცულობასთან, შეიძლება შეირჩეს იმ ქვეყნის ვალუტა, სადაც ეს გაყიდვები ხორციელდება. თუ მოსალოდნელია საექსპორტო გაყიდვები, შეიძლება შეირჩეს ერთზე მეტი ვალუტა – ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების ქვეყნის ვალუტა, სადაც ხორციელდება წარმოება და შიდა ბაზარზე გაყიდვა, და იმ ქვეყნის ან ქვეყნების ვალუტა ან ვალუტები, რომლებშიც ხორციელდება საექსპორტო გაყიდვები. თუ როიალტის სიდიდე დაკავშირებულია ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების საწარმოს მოგებასთან, შეიძლება შერჩეული იქნეს იმ ქვეყნის ვალუტა, სადაც ეს საწარმო იურიდიულად არის რეგისტრირებული.

5.151. რაც შეეხება ჰონორარებს ტექნიკური მომსახურების ან დახმარებისთვის, არჩევანი, ალბათ, უნდა გაკეთდეს ექსპერტის ქვეყნის ვალუტასა და იმ ქვეყნის ვალუტას შორის, რომელშიც მომსახურება

იქნება გაწეული. მაგრამ, როდესაც მომსახურება ხორციელდება ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების ქვეყანაში მივლინებული ექსპერტების მიერ, ანაზღაურება, როგორც წესი, განისაზღვრება ექსპერტის ქვეყნის ვალუტაში, მთლიანი ან ნაწილობრივი გადახდით, დარჩენილი თანხა კი, თუკი ასეთი იქნება, საცხოვრებელ და სხვა ხარჯებთან ერთად – ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების ქვეყნის ვალუტაში.

5.152. ზოგიერთ ქვეყანაში, ტექნოლოგიის გადაცემის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებულია, რომ ვალდებულებათა ვალუტა უნდა იყოს ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების ქვეყნის ვალუტა, თუმცა გადახდები საზღვარგარეთ შეიძლება განხორციელდეს ეკვივალენტურ უცხოურ ვალუტაში. მაგრამ ამავე დროს, ზოგიერთი ამ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებათა ვალუტა შეიძლება იყოს უცხოური ვალუტა, ამ ქვეყნის ვალუტით უნდა იყოს ანაზღაურებული სულ ცოტა ის ხარჯები მაინც, რომლებიც დაკავშირებულია ექსპერტების შენახვასთან ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების ქვეყანაში.

5.153. გადახდის ვალუტის შერჩევა შეიძლება განსაზღვროს მრავალმა ფაქტორმა. მაგალითად, როგორიცაა: შეიძლება თუ არა ლიცენზიარის ან ტექნოლოგიის მიმწოდებლის მიერ ვალდებულებათა ვალუტის გამოყენება ამ ვალუტის ქვეყანაში; ინფლაციის დონე ვალდებულებათა ვალუტის ქვეყანაში; მოცემული ვალუტის სტაბილურობა სხვა ვალუტებთან შედარებით საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე; ვალუტის გადაცვლის რეგულირების არსებობა ვალდებულებათა ვალუტის ქვეყანაში ან იმ ქვეყანაში, სადაც გენერირებულია ლიცენზიატის ან ტექნოლოგიის მიმღების შემოსავლები; აგრეთვე, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესაძლებლობა, რითაც შესაძლებელი იქნება გარკვეული სარგებლის უზრუნველყოფა ამა თუ იმ მხარისათვის.

(ii) გაცვლითი კურსი

5.154. იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდის შერჩეული ვალუტა განსხვავდება ვალდებულებათა ვალუტისაგან, ლიცენზიის ან ხელ-

შეკრულების პირობებში ჩვეულებრივ ფიგურირებს გაცვლითი კურსი. არსებული სხვადასხვა გაცვლითი კურსებიდან შეიძლება შერჩეულ იქნეს ნებისმიერი, მაგალითად, ეროვნული საფინანსო ორგანოების მიერ დადგენილი ოფიციალური კურსი, ან კომერციული კურსი, რომელიც, მაგალითად, გამოიყენება სატელეგრაფო გადაგზავნისას, ან გაყიდვის სხვა კურსი, ან კონკრეტული ადგილობრივი ან უცხოური ბანკის სხვა კურსი.

<u>ლიტერატურა</u>

იუსმოლ-ს საერთაშორისო ბიურო, <u>ლიცენზირების ინსტრუქცია განვითარებადი ქვეყნებისათვის</u>, იუსმოლ-ს პუბლიკაცია N620(E) (1977, 1992).

E. ინტელექტუალურ საკუთრებაზე ლიცენზიის სახეობები

(a) შესავალი

5.155. ინტელექტუალურ საკუთრებაზე ლიცენზიის ტიპური დებულებები ზოგადი სახით ზემოთ იყო განხილული. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი.

(b) საპატენტო ლიცენზიები

5.156. საპატენტო ლიცენზიისას ხელშეკრულების მიზანია ნებართვის გაცემა პატენტით დაცული გამოგონების გამოყენებაზე. შესაბამისი პატენტის იდენტიფიცირება ხდება იმ ქვეყნის სახელწოდებით, სადაც იგი გაიცა და აგრეთვე, პატენტის ნომრით. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმსაზღვრელ პრეამბულაში ან მუხლში, ჩვეულებრივ, მოკლედაა მითითებული გამოგონების ტექნიკური არსი. თუ ლიცენზია ეხება სხვადასხვა ქვეყნაში გაცემულ პატენტებს, ხშირად კეთდება მითითება ცალკე დანართზე. მიზანშეწონილია იმ ქვეყნების ზუსტად მითითება, სადაც განაცხადები პატენტებზე განხილვის პროცესშია და განსაზღვრა იმისა, თუ რომელი მხარეა პასუხისმგებელი

პატენტის ძალაში შესანარჩუნებლად საჭირო ადმინისტრაციული და სამართლებრივი ფორმალობების განხორციელებაზე.

5.157. პატენტი იძლევა რიგ განსაკუთრებულ უფლებებს, როგორიცაა: გამოგონების გამოყენება, წარმოება, მისი გაყიდვა ან ბაზარზე განთავსება. საზოგადოდ, ლიცენზია უზრუნველყოფს ლიცენზიატის უფლებამოსილებას ყველა ამ ქმედების შესრულებაზე.

5.158. ლიცენზია შეიძლება იყოს განსაკუთრებული, ერთეული ან მარტივი. განსაკუთრებული ლიცენზია იძლევა გარანტიას, რომ ლიცენზიატს არ ექნება კონკურენცია, თვით ლიცენზიარისა და მასზე დამოკიდებული სუბიექტების მხრიდანაც კი. ეს აღნიშნული უნდა იყოს ხელშეკრულებაში. ერთეული ლიცენზია აძლევს ლიცენზიატს იმის გარანტიას, რომ ლიცენზიარი არ გასცემს ლიცენზიებს სხვა მწარმოებლებზე შეთანხმებულ ტერიტორიაზე. მარტივი ლიცენზია ამასთან დაკავშირებით გარანტიებს არ იძლევა, იგი წარმოადგენს მხოლოდ ნებართვას გამოგონების გამოყენებაზე.

5.159. უკანასკნელ შემთხვევაში რეკომენდირებულია ხელშეკრულებაში დებულების ჩართვა, რომელიც ცნობილია როგორც "პუნქტი ლიცენზიატისთვის უპირატესი ხელშეწყობის შესახებ". ასეთი დებულება უზრუნველყოფს ლიცენზიატისთვის უპირატესი ხელშეწყობის პირობებით სარგებლობას. ეს პირობები შეიძლება შემდგომში შეექმნას მომდევნო ლიცენზიატს (იმავე ტერიტორიაზე). ამით გამოირიცხება კონკურენტუნარიანობის დარღვევა, რაც შეიძლება ყოფილიყო ტექნოლოგიის მიწოდების სხვადასხვა სახელშეკრულებო პირობების შედეგი.

(c) ლიცენზიები სასაქონლო ნიშანზე

5.160. სასაქონლო ნიშნების ლიცენზირება შედარებით ცოტა ხნის წინ გაჩნდა. ვინაიდან სასაქონლო ნიშნის პირველადი ფუნქციაა საქონლის წარმოშობის აღნიშვნა, საქონელს, რომელიც წარმოშობილია სხვა წყაროდან და არა სასაქონლო ნიშნის მფლობელიდან, არ შეუძლია ატაროს ლიცენზიარის სასაქონლო ნიშანი შეცდომაში შეყვანის გარეშე. სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიის გაცემა ლიცენზიარს ხდის დაუცველს გამოუყენებლობის ბრალდებისა და ნიშნის რეგისტრაციის

გაუქმების მიმართ. ლიცენზიარის მხრიდან ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფამ ლიცენზიატის მიერ შესაბამისი სასაქონლო ნიშნით გამოშვებულ პროდუქციაზე, გზა მისცა მოსაზრებას, რომ ამგვარი კონტროლით სასაქონლო ნიშნის ჩამორთმევა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული. ეს აზრი დაედო საფუძვლად დებულებას რეგისტრირებული გამომყენებლების შესახებ, რაც შესულია სასაქონლო ნიშნების შესახებ საკანონმდებლო აქტების უმეტესობაში უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე.

5.161. რეგისტრირებული გამომყენებლების შესახებ დებულებათა უმეტესობა ლიცენზიის მხარეებისგან მოითხოვს ხელშეკრულების სარეგისტრაციო ორგანოში წარდგენას, რომელიც ავალდებულებს ასეთ ორგანოს უზრუნველყოს ლიცენზიარის მიერ განსახორციელებელი ხარისხის კონტროლის სახეობა და ფარგლები. სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ამ ხელშეკრულების რეგისტრაცია შეესაბამება ეროვნულ ინტერესებს. მან უარი უნდა განაცხადოს იმ ხელშეკრულების რეგისტრაციაზე, რომელიც, მისი აზრით, ხელს უწყობს თაღლითობას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რეგისტრაცია არ არის არსებითი სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიის ძალაში ყოფნისათვის. რეგისტრაციის შესახებ დებულებების არსებობა შესაძლოა, მაგრამ არა – სავალდებულო. იმ პირობით, რომ ლიცენზიარი ინარჩუნებს კონტროლს ლიცენზირებული პროდუქციის ხარისხზე და კავშირს მასთან, შეიძლება სასაქონლო ნიშნის ჩამორთმევის თავიდან აცილება.

5.162. ლიცენზია სასაქონლო ნიშანზე შეიძლება გაიცეს, როგორც პატენტსა და ნოუ-ჰაუზე ლიცენზიის დამატება ან მათგან ცალკე. დებულებებიდან, რომლებიც დამახასიათებელია სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიების უმრავლესობისთვის, აღსანიშნავია შემდეგი:

5.163. *<u>ნებართვა გამოყენებაზე</u>*. სალიცენზიო ხელშეკრულებათა უმეტესობაში ერთ-ერთ პირველ დებულებას წარმოადგენს ნებართვის გაცემა შესაბამისი სასაქონლო ნიშნის გაამოყენებაზე. ნიშნის ან ნიშნების შესახებ დეტალური მონაცემები, ჩვეულებრივ, მითითებულია სალიცენზიო ხელშეკრულებაზე თანდართულ ჩამონათვალში, იმ პროდუქტებთან ერთად, რომელთა მიმართაც ეს ნიშანი გამოიყენება.

5.164. *ლიცენზიატების რაოდენობა.* ლიცენზიატისათვის მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ რამდენი სხვა ლიცენზიატი იქნება დაშვებული ლიცენზიის მოქმედების ტერიტორიაზე საქმიანობისთვის. მნიშვნელოვანია ასევე გაირკვეს, აპირებს თუ არა ლიცენზიარი თავისი საქონლის ამ ტერიტორიაზე გავრცელებას. და ბოლოს, ლიცენზიატისთვის მნიშვნელოვანია, სხვა ლიცენზიატების დაშვების შემთხვევაში, რომ მისი კონკურენტები დაშვებული იყვნენ შესადარისი პირობებით.

5.165. *ხარისხის კონტროლი.* როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ხელშეკრულებაში რეგისტრირებული გამომყენებლის შესახებ დევს დებულება, რომ ლიცენზიატი არ გამოიყენებს ნიშანს პროდუქციაზე, რომელიც არ პასუხობს ლიცენზიარის მიერ მითითებულ ხარისხის სტანდარტებს. დებულებები ხარისხის კონტროლის შესახებ ითვალისწინებენ, რომ გამომყენებელი კონფიდენციალურ საფუძველზე იღებს ლიცენზიარის ყველა სპეციფიკაციას, ტექნიკურ მონაცემებს და ნოუ-ჰაუს, რათა დააკმაყოფილოს ხარისხის სტანდარტის მოთხოვნები. ამ დებულების შესასრულებლად, ჩვეულებრივ საჭიროა, რომ გამომყენებელმა გაუგზავნოს პროდუქციის ნიმუშები ლიცენზიარს და მისცეს მას თავისი საწარმოს, საწყობების, წარმოების მეთოდების, გამოყენებული მასალების, შენახვის პირობებისა და მზა პროდუქციის შეფუთვის შემოწმების ნებართვა. ხელშეკრულება გამომყენებელს უნდა აძლევდეს იმ პროდუქციის განკარგვის უფლებას, რომელიც არ შეესაბამება ხარისხის სტანდარტებს, იმ პირობით, რომ მასზე არ იქნება სასაქონლო ნიშანი.

5.166. *მარკეტინგი.* ლიცენზიაში აღნიშნულია ტერიტორია, რომელზეც შეიძლება სასაქონლო ნიშნის გამოყენება. ლიცენზია ჩვეულებრივ შეიცავს აკრძალვას სავაჭრო ოპერაციებზე ამ ტერიტორიის გარეთ, აგრეთვე დებულებებს, რომლებიც ტოვებენ ლიცენზიარს ლიცენზიის ტერიტორიის გარეთ. ლიცენზიატის მიერ გამოყენებულ სარეკლამო მასალებზე შეიძლება საჭირო იყოს ლიცენზიარის თანხმობა.

5.167. *ფინანსური პირობები.* სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე ნებართვის საფასურებთან ან როიალტისთან ერთად, ლიცენზიარმა შეიძლება, აგრეთვე, დამატებით მოითხოვოს ანაზღაურება კონსულტაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც ლიცენზიარის სპეციალისტე-

ბი უწევენ ლიცენზიატის მუშაკებს, ხელშეკრულებით დადგენილი ხარისხის სტანდარტების მისაღწევად საჭირო მასალების თაობაზე. გათვალისწინებულია საცდელ ნიმუშებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების პირობებიც. და ბოლოს, ლიცენზიატს ჩვეულებრივ მოეთხოვება დაწვრილებითი დოკუმენტაციისა და ჩანაწერების წარმოება სასაქონლო ნიშნის მქონე პროდუქციის გაყიდვის შესახებ.

5.168. *დარღვევები.* ლიცენზიატს, ჩვეულებრივ, მოეთხოვება შეატყობინოს ლიცენზიარს ყველა მონაცემი მომხდარი დარღვევების შესახებ და ლიცენზიარი, როგორც წესი, მონაწილეობს ამ დარღვევებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში.

(d) ლიცენზიები საავტორო უფლებებზე (გამოცემა)

5.169. გამოცემაზე ხელშეკრულების შემთხვევაში საავტორო უფლებების მფლობელისათვის აუცილებელი არაა გაუყოს ვინმეს თავისი საავტორო უფლებები, ან თავისი ნაწარმოების გამოცემაზე კონტროლის უფლება, და, ჩვეულებრივ, იგი არც აპირებს ამის გაკეთებას. საავტორო უფლებების შესახებ ზოგიერთი კანონის მიხედვით, რომელიც განიხილავს ავტორის ეკონომიკურ უფლებას თავისი ნაწარმოების გამოცემაზე განუყოფლად მისი არაქონებრივი უფლებისგან, ავტორის უფლების გადაცემა ნაწარმოების პუბლიკაციაზე შესაძლოა შეუძლებელიც კი აღმოჩნდეს. პუბლიკაციაზე ხელშეკრულების დადებისას საავტორო უფლებების მფლობელი მხოლოდ ზღუდავს თავის უფლებას გამოსაქვეყნებელ ნაწარმოებზე იმ ზომით, რომელიც საჭიროა გამომცემლისათვის თავისი სამუშაოს შესასრულებლად. ამავე დროს საავტორო უფლებების მფლობელობა არ იცვლება, იგი რჩება ავტორს ან საავტორო უფლებების სხვა მესაკუთრეს.

5.170. ამრიგად, ტიპური საგამომცემლო ხელშეკრულება არის უბრალო ლიცენზია, რომელსაც საავტორო უფლებების მფლობელი გასცემს გამომცემელს. იმისათვის, რომ ლიცენზია გამომცემლისათვის იყოს ღირებული, იგი უნდა აძლევდეს მას საშუალებას, დაიცვას თავისი საგამომცემლო საქმიანობა მესამე პირებისაგან.

5.171. საავტორო უფლებების სფეროში ლიცენზია საზოგადოდ გაგებულია, როგორც ნებართვა, რომელსაც ავტორი ან საავტორო

უფლებების სხვა მესაკუთრე (ლიცენზიარი) გასცემს ნაწარმოების გამომყენებელ პირზე (გამომცემელზე ან სხვა ლიცენზიატზე), მისი ურთიერთშეთანხმებული სახითა და პირობებით, გამოსაყენებლად.

5.172. გამომცემელს უნდა გადაეცეს ლიცენზია, რომელიც შეიცავს დაგეგმილი გამოცემის ოპტიმალური რეალიზაციისთვის აუცილებელ ყველა უფლებას. ჩვეულებრივ, იგი იძენს განსაკუთრებულ ლიცენზიას (რომელიც მას ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას) შესაბამისი ნაწარმოების რეპროდუცირებასა და გამოცემაზე – ან, სათანადო შემთხვევაში, მისი თარგმანის განხორციელებაზე, რეპროდუცირებასა და გამოცემაზე – სტანდარტული კომერციული გამოცემის სახით, რომელიც შეიცავს ეგზემპლიარების გონივრულ რაოდენობას.

5.173. ლიცენზია შეიძლება გაიცეს როგორც ერთ, ისე შემდგომ გამოცემებზე. ერთადერთი ან პირველი გამოცემის მოცულობა, ჩვეულებრივ, განსაზღვრულია ხელშეკრულებით ან ტირაჟში ეგზემპლარების რაოდენობის მითითებით ან ეგზემპლარების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის მითითებით. ერთადერთი, ან პირველი გამოცემის ტირაჟის შეთანხმებისას მხედველობაშია მისაღები საზოგადოების მოსალოდნელი მსყიდველობითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმ ღირებულებით, რომელიც საშუალებას იძლევა გაყიდვა განხორციელდეს წიგნების ამ ბაზრისათვის ჩვეულებრივი ფასით ერთ ეგზემპლარზე, როგორც ეს მსგავსი გამოცემების შემთხვევაში ხდება.

5.174. ნაწარმოების თარგმანის გამოქვეყნებაზე ლიცენზიის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს ნებადართული გამოცემის (ან გამოცემების) ენა (ან ენები).

5.175. გამოქვეყნებული ნაწარმოების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით და ხელშეკრულების შესაბამისად გამოცემის შესაძლო შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით, ლიცენზიატმა შეიძლება შეიძინოს გარკვეული, ე. წ. "დამხმარე უფლებებიც". ასეთი უფლებები ემსახურება ნაწარმოების (ან მისი თარგმანის) სტანდარტული კომერციული გამოცემისგან განსხვავებული ფორმით რეპროდუცირების ან საზოგადოებისთვის მიწოდების მიზანს, ანდა ამ საქმიანობის განსახორციელებლად სხვათა ლიცენზირების ამოცანას.

5.176. ასეთი დამხმარე უფლებები შეიძლება შეიცავდნენ: ნაწარმოებიდან ერთი ან რამდენიმე ნაწყვეტის წინასწარი ან შემდგომი პუბლიკაციის უფლებას პრესაში; უფლებას სერიაზე, ანუ მთელი ნაწარმოების ან მისი ნაწილის გამოქვეყნების უფლებას გაზეთის ან სხვა პერიოდული გამოცემის ერთ ან რამდენიმე მიმდევრობით ნომერში, მის სტანდარტულ კომერციულ გამოცემამდე ან გამოცემის შემდეგ; რადიოთი ან ტელევიზიით ნაწარმოებიდან ნაწყვეტების კითხვის უფლებას; ნაწარმოების ან მისი ნაწილის ანთოლოგიაში შეტანის უფლებას; ჯიბის ფორმატით გამოცემის უფლებას სტანდარტული კომერციული გამოცემის შემდეგ.

5.177. გამომცემლები ხშირად სთხოვენ ლიცენზიარს, დამხმარე უფლებების ჩარჩოებში, გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუცირებაზე ლიცენზირების უფლების მათთვის მინიჭებას, მიკროფილმების ან სხვა რეპროგრაფიული რეპროდუქციების შექმნის მიზნით, რომელიც სცილდება კანონით დაშვებულ კეთილსინდისიერი გამოყენების საზღვრებს. გამომცემელმა შეიძლება, აგრეთვე, მოითხოვოს ლიცენზია ნაწარმოების კომპიუტერში განთავსებაზე, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სახით. გარდა ამისა, გამომცემელმა შეიძლება მოსთხოვოს ლიცენზიარს ნაწარმოების რეპროდუქციის ლიცენზირების უფლება ხმის ჩაწერის სახით. ყველა ასეთი რეპროდუქცია თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ხშირად მოიხსენიება თანამედროვე საგამომცემლო ხელშეკრულებებში, როგორც ნაწარმოების "მექანიკური რეპროდუქცია", ხოლო შესაბამისი უფლებები – როგორც "უფლებები მექანიკურ რეპროდუქციაზე". ეს ტერმინი არ უნდა აგვერიოს ცნებაში "მუსიკალური მექანიკური უფლება", რაც ნიშნავს მუსიკალური ნაწარმოების რეპროდუქციის უფლებას ხმის ჩაწერის სახით.

5.178. გონივრულია პოზიცია, რომ გამომცემელს არ მიეცეს ნაწარმოების ყოველგვარი გამოყენების უფლება, ადაპტირების ჩათვლით, მაგალითად, მის მიხედვით სცენარის შექმნა პიესის, კინოფილმის, რადიო - ან სატელევიზიო დადგმისათვის, ან ზოგადად თარგმანზე უფლება. მოკლედ, ასეთი უფლებების გამოყენება სცილდება გამომ-

ცემლის მიერ ნაწარმოების საკუთარი პუბლიკაციის ხელშეწყობის ან პირდაპირი გამოყენების ფარგლებს.

5.179. "დაიჯესტზე უფლებების" (ნაწარმოების შემოკლებული ან შეკვეცილი ფორმით გამოქვეყნების უფლების) ან ე.წ. "კომიქსებზე უფლებების" გაცემა წარმოადგენს გადაწყვეტილების საგანს თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, ავტორის დაინტერესების გათვალისწინებით საკუთარი ნაწარმოების მთლიანობაში.

5.180. ხელშეკრულებაში შეიძლება ჩართული იყოს სპეციალური დებულებები გამოსაცემი ნაწარმოების მთლიანობასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს იმ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობაში არ არის შესაბამისი დებულებები "არაქონებრივი უფლებების" შესახებ. მაგალითად შეიძლება მითითებული იყოს, რომ "გამომცემელმა ნაწარმოების რეპროდუქცია უნდა მოახდინოს ცვლილებების, შემცირების ან დამატების გარეშე".

5.181. ნაწარმოების თარგმნასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, მითითებულია, რომ "გამომცემელმა უნდა გამოიყენოს ზუსტი და უტყუარი თარგმანი, შესრულებული თავის ხარჯზე. სათაური თარგმანში უნდა იყოს წერილობით მოწონებული საავტორო უფლებების ლიცენზიარის მიერ. ამ უკანასკნელის მოთხოვნით თარგმანის საბოლოო ტექსტი უნდა მიეწოდოს მას შესათანხმებლად".

5.182. აგრეთვე, შეიძლება დადგენილი იყოს: "გამომცემელი უზრუნველყოფს, რომ ნაწარმოების სახელწოდება და ავტორის გვარი ცხადად იყოს მითითებული თითოეულ ეგზემპლიარზე". გარემოებათა მიხედვით, შეიძლება დამატებული იყოს, რომ "გამომცემელი იღებს ვალდებულებას დაბეჭდოს ნაწარმოების პირველი გამომცემლის გვარი, აგრეთვე, წინა გამოცემის (გამოცემების) წელი (წლები) სატიტულო ფურცლის უკანა მხარეს".

5.183. ზოგიერთ ქვეყანაში (ძირითადად აშშ-ში) არსებული გარკვეული ფორმალობების გათვალისწინებით, გამოსაცემ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების სრულად გამოყენების პირობად საგამომცემლო ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ სატიტულო ფურცელზე უნდა იყოს საავტორო უფლების შესაბამისი სიმბოლო. ეს სიმბოლო შედგება ასო

C-სგან, ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების წლისა და ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელის გვარისგან.

5.184. გამოქვეყნებული ეგზემპლარების გავრცელებასთან დაკავშირებით ხშირად მითითებულია, რომ "გამომცემელი უზრუნველყოფს ნაწარმოების ეფექტურად გავრცელებას საკუთარი სახსრებით". როდესაც ლიცენზია არ შემოიფარგლება ერთი გამოცემით, ხშირად დამატებულია, რომ "მან თვალყური უნდა ადევნოს, რომ წიგნები მუდმივად იყოს გაყიდვაში და ახალი გამოცემები დაიბეჭდოს დროულად, რათა დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნილება".

ლიტერატურა

ფ. დესემონტე, ინტელექტუალური საკუთრება სალიცენზიო და ფრენჩაიზინგის კონტრაქტებში, ISIP/86/8.

მ. ბლეიქნი, "უცხოური ნიშნების ლიცენზირება", 12 ინტელექტუალური საკუთრება აზიაში და 4 წყნარი ოკეანის რეგიონში.

ОЭСР-ს საერთაშორისო ბიურო, ძირითადი შენიშვნები და პრაქტიკა გამოქვეყნებული კონტრაქტების შესახებ, როდესაც მხარეები წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყანას, B/CR/3.

F. სალიცენზიო ხელშეკრულებების სახელმწიფო კონტროლი

5.185. მრავალ განვითარებად ქვეყნაში ტექნოლოგიების ნაკადი წარმოადგენს ყველანაირი კონტროლის საგანს, როგორც ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების სახელმწიფოს ეკონომიკურ მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საშუალება. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი კონტროლი არის უცხოური ინვესტიციების მაკონტროლებელი კანონების საერთო სისტემის ნაწილი. სხვა ქვეყნებში ეს კონტროლი გამომდინარეობს ვალუტის გაცვლის წესებიდან, რომლებიც არეგულირებენ გადასახადების ნაკადს საზღვარგარეთ, მიუხედავად იმისა, არის ეს დივიდენდი, როიალტი, თუ სხვა სახის შემოსავალი ან კაპიტალის დაბრუნება. საიმპორტო წესებს, განსაკუთრებით

შემცირებულ სატარიფო განაკვეთებს ან შეღავათებს პროდუქციაზე, რომელიც მოიცავს საჭირო ტექნოლოგიას, ასევე შეიძლება ჰქონდეთ არაპირდაპირი გავლენა ტექნოლოგიების ნაკადზე. ზოგიერთ სხვა განვითარებად ქვეყანაში შექმნილია ტექნოლოგიების გადაცემის კონტროლის სპეციალური სამართლებრივი სისტემები. ასეთი სისტემები ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფო ორგანოს უნდა ეცნობოს სამრეწველო საკუთრებაზე ლიცენზიისა და ტექნოლოგიის გადაცემაზე ხელშეკრულების შესახებ, რათა მათ გაიარონ რეგისტრაცია ან მოწონებული იქნენ იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული წესებით.

5.186. შესაბამისი მხარის მიერ სამრეწველო საკუთრებაზე ლიცენზიის, ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების, მათი მოდიფიკაციების, ცვლილებების, გაგრძელების ან დასრულების ჩათვლით, სათანადო სახელმწიფო ორგანოში დადგენილ ვადებში და პირობებით წარუდგენლობა იწვევს რიგ სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისი კანონების მიხედვით, ამ მოთხოვნათა დაუკმაყოფილებამ შეიძლება აქციოს ლიცენზია ან ხელშეკრულება ძალადაკარგულად ან შესასრულებლად შეუძლებლი. შედეგი, აგრეთვე, შეიძლება იყოს ვალდებული მხარისათვის ჯარიმის დაკისრება, მისი სავაჭრო უფლებების შეჩერება ან საქმიანი სტატუსის დაკარგვა. ლიცენზიის ან ხელშეკრულების რეგისტრაცია ან მოწონება შეიძლება გახდეს პატენტის ან სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენების დამტკიცების, ან საზღვარგარეთ გადახდების განხორციელებაზე საფინანსო ორგანოებიდან ნებართვის აღების, ანდა მრეწველობის ცალკეულ სექტორებში ინვესტირების წახალისებისათვის დაწესებული საფინანსო ან სხვა სახის შეღავათების მიღების წინაპირობა.

5.187. ისმო-ს მოდელური კანონი განვითარებადი ქვეყნებისათვის გამოგონებების შესახებ (მეორე ტომი) შეიცავს დებულებებს, რომლებიც ადგენენ ასეთი კონტრაქტების ექსპერტიზისა და რეგისტრაციის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ჩარჩოებს. ეს დებულებები ჩამოყალიბებულია ისეთი პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ხელშეკრულებამ ტექნოლოგიის მიმღებს არ

დააკისროს დაუსაბუთებელი შეზღუდვები, რის შედეგადაც ხელშეკრულება მთლიანობაში აღმოჩნდეს საზიანო ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისათვის.

5.188. ამის მიზანია არა მხოლოდ ადგილობრივი საწარმოს დაცვა, რომელიც დებს ხელშეკრულებას ტექნოლოგიის მიღებაზე და რომლის პოზიციაც გარიგებისას ხშირად სუსტია, არამედ უფრო მეტად ზოგიერთი ხელშეკრულების მხრიდან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისადმი მოსალოდნელი ზიანის მიყენების თავიდან აცილება. განვითარებადი ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უცხოური ტექნოლოგიის შეძენამ არ გამოიწვიოს არასასურველი დატვირთვები ეკონომიკაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავად ტექნოლოგია შეიძლება ძალიანაც საჭირო იყოს. სერიოზული შედეგები შეიძლება წარმოიქმნას, თუ ტექნოლოგიის ღირებულება აღემატება მის მნიშვნელობას ადგილობრივი ეკონომიკისათვის: თუ, მაგალითად, მოხდება სამრეწველო განვითარების ინდექსის შემცირება, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, არასახარბიელო სავაჭრო ბალანსი, ფინანსური რესურსების არასწორად გამოყენება და ა.შ.

5.189. მოდელური კანონი ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულებების ექსპერტიზა და რეგისტრაცია არის საპატენტო უწყების ამოცანა. სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს არა საპატენტო უწყების, არამედ სხვა სახელმწიფო სააგენტოს პრეროგატივა.

5.190. შესაბამისი უწყებისთვის ასეთი ხელშეკრულებების ექსპერტიზაში დახმარების გასაწევად მოდელური კანონით დადგენილია ჩამონათვალი 17 პუნქტით, რომლებიც შესაბამისმა უწყებამ უნდა გაითვალისწინოს. ჩამონათვალი არ არის ამომწურავი: ხელშეკრულების რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება მაშინაც კი, როცა იგი არ შეიცავს ჩამოთვლილთაგან არც ერთ პუნქტს; ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება შეიცავს ჩამონათვალში არარსებულ პუნქტს, მაგრამ რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს აკისრებს მიმღებს ისე, რომ მთლიანობაში ხელშეკრულება შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისთვის. მეორეც, ხელშეკრულებაში რომელიმე ჩამოთვლილი პუნქტის არსებობა არ არის

რეგისტრაციაზე უარის თქმის სავალდებულო მიზეზი; ხელშეკრულების რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიმღებზე დაკისრებული შეზღუდვები დაუსაბუთებელია და როცა მთლიანობაში განხილული ხელშეკრულება საზიანოა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისთვის. მართლაც, პრაქტიკულად შეუძლებელია კონკრეტული პუნქტებით მოიცვა იმ ფაქტორების (საქმიანი, კომერციული, ტექნოლოგიური და ა.შ.) თითქმის შეუზღუდავი რაოდენობა, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნენ იმის განსაზღვრისას, თუ რა ეფექტი ექნება კონკრეტულ ხელშეკრულებას მოცემულ გარემოში. ასე რომ, უწყებამ ეს დებულებები უნდა გამოიყენოს მოქნილად და არა ხისტად და თითოეული კონტრაქტის კონკრეტული ღირსება ან ხარვეზი განიხილოს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების ჭრილში. ხსენებული პუნქტები – ეს არის პუნქტები, რომელთა შედეგი შეიძლება იყოს:

(1) ტექნოლოგიის იმპორტი საზღვარგარეთიდან, როდესაც მსგავსი ან ეკვივალენტური ტექნოლოგია შეიძლება მიღებულ იყოს იგივე, ან უფრო შეღავათიანი პირობებით იმპორტის გარეშე;
(2) მიმღების ვალდებულება ისეთი გადახდების განხორციელებაზე, რომლებიც ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის ღირებულების არაპროპორციულია;
(3) მიმღების ვალდებულება სხვადასხვა მასალების შეძენაზე მიმწოდებლისგან ან მის მიერ მითითებული წყაროდან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც სხვაგვარად პრაქტიკულად შეუძლებელია წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა და იმ პირობით, რომ ამ მასალების მოწოდება მოხდება გონივრულ ფასებში;
(4) მიმღების თავისუფლების შეზღუდვა ნებისმიერი მასალების ნებისმიერ წყაროდან შეძენაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად პრაქტიკულად შეუძლებელია წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა;
(5) მიმღების თავისუფლების შეზღუდვა ნებისმიერი მასალის გამოყენებაზე, რომელიც არ არის მიწოდებული მიმწოდებლის მიერ, ან მის მიერ მითითებული ან მოწონებული წყაროდან, გარდა იმ

შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად პრაქტიკულად შეუძლებელია წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა;

(6) მიმღების ვალდებულება გაყიდოს მის მიერ წარმოებული პროდუქცია მხოლოდ, ან ძირითადად მიმწოდებლის მიერ მითითებულ პირებზე;

(7) მიმღების ვალდებულება, გადასცეს მიმწოდებელს, სათანადო ანაზღაურების გარეშე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის ნებისმიერი გაუმჯობესება განხორციელებული მიმღების მიერ;

(8) მიმღების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის შეზღუდვა;

(9) მიმღების თავისუფლების შეზღუდვა ექსპორტზე ან მისი გამოშვებული პროდუქციის სხვების მიერ ექსპორტირების ნებართვაზე. იმ შემთხვევებში, როდესაც მიმწოდებელს აქვს პატენტი ქვეყანაში, რომელზეც ასეთი შეზღუდვა ვრცელდება და მოხდება ამ პატენტის დარღვევა ასეთი პროდუქციის ამ ქვეყანაში იმპორტისას, ან თუ მიმწოდებელს აქვს სახელშეკრულებო ვალდებულება, არ დართოს ნება მესამე პირებს ასეთი პროდუქციის ექსპორტზე ამ ქვეყანაში, ან თუ მიმწოდებელი აკმაყოფილებს ამ ქვეყნის ბაზარს ასეთი პროდუქციით, ეს ფაქტები მიღებული იქნება მხედველობაში;

(10) მიმღების ვალდებულება მიმწოდებლის მიერ მითითებული პირების დაქირავებაზე, რაც არ არის აუცილებელი ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის ეფექტიანი გადაცემისთვის;

(11) მიმღების მიერ განხორციელებულ კვლევებზე ან ტექნოლოგიურ დამუშავებებზე შეზღუდვების დაწესება;

(12) მიმღების თავისუფლების შეზღუდვა ნებისმიერი ტექნოლოგიის გამოყენებაზე, რომელიც განსხვავდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნოლოგიისაგან;

(13) ხელშეკრულების პირობების გავრცელება იმ ტექნოლოგიებზე, რომლებიც არაა აუცილებელი ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად და მიმღების ვალდებულება ასეთი ტექნოლოგიების გათვალისწინებაზე;

(14) ფასების ფიქსირება მიმღების მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვისას;

(15) მიმწოდებლის განთავისუფლება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ტექნოლოგიასთან დაკავშირებული დეფექტების არსებობისას ან ასეთი პასუხისმგებლობის დაუსაბუთებელი შეზღუდვა;
(16) მიმღების თავისუფლების შეზღუდვა ხელშეკრულების თანახმად შეძენილი ტექნოლოგიის გამოყენებაზე მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ მიმწოდებლის საპატენტო უფლებების გათვალისწინებით;
(17) ხელშეკრულების მოქმედების დაუსაბუთებლად გრძელი ვადის დადგენა ხელშეკრულების ეკონომიკურ ფუნქციასთან შედარებით, იმ პირობით, რომ ვადა, რომელიც არ აღემატება ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პატენტის მოქმედების ვადას, არ შეიძლება ჩაითვალოს უსაფუძვლოდ გრძლად.
5.191. მოდელური კანონით გათვალისწინებული სისტემა, თუმცა მიუთითებს ზოგიერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ დებულებაზე, გვთავაზობს მოქნილ მიდგომას, რომელიც მოითხოვს თითოეული ხელშეკრულების არსებით ექსპერტიზას შესაბამისი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ კონტექსტში. უეჭველია, რომ ხელშეკრულების შეფასება დამოკიდებული უნდა იყოს ისეთ გარემოებებზეც, როგორიცაა სავალუტო კურსი და საზღვარგარეთ გადახდებთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები.

ლიტერატურა

ОЗИС-ს საერთაშორისო ბიურო, ტექნოლოგიის შეძენასა და გადაცემასთან დაკავშირებული კონტრაქტებზე მოლაპარაკება და მათი კონტროლი, როდესაც ასეთი კონტრაქტები შეიცავენ ინტელექტუალური საკუთრების საკითხებს, WIPO/IP/AC/86/8

ОЗИС-ს საერთაშორისო ბიურო, ОЗИС-ს მოდელური კანონი გამოგონებებზე განვითარებადი ქვეყნებისათვის, ტომი I და II, ОЗИС-ს პუბლიკაციები №№ 840(E) და 841 (E).

თავი 6

სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის როლი ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობაში

A. სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციის როლი ტექნოლოგიის გადაცემაში

(a) შესავალი

6.1. ტექნოლოგიის წარმატებითი გადაცემა ამა თუ იმ ქვეყანაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი ტექნოლოგიური შესაძლებლობების არსებობაზე, ამიტომ შერჩეული იმპორტირებული ტექნოლოგიის შეძენის პროცესმა უნდა შეავსოს ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო საქმიანობა და შიდა ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება. გადაცემისა და განვითარების პროცესი მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ქმედებათა ისეთ თანმიმდევრობას, როგორიცაა: ტექნოლოგიურ მოთხოვნილებათა განსაზღვრა განვითარების მიზნების თვალსაზრისით; ტექნოლოგიის ალტერნატიული წყაროების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ადგილობრივი წყაროების ჩათვლით; ყველაზე შესაფერისი ტექნოლოგიის შეფასება და შერჩევა; ტექნოლოგიების პაკეტის შემადგენელთა ანალიზი ყოველი კომპონენტის გამოყენების, ღირებულებისა და პირობების შესაფასებლად; იმპორტირებული ტექნოლოგიის ადაპტაცია და გათავისება და საკუთარ ტექნოლოგიათა განვითარების სტიმულირება; ახლად ათვისებულ ტექნოლოგიათა გავრცელება პოტენციურ მომხმარებელთა შორის.

6.2. იმისათვის, რომ ტექნოლოგიის შეფასება, შერჩევა, დამუშავება, ადაპტაცია და გამოყენება წარმატებით განხორციელდეს, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საკუთარი შესაძლებლობები სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური დამუშავების ჩასატარებლად და შესაბამისი ეროვნული პოლიტიკის ფორმულირება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მნიშვნელობის ჯეროვანი აღიარება, ეროვნული განვითარების მთელ პროცესზე მისი ხანგრძლივი ზეგავლენის გამო.

Comment [K1]:

6.3. ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა არსებითია როგორც ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნის შიგნით არსებული ტექნოლოგიურ დონეთა სხვაობის შესავსებად და განვითარებადი ქვეყნების ტექნოლოგიური გაძლიერებისათვის. ეს უკანასკნელი წარმოადგენს უცხოური ტექნოლოგიის ადგილობრივ პირობებთან წარმატებით ადაპტირებისა და საკუთარი ახალი ტექნოლოგიების შექმნის წინაპირობას.

6.4. ტექნოლოგიურ ინფორმაცია, მისი ეფექტური და შერჩევითი ხასიათის პირობებშიც კი, უნდა იქნეს მიჩნეული არა უმეტეს, ვიდრე მნიშვნელოვანი რგოლი ტექნოლოგიის გადაცემის ჯაჭვში. განვითარებად ქვეყნებში მომხმარებლის მიერ სწორად შერჩეული ტექნოლოგიური ინფორმაციის მიღება მხოლოდ პირველი ნაბიჯია მისი პრაქტიკული გამოყენებისაკენ; მსგავსი ინფორმაცია ხელს უწყობს სწორ გადაწყვეტილებათა მომზადებასა და მიღებას, აძლიერებს დამოუკიდებლობის ხარისხს ამ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

6.5. განვითარების პროექტების შეფასებისა და შერჩევისათვის საჭიროა ინფორმაცია ალტერნატიული ტექნოლოგიებისა და მათი მიღების წყაროების შესახებ, მინიმალური ღირებულების, პირობებისა და პარამეტრების, ტექნიკური დოკუმენტაციის, გარანტიების, მიწოდების გრაფიკებისა და რეალიზაციის, რესურსებისა და მუშახელზე მოთხოვნილების თაობაზე ინფორმაციის ჩათვლით.

6.6. როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისათვის, რაც ეხება უცხოურ ინვესტიციებს, ტექნოლოგიათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულებათა პირობებს, ეროვნულ კვლევებსა და დამუშავებებს, სამთავრობო შესყიდვებს, მსხვილმასშტაბიანი სოციალური პროექტების ინიცირებასა და სხვა საკითხებს, აუცილებელია ინფორმაციის არსებობა დამუშავებების შესახებ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სფეროებში.

6.7. ტექნოლოგიური ინფორმაცია არსებობს არა მარტო ბეჭდვითი სახით, როგორიცაა: წიგნები, ჟურნალები, დოკუმენტები, ანგარიშები, ცნობარები, საპატენტო დოკუმენტები, სტანდარტები, სპეციფიკაციები და კატალოგები, არამედ განსხვავებული სახითაც. ასე, მაგალითად, აუდიოვიზუალური და მანქანურად წასაკითხი მასალების სახით, ისევე, როგორც ორგანიზაციული და ინდივიდუალური გამოცდილების სახით, რომლებიც გადაიცემა ადამიანთა

ურთიერთობისას სხვადასხვა ღონისძიებებში (თათბირი, სემინარი, სწავლება) მონაწილეობის დროს. ასეთი ინფორმაცია შეიძლება განსახიერებელი იყოს პროდუქციასა და მომსახურებაში. პოტენციურად სასარგებლო ტექნოლოგიური ინფორმაცია შეიძლება მოინახოს ნებისმიერ ქვეყანაში, მათი ტექნოლოგიური განვითარების არსებული დონის მიუხედავად.

6.8. სასარგებლო ტექნოლოგიური ინფორმაციის მიღება, ხელმისაწვდომობის მიუხედავად, არ არის იოლი სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, სინამდვილეში არაა ადვილი სწრაფად მონახო რელევანტური ინფორმაციის წყაროები და შეარჩიო საჭირო მონაცემები მისი დიდი მოცულობიდან. მეორე მიზეზს (რის გამოც განვითარებადი ქვეყნების მიერ სრულად არ არის გამოიყენებული ინფორმაცია მრავალი ტექნოლოგიის შესახებ, რომელსაც შეიცავს სპეციალური ლიტერატურა), წარმოადგენს შესაბამისი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის არარსებობა. ამავე დროს, ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით კი სათანადოდ მომზადებული პერსონალის, არარსებობამ, შეიძლება იმოქმედოს განვითარებადი ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შემუშავებული და ადაპტირებული იმ ტექნოლოგიების გავრცელებაზეც, რომლებიც არ არის სათანადოდ შეფასებული და ცნობილი ადგილობრივი მასშტაბით და მით უმეტეს ნაკლებად არის ცნობილი მომხმარებლისათვის სხვა განვითარებად ქვეყნებში.

6.9. სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციას, ტექნოლოგიური ინფორმაციის სხვა წყაროებთან შედარებით, გააჩნია უპირატესობა თავისი ხელმისაწვდომობისა და შერჩევითობის თვალსაზრისით, რადგანაც იგი არა მხოლოდ ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის, არამედ ამავე დროს ასახავს ტექნოლოგიათა თანამედროვე განვითარების მდგომარეობას ლაკონიური და უნიფიცირებული სახით. მაგალითად, ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს თითოეული ყოველწლიურად გამოქვეყნებული მილიონი საპატენტო დოკუმენტიდან, მისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, თუკი იგი ამას მოინდომებს. ზოგს შეუძლია გამოიყენოს საპატენტო ინფორმაცია პასიური სახით, იმ შერჩეული საპატენტო დოკუმენტების ასლების შეძენით, რომლებიც ეხება მისთვის საინტერესო ტექნიკურ სფეროს, რათა შეისწავლოს მათი შინაარსი, შეარჩიოს საპატენტო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მისი პრობლემის ყველაზე შესაფერის გადაწყვეტას და გამოიყენოს გამოგონება ნებისმიერი მესამე მხარისადმი მიმართვისა და

მასთან მოლაპარაკების გარეშე. საპატენტო ინფორმაციის ასეთი გამოყენება შესაძლებელია, თუ გაცემული პატენტი აღარ მოქმედებს იმ ქვეყანაში, სადაც გამოგონების გამოყენებაა განზრახული.

6.10. ორგანიზაციები, რომელთათვისაც საპატენტო ინფორმაცია პირდაპირ და უშუალოდ სასარგებლოა, შეიძლება დაჯგუფდეს 4 კატეგორიად. ესენია: სამთავრობო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და მრეწველობა.

(b) გამოყენება სახელმწიფო ორგანოთა მიერ

6.11. მრავალი სახელმწიფო ორგანო საპატენტო ინფორმაციის პოტენციური მომხმარებელია. კერძოდ, ორგანოები, რომლებიც დაკავებული არიან:

(1) ინოვაციური საქმიანობის წახალისებით;

(2) ეროვნული მრეწველობის დახმარებით მისი საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში;

(3) განვითარების გეგმების დამუშავებით და სამრეწველო პრიორიტეტების დადგენით;

(4) ქვეყანაში საკუთარი ტექნოლოგიების შემუშავებით, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სოფლად დასაქმების ზრდასა და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის შეზღუდვისაკენ;

(5) მოლაპარაკებებით სალიცენზიო ხელშეკრულებაზე და მათი დადებით.

6.12. კომპეტენტურ სამთავრობო ორგანოს, რომელიც საინოვაციო საქმიანობის წახალისებით არის დაკავებული, შეუძლია გამოიყენოს საპატენტო ინფორმაცია, როგორც ინოვაციებისადმი ინტერესის ფორმირების საშუალება ტექნიკური სწავლების კურსებზე ტექნიკურ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, ეროვნული საპატენტო დოკუმენტებისა და, აგრეთვე, შერჩეული უცხოური დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც ეხება ადგილობრივ მრეწველობას, შეიძლება გადაეცეს სპეციალიზებულ საჯარო ბიბლიოთეკებს.

6.13. მთავრობა შეიძლება დაეხმაროს ეროვნულ მრეწველობას სხვა განვითარებად, ან განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის გაზრდაში, ამ ქვეყნებში საპატენტო უფლებების მოპოვების ხელშეწყობით და თავისი ქვეყნის საპატენტო უწყების როლის ამაღლებით. მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს მსხვილ ეროვნულ სამრეწველო კომპანიებს საპატენტო დოკუმენტაციის საკუთარი ფონდების შექმნაში და გაუადვილოს მათ ამ დოკუმენტაციის შეძენა.

6.14. სამრეწველო განვითარების გეგმების შემუშავებისა და ეკონომიკის სექტორების პრიორიტეტების განსაზღვრისას მთავრობას შეუძლია გამოიყენოს სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც აქვეყნებს საკუთარი საპატენტო უწყება, სხვა საპატენტო უწყებები და ისმო. ტექნიკის გარკვეულ სფეროში საპატენტო აქტიურობის ღრმა შესწავლას, განსაკუთრებით, საზღვარგარეთულ პატენტების მიმართ, შეუძლია სამრეწველო განვითარების ტენდეციების ნათელი სურათის მოცემა, მათ შორის საზღვარგარეთაც.

6.15. ადგილობრივ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საპატენტო დოკუმენტების მიმოხილვას შეუძლია განსაზღვროს, რომელი მათგანი უფრო მიესადაგება წარმოების ზრდას, რომელი მოიხმარს უფრო ნაკლებ ენერგიას და რომელი შეიძლება იქნეს გამოყენებული სოფლად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და საქონლის იმპორტის შემცირების უზრუნველსაყოფად.

6.16. განვითარებად ქვეყნებს, ჩვეულებრივ, სუსტი პოზიციებიდან უწევთ მოქმედება, როდესაც მოლაპარაკებას აწარმოებენ სალიცენზიო ხელშეკრულების დადების თაობაზე ტექნოლოგიის მომწოდებელთან განვითარებული ქვეყნიდან. ინფორმაცია, რომელსაც იძლევა საპატენტო დოკუმენტაცია, როგორც ალტერნატიულ ტექნოლოგიათა ფართო სპექტრზე, ასევე ტექნოლოგიის ალტერნატიულ წყაროებზე, საშუალებას იძლევა არსებითად გააუმჯობესოს განვითარებადი ქვეყნებიდან ტექნოლოგიის მყიდველთა პოზიცია ასეთ მოლაპარაკებებზე. დაწესებულებათა თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ტექნოლოგიის გადაცემაზე, ყოველთვის არ ფლობენ საჭირო ტექნიკურ ცოდნას და საზღვარგარეთული ტექნოლოგიის შეფასებაში, შერჩევასა და ადაპტირებაში ისინი ეყრდნობიან სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს. საპატენტო ინფორმაციის როლი ამ ორგანიზაციების კვლევითი მუშაობის ხელშეწყობაში უშუალო გავლენას ახდენს ტექნოლოგიათა გადაცემის გარიგებებში შესაძლებლობათა გაძლიერებაზე.

(C) გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მიერ

6.17. ყოველი გამოგონება თავისთავად წარმოადგენს ტექნოლოგიური განვითარების გზაზე გარკვეულ მიღწევას და ამავე დროს - ახალი ტექნოლოგიების ძიების ამოსავალ წერტილს. ამრიგად, ტექნოლოგიური ინფორმაციის შესწავლა, რომელსაც შეიცავენ პატენტები, ახდენს შემოქმედებით აზროვ-

ნების სტიმულირებას და ზრდის ახალი ტექნოლოგიების აღმოჩენის შანსს, რომლებსაც უპირატესობა ექნებათ უკვე არსებულთან შედარებით.

6.18. კვლევის დაწყებამდე მეცნიერისათვის ყოველთვის სასარგებლოა ჩვეულებრივ "ბიბლიოთეკურ გამოკვლევებში" საპატენტო ინფორმაციის შესწავლის ჩართვა. საპატენტო ინფორმაციის ასეთი შესწავლა შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს მიიღოს საუკეთესო გადაწყვეტილება: ჩაატაროს საკუთარი გამოკვლევა, თუ ისარგებლოს ადრე ჩატარებული კვლევების შედეგებით შესაბამისი ლიცენზიების მიღების გზით, ან განახორციელოს ერთობლივი კვლევა პარტნიორებთან, რომლებსაც მსგავსი ინტერესები და კომპეტენცია გააჩნიათ. ამგვარად, საპატენტო ინფორმაცია აადვილებს სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიური დამუშავებების ტენდენციების გამოვლენას და, აგრეთვე, ხელს უწყობს გამოსაკვლევ პრობლემათა ეფექტური და გამოსაყენებლად მზა ტექნიკური გადაწყვეტის მონახვას.

6.19. კვლევითი ორგანიზაციის მუშაკს ადვილად უნდა მიუწვდებოდეს ხელი საპატენტო ინფორმაციაზე და უნდა იყოს კარგად მომზადებული, რათა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება კვლევის პროცესში. ინფორმაციის მოპოვების მეტად მოსახერხებელ საშუალებას წარმოადგენს ძირითად მონაცემთა ბანკის გამოყენება on-line რეჟიმში ან ტელექსის ხაზის გამოყენება მისთვის საინტერესო პატენტების ნუსხის დაუყონებლივ მისაღებად. ამ პატენტების ასლების მიღება შეიძლება საპატენტო უწყებიდან, ან ისმოს მომსახურების ხაზით, ტექნიკის დონის განსაზღვრის საძიებო პროგრამის ფარგლებში.

(d) გამოყენება მრეწველობის მიერ

6.20. სამრეწველო საწარმოები წარმოადგენენ საპატენტო დოკუმენტებით დაცული ტექნოლოგიური ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვან მომხმარებლებს. მრეწველობაში ინჟინრები და ტექნიკური პერსონალი ყოველდღიურად აწყდებიან პრობლემებს, დაკავშირებულთ არსებული პროდუქციის გაუმჯობესების აუცილებლობასთან, ან წარმოების ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან. განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემებს ჩვეულებრივ წყვეტენ უშუალოდ თანამშრომლები, ზოგჯერ გარეშე კონსულტანტთა დახმარებით, მაშინ, როცა განვითარებად ქვეყნებში მრეწველობის ხელმძღვანელები წამოჭრილ ტექნიკურ პრობლემათა გადაწყვეტისას უფრო ეყრდნობიან მან-

ქანა-დანადგარების მწარმოებლებს. ადამიანური ფაქტორი, ნოუ-ჰაუ და შემოქმედებისა და სრულყოფის მოტივაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც გრძელვადიანი ინვესტიციები მრეწველობაში.

6.21. განვითარებადი ქვეყნების მრეწველებმა უნდა სცადონ ტექნიკური პრობლემების გადაჭრა საკუთარი ტექნიკური პერსონალის მეშვეობით. საპატენტო ინფორმაცია, ძიების ანგარიშების, შესაბამისი საპატენტო დოკუმენტების ასლებისა და რელევანტური პატენტების ბიბლიოგრაფიული მონაცემების სახით, აუცილებელია ინჟინრისთვის, რომელიც ეძებს მის წინაშე მდგარი ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტას. საპატენტო დოკუმენტაციის, როგორც ტექნოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტის წყაროს, გამოყენება მრეწველობაში მომუშავე ინჟინრებს არწმუნებს საკუთარი დამუშავებების მნიშვნელობაში და იმაშიც, რომ მათ მიერ მიღებული შედეგებიდან ზოგიერთი შეიძლება პატენტუნარიანიც იყოს.

6.22. მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა უნდა შექმნან იმ ეროვნული პატენტების ფონდები, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროშია გაცემული, და ამავე დროს თვალყური ადევნონ საერთაშორისო განვითარებას, რომელიც ასახულია მათი საზღვარგარეთელი კონკურენტების პატენტებში. დიდი საერთაშორისო კომპანიები, ჩვეულებრივ, დაპატენტებას მიმართავენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეტალურად შეისწავლიან ბაზარს და გამოიკვლევენ საკუთარი პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობებს ან მას შემდეგ, რაც შეიტყობენ კონკურენტების დაინტერესებას ამ კონკრეტული ბაზრით. ამგვარად, პატენტებზე განაცხადების სახეობასა და რაოდენობას, რომლებიც მრავალეროვნულ კომპანიებს შეაქვთ, შეუძლია უკარნახოს ადგილობრივ მრეწველს საკუთარი ბაზრის განვითარების შესაძლებლობები, რის შედეგადაც იგი შეძლებს თავის სტრატეგიის ადაპტირებას ან კორექტირებას.

6.23. დაბოლოს, მრეწველობას იგივე მოთხოვნილებები აქვს საპატენტო ინფორმაციაზე ახალი ტექნოლოგიის განსაზღვრისას, ან ტექნოლოგიის გადაცემაზე შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების მომზადებისას, რაც სამთავრობო დაწესებულებებს, ან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს.

(e) გამოყენება უნივერსიტეტების მიერ

6.24. უნივერსიტეტების მრავალ პროფესორსა და სტუდენტს სჯერა, რომ პატენტი ყოველთვის წარმოადგენს დიდ ტექნოლოგიურ გარღვევას და, ამ-

გვარად, პირდაპირ არ ეხება მათ კვლევით საქმიანობას. ეს მცდარი თვალსაზრისი თანდათან ქრება, თუ გავითვალისწინებთ, რომ პატენტი გაიცემა არსებული მოწყობილობებისა და ხერხების სრულყოფაზეც და არა მარტო სრულიად ახალ მოწყობილობებსა და ხერხებზე. პატენტის შესახებ ამ მითის გაქარწყლება გამოიწვევს უნივერსიტეტებში არსებული დოკუმენტური ინფორმაციის წყაროებში საპატენტო დოკუმენტაციის ჩართვას. ისმო-ს ეგიდით 1980 წელს შეიქმნა პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია, სახელდობრ, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სწავლებისა და კვლევის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (ATRIP).

6.25. უნივერსიტეტების სამეცნიერო ბიბლიოთეკები უნდა გამდიდრდეს საპატენტო დოკუმენტების კოლექციებით, რომლებიც დაკავშირებულია მათი ტექნოლოგიური ფაკულტეტების საქმიანობასთან. მრეწველობა ხშირად მიმართავს უნივერსიტეტებს საექსპერტო შეფასებებისათვის, ან გარკვეული გამოკვლევების ჩასატარებლად, რისთვისაც საჭიროა მოწყობილობები, რომლებიც ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ მცირე და საშუალო წარმოებებს. საპატენტო ინფორმაციის როლი საუნივერსიტეტო კვლევებში, უფრო დიდიც კია, ვიდრე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების შემთხვევაში, რადგან სტუდენტები მეტი მონდომებით მიმართავენ საპატენტო დოკუმენტებს, ვიდრე უფრო დამოუკიდებელი და გამოცდილი სპეციალისტები.

6.26. ქვეყანაში უნივერსიტეტები, აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, საპატენტო ინფორმაციის ყველა დონეზე მნიშვნელობის გაცნობიერების საქმეში, რადგანაც იქ ყალიბდებიან ინჟინრები და მკვლევარები, რომლებიც სამომავლოდ არიან მისი გამოყენების პოტენციური ბენეფიციარები. ამგვარად, საინჟინრო ფაკულტეტების სასწავლო მასალაში ჩართული უნდა იყოს საპატენტო ინფორმაცია, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, სახელმძღვანელო საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრის ორგანიზებისთვის, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებსა და მდგომარეობაზე, ისმო-ს პუბლიკაცია №658 (E) (1980 და 1987 წ.)

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საპატენტო ინფორმაციის როლი ტექნოლოგიების გადაცემაში, /NSP/82/5

B. საპატენტო დოკუმენტაციის სახეობები

6.27. საპატენტო დოკუმენტაცია წარმოადგენს გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი დოკუმენტების სრულ კომპლექტს (ან იქიდან ამონაწერ მის ფრაგმენტებს), კვლევების, კონსტრუირების, დამუშავებებისა და პიონერული პროექტების შედეგების შესახებ, განცხადებულსა და აღიარებულს აღმოჩენად, გამოგონებად, სასარგებლო მოდელებად, ან სამრეწველო ნიმუშებად, აგრეთვე მონაცემებს გამომგონებელთა, სასარგებლო მოდელებისა და სამრეწველო ნიმუშების ავტორთა, ასევე ამ ობიექტების უფლებამფლობელთა განსაკუთრებულ უფლებათა დაცვის შესახებ.

6.28. ამგვარად, საპატენტო დოკუმენტაცია გაგებულია პირველ რიგში როგორც საპატენტო უწყებათა ოფიციალური პუბლიკაციები: გამოგონებაზე განაცხადის აღწერილობა, გამოგონების აღწერილობა და ოფიციალური საპატენტო ბიულეტენი.

6.29. საპატენტო დოკუმენტაცია კლასიფიცირებულია შემდეგი განსხვავებული სახეობების მიხედვით:

(1) ოფიციალური საპატენტო ბიულეტენი;

(2) გამოგონებაზე განაცხადის აღწერილობა, (კერძოდ, რომლებმაც გაიარეს, ან არ გაიარეს წინასწარი, ან ფორმალური ექსპერტიზა);

(3) პატენტის აღწერილობა;

(4) სასარგებლო მოდელის აღწერილობა;

(5) გამოყენების მოწმობაზე დართული აღწერილობა (საფრანგეთში);

(6) სამრეწველო ნიმუშის აღწერილობა;

(7) ოფიციალური პუბლიკაცია სამართლებრივი დაცვის სტატუსის ცვლილების თაობაზე;

(8) ოფიციალური საპატენტო საძიებლები.

6.30. პატენტის, ე.ი. გაცემული დოკუმენტის აღწერილობასა და პატენტზე განაცხადს, რომელიც პატენტის საფუძველს წარმოადგენს, ფაქტობრივად ამზადებს განმცხადებელი. კანონთა უმრავლესობა მოითხოვს, რომ განაცხადი შეიცავდეს "ფორმულას" და "აღწერილობას". ფორმულა მოკლედ განსაზღვრავს გამოგონების არსს, ანუ დეტალებს, რომლებიც განასხვავებენ მას

იმისგან, რაც უკვე ცნობილია. აღწერილობა იძლევა გამოგონების ახსნას, იგი მიუთითებს "ტექნიკის დონეზე" დაყრდნობით, ანუ იმაზე, რაც უკვე ცნობილი იყო გამოგონების შექმნამდე და აღწერს არსებულ ცოდნაში წინგადადგმულ ნაბიჯს, ანუ იმას, რაც თავად წარმოადგენს გამოგონებას. აღწერილობა ასევე იძლევა დამატებით ინფორმაციას, რომელიც სასარგებლოა გამოგონების სიახლეთა დასადგენად.

6.31. ჩვეულებრივ, მოითხოვება, რომ განაცხადი იყოს გადმოცემული საკმარისი სიახლითა და სისრულით ნებისმიერი სპეციალისტისათვის ტექნიკის იმ დარგში, რომელსაც განაცხადი ეხება, რათა მან მოცემული განაცხადის საფუძველზე შეძლოს მოწყობილობის დამზადება, ან განახორციელოს შესაბამისი ხერხი, რომელიც განაცხადშია აღწერილი („განახორციელოს გამოგონება"). გარდა ამისა, საპატენტო უფლებები, რომელიც საპატენტო დოკუმენტის საფუძველზეა მინიჭებული, ნათლად და არაორაზროვნად უნდა განსაზღვრავდეს დაცვის ფარგლებს, ანუ განსაკუთრებულ უფლებებს, რომელსაც პატენტი იძლევა. ეს დუალიზმი, რომელიც გამოიხატება ერთის მხრივ, ტექნიკური ინფორმაციის გახსნაში და, მეორეს მხრივ, საპატენტო უფლებათა განსაზღვრაში, საპატენტო დოკუმენტებს არა მარტო ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, როგორც ინფორმაციის ყველაზე თანამედროვე წყაროს, არამედ იძლევა მათი წარმოდგენის სპეციფიკურ ენასა და სტრუქტურას, რაც თავიდან რთული გასაგებია. მაგრამ იმის გაგება, თუ როგორ და რა მიზეზით არიან საპატენტო დოკუმენტები ამგვარად სტრუქტურირებული და დაწერილი, ტექნოლოგიური ინფორმაციის ამ მნიშვნელოვან წყაროს ხდის ეფექტიანსა და გამოსაყენებლად მოსახერხებელს.

ლიტერატურა

რ.ჰ. ვეჰერაშნი, ტექნიკური ინფორმაციის პრობლემები, საპატენტო ტიპები და სტრუქტურა, MPIC/82/4,1

ОსმО-ს საერთაშორისო ბიურო, სახელმძღვანელო საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრის ორგანიზებისთვის, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებსა და მდგომარეობაზე, ОსმО-ს პუბლიკაცია №658 (E) (1980 და 1987 წ.)

ОსმО-ს საერთაშორისო ბიურო, საპატენტო დოკუმენტებში შემცველი ტექნოლოგიური ინფორმაცია და მისი გამოყენება /SIP/93/6

C. საპატენტო დოკუმენტაციის შინაარსი

(a) შესავალი

6.32. საზოგადოდ საპატენტო დოკუმენტები შეიცავენ უახლეს ინფორმაციას. ეს იმით აიხსნება, რომ განმცხადებლები ყოველთვის ცდილობენ საკუთარი განაცხადის რაც შეიძლება ადრე შეტანას; ჩვეულებრივ ის განმცხადებელი, რომელიც მსგავს გამოგონებებზე დაცვის მთხოვნელი რამდენიმე განმცხადებლიდან პირველი შეიტანს განაცხადს, იღებს პატენტს, სხვა განმცხადებლები კი - უარს. ამასთან, მხოლოდ პატენტის აღების შემდეგ ენიჭება გამომგონებელს საკუთარი გამოგონების სხვების მიერ მისი ნებართვის გარეშე გამოყენების აკრძალვის სამართლებრივ საშუალებათა მაქსიმუმი; დაბოლოს, გამომგონებელს, რომელიც ფლობს პატენტს, შეუძლია საკუთარი გამოგონების გაყიდვის, ან მასზე ლიცენზიის გაცემის პირობად დაასახელოს უფრო მაღალი საბაზრო ფასი, ან როიალტი, ვიდრე იგი ამას შეძლებდა პატენტის გარეშე, ან ჯერ კიდევ მისი არქონის შემთხვევაში.

6.33. საპატენტო კანონის მოთხოვნების შესაბამისად საპატენტო დოკუმენტები ხსნიან ტექნიკურ ინფორმაციას გამოგონების აღწერილობაზე, მის სიახლეზე და საგამომგონებლო დონეზე, ტექნიკის არსებულ დონეზე დაყრდნობით, მინიშნების გზით. ამგვარად, ისინი შეიცავენ არა მარტო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის ახალი (ანუ თვითონ გამოგონება), არამედ იმაზეც, რაც უკვე ცნობილია (ანუ ტექნიკის დონე) და უმეტეს შემთხვევაში იძლევიან, შემოკლებული სახით, ტექნიკური განვითარების ისტორიას იმ დარგში, რომელსაც მიეკუთვნება შესაბამისი გამოგონება.

6.34. საპატენტო დოკუმენტებს აქვთ წარდგენის საკმაოდ ერთგვაროვანი სახე მათ ფორმასა და ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებით, ამასთან ხშირად გააჩნიათ განმარტებითი ნახაზებიც. ფორმულა აჩვენებს, თუ რა არის გამოგონების სავარაუდო არსი. რადგანაც გამოგონების აღწერილობა უნდა იყოს იმგვარი, რომ სპეციალისტმა შეძლოს მოცემული გამოგონების განხორციელება საპატენტო დოკუმენტის საფუძველზე საპატენტო დოკუმენტთა გამოყენება თეორიულად ყოველთვის, და ხშირად პრაქტიკულადაც, შესაძლებელს ხდის ასეთ რეალიზაციას.

6.35. საპატენტო დოკუმენტებს გააჩნია საკმაოდ უნიფიცირებული სტრუქტურა. ფორმულა გადმოსცემს იმას, რაც არსებითად ახალია. აღწერილობას მოეთ-

ხოვება მოცემულ გამოგონებამდე ტექნიკური განვითარების წინაისტორიის ჩვენება და იმ განსხვავების მკაფიოდ განსაზღვრა, რომელიც არსებობს წინამორბედ ტექნოლოგიასა და გამოგონების წვლილს, როგორც ტექნოლოგიის განვითარებისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯს შორის. ეს, სხვა საკითხებთან ერთად და სამეცნიერო-ტექნოლოგიური სტატიებისაგან განსხვავებით, ნიშნავს, რომ მკითხველს არ ესაჭიროება აზროვნების თავისებურებების (რაც ყველა ავტორს სხვადასხვა აქვს) გაგება და მათთან შეგუება. სხვაგვარად რომ ითქვას, საპატენტო დოკუმენტების ასეთი უნიფიცირებული სტრუქტურა მათ წაკითხვას, როგორც კი მკითხველი ამას შეეჩვევა, უფრო იოლს ხდის.

6.36. საპატენტო დოკუმენტი შეიცავს ორი ტიპის ინფორმაციას: ბიბლიოგრაფიულსა და ტექნიკურს. სამრეწველო საკუთრების ზოგიერთი უწყება, რომელიც აქვეყნებს საპატენტო განაცხადსაც ექსპერტიზის შემდეგ, დამატებით გამოსცემს ძიების ანგარიშს, რომელიც შეადგინეს ამ უწყების ექსპერტებმა. ძიების ანგარიში, ჩვეულებრივ, თან ერთვის შესაბამის გამოქვეყნებულ საპატენტო განაცხადს.

(b) ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია

6.37. ეს ინფორმაცია წარმოდგენილია საპატენტო დოკუმენტის პირველ გვერდზე და ძირითადად შეიცავს შემდეგს:

(1) გამომქვეყნებელი უწყების დასახელებასა და მისამართს, გამოქვეყნების თარიღს, აგრეთვე, იმავე მონაცემებს იმ პირთა და კომპანიათა თაობაზე, რომლებსაც ეხება პატენტი, როგორიცაა გამომგონებელი, საპატენტო უფლების მფლობელი, წარმომადგენელი ან პატენტრწმუნებული;

(2) საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის (სსკ) საკლასიფიკაციო სიმბოლოებს და, ზოგ შემთხვევაში, ეროვნული საპატენტო კლასიფიკაციის სიმბოლოებსაც;

(3) გამოგონების დასახელებას, აღწერილობის რეფერატსა და ძირითად ნახაზს ან ქიმიურ ფორმულას.

6.38. საპატენტო დოკუმენტის პირველ გვერდზე განთავსებული ბიბლიოგრაფიული მონაცემების თითოეული ელემენტი იდენტიფიცირებულია ორნიშნა ციფრული კოდით, ეგრეთ წოდებული INID (საერთაშორისო კოდები მონაცემთა იდენტიფიკაციისთვის) კოდებით. კოდების სისტემა საყოველთაოდ მიღებულია და ემსახურება დასახელებების, თარიღების, მისამართებისა და საკ-

ლასიფიკაციო სიმბოლოების გაგებას, იმ ენის ცოდნის გარეშეც, რომელზეც გამოქვეყნებულია საპატენტო დოკუმენტი. ორნიშნა ციფრული კოდი ჩვეულებრივ იბეჭდება პატარა წრეში, ან ფრჩხილებში და მოთავსებულია უშუალოდ კოდირებული ბიბლიოგრაფიული ელემენტის წინ. ბიბლიოგრაფიული მონაცემები და საპატენტო დოკუმენტების უმრავლესობის პირველი გვერდის ფორმატი შეესაბამება სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც ისმოს მიერ არის შემუშავებული.

(c) ტექნიკური ინფორმაცია

6.39. ტექნიკური ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს საპატენტო დოკუმენტი, ჩვეულებრივ, შედგება ოთხი ელემენტისაგან:

(1) ტექნიკის დონის მოკლე აღწერა, რამდენადაც ეს ავტორისთვისაა ცნობილი;

(2) გამოგონების დეტალური აღწერილობა, გადმოცემული იმგვარად, რომ მოცემული დარგის სპეციალისტმა შეძლოს ამ გამოგონების განხორციელება;

(3) ერთი, ან რამდენიმე ნახაზი (ან ქიმიური ფორმულა), რომლებიც თვალსაჩინოდ ახდენენ გამოგონებების ფუნქციონირების ილუსტრაციას;

(4) ფორმულა, რომელიც განსაზღვრავს გამოგონების ფარგლებს.

6.40. თანამიმდევრობა, რომელშიც წარმოდგენილია ეს ოთხი ელემენტი, საერთაშორისო თვალსაზრისით არ არის უნიფიცირებული, მაგრამ ყოველი ქვეყანა ერთი და იმავე სახით წარმოადგენს ყველა თავის გამოსაქვეყნებელ საპატენტო დოკუმენტს. საერთოდ, საპატენტო დოკუმენტთა ტექნიკური შინაარსი წარმოდგენილია თანამიმდევრულად დანომრილ გვერდებზე შემდეგნაირად: ტექნიკის წინამორბედი დონე – დეტალური აღწერილობა – ფორმულა – ნახაზები. გვერდების რაოდენობა საპატენტო დოკუმენტში ვარიირებს გამოგონების სირთულისა და ტექნიკური სფეროს მიხედვით. დოკუმენტის საშუალო მოცულობა შეადგენს 10-დან 15 გვერდს.

(d) ძიების ანგარიში

6.41. ძიების ანგარიშს ადგენს საპატენტო ექსპერტი სამრეწველო საკუთრების უწყებაში, იქ არსებული საძიებო ფონდების გამოყენების შედეგად. საძიებო ფონდები შედგება საპატენტო დოკუმენტებისა და სხვა პუბლიკაციებისგან, რომლებიც სისტემატური სახით არიან მოწესრიგებული, რათა დაჯგუფდნენ

ტექნიკური დარგების მიხედვით. საძიებო ფონდები შეიცავს საპატენტო დოკუმენტებს, რომლებიც გამოქვეყნებულია სულ მცირე ძირითად განვითარებულ ქვეყანათა მიერ 1920 წლიდან და უფრო ადრეც კი. ძიების ანგარიში შეიცავს დოკუმენტების მითითებას, რომლებიც, ექსპერტის აზრით, აღწერენ განცხადებული გამოგონების ანალოგიურ ან იდენტურ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს. თუ ძიების ანგარიშში მოყვანილი ტექნიკური გადაწყვეტილებებიდან ერთიც კი არის განაცხადში აღწერილი გამოგონების იდენტური, მაშინ მოცემული გამოგონება განიხილება, როგორც სიახლის არმქონე და პატენტი ამ შემთხვევაში არ გაიცემა.

(e) დოკუმენტების ფორმა

6.42. სამრეწველო საკუთრების უწყებები აქვეყნებენ საკუთარ საპატენტო დოკუმენტებს და მათთან დაკავშირებულ მონაცემებს სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა საინფორმაციო მატარებლების გამოყენებით. საპატენტო ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც ამჟამად მოიპოვება საერთაშორისო ბაზარზე, შემდეგია (თუმცა ჩამონათვალი არ არის სრული):

საპატენტო დოკუმენტების ინდივიდუალური ასლები:

(1) ქაღალდზე;

(2) მიკროფიშებზე;

(3) კომპაქტ-დისკებზე (CD–ROM).

საპატენტო დოკუმენტთა კომპლექტები, რომლებიც მოწესრიგებულია ნომრების მიხედვით:

(1) აკინძული ტომებად;

(2) 16 მმ-იან ან 35 მმ-იან მიკროფილმებზე;

(3) მიკროფიშებზე;

(4) კომპაქტ-დისკებზე (CD–ROM).

ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია ნუსხის ფორმითაა წარმოდგენილი, სადაც ყოველი ნუსხა შეიცავს მონაცემთა ნაკრებს, რომელთაგან თითოეული ეხება ერთ დოკუმენტს. ცალკეული ნუსხა შეიძლება მოწესრიგებული იყოს სხვადასხვა სახით და ბიბლიოგრაფიული ელემენტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანის შესაბამისად, მაგალითად: საკლასიფიკაციო სიმბოლოს ან განმცხადებლის სახელის მიხედვით. ასეთი ნუსხები შეიძლება იყოს:

(1) ქაღალდის ფორმით (იფიციალური ბიულეტენები);

(2) მიკროფიშებზე;

(3) 16 მმ-იან ან 35 მმ-იან მიკროფილმებზე;

(4) კომპაქტ-დისკებზე (CD–ROM);

(5) კომპიუტერის მეხსიერებაში შენახული, რომელიც უშუალოდ ხელმისაწვდომია on-line-ის რეჟიმში ტერმინალებიდან, სატელეფონო ან სატელექსო კავშირით.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, სახელმძღვანელო საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრის ორგანიზებისთვის, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებსა და მდგომარეობაზე, ისმო-ს პუბლიკაცია №658 (E) (1980 და 1987 წ.წ.)

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საპატენტო დოკუმენტებში შემცველი ტექნოლოგიური ინფორმაცია და მისი გამოყენება, /SIP/93/6

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის როლი ტექნოლოგიების გადაცემაში, PI.105, 1983 წ.

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საპატენტო ინფორმაცია – რა არის იგი და რა სარგებლობა აქვს ტექნოლოგიური განვითარებისთვის ან ტექნოლოგიების გადაცემისათვის, WIPO/IP/SVV/93/9

D. სამრეწველო საკუთრების ინფორმაციის შენახვისა და ხელმისაწვდომობის ახალი ტექნოლოგიები

6.43. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით დაიწყო სამრეწველო საკუთრების ინფორმაციის შენახვისა და მისი მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობების ახალი ერა. მთავარი გახდა "კომპაქტ-დისკების", ანუ CD–ROM ტექნოლოგია. კომპაქტ-დისკები არის ახალი ტექნოლოგია, რომელიც დაკავშირებულია Compact Disc Read-Only Memory-ს მატარებლებთან, ანუ "დისკებთან, რომლებიც ინფორმაციის მხოლოდ წაკითხვის საშუალებას იძლევა". მათში ინფორმაცია შენახულია 12 სმ-იანი დიამეტრის დისკზე დაშტამპვის საშუალებით, ისევე, როგორც ეს კეთდება აუდიო კომპაქტ-დისკებზე, უმცირესი ღრმულების სერიების სახით, რომლებიც წაიკითხება ლაზერის სხივით (წამკითხავი მოწყობილობანი ოპტიკური დისკებისათვის). ჩაწერილი ინფორმაცია მომხმარებელმა შეიძლება გამოიტანოს ეკრანზე.

ინფორმაცია კომპაქტ-დისკზე არ შეიძლება იყოს წაშლილი ან დამატებით ჩაწერილი (აქედან, "მხოლოდ წასაკითხი").

6.44. სამრეწველო საკუთრების დოკუმენტებისა და ინფორმაციის შესანახად კომპაქტ-დისკების გამოყენების შესაძლებლობამ წარმოაჩინა ახალი ასპექტი არსებული ავტომატიზებული სისტემების განვითარებაში. კომპაქტ-დისკები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდების ახალ მექანიზმს, რომელიც ავსებს სისტემებს მაგნიტური ლენტების ან დისკური მეხსიერების გამოყენებით, ან, ზოგ შემთხვევაში, ცვლის კიდეც მათ. კომპაქტ-დისკები, რომლებიც შეიცავენ ტექსტს ციფრული ფორმით და/ან გრაფიკულ ინფორმაციას ფაქსიმილური სახით, გამოიყენება:

(1) დოკუმენტების არქივებად;

(2) "ავტონომიურ" რეჟიმში ("off-line") ბიბლიოგრაფიული მონაცემების, დასახელების, რეფერატისა და სრული ტექსტის ძიებისათვის, საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის ჩათვლით;

(3) საპატენტო დოკუმენტების გასავრცელებლად.

6.45. რაშია კომპაქტ-დისკების ძირითადი თავისებურება, რა ხდის მათ გამოყენებას მიმზიდველს სამრეწველო საკუთრების სფეროში? შემდეგ პუნქტებში მოცემულია პასუხი ამ კითხვაზე:

(1) მათ გააჩნიათ შენახვის უდიდესი ტევადობა;

(2) ჩაწერა და ინფორმაციის ძიება ხდება ელექტრონული მართვით;

(3) კომპაქტ-დისკების ასლების გადაღება შედარებით იაფია;

(4) კომპაქტ-დისკები შედარებით გამძლეა და არ განიცდის გარემოს ზემოქმედებას: სინოტივის, მაღალი და დაბალი ტემპერატურის, ელექტრონული ან მაგნიტური ველების სახით;

(5) დისკების წამკითხავი მოწყობილობები არ არის ძვირი (500 შვეიცარული ფრანკი სტანდარტულ მოდელზე) და მომავალში მათი ფასი კიდევ უფრო დაიწევს;

(6) მონაცემების ამოკრეფა, მაგალითად, ძიების შესრულება ბულის ოპერატორების გამოყენებით რამდენიმე ბიბლიოგრაფიული საძიებო ფაილის საფუძველზე, შეიძლება განხორციელდეს პერსონალური კომპიუტერის საშუალებით. ეს ნიშნავს იმას, რომ მონაცემების ორი, ან მეტი ფაილით, რომლებიც ჩაწერილია დისკზე, შეიძლება კომპიუტერის, როგორც ინტერაქტიური საძიებო სისტემის მეხსიერებაში მანიპულირება.

6.46. არსებობს ოპტიკურ დისკებზე ინფორმაციის შენახვის ორი მეთოდი:
(1) ორობითად - კოდირებული ფაქსიმილური მონაცემების ფორმით (ფაქსიმილური ან რასტრული შენახვის წესი); და
(2) სიმბოლურად - კოდირებული მონაცემებით ("ციფრული" ფორმა).
6.47. ფაქსიმილური ფორმით ინფორმაცია ინახება უმცირესი წერტილების შემცველი "სურათის" სახით, რომლებიც წარმოადგენენ ნაბეჭდი გვერდის გამოსახულებას. თითოეული წერტილი კომპიუტერში წარმოდგენილია "ბაიტით" და ბაიტების დიდი რაოდენობაა აუცილებელი გამოსახულების პორტრეტის შესაქმნელად. მაგალითად, ინფორმაციის გვერდი, რომელიც სკანირებულია 300 წერტილი დიუმზე გარჩევისუნარიანობით - (ან dpi) შესანახად მოითხოვს 1 050 000 ბაიტს (1 ბაიტი = 8 ინფორმაციის ორობით ბიტს). პრაქტიკაში, მონაცემთა შეკუმშვის ტექნიკის გამოყენებით მცირდება შენახვის მოთხოვნები თითეული გვერდისათვის, რაც უზრუნველყოფს ერთ კომპაქტდისკზე 15 000-დან 20 000-მდე ფაქსიმილური გვერდის შენახვას. მეორე მხრივ, გვერდების რაოდენობა, რომლებიც მოთავსებულია ერთ დისკზე შენახვის ციფრული სახეობის გამოყენებისას, მერყეობს 150 000-დან 300 000-მდე, რადგანაც ერთი ნაბეჭდი ნიშნის შენახვისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი ბაიტი.
6.48. დისკების შემდგომი გამოყენება შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:
(1) გამოქვეყნებული სრული საპატენტო დოკუმენტების შენახვა. ეს გამოიყენება უმთავრესად, როგორც პუბლიკაციის მატარებელი: ან ფაქსიმილურ ფორმატში (ანუ ტექსტიც და გამოსახულებაც ინახება ფაქსიმილურ ფორმატზე), ან შერეული სახით, როდესაც ტექსტი ჩაწერილია სიმბოლურ - კოდირებული სახით, გამოსახულებანი კი - ფაქსიმილურ ფორმატზე, ან მომავალში მთლიანად ციფრულ ფორმატში (ტექსტიცა და გამოსახულებაც);
(2) საპატენტო ინფორმაციის შემთხვევაში: ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა შენახვა რეფერატებთან ერთად, ან მათ გარეშე. ეს გამოყენება უზრუნველყოფს ანალოგიურ შესაძლებლობებს, როგორც არსებულ on-line საპატენტო მონაცემთა ბაზების გამოყენების შემთხვევაში;
(3) სასაქონლო ნიშნებზე ინფორმაციის შემთხვევაში: ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა შენახვა საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის ტექსტთან ერთად, ან მის გარეშე, აგრეთვე, გამოსახულებებით, ან მათ გარეშე. ასეთი გამოყენება უზრუნველყოფს ანალოგიურ შესაძლებლობებს, როგორც სა-

საქონლო ნიშნების შესახებ არსებულ მონაცემთა on-line ბაზების შემთხვევაში;

(4) სხვა მონაცემთა შენახვა, როგორიცაა საკლასიფიკაციო სისტემათა ტექსტები, მაგალითად სსკ, საკვანძო სიტყვების მაჩვენებლებთან ერთად. ასეთი გამოყენება საშუალებას იძლევა ჩატარდეს ძიება კლასიფიკაციის სისტემების ტექსტების მიხედვით, საკვანძო სიტყვების გამოყენებით მათი ჩამონათვალიდან, ან თვით კლასიფიკატორიდან, ან უზრუნველყოფილი იქნეს საკლასიფიკაციო რუბრიკების დისპლეიზე გამოტანა და სიმბოლოების, როგორც საძიებო ტერმინების გამოყენება.

(5) ხერხების შეთავსება, რომლებიც აღნიშნულია პუნქტებში (2) და (4) ან (3) და (1).

6.49. ტიპური საძიებო სისტემა, რომელიც რეალიზებულია კომპაქტ-დისკებზე, შედგება პერსონალური კომპიუტერისაგან ეკრანით, კომპაქტ-დისკისათვის დისკამძრავისა და პრინტერისგან. დისკამძრავი (ე.წ. "წამკითხავი მოწყობილობა") შეიძლება იყოს ავტონომიური მოწყობილობა, რომელიც კაბელითაა შეერთებული კომპიუტერთან, ან შეიძლება იყოს ჩადგმული მოწყობილობა, რომელიც მეორე მოქნილი დისკის ადგილზე შეიძლება ჩაიდგას. ოპტიკური დისკამძრავი შეიძლება წარმოადგენდეს მულტიდისკურ მოწყობილობას, რომელიც იმართება სპეციალური პროგრამით და გათვლილია სათავსოდან საჭირო დისკის მოსაძებნად და საკითხავ მოწყობილობაში მის ჩასატვირთად.

6.50. კომპაქტ-დისკების პაკეტი, რომლებიც ავტონომიურ რეჟიმში გამოიყენება, შეიცავს ყველა აუცილებელ საძიებო რეკვიზიტს, კერძოდ: მონაცემთა ბაზას, საძიებლებს (რომლებსაც "ლექსიკონებსაც" უწოდებენ) და საძიებო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც კომპაქტ-დისკზე, ან მოქნილ დისკზეა ჩაწერილი. იმისთვის, რომ გამოიძახოს ინფორმაცია, მომხმარებელი მონიშნავს თავის სამუშაო ადგილიდან დისკზე არსებულ ერთ-ერთ ფაილს, ატარებს ძიებას და პოულობს შესაბამის მითითებებს. ტექსტის ეკრანზე გამოტანის ბრძანების მიღებისას კომპიუტერი აკავშირებს ამ ბრძანებას მონაცემებთან, რითაც განსაზღვრავს დისკზე კოდირებული გამოსახულების ადგილსამყოფელს, გადმოტვირთავს მონაცემებს დროებით საცავში მაგნიტურ დისკებზე და მოძებნილი დოკუმენტის შესაბამისი გვერდის გამოსახულება გამოაქვს სამუშაო ადგილის ეკრანზე. მომხმარებელს შეუძლია ამობეჭდოს მოძებნილი

გამოსახულება გვერდების მიხედვით დაკავშირებულ სამუშაო ადგილთან შესაბამის პრინტერზე,.

6.51. საძიებო სისტემათა გამოყენების ღირებულება ინტერაქტიულ რეჟიმში (on-line) საკმაოდ მაღალია ბევრი არსებული ან პოტენციური მომხმარებლისათვის. ბიბლიოგრაფიული ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის ღირებულება, რომელიც ეხება ციფრულ ფორმატში კომპაქტ-დისკებზე ჩაწერილ სამრეწველო საკუთრების დოკუმენტებს, ინტერაქტიურ რეჟიმში მომუშავე საძიებო სისტემებთან შედარებით დაბალია, რაც მიმზიდველ ალტერნატივას ქმნის მრავალი მომხმარებლისათვის. ასეთი საძიებო სისტემის შექმნა, რომელიც რეალიზებულია კომპაქტ-დისკებზე, საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ძიების ჩატარებისას თავიდან აიცილოს მუდმივი კავშირი დაშორებულ და ძვირ მონაცემთა ბაზასთან. ვინაიდან მომხმარებლისთვის საჭირო მთელი ინფორმაცია შენახულია მისი მოწყობილობის მეხსიერებაში, მას შეუძლია სათანადო ინფორმაციის ძიებაზე დახარჯოს იმდენი დრო და აკეთოს ეს ისეთი სიხშირით, როგორიც სჭირდება, დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

6.52. საპატენტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით კომპაქტ-დისკების ტევადობა შემდეგნაირია:

(1) ერთ კომპაქტ-დისკზე შეიძლება 1000-მდე საპატენტო დოკუმენტის ფაქსიმილური ფორმით შენახვა, ნახაზების ჩათვლით. დოკუმენტების სრული ტექსტის მიხედვით ძიების ჩატარება არ შეიძლება, მაგრამ დოკუმენტის ნომერთან, სსკ-ის ინდექსებთან, დასახელებაში სიტყვებთან და ა.შ. დაკავშირებით შესაძლებელია საძიებო ინდექსების დამატება, რაც უზრუნველყოფს საპატენტო დოკუმენტების გამოსახულების დისპლეიზე გამოტანას, ან ამობეჭდვას.

(2) ერთ კომპაქტ-დისკზე შეიძლება 3000 სრული საპატენტო დოკუმენტის შენახვა შერეული სახით, ანუ დოკუმენტის ტექსტური ნაწილის შენახვა ციფრულ ფორმატში, ხოლო ნახაზების – ფაქსიმილურ ფორმატში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ძიების ჩატარება უშუალოდ ტექსტობრივი ნაწილის მიხედვით;

(3) ერთ კომპაქტ-დისკზე შეიძლება მოთავსდეს 20 000 საპატენტო დოკუმენტი იმ პირობით, თუ აღწერილობის ტექსტი, ბიბლიოგრაფია და რეფერატი ჩაიწერება ციფრულ ფორმატში ნახაზებისა და ქიმიური ფორმულების გარეშე.

ასეთი შენახვა შეიცავს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის საძიებლებს, სახელწოდებებსა და რეფერატებში საკვანძო სიტყვებით ძიების ჩათვლით.

6.53. სასაქონლო ნიშნების შესახებ ინფორმაციის შემთხვევაში დისკების ტევადობა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

(1) ერთ დისკზე შეიძლება მოთავსდეს დაახლოებით 250 000-მდე შავ-თეთრი სასაქონლო ნიშნის გამოსახულება; თუ გამოსახულებანი ჩაწერილია ნახევარტონების გადაცემით (ნაცრისფრის ელფერით), მაშინ მოთავსდება 40 000 გამოსახულება, ხოლო თუ გამოსახულება ფერადია – მხოლოდ 20 000-მდე. გამოსახულების ძიება შეიძლება ნიშნის ნომრისა და ვენის კლასიფიკაციის სიმბოლოების მეშვეობით და მთავრდება ეკრანზე გამოსახულების გამოტანით ან მისი ამობეჭდვით.

(2) ერთ დისკზე შეიძლება მოთავსდეს დაახლოებით 20 000-მდე სრული ჩანაწერი სასაქონლო ნიშნების შესახებ ე.წ. „შერეული სახით“, ანუ ტექსტობრივი ნაწილები – ციფრულ ფორმატში, ხოლო შავ-თეთრი გამოსახულებანი – ფაქსიმილურ ფორმატში. ამ შემთხვევაში ორივე ნაწილი მოძიებადია.

6.54. საპატენტო დოკუმენტების შენახვა კომპაქტ-დისკებზე ფაქსიმილურ ფორმატში უზრუნველყოფს ჩანაწერის მაღალ სიმჭიდროვეს და ეკრანზე ხარისხიანი გამოსახულების მიღებისა და ამობეჭდვის საშუალებას იძლევა. ასეთი პროდუქტები უკვე არსებობენ. მაგალითად, იაპონიის საპატენტო უწყება ყოველკვირეულად ავრცელებს ახლად გამოქვეყნებულ საპატენტო განაცხადებს კომპაქტ-დისკებზე. ევროპის საპატენტო უწყება ასევე ავრცელებს საპატენტო განაცხადების სრულ ტექსტებს, რომლებიც გამოქვეყნებულია მის და ისმოს მიერ, ჩაწერილს კომპაქტ-დისკებზე, როგორც ფაქსიმილურ გამოსახულებას (მაგ. ESPACE -EP და ESPACE-WORLD დისკები) და, აგრეთვე, სთავაზობს დისკებზე გამოქვეყნებულ საპატენტო განაცხადთა პირველ გვერდებს (FiRSt სისტემა).

6.55. სასაქონლო ნიშნების შესახებ მონაცემებისა და მათ გამოსახულებათა ოპტიკურ დისკებზე შენახვა ასევე უზრუნველყოფს ჩანაწერის მაღალ სიმჭიდროვეს, და ეკრანზე ხარისხიანი გამოსახულების მიღებისა და ამობეჭდვის საშუალებას იძლევა. ასეთი პროდუქტები უკვე არსებობენ. მაგალითად, ისმოს საერთაშორისო ბიურო, ROMARIN-ის პროექტის თანახმად, ყოველთვიურად უშვებს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების სრულ ფაილს CD-ROM დისკებზე.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, ახალი ტექნოლოგიები სამრეწველო საკუთრების ინფორმაციის შენახვისათვის და მისდამი ხელმისაწვდომობისათვის, /SIP/93/7

E. სტატისტიკა საპატენტო დოკუმენტების, როგორც ტექნოლოგიური ინფორმაციის წყაროს შესახებ

6.56. უკანასკნელი სტატისტიკის თანახმად საპატენტო განაცხადთა რიცხვი მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად შეადგენს ერთ მილიონზე მეტს. ამ განაცხადებს მივყავართ ნახევარ მილიონზე მეტ გაცემულ პატენტამდე. გამოგონებათა რიცხვი, რომელსაც მოიცავენ ზემოხსენებული განაცხადები და გაცემული პატენტები, მნიშვნელოვნად ნაკლებია, რადგან ყოველი გამოგონება განაპირობებს ორი ან მეტი საპატენტო განაცხადის გაჩენას სხვადასხვა ქვეყანაში. ყოველწლიურად სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული საპატენტო დოკუმენტების, როგორც განაცხადთა, ასევე გაცემულ პატენტთა რიცხვი მილიონს აჭარბებს. ქვემოთ მოყვანილია სტატისტიკა ძირითადი დამპატენტებელი ქვეყნების შესახებ.

	პატენტები		სასარგებლო მოდელები	
	განაცხადები	გაცემული პატენტები	განაცხადები	გაცემული პატენტები
1	2	3	4	5
იაპონია	380,035	88,400	77,101	53,400
აშშ	191,386	98,344	-	-
გერმანია	117.768	52,008	20,084	16,884
დიდი ბრიტანეთი	101,242	42,586	-	-
საფრანგეთი	82,141	44,291	-	-
იტალია	65,170	32,511	3,337	1,840
ნიდერლანდი	58,822	23,264	-	-
ესპანეთი	56,733	15,815	3,492	3,279
შვედეთი	55,641	21,115	-	-
შვეიცარია	55,557	20,637	-	-
ავსტრია	51,491	16,787	-	-
1	2	3	4	5

კანადა	47,752	14,580	-	-
კორეის რესპუბლიკა	47.344	11,446	32,205	7,592
დანია	47,088	6,629	563	453
ბელგია	46,520	19,074	-	-
რუსეთის ფედერაცია	43,717	13,214	-	-
ლუქსემბურგი	43,503	10,293	-	-
პორტუგალია	42,932	1,694	281	83
საბერძნეთი	36,907	7,835	219	188
ირლანდია	36,792	1,574	-	-
მონაკო	32,717	115	-	-
ავსტრალია	30,729	12,728	-	-
ჩინეთი	19,618	6,556	47,499	46,639
ბრაზილია	16,944	2,649	2,584	319
ინდოეთი	3,720	1,551	-	-
ჯამი	1,712,269	565,696	187,365	130,677

6.57. ზემომოყვანილი ციფრები ემყარება ისმოს 1993 წლის სტატისტიკას. იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანა საერთაშორისო, ან რეგიონალური შეთანხმების, მაგალითად, PCT-ის ან ევროპის საპატენტო კონვენციის მონაწილეა, ციფრები შეიცავენ, აგრეთვე, ყველა საერთაშორისო, ან რეგიონულ განაცხადს, რომელშიც ეს ქვეყანა არის მითითებული. საპატენტო განაცხადთა საერთო რაოდენობა, ზემომოყვანილი 25 ქვეყნის მიხედვით, იმ საპატენტო განაცხადთა საერთო რაოდენობის თითქმის 90%-ს შეადგენს, რომლებიც შეტანილია 110 ქვეყანასა და ორგანიზაციაში 1993 წელს. სასარგებლო მოდელებზე განაცხადთა საერთო რაოდენობა, რომელიც ზემოთაა მოყვანილი 10 ქვეყნისათვის, შეადგენს სასარგებლო მოდელებზე განაცხადთა საერთო რიცხვის 95%-ს, რომელიც შეტანილია 24 ქვეყანაში 1993 წელს.

6.58. არსებობს ორი ძირითადი მიზეზი, რითაც აიხსნება სხვაობა გამოგონებათა რაოდენობასა და შესაბამის საპატენტო დოკუმენტთა რაოდენობას შორის. პირველი, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ქვეყანა აქვეყნებს არა მარტო პატენტებს, არამედ შესაბამის განაცხადებსაც. მეორე მიზეზია ის, რომ ერთი და იგივე გამოგონება ყოველ ცალკეულ ქვეყანაში, რომელშიც მოთხოვნილია დაცვა, ხდება ცალკე გა-

ნაცხადის (აგრეთვე ცალკეული პატენტის) ობიექტი. ამგვარად, ერთი და იგივე გამოგონება შეიძლება გახდეს პუბლიკაციის ობიექტი, არა მარტო ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყანაში. ქვეყნების საშუალო რაოდენობა დაახლოებით ორიდან სამამდეა.

6.59. არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა გამოქვეყნებულ საპატენტო დოკუმენტთა რაოდენობის თაობაზე, იმ დროიდან მოყოლებული, რაც პატენტების გამოქვეყნება დაიწყო. მაგრამ მათი რიცხვი შეიძლება შეფასებული იყოს დაახლოებით 30 მილიონამდე. აქედან, ჩვეულებრივ, მხოლოდ ბოლო პუბლიკაციებს აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა ტექნოლოგიური ინფორმაციის ძიების თვალსაზრისით. უფრო ძველ დოკუმენტებს ხშირად მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს. მიუხედავად ამისა, უფრო ძველი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა აუცილებლად საჭიროა სამრეწველო საკუთრების ნებისმიერი უწყებისთვის, რომლის კანონმდებლობა მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას საკითხზე, არის თუ არა მოცემული საპატენტო განაცხადი, რომელიც ეხება მოცემულ გამოგონებას, ობიექტურად ახალი, რადგანაც ამ დასკვნის გამოტანა მოითხოვს ყველა იმ არსებულ საპატენტო დოკუმენტის გადასინჯვას, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ანალოგიურ გამოგონებებს.

<u>ლიტერატურა</u>

ОЅმО-ს საერთაშორისო ბიურო, საპატენტო ინფორმაცია – რა არის იგი და რა სარგებლობა აქვს ტექნოლოგიური განვითარებისთვის ან ტექნოლოგიების გადაცემისათვის, WIPO/IP/SVV/93/9

F. საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია (სსკ)

6.60. სამრეწველო საკუთრების უწყებები, რომლებსაც საქმე აქვთ საპატენტო დოკუმენტების დიდ რაოდენობასთან, აწყდებიან ორი სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას. ესენია, კერძოდ, საპატენტო განაცხადებთან დაკავშირებული ადმინისტრირების უზრუნველყოფა და გამოქვეყნებული საპატენტო დოკუმენტების შემცველი საძიებო ფაილების ფორმირება და შენარჩუნება. საძიებო ფაილები იქმნება დოკუმენტური ძიების ჩატარების მიზნით, რაც საჭიროა საპატენტო განაცხადების ექსპერტიზისა და კონკრეტული ტექნიკური სფეროს რელევანტური დოკუმენტების მონახვისათვის. საჭიროა სპეციალური სისტემები საპატენტო დოკუმენტების სათანადოდ ორ-

განიზებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საპატენტო განაცხადთა და საპატენტო დოკუმენტთა ეკონომიურ დამუშავებას უწყებაში და რაც უფრო დიდია საპატენტო დოკუმენტთა რაოდენობა, მით უკეთესი უნდა იყოს სისტემა.

6.61. ერთი მხრივ, საპატენტო განაცხადებს უნდა გააჩნდეთ მათთვის მიკუთვნებული რაიმე სიმბოლო, ან ნომერი ადმინისტრირების მიზნებისათვის, ე.ი. უწყებაში რეგისტრაციისა და დამუშავებისთვის. ამ მიზნით ჩვეულებრივ გამოიყენება რიგითი ნომერი. მეორე მხრივ, საპატენტო განაცხადებს, აგრეთვე, უნდა ჰქონდეს სპეციალური სიმბოლოები, რომლებიც ეხება ტექნიკურ სფეროს ან სფეროებს, რომელთაც მიეკუთვნება საპატენტო განაცხადი. ეს სიმბოლოები საჭიროა შესაბამისი სფეროს (მაგალითად, მრეწველობის) დასახმარებლად, აგრეთვე, საპატენტო დოკუმენტაციის ნომრებისა და კლასების მოსაწესრიგებლად, ძიების ჩასატარებლად, რაც აუცილებელია, და კონკრეტულ ტექნიკურ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების მოსანახად. ამიტომ სამრეწველო საკუთრების უწყებანი იძულებულნი აღმოჩნდნენ შეემუშავებინათ პატენტთა კლასიფიკაციის სისტემები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სისტემები, რომლებიც სპეციალურადაა ადაპტირებული განაცხადების შეტანისა და საპატენტო დოკუმენტთა საიმედო და სწრაფი მოძიებისათვის. ასეთ სპეციალურ საკლასიფიკაციო სისტემათა დამუშავება საპატენტო დოკუმენტაციისათვის აუცილებელი გახდა, რადგანაც არსებული საკლასიფიკაციო სისტემები, ისეთები, როგორიც გამოიყენება ბიბლიოთეკებში, საპატენტო დოკუმენტების კლასიფიკაციის მიზნებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ამგვარად, სხვადასხვა უწყებაში სხვადასხვა ეროვნული საკლასიფიკაციო სისტემები დამუშავდა.

6.62. პირველად ეროვნული საკლასიფიკაციო სისტემა მიღებულ იქნა 1831 წელს აშშ-ს საპატენტო უწყებაში, შემდეგ 1877 წელს გერმანიის საპატენტო უწყებასა და 1880 წელს დიდი ბრიტანეთის უწყებაში. საპატენტო განაცხადთა უბრალო რეგისტრაციის საწყისი სისტემა თანდათანობით შეიცვალა საპატენტო განაცხადთა ექსპერტიზის სისტემით, რომლის დროსაც განაცხადებს ადარებდნენ არსებულ ეროვნულ საპატენტო დოკუმენტებს. შემდეგი ნაბიჯი იყო - საპატენტო განაცხადთა ექსპერტიზაში მოცემული სფეროს ტექნიკის უნივერსალური დონის ჩართვა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მიზნით სხვა ქვეყნების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტთა გამოყენება. ამ ტიპის ექსპერტიზის მიზნებისთვის სამრეწველო საკუთრების უწყებები ვალდებულნი იყვნენ

ჩაეტარებინათ იმ დოკუმენტთა ძიება, რომლებიც ეძღვნებოდა კონკრეტულ თემატიკას, და მოენახათ ისინი უამრავ უცხოურ საპატენტო დოკუმენტთა შორის, რომელთაც სხვა ეროვნულ კლასიფიკაციათა სიმბოლოები გააჩნდათ.

6.63. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა ორ განსხვავებულ საკლასიფიკაციო სისტემას შორის შესაბამისობის ცხრილების შექმნა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთი ტაბულების დამუშავება, რომლებსაც ერთი ეროვნული კლასიფიკაციის ყოველი რუბრიკისათვის მოჰყავდათ სხვა ეროვნული სისტემის შესაბამისი რუბრიკა. მაგრამ კლასიფიკაციების განსხვავებულ პრინციპთა შედეგად, რომელიც ყოველი სისტემის საფუძველში დევს, ეროვნული კლასიფიკაციები იმდენად განსხვავდებოდნენ ერთიმეორისგან, რომ ამ შესაბამისობის ცხრილების ღირსება მეტად საეჭვო ხდებოდა. უფრო მეტიც, საჭირო იქნებოდა სხვადასხვა შესაბამისობის ცხრილების დადგენა, ერთი მხრივ, მოცემული ქვეყნის საკუთარ ეროვნულ სისტემასა და, მეორე მხრივ, სხვა ქვეყნების ყოველი ეროვნულ კლასიფიკაციის სისტემას შორის. ამიტომ ეს მეთოდი არ იძლეოდა პრობლემის მისაღებ გადაწყვეტილებას.

6.64. ამ პრობლემის გადაჭრის მეორე შესაძლებლობას წარმოადგენდა ყოველი ქვეყნისათვის საზღვარგარეთული საპატენტო დოკუმენტების რეკლასიფიკაცია თავისი საკუთარი ეროვნული კლასიფიკაციის შესაბამისად. ეს გადაწყვეტა მიუღებელი აღმოჩნდა საპატენტო დოკუმეტთა დიდი რაოდენობის გამოც, რომელთა რეკლასიფიკაცია იქნებოდა საჭირო და იმის გამოც, რომ ამ შრომატევადი სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო იყო უცხო ენების მცოდნე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა უცხოური ქვეყნების საპატენტო დოკუმენტებზე სამუშაოდ. ამიტომ ამ საკითხების გადასაწყვეტად სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემის შექმნის აუცილებლობა.

6.65. 1956 წლიდან დაწყებული მრავალი წლის საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, ევროპის საბჭოსა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმოს) ეგიდით 1971 წელს დაიდო სტრასბურგის შეთანხმება საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის თაობაზე (სსკ) და უზრუნველყოფილ იქნა ამ კლასიფიკაციის მსოფლიო აღიარება. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის სტრასბურგის შეთანხმების წევრი იყო 35 სახელმწიფო: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ბრაზილია, კანადა, ჩინეთი, კუბა, ჩეხეთის

რესპუბლიკა, დანია, ეგვიპტე, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, ლუქსემბურგი, მალავი, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკია, ესპანეთი, სურინამი, შვედეთი, შვეიცარია, ტაჯიკეთი, ტრინიდადი და ტობაგო, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

6.66. სსკ დაფუძნებულია საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებაზე, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს ისმო (ე.წ. სტრასბურგის შეთანხმება). ეს კლასიფიკაცია ყოფს მთელ ტექნიკას 8 ნაწილად, 20 ქვედანაყოფად, 118 კლასად, 624 ქვეკლასად და 67 000-ზე მეტ ჯგუფად (საიდანაც დაახლოებით 10%-ზე მეტი „ძირითადი ჯგუფია“, დანარჩენი კი ქვეჯგუფებს წარმოადგენს). თითოეულ ნაწილს, კლასს, ქვეკლასს, ჯგუფსა და ქვეჯგუფს აქვს საკუთარი სახელწოდება და სიმბოლო, ხოლო ყოველ ქვედანაყოფს მხოლოდ სახელწოდება. ასეთი სიმბოლო, ან სიმბოლოები, ყოველ შემთხვევაში ქვეკლასის (ების) დონეზე მაინც, რომლებსაც განეკუთვნება ყოველ საპატენტო დოკუმენტში აღწერილი გამოგონება, როგორც წესი, აღნიშნულია საპატენტო დოკუმენტზე იმ ქვეყნის უწყების მიერ, სადაც იყო შეტანილი განაცხადი. ამიტომ მოცემული დოკუმენტი შეიძლება მოინახოს მისი თემატიკის შესაბამისად სსკ-ს მეშვეობით.

6.67. სსკ არსებობს ორ ავთენტიკურ ვერსიად: ინგლისურად და ფრანგულად, რომლებსაც აქვეყნებს ისმო. სსკ-ს მეექვსე რედაქციის სრული ტექსტი მომზადებული და გამოქვეყნებული იყო, მაგალითად, ჩინურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ, იაპონურ, კორეულ, პოლონურ, პორტუგალიურ, რუმინულ, რუსულ და ესპანურ ენებზე.

6.68. ამჟამად სსკ-ს იყენებს 70-ზე მეტი ქვეყანა და 4 საერთაშორისო ორგანიზაცია, რაც მსოფლიოში გამოცემული საპატენტო დოკუმენტების გამოშვების დაახლოებით 90%-ს მოიცავს. 1989 წლის ბოლოს დაახლოებით 18 მილიონ საპატენტო დოკუმენტს გააჩნდა სსკ-ს საკლასიფიკაციო სიმბოლოები. აქედან, დაახლოებით 6,2 მილიონი გამოქვეყნებულია იაპონურ ენაზე, 3 მილიონი ინგლისურ, 1,7 მილიონი ფრანგულ და 1,8 მლნ გერმანულ ენებზე. დანარჩენი დოკუმენტები გამოქვეყნებულია სხვადასხვა ენაზე, ძირითადად ჰოლანდიურ, რუსულ, ესპანურ და შვედურ ენებზე.

6.69. ექსპერტთა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელიც დაფუძნებულია სტრასბურგის შეთანხმების შესაბამისად, აახლებს სსკ-ს მასში დამატებათა

პერიოდული შეტანის გზით და ხელს უწყობს მის უნიფიცირებულ გამოყენებას. ექსპერტთა კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში ის ფაქტი, რომ სსკ წარმოადგენს საერთაშორისო თვალსაზრისით საპატენტო დოკუმენტების უნიფიცირებელი კლასიფიკაციის მიღწევის საშუალებას, დათანხმდა, რომ:

(a) როგორც ძირითადი მიზანი სსკ უნდა იყოს ეფექტური საძიებო საშუალება სამრეწველო საკუთრების უწყებებისა და სხვა მომხმარებლების მიერ რელევანტურ საპატენტო დოკუმენტთა მოსანახად, რათა დადგინდეს სიახლე და შეფასდეს საპატენტო განაცხადთა საგამომგონებლო დონე (ტექნიკური პროგრესისა და სასარგებლო შედეგების ან გამოყენების შეფასების ჩათვლით);

(b) სხვა მიზნებთან დაკავშირებით (რომლებსაც აქვთ ერთნაირად დიდი მნიშვნელობა, როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებისათვის სსკ უნდა იყოს:

(i) საპატენტო დოკუმენტთა მოწესრიგების ინსტრუმენტი, რათა გაადვილდეს მათში შემცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

(ii) ინფორმაციის შერჩევითი გავრცელების საფუძველი საპატენტო ინფორმაციის ყველა მომხმარებლისათვის;

(iii) კონკრეტულ ტექნოლოგიურ სფეროში ტექნიკის დონის შესწავლის საფუძველი; და

(iv) სტატისტიკის მომზადების საფუძველი სამრეწველო საკუთრების სფეროში, რაც, თავის მხრივ, განსხვავებულ სფეროებში ტექნოლოგიური განვითარების შეფასების საშუალებას იძლევა.

6.70. ისმომ გერმანიის საპატენტო უწყებასა და ესპანეთის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან თანამშრომლობით 1992 წელს წარმოადგინა სსკ-ს პირველი რედაქცია “CLASS” ოპტიკურ კომპაქტ-დისკებზე (IPC: CLASS (International Patent Classification Cumulative and Linguistic Advanced Search system - საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია: კუმულატიური და ლინგვისტური ძიების თანამედროვე სისტემა)). მეორე ვერსია IPC: CLASS-ი შეიცავს პირველიდან მეექვსე რედაქციამდე სსკ-ს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, მეოთხე რედაქციიდან მეექვსემდე - გერმანულ ენაზე, მეხუთე და მეექვსე რედაქციებს - უნგრულ და ესპანურ ენებზე. აგრეთვე, ძირითადი სიტყვების საძიებლებს ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ორენოვან გერმანულ-ინგლისურ საძიებელს (ყოველი ენოვანი ვერსია ცალკე), სხვადასხვა (წინამორბედი) გადასინჯვის რედაქციებსა და მეექვსე რედაქციას შორის

შესაბამისობის მონაცემებს, აგრეთვე სსკ-ს მოქმედ ინდექსებს. სისტემა IPC: CLASS-ი წარმოადგენს სსკ-ს უბრალო საძიებო საშუალებას, რაც სსკ-ს სხვადასხვა რედაქციებში რელევანტური ადგილების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, სსკ-ს ნაბეჭდი გამოცემის დიდი მოცულობის ტომების გამოყენების გარეშე.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია (IPC), MPIC/82/5 და ისმო-ს პუბლიკაცია №409 (E) (1990)

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საერთაშორისო თანამშრომლობა საპატენტო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სფეროში, VTC/83/11

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, IPC:CLASS – საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის CD-ROM (1993)

G. ევროპული საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სისტემა (EPIDOS)

(საპატენტო დოკუმენტაციის საერთაშორისო ცენტრი (INPA DOC))

6.71. მომხმარებელთა დასახმარებლად საპატენტო ინფორმაციის პირველადი წყაროების მონახვაში ბევრი სამრეწველო საკუთრების უწყება აქვეყნებს საპატენტო ბიულეტენებს (აგრეთვე წოდებული ოფიციალურ ბიულეტენად ან ოფიციალურ ჟურნალად). ჩვეულებრივ, ეს ბიულეტენები შეიცავენ საძიებელთა გარკვეულ რაოდენობას, მაგალითად, საკლასიფიკაციო სიმბოლოს მიხედვით, განმცხადებლის სახელის მიხედვით და ა.შ. ისინი, აგრეთვე, შეიცავენ ბიბლიოგრაფიული მონაცემების შესაბამისად აღნიშნულ რუბრიკებს ახლად გამოქვეყნებულ საპატენტო დოკუმენტებთან დაკავშირებით. ამიტომ საპატენტო ბიულეტენები საპატენტო ინფორმაციის მეორადი წყაროების სახით განიხილება ამ ბიულეტენებიდან ზოგიერთი შეიცავს რეფერატებს, ან ფორმულის პირველ მუხლებს და საპატენტო დოკუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვან ნახაზებს.

6.72. საპატენტო ინფორმაციის ჭეშმარიტად საერთაშორისო ცნობათა სამსახური გაჩნდა 1972 წელს. ამ წელს ვენაში შეიქმნა საპატენტო დოკუმენტაციის საერთაშორისო ცენტრი (INPADOC) ისმოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. 1990 წელს ცენტრი

გადავიდა ევროპის საპატენტო უწყებაში და ამჟამად მოქმედებს საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ევროპული სისტემების სახელით (EPIDOS). EPIDOS-ი მდებარეობს ავსტრიაში ევროპის საპატენტო უწყების ვენის ფილიალში. EPIDOS-ი აგროვებს მანქანურად წასაკითხ მონაცემთა ბანკებში ყოველი საპატენტო დოკუმენტის უმნიშვნელოვანეს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, როგორიცაა გამოგონების დასახელება, მისი საკლასიფიკაციო სიმბოლო, რელევანტური თარიღები, დასახელებები და ნომრები. აღნიშნული ბიბლიოგრაფიული მონაცემები მოდის ან საპატენტო უწყებებიდან მანქანურად წასაკითხი ფორმით, ან საპატენტო ბიულეტენებში გამოქვეყნებულ შეტყობინებათა საფუძველზე შეყვანილია EPIDOS-ის სათანადო სამსახურის მიერ.

6.73. EPIDOS-ი უზრუნველყოფს საპატენტო დოკუმენტებთან დაკავშირებული ძირითადი ბიბლიოგრაფიული მონაცემების ჩაწერას, რომლებსაც აქვეყნებს 50-ზე მეტი ქვეყანა და ორგანიზაცია, მათ შორის: არგენტინა, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ბრაზილია, კანადა, კუბა, კვიპროსი, დანია, ეგვიპტე, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ინდოეთი, ისრაელი, იტალია, იაპონია, ვენა, ლუქსემბურგი, მალავი, მექსიკა, მონაკო, მონღოლეთი, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ნორვეგია, ფილიპინები, პოლონეთი, პორტუგალია, კორეის რესპუბლიკა, რუმინეთი, სამხრეთ აფრიკა, რუსეთის ფედერაცია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, იუგოსლავია, ზამბია, ზიმბაბვე, ევროპის საპატენტო უწყება (განაცხადები ევროპულ პატენტზე), ისმოს საერთაშორისო ბიურო (საერთაშორისო განაცხადები PCT). აგრეთვე, იწერება დიდი ბრიტანეთის ჰონკონგში რეგისტრირებული პატენტები.

6.74. EPIDOS-ი ამუშავებს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს და მომსახურეობას უწევს სამთავრობო ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებას. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნეს მრავალი სახის კითხვაზე პასუხის გასაცემად. მათგან შემდეგი ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: პირველი, მონაცემთა ბანკს შეიძლება ეთხოვოს საპატენტო დოკუმენტის იდენტიფიცირება, რომელიც მიეკუთვნება სსკ-ს დაახლოებით 64 000 ტექნიკური რუბრიკის ნებისმიერ შერჩეულ ჯგუფს. ამაშია ცენტრით სარგებლობის ძირითადი წყარო – იგი აძლევს განვითარებად ქვეყნებს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევათა მიწვდომის საშუალებას. მეორე, მონაცემთა ბანკს შეუძლია უზრუნველყოფა ყველა საპატენტო დოკუმენტით, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნაში

შეტანილი იყო ერთი და იმავე განაცხადით გამოგონებაზე, ჩვეულებრივ, მაგრამ არა აუცილებლად, ერთი და იმავე პირის, კომპანიის ან საწარმოს მიერ. ამრიგად, შეიძლება ინფორმაციის მიღება მოცემული გამოგონების დაცვის შესაძლებლობაზე სხვადასხვა ქვეყნებში, რაც დიდად საინტერესოა ტექნოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, აგრეთვე, ინფორმაციის მიღება ამ გამოგონების იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც მას თვით გამომგონებელი/განმცხადებელი ანიჭებს.

6.75. მომხმარებლის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში გამოქვეყნებული ოფიციალური ბიულეტენების გამოყენების თავიდან ასაცილებლად, EPIDOS-ი ყოველ კვირეულად აქვეყნებს საერთაშორისო საპატენტო ბიულეტენს: INPADOC საპატენტო ბიულეტენი (IPG). (IPG) ქვეყნდება COM-ის (Computer output on microform: კომპიუტერიდან მიკროფორმებზე ამობეჭდვა) ტიპის მიკროფიშებზე და შეიცავს ოთხ განყოფილებას, კერძოდ: ნუმერაციულ, საკლასიფიკაციო (სსკ-ს საფუძველზე), განმცხადებლისა და გამომგონებლის განყოფილებას. თითოეული შეიცავს მითითებას ყველა საპატენტო დოკუმენტზე, რომელიც შეტანილი იყო EPIDOS-ის მონაცემთა ბანკში წინა კვირის მანძილზე. ამგვარად, მომხმარებლებს შეუძლიათ ძალზე იოლად, ყოველკვირეულად ადევნონ თვალყური მოცემული ტექნოლოგიური სფეროს განვითარებას, ან მოცემული ფირმის, წარმოების, ან განმცხადებლის საქმიანობას.

<u>ლიტერატურა</u>

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, <u>საერთაშორისო თანამშრომლობა საპატენტო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სფეროში</u>, VTC/83/11

H. კაპრის (CAPRI) სისტემა

6.76. კაპრის სისტემა (CAPRI - Computerized Administration of Patent Documents Reclassified According to the IPC: სსკ-ით რეკლასიფიცირებელი საპატენტო დოკუმენტების კომპიუტერიზებული მართვა) უზრუნველყოფს იმ საპატენტო დოკუმენტთა საინვენტარო ნუსხების საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლას, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1973 წლამდე, როდესაც სსკ-ით სარგებლობდა სამრეწველო საკუთრების უწყებათა მცირე რაოდენობა. საპატენტო დოკუმენტები რეკლასიფიცირებულია სსკ-ს მიხედვით და მათი დამუშავება-შენახვა ხორციელდება INPADOC-ის მიერ. პროექტი წამოწყებული იყო ისმო-ს

ინიციატივით 1972 წელს და 1975 წლის ბოლოსთვის ხელი მოეწერა INPADOC-თან ხელშეკრულებას კაპრის მონაცემთა ბაზის შექმნის თაობაზე.

6.77. კაპრის სისტემას გააჩნია შემდეგი მახასიათებლები. იმისთვის, რომ განვითარებადი ქვეყნების საპატენტო-საინფორმაციო ცენტრებს შეძლებოდათ საპატენტო დოკუმენტთა ფაილების შექმნა სსკ-ის მიხედვით, ან იმ საპატენტო დოკუმენტების რეორგანიზაცია, რომლებიც კლასიფიცირებული იყო მოძველებული, ან ეროვნული საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით, თანდათანობით შეიქმნა საპატენტო დოკუმენტების საინვენტარო ნუსხების ცენტრალური ბანკი, კლასიფიცირებული სსკ-ს მიხედვით. ავსტრიის, ყოფილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ყოფილი საბჭოთა კავშირის საპატენტო უწყებები და ევროპის საპატენტო უწყება თანამშრომლობდნენ ინფორმაციის მიწოდებაში საპატენტო დოკუმენტების ფაილების შინაარსის შესახებ, რომლებიც კლასიფიცირებული იყო სსკ-ის მიხედვით, საინვენტარო ნუსხების სახით მანქანურად წასაკითხად, და შეიცავდნენ მითითებას დოკუმენტსა და საკლასიფიკაციო სიმბოლოებზე. ეს ნუსხები წარმოდგენილი იყო INPADOC-ში უფასოდ და მეტწილად განვითარებადი ქვეყნების საკეთილდღეოდ.

6.78. კაპრის სისტემა შეიცავს PCT-ს დოკუმენტაციის მინიმუმს, PCT-ს ინსტრუქციის 34 წესის თანახმად განსაზღვრული პერიოდით. ეს მოიცავს იმ დოკუმენტებს, რომლებიც გამოქვეყნებულია 1920-დან 1972-ის ბოლო პერიოდამდე, ისეთი ქვეყნების მიერ, როგორიცაა: საფრანგეთი, ყოფილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია, ყოფილი საბჭოთა კავშირი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და აშშ. კაპრის მონაცემთა ცენტრალური ბაზა ყოველი დოკუმენტის მიმართ შეიცავს შემდეგ ელემენტებს: გამოქვეყნების ქვეყანას, საპატენტო დოკუმენტის ნომერს, სსკ-ს სიმბოლოებსა და სსკ-ს რედაქციის ნომერს. მონაცემთა ჩანაწერები ცენტრალურ ბაზაში დახარისხებულია სსკ-ს სიმბოლოების შესაბამისად. მომზადებული იყო, აგრეთვე, კაპრის საინვენტარო ფაილი, სადაც საპატენტო დოკუმენტები ჩამოთვლილია გამოცემის ქვეყნებისა და დოკუმენტების ნომრების მიხედვით. ეს ორივე მონაცემი არის მაგნიტურ ლენტასა და COM-ის მიკროფიშებზეც.

6.79. მონაცემთა ცენტრალური ბაზა შეიცავს სსკ-ს 613 ქვეკლასის საინვენტარო ნუსხებს, სადაც დაახლოებით 11 მლნ. დოკუმენტია და აგრეთვე, ყოფილი სსრკ-სა და იაპონიის დოკუმენტთა სრულ ფაილებს, რომლებიც, შესაბამისად, შეიცავენ მიახლოებით 0,6 მლნ. და 4 მლნ. დოკუმენტს.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საერთაშორისო თანამშრომლობა საპატენტო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სფეროში, VTC/83/11

I. ტექნიკის დონის ძიების პროგრამა

6.80. განვითარებადი ქვეყნებისათვის ისმოს საპატენტო-საინფორმაციო მომსახურებაში (WPIS) შედის ტექნიკის დონის ძიების შესახებ კონფიდენციალური ანგარიშების წარდგენა განვითარებადი ქვეყნების საპატენტო ინფორმაციის მომხმარებელთა თხოვნის საპასუხოდ. ასეთი ანგარიშები შეიცავს "ტექნიკის დონის" განსაზღვრას მოთხოვნაში აღწერილ პრობლემასთან დაკავშირებით საპატენტო დოკუმენტებისა და არასაპატენტო ლიტერატურის საფუძველზე. ძიება ხორციელდება განვითარებული ქვეყნების სამრეწველო საკუთრების უწყებათა მაღალკვალიფიციურ საპატენტო ექსპერტთა მიერ საძიებო ფონდების გამოყენებით, რომლებიც შეიცავენ ეროვნული და საზღვარგარეთული პატენტებისა და გამოქვეყნებული განაცხადების (90%), და აგრეთვე, რელევანტური არასაპატენტო ლიტერატურის (10%) კოლექციას. საძიებო ფაილები სისტემატიზებულია საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის (სსკ) შესაბამისად, რომელიც ყოფს მთელ ტექნოლოგიურ სფეროს 67 000-ზე მეტ ჯგუფად. ზოგი ძიება სრულდება მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზათა საფუძველზე ან მათი დახმარებით დიდი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეშვეობით და ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის. ასეთი ბაზები კერძო საკუთრებაშია და სამრეწველო საკუთრების უწყებათა გარეთ არიან განლაგებულნი ძიების ყველა ანგარიში შეიცავს საპატენტო დოკუმენტთა ნუსხას და რელევანტურ არასაპატენტო ლიტერატურას, რომელიც ეხება ტექნიკურ პრობლემას, აღწერილს მოთხოვნაში მათი რელევანტურობის მოკლე ახსნით. დოკუმენტთა ასლების სრული ტექსტები, რომლებიც ციტირებულია ძიების ანგარიშში, აგრეთვე უფასოა.

6.81. ეს პროგრამა დაიწყო 1975 წელს ავსტრიასთან თანამშრომლობით და თანდათან გაფართოვდა სხვა დონორი ქვეყნების წვლილის შედეგად. შეთანხმება ძიების ანგარიშების მომზადების თაობაზე დადებული იყო ისმოსა და შემდეგი ქვეყნების სამრეწველო საკუთრების უწყებათა შორის: ავსტრალია, ავსტრია, კანადა, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ნორვეგია,

რუსეთის ფედერაცია (ყოფილი საბჭოთა კავშირი), შვედეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. ამასთან, ზოგიერთი უწყება უზრუნველყოფს დახმარებას სპეციალურ შემთხვევებში, ხოლო ძიების ცალკეული ანგარიშები მზადდება უშუალოდ ისმოს მიერ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ 1995 წლის 1 აგვისტოსთვის შესრულებული და უფასოდ გადაცემული იყო 7500 ძიების ანგარიში მოთხოვნების მიხედვით 80 განვითარებადი ქვეყნიდან და 11 სამთავრობათაშორისო ორგანიზაციიდან. ეს ანგარიშები აგრეთვე მოიცავს სპეციალურ მოთხოვნებს სიახლეზე ძიებისა და არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებაზე - განვითარებად ქვეყნებში საპატენტო განაცხადების პატენტუნარიანობის შეფასების მიზნით, აგრეთვე, სპეციალურ მოთხოვნებს ARIPO-ს (სამრეწველო საკუთრების აფრიკის რეგიონალური ორგანიზაციის მიერ) მიერ წარდგენილი საპატენტო განაცხადების ძიებისა და ექსპერტიზის თაობაზე.

6.82. ისმოს საპატენტო-საინფორმაციო მომსახურება განვითარებადი ქვეყნებისთვის შეიცავს, აგრეთვე, ნებისმიერი გამოქვეყნებული საპატენტო დოკუმენტის, ან საპატენტო განაცხადის სრული ტექსტების უფასო ასლებით უზრუნველყოფას, თუ ამის შესახებ არის მომხმარებლის მოთხოვნა განვითარებადი ქვეყნიდან. თუ მოთხოვნილი დოკუმენტი გამოქვეყნებულია ქვეყნის მიერ ენაზე, რომელიც გაუგებარია მთხოვნელისთვის, მაშინ ისმო ცდილობს მონახოს იმავე გამოგონების აღწერილობა, რომელსაც შეიცავს სხვა პატენტანალოგი, გამოქვეყნებული სხვა ქვეყნის მიერ ინგლისურ ენაზე. თუ პატენტანალოგი არ არის იმ ენაზე, რომელიც გასაგებია მთხოვნელისთვის, ისმო ცდილობს მონახოს რეფერატის თარგმანი ინგლისურ ენაზე, თუ ასეთი არსებობს. დაახლოებით 30 ქვეყანა იძლევა საკუთარი საპატენტო დოკუმენტების უფასო ასლებს, მაგრამ მათი ძირითადი მიმწოდებლები არიან: ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, ევროპის საპატენტო უწყება და ისმო. 1984 წლიდან მოყოლებული, ასლების გადაღების ამ სამსახურის ფუნქციონირების თარიღიდან, ისმომ მიიღო დაახლოებით 2 000 მოთხოვნა 35 განვითარებადი ქვეყნიდან, რომლის საპასუხოდ დამზადდა და უფასოდ დაიგზავნა 37 ქვეყანაში გამოქვეყნებული 30 000-ზე მეტი საპატენტო დოკუმენტის ასლი.

6.83. არსებობს შეფასება, რომ განვითარებადი ქვეყნების საკეთილდღეოდ ისმოს ამ საქმიანობის საერთო ღირებულება შეადგენდა 12 მლნ. ამერიკულ დოლარზე მეტს, ეს რომ განხორციელებულიყო კომერციულ საფუძველზე.

J. საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრები განვითარებად ქვეყნებში

(a) შესავალი

6.84. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავის მეთერთმეტე სპეციალურ სესიაზე, 1975 წლის სექტემბერში, მიიღო 3362 (S – VII) რეზოლუცია განვითარებისა და საერთაშორისო კოოპერაციის თაობაზე, რომლის III განყოფილების I პარაგრაფში ნათქვამია: "განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები უნდა თანამშრომლობდნენ განვითარებადი ქვეყნის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნის, განმტკიცებისა და განვითარების საქმეში. განვითარებულმა ქვეყნებმა, აგრეთვე უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა, სამრეწველო-ტექნოლოგიური ინფორმაციის ბანკის შექმნაში წვლილის შეტანა და რეგიონალურ და დარგობრივ მონაცემთა ბანკების შექმნის შესაძლებლობის განხილვა, რათა განვითარებადი ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაციის სულ უფრო მზარდი ნაკადი, რაც ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი მოწინავე ტექნოლოგიების შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე, ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის საერთაშორისო ცენტრის შექმნას, სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვანი შედეგების განვითარებადი ქვეყნებისთვის გაზიარების მიზნით".

6.85. მთელ მსოფლიოში წარმოებული სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის მოცულობის ექსპონენციური ზრდა და, აგრეთვე, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმების წინაშე მდგარ პრობლემათა ურთიერთკავშირი და მზარდი სიძნელეები, ქვეყნებისთვის გარდაუვალს ხდის ცოდნის, გამოცდილებისა და სხვა რესურსების ურთიერთგაცვლას. ამის მიზანია სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების შესწავლისა და გადაცემის ხელშეწყობა, ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ასეთ მიღწევებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა წარმოადგენს არსებით წინაპირობას ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, ქვეყნებს შიგნით და ქვეყნებს შორის ტექნოლოგიური ჩამორჩენის დასაძლევად და

აგრეთვე, შემდგომი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისათვის მთელს მსოფლიოში.

6.86. ზემოხსენებულის გათვალისწინებით ნათელია, რომ საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრის (PIDC) შექმნა განვითარებად ქვეყანაში თავისთავად წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯს ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლასა და გადაცემაში და აქედან გამომდინარე, თავად ტექნოლოგიების გადაცემაში.

6.87. PIDC-ის ამოცანები და როლი შესაბამისად შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

(1) საპატენტო დოკუმენტებში შემცველ ტექნოლოგიურ ინფორმაციამდე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იმ ხერხით, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს;

(2) ტექნოლოგიური ინფორმაციის გავრცელება, რომელსაც შეიცავს საპატენტო დოკუმენტები მოქმედ და პოტენციურ მომხმარებელთა შეძლებისდაგვარად ფართო წრეში;

(3) ეროვნულ განვითარებაში საპატენტო დოკუმენტაციის როლისა და სამრეწველო საკუთრების გამოყენებისაგან სარგებლობის მიღების გაცნობიერების ხელშეწყობა;

(4) სამრეწველო საკუთრების სფეროში თანამედროვე კანონმდებლობის შექმნის ხელშეწყობა;

(5) საპატენტო დოკუმენტაციის საკითხების ხმამაღლა გაშუქება, განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებათა საერთაშორისო გაცნობიერების დონის ამაღლების მიზნით.

6.88. ამ ამოცანათა შესასრულებლად PIDC-მა უნდა დაამყაროს მკაფიო კავშირები ქვეყნის სამეცნიერო და კვლევით ორგანიზაციებთან, როგორც სახელმწიფო, ისე სამრეწველო სექტორში და, აგრეთვე, შეასრულოს აქტიური როლი სამეცნიერო და სამრეწველო განვითარების ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

(b) ინსტიტუციონალური ასპექტები

6.89. ტექნოლოგიური ინფორმაციის დამუშავება, რომელსაც შეიცავს საპატენტო დოკუმენტები, უნდა განხორციელდეს ეროვნული პოლიტიკის განვითარების კონტექსტში და მიმართული იყოს არა მარტო კვლევათა განვითარებაზე, არამედ იმ საკითხებზე, რომელნიც მჭიდროდ არიან მასთან დაკავშირებულნი. ეს, მაგალითად, ეხება ტექნოლოგიების გადაცემას, რაც ხელს უწყობს საერთო პოლიტიკის ზოგიერთი მიზნის მიღწევას, რომელთაგან ერთერთი, რა თქმა უნდა, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაა.

6.90. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შესაბამისი ინსტიტუციონალური მშენებლობის ანალიზი, რომლის პირობებშიც უნდა განხორციელდეს საპატენტო დოკუმენტების შემცველი ინფორმაციის დამუშავების მართვა, უნდა განიხილებოდეს როგორც მთლიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

6.91. ამჟამად, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისათვის ეროვნულ კვლევათა საფუძველზე შექმნილი “ცოდნის” მოცულობა მინიმალურია იმ მოცულობასთან შედარებით, რომელიც იქმნება განვითარებულ ქვეყნებში. ეს ნათლად ჩანს საპატენტო დოკუმენტაციის მაგალითზე, ვინაიდან ძირითად გამოგონებათა – “მოწინავე ცოდნის” დაახლოებით 90%, სრულდება განვითარებულ ქვეყნებში და ამ გამოგონებებთან დაკავშირებული პუბლიკაციები, ანუ საპატენტო დოკუმენტები, გამოდის თითქმის იმავე შეფარდებით. ამიტომაც, განვითარებადი ქვეყნებისათვის ინფორმაციის გავრცელება უახლოეს მომავალში წლების მანძილზე რჩება ძირითად ამოცანად, რომელსაც უნდა მიეძღვნას ეროვნული პოლიტიკა საპატენტო ინფორმაციის სფეროში.

6.92. განვითარებად ქვეყნებში, სადაც არსებობს სამრეწველო საკუთრების კარგად ფუნქციონირებადი უწყება, იგი როგორც ჩანს, შეიძლება გახდეს საპატენტო ინფორმაციის სფეროში ეროვნული პილიტიკის განხორციელების ცენტრალური რგოლი. არსებობს მრავალი მოსაზრება ასეთი დასკვნის სასარგებლოდ. მათში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში ასეთი სამრეწველო საკუთრების უწყება წარმოადგენს ერთადერთ არხს, რომელიც ცნობილია (უნდა ვაღიაროთ მომხმარებელთა არც ისე ფართო წრისთვის), როგორც ცოდნის (ეროვნული ან უცხოური) შესახებ ინფორმაციის ადგილსამყოფელი, სადაც ღირს მიმართვა პატენტის მისაღებად. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში სამრეწველო საკუთრების უწყებას ჰყავს ერთი ან მეტი სპეციალისტი თავისი პერსონალის შემადგენლობაში, ვისაც

ძალუძს საპატენტო დოკუმენტების კითხვა და ტექნიკური შინაარსის გაგება. დაბოლოს, სამრეწველო საკუთრების უწყებები გამოსცემენ ეროვნულ საპატენტო დოკუმენტებს, რომლებსაც, როგორც ქვემოთ იქნება ახსნილი, შეუძლიათ გახდნენ ქვეყნის მონაწილეობის საფუძველი საპატენტო დოკუმენტების ორმხრივ თავისუფალ გაცვლა-გამოცვლაში.

6.93. PIDC-ის თავდაპირველი შექმნის, განსწავლული პერსონალით დაკომპლექტებისა და შემდგომი შენახვის ღირებულება მეტად მაღალია და შეიძლება გასცდეს უმრავლესი განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ბიუჯეტის შესაძლებლობებს. გარე დახმარება, როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური, შესაძლებელია, მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. იმ განვითარებად ქვეყნებს შორის რეგიონული კოოპერაცია, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ენით ან ტრადიციებით, ან არსებული რეგიონული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამებით, რეგიონული PIDC-ის შექმნის კარგ საფუძველს წარმოადგენს.

(c) ორგანიზაცია

(i) შესავალი

6.94. თავისი არსებობის პირველ წლებში PIDC ჩვეულებრივ დაკავებულია საცნობარო ცენტრის ფუნქციების შესრულებით და, აგრეთვე, მასალათა შეგროვებით, მომსახურების ორგანიზებითა და მისი რეკლამით. საკუთარი პერსონალის სწავლება და მომავალ მომხმარებელთა განათლება უნდა იყოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავდაპირველი ამოცანა. საჭიროა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივ სექტორსა და სამრეწველო საკუთრების უწყებაში დასაქმებულ მომხმარებელთა როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური ხასიათის მოთხოვნები ჩვეულებრივ ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს დოკუმენტური ფონდის მოცულობა, აუცილებელია შემდეგი ამოცანების შესრულების გათვალისწინება, რომლებიც იმთავითვე ითხოვენ ყურადღებას: დაკომპლექტების, საბიბლიოთეკო მუშაობის, ფონდების წესრიგის შენარჩუნების, მომხმარებელთა დახმარების ამოცანები, სამრეწველო საკუთრების უწყებაში სხვა სახის მომსახურებისთვის დახმარების გაწევა, სპეციალური დახმარების გაწევა კვლევების ეროვნულ საბჭოსათვის, კადრების მომზადება.

(ii) დაკომპლექტებისა და საბიბლიოთეკო სამუშაოთა ამოცანები

6.95. ქაღალდზე საპატენტო დოკუმენტთა დაკომპლექტება შეიძლება განხორციელდეს გაცვლა-გამოცვლის ან შეძენის გზით. მსოფლიო მასშტაბით გამოქვეყნებული მიმდინარე საპატენტო დოკუმენტთა კოლექციების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაში. განვითარებად ქვეყანათა უმრავლესობას ამგვარი სახის ხარჯებისთვის ასეთი სახსრები არ გააჩნია და მიიჩნევა, რომ მათ არ სჭირდებათ მსოფლიო მასშტაბის ფონდი. ამიტომ აუცილებელია გაცვლა-გამოცვლის ორმხრივი შეთანხმებების დადება. ასეთი შეთანხმებების დადებაზე მოლაპარაკება უნდა მომზადდეს "დაკომპლექტების" პერსონალის მიერ, რამდენადაც ის აგებს პასუხს ფონდების დაკომპლექტების პოლიტიკის რეალიზაციაზე, რომელსაც განსაზღვრავს PIDC-ის დირექტორი. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ საპატენტო დოკუმენტების იმ კოლექციის შეძენა, რომლებსაც სხვა ქვეყნები უფრო ხელმისაწვდომს ხდიან, მაგალითად, ეკონომიკური მოსაზრებით, ან რადგანაც ქაღალდის ასლები უნდა შეიცვალოს მიკროფორმებით. ისმო აწარმოებს ამგვარ ხელმისაწვდომ კოლექციათა ნუსხას.

6.96. საპატენტო ინფორმაციის მეორადი წყაროები, როგორიცაა ოფიციალური ბიულეტენები, გარკვეული პირობებით შეიძლება მიღებული იქნეს უფასოდაც. ისინი ყოველთვის უნდა შეადგენდნენ PIDC-ის ნაწილს. საჭიროა, აგრეთვე, საპატენტო ინფორმაციის დამატებითი მეორადი წყაროების გათვალისწინება, როგორიცაა: სპეციალიზებული სამსახურების მიერ მომზადებული რეფერატული მასალები, ან საპატენტო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, მაგალითად, EPIDOS-ის მიერ შეთავაზებული.

6.97. საპატენტო დოკუმენტები წარმოადგენს არამარტო ტექნიკური ინფორმაციის წყაროს. ამიტომ საჭიროა „ძირითადი ჟურნალების" განსაზღვრული რაოდენობის მიღება. სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, მათი მიღება ვერ ხერხდება გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე და ამიტომ საჭირო ხდება მათი შეძენა. „ძირითადი ჟურნალები" უნდა შეირჩეს მათი შინაარსის რელევანტურობის მიხედვით. ასეთ „ძირითად ჟურნალთა" ნუსხა შედგენილი იყო საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულების (PCT) კავშირის ორგანოთა მიერ. ზოგ შემთხვევაში მოცემული ქვეყნის, ან რეგიონისათვის ტექნოლოგიური სფეროს მნიშვნელობის მიხედვით, საჭიროა უფრო საერთო საჟურ-

ნალო ლიტერატურა იმისთვის, რათა საპატენტო ფონდი სრულად შეივსოს ტექნოლოგიური ინფორმაციით.

6.98. მიკროფორმებზე საპატენტო დოკუმენტების წარდგენა სულ უფრო ფართო გავრცელებას პოვებს მსოფლიოს მასშტაბით. შენახვაზე დანახარჯთა მკვეთრი შემცირების უპირატესობა საპატენტო დოკუმენტების ქაღალდის პირებთან შედარებით, უნდა განიხილებოდეს სპეციალური წასაკითხი და საბეჭდი მოწყობილობით უზრუნველყოფის აუცილებლობასთან ერთად. ამ მოწყობილობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი ადგილზე უნდა იყოს შესაძლებელი. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის, რომ მიკროფორმათა შენახვა და გამოყენება საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას ცხელი და ნოტიო კლიმატის პირობებში.

6.99. როგორც კი დოკუმენტთა ნაკადი, ეროვნული საპატენტო დოკუმენტების ჩათვლით, უზრუნველყოფილია, დოკუმენტები უნდა შემოწმდეს მათი მიღებისთანავე და გადაეგზავნოს PIDC-ის შესაბამის პერსონალს. უნდა ჩატარდეს კატალოგიზაციაც. აუცილებლად საჭიროა საპატენტო დოკუმენტებისა და ჟურნალების აკინძვის საქმიანობის ორგანიზება. ზოგიერთი დოკუმენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მიკროფორმით და ამიტომ საჭიროა საპატენტო დოკუმენტების ასეთი საკმაოდ უჩვეულო ფორმების გამოყენებისა და შენახვის მეთოდების შესწავლა და მიკროფორმებისთვის შესაბამისი წამკითხავი აპარატურის შეძენაც.

(iii) ფონდების წესრიგში შენარჩუნების ამოცანები

6.100. სათანადო ადგილი, სადაც უნდა დაიგზავნოს PIDC-ში მიღებული საპატენტო დოკუმეტთა ძირითადი ნაკადი - ეს "საძიებო საპატენტო ფონდთა" სექტორია. ამ სექტორში საპატენტო დოკუმენტები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი ხელმისაწვდომობა. ორგანიზების მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ს სისტემა, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს, როგორც დოკუმენტთა კლასიფიცირება მათი ტექნიკური შინაარსის მიხედვით, ასევე საპატენტო დოკუმენტების კოლექციათა ფიზიკური ორგანიზება საძიებო ფაილებად.

6.601. დოკუმენტური ფონდის ორგანიზების როგორი ტიპიც არ უნდა იყოს შერჩეული, დოკუმენტებით ამ ფონდის ყოველწლიური, მუდმივი შევსება

გარდაუვალია. თუ PIDC წარმატებით ფუნქციონირებს - წარუდგენს ამ ფონდს მომხმარებლებს და უზრუნველყოფს მათ მიერ საპატენტო დოკუმენტების შინაარსის გაცნობას, მაშინ დოკუმენტებს მუდმივად იღებენ ფონდიდან, მათი გადასინჯვის, ასლის გადაღებისა და სხვ. მიზნით, და იმედია, მათი ფონდში უკან დაბრუნებით. საჭიროა უსაფრთხოების ღონისძიებების მიღება ფონდის მთლიანობის უზრუნველსაყოფად, რადგან ნებისმიერი დაკარგული დოკუმენტი უნდა შეიცვალოს ახალი ასლით, რომელიც უნდა გამოიგზავნოს მისი პუბლიკაციის ქვეყნიდან და რომლის საფასურიც გადასახდელია.

6.102. მაშასადამე, პერსონალს მოეთხოვება კლასიფიცირებული ფონდის სისტემატური ზრდის მუდმივი უზრუნველყოფა, მისი განახლება, ფონდის მთლიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო ასლების მიღება და მომხმარებლისათვის დახმარების აღმოჩენა იმ ფაილებში შესაღწევად, რომლებითაც ისინი დაინტერესებულნი არიან.

(iv) მომხმარებლების დახმარება

6.103. PIDC-ის პერსონალის გარკვეულმა ნაწილმა დახმარება უნდა გაუწიოს მომსახურების მომხმარებლებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(1) ცენტრის ფონდებში არსებული ინფორმაციის მოცულობა;

(2) საპატენტო დოკუმენტების ტექნიკური ჟურნალების, ოფიციალური ბიულეტენების, მომზადებული რეფერატებისა და ა.შ. შინაარსის წაკითხვა, გაგება და ინტერპრეტაცია;

(3) არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სხვადასხვა საშუალებები;

(4) სსკ-ს გამოყენება და ინტერპრეტაცია;

(5) მიკროფორმების წამკითხავი აპარატების გამოყენება.

6.104. ცენტრის მომხმარებლებს დახმარება, საზოგადოდ, უნდა გაუწიოს ტექნიკურმა პერსონალმა, რომელსაც აქვს საბიბლიოთეკო, ან სადოკუმენტაციო მომზადება. მათ უნდა გააჩნდეთ ღრმა ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ არის დაწერილი და წარდგენილი საპატენტო დოკუმენტები, ან საპატენტო ბიულეტენები. ზოგიერთ მათგანს ესაჭიროება სსკ-ს საუკეთესო ცოდნა. სასურველია, რომ ასეთი სპეციალისტი 3 მაინც იყოს: თითო ტექნიკის 3 ძირითად სფეროში: მექანიკა, ქიმია და ელექტრომექანიკა ფიზიკასთან

ერთად. (ეს არის სამრეწველო საკუთრების სამი ტიპური ქვედანაყოფი, რომლებზეც დაახლოებით ტოლ პროპორციებში მოდის ყოველ ქვეყანაში შეტანილ განაცხადთა რაოდენობა).

(v) სამრეწველო საკუთრების უწყებისათვის დახმარების აღმოჩენა სხვა მომსახურების სახით

6.105. სამრეწველო საკუთრების უწყებამ, იმის მიუხედავად, კურირებს ის PIDC-ს თუ არა, მნიშვნელოვანწილად უნდა ისარგებლოს ცენტრის მიერ შემოთავაზებული მომსახურებით. დაფუძნებიდან უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ცენტრი უნდა უზრუნველყოფდეს ძიების ჩატარებას ტექნიკის დონის განსაზღვრისათვის ქვეყანაში შეტანილი საპატენტო განაცხადების სიახლისა და საგამომგონებლო დონის დასადგენად.

6.106. პერსონალს, რომელიც მომხმარებელს უწევს საერთო დახმარებას, შეუძლია შეასრულოს აღნიშნული ფუნქციებიც. მაგრამ პერსონალის მომზადების საერთო დონე, რომელიც საჭიროა ზოგადი დახმარების აღმოსაჩენად, განსხვავდება მომზადების იმ დონისგან, რომელიც საჭიროა უწყების დასახმარებლად ძიების ანგარიშის მომზადებაში. ეს ანგარიში საშუალებას აძლევს აღნიშნულ უწყებას განაცხადის საფუძველზე მიიღოს პატენტის გაცემის, ან არგაცემის გადაწყვეტილება. ძალიან ხშირად განაცხადთა რაოდენობა მოცემულ ქვეყანაში საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ გამართლებული იყოს „საპატენტო ძიების სპეციალისტების“ მომზადება და სწავლება საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის. ჩვეულებრივ, “ძიების სპეციალისტებს” უნდა ჰქონდეთ ტექნიკური (საუნივერსიტეტო) განათლების დიპლომი და უნდა იყვნენ სპეციალისტები ერთ-ერთ ზემოხსენებულ ტექნიკურ სფეროში. აუცილებელია, აგრეთვე, სსკ-ს და შეძლებისდაგვარად, სხვა ეროვნული კლასიფიკაციების კარგი ცოდნა.

6.107. უწყებაში შეტანილი ახალი განაცხადები კლასიფიცირებულნი უნდა იყვნენ მათი ტექნიკური შინაარსის შესაბამისად. ეს საკითხი ასევე შეიძლება დაეკისროს ზემოხსენებულ „ძიების სპეციალისტებს“, ვინაიდან ძიების ჩატარებისას მათ საქმე აქვთ სავარაუდო გამოგონების ტექნიკური ასპექტების კითხვასა და სრულ გაგებასთან.

6.108. თუ სამრეწველო საკუთრების უწყება, ან სხვა სამთავრობო დაწესებულება აწარმოებს სალიცენზიო კონტრაქტების რეესტრს და ახორციელებს მათზე კონტროლს, ან თუ იგი ასრულებს რაიმე პირდაპირ ან ირიბ როლს ტექნოლოგიათა გადაცემაში, ან უზრუნველყოფს ტექნიკური ინფორმაციის წყაროს ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებისთვის, მაშინ PIDC-ი ასეთ უწყებას ან სამთავრობო დაწესებულებას უნდა შესთავაზოს დახმარება და უწყვეტი თანამშრომლობა.

(d) დოკუმენტური ფონდის ორგანიზება

6.109. არსებული და მუდმივად გამოცემული საპატენტო დოკუმენტთა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, განვითარებადი ქვეყნები იმთავითვე წააწყდებიან იმ საპატენტო დოკუმენტთა სიმრავლის პრობლემას, რომლებიც ყოველწლიურად ხვდება "საინფორმაციო ბაზარზე" და ამიტომ შეიძლება მიზანშეწონილი, და ზოგჯერ აუცილებელიც კი, აღმოჩნდეს ყოველწლიურად შეძენილ დოკუმენტთა რაოდენობის შემცირება. არსებობს PIDC-ის ფონდებსა და ფაილებში საპატენტო დოკუმენტთა რაოდენობის შემცირების რამდენიმე მეთოდი, კერძოდ:

(1) შერჩევა პუბლიკაციის ქვეყნის მიხედვით;

(2) შერჩევა დოკუმენტის ენის მიხედვით;

(3) შერჩევა პატენტ-ანალოგების მიხედვით;

(4) შერჩევა განსაზღვრული დროის პერიოდის მიხედვით;

(5) საპატენტო დოკუმენტის სრული ტექსტის შეცვლა რეფერატით.

6.110. არსებობს საცავში დოკუმენტთა რაოდენობის შემცირების კიდევ ერთი მეთოდი, კერძოდ კი დაკომპლექტების პოლიტიკა, რომლის შესაბამისად დოკუმენტთა შეძენა შემოიფარგლება ინტერესთა სფეროების მიხედვით. ასეთი სფეროები შეიძლება განისაზღვროს პრიორიტეტებიდან გამომდინარე, რომლებიც დადგენილია მოცემული ქვეყნის ან რეგიონის განვითარების გეგმებში. "ძირითადი ჟურნალების" შერჩევა PIDC-ისთვის უნდა ჩატარდეს მოხერხებულობის ანალოგიური კრიტერიუმებიდან (ენა, ქვეყანა, დრო და ა.შ.) გამომდინარე, როგორც ეს საპატენტო დოკუმენტთა შერჩევისთვის გამოიყენება.

6.111. აშკარაა, რომ ნებისმიერი ახლად ორგანიზებული PIDC-თვის გამოსაყენებელი საკლასიფიკაციო სისტემა უნდა იყოს სსკ. ხაზი უნდა გაესვას

იმას, რომ შესაძლებელია ახალი გამოქვეყნებული საპატენტო დოკუმენტები, მათი კლასიფიცირების სისწორეზე შესაძლო შემოწმების შემდეგ, პირდაპირ მოთავსდეს სსკ-ს მიხედვით ორგანიზებული საძიებო ფაილების შესაბამის ადგილას.

(e) მომსახურება

6.112. PIDC-ის მიერ შემუშავებული და შეთავაზებული სხვადასხვა სახის მომსახურება შეიძლება შეზღუდული იყოს მხოლოდ არსებული რესურსების, სამუშაო ძალისა და ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით. მომსახურება, რომელსაც სთავაზობს ტექნიკური ინფორმაციის ცენტრი, ვრცლად და დეტალურად არის აღწერილი სხვადასხვა სპეციალიზებულ პუბლიკაციაში. საპატენტო დოკუმენტთა სპეციალური მახასიათებლების გათვალისწინებით, PIDC-ს შეუძლია შემდეგი საპატენტო-საინფორმაციო მომსახურების შეთავაზება:

(1) დოკუმენტის მიწოდება: ქაღალდზე, ან მიკროფორმებზე;

(2) ინფორმაციის შერჩევითი გავრცელება, რაც დაფუძნებულია სსკ-ს რუბრიკებით განსაზღვრული მომხმარებლისთვის საინტერესო თემატიკურ პროფილებზე;

(3) რეფერატული მომსახურება მომხმარებელთა ენობრივი მოთხოვნილების გათვალისწინებით;

(4) მთარგმნელობითი მომსახურება;

(5) ბიბლიოგრაფიული ძიებანი: სახელის, თარიღის, სსკ-ს სიმბოლოების მიხედვით;

(6) ტექნიკის დონის ძიებანი;

(7) საკონსულტაციო მომსახურება, მაგალითად, იმ მომხმარებელთათვის, რომლებიც საპატენტო დოკუმენტებში ცუდად ერკვევიან; კონსულტაციები სალიცენზიო შეთანხმებებზე;

(8) საპატენტო ინფორმაციის ადაპტაცია და დალაგება (მაგალითად, მონოგრაფიების სახით) საბოლოო მომხმარებლისათვის გაგების გაიოლების მიზნით;

(9) საჯარო სამკითხველო დარბაზების ორგანიზება.

(f) მომზადება

6.113. განვითარებად ქვეყნებში საჭირო ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას PIDC-ის კადრების მომზადების გზით. რადგან PIDC-ის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომლებსაც აყენებს ეროვნული პოლიტიკა საპატენტო ინფორმაციის სფეროში, პირველ რიგში, საჭიროა მათი კადრების სწავლება და მომზადება, ხოლო PIDC-ის კადრები თავის მხრივ ასწავლიან და მოამზადებენ საბოლოო მომხმარებლებს.

6.114. ძირითადი სწავლება საპატენტო ინფორმაციის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მთელი პროფესიული შემადგენლობისთვის. პერსონალის სპეციალიზებული მომზადება უნდა განხორციელდეს შერჩევით და სწავლების გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად.

6.115. PIDC-ის პერსონალის სწავლების პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგს:

საერთო მომზადება:

(1) სამრეწველო საკუთრების სფეროში მომსახურების არსებული ეროვნული და რეგიონული სისტემების ზოგადი გაცნობა პატენტებზე, საავტორო სერტიფიკატებზე, სასარგებლო მოდელებსა და, აგრეთვე, მინიჭებული დაცვის ზოგადი მოცულობისა და ფარგლების გაგებაზე ყურადღების გამახვილებით;

(2) ზოგადი წარმოდგენა საპატენტო დოკუმენტებში შემცველი ტექნიკური ინფორმაციის მოცულობაზე, და მის ხელმისაწვდომობის სხვადასხვა საშუალების შესახებ;

(3) საპატენტო დოკუმენტების სამართლებრივი და ტექნიკური შინაარსი, რომელსაც მივყავართ საპატენტო დოკუმენტში გახსნილი ტექნიკური ცოდნის სრულყოფისაკენ;

(4) სსკ-ს პრინციპები, სტრუქტურა და, აგრეთვე, მისი მნიშვნელობა ძიების ჩატარებისა და ინფორმაციის მონახვის სხვა ფორმებისათვის, რომლებიც დაფუძნებულია საპატენტო დოკუმენტებზე;

(5) საპატენტო დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის გამოყენება სალიცენზიო შეთანხმებების დადების, ან მათი კონტროლის პროცესში, აგრეთვე,

მრეწველობისა და სამთავრობო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებისას და პოლიტიკის შემუშავებისას.

სპეციალიზებული სწავლება:

(1) სსკ-ს ღრმა შესწავლა;

(2) მეორადი საპატენტო-საინფორმაციო მომსახურების გამოყენება, როგორიცაა: მომსახურება, რომელიც დაფუძნებულია ბიბლიოგრაფიულ მონაცემებზე, რეფერატული მომსახურება და ა.შ.;

(3) დოკუმენტური ფონდების შენახვა და მართვა;

(4) სწავლების სხვა სპეციალური ფორმები, რომლებიც ეხება PIDC-ის მიერ შემოთავაზებულ მომსახურებას.

6.116. იმისთვის, რომ გამოყენებული იყოს მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც დაგროვილია განვითარებული ქვეყნის სამრეწველო საკუთრების უწყების საპატენტო ინფორმაციითა და დოკუმენტაციით დაკავებულ ქვედანაყოფებში, და აგრეთვე იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, აუცილებელია ზოგად მომზადებას დაემატოს არსებითი მომზადება იმ უწყებებში, რომლებსაც აქვთ საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სამსახურების ფართო ქსელი.

6.117. საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ სპეციალიზებული ცოდნის შეძენამ, რომელიც საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ყველა საკითხს ეხება, შეიძლება რამდენიმე წელი მოიცვას. ამიტომ საჭიროა, რომ PIDC-ის პერსონალს ჰქონდეს სამსახურეობრივი წინსვლის გარკვეული გარანტიები.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, საერთაშორისო თანამშრომლობა საპატენტო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სფეროში, VTC/83/11

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, სახელმძღვანელო საპატენტო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრის ორგანიზებისთვის, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებსა და მდგომარეობაზე, ისმო-ს პუბლიკაცია №658 (E) (1980 და 1987 წ.)

ნაწილი III

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ფორმები

თავი 7 პატენტები

A. შესავალი

7.1. პატენტი არის სახელმწიფო უწყების (ან რამდენიმე ქვეყნის რეგიონალური უწყების) მიერ განაცხადის საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც აღწერს გამოგონებას და ქმნის სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის დროსაც დაპატენტებული გამოგონებით ნორმალურად სარგებლობა (დამზადება, გამოყენება, გაყიდვა ან იმპორტი) შესაძლებელია მხოლოდ პატენტმფლობელის ნებართვით. გამოგონება ნიშნავს ტექნიკურ სფეროში სპეციალური პრობლემის გადაწყვეტას. გამოგონება შეიძლება ეხებოდეს პროდუქტს, ან პროცესს. გამოგონება "პატენტუნარიანია", თუ იგი შეიცავს სიახლეს, გააჩნია საგამომგონებლო დონე (ე.ი. არაცხადია) და შესაძლებელია მისი დამზადება სამრეწველო წესით. პატენტით მინიჭებული დაცვა შეზღუდულია დროით (ჩვეულებრივ 15-დან 20 წლამდე).

7.2. რამდენიმე ქვეყანაში (მსოფლიოში ასეთი ქვეყანა თორმეტამდეა) გამოგონების დაცვა, აგრეთვე, ხორციელდება ე.წ. "სასარგებლო მოდელის" რეგისტრაციის გზით. ასეთი გამოგონებისადმი მოთხოვნები ნაკლებად მკაცრია, ვიდრე "პატენტუნარიანი" გამოგონების მიმართ, საფასური საპატენტო საფასურთან შედარებით მცირეა, ხოლო დაცვის ვადა უფრო ხანმოკლეა, ვიდრე პატენტის შემთხვევაში, მაგრამ სასარგებლო მოდელზე მინიჭებული უფლებები თითქმის ისეთივეა, როგორიც გამოგონების შემთხვევაში.

7.3. ხშირად პატენტებს მიაკუთვნებენ "მონოპოლიებს", მაგრამ თანამედროვე კანონმდებლობათა უმრავლესობა არ აძლევს გამომგონებელს ან დაპატენტებული გამოგონების მფლობელს რისიმე გაკეთების, გამოყენების ან გაყიდვის უფლებას. გაცემული პატენტის მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ ქვეყანაში დაპატენტებული გამოგონება არ შეიძლება გამოიყენონ ისეთმა პირებმა, რომლებიც არ არიან პატენტმფლობელები, თუ თავად პატენტმფლობელი არ იქნება თანახმა ასეთ გამოყენებაზე. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მფლობელს არ ენიჭება კანონიერი უფლება თავისი

გამოგონების გამოყენებაზე, მას აქვს კანონიერი უფლება, ხელი შეუშალოს სხვებს მისი გამოგონების გამოყენებაში, რაც ხშირად ფორმულირებულია, როგორც უფლება, აუკრძალოს სხვა პირებს მისი გამოგონების წარმოების, გამოყენების ან გაყიდვის შესაძლებლობა. ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, რომელიც პატენტმფლობელის თანხმობის გარეშე გამოიყენებს ქვეყანაში დაპატენტებულ გამოგონებას, სასამართლოში საქმის აღძვრის უფლება წარმოადგენს პატენტმფლობელის ყველაზე მნიშვნელოვან უფლებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, მიიღოს მატერიალური სარგებელი, როგორც გასამრჯელო ინტელექტუალური ძალისხმევისა და შრომისათვის, და როგორც იმ ხარჯების კომპენსაცია, რომელიც მან გაიღო გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების პროცესში, რამაც იგი გამოგონებამდე მიიყვანა.

7.4. ამ კონცეფციის გაგებისათვის, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ასეთი მაგალითი. როდესაც ალექსანდრე გრემი ბელმა მიიღო თავისი პატენტი ტელეფონზე, მას ჰქონდა უფლება, არ დაეშვა ტელეფონის გამოყენება, წარმოება და გაყიდვა სხვა ვინმეს მიერ. დავუშვათ, მოგვიანებით ვიღაცამ გამოიგონა ასაკრეფი ტელეფონი, რაზედაც ამ ადამიანმა ასევე მიიღო პატენტი როგორც ბელის ტელეფონის გაუმჯობესებაზე. მაშინ ამ მეორე ადამიანს თავისი პატენტის შესაბამისად თავის მხრივ უფლება აქვს არ დაუშვას ასაკრეფი ტელეფონის წარმოება, გამოყენება ან გაყიდვა სხვის მიერ, მათ შორის, ბელის მიერაც. ამას მივყავართ ლიცენზირების საჭიროებამდე და მნიშვნელობამდე. ასეთ ვითარებაში ასაკრეფი ტელეფონის წარმობისათვის ბელს დასჭირდება ლიცენზია ასაკრეფი ტელეფონის პატენტმფლობელისაგან, ხოლო ასაკრეფი ტელეფონის წარმოების, გამოყენებისა ან გაყიდვისათვის ასაკრეფი ტელეფონის პეტენტმფლობელს დასჭირდება ლიცენზია ტელეფონზე ბელის ძირითადი პატენტის გამოყენებაზე.

7.5. მაგრამ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმას, რომ, თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია საპატენტო უფლებების მინიჭება, ის არ უზრუნველყოფს მათ ავტომატურ დაცვას. სასამრთლოში საქმის აღძვრა (ჩვეულებრივ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად) პატენტმფლობელის უფლებათა ნებისმიერი დარღვევის გამო შეუძლია მხოლოდ პატენტმფლობელს თავისი შეხედულებისამებრ. ამიტომ პატენტის მფლობელი უნდა იყოს თავისი საკუთარი "პოლიციელიც".

7.6. მარტივად რომ ვთქვათ, პატენტი არის გამომგონებლისთვის სახელმწიფოს

მიერ მინიჭებული მონოპოლია დროის შეზღუდული პერიოდით გამოგონების არსის გახსნის სანაცვლოდ, რათა სხვებმა ნახონ სარგებელი გამოგონებიდან. ამრიგად, გამოგონების გახსნა მნიშვნელოვანი საკითხია პატენტის გაცემის ნებისმიერ პროცედურაში.

B. პატენტუნარიანობის პირობები

7.7. გამოგონება, თუ ის ექვემდებარება საპატენტო დაცვას, უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს. მათგან ყველაზე არსებითი შეიცავს შემდეგს: გამოგონება უნდა შეიცავდეს პატენტუნარიან ობიექტს, გამოგონება უნდა იყოს სამრეწველო წესით გამოყენებადი (სასარგებლო). იგი უნდა იყოს ახალი (შეიცავდეს სიახლეს), მან უნდა აჩვენოს საკმარისი "საგამომგონებლო დონე" (არ იყოს აშკარა), გამოგონების გახსნა საპატენტო განაცხადში უნდა პასუხობდეს განსაზღვრულ სტანდარტებს.

(a) პატენტუნარიანი ობიექტი

7.8. გამოგონებას რომ ჰქონდეს უფლება პატენტით დაცვაზე, ის უნდა მიეკუთვნებოდეს პატენტუნარიან ობიექტთა რიცხვს. პატენტუნარიან ობიექტთა ნუსხა დადგენილია კანონით და, ჩვეულებრივ, განისაზღვრება პატენტუნარიანი ობიექტებიდან გამონაკლისების მითითების გზით. საერთო წესია, რომ საპატენტო დაცვა ენიჭება გამოგონებებს ტექნიკის ყველა დარგში.

7.9. ინტელექტუალური საქმიანობის სფეროთა მაგალითებს, რომელთა გამორიცხვა შეიძლება პატენტუნარიანი ობიექტების რიცხვიდან, შეადგენს:

- ისეთი მასალების, ან ნივთიერებების აღმოჩენა, რომლებიც უკვე არსებობენ ბუნებაში;
- მეცნიერული თეორიები და მათემატიკური მეთოდები;
- მცენარეთა, ან ცხოველთა ჯიშები, ან ძირითადად ბიოლოგიური პროცესები მცენარეთა, ან ცხოველთა ასეთი ჯიშების წარმოებისათვის, მიკრობიოლოგიური პროცესების გამოკლებით;
- სქემები, წესები, ან მეთოდები, მაგალითად წარმოების ორგანიზაციის, უბრალო გონებრივი გათვლა შესრულება ან თამაშების ჩატარება;
- ადამიანების, ან ცხოველების მკურნალობის მეთოდები, ან დიაგნოსტიკის მეთოდები, რომელსაც ცდიან ადამიანებზე, ან ცხოველებზე (მაგრამ არა

პროდუქტი, რომელიც გამოიყენება ასეთ მეთოდებში).

7.10. გარდა ამისა, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, პროდუქტების ან პროცესების სხვადასხვა სახეობები (როგორიცაა, მაგალითად, სამედიცინო პრეპარატები, სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები ან გამოგონებები ბირთვულ სფეროში), შეიძლება დროებით გამოირიცხოს საპატენტო დაცვიდან. ამჟამად არსებობს ტენდენცია, რომ თავი აარიდონ ასეთ დროებით გამორიცხვებს.

(b) სამრეწველო გამოყენებადობა (სარგებლიანობა)

7.11. გამოგონება პატენტუნარიანი რომ იყოს, უნდა შეიძლებოდეს მისი გამოიყენება პრაქტიკული მიზნებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოგონება არ შეიძლება იყოს წმინდა თეორიული ხასიათისა; შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება პრაქტიკაში. თუ გამოგონება ჩაფიქრებულია როგორც პროდუქცია, ან პროდუქციის ნაწილი, მაშინ უნდა იყოს პროდუქციის მიღების შესაძლებლობა. და თუ გამოგონება ჩაფიქრებულია როგორც პროცესი ან პროცესის ნაწილი, ასეთი პროცესი განხორციელებადი - "გამოყენებადი" უნდა იყოს პრაქტიკაში.

7.12. სიტყვა "გამოყენებადობა", გამოთქმაში "სამრეწველო გამოყენებადობა", ნიშნავს ფაქტობრივად დამზადების ან წარმოების შესაძლებლობას, ან პრაქტიკაში განხორციელების ან გამოყენების შესაძლებლობას.

7.13. ზემოთ მოყვანილ გამოთქმაში სიტყვას "სამრეწველო" აქვს მეტად სპეციალური მნიშვნელობა საპატენტო კანონმდებლობის ტერმინოლოგიაში. ჩვეულებრივ ენაში "სამრეწველო" საქმიანობა ნიშნავს ტექნიკურ საქმიანობას გარკვეული მასშტაბით, ხოლო გამოგონების "სამრეწველო" გამოყენებადობა ნიშნავს გამოგონების გამოყენებას (წარმოებას, სარგებლობას) ტექნიკური საშუალებებით გარკვეული მასშტაბით.

(c) სიახლე

7.14. სიახლე - ეს არის ძირითადი მოთხოვნა გამოგონებად აღიარებისათვის ნებისმიერი ექსპერტიზის დროს და წარმოადგენს პატენტუნარიანობის უცილობელ პირობას. მაგრამ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ სიახლე არ არის რაღაც, რაც შეიძლება დამტკიცებული, ან დადგენილი იქნეს; შესაძლებელია მხოლოდ მისი არარსებობის დამტკიცება.

7.15. გამოგონება ახალია, თუ იგი არ არის მოცემული ტექნიკის ადრინდელი

დონით. “ადრინდელი დონე”, მარტივად რომ ვთქვათ, გულისხმობს ყველა ცოდნას, რომელიც არსებობდა საპატენტო განაცხადის შეტანის თარიღამდე ან პრიორიტეტის თარიღამდე იმისდა მიუხედავად, ეს ცოდნა წერილობით, თუ სიტყვიერად იყო გახსნილი. საკითხი იმის თაობაზე, თუ მოცემული მომენტისთვის რას უნდა შეიცავდეს “ადრინდელი დონე”, დღემდე დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

7.16. ერთი თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ადრინდელი დონე უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ იმ ცოდნის გათვალისწინებით, რომელიც არსებობს ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა. ასეთი მიდგომით გამოირიცხება სხვა ქვეყნებში არსებული ცოდნა, თუ იგი არ არის ცნობილი მოცემულ ქვეყანაში გამოგონების შექმნის მომენტისათვის, იმისდა მიუხედავად, რომ იგი უკვე ხელმისაწვდომი იყო ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

7.17. მეორე თვალსაზრისი ემყარება გამიჯვნას ნაბეჭდ პუბლიკაციებსა და ინფორმაციის სხვა სახეობებს შორის, როგორიცაა ზეპირი შეტყობინება ან ადრინდელი გამოყენება და, აგრეთვე, თუ სად ჰქონდა ადგილი ამგვარ პუბლიკაციას ან სხვა სახით ინფორმაციის გახსნას.

7.18. ინფორმაცია გამოგონებაზე, რისი წყალობითაც იგი ადრინდელი დონის ნაწილი ხდება, შეიძლება გაიხსნას სამი გზით, სახელდობრ:

- გამოგონების გამოქვეყნება აღწერილობის ხელნაწერის სახით ან სხვა მატერიალური ფორმით;
- გამოგონების საჯაროდ ზეპირი აღწერა; ასეთ გახსნას ზეპირ გახსნას უწოდებენ ;
- გამოგონების საჯარო გამოყენება ან როდესაც არსებობს ვითარება, რომლის დროსაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი გამოყენება; ასეთი გახსნა არის “გახსნა გამოყენებით”.

7.19. მატერიალური ფორმით გამოქვეყნება მოითხოვს, რომ არსებობდეს ინფორმაციის ფიზიკური მატარებელი, ე.ი. დოკუმენტი, ამ ტერმინის ფართო გაგებით, და ეს დოკუმენტი უნდა გამოქვეყნდეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის ნებისმიერი ხერხით, მაგალითად, გასაყიდათ, შეთავაზებით, ან საზოგადოებრივი ფონდების საცავებში განთავსებით. პუბლიკაციები შეიცავენ გაცემულ პატენტებს ან გამოქვეყნებულ საპატენტო განაცხადებს, ნაშრომებს (ხელნაწერების ან საბეჭდ მანქანაზე ან სტამბური წესით დაბეჭდილი ტექსტების სახით),

ნახატებს, ფოტოგრაფიული სურათის, ნახაზების ან ფოტოფირების ჩათვლით, აგრეთვე, ფირფიტებზე ან ლენტზე გაკეთებულ ჩანაწერებს სალაპარაკო ან კოდირებული ენით.

7.20. ზეპირი გახსნა, როგორც გამოთქმიდანაც ჩანს, გულისხმობს, რომ არ არის სავალდებულო, ჩაწერილი იყოს ის სიტყვები და სხვა ფორმა, რომლითაც გახსნილი იქნა გამოგონება, როგორც ასეთი. გახსნის ამ სახეს მიეკუთვნება ლექციები და რადიოგადაცემები.

7.21. გახსნა გამოყენებით წარმოადგენს არსებითად საჯარო, ვიზუალურ გახსნას, ისეთს, როგორიცაა გამოტანა დასათვალიერებლად, გაყიდვა, დემონსტრაცია, ჩაუწერელი სატელევიზიო გადაცემები და ფაქტობრივი საჯარო გამოყენება.

7.22. დოკუმენტი მხოლოდ მაშინ აბათილებს განცხადებული გამოგონების სიახლეს, როცა დოკუმენტში ცხადად არის წარმოდგენილი გამოგონების საგანი. ასე რომ, განაცხადის ფორმულაში ჩამოყალიბებული გამოგონების საგანი, რომელზეც ტარდება ექსპერტიზა, თითოეული ელემენტით უნდა შეუდარდეს ყოველ ცალკეულ პუბლიკაციას. სიახლის არარსებობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ პუბლიკაცია შეიცავს ამ ფორმულის ყველა ნიშანს, ანუ პუბლიკაცია მოიცავს ფორმულის არსს.

7.23. მაგრამ სიახლის არარსებობა შეიძლება იგულისხმებოდეს პუბლიკაციაში იმ გაგებით, რომ პუბლიკაციის შესწავლისას პირს, რომელსაც აქვს ჩვეულებრივი კვალიფიკაცია მოცემულ დარგში, შეუძლია უცილობლად მიაღწიოს შედეგს, რომელიც მოცემულია გამოგონების ფორმულაში. ჩვეულებრივ, საკითხს ასეთი სახის სიახლის არარსებობის შესახებ საპატენტო უწყება წამოჭრის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არანაირი ეჭვი ადრინდელი "სწავლების" პრაქტიკულ შედეგში.

7.24. უნდა აღინიშნოს, რომ სიახლის განხილვის დროს არ შეიძლება ადრინდელი დონის ცალკეული ელემენტების გაერთიანება.

(d) საგამომგონებლო დონე (არაცხადობა)

7.25. საგამომგონებლო დონის მოთხოვნების მიმართ (იხმარება აგრეთვე ტერმინი “არაცხადი”) საკითხი იმის შესახებ, "იქნება თუ არა გამოგონება ცხადი პირისათვის, რომელსაც ჩვეულებრივი კვალიფიკაცია გააჩნია მოცემულ დარგში", ყველაზე რთულია, არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებისას

გამოყენებულ სტანდარტებს შორის.

7.26. ასეთი მოთხოვნის შეტანა საპატენტო კანონმდებლობაში დამყარებულია წინაპირობაზე, რომ დაცვა არ უნდა მიენიჭოს იმას, რაც უკვე ცნობილია, როგორც ადრინდელი დონის ნაწილი, ან ყველაფერ იმას, რაც შეიძლება დადგენილი ყოფილიყო ჩვეულებრივი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ, როგორც ადრინდელი დონის ცხადი შედეგი.

7.27. მოცემულ დარგში ჩვეულებრივი კვალიფიკაციის მქონე პირი ის პირია, რომელსაც აქვს შესაბამისი ტექნიკური განათლება და გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება. გამოთქმა "ჩვეულებრივი კვალიფიკაცია" მიზანდასახულად გამორიცხავს "საუკეთესო" სპეციალისტს, რომელიც შეიძლება მოინახოს. იგულისხმება, რომ ასეთ პირად განიხილება პიროვნება, რომელსაც გააჩნია კვალიფიკაციის საშუალო დონე, რომლის მიღწევაც შეიძლება მოცემულ დარგში მოცემულ ქვეყანაში.

7.28. უნდა აღინიშნოს, რომ სიახლე და საგამომგონებლო დონე სხვადასხვა კრიტერიუმებია. სიახლე არსებობს, თუ არის განსხვავება გამოგონებასა და ადრინდელ დონეს შორის. კითხვა "აქვს კი საგამომგონებლო დონე?" იბადება მხოლოდ სიახლის არსებობისას. გამოთქმა "საგამომგონებლო დონე" მიუთითებს იდეაზე, რომ არ არის საკმარისი განცხადებული გამოგონება იყოს ახალი, ანუ განსხვავებული იმისაგან, რაც არის მოცემული ტექნიკის არსებულ დონით, აუცილებლია, რომ ამ განსხვავებას გააჩნდეს ორი ნიშანი. ჯერ ერთი, ის უნდა იყოს "საგამომგონებლო", ე.ი. იყოს შემოქმედებითი აზრის შედეგი, და უნდა გააჩნდეს ბიჯი, რომელიც არის შესამჩნევი. უნდა არსებობდეს აშკარად შესამჩნევი განსხვავება ტექნიკის არსებულ დონესა და განცხადებულ გამოგონებას შორის. სწორედ ამიტომ ზოგ იურიდიულ სისტემაში არსებობს ცნება "წინსვლა" ან "პროგრესი" ადრინდელი დონის მიმართ.

7.29. მეორეც, მოითხოვება, აგრეთვე, რომ ეს წინსვლა, ან პროგრესი მნიშვნელოვანი და არსებითი იყოს გამოგონებისათვის.

7.30. იმისათვის, რომ განისაზღვროს განსხვავებათა არსი, რომელიც საგამომგონებლო დონის შექმნის საფუძველს წარმოადგენს, ადრინდელი დონე მთლიანად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. ამგვარად, სიახლის შეფასებისაგან, გამოგონების ფორმულის ობიექტი ექსპერტიზის დროს უნდა შედარდეს არა ყოველ პუბლიკაციას ან სხვა სახის ინფორმაციას ცალ-

ცალკე, არამედ მათ კომბინაციებს იმ მხრივ, თუ რამდენად ცხადია ყოველი ასეთი კომბინაცია პირისათვის, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნის ჩვეულებრივი დონე მოცემულ დარგში. კომბინაცია შეიძლება იყოს გლობალური, მაშინ როცა გამოგონების ფორმულით შეიძლება განსაზღვრული იყოს ცალ-ცალკე ცნობილი ობიექტების ნაკრები, მაგალითად, სარეცხი მანქანის ახალი სახე, რომელიც შეიცავს გარკვეული ტიპის ტუმბოსთან დაკავშირებული ძრავას გარკვეულ ტიპს, საგამომგონებლო დონის გასაბათილებლად საჭიროა, რომ არა მხოლოდ კომბინაცია, არამედ კომბინაციისათვის საჭირო ელემენტების შერჩევაც იყოს ცხადი. სწორედ ყველა იმ განსხვავებათა ერთობლიობის მიხედვით, რომელთა მიგნებაც მოხდა, უნდა ჩატარდეს შედარება ადრინდელ დონესთან და საკითხი სიცხადის შესახებ უნდა გადაწყდეს ამის მიხედვით და არა ყოველი ცალკე აღებული ახალი ელემენტის მიხედვით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც მათ შორის არანაირი ტექნიკური კავშირი არ არის.

7.31. განსხვავებათა შეფასებისას არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი არც ერთი შემდეგი სამი ასპექტიდან, რომელიც დამახასიათებელია ყველა გამოგონებისათვის, სახელდობრ:

- პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას;
- ამ პრობლემის გადაჭრა; და
- ამ გადაწყვეტის გამოყენებით გარანტირებული შედეგი.

7.32. თუ პრობლემა ცნობილია ან ცხადია, ექსპერტიზა უნდა დაეყრდნოს განცხადებული გადაწყვეტის ორიგინალობას. თუ გადაწყვეტაში არ არის გამოვლენილი საგამომგონებლო დონე, წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა შედეგი ცხადი ან არის თუ არა იგი მოულოდნელი თავისი ბუნებით ან თავისი ხარისხით. თუ პირს, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნის ჩვეულებრივი დონე მოცემულ დარგში, შეუძლია დასვას პრობლემა, გადაწყვიტოს ის განცხადებული ხერხით და განჭვრიტოს შედეგი, მაშინ საგამომგონებლო დონე არ არსებობს.

(e) გამოგონების გახსნა

7.33. საკითხი იმის შესახებ, საკმარისად არის თუ არა გახსნილი გამოგონება განაცხადში, - პატენტუნარიანობის დამატებითი მოთხოვნაა.

7.34. განაცხადში გამოგონება გახსნილი უნდა იყოს სრულად, შეიცავდეს აღწერილობას ისეთ სახით და ისეთ დეტალებს, რომ იმ დარგის ნებისმიერმა სპეციალისტმა, რომელსაც ეხება გამოგონება, შეძლოს გამოგონების განხორციელება და გამოყენება განაცხადის შეტანის თარიღიდან.

7.35. თუ ტექნიკის არსებული დონე შეიძლება მოცემული იქნეს ზოგადი ფორმულირებებით, გამოგონების არსებითი სიახლე, არსი იმდენად დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი (საჭიროების შემთხვევაში ელემენტების თანაფარდობებისა და მეთოდების ჩათვლით), რომ საშუალება მისცეს ამ დარგის სპეციალისტებს, განახორციელონ და გამოიყენონ გამოგონება.

7.36. აღწერილობაში მოცემული უნდა იყოს გამოგონების მოქმედი კონკრეტული განხორციელება ან მაგალითები. მაგალითები და სხვა აღწერითი ნაწილები საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ მთლიანად დადასტურდეს ფორმულაში მოცემული დაცვის ფარგლები.

7.37. იმისდა მიუხედავად, ტარდება თუ არა არსობრივი ექსპერტიზა, ზოგიერთ ქვეყანაში სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს გაპროტესტების პროცედურას პატენტის გაცემამდე, ან მის შემდეგ. გაპროტესტების პროცედურა გამიზნულია იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს მესამე პირებს, აღძრან თავისი სარჩელი პატენტის გაცემის წინააღმდეგ.

7.38. იმისათვის, რომ შეიძლებოდეს საჩივრის შეტანა, საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს განაცხადის შინაარსის შესახებ. ამას აკეთებს საპატენტო უწყება ინფორმაციის პუბლიკაციით ჟურნალში ან ოფიციალურ ბიულეტენში იმის თაობაზე, რომ

- განაცხადი საჯაროდ ხელმისაწვდომია და/ან
- თუ დადგენილ ვადაში არ იქნება შეტანილი საჩივარი, საპატენტო უწყება გასცემს პატენტს ან
- განაცხადზე გაცემულია პატენტი.

7.39. საფუძვლები, რომლითაც შეიძლება შეტანილი იქნეს საჩივარი, შეზღუდულია შესაბამისი კანონმდებლობით. საზოგადოდ, საჩივრის შეტანა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ არსებით მოთხოვნასთან შეუსაბამობის საფუძველზე. მაგრამ ზოგი ქვეყნის კანონი საჩივრის შეტანის ნებართვას იძლევა მხოლოდ გარკვეულ არსებით მოთხოვნასთან შეუსაბამობის

საფუძველზე. ჩვეულებრივ, ეს საფუძვლებია სიახლის, საგამომგონებლო დონის, ან სამრეწველო გამოყენებადობის არარსებობა, გამოგონების არასაკმარისი გახსნა, ან ის ფაქტი, რომ განაცხადში შეტანილი ცვლილება სცილდება საწყის განაცხადში მოცემული გამოგონების გახსნის ფარგლებს. ზოგი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა საჩივრების შეტანის შესაძლებლობას იძლევა იმის საფუძველზე, რომ განმცხადებელს არა აქვს უფლება პატენტზე.

ლიტერატურა

P. Smith, Introduction to Patent Law and Practice: The Basic Consepts, WIPO Pub. № 672(E) (1989)

International Bureau of WIPO, The Substantive Conditions of Patentability, BLTC/6&7

C. გამოგონებაზე განაცხადის გაფორმება და შეტანა

(a) გამოგონების იდენტიფიკაცია

7.40. გამოგონებაზე განაცხადის გაფორმებისას პირველი ამოცანაა გამოგონების იდენტიფიკაცია. ის შეიცავს:

- ყველა აუცილებელი ნიშნის შეჯამებას, რომელთა კომბინაცია ემსახურება კონკრეტული ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტას, და
- ამ კომბინაციის გამოკვლევას იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა ის, გარკვეული პიროვნული მოსაზრებების შესაბამისად, პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, განსაკუთრებით, საგამომგონებლო დონეს.

7.41. სწორედ ამ პროცესში მიიღწევა გამოგონების არსის სრული გაგება. ეს კი მნიშვნელოვანია გამოგონების აღწერილობისა და ფორმულის შედგენისას დახმარების აღმოსაჩენად.

7.42. საზოგადოდ, გამოგონების ავტორი შეიძლება ისე გაიტაცოს საკუთარმა იდეებმა, რომ შექმნას წინასწარ აკვიატებული აზრი მისი სამუშაოს უშუალო შედეგზე. ამის შედეგად გამოგონების ავტორს ექმნება თავისი საკუთარი გამოგონების შეზღუდული გაგება, განსაკუთრებით, იმ კონკრეტული პრობლემისა, რომლის გადაწყვეტაც მან სცადა, აგრეთვე, ყველა სპეციფიკური ნიშნისა, რომლებსაც მიჰყავს ყველაზე ეფექტურ გადაწყვეტამდე. მეორე მხრივ, ზოგჯერ გამოგონების ისეთი ავტორებიც არსებობენ, რომლებიც

საკუთარ გამოგონებას განიხილავენ ისე ფართოდ, რომ ტექნიკის თანამედროვე დონე მთლიანად მოიცავს მას.

7.43. ხშირად გამოგონება შეიცავს ბევრ ახალ ნიშანს. მთავარია, იყოს იდენტიფიცირებული გადამწყვეტი ნიშანი ან ნიშნები, და განმარტებული, თუ რატომ უწყობენ ისინი ხელს პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას. ამას აქვს ორი მნიშვნელოვანი მიზეზი. ჯერ ერთი, გამოგონების ფორმულა უნდა იყოს, რაც შეიძლება, ფართო. ყველაზე ფართო ფორმულა არის ის, რომელიც შემოფარგლულია ნიშნების მინიმალური რაოდენობით. მეორე, გადამწყვეტი ნიშნებისა და მათი ეფექტის იდენტიფიცირების შემდეგ, საჭიროა კითხვის დასმა, თუ როგორ შეიძლება კიდევ მიღებულ იქნეს ეს ეფექტი, ე.ი. შეიძლება თუ არა სპეციფიკური ნიშნების შენაცვლება ან შეცვლა საბოლოო შედეგის შენარჩუნებით. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გამოგონების ფორმულის შედგენისას, რომელიც უნდა საკმაოდ ფართო იყოს იმისათვის, რომ მოიცვას ეს შენაცვლებები ან ალტერნატივები, არამედ გამოგონების აღწერის დროსაც, რომელშიც უნდა შედიოდეს შენაცვლებების ან ალტერნატივების დეტალები, რათა გამოგონების ფართო ფორმულა მთლიანად გამომდინარეობს გამოგონების აღწერილობიდან.

(b) გამოგონებაზე განაცხადის გაფორმების პრაქტიკული ასპექტები

7.44. განაცხადის გაფორმების პრაქტიკა და მოთხოვნები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ, როგორც წესი, არსებობს სამი ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც იცავენ გამოგონებაზე განაცხადის გაფორმებისას.

7.45. ჯერ ერთი, არსებობს მოთხოვნა, რომ განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთ გამოგონებას ან გამოგონებათა ჯგუფს, რომლებიც იმდენად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ქმნიან ერთიან საგამომგონებლო ჩანაფიქრს. ეს მოთხოვნა, რომელიც მოიხსენიება როგორც "გამოგონების ერთიანობა", განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოგონების ფორმულის გაფორმების დროს.

7.46. მეორე, აღწერილობამ უნდა გახსნას გამოგონება საკმაოდ ცხადად და სრულად იმ პირის მიერ გამოგონების შეფასებისა და განხორციელებისათვის, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნის ჩვეულებრივი დონე, ე.ი. საშუალო სპეციალისტის მიერ. ამას აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა, რადგან აღწერილობის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მესამე

პირებისათვის ახალი ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება. ამ მოთხოვნაში მნიშვნელოვანია გამოთქმა - "პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნის ჩვეულებრივი დონე". ეს შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ გამარტივებული აღწერილობა, რადგან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გვექნება ინფორმირებულ მკითხველთან, რომელსაც გააჩნია ტექნიკის ადრინდელი დონის ცოდნა, რაც საჭიროდ არ ხდის გამოგონების ყოველი ძირითადი დეტალის აღწერას.

7.47. მესამე, განაცხადი უნდა შეიცავდეს გამოგონების ფორმულას, რომელიც განსაზღვრავს დაცვის ფარგლებს. გამოგონების ფორმულა უნდა იყოს ნათელი და ლაკონიური და მთლიანად ემყარებოდეს აღწერილობას. ეს მესამე ძირითადი მოთხოვნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან გამოგონების ფორმულა საპატენტო დაცვის განსაზღვრის საფუძველია. მესამე პირებს სწორედ გამოგონების ფორმულის საფუძველზე შეუძლიათ გაიგონ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი - არა. გამოგონების ფორმულა არ შეიძლება იყოს არსობრივად ფართო ან განსხვავებული იმისაგან, რაც მოცემულია გამოგონების აღწერილობაში.

7.48. გამოგონების აღწერილობის პირველი ნაწილი, როგორც წესი, შეიცავს ორ ელემენტს, სახელდობრ, გამოგონების სახელწოდებას და ტექნიკის იმ დარგის მოკლე აღწერას, რომელსაც ეხება გამოგონება. ეს აღწერა ჩვეულებრივ, მოტანილია მოკლე შესავალი პუნქტის ფორმით, რომელიც იწყება ფრაზით: "წარმოდგენილი გამოგონება ეკუთვნის. . ."

7.49. მეორე ნაწილში აღწერილია ტექნიკის არსებული დონე. ამ ნაწილის გაფორმებისას, ჩვეულებრივ, გადმოიცემა ნებისმიერი არსებული პრობლემა ან სიძნელე, რომელთა გადასაჭრელადაც არის გამიზნული მოცემული გამოგონება. აგრეთვე, აღწერილი უნდა იყოს ამ პრობლემების ან სიძნელეების ადრინდელი ტექნიკური გადაწყვეტა ისე, რომ მოცემული იყოს მკაფიო განსხვავება განცხადებულ გამოგონებასა და ამ ადრინდელ ტექნიკურ გადაწყვეტებს შორის. ამ ნაწილში, აგრეთვე, შეიძლება აღწერილი იყოს გამოგონების მიზანი, ე.ი. ის, რისი მიღწევაც შემოთავაზებულია განცხადებული გამოგონების გამოყენებით. აღწერილობის მეორე ნაწილი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში მოიცემა გამოგონების კარგი გაგება და დგინდება გამოგონების ადგილი მოცემული ტექნიკის დონის ფონზე.

7.50. აღწერილობის მესამე ნაწილში გამოგონება მოკლედ არის გადმოცემული

ისე, რომ იგი ადვილად გასაგები იყოს. ჩვეულებრივ, დასაწყისში გამოგონება აღიწერება ზოგადი ტერმინებით, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია ფორმულის დამოუკიდებელ მუხლში. ამ მეთოდის გამოყენებით თავს არიდებენ ნებისმიერ დავას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას განსხვავებათა საფუძველზე აღწერილობაში გადმოცემულ გამოგონებასა და ფორმულაში განსაზღვრულ გამოგონებას შორის. გამოგონების ზოგადი ტერმინებით აღწერას, როგორც წესი, მოჰყვება აბზაცთა რიგი, რომლებშიც მოტანილია გამოგონების სხვადასხვა უპირატესი ნიშნები. ეს აბზაცები, ჩვეულებრივ, შეადგენენ ფორმულის დამოკიდებული მუხლების საფუძველს, რომლებიც მიჰყვება ფორმულის ფართო ძირითად დამოუკიდებელ მუხლს.

7.51. აღწერილობის მეოთხე ნაწილში, როგორც წესი, ორი ელემენტია, სახელდობრ, ნახაზების მოკლე აღწერა, თუ ნახაზები თან ერთვის და გამოგონების განხორციელების ერთი ან მეტი ვარიანტის დაწვრილებითი აღწერა. ნახაზების ფართო გამოყენება ხელს უწყობს გამოგონების დეტალების აღწერას. თუ გამოგონება ეხება, მაგალითად, მექანიკური ობიექტის რაიმე ფორმას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნახაზები, რომლებზედაც მოცემულია ხედი ზემოდან, ვერტიკალური პროექცია და ამ ობიექტის ჭრილი. ნახაზებში აღწერილი ელემენტები დანომრილია და ეს ნომრები გამოიყენება გამოგონების განხორციელების ვარიანტის აღწერილობაში.

7.52. თუ გამოგონება წარმოადგენს ელექტრულ წრედს, ნახაზები შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოიყენებული წრედის სხვადსვა ელემენტებს ან კომპონენტებს შორის შეერთების საჩვენებლად. ელემენტები ან კომპონენტები დანომრილი უნდა იყოს მათზე მითითების გაადვილების მიზნით. როგორც წესი, ნახაზები არ უნდა შეიცავდეს არავითარ ტექსტურ მასალას. მაგრამ შეიძლება იყოს გამონაკლისი, როდესაც ცალკეული აღწერითი სიტყვების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ კვეთენ ნახაზის ხაზებს. ასე, მაგალითად, ნებისმიერ ნახაზზე, რომელიც, დავუშვათ, ელექტრული წრედის ილუსტრირებას ახდენს, სტანდარტული კომპონენტები შეიძლება აღინიშნოს სწორკუთხედის სახით, რომელიც უნდა მოინიშნოს. ანალოგიური ვითარებაა, თუ გამოგონება ეკუთვნის ხერხს. ნახაზზე შეიძლება ნაჩვენები იყოს ბლოკ-სქემა, პრინციპული სქემა, ან ტექნოლოგიური სქემა და მათში შემავალი ბლოკები ან სწორკუთხედები შეიძლება შესაბამისად მოინიშნოს.

7.53. თუ გამოგონება მიეკუთვნება ქიმიის დარგს, ნახაზი შეიძლება წარმოდგენილი იყოს გრაფიკულად. უფრო კონკრეტულად, თუ გამოგონება ეკუთვნის მეტალურგიის დარგს, ნახაზი შეიძლება წარმოადგენდეს ისეთ დიაგრამას, როგორიცაა ფაზური წონასწორობის დიაგრამა.

7.54. ჩვეულებრივ, გამოგონების განხორციელების ვარიანტის აღწერა შეიცავს გამოგონების ფაქტობრივი მუშაობის მოკლე აღწერას. თუ გამოგონება ეხება მოწყობილობას, მაგალითად, წარმოადგენს მანქანას, ან ელექტრულ წრედს, მაშინ გამოგონების გასაგებად სასარგებლოა იმის აღწერა, თუ როგორ ფუნქციონირებს მანქანა ან ელექტული წრედი.

7.55. გამოგონების ფორმულა არის ნებისმიერი გაცემული პატენტის ცენტრი ან გული, რადგან იგი ნათლად განსაზღვრავს დაცვის (ანუ განსაკუთრებული უფლებების) ფარგლებს, რაც დაპატენტების მიზანია. ამიტომ განაცხადის მომზადებისას ყველაზე მთავარი ამოცანაა გამოგონების ფორმულის შედგენა, რომელიც განსაზღვრავს გამოგონებას აღწერილობაში გახსნილი ტექნიკური ნიშნების ენაზე და არ შეიცავს არავითარ მინიშნებას კომერციულ უპირატესობებზე.

7.56. გამოგონების ფორმულის მუხლების მიმდევრობა, როგორც წესი, იწყება ფართო დამოუკიდებელი მუხლით, რომელსაც მოსდევს უფრო ვიწრო მოცულობის ფორმულის მუხლები. ფორმულის ფართო მუხლის შედგენა საჭიროა ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული გამოგონების დონისა და ტექნიკის იმ დონის დამთხვევა, რომელიც ცნობილია განაცხადის მომზადების მომენტისათვის. ფორმულის მომდევნო მუხლებს უფრო ვიწროდ ადგენენ, რათა უფრო გაძლიერდეს გამოგონების დაცვა იმის გათვალისწინებით, რომ წინ აღუდგეს მოსალოდნელ, რელევანტურ ტექნიკის დონეს, რომელიც შეიძლება დაუპირისპიროს საპატენტო უწყებამ ექსპერტიზის მსვლელობისას ან მესამე პირმა ოპოზიციის ან ბათილად ცნობის პროცედურის დროს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ფორმულის ყოველ მომდევნო მუხლში უნდა იყოს დამატებითი გამოგონების რაღაც ელემენტი მისთვის უფრო ძლიერი ხასიათის მიცემის მიზნით.

7.57. ფორმულის უფრო ვიწრო მუხლები, რომლებიც მოსდევს დამოუკიდებელ ფართო მუხლს, ჩვეულებრივ, ერთ ან რამდენიმე წინა მუხლს იმოწმებენ. ამის გამო მათ გამოგონების ფორმულის დამოკიდებულ მუხლებს უწოდებენ. ფორმულის ყველა დამოკიდებულ მუხლში შეტანილმა ნიშანმა საფუძველი

უნდა ნახოს გამოგონების აღწერილობაში. იქ, ჩვეულებრივ, განმარტებულია, რომ ისინი უპირატესი ნიშნებია, რომლებიც ქმნიან გამოგონების საუკეთესო ტექნიკურ გადაწყვეტას.

7.58. პატენტის უკანასკნელი ელემენტია რეფერატი. რეფერატი წარმოადგენს გამოგონების აღწერილობისა და ფორმულის რეზიუმეს. საშუალებას აძლევს მესამე პირებს, სწრაფად მიიღონ ინფორმაცია გამოგონების არსზე. უნდა აღინიშნოს, რომ რეფერატი არ გამოიყენება დაცვის ფარგლების განსასაზღვრავად.

7.59. რეფერატის შედგენისას სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს ის, რომ რეფერატი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შეიძლებოდეს ტექნიკის კონკრეტულ დარგში ძიების მიზნით მისი, როგორც მასკანირებელი ინსტრუმენტის, ეფექტური გამოყენება. რეფერატი უნდა იყოს იმდენად მოკლე, რამდენადაც ამის საშუალებას აღწერილობა იძლევა. ჩვეულებრივ, რეფერატი შეიცავს 50-დან 150-მდე სიტყვას.

<u>ლიტერატურა</u>

P. Smith, <u>Introduction to Patent Law and Practice: The Basic Consepts,</u> WIPO Pub. № 672(E) (1989)

D. გამოგონებაზე განაცხადის ექსპერტიზა

(a) ფორმალური ექსპერტიზა; შეტანისა და პრიორიტეტის თარიღი

7.60. ახლა კვალდაკვალ მივყვეთ განაცხადის მსვლელობას საპატენტო უწყებაში. არსებობს სამი ძირითადი ეტაპი, რომლებიც უნდა აღინიშნოს, სახელდობრ:

(1) ფორმალური ექსპერტიზა;

(2) ძიება;

(3) არსობრივი ექსპერტიზა.

7.61. ყოველ ამ ეტაპზე ჩვეულებრივი პროცედურაა დიალოგი, რომელიც ხორციელდება უმთავრესად წერილობითი ფორმით საპატენტო უწყების ექსპერტსა და განმცხადებელს შორის. პატენტრწმუნებული მოქმედებს როგორც დამაკავშირებელი რგოლი იმ გაგებით, რომ იგი იღებს შეტყობინებას საპატენტო უწყებიდან, აძლევს რჩევას განმცხადებელს

სათანადო მოქმედების თაობაზე, იღებს განმცხადებლის მითითებას და ამის შესაბამისად უპასუხებს საპატენტო უწყების შეტყობინებას.

7.62. ფორმალური ექსპერტიზის ჩატარების წინ განაცხადი მოწმდება, რათა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა იგი ყველა მოთხოვნას, რომელიც საჭიროა განაცხადის შეტანის თარიღის დასმისათვის. ეს შემოწმება წარმოადგენს ძირითად მომენტს, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ არ არის დადგენილი შეტანის თარიღი მიიჩნევა, რომ განაცხადი არც ყოფილა შეტანილი, და იგი აღარ განიხილება. შეტანის თარიღი მნიშვნელოვანია ზოგადი გაგებით, რადგან ის წარმოადგენს თარიღს, საიდანაც იწყება გარკვეულ ქმედებათა ათვლა, ისეთისა, როგორიცაა პატენტის მოქმედების ვადა. გარდა ამისა, შეტანის თარიღი, სათანადო შემთხვევებში, განსაზღვრავს ნებისმიერი მომდევნო განაცხადის პრიორიტეტის თარიღს სხვა ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის ფარგლებში (პარიზის კონვენცია). შეტანის თარიღი (ანუ პრიორიტეტის თარიღი) მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სიახლისა და საგამომგონებლო დონის შესაფასებლად.

7.63. პრიორიტეტის თარიღი ასევე მნიშვნელოვანია ზოგადი გაგებით. პრიორიტეტის უფლება უნდა ემყარებოდეს ეროვნულ, რეგიონალურ ან საერთაშორისო განაცხადს, რომელიც შეტანილი იყო არა უადრეს თორმეტი თვისა. მისი მიზანია, შეცვალოს ეროვნულ უწყებაში შეტანის თარიღი უფრო ადრეული განაცხადის თარიღით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნიკის შესაბამისი დონის მიმართ სიახლისა და საგამომგონებლო დონის შესაფასებლად.

7.64. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პრიორიტეტის უფლებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ეროვნული კანონის შესაბამისად, პრიორიტეტის უფლების მინიჭება ურთიერთსანაცვლო ვალდებულებების საფუძველზე გათვალისწინებულია ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან პარიზის კონვენციის მონაწილენი.

7.65. პრიორიტეტის უფლება აძლევს დიდ პრაქტიკულ უპირატესობას განმცხადებელს, რომელიც მოითხოვს დაცვას რამდენიმე ქვეყანაში. განმცხადებელს არ სჭირდება ერთსა და იმავე დროს განაცხადების წარდგენა მის საკუთარ ქვეყანასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, რადგან მას წინა აქვს

თორმეტი თვე იმის გადასაწყვეტად, თუ რომელ უცხო ქვეყანაში სურს დაცვის მიღება. განმცხადებელმა უნდა ისარგებლოს ამ ვადით და ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს იმ მოქმედებათა ორგანიზებას, რომლებიც საჭიროა დაცვის უზრუნველსაყოფად მისთვის საინტერესო ქვეყნებში.

7.66. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა, ჩვეულებრივ, იწყება მაშინვე, როგორც კი დადგინდება განაცხადის შეტანის თარიღი. ექსპერტიზის დროს ძირითადად მოწმდება შემდეგი მონაცემები: წარმომადგენლობა, განაცხადის შინაარსი, ცნობები გამოგონების ავტორის შესახებ, აღწერილობის მარეგლამენტირებელი ფიზიკური მოთხოვნები, ფორმულა, ნახაზები და რეფერატი. განმცხადებელს ეძლევა შესაძლებლობა აღმოფხვრას ფორმალური ექსპერტიზის ჩატარების დროს გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლოვანება და, თუ ასეთი ნაკლოვანებები აღმოფხვრილი არ იქნება დადგენილი ვადის განმავლობაში, საპატენტო უწყებას გამოაქვს გადაწყვეტილება განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

(b) ძიება

7.67. შესაბამისი კანონით გათვალისწინებული ექსპერტიზის პროცედურის მიხედვით ძიება ტარდება ან ცალკე და ადრე ან არსობრივ ექსპერტიზასთან ერთდროულად. ნებისმიერ შემთხვევაში ძიების მიზანია ტექნიკის შესაბამისი დონის განსაზღვრა კონკრეტულ სფეროში, რომელსაც მიეკუთვნება გამოგონება. ძიების ჩატარებისას საპატენტო უწყება ახორციელებს შემოწმებას თავის დოკუმენტაციის ფონდებში, რათა დაადგინოს, არსებობს თუ არა ფონდებში რაიმე დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ისეთივე ან მსგავსი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც აღწერილია განაცხადში.

7.68. თუ ძიება ტარდება არსობრივი ექსპერტიზისაგან განცალკევებით, განმცხადებელს ეგზავნება ანგარიში მოძიების შესახებ შემდეგი დანართით:

- ძიების შედეგად გამოვლენილი დოკუმენტების ნუსხა, რომლებშიც გახსნილი ობიექტი ისეთივეა, როგორც გამოგონების ობიექტი ან ძალზე ემსგავსება მას;
- განაცხადით მოცემული გამოგონების ფორმულის მუხლები, რომლებიც უნდა შედარდეს ყოველ გამოვლენილ დოკუმენტთან.

7.69. ძიების ანგარიშში ასევე შეიძლება აღნიშნული იყოს მოძიების მოცულობა, ე.ი. დოკუმენტების სახეობები, რომელთა მიხედვით ტარდებოდა

ძიება; ეს დოკუმენტები მოიცავს დროის გარკვეულ პერიოდს და ტექნიკის კონკრეტულ დარგებს, რომელშიც ტარდება ძიება.

7.70. თავისთავად ძიება - ეს არის დოკუმენტური ძიება საპატენტო დოკუმენტაციის ფონდში, რომელიც ძირითადად მოწყობილია საძიებო მიზნებისათვის ტექნიკის კონკრეტული დარგების შესაბამისად. საპატენტო დოკუმენტები შეიძლება შეივსოს სტატიებით ტექნიკური ჟურნალებიდან და სხვა ე. წ. არასაპატენტო დოკუმენტაციით. დოკუმენტების საერთო მასივი, ჩვეულებრივ, მოიხსენიება როგორც "საძიებო ფონდი".

7.71. საპატენტო უწყების მიერ ჩატარებული ძიება მოიცავს მხოლოდ საძიებო ფონდში არსებულ დოკუმენტებს. ძიება ვრცელდება მხოლოდ პუბლიკაციით გახსნაზე და არ გულისხმობს იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა ადგილი გახსნას საჯარო საშუალებით. გახსნის ეს სახე, თუ ასეთი არსებობს, მხედველობაში მიიღება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთ გამოყენებას საპატენტო უწყებამ ყურადღება მიაქცია მესამე პირთა სარჩელის საფუძველზე.

7.72. თვითონ ძიება, ჯერ ერთი, მოიცავს ტექნიკის ყველა დარგს, რომლებსაც უშუალოდ ეხება ძიების საგანი, ხოლო შემდეგ შეიძლება გავრცელდეს ანალოგიურ დარგებზე, მაგრამ ასეთი გავრცელების აუცილებლობა უნდა შეფასდეს ექსპერტის მიერ ყველა ცალკეულ შემთხვევაში და ძიების შედეგის გათვალისწინებით ტექნიკის დარგებში, რომლებსაც უშუალოდ ეხება ძიების საგანი. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ, თუმცა, ძიების იდეალი სისრულეა, ეს იდეალი შეიძლება არც იყოს მიღწეული ისეთ ფაქტორთა გამო, როგორიცაა ნებისმიერი კლასიფიკაციისა და საინფორმაციო - საძიებო სისტემის გარდაუვალი არასრულყოფილება, და იგი შეიძლება არც იყოს ეკონომიკურად გამართლებული, რადგან ძიების ჩატარების ხარჯები გონივრული ფარგლებით უნდა შეიზღუდოს.

(c) არსობრივი ექსპერტიზა

7.73. არსობრივი ექსპერტიზის პროცედურის მიზანია დაადგინოს, რომ განაცხადი აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის გარკვეულ კრიტერიუმებს. თავისი არსით ეს არის პატენტის გაცემის არდაშვება, როდესაც:

- გამოგონება ამოღებულია საპატენტო დაცვიდან კანონმდებლობის სპეციალური დებულებების შესაბამისად;

- გამოგონებას არ გააჩნია სიახლე, არ შეესაბამება საგამომგონებლო დონეს და/ან გამოუსადეგარია სამრეწველო გამოყენებისათვის;
- გამოგონება არასაკმარისად ნათლად და სრულად არის გახსნილი წარდგენილ დოკუმენტებში; ან
- დაცული არ არის სხვა გარკვეული მატერიალური მოთხოვნები განაცხადზე.

7.74. ფორმალური ექსპერტიზის შემთხვევის მსგავსად, განმცხადებელს საშუალება ეძლევა, აიცილოს შედავებანი, რომელიც გაჩნდება არსობრივი ექსპერტიზის ჩატარების დროს, და, თუ იგი ამას ვერ მოახერხებს, საპატენტო უწყება უარს ეუბნება პატენტის გაცემაზე.

7.75. განაცხადში შესწორებების შეტანის შესაძლებლობის არსებობა სასარგებლოა როგორც განმცხადებლის, ისე საზოგადოებისათვის. ამის წყალობით შეიძლება არა მხოლოდ ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ამით უკეთესი პატენტის გაცემის უზრუნველყოფა, არამედ აღწერილობაში შეტანილი შესწორებების ხარჯზე გამოგონების უკეთესი აღწერილობის მიღება და საპატენტო დაცვის მოცულობის უფრო ზუსტი განსაზღვრა.

7.76. ყველა შესწორება არ არის ნებადართული. როგორც წესი, შესწორება არ დაიშვება, თუ მისი შინაარსი სცილდება განაცხადში მოცემული თავდაპირველი აღწერილობის ფარგლებს.

7.77. უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ნებისმიერი საპატენტო კანონის დანიშნულება გამოგონებების დაცვაა, საპატენტო უწყება უარს ამბობს პატენტის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის შედეგები აშკარად ეწინააღმდეგება გაცემას. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში საკითხი წყდება განმცხადებლის სასარგებლოდ, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პატენტის ძალაში ყოფნის თაობაზე, ჩვეულებრივ, სასამართლო ინსტანციების მეშვეობითაა შესაძლებელი.

(d) პატენტის გაცემა და პუბლიკაცია

7.78. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზა გამოიტანს განმცხადებლისათვის სასიკეთო დასკვნას, ე.ი. თუ დავუშვებთ, რომ დაცული იყო ყველა აუცილებელი მოთხოვნა ფორმისა და არსის მიმართ, და არ ყოფილა მიღებული არც ერთი საჩივარი, ან არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილებულა, საპატენტო უწყება გასცემს პატენტს განაცხადზე. ეს

გადაწყვეტილება ითვალისწინებს გარკვეულ ქმედებებს საპატენტო უწყების მხრიდან.

7.79. ჯერ ერთი, პატენტის გაცემის შემდეგ ცნობები პატენტის შესახებ შეაქვთ გამოგონებათა რეესტრში. რეესტრი, ჩვეულებრივ, შეიცავს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, ისეთს, როგორიცაა: პატენტის ნომერი, განმცხადებლის და პატენტმფლობელის სახელი და მისამართი, გამოგონების ავტორის სახელი, თავდაპირველი განაცხადის ნომერი, შეტანის თარიღი, ზოგიერთი ცნობა პრიორიტეტული განაცხადის თაობაზე და გამოგონების სახელწოდება. რეესტრი არ შეიცავს არავითარ ტექნიკურ ინფორმაციას.

7.80. იმ ქვეყნებში, სადაც პატენტის ძალაში დატოვებისათვის საჭიროა წელიწადში ერთხელ პერიოდული საფასურის გადახდა, რეესტრში მოცემულია ცნობები იმის შესახებ, როდის არის გადახდილი ასეთი საფასური; აგრეთვე, შეიძლება ჩამოთვლილი იყოს ნებისმიერი ცნობები იმ ლიცენზიების ან უფლებათა გადაცემის თაობაზე, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო რეგისტრირებული.

7.81. ამიტომ რეესტრი შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს მესამე პირთათვის, განსაკუთრებით, პატენტმფლობელის კონკურენტებისათვის, რადგან იგი ავლენს პატენტის ფაქტობრივ სტატუსს. ზოგ ქვეყანაში სასამართლოებში შეაქვთ რეესტრიდან ამონაწერის დამოწმებული პირი, რომელიც წარმოადგენს იმ ვითარების სისწორის მტკიცებას, რაც რეგისტრირებულია პატენტთან მიმართებაში.

7.82. მეორე, საპატენტო უწყება აქვეყნებს გამოგონებათა ბიულეტენში ინფორმაციას პატენტის გაცემაზე შესაბამის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად. გამოგონებათა ბიულეტენში გამოქვეყნებული მონაცემები შეიძლება შეიცავდეს, აგრეთვე, რეფერატს ან გამოგონების ფორმულის დამოუკიდებელ მუხლს და, თუ ნახაზები არსებობს - ყველაზე თვალსაჩინო ნახაზს.

7.83. მესამე, განმცხადებელს ეძლევა მოწმობა პატენტის გაცემის თაობაზე, რომელიც არის პატენტის ფლობის უფლების დამდგენი სამართლებრივი დოკუმენტი. იმავე დროს ქვეყნდება გაცემული პატენტის პირიც.

7.84. დაბოლოს, საპატენტო უწყება თვითონ აქვეყნებს საპატენტო დოკუმენტს ნაბეჭდი სახით. იგი უზრუნველყოფს საპატენტო დოკუმენტის პირების, როგორც ტექნიკური ინფორმაციის წყაროს, ხელმისაწვდომობას საზოგადოებისათვის საპატენტო ბიბლიოთეკებში გამოსაყენებლად და ა.შ.

საპატენტო დოკუმენტის გამოყენება შეუძლიათ, აგრეთვე, მესამე პირებს საფასურის გადახდის პირობით.

7.85. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პატენტის ძალაში დასატოვებლად, ჩვეულებრივ, საჭიროა ყოველწლიურად პატენტზე განსაკუთრებული უფლებისთვის დადგენილი მთელი ვადის განმავლობაში საპატენტო უწყებას გადაუხადონ ვადის გაგრძელების ანუ ძალაში შენარჩუნების დადგენილი საფასური. ზოგ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს, მაგალითად, გადადებული ექსპერტიზის სისტემა, ძალაში შენარჩუნების გადახდა ხდება პატენტის გაცემამდე. ზოგ ქვეყანაში ძალაში შენარჩუნების საფასურის გადახდა არ მოითხოვება ყოველწლიურად, მაგრამ გადახდილი უნდა იქნეს, ვთქვათ, ყოველ სამ-ხუთ წელიწადში. ქვეყანათა უმნიშვნელო რაოდენობა არ მოითხოვს პერიოდული საფასურის გადახდას.

ლიტერატურა

P. Smith, Introduction to Patent Law and Practice: The Basic Consepts, WIPO Pub. № 672(E) (1989)

E. საპატენტო უფლებების დარღვევა

(a) პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლება

7.86. საზოგადოდ, პატენტმფლობელი იძენს კანონით გამაგრებულ უფლებას, გადაწყვიტოს, თუ ვის შეუძლია გამოიყენოს და ვის არა მის დაპატენტებული გამოგონება. ის ინარჩუნებს ამ უფლებას პატენტის მოქმედების პერიოდში იმ პირობით, რომ იხდის ვადის გაგრძელების ან ძალაში შენარჩუნების ყველა აუცილებელ საფასურს.

7.87. პატენტმფლობელის უფლებები თავის გამოგონებაზე, ჩვეულებრივ, შეზღუდულია სრულიად განსხვავებული გარემოებებით.

7.88. ჯერ ერთი, გამოგონების ფორმულა, რომელიც განსაზღვრავს მონოპოლიას, შეიძლება გადასინჯონ ან ბათილად ცნონ სასამართლოებმა იმ ნაკლოვანებების გამო, რომლებიც არ იყო გამომჟღავნებული პატენტის გაცემამდე.

7.89. მეორე, თუ გამოგონება წარმოადგენს ადრე არსებული პატენტის

გაუმჯობესებას ან განვითარებას, პატენტმფლობელისთვის საჭირო გახდება ლიცენზიის მიღება და სალიცენზიო საფასურის გადახდა ადრე არსებული პატენტის მფლობელისათვის.

7.90. მესამე, პატენტმფლობელის უფლებები, ჩვეულებრივ, შეზღუდულია საპატენტო კანონით თავისი პატენტის იურიდიული ძალის მიუხედავად. საპატენტო სისტემების უმრავლესობა პატენტმფლობელისაგან მოითხოვს, მაგალითად, მისი გამოგონების გამოყენებას მის მიერვე ან მის გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემას სხვა პირთათვის, თუ მას სურს თავისი მონოპოლიის შენარჩუნება. თუ, მაგალითად, შეიძლება იმის დამტკიცება, რომ დაპატენტებული გამოგონება არ არის ან არასაკმარისად არის გამოყენებული ქვეყანაში, მესამე პირზე გაიცემა არანებაყოფლობითი (იძულებითი) ლიცენზია.

7.91. დაბოლოს, გამოგონების გამოყენებაზე პატენტმფლობელის უფლებების მეოთხე სამართლებრივ შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ დაპატენტებული გამოგონება შეიძლება ხშირად გამოიყენოს მთავრობამ ან მთავრობის მიერ უფლებამოსილმა მესამე პირებმა, თუ ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები, შეთანხმებული ან სასამართლო ინსტანციებით დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

7.92. ხსენებული შეზღუდვების გამოკლებით, პატენტის გაცემა საშუალებას აძლევს მის მფლობელს, არ დაუშვას დაპატენტებული გამოგონების გამოყენება მესამე პირთა მიერ. მფლობელის უფლებას იმიტომ ეწოდება განსაკუთრებული, რომ მას შეუძლია გამორიცხოს სხვა პირთა მიერ გამოგონების გამოყენება, და კიდევ იმიტომ, რომ მფლობელი ერთადერთი პირია, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს გამოგონება მანამ, სანამ სხვები არ მიიღებენ ნებართვას მსგავსი ქმედებისათვის (მაგალითად, ლიცენზიით). პრაქტიკაში პატენტმფლობელის ამ განსაკუთრებულ უფლებას აქვს ორი მთავარი გამოყენება, სახელდობრ: საპატენტო უფლებების დარღვევისაგან დაცვა და გამოგონებაზე უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემის, ანუ ლიცენზირების, შესაძლებლობა. დაპატენტებული გამოგონების ლიცენზირება განხილული იქნება ქვემოთ ცალკე თავში.

7.93. პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევა ნიშნავს დაპატენტებული გამოგონების არასანქცირებულ გამოყენებას მესამე პირის მიერ. გამოგონების შექმნა, კერძოდ, მისი დაყვანა სამრეწველო

რეალიზაციამდე, ჩვეულებრივ, მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს განმცხადებლის – გამოგონებაზე პატენტის მომავალი მფლობელის მხრიდან. ამიტომ პატენტმფლობელს სურს ამ ხარჯების ანაზღაურება დაპატენტებული გამოგონების შემდგომი ექსპლუატაციით მიღებული სარგებლით, კერძოდ, გამოგონების საფუძველზე დამზადებული პროდუქტის გაყიდვით.

(b) უფლებათა განხორციელება

7.94. პატენტზე უფლების განხორციელების ინიციატივა ეკუთვნის მარტოოდენ პატენტმფლობელს. სწორედ ის არის პასუხისმგებელი დარღვევათა აღმოჩენაზე და ამის შესახებ დამრღვევის გაფრთხილებაზე. ბევრ იურისდიქციაში არსებობს მკაცრი ნორმა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ პატენტმფლობელს არ შეუძლია სასამართლო სარჩელის აღძვრით დამუქრება იმ შესაძლებლობის გარეშე, რომ მის წინააღმდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს მკაცრი კონტრზომები ზარალის ანაზღაურების ჩათვლით იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ მუქარა უსაფუძვლო იყო. კანონში ასეთ დებულებათა ძირითადი მიზანია - არ მიეცეს ნება პატენტმფლობელს, დაემუქროს უფლებების დამრღვევი პირის შემკვეთებს თვით მთავარი დამრღვევის დევნის გარეშე. პრაქტიკული თვალსაზრისით თავაზიანი წერილი, რომელშიც აღნიშნულია პატენტის არსებობა, გულისხმობს, რომ პატენტმფლობელი აღძრავს სარჩელს, თუ დარღვევა გაგრძელდება. დამტკიცებულია, რომ ასეთი წერილი სავსებით ეფექტურია დარღვევათა აღსაკვეთად.

7.95. თუ დამრღვევი წინააღმდეგობას წევს, პატენტმფლობელმა შეიძლება განიხილოს საკითხი ლიცენზიის გაცემის შესახებ. მრავალი წამოწყებული დავა შეიძლება გადაწყდეს ადრეულ სტადიაზე ლიცენზიის გაცემის თაობაზე მოლაპარაკების გზით, ამასთან, ლიცენზირების პირობები დამოკიდებულია მხარეთა მიერ მოლაპარაკების ჩატარების წარმატებულობაზე. თუ პატენტმფლობელი არ ეთანხმება ლიცენზიის გაცემაზე ლიცენზიატისთვის მისაღები პირობებით, მას შეუძლია აღძრას სასამართლო სარჩელი დარღვევის ფაქტზე და მოითხოვოს დარღვევის სასამართლო აკრძალვა. თუ დამრღვევს სურს კონკურენციის გაგრძელება, მისი სამართლებრივი პასუხი, უთუოდ იქნება შუამდგომლობა პატენტის ბათილად ცნობის შესახებ.

7.96. პატენტზე საპატენტო უფლებების დარღვევის შესახებ დავათა დიდი რაოდენობა არ აღწევს სასამართლო პროცესის სტადიას. მისი გადაწყვეტა

ხდება მოლაპარაკების გზით. იმ დავათა შორის, რომლებიც აღწევენ ოფიციალური სასამართლო სარჩელის აღძვრის ეტაპს, ძალიან ცოტა თუ გაივლის წინასწარი გამოძიების სტადიას; ასეთი დავები, ჩვეულებრივ, გვარდება სასამართლოში საქმის მოსმენამდე (შესაძლოა, არაოფიციალური მედიატორი მოსამართლის მეშვეობით). მსგავსმა დავებმა, განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში, მოგვარებამდე შეიძლება რამდენიმე წელსაც გასტანოს, მაგრამ ეს არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან. ასეთ მოგვარებას თითქმის ყოველთვის მოსდევს ლიცენზიის გაცემა და, შესაძლოა, ზარალის ანაზღაურებაც.

(c) საპატენტო უფლებების დარღვევის სახეობები

7.97. არსებობს პატენტზე უფლების დარღვევის რამდენიმე გზა. ჯერ ერთი, იქმნება სიტუაცია, როდესაც უფლებას პატენტზე წინასწარი განზრახვით არღვევს მესამე პირი, რომელიც არც კი ცდილობს, თავი აარიდოს დარღვევას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადგილი აქვს წინასწარგანზრახულ მეკობრეობას ანუ დაპატენტებული გამოგონების კონტრაფაქციას. ეს შეიძლება იყოს გამოგონების პირდაპირი მიბაძვა, მისი უმნიშვნელო შეცვლა ან მოდიფიკაციაც კი. დარღვევის ასეთი ფორმის მიზეზად გვევლინება ის, რომ მესამე პირი დაუდევარია ან მას თავისი პატენტრწმუნებულისაგან მიღებული აქვს რჩევა იმის შესახებ, რომ ამ პატენტს ან გამოგონების ფორმულის ერთ ან რამდენიმე მუხლს არა აქვს იურიდიული ძალა.

7.98. დარღვევის ასეთი ფორმის შემთხვევაში, საზოგადოდ, არანაირი არგუმენტი არ არსებობს იმის დასადგენად, აქვს თუ არა ადგილი დარღვევას. თუ დაპატენტებული გამოგონების ყველა ნიშანი არის კოპირებული, დარღვევას უნდა ჰქონდეს ადგილი და მაშინ ერთადერთი საკითხის გადაწყვეტა იქნება საჭირო - რამდენად საფუძვლიანია გამოგონების ფორმულა.

7.99. მეორე სიტუაცია შეიქმნება მაშინ, როდესაც დარღვევა წინასწარ განზრახულია, მაგრამ იყო მისი არიდების ცდა. ხშირად ხდება ისე, რომ, როგორც კი გამოგონება გაიხსნება ან პროდუქტის გაყიდვის გზით, რომელშიც განხორციელებულია გამოგონება, ან გამოქვეყნებულ საპატენტო დოკუმენტში ან სხვა პუბლიკაციაში, მესამე პირებს უჩნდებათ ინტერესი გამოგონების იდეისადმი. ჩვეულებრივ, პუბლიკაციებში დასმულია პრობლემა

და მოცემულია მისი გადაწყვეტის ხერხი. შემდეგ უკვე მესამე პირები ეძებენ იმავე ამოცანის გადაჭრის ალტერნატიულ გზას, და, თუმცა, ისინი ცდილობენ "გამოიგონონ" ახალი გამოგონება ნამდვილი გამოგონების ავტორის ძირითადი იდეის გამოყენებით, შედეგი, როგორც წესი, მნიშვნელოვნად არ სცილდება ფორმულის დაცვის ფარგლებს. როგორც ჩანს, ეს საპატენტო უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რასაც აწყდებიან პატენტმფლობელები, და იგი ხდება სასამართლო დავათა დიდი ნაწილის საწყისი.

7.100. ბოლო სიტუაციას ადგილი აქვს შემთხვევითი დარღვევის დროს. როგორც კი პატენტმფლობელი წააწყდება რაიმეს, რაც მისი იდეის განხორციელებაა, ის, ბუნებრივია, მიიჩნევს, რომ ეს არის მისი გამოგონების კოპირება. მაგრამ აუცილებელი არ არის, ეს ყოველთვის ასე იყოს, რადგან შეიძლება არსებობდეს უამრავი ადამიანი, რომლებიც ერთსა და იმავე დროს დაკავებულნი არიან კონკრეტული ამოცანის გადაჭრით. მაგალითად, სხვადასხვა დიდი ორგანიზაციის სამეცნიერო - კვლევითი განყოფილებები შეიძლება მუშაობდნენ ერთსა და იმავე პრობლემაზე. ანალოგიურად, შეიძლება რამდენიმე კომპანიამ მიიღოს წინადადება კონტრაქტის შესაბამისად გადაწყვიტოს კონკრეტული პრობლემა ან მიაღწიოს გარკვეულ შედეგს, და ამ დროს მივიდეს მსგავს იდეამდე, რაც შეიძლება წარმოადგენდეს დაპატენტებული გამოგონების საგანს. მაშასადამე, თუმცა პატენტმფლობელს შეიძლება შინაგანი გრძნობა კარნახობდეს, რომ ხდება მისი გამოგონების კოპირება, მესამე პირი, ფაქტობრივად, სხვა გზით მივიდა მსგავს თუ არა, იდენტურ ტექნიკურ გადაწყვეტამდე.

(d) საპატენტო უფლებების დარღვევის დადგენის ელემენტები

7.101. საპატენტო უფლებების დარღვევის ფაქტის დასადგენად პატენტმფლობელმა უნდა დაამტკიცოს ყველა შემდეგი ელემენტი:

- აკრძალული ქმედების ჩადენა;
- აკრძალულ ქმედებას ადგილი უნდა ჰქონოდა გამოგონებაზე განაცხადის პუბლიკაციის, ან პატენტის გაცემის შემდეგ, თუ არ არსებობს ადრინდელი პუბლიკაცია;
- აკრძალულ ქმედებას ადგილი უნდა ჰქონოდა ქვეყანაში, სადაც

გაცემულია პატენტი;

- აკრძალულ ქმედებას კავშირი უნდა ჰქონდეს პროდუქტთან ან ხერხთან, რომლებიც ხვდება გამოგონების ფორმულით დაცულ ფარგლებში.

(i) აკრძალული ქმედებები

7.102. დარღვევის ფაქტის დადგენის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია აკრძალულ ქმედებათა ჩადენის ფაქტის დადგენა. ასეთი ქმედებები ჩამოთვლილია საპატენტო კანონში. აკრძალული ქმედება - ისეთი ქმედებაა, რომელიც დაკავშირებულია დაპატენტებული პროდუქტის დამზადებასთან, გამოყენებასთან, გაყიდვასთან ან იმპორტთან, ან დაპატენტებული ხერხის გამოყენებასთან ან უშუალოდ დაპატენტებული ხერხით მიღებული პროდუქტის დამზადებასთან, გამოყენებასთან, გაყიდვასთან ან იმპორტთან.

7.103. პროდუქტის დამზადება ნიშნავს, რომ ხდება პატენტში აღწერილი და შედეგად დაცული პროდუქტის მიღება რეალურად. ასეთი დამზადება მოიხსენიება, აგრეთვე, როგორც წარმოება, განსაკუთრებით მაშინ, თუ პროდუქტის წარმოება ხდება კომერციული მასშტაბით. წარმოების ხერხსა და წარმოებული პროდუქტის რაოდენობაზე აქ ლაპარაკი არ არის, რამდენადაც საქმე ეხება წარმოების დაპატენტებულ ხერხზე უფლებების დარღვევას. მაგრამ კანონთა უმრავლესობაში არის დაპატენტებული პროდუქტის დამზადებაზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის წესიდან სამი გამონაკლისი, სახელდობრ, როდესაც:

- დაპატენტებული პროდუქტი მზადდება მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების მიზნით;
- მესამე პირმა დაიწყო პროდუქტის დამზადება იმ გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღამდე, რომლის განხორციელებაც მოხდა პროდუქტის დამზადებისას;
- დაპატენტებული პროდუქტი მზადდება იძულებითი ლიცენზიით, ან მთავრობის ნებართვით საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

7.104. დაპატენტებული ხერხის შემთხვევაში მხოლოდ პროდუქტის დაპატენტებული ხერხით პირდაპირი დამზადება ითვლება აკრძალულ

ქმედებად. მოცემულ კონტექსტში “პირდაპირი” ნიშნავს “უშუალოს”, ან “შემდგომი გადამუშავებისა და მოდიფიკაციის გარეშე”.

7.105. იმ პროდუქტის მიმართ, რომელიც უშუალოდ არის მიღებული დაპატენტებული ხერხით, დარღვევის ფაქტის დადგენის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ პროდუქტის დასამზადებლად გამოყენებული იყო დაპატენტებული ხერხი. ზოგი საპატენტო კანონი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ნაწილობრივ წყვეტენ ამ საკითხს. ასეთი კანონები ითვალისწინებს პატენტების მიმართ მტკიცების ტვირთის მოხსნას შემდეგი პრეზუმფციის საფუძველზე: თუ უშუალოდ დაპატენტებული ხერხის გამოყენების შედეგად მიღებული პროდუქტი ახალი იყო გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღისათვის ან პრიორიტეტის თარიღისათვის, ითვლება, რომ მესამე პირის მიერ დამზადებული მსგავსი პროდუქტი მიღებულია იმავე ხერხით. სხვა კანონები უფრო შორს მიდიან და იცილებენ ამ სირთულეს იმით, რომ მიღებულ პროდუქტს არ ზღუდავენ სიახლის აუცილებლობის მოთხოვნით.

7.106. დაპატენტებული პროდუქტის გამოყენება არ მოითხოვს, რომ გამოყენება იყოს განმეორებადი ან უწყვეტი. ამოსავალი წერტილი არის ის, რომ გამოყენება არის აკრძალული ქმედება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის დაპატენტებული პროდუქტის გამომყენებელი ან რა მიზნით გამოიყენება ეს პროდუქტი. დაპატენტებული პროდუქტის გამოყენება აკრძალული ქმედებაა, აგრეთვე, იმის მიუხედავად, ფაქტობრივად გამოყენებული პროდუქტი დამზადებულია პატენტმფლობელის მიერ თუ სხვა პირის მიერ ამ მფლობელის ნებართვით ან ასეთი ნებართვის გარეშე.

7.107. კანონთა უმრავლესობაში არსებობს ხუთი გამონაკლისი, რომელთა დროსაც ადგილი არა აქვს განსაკუთრებული უფლებების დარღვევას დაპატენტებული პროდუქტის გამოყენებაზე, სახელდობრ, როდესაც:

- დაპატენტებული პროდუქტი გამოიყენება მარტოოდენ მეცნიერული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების მიზნით;
- გამოსაყენებელი დაპატენტებული პროდუქტი მოცემული ქვეყნის ბაზარზე წარდგენილი იყო გამოგონებაზე პატენტის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით;
- დაპატენტებული პროდუქტის გამოყენება ხდება სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ტრანზიტით გაივლიან ქვეყანას;

- დაპატენტებული პროდუქტი გამოიყენება მესამე პირთა მიერ, რომლებსაც აქვთ სპეციალური უფლება პროდუქტის დამზადების გაგრძელებაზე; და
- დაპატენტებული პროდუქტი გამოიყენება იძულებითი ლიცენზიით ან მთავრობის ნებართვით საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

7.108. დაპატენტებული პროდუქტის გაყიდვა აკრძალული ქმედებაა იმისდა მიუხედავად, გასაყიდი პროდუქტი დამზადებულია ფაქტობრივად პატენტმფლობელის მიერ, მისი ნებართვით თუ ნებართვის გარეშე. ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც შეესაბამება გამოგონების აღწერილობასა და ფორმულას, თუნდაც დამზადებული იყოს მფლობელის ნებართვის გარეშე, დაპატენტებულ პროდუქტად მიიჩნევა.

7.109. პროდუქტის იმპორტი ნიშნავს, რომ ნაკეთობა, რომელიც წარმოადგენს დაპატენტებულ პროდუქტს, ან შეიცავს მას, შემოიზიდება იმ ქვეყანაში, რომელშიც მინიჭებული აქვს დაცვა. ამგვარად, იმპორტი არის ფიზიკური ქმედება - პროდუქტის ტრანსპორტირება საზღვრის გავლით ქვეყნის ტერიტორიაზე. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ქვეყნიდან ხორციელდება იმპორტი, ხორციელდება იგი გამოყენების, გაყიდვის თუ უსასყიდლო გავრცელების მიზნით. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმისაც, სარგებლობს თუ არა იმპორტირებული პროდუქტი საპატენტო დაცვით მწარმოებელ ქვეყანაში, ან ქვეყანაში, საიდანაც ხდება იმპორტი.

7.110. დაცვის პრინციპები, რომლებსაც იყენებენ დაპატენტებული პროდუქტის გამოყენების, გაყიდვისა და იმპორტისათვის, შესაბამისი მოდიფიცირების შემდეგ შეიძლება გამოიყენონ უშუალოდ დაპატენტებული ხერხით დამზადებული პროდუქტის გამოყენების, გაყიდვისა და იმპორტისათვის.

(ii) განაცხადის გამოქვეყნების ან პატენტის გაცემის შემდეგ

7.111. მეორე ელემენტი საპატენტო უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენისას, სახელდობრ ის, რომ აკრძალულ ქმედებას ადგილი უნდა ჰქონოდა პატენტის განაცხადში ან გაცემულ პატენტში გამოგონების გამოქვეყნების შემდეგ, მოითხოვს მცირეოდენ განმარტებას. უსამართლო იქნებოდა მესამე პირთა დადანაშაულება დარღვევაში, როდესაც გამოგონების წვრილმანები ხელმისაწვდომი არ არის საზოგადოების ფართო წრისათვის,

რის გამოც ძნელია იმის გაგება, თუ რისი გაკეთება არ შეიძლებოდა სინამდვილეში.

(iii) ქვეყანაში, სადაც გაცემულია პატენტი

7.112. მესამე ელემენტი საპატენტო უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენისას ასევე მოითხოვს მცირე ახსნა-განმარტებას. საერთოდ, პატენტის მოქმედება არ სცილდება იმ ქვეყნის ფარგლებს, რომელმაც გასცა პატენტი. ქვეყნის საპატენტო კანონს ძალა არა აქვს არც ერთ სხვა ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, ქვეყანათა უმნიშვნელო რაოდენობა, კერძოდ, ბრიტანულ ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს პატენტის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ამ ქვეყნებზე გაერთიანებული სამეფოს პატენტის მფლობელის მიერ ამა თუ იმ ქვეყანაში ასეთი პატენტის რეგისტრაციის შესახებ შუამდგომლობის შეტანის გზით, როგორც წესი, პატენტის გაცემის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.

(iv) გამოგონების ფორმულის მოცულობის ფარგლებში

7.113. მეოთხე ელემენტი საპატენტო უფლებების დარღვევის დადგენისას - ეს არის ის, რომელსაც ჩვეულებრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საპატენტო უფლებების დარღვევის შესახებ ნებისმიერ სასამართლო პროცესში. საპატენტო დაცვის ფარგლები ყველა ქვეყანაში განისაზღვრება გამოგონების ფორმულის შინაარსით. ფორმულის შინაარსს ინტერპრეტაციას აძლევს სასამართლო, ხოლო ის, თუ როგორ ინტერპრეტაციას მისცემს სასამართლო, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეროვნულ კანონზე და, გარკვეულ წილად, წესებსა და ინსტრუქციებზე. მაშასადამე, გამოგონების ფორმულის არსი დამოკიდებული იქნება საიურისდიქციო ორგანოს მიერ მიცემულ ინტერპრეტაციაზე.

7.114. სასამართლოები, განსაკუთრებით საერთო სამართლის სისტემაში, ცდილობენ განსაზღვრონ, თუ როგორ სტრუქტურას აღწერს გამოგონების ფორმულა და ნამდვილად შეესაბამება თუ არა სასამართლოს დავის საგნად წარმოდგენილი სტრუქტურა გამოგონების ფორმულაში აღწერილს.

7.115. კითხვაზე - წარმოადგენს თუ არა მოცემული სტრუქტურა საპატენტო უფლებების დარღვევას, რომლებიც გამომდინარეობენ გამოგონების

ფორმულის კონკრეტული პუნქტიდან - პასუხის გაცემისას გამოგონების ფორმულის პუნქტი უნდა დაიყოს ცალკეულ ელემენტებად და შემდეგ შედარდეს სავარაუდო უკანონო სტრუქტურის ელემენტებს, რათა გამოჩნდეს, არის თუ არა დამთხვევა. თუ გამოგონების ფორმულის პუნქტი ისეა შედგენილი, რომ იგი ფორმულირების გაწელვის გარეშე შეესაბამება სავარაუდო უკანონო სტრუქტურას, მაშინ აქ მართლა შეიძლება ჰქონდეს ადგილი დარღვევას. თუ, მეორე მხრივ, გამოგონების ფორმულის პუნქტი შეიცავს შეზღუდვას ისეთი სახით, როგორიც საერთოდ არ არის მოცემული სავარაუდო უკანონო სტრუქტურაში, მაშინ დარღვევა შეიძლება სულაც არ იყოს.

7.116. ფორმულის ცალკეული ნიშნებისა და სავარაუდო უკანონო სტრუქტურის შესაბამისი ნიშნების შედარების პროცესში საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

(1) არის თუ არა ფორმულის ყველა ნიშანი მოცემული სავარაუდო უკანონო სტრუქტურაში?

(2) აქვს თუ არა ყველა ნიშანს ერთნაირი სახე?

(3) ასრულებს თუ არა ყველა ნიშანი ერთნაირ ფუნქციას?

(4) აქვთ თუ არა ნიშნებს ერთნაირი კავშირი სხვა ნიშნებთან?

7.117. თუ ყველა კითხვაზე პასუხი დადებითია, შეიძლება ვთქვათ, რომ საპატენტო უფლებების დარღვევას ადგილი აქვს; რასაკვირველია, იმის მიხედვით, აქვს თუ არა იურიდიული ძალა გამოგონების ფორმულას. მაშასადამე, საპატენტო უფლებების დარღვევის ფაქტის არსებობის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: უკანონო პროდუქტი, ან ხერხი შეიცავს გამოგონების ფორმულაში დაფიქსირებულ ყველა არსებით ნიშანს,

7.118. ცხადია, საპატენტო უფლებების დარღვევა ყოველთვის არ არის მკაფიოდ დადგენილი. მაგალითად, ფორმის შეცვლა არ მოხსნის დარღვევას, თუ ამას არ მივყავართ მიღებული შედეგის შეცვლამდე. პროცესის სტადიათა რიგის შეცვლა, აგრეთვე, არ ხსნის დარღვევას, თუ შედეგი იგივე რჩება. უფრო მეტიც, დარღვევაში ეჭვმიტანილ ობიექტში დამატებითი ნიშნების არსებობა არ მოხსნის დარღვევას, თუ დაპატენტებული გამოგონების ფორმულის ყველა ნიშანი სახეზეა.

7.119. დაპატენტებული გამოგონების ფორმულის ინტერპრეტაციის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ სფეროს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, ჰქონდა თუ არა

ადგილი ეკვივალენტური ნიშნების შენაცვლებას საპატენტო უფლებების დარღვევაში ეჭვმიტანილ ობიექტში. ეს ე. წ. "ეკვივალენტების დოქტრინაა", რომელიც კარგადაა ცნობილი მრავალი ქვეყნის სასამართლო განხილვის პრაქტიკაში. მოკლედ რომ ვთქვათ, დოქტრინა მიუთითებს, რომ დამრღვევს თავის ქმედებათა გაგრძელების ნება არ უნდა მიეცეს, თუ იგი ძირითადად იყენებს დაპატენტებულ გამოგონებას და, ამასთან, გამოგონების ნიშანს ცვლის ვარიანტით, რომელიც ტექნიკურად და ფუნქციურად გამოგონების ფორმულაში ასახული ნიშნის ეკვივალენტურია, იმის მიუხედავად, მივყავართ თუ არა დამრღვევის მიერ გამოყენებულ ვარიანტს გამოგონების სრულყოფამდე ან გაუარესებამდე. ეკვივალენტურობა შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, როდესაც დამრღვევის მიერ გამოყენებული ვარიანტი (ან ვარიანტები) ფუნქციონირებს არსებითად ისევე და არის არსებითად იმავე შედეგის მომცემი, როგორც ნიშანი ან ნიშნები, რომლებსაც შეიცავს გამოგონების ფორმულის ერთი, ან რამდენიმე მუხლი.

(e) სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც გააჩნია პატენტმფლობელს

7.120. სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც გააჩნია პატენტმფლობელს, ჩვეულებრივ გათვალისწინებულია ეროვნულ საპატენტო კანონში და, როგორც წესი, არსებობს ორი ფორმით, სახელდობრ, სამოქალაქო სამართლებრივ სანქციათა ფორმით და სისხლის სამართლის სანქციათა ფორმით. ეს საშუალებები უზრუნველყოფს პატენტმფლობელის განსაკუთრებული უფლებების პატივისცემას და დაცვას.

7.121. საზოგადოდ, სამოქალაქო - სამართლებრივი სანქციები გამოიყენება საპატენტო უფლებების დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ, როცა სისხლის სამართლის სანქციები - მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა დროს, სახელდობრ, დარღვევის წინასწარგანზრახულობის შემთხვევაში.

7.122. ჩვეულებრივ, სისხლის სამართლებრივი სანქციები შეიცავს ზარალის ანაზღაურების დაკისრებას, სასამართლო აკრძალვას ან სასამართლო დაცვის ნებისმიერ სხვა საშუალებას, რაც გათვალისწინებულია ზოგად კანონში, როგორიცაა საპატენტო უფლებების დარღვევით დამზადებული პროდუქტების, ან ამ პროდუქტების დასამზადებლად გამოყენებული საშუალებების კონფისკაცია და განადგურება.

7.123. თუ პატენტმფლობელი სასამართლოში დაამტკიცებს, რომ დარღვევა მოხდა ან ხდება, მას აქვს ზიანის ფულადი ანაზღაურების მიღების უფლება თანხის იმ რაოდენობით, რომელსაც დაადგენს სასამართლო. ზიანის ანაზღაურების განაჩენის გამოტანა ხდება მხოლოდ იმ დარღვევებზე, რომლებიც მოხდა საპატენტო უწყების მიერ გამოგონებაზე იმ განაცხადის ან გაცემული პატენტის გამოქვეყნების თარიღის შემდეგ, რომელშიც გახსნილია გამოგონება. ზიანის სიდიდე განისაზღვრება ორი სხვადასხვა გზით. ერთის მიხედვით, ზიანის დადგენა ხდება იმ ფინანსური დანაკარგის გათვალისწინებით, რაც განიცადა პატენტმფლობელმა საპატენტო უფლებების დარღვევის შედეგად. მეორის შესაბამისად კი - ზიანის გამოანგარიშება უნდა ემყარებოდეს მოგების სიდიდეს. ეს არ ნიშნავს, რომ პატენტმფლობელი აუცილებლად მიიღებს იმ მოგების მთელ თანხას, რაც მიიღო საპატენტო უფლების დამრღვევმა უკანონო ნაკეთობებით, მაგრამ ასანაზღაურებელი თანხის სიდიდე შეიძლება ძალიან ახლოს იყოს ფაქტობრივი მოგების სიდიდესთან. ზიანის შეფასება შეიძლება, აგრეთვე, თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველი ლიცენზიატის როიალტის სიდიდეს. ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ უნდა იყოს ნაკლები ერთი ნაკეთობისათვის დადგენილი როიალტის სიდიდეზე და, რამდენადაც ადგილი აქვს ზიანის ანაზღაურებას, და არა როიალტის გადახდას, დანარიცხი შესაძლებელია დაფიქსირდეს უფრო მაღალ დონეზე.

7.124. ზოგი ეროვნული კანონის თანახმად საპატენტო უფლების დამრღვევი თავისუფლდება ზარალის ანაზღაურებისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ დარღვევის თარიღისათვის მან არ იცოდა და არც ჰქონდა საფუძველი იმისა, რომ ევარაუდა პატენტის არსებობა.

7.125. სასამართლო აკრძალვა წარმოადგენს საპატენტო უფლებების დამრღვევ ქმედებათა აკრძალვას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სასამართლო ბრძანება, რომლის თანახმად საპატენტო უფლებების დამრღვევმა უნდა შეწყვიტოს დაპატენტებული გამოგონების ასლების შემდგომი დამზადება ან სხვა უფლებადამრღვევი ქმედებანი. თუ უფლებადამრღვევი ქმედება ჯერ არ ჩადენილა, მაგრამ მესამე მხარემ განახორციელა მომზადება უფლებადამრღვევ ქმედებათა ჩადენის განზრახვით ("მოსალოდნელი დარღვევა"), სასამართლო აკრძალვა იმას ნიშნავს, რომ

საპატენტო უფლებების დარღვევა არ უნდა დაიწყოს.

7.126. სისხლის სამართლის სანქციები დამოკიდებულია სისხლის სამართლის სტრუქტურასა და პროცესუალურ ნორმებზე, რომლებსაც იყენებენ ქვეყანაში. სისხლის სამართლის სანქციის ჩვეულებრივი ფორმებია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ან ჯარიმა, ან ერთიცა და მეორეც.

<u>ლიტერატურა</u>

P. Smith, <u>Introduction to Patent Law and Practice: The Basic Consepts,</u> WIPO Pub. № 672(E) (1989)

F. დაპატენტებული გამოგონების გამოყენება

(a) ბაზრის შესწავლა გამოგონებისათვის

7.127. ახალი იდეებისა და ინოვაციების გასაღება საჭიროა ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პროდუქტის ან საკუთრებისა. რაც უფრო დიდი და პოტენციურად უფრო წამახალისებელია ბაზარი გამოგონების ავტორის "სამრეწველო საკუთრებისთვის", მით უფრო ენერგიული და პროფესიული უნდა იყოს მისი ძალისხმევა გასაღებისათვის. დიდმა კომპანიებმა და მცირე საწარმოებმა კარგად იციან, რომ ახალი საქონლის ბაზარი წარმოადგენს გასაღებს მათი განუწყვეტელი ზრდისა და გადარჩენისათვისაც კი. მრავალი კომპანიის წარმოებულ მიმდინარე გაყიდვათა მოცულობის ნახევარზე მეტს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მათ მიერ შემუშავებული პროდუქცია შეადგენს. ახალი პროდუქტები და პროდუქტის ნაირსახეობანი აუცილებელია საქონელბრუნვის განუწყვეტელი ზრდისათვის.

7.128. მსხვილი კორპორაცია გულდასმით და ობიექტურად შეისწავლის პოტენციურ ბაზარს ახალი პროდუქტისათვის და შეუძლია მილიონობით დოლარის დახარჯვა პროდუქციის წარმოების დაგეგმვის, გამოცდის, ბაზრის გამოკვლევისა და რეკლამირებისთვის. მცირე კომპანიას შეუძლია გამოიყენოს იგივე მეთოდები საკუთარი საქმიანობის მასშტაბებით. დამოუკიდებელი მეწარმე უნდა მიუდგეს პრობლემას ისეთივე გულმოდგინებით, მოთმინებით და ემოციური მიუკერძოებლობით, რაც მსხვილი კორპორაციებისთვისაა დამახასიათებელი. დამოუკიდებელი გამომგონებლები და ნოვატორები უნდა მოიქცნენ ანალოგიურად.

7.129. მაშინ, როცა მსხვილი კომპანიები, ჩვეულებრივ, ცდილობენ განსაზღვრონ, თუ რა მოთხოვნები აქვს საზოგადოებას, ხოლო შემდეგ დაამუშავებენ პროდუქციას, რომელიც შეეფერება წაყენებულ მოთხოვნებს. დამოუკიდებელი გამომგონებელი უფრო ხშირად გამოიგონებს პროდუქტს და შემდეგ უკვე ცდილობს მის გასაღებას. ის, შესაძლოა, სიყვარულით მუშაობდა თავის იდეაზე მრავალი წლის მანძილზე, ალბათ, გაიარა პატენტის მიღების შრომატევადი და ხანგრძლივი პროცედურა და აქვს მისი გამოსადეგობის და საბაზრო ღირებულების ურყევი რწმენა. ეს ემოციური კავშირი გამოგონების ავტორსა და მის პროდუქტს შორის შეიძლება ადვილად გადაიქცეს დაბრკოლებად პროდუქტის რაციონალური და ეფექტური გასაღებისათვის. ობიექტურობა არის ერთ-ერთი ძირითადი თვისება, რომელიც მან უნდა შეინარჩუნოს. ამის გარეშე იგი შეიძლება აჰყვეს ცდუნებას და ჯეროვანი შეფასებისა და წინასწარი გამოკვლევის გარეშე შეიჭრას უცნობ გარემოში.

(b) გამოგონების განხორციელებადობა

7.130. გამოგონების ავტორმა თავისი პროდუქტის განხორციელებადობის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი მომენტები:

- აკმაყოფილებს თუ არა პროდუქტი მოთხოვნას? ან თუ შეიძლება მოთხოვნის სტიმულირება გონივრული სარეკლამო პროპაგანდისტული საქმიანობით? Frisbee-ს (ხელით გასაშვები მფრინავი დისკის) საჭიროება არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, მან საზოგადოების ყურადღება მიიპყრო;
- დროულია თუ არა პროდუქტი? ბევრი პროდუქტის გასაღება წარუმატებელია ბაზარზე მათი ძალიან ადრე ან ძალიან გვიან მოხვედრის გამო;
- როგორი კონკურენცია ექნება პროდუქტს? თუ ის კონკურენციას გაუწევს მსგავს პროდუქტს, რომელიც უკვე არის ბაზარზე, ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი ბევრად უკეთესია, იაფია ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფრო მიმზიდველია?
- როგორია წარმოების ეკონომიკა? როგორია პროდუქტის შემუშავების პროცესისათვის დამახასიათებელი პრობლემები? შეიძლება თუ არა ისეთი თვითღირებულების მქონე პროდუქტის დამზადება, რომელიც საკმარისად

დაიფარება მისი საცალო ფასით? რამდენად იქნება დაინტერესებული დაფინანსების წყარო მის ხელშეწყობაში?

7.131. ნებისმიერ დიდ ბაზარზე, მისი ზომისა და დინამიზმის გამო, პროდუქტებს, რომლებსაც აქვთ დიდი გასავალი, შეუძლიათ შექმნან სიმდიდრე, ხოლო გასაღებაში წარუმატებელი პროდუქტი შეიძლება აღმოჩნდეს წარმოუდგენლად ძვირადღირებული. ამ ვითარების გასარკვევად საკმარისია მოვიტანოთ რამდენიმე კლასიკური შემთხვევა აშშ-ს საავტომობილო მრეწველობის ისტორიიდან. სამწუხაროდ, ბევრი დამოუკიდებელი გამომგონებლის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი არის რწმენა, რომ მის გამოგონებახე დიდი მოთხოვნილება იქნება.

7.132. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი პროდუქტის წარუმატებლობის რისკი საკმაოდ დიდია, გასაგები ხდება, რომ მეწარმე უგულოდ დახარჯავს დიდ თანხას გამოგონებაზე, თუ ნაკლებად შესაძლებელია, რომ როდესაც პროდუქტი ბოლოს და ბოლოს მიაღწევს ბაზარს, მისი გასაყიდი ფასი გადააჭარბებს გონიერების ფარგლებში მოსალოდნელ წარმოების დანახარჯებს.

7.133. თუ გამოგონება ძალიან შეზღუდულ ბაზარს აკმაყოფილებს, თუ კარგად დამკვიდრებულ ალტერნატულ პროდუქტებს ადევს კონკურენტუნარიანი ფასი ან თუ მოსალოდნელია პროდუქციის გასაღებისა და მიმოქცევის დიდი დანახარჯები, ნაკლებად შესაძლებელია, რომ გამოგონება დიდი ენთუზიაზმით მიიღონ მეწარმეებმა. ანალოგიურად, გამოგონებას განსაკუთრებით კარგად არც მაშინ მიიღებენ, თუ ის უმნიშვნელოდ წინგადადგმული ნაბიჯია თანამედროვე ტექნიკის დონესთან შედარებით სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ფონზე.

7.134. გამოგონების ავტორს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერ ბაზარზე ითვალისწინებენ არა ორიგინალობას, რომელიც ასახულია გამოგონებაში, არა მის ტექნიკურ ღირსებებს ან პროდუქტის ესთეტიკურ თვისებებს, არამედ მასთან დაკავშირებული ეკონომიკური შედეგების ხელსაყრელობას.

7.135. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ პროდუქტს გააჩნია სასიცოცხლო ციკლი. მისი რეალიზაცია აღწევს რენტაბელობის მწვერვალს და, ადრე თუ გვიან, იწყებს დაცემას. პროდუქციისა და სასაქონლო ნიშნისადმი მომხმარებლის ერთგულებას შეუძლია ზოგიერთი საქონელი მრავალი წლის მანძილზე

გააჩეროს ბაზარზე. სხვა საქონელი, ისეთი, როგორიცაა ნაკეთობა, რომელიც გამოირჩევა სიახლით და ორიგინალობით, სწრაფად აღწევს მწვერვალს და რამდენიმე წლის შემდეგ მთლად ეძლევა მივიწყებას. ამის კარგი მაგალითია სათამაშოები, და ამჟამადაც მათ უმრავლესობას გააჩნია სწრაფი საქონელბრუნვა. ამბობენ, რომ ორმოც პროცენტამდე საქონელი, რომელიც ნებისმიერ დროს არის სათამაშოების მაღაზიაში, ხმარებაში შემოდიოდა წინა წლის განმავლობაში.

7.136. განსაკუთრებით სწრაფად კლებულობს სამომხმარებლო საქონლის სასიცოცხლო ციკლი. ხდება საქონლის გამუდმებული განდევნა ახლით ან გადაყვანა დაბალი მოგების მომტან სტადიაში იმ კონკურენტების გავლენით, რომლებსაც გააჩნია ანალოგიური პროდუქცია.

7.137. ზემონათქვამიდან აშკარა უნდა იყოს, რომ მარკეტინგის განხორციელებისას ერთ-ერთი არსებითი ელემენტია პროდუქტის სწორი შეფასება.

(c) გამოგონების გაჟიღვა

7.138. მაგრამ საკმარისი არ არის თვითონ პროდუქტის შეფასება; გამოგონების ავტორმა უნდა განსაზღვროს, აგრეთვე, არსებობს თუ არა შესაბამისი ბაზარი პროდუქტისათვის, რომელშიც განხორციელებულია გამოგონება. მან უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები.

7.139. ვინ იქნება პროდუქტის მყიდველი? პროდუქტის ძირითად მომხმარებელზე არსებით გავლენას ახდენს ის, თუ როგორ არის პროდუქტი შეფუთული, წარმოდგენილი და რეკლამირებული და, აგრეთვე, ის, თუ როგორია მისი ფასი. პოტენციური ბაზარი - ეს ის საკითხია, რომელიც გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი, რადგან პროდუქციის ბევრი შემქმნელი ძალიან სწრაფად მიდის იმ დასკვნამდე (ხშირად არასწორ დასკვნამდეც), თუ ვინ იყიდის მის პროდუქტს და როგორ იქნება იგი გამოყენებული.

7.140. რამდენი ადამიანი შეადგენს პოტენციურ ბაზარს? ამ ციფრის განსაზღვრა ძნელია, მაგრამ იგი ბაზარზე პროდუქტის სიცოცხლის-უნარიანობის ერთ-ერთი გასაღებია. შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები ადგილობრივი მოსახლეობისა და პოტენციური საბაზრო სეგმენტების შესახებ და, აგრეთვე, კერძო ფირმების მიერ მომზადებული მიმოხილვები წარმოადგენენ საფუძველს ასაკობრივი ჯგუფების, ოჯახური მდგომარეობის და სხვ. მიხედვით

სავარაუდო სავაჭრო ადგილების შესასწავლად.

7.141. კარგად მოფიქრებული იდეით აღფრთოვანებული გამოგონების ავტორი, ხშირად ჩქარობს ბაზრის მოძებნას მანამ, სანამ გამოგონება ქაღალდზე არსებული იდეიდან თუ სერიულ ნაკეთობად არა, საცდელ ნიმუშად მაინც იქცევა. ცხადია, რომ რაც უფრო ნაკლები დროა გასული იდეის გაჩენიდან, მით უფრო შეზღუდული იქნება მოთხოვნები ამ გამოგონებაზე. მეწარმე, რომელიც თავის საქმიანობაში განიცდის წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი ახალი იდეის "შემოსევას", ალბათ, ნაკლებად მოისურვებს დიდი თანხის გადახდას ქაღალდზე არსებულ იდეაში, ვიდრე კომპენსაციის გადახდას გამოგონების ავტორისათვის, რომლის პროდუქტი წარმატებით დამზადებისა და გასაღების სტადიამდეა მიყვანილი, როდესაც გადაწყვეტილია მრავალი, თუ ყველა არა, საკონსტრუქტორო და საწარმოო პრობლემა.

7.142. მაგრამ ტექნიკის ცალკეულ, ყველაზე რთულ სფეროებში კვლევითი ორგანიზაციები, მულტინაციონალური კორპორაციები და მსგავსი საწარმოები ავლენენ მზარდ ინტერესს ჩანასახში მყოფი ან ნაწილობრივ დამუშავებული ტექნოლოგიების მიმართ დამუშავების ბოლომდე მიყვანის მიზნით, რათა მიიღონ მოგება კვლევითი საქმიანობიდან და მნიშვნელოვნად გაუსწრონ კონკურენტებს.

7.143. "საცდელი რეალიზაცია" წარმოადგენს ეტაპს, რომელსაც გაივლის მრავალი მსხვილი კომპანია მანამ, სანამ დაიწყებდეს სრულმასშტაბიან წარმოებას. მათ შეაქვთ შეზღუდული რაოდენობის პროდუქტი იმ საბაზრო სეგმენტებში, რომლებიც განიხილება როგორც მათი პოტენციური გასაღების ტიპური სეგმენტი. მცირე მეწარმემ ასევე უნდა გამოიყენოს ეს მეთოდიკა მანამ, სანამ ის დახარჯავს ბევრ დროს და ფულს ბაზარზე იმ პროდუქტის გამოტანით, რომელიც საბოლოო ანგარიშით შეიძლება არც გაიყიდოს.

7.144. პროდუქტის სახეობის მიხედვით შეიძლება დამზადდეს პროტოტიპი ანუ საცდელი ნიმუში, რომელიც საშუალებას აძლევს ცალკეულ გამომგონებელს, აჩვენოს შესაძლო მყიდველებსა და მომხმარებლებს იმ პროდუქტის შესაძლებლობები და განმასხვავებელი ნიშნები, რომელშიც განხორციელებულია გამოგონება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია მათი შეცვლა ადეკვატური დაწვრილებითი ტექნიკური ნახაზებით.

7.145. მომხმარებელთა მიერ პროდუქტების შესაძლო აღიარებისა და გაყიდვის საიმედო მაჩვენებლების მიღება შეიძლება საცალო მოვაჭრეთათვის ნიმუშების

წარდგენით მათ შესასწავლად და შესაფასებლად. თუ მსგავსი შესწავლის შედეგი გამოგონების ავტორს აღუძრავს ენთუზიაზმს, იგი მზადაა გადადგას შემდეგი ნაბიჯი და განიხილოს სრულმასშტაბიანი წარმოების საკითხი საკუთარი ძალების ხარჯზე ან სხვა პირის ჩართვით.

7.146. ძირითადად, არსებობს ორი ხერხი, რომლებითაც შეიძლება ისარგებლოს გამოგონების ავტორმა თავისი იდეის წარმოებაში განსახორციელებლად. მას შეუძლია გაყიდოს, ან ლიცენზიით გადასცეს თავისი პროდუქტის იდეა კომპანიას, რომელსაც გააჩნია მოწყობილობა მის დასამზადებლად. გარდა ამისა, იგი შეიძლება თვითონ იქცეს დამამზადებელად საწარმოს დაარსებით ან სხვა საწარმოსათვის სამუშაოების დაკვეთით.

7.147. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საწარმოო კომპანია გამუდმებით ეძებს ახალ პროდუქტებს არსებული საწარმოო ხაზების დატვირთვისათვის და დამოკიდებულია მათზე მომავალი მოგების თვალსაზრისით, გამოგონების დამოუკიდებელ ავტორს ყოველთვის კეთილგანწყობით არ ხვდებიან. იმ პირთან შეხვედრა, რომელსაც შეთავაზებული პროდუქტის მოწონებისა და მიღებისათვის საჭირო ცოდნა და უფლებამოსილება გააჩნია, ხშირად ბევრ დროსა და ჯეროვან ტაქტს მოითხოვს.

7.148. მიზეზს, თუ რატომ იღებს ზოგიერთი კომპანია გულგრილად ახალი პროდუქციის იდეას, მრავალი ასპექტი გააჩნია. ხშირად კომპანიები განიცდიან მათი მოთხოვნის გარეშე შეთავაზებული ისეთი წინადადებების მოზღვავებას, რომელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იმსახურებს სერიოზულ განხილვას. ხშირად უფრო მსხვილ კორპორაციებს გააჩნიათ კვლევითი განყოფილებები, რომლებშიც მნიშვნელოვანი თანხებია დაბანდებული. ბუნებრივია, რომ ხელმძღვანელობა დაინტერესებულია, წაახალისოს ის სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება კორპორაციის კედლებში. ზოგი კომპანია უფრთხის გამოგონებათა ავტორებს, რომლებსაც შეუძლიათ განაცხადონ, რომ კომპანიამ მოჰპარა მათ იდეა, თუმცა, სინამდვილეში, კომპანია უკვე ამუშავებს იმავე იდეას.

7.149. უფრო მსხვილი კორპორაციები ხშირად აქვეყნებენ ინფორმაციას თავისი პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც ეხება ახალ პროდუქციაზე გარე წყაროებიდან მომდინარე იდეებს. ზოგ მათგანს გააჩნია

“წარდგენილი იდეების განყოფილებები”. ბევრი კომპანია ამჯობინებდა, რომ გამოგონების ავტორმა მიაწოდოს მას ახალი იდეა თავისი პატენტის ასლის სახით. გარდა ამისა, გამოგონების ავტორს შეუძლია წარმოადგინოს გამოგონებაზე თავისი განაცხადის ასლი, ამ განაცხადის შეტანისთანავე.

7.150. არაპატენტუნარიანი იდეის მიწოდებამდე ავტორმა კარგად უნდა გააცნობიეროს კომპანიის პოლიტიკა შეთავაზებული იდეების მიმართ, რომლებზეც მოთხოვნა არ ყოფილა. ზოგ კომპანიას გათვალისწინებული აქვს მისთვის მისაღები იდეებისათვის სხვადასხვა საფასური გადახდა.

7.151. თუ დაპატენტებული იდეა მიღებული იქნება, გამოგონების ავტორს შეუძლია გააკეთოს არჩევანი - მაშინვე გაყიდოს პატენტი ერთჯერადი მთლიანი ანაზღაურებით, თუ - დადოს სალიცენზიო შეთანხმება კომპანიასთან.

ლიტერატურა

P. Smith, Introduction to Patent Law and Practice: The Basic Consepts, WIPO Pub. № 672(E) (1989)

G. იძულებითი ლიცენზიები

7.152. ლიცენზია, რომელსაც გასცემს პატენტის მფლობელი, ითვლება “ნებაყოფლობით” ლიცენზიად განსხვავებით “იძულებითი” ანუ“ არანებაყოფ-ლობითი” ლიცენზიისაგან. ნებაყოფლობითი ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს განახორციელოს ქმედებანი, რომლებიც განსაზღვრულია გამოგონებაზე პატენტმფლობელის მიერ გაცემული ნებართვიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებით. ხელშეკრულებას ნებართვის გაცემაზე, ჩვეულებრივ, უწოდებენ სალიცენზიო ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამოგონებაზე პატენტმფლობელსა და ლიცენზიის მფლობელს შორის. ხოლო, პირიქით, არანებაყოფლობითი (იძულებითი) ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, განახორციელოს ქმედებანი, რომლებიც განსაზღვრულია ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებებით გამოგონებაზე პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე.

7.153. იმ ქვეყნებში, რომლებშიც გათვალისწინებულია არანებაყოფლობითი ლიცენზიების გაცემა, ასეთი ლიცენზიები, როგორც წესი, იყოფა ორ

კატეგორიად:

პატენტზე უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ზოგი ქვეყანა ითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიების გაცემას ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება წარმოიშვას პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებების გამოყენების შედეგად. პარიზის კონვენციის 5A(2) მუხლის თანახმად გამოგონების გამოუყენებლობა წარმოადგენს ბოროტად გამოყენების ასეთ მაგალითს.

საზოგადოებრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, რიგი ქვეყანებისა ითვალისწინებს არანებაყოფლობითი ლიცენზიების გაცემას, თუ იგი საჭიროა საზოგადოების კეთილდღეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის, უშიშროებისა და ეკონომიკის განვითარების ჩათვლით.

(a) არანებაყოფლობითი ლიცენზიების გაცემა პატენტზე უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად

7.154. პარიზის კონვენციის 5A (2) მუხლი პარიზის კავშირის ქვეყნებს აძლევს უფლებას საკანონმდებლო წესით აღკვეთონ პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებების ბოროტად გამოყენების პირობების წარმოშობა. მაგალითად, გამოგონების გამოუყენებლობა, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-(2) პუნქტში:

(2). "კავშირის ყოველ ქვეყანას უფლება აქვს, მიიღოს საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ითვალისწინებენ იძულებითი ლიცენზიების გაცემას პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, გამოგონების გამოუყენებლობის შემთხვევაში."

7.155. საკითხს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ასეთი "ბოროტად გამოყენება", წყვეტს ეროვნული კანონი. მაგრამ, როგორც 5A(2) მუხლი მიუთითებს, გამოგონების გამოუყენებლობა ითვლება ასეთი "ბოროტად გამოყენების" ერთ-ერთ სახეობად.

(i) პატენტის გამოუყენებლობა

7.156. მაშინ, როცა "გამოყენების" განსაზღვრა, როგორც წესი, შეადგენს ეროვნული კანონის საგანს, ის, ჩვეულებრივ, პროდუქტზე გაცემული პატენტის შემთხვევაში მაინც, ნიშნავს პროდუქტის დამზადებას, და ხერხზე გაცემული

პატენტის შემთხვევაში - ხერხის გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა საგანგებოდ ითვალისწინებს, რომ იმ პროდუქტის შემოტანა, რომელშიც განხორციელებულია გამოგონება, გამოყენებას არ წარმოადგენს; თუმცა თანამედროვე ტენდენცია ამ მოთხოვნას არ იზიარებს. როგორც წესი, გამოყენების პირობა შეიძლება შესრულებული იყოს დაპატენტებული გამოგონების გამოყენების გზით ან გამოგონებაზე პატენტმფლობელის, ან სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ სალიცენზიო ხელშეკრულების შესაბამისად.

7.157. როგორც ვიცით, პატენტმა იმგვარად უნდა გახსნას გამოგონება, რომ საშუალო სპეციალისტს შეეძლოს მისი განხორციელება. ამიტომ პატენტები, რომ არაფერი ვთქვათ მათ გამოყენებაზე, ხელსაყრელია მრეწველობისთვის, რადგან მათ პუბლიკაციას შეუძლია სხვა გამოგონებათა შექმნის სტიმულირება. გარდა ამისა, პატენტებში გახსნილი გამოგონებები ეკუთვნის საზოგადოებას მათი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ. ესე იგი პატენტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ტექნოლოგია, რომელიც გახსნილია მასში, შეიძლება თავისუფლად გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა პატენტმფლობელისაგან ნებართვის მიღების გარეშე.

7.158. მიუხედავად ასეთი სარგებლისა, ზოგიერთ ქვეყანაში მიიჩნევენ, რომ დაპატენტებული გამოგონების სრული გამართლებისათვის, იგი გამოყენებულ უნდა იქნეს ქვეყანაში, სადაც გაცემულია პატენტი, და არა მხოლოდ განხორციელდეს განსაკუთრებული უფლება, ხელი შეუშალოს სხვა პირებს გააკეთონ იგივე ან გააკონტროლონ იმპორტირება. დაპატენტებული გამოგონების ადგილობრივი გამოყენების მოთხოვნის ძირითადი მიზანია ტექნოლოგიის გადაცემა. დაპატენტებული გამოგონების ფაქტობრივი გამოყენება მოცემულ ქვეყანაში, როგორც ჩანს, არის ამ ქვეყნისთვის ასეთი გადაცემის განხორციელების ყველაზე ეფექტური გზა.

7.159. კონკრეტულ ქვეყანაში გამოგონების სავალდებულო გამოყენების წინააღმდეგ არსებულ არგუმენტებს გააჩნია ორმაგი ქვეტექსტი: ჯერ ერთი, გამოგონებათა ასეთმა სავალდებულო გამოყენებამ შეიძლება იმუშაოს ტექნოლოგიის გადაცემის ამოცანის საწინააღმდეგოდ და, მეორე, ასეთი გამოყენება შეიძლება იყოს ეკონომიკურად არახელსაყრელი.

7.160. იძულებითი ლიცენზიების წინააღმდეგ პირველი არგუმენტია ის, რომ ისინი ტექნოლოგიათა გადაცემის ხელშეწყობის თვალსაზრისით ნაკლებად

ეფექტურია, ვიდრე ნებაყოფლობითი ლიცენზიები. სინამდვილეში, მათ შეუძლიათ შეაფერხონ კიდევაც ამ მიზნის მიღწევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებაყოფლობითი ლიცენზირება აშკარად იძლევა იმის საშუალებას, რომ გაადვილდეს ტექნოლოგიათა გადაცემა, მაშინ, როცა იძულებითი ლიცენზირება არ უნდა ჩაითვალოს ასეთი როლის შემსრულებლად და ის უნდა შემოიფარგლოს ბოროტად გამოყენების კორექციით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პატენტებზე უფლებათა განხორციელების შედეგად.

7.161. უმჯობესია, რომ ტექნოლოგიის გადაცემა განხორციელდეს თანამშრომლობის ატმოსფეროში ტექნოლოგიის გადამცემ პირსა და იმ პირს შორის, რომელსაც ის გადაეცემა. მოცემულ კონტექსტში თანამშრომლობის ატმოსფეროში პატენტმფლობელსა და პოტენციურ ლიცენზიატს შორის ასეთ თანამშრომლობას, როგორც წესი, მივყავართ არადაპატენტებულ ნოუ-ჰაუს გახსნამდე, რაც აუცილებელია კომერციულად სიცოცხლისუნარიანი პროდუქტის დასამზადებლად, მაგრამ რაც არ იყო აუცილებელი პატენტის მიღების მიზნით გახსნაზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. იძულებითი ლიცენზიის შემთხვევაში თანამშრომლობის ატმოსფეროსა და, მაშასადამე, არადაპატენტებული ნოუ--ჰაუს გახსნას ადგილი არა აქვს. ამგვარად, პატენტზე იძულებითი ლიცენზიის გაცემა იძლევა მხოლოდ დაპატენტებული გამოგონების გამოყენების უფლებას, რაც, ჩვენი აზრით, არასაკმარისი საშუალებაა ტექნოლოგიის სრული გადაცემის განხორციელებისათვის.

7.162. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნოუ-ჰაუ, რომელიც ითვალისწინებს მაცივარაგენტად გამოყენების მიზნით ქლორფტორნახშირბადოვანი ნაერთების (რომლებიც მავნეა დედამიწის გარშემო არსებული ოზონის შრისათვის) სხვა უფრო დაბალი მოლეკულური ზომის ნივთიერებებზე გადართვას. გაცივების ძირითადი ციკლის უცვლელად დატოვების პირობებში ახალი მაცივარაგენტის გამოყენებისას მოწყობილობები, როგორიცაა, მაგალითად, ჰაერის კონდიციონერი, ხელახლა უნდა იყოს კონსტრუირებული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, კერძოდ, მოწყობილობების მაცივარაგენტებთან შეხებაში მყოფ კომპონენტებს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტი მაცივარაგენტის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით. მაშინ, როდესაც პატენტს შეუძლია სრულად აღწეროს მაცივარაგენტად გამოსაყენებელი ახალი ნივთიერებები და მათი მიღების შესაძლო ხერხი, სულაც არ არის აუცილებელი იმ ნოუ-ჰაუს გახსნა, რაც საჭიროა მათ საფუძველზე მომუშავე

ჰაერის კონდიციონერის დასამზადებლად.

7.163. გარდა ამისა, იმის მოთხოვნა, რომ პატენტმფლობელმა თავისი პატენტის შესაბამისად დაამზადოს პროდუქტები ყველა ქვეყანაში, სადაც მიღებული აქვს საპატენტო დაცვა, შეიძლება იყოს ეკონომიკურად განუხორციელებელი. ასეთი მოთხოვნა არ ითვალისწინებს ბაზრების რეგიონულ ან საერთაშორისო ინტეგრაციას, ან ქვეყნებისა თუ რეგიონების შედარებით უპირატესობებს. ე. ი. პატენტმფლობელმა შეიძლება დაასკვნას, რომ პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ დაპატენტებულ გამოგონებას ან დამზადებულია დაპატენტებული ხერხით, შეიძლება იყოს უფრო იაფი, თუ წარმოება კონცენტრირებული იქნება ერთი ქვეყნის ერთ საწარმოში, ხოლო სხვა ქვეყნების მოთხოვნა უზრუნველყოფილი იქნება იმპორტის ხარჯზე. მართლაც, პატენტმფლობელს შეუძლია დაასკვნას, რომ მისი პროდუქტის ცალკეული კომპონენტები, რომლებიც დაცულია პატენტით, შეიძლება ყველაზე უკეთ დამზადდეს რამდენიმე ქვეყანაში ან რეგიონში, ხოლო საბოლოო აწყობა მოხდეს ერთ რეგიონულ ან ეროვნულ საწარმოში.

7.164. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სინათლის ენერგიის ელექტრულად გარდამქმნელი. ფოტოელექტრული ელემენტის წარმოება. წარმოების ხარჯების არსებითი ელემენტია კაპიტალური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ასეთი ფოტოელემენტების დასამზადებლად, და პერსონალის გაწაფვა ამ მოწყობილობასთან მუშაობაში. ადგილობრივი გამოყენების მოთხოვნა პატენტების მიმართ, რომლებიც ეხება ფოტოელექტრულ ელემენტებს ან მათი დამზადების ხერხებს, ბევრ ქვეყანაში იმდენად გაზრდიდა ასეთ მოწყობილობათა ღირებულებას, რომ ისინი მიუწვდომელნი გახდებოდნენ ადგილობრივი მომხმარებლისათვის.

7.165. იძულებითი ლიცენზიების გაცემის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით ამ კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემისას ხშირად მოიხსენიება ორი მომენტი. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ქვეყანაში, სადაც არსებობს ასეთი ნორმები, ამ ლიცენზიებს იშვიათად იყენებენ და კიდევ უფრო იშვიათად გასცემენ, მათ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. მეორე, ასეთი ნორმები, იშვიათადაც რომ გამოიყენებოდეს, უზრუნველყოფენ სამართლებრივ შესაძლებლობას, რომელიც სტიმულს აძლევს პატენტმფლობელს ხელშეკრულება დადოს ნებაყოფლობითი ლიცენზირების თაობაზე. თუმცა, თანამშრომლობის ატმოსფერო, რომელიც, ჩვეულებრივ,

სუფევს ნებაყოფლობითი ლიცენზირების შემთხვევაში, უფრო ეფექტურია, ვიდრე ძალდატანება, რომელიც ახლავს ტექნოლოგიის სრულ და გახანგრძლივებულ გადაცემას იძულებითი ლიცენზირების დროს.

7.166. პარიზის კონვენციის 5A(2) მუხლში საგანგებოდ არის დათქმული, რომ პარიზის კავშირის წევრებს შეუძლიათ გაითვალისწინონ იძულებითი ლიცენზიების გაცემა, რათა აღიკვეთოს ბოროტად გამოყენება, რომელიც წარმოიშობა პატენტებზე უფლებების განხორციელების შედეგად, გამოგონების გამოუყენებლობის ჩათვლით. 5(4) მუხლი ითვალისწინებს, რომ გამოგონების გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების მიზეზით იძულებითი ლიცენზიების მოთხოვნა არ შეიძლება გამოგონების გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების განსაზღვრული ვადის გასვლამდე. ეს ვადა არის ოთხი წელიწადი პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან ან სამი წელი გამოგონებაზე პატენტის გაცემის თარიღიდან. გამოსაყენებელ ვადად მიიჩნევა ის, რომელიც მოცემულ შემთხვევაში უფრო გვიან გადის.

7.167. სამიდან ოთხ წლამდე პერიოდი – ეს არის მინიმალური ვადა, რომელიც შეიძლება დასჭირდეს პატენტმფლობელს, რათა დაიწყოს დაპატენტებული გამოგონების გამოყენება ყველა ქვეყანაში, სადაც მან მიიღო საპატენტო დაცვა. პატენტმფლობელს უნდა მიეცეს უფრო ხანგრძლივი ვადა, თუ ის დაასაბუთებს თავის უმოქმედობას საპატიო მიზეზებით, მაგალითად, თუ პატენტმფლობელს შეუძლია წარადგინოს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ გამოგონების გამოყენება (ან უფრო ინტენსიური გამოყენება) წააწყდა იურიდიულ, ეკონომიკურ, ან ტექნიკურ დაბრკოლებებს ქვეყანაში. ამ შემთხვევაში იძულებითი ლიცენზიის გაცემის შესახებ მოთხოვნაზე უარი უნდა ეთქვას რაღაც დროის მანძილზე მაინც. სამიდან ოთხ წლამდე პერიოდი - მინიმალური ვადაა იმ მხრივ, რომ ეროვნული კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს უფრო ხანგრძლივი ვადა.

7.168. 5A(4) მუხლი ითვალისწინებს, აგრეთვე, რომ გამოგონების გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების მიზეზით გაცემული იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება იყოს განსაკუთრებული და იგი უნდა გადაიცემოდეს მხოლოდ იმ საწარმოს ნაწილის გადაცემასთან ერთად, რომელიც იღებს სარგებელს იძულებითი ლიცენზიის გამოყენებით. პატენტმფლობელმა უნდა შეინარჩუნოს უფლება, თავად გასცეს სხვებზე

არაგანსაკუთრებული ლიცენზიები და თავად გამოიყენოს გამოგონება. გარდა ამისა, იმის გამო, რომ იძულებითი ლიცენზია გაცემულია საწარმოზე მისი სიმძლავრეების გათვალისწინებით, ის დაკავშირებულია ამ საწარმოსთან და არ შეიძლება გაიცეს ცალკე, საწარმოს გარეშე. ეს შეზღუდვები გათვალისწინებულია იმისათვის, რომ იძულებითმა ლიცენზიამ არ დაიკავოს უფრო ძლიერი მდგომარეობა ბაზარზე, ვიდრე ეს გათვალისწინებულია იძულებითი ლიცენზიის დანიშნულებით, სახელდობრ იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს გამოგონების საკმარისი გამოყენება ქვეყანაში.

(ii) პროცესუალური გარანტიები და კომპენსაცია

7.169. იძულებითი ლიცენზიის გაცემას მივყავართ პატენტმფლობელის საკუთრების მეტად მნიშვნელოვანი უფლების გამოყენებამდე. იმის გამო, რომ ასეთი ლიცენზიის გაცემა ხორციელდება პატენტმფლობელის თანხმობის გარეშე, განსაზღვრული უნდა იქნეს გონივრული პროცესუალური გარანტიები, სააპელაციო საჩივრის შეტანის ეფექტური პროცედურის ჩათვლით, რათა გარანტირებული იყოს იძულებითი ლიცენზიის სათანადო გაცემა და განხორციელება.

7.170. კერძოდ, ორგანო, რომელიც გასცემს ლიცენზიებს, როგორიცაა საპატენტო უწყება, უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ შესრულებულია იძულებითი ლიცენზიების გაცემის პირობები, რაც საშუალებას აძლევს პატენტმფლობელს, ზუსტად განსაზღვროს თავისი მდგომარეობა ამასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ორგანო, რომელიც გასცემს ლიცენზიებს, უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ იძულებითი ლიცენზიით მოსარგებლის მიერ პატენტმფლობელისთვის გადახდილი იქნება ადეკვატური გადასახადი, და რომ გათვალისწინებული იქნება საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც იძულებითი ლიცენზია გაუქმდება, თუ აღარ იარსებებს საფუძველი ასეთი ლიცენზიის გასაცემად, ან თუ მოსარგებლე არ შეასრულებს იძულებითი ლიცენზიის გაცემის პირობებს.

7.171. იძულებითი ლიცენზიის გაცემა არ ნიშნავს, რომ მოსარგებლემ (ლიცენზიატმა) არ უნდა გადაიხდოს როიალტი.. პირიქით, ამ საკითხთან დაკავშირებული ეროვნული კანონები, როგორც წესი, მოითხოვენ, რომ ლიცენზიატმა პატენტმფლობელს გამოგონების გამოყენებისათვის გადაუხადოს სალიცენზიო გადასახადი.

(iii) პატენტის უფლების ჩამორთმევა ან გაუქმება მისი ბოროტად

გამოყენების შემთხვევაში

7.172. თუმცა მოსალოდნელია, რომ იძულებითი ლიცენზიის გაცემა უმრავლეს შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად, 5A(3) მუხლი ითვალისწინებს პატენტზე უფლების ჩამორთმევას ან გაუქმებას იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი იძულებითი ლიცენზიების გაცემა საკმარისი არ არის. ეს პუნქტი ითვალისწინებს, რომ "პატენტზე უფლებების ჩამორთმევის ან გაუქმების არავითარ ქმედებებს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი პირველი იძულებითი ლიცენზიის გაცემის მომენტიდან ორი წლის გასვლამდე".

(b) არანებაყოფლობითი ლიცენზიების გაცემა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე

7.173. ზოგი ქვეყანა ითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიების გაცემას პატენტზე უფლების "ბოროტად გამოყენების" არარსებობის შემთხვევაშიც, თუ იძულებითი ლიცენზიის გაცემა საჭიროა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. საერთოდ იძულებითი ლიცენზიები, რომლებიც გაცემულია საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება დაიყოს კერძო პირთა და მთავრობის ან მთავრობის სახელით მოქმედ პირთა სასარგებლოდ გაცემულ ლიცენზიებად.

(i) საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კერძო პირთა სასარგებლოდ გაცემული არანებაყოფლობითი ლიცენზიები

7.174. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ კერძო პირთა სასარგებლოდ გაცემული იძულებითი ლიცენზიების ერთ მაგალითს წარმოადგენს ე. წ. "დამოკიდებული პატენტის" შემთხვევა. ასეთი იძულებითი ლიცენზიები გაიცემა სიტუაციის გადასაწყვეტად, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა შეუძლებელია ერთი პატენტით ("დომინირებადი პატენტით") მოცულ ქმედებათა განხორციელების გარეშე სხვა პატენტში ("დამოკიდებულ პატენტში") გაცხადებული გამოგონების გამოყენება. ასეთ სიტუაციაში, და როდესაც დამოკიდებული პატენტის მფლობელს არ შეუძლია სალიცენზიო

ხელშეკრულების გონივრული პირობებით დადება დომინირებადი პატენტის მფლობელთან, დამოკიდებული პატენტის მფლობელს შეუძლია მიიღოს იძულებითი ლიცენზია დომინირებადი პატენტის გამოყენებაზე. ასეთი შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში დომინირებადი პატენტის მფლობელს შეუძლია ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმით ხელი შეუშალოს დამოკიდებულ პატენტში გაცხადებული გამოგონების გამოყენებას. დამოკიდებული პატენტით გამოგონების გამოყენების მსგავსი შეუძლებლობა ზოგ ქვეყანაში განიხილება ისე, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ყველა დაპატენტებული გამოგონების დაუბრკოლებლად გამოყენების საქმეში.

7.175. ზოგიერთი ეროვნული კანონის შესაბამისად იძულებითი ლიცენზიების გაცემა ხორციელდება ნებისმიერ დროს, როდესაც დამოკიდებულების სიტუაცია წარმოიქმნება. სხვა ეროვნული კანონები მოითხოვენ, რომ დამოკიდებული პატენტი ისახავდეს სხვა მიზანს, ვიდრე დომინირებადი პატენტი, ან წარმოადგენდეს არსებით ტექნიკურ გაუმჯობესებას იმ გამოგონებასთან შედარებით, რომელიც განცხადებულია დომინირებად პატენტში. ეს ბოლო პირობა ემსახურება მიზანს, თავიდან აიცილონ პატენტზე უფლების ბოროტად გამოყენება, რაც შეიძლება მომდინარეობდეს განმცხადებლებისაგან, რომელსაც შეაქვს განაცხადი სულ უმნიშვნელო გამოგონებაზე ერთადერთი მიზნით, რომ შეძლოს იძულებითი ლიცენზიის წყალობით გამოიყენოს მნიშვნელოვანი გამოგონება.

7.176. გამოგონებაზე ორი პატენტის მფლობელის მდგომარეობათა შორის გარკვეული ბალანსის დაცვის მიზნით ეროვნული კანონები ხშირად ითვალისწინებენ, რომ დომინირებადი პატენტის მფლობელმა შეძლოს დამოკიდებული პატენტის გამოყენებაზე იძულებითი ლიცენზიის მიღება, თუ დამოკიდებული პატენტის მფლობელმა მიიღო იძულებითი ლიცენზია დომინირებადი პატენტის გამოყენებაზე.

7.177. ზოგი ქვეყანა, გამოუყენებლობის გარდა, ითვალისწინებს, რომ თუ პატენტი გამოყენებულია კონკურენციის შესახებ ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დარღვევით საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასეთი ქვეყნები იძლევიან პატენტის იძულებითი ლიცენზირების, მისი იძულებითი განხორციელების ან მისი ბათილად ცნობის შესაძლებლობას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის გამო.

(ii) საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მთავრობის სასარ-

გებლოდ ან მისი სახელით გაცემული არანებაყოფლობითი ლიცენზიები

7.178. ზოგ ქვეყანაში ნებადართულია გამოგონების გამოყენება პატენტის მფლობელის თანხმობის გარეშე მთავრობის მიერ ან მთავრობის სახელით მოქმედ მესამე პირთა მიერ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს, ჩვეულებრივ, დასაშვებია ისეთ სამ სფეროში, როგორიცაა: ეროვნული უსაფრთხოება, ეროვნული ეკონომიკა და ჯანმრთელობის დაცვა.

7.179. უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად საკმარისია, რომ გამოგონებაზე პატენტის მფლობელის სურვილის საწინააღმდეგოდ სახელმწიფომ უფლებით აღჭურვოს მთავრობის მიერ მითითებული ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რათა მან შეასრულოს გამოგონებაზე პატენტით დაცული ქმედებანი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მთავრობა წყვეტს, თუ რომელი ქმედება შეიძლება განხორციელდეს.

7.180. საზოგადოებრიობის ინტერესების უზრუნველყოფის პრინციპი პრაქტიკულად ყოველთვის გამოიყენება საგანგებო სიტუაციებში. თუ, მაგალითად, ლაპარაკია სამედიცინო აპარატურაზე, უეცარი ეპიდემიის შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს ასეთი აპარატურის დაუყოვნებლივ იმპორტირების აუცილებლობა. თუ პატენტმფლობელი არ არის თანახმა ან არ სურს, დადოს სალიცენზიო კონტრაქტი აღნიშნული აპარატურის საჭირო ვადებში შემოტანაზე, მაშინ მთავრობას შეუძლია, დაავალოს მესამე პირებს აპარატურის იმპორტირება ან დატოვოს ეს საქმე თავის კომპეტენციაში. მაგრამ, როგორც კი ეპიდემია კონტროლს დაექვემდებარება, საჭირო აღარ იქნება ამ ღონისძიების შენარჩუნება და პატენტმფლობელი კვლავ მიიღებს სრულ უფლებებს პატენტზე.

(iii) პროცესუალური გარანტიები და კომპენსაცია

7.181. იმის გამო, რომ იძულებითი ლიცენზიების გაცემა ნიშნავს უფლების გადაცემას პატენტმფლობელის მნიშვნელოვანი საკუთრების გამოყენებაზე მისი თანხმობის გარეშე, განსაზღვრული უნდა იყოს იმის პროცესუალური გარანტიები, რომ ასეთი ლიცენზიების გაცემა ხორციელდება მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ეს გამართლებულია პირობებით. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ნორმები, რომლებიც არეგულირებენ

პატენტმფლობელზე გასაცემ კომპენსაციას მისი საკუთრების უფლებებით სარგებლობისათვის.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, Compulsory or Non-Voluntary Licenses in Respect of Patents for Invention, WIPO/UNCED/ce/6

H. სასარგებლო მოდელები

7.182. რიგ ქვეყნებში დაცვა შეიძლება მიეცეს "სასარგებლო მოდელებს". არსებითად, "სასარგებლო მოდელი" ეს არის სახელწოდება, რომელიც ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობების თანახმად (რომლებიც შეიცავენ დებულებებს სასარგებლო მოდელის შესახებ) გამოიყენება ზოგი გამოგონების მიმართ, სახელდობრ, გამოგონების მიმართ ტექნიკის დარგში. სწორედ ამიტომ სასარგებლო მოდელების ობიექტები ზოგჯერ აღწერილია როგორც მოწყობილობა, ან სასარგებლო საგანი. სასარგებლო მოდელი განსხვავდება გამოგონებისაგან, რომლისთვისაც შეიძლება გამოგონებაზე პატენტის მიღება უმთავრესად ორი ასპექტით: ჯერ ერთი, გამოგონების შემთხვევაში, რომელსაც "სასარგებლო მოდელს" უწოდებენ, ტექნოლოგიური პროგრესის დონის მოთხოვნები ("საგამომგონებლო დონე") უფრო დაბალია, ვიდრე ტექნოლოგიური პროგრესის ის დონე, რაც მოითხოვება გამოგონების შემთხვევაში; მეორე, დაცვის მაქსიმალური ვადა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით სასარგებლო მოდელების შესახებ, ჩვეულებრივ, უფრო მოკლეა, ვიდრე დაცვის მაქსიმალური ვადა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით გამოგონების შესახებ, რაზედაც გაიცემა პატენტი გამოგონებაზე. დოკუმენტს, რომელსაც იღებს გამომგონებელი სასარგებლო მოდელზე სასარგებლო მოდელის შემთხვევაში, შეიძლება ვუწოდოთ (ზოგ ქვეყანაში უწოდებენ კიდევაც) პატენტი. მაგრამ რათა გავარჩიოთ იგი პატენტისაგან გამოგონებაზე, ყოველთვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის "პატენტი სასარგებლო მოდელზე".

ლიტერატურა

International Bureau of WIPO,Definition and General Characteristics of Industrial Property

Rights, MPIC/82/2.1

თავი 8

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

A. შესავალი

8.1 საავტორო სამართალი არის სამართლის იმ ნაწილის განშტოება, რომელიც განიხილავს ინტელექტუალურ შემოქმედთა უფლებების საკითხებს. შემოქმედთა უფლებები დაცულია ქვეყანათა უმრავლესობის მიერ მიღებული შესაბამისი კანონმდებლობით. შემოქმედთა უფლებებისადმი ამგვარი დამოკიდებულება გამომდინარეობს მამაკაცთა და ქალთა შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირებისა და ხელშეწყობის, მათი შემოქმედებითი მიღწევების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელების აუცილებლობით. საავტორო სამართალი დაკავშირებულია შემოქმედებითი პროცესის სხვადასხვა ფორმებთან, რომლებიც შეხებაშია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან. იგი აგრეთვე ეხება საჯარო კომუნიკაციების პრაქტიკულად ყველა ფორმასა და მეთოდს, მათ შორის არამხოლოდ ბეჭდვით გამოცემებს, არამედ რადიო და ტელემაუწყებლობას, კინოფილმების საჯარო ჩვენებას და ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების კომპიუტერულ სისტემებსაც.

8.2 საავტორო სამართლი იხილავს ინტელექტუალურ მიღწევებთან დაკავშირებულ შემოქმედთა უფლებებს. მხატვრული შემოქმედების დიდი ნაწილი, ისეთი, როგორიცაა: წიგნები, ფერწერული ან გრაფიკული ნაწარმოები, არსებობს მხოლოდ ამა თუ იმ მატერიალური ფორმით. მაგრამ არის ნაწარმოებები, რომლებიც არ არსებობს მატერიალური ფორმით. მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოები, ან ლექსები წარმოადგენენ მხატვრულ ნაწარმოებებს, თუნდაც მაშინ, როდესაც ისინი საერთოდ არ არიან, ან სანამ არ იქნებიან გამოსახულნი წერილობითი ფორმით მუსიკალური ნოტების ან სიტყვების საშუალებით.

8.3 თუმცა, კანონმდებლობა საავტორო უფლებების შესახებ იცავს მხოლოდ იდეების გამოხატვის ფორმას და არა თვით იდეებს. შემოქმედება, რომელიც დაცულია აღნიშნული კანონმდებლობით, წარმოადგენს სიტყვების, მუსიკალური ნოტების, ფერების, ფორმების და ა. შ. შერჩევისა და განლაგების შედეგს. კანონმდებლობა საავტორო უფლებების შესახებ უზრუნ-

ველყოფს მხატვრულ ნაწარმოებზე უფლების მფლობელის დაცვას იმათგან ვინც ახდენს ნაწარმოების "კოპირებას" – ანუ ვინც იღებს და იყენებს ფორმას, რომლითაც ორიგინალური ნაწარმოები გამოხატული იყო ავტორის მიერ.

B. საავტორო უფლებათა დაცვა

8.4 საავტორო უფლებათა დაცვის ძირითადი მიზანია – ხელი შეუწყოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრებას და გავრცელებას. ამა თუ იმ ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მისი მოსახლეობის შემოქმედებით უნარზე. შემოქმედების ხელშეწყობა წარმოადგენს პროგრესის აუცილებელ წინაპირობას.

8.5 საავტორო უფლება შეადგენს განვითარების პროცესის მნიშვნელოვან ელემენტს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრება პირდაპირ დამოკიდებულია ლიტერატურულ და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის დონეზე. რაც უფრო მაღალია ეს დონე, მით უფრო დიდ სტიმულს იღებენ ავტორები შემოქმედებით საქმიანობაში. რაც უფრო მეტია ასეთ ნაწარმოებთა რაოდენობა, მით უფრო მაღალია ქვეყნის პრესტიჟი და მით უფრო დიდია დასაქმებულთა რაოდენობა საგამომცემლო, ხმის ჩაწერისა და გართობის ინდუსტრიაში. საბოლოოდ, შემოქმედებითი საქმიანობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა.

8.6 კანონმდებლობა უზრუნველყოფს არა მარტო ნაწარმოებთა ავტორების, არამედ მათ დამხმარეთა (შემსრულებლები, ფონოგრამების მწარმოებლები, რადიო და ტელემაუწყებლობის კომპანიები), რომლებიც ხელს უწყობენ ამგვარ ნაწარმოებთა გავრცელებას, უფლებების დაცვასაც. ავტორების ამ ე.წ. "დამხმარეთა" უფლებების დაცვა ასევე მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, <u>ვინაიდან ზოგიერთი მათგანის კულტურული საქმიანობის შედეგი, არც თუ უმნიშვნელოდ, დამოკიდებულია სხვადასხვა ფოლკლორულ ნაწარმოებთა შესრულებაზე, ხმის ჩაწერასა და ეთერში გაშვებაზე.</u> ერთი მხრივ, განვითარებადი ქვეყნები ხშირად განიცდიან უცხოური პუბლიკაციების, განსაკუთრებით მეცნიერების, ტექნიკის და განათლების სფეროში, იმპორტირების საჭიროებას, მეორე მხრივ, მათ ძალუძთ გაუზიარონ კაცობრიობას საკუთარი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, რომლის

დაცვა შესაძლებელია საავტორო უფლებების კანონმდებლობის ფარგლებში ამ დამხმარეთა უფლებების, ანუ როგორც მათ უწოდებენ, მომიჯნავე უფლებების დაცვის გზით.

8.7 იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ასეთი კანონმდებლობა, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა დამოკიდებულია შესაბამისი კანონების განხორციელების ეფექტურობაზე. კანონის მიღება მხოლოდ პირველი ნაბიჯია, აუცილებელია მისი ეფექტური და შედეგიანი გამოყენება. ამის მიღწევა შესაძლებელია შესაბამისი ორგანიზაციების შექმნით, რომლებიც ნაწარმოების გამოყენებისთვის ანაზღაურების შეგროვებით და ავტორებისათვის მისი გადახდით არიან დაკავებულნი. ეფექტური გამოყენების შემთხვევაში, საავტორო უფლება სტიმულია როგორც ავტორთათვის, ასევე მათი წარმომადგენლებისათვის (მაგალითად, გამომცემლებისათვის), ცოდნის შექმნისა და გავრცელების საქმეში. აუცილებელია, საზოგადოებამ გაითავისოს, რომ ავტორთა უფლებების დაცვის გარეშე შეუძლებელია შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება, მეცნიერების, ხელოვნების და, საერთოდ ცოდნის, პროგრესის უზრუნველყოფა, ავტორთა ნამუშევრების გამოყენებით წარმოების განვითარების ხელშეწყობა და <u>ასეთ ნამუშევართა ორგანიზებული წესით გავრცელება დაინტერესებულ პირთა მაქსიმალურად ფართო წრეში.</u> ამიტომაც გამომდინარე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის ინტერესებიდან, საჭიროა საავტორო უფლებების კონცეფციაში ჩაწვდომა, მისი განვითარება და გავრცელება ეროვნული მასშტაბით,.

8.8 საავტორო უფლებების დაცვას თავისთავად არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ვაკუუმში. მას აზრი არა აქვს ინტელექტუალური შემოქმედების გარეშე, რომელიც ასაზრდოებს საავტორო უფლებებს და განაპირობებს მათ არსებობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაწარმოების შემქმნელისთვის საავტორო უფლებათა დაცვას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სარგებელი მოაქვს ავტორისთვის. ეს კი შეუძლებელია ნაწარმოების გამოცემისა და გავრცელების, ისევე როგორც ასეთი საქმიანობისათვის ხელშეწყობის გარეშე. ამაშია საავტორო უფლების ძირითადი როლი განვითარებად ქვეყნებში.

8.9 გარდა ავტორთა და შემოქმედთა უმრავლესობის მატერიალური მდგომარეობისა, რომლებსაც სჭირდებათ ყოველმხრივი მხარდაჭერა და სუბსიდიები, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენენ

შემოქმედებით პროცესზე განვითარებად ქვეყნებში. მათ შორისაა ქალალდის ნაკლებობა განათლების სისტემისთვის (როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური), აუცილებელი სახელმძღვანელოების, აგრეთვე რეკომენდებული და საერთო დანიშნულების წიგნების გამოსაცემად, რომლებიც უნდა იყვნენ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ამ ქვეყნებში.

8.10 მრავალმხრივია მთავრობათა როლი ამ სფეროში, მათ შორის, ფინანსური დახმარება სახელმძღვანელოთა და სხვა საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნასა და გამოცემაში, დახმარება კადრების მომზადებასა და ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოებაში, სასოფლო და შორეული რაიონების მოსახლეობის მომსახურებისათვის მოძრავი ბიბლიოთეკების შექმნის ჩათვლით. შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის და წახალისების ამ მრავალმხრივ და უწყვეტ პროცესში სათანადოდ უნდა <u>შეფასდეს მასში მონაწილე პირთა საქმიანობის მნიშვნელობა, კერძოდ ავტორების, გამომცემლების, წიგნით მოვაჭრეთა, ბიბლიოთეკის მუშაკთა მუშაობა და ა. შ. აღნიშნული მოითხოვს გაანალიზებასა და კოორდინაციას, რადგანაც ხშირად აუცილებელი ხდება ცალკეულ ჯგუფთა ინტერესების კორექტირება მათი მთელი საზოგადოების ინტერესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.</u>

8.11 მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების განმავლობაში მოხდა ავტორთა და გამომცემელთა როლის მნიშვნელოვანი ფართო აღიარება საზოგადოების განვითარების საქმეში ნაწარმოებთა შექმნისა და გავრცელების გზით, და აგრეთვე, აღიარება იმისა, რომ ამ როლის ყოველმხრივი მხარდაჭერა, წახალისება და ადეკვატური დაფასება თვით საზოგადოების ინტერესებშია. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის განმავლობაში, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანმა სოციალურ–ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, და მეორე მხრივ, ტექნოლოგიური განვითარების სწრაფმა ტემპებმა განაპირობეს საავტორო უფლებების მიმართ ჩამოყალიბებული შეხედულებების მნიშვნელოვანი ცვლილება. პრესის თავისუფლებამ და მისი გამოცემების მზარდმა რაოდენობამ, ფეოდალური წყობილების თანდათანობით კვდომამ, პროგრესმა განათლების სფეროში, განსაკუთრებით ფართო მასებისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის, უნივერსიტეტების, სხვა უმაღლესი სასწავლებლების და ბიბლიოთეკების რაოდენობის ზრდასთან ერთად უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებამ, ეროვნული ენების გამოყენებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევამ, სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა

განვითარებამ და მსოფლიოს რუკაზე ახალი დამოუკიდებელი განვითარებადი ქვეყნების გამოჩენამ ხელი შეუწყო ადრე ჩამოყალიბებულ შეხედულებათა გადასინჯვას.

8.12 მთავარი ამოცანა ამ ახალ სიტუაციაში მდგომარეობს იმაში, რომ შენარჩუნებულ იქნეს ნაწარმოების შემქმნელთა ინტერესებისა, მათი საკმარისი ანაზღაურების თვალსაზრისით, და მთელი საზოგადოების ინტერესების ბალანსი. სწორედ კერძო პირთა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსება მოითხოვს ფრთხილ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, საავტორო უფლებათა დაცვის საკუთარი სისტემის შექმნისა და საავტორო უფლებათა საერთაშორისო დაცვის კონტექსტში.

C. საავტორო უფლებათა დაცვის საგანი

8.13 საავტორო უფლება ვრცელდება ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების ყველა ნაწარმოებზე, გამოხატვის ფორმისა ან საშუალების მიუხედავად. მაგრამ მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოები შეიძლება იყოს საავტორო უფლების ობიექტი. თვით იდეები, რომლებიც ჩადებულია ნაწარმოებში, აუცილებელი არ არის იყოს ახალი, მაგრამ მათი გამოხატვის ფორმა, იქნება ის ლიტერატურული, თუ მხატვრული, აუცილებლად ორიგინალური უნდა იყოს. და ბოლოს, ნაწარმოების დაცვა დამოკიდებული არ არის მის ხარისხსა ან ღირებულებაზე, დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ცუდი, ასევე კარგი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები (ეს განისაზღვრება გემოვნებით), ასევე მის დანიშნულებაზე, რადგანაც ნაწარმოების გამოყენების ფორმას არაფერი აქვს საერთო მის დაცვასთან.

8.14 ნაწარმოები, რომელიც შეიძლება იყოს საავტორო უფლებების ობიექტი, როგორც წესი, წარმოადგენს მისი ავტორის შემოქმედების ორიგინალურ შედეგს. ასეთი ობიექტების ნუსხას, რომელიც არ არის ამომწურავი, ჩვეულებრივ, შეიცავს ეროვნული კანონმდებლობა საავტორო უფლებების სფეროში. იმისთვის, რომ ნაწარმოები დაცული იყოს საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობით, იგი უნდა იყოს ორიგინალური, ანუ უნდა იყოს თავად ავტორის შემოქმედების შედეგი. მაგრამ იმისთვის, რომ ნაწარმოები დაექვემდებაროს დაცვას საავტორო უფლებით, არ არის აუცილებელი მან გაიაროს ტესტი საგამომგონებლო ან წარმოსახვის დონის შესაფასებლად. ნაწარმოები დაცული უნდა იქნეს მიუხედავად მისი ხარისხისა, ან იმისა, რომ

მას ცოტა აქვს საერთო ლიტერატურასთან, ხელოვნებასთან, ან მეცნიერებასთან, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტექნიკური სახელმძღვანელო, ნახაზი ან რუკაც კი. ამგვარად, დაცული უნდა იყოს არა თვით იდეები, არამედ მხოლოდ მათი გამოხატვის ფორმა. საერთო წესიდან არის გამონაკლისებიც, რომლებიც ასახულია საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობაში, მაგალითად: კანონები ან ოფიციალურ დადგენილებათა ტექსტები, დღის სიახლეთა პროგრამები, როგორც წესი, ამოღებულია საავტორო უფლებების დაცვის სფეროდან.

8.15 ქვეყანათა უმრავლესობის საავტორო უფლებათა შესახებ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგი სახის ნაწარმოებთა დაცვას:

(1) ლიტერატურული ნაწარმოებები: რომანები, მოთხრობები, პოემები, დრამატული ან ნებისმიერი სხვა წერილობითი ნაწარმოებები, მათი შინაარსის (ბელეტრისტიკა ან პუბლიცისტიკა), მოცულობის, დანიშნულების (გართობა, პედაგოგიკა, ინფორმაცია, რეკლამა, პროპაგანდა ა. შ.), ფორმის (ხელნაწერი, მანქანაზე დაბეჭდილი, ბეჭდვითი; წიგნი, ბროშურა, გაზეთი, ჟურნალი) მიუხედავად; აგრეთვე, მიუხედავად იმისა, გამოქვეყნებულია ისინი თუ არა; ქვეყანათა უმრავლესობაში "ზეპირი ნაწარმოებები", ანუ ნაწარმოებები, რომლებიც არ არიან დაფიქსირებული წერილობითი ფორმით, ასევე დაცულია საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობით;

(2) მუსიკალური ნაწარმოებები: "სერიოზული" ან "მსუბუქი" მუსიკა; სიმღერები, საგუნდო ნაწარმოებები, ოპერები, მიუზიკლები, ოპერეტები; სასწავლო მუსიკალური ნაწარმოებები, ერთი ინსტრუმენტისათვის (სოლო), ანსამბლებისათვის (სონატები, კამერული მუსიკა და ა. შ.) ან ორკესტრისთვის;

(3) სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები: ორგანზომილებიანი (ნახატები, სურათები, გრავიურები, ლიტოგრაფია და ა. შ.) ან სამგანზომილებიანი (ქანდაკება, არქიტექტურული ნაწარმოებები), მათი შინაარსისა (რეალისტური ან აბსტრაქტული) და დანიშნულების ("სუფთა" ხელოვნება, რეკლამა და ა. შ.) მიუხედავად;

(4) რუკები და ტექნიკური ნახაზები;

(5) ფოტოგრაფიული ნაწარმოებები: საგნის (პორტრეტები, პეიზაჟები, მიმდინარე მოვლენები და ა. შ.) და დანიშნულების მიუხედავად;

(6) კინემატოგრაფიული ნაწარმოებები: მუნჯური, ან ხმოვანი კინო, დანიშნულების (კინოთეატრებში ჩვენება, ტელემაუწყებლობა და ა. შ.), ჟანრის

(მხატვრული ფილმები, დოკუმენტური ფილმები, ქრონიკა და ა. შ.), ხანგრძლივობის, გადაღების მეთოდის ("ცოცხალი" გადაღება, ანიმაციური და ა. შ.), ან გამოყენებული ტექნიკური პროცესის (კადრების თანმიმდევრობა გამჭვირვალე ფირზე ან ელექტრონული ჩანაწერი ვიდეოფირზე და ა. შ.) მიუხედავად;

(7) კომპიუტერული პროგრამები (ლიტერატურული, ნაწარმოების სახით, ან დამოუკიდებლად).

8.16 მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა იცავს, აგრეთვე, "გამოყენებითი ხელოვნების" ნამუშევრებს (საიუველირო ნაკეთობებს, სანათებს, შპალერებს, ავეჯს და ა. შ.) და ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებს. ზოგიერთი მათგანი ნაწარმოებად განიხილავს ასევე ფონოგრამებს, მაგნიტურ ჩანაწერებს და ტელე და რადიო გადაცემებს.

D. საავტორო უფლებებით მოცული უფლებები

8.17 საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების მფლობელს შეუძლია გამოიყენოს ის საკუთარი შეხედულებისამებრ, მაგრამ სხვა პირების სამართლებრივად აღიარებული უფლებების და ინტერესების გათვალისწინებით და უფლება აქვს აკრძალოს ნებართვის გარეშე მესამე პირთა მიერ მათი გამოყენება.

8.18 საავტორო უფლებების მფლობელისთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს ხშირად ეწოდება "განსაკუთრებული უფლებები" მესამე პირთათვის დაცული ნაწარმოებების გამოყენებაზე ნებართვის გასაცემად.

8.19 საავტორო უფლებებით დაცულ ორიგინალურ ნაწარმოებთა ავტორებს ქონებრივი ხასიათის განსაკუთრებული უფლებების გარდა, აქვთ აგრეთვე "არაქონებრივი უფლებები".

8.20 რას ნიშნავს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების "გამოყენება"? უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულია ნაწარმოებთან დაკავშირებული ქმედებები, რომლებსაც უფლებამფლობელის ნებართვის გარეშე ვერ განახორციელებს მესამე პირი.

8.21 ასეთი ქმედებები, რომლებიც ითხოვენ საავტორო უფლებების მფლობელის ნებართვას, ჩვეულებრივ, შემდეგია: ნაწარმოების ასლების დამზადება ან რეპროდუცირება, ნაწარმოების საჯარო შესრულება,

ნაწარმოების ხმის ჩანაწერის დამზადება, ნაწარმოების ეკრანიზაცია, ეთერში გაშვება, თარგმნა და ადაპტირება.

(a) რეპროდუცირების უფლება

8.22 ინტელექტუალური საკუთრების ამ სფეროში მფლობელის ფუძემდებლურ უფლებას წარმოადგენს უფლება არ დაუშვას დაცული ნაწარმოების ასლების დამზადება სხვების მიერ. დაცული ნაწარმოების ასლების დამზადებას ახორციელებს გამომცემელი, რომელსაც სურს ამ ნაწარმოების საზოგადოებაში გავრცელება. აქედან გამომდინარე, ასეთი საქმიანობის კონტროლის უფლება წარმოადგენს დაცული ნაწარმოების უფლებამფლობელსა და გამომცემელს შორის არსებული ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს.

8.23 საგამომცემლო ხელშეკრულების საგანს ხშირად წარმოადგენს არა მარტო ნაწარმოების ასლების დამზადების უფლება, არამედ ნებართვა საქმიანობის სხვა სახეობების განხორციელებაზეც (მაგალითად, ეთერში გაშვება, თარგმნა და ა. შ.), თუმცა საგამომცემლო ხელშეკრულების არსს შეადგენს უფლება ასლების დამზადებაზე.

(b) შესრულების უფლებები

8.24 საქმიანობის მეორე სახეობა, რაზეც საჭიროა ნებართვა, ნაწარმოების საჯარო შესრულებაა. დაცული ნაწარმოები შეიძლება უამრავი ადამიანისათვის გახდეს ცნობილი ასლების დამზადების ან რეპროდუცირების გარეშეც. ამის მაგალითია ლექცია, დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც აუდიტორიის წინაშე სრულდება ასლის დამზადების გარეშე. ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელის ინტერესი არ შემოიფარგლება შესრულების კონტროლის უფლებით მხოლოდ იმ ნაწარმოებზე, რომელიც იმთავითვე შექმნილი იყო საჯარო შესრულებისთვის, რადგანაც ასეთი ინტერესი უფლებამფლობელს და მის წარმომადგენლებს (გამომცემლებს) აქვთ მაშინაც, როდესაც მესამე პირებს სურვილი აქვთ მოაწყონ საჯარო შესრულება იმ ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილი იყო რეპროდუცირებისა და გამოცემის მიზნით. მაგალითად, მოთხრობა, რომელიც თავიდან სპეციალურად დაწერილი იყო სახლში ან ბიბლიოთეკაში წასაკითხად, შეიძლება გადამუშავებულ იქნეს პიესად,

რომელიც განკუთვნილია ფართო აუდიტორიის წინაშე თეატრის სცენაზე შესასრულებლად.

(c) ხმის ჩაწერის უფლება

8.25 საქმიანობის მესამე სახეობაა საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების ხმოვანი ჩაწერა. ცხადია, რომ სიტყვების შეტყობინება შეიძლება როგორც წერილობითი, აგრეთვე, ხმის ჩაწერის ფორმით, ხოლო ხმის ჩანაწერის ეგზემპლარების დამზადება ისევე ადვილია, როგორც წერილობითი ნაწარმოების ეგზემპლარებისა. რაც შეეხება მუსიკალურ ნაწარმოებებს, ფართო აუდიტორიისათვის მათი შეტყობინების საუკეთესო ხერხია – ხმის ჩაწერა. გრამფირფიტები (საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობაში გამოყენება ტექნიკური ტერმინი – "ფონოგრამები") იგივე როლს ასრულებენ მუსიკალურ სამყაროში, როგორც წიგნები – ლიტერატურულ სამყაროში.

8.26 ფონოგრამა შეიძლება შეიცავდეს მუსიკას, სიტყვებს ან ორივეს ერთად. ხმის ჩაწერის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილება აქვს მუსიკალურ ნაწარმოებსა და ნაწარმოების ტექსტზე საავტორო უფლებების მფლობელებს. <u>თუ ეს მფლობელები სხვადასხვაა, ხმის ჩაწერის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს როგორც მუსიკას, ასევე ტექსტს, ფონოგრამის დამამზადებელს ორივე მფლობელის ნებართვა უნდა ჰქონდეს.</u>

8.27 ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ხმის ჩანაწერის დამამზადებელმა აგრეთვე უნდა მიიღოს ნებართვა ნაწარმოების შემსრულებლებისგან – ინსტრუმენტალისტისგან, მომღერლისგან ან დეკლამატორისგან. აღნიშნული წარმოადგენს იმ ფაქტის კიდევ ერთ ილუსტრაციას, რომ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელს არ შეუძლია გამოიყენოს ნაწარმოები, ან გასცეს მისი გამოყენების ნებართვა იმგვარად, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს სხვათა კანონიერ უფლებებს. შესრულების ხმის კანონიერი ჩაწერა, მოითხოვს შემსრულებელთა ნებართვას. თუ შესრულების ხმის ჩაწერა, იმისათვის რომ იყოს კანონიერი, მოითხოვს შემსრულებელთა ნებართვას, აშკარაა, რომ შესასრულებელ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელს, ან მფლობელებს არ შეუძლიათ სხვებისაგან დამოუკიდებლად ნებართვის გაცემა ამ შესრულების ჩაწერაზე.

(d) ეკრანიზაციის უფლება

8.28 კინოსურათი (ინგლისურად "motion picტურე") ვიზუალური ჩანაწერია, რომელიც მაყურებლისთვის წარმოდგენილი გამოსახულების (კადრების) უწყვეტი თანმიმდევრობისგან შედგება. საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობაში მის მიმართ ხშირად გამოიყენება ტექნიკური ტერმინი – "კინემატოგრაფიული ნაწარმოები". ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინ "კინოსურათის" ნაცვლად იყენებენ სიტყვას "ფილმი". თუმცა უპირატესობა მაინც ენიჭება ტერმინს "კინოსურათი", რადგან, ამჟამად გამოსახულებათა ან კადრთა თანმიმდევრობა ხშირად იწერება ისეთი ტექნიკური საშუალებების მეშვეობით (მაგ. მაგნიტური ლენტი), რომლებიც არ მოითხოვს ფოტოგრაფიული ფირის (ინგლისურად "film") გამოყენებას.

8.29 დრამატურგიული ნაწარმოები, რომელიც თავიდანვე დაწერილი იყო აუდიტორიის წინაშე "ცოცხალი შესრულების" მიზნით, შეიძლება ვიზუალურად ჩაიწეროს და მისი წარმოდგენა მნიშვნელოვნად უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე განხორციელდეს, ვიდრე ეს შესაძლებელია ცოცხალი შესრულებით; ამასთან, ადგილებში, რომლებიც საკმაოდ მოშორებულია ცოცხალი შესრულების ადგილს და ასეთი ცოცხალი შესრულებიდან საკმარისი დროის გასვლის შემდეგ.

(e) მაუწყებლობის უფლება

8.30 საქმიანობის შემდეგი მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც მოიცავს საავტორო უფლებები, არის ნაწარმოების გადაცემა ეთერში ან მისი საზოგადოებისთვის გაცნობა სადენის ან კაბელის საშუალებით.

8.31 ნაწარმოების ეთერში გაშვებისას გაგზავნილი სიგნალი შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც სიგნალის მოქმედების რადიუსში იმყოფება და აქვს სიგნალის ბგერად ან ბგერად და გამოსახულებად გარდასახვისთვის აუცილებელი მოწყობილობა (რადიომიმღები ან ტელევიზორი).

8.32 ნაწარმოების კაბელით გადაცემისას გაგზავნილი სიგნალი შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ პირმა, რომელსაც აღნიშნულ კაბელთან მიერთებული მოწყობილობა გააჩნია.

8.33 ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის შესაბამისად, საავტორო უფლების მფლობელებს აქვთ საკუთარი ნაწარმოებების, როგორც უსადენო მაუწყებლობის მეშვეობით, ისე კაბელით

გავრცელების შემთხვევაში, ეთერში გაშვების ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებამოსილება.

8.34 საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებთა ეთერით, ან კაბელით გადაცემა უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი დისკუსიის საგნად იქცა, რადგანაც ამ სფეროში თავი იჩინეს ახალმა პრობლემებმა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ საავტორო უფლებების შესახებ ეროვნულ კანონმდებლობათა გადასინჯვა.

8.35 ეს ახალი პრობლემები მაუწყებლობისა და კაბელით გადაცემის სფეროში, ძირითადად წარმოადგენენ ტექნოლოგიური განვითარების შედეგს. უკანასკნელ ტექნოლოგიურ მიღწევებს მიეკუთვნება ხელოვნური კოსმოსური თანამგზავრების გამოყენება უსადენო სიგნალების დიაპაზონის გაფართოებისათვის, კაბელით გადაცემულ სიგნალებთან რადიო და სატელევიზიო მიმღებების დაკავშირების მზარდი საშუალებები და იმ მოწყობილობათა ფართოდ გამოყენება, რომელთაც შეუძლიათ ეთერში გადაცემული, ან კაბელით მიწოდებული ხმის და გამოსახულებების ჩაწერა.

(f) თარგმანისა და გადამუშავების უფლებები

8.36 საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების თარგმნა და გადამუშავება მოითხოვს უფლებამფლობელის ნებართვას.

8.37 "თარგმანი" ნიშნავს ნაწარმოების ორიგინალური ენისაგან განსხვავებულ ენაზე გადმოცემას.

8.38 "გადამუშავება" ("ადაპტირება") ნიშნავს ერთი ტიპის ნაწარმოების გარდაქმნას მეორე ტიპის ნაწარმოებად. მაგალითად, რომანის გადამუშავება მისი ეკრანიზაციის მიზნით. გადამუშავება აგრეთვე ნიშნავს ნაწარმოების გადაკეთებას განსხვავებულ პირობებში გამოყენებისთვის. მაგალითად, სახელმძღვანელო, რომელიც თავიდან გამიზნული იყო უმაღლესი განათლებისთვის, შეიძლება გადამუშავებულ იქნეს სწავლების უფრო ადრეულ ეტაპზე გამოსაყენებელ სახელმძღვანელოდ.

8.39 თარგმანი და გადამუშავება თავისთავად წარმოადგენს ნაწარმოებს, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით. ამგვარად, თარგმანის ან გადამუშავებული ნაწარმოების რეპროდუქციის, ან გამოქვეყნებისათვის გამომცემელმა უნდა მიიღოს როგორც ორიგინალურ ნაწარმოებზე, ისე თარგმანზე, ან გადამუშავებაზე საავტორო უფლების მფლობელის ნებართვა.

(g) არაქონებრივი უფლებები

8.40 ბერნის კონვენცია ითხოვს წევრი-სახელმწიფოებისგან მიანიჭონ ავტორებს შემდეგი უფლებები:

(1) ნაწარმოებზე ავტორობის აღიარების მოთხოვნის უფლება;

(2) ნაწარმოების ყოველგვარი დამახინჯების ან სხვაგვარი შეცვლის, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ხელყოფის აკრძალვის უფლება, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას.

8.41 აღნიშნული უფლებები, რომლებიც ცნობილია როგორც ავტორთა არაქონებრივი უფლებები, დამოუკიდებელია ქონებრივი უფლებებისაგან და განუსხვისებელია, მას შემდეგაც, როცა ავტორი სხვას გადასცემს თავის ქონებრივ უფლებებს.

E. მომიჯნავე უფლებები

8.42 არსებობს საავტორო უფლებებთან დაკავშირებული, ანუ მისი "მომიჯნავე" უფლებები.

8.43 არსებობს მომიჯნავე უფლებათა სამი სახესხვაობა: შემსრულებელთა უფლებები საკუთარ შესრულებაზე, ფონოგრამის მწარმოებელთა უფლებები საკუთარ ფონოგრამებზე და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებები მათ რადიო და სატელევიზიო პროგრამებზე. მომიჯნავე უფლებათა დაცვა გულისხმობს იმ პირების უფლებათა დაცვას, რომლებიც ეხმარებიან შემოქმედს ან ავტორს მისი ნაწარმოების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობაში, ან სხვა საშუალებებით გავრცელებაში.

8.44 ინტელექტუალური ნაწარმოები შექმნილია საზოგადოების რაც შეიძლება ფართო წრეში გავრცელების მიზნით. ამის გაკეთება თავად ავტორის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა პროფესიონალი შუამავალი, რომელსაც შეუძლია ნაწარმოების ისეთი ფორმით წარდგენა, რომელიც ყველაზე მეტად მისაღები იქნება საზოგადოების ფართო წრისათვის. პიესა იწერება, რათა დაიდგას სცენაზე, სიმღერა კი – რათა შესრულდეს პროფესიონალი მომღერლის მიერ, ან გავრცელდეს ფონოგრამაზე ჩაწერის მეშვეობით, ან გადაიცეს ეთერში. პირი, რომელიც იყენებს ლიტერატურულ, მხატვრულ ან მეცნიერულ ნაწარმოებს იმისთვის, რათა ხელმისაწვდომი გახადოს იგი ფართო აუდიტორიისთვის, აგრეთვე, საჭიროებს დაცვას

ნაწარმოების საზოგადოებისთვის გაცნობის პროცესში მის მიერ შესრულებული სამუშაოს (შეტანილი წვლილის) უკანონო გამოყენებისაგან.

8.45 საინტერესოა, თუ რატომ გახდა აუცილებელი მათი დაცვა, ვინც ეხმარება ინტელექტუალურ შემოქმედს და როგორ განვითარდა ასეთი დაცვა. ავტორთა ინტერესების დაცვა არ მდგომარეობს მხოლოდ მათი ნაწარმოებების უკანონო გამოყენების თავიდან აცილებაში და არ შეიძლება შემოისაზღვროს ავტორებისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა დარღვევების აკრძალვით. მათი ნაწარმოებები განკუთვნილია საზოგადოების ფართო წრისათვის. სხვადასხვა ნაწარმოები საზოგადოებას სხვადასხვა ფორმით მიეწოდება. გამომცემელი ახორციელებს საბოლოო სახით ჩამოყალიბებული ხელნაწერის რეპროდუცირებას, ისე რომ არაფერს უმატებს იმ ფორმას, რომელშიც ავტორი გამოხატავს ნაწარმოებს. წიგნის გამომცემელთა ინტერესები დაცულია საავტორო უფლებების მეშვეობით. ამასთან, კანონით აღიარებულია ის ფაქტი, რომ საავტორო უფლება მწერალთა შემოქმედებითი შრომის აუცილებელ სტიმულსა და საგამომცემლო საქმიანობის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს.

8.46 რაც შეეხება დრამატურგიას, მუსიკას, პანტომიმას და ნაწარმოებთა სხვა სახეობებს, რომლებიც განკუთვნილია სმენითი ან ვიზუალური აღქმისათვის, აქ მდგომარეობა ოდნავ განსხვავებულია. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ნაწარმოები საყოველთაო გაცნობისათვის არის გამიზნული, იგი იდგმება სცენაზე, სრულდება, ან წარმოითქმევა შემსრულებელთა მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ჩნდება თავად შემსრულებლის ინტერესი შესრულებული ნაწარმოების საკუთარი, ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გამოყენების მიმართ.

8.47 უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ტექნოლოგიურ განვითარებაში უზარმაზარი და სულ უფრო მზარდი მიღწევების ფონზე თანდათანობით მწვავე ხასიათი მიიღო <u>ასეთი კატეგორიის</u> შუამავლებთან დაკავშირებულმა პრობლემამ. მაგალითად, ავიღოთ გასული საუკუნის დასაწყისში არსებული მდგომარეობა. იმ დროს მსახიობთა, ან მხატვრული კითხვის ოსტატების – დეკლამატორების, შესრულება მთავრდებოდა თეატრალურ წარმოდგენასთან ერთად, მუსიკოს-შემსრულებლის მუშაობა კი კონცერტის დამთავრებასთანავე, ხოლო ფონოგრამის, რადიოს, კინემატოგრაფის, ტელევიზორის, ვიდეომაგნიტოფონის და თანამგზავრის საშუალებით გადაცემის გამოგონებასთან

ერთად მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ტექნიკური პროგრესი ამ სფეროებში აფეთქების მსგავსი იყო.

8.48 ფონოგრამებისა და ჩამწერი მოწყობილობების განვითარებამ თავისი ზეგავლენა მოახდინა შემსრულებელთა პროფესიაზე. ფონოგრამამ, რადიომ, ტელევიზიამ და კინემატოგრაფმა შესაძლებელი გახადეს შესრულების დაფიქსირება სხვადასხვაგვარ მატარებლებზე, ისეთებზე, როგორიცაა: გრამ-ფირფიტები, კასეტები, მაგნიტური ფირები, კინოფირები და ა. შ. ის, რაც ადრე იყო ლოკალიზებული ან ხანმოკლე შესრულება საკონცერტო დარბაზში შეზღუდული აუდიტორიის წინაშე, გახდა ფაქტობრივად შეუზღუდავი და მრავალგზის გამოყენების უნარის მქონე პერმანენტული წარმოდგენა ასევე შეუზღუდავი აუდიტორიის წინაშე, რომელიც შორს გასცდა ეროვნულ საზღვრებს. შესაძლებელი გახდა ხმის არა მარტო ჩაწერა და შენახვა, არამედ მისი მრავალჯერადი ტირაჟირება. ვიდეოჩაწერის გაჩენასთან ერთად კი შესაძლებელი გახდა არა მარტო ხმის, არამედ გამოსახულებათა შენახვაც. ამგვარად, მსახიობთა და მუსიკოსთა შესრულებები შეიძლება დაფიქსირდეს მატერიალური ფორმით და განხორციელდეს მათი შენახვა, განმეორებით გამოყენება და ტირაჟირება.

8.49 ამის მსგავსად, რადიო- და უფრო მოგვიანებით ტელემაუწყებლობის განვითარებამაც იქონია გავლენა ნაწარმოების გამოყენების საშუალებებზე. ავტორის მიერ შექმნილი ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები ~~უკვე~~ აღარ შემოიფარგლებოდა იმ საზოგადოებით, რომელმაც ნახა პიესა, ოპერა, ან მოისმინა მუსიკალური შესრულება ამა თუ იმ საკონცერტო დარბაზში; იგი გავრცელდა გაცილებით ფართოდ, ეროვნულ და საერთაშორისო აუდიტორიაშიც კი, რომლისთვისაც ხმები და გამოსახულებები ხელმისაწვდომი გახდა საკუთარ სახლებში ან საზოგადოებრივ ადგილებში, როგორიცაა სასტუმროები და რესტორნები.

8.50 ამ ტექნოლოგიური ინოვაციების შედეგად შესაძლებელი გახდა მსახიობთა ინდივიდუალური შესრულებების რეპროდუცირება, მათი გამოყენება შემსრულებელთა დაუსწრებლად და გამომყენებლის შემსრულებელთან სავალდებულო შეთანხმების მიღწევის გარეშე. ამის პირდაპირი შედეგია ცოცხალი შესრულებით წარმოდგენების რაოდენობის შემცირება, რაც პროფესიონალ შემსრულებლებს შორის ცნობილი გახდა

როგორც “ტექნოლოგიური უმუშევრობა”. აღნიშნულის შედეგად შემსრულებელთა ინტერესების დაცვის აუცილებლობამ შეიძინა სრულიად ახალი დატვირთვა.

8.51 ზუსტად ასევე ფონოგრამების, კასეტების და უკანასკნელ დროს კომპაქტ-დისკების წარმოების სფეროს და ასეთი სახეობის პროდუქციის ტირაჟირების სწრაფმა ტექნიკურმა პროგრესმა, გამოიწვია ფონოგრამის მწარმოებელთა ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ფონოგრამების პოპულარობამ და, აგრეთვე, ბაზარზე არსებული სულ უფრო დახვეწილი ჩამწერი მოწყობილობების ხელმისაწვდომმა ფასებმა გამოიწვია მზარდი მეკობრეობა ამ სფეროში, რაც ამჟამად მსოფლიო მაშტაბის პრობლემას წარმოადგენს. ყოველწლიურად მსოფლიოში უკანონოდ იწარმოება დაახლოებით მილიარდი დოლარის ღირებულების გრამფირფიტები და კასეტები. გარდა ამისა, სამაუწყებლო ორგანიზაციებიც სულ უფრო ფართოდ იყენებენ გრამფირფიტებს და დისკებს, რაც ფონოგრამებსა და მათ მწარმოებლებს უკეთებს რეკლამას, და ამავე დროს ხდება მაუწყებლობის ორგანიზაციების ყოველდღიურ გადაცემათა პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამგვარად, შემსრულებელთა ბრძოლა საკუთარი ინტერესების დასაცავად დაემთხვა ფონოგრამების მწარმოებელთა ძალისხმევას, არ დაუშვან თავისი ფონოგრამების მართლსაწინააღმდეგო წარმოება და მიიღონ ანაზღაურება საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მიერ ფონოგრამების გამოყენებისათვის.

8.52 საბოლოოდ, სამაუწყებლო ორგანიზაციებს გაუჩნდათ ინტერესი მათ მიერ ინდივიდუალურად მომზადებულ პროგრამებთან დაკავშირებით. ამიტომ სამაუწყებლო ორგანიზაციებმა მოითხოვეს საკუთარი თავის დაცვა, როგორც თავიანთი პროგრამების მიმართ, ასევე სხვა მსგავსი კომპანიების მიერ მათი რეტრანსლაციის წინააღმდეგ.

8.53 ზემოხსენებული ტენდენციების გამო აუცილებელი გახდა შემსრულებელთა, ფონოგრამის მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების სპეციალური დაცვა. შემსრულებლებმა თავიანთი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, საკუთარი ინტერესების დასაცავად, ჩაატარეს კვლევა შესრულებათა მზარდი რაოდენობით ჩაწერასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც იწვევდა მათი შემოსავლების შემცირებას და საფრთხეს უქმნიდა “ცოცხალი” შესრულების სფეროში

არსებულ შესაძლებლობებს. შემსრულებლები გრძნობდნენ, რომ მათ ადგილს ცოცხალი გამოსვლების ადგილებში (თეატრში, რესტორანში, კაფეში და ა.შ.) დაიკავებდნენ ფონოგრამები. გარდა ამისა, ისინი უფრთხოდნენ მათი შესრულების მეორადი გამოყენების არასასურველ შედეგებს. სხვაგვარად რომ ითქვას, შესრულების ჩაწერისას შემსრულებლისათვის ერთჯერადი ანაზღაურების გადახდის შემდეგ, რჩებოდა, სარგებელის მიღების მიზნით, ამ ჩანაწერის მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა მესამე პირთა მიერ. ამასთან, შემსრულებლები თვლიდნენ, რომ ეს მეორადი გამოყენება მათ არა მხოლოდ არ მოუტანდა რაიმე დამატებით შემოსავალს, არამედ ისინი აღმოჩნდებოდნენ კონკურენციის პირობებში საკუთარი შესრულების ჩანაწერებთან, რითაც დაკარგავდნენ შემოსავალს, რომელიც შეიძლება მიეღოთ "ცოცხალი" შესრულებისათვის.

8.54 საერთაშორისო კონვენციათა უმრავლესობისგან განსხვავებით, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის კვალს მიჰყვებიან და უკვე არსებული კანონების სინთეზს წარმოადგენენ, რომის კონვენცია იყო საერთაშორისო რეგულირების შემოღების მცდელობა ახალ სფეროში, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე ეროვნული კანონი არსებობდა. ეს ნიშნავდა იმას, რომ ბევრ სახელმწიფოს მოუწევდა კანონების შემუშავება და ამოქმედება ჯერ კიდევ კონვენციასთან მიერთებამდე. 1961 წელს კონვენციის მიღების შემდეგ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (60-ზე მეტმა) მიიღო საკანონმდებლო აქტები კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო რიგი სახელმწიფოებისა მათი დამუშავების პროცესშია.

8.55 ამგვარად, რომის კონვენციის ამოქმედების შედეგად მომიჯნავე უფლებებმა მიიღეს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა. რატომ მიეკუთვნებიან ისინი მომიჯნავე უფლებებს? ამ უფლებებს მომიჯნავეს უწოდებენ, ვინაიდან მათ განვითარების გზა საავტორო უფლებების პარალელურად განვლეს და მათი გამოყენება ხშირ შემთხვევაში საავტორო უფლებების გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია არა მხოლოდ ლიტერატურული, მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოებების, როგორც საავტორო უფლებების ობიექტების, დაცვის საჭიროება, არამედ, აგრეთვე, ასეთი ნაწარმოებების გავრცელებითა და ეთერში გაშვებით დაკავებული სხვადასხვაგვარი შუამავლების ინტერესების ეფექტური დაცვის აუცილებლობაც. (საავტორო უფლებების

მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში შეიძლება ცალკე თავად იყოს შეტანილი ნორმები მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომლებიც ეხება შემსრულებელთა, ფონოგრამის მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვას).

8.56 მომიჯნავე უფლებათა ცნების ქვეშ მოიაზრება უფლებები, რომელთა მინიჭება ხდება სულ უფრო მზარდი რაოდენობის ქვეყნებში შემსრულებელთა, ფონოგრამის მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა ინტერესების დაცვის მიზნით მათ ისეთ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორიცაა ავტორთა ნაწარმოებების საჯარო გამოყენება, ყველა სახის სამსახიობო წარმოდგენა, ან მოვლენების, ინფორმაციის და ნებისმიერი ბგერების ან გამოსახულებების საჯარო გაცნობა. მომიჯნავე უფლებათა ძირითად კატეგორიებს წარმოადგენენ: შემსრულებელთა უფლება აღკვეთოს მათი შესრულების უნებართვო ფიქსაცია, ეთერში პირდაპირი გადაცემა ან საჯარო გაცნობა; ფონოგრამათა მწარმოებლების უფლება ნება დართონ ან აკრძალონ ფონოგრამების რეპროდუქცია, და ასევე კონტრაფაქციული ასლების იმპორტი და გავრცელება; მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლება ნება დართონ, ან აკრძალონ მათი პროგრამების რეტრანსლაცია, ფიქსაცია და რეპროდუქცია. განუწყვეტლივ იზრდება იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებიც ითვალისწინებენ ზოგიერთი, ან ყველა ამ უფლების დაცვას საავტორო უფლებების შესახებ საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში. ზოგიერთი ქვეყანა ანიჭებს შემსრულებლებს არაქონებრივ უფლებას მათი შესრულების დამახინჯებისაგან დასაცავად და აგრეთვე ანიჭებს უფლებას მოითხოვოს თავიანთი სახელის აღნიშვნა შესრულებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ქვეყანა ასევე მზად არის დაიცვას სამაუწყებლო ორგანიზაციების ინტერესები იმ ზომით, რათა წინ აღუდგეს მის ტერიტორიაზე, ან მისი ტერიტორიიდან პროგრამის მატარებელი ნებისმიერი სიგნალის გავრცელებას იმ დისტრიბუტორის მიერ, რომლისთვისაც პირდაპირ ან თანამგზავრის მეშვეობით გადაცემული სიგნალი არ არის განკუთვნილი. გამავრცელებლებისთვის, რომლებისთვისაც არ არის განკუთვნილი. მაგრამ მომიჯნავე უფლებების დაცვას არანაირად არ შეიძლება გაუკეთდეს ისეთი ინტერპრეტაცია, რომ იგი ხელუდავს ან რაიმე ზიანს აყენებს დაცვას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის ან საერთაშორისო კონვენციის

შესაბამისად მინიჭებული აქვთ ავტორებს ან მომიჯნავე უფლებების ბენეფიციარებს.

8.57 შემსრულებელთა უფლებების დაცვა გულისხმობს მსახიობების, მომღერლების, მუსიკოსების, მოცეკვავეებისა და სხვა პირთა ინტერესების დაცვას მათი შესრულების უკანონო გამოყენებისაგან, კერძოდ, იმ პირთა ინტერესების დაცვას, რომლებიც თამაშობენ სცენაზე, გამოდიან კონცერტებზე, სხვაგვარად ასრულებენ ლიტერატურულ ან მხატვრულ ნაწარმოებებს, ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა ჩათვლით. ტერმინი "ფონოგრამის მწარმოებელი" გულისხმობს ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც პირველი აფიქსირებს შესრულების ხმას, ან სხვა ხმებს. ფონოგრამა წარმოადგენს მარტოოდენ შესრულების ხმის ან სხვა ხმების აუდიოფიქსაციას. ფონოგრამის დუბლიკატს წარმოადგენს ნებისმიერი ნაკეთობა, რომელიც შეიცავს ფონოგრამიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ მოხსნილ ხმებს და ამ ფონოგრამაზე დაფიქსირებულ ყველა ხმას, ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს. ამგვარად, გრამფირფიტები (დისკები), მაგნიტოფონის კასეტები და კომპაქტ-დისკები წარმოადგენენ ფონოგრამის დუბლიკატებს. მაუწყებლობა ნიშნავს ხმის და/ან გამოსახულების ეთერში გადაცემას რადიოტალღების მეშვეობით ფართო აუდიტორიის მიერ მიღების მიზნით. ტრანსლაცია არის ნებისმიერი პროგრამა, რომელიც გადაცემულია ეთერში უსადენოდ (ლაზერის, გამა-სხივების და ა. შ. ჩათვლით) საზოგადოების მიერ ამგვარად გადაცემული ხმის, ან გამოსახულების და ხმის მიღების მიზნით.

8.58 კაბელური ტელევიზიის შესაძლებლობები განვითარდა სააბონენტო ანტენების სისტემებიდან. კოაქსიალური კაბელების მეშვეობით პროგრამების მიღება და გავრცელება ხდება არა მხოლოდ სხვა სადგურების მიერ სადენური პროგრამების პირდაპირი გადაცემის, არამედ, აგრეთვე, უკვე გადაცემულ პროგრამათა შემდგომი ტრანსლაციის და საკუთარ პროგრამათა გადაცემის მიზნით. ამასთან, იგი უზრუნველყოფს მიღების უფრო მაღალ ხარისხს, ვიდრე უსადენო საშუალებები. ამგვარად, კაბელური ტელევიზია არის საჯარო გაცნობის ისეთი საშუალება, რომელიც, დაცული ნაწარმოების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ნებართვის მიღების საგანს წარმოადგენს.

8.59 სადენური კავშირის მეშვეობით <u>საჯარო გაცნობა</u> ჩვეულებრივ გულისხმობს ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, რადიო და ტელეპროგრამის გადაცემას ხმის, ან გამოსახულების სახით კაბელური

ქსელის გავლით მიმღებებზე, რის შედეგადაც მოსარგებლე პირთა წრე არ არის შემოფარგლული კონკრეტული ინდივიდუმებით – კერძო პირთა ჯგუფებით.

8.60 ეფემერული ჩაწერა წარმოადგენს შესრულების, რადიო ან ტელეპროგრამის აუდიო, ან აუდიოვიზუალურ ფიქსაციას, რომელიც დამზადებულია საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შეზღუდული ვადით, ჩაწერის საკუთარი საშუალებებით და საკუთარი მაუწყებლობისთვის. ჩაწერის ამ სახის სამართლებრივი სტატუსი უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით. ეროვნული კანონმდებლობით, აგრეთვე, შეიძლება სანქციონირებული იყოს ასეთი ჩანაწერების სახელმწიფო არქივებში შენახვის შესაძლებლობა, მათი წმინდა დოკუმენტური ხასიათის გამო.

8.61 ხმის პირველი ფიქსაცია ნიშნავს ცოცხალი შესრულების ხმის, ან რაიმე სხვა ხმების, რომლებიც არ არის აღებული სხვა არსებული ფიქსაციიდან, თავდაპირველ განთავსებას ხანგრძლივი მოხმარების მატარებლებზე, როგორიცაა ლენტები, გრამფირფიტები ან სხვა შესაბამისი მოწყობილობები, რაც იძლევა მათი აღქმის, რეპროდუცირების ან სხვაგვარი მრავალჯერადი გადაცემის საშუალებას. ამასთან, ერთმანეთში არ უნდა აურიოთ პირველი ბგერითი ფიქსაცია და ფონოგრამის პირველი გამოქვეყნება.

8.62 განვიხილოთ ტერმინები "ფონოგრამით შესრულება" და "დაკვრისთვის ნებადართული დრო". "ფონოგრამით შესრულება" კინემატოგრაფიულ ან სატელევიზიო ნაწარმოებში გულისხმობს მონაწილე მსახიობის ხმის მაგიერ მეორე მსახიობის ხმის გამოყენებას, პირველი მათგანის ტუჩების მოძრაობასთან და სხვა ქმედებებთან ფონოგრამის ბგერების სინქრონიზაციით. უფრო ხშირად ეს ხერხი გამოიყენება მუსიკალურ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებში, როდესაც საჭიროა ფილმში მონაწილე ვარსკვლავის შესრულების შეთავსება მომღერლის ხელოვნებასთან. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ორივე შემსრულებლის ნებართვის მიღება. "ფონოგრამით შესრულების" ქვეშ ხანდახან, აგრეთვე, მოიაზრება შემსრულებლის ქმედებების სინქრონიზაცია საკუთარ ხმასთან, რომელიც ადრე იყო ჩაწერილი.

8.63 ცნება "დაკვრისთვის ნებადართული დრო" ზოგიერთ ქვეყანაში გულისხმობს მაუწყებლობის მიზნებისთვის კომერციული ჩანაწერების გამოყენების ოდენობას, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება დროის

პერიოდით, როგორც წესი, ერთი კვირის მანძილზე დაფიქსირებული საათების რაოდენობით. დროის ასეთი შეზღუდვა ცოცხალი შესრულების გადაცემათა სასარგებლოდ, გამოწვეულია მუსიკალური პროფესიის ინტერესების დაცვის სურვილით. ამის შესახებ შეთანხმება, ჩვეულებრივ ხდება სამაუწყებლო ორგანიზაციებსა და მუსიკალურ შემსრულებელთა ორგანიზაციებს შორის.

8.64 კიდევ ერთ ცნებას წარმოადგენს რეტრანსლაცია, რომელიც გულისხმობს სხვა წყაროდან მიღებული ტელე ან რადიო პროგრამის ტრანსლაციას, ანდა ადრე გადაცემული და ჩაწერილი პროგრამის მოგვიანებით ტრანსლაციას. ნებართვა ნაწარმოების ტრანსლაციაზე ავტომატურად არ წარმოშობს მისი რეტრანსლაციის უფლებას.

8.65 სატელიტური მაუწყებლობა ნიშნავს ნაწარმოების ან სხვა პროგრამის თანამგზავრიდან ეთერში გადაცემას ელექტრონული სიგნალების მეშვეობით. "პირდაპირი თანამგზავრული მაუწყებლობის" შემთხვევაში კოსმოსიდან წამოსული პროგრამების მატარებელი სიგნალები უკვე მოდიფიცირებულია ფართო საზოგადოების მიერ პირდაპირ მისაღებად. ასეთი პირდაპირი მიღება ხორციელდება მიწისზედა სადგურის გვერდის ავლით, რომელიც გამოსხივებულ სიგნალებს ჩვეულებრივ რადიოტალღებად გარდაქმნის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში სიგნალის გარდაქმნა ხდება თვით მაუწყებლობის თანამგზავრის მიერ.

8.66 გამანაწილებელი სატელიტის ცნება გულისხმობს პროგრამის მატარებელი იმ სიგნალების გადამცემ თანამგზავრს, რომლებიც საზოგადოების მიერ მათი მიღების მიზნით უნდა გარდაიქმნას შესაბამისი სახმელეთო სადგურის მიერ.

8.67 პროგრამის მატარებელი სიგნალი არის ელექტრონული მატარებელი, რომელიც საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების პროგრამებს გადასცემს კოსმოსური სივრცის გავლით. "გამოსხივებული სიგნალი" ნიშნავს პროგრამის მატარებელ სიგნალს, რომელსაც ღებულობს ან ატარებს თანამგზავრი. "წარმოებული სიგნალი" ნიშნავს გამოსხივებული სიგნალის ტექნიკური მახასიათებლების გარდაქმნით მიღებულ სიგნალს, ძირითადად ფართო საზოგადოებისთვის გადაცემის მიზნით. ამ კონსტექსტში პროგრამა ნიშნავს ჩაწერილი ან ცოცხლად შესრულებული მასალის ერთობლიობას, რომელიც შეიცავს გამოსახულებას, ბგერებს ან ორივეს ერთად და

განსახიერებულია გამოსხივებულ სიგნალებში შემდგომი გავრცელების მიზნით.

8.68 თანამგზავრიდან ფართო საზოგადოების მიერ სიგნალის პირდაპირ მიღება ნიშნავს პროგრამის მატარებელი სიგნალის მიღებას შუალედური სახმელეთო სადგურის გარეშე, რომელიც გამოსხივებულ სიგნალს გარდაქმნის ჩვეულებრივ რადიოტალღებად. ასეთ შემთხვევაში გარდაქმნა ხორციელდება თვით პირდაპირი მაუწყებლობის თანამგზავრის მიერ. (1974 წლის კონვენცია "თანამგზავრების შესახებ" არ ეხება ფართო საზოგადოების მიერ კოსმოსიდან სიგნალების პირდაპირი მიღების შემთხვევებს).

8.69 მომიჯნავე უფლებათა სფეროში მეკობრეობა ნიშნავს ნებართვის გარეშე ფონოგრამათა რეპროდუცირებას საჯარო გავრცელების მიზნით, აგრეთვე, სამაუწყებლო ორგანიზაციათა პროგრამების რეტრანსლაციას, თანამგზავრული გადაცემების ჩათვლით. კონცერტზე განხორციელებული ცოცხალი შესრულების ან რადიო და ტელეპროგრამების უკანონო ფიქსირებას, აგრეთვე ასეთი ფიქსირების რეპროდუცირებას და გასაღებას, ჩვეულებრივ ეწოდება "ბუტლეგერობა".

8.70 სასამართლო წესით მომიჯნავე უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურებასა და სხვა სანქციებს, რომლებიც კანონით აქვთ მინიჭებული შემსრულებლებს, ფონოგრამების მწარმოებლებს და მაუწყებლობის ორგანიზაციებს, რათა დაიცვან თავიანთი უფლებები და კანონიერი ინტერესები. აღნიშნულში უპირველესად მოიაზრება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები, ისეთი როგორიც არის სასამართლოს მიერ დამრღვევის იძულება შეწყვიტოს მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა და აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, - იქნება ეს პრესის საშუალებით უფლების დარღვევის ფაქტების აღიარება, თუ ფულადი კომპენსაციის გადახდა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჯარიმების ან/და პატიმრობის სახით. კონტრაფაქციულ ეგზემპლარებს, ასეთი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს და მისთვის გამოყენებულ მოწყობილობას, როგორც წესი, ყადაღა ედება.

8.71 დაბოლოს, იმის გამო, რომ ქვეყანათა კულტურულ ცხოვრებაში, განვითარებადი ქვეყნების ჩათვლით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ მემკვიდრეობას, მომიჯნავე უფლებებით დაცვა ანიჭებს უფლებებს მათ, ვი-

საც ამ მემკვიდრეობის ინტერპრეტაციასა და გავრცელებაში შეაქვს წვლილი. ეს განსაკუთრებით საინტერესოა ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისთვის, სადაც კულტურული ტრადიცია ძირითადად ზეპირსიტყვიერია და ავტორი ხშირად შემსრულებლადაც გვევლინება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხალხური შემოქმედების, ანუ ფოლკლორის ნაწარმოებები. საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რათა დაცული იყოს ხელოვანთა ინტერესები, რომლებიც ასრულებენ და ამით თაობებს უნახავენ ამ სახის ნაწარმოებებს. ამავე დროს, ფონოგრამების მწარმოებელთა ინტერესების დაცვით, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, საფუძველი ეყრება მრეწველობის შესაბამისი სექტორის შექმნას. ეს ახალი ინდუსტრია უზრუნველყოფს ეროვნული კულტურის გავრცელებას, როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ და იმავდროულად ქვეყნის ეკონომიკისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი საქმიანობა სცილდება ქვეყნის ფარგლებს, იგი უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის შემოდინებასაც. არ უნდა დავივიწყოთ, აგრეთვე, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა როლი განვითარებად ქვეყნებში და მათი ბუნებრივი დაინტერესება თავიანთი პროგრამების დაცვაში მართლსაწინააღმდეგო რეტრანსლაციის, რეპროდუცირებისა და საჯარო გაცნობისაგან.

8.72 ამგვარად, მომიჯნავე უფლებათა დაცვის მნიშვნელობის აღიარება საავტორო უფლებათა დაცვასთან ერთად, წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს. მომიჯნავე უფლებათა დაცვის საშუალებებისა და ამ სფეროს საერთაშორისო კონვენციათა შესაძლებლობების გამოყენებით განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ დააბალანსონ თავიანთი მოთხოვნილება ნაბეჭდი პროდუქციის იმპორტზე, მაგალითად, მათი ფოლკლორის შესრულების, ფიქსაციის და ტრანსლირების კონტროლირებადი გამოყენების მეშვეობით.

F. საავტორო უფლებათა მფლობელობა

8.73 ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი ჩვეულებრივ, თავდაპირველად მაინც, არის ის პირი, რომელმაც შექმნა ნაწარმოები, ანუ მისი ავტორი.

8.74 ამ ზოგად პრინციპს აქვს გამონაკლისები, რომლებიც რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობით შეიძ-

ლება გათვალისწინებული იყოს, რომ იმ ავტორის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც სპეციალურად ამისთვის არის დაქირავებული, საავტორო უფლებები ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს და არა ავტორს.

8.75 მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებზე არაქონებრივი უფლებები ყოველთვის მის ავტორს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საავტორო (ქონებრივი) უფლების მფლობელი.

8.76 ბევრ ქვეყანაში საავტორო უფლებები (არაქონებრივი უფლებების გამოკლებით) შეიძლება მფლობელის მიერ გადაეცეს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც, ამგვარად, საავტორო უფლების მფლობელი ხდება.

8.77 ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საავტორო უფლებების გადაცემას. მიუხედავად ამისა, იგივე პრაქტიკული შედეგის მიღწევა შესაძლებელია ლიცენზირების მეშვეობით. ლიცენზირება ნიშნავს, რომ საავტორო უფლების მესაკუთრედ რჩება მისი მფლობელი, მაგრამ აძლევს სხვა პირს თავისი უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენების ნებართვას. როდესაც ასეთი უფლებამოსილების ან ლიცენზიის ვადა საავტორო უფლებების ვადის ტოლია და თვით ნებართვა ან ლიცენზია ვრცელდება საავტორო უფლებებით დაცულ ყველა უფლებაზე (რა თქმა უნდა, არაქონებრივი უფლებების გამოკლებით), ლიცენზიატის სტატუსი მესამე პირთა მიმართ და ყველა პრაქტიკული მიზნებისათვის ისეთივეა, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის სტატუსი.

G. საავტორო უფლებების დაცვის შეზღუდვები

(a) დროებითი

8.78 საავტორო უფლებები არ გრძელდება განუსაზღვრელი დროით. კანონი ადგენს საავტორო უფლებების მოქმედების განსაზღვრულ ვადას.

8.79 საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნის მომენტიდან და მოქმედებს განსაზღვრული დროის მანძილზე ავტორის გარდაცვალების შემდეგ. კანონის ამ ნორმის მიზანია – საშუალება მისცეს ავტორის მემკვიდრეებს მიიღონ მატერიალური სარგებელი ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

8.80 ბერნის კონვენციის წევრი - სახელმწიფოების და ბევრ სხვა ქვეყნის კანონმდებლობით საავტორო უფლებები მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და

მისი გარდაცვალების შემდეგ არანაკლებ 50 წლის განმავლობაში. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ტენდენცია დაცვის მოქმედების ვადის გაზრდისაკენ.

(b) გეოგრაფიული

8.81 მეორე შეზღუდვა გეოგრაფიული ხასიათისაა. ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელი ქვეყნის კანონით დაცულია იმ ქმედებებისგან, რომლებიც აკრძალულია კანონმდებლობით და განხორციელებულია ამ ქვეყანაში. რაც შეეხება ამგვარ ქმედებებს, რომლებიც განხორციელებულია სხვა ქვეყანაში, უფლებამფლობელმა უნდა იმოქმედოს ამ მეორე ქვეყნის კანონების შესაბამისად. თუ ორივე ქვეყანა არის საავტორო უფლებების შესახებ ერთ-ერთი საერთაშორისო კონვენციის წევრი, გეოგრაფიული შეზღუდვებიდან წარმოქმნილი პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად მარტივია.

(c) ნებადართული გამოყენება

8.82 კანონით დადგენილ ზოგიერთ შემთხვევაში, საავტორო უფლებებით ჩვეულებრივ შეზღუდული ზოგიერთი ქმედების განხორციელება დასაშვებია საავტორო უფლებების მფლობელის ნებართვის გარეშე. ასეთ გამონაკლისებს ეწოდებათ "კეთილსინდისიერი გამოყენება". ამის მაგალითებია: ნაწარმოების რეპროდუცირება მხოლოდ პირადი და კერძო მიზნებისათვის გამოსაყენებლად; დაცული ნაწარმოებიდან ციტატების მოყვანა იმ პირობით, რომ ციტატის წყარო, ავტორის სახელის ჩათვლით, იქნება მოხსენიებული და ციტირების მოცულობა შეესაბამება კეთილსინდისიერი გამოყენების პრაქტიკას.

(d) არამატერიალური ნაწარმოებები

8.83 ზოგიერთ ქვეყანაში ნაწარმოები არ ექვემდებარება დაცვას, თუ იგი არ არის მატერიალური ფორმით დაფიქსირებული. ზოგიერთ ქვეყანაში დაცვას არ ექვემდებარება კანონის ტექსტები, სასამართლო დადგენილებები და ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებები (უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ასეთი ოფიციალური ტექსტები არ არის ამოღებული საავტორო უფლებებით დაცვის სფეროდან და უფლებამფლობელს

წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც იყენებს მათ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე).

(e) სხვადასხვა

8.84 "კეთილსინდისიერი გამოყენების" პრინციპზე დაფუძნებული გამონაკლისების გარდა ეროვნულ კანონმდებლობასა და ბერნის კონვენციაში დაფიქსირებულია სხვა გამონაკლისებიც. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოების ეთერში გადაცემა ნებადართულია, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა უფლებას აძლევს შესაბამის საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას გააკეთოს ნაწარმოების დროებითი ჩაწერა გადაცემის განხორციელების მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთ ჩაწერაზე არ არის გაცემული სპეციალური ნებართვა. ზოგიერთი სახელმწიფოს კანონით ნებადართულია დაცულ ნაწარმოებთა უნებართვოდ ეთერში გაშვება იმ პირობით, თუ საავტორო უფლებების მფლობელს გადაუხდიან საკმარის ანაზღაურებას. აღნიშნულ სისტემას, რომლის შესაბამისად ანაზღაურების უფლებამ შეიძლება შეცვალოს ამა თუ იმ ქმედებაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება, ხშირად ეწოდება "იძულებითი ლიცენზირების" სისტემა. ასეთ ლიცენზიებს ეწოდება იძულებითი, რადგანაც ისინი წარმოადგენენ კანონის განხორციელების შედეგს და არ გამომდინარეობენ საავტორო უფლებების მფლობელის მიერ ამა თუ იმ ქმედებაზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლების გამოყენებიდან.

H. მეკობრეობა და დარღვევები

8.85 საავტორო უფლების მფლობელის უფლებათა დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქმედება, რომელიც საჭიროებს უფლებამფლობელის ნებართვას, ჩადენილია სხვა პირის მიერ მისი თანხმობის გარეშე. საავტორო უფლებით დაცულ მასალათა ეგზემპლარების კომერციული მიზნებით უნებართვოდ დამზადება და აგრეთვე მათი გამოყენებით უნებართვო კომერციული ოპერაციების წარმოება წარმოადგენს "მეკობრეობას".

(a) მეკობრეობის გავრცელების სფერო

8.86 მეკობრეობის არსს წარმოადგენს ის, რომ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა ხორციელდება კომერციული სარგებლის მიღების მიზნით. ეს კი

ნიშნავს, რომ მეკობრეობა უფრო ხშირად ორგანიზებულად ხორციელდება, რადგანაც საქმე არა მარტო ნაწარმოების უნებართვო რეპროდუცირებას, არამედ უკანონოდ რეპროდუცირებული ნაწარმოების შემდგომ გაყიდვას ან სხვაგვარ გავრცელებას ეხება, რაც აუცილებელს ხდის გასაღების ორგანიზებული ქსელის, ან პოტენციურ მყიდველებთან კონტაქტების ამა თუ იმ ფორმით არსებობას. მომხმარებელს ჩვეულებრივ საქმე აქვს მხოლოდ ამ ჯაჭვის ბოლო რგოლთან, კერძოდ კი პირატული პროდუქციის საცალო გაყიდვის წერტთან. ასეთ მეკობრეობასთან ეფექტური ბრძოლის საშუალებათა ძიებისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ასეთი საცალო წერტის უკან დგას ორგანიზებული დანაშაულებრივი საწარმო, რომელიც დაკავებულია დაცულ ნაწამროებთა უკანონო ტირაჟირებით და სავაჭრო წერტების მეშვეობით მათი ასლების გაყიდვით.

8.87 თუმცა მეკობრეობა ადრეც არსებობდა, უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა ორმა მოვლენამ მისი მასშტაბების საშიში ზრდა გამოიწვია, რაც ძირს უთხრის საავტორო უფლებების დაცვის სისტემის საფუძველს.

8.88 პირველი აღნიშნული მოვლენებიდან არის ინტელექტუალურ ნამუშევართა გაცნობა-გავრცელების ტექნიკურ საშუალებათა პროგრესი. ბეჭდითი სიტყვა სულ უფრო მეტად უთმობს ადგილს აუდიო და ვიდეოჩანაწერის ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, როგორიც არის ფონოგრამები, კასეტები, დისკები, კინოფილმები და ვიდეოფილმები. კომპიუტერი, რომელიც პრაქტიკულად ყველგან ხელმისაწვდომი ხდება, აგრძელებს ტექნიკურ საშუალებათა ამ ნუსხას. უკანასკნელ პერიოდში, პროგრესმა ციფრული ტექნოლოგიის სფეროში დიდი გავლენა მოახდინა შემოქმედებითი შრომის ნაწარმოებთა შექმნის, გავრცელებისა და გამოყენების პროცესზე.

8.89 საავტორო უფლებათა დაცვის სისტემამ აღნიშნულ ტენდენციებს, დაცვის ობიექტთა ნუსხის თანდათანობით გაფართოებით უპასუხა. ამჟამად, საავტორო უფლებებით დაცულია არა მარტო წიგნები, არამედ მუსიკალური და მხატვრული ნაწარმოებები, ვიზუალური ჩანაწერები კინოფილმებისა და ვიდეოფილმების სახით, რადიო და ტელეგადაცემები და აგრეთვე დაცვის ზოგიერთი სისტემის პირობებში კომპიუტერული პროგრამებიც. რა თქმა უნდა, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საყოველთაო გავრცელების

საშუალებათა სწრაფი პროგრესის შედეგები სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის და ამდიდრებს ავტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ხასიათს. მაგრამ ასეთი პროგრესის ერთ-ერთი თანმხლები მოვლენაა ის, რომ მეკობრეობას მიეცა გაცილებით უფრო ფართო ასპარეზი, რაც ხელს უშლის ავტორს საკუთარი ნაწარმოებების გავრცელების და გამოყენების პროცესის სათანადოდ გაკონტროლებაში.

8.90 ინტელექტუალურ ნაწარმოებთა გავრცელების ტექნიკურ საშუალებათა დარგში პროგრესთან ერთად ადგილი ჰქონდა შემოქმედებითი შრომის ამ შედეგების მატერიალური ფორმით რეპროდუცირების საშუალებათა სწრაფ განვითარებას. ამ უკანასკნელთაგან ძირითადია:

(1) ოფსეტური ბეჭდვის, სამრავლებელი მოწყობილობების და ფოტოკოპირების ტექნიკის განვითარება;

(2) მაგნიტური ლენტის გამოგონება, კომპაქტ-დისკის გამოჩენა და მაღალი ხარისხის, შედარებით იაფი კასეტური მაგნიტოფონების გამოშვება, რომლებიც არა მარტო უკვე ჩაწერილი კასეტების მოსმენის, არამედ მუსიკალურ ნაწარმოებთა ცოცხლად შესრულებიდან, რადიოდან და გრამფირფიტებიდან ჩაწერის საშუალებას იძლევა;

(3) ვიდეომაგნიტოფონის გამოგონება, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა კინოფილმების და სხვა, ძირითადად ვიზუალურ, ნაწარმოებთა მიღების საშუალებები.

8.91 ასეთი ტექნიკური მიღწევების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს განსხვავება ავტორისა და მისი საქმიანი პარტნიორების მიერ ორიგინალური ჩანაწერის დამზადებაზე გაწეულ დანახარჯსა და ამ ჩანაწერის სხვების მიერ რეპროდუცირების დანახარჯებს შორის. კინოსურათის შემთხვევაში პროდიუსერმა, პარტნიორებისა და საკუთარი ინვესტიციების მეშვეობით უნდა დააფინანსოს სცენარისტი, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი, კომპოზიტორი, მსახიობები, დამხმარე პერსონალი, აგრეთვე, გადაიხადოს გადასაღები მოედნის, რთული ვიდეო და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენების საფასური. მაგრამ მას შემდეგ, რაც დამზადდება კინოფილმის მატერიალური ჩანაწერი, განსაკუთრებით ვიდეოჩანაწერის სახით, ნაწარმოების შემდგომი ეგზემპლარების მიღება შესაძლებელია ძალიან იოლად და მინიმალური ხარჯებით. ამგვარად, ხმის ჩაწერის ტექნიკის სფეროში პროგრესმა მეკობრეებს მისცა პირველადი ნაწარმოების უკანონო

ეგზემპლარების იოლი დამზადების საშუალება. იმის გამო, რომ მეკობრე არ აკეთებს არავითარ კაპიტალურ დაბანდებას ორიგინალური კინოფილმის წარმოებაში, მას არ სჭირდება საკუთარი დანახარჯების კომპენსირება. ამიტომ, მეკობრული ასლები ჩვეულებრივ იყიდება დაბალ ფასებში, რაც ძირს უთხრის ავტორისა და ინვესტორთა შესაძლებლობას მიიღონ თავისი შრომისა და ფინანსური რისკის სამართლიანი მორალური და მატერიალური ანაზღაურება.

(b) მეკობრეობის შედეგები

8.92 მეკობრეობა ზიანს აყენებს საავტორო უფლებათა დაცვის სისტემის ყველა კომპონენტს: ინტელექტუალური ნაწარმოების შექმნას, წარმოებას და გავრცელებას. ეს სხვადასხვა ელემენტები და მეკობრეობით მათზე მიყენებული ზარალი შემდეგია:

(i) ავტორები და შემსრულებლები

8.93 მეკობრეები უკანონოდ აწარმოებენ და ავრცელებენ ნაბეჭდ ნაწარმოებებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს, აგრეთვე უკანონოდ იწერენ ცოცხალ შესრულებებს და ამ აკრძალულ ჩანაწერებს ავრცელებენ მოგების მიღების მიზნით, ამასთან არ უხდიან არავითარ ანაზღაურებას ავტორებს და შემსრულებლებს. ამ უკანასკნელთათვის ასეთი ანაზღაურება არსებობის საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, მეკობრეობის შედეგად შემსრულებლები კარგავენ კონტროლს თავიანთი ნაწარმოების საჯარო შესრულებაზე, რის შედეგადაც შესაძლებელია მათი მუშაობის პერსპექტივების მნიშვნელოვნად შემცირება. მეკობრეობა ართმევს რა ავტორებს და შემსრულებლებს თავიანთი შემოქმედებითი შრომის სათანადო ეკონომიკური ანაზღაურების საშუალებას, დიდ ზიანს აყენებს კულტურის, და პირველ რიგში ეროვნული შემოქმედების განვითარებას.

(ii) გამომცემლები და ფონოგრამათა მწარმოებლები

8.94 გამომცემელთა ფინანსური დანახარჯები წიგნების და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის მხატვრულ გაფორმებაზე, ბეჭდვასა და გამოცემაზე, ისევე როგორც, ფონოგრამათა მწარმოებლების დანახარჯები აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ორანჟირებასა და დამზადებაზე, ავტორებისა და

შემსრულებლების შრომას მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის ფართო აუდიტორიისათვის. საუბარია არა მარტო ფინანსურ დანახარჯებზე, არამედ ფართო აუდიტორიისათვის წარსადგენ ნაწარმოებთა ფორმისა და შერჩევის საქმეში მნიშვნელოვან გამოცდილებაზე. ბაზარზე გასვლისას გამომცემლებმა და ფონოგრამათა მწარმოებლებმა უნდა დაუშვან მარცხის შესაძლებლობაც და ამგვარი დანაკარგების რისკი გაითვალისწინონ საკუთარ ეკონომიკურ გაანგარიშებებში. მეკობრისგან არ მოითხოვება ასეთი დიდი ფინანსური დანახარჯები, გამოცდილება, გაანგარიშების სიზუსტე და რისკზე წასვლის მზადყოფნა. თავის მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში ის უმთავრესად არჩევს იმ ნაწარმოებებს, რომლებმაც უკვე მიაღწიეს წარმატებას ბაზარზე. შედეგად, გამომცემლებს და ფონოგრამათა მწარმოებლებს არ შეუძლიათ სრულად მოიმკონ კომერციული წარმატების ნაყოფი, და ამასთანავე, იძულებული არიან გაითვალისწინონ დამატებითი დანაკარგები ახალ ნაწარმოებთა ბაზარზე ჩავარდნის შემთხვევაში.

(iii) დისტრიბუტორები

8.95 საავტორო უფლებათა დაცვის სისტემაში შემდეგი მნიშვნელოვანი ელემენტია წიგნების, მუსიკალური ნაწარმოების და ხმის ჩაწერის დისტრიბუციის წერტები. რადგან მეკობრეებმა ნაწარმოებების შექმნაზე არავითარი დანახარჯები არ გასწიეს და ამიტომ შეუძლიათ მათი შედარებით დაბალი ფასით გავრცელება, კანონიერ გამსაღებელ ორგანიზაციებს ხშირად არ შეუძლიათ მათთან კონკურენციის გაწევა. შედეგად, ზარალშია როგორც კანონიერი სადისტრიბუტორო ქსელი, ასევე ავტორები, გამომცემლები და ფონოგრამათა მწარმოებლები, რომლებიც კარგავენ თავიანთი ნაწარმოებებისთვის ბაზრის კანონიერი წილის მოპოვების შესაძლებლობას.

(iv) მომხმარებლები

8.96 მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელმა ზოგჯერ შეიძლება მიიღოს მოკლევადიანი სარგებელი მეკობრეობის შედეგად ნაწარმოების შედარებით იაფად შეძენით, მეკობრეთა მიერ დამზადებული რეპროდუქციების ხარისხი ხშირად ძალიან დაბალია. მომხმარებელი გრძელვადიან პერიოდშიც წაგებული რჩება, რაც არის პირატების მიერ ავტორებისა და შემსრულებლებისთვის ანაზღაურების გადაუხდელობისა და გამომცემელთა

და ფონოგრამების მწარმოებელთა ფინანსური უკუგების უკანონოდ მითვისების შედეგი. ეკონომიკური ანაზღაურების ასეთი გადანაწილება ავტორებისა და მათი საქმიანი პარტნიორებისგან მეკობრეთა სასარგებლოდ უკარგავს სტიმულს ახალ ნაწარმოებთა შესაქმნელად დროის, ძალისხმევის, გამოცდილებისა და რესურსების ინვესტირებას.

(v) ხელისუფლების ორგანოები

8.97 რადგანაც მეკობრული საქმიანობა ფარულად ხორციელდება, მეკობრეთა მიერ მიღებული მოგება არანაირად არ იბეგრება. სახელმწიფოს მიერ შემოსავლის ასეთი დაკარგვის ერთ-ერთ არასასურველ შედეგს წარმოადგენს ხელოვნების მუშაკთათვის სახელმწიფო მხარდაჭერის შემცირება, რადგანაც ასეთი მხარდაჭერის დონე ნაწილობრივ დამოკიდებულია დაცული ნაწარმოებების გაყიდვის, ან გავრცელების საქმიანობის დაბეგვრის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესულ თანხებზე.

8.98. ამგვარად, მეკობრეობა ზიანს აყენებს საავტორო უფლებათა სისტემის თითოეულ ელემენტს და, როგორც შედეგი, საფრთხეს უქმნის ეროვნული კულტურული თვითმყოფადობის განვითარებას და აყვავებას, რომლის ხელშეწყობისთვისაც არის მოწოდებული საავტორო უფლებების დაცვის სისტემა.

I. სასამართლო დაცვის საშუალებები

(a) შესავალი

8.99 სასამართლო დაცვის საშუალებები საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისას შედგება სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებებისაგან, როდესაც სასამართლო ავალდებულებს დამრღვევს შეწყვიტოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება და აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, მაგალითად, პრესაში უარყოფის ან ფულადი კომპენსაციის გზით. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის სასჯელს ჯარიმის და/ან დაპატიმრების სახით. კონტრაფაქციული ეგზემპლარები, შემოსავალი გასაღების ასეთი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობიდან და მისთვის გამოყენებული მოწყობილობა, როგორც წესი, ექვემდებარება დაყადაღებას.

8.100 სასამართლო დაცვის ძირითად საშუალებას, რომელსაც შეიძლება მიმართოს საავტორო უფლების მფლობელმა მისი უფლებათა დარღვევის შემთხვევაში და რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო სამართალი, წარმოადგენს სასამართლოს დადგენილება დარღვევის შეწყვეტისა და უფლებამფლობელისთვის ზარალის ანაზღაურების შესახებ. მაგრამ მეკობრული საქმიანობის ორგანიზებული ხასიათის გამო, სასამართლო დაცვის ამ საშუალებათა ეფექტურობას შეიძლება შეექმნას საფრთხე რიგ მიზეზთა გამო.

8.101 პირველ რიგში, მართლსაწინააღმდეგო ასლების დამზადებისა და გავრცელების ორგანიზატორი ხშირად შეიძლება სარგებლობდეს საცალო ვაჭრობის დიდი რაოდენობის დროებითი სავაჭრო წერტით. უფლებამფლობელს გაუძნელდება ყველა მათგანის ადგილმდებარეობის დადგენა, მათი ურთიერთკავშირებისა და მომარაგების საერთო წყაროს არსებობის ფაქტის დადასტურება. გარდა ამისა, მეკობრისთვის, ან მისი უკანონო პროდუქციის გამსაღებლებისთვის სასამართლო აკრძალვის ასლის გადაცემამ შეიძლება გამოიწვიოს მომარაგების წყაროსა და გაყიდვების მასშტაბების შესახებ მნიშვნელოვანი სამხილების განადგურება. დამატებით, ვინაიდან მეკობრული საქმიანობა ხშირად საერთაშორისო ხასიათს ატარებს, არსებობს იმის საშიშროება, რომ ფინანსური რესურსები და მეკობრის სხვა აქტივები გატანილი იქნება იმ ტერიტორიიდან, რომელზეც ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს იურისდიქცია, რის შედეგადაც საავტორო უფლებების მესაკუთრე დაკარგავს ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობას.

8.102 ეს სიძნელეები, რომლებიც მეკობრეობასთან ბრძოლას ახლავს, ხაზს უსვამს სასამართლო დაცვის პირველად საშუალებათა დაუყონებლივი გამოყენების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს მეკობრის წინააღმდეგ სამხილების შეგროვებას, თავიდან აიცილებს მათ განადგურებას და იმ ფინანსური რესურსების ქვეყნის საზღვრებს გარეთ გადაგზავნას, რომელთა მიმართაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება. შევჩერდეთ ამ მიმართულებით რიგ ქვეყანაში არსებულ უკანასკნელ ტენდენციებზე.

(b) დადგენილება ანტონ პილერის საქმეზე

8.103 სასამართლო დაცვის დროებითი ზომების ახალ საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. დადგენილებას ანტონ პილერის

საქმეზე. ეს სახელწოდება დაკავშირებულია დადგენილებასთან, რომელიც ინგლისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო საქმეზე "ანტონ პილერ კ.გ. მანუფაქტურინგ როსესის ლტდ-ს წინააღმდეგ (1976) RPC 719". ეს დადგენილება იმ შენობების დათვალიერების ნებართვას იძლევა, რომლებშიც სავარაუდოდ ხორციელდებოდა მოსარჩელის საავტორო უფლებების შემლახავი საქმიანობა. დადგენილების ზოგიერთი მახასიათებლები მეკობრეობის აქტების წინააღმდეგ სასამართლო დაცვის განსაკუთრებით ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენენ:

(1) დადგენილება გამოაქვთ ex parte, ანუ მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელის განცხადების საფუძველზე და მისი თანდასწრებით, მოპასუხის წინასწარი შეტყობინების გარეშე. ამგვარად, დადგენილების გამოტანა მოულოდნელია მოპასუხისათვის და გამორიცხავს ამ უკანასკნელის მიერ მნიშვნელოვანი სამხილის განადგურების ან დამალვის შესაძლებლობას.

(2) პირობები, რომელთა საფუძველზე გამოტანილია დადგენილება, საშუალებას აძლევს საავტორო უფლებების მფლობელს დაათვალიეროს მოპასუხის შენობები და გაეცნოს დარღვევასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს (ბიზნეს ინფორმაციის ჩათვლით, როგორიცაა ანგარიშები, ანგარიშ-ფაქტურები, კლიენტების ნუსხები და მომარაგების წყაროები). აღნიშნულის წყალობით უფლებამფლობელს შეუძლია მეკობრული ასლების დამზადების წყაროს და მათი გაყიდვების მასშტაბების დადგენა, რაც, თავის მხრივ, მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

(3) სასამართლო დადგენილებას შენობის დათვალიერების თაობაზე ბევრ შემთხვევაში თან ახლავს აგრეთვე განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს შეცვალოს ან გადაადგილოს საგნები, ან დოკუმენტები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ დადგენილებაში.

8.104 ანტონ პილერის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, უდავოდ, მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა არსენალში კარგ იარაღს წარმოადგენს. მაგრამ იმის გამო, რომ დადგენილება გამოიტანება ex parte-ს პრინციპით, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმ პირთა უფლებების დაცვა, რომელთა წინააღმდეგაც ის გამოტანილია და რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებით ჯერ არ არის გამოტანილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს ორი ასეთი დამცავი

ზომა, რომლებსაც, შესაბამისი იურისდიქციის არსებობისას, მოითხოვენ სასამართლოები. ჯერ ერთი, ასეთი გადაწყვეტილება გამოაქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელის მიერ დათვალიერების ჩატარება მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აბსოლუტურად აუცილებელია. ამ პირობის დასაკმაყოფილებლად საავტორო უფლებების მფლობელმა, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს აშკარა მონაცემები იმის თაობაზე, რომ მოპასუხეს გააჩნია ბრალის დამამტკიცებელი დოკუმენტები და მასალები; რომ საქმის ვითარების მიხედვით არსებობს ბრალის დამამტკიცებელი მასალების განადგურების, ან დამალვის რეალური შესაძლებლობა, ან სერიოზული საშიშროება, თუ მოპასუხე წინასწარ გაფრთხილებული იქნება სასამართლო განხილვის შესახებ; და რომ მოპასუხის მიერ სავარაუდოდ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედებების შედეგად მოსარჩელისთვის მიყენებული პოტენციური, ან ფაქტობრივი ზიანი მეტად სერიოზულია.

8.105 მეორე დამცავი ზომა, რომელიც ხშირად მოითხოვება სასამართლოს მიერ, არის დადგენილების შესრულებისას მოპასუხის უფლებათა პატივისცემა. კერძოდ, შეიძლება წამოყენებული იყოს მოთხოვნა, რომ დადგენილების აღსრულებისას საავტორო უფლებების მფლობელს თან ახლდეს მისი ადვოკატი, რათა მოპასუხეს მიეცეს საკმარისი შესაძლებლობა გაიაზროს დადგენილების შინაარსი და გამოირიცხოს მოპასუხის შენობაში მისი ნების გარეშე ძალმომრეობით შეჭრა. რა თქმა უნდა, თუ მოპასუხე უარზე იქნება მის შენობაში შესვლაზე, ეს გამოიწვევს უკიდურესად არასასურველ დასკვნებს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ შემდგომ სასამართლო პროცესზე.

8.106 ანტონ პილერის საქმეზე დადგენილებასთან დაკავშირებით საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მისი გამოყენების ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ერთ საქმეში, რომელშიც მოპასუხემ, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არ მიცემის პრივილეგიაზე დაყრდნობით, მიაღწია ანტონ პილერის დადგენილების გაუქმებას, დაამტკიცა რა, რომ ის აყენებს მას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის რეალური საშიშროების წინაშე (რენკ ფილმ დისტრიბიუტორს ლტდ ვიდეო ინფორმეიშენ სენტერ-ის წინააღმდეგ (1981)). იმისთვის, რათა არ განმეორდეს ასეთი პრეცედენტი, შეიძლება აუცილებელი გახდეს კანონის მიღება, რათა გაუქმდეს საკუთარი თავის

წინააღმდეგ ჩვენებების მიცემაზე უარის თქმის უფლება, როგორც ანტონ პილერის საქმეზე დადგენილების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი, როგორც ეს გაკეთდა გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს 1981 წლის გადაწყვეტილებით.

(c) მესამე პირთა წინააღმდეგ საქმის გარემოებებზე მასალების შეგროვება

8.107 რიგი ქვეყნის სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს, რომ უდანაშაულო მესამე პირი, რომელიც გარეულია სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში, ვალდებულია მიაწოდოს მოსარჩელეს მის განკარგულებაში არსებული მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სამართალდამრღვევის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელში. ეს გადაწყვეტილება წარმოიშვა ინგლისში, საქმეზე "ნორვიჩ ფარმაკალ კო. საბაჟო და აქციზის საქმეთა კომისრების წინააღმდეგ" (1972 RPC 743, 1974 AC 133), რომელშიც მოსარჩელეებმა (ქიმიურ შენაერთებზე პატენტის მფლობელებმა) აღმოაჩინეს, რომ სხვადასხვა პირები, მათი პატენტის დარღვევით, დაკავებულნი იყვნენ ქვეყანაში ამ ნაერთის იმპორტით, მაგრამ ვერ მოახერხეს ამ პიროვნებების დადგენა. ეს ინფორმაცია გააჩნდათ საბაჟო და აქციზის საქმეთა კომისრებს, ვინაიდან საბაჟო წესების მიხედვით იმპორტიორები ვალდებულნი იყვნენ შეევსოთ შესაბამისი დოკუმენტები საკუთარი დასახელების მითითებით და საქონლის აღწერით. საბაჟო სამსახურმა უარი თქვა იმპორტიორების ვინაობის გამხელაზე იმის საფუძველზე, რომ ეს ინფორმაცია მათ კონფიდენციალურად მიეწოდათ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ უდანაშაულო მესამე მხარე, ამ შემთხვევაში საბაჟო სამსახური, რომელიც თავისდაუნებურად აღმოჩნდა გარეული მართალსაწინააღმდეგო ქმედებებში, ვალდებულია მიაწოდოს მოსარჩელეს სამართალდარღვევასთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული ინფორმაცია. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე უკავშირდებოდა პატენტს, იგი მიესადაგება, აგრეთვე, საავტორო სამართალსაც და მისი გამოყენება შეიძლება საავტორო უფლებების მფლობელების მიერ, რომლებმაც ვერ შეძლეს მეკობრე იმპორტიორების იდენტიფიცირება.

8.108 მსგავსი, მაგრამ უფრო ეფექტური პროცედურის ნახვა შეიძლება ინდოეთის 1957 წლის საავტორო უფლებების შესახებ კანონის 53 კარში.

კარის დებულებები საავტორო უფლებების რეგისტრატორს უფლებას აძლევს გამოიტანოს დადგენილება, რომელიც კრძალავს ინდოეთის გარეთ დამზადებული ნაწარმოების ისეთი ასლების იმპორტს, რომლებიც ინდოეთში დამზადების შემთხვევაში ჩაითვლებოდნენ კონტრაფაქციულად. კონტრაფაქციური ასლების აღმოჩენის მიზნით, კანონი რეგისტრატორს, აგრეთვე, ანიჭებს ნებისმიერი გემის, დოკის, ან სათავსოს დათვალიერების უფლებამოსილებას. ამ კარის გამოყენება ინდოეთის ტერიტორიაზე მეკობრული აუდიოკასეტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით სანქციონირებული იქნა ინდოეთის უზენაესი სასამარლოს მიერ საქმეზე "გრამოფონ კომპანი ოფ ინდია ლტდ. პანდეის წინააღმდეგ" (1984 2 SCC 534).

(d) შუალედური სასამართლო დადგენილება

8.109 მეკობრეობით მიყენებული ზიანის მინიმუმამდე დასაყვანად საავტორო უფლებების მესაკუთრისთვის მნიშვნელოვანია სწრაფი ღონისძიებების გატარება მეკობრეობის გაგრძელების თავიდან აცილების მიზნით. სანამ მეკობრული ქმედებები გრძელდება, უფლებამფლობელი კარგავს პოტენციური ბაზრის ნაწილს და შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი თავისი შემოქმედებითი საქმიანობის ან ინვესტიციების სანაცვლოდ. შუალედური სასამართლო დადგენილების მიზანია, დარღვევის შესახებ საქმეზე სრულ სასამართლო გარჩევამდე, სასწრაფო და დროებითი ღონისძიებების გატარების საშუალებით თავიდან იქნეს აცილებული მოსარჩელის უფლებებისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების შესაძლებლობა.

8.110 შუალედური სასამართლო გარჩევის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ხშირად იგი ჭიანურდება საქმის გარემოებათა საკმაოდ დაწვრილებითი განხილვის გამო, რაც საშიშროებას უქმნის მის ეფექტიანობას, როგორც დროებითი სასამართლო დაცვის საშუალებას. აღნიშნულმა გამოიწვია ბევრი ქვეყნის შესაბამის საკანონმდებლო აქტებში იმ პრინციპების გადასინჯვა, რაზედაც დამყარებულია ასეთი დადგენილებები, განსაკუთრებით მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა სტანდარტების მიმართ.

8.111 ადრე მოსარჩელეს მოეთხოვებოდა საქმესთან დაკავშირებით ე.წ. "prima facie"-ს მტკიცება, ანუ უნდა წარედგინა საკმარისად სავარაუდო მტკიცებულებები საავტორო უფლებების დარღვევაზე საქმის აღსაძვრელად. ამ

სახის სასამართლო გარჩევების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობა ახლა შეიცავს მხოლოდ მოთხოვნას – მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ საქმე ეხება "სერიოზულ საკითხს". სხვაგვარად რომ ვთქვათ, წინასწარი განხილვის სტადიაზე სასამართლო უნდა დარწმუნდეს მხოლოდ იმაში, რომ საავტორო უფლებების დარღვევაზე სარჩელი საკმარისად დასაბუთებულია. ამის შემდეგ გადაწყვეტილება შუალედური დადგენილების გამოტანა–არგამოტანაზე, მიიღება საქმის ფაქტიურ გარემოებათა მიხედვით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილია თუ არა მხარეთათვის შესაბამისი კომპენსაციები იმ ზიანის გამო, რომელიც შეიძლება მათ განიცადონ უფლებათა დროებითი შეზღუდვით, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი წააგებს წინასწარი განხილვის ეტაპზე, მაგრამ მოიგებს საბოლოო სასამართლო პროცესს.

8.112 წინასწარი სასამართლო განხილვის ეტაპზე ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს დაცვის ღონისძიებათა გამოყენების მეტისმეტი გაჭიანურება საავტორო უფლების მფლობელისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე, სახელდობრ, ნაწარმოების თავდაპირველი გამოქვეყნების და რეალიზაციის მომდევნო პერიოდში.

(e) სასამართლო დაცვის საბოლოო საშუალებები

8.113 საავტორო უფლებათა დარღვევის ფაქტზე სრული სასამართლო გარჩევის დასასრულს სასამართლოები უფლებამფლობელებს აძლევენ საბოლოო სასამართლო დაცვის ორ შემდეგ საშუალებას: მუდმივი აკრძალვითი დადგენილება და ზიანის კომპენსაცია. მუდმივად მოქმედი აკრძალვითი დადგენილება გამოაქვთ, რათა არ დაუშვან მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა განმეორება. იმისათვის, რომ დადგენილება იყოს უფრო ეფექტური, მას ხშირად თან ახლავს მიწერილობა, რომლის თანახმად დამრღვევებს ევალებათ დაცული ნაწარმოების ყველა კონტრაფაქციური ეგზემპლიარის მოწოდება მათი შემდგომი განადგურების მიზნით, რათა გამოირიცხოს ამ ასლების ხელმეორედ გამოყენება ან გაყიდვა.

8.114 საავტორო უფლების მფლობელისთვის ზიანის ანაზღაურების მიზანია, რომ იგი აღმოჩნდეს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იქნებოდა მისი

საავტორო უფლებების დაურღვევლობის შემთხვევაში. დამაკმაყოფილებელი კომპენსაციის დადგენისას სასამართლოები ხშირად აწყდებიან სირთულეებს მტკიცებულებათა მიღებაში კონტრაფაქციული საქონლის გაყიდვების მოცულობასთან და, აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს საავტორო უფლებებისათვის მიყენებული ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. ამის შედეგად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე მიდგომები სასამართლო დაცვის პირველადი საშუალებების სფეროში, როგორიცაა დადგენილება ანტონ პირელის საქმეზე, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს მოიპოვოს მისი უფლებების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

8.115 კონკრეტულად მეკობრეობასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ზიანის დამატებით კომპენსაციას საავტორო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის შემთხვევაში. მაგრამ ზიანის დამატებითი კომპენსაციის გაცემისთვის საჭიროა დამტკიცდეს, რომ დამრღვევის ქმედებები წინასწარ იყო განზრახული და ჩაფიქრებული და მის მიერ მიღებული ფულადი სარგებელი აჭარბებდა ზიანის ჩვეულებრივი კომპენსაციის ოდენობას.

J. ხალხური შემოქმედების (ფოლკლორულ) ნაწარმოებთა დაცვა

(a) შესავალი

8.116 ხალხური შემოქმედება ნებისმიერი ერის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია და ახლაც აგრძელებს განვითარებას, იღებს რა ხშირად თანამედროვე ფორმებს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც კი. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ფოლკლორი ხშირად წარმოადგენს კულტურული თვითმყოფადობის საფუძველს და თვითგამოხატვის მნიშვნელოვან საშუალებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთაც. ფოლკლორის როლი იზრდება სოციალური თვითმყოფადობის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ფოლკლორი არის ცოცხალი, მოქმედი ტრადიცია და არა წარსულის უბრალო გადმონაშთი.

8.117 სულ უფრო დაჩქარებულმა ტექნიკურმა პროგრესმა, განსაკუთრებით აუდიო და ვიდეოჩაწერის, რადიო და ტელემაუწყებლობის, კაბელური ტელე-

ვიზიის და კინემატოგრაფიის სფეროში, შეიძლება გამოიწვიოს ამ კულტურული მემკვიდრეობის არასწორი, ან არამართლზომიერი გამოყენება. ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები ამ ტექნიკური საშუალებების მეშვეობით განიცდიან კომერციალიზაციას მსოფლიო მასშტაბით მათი შემქმნელი ხალხების კულტურული და ეკონომიკური ინტერესების სათანადო გათვალისწინების გარეშე. კომერციალიზაციის პროცესში ფოლკლორული ნაწარმოებები ხშირად მახინჯდება იმ მიზეზით, რომ თითქოს ეს ხელს უწყობს მათ გასაღებას ბაზარზე. ამასთან, როგორც წესი, ის პირები, რომლებმაც განავითარეს და შეინარჩუნეს ფოლკლორული ნაწარმოებები, არ იღებენ არაფერს მათი კომერციული ექსპლუატაციიდან.

8.118 განვითარებულ ქვეყნებში ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები, როგორც წესი, წარმოადგენენ საყოველთაო, საჯარო საკუთრებას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, ყოველ შემთხვევაში დღემდე, განვითარებულმა ქვეყნებმა არ შექმნეს ფოლკლორის გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ეროვნული ან სხვა საზოგადოებრივი ინტერესების სამართლებრივი დაცვის სისტემები.

8.119 მაგრამ, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აშკარა გახდა, რომ ხალხური შემოქმედების, როგორც შემოქმედებითი თვითგამოხატვის წყაროს, ხელშეწყობის მიზნით და ფოლკლორის დასაცავად საჭიროა საკანონმდებლო ღონისძიებები, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ასეთი დაცვა მიმართული უნდა იყოს ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა არასწორი გამოყენების წინააღმდეგ, როგორიც არის მათგან კომერციული სარგებლის მიღების გავრცელებული პრაქტიკა მათი შემქმნელი საზოგადოებების ფარგლებს გარეთ და მათთვის ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

(b) ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის მცდელობები საავტორო უფლებების შესახებ კანონის საშუალებით

8.120 ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების აშკარა ფორმით რეგულირების პირველი ცდები განხორციელდა ზოგიერთი ქვეყნის საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში (ტუნისი, 1967; ბოლივია, 1968

[მხოლოდ ფოლკლორულ მუსიკალურ ნაწარმოებებთან დაკავშირებით],; ჩილი, 1970; მაროკო, 1970; ალჟირი, 1973; სენეგალი, 1973; კენია, 1975; მალი, 1977; ბურუნდი, 1978; კოტ დ'ივუარი, 1978; გვინეა, 1980; ტუნისის ტიპობრივი კანონი საავტორო უფლებაზე განვითარებადი ქვეყნებისათვის, 1976) და აგრეთვე, საერთაშორისო შეთანხმებით (1977 წელს ბანგუის კონვენციის ტექსტი, რომელიც ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების აფრიკულ ორგანიზაციას, შემდგომში – "ისაო-ს კონვენცია"). ყველა ამ ტექსტში ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები განიხილება როგორც ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი ("ტრადიციული მემკვიდრეობა", "კულტურული მემკვიდრეობა"; ჩილიში გამოიყენება ტერმინი "ეროვნული კულტურული დოვლათი" და მის გამოყენებაზე იღებენ საფასურს).

8.121 საავტორო უფლებების მეშვეობით ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა დაცვის ცდა საერთაშორისო დონეზე აგრეთვე განხორციელდა დიპლომატიურ კონფერენციაზე ბერნის კონვენციის გადასინჯვის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1967 წელს სტოკჰოლმში. ამის შედეგად, ბერნის კონვენციის სტოკჰოლმის (1967) და პარიზის (1971) აქტების 15(4) მუხლი შეიცავს შემდეგ დებულებებს: "(ა) გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებისათვის, რომლის ავტორი უცნობია, მაგრამ რომლის მიმართ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ იგი კავშირის ქვეყნის მოქალაქეა, ამ ქვეყნის კანონმდებლობა ინარჩუნებს უფლებას დანიშნოს კომპეტენტური ორგანო, რომელიც წარმოადგენს ამ ავტორს და უფლებამოსილია, დაიცვას მისი უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება კავშირის ქვეყნებში. (ბ) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ დებულების შესაბამისად მოახდენენ ასეთ დანიშვნას, აუწყებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ამ წესით დანიშვნის თაობაზე. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ ატყობინებს ამ განცხადებას კავშირის ყველა სხვა ქვეყნებს". ბერნის კონვენციის ამ მუხლში განსაზღვრულ შემთხვევაში აგრეთვე იგულისხმება ფოლკლორულ ნაწარმოებათა დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობა.

8.122 და ბოლოს, მომიჯნავე უფლებებს არ ძალუძთ მთლიანად დააკმაყოფილონ სამართლებრივი დაცვის მოთხოვნები ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა არასწორი გამოყენებისაგან, ვინაიდან არ შეუძლიათ ისეთი ნაწარმოების ასლების დამზადების თავიდან აცილება,

რომელიც არ შესრულებულა, არ გადაცემულა ეთერში ან არ ჩაწერილა ფონოგრამაზე. უფრო მეტიც, მომიჯნავე უფლებათა დაცვის მოქმედების შეზღუდული ვადა არ მიესადაგება ფოლკლორულ ნაწარმოებებს იმავე მიზეზთა გამო, რითაც საავტორო უფლებების შეზღუდული მოქმედების ვადა.

8.123 ზემოხსენებულ გარემოებათა გამო მიზანშეწონილად ჩაითვალა სპეციალური საკანონმდებლო ნორმების შემუშავება ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებთან მიმართებაში, უნებართვო გამოყენებისაგან მათი ადეკვატური დაცვის უზრუნველსაყოფად.

(c) ეროვნული კანონმდებლობისთვის ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის სპეციალური ტიპური დებულებები მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისა და ზიანის მომტანი სხვა ქმედებების წინააღმდეგ

(i) ევოლუცია

8.124 1978 წელს ისმო-ს ხელმძღვანელ ორგანოთა თათბირის მონაწილეებმა ჩათვალეს, რომ მიუხედავად განვითარებადი ქვეყნების ზრუნვისა ხალხური ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის საჭიროებასთან დაკავშირებით, მანამდე გადადგმული იყო არასაკმარისი კონკრეტული ნაბიჯები სამართლებრივი ნორმების ფორმულირებისთვის. ამ შეხვედრის შემდეგ ისმო-ს საერთაშორისო ბიურომ მოამზადა სპეციალური ნორმების შემცველი ტიპური დებულებების პირველი პროექტი ფოლკლორულ ნაწარმოებთა ეროვნული დაცვის თაობაზე. პროექტი ითვალისწინებდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვას გარკვეული ფორმით უნებართვო გამოყენებისა და დამახინჯებისგან.

8.125 ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსგავსად, ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის ისმო-ს ტიპური დებულებების პირველი პროექტი წარედგინა ისმოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მუდმივმოქმედ კომიტეტს 1979 წლის მარტში. დაკარში შეხვედრაზე კომიტეტმა შესთავაზა პირველი შესაძლებლობისთანავე მოეწვიათ ისმო/იუნესკოს ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავდა ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა დაცვის არა მარტო საშინაო, არამედ საერთაშორისო ასპექტებსაც.

8.126 საკუთარი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ისმომ და იუნესკომ 1980 წელს ჟენევაში ჩაატარეს სამუშაო ჯგუფის სხდომა, სადაც განიხილეს ისმოს მიერ მომზადებული და ეროვნული კანონმდებლობებისთვის გათვალისწინებული ტიპური დებულებების პროექტი და აგრეთვე ფოლკლორულ ნაწარმოებთა სამართლებრივი დაცვის საერთაშორისო ღონისძიებები. ეროვნული კანონმდებლობისთვის მომზადებულ ფოლკლორულ ნაწარმოებებთა დაცვის ტიპურ დებულებებთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფმა შესთავაზა ისმოს და იუნესკოს სამდივნოებს მოემზადებინათ პროექტის გადასინჯული ვარიანტი კომენტარებით, ჯგუფის მუშაობის მიმდინარეობისას გაკეთებული ყველა გამოსვლის გათვალისწინებით.

8.127 ამ რეკომენდაციის შესაბამისად, სამდივნოებმა მოამზადეს პროექტის ახალი ვარიანტი კომენტარებით, რომელიც ისმოს და იუნესკოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იყო განსახილველად მეორე შეხვედრაზე პარიზში 1981 წელს. თათბირის მუშაობის შედეგები ერთი წლის შემდეგ, 1982 წლის ივნის-ივლისში, წარუდგინეს ისმოს და იუნესკოს მიერ მოწვეულ სამთავრობო ექსპერტების კომიტეტს ჟენევაში, ისმო-ს შტაბ ბინაში. კომიტეტმა მიიღო ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისაგან და სხვა ზიანის მიმყენებელი ქმედებებისაგან დაცვის ტიპური დებულებები ეროვნული კანონმდებლობისთვის (შემდგომში – "ტიპური დებულებები").

(ii) ძირითადი პრინციპები

8.128 ფოლკლორულ ნაწარმოებთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს სწორი ბალანსის შენარჩუნება ერთის მხრივ, ფოლკლორული ნაწარმოების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვასა და მეორეს მხრივ, მათი შემდგომი სრულყოფის, გავრცელებისა და ფოლკლორით შთაგონებულ ორიგინალურ საავტორო ნაწარმოებად გადამუშავების თავისუფლებასა და წახალისებას შორის. ფოლკლორულ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგენს ადამიანური კულტურის ცოცხალ ქსოვილს და მათი ზედმეტად მკაცრი დაცვით უზრუნველყოფამ

ხელი არ უნდა შეუშალოს მათი შემდგომი სრულყოფის და აყვავების შემოქმედებით პროცესს.

8.129 ამგვარად, შემოთავაზებული დაცვის ღონისძიებები უნდა იყოს განხორციელებადი და ეფექტური, და არ დარჩეს რეალობისგან მოწყვეტილ, ფანტაზიურ მოთხოვნათა სისტემად.

8.130 ტიპური დებულებები მუშავდებოდა იმგვარად, რომ დაეტოვებინათ გარკვეული თავისუფლება ეროვნული კანონმდებლებისთვის თავისი ქვეყნის პირობებთან ყველაზე მისადაგებული სამართლებრივი დაცვის სისტემის შესაქმნელად.

(iii) დაცვის საგანი

8.131 მრავალრიცხოვან წინადადებათა მიუხედავად, ფოლკლორის, ანუ ხალხური შემოქმედების საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება მაინც არ არსებობს. ასეთ განსაზღვრებას არც ტიპური დებულებები არ შეიცავენ. მაგრამ ტიპური დებულებების მიზნით მე-2 ნაწილი ტერმინს "ფოლკლორული ნაწარმოებები" განსაზღვრავს ფოლკლორის დაცვის სამთავრობო ექსპერტთა კომიტეტის მუშაობის შედეგების შესაბამისად, რომლის სხდომა ჩატარდა პარიზში 1982 წლის თებერვალში. ეს ცნება ჩამოყალიბებულია, როგორც იმ ტრადიციული მხატვრული მემკვიდრეობის დამახასიათებელი ელემენტებისგან შემდგარი ნაწარმოებები, რომლებიც შექმნილი და შენახულია ქვეყანაში ამა თუ იმ თემის ან ინდივიდუმის მიერ, და რომლებიც ასახავენ ამ საზოგადოების ტრადიციულ მხატვრულ მოლოდინს.

8.132 ფოლკლორულ ნაწარმოებთა ამგვარი განსაზღვრება ითვალისწინებს ტრადიციული მხატვრული მემკვიდრეობის, როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური განვითარების კონცეფციებს, რადგან "უპიროვნო" შემოქმედების საზოგადოდ გამოყენებული კრიტერიუმი ყოველთვის არ ასახავს ფოლკლორის ევოლუციის რეალობას. ხელოვანის პიროვნება ხშირად ფოლკლორის გამოხატვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ხოლო პირადი წვლილი ასეთ ნაწარმოებთა შექმნასა და შენახვაში შეიძლება გახდეს მემკვიდრეობით გადაცემული ფოლკლორის შემოქმედებითი გამდიდრების წყარო, თუ ისინი აღიარებული და მიღებულია საზოგადოების მიერ ისეთი ნაწარმოებების სახით, რომლებიც მის ტრადიციულ მხატვრულ მოლოდინს შეესაბამება.

8.133 ტიპური დებულებების ინგლისურ ტექსტში ფოლკლორთან დაკავშირებით ნაცვლად სიტყვისა “work”(ნაწარმოები), გამოიყენება ტერმინები “expressions”(გამოხატულებანი) და “productions”(მხატვრული პროდუქცია), (თუმცა ქართულ ტექსტში ორივეგან გამოიყენება ტერმინი “ნაწარმოები”), რითაც ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ლაპარაკია სპეციალური (sui generis) ხასიათის ნორმებზე და არა საავტორო სამართალზე, რომლის დაცვის საგანსაც ნაწარმოები (“work”) შეადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებს შეიძლება გააჩნდეთ და უმრავლეს შემთხვევაში გააჩნიათ კიდეც ისეთივე მხატვრული ფორმა, როგორიც საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს.

8.134 <u>ის ფაქტი, რომ განიხილება მხოლოდ “მხატვრული” მემკვიდრეობა, ნიშნავს, რომ ტრადიციული რწმენა, მეცნიერული შეხედულება (მაგალითად, ტრადიციული კოსმოგონია), ლეგენდათა შინაარსი, ან უბრალოდ პრაქტიკული ტრადიციები, როგორც ასეთი, განყენებულად თავისი გამოხატვის შესაძლო ტრადიციული მხატვრული ფორმებისგან, არ ჯდება “ფოლკლორულ ნაწარმოებთა" შემოთავაზებული განსაზღვრების ფარგლებში.</u> მეორე მხრივ, “მხატვრული” მემკვიდრეობა გაგებულია ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით და შეიცავს ნებისმიერ ტრადიციულ მემკვიდრეობას, მიმართულს ადამიანის ესთეტიკური გრძნობისკენ. ზეპირი ნაწარმოებები, რომლებიც ავტორის მიერ ინდივიდუალურად შექმნის შემთხვევაში წარმოადგენს ლიტერატურას, მუსიკალური ნაწარმოებები, ადამიანის სხეულის მოძრაობით გამოხატული ნაწარმოებები და მატერიალური ნაწარმოებები ყველა ერთად შეიძლება შეიცავდნენ ტრადიციული მხატვრული მემკვიდრეობის მახასიათებელ ელემენტებს და ამრიგად, კვალიფიცირებული იყვნენ, როგორც დაცული ფოლკლორული ნაწარმოებები.

8.135 ტიპური დებულებები აგრეთვე შეიცავენ ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა ყველაზე ტიპური სახეობების საილუსტრაციო ჩამონათვალს. “გამოხატვის” ფორმის მიხედვით ისინი იყოფიან ოთხ ჯგუფად, კერძოდ: სიტყვებით გამოხატული ნაწარმოები (“ზეპირი”), მუსიკალური ბგერებით გამოხატული ნაწარმოები (“მუსიკალური”), ადამიანის სხეულის მოძრაობით გამოხატული ნაწარმოები და მატერიალური ობიექტში განსახიერებული ნაწარმოები (“მატერიალური ნაწარმოები”). თითოეული ჯგუფი უნდა შეიცავდეს დამახასიათებელ ელემენტებს, რომლებიც ერთად შეადგენენ

ტრადიციული მხატვრული მემკვიდრეობის ერთობლიობას. პირველი სამი სახეობა აუცილებელი არ არის "გადაყვანილი იყოს მატერიალურ ფორმაში". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის აუცილებელი, რომ სიტყვები დაფიქსირდეს წერილობით, მუსიკა – სანოტო ჩანაწერის სახით, ხოლო ადამიანის სხეულის მოძრაობა, მაგალითად ცეკვა – ქორეოგრაფიული ჩანაწერის ფორმით. მეორე მხრივ, მატერიალური ნაწარმოები გამოსახული უნდა იყოს ამა თუ იმ მუდმივი მატერიალური ფორმით, მაგალითად ქვაში, ხეში, ქსოვილში, ოქროში და ა. შ. დებულებები აგრეთვე შეიცავს გამოხატვის განსხვავებულ ფორმათა მაგალითებს: პირველი, "ხალხური თქმულებები, ხალხური პოეზია და გამოცანები"; მეორე – "ხალხური სიმღერები და ინსტრუმენტული მუსიკა"; მესამე – "ხალხური ცეკვები, სპექტაკლები და რიტუალების მხატვრული ფორმები", მეოთხე – "სურათები, ნახატები, ჩუქურთმა, ქანდაკება, სამეთუნეო ნაწარმი, ტერაკოტა, მოზაიკა, ხის ნაკეთობა, ლითონის ნაკეთობა, საიუველირო ნაკეთობა, წნული ნაკეთობა, ქარგვა, ქსოვილები, ხალიჩები, კოსტიუმები, მუსიკალური ინსტრუმენტები და არქიტექტურული ფორმები". ეს უკანასკნელი ტიპურ დებულებაში მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში, რათა მიგვანიშნოს გარკვეულ ყოყმანზე ამ ობიექტის ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით და დაცულ ფოლკლორულ ნაწარმოებთა ჩამონათვალში მისი ჩართვა – არჩართვის საკითხი თითოეული ქვეყნის გადასაწყვეტად დატოვოს.

8.136 ამა თუ იმ საზოგადოებაში შექმნილი და მის მიერ განვითარებული ფოლკლორული ნაწარმოებების იდენტიფიცირება შესაძლებელია სათანადო კატალოგში მათი აღრიცხვის მეშვეობით. თუმცა, ასეთი კატალოგის მართვა, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ფოლკლორის შენახვასთან, არ შედის ტიპური დებულებების სფეროში.

(iv) ზიანის მიმყენებელი ქმედებები

8.137 ტიპური დებულებები ითვლისწინებენ ქმედებათა ორ ძირითად კატეგორიას, რომელთაგანაც საჭიროა ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა დაცვა: "მართლსაწინააღმდეგო გამოყენება" და "ზიანის მიმყენებელი სხვა ქმედებები" (ნაწილი 1).

8.138 ხალხური შემოქმედების ნაწარმოების "მართლსაწინააღმდეგო გამოყენება" ტიპურ დებულებებში (ნაწილი მე-3) განმარტებულია, როგორც მისი გამოყენება ერთდროულად, როგორც სარგებელის მიღების მიზნით, ასევე ტრადიციული ან ზნე-ჩვეულებითი კონტექსტის ფარგლებს გარეთ, კომპეტენტური ორგანოს ან თვით საზოგადოების ნებართვის გარეშე. სხვა ყველაფერთან ერთად ეს ნიშნავს იმას, რომ გამოყენება სარგებლის მიღების მიზნითაც კი, მაგრამ ტრადიციების ან ზნე-ჩვეულებების საზღვრებში არ მოითხოვს ნებართვას. მეორე მხრივ, გამოყენება თავად იმ თემის წევრების მიერაც კი, რომელმაც შექმნა და შემოინახა ნაწარმოები, ექვემდებარება ნებართვის აღებას, თუ ასეთი გამოყენება ხორციელდება კულტურული კონტექსტის ფარგლებს გარეთ და სარგებლის მიღების მიზნით.

8.139. "ტრადიციული კონტექსტი" გულისხმობს ფოლკლორული ნაწარმოების გამოყენებას შესაბამისი მხატვრული სულისკვეთების ფარგლებში, რაც ეფუძნება თემის მიერ მის უწყვეტ გამოყენებას. მაგალითად, საწესჩვეულებო ცეკვის გამოყენება მის ტრადიციულ კონტექსტში ნიშნავს მის გამოყენებას შესაბამისი წეს-ჩვეულების ფაქტობრივი შესრულების დროს. მეორე მხრივ, ტერმინი "ზნე-ჩვეულებითი კონტექსტი" ეხება უფრო ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა გამოყენებას საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრებაში, როგორც, მაგალითად, მატერიალურ ფოლკლორულ ნაწარმოებთა ეგზემპლარების ჩვეულებრივი გაყიდვა ადგილობრივი ხელოსნების მიერ. ზნე-ჩვეულებითი კონტექსტი შეიძლება განვითარდეს და შეიცვალოს უფრო სწრაფად, ვიდრე ტრადიციული კონტექსტი.

8.140 ტიპურ დებულებათა ეს ნაწილი განსაზღვრავს გამოყენების იმ სახეებს, რომლებზეც მოითხოვება ნებართვა, იქ სადაც ამის აუცილებლობა არსებობს. ამასთან, ერთმანეთისაგან განასხვავებენ შემთხვევას, როდესაც საქმე გვაქვს ნაწარმოების ეგზემპლარებთან და შემთხვევას, როცა ასეთი ეგზემპლარების არსებობა არ არის აუცილებელი. პირველ შემთხვევაში ნებართვას მოითხოვს შემდეგი ქმედებები: გამოქვეყნება (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, რაც ვრცელდება ნებისმიერი მატერიალური ფორმით, ჩანაწერების ჩათვლით, განხორციელებული ფოლკლორული ნაწარმოებების ორიგინალის, ასლის ან ასლების საზოგადოებისთვის ნებისმიერი სახით მიწოდებაზე), რეპროდუქცია და დისტრიბუცია; მეორე შემთხვევაში ქმედებები, რომელთა განხორციელებაზეც საჭიროა ნებართვა, შეიცავენ საჯარო

დეკლამაციას, საჯარო შესრულებას, სადენური ან უსადენო კავშირის საშუალებებით ეთერში გადაცემას და აგრეთვე "საჯარო შეტყობინების ნებისმიერ ფორმას".

8.141 ნებედართული გამოყენება. ტიპობრივი დებულებები არ უკრძალავს მკვიდრ მაცხოვრებელთა გაერთიანებებს გამოიყენონ საკუთარი ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობა ტრადიციული და ზნე-ჩვეულებითი ფორმებით, ან სრულყონ იგი უწყვეტი გამოყენებით. ტრადიციული ხალხური ხელოვნების შემონახვა მჭიდრო კავშირშია ფოლკლორული ნაწარმოების მისი წარმოშობის საზოგადოებებში რეპროდუცირებასთან, დეკლამირებასა და შესრულებასთან სტილისტურად ცვალებადი ფორმებით. ასეთ ნაწარმოებთა გადამუშავებაზე, არანჟირებაზე, რეპროდუცირებაზე, დეკლამაციაზე ან გამოყენებაზე შეუზღუდავი ნებართვის მოთხოვნა შექმნიდა დაბრკოლებებს ფოლკლორის ბუნებრივი ევოლუციის გზაზე და შეუძლებელი იქნებოდა მათი განხორციელება იმ საზოგადოებებში, სადაც ფოლკლორი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს. ამგვარად, ტიპური დებულებები საშუალებას აძლევს ქვეყნის საზოგადოების ნებისმიერ წევრს თავისუფლად მოახდინოს საკუთარი საზოგადოების ფოლკლორული ნაწარმოების რეპროდუცირება ან შესრულება საზოგადოების ფოლკლორული ნაწარმოებების ტრადიციულ ან ზნე-ჩვეულებით კონტექსტში, მიუხედავად იმისა, კეთდება ეს სარგებლის მიღების მიზნით თუ მის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს კეთდება თანამედროვე ტექნოლოგიის მეშვეობით და ასეთი ტექნოლოგია საზოგადოების მიერ მიღებულია, როგორც საკუთარი ცოცხალი ეროვნული მემკვიდრეობის ევოლუციის საშუალება.

8.142 მე-4 ნაწილში განხილულია 4 განსაკუთრებული შემთხვევა, რომელზეც არ არის აუცილებელი ნებართვის მიღება, მაშინაც კი, როცა ფოლკლორულ ნაწარმოებთა გამოყენება ხორციელდება საფასურის გადახდის სანაცვლოდ და ტრადიციული ან ზნე-ჩვეულებითი კონტექსტის ფარგლებს გარეთ:

(1) გამოყენება განათლების მიზნით;

(2) გამოყენება ავტორის რომელიმე ორიგინალურ ნაწარმოებში "ილუსტრაციის გზით", როცა ეს შეესაბამება ქვეყანაში მიღებულ კეთილსინდისიერ საქმიანობას;

(3) როდესაც ხალხური შემოქმედების ნაწარმოები "ნასესხებია" ავტორის ორიგინალური ნაწარმოების შექმნის მიზნით. ამ მნიშვნელოვანი

გამონაკლისის მიზანია – არ დააბრკოლოს ფოლკლორით შთაგონებული ინდივილუალური შემოქმედების თავისუფალი განვითარება;

(4) "შემთხვევითი გამოყენება", რაც ჩვეულებრივ შეიცავს გამოყენებას მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას და გამოსახულებათა გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ხალხური შემოქმედების ნაწარმოები წარმოადგენს საზოგადოებრივ ადგილას მუდმივად განთავსებულ ობიექტს.

8.143 ფოლკლორული ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა ქმედებებს, ტიპური დებულებების თანახმად, მიეკუთვნება ოთხი სხვადასხვაგვარი დანაშაული, რომლებიც ექვემდებარება დამსჯელ სანქციებს (ნაწილი 6).

8.144 ნაწილი 5, როგორც წესი, მოითხოვს, რომ ყველა ნაბეჭდ პროდუქციაში და იდენტიფიცირებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ფოლკლორულ ნაწარმოებში, მის ნებისმიერ საჯარო შეტყობინებასთან დაკავშირებით, უნდა იყოს მითითებული მისი წყარო შესაბამისი სახით, იმ საზოგადოების და/ან გეოგრაფიული ადგილის მოხსენიებით, საიდანაც გამოყენებული ნაწარმოები არის წარმოშობილი. მე-6 ნაწილი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის ითვლისწინებს სასჯელს.

8.145 ხალხური შემოქმედების ნაწარმოების უნებართვო გამოყენება, იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ნებართვა საჭიროა, წარმოადგენს სამართალდარღვევას. ასეთ სამართალდარღვევას უტოლდება აგრეთვე ფოლკლორული ნაწარმოების ისეთი გამოყენება, რომელიც გადის მიღებული ნებართვის ფარგლებს გარეთ ან ეწინააღმდეგება მის პირობებს. საზოგადოების შეცდომაში შეყვანა ფოლკლორული ნაწარმოების ნამდვილ ადგილწარმოშობასთან დაკავშირებით ასევე ექვემდებარება სასჯელს.

8.146 საჯარო გამოყენება, რომელიც ამახინჯებს ფოლკლორულ ნაწარმოებს რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, რაც "ზიანს აყენებს შესაბამისი საზოგადოების კულტურულ ინტერესებს", წარმოადგენს სამართალდარღვევას. ტერმინი "დამახინჯება" შეიცავს ნებისმიერ გაუკუღმართებას, დამახინჯებას ან უფლებათა სხვა დამრღვევ ქმედებას ხალხური შემოქმედების ნაწარმოების მიმართ, რომელიც გამოქვეყნებულია, რეპროდუცირებულია, გავრცელებულია, შესრულებულია ან სხვა საშუალებით მიწოდებულია საზოგადოებისთვის დამნაშავის მიერ.

8.147 სამართალდარღვევად ყველა ოთხი სახეობა ჩაითვლება იმ პირობით, თუ ისინი წინასწარი განზრახვით იყო ჩადენილი. მაგრამ რაც შეეხება წყაროს მითითების და ფოლკლორული ნაწარმოების გამოყენებაზე ნებართვის მიღების მოთხოვნების შეუსრულებლობას, ტიპური დებულებები აგრეთვე ითვალისწინებენ სანქციებს დაუდევრობით ჩადენილ ქმედებებზე. ამ დროს ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი დანაშაულის ხასიათი და ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია დაუდევრობის წინასწარგანზრახულობის დამტკიცებასთან.

(v) ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის განხორციელება

8.148 ფოლკლორულ ნაწარმოებთა ნებადართული გამოყენება. რაც შეეხება ფოლკლორულ ნაწარმოებთა გამოყენებაზე ნებართვის გამცემ უფლებამოსილ ორგანოს, ტიპურ დებულებებში ლაპარაკია მონაცვლეობით "კომპეტენტურ ორგანოებზე" და "შესაბამის საზოგადოებაზე", რათა არ იყოს გამოყენებული ტერმინი "მფლობელი". დებულებებში არ განიხილება ფოლკლორული ნაწარმოებების მესაკუთრეობის საკითხები, რადგან ისინი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად არის დარეგულირებული. ზოგიერთ ქვეყანაში ფოლკლორული ნაწარმოებები განიხილება, როგორც ერის საკუთრება. რიგ ქვეყნებში ტრადიციული მხატრული მემკვიდრეობის მფლობელობის შეგრძნება შეიძლება უფრო ძლიერი იყოს თავად შესაბამის თემურ გაერთიანებებში. საკითხი, თუ ვისი პრეროგატივა უნდა იყოს ნებართვის გაცემა ფოლკლორული ნაწარმოების გამოყენებაზე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მფლობელობასთან დაკავშირებულ ვითარებაზე და აუცილებლად განიცდის ვარირებას ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. ქვეყნებში, სადაც აბორიგენები, ან სხვა ტრადიციული გაერთიანებები აღიარებული არიან ფოლკლორული ნაწარმოებების სრულუფლებიან განმკარგავ მესაკუთრეებად და სადაც თემური გაერთიანებები საკმარისად ორგანიზებული არიან მათი კუთვნილი ფოლკლორული ნაწარმოებების გამოყენების მართვისათვის, ასეთი გამოყენება შეიძლება გახდეს თვით ამ გაერთიანების ნებართვის საგანი. ამგვარი ნებართვა მომხმარებელზე გაიცემა ავტორის მიერ გაცემული ნებართვის მსგავსად, როგორც წესი, სრულუფლებიანი მასშტაბით. სხვა ქვეყნებში,

სადაც თემური გაერთიანების ტრადიციული მხატვრული მემკვიდრეობა ძირითადად ითვლება მთელი ერის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად, ან სადაც შესაბამისი გაერთიანებები არ არიან მზად სათანადოდ განახორციელონ თავიანთი ფოლკლორული ნაწარმოებების გამოყენების მართვა, შეიძლება დაინიშნონ "კომპეტენტური ორგანოები", რომლებიც გასცემენ ამ სახის ნებართვებს საჯარო სამართლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა სახით.

8.149 ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები. ტიპური დებულებების მე-9 ნაწილი ითვალისწინებს კომპეტენტური ორგანოს დანიშვნას, თუ კანონმდებლები ამჯობინებენ ამ ალტერნატივას. ამავე ნაწილით, თუ ეს საჭირო გახდა, გათვალისწინებულია "საზედამხედველო ორგანოს" დანიშვნა ალტერნატიულად შეთავაზებული ზოგიერთი მომდევნო დებულების მიღების გამო, ასეთ ორგანოს მიერ განსახორციელებელ საქმიანობასთან დაკავშირებით.

8.150 ტიპურ დებულებებთან შესაბამისად კომპეტენტური ორგანო (მისი შექმნის შემთხვევაში) გასცემს ნებართვებს ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა გამოყენების გარკვეულ სახეობებზე, იღებს განაცხადებს ასეთი ნებართვის გაცემის თაობაზე, გამოაქვს მათზე გადაწყვეტილებები და ნებართვის გაცემის შემთხვევაში ადგენს და აგროვებს შესაბამის საფასურებს, როცა ამას კანონი ითვალისწინებს.

8.151 რაც შეეხება ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს, ტიპური დებულებები ითვალისწინებენ კანონმდებლობაში ისეთი ნორმების შეტანის შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ორგანო ადგენს ან იწონებს გამოყენების ნებართვაზე გადასახდელი საფასურების ტარიფს (დებულებებში იმის მითითების გარეშე, თუ ვინ შეიტანს ასეთ შემთხვევაში წინადადებებს ტარიფების ოდენობის შესახებ, თუმცა ტიპური დებულებების შემმუშავებელ ექსპერტთა აზრით ეს უნდა გააკეთოს კომპეტენტურმა ორგანომ) (ნაწილი მე-10). ამასთან, კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით სასამართლოში (ნაწილი მე-11, პარაგრაფი 1).

8.152 თუ რომელი ორგანო ან ორგანოები იქნებიან დანიშნული მოცემულ ქვეყანაში, დიდად იქნება დამოკიდებული ამ ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ სისტემაზე. შესაძლო გადაწყვეტილებაა, რომ ტიპურ

დებულებებში გათვალისწინებულ ფუნქციათა განსახორციელებლად შეიქმნას სპეციალური ორგანო, ხოლო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ, მაგალითად, დაინიშნოს კულტურის სამინისტრო. რაც შეეხება კომპეტენტურ ორგანოს, იგი შეიძლება იყოს კულტურის სამინისტრო, ფოლკლორის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ავტორთა საზოგადოება ან მსგავსი დაწესებულება. კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს შესაბამისი თემური გაერთიანების წარმომადგენლობითი ორგანოს ჩამოყალიბება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამა თუ იმ მიზეზის გამო კანონმდებლები ამჯობინებენ არ ცნონ თვით გაერთიანების უფლებამოსილება ფოლკლორულ ნაწარმოებთა გამოყენებაზე ნებართვის გაცემაზე.

8.153 მეტად სასარგებლო და ლოგიკური იქნება, რომ ქვეყნის სხვადასხვა ფოლკლორულ ამგვარ გაერთიანებათა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ კომპეტენტური ორგანოების მუშაობაში და შეასრულონ მასში მნიშვნელოვანი როლი. უფრო მეტიც, ასეთი ორგანოს ან ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, აგრეთვე, კულტურული და ეთნოგრაფიული დაწესებულებების (მუზეუმების ჩათვლით) წარმომადგენლებს, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება ფოლკლორის დაცვის გარკვეულ ასპექტებში.

8.154 თუ კანონმდებლები გადაწყვეტენ, რომ თავად თემურ გაერთიანებას აქვს უფლება ნება დართოს, ან აკრძალოს საკუთარი ფოლკლორული ნაწარმოებების გამოყენება, რომლებზეც ასეთი ნებართვის გაცემა გათვალისწინებულია, მაშინ ასეთი გაერთიანება გამოდის შესაბამის ნაწარმოებთა მფლობელად და შეუძლია თავისუფლად განკარგოს ისინი. ამ შემთხვევაში გაერთიანების მიერ საკუთარი უფლებების განხორციელებას არ გააკონტროლებს არცერთი ორგანო. მაგრამ ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ კანონმდებლები გადაწყვეტენ, რომ ნებართვას გასცემს არა თვით გაერთიანება, არამედ მისი წარმომადგენლობითი ორგანო, მაშინ ეს უკანასკნელი გამოვა კომპეტენტური ორგანოს სახით, რომელიც მოქმედებს ტიპურ დებულებებში გათვალისწინებული პროცედურული წესების შესაბამისად.

8.155 <u>ნებართვის გაცემის პროცედურა</u>. რაც შეეხება ნებართვის გაცემის პროცედურას, ტიპური დებულებების ნაწილიდან (10 (1) გამომდინარეობს, რომ ნებართვის გაცემას წინ უნდა უძღოდეს კომპეტენტურ ორგანოში "განაც-

ხადის” წარდგენა. განაცხადი ნებართვის გაცემაზე შეიძლება იყოს როგორც “ინდივიდუალური”, ასევე “კოლექტიური". პირველი შეაქვთ ერთჯერადი ნებართვის გასაცემად, მეორე კი მიეცემა ტრადიციულ ზნე-ჩვეულებათა ისეთ მომხმარებლებს, როგორიცაა კულტურული დაწესებულებები, თეატრები, საბალეტო კოლექტივები, აგრეთვე რადიო და ტელემაუწყებლობის ორგანიზაციები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეროვნულ კანონმდებლებს შეუძლიათ, აგრეთვე, განიხილონ სავალდებულო (არა ნებაყოფლობითი) ლიცენზირების სისტემათა გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც შეიძლება არსებობს ქვეყანაში საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით, სპეციალური ყურადღების გამახვილებით სამაუწყებლო ორგანიზაციების და საკაბელო სისტემების მიერ ფოლკლორულ ნაწარმოებთა გამოყენების გარკვეული სახეობების მიმართ.

8.156 ანაზღაურება. ტიპური დებულებების (ნაწილი 10, პარაგრაფი 2) მიხედვით დასაშვებია, მაგრამ არა სავალდებულო, საფასურების შეგროვება ნებართვების გაცემისას. სავარაუდოა, რომ ფიქსირებული საფასურებისას ნებართვა ძალაშია მხოლოდ საფასურის გადახდის შემდეგ. მაგრამ ნებართვა შეიძლება გაიცეს უფასოდაც. ასეთ შემთხვევაშიც კი ნებართვის გაცემა სავსებით გამართლებულია, რადგან მას შეუძლია ხელი შეუშალოს ისეთ გამოყენებას, რომელიც დაამახინჯებს ფოლკლორულ ნაწარმოებებს ან სხვაგვარად შელახავს მათ ღირსებას. იქ სადაც საფასურები მოქმედებენ, მათი ოდენობა უნდა დაფიქსირდეს, როგორც ზემოთ იყო მითითებული, მაკონტროლებელი ორგანოების მიერ დადგენილი ან მოწონებული ტარიფების შესაბამისად.

8.157 ტიპური დებულებების მე-10 ნაწილის ამავე პარაგრაფში აგრეთვე საუბარია იმაზე, თუ რა მიზნისთვის უნდა იქნეს გამოყენებული საფასურების გადახდის შედეგად შემოსული სახსრები: ეროვნული კულტურის ხელშეწყობა, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ან, მეორე მხრივ, ეროვნული ფოლკლორის მხარდაჭერა. ბუნებრივია, ეროვნული ფოლკლორი ეროვნული კულტურის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ეროვნული კულტურა უფრო ფართო პირთა წრეს მოიცავს, ვიდრე ეროვნული ფოლკლორი. ყოველ შემთხვევაში, მიზანშეწონილია კანონმდებლობით განმტკიცდეს, რომ კომ-

პეტენტური ორგანოს მიერ შეგროვილი საფასურების გარკვეული პროცენტი გადაეცეს გაერთიანებას, რომლის ფოლკლორული ნაწარმოებების გამოყენებისთვის იყო ის გადახდილი. ამავე დადგენილებას შეუძლია გაითვალისწინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ამგვარად მიღებული სახსრების ნაწილის დატოვება საკუთარი ადმინისტრაციული დანახარჯების დასაფარად. კომპეტენტური ორგანოს არარსებობის შემთხვევაში, როცა ნებართვის გაცემა და საფასურების შეგროვება ხორციელდება გაერთიანების მიერ უშუალოდ და დამოუკიდებლად, ბუნებრივია, რომ ამგვარად აკრეფილი სახსრების გამოყენების საკითხი ასევე უნდა გადაწყვიტოს საზოგადოებამ დამოუკიდებლად. სახელმწიფოს, თავის მხრივ, შეუძლია დაბეგროს ამგვარი შემოსავალი ან დააწესოს სხვა გადასახადები, ან საერთოდ თავი შეიკავოს ასეთი სახის დაბეგვრისაგან.

(vi) სანქციები

8.158 სასჯელის ორ ძირითად სახეობას წარმოადგენს ჯარიმა და დაპატიმრება. თუ რომელი ამ სანქციათაგან იქნება გამოყენებული, სხვა რა სასჯელი იქნება გათვალისწინებული, სანქციები გამოყენებული იქნება ცალ-ცალკე თუ ერთმანეთთან კავშირში – ყველაფერი ეს დამოკიდებულია დანაშაულის ხასიათზე, დასაცავი ინტერესების მნიშვნელობაზე და ამ ქვეყანაში მსგავს სამართალდარღვევებთან დაკავშირებით უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ჯარიმის ან პატიმრობის ვადის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა ასევე დამოკიდებულია თითოეულ ქვეყანაში მოქმედ პრაქტიკაზე. აქედან გამომდინარე, ტიპური დებულებები არ ითვალისწინებენ კონკრეტულ სასჯელს; ისინი იფარგლებიან მხოლოდ სასჯელის დაწესების მოთხოვნით, ტოვებენ რა ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციაში სასჯელის ფორმებისა და ზომების განსაზღვრას.

8.159 რაც შეეხება კონფისკაციას და სხვა მსგავს ქმედებას, ტიპობრივი დებულებები შეიცავენ უფრო კონკრეტულ წინადადებებს. მე-7 ნაწილში საუბარია სამართალდარღვევებზე, როგორც ობიექტებთან, ასევე მათი რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებთან მიმართებაში.

(d) ფოლკლორის რეგიონული და საერთაშორისო დაცვა

8.160 ტიპური დებულებები მოწოდებულია შეამზადოს ნიადაგი სუბრეგი-ონული, რეგიონული და საერთაშორისო დაცვისათვის. განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ფოლკლორული ნაწარმოებების დაცვის უზრუნველყოფა უკანონო კომერციალიზაციისა და წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ შესაძლო დამახინჯებისაგან. ფოლკლორული ნაწარმოებების რეგიონალური და საერთაშორისო დაცვა ემსახურება ფოლკლორული ნაწარმოებების დაცვას უკანონო გამოყენებისგან საზღვარგარეთ. მეორე მხრივ, ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა ქმნის, აგრეთვე, ადგილობრივი გაერთიანებების ფოლკლორული ნაწარმოებების დაცვის აუცილებელ საფუძველს. ეროვნული რეჟიმის პრინციპის შესაბამისად მათი გამოყენების სფეროს სათანადო გაფართოებით, შესაძლებელია ეროვნული კანონმდებლობის დებულებები საფუძვლად დაედოს რეგიონალურ და საერთაშორისო დაცვის სისტემას.

8.161 ამ პროცესების ხელშეწყობის მიზნით, ტიპური დებულებები უცხოური წარმოშობის ფოლკლორულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით ითვალისწინებენ ეროვნული კანონმდებლობის დებულებების გამოყენებას <u>ნაცვალგების</u> ან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე (ნაწილი 14). ზოგჯერ, ორი, ან მეტი ქვეყნის <u>ნაცვალგების</u> მიღწევა, რომლებსაც უკვე გააჩნიათ ეროვნული ფოლკლორის დაცვის კანონმდებლობა, უფრო იოლია, ვიდრე ურთიერთდაცვა საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და რატიფიკაციის გზით. თუმცა, რიგი ექსპერტებისა ხაზსგასმით აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო დონის ღონისძიებები წარმოადგენენ ამა თუ იმ ქვეყნის ფოლკლორული ნაწარმოებების დაცვის სფეროს გაფართოების აუცილებელ საშუალებას საზღვარგარეთ. აქედან გამომდინარე, ასეთი დაცვის მაქსიმალურად ბევრ ქვეყანაში უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილია მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება, რომლებიც დაფუძნებულია ფოლკლორული ნაწარმოებების დაცვის ეროვნულ კანონებზე. ამ კონტექსტში, აგრეთვე, საჭიროა განხილულ იქნეს კულტურულ ან სხვა შესაბამის საკითხებზე არსებული სამთავრობათაშორისო შეთანხმებების განვითარების შესაძლებლობები, ისე რომ მათ მიერ მოცული იქნეს ფოლკლორულ ნაწარმოებთა ურთიერთდაცვის საკითხებიც.

თავი 9
სასაქონლო ნიშნები

A. შესავალი

9.1. სასაქონლო ნიშნები ჯერ კიდევ ძველ სამყაროში არსებობდა. მაშინაც კი, როდესაც ადამიანები თვითონ აწარმოებდნენ მათთვის სჭირო საქონელს ან, უფრო ხშირად, იძენდნენ მას ადგილობრივი ხელოსნებისაგან. მეწარმეები, რომლებსაც გააჩნდათ საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი, თავიანთი საქონლისათვის პოულობდნენ გასაღების ბაზრებს მათი ადგილსამყოფლიდან საკმაოდ მოშორებითაც კი. ჯერ კიდევ 3000 წლის წინ ინდოელ ხელოსნებს ჩვეულებად ჰქონდათ საკუთარი ხელმოწერის აღბეჭდვა ირანში გასაგზავნ მხატვრულ ქმნილებებზე. ჩინელი მრეწველები ასაღებდნენ საქონელს ხმელთაშუა ზღვის რაიონში 2000 და მეტი წლის წინ საკუთარი დამღის გამოსახულებით, ერთ დროს კი იხმარებოდა ათასამდე სხვადასხვა რომაული სამეთუნეო დამღა, ქარხნის დამღის, Fortis-ის ჩათვლით, რომელიც იმდენად ცნობილი გახდა, რომ მას ბაძავდნენ და იყენებდნენ ფალსიფიცირების მიზნით. ვაჭრობასა და მრეწველობაში საქონლის განსასხვავებლად ნიშნების გამოყენება ასევე გავრცელდა რამდენიმე ასწლეულის წინ, შუა საუკუნეებში, ვაჭრობის აყვავების ხანაში. მაგრამ ამ ნიშნების ეკონომიკური მნიშვნელობა ჯერ კიდევ შეზღუდული რჩებოდა.

9.2. მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა სასაქონლო ნიშნებს ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში და ამ დროიდან მოყოლებული წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს თანამედროვე მსოფლიოსათვის საერთაშორისო ვაჭრობასა და საბაზრო ეკონომიკაში. ინდუსტრიალიზაცია და საბაზრო ეკონომიკის სისტემის განვითარება საშუალებას აძლევს მრეწველებსა და ვაჭრებს, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, შესთავაზონ მომხმარებლებს ერთი და იმავე კატეგორიის სხვადასხვაგვარი საქონელი. მათ ხშირად არ გააჩნიათ მომხმარებლისათვის შესამჩნევი აშკარა განმასხვავებელი ნიშნები, მაგრამ, როგორც წესი, ისინი განსხვავდებიან ხარისხით, ფასით და სხვა მახასიათებლებით. ცხადია, რომ მომხმარებლისთვის აუცილებელია ორიენტირი, რომელიც მისცემს მას ალტერნატივების განხილვისა და კონკურენტულ საქონელს შორის სწორი

არჩევანის გაკეთების საშუალებას. მაშასადამე, საქონელს უნდა ჰქონდეს სახელი და სწორედ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ბაზარზე საქონლის სახელდების საშუალებას.

9.3. საწარმოებს სასაქონლო ნიშნები ესაჭიროებათ, აგრეთვე, საკუთარი პროდუქციის ინდივიდუალიზიციისათვის, რათა მიიქციონ მომხმარებლების ყურადღება და ურთიერთობა ჰქონდეთ მათთან. ამგვარად, სასაქონლო ნიშნები ემსახურება თავის მფლობელს საქონლის რეკლამირებისა და გასაღების საქმეში, ხოლო საზოგადოდ ეკონომიკას - ვაჭრობის სრულყოფაში.

9.4. სასაქონლო ნიშნები საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, გააკეთონ არჩევანი ბაზარში არსებულ სხვადასხვაგვარ საქონელს შორის; სასაქონლო ნიშნები უბიძგებენ თავის მფლობელებს, შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ ხარისხი საქონლისა, რომელიც იყიდება მათი სასაქონლო ნიშნით, რათა გაამართლონ მომხმარებელთა იმედები. ბაზარზე, სადაც არის არჩევის საშუალება, ერთხელ გაწბილებული მომხმარებელი ხელახლა აღარ შეიძენს იმავე საქონელს. ხოლო ის, ვინც კმაყოფილი დარჩა შენაძენით, შემდგომში სასაქონლო ნიშანზე დაყრდნობით გადაწყვეტს საქონლის შეძენას. ასე უფასებენ სასაქონლო ნიშნები შრომას მეწარმეებს, რომლებიც მუდმივად სთავაზობენ მომხმარებელს მაღალხარისხოვან საქონელს, რაც, საბოლოო ჯამში, სტიმულს აძლევს ეკონომიკურ პროგრესს.

B. განსაზღვრებები

(a) სასაქონლო ნიშნები

9.5. "სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს ნებისმიერი აღნიშვნა, რომელიც ახდენს კონკრეტული საწარმოს საქონლის ინდივიდუალიზებას და განასხვავებს მას კონკურენტების საქონლისაგან". ეს განსაზღვრა შეიცავს ორ ასპექტს, რომლებსაც ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც სასაქონლო ნიშნის სხვადასხვა ფუნქციას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ფუნქციები ურთიერთდამოკიდებულია და პრაქტიკული მიზნით ყოველთვის ერთად უნდა იქნეს მოხსენიებული.

9.6. საქონლის ინდივიდუალიზების მიზნით სასაქონლო ნიშანმა მომხმარებელს უნდა მიუთითოს მისი წარმოშობის წყაროზე. ეს არ ნიშნავს, რომ იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტული საქონლის ნამდვილი მეწარმეს ან იმ პირის შესახებ, ვინც მას ასაღებს: სინამდვილეში მომხმა-

რებელმა ხშირად არც იცის მეწარმის სახელი, მით უფრო - ამ საქონლის დამამზადებელი საწარმოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. სასაქონლო ნიშნისთვის სულაც არ არის აუცილებელი, შეასრულოს საქონლის წარმოშობაზე პირდაპირი მითითების ფუნქცია. საკმარისია, რომ მომხმარებელი ენდოს თუნდაც მისთვის უცნობ მოცემულ საწარმოს, რომელიც პასუხისმგებელია სასაქონლო ნიშნით გაყიდულ საქონელზე.

9.7. წარმოშობაზე მითითების ზემოაღწერილი ფუნქცია გულისხმობს, რომ სასაქონლო ნიშანს შესწევს უნარი, განასხვაოს ერთი საწარმოს საქონელი სხვა საწარმოთა საქონლისაგან. სასაქონლო ნიშანი მხოლოდ მაშინ ასრულებს წარმოშობაზე მინიშნების ფუნქციას, როდესაც იგი შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს, განასხვაოს ამ ნიშნით შეთავაზებული საქონელი სხვა საწარმოთა საქონლისაგან, რომელსაც სთავაზობს ბაზარი. აქედან ჩანს, რომ განმასხვავებელი ფუნქცია და წარმოშობაზე მინიშნების ფუნქცია არ შეიძლება გაიყოს. პრაქტიკაში ნებისმიერ პირს შეუძლია დაეყრდნოს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ფუნქციას და განსაზღვროს იგი, როგორც "აღნიშვნა, რომელიც საჭიროა, რათა ერთი საწარმოს საქონელი განვასხვაოთ სხვა საწარმოთა საქონლისაგან."

9.8. ეს არის მიდგომა, რომელიც განსაზღვრულია ისმო-ს 1967წ. ტიპური კანონის 1(1) ნაწილით განვითარებადი ქვეყნებისათვის ნიშნების, საფირმო სახელწოდებებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ აქტის შესაბამისად ("ტიპური კანონი").

(b) მომსახურების ნიშნები

9.9. თანამედროვე კომერციულ საქმიანობაში მომხმარებლები აწყდებიან არა მხოლოდ ყველანაირი ტიპის საქონლის მდიდარ ასორტიმენტს, არამედ მომსახურებათა მზარდ ნაირსახეობას, რასაც სულ უფრო ხშირად სთავაზობენ ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ამიტომ არის საჭირო აღნიშვნები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მომხმარებლებს, გააკეთონ არჩევანი მომსახურების გამწევ სხვადასხვა ორგანიზაციას შორის, როგორიცაა, მაგალითად, დაზღვევის კომპანიები, ავტომობილების გაქირავების ფირმები, ავიახაზები და ა. შ. ასეთ აღნიშვნებს უწოდებენ მომსახურების ნიშნებს. ისინი ასრულებენ ძირითადად წარმოშობაზე

მითითების იმავე ფუნქციას და ისეთსავე განმასხვავებელ ფუნქციას მომსახურების მიმართ, რასაც სასაქონლო ნიშნები - საქონლის მიმართ. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არსებობს მომსახურების ნიშნების დაცვის აუცილებლობა ისევე, როგორც სასაქონლო ნიშნებისა; თანამედროვე კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების სფეროში მომსახურების ნიშნებს ისეთსავე დაცვას ანიჭებს, როგორც ნიშნებს, რომლებიც ახდენენ საქონლის იდენტიფიცირებას.

9.10. იმის გამო, რომ მომსახურების ნიშნები წარმოადგენს აღნიშვნებს, რომლებიც თავისი ხასიათით ძალიან ჰგვანან სასაქონლო ნიშნებს, მათ შეიძლება მივუყენოთ ერთნაირი კრიტერიუმები, რის გამოც არსებული კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ დამატებით მოიცავს მომსახურების ნიშნების დაცვასაც და შესაბამისად, უბრალოდ ითვალისწინებს მომსახურების ნიშნების მიმართ, mutatis mutandis, სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ დებულებათა გამოყენებას.

9.11. ზემოთ მოყვანილი პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მომსახურების ნიშნების რეგისტრირება, რეგისტრაციის ვადის გაგრძელება და გაუქმება შესაძლებელია მოხდეს იმავე გზით, როგორითაც სასაქონლო ნიშნებისათვის. უფრო მეტიც, მათზე უფლებების დათმობა და ლიცენზიის გაცემაც იმავე პირობებით მოხდება. ამიტომ წესები, რომლებიც შემუშავებულია სასაქონლო ნიშნებისათვის, გამოიყენება მომსახურების ნიშნებისთვისაც.

(c) კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნები

9.12. სასაქონლო ნიშნები, ჩვეულებრივ, მიუთითებს ინდივიდუალურ საწარმოებზე, როგორც მარკირებული საქონლისა და მომსახურების წარმოშობაზე. ზოგიერთი ქვეყანა ითვალისწინებს კოლექტიური და სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაციას, რაც მიუთითებს ასეთი ნიშნით მოსარგებლე საწარმოთა ურთიერთკავშირზე ან დადგენილ სტანდარტზე, რომელსაც აკმაყოფილებს ამ ნიშნით გამოშვებული საქონელი.

9.13. ქვემოთ მოყვანილია ამ საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის დებულებებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები.

(i) კოლექტიური ნიშნები

9.14. კოლექტიურ ნიშანს შეიძლება ფლობდეს ასოციაცია, რომელიც თვითონ არ სარგებლობს ამ ნიშნით, მაგრამ რომლის წევრებსაც შეუძლიათ გამოიყენონ იგი; ჩვეულებრივ, ასოციაციას ქმნიან იმ მიზნით, რომ მისმა წევრებმა უზრუნველყონ ხარისხის გარკვეული სტანდარტების დაცვა; წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ კოლექტიური ნიშნით, თუ ისინი იცავენ კოლექტიური ნიშნის გამოყენების შესახებ წესდების პირობებს. ამგვარად, კოლექტიური ნიშნის დანიშნულებაა, ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას საქონლის ზოგიერთი განსაკუთრებული თვისების შესახებ, რომლისთვისაც გამოიყენება კოლექტიური ნიშანი. საწარმოს, რომელსაც მინიჭებული აქვს კოლექტიური ნიშნით სარგებლობის უფლება, შეუძლია საკუთარი სასაქონლო ნიშნის გამოყენებაც.

9.15. წესდება, რომელიც ეხება კოლექტიური ნიშნის გამოყენებას, ჩვეულებრივ, უნდა დაერთოს განაცხადს კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე და წესდებაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ ეცნობოს სამრეწველო საკუთრების უწყებას. რამდენიმე ქვეყანაში (მაგალითად, გერმანიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, შვედეთსა და შვეიცარიაში) კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს, თუ ასეთი ნიშანი გამოიყენება წესდების დებულებათა მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ან ისე, რომ შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ამიტომ კოლექტიური ნიშნები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მომხმარებელთა შეცდომაში შესაძლო შეყვანისაგან დასაცავად.

9.16. პარიზის კონვენციის მე-7bis მუხლი შეიცავს დებულებებს კოლექტიური ნიშნების შესახებ. ეს დებულებები, კერძოდ, სავალდებულოს ხდიან კოლექტიური ნიშნის სარეგისტრაციოდ მიღებას და დაცვას ყველა წევრ-ქვეყანაში, რომელიც განსხვავებულია კოლექტიური ნიშნის მფლობელი ასოციაციის დამაარსებელი ქვეყნისაგან. ეს ნიშნავს, რომ უარი არ შეიძლება ეთქვას დაცვაზე, თუ აღნიშნული ასოციაცია დაარსებული არ არის იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც მოითხოვება დაცვა. მეორე მხრივ, კონვენციაში ცხადადაა მოცემული ყოველი წევრი-ქვეყნის უფლება, განსაზღვროს დაცვის საკუთარი პირობები და, თუ კოლექტიური ნიშანი ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, უარი თქვას დაცვაზე.

(ii) სასერტიფიკაციო ნიშნები

9.17. სასერტიფიკაციო ნიშანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სტანდარტების შესაბამისად. კოლექტიურ ნიშნებსა და სასერტიფიკაციო ნიშნებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ პირველით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ გარკვეულმა საწარმოებმა, მაგალითად, იმ კოლექტივის წევრებმა, რომელიც ფლობს კოლექტიურ ნიშანს, მაშინ, როდესაც მეორით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც იცავს დადგენილ სტანდარტებს. ამგვარად, კოლექტიური ნიშნით მოსარგებლენი თითქოს ქმნიან "კლუბს" მაშინ, როცა სასერტიფიკაციო ნიშნის მიმართ გამოიყენება ღია კარის პრინციპი.

9.18. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციის მნიშვნელოვან პირობაა ის, რომ პირი, რომელიც მოითხოვს რეგისტრაციას, "იყოს კომპეტენტური, დაადასტუროს" ამა თუ იმ საქონლის ხარისხი. ამიტომ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი უნდა იყოს პასუხისმგებელი იმ პროდუქციაზე, რომლისთვისაც იხმარება სასერტიფიკაციო ნიშანი. ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანისაგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს.

9.19. "სასერტიფიკაციო ნიშნის" განსაზღვრა ერთნაირი არ არის ყველა ქვეყანაში. მაგალითად, აშშ-ში სასერტიფიკაციო ნიშნის ხმარება შეუძლია არა ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც იცავს დადგენილ სტანდარტებს, არამედ მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებსაც აქვთ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ გაცემული უფლებამოსილება ამ ნიშნის გამოყენებისათვის. მაშასადამე, აშშ-ში სასერტიფიკაციო ნიშანსა და კოლექტიურ ნიშანს შორის განსხვავება ნაკლებადაა გამოხატული, ვიდრე სხვა ქვეყნებში; ეს ეხება მხოლოდ ამ ორი ნიშნის დანიშნულებას: სასერტიფიკაციო ნიშანი მიუთითებს საქონლის ან მომსახურების გარკვეულ სტანდარტებზე, ხოლო კოლექტიური ნიშანი - მის მოსარგებლეთა მიკუთვნებაზე კონკრეტული ორგანიზაციისადმი.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, Intreduction to Trademark Law & Practice (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

International Bureau of WIPO, Comparative Trademark Law, BTMC/1, BTMC/4 Rev., BTMC/6

C. აღნიშვნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც სასაქონლო ნიშნები

9.20. სასაქონლო ნიშნის დანიშნულებიდან გამომდინარეობს, რომ არსებითად ნებისმიერი აღნიშვნა, რომლის მიზანია ერთი საქონლის მეორისგან განსხვავება, შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშანი. ამიტომ კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნის სფეროში არ უნდა ეცადოს სარეგისტრაციოდ დასაშვებ აღნიშვნათა ამომწურავი ნუსხის დადგენას. ამის გამო მაგალითისათვის მოყვანილი სასაქონლო ნიშნების სარეგისტრაციოდ დასაშვებ სახეობათა ჩამონათვალი არ შეიძლება იყოს ამომწურავი. სასაქონლო ნიშანთა ნაირსახეობის შეზღუდვა უნდა მოხდეს მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებებით, როგორიცაა, მაგალითად, მოქმედი რეესტრის არსებობისა და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთა გამოქვეყნების აუცილებლობა.

9.21. თუ ჩვენ მკაცრად დავიცავთ პრინციპს, რომ აღნიშვნის მიზანია, გა-ნასხვაოს ერთი საწარმოს საქონელი სხვა საწარმოთა საქონლისაგან, მაშინ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აღნიშვნათა შემდეგი სახეობები და კატეგორიები:

(i) სიტყვები

მოცემული კატეგორია შეიცავს საწარმოთა სახელწოდებებს, პიროვნებათა გვარს, სახელს, გეოგრაფიულ სახელებს და სხვა ნებისმიერ სიტყვებსა და სიტყვათა ერთობლიობას იმისგან დამოუკიდებლად, იქნებიან ისინი შეთხზული თუ არა, და, აგრეთვე, სარეკლამო ლოზუნგებს.

(ii) ასოები და ციფრები

ამ კატეგორიას მიეკუთვნება ერთი ან მეტი ასო, ერთი ან მეტი ციფრი ან მათი ნებისმიერი კომბინაცია.

(iii) გამოსახულება

ეს კატეგორია შეიცავს ფანტაზიურ გამოსახულებებს, ნახატებსა და სიმბოლოებს და, აგრეთვე, საქონლისა და ტარის ორგანზომილებიან გამოსახულებას.

(iv) ზემოთ მოყვანილი (i), (ii) და (iii) პუნქტებიდან ნებისმიერი ელემენტების კომბინაცია, ლოგოტიპებისა და ეტიკეტების ჩათვლით.

(v) ფერადი ნიშნები

მოცემული კატეგორია შეიცავს სიტყვებს, გამოსახულებებს და ფერებში შესრულებულ მათ ნებისმიერ კომბინაციას, აგრეთვე, ფერთა შეხამებას და თავისთავად ფერს.

(vi) მოცულობითი ნიშნები

მოცულობითი ნიშნების ტიპურ კატეგორიას წარმოადგენს საქონლის ან მისი შეფუთვის ფორმა. მიუხედავად ამისა, სხვა მოცულობით ნიშნებს, როგორიცაა, მაგალითად, სამსხივიანი ვარსკვლავი "მერსედესის" ავტომანქანებზე, შეუძლია შეასრულოს სასაქონლო ნიშნის როლი.

(vii) ბგერითი ნიშნები

შეიძლება განვასხვაოთ ბგერითი ნიშნების ორი ტიპური კატეგორია, სახელდობრ ის, რაც შეიძლება ჩაიწეროს მუსიკალური ნოტებით ან სხვა სიმბოლოებით, და სხვა სახის ბგერითი ნიშნები (მაგალითად, ლომის ღრიალი).

(viii) ყნოსვითი ნიშნები

წარმოვიდგინოთ, რომ კომპანია ყიდის თავის საქონელს (მაგალითად, საწერ ქაღალდს), რომელსაც გააჩნია არომატული სურნელება და მომხმარებელი ეჩვევა მის გამორჩევას სუნის მიხედვით.

(ix) სხვა (უხილავი) აღნიშვნები

ასეთია, მაგალითად, აღნიშვნები, რომლებიც შეიცნობა ხელის შეხებით.

9.22. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქვეყნებს შეუძლიათ დააწესონ რეგისტრაციის შეზღუდვები პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე. ქვეყანათა უმრავლესობა მხოლოდ ისეთ აღნიშვნებს მიიჩნევს დასაშვებად, რომელთა შესრულება შესაძლებელია გრაფიკულად, რადგან მხოლოდ ისინი შეიძლება იყოს ფიზიკურად რეგისტრირებული და გამოქვეყნებული სასაქონლო ნიშნების ბიულეტენებში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

9.23. რიგი ქვეყნებისა უშვებს მოცულობითი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას და ავალდებულებს განმცხადებელს უშუალოდ ნიშნის ან მისი

ორგანზომილებიანი გამოსახულების (სურათი, ფოტოგრაფია ან სხვა ნებისმიერი გამოსახულება, რომელიც შეიძლება იყოს დაბეჭდილი) ან აღწერილობის (ან ორივეს) წარდგენას. მაგრამ ყოველთვის არ არის ცხადი, თუ კერძოდ, რა არის დაცული მოცულობითი ნიშნის რეგისტრაციით.

9.24. ანალოგიურ პრობლემას ვხვდებით ბგერით აღნიშვნებთან დაკავშირებით. ნოტების მიმდევრობა, რა თქმა უნდა, შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს როგორც გამოსახულებითი ნიშანი, მაგრამ ეს რეგისტრაცია, ჩვეულებრივ, დაცვას არ ანიჭებს ნამდვილ მუსიკალურ ფრაზებს, რომლებიც გამოსახულია ნოტებით. სინამდვილეში, ნოტების მიმდევრობის რეგისტრაციით იგი დაცულია მხოლოდ მსგავსი გამოსახულებების უნებართვო გამოყენებისაგან. ამავე დროს ბგერითი ნიშნები, ნამდვილად შეიძლება გამოვიყენოთ სასაქონლო ნიშანად. აშშ-ში, მაგალითად, ნებადართულია ბგერითი ნიშნების რეგისტრაცია. პრაქტიკაში ეს ნიშნავს იმას, რომ ბგერა უნდა ჩაიწეროს კასეტაზე, ხოლო კასეტა სარეგისტრაციოდ წარედგინოს აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას.

9.25. ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ახლახან მიღებული გადაწყვეტილებით აღიარა ყნოსვითი ნიშნის რეგისტრაციის შესაძლებლობა (საკერავ ძაფებსა და საქარგავ მკედს აქვთ ცოცხალი ყვავილის არომატი, რომელიც გვაგონებს პლუმერიის სურნელებას).

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

D. დაცვისუნარიანობის კრიტერიუმი

9.26. აღნიშვნა რომ სასაქონლო ნიშანი გახდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს პირობები, რომლებიც საკმაოდ სტანდარტულია მთელ მსოფლიოში.

9.27. ძირითადად უნდა განვასხვაოთ პირობათა ორი სხვადასხვა ტიპი.

9.28. პირობათა პირველი ტიპი ეხება სასაქონლო ნიშნის ძირითად დანიშნულებას, სახელდობრ, მის ფუნქციას, განასხვაოს ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება მეორე საწარმოს საქონლის ან მომსახურებისაგან. ამ ფუნქციის თანახმად, სასაქონლო ნიშანს უნდა ჰქონდეს განმასხვავებლობა, ანუ შესწევდეს სხვადასხვა საქონლის განსხვავების უნარი.

9.29. პირობათა მეორე ტიპი ეხება სასაქონლო ნიშნის შესაძლო უარყოფით ზემოქმედებას, თუ მას აქვს შეცდომაში შეყვანის ხასიათი ან თუ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მორალს.

9.30. პირობათა ეს ორი ტიპი, პრაქტიკულად, სასაქონლო ნიშნების შესახებ ყველა ეროვნულ კანონშია წარმოდგენილი. ისინი გარკვევითაა გადმოცემული პარიზის კონვენციის 6^{quinquies} B მუხლში, რომელშიც აღნიშნულია, რომ რეგისტრაციისას სასაქონლო ნიშნებს, რომლებიც სარგებლობენ დაცვით 6 ^{quinquies} A მუხლის თანახმად, უარი ეთქვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ "მათ არ გააჩნიათ არანაირი განმასხვავებლობა ან, თუ "ისინი ეწინააღმდეგებიან მორალს ან საზოგადოებრივ წესრიგს და, განსაკუთრებით მაშინ, თუ შეუძლიათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა".

(a) განმასხვავებლობის მოთხოვნა

9.31. ჩვენ ვნახეთ, რომ სასაქონლო ნიშნის მიზანია, განასხვაოს ერთი საწარმოს საქონელი მეორე საწარმოს საქონლისაგან; ამიტომ აღნიშვნას უნდა გააჩნდეს განმასხვავებლობა, რათა იგი ფუნქციონირებდეს როგორც სასაქონლო ნიშანი. აღნიშვნა, რომელსაც არ გააჩნია განმასხვავებლობა, ვერ დაეხმარება მომხმარებელს მისი გემოვნების შესატყვისი საქონლის იდენტიფიცირებაში. სიტყვა "ვაშლი" ("apple") ან ვაშლის გამოსახულება არ შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ვაშლისათვის, მაგრამ მას მაღალი განმასხვავებლობა აქვს კომპიუტერისთვის. ეს გვიჩვენებს, რომ განმასხვავებლობა შეფასებული უნდა იქნეს იმ საქონელთან მიმართებაში, რომლისთვისაც გამოიყენება სასაქონლო ნიშანი.

9.32. იმის განსაზღვრა, გააჩნია თუ არა სასაქონლო ნიშანს განმასხვავებლობა, დამოკიდებულია მომხმარებელთა ან, თუნდაც, იმ პირთა გათვითცნობიერებულობაზე, ვისთვისაც არის იგი გამიზნული. მაგრამ ძალიან ხშირად, სარეგისტრაციოდ შეტანამდე აღნიშვნა არ გამოიყენება და ამიტომ შეიძლება დაისვას მხოლოდ ასეთი კითხვა: "შესწევს კი აღნიშვნას უნარი განასხვაოს საქონელი, რომლისთვისაც უნდა იქნეს გამოყენებული?"

9.33. დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ აღნიშვნას იმ შემთხვევაში გააჩნია განმასხვავებლობა საქონლისათვის, რომლისთვისაც იგი უნდა იქნეს გამოყენებული, თუკი იმ პირთა მიერ, ვისთვისაც ეს აღნიშვნა არის გამიზნული, იგი აღიარებულია კონკრეტულ კომერციულ წყაროზე

მიმანიშნებელ აღნიშვნად ან შესაძლებელია აღიარებული იქნეს ასეთად.

9.34. აღნიშვნის განმასხვავებლობა არ არის აბსოლუტური და უცვლელი ფაქტორი. იგი, უბრალოდ, დამოკიდებულია გარკვეულ გარემოებებზე. იმისდა მიხედვით, თუ რას მოიმოქმედებს ნიშნით მოსარგებლე ან მესამე პირი, შესაძლებელია ნიშნისათვის განმასხვავებლობის შეძენა, გაზრდა და დაკარგვაც კი. ისეთი გარემოებები, როგორიცაა აღნიშვნის (შესაძლოა ხანგრძლივი და ინტენსიური) გამოყენება, მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტი ვარაუდობს, რომ აღნიშვნას არ გააჩნია საჭირო განმასხვავებლობა, ანუ, თუ იგი თავისთავად მოკლებულია განმასხვავებლობას.

9.35. უდავოა, რომ არსებობს განმასხვავებლობის სხვადასხვა ხარისხი. ამიტომ განსასაზღვრია, თუ რამდენად მაღალი განმასხვავებლობა უნდა გააჩნდეს აღნიშვნას, რომ იგი დაექვემდებაროს რეგისტრაციას იმისგან დამოუკიდებლად, ხდებოდა თუ არა მისი გამოყენება. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ ნიშანთა ზოგიერთ ტიპურ კატეგორიას.

9.36. ე. წ. ფანტაზიური ანუ შეთხზული სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც არ გააჩნია აზრობრივი მნიშვნელობა. ასეთი მაღალი განმასხვავებლობის სასაქონლო ნიშნის ცნობილი მაგალითია "KODAK"-ი.

9.37. ასეთი სასაქონლო ნიშნები არ სარგებლობს დიდი პოპულარობით მარკეტინგის სისტემაში დასაქმებულ ადამიანებს შორის, რადგან ისინი მოითხოვენ დიდ ხარჯებს რეკლამისათვის, რათა ცნობილი გახდნენ მომხმარებლისათვის, თუმცა მათ, თავისთავად, ძალიან ძლიერი სამართლებრივი დაცვა გააჩნიათ.

9.38. მაღალი განმასხვავებლობა შეიძლება გააჩნდეს, აგრეთვე, საყოველთაოდ მიღებულ სიტყვებს სასაუბრო ენიდან, თუ მათ აქვთ ფანტაზიური მნიშვნელობა იმ საქონლისათვის, რომლის მოსანიშნადაც გამოიყენებიან. იგივე შეიძლება ითქვას შესაბამის გამოსახულებით ნიშნებზე. მაგალითად, ცნობილი სასაქონლო ნიშანი "CAMEL" (აქლემი) სიგარეტისათვის (და, აგრეთვე, მისი ცნობილი გამოსახულებითი ნიშანი) და ზემოხსენებული ნიშანი "APPLE" (როგორც სიტყვა, ასევე გამოსახულება) კომპიუტერებისათვის.

9.39. ცხადია, "CAMEL" და "APPLE" - აშკარად არ არის მოგონილი სიტყვები, მაგრამ მათ დღემდე მაღალი განმასხვავებლობა გააჩნიათ იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც გამოიყენებიან.

9.40. მარკეტინგის სისტემაში დაკავებულ ადამიანებს, როგორც წესი, მოსწონთ ის ნიშნები, რომლებიც მომხმარებლის ცნობიერებაში ასე თუ ისე იწვევს სწორ ასოციაციას საქონელთან. ამიტომ ისინი ამჯობინებენ, მეტნაკლებად აღწერილობით ტერმინებს. თუ აღნიშვნა მხოლოდ აღწერილობითია, იგი კარგავს თავის განმასხვავებლობას და არ შეიძლება რეგისტრირებული იქნეს როგორც სასაქონლო ნიშანი. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ყველა აღნიშვნამ, რომელსაც აზრობრივი დატვირთვაც გააჩნია და არც თვითნებურადაა გამოყენებული, დაკარგოს განმასხვავებლობა. არსებობს აღნიშვნათა შუალედური კატეგორია, რომლებიც ასოციურად მიანიშნებენ შესაბამის საქონელზე, აგრეთვე, მის ხასიათზე, ხარისხზე, წარმოშობაზე ან მის ნებისმიერ სხვა თვისებაზე ისე, რომ, ფაქტობრივად, არ არიან აღწერილობითნი. ასეთი ნიშნები ექვემდებარება რეგისტრაციას. პრაქტიკაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ის, თუ როგორია სასაქონლო ნიშანი საქონელისათვის, რომლისთვისაც იგი გამოიყენება: ასოციაციის გამომწვევი თუ აღწერილობითი. ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად და, აგრეთვე, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით. თუ ექსპერტი ეჭვობს ან დარწმუნებულია იმაში, რომ ტერმინი უფრო აღწერილობითია, ვიდრე ასოციაციური, მან უნდა განიხილოს - არის თუ არა ტერმინი (თუ არის, რამდენად) მეტად აღწერილობითი, ვიდრე ასოციაციური. მან, აგრეთვე, უნდა განიხილოს, გამოიყენებოდა თუ არა უკვე ტერმინი (და თუ გამოიყენებოდა, რამდენად ინტენსიურად) განმცხადებლის მიერ. დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ აღწერილობითი ტერმინი განმასხვავებლობის მქონეა ამა თუ იმ საქონლისათვის, თუ მან შეიძინა მეორადი მნიშვნელობა, ე. ი. თუ პირი, ვისთვისაც იგი არის გამიზნული, დაასკვნის, რომ ამ ტერმინით მონიშნული საქონელი, წარმოშობილია კონკრეტული კომერციული წყაროდან.

9.41. იმ შემთხვევაში, თუ საეჭვო გახდა - ტერმინი აღწერილობითია თუ ასოციაციური, მისი რეგისტრაციისათვის შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ის ფაქტი, რომ ნიშანი გამოიყენებოდა კომერციულ საქმიანობაში გარკვეული დროის მანძილზე.

9.42. მაგრამ რაც უფრო აღწერილობითია ტერმინი, მით უფრო ძნელია

მისი მეორადი მნიშვნელობის დამტკიცება და მომხმარებელთა მით უფრო მეტი პროცენტის გათვითცნობიერებულობა იქნება საჭირო.

(i) განმასხვავებლობის ნაკლებობა

9.43. თუ აღნიშვნას არ გააჩნია განმასხვავებლობა, მას არ შეუძლია ფუნქციონირება როგორც სასაქონლო ნიშანს, ამიტომ რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას. რაკი ეს გარემოება წარმოადგენს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, განმცხადებელს, ჩვეულებრივ, არ სჭირდება განმასხვავებლობის დამტკიცება. განმასხვავებლობის არასაკმარისობის დამტკიცება ექსპერტის მოვალეობაა და იმ შემთხვევაში, თუ მას მხოლოდ ეჭვი გააჩნია, სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული უნდა იქნეს. სასაქონლო ნიშნების შესახებ ზოგიერთი კანონი, როგორიცაა, 1938წ. ბრიტანული კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ (და იმ ქვეყნების კანონმდებლობები, რომლებიც ბრიტანული მიდგომის მიმდევრები არიან), მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, რათა მან აჩვენოს, რომ მისი ნიშანი იმსახურებს რეგისტრაციას. ასეთი პრაქტიკა მკაცრად უნდა იქნეს მიჩნეული, ზოგჯერ იგი ხელს უშლის ისეთი ნიშნების რეგისტრაციას, რომლებსაც აშკარად შესწევთ უნარი, განასხვაონ თავისი მფლობელის საქონელი. თუმცა, თანამედროვე ტენდენციის მიხედვით, როგორც ეს ასახულია ევროსაბჭოს ჰარმონიზაციის შესახებ დირექტივის მე-3 მუხლსა და, აგრეთვე, ტიპურ კანონში, ცალსახად მოითხოვება, რომ განიმარტოს განმასხვავებლობის არასაკმარისობა, როგორც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადზე უარის თქმის საფუძველი.

9.44. როგორია კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობის არასაკმარისობის გამო მის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს?

(ii) გვარეობითი ტერმინები

9.45. აღნიშვნა გვარეობითია, თუ ის განსაზღვრავს კატეგორიას ან სახეობას, რომელსაც მიეკუთვნება საქონელი. როგორც ვაჭრობისათვის, ასევე, მომხმარებლისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არავის მიეცეს გვარეობითი ტერმინების მონოპოლიზების უფლება.

9.46. გვარეობითი ტერმინების მაგალითებია "ავეჯი" (ზოგადად ავეჯისათვის

და, აგრეთვე, მაგიდების, სკამებისათვის და ა. შ.) და “სკამი” (სკამებისათვის). სხვა მაგალითი შეიძლება იყოს - “სასმელები,” “ყავა”, “უნალექო ყავა”, რაც გვიჩვენებს, რომ არსებობს საქონლის უფრო ფართო და უფრო ვიწრო კატეგორიები და ჯგუფები, რომლებსაც საერთო აქვთ ის, რომ უფრო ფართო ტერმინი, რომელიც მიმდევრობით გამოიყენება დანარჩენის აღწერის მიზნით, გვარეობითია.

9.47. ამ აღნიშვნებს საერთოდ არ გააჩნია განმასხვავებლობა და ზოგიერთი იურისდიქცია იმ აზრისაა, რომ, რაოდენ ფართო გამოყენებაც არ უნდა ჰქონდეთ მათ, და რომ შეეძლოთ კიდეც მეორადი მნიშვნელობის შეძენა, მათი რეგისტრაცია მაინც შეუძლებელია, რადგან, თუ მხედველობაში მივიღებთ ვაჭრობაში ამ აღნიშვნებით ფართოდ სარგებლობის აუცილებლობას, მათი მონოპოლიზება არ შეიძლება. ამ მიზეზთა გამო დელის უმაღლესმა სასამართლომ (ინდოეთი, 1972წ.) უარი თქვა სასაქონლო ნიშნის - JANTA-ს რეგისტრაციაზე, რადგან ჰინდის ენაზე ეს სიტყვა “იაფს” ნიშნავს.

(iii) აღწერილობითი აღნიშვნები

9.48. აღწერილობითი აღნიშვნები ისეთი აღნიშვნებია, რომლებიც გამოიყენება ვაჭრობაში იმ საქონლის სახეობაზე, ხარისხზე, დანიშნულებაზე, ღირებულებაზე, წარმოშობის ადგილზე, დამზადების დროზე ან რაიმე სხვა მახასიათებელზე მისათითებლად, რომლისთვისაც უნდა იქნეს გამოყენებული ან უკვე გამოყენებულია სასაქონლო ნიშანი.

9.49. განმასხვავებლობის მქონე აღნიშვნის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრების თანახმად, გამოყენებულმა ტესტმა უნდა დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა, რომ მომხმარებლებმა აღნიშვნა მიიჩნიონ საქონლის წარმოშობაზე მითითებად (განმასხვავებლობის მქონე აღნიშვნა), თუ უფრო მოსალოდნელია, რომ აღიქვან იგი საქონლის თვისებებზე ან მის გეოგრაფიულ წარმოშობაზე მითითებად (აღწერილობითი აღნიშვნა). ამ შემთხვევაში ტერმინი “მომხმარებელი” გამოიყენება როგორც შემოკლება, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველ შესაბამის წრეებს, სახელდობრ იმათ, ვისთვისაც გამიზნულია ეს აღნიშვნა (ზოგ შემთხვევაში იმათაც, ვისაც მეტნაკლებად ეხება იგი).

9.50. ამიტომ ის ფაქტი, რომ სხვა კომერსანტებს გააჩნიათ ამ ტერმინით კეთილსინდისიერად სარგებლობის კანონიერი ინტერესი, შეიძლება

გამოყენებულ იქნეს როგორც დამატებითი საფუძველი იმის გადსაწყვეტად, აღიქვამენ მომხმარებლები აღნიშვნას წარმოშობაზე თუ საქონლის მახასიათებლებზე მითითებად. მაგრამ, თავისთავად, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლად, თუკი გაურკვეველია, მიიჩნევენ მომხმარებლები ამ ტერმინს აღწერილობითად თუ არა.

(iv) სხვა აღნიშვნები, რომლებსაც აკლია განმასხვავებლობა

9.51. ნიშნებს შეიძლება აკლდეს განმასხვავებლობა სხვა მიზეზებითაც. მაგალითად, თუ ნიშანი მისი სისადავის, წმინდა გამოსახულებითობის ან ორნამენტულობის გამო სრულებითაც ვერ იქცევს ყურადღებას, როგორც საქონლის წარმოშობაზე მიმთითებელი, და უფრო შეთავაზებული საქონლის შეფუთვის თვალსაჩინო ნაწილად აღიქმება.

9.52. რაც შეეხება სიტყვებს, შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ შედარებით გრძელი სარეკლამო ლოზუნგები, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს საქონელს და რომლებიც ძნელად აღიქმება მომხმარებლის მიერ, როგორც მითითება საქონლის წარმოშობაზე მაშინაც კი, როდესაც ისინი წარწერილია საქონლის შეფუთვაზე.

9.53. პრაქტიკაში უფლებამოსილ ორგანოებს საქმე აქვთ ზოგიერთ სხვა ტიპურ კატეგორიასა თუ შემთხვევასთან, რომლებიც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში მკაფიოდ არის ჩამოთვლილი როგორც უარის თქმის საფუძველი; ისინი განხილულია ქვემოთ.

(v) მითითება გეოგრაფიულ წარმოშობაზე

9.54. გეოგრაფიულ წარმოშობაზე (საქონლის წარმოშობის წყაროს განსაზღვრის თვალსაზრისით) მითითებებს განმასხვავებლობა ძირითადად არ გააჩნია. ისინი მომხმარებელში იწვევენ იმ გეოგრაფიულ სახელთა ასოციაციას, რომლებიც მიუთითებენ ან საქონლის ან მისი დამზადებისათვის საჭირო ინგრედიენტების წარმოების ადგილზე ან, ფაქტობრივ გარემოებათა მიხედვით, საქონლის იმ თვისებებზე, რომლებიც დაკავშირებულია მის წარმოშობასთან.

9.55. მოხსენიებულმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ მომხმარებელში ამგვარი ასოციაცია რომ გამოიწვიოს, ცხადია, პირველ რიგში, მისთვის

ცოტათი მაინც ცნობილი უნდა იყოს. ამიტომ აღნიშვნები, რომლებიც მიუთითებენ პრაქტიკულად უცნობ ადგილებზე, განმასხვავებელი აღნიშვნებია. განმასხვავებელია, აგრეთვე, აღნიშვნები, რომლებიც მიუთითებენ იმ რაიონებზე, სადაც შესაბამისი საქონლის წარმოებას არავინ ელოდება.

9.56. მომხმარებლისთვის ცნობილიც რომ იყოს გეოგრაფიული რაიონი, აღნიშვნა, რომელიც მასზე მიუთითებს, შეიძლება იყოს ან გახდეს განმასხვავებელი აღნიშვნა, თუ საქმიანობის იმავე სფეროში არ არის არც ერთი სხვა მრეწველი ან მოვაჭრე და მომავალშიც იქ კონკურენტი საწარმოს დაფუძნების არავითარი შანსი არ არსებობს.

9.57. ხანგრძლივი და ინტენსიური გამოყენების გამო გეოგრაფიული დასახელება ასევე შეიძლება ასოცირდებოდეს გარკვეულ საწარმოსთან იმდენად, რომ იგი განმასხვავებლობის მქონე გახდეს მისთვის, როგორც სასაქონლო ნიშანი, მაშინაც კი, თუ კონკურენტები უკვე არსებობენ ან დამკვიდრდებიან იქ მომავალში.

(vi) ასოები, ციფრები და მარტივი გეომეტრიული ფიგურები

9.58. ეს აღნიშვნები, ჩვეულებრივ, არაგანმასხვავებელ აღნიშვნებად მიიჩნევა და ამიტომ არ ექვემდებარება რეგისტრაციას. ზოგიერთი კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნის შესახებ (მაგალითად, გერმანული) სპეციალურადაც კი გამორიცხავს მათ რეგისტრაციიდან ან იღებს მათ სარეგისტრაციოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის, სულ ცოტა, სამი ასოს და/ან ციფრის კომბინაცია მაინც, ან, ასოების შემთხვევაში, მათი წარმოთქმადი თანმიმდევრობა.

9.59. ცხადია, რომ მომხმარებლები, ჩვეულებრივ, ასოებს, ციფრებს ან მარტივ გეომეტრიულ ფიგურებს საქონლის წარმოშობაზე მითითებად არ მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, ასოები, ციფრები და მათი კომბინაციები გამოყენების შედეგად შეიძლება იქცეს განმასხვავებლობის მქონე ნიშნებად და, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სხვა მოვაჭრეთა ე. წ. კანონიერი ინტერესი მათი კეთილსინდისიერად გამოყენებისადმი არ უნდა გახდეს არანაირი საფუძველი უარის სათქმელად.

9.60. უფრო მეტიც, ასოები და ციფრები ყოველგვარი გამოყენების გარეშეც შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს, თუ ისინი გამოყენებულია ფანტაზიურ გამოსახულებით ნიშანში.

(vii) უცხოური შრიფტი და ტრანსლიტერაცია

9.61. წარმოვიდგინოთ ნიშნის გამოყენება ტაის შრიფტის სახით ინდოეთში ან შრი-ლანკაში, ჩინური იეროგლიფების ხმარება შვეიცარიაში, სინგალური ასოების - აშშ-ში ან იაპონური დამწერლობისა (კატაკანა, კანდი) - ნებისმიერ ადგილას იაპონიის გარდა. რიგითი მომხმარებლების უმრავლესობისათვის ეს ნიშნები მხოლოდ ფანტაზიური გამოსახულებებია. მაშასადამე, მათ გააჩნიათ განმასხვავებლობა იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც აღნიშვნას აქვს მხოლოდ ორნამენტული ეფექტი მისი გრაფიკული შესრულების გამო.
9.62. იმის გამო, რომ ამ ნიშნებს გააჩნია განმასხვავებლობა, ისინი ძირითადად ექვემდებარებიან რეგისტრაციას, თუმცა ექსპერტს შეუძლია, მოითხოვოს თარგმანი (მათი მნიშვნელობის აღწერა) ადგილობრივ ენაზე.

(viii) ფერები

9.63. ფერთა შეხამებით ან ფერში შესრულებული სიტყვებისა და/ან გამოსახულებათა გამოყენება, ჩვეულებრივ, აძლიერებს მათ განმასხვავებლობას. ამიტომ უფრო ადვილია ასეთ აღნიშვნებზე განაცხადის რეგისტრაცია იმ ფერთა დაცვის მოთხოვნით, რომლებიც ნაჩვენებია ან აღწერილია განაცხადში. პირველი ფერადი სასაქონლო ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულ იქნა გაერთიანებულ სამეფოში 1876წ. (და რომელიც დღემდე რეესტრშია), იყო წითელი ფერის სამკუთხედი (მარტივი გეომეტრიული ფიგურა). მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაცვა იზღუდება იმ ფაქტობრივი ფერებით, რომლებშიც რეგისტრირებული იქნა ნიშანი. ამიტომ ისეთი გამოსახულებები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისადმი იმდენად მსგავსად, რომ გამოიწვიოს მასთან აღრევა, შავ-თეთრ ფერშიც რომ იყოს შესრულებული, შეიძლება გასცდეს დაცვის ფარგლებს განსხვავებულ ფერთა გამოყენების გამო. რადგან შავ-თეთრ ფერში შესრულებული აღნიშვნები დაცულია ისეთი მსგავსი ნიშნების რეგისტრაციისა და გამოყენებისაგან, რომლებმაც ფერების გარეშეც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა, და რადგან ასეთი რეგისტრირებული ნიშნების მფლობელებს შეუძლიათ გამოიყენონ ისინი ნებისმიერ ფერში, საყოველთაო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ფერებში შესრულებული აღნიშვნების რეგისტრაცია აზრს კარგავს. მეორე მხრივ, გარკვეული ფერი ან ფერთა შეხამება შეიძლება იყოს სასაქონლო ნიშნის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელსაც მუდმივად იყენებს მისი მფლობელი და რომელიც, ამის გამო,

შეიძლება გახდეს კონკურენტების მხრიდან ფალსიფიკაციის საგანი. ეს გვიჩვენებს, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეიძლება რეალური ინტერესი გაუჩნდეს თავისი ნიშნის იმ განმასხვავებელ ფერებში რეგისტრაციისა, რომელშიც იგი გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშანი შავ-თეთრ შესრულებაშიც შეიძლებოდა ყოფილიყო საკმაო განმასხვავებლობის მქონე სარეგისტრაციოდ. ასეთი ნიშნის დაცვის მოცულობის შეზღუდვის ზემოაღნიშნული საფრთხის შემცირების მიზნით მის მფლობელს შეუძლია ნიშნის რეგისტრაცია როგორც შავ-თეთრ შესრულებაში, ასევე ფაქტობრივად გამოყენებულ ფერად შესრულებაშიც.

6.64. რეგისტრაციას დაქვემდებარებული სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს ნიშანი, რომელიც შედგება მხოლოდ ფერთა შეხამებისაგან. ასეთი ნიშნები ჩამოთვლილია ტიპური კანონის 1(2) განყოფილებაში როგორც რეგისტრაციას დაქვემდებარებული ნიშნების მაგალითები. იმის დადგენა, ჩაითვალოს თუ არა ფერთა შეხამება, თავისთავად, განმასხვავებლობის მქონე ნიშნად, თუ, რაც უფრო სავარაუდოა, -- აღწერილობით ნიშნად, რომელიც გამოყენების მეშვეობით შეიძენს განმასხვავებლობას, ცალკეული ქვეყნის პრაქტიკის საგანია.

(ix) სახელები და გვარები

9.65. სასაქონლო ნიშნებად შეიძლება დარეგისტრირდეს კომპანიების და საფირმო სახელწოდებები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეცდომაში შემყვანი ან განმასხვავებლობის არმქონე ნიშნებია.

9.66. ფართოდ გავრცელებული გვარები, ჩვეულებრივ, არ ექვემდებარება რეგისტრაციას, რადგან მათ არ გააჩნია განმასხვავებლობა. რაც შეეხება ნაკლებად გავრცელებულ გვარებს, საჭიროა განისაზღვროს, ხომ არა აქვთ მათ სხვა მნიშვნელობა სალაპარაკო ენაში, რომელიც ცნობილია მომხმარებელთა დიდი უმრავლესობისათვის. თუ არსებობს ასეთი მნიშვნელობა, მაშინ აღნიშვნა ექვემდებარება რეგისტრაციას იმ პირობით, რომ ეს მნიშვნელობა არ არის აღწერილობითი იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც უნდა იქნეს გამოყენებული ეს ნიშანი.

(b) რეგისტრაციაზე უარის თქმის სხვა საფუძვლები – საზოგადოების ინტერესები

(i) შეცდომაში შეყვანა

9.67. სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი საქონლის ხასიათის, ხარისხის ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის ან მისი გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ რეგისტრდება.

9.68. მოცემულ შემთხვევაში ტარდება ტესტი თვით სასაქონლო ნიშნისათვის დამახასიათებელი სიყალბის დადგენაზე, როდესაც ის ასოცირდება საქონელთან, რომლისთვისაცაა იგი განკუთვნილი. ეს ტესტი მკვეთრად უნდა განვასხვაოთ იმ ტესტისგან, რომელიც ეხება მომხმარებლისთვის აღრევის საფრთხის საკითხს იდენტურ ან ერთგვაროვან საქონელზე ერთი და იმავე ან მსგავსი სასაქონლო ნიშნების გამოყენებისას.

9.69. ფანტაზიური ან საქონლისათვის ნებისმიერად შერჩეული ნიშნები მართლაც არ შეიძლება შეცდომაში შემყვანი იყოს. მიუხედავად ამისა, აღწერილობითი მნიშვნელობის სასაქონლო ნიშნები მაშინაც კი, როცა ისინი მიმანიშნებელი ან ასოციაციური ხასიათისაა და ამდენად განმასხვავებლობა გააჩნია, მაინც შეიძლება აღმოჩნდეს შეცდომაში შემყვანი. ამიტომ ასეთი სასაქონლო ნიშნები შესწავლილი უნდა იქნეს ორი კუთხით: პირველი – მათ უნდა გააჩნდეთ განმასხვავებლობა და მეორე - ისინი არ უნდა იყვნენ შეცდომაში შემყვანი.

9.70. როგორც წესი, რაც უფრო მაღალია განმასხვავებლობა, მით უფრო იოლად შეიყვანს მომხმარებელს შეცდომაში სასაქონლო ნიშანი, თუ იგი არ გამოიყენება აღწერილი მახასიათებლების მქონე საქონელზე.

(ii) მითითება გეოგრაფიულ წარმოშობაზე

9.71. აღნიშვნები, რომლებიც აღწერენ გეოგრაფიულ წარმოშობას, ან მიუთითებენ მასზე, შეცდომაში შემყვანია იმ პროდუქტისათვის, რომელიც არ არის წარმოშობილი აღწერილი ან მითითებული რაიონიდან. ასეთ შემთხვევებში მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი, თუ მითითება გეოგრაფიულ წარმოშობაზე უქმნის მას არასწორ შთაბეჭდილებას.

9.72. ეს სწორია, განსაკუთრებით, მაშინ, როცა რეგიონს ან ადგილმდებარეობას გააჩნია კარგი კომერციული რეპუტაცია. ასეთი აღნიშვნების ცნობილი მაგალითებია “Champagne” (“შამპანიური”) და “Swiss Chocolate”

(“შვეიცარული შოკოლადი”).

9.73. გეოგრაფიულ წარმოშობაზე პირდაპირი მითითების ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია პრაქტიკაში. უფრო ხშირად გვხვდება არაპირდაპირი მითითებები და ასეთი შემთხვევები უფრო პრობლემატურია. შოკოლადის სასაქონლო ნიშნისთვის ცნობილ შვეიცარულ მთაზე მითითება მომხმარებლებს ისევე შეიყვანდა შეცდომაში, როგორც ეს შეეძლო ტიპური ალპური ლანდშაფტის ამსახველ გამოსახულებით ნიშანს.

9.74. მართლაც, გარკვეულ ვითარებაში უცხო სიტყვების გამოყენებაც კი შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი კონკრეტულ გეოგრაფიულ რაიონზე რაიმე მითითების გარეშე. უკვე იმ ფაქტს, რომ სიტყვა აღებულია კონკრეტული უცხო ენიდან, შეუძლია შეუქმნას მომხმარებელს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქონელი შემოსულია იმ ქვეყნიდან, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ. ამიტომ მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი, თუ ამ ან სხვა ქვეყანას გააჩნია კარგი კომერციული რეპუტაცია ამა თუ იმ საქონელთან მიმართებაში.

9.75. მაგრამ საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, რომ ინგლისური ენა, გარდა იმისა, რომ მასზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ლაპარაკობენ, არის აგრეთვე მარკეტინგის თანამედროვე საერთაშორისო ენა, რის გამოც მრავალ სასაქონლო ნიშანს აქვს ინგლისურენოვანი წარწერაც, რაც სრულებით არ არის კავშირში ამ ნიშნით მარკირებული საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობასთან. მომხმარებლები, როგორც წესი, სწორად აცნობიერებენ ამ ფაქტს.

(iii) შეცდომაში ნაწილობრივი შეყვანა

9.76. ჩვენ ვნახეთ, რომ საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი თავისი არსით შეცდომაში შემყვანი, უნდა განიხილებოდეს იმ საქონელთან კავშირში, რომლისთვისაც შედგენილია განაცხადი. ამიტომ, თანდართულ ნუსხაში ჩამოთვლილი საქონლის მიმართ ნიშანს ზოგისთვის შეიძლება გააჩნდეს განმასხვავებლობა, ზოგისთვის იყოს აღწერილობითი და/ან შეცდომაში შემყვანი დანარჩენისათვის. ასეთ შემთხვევებში ექსპერტი მოითხოვს საქონლის ნუსხის შეზღუდვას. ზოგ ქვეყანაში, თუ განმცხადებელი არ ეთანხმება ასეთ შეზღუდვას, ექსპერტი უარს ეუბნება მთელ განაცხადზე. სხვა ქვეყნებში იგი ღებულობს განაცხადს მხოლოდ იმ საქონელზე,

რომლისთვისაც, მისი აზრით, ნიშანს გააჩნია განმასხვავებლობა და უარს ეუბნება სხვა საქონლის მიმართ.

(iv) ნიშნები, რომლებიც ეწინააღმდეგება მორალს ან საზოგადოებრივ წესრიგს

9.77. კანონმდებლობები სასაქონლო ნიშნების შესახებ, ჩვეულებრივ, უარს ამბობენ ისეთი ნიშნების რეგისტრაციაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება მორალს ან საზოგადოებრივ წესრიგს. ტიპურ კანონში უარის თქმის ეს საფუძველი შეტანილია მე-5(1)(e) ნაწილში და მაგალითად მოყვანილია სახელმწიფო ორგანოთა ან აკრძალულ პოლიტიკურ პარტიათა შეურაცხმყოფელი გამოსახულებები და ემბლემები.

(v) სახელმწიფოს, საზოგადოებრივი დაწესებულებების ან საერთა-შორისო ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ნიშნები

9.78. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყანა, ჩვეულებრივ, იცავს თავის ეროვნულ დროშას, თავის ოფიციალურ სახელწოდებას და ოფიციალურ დაწესებულებათა დასახელებებს. გარდა ამისა, ქვეყნები, პარიზის კონვენციის 6 ^{ter} მუხლის თანახმად, ვალდებულნი არიან, დაიცვან, აგრეთვე, სხვა წევრი-ქვეყნებისა და საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციების (როგორიცაა, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) ემბლემები.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

International Bureau of WIPO, <u>Comparative Trademark Law I,</u> BTMC/4

E. სასაქონლო ნიშანზე უფლებების დაცვა

9.79. სასაქონლო ნიშნის დაცვა შეიძლება გამოყენების ან რეგისტრაციის სა-

ფუძველზე. ორივე მიდგომა ისტორიულად ჩამოყალიბდა, მაგრამ ამჟამად სასაქონლო ნიშნების დაცვის სისტემები, როგორც წესი, ორივე მიდგომის ელემენტებს აერთიანებს. პარიზის კონვენცია ავალდებულებს შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს, აწარმოონ სასაქონლო ნიშნების რეესტრი. 2000 წლის 14 იანვრის მონაცემებით პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნების რაოდენობამ 157-ს მიაღწია. დღეს თითქმის ყველა მათგანი აწარმოებს სასაქონლო ნიშნების რეესტრს და მხოლოდ რეგისტრაცია იძლევა სასაქონლო ნიშნების სრულყოფილი დაცვის სათანადო გარანტიას.

9.80. გამოყენება ჯერ კიდევ ასრულებს მნიშვნელოვან როლს, უწინარეს ყოვლისა, იმ ქვეყნებში, სადაც სასაქონლო ნიშნების დაცვა ტრადიციულად დამყარებულია გამოყენებაზე, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უბრალოდ ადასტურებს გამოყენების გზით შეძენილ უფლებას სასაქონლო ნიშანზე. მაშასადამე, სასაქონლო ნიშნების პრიორიტეტთან დაკავშირებულ დავაში უპირატესობა ეძლევა ამ ნიშნის პირველ გამომყენებელს და არა იმას, ვინც პირველმა გაატარა სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციაში.

9.81. ასეთი მიდგომა აირჩიეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ფილიპინებმა, ინდონეზიამ და ყველა იმ ქვეყანამ, რომლებსაც აქვთ ტრადიციული ბრიტანული მოდელის მიხედვით აგებული სამართლებრივი სისტემა. გარდა ამისა, გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგისტრაციის პროცედურის მრავალ სხვა ასპექტზე და, აგრეთვე, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დაცვაზე.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

F. მოთხოვნები გამოყენებაზე

(a) სავალდებულო გამოყენების აუცილებლობა

9.82. სასაქონლო ნიშნების დაცვა თვითმიზანი არ არის. კანონმდებლობები სასაქონლო ნიშნის სფეროში, როგორც წესი, არ მოითხოვენ გამოყენებას როგორც პირობას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის ან

ფაქტობრივი რეგისტრაციისათვის, სასაქონლო ნიშნების დაცვის საბოლოო მიზანია, განასხვაოს საქონელი, რომელზეც გამოყენებულია სასაქონლო ნიშანი, სხვა საქონლისაგან. ამიტომ არავითარი ეკონომიკური მნიშვნელობა არა აქვს რეგისტრაციის გზით სასაქონლო ნიშნების დაცვას მათი აუცილებლად გამოყენების დავალდებულების გარეშე. სასაქონლო ნიშნები, რომელთა გამოყენება არ ხდება, ხელოვნურ დაბრკოლებას წარმოადგენს ახალი ნიშნების რეგისტრაციისათვის. ამასთან დაკავშირებით სასურველია, გადავხედოთ ისმოს სტატისტიკას. სტატისტიკის თანახმად, 83 ქვეყნიდან, რომლებმაც 1990წ. წარადგინეს ანგარიში ისმოში, სარეგისტრაციოდ შეტანილი იყო, დაახლოებით, 1,2 მილიონამდე განაცხადი სასაქონლო ნიშანზე, მაშინ როცა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საერთო რაოდენობა 63 ქვეყანაში (გარდა, დაახლოებით, იმ 170 უწყებისა, რომლებიც აწარმოებენ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას დაცვის მინიჭებით 200-მდე ქვეყანაში) შეადგენს 6,5 მილიონზე მეტს. სწორედ ამიტომ არსებობს უპირობო საჭიროება იმისა, რომ კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნის სფეროში ითვალისწინებდეს მათ სავალდებულო გამოყენებას.

9.83. ამავე დროს სასაქონლო ნიშნების მფლობელებს რეგისტრაციის შემდეგ ესაჭიროებათ შედავათიანი პერიოდი, სანამ ძალაში შევა აუცილებელი გამოყენების ვალდებულება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მრავალი კომპანიისათვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობაში. ჩვეულებრივ, მათ არ შეუძლიათ გამოუშვან ბაზარზე ახალი საქონელი ერთდროულად მრავალ ქვეყანაში. რათა თავიდან იქნეს აცილებული ახალ სასაქონლო ნიშანზე საკუთარი უფლებების დარღვევები, რომელთა საფიძველზეც კონკურენტებს შეუძლიათ მიიღონ სარგებელი, მათ იმთავითვე უნდა იზრუნონ ახალი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ყველა ქვეყანაში, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეს ნიშანი მომავალში. ცხადია, რომ ნიშნის გამოყენების მოთხოვნათა დასაცავად, კანონმდებლობით გათვალისწინებული გონივრული შედავათიანი პერიოდის გარეშე, საერთაშორისო ბაზარზე აქტიურად მომუშავე კომპანიები დიდ სიძნელეებს წააწყდებოდნენ. მართლაც, თავის ქვეყნებშიც კი კომპანიებს ხშირად რამდენიმე წელი სჭირდებათ ახალი საქონლით ბაზარზე გასასვლელად. ეს განსაკუთრებით იმ კომპანიებს ეხება, რომლებიც აწარმოებენ ფარმაცევტულ საქონელს, რადგან ამ საქონელმა უნდა გაიაროს კლინიკური შემოწმება და

მოწონებულ იქნეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ.

9.84. კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ამ ნიშნების გამოყენების აუცილებლობას, იძლევა შეღავათიან პერიოდს, რაც ზოგჯერ სამ, უფრო ხშირად კი ხუთ წელს შეადგენს.

(b) პრაქტიკული გამოყენების მოთხოვნები

9.85. პრინციპულად სასაქონლო ნიშანი უნდა გამოიყენებოდეს იმ ქვეყანაში, სადაცაა იგი რეგისტრირებული. გამოყენება უნდა განხორციელდეს საქონელთან კავშირში. როგორც წესი, სასაქონლო ნიშანი დაიტანება საქონელზე ან მის შეფუთვაზე. ზოგიერთი საქონლის შემთხვევაში (ბენზინი და ა. შ.) საკმარისია ნიშნის გამოყენება თანმხლებ დოკუმენტებზე ან რეკლამაში.

9.86. ნიშნის გამოყენება უნდა მოხდეს საჯაროდ, ე. ი. საქონელი უნდა გამოიტანონ გასაყიდად ნორმალური კომერციული არხების საშუალებით. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ნებისმიერ ადგილას უნდა საღდებოდეს. საკმარისია, მაგალითად, თუ საქონელი იყიდება განსაზღვრულ სპეციალიზებულ მაღაზიებში შეზღუდული რაოდენობის ბაზრებზე ან ზოგი სპეციალური კომერციული არხის საშუალებით (მაგალითად, საზოგადოებრივი კვების მომსახურების რესტორნებში). მაგრამ საკმარისი არ არის სასაქონლო ნიშნის გამოყენება მხოლოდ იმ საქონელზე, რომელიც საღდება სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მაღაზიაში ან რესტორანში, სადაც ეს საქონელი ხელმისაწვდომია მხოლოდ მისი თანამშრომლებისათვის.

9.87. მარტოოდენ რეკლამაში გამოყენება საკმარისი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეკლამა გამიზნულია მომავალი გაყიდვისათვის და დაწყებულია ბაზარზე საქონლის რეალიზაციის პროცესი.

9.88. გამოყენება უნდა იყოს ნამდვილი; სიმბოლური გამოყენება საკმარისი არ არის. მარკეტინგული ტესტები, თუ ისინი განხორციელებულია იმის განსასაზღვრავად, თუ როგორ იქნება მიღებული საქონელი მომხმარებლის მიერ (და არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის დაცვის უზრუნველყოფის განზრახვით), მიჩნეულ უნდა იქნეს ნამდვილ გამოყენებად, ისევე, როგორც ფარმაცევტული საქონლის კლინიკური გამოკვლევების ჩატარება.

9.89. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს რეგისტრირებული სასაქონლო

ნიშნის დაცვა, იგი უნდა გამოიყენებოდეს იმ საქონლის ჩამონათვალიდან ერთ-ერთისთვის მაინც, რომლისთვისაც არის რეგისტრირებული. ასეთი გამოყენება უნდა უზრუნველყოფდეს რეგისტრირებულ საქონლის ნუსხაში ჩამოთვლილი ყველა საქონლის დაცვას, რომლებიც იმ საქონლის მსგავსია, რომელზეც იქნა გამოყენებული სასაქონლო ნიშანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოყენების ვალდებულების შედეგის ზედმეტად შესუსტების თავიდან ასაცილებლად შეიძლება უფრო შორს წასვლა, თუ ერთი საქონლისათვის ნიშნის გამოყენება უზრუნველყოფს რეგისტრაციის დაცვას მთელი კლასისათვის (ტიპური კანონი, ნაწილი 30(4)), ან ყველა საქონლისთვის, რომლებისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, და რომელსაც შეუძლია გადაფაროს რამდენიმე კლასი.

9.90. ძირითადად სასაქონლო ნიშანი უნდა გამოიყენებოდეს ისე, როგორც ის არის რეგისტრირებული. მაგრამ პარიზის კონვენციის მე-5C(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ "სასაქონლო ნიშნის გამოყენება მისი მფლობელის მიერ ისეთი სახით, რომელიც რეგისტრირებულისაგან განსხვავდება მხოლოდ ცალკეული ელემენტებით, რომლებიც არ ცვლიან ნიშნის იმ ფორმის განმასხვავებელ ხასიათს, რა სახითაც იყო იგი რეგისტრირებული, არ იწვევს რეგისტრაციის ბათილად ცნობას და არ ამცირებს ნიშნისთვის მინიჭებულ დაცვას". იგივეა გათვალისწინებული ტიპური კანონის 30(3) ნაწილში.

9.91. სიტყვიერი ნიშნები იხმარება შრიფტის ნებისმიერი ფორმის ან ფერის გამოყენებით და დამატებით ელემენტებთან (საფირმო სახელწოდება, აღწერილობითი ტერმინები) მათი კომბინაციით იმ პირობით, რომ რეგისტრირებული ნიშანი ინარჩუნებს თავის განმასხვავებელ ხასიათს. თუ სიტყვიერი ნიშანი და გამოსახულებითი ნიშანი რეგისტრირებულია ცალ-ცალკე, მაგრამ ყოველთვის ერთად გამოიყენება, ასეთი გამოყენება საკმარისია ორივე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დაცვისათვის.

9.92. ქვეყნების უმრავლესობის ეროვნული კანონმდებლობა უშვებს გამოყენებას, რომელსაც ახორციელებს თვით სასაქონლო ნიშნის მფლობელი ან მესამე პირი მფლობელის თანხმობით. ზოგჯერ ასეთი გამოყენება მესამე პირთა მიერ სათანადოდაა გაფორმებული. თუ კანონი სასაქონლო ნიშნის შესახებ მოითხოვს ოფიციალურად გაფორმებულ შეთანხმებას, და თუ შეთანხმება იურიდიულად ბათილია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის ან სხვა ნორმების თანახმად (როგორიცაა, მაგალითად, სურ-

სათისა და სამკურნალო პრეპარატების წარმოების წესები), საკმარისი უნდა იყოს ის, რომ მესამე პირი ქმედითად და ნამდვილად იყოს უფლებამოსილი, სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელით გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა შეთანხმება იურიდიული ძალის მქონე.

(c) გამოუყენებლობის შედეგები

9.93. გაუმართლებელი გამოუყენებლობის ძირითად შედეგს წარმოადგენს ის, რომ რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს კანონიერი ინტერესის მქონე პირის შუამდგომლობით. უფრო მეტიც, არსებობს ტენდენცია, რომლის თანახმადაც რეგისტრირებული მფლობელისგან მოითხოვება, დაამტკიცოს გამოყენების ფაქტი, რადგან დაინტერესებული მესამე პირისათვის ძალიან ძნელია გამოუყენებლობის ფაქტის დამტკიცება. მტკიცების ვალდებულების ტვირთის ასეთი გადატანა რეგისტრირებულ მფლობელზე სრულიად გამართლებულია რეესტრის "ბალასტისაგან" განთავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე,.

9.94. მტკიცების ვალდებულების ტვირთი აწევს სასაქონლო ნიშნის მფლობელს არა მხოლოდ რეგისტრაციის გაუქმების აქტთან დაკავშირებულ სასამართლო წარმოებაში, არამედ ყველა სხვა საქმის წარმოებაში (გაპროტესტების პროცედურა, სარჩელი სამართალდარღვევის თაობაზე), რომელშიც მფლობელს ბრალი დაედება გამოუყენებელ სასაქონლო ნიშანზე მისი უფლებიდან გამორჩენის მიღებაში.

9.95. მაგრამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელებისთვის გამოყენების ფაქტის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი საჭირო არ არის. ამან შეიძლება შექმნას ადმინისტრაციული გართულებანი, რაც ზედმეტია იმის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია განახორციელოს შესაბამისი ქმედება გამოუყენებელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის წინააღმდეგ.

9.96. გამოუყენებლობას ყოველთვის არ მივყავართ სასაქონლო ნიშანზე უფლების ბათილად ცნობამდე. გამოუყენებლობის გამართლება შესაძლებელია დაუძლეველი ან ნებისმიერი სხვა გარემოების არსებობისას, რომელიც წარმოიშვა არა ნიშნის მფლობელის მიზეზით ან დაუდევრობით; ასეთია, მაგალითად, საიმპორტო შეზღუდვები ან განსაკუთრებული პირობები, რომლებსაც ქვეყნის ფარგლებში მოქმედი სპეციალური კანონი არეგულირებს.

(d) სასაქონლო ნიშნების სათანადო გამოყენება

9.97. გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სასაქონლო ნიშნებზე უფლების დაკარგვა. იგივე შედეგი შეიძლება ჰქონდეს სასაქონლო ნიშნის არასწორ გამოყენებასაც. ნიშანი შეიძლება გახდეს რეესტრიდან ამოღების ობიექტი, თუ რეგისტრირებულმა მფლობელმა დაუშვა მისი გვარეობითად გადაქცევა ერთი ან მეტი საქონლის ან მომსახურეობისათვის, რომლებისთვისაც რეგისტრირებული იყო ნიშანი, ან ასეთი ქმედების პროვოცირება გააკეთა, რის გამოც კომერციულ წრეებსა და საზოგადოებაში მისი, როგორც ნიშნის, მნიშვნელობა დაიკარგა.

9.98. ნიშნის გვარეობითად გადაქცევის მიზეზი, როგორც წესი, შეიძლება იყოს ორი ფაქტორი, სახელდობრ: მფლობელის მიერ მისი არასათანადოდ გამოყენება, რაც ნიშნის გვარეობით ტერმინად გადაქცევის პროვოცირებას ახდენს, და მესამე პირთა მიერ არასათანადოდ გამოყენება, რაც დაუშვა მფლობელმა.

9.99. იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ არასათანადოდ გამოყენებას, სასაქონლო ნიშნის მფლობელ კომპანიაში ნებისმიერმა პირმა, რომელიც დაკავებულია სასაქონლო ნიშნის რეკლამირებით ან ფართო საზოგადოებისათვის მისი გაცნობით, უნდა დაიცვას ზოგიერთი წესი.

9.100. ძირითადი წესი ისაა, რომ სასაქონლო ნიშანი არ უნდა გამოიყენებოდეს პროდუქციის დასახელებად ან მის ნაცვლად. პროდუქციის დასახელების, როგორც სასაქონლო ნიშნის დამატების, სისტემატური გამოყენების გზით მფლობელი აშკარად ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს იმის თაობაზე, რომ ამ ნიშნით ხდება ისეთი სპეციფიკური საქონლის იდენტიფიკაცია, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთს საქონლის გარკვეული კატეგორიის ჯგუფიდან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელმა დაამუშავა სრულიად ახალი პროდუქტი, რომელიც თავ-დაპირველად ერთადერთია მოცემულ ჯგუფში. ისეთი სასაქონლო ნიშნები, როგორიცაა FRIGIDARE (სახელწოდება, რომელიც გამოიყენება მაცივრების ზოგიერთი ტიპისთვის), CELLOPHANE (ცელოფანი) და LINOLEUM (ლინოლეუმი), იქცა გვარეობით ტერმინებად, რადგან თითოეული მათგანი იყო ერთადერთი თავის ჯგუფში, ხოლო მფლობელებმა არ მისცეს ამ ჯგუფს არავითარი დამატებითი სახელწოდება. როდესაც 1938 წელს დაამზადეს

სწრაფად მოსამზადებელი ყავა, ე. წ. უნალექო ყავა, მისი შემქმნელი კომპანიის მიერ ბაზარზე რეალიზებული პირველი საქონლის სახელწოდება იყო NESCAFE. მაგრამ თავიდანვე მის ეტიკეტზე კომპანია სისტემატურად იყენებდა პროდუქტის დასახელებას, ისეთს, როგორიცაა "სწრაფად მოსამზადებელი ყავა" ან "უნალექო ყავა".

9.101. მეორე მნიშვნელოვანი წესი იმაში მდგომარეობს, რომ სასაქონლო ნიშნები ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს როგორც თვისობრივი (ნამდვილი) ზედსართავი სახელები და არასოდეს - როგორც არსებითი სახელი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასაქონლო ნიშანი არ უნდა იხმარებოდეს არტიკლით, კუთვნილებით ბრუნვაში და მრავლობით რიცხვში. არასწორი იქნებოდა გვეთქვა - NESCAFE's flavour (NESCAFE-ს სუნი) ან three NESCAFES, ნაცვლად - three varieties of NESCAFE-ისა (სამი ჯიშის NESCAFE).

9.102. გარდა ამისა, ყოველთვის მიზანშეწონილია სასაქონლო ნიშნის წინა პლანზე წამოწევა, ე. ი. საქმის ისე წაყვანა, რომ ნიშანი გამოირჩეოდეს თავისი გარემოცვაში.

9.103. დაბოლოს, სასაქონლო ნიშანზე შეიძლება იყოს გამაფრთხილებელი აღნიშვნა, რომ იგი წარმოადგენს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს. მხოლოდ ზოგიერთი კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ მითითებას, ხოლო მათი გამოყენება საქონელზე პარიზის კონვენციის 5 D მუხლით სავალდებულო არ არის. აშშ-ში სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონით დაშვებულია გრძელი წარწერის (ისეთის, როგორიცაა "რეგისტრირებულია აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებაში") შეცვლა სიმბოლოთი ®. წლების მანძილზე ეს სიმბოლო გავრცელდა მთელ მსოფლიოში და გახდა საყოველთაოდ მიღებული რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების სიმბოლო. მისი გამოყენება მიღებულია სასაქონლო ნიშნებისათვის, როგორც კონკურენტების გაფრთხილება, არ წამოიწყონ ისეთი ქმედებები, რომლებიც დაარღვევდნენ ნიშნის მფლობელის უფლებებს.

9.104. მაგრამ საკმარისი არ არის უბრალოდ ამ წესების დაცვა; სასაქონლო ნიშნის მფლობელმა ისიც უნდა უზრუნველყოს, რომ მესამე მხარეებმა და საზოგადოებამ არ გამოიყენოს მისი ნიშანი უფლებამოსილების გარეშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდეს როგორც პროდუქტის დასახელება, ან პროდუქტის დასახელების ნაცვლად, ლექსიკონებში, ოფიციალურ გამოცემებში, ჟურნალებში და ა. შ.

9.105. პროდუქტის დასასახელებლად მომხმარებლები ცდილობენ, ისარგებლონ საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებით. ბევრი მომხმარებელი მთელ მსოფლიოში უნალექო ყავას NESCAFE-ს უწოდებს. სასაქონლო ნიშნის მფლობელი უნდა ამაყობდეს ასეთი გამოყენებით, რამეთუ ის მისი ნიშნის ძალის მაჩვენებელია, მაგრამ რაც უფრო ცნობილია ნიშანი, მით უფრო მეტია მისი გვარეობით ტერმინად გადაქცევის საშიშროება. სწორედ ამიტომ, ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა, თავის მხრივ, გაატარონ სათანადო გამოყენების ზუსტი პოლიტიკა და ჩაერიონ მესამე პირთა (გარდა მომხმარებლებისა) საქმეებში ნიშნის არასწორად გამოყენების შემთხვევაში. კანონმდებლობისა და პრაქტიკის საყოველთაოდ მიღებული წესების შესაბამისად სასაქონლო ნიშნის გვარეობით ტერმინად გადაქცევა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომერციული წრეები და მთლიანად საზოგადოება შეეჩვივნენ აღნიშვნის, როგორც გვარეობითი ტერმინის, გამოყენებას. მაგალითად, სასაქონლო ნიშნის - NESCAFE-ს მფლობელები ტრადიციულად ატარებდნენ ზუსტ პოლიტიკას, რის შედეგადაც ეს სასაქონლო ნიშანი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილთაგანია, დარჩა ძლიერი დაცვის მქონე სასაქონლო ნიშნად მიუხედავად მრავალი მომხმარებლის ჩვეულებისა - უნალექო ყავას უწოდოს NESCAFE. ასეთი სახის კიდევ ერთი მაგალითია სასაქონლო ნიშანი - COCA-COLA, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სასაქონლო ნიშანი, რომელიც ინარჩუნებს ძლიერ დაცვას.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, Intreduction to Trademark Law & Practice (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

G. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია

(a) შესავალი

9.106. განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეტანილი უნდა იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოში, რომელიც მრავალ ქვეყანაში არის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს განაცხადი

პატენტზე. ჩვეულებრივ, მას უწოდებენ “სამრეწველო საკუთრების უწყებას” ან “პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას” ან “სასაქონლო ნიშნების უწყებას”.

9.107. უწყების ამოცანები განსაზღვრულია შესაბამისი კანონით, რომელიც შევსებულია წესებითა და ადმინისტრაციული ინსტრუქციებით. ჩვეულებრივ, ეს კანონი შეიცავს ვრცელ დებულებებს მოთხოვნების შესახებ - განაცხადისადმი და მისი განხილვის პროცედურისადმი უწყების მიერ ნიშნის რეგისტრაციაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, და, აგრეთვე, დებულებებს ნებისმიერი სხვა დამატებითი პროცედურის შესახებ, რომლებიც ეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას.

(b) განაცხადი რეგისტრაციაზე

9.108. საზოგადოდ, განაცხადისათვის ქვეყნები ითვალისწინებენ გარკვეული სახის ბლანკს და ამ ბლანკით სარგებლობა ზოგიერთ მათგანში სავალდებულოა. განაცხადის ბლანკში შეტანილია განმცხადებლის სახელი და გვარი. უცხოელებმა ან უნდა მიუთითონ მიმოწერის მისამართი მოცემულ ქვეყანაში ან გამოიყენონ წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი მინდობილობა. ხშირად ითვალისწინებენ დამატებით ფორმალურ მოთხოვნებს, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი დამოწმება და ლეგალიზაცია.

9.109. სარეგისტრაციოდ შეტანილი ნიშანი წარდგენილი უნდა იყოს განაცხადის ბლანკზე ან მის დანართში. თუ ნიშანი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერში, საჭიროა მოთხოვნა შესაბამისი ფერის დაცვაზე და ნიშნის ფერადი ნიმუშის ან ფერის (ფერების) აღწერილობის წარდგენა.

9.110. თუ სარეგისტრაციოდ შეტანილია მოცულობითი ნიშანი, მაშინ საჭიროა ნიშნის დაცვის მოთხოვნა მისი სამგანზომილებიანი ფორმით. გარდა ამისა, ნიშანი გრაფიკულად ისე უნდა იყოს შესრულებული, რომ შესაძლებელი გახდეს მისი რეპროდუცირება ორი მიზნით: უნდა იყოს მისი რეესტრში შეტანის შესაძლებლობა (მიუხედავად ფორმისა, რომლითაც ხდება რეგისტრაცია, იქნება ეს ნიშნების შეტანა წიგნში, კატალოგის შედგენა თუ კომპიუტერიზებულ სისტემაში შეტანა), ხოლო საპრიორიტეტო უფლებების მფლობელებს უნდა შეეძლოთ ცნობების მიღება სასაქონლო ნიშანზე განაცხადის შესახებ (რომელთა პუბლიკაცია სასაქონლო ნიშნების ბიულეტენში,

ჩვეულებრივ, უზრუნველყოფილია).

9.111. განმცხადებელმა, აგრეთვე, უნდა ჩამოთვალოს საქონელი, რომლისთვისაც უნდა მოხდეს ნიშნის რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობა, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს საქონლის კლასიფიცირებას რეგისტრაციის მიზნით. ზოგ ქვეყანაში საჭიროა ყოველი კლასისათვის ცალკე განაცხადის შეტანა, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ერთი განაცხადი საკმარისია რამდენიმე კლასისთვის.

9.112. საერთაშორისო ვაჭრობისათვის მნიშვნელოვან ხელშეკრულებას წარმოადგენს ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციის მიზნით საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ, რომელიც აფუძნებს საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციას სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის მიზნით. 1996 წ. 1 ოქტომბრისათვის ამ შეთანხმების მონაწილე იყო 47 ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით.

9.113. დაბოლოს, სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციოდ საჭიროა ერთი ან მეტი საფასურის გადახდა. ქვეყანას შეუძლია დააწესოს ერთი საერთო ან რამდენიმე ცალკეული საფასური (საგანაცხადო საფასური, საფასური საქონლის ჩამონათვალის ყოველ კლასზე, ექსპერტიზაზე, რეგისტრაციის საფასური და ა. შ.). ორივე სისტემას გააჩნია უპირატესობაც და ნაკლიც. ერთი მხრივ, უფრო იოლი და ეფექტურია ერთადერთი საერთო საფასურის აღება. მეორე მხრივ, ამას შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგი განმცხადებლისთვის, თუ იგი მოისურვებს განაცხადის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოთხოვას რეგისტრაციის პროცედურის განმავლობაში (მაგალითად, უპირატესი უფლების მფლობელის მიერ შეტანილი პროტესტის საფუძველზე ან მოხელე–რეგისტრატორის მხრივ მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობის გამო). ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებული უნდა იქნეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივი დაბრუნება მაინც.

(c) ექსპერტიზა

(i) ფორმალური ექსპერტიზა

9.114. როგორც წესი, ქვეყნები იღებენ განაცხადს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაში გატარების თაობაზე, თუ ის აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს.

(ii) არსობრივი ექსპერტიზა

9.115. ქვეყანათა უმრავლესობა ატარებს სასაქონლო ნიშნებზე განაცხადის არსობრივ ექსპერტიზას საზოგადოებისა და კონკურენტების ინტერესებიდან გამომდინარე.

9.116. მკაფიოდ უნდა განვასხვაოთ უარის მოტივის ორი სახეობა.

9.117. სასაქონლო ნიშნებმა უნდა გაიარონ ექსპერტიზა უარის თქმის აბსოლუტურ, ობიექტურ საფუძველზე, ე. ი. იმაზე, არის თუ არა ნიშანი საკმაო განმასხვავებლობის მქონე, არა შეცდომაში შემყვანი, არა- ამორალური და ა. შ. ასეთი ექსპერტიზა განსაკუთრებით სასურველია მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა კონკურენტებისთვის და მთლიანად ვაჭრობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ვერავინ შეძლოს აღწერილობითი ან გვარეობითი ტერმინის მონოპოლიზება მარტივი ადმინისტრაციული აქტის გზით.

9.118. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს, აგრეთვე, ექსპერტიზას უარის თქმის შედარებით საფუძველზე, ე. ი. იმაზე, არის თუ არა განცხადებული უფლებები იმ ადრინდელი უფლებების იდენტური ან მსგავსი, რომლებიც უკვე იყო განცხადებული ან მინიჭებული იდენტურ ან მსგავს საქონელზე. ასეთი ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება ან ex officio და/ან გაპროტესტების პროცედურის საფუძველზე.

9.119. შეიძლება აღინიშნოს სამი ტიპური მიდგომა საერთაშორისო მასშტაბით:

9.120. პირველია ბრიტანული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს უწყების მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას უარის თქმის აბსოლუტურ და შედარებით საფუძველზე და, აგრეთვე, გაპროტესტების პროცედურის საფუძველზე. ევროპაში ამ სისტემას იყენებენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა პორტუგალია, ესპანეთი და ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნები.

9.121. მეორე მიდგომის შესაბამისად, უწყება ატარებს ექსპერტიზას უარის თქმის მხოლოდ აბსოლუტურ საფუძველზე, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გაპროტესტების არავითარ პროცედურას და ადრინდელი უფლების მფლობელს უტოვებს შესაძლებლობას, წარადგინოს სარჩელი უფრო ახალი ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებაზე ან ასეთი ნიშნის გამოყენებით წარმოქმნილ სამართალდარღვევაზე. ეს სისტემა გამოიყენებოდა საფრანგეთისა და შვეიცარიის სასაქონლო ნიშნების ძველი კანონების შესაბამისად (ორივე ქვეყანამ თავის ახალ კანონებში შეიტანა გაპროტესტების პროცედურები).

9.122. მესამე სისტემა გერმანულია; იგი ითვალისწინებს უწყების მიერ ჩასატარებელ ექსპერტიზას უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველზე და, აგრეთვე, ადმინისტრაციული წესით გაპროტესტების პროცედურას, რომლის შესაბამისად უპირატესი უფლებების მფლობელს შეუძლია გააპროტესტოს განაცხადი, რომელიც არღვევს სასაქონლო ნიშანზე მის უფლებებს, გამარტივებული და არა ძვირადღირებული პროცედურის მეშვეობით. ეს სისტემა წარმოადგენს კომპრომისს ზემოხსენებულ უფრო უკიდურეს სისტემებს შორის და შეესაბამება თანამედროვე ტენდენციას, რომელიც ასახულია ევროგაერთიანების სასაქონლო ნიშნების შემოთავაზებულ სისტემაში.

9.123. მთლიანობაში მრეწველობა ამჯობინებს ასეთ სისტემას, რადგან იგი ნაკლებ დროს მოითხოვს და ბევრად უფრო მოქნილია. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი მსოფლიოს ქვეყნების რეესტრებში სასაქონლო ნიშნების დიდი რაოდენობა არის რეგისტრირებული, რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანამდე ან, რაც უფრო არსებითია, მისი გამოყენების დაწყებამდე მიზანშეწონილია წინასწარი ძიების ჩატარება ადრინდელი უფლების მქონე სასაქონლო ნიშნების მიმართ. ასეთ ძიებას ბევრი განმცხადებელი რეგულარულად ატარებს, ხოლო კომპანიებს, სულ მცირე, დაწესებული აქვთ მეთვალყურეობა თავიანთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებზე საკუთარი რწმუნებულების ან ერთ-ერთი საერთაშორისო სამეთვალყურეო სამსახურის მეშვეობით, რათა ინფორმირებულნი იყვნენ პოტენციურად კონფლიქტური მსგავსი ნიშნების რეგისტრაციაზე შეტანილი განაცხადების შესახებ.

9.124. სტანდარტები, რომლებსაც იყენებენ ექსპერტები ექსპერტიზის ჩატარებისას იმის თაობაზე, უარყოფილი უნდა იყოს თუ არა სასაქონლო ნიშანზე განაცხადი ადრინდელი მსგავსი უფლებების არსებობის საფუძველზე, ძირითადად იგივეა, რაც გამოიყენება გაპროტესტების პროცედურისას ან მოსამართლის მიერ სამართალწარმოებაში სამართალდარღვევის ფაქტებზე (თუმცა უკანასკნელ შემთხვევაშიც დამატებით როლს შეასრულებენ სამართალდარღვევის ფაქტობრივი გარემოებანი.)

9.125. იმის გამო, რომ რეგისტრირებული ნიშნის მფლობელის ერთ-ერთი ძირითადი უფლება ისაა, რომ დაბრკოლება შეუქმნას სხვებს თავისი ნიშნის იდენტური ან აღრევის დონემდე მსგავსი ნიშნის გამოყენებაში, უფრო

საჭიროდ გვეჩვენება სასაქონლო ნიშნების მსგავსების ყველა ასპექტის განხილვა მეექვსე თავში, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შედეგად წარმოშობილ უფლებებს.

(d) უარი რეგისტრაციაზე

9.126. განაცხადის რეგისტრაციაზე სრული ან ნაწილობრივი უარის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე უწყებამ უნდა მისცეს განმცხადებელს თავისი შენიშვნების გაკეთების საშუალება.

9.127. განაცხადის რეგისტრაციაზე სრული ან ნაწილობრივი უარის შესახებ გადაწყვეტილება ღია უნდა იყოს აპელაციისათვის. ქვეყნის სამართლებრივი სისტემის მიხედვით აპელაციის შეტანა შეიძლება მარეგისტრირებელ დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ სააპელაციო პალატაში ან სასამართლოში.

(e) რეგისტრაციის თარიღი

9.128. განაცხადის რეგისტრაცის შემდეგ უწყება გასცემს მოწმობას მფლობელზე. მფლობელის განსაკუთრებული უფლებები წარმოიქმნება რეგისტრაციის თარიღიდან. მაგრამ უფლების პრიორიტეტის თარიღად ითვლება რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის თარიღი. თუმცა განაცხადი, ჩვეულებრივ, არ წარმოადგენს უფრო გვიანი უფლების დარღვევის თაობაზე სარჩელის შეტანის საკმარის საფუძველს, იგი უტყუარი საფუძველია გაპროტესტების პროცედურისათვის. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის თარიღი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება უფრო გვიანდელ სასამართლო განხილვისას. დროის პერიოდი, რომელიც გრძელდება განაცხადის შეტანიდან მის რეგისტრაციამდე, მნიშვნელოვნად ცვალებადობს და, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ძალიან ხანგრძლივი იყოს. გვიან შეტანილი განაცხადი სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება უფრო ჩქარა მივიდეს რეგისტრაციამდე (მაგალითად, თუ ადრე შეტანილი განაცხადი უარყო ექსპერტმა და ბოლოს და ბოლოს დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი). ცხადია, რომ ადრე შეტანილი განაცხადის მფლობელს უნდა გააჩნდეს უპირატესობა გვიან შეტანილი განაცხადის მფლობელთან შედარებით.

9.129. გარდა ამისა, განმცხადებელს შეუძლია გამოითხოვოს თავისი ეროვნული რეგისტრაციის პრიორიტეტი პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, თუ განაცხადი უცხო ქვეყანაში გაკეთებულია პირველი განაცხადის შეტანის თარიღიდან ექვსი თვის გასვლამდე.

(f) მოქმედების ვადა და მისი გაგრძელება

9.130. იმის გამო, რომ სასაქონლო ნიშანზე უფლება, მისი გამოყენების თვალსაზრისით, არ არის მონოპოლიური, მისი მოქმედების ვადის შეზღუდვის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. ადმინისტრაციულ მიზეზთა გამო სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობა, როგორც წესი, ითვალისწინებს მოქმედების ვადას, მაგრამ არსებობს რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ.

9.131. ასეთი ვადების დადგენის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ უწყებას შეუძლია გადაახდევინოს საფასური რეგისტრაციის ვადის გაგრძელებაზე, რაც წარმოადგენს შემოსავლის სასურველ წყაროს. გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია მოქმედების ვადის არარსებობის შემთხვევაში მიგვიყვანდა ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციათა არასასურველ რაოდენობამდე, რომლებიც უკვე აღარ წარმოადგენენ არავითარ ინტერესს მათი მფლობელისათვის. გამოუყენებელი ნიშნების რეესტრიდან ამოღებაც რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ასეთი პროცედურა ყოველთვის არ იქნებოდა წარმატებული, თანაც იქნებოდა ძვირადღირებული და დაინტერესებულ მხარეს დიდ დროს წაართმევდა.

9.132. მაშასადამე, რეგისტრაციის ვადის გაგრძელებისა და ამ გაგრძელებაზე საფასურის გადახდის პირობა აძლევს სასაქონლო ნიშნის მფლობელს საშუალებას, მოიფიქროს, ღირს თუ არა რეგისტრაციის ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელება, რადგან შესაძლებელია, სასაქონლო ნიშანმა შეიცვალა თავისი გრაფიკული ფორმა ან უკვე აღარ გამოიყენება. ამ მიზეზით საფასური ვადის გაგრძელებაზე არ უნდა იყოს ძალიან დაბალი; იგი უფრო მაღალიც კი შეიძლება იყოს, ვიდრე თავდაპირველი სარეგისტრაციო საფასური. მაგრამ უნდა ვერიდოთ, მეტისმეტად მაღალ საფასურსაც. ნებისმიერ შემთხვევაში ვადის გაგრძელება უნდა ხორციელდებოდეს უბრალოდ საფასურის გადახდით, ნიშანზე უარისათვის აბსოლუტური ან შედარებითი საფუძვლების მიხედვით რაიმე ახალი ექსპერტიზის ჩატარების გარეშე. რა თქმა უნდა, მფლობელს

უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს საქონლის ნუსხის ნებაყოფილობითი შეზღუდვა თავდაპირველ რეგისტრაციასთან შედარებით, მით უმეტეს, თუ ამით მას საფასურის სიდიდის შემცირება შეუძლია.

(g) პუბლიკაცია და რეესტრის მონაცემების ხელმისაწვდომობა

9.133. უპირატესი უფლებების მფლობელისა და საზოგადოებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ რეესტრში შეტანილი მთელი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ეხება განაცხადს, რეგისტრაციას, რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას და გვარის, სახელისა და მფლობელის შეცვლას, იბეჭდებოდეს ოფიციალურ ბიულეტენში. ეს საშუალებას მისცემს უპირატესი უფლებების მფლობელებს, მიიღონ საჭირო ზომები, გაპროტესტების პროცედურის (თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით) ან გაუქმებაზე სარჩელის შეტანის ჩათვლით. განაცხადსა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, ისეთს, როგორიცაა განმცხადებლის სახელი და მისამართი, ნიშნის გამოსახულება, კლასიფიცირების სისტემის შესაბამისად დაჯგუფებული საქონლის ჩამონათვალი, მოთხოვნილი ფერების მითითება, თუ ნიშანი მოცულობითია, მასზე მითითება და, რომელიმე სხვა ნიშნის პრიორიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში (პარიზის კონვენცია, 4 მუხლი), აღნიშნულზე მითითება.

9.134. გარდა ამისა, ნიშნების რეესტრი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. იმისთვის, რომ უპირატესი უფლებების მფლობელები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი, საჭიროა რეესტრი შეიცავდეს უახლეს ინფორმაციას, სახელდობრ, ყველა რეგისტრირებულ მონაცემს არა მხოლოდ რეგისტრაციის თაობაზე, არამედ განხილვაში მყოფ განაცხადთა შინაარსის შესახებ, იმისდა მიუხედავად, თუ ინფორმაციის რა ტიპის მატარებელზეა შენახული ასეთი მონაცემები.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

H. სასაქონლო ნიშნის რეესტრიდან ამოღება

9.135. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება სერიოზული საკითხია მისი

მფლობელისათვის, რადგან ამით იგი კარგავს რეგისტრაციის საფუძველზე ნიშანზე მიღებულ უფლებებს. მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი მიზეზებისა, რის გამოც სასაქონლო ნიშანი შეიძლება ამოღებულ იქნეს რეესტრიდან.

(a) რეესტრიდან ამოღება რეგისტრაციის ვადის გაუგრძელებლობის გამო

9.136. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ადმინისტრაციული მოსაზრებებიდან გამომდინარე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდით. ამ პერიოდის ამოწურვის შემდეგ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადა შეიძლება გაგრძელდეს, რის გამოც საჭიროა ვადის გაგრძელებაზე საფასურის გადახდა. თუ მფლობელი ვერ ახერხებს თავისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას და, უფრო კონკრეტულად, ვერ ახერხებს ვადის გაგრძელებაზე საფასურის გადახდას, ეს გამოიწვევს სასაქონლო ნიშნის ამოღებას რეესტრიდან. მარეგისტრირებელი დაწესებულებები, როგორც წესი, იძლევიან შეღავათიან პერიოდს ვადის გაგრძელებაზე საფასურის გადასახდელად (ჩვეულებრივ, დამატებითი თანხის გადახდით).

9.137. თუ კანონმდებლობით ნებადართულია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება მხოლოდ საქონლის ნაწილისათვის (როგორც რეესტრიდან "ბალასტის" მოცილების საშუალება), ეს იწვევს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ნაწილობრივ გაუქმებას – დარჩენილი ნაწილისათვის კი იგი გრძელდება.

(b) რეესტრიდან ამოღება რეგისტრირებული მფლობელის მოთხოვნით

9.138. რეგისტრირებულ მფლობელს შეუძლია, აგრეთვე, ნებისმიერ დროს თვითონვე თქვას უარი თავის რეგისტრაციაზე ყველა ან ზოგიერთი საქონლისათვის, რომლებისთვისაც რეგისტრირებულია ნიშანი. ამიტომ რეგისტრირებული მფლობელის თხოვნით კომპეტენტური ორგანო მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღებს ნიშანს რეესტრიდან.

(c) რეესტრიდან ამოღება გამოუყენებლობის გამო

9.139. თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი ვერ ახერხებს თავისი ნიშნის გამოყენებას კანონით გათვალისწინებულ შეღავათიან ვადაში, მაშინ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მისი გაუქმება. თუ

მფლობელს არ გააჩნია გამოუყენებლობის საპატიო მიზეზები, მაშინ რეგისტრაციის გაუქმება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. მაგრამ თუ მფლობელს შეუძლია დაამტკიცოს გამოყენება ან მოიყვანოს გამოუყენებლობის საპატიო მიზეზები მხოლოდ რეგისტრირებული საქონლის ნაწილისათვის, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმებაზე. ნაწილობრივი გაუქმება ვრცელდება ყველა საქონელზე, რომელთა მიმართაც არ მტკიცდება გამოყენება, ან იმათზე მაინც, რომლებიც რეგისტრირებული მფლობელის მიერ გამოყენებული საქონლის მსგავსი არ არის.

9.140. ეს არ ნიშნავს, რომ რეგისტრირებული მფლობელის უფლებები მკაცრად შეიზღუდება მხოლოდ იმ საქონლით, რომლისთვისაც გამოყენებული იყო სასაქონლო ნიშანი. კიდეც რომ გაუქმდეს რეგისტრაცია ყველა საქონლისათვის ერთადერთი საქონლის გარდა, რომლის მიმართაც რეგისტრირებულ მფლობელს შეუძლია დაამტკიცოს გამოყენება, მას ჯერ კიდევ ძალუძს დაიცვას თავისი განსაკუთრებული უფლება რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე კონკურენტის მიერ იდენტური ან აღრევის დონემდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და გამოყენებისაგან ყველა საქონლისათვის, რომელიც იმ საქონლის იდენტური ან მსგავსია, რომლისთვისაც მისი სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია და გამოიყენება.

(d) ბათილად ცნობა

9.141. თუ სასაქონლო ნიშანი შედგება იმ აღნიშვნისაგან, რომელიც არ უნდა იყოს რეგისტრირებული, ნებისმიერი დაინტერესებული პირის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია, ცნოს იგი ბათილად. სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობა ზოგჯერ ამ მიზნისთვის ითვალისწინებს, აგრეთვე, ex officio პროცედურას. ასეთი განცხადების შედეგად სასაქონლო ნიშანი ამოიღება რეესტრიდან.

9.142. თუ არსებობს სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის საფუძველი რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალიდან ზოგიერთის მიმართ, რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ საქონლისათვის.

9.143. ჩვეულებრივ, რეესტრიდან ამოღება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობისთვის უკვე არსებობდა საფუძველი იმ მომენტისთვის, როდესაც სასაქონლო ნიშანი იყო რეგისტრირებული. უფრო

მეტიც, სასაქონლო ნიშანი კიდეც რომ არ ყოფილიყო რეგისტრირებული განმასხვავებლობის ნაკლებობის გამო, მისი გაუქმება გამოირიცხება, თუ იგი გამოყენების შედეგად გახდა განმასხვავებლობის მქონე.

9.144. მაგრამ ასეთ შეძენილ განმასხვავებლობას არ შეუძლია სასაქონლო ნიშნის რეესტრიდან ამოღების აცილება, თუ იგი შედგება გვარეობითი ან შეცდომაში შემყვანი ტერმინებისაგან. გარდა ამისა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსაკუთრებულ შემთხვევას, რომლის დროსაც შეცდომაში შემყვანი მნიშვნელობა, რომელიც თავდაპირველად აბრკოლებდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, დროთა განმავლობაში დაიკარგა.

(e) განმასხვავებლობადაკარგული ნიშნის გაუქმება

9.145. თუ რეგისტრირებულმა მფლობელმა დაუშვა ნიშნის გვარეობით სახელად გადაქცევა ერთი ან მეტი საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომლებისთვისაც ნიშანია რეგისტრირებული, ან გააკეთა ამის პროვოცირება, ნიშანი ხდება რეესტრიდან ამოღების ობიექტი. ასეთ საფუძველზე ნიშნის ამოღებას ექსპროპრიაციის ეფექტი აქვს, ამიტომ ის შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კომერციული წრეები, მომხმარებლები და მთელი საზოგადოება მიეჩვივნენ ნიშნის გვარეობით სახელად გამოყენებას იმ პროდუქტისათვის, რომლის იდენტიფიკაციასაც ახდენდა ეს ნიშანი. ასეთ პირობებში ნიშანი მთლიანად კარგავს თავის, როგორც სასაქონლო ნიშნის, მნიშვნელობას და ამიტომ შეიძლება ამოღებულ იქნეს რეესტრიდან.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

I. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შედეგად წარმოქმნილი უფლებები

9.146. რეგისტრირებულ მფლობელს გააჩნია სასაქონლო ნიშნის გამოყენების განსაკუთრებული უფლება. სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა სპეციფიკური არსის ეს მოკლე განსაზღვრება შეიცავს ორ მომენტს: სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებას და უფლებას, არ დაუშვას სხვათა მიერ მისი

გამოყენება.

(a) სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება

9.147. გამოყენებაზე აბსოლუტურ უფლებას, რომელიც ეკუთვნის სასაქონლო ნიშნის მფლობელს, ცნობს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნის შესახებ. მართლაც, არალოგიკური იქნებოდა ნიშნის მფლობელისთვის ასეთი აბსოლუტური უფლების არმინიჭება, მით უმეტეს, თუ ნიშნის გამოყენება სავალდებულოა. რა თქმა უნდა, გამოყენების უფლება სხვა კანონთა სფეროს განეკუთვნება და მისი დაცვა ხდება ისევე, როგორც კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა უფლებისა. ის, რაც ნებადართულია სასაქონლო ნიშნების შესაბამისად, შეიძლება აკრძალული იყოს კონკურენციის შესახებ კანონმდებლობით ან საჯარო აქტით.

9.148. რას ნიშნავს გამოყენების უფლება? უწინარეს ყოვლისა, ის ნიშნავს, ნიშნის მფლობელის უფლებას, დაიტანოს იგი საქონელზე, ტარაზე, შეფუთვაზე, ეტიკეტზე და ა. შ. ან გამოიყენოს ნებისმიერი სახით იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც იგი არის რეგისტრირებული.

9.149. გამოყენების უფლება ნიშნავს, აგრეთვე, სასაქონლო ნიშნის მატარებელი პროდუქციის საბაზრო ბრუნვაში შეტანის უფლებას.

9.150. მნიშვნელოვანია სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებიდან გამომდინარე ამ ორი უფლების ერთიმეორისაგან განსხვავება.

9.151. როდესაც სასაქონლო ნიშნის მფლობელი პროდუქციას თავისი სასაქონლო ნიშნით შეიტანს საბაზრო ბრუნვაში, მას არ შეუძლია აკრძალოს პროდუქციის შემდგომი გაყიდვა კომერციული საქმიანობის განხორციელებისას. ეს არის ე. წ. სასაქონლო ნიშანზე უფლებათა ამოწურვის პრინციპის არსი. ზოგიერთი ქვეყანა არ უშვებს იმ პროდუქციის პარალელური იმპორტის გაპროტესტებას, რომლითაც ვაჭრობს უცხო ქვეყანაში სასაქონლო ნიშნის მფლობელი ან მესამე პირი მისი თანხმობით. ზოგი ქვეყანა კი უშვებს ასეთი პარალელური იმპორტის გაპროტესტებას, სახელდობრ, უფლებების ტერიტორიული პრინციპის გამოყენებით. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო და შვეიცარია, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა სასაქონლო ნიშნის მფლობელს, გააპროტესტოს პარალელური იმპორტი, გამოაქვთ იმის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა იმპორტირებული საქონლის თვისებებით

ან ხარისხით.

9.152. საქონლის პარალელური იმპორტის ამ განსაკუთრებული ასპექტის გარდა, რომელიც საქონლის უცხო ქვეყანაში პირველად გაყიდვის უფლებასთანაა დაკავშირებული, სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა ამოწურვის პრინციპი აშკარად გამოიყენება ქვეყნის შიგნითაც. მაგრამ ეს ის პრინციპია, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ უფლებაზე, რომელიც წარმოადგენს მოცემული სასაქონლო ნიშნის მატარებელი პროდუქციის ბაზარზე პირველად შეტანის უფლებას. მფლობელის განსაკუთრებული უფლება კი - მოათავსოს სასაქონლო ნიშანი საქონელსა და მის შეფუთვაზე, ტარაზე, ეტიკეტზე და ა. შ., კვლავ არსებობს. მაშასადამე, მფლობელს შეუძლია გააპროტესტოს ამ უფლების დარღვევის ფაქტები, ისეთი, როგორიცაა საქონლის ხელახლა შეფუთვა, რომელზეც დატანილი იქნება სასაქონლო ნიშანი, საქონელზე მისი ნიშნის გაუქმება ან გადაკეთება და მისი ნიშნით საქონლის შემდგომი გაყიდვა. საქონლის შეცვლას და მის გაყიდვას იმავე ნიშნით იგივე ეფექტი აქვს, რაც ნიშნის მოთავსებას საქონელზე, ანუ მომხმარებელს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს სასაქონლო ნიშნის მფლობელი ასაღებს თავის ნამდვილ საქონელს საკუთარი ნიშნით. თუ ეს ასე არ არის, სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს ჩარევის უფლება.

9.153. დაბოლოს, იმ უფლებათა კრებულში, რომლებსაც მოიცავს სასაქონლო ნიშნების გამოყენების უფლება, მესამე უფლებას წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლება - გამოიყენოს თავისი ნიშანი რეკლამაში, საქმიან ქაღალდებსა და სხვა დოკუმენტებში.

(b) სხვების მიერ ნიშნის გამოყენების აკრძალვის უფლება

9.154. ნიშნების ძირითადი ფუნქციიდან - თავისი მფლობელის საქონელი განასხვაოს სხვა მფლობელის საქონლისაგან - გამომდის, რომ მფლობელს უნდა შესწევდეს უნარი, გააპროტესტოს აღრევის დონემდე მსგავსი ნიშნების გამოყენება, რათა არ დაუშვას მომხმარებლებისა და მთელი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ამაშია განსაკუთრებული უფლების არსი, რომელიც სასაქონლო ნიშნის მფლობელს რეგისტრაციით ენიჭება. მას უნდა შეეძლოს, გააპროტესტოს თავისი სასაქონლო ნიშნის ნებისმიერი გამოყენება მესამე პირთა მიერ იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაცაა იგი დაცული, ნიშნის მოთავსება ასეთ საქონელზე, მისი გამოყენება საქონელთან დაკავშირებით

და საქონლის აღნიშნული ნიშნით გასაყიდად შეთავაზება, ან ნიშნის გამოყენება რეკლამაში, საქმიან ქაღალდებზე ან სხვა სახის ნებისმიერ დოკუმენტზე. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მომხმარებლები დაცული უნდა იყვნენ ნიშანთა აღრევისაგან, დაცვა, საზოგადოდ, ვრცელდება მსგავსი საქონლისათვის მსგავსი სასაქონლო ნიშნების გამოყენებაზე, თუ ასეთ გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს აღრევა.

9.155. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ შეუძლია უპირობოდ გააპროტესტოს საკუთარი სასაქონლო ნიშნის ან მისი მსგავსი ნიშნის გამოყენება იმ საქონელზე, რომლისთვისაც რეგისტრირებულია მისი სასაქონლო ნიშანი, ან მსგავს საქონელზე. მისი სასაქონლო ნიშანი დაცული უნდა იყოს ყველა იმ საქონლისათვის, რომელიც მითითებულია რეგისტრაციის დროს. ასეთი დაცვა ავტომატურად მოქმედებს ყველა რეგისტრირებული საქონლისათვის მოსარგებლის შეღავათიანი პერიოდის მანძილზე, რომელიც, ჩვეულებრივ, დადგენილია კანონით. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ დაცვის მოცულობა იმდენად უნდა შემცირდეს, რომ დარჩეს მხოლოდ საქონელი, რომლისთვისაც ფაქტობრივად გამოიყენება ნიშანი, და მისი მსგავსი საქონელი. ნებისმიერი საქონელი, რომლისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, მაგრამ რომლისთვისაც ის არ გამოიყენება, სამართლებრივი თვალსაზრისით უკვე ვეღარ იქნება საკმარისი საფუძველი სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების გაცხადებისათვის. ქვეყანაში არსებული პროცედურული სისტემის მიხედვით, სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეუძლია დაეყრდნოს ამ ფორმალურ უფლებებს იმ საქონელზე, რომლისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი, მაგრამ რომელიც არ გამოიყენება; იგი, შესაძლოა, წააწყდეს წინააღმდეგობას, რომელიც მიიყვანს მის სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ გაუქმებამდე გამოუყენებლობის მიზეზით.

9.156. სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება განხორციელდეს სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სარჩელით. უფლება სასაქონლო ნიშანზე დარღვეულია, თუ იმავე ან მსგავსი ნიშნების გამოყენების შედეგად იდენტურ ან მსგავს საქონელზე არსებობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის რისკი ან ალბათობა. ტესტი, რომელიც გამოიყენება სამართალდარღვევაზე სარჩელის განხილვისას, უფრო ვიწროა, ვიდრე ის, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული წესით (ექსპერტიზა ex

officio, გაპროტესტების პროცედურა). ტესტი არ არის ჰიპოთეზური, იგი უნდა ასახავდეს სამართალდარღვევის ფაქტის რეალობას ბაზარზე. მაშასადამე, სასამართლომ უნდა განიხილოს, თუ ფაქტობრივად როგორ იყენებს დამრღვევი სასაქონლო ნიშანს; განხილვისას უფლებების დარღვევით ნიშნის გამოყენების მასშტაბებიც შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს.

9.157. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა არა მხოლოდ ითვალისწინებს სარჩელის შესაძლებლობას სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, არამედ სთავაზობს ადმინისტრაციული წესით გაპროტესტების პროცედურას აღრევის დონემდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში ტესტი ბევრად უფრო ფართოა, რადგან საჭიროა აღრევის შესაძლებლობის დაშვება, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერი გამოყენებისას, რომელსაც განახორციელებს განმცხადებელი, თუ მისი ნიშანი რეგისტრირებული იქნება. სინამდვილეში ეს ტესტი ისეთივეა, როგორსაც იყენებს უწყება ექსპერტიზის ჩატარებისას მესამე პირთა უპირატესი უფლების მიმართ. მაგრამ ამ შემთხვევაში გაპროტესტების პროცედურებში ასეთი ფართო ტესტის გამოყენებისათვის მეტი საფუძველია, რადგან სწორედ უფლების მფლობელი აპროტესტებს განაცხადს და ამით იჩენს დაინტერესებას დაიცვას საკუთარი უფლება აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისგან.

9.158. იმ საკითხთან ერთად, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი განმასხვავებლობის მქონე, სასაქონლო ნიშნის პრაქტიკული დაცვის ქვაკუთხედს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა მოცემული სასაქონლო ნიშანი უფრო ადრინდელი უფლების მქონე სასაქონლო ნიშანთან აღრევამდე მსგავსი.

(i) საქონლის მსგავსება

9.159. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია ტარდება საქონლისათვის გარკვეულ კლასებში, რომლებიც დადგენილია წმინდა ადმინისტრაციული მიზნით. ამიტომ საქონლის კლასიფიკაცია ვერ იქნება მთავარი არგუმენტი მსგავსების საკითხის გადაწყვეტისას. ზოგჯერ ერთ კლასში ჩამოთვლილია აბსოლუტურად განსხვავებული საქონელი (მაგალითად, კომპიუტერები, სათვალეები, ცეცხლსაქრობი და ტელეფონები (კლასი 9)), მაშინ როცა ერთგვაროვანი საქონელი შეიძლება სხვადასხვა კლასში შედიოდეს (საწებავი

ნივთიერებები შეიძლება აღმოჩნდნენ კლასებში 1, 3, 5 და 16).

9.160. საქონლის ერთგვაროვნების შესამოწმებელი ტესტი დამყარებულია ვარაუდზე, რომ გამოიყენება იდენტური ნიშნები. ძალიან განსხვავებული საქონლისათვის ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იდენტური ნიშნების შემთხვევაშიც კი ადგილი ჰქონდეს აღრევას წარმოშობასთან დაკავშირებით. როგორც წესი, საქონელი ერთგვაროვანია, თუ იდენტური ნიშნით მათი გაყიდვისას მომხმარებლები ჩათვლიან, რომ ისინი წარმოებულია ერთი და იმავე წყაროდან. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის ყველა გარემოება, საქონლის ხასიათის ჩათვლით, მიზანი, რისთვისაც ის გამოიყენება, და კომერციული არხები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მათი რეალიზება ბაზარზე, მაგრამ განსაკუთრებით, საქონლის ჩვეული წარმოშობა და გაყიდვის პუნქტი.

9.161. რაც შეეხება უკანასკნელ კრიტერიუმს, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე სუპერმარკეტებში, აფთიაქებსა და უნივერსალურ მაღაზიებში ერთად იყიდება ყველა სახის საქონელი, და ამიტომ გაყიდვის ჩვეული პუნქტი ნაკლებად გამოდგება იმისთვის, რომ ერთი და იმავე წყაროდან შემოტანილი საქონელი მომხმარებლის მიერ განიხილებოდეს როგორც საქონელი, რომელიც მიღებულია ჩვეული წყაროდან. და მაინც, კრიტერიუმი ძალაში რჩება ბევრ შემთხვევაში, როდესაც საქონელი იყიდება მხოლოდ ან, გამონაკლისის სახით, როგორც წესი, სპეციალიზებულ მაღაზიებში. ასეთ შემთხვევაში მომხმარებლებმა შეიძლება დაიჯერონ საქონლის წარმოშობის იდენტურობა, თუ ერთიც და მეორეც იყიდება ერთსა და იმავე სპეციალიზებულ მაღაზიაში, და უარყონ ერთი და იგივე წარმოშობა, თუ ისინი, ჩვეულებრივ, არ იყიდება ერთსა და იმავე სპეციალიზებულ მაღაზიაში.

9.162. თუ სხვადასხვა საქონელი დამზადებულია ერთი ტიპის საწარმოთა მიერ, ან, თუ მომხმარებლებს სჯერათ, რომ მათ, ჩვეულებრივ, ერთი საწარმო ამზადებს, მაშინ ეს საქონელი, ჩვეულებრივ, საერთო წარმოშობის მქონე საქონლად ჩაითვლება.

9.163 სხვა ასპექტია საქონლის დანიშნულება და შედგენილობა. თუ სხვადასხვა საქონელი დამზადებულია მეტწილად ერთი და იმავე მასალისაგან, როგორც წესი, მათ განიხილავენ როგორც ერთგვაროვანს, მაშინაც კი, თუ ისინი სხვადასხვა მიზნისათვის გამოიყენება. მაგრამ

ნედლეული და სამრეწველო საქონელი, რომელიც დამზადებულია ნედლეულისაგან, ჩვეულებრივ, ერთგვაროვანი არ არის, რადგან, მეტწილად, მათი რეალიზაცია ბაზარზე ერთი და იმავე წარმოების მიერ არ ხდება.

9.164. გარემოებათა მიხედვით კონკრეტულ შემთხვევაში საქონლის ერთგვაროვნება განისაზღვრება ზემოხსენებული ასპექტებიდან ერთის ან მეტის მიხედვით, მაგრამ, როგორც წესი, ყველა მათგანი უნდა იყოს მიღებული მხედველობაში.

(ii) სასაქონლო ნიშნების მსგავსება

9.165. სასაქონლო ნიშნები შეიძლება მეტნაკლებად ემსგავსებოდნენ ერთმანეთს. მსგავსებაზე შესამოწმებელი ტესტი, ცხადია, გულისხმობს იმის დადგენას, არის თუ არა ნიშნები აღრევამდე მსგავსი. სასაქონლო ნიშანი ადრინდელი ნიშნის აღრევამდე მსგავსია, თუ იგი გამოიყენება ერთგვაროვანი საქონლისათვის და ისე ჰგავს ადრინდელ ნიშანს, რომ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებით. თუ მომხმარებელს შეიძლება აერიოს საქონელი, მაშინ სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობის ფუნქცია არ მუშაობს და მომხმარებელმა შეიძლება ვერ იყიდოს მისთვის სასურველი საქონელი. ეს ცუდია მომხმარებლისთვის, მაგრამ ასევე ცუდია სასაქონლო ნიშნის მფლობელისთვის, რომელიც კარგავს გაყიდვის შესაძლებლობას.

9.166. არ არის აუცილებელი, საქმე გვქონდეს დამრღვევის მხრიდან აღრევის განზრახვასთან ან ფაქტობრივ აღრევასთან. თვით აღრევის შესაძლებლობის არსებობა არის მსგავსების შესაფასებელი ტესტი და ეს ერთადერთი გზაა სისტემის ფუნქციონირებისაკენ.

9.167. რა თქმა უნდა, ისეთი ფრაზა, როგორიცაა "მომხმარებლის (ან საზოგადოების) აღრევის შესაძლებლობა", უნდა განიმარტოს. მომხმარებელი არსებობს როგორც აბსტრაქტული ცნება, ხოლო საზოგადოების, როგორც ასეთის, აღრევა არ შეიძლება. აღრევა ყოველთვის წარმოიშობა, ან მისი წარმოშობის შესაძლებლობა ჩნდება, მხოლოდ საზოგადოების ნაწილში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რას წარმოადგენს საზოგადოების ესა თუ ის ნაწილი, რომლის გათვალისწინებაცაა საჭიროა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვისთვის არის სინამდვილეში განკუთვნილი ან რომელ მომხმარებლამდე მიდის სასაქონლო

ნიშანი.

9.168. იმის გამო, რომ პრაქტიკულად ძალიან ძნელია მუშაობა აღრევის დონემდე მსგავსობის ზოგადი განსაზღვრებით, საჭიროა შემუშავდეს გარკვეული წესები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში დაგვეხმარება იმის განსაზღვრაში, არსებობს თუ არა, ორი ნიშნის მსგავსების გამო მათი აღრევის შესაძლებლობა.

9.169. ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მომხმარებელს არ შეუძლია გვერდიგვერდ შეადაროს სასაქონლო ნიშნები ერთმანეთს. ის, როგორც წესი, ყალბ ნიშანს აწყდება მაღაზიაში, სადაც ვერ ხედავს საქონელს იმ ნიშნით, რომელსაც იცნობს და მეტ-ნაკლებად ზუსტად იხსენებს. ყალბი ნიშნით შეთავაზებულ საქონელს იგი მიიჩნევს მისთვის სასურველ ნამდვილ საქონლად. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ საშუალო მყიდველს აქვს ასევე საშუალო მეხსიერება და მისთვის საკმარისია დაეჭვდეს, არის თუ არა მისთვის ცნობილი სასაქონლო ნიშანი, რომელსაც იგი წააწყდა.

9.170. რაკი საშუალო მომხმარებელი, როგორც წესი, თვალის ერთი გადავლებით, ვერ ხედავს განსხვავებას ნიშნებს შორის, რომელთა ამოცნობასაც ნიშანსა და ამ ნიშნით შემოთავაზებული საქონლის უფრო გულმოდგინედ შესწავლის შემთხვევაში შეძლებდა, ამიტომ პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მას შეექმნება, მცდარი იქნება. ეს განსაკუთრებით ეხება მასობრივი მოხმარების საქონელს, რომელიც იყიდება თვით-მომსახურების მაღაზიებში.

9.171. ამასთან, აღრევის მსხვერპლნი ხდებიან გამოუცდელი, ნაკლებად განათლებული მომხმარებლები და ბავშვები. ეჭვგარეშეა, რომ რთული და ძვირადღირებული აგრეგატის, ავტომანქანის ან საფრენი აპარატის მყიდველი უფრო ყურადღებიანი იქნება, ვიდრე თვითმომსახურების მაღაზიის მომხმარებელი. ამიტომ საქმიანობის ამ სფეროებში ძალიან მსგავსი სასაქონლო ნიშნების თანაარსებობა შესაძლებელია, რაც, ალბათ, მასობრივი მოხმარების საქონლის შემთხვევაში იოლად გამოიწვევდა აღრევას.

9.172. მეორე საინტერესო მაგალითი იმისა, თუ როგორ გავლენას ახდენს საქონელთა კატეგორია აღრევის დონემდე მსგავსების შემოწმებაზე, ეხება ფარმაცევტული საქონლის სფეროს. ექიმის რეცეპტით გამოწერილ სამკურნალო საშუალებებს მომხმარებელი, ჩვეულებრივ, ყიდულობს

განათლებულ ფარმაცევტებთან, რომელთა შეცდომაში შეყვანა სხვადასხვა დანიშნულების სამკურნალო პრეპარატებისათვის გამოყენებული მსგავსი ნიშნებით ნაკლებად მოსალოდნელია. მსგავსების შემოწმება ამ შემთხვევაში უფრო ნაყოფიერი შეიძლება იყოს. რაც შეეხება დახლქვემოდან გაყიდულ სამკურნალო საშუალებებს, აქ საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს. იმ სერიოზული შედეგების გათვალისწინებით, რაც მოუმზადებელი მომხმარებლისათვის ყალბი საქონლის შეძენას შეიძლება მოჰყვეს, მსგავსების შემოწმება განსაკუთრებით მკაცრად უნდა მოხდეს.

9.173. სასაქონლო ნიშნების მსგავსების შემოწმებისას მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ისინი უნდა შედარდეს მთლიანობაში და რომ უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შეცდომაში შემყვან საერთო ელემენტებს საშუალო მომხმარებლისთვის შეუმჩნეველი განსხვავებების გამოყოფის გარეშე. მიუხედავად ამ ძირითადი წესისა, - შედარდეს სასაქონლო ნიშნები მთლიანობაში და არ დაიყოს იგი ნაწილებად, მთავარი მაინც აღნიშვნათა სტრუქტურაა. საერთო თავსართი, როგორც წესი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთო ბოლოსართი, თუ ორი აღნიშვნა ძალიან მსგავსია ან იდენტურია სიტყვის თავში, მაშინ მათი აღრევის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ მსგავსება მათ დაბოლოებაშია. გრძელ სიტყვებს აღრევის მეტი ალბათობა აქვს, ვიდრე მოკლე სიტყვებს (სხვადასხვა საწყისი ასოებით).

9.174. მესამე მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ მაღალი განმასხვავებლობის მქონე ნიშნების (მოგონილი ან ფანტაზიური ნიშნების) აღრევა უფრო ადვილია, ვიდრე ასოციაციური მნიშვნელობის მქონე ნიშნებისა იმ საქონელის მიმართ, რომლისთვისაც ისინია რეგისტრირებული.

9.175. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაშიც, თუ ნიშანი შეიცავს მაღალი განმასხვავებლობის მქონე ნაწილს (სიტყვიერი ნიშნის ნაწილი ან ერთ-ერთი იმ რამდენიმე სიტყვიდან, რომლებიც ქმნიან ნიშანს) და ეს მაღალი განმასხვავებლობის მქონე ელემენტი ზუსტად ან თითქმის ზუსტად მეორდება უფლებების დამრღვევ ნიშანზე. მეორე მხრივ, თუ ორი აღნიშვნის საერთო ელემენტი აღწერილობითია, მომხმარებლის ყურადღება, ჩვეულებრივ, გადატანილია ნიშნის დანარჩენ ნაწილზე.

9.176. საერთო ელემენტის მქონე სასაქონლო ნიშნების შედარებისას უნდა დადგინდეს, აგრეთვე, არსებობს თუ არა რეესტრში საერთო ელემენტის მქონე

სხვა ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომლებიც სხვადასხვა მფლობელის მიერ გამოიყენება. თუ ასეა, მაშინ მომხმარებელი მიეჩვევა ამ ელემენტის გამოყენებას სხვადასხვა მფლობელის მიერ და ყურადღებას აღარ მიაქცევს მას, როგორც ნიშნის განმასხვავებელ ელემენტს.

9.177. მაგრამ სულ სხვა სიტუაციაა იმ შემთხვევაში, თუ ყველა ნიშანი, რომელსაც გააჩნია ასეთი საერთო ელემენტი (როგორც წესი, თავსართი ან ბოლოსართი), რეგისტრირებულია და გამოიყენება ერთი და იმავე მფლობელის მიერ (ან მისი თანხმობით). აქ საქმე გვაქვს სერიული ნიშნის განსაკუთრებულ შემთხვევასთან, როდესაც მომხმარებლები შეიძლება შეეჩვიონ ნიშანთა სერიის ასოცირებას საერთო წარმოშობასთან, და ნებისმიერი ახალი სასაქონლო ნიშნის მიმართ იგივეს დაშვება გადაიქცევა ტენდენციად. მაგრამ ის უბრალო ფაქტი, რომ ვიღაც იყენებს საერთოელემენტიანი სასაქონლო ნიშნების სერიას, თავისთავად საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გამოირიცხოს კონკურენტის მიერ იმავე ელემენტის გამოყენება იმავე ნიშნის შემადგენელ ნაწილად, რომელიც მთლიანობაში სრულიად განსხვავებულია. ასეთი საერთო ელემენტის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად, როდესაც მომხმარებლის მიერ ნამდვილად არის აღიარებული ნიშნების სერიის საერთო ელემენტი, რომელსაც იყენებს რეგისტრირებული მფლობელი იმ საქონლის წარმოშობაზე მითითების მიზნით, რომელიც მონიშნულია ამ ელემენტის შემცველი სხვადასხვა ნიშნით.

9.178. მეოთხე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ის, რომ აღრევა შეიძლება მოხდეს დაწერის, წარმოთქმისა და ნიშნის მნიშვნელობის მსგავსების გამო და რომ მათ შორის ერთ-ერთის მსგავსებაც საკმარისია დარღვევისათვის, თუ მას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

9.179. რაც შეეხება მსგავსებას დაწერილობაში, აქ დიდ როლს ასრულებს სა-საქონლო ნიშნის გრაფიკული გამოსახულება. ფონეტიკური მსგავსებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სხვადასხვა სახით დაწერილი სასაქონლო ნიშნების წარმოთქმა შეიძლება ერთნაირად და მხოლოდ წარმოთქმა მიიღება მხედველობაში ზეპირი ურთიერთობისას. შესაძლებელიც რომ იყოს დაწერილობაში მსგავსების არიდება მეტად განსხვავებული გრაფიკული გამოსახულებების გამოყენებით, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც ორ სასაქონლო ნიშანს მხოლოდ სმენით აღიქვამენ.

9.180. მნიშვნელობათა მსგავსებამ შეიძლება გამოიწვიოს აღრევა, თუ ორივე სასაქონლო ნიშანი გადმოსცემს ერთსა და იმავე იდეას ("DREAMLAND"—-"ოცნებათა სამეფო" და "SLUMBERLAND" — "ძილის ქვეყანა" – ლეიბებისათვის) და პირიქით, სრულიად განსხვავებულმა მნიშვნელობამ შეიძლება მოსპოს აღრევის შესაძლებლობა ორ ნიშანს შორის, რომლებიც, ჩვეულებრივ, ჩაითვლებოდა აღრევის დონემდე მსგავსად.

9.181. ზემოჩამოთვლილი წესებისაგან დამოუკიდებლად, საჭიროა ზოგიერთი განსაკუთრებული ასპექტის გათვალისწინება გამოსახულებითი ნიშნების მიმართ.

9.182. წმინდა ფანტაზიური გრაფიკული ნიშნებისათვის გადამწყვეტია შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ორი ნიშანი.

9.183. კომბინირებული ნიშნებისათვის, ჩვეულებრივ, საკმარისია სიტყვიერი ნაწილის მსგავსება, რადგანაც მსგავსება წარმოთქმაში სასაქონლო ნიშანზე უფლებათა დარღვევის საფუძველია. მსგავსებამ გამოსახულებათა ნაწილში აღრევამდე შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოსახულებითი ნაწილი ნიშნის განმასხვავებელი ელემენტია. გარდა ამისა, კომბინირებული ნიშნების შემთხვევაში ორი ნიშნის სიტყვიერ ნაწილში ნებისმიერი მსგავსება თვალშისაცემი იქნება, თუ ნიშნის გამოსახულებითი ნაწილებიც მსგავსია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეუძლებელია სიტყვების აღრევა დაწერაში ან წარმოთქმაში, გამოსახულებითი ელემენტების მსგავსებამ შეიძლება ნიშნები აღრევის დონემდე მსგავსი გახადოს.

9.184. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს გამოსახულება, რომელიც შეიძლება დაასახელო სიტყვით. ვარსკვლავის გამოსახულება, როგორც წესი, აღინიშნება სიტყვით “ვარსკვლავი” და ამიტომ იქნება მსოფლიოში ცნობილი ნიშნის "STAR" (ვარსკვლავი) მსგავსი აღრევის დონემდე. ლომის ან ვეფხვის გამოსახულებები ასევე იქნებოდა აღრევის დონემდე მსგავსი მსოფლიოში ცნობილი ნიშნებისა – "LION" (ლომი) და "TEGER" (ვეფხვი). სულ სხვა სიტუაციაა ორი გამოსახულებითი ნიშნის შედარებისას, როცა ორივე მათგანი ახასიათებს ცხოველს. პრეცედენტული სამართალი, ჩვეულებრივ, მერყეობს ცხოველის როგორც ასეთის, გამოსახულებაზე მონოპოლიის მინიჭების საკითხში. მაგალითად, ვეფხვის, ლომის, ან ძროხის (ძროხის ბევრი გამოსახულება არსებობს, რომლებიც რეგისტრირებულია რძის პროდუქტებისათვის) ორი გამოსახულება საკმაოდ მსგავსი უნდა იყოს

იმისათვის, რომ მათი აღრევა მოხდეს. ამგვარად, მით უმეტეს, ხომ არ უნდა აიკრძალოს შესაბამისი აღნიშვნის, როგორც სასაქონლო ნიშნის, გამოყენება და ხომ არ უნდა ჰქონდეთ მსოფლიოში ცნობილი ნიშნის – "TIGER" (ვეფხვი) მფლობელთ გამოსახულებით ნიშნებში ვეფხვის ყველა შესაძლო გრაფიკული გამოსახულების გაპროტესტების შესაძლებლობა? დაცვის შეზღუდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაძლო პრობლემის თავიდან ასაცილებლად გამოსახულებითი ნიშნის მფლობელმაც უნდა უზრუნველყოს სასაქონლო ნიშნის დაცვა იმ ცხოველის სახელწოდებისთვისაც, რომელიც გამოსახულია მის ნიშანზე.

(iii) გამოყენებისა და გამოუყენებლობის გავლენა

9.185. აღრევას ბაზარზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ნიშნის მსგავს საქონელზე ფაქტობრივი გამოყენების შედეგად. მაგრამ აღრევის თავიდან ასაცილებლად მაინც საჭიროა, რომ სასაქონლო ნიშნების დაცვის სისტემა შესაძლებლობას აძლევდეს სასაქონლო ნიშნის მფლობელს, გააპროტესტოს განაცხადი სასაქონლო ნიშნის ისეთ რეგისტრაციაზე, რომელიც უბრალოდ ნიშნის გამოყენების განზრახვაზეა დაფუძნებული.

9.186. იმავე მიზნით ბევრი კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნის სფეროში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს ნებას რთავს, გააპროტესტოს განაცხადის შეტანა ოპოზიციის პროცედურით და შეიტანოს სარჩელი გამოყენებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების წინააღმდეგ ისეთი საქონლის მსგავს ნიშნებთან მიმართებაში, რომელიც არსებული რეგისტრაციით გათვალისწინებული ყველა საქონლის იდენტური ან მსგავსიც კია, იმისგან დამოუკიდებლად, ხდება თუ არა ამ უკანასკნელთა გამოყენება. ამიტომ მოპასუხემ, რომელსაც აქვს ინფორმაცია სრული ან ნაწილობრივი გამოუყენებლობის შესახებ, უნდა შეიტანოს საპირისპირო სარჩელი ამ გამოუყენებლობის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის არსებული რეგისტრაციის ნაწილობრივი ან სრული გაუქმების მოთხოვნით.

9.187. უფრო თანამედროვე კონცეფციები ნებას რთავს სასაქონლო ნიშნის მფლობელს, ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, გააპროტესტოს ოპოზიციის პროცედურით ან აღძრას საქმე სასამართლოში რეგისტრაციაზე განაცხადის ან იდენტური ან მსგავსი ნიშნის ისეთ საქონელზე გამოყენების წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ იმ საქონლის

იდენტური და მსგავსია, რომელზედაც მფლობელი ფაქტობრივად იყენებს მათ. თუ მფლობელი არ იყენებს თავის სასაქონლო ნიშანს, მას პროტესტზე უარი ეთქმის, ხოლო თუ იგი იყენებს ნიშანს ერთ ან რამდენიმე საქონელზე, რომლებისთვისაც რეგისტრირებულია, აღრევის დონემდე მსგავსების შესამოწმებელ ტესტში მხოლოდ ის საქონელი მიიღება მხედველობაში, რომლებზედაც ზემოაღნიშნული ნიშანი გამოიყენება. გამოყენების მტკიცების ტვირთი გაპროტესტების პროცედურაში აწვება უფლების მფლობელს.

9.188. ბევრი კანონი ასევე ნებას რთავს მოპასუხეს სამართალდარღვევათა შესახებ სასამართლო საქმეში განაცხადოს სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობა, რაზედაც დაფუძნებულია სარჩელი, და მფლობელს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიაღწიოს წარმატებას სასამართლო პროცესში მისი უფლებების დარღვევის ფაქტის გამო, თუ იგი შეძლებს თავისი ნიშნის გამოყენების დამტკიცებას.

9.189. თუ უფლების დამრღვევი სასაქონლო ნიშანი გამოიყენება, მისი გამოყენების დონეს შეუძლია გავლენა იქონიოს აღრევამდე მსგავსების შესამოწმებელ ტესტზე. ინტენსიური გამოყენება ამაღლებს ნიშნის განმასხვავებლობას, ხოლო საყოველთაოდ ცნობილ ნიშნებთან აღრევა უფრო მოსალოდნელია, მაშინაც კი, თუ ნიშნების მსგავსება ნაკლებად აშკარაა ან საქონელი, რომლისთვისაც გამოყენებულია ნიშნები, ნაკლებად მსგავსია.

(iv) დაცვა აღრევის დონემდე მსგავსების ფარგლებს გარეთ

9.190. ზოგიერთ ქვეყანაში საყოველთაო ან მსოფლიოში ცნობილ მაღალი რეპუტაციის მქონე ნიშნებს მინიჭებული აქვთ დაცვა, რომელიც სცილდება საქონელთა აღრევამდე მსგავსების ფარგლებს. ასეთი გაფართოებული დაცვა მიენიჭება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი და იმავე ან თითქმის იდენტური ნიშნის გამოყენება სხვა არამსგავსი საქონლისათვის ზიანს მიაყენებს მის განსხვავებულობას ან მის რეპუტაციას. აუცილებელი არ არის, რომ გაფართოებულმა დაცვამ გადაფაროს ყველანაირი საქონელი. შეიძლება მოხდეს ისე, რომ საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის იდენტური ნიშნის გამოყენებამ, გაუმართლებელი ზიანი მიაყენოს გარკვეული კატეგორიის საქონელს მაშინ, როდესაც იგივე გამოყენება სრულიად არამსგავს საქონელზე შეიძლება არც ყოფილიყო საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის რეგისტრირებული მფლობელის ინტერესების საწინააღმდეგო.

გადაწყვეტილება უნდა განისაზღვროს კონკრეტული შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ისეთ გარემოებათა ჩათვლით, როგორიცაა ნიშნის რეპუტაციის დონე, საქონლის სახეობა, რომლისთვისაც ნიშანი გამოიყენება დამრღვევის მიერ, ხერხი, რომლითაც ის წარადგენს თავის საქონელს, და სხვ.

9.191. ამჟამად ქვეყნების უმრავლესობა იყენებს მაღალი რეპუტაციის საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებისათვის ისეთი დაცვის მინიჭების პრაქტიკას, რომელიც სცილდება საქონელთა მსგავსების ფარგლებს. თუმცა რეპუტაცია თავისთავად, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. უფრო ფართო დაცვა გა-მართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც სათანადო მიზეზის გარეშე ნიშნის გამოყენება გამოიწვევდა სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელი ხასიათიდან ან რეპუტაციიდან უპატიოსნო ხერხებით გამორჩენის მიღებას ან ზიანს მიაყენებდა მას.

(C) განსაკუთრებული უფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი ინტერესებით

9.192. ისევე, როგორც მფლობელის უფლება, გამოიყენოს მისი სასაქონლო ნიშანი, შეიძლება შეიზღუდოს სხვა უფლებებით, მისი უფლება - აკრძალოს მესამე პირების მიერ მისი ნიშნის გამოყენება, - შეიძლება შეზღუდულ იქნეს სხვა პირთა კანონიერი ინტერესებით. ტიპური კანონის მე-19 ნაწილი ითვალისწინებს, რომ "ნიშნის რეგისტრაცია მის რეგისტრირებულ მფლობელს არ ანიჭებს უფლებას, აღკვეთოს მათი სახელების, მისამართების, ფსევდონიმების, გეოგრაფიული დასახელებების მესამე პირთა მიერ კეთილ-სინდისიერი გამოყენება ან მათი საქონლის ან მომსახურების სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, დანიშნულების, ღირებულების, წარმოშობის ადგილის, დამზადების ან მიწოდების დროის ზუსტი მითითებები, ვინაიდან ასეთი გამოყენება შემოისაზღვრება, უბრალოდ, იდენტიფიკაციის ან ინფორმაციის მიზნებით და არ შეუძლია შეიყვანოს საზოგადოება შეცდომაში საქონლის ან მომსახურების წარმოშობის შესახებ." ანალოგიური დებულება გვხვდება ბევრ კანონმდებლობაში სასაქონლო ნიშნების შესახებ.

9.193. სასაქონლო ნიშნის მფლობელს ასევე არ შეუძლია, ხელი შეუშალოს არაკონკურენტი მესამე პირების მიერ, მისი სასაქონლო ნიშნის მითითებას ისეთ მოქმედებათა მეშვეობით, როგორიცაა ნიშნის შეტანა ნუსხაში, რომელ-

საც შეიცავს სასაქონლო ნიშნების ცნობარები ან ლექსიკონები, ან მისი გამოყენება საგაზეთო სტატიებში, წიგნებში ან სხვა პუბლიკაციებში.

9.194. იმის გამო, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს გააჩნია გამართლებული ინტერესი, არ დაუშვას მისი ნიშნის გვარეობით ცნებად გადაქცევა, ზოგიერთ შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს მისი სწორი გამოყენება. ზოგი კანონმდებლობა ცნობს სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებას ლექსიკონში გამოქვეყნებული მისი ნიშნის იდენტიფიკაციაზე, როგორც ასეთზე; თუ სასაქონლო ნიშანი ლექსიკონში მოხსენიებულია იმის აღნიშვნის გარეშე, რომ იგი წარმოადგენს სასაქონლო ნიშანს, მფლობელს აქვს უფლება, მოითხოვოს შესწორების შეტანა ლექსიკონის შემდგომ გამოცემაში.

(c) სამართლებრივი დაცვის საშუალებები სასაქონლო ნიშნებზე უფლებების დარღვევისას

9.195. წარმატებით დამთავრებული სასამართლო საქმის შედეგად იკრძალება აღრევის დონემდე მსგავსი ნიშნის გამოყენება. თუ დამრღვევი ნიშანი რეგისტრირებულია, მაშინ უქმდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

9.196. სასაქონლო ნიშნის მფლობელს, პრინციპში, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. მაგრამ სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა საქმეებში ძნელია ზიანის დამტკიცება, და ამიტომ უფლებების დაცვის ასეთი საშუალებები არ არის დიდად გავრცელებული პრაქტიკაში.

9.197. კონტრაფაქციის შემთხვევებში სიტუაცია, რა თქმა უნდა, სხვანაირია, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. № 653(E) (1993)

J. სასაქონლო ნიშნების მეკობრეობა, კონტრაფაქცია და ეტიკეტებისა და შეფუთვის იმიტაცია

(a) სასაქონლო ნიშნის მეკობრეობა

9. 198. სასაქონლო ნიშნის მეკობრეობა ნიშნავს, როგორც წესი, უცხო ქვეყნის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ან გამოყენებას, რომელიც რეგისტრირებული არ არის ქვეყანაში (ან

ძალადაკარგულია გამოუყენებლობის გამო).

9.199. პარიზის კონვენციის მე-6 bis მუხლი ითვალისწინებს, რომ საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშანს უნდა მიენიჭოს დაცვა იმ შემთხვევაშიც, როცა ის რეგისტრირებული არ არის ქვეყანაში. ეს ნორმა წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების სამართალდარღვევისაგან დაცვის მნიშვნელოვან საფუძველს. მაგრამ მე-6 bis მუხლის მოქმედება მაინც შეზღუდულია იდენტური ან მსგავსი საქონლით. ხშირად საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების მეკობრეები იყენებენ მათ სრულიად სხვადასხვა საქონელზე ან მომსახურებაზე. უფრო მეტიც, ზოგჯერ სასამართლო მოითხოვს, რომ სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი იყოს ქვეყანაში და უარყოფენ დაცვას მაშინაც კი, როცა სასაქონლო ნიშნის ნამდვილ მფლობელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ იგი საყოველთაოდ ცნობილია საერთაშორისო დონეზე მრავალ ქვეყანაში. ამიტომ საჭიროა უფრო სრულყოფილი დაცვა სასაქონლო ნიშნების მეკობრეობისაგან.

(b) კონტრაფაქცია

(i) რა არის კონტრაფაქცია?

9.200. კონტრაფაქცია, უწინარეს ყოვლისა, საქონლის გაყალბებაა. გაყალბებული საქონელი არა მხოლოდ იდენტურია ამ ტერმინის ზოგადი გაგებით (ვთქვათ, ჩანთისა ზოგადად), ის ჭეშმარიტი მრეწველის ან მოვაჭრის მიერ შექმნილი და შეთავაზებული საქონლის შთაბეჭდილებასაც ქმნის (მაგალითად, ჩანთა "LOUIS VUITTON").

9.201. ცხადია, ასეთი გაყალბებული საქონლის შეთავაზებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ნამდვილი საქონელი კარგადაა ცნობილი მომხმარებლისათვის. აქედან გამომდინარე, გაყალბებული საქონელი ხშირად მიეკუთვნება ფუფუნების საგნების კატეგორიას და დართული აქვს საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი. მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ დამთხვევაა: ყალბი შეიძლება იყოს მასობრივი მოხმარების საქონელიც კი, ან ისეთი საქონელი, რომელიც არ იყიდება სასაქონლო ნიშნით, მაგრამ რომლებიც დაცულია ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებებით, როგორიცაა საავტორო უფლება ან სამრეწველო ნიმუშების დაცვა. ისინი შეიძლება ცნობილი იყოს, აგრეთვე, მხოლოდ სპეციალური

მომხმარებლების მცირე ჯგუფისთვის – მაგალითად, მუხრუჭი, რომელიც გამოიყენება ავტომობილებისათვის ან ავიაციაში, ან პესტიციდები, რომლებიც ცნობილია სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის. ამავე დროს ეს მაგალითები გვიჩვენებს, თუ რაოდენ საშიში შეიძლება იყოს ყალბი საქონლის გამოყენება (ერთხელ ყალბი პესტიციდების გამოყენებამ მთლიანად გაანადგურა ხორბლის წლიური მოსავალი აფრიკის დიდ რეგიონში.)

9.202. გაყალბებული საქონლის ყველაზე ტიპური და ფართოდ ცნობილი მაგალითებია გაყალბებული ჩანთები "LOUIS VUITTON", გაყალბებული საათები "ROLEX", "CARTIER" და სხვა ძვირფასი საათები, გაყალბებული სპორტული ფეხსაცმელი "PUMA" და "REEBOK", გაყალბებული სპორტული მაისურები "LACOSTE" და ა. შ. გაყალბებული ჩანთების "LOUIS VUITTON" და საათების "ROLEX" გასაღება აჭარბებს ნამდვილი საქონლის გაყიდვის მოცულობას. ეს გვიჩვენებს, რომ კონტრაფაქცია წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკურ მოვლენას. ფაქტობრივად, გაყალბებული საქონლის მსოფლიო გასაღება შეფასებულია მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 5%-მდე და ეს ციფრი იზრდება. საჭიროა იმ ფაქტის აღიარება, რომ კონტრაფაქცია არის ეკონომიკური დანაშაული, რომელიც შეიძლება ქურდობას შედარდეს. ყალბისმქმნელნი არა მხოლოდ ატყუებენ მომხმარებელს, არამედ რეპუტაციას ულახავენ ჭეშმარიტ მწარმოებელს, გარდა იმისა, რომ ისინი არავითარ გადასახადს არ უხდიან სახელმწიფოს.

(ii) სამართლებრივი დაცვა კონტრაფაქციისაგან

9.203. გაყალბებულ საქონელს, როგორც წესი, დართული აქვს სასაქონლო ნიშანი, თუმცა, ეს არ არის აუცილებელი პირობა და მას ყოველთვის არა აქვს ადგილი პრაქტიკაში. ეს გარემოება იძლევა საშუალებას, კონტრაფაქცია განვიხილოთ როგორც სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევის გამო სასამართლო საქმის აღძვრის საფუძველი, რაც ჩვეულებრივ, უფრო იოლი საქმეა, ვიდრე თავდაცვის მიზნით შეებრძოლო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სხვა დარღვევას. უფრო ხშირად კონტრაფაქცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სასაქონლო ნიშანზე უფლებათა სერიოზული დარღვევის სპეციფიკური მაგალითი, რომელიც გამორჩეულია იმით, რომ სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო საქმეების გადაწყვეტა იურიდიულად უფრო მარტივია, რადგან, ჩვეულებრივ,

სასაქონლო ნიშანი და საქონელი იდენტური ან თითქმის იდენტურია. მაგრამ იმის გამო, რომ კონტრაფაქცია წარმოადგენს ეკონომიკურად სერიოზულ და მნიშვნელოვან პრობლემას, სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ხშირად საკმარისი არაა იმისათვის, რომ გამოყენებული იქნეს როგორც ეფექტური სამართლებრივი სანქცია. ეს პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, ეხება კანონის აღსრულების იძულების სამ სფეროს, რომელთაგან ყველას არსებითი მნიშვნელობა აქვს კონტრაფაქციასთან წარმატებითი ბრძოლისათვის.

9.204. კანონმდებლობებმა შეიძლება გაითვალისწინონ სისხლის სამართლის მკაცრი სანქციები თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით. სასაქონლო უფლებათა სფეროში კანონმდებლობათა უმრავლესობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის სანქციებს სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა დარღვევის გამო, მაგრამ ისინი დიდი ხნის წინაა სამოქმედოდ შემოღებული და სასაქონლო ნიშნებზე უფლებების დარღვევის თაობაზე "ჩვეულებრივი" სასამართლო საქმეებისთვისაც კი დაკარგული აქვთ რეალობა. ყალბის-მქმნელები იხდიან ჯარიმას საკუთარი ჯიბიდან, ასე რომ, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები იშვიათია.

9.205. საჭიროა გადაუდებელი და შორს მიმავალი ღონისძიებები. ყალბის-მქმნელები არ აწარმოებენ თავის საქმეებს ჩვეულ მისამართზე, ხოლო სასამართლო დევნის შემთხვევაში ისინი ცდილობენ მიიმალონ. მათი გამოვლენა ხშირად მხოლოდ ხანგრძლივი და გულმოდგინე გამოკვლევის შედეგად ხდება. ამიტომ აქტუალურია წინასწარი ღონისძიებების შემოღების მოთხოვნილება, ისეთის, როგორიცაა დროებითი სასამართლო აკრძალვები (გაერთიანებულ სამეფოში ფრიად სასარგებლო ღონისძიებად ითვლება ე. წ. ენტონი პილერის დადგენილება). ასეთი წინასწარი ღონისძიებების წყალობით შეიძლება გაყალბებული საქონლის კონფისკაცია, ხოლო მისი მფლობელი პირი ვალდებული იქნება, მიაწოდოს ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის ნამდვილ მფლობელს ამ საქონლის წარმოშობის შესახებ.

9.206. იმის გამო, რომ კონტრაფაქცია წარმოადგენს მოვლენას საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში, საჭიროა, რომ საბაჟო უწყებებს მიეცეს უფლება, თავიანთი ქვეყნების საზღვარზე შეამოწმონ საქონელი და მოახდინონ გაყალბებული საქონლის კონფისკაცია ამ საქონელზე მოთავსებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით.

(c) ეტიკეტის და შეფუთვის იმიტაცია

9.207. ამ ნაწილში განხილული შემთხვევები სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა ჩვეულებრივ დარღვევებსა და კონტრაფაქციას შორის დევს (ზოგჯერ ძალიან უახლოვდება კონტრაფაქციას). როგორც კანტრაფაქციის შემთხვევაში, კონკურენტუნარიანი საქონლის მარკირება და შეფუთვა გაყალბებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში გაყალბება არ ქმნის ნამდვილის შთაბეჭდილებას. თუ ნამდვილ საქონელსა და გაყალბებულს გვერდიგვერდ მოვათავსებთ (თუმცა მომხმარებლები იშვიათად იქცევიან ასე), განვასხვავებთ მათ ურთიერთისაგან. ჩვეულებრივ, ყალბისმქმნელი ნამდვილი საქონლის დამამზადებლის ზურგს არ არის ამოფარებული, იგი თავისი სახელით ვაჭრობს, თითქოს, დამნაშავე კი არა, კონკურენტია, რომელიც იყენებს არაკეთილსინდისიერ მეთოდებს.

9.208. ყალბისმქმნელი იმის მაგივრად, რომ საკუთარი ძალებით დაამუშაოს ეტიკეტი და შესაფუთი, რომლებიც იმიჯს უქმნიან საქონელს, ცდილობს ისარგებლოს კონკურენტუნარიანი საქონლის რეპუტაციით და თავის საქონელს გარეგნულად იმდენად ამსგავსებს მას, რომ ბაზარზე ხდება აღრევა.

9.209. ხშირად ყალბისმქმნელი იყენებს სასაქონლო ნიშანს (საქონლის დასახელების მნიშვნელობით), რომელიც მისი კონკურენტის სასაქონლო ნიშნის მსგავსია აღრევის დონემდე. ასეთ შემთხვევაში იგი სასაქონლო ნიშნის უფლებას არღვევს.

9.210. რიგ შემთხვევებში სიტყვიერი ნიშანი, რომელსაც იყენებს ყალბის-მქმნელი, რაღაც ზომით (მაგრამ არა აღრევის დონემდე) მსგავსია მისი კონკურენტის ნიშნისა, თუმცა, შეიძლება იყოს მისგან სრულიად განსხვავებულიც. ასეთ სიტუაციაში აღრევა ბაზარზე წარმოიშობა მხოლოდ ან უმთავრესად ფერების ან გრაფიკული ელემენტების გამოყენების შედეგად, რომლებიც იდენტურია ან ძალიან ემსგავსება კონკურენტის ეტიკეტზე ან შეფუთვაზე არსებულ ელემენტებს. ეტიკეტებსა და შეფუთვას იშვიათად ატარებენ რეგისტრაციაში როგორც სასაქონლო ნიშნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების თაობაზე არავითარ საფუძველს არ იძლევა ასეთ შემთხვევებში ჩარევისათვის. ისინი განხილული უნდა იქნეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობის ნორმათა შესაბამისად.

9.211. საყოველთაოდ მიღებულია, რომ რომელიმე პირის მიერ თავისი

საქონლის კონკურენტის საქონლად გასაღება ითვლება უკანონოდ (არაკეთილსინდისიერ კონკურენციად). ეს პირობა, ჩვეულებრივ, სრულდება მაშინ, თუ საქონლის ეტიკეტი ან შეფუთვა აღრევის დონემდე მსგავსია კონკურენტის საქონლის ეტიკეტისა და შეფუთვისა.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. # 653(E) (1993)

K. მფლობელობის შეცვლა

(a) მფლობელობის შეცვლის მიზეზები

9.212. სასაქონლო ნიშნის მფლობელი შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა გზით.

9.213. სასაქონლო ნიშანზე უფლება, ფიზიკური პირის გარდაცვალების შემდეგ, შეიძლება გადავიდეს მის მემკვიდრეზე. ასეთი ცვლილება საკუთრების უფლებაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობას დაშვებული აქვს კერძო საკუთრება სასაქონლო ნიშნებზე. ანალოგიურად, სასაქონლო ნიშანი შეიძლება გადაეცეს ახალ მფლობელს ბანკროტობის შემთხვევაში. საკუთრების უფლებაში მეორე ავტომატური ცვლილება შეიძლება მოხდეს ორი კომპანიის გაერთიანების შედეგად. მაგრამ არავითარ ავტომატურ ცვლილებას არა აქვს ადგილი ბაზარზე აქციათა შესყიდვის ან კომპანიის გარკვეული კაპიტალის, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების, შეძენის გზით კომპანიის შთანთქმის შემთხვევაში.

(b) მფლობელობის ნებაყოფლობითი შეცვლა: უფლებების დათმობა

9.214. უფლებების დათმობა საკუთრების უფლებაში ცვლილების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ჩვეულებრივ, (მაგრამ არა გარდუვლად) იგი წარმოადგენს შესყიდვაზე კონტრაქტის ნაწილს, რის შედეგადაც შეიძლება გაიყიდოს გარკვეული თანხის ფასად.

9.215. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უშვებს სასაქონლო ნიშნების დათმობას მხოლოდ ნიშანთან დაკავშირებულ არამატერიალურ აქტივთან - გუდვილთან ერთად. როგორც მტკიცდება, მომხმარებლები ეჩვევიან საქონელს,

რომელიც საღდება გარკვეული სასაქონლო ნიშნით, ასე რომ საწარმოს ან საწარმოს ნაწილის გადაცემა, რომელიც იყენებს ამ ნიშანს, შეცდომაში შეიყვანდა მომხმარებელს. მიუხედავად ამისა, არსებობს სასაქონლო ნიშნების თავისუფალი დათმობის აშკარა ტენდენცია. უფრო ხშირად სასაქონლო ნიშნები, რომელთა დათმობა გუდვილის გარეშე მოხდა, მრავალი წლის განმავლობაში არ გამოიყენება. გარდა ამისა, ხშირად კომპანიებს გააჩნიათ რთული სამართლებრივი სისტემა და, როდესაც ერთი კომპანია შთანთქავს მეორეს, შეიძლება ისე მოხდეს, რომ სასაქონლო ნიშნები გადაეცეს ახალ სათავო კომპანიას, მაშინ როცა საწარმოები, რომლებიც ამზადებენ პროდუქციას და ვაჭრობენ ამ სასაქონლო ნიშნით, რჩება შთანთქმული კომპანიების საკუთრებაში. სანამ სათავო კომპანიისა და სასაქონლო ნიშნის ახალი მფლობელი გარანტიას იძლევა, რომ გადაცემული სასაქონლო ნიშნით გასაღებული პროდუქციის ხარისხი დარჩება სათანადო დონეზე, მომხმარებელი არ იქნება შეყვანილი შეცდომაში.

9.216. ამიტომ აბსოლუტურად არ არის საჭირო სასაქონლო ნიშნების დათმობის დაკავშირება მათ შესაბამის გუდვილთან. საკმარისია, და ამავე დროს აუცილებელიც, იმის გარანტიის მიცემა, რომ მომხმარებლები დაცული იქნებიან მოტყუებისგან. ასეთი მიდგომა ნიშანდობლივია ტიპური კანონის 21 თავისთვის, რომლის (1) პუნქტი უშვებს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციების ან მათზე განაცხადების დათმობას, მიუხედავად იმისა, ხდება ნიშნის გამომყენებელი საწარმოს მთლიანი თუ ნაწილობრივი გადაცემა. იმავე კანონის (2) პუნქტი ითვალისწინებს იმას, რომ ასეთი დათმობა ბათილია, თუ მის მიზანს ან ქმედებებს შეუძლია საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. საჭიროა დავამატოთ, რომ რეალურ ცხოვრებაში ასეთი შემთხვევები იშვიათია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხდება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის მთლიანად დათმობა.

9.217. უფრო პრობლემატურია ნაწილობრივი დათმობები. იმისათვის, რომ მსგავს შემთხვევებში აცილებული იქნეს აღრევა, კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების სფეროში ზოგჯერ უშვებს უფლების გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ჩამოთვლილი საქონელი არ არის იმ საქონლის მსგავსი, რომლებიც რჩება ადრინდელ მფლობელს. ამგვარად, შეიძლება ცალსახად ავიცილოთ აღრევა, რადგან ორი სასაქონლო ნიშანი შეიძლება თავიდანვე სხვადასხვა მფლობელების მიერ იქნეს რეგისტრირებული.

(c) ჩანაწერის შეტანა მფლობელის შეცვლის თაობაზე

9.218. პრინციპში, სასაქონლო ნიშნის მფლობელობის შეცვლა ძალაში შედის ამაზე ყოველგვარი ჩანაწერების შეტანის გარეშე. ეს აშკარაა უცხოელი მფლობელის გარდაცვალების, ბანკროტობის ან საწარმოთა შერწყმის შემთხვევაში. ჩანაწერის შეტანა (თუნდაც inter partes), პრინციპში არ მოითხოვება დათმობის გზით მფლობელის უფლებების ნებაყოფლობითი ცვლილების ძალაში შესვლისთვისაც კი. ამის მიუხედავად, კანონმდებლობები სასაქონლო ნიშნების შესახებ, როგორც წესი, მაინც ითვალისწინებს მფლობელის ცვლილების შესახებ ჩანაწერის შეტანას ორი მიზეზით:

1. ახალ მფლობელს არ შეუძლია სათანადოდ განახორციელოს თავისი უფლებები სასაქონლო ნიშნებზე, თუ იგი არ არის რეგისტრირებული მფლობელი;
2. პრინციპში, გადაცემა მესამე პირთათვის არ აღძრავს ვალდებულებებს, სანამ ის რეგისტრირებული არ იქნება.

9.219. ეს პრინციპი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს შეუზღუდავად: თუ ახალმა მფლობელმა შეასრულა ყველა საჭირო ფორმალობა, ე. ი. თუ მან საჭირო დოკუმენტები წარუდგინა უწყებას მფლობელობის ცვლილების სარეგისტრაციოდ, მას უნდა შეეძლოს ზომების მიღება თავისი სასაქონლო ნიშნის დარღვევებისაგან დასაცავად. ზოგჯერ ჩანაწერების შეტანის პროცედურა ძალიან ხანგრძლივია, გარკვეული დოკუმენტების შედგენას მოითხოვს და ზოგიერთი კანონმდებლობა არ უშვებს ჩანაწერების შეტანას განხილვაში მყოფი განაცხადისათვის. ასეთ შემთხვევაში ახალი მფლობელი შესაძლოა მთლიანად ბლოკირებული აღმოჩნდეს, რამდენადაც ძველი მფლობელი შეიძლება აღარ არსებობდეს ან არც იყოს დაინტერესებული იმოქმედოს მის ყოფილ ნიშანზე უფლებების დარღვევის წინააღმდეგ.

9.220. კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ ძირითადად ითვალისწინებს იმას, რომ რეესტრი უარს ამბობს უფლების დათმობის რეგისტრაციაზე, როდესაც, მისი აზრით, შესაძლებელია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

9.221. თუ უფლების დათმობას მართლა შეჰყავს მომხმარებელი შეცდომაში, მას თავისთავად არ გააჩნია იურიდიული ძალა და ამიტომ სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეიძლება მისი რეგისტრაცია. მაგრამ რეგისტრატორმა არ

უნდა თქვას უარი დათმობათა რეგისტრაციაზე, თუ, მისი აზრით, მომხმარებლისთვის აღრევის მხოლოდ საშიშროება იარსებებს. ცხადია, რომ ასეთი შემთხვევები დამოკიდებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სცილდება იმ ფარგლებს, რაც რეგისტრატორმა შეიძლება იცოდეს განაცხადის მასალებიდან, მაგალითად, თუ როგორ გამოიყენებს ახალი მფლობელი სასაქონლო ნიშანს, მართლა იქნება თუ არა მომხმარებელი შეცდომაში შეყვანილი და ა. შ. ეს კი იმას მოწმობს, რომ დათმობა არ იწვევს მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანას.

9.222. ნაწილობრივი გადაცემისაგან განსხვავდება სიტუაცია, რომლის დროსაც რამდენიმე სასაქონლო ნიშნის მფლობელი თმობს ზოგიერთს, რომლებიც, სასაქონლო ნიშნების მსგავსების შემოწმებაზე ტესტის გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს აღრევამდე მსგავსად.

9.223. ასეთ შემთხვევაში დათმობა მართლაც არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. იქნება თუ არ იქნება მომხმარებელი შეცდომაში შეყვანილი, ეს დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს ახალი მფლობელი სასაქონლო ნიშანს, რომელიც მას დაუთმეს, და, აგრეთვე, იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს ადრინდელი მფლობელი სასაქონლო ნიშანს, რომლის მფლობელიც ის ჯერ კიდევ არის. მხარეებს დათმობის დროს, ჩვეულებრივ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეაქვთ დათმობის ხელშეკრულებაში დებულებები, რომლებიც არეგულირებენ ორივე სასაქონლო ნიშნის მომავალ გამოყენებას ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მომხმარებლების აღრევა. ასეთ შემთხვევაში რეგისტრატორს არ უნდა ჰქონდეს უფლება, უარი უთხრას დათმობის რეგისტრაციაზე და საქმე უნდა გაირჩეს სასამართლოს მიერ.

9.224. თუ უფლებათა დათმობა, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული ძალა იმის გამო, რომ მას არსებითად შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, ან ნებისმიერი სხვა კანონიერი მიზეზით, რომელიც ცდება სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის ფარგლებს, მაინც იყო რეგისტრირებული, წამოიჭრება საკითხი, თუ რა შედეგი მოსდევს ასეთ რეგისტრაციას.

9.225. დათმობის ბათილობას არ მივყავართ თვითონ სასაქონლო ნიშანზე უფლებათა ბათილობამდე. მაგრამ უფლებები სასაქონლო ნიშანზე რჩება უფლების დამთმობს, ყოფილ მფლობელს. ეს ნიშნავს იმას, რომ სასაქონლო ნიშნის ნებისმიერი გამოყენება ახლად რეგისტრირებული მფლობელის მიერ

სინამდვილეში არ არის გამოყენება და სასაქონლო ნიშნის გამოყენების შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ეს უკანასკნელი ექვემდებარება გაუქმებას. ცხადია, უფლებათა დამთმობს ანუ სასაქონლო ნიშნის ყოფილ მფლობელს, რომელიც რეალურად დარჩა მფლობელად, ფაქტობრივად, შეეძლო მისი გამოყენება, მაგრამ საეჭვოა, რომ ასე გაეკეთებინა, რადგან მხარეებმა, ჩვეულებრივ, არ იციან დათმობის იურიდიული ბათილობის შესახებ.

(d) ფორმალობები

9.226. სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე დათმობა უნდა დადასტურდეს წერილობითი სახით. დათმობის რეგისტრაციაზე განაცხადი ასევე წერილობით უნდა გაფორმდეს უფლების დამთმობის ან უფლების მიმღების მიერ. თუ მიმართავს უფლების დამთმობი, საკმარისია მის მიერ ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ხელმოწერილი უბრალო წერილობითი შუამდგომლობა. მეორეს მხრივ, თუ საკუთრების უფლებაში ცვლილების შეტანის შესახებ შუამდგომლობს უფლების მიმღები ან სასაქონლო ნიშნის ნებისმიერი სხვა ახალი მფლობელი, როგორც წესი, მოითხოვება, რომ შუამდგომლობას თან ახლდეს დამამტკიცებელი საბუთები (უფლებათა დამთმობის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება დათმობის შესახებ ან საკუთრების უფლებაში ნებისმიერი სხვა ცვლილების დამამტკიცებელი საბუთები). მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც საკმარისი უნდა იყოს უბრალოდ საკუთრების უფლებაში ცვლილებების შესახებ შუამდგომლობაზე ხელის მოწერა სასაქონლო ნიშნის ახალი მფლობელის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ყოველგვარი დამოწმების, ლეგალიზაციის ან სხვა რაიმე დადასტურების გარეშე.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. # 653(E) (1993)

L. სასაქონლო ნიშანზე ლიცენზიის გაცემა

(a) ლიცენზიის გაცემის მნიშვნელობა

9.227. სასაქონლო ნიშნების მფლობელებისათვის მიღებულ პრაქტიკას წარ-

მოადგენს მესამე პირთათვის ლიცენზიის გაცემა თავისი სასაქონლო ნიშნების გამოყენებაზე ქვეყნის იმ რაიონის ფარგლებში, სადაც ისინი ახორციელებენ თავის სავაჭრო–სამრეწველო საქმიანობას. მაგრამ სასაქონლო ნიშნების გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს იმ სარგებლიანობაში, რომელიც მას მოაქვს საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებში. მართლაც, ლიცენზირება ძირითადი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ადგილობრივი საწარმოები იყენებენ უცხო ქვეყნების სასაქონლო ნიშნებს. ასეთი სალიცენზიო შეთანხმებები ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის წარმომადგენელ პარტნიორებს შორის, რომელთაგან ორივეს აქვს საწარმოები განვითარებად ქვეყნებში, ან - განვითარებული ქვეყნის წარმომადგენელ ლიცენზიარსა და განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენელ ლიცენზიატს შორის.

9.228. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ, მდგომარეობს განვითარებული ქვეყნის წარმომადგენელ ლიცენზიარსა და განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენელ ლიცენზიატებს შორის ურთიერთობებში. ასეთ სიტუაციაში ისინი წარმოადგენენ არა უბრალოდ ჩვეულებრივ ლიცენზიებს სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე, არამედ საერთო ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავენ პატენტებზე, სასაქონლო ნიშნებზე, ნოუ-ჰაუზე უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებების ლიცენზირებას, აგრეთვე, ტექნიკურ დახმარებას, რომელსაც უწევენ ლიცენზიატს. ეს შეთანხმებები გადამწყვეტია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლაში და, ჩვეულებრივ, ხასიათდება ტექნოლოგიის გადაცემით, სამუშაო ადგილების შექმნით და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით. მათი რეგლამენტირება ხშირად ხდება ადგილობრივი კანონმდებლობის სპეციალური დებულებებით, რომლებიც ითვალისწინებენ შეთანხმების შემოწმებას ან დამტკიცებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ, როგორიცაა, მაგალითად, სამინისტრო, რომელიც პასუხს აგებს ტექნოლოგიათა გადაცემაზე.

9.229. იმ ზომით, რა ზომითაც ასეთი საერთო შეთანხმებები სასაქონლო ნიშნებით სარგებლობის უფლებას ანიჭებენ ლიცენზიარს, ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ლიცენზირების შესაბამის დებულებებს, რომელსაც შეიცავს ლიცენზიატის ქვეყნის კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ (ზემოხსენებული სპეციალური დებულებების გამოყენებაც რომ იყოს შესაძ-

ლებელი). სასაქონლო ნიშნების შესახებ ბევრი კანონმდებლობა შეიცავს სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა ლიცენზირების პირობებს. სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემის საერთო სახელმძღვანელო პრინციპები განპირობებულია სალიცენზიო ხელშეკრულების დებულებებით და არ არის დამოკიდებული სხვა ქვეყანაში მის ფლობაზე ან ტექნოლოგიის გადაცემის ასპექტებზე.

(b) ძირითადი კონცეფცია: კონტროლი მფლობელის მხრივ

9.230. სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობით სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა თითქოსდა წინააღმდეგობაშია სასაქონლო ნიშნების ძირითად ფუნქციასთან - საქონლის წარმოშობაზე მითითებასთან, რადგან საქონელი, რომელიც შეთავაზებულია სასაქონლო ნიშნით, შემდეგ წარმოშობით დაკავშირებულია ლიცენზიატთან და არა რეგისტრირებულ მფლობელთან. ამიტომ, იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშნის ფუნქციის - წარმოშობაზე მითითების - განხორციელების უნარი გარანტირებული იყოს მფლობელისათვის, აუცილებელი და საკმარისია ლიცენზიატის მიერ ნიშნის გამოყენებაზე კონტროლის დაწესება, განსაკუთრებით, საქონლის (ლიცენზიარის მიერ დადგენილი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად) და ბაზარზე მისი გასაღების პირობების მიმართ. თუ ასეთი კონტროლი ეფექტურია, სასაქონლო ნიშნის რეგისტრირებულ მფლობელს არ სჭირდება ნიშნის გამოყენება. ლიცენზიატის მიერ ნიშნის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს ლიცენზიარის მიერ ამ ნიშნის გამოყენებად სასაქონლო ნიშნის დაცვის ყველანაირი მიზნით. უფრო კონკრეტულად ეს ნიშნავს იმას, რომ სასაქონლო ნიშანზე შედავება გამოუყენებლობის დაბრალების გამო არ შეიძლება და თვითონ ლიცენზიატს არ შეუძლია ნიშნის საკუთრების უფლებაზე პრეტენზიის განცხადება.

9.231. ტიპური კანონი ასევე შეიცავს დებულებებს შეზღუდვის საგანგებო პირობების გარკვეული სახეობების შესახებ, რომლებიც არ უნდა იქნეს დაშვებული სალიცენზიო შეთანხმებებში. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი საგანგებო პირობები უნდა განიხილებოდეს სალიცენზიო შეთანხმებათა საერთო კონტექსტში, იმისდა მიხედვით, ეხებიან ისინი იმ პარტნიორებს შორის ურთიერთობებს, რომელთა საწარმოები განლაგებულია განვითარებულ ქვეყნებში, თუ - განვითარებადი ქვეყნების ლიცენზიატებთან დადებულ

შეთანხმებებს ტექნოლოგიათა გადაცემის შესახებ. მაგრამ ადგილობრივ დონეზე ასეთი დებულებები არ უნდა შედიოდეს კანონმდებლობაში სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომლის მიზანია ნიშნების დაცვის უზრუნველყოფა, რათა მათ მფლობელებსა და მომხმარებლებს მიეცეთ საშუალება, განასხვაონ თავიანთი საქონელი კონკურენტის საქონლისაგან. ყველა სხვა მიზანი, როგორიცაა, მაგალითად, ანტიმონოპოლიური მოსაზრებანი, კონტროლი უცხოური კაპიტალის განვითარებაზე და ა. შ., რეგლამენტირებული უნდა იყოს სხვა კანონებში, რომლებიც გამოიყენება ყველა სალიცენზიო შეთანხმების მიმართ იმისდა მიუხედავად, შეიცავენ თუ არა ისინი დებულებებს ნიშნების ლიცენზირების შესახებ. როგორც ირკვევა, ქვეყანათა დიდი უმრავლესობის კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ არ შეიცავს ასეთ დებულებებს.

(c) ფორმალური მოთხოვნები

9.232. სასაქონლო ნიშნების დაცვის სისტემა, ძირითადად, არ უყენებს არავითარ ფორმალურ მოთხოვნებს სასაქონლო ნიშნების ლიცენზირებას. ერთადერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც დამახასიათებელია ამ სისტემისათვის, არის ის, რომ მფლობელი ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ლიცენზიატზე. ამ ნორმის მნიშვნელობა საყოველთაოდ მიღებულია, თუმცა, სასაქონლო ნიშნების შესახებ მხოლოდ რამდენიმე კანონი ითვალისწინებს თავის დებულებებში კონტროლს სასაქონლო ნიშნების ლიცენზირებაზე (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში და შრი–ლანკაში). მართლაც, წერილობითი შეთანხმების არსებობა, რომელიც სასაქონლო ნიშნების რეესტრშიც კი შეიძლება იყოს შეტანილი, და რომელიც შეიძლება შეიცავდეს კონტროლის თაობაზე დებულებების ყველა ტიპს, აზრს კარგავს, თუ კანონით გათვალისწინებული არ არის განუხორციელებელი კონტროლის სამართლებრივი შედეგები. მიუხედავად ამისა, ბევრი კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ მოითხოვს ლიცენზიის სავალდებულო რეგისტრაციას, და ხშირად რეგისტრატორი შეისწავლის ლიცენზიარის მიერ ლიცენზიატისათვის წაყენებულ პირობებს.

9.233. მრავალი კანონი, განსაკუთრებით ევროპაში, უშვებს სალიცენზიო შეთანხმების ზეპირად დადების საკმრისობას, მაგრამ სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, უფრო გამართლებულია დებულება, რომ ლიცენზია

სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე გაფორმებული იყოს წერილობით. ხოლო სასაქონლო ნიშნების მფლობელთათვის მისაღებია, რომ ლიცენზია რეგისტრირებულ იქნეს, რათა სავალდებულო გახდეს მესამე პირებისათვის. მიუღებელია, ლიცენზიატის მიერ ნიშნის გამოყენებაზე ლიცენზიის რეგისტრაცია ჩაითვალოს ლიცენზიარის მიერ ნიშნის გამოყენებად.

9.234. სასაქონლო ნიშნების ლიცენზირებისადმი ფორმალურ მოთხოვნათა განსაკუთრებულ სახესხვაობას წარმოადგენს რეგისტრირებულ მოსარგებლეთა შესახებ შეთანხმებათა ბრიტანული სისტემა. თუ ასეთი შეთანხმება რეგისტრირებულია, სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეგისტრირებული მოსარგებლის მიერ ითვლება სასაქონლო ნიშნის გამოყენებად მისი მფლობელის მიერ. მაგრამ მოქმედი სალიცენზიო შეთანხმება, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას, არ არეგულირებს კომერციულ ურთიერთობებს მხარეთა შორის; კანონით გათვალისწინებულია შეთანხმების ფორმის გამარტივებული სახე გარკვეული პირობების მოთხოვნით, რომლებიც უნდა იქნეს შესრულებული, სანამ რეგისტრატორი ცნობს შეთანხმებას რეგისტრირებულ მოსარგებლეთა შესახებ. იმის გამო, რომ რეესტრი ღიაა გასაცნობად, ჩვეულებრივ, რეგისტრირებულია მხარეთა არა სრული შეთანხმება, არამედ მისი გამარტივებული ფორმა.

(d) ლიცენზიატის შეზღუდვები

9.235. ჩვეულებრივ, ლიცენზიატისთვის ნებადართული არ არის ლიცენზიის გადაცემა ან სუბლიცენზიის მიცემა, მაგრამ ასეთი უფლებები, რა თქმა უნდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეთანხმებაში.

9.236. ლიცენზიები შეიძლება იყოს განსაკუთრებული და მარტივი.

9.237. განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს არა აქვს უფლება, მოცემულ ტერიტორიაზე ლიცენზია გასცეს რომელიმე სხვა პირზე, გარდა ლიცენზიატისა. მას თვითონაც არა აქვს ნიშნის გამოყენების უფლება.

9.238. რა თქმა უნდა, მარტივი ლიცენზიის შემთხვევაში მფლობელს შეუძლია თვითონ ისარგებლოს ნიშნით და მისი სარგებლობის ნება დართოს სხვებსაც. მრავლობითი ლიცენზირების შემთხვევაში საჭიროა ხარისხის ძალიან მკაცრი კონტროლი მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე.

9.239. ხელშეკრულებები განსაკუთრებული და მარტივი ლიცენზიების გაცემის

თაობაზე შეიძლება დადებულ იქნეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე, და მათ შეუძლიათ მოიცვან ყველა ან მხოლოდ ზოგიერთი იმ საქონლიდან, რომლისთვისაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი. უფლებათა გადაცემაზე დადებული ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში არ არის აღრევის არავითარი საშიშროება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი ახორციელებს ხარისხის ეფექტურ კონტროლს.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>Intreduction to Trademark Law & Practice</u> (second edition), WIPO Pub. # 653(E) (1993)

M. საფირმო სახელწოდებები

9.240. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ერთი, რამდენიმე ან მრავალი სხვადასხვა ნიშანი იმისათვის, რათა განასხვაოს თავისი საქონელი და მომსახურება თავისი კონკურენტების საქონლისა და მომსახურებისაგან. მიუხედავად ამისა, მათაც სჭირდებათ განასხვაონ თავისი საწარმო სხვა საწარმოებისაგან. ამისათვის ისინი სარგებლობენ საფირმო სახელწოდებით.

9.241. საფირმო სახელწოდებებს, სასაქონლო ნიშნებსა და მომსახურების ნიშნებს შორის საერთო ისაა, რომ ისინი ასრულებენ განმასხვავებელ ფუნქციას. მაგრამ სასაქონლო ნიშნებისა და მომსახურების ნიშნებისაგან განსხვავებით, საფირმო სახელწოდებები განასხვავებენ ერთ საწარმოს მეორისაგან იმ საქონლისა და მომსახურების მიუხედავად, რომელთა რეალიზებას ან შეთავაზებას ახდენს ეს საწარმო.

(a) სამართლებრივი პირობები

9.242. როგორც წესი, ქვეყნები აწესებენ პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საფირმო სახელწოდებები, რათა მოხდეს მათი რეგისტრაცია საწარმოთა სახელწოდების რეესტრში (რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნულ დონეზე, მაგრამ უფრო ხშირად იწარმოება რეგიონულ და ადგილობრივ დონეზეც კი). მითითებული უნდა იყოს საწარმოს ხასიათი (მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებისათვის შპს - აბრევიატურის გამოყენებით), ხშირად მიეთითება, აგრეთვე, სავაჭ-

რო–სამრეწველო საქმიანობის მიზანი. ჩვეულებრივ, საფირმო სახელწოდებები საკმაოდ გრძელია და ამის გამო კომპანიაზე მითითების მიზნით მათი გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში არაპრაქტიკულია.

243. ამიტომ კომპანიები იყენებენ მოკლე საფირმო ნიშანს ან ფირმის იდენტიფიკატორის რაიმე სხვა ტიპს სათანადოდ რეგისტრირებული სრული საფირმო სახელწოდების დამატებით.

9.244. რეგისტრაციისა და შემდგომი გამოყენების პირობებისთვის, ჩვეულებრივ, მოითხოვება, რომ საფირმო სახელწოდება განმასხვავებლობის მქონე იყოს.

(b) სამართლებრივი დაცვა

9.245. თუ საფირმო სახელწოდება ან საფირმო ნიშანი განმასხვავებლობის მქონეა, იგი დაცულია გამოყენების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა. განმასხვავებლობის არქონის შემთხვევაში, მას შეუძლია მიიღოს დაცვა გამოყენების შედეგად განმასხვავებლობის შეძენის შემდეგ. მოცემულ კონტექსტში განმასხვავებლობა ნიშნავს, რომ მომხმარებელი ცნობს სახელწოდებას როგორც სპეციფიკურ კომერციულ წყაროზე მითითებას.

9.246. საფირმო სახელწოდებას ან საფირმო ნიშანს დაცვა მიეცემა ასევე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გზით. ჩვეულებრივ, შეიძლება როგორც სრული საფირმო სახელწოდების, ასევე მოკლე საფირმო ნიშნის რეგისტრირება. ასეთი რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა საფირმო სახელწოდების, როგორც სასაქონლო ნიშნის, ფაქტობრივად გამოყენება. ამ პირობის შესრულებისათვის, ჩვეულებრივ, საკმარისი არ არის ეტიკეტზე ან შესაფუთზე საწარმოო ან სავაჭრო ფირმის სრული მისამართის წვრილი შრიფტით მითითება, როგორც ამას მოითხოვს მარკირების წესი. ამიტომ პრაქტიკული მიზნით უფრო შესაფერისი და საყოველთაოდ მიღებული ხერხია შემოკლებული საფირმო ნიშნის, როგორც სასაქონლო ნიშნის, რეგისტრაცია, მით უფრო, რომ ხშირად ეს ნიშანი იმავდროულად წარმოადგენს ფირმის მნიშვნელოვან სასაქონლო ნიშანს (ე. წ. “House Mark").

9.247. საწარმოებს შეუძლიათ თავისი საფირმო სახელწოდებებისა და სა-

ფირმო ნიშნების, როგორც სასაქონლო ნიშნების, რეგისტრაცია და ხშირად მათ იყენებენ არა მხოლოდ იმისათვის, რომ განასხვაონ თავისი საწარმო, არამედ იმისთვისაც, რომ განასხვაონ საქონელი და მომსახურება, რომელსაც ისინი სთავაზობენ (და, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს აუცილებელიცაა გამოყენების ვალდებულების გამო, თუ სახელწოდება რეგისტრირებულია როგორც სასაქონლო ნიშანი).

9.248. ამიტომ გარდუვალია კოლიზიების წარმოშობა საფირმო სახელწოდებებს, საფირმო ნიშნებსა და სასაქონლო ნიშნებს შორის. თუ საფირმო სახელწოდება ან საფირმო ნიშანი გამოიყენება როგორც სასაქონლო ნიშანი (იმისდა მიუხედავად, რეგისტრირებულია იგი თუ არა), პრიორიტეტის ზოგადი წესები და ნიშნებით შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების წარმოშობის მიმართ აღრევისაგან მომხმარებელთა დაცვის ნორმები განსაზღვრავენ მსგავს სასაქონლო ნიშნებთან ნებისმიერი კოლიზიის შედეგს.

9.249. მაშინაც კი თუ საქონლისა და მომსახურების მიმართ საწარმო იყენებს საფირმო სახელწოდებას ან საფირმო ნიშანს, როგორც ასეთს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა როგორც სასაქონლო ნიშანს), საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე უფლებები ირღვევა, თუ საფირმო ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას შეუძლია შექმნას აღრევა საქონლის ან მომსახურების წარმოშობის მიმართ, რომლებსაც საწარმო სთავაზობს თავისი სახელწოდებით. და პირიქით, სასაქონლო ნიშნის, მომსახურების ნიშნის ან კოლექტიური ნიშნის გამოყენებამ შეიძლება ანალოგიურად დაარღვიოს საფირმო ნიშნის ან საფირმო სახელწოდების (რეგისტრირებულის ან არარეგისტრირებულის) ადრინდელი უფლება.

თავი 10
სამრეწველო ნიმუში

A. შესავალი

10.1. არაპროფესიული ან ზოგადი თვალსაზრისით სამრეწველო ნიმუში წარმოადგენს მასობრივი წარმოების საგანთა ფორმისა და ორნამენტული გარეგანი სახის შექმნასთან დაკავშირებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, რომელიც მისაწვდომი ფასების ფარგლებში აკმაყოფილებს პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს როგორც საგნის გარეგანი მიმზიდველობით, ასევე თავისი ფუნქციური დანიშნულების ეფექტურად შესრულების უნარით. იურიდიული თვალსაზრისით, სამრეწველო ნიმუში მიუთითებს უფლებაზე, რომელსაც რეგისტრაციის სისტემის საფუძველზე მრავალი ქვეყანა იძლევა შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად მიღებული სამრეწველო ნაკეთობის ან პროდუქტის ორიგინალური ორნამენტული და არაფუნქციური თავისებურებების დაცვის მიზნით.

10.2. გარეგნული მიმზიდველობა წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ფაქტორთაგანს, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებელზე გადაწყვეტილების მიღებისას - უპირატესობა მიანიჭოს ერთ პროდუქტს მეორესთან შედარებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ბაზარზე ერთნაირი ფუნქციური დანიშნულების მქონე პროდუქტების ფართო ასორტიმენტია. ასეთ შემთხვევებში, როდესაც სხვადასხვა მეწარმის მიერ შეთავაზებული პროდუქტების ტექნიკური მახასიათებლები შედარებით ერთნაირია, ესთეტიკური მიმზიდველობა, რა თქმა უნდა, ფასის გათვალისწინებით, განსაზღვრავს მომხმარებლის არჩევანს. ამგვარად, სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა ემსახურება იმ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თვისების დაცვას, რომლის წყალობითაც მეწარმეები აღწევენ წარმატებას ბაზარზე. შედეგად, სამართლებრივი დაცვა, ანაზღაურებს რა სამრეწველო ნიმუშის შესაქმნელად გაწეულ შემოქმედებით შრომას, ემსახურება სახსრების ინვესტირების სტიმულირებას პროდუქციის გარეგანი სახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროში.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, The Main Objects of Industrial Property: Inventions, Industrial Designs, Marks, WIPO/ LIC/WL6/91/1

B. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის ევოლუცია

10.3. ისტორიულად სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა მჭიდროდ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციასა და მასობრივი წარმოების ტექნოლოგიას. გაერთიანებულ სამეფოში პირველი კანონი, რომელიც სამრეწველო ნიმუშებს სამართლებრივ დაცვას ანიჭებდა, იყო 1787 წლის კანონი სელის, ბამბის, მიტკლისა და მუსლინის ქსოვილთა დაჩითვისა და მოხატულობის თაობაზე. იგი სამართლებრივ დაცვას ანიჭებდა ორი თვის ვადით "ნებისმიერ პირს, რომელიც გამოიგონებდა, მოხატავდა ან დაჩითავდა ქსოვილს, ან უქმნიდა პირობებს სხვებს, გამოეგონათ, მოეხატათ ან დაეჩითათ ქსოვილი და გამხდარიყვნენ სელის, ბამბის, მიტკლისა და მუსლინის ქსოვილთა დაჩითვის ნებისმიერი ახალი და ორიგინალური ნიმუშის ან ნიმუშების მფლობელი". ამით აღიარებული იყო სამრეწველო ნიმუშის წვლილი და მნიშვნელობა განვითარებად საფეიქრო მრეწველობაში.

10.4. ამ პირველი კანონის მოქმედება, რომელიც ეხებოდა მრეწველობის ვიწრო დარგს, მალე, 1798 წელს, გაფართოვდა სკულპტურულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლების შესახებ კანონით, რომელიც ანიჭებდა სამართლებრივ დაცვას "ადამიანთა და ცხოველთა ფიგურების" ახალ მოდელებს, ასლებს ან ყალიბებს. ფაიფურისა და კერამიკული მრეწველობის მნიშვნელობა და მრეწველობის ამ დარგებში სამრეწველო ნიმუშების არსებითი როლის შემდგომი აღიარება მოხდა 1840 წელს ამ კანონით დადგენილი სამართლებრივი დაცვის განვრცობით ნებისმიერი ისეთი ობიექტის ახალ მოდელზე, ასლზე ან ყალიბზე, "რომელიც წარმოადგენდა სკულპტურული შემოქმედების შედეგს".

10.5. ინდუსტრიალიზაციის გაფართოებისა და პროდუქციის დამზადებასთან დაკავშირებულ უმეტეს დარგებში მასობრივი წარმოების მეთოდების შესაძლო გამოყენების მზარდმა აღიარებამ გამოიწვია სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის მოქმედების თანდათანობითი გავრცელება სხვა სფეროებზე, ვიდრე იგი არ იქნა განმტკიცებული სამრეწველო ნიმუშების შესახებ 1842 წლის კანონით. ამ კანონმა გაავრცელა დაცვის მოქმედება

"ნებისმიერ ახალ და ორიგინალურ სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც გამოიყენებოდა სამრეწველო ნაკეთობის ან მასალის (ხელოვნურის ან ნატურალურის, ან ნაწილობრივ ხელოვნურის ან ნაწილობრივ ნატურალურის) ორნამენტული - თუ სამრეწველო ნაკეთობის ან მასალის ქარგის, ფორმის ან კონფიგურაციის ან მათი ორნამენტული გაფორმებისთვის, ან ნებისმიერი ორი ან მეტი ასეთი მიზნისათვის იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ხერხით - ბეჭდვით, ღებვით, ქარგვით, მოწვნით, კერვით, დაყალიბებით, მოდელირებით, ამოტვიფვრვით, გრავირებით, ამოჭმით და ა.შ. - მოხდებოდა სამრეწველო ნიმუშის გამოყენება, იქნებოდა იგი შესრულებული ხელით, მექანიკურად თუ ქიმიურად ამ საშუალებების ცალ-ცალკე თუ ერთობლივი გამოყენებით". ამით სამრეწველო ნიმუში აღიარებულ იქნა ყველანაირი წარმოებისა და დამმუშავებელი მრეწველობის ძირითად ელემენტად.

10.6. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის გარკვეულად მსგავს ევოლუციას ჰქონდა ადგილი საფრანგეთში. 1793 წლის კანონი ლიტერატურული და მხატვრული საკუთრების დაცვის შესახებ, განსაზღვრულ შემთხვევებში გამოიყენებოდა სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის მიზნით. კერძოდ, საფეიქრო მრეწველობის განვითარებას მალე, 1806 წელს, მოჰყვა იმ სპეციალური კანონის ძალაში შესვლა, რომელიც ეხებოდა სამრეწველო ნიმუშებს. 1806 წლის 18 მარტის კანონმა ლიონში დააფუძნა სპეციალური საბჭო (შემთანხმებელი კომისია ანუ Conseil de prud'homnus), რომელიც პასუხისმგებელი იყო სამრეწველო ნიმუშების დეპოზიტების მიღებაზე და მრეწველებს შორის სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებული დავების დარეგულირებაზე. თუმცა, დეპონირებისა და რეგულირების სისტემა თავდაპირველად განკუთვნილი იყო ლიონის მრეწველობის, კერძოდ, აბრეშუმის მწარმოებელი დარგებისათვის, სპეციალური საბჭოს მიერ იგი გავრცელდა სხვა ქალაქებშიც და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე აღნიშნული სისტემა გავრცელდა ორ- და სამგანზომილებიან სამრეწველო ნიმუშებზე სამეწარმეო საქმიანობის ყველა სფეროში.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, The Main Objects of Industrial Property: Inventions, Industrial Designs, Marks, WIPO/ LIC/WL6/91/1

C. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა

10.7 სამრეწველო ნიმუშების დაცვის სამართლებრივი სისტემის შექმნა, ისევე, როგორც ყველა სახის ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვით უზრუნველყოფა, ინტერესთა ბალანსის დამყარებას მოითხოვს. ერთი მხრივ, არსებობს ქმედითი და ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის საჭიროება, რათა კანონმა შეასრულოს თავისი ფუნქცია - ხელი შეუწყოს წარმოებაში სახვითი ხელოვნების ელემენტების გამოყენების სტიმულირებას. მეორე მხრივ, საჭიროა იმის გარანტია, რომ კანონმა გააფართოოს დაცვა იმაზე მეტად, ვიდრე ეს შემოქმედებითი საქმიანობის გასაწევად აუცილებელი სტიმულისთვისაა საჭირო, რათა მინიმალური დაბრკოლებები შეუქმნას არსებული სამრეწველო ნიმუშების თავისუფალ გამოყენებას. ამ ბალანსის დამყარება მოითხოვს რიგი საკითხების ყურადღებით განხილვას. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია:

(i) დაცვის საგნის განსაზღვრება;

(ii) უფლებები, რომლებიც გამოიყენება დაცვის საგნის მფლობელის მიერ;

(iii) ასეთ უფლებათა მოქმედების ვადა;

(iv) ასეთი უფლებების მინიჭება;

(v) ასეთი უფლებების მოპოვების პროცედურა.

(a) დაცვის საგნის განსაზღვრება

(i) ნიმუში როგორც კონცეფცია ან იდეა

10.8. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის საგანია არა ნაკეთობები ან პროდუქტები, არამედ დიზაინი, რომელიც გამოყენებული ან განსახიერებულია ასეთ ნაკეთობებში ან პროდუქტებში. ასე, მაგალითად, ადრეულ ბრიტანულ სასამართლო საქმეში Dover V. Nurnberger Celluloid Waren Fabrik Gebruder Wolff, 27 RPC 498,503 per Bruckley LJ აღნიშნული იყო: "სამრეწველო ნიმუშები არის ... კონცეფცია, იდეა ან შესაძლო ვარიანტი იმ ფორმის, ნახატის, პროექტის ან კომპოზიციის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ნაკეთობის ხელით, მექანიკურად ან ქიმიურად დამუშავების საშუალებით. ეს არის კონცეფცია, იდეა ან რაიმე შესაძლო ვარიანტი და არა უშუალოდ ნაკეთობა, რომელიც წარმოადგენს ისეთ საგანს, რომლის რეგისტრაციაც შესაძლებელია... ეს არის კონცეფცია ფორმისა და

ორნამენტის შესახებ, რომელიც გამოიყენება ფიზიკურ სხეულთან მიმართებაში".

10.9. აბსტრაქტულ კონცეფციაზე ან იდეაზე, როგორც სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის ობიექტზე, აქცენტირება ერთი შეხედვით, შეიძლება აკადემიურ მიდგომად მოგვეჩვენოს. მაგრამ ის ხაზს უსვამს სამრეწველო ნიმუშების დაცვის მოცულობის მნიშვნელოვან და გამიზნულ შეზღუდვას. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა არ გამოიყენება ნაკეთობებისა და პროდუქტების მიმართ იმგვარად, რომ სამრეწველო ნიმუშის მფლობელს მიენიჭოს განსაკუთრებული უფლება უშუალოდ ნაკეთობათა ან პროდუქტების კომერციულ ექსპლოატაციაზე. უფრო ზუსტად, სამრეწველო ნიმუშის სამართლებრივი დაცვა გამოიყენება მხოლოდ იმ ნაკეთობათა ან პროდუქტების მიმართ, რომლებშიც განსახიერებული ან რეპროდუცირებულია დაცული ნიმუში. მასასადამე, სამართლებრივი დაცვა დაბრკოლებას არ უქმნის სხვა მეწარმეებს, აწარმოონ ან ივაჭრონ ანალოგიური ნაკეთობებით, რომელთა გამოყენება იმავე დანიშნულებით ხდება იმ პირობით, რომ ეს ანალოგიური ნაკეთობები არ განასახიერებენ დაცულ სამრეწველო ნიმუშებს და არ ახდენენ მათ რეპროდუცირებას.

10.10. კონცეფცია ან იდეა, რომელიც შეადგენს სამრეწველო ნიმუშს, შეიძლება იყოს ის, რისი გამოსახვაც შესაძლებელია ორგანზომილებიანი ან სამგანზომილებიანი ფორმით. სამრეწველო ნიმუშის განსაზღვრება, რომელიც გამოიყენება, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშების შესახებ 1949 წლის კანონში, მიუთითებს "ფორმის, კონფიგურაციის, მოხატულობის ან ორნამენტის თავისებურებებზე" (ნაწილი 1). საყოველთაოდ მიღებულია, რომ ამ განსაზღვრებაში სიტყვები - "ფორმა" და "კონფიგურაცია" სინონიმებია, და, რომ ორივე სიტყვა აღნიშნავს ფორმას, რომელშიც განხორციელებულია ნაკეთობა, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, გულისხმობს რაიმე სამგანზომილებიან საგანს. ასევე ითვლება, რომ სიტყვები - "მოხატულობა" და "ორნამენტი", აგრეთვე, სინონიმებია, და, რომ ორივე სიტყვა მიეკუთვნება რაიმე ტვიფრულს, ამოკვეთილს (ამოჭრილს) ან მოთავსებულს ნაკეთობაზე მისი დეკორატიული გაფორმების მიზნით, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, გულისხმობს რაიმე ორგანზომილებიან საგანს.

10.11. გაერთიანებული სამეფოს 1988 წლის კანონი საავტორო უფლების, სამრეწველო ნიმუშებისა და პატენტების შესახებ ითვალისწინებს "უფლებას

სამრეწველო ნიმუშებზე". განსაზღვრებით სამრეწველო ნიმუში შეხებაშია "მთლიანი ნაკეთობის ან მისი ნაწილის, ფორმის ან კონფიგურაციის (შიდა ან გარე) ნებისმიერ ასპექტთან (ნაწილი 213 (2)).

10.12. ანალოგიური მიდგომა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს როგორც ორგანზომილებიან, ისე სამგანზომილებიან სამრეწველო ნიმუშებზე, შეიძლება მოინახოს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც. ასე, მაგალითად, იაპონიის კანონი სამრეწველო ნიმუშების შესახებ (1959 წლის 13 აპრილის №125 კანონი შესწორებით) "სამრეწველო ნიმუშს" განიხილავს როგორც "ნაკეთობაში გამოყენებულ ფორმას, მოხატულობას ან ფერს ან მათ კომბინაციას", ხოლო საფრანგეთისა და იტალიის კანონები განიხილავენ სამრეწველო ნიმუშს როგორც მოხატულობას ან თარგს (dessins - ორგანზომილებიანი), აგრეთვე - როგორც მოდელს (modeles - სამგანზომილებიანი).

(ii) გამოყენება ან განსახიერება ნაკეთობაში

10.13. მაშინ, როდესაც სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის ობიექტი, არსებითად, აბსტრაქტული კონცეფციაა, სამრეწველო ნიმუშების დაცვის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს წარმოებაში დიზაინის გამოყენების სტიმულირება. შესაბამისად, სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ნიმუშს შეიძლება მიენიჭოს სამართლებრივი დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშის გამოყენება შესაძლებელია მრეწველობაში ან იმ ნაკეთობათა მიმართ, რომლებსაც ფართო მასშტაბით აწარმოებენ.

10.14. სამრეწველო ნიმუშად დაცვისათვის ყოფითი საგნების მიმართ მისი გამოყენების აუცილებლობის პირობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რაც განასხვავებს სამრეწველო ნიმუშების დაცვის მიზნებს საავტორო უფლებათა დაცვისაგან, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ესთეტიკურ ნაწარმოებებთან. ეს პირობა სხვადასხვა კანონში სხვადასხვაგვარად არის გამოხატული. განვითარებადი ქვეყნებისათვის ისმო-ს ტიპური კანონი სამრეწველო ნიმუშების შესახებ (შემდგომში "ისმო-ს ტიპური კანონი") იცავს სამრეწველო ნიმუშებს იმდენად, რამდენადაც ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამრეწველო ან ხელოსნური წარმოების გზით დამზადებული ნაკეთობის გაფორმება. სამრეწველო ნიმუშების შესახებ

იაპონიის კანონი ანალოგიურად ავრცელებს დაცვის მოქმედებას სამრეწველო ნიმუშებზე, "რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სამრეწველო წარმოებაში" (3(1) მუხლი).

10.15. გაერთიანებული სამეფოს 1949 წლის კანონში რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშების შესახებ გამოყენებადობის მოთხოვნა გამოხატულია პირობაში, რომ "სამრეწველო ნიმუში ნაკეთობაში უნდა გამოიყენებოდეს რაიმე სამრეწველო ხერხით ან საშუალებებით (1(3) ნაწილი). ეს ფორმულირება გააკრიტიკეს, როგორც არასაკმარისი იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს მოცულობითი ნიმუშების შემთხვევას, რომლებიც კი არ "გამოიყენებიან" ნაკეთობაში, არამედ განსახიერებულნი არიან ნაკეთობაში ან ადგენენ მის ფორმას ან კონფიგურაციას.

10.16. იტალიის კანონი (1940 წლის 25 აგვისტოს №1411 მეფის დეკრეტი) მოითხოვს, რომ სამრეწველო ნიმუშს შესწევდეს უნარი, შექმნას სამრეწველო ნაკეთობის სპეციალური ორნამენტული იერსახე (ნაწილი 5). შვეციის კანონი (1970 წლის კანონი სამრეწველო ნიმუშების დაცვის შესახებ) განსაზღვრავს "სამრეწველო ნიმუშს", როგორც პროტოტიპს, რომელშიც განსახიერებულია ნაკეთობის გარეგანი ფორმა (ნაწილი 1).

(iii) სამრეწველო ნიმუშის შეფასება მისი გარეგანი სახის მიხედვით

10.17. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვის პირობა, ჩვეულებრივ, მდგომარეობს იმაში, რომ სამრეწველო ნიმუშს, რომელიც გამოიყენება ან განსახიერებულია ნაკეთობაში, უნდა ჰქონდეს ვიზუალურად შეფასებადი გარეგანი სახე. ასე, მაგალითად, ისმო-ს ტიპური კანონი მოიხსენიებს სამრეწველო ნიმუშებს, როგორც ნიმუშებს, რომლებიც სამრეწველო ან ხელოსნური წარმოების ნაკეთობას აძლევენ განსაკუთრებულ გარეგან სახეს" (2(1) მუხლი); სამრეწველო ნიმუშების შესახებ იაპონიის კანონი ერთად მოიხსენიებს სამრეწველო ნიმუშებს, "რომლებიც ახდენს ესთეტიკურ შთაბეჭდილებას მხედველობითი გრძნობის ორგანოზე" (მუხლი 2(1)); რეგისტრირებული სამრეწველო ნიშნების შესახებ გაერთიანებული სამეფოს 1949 წლის კანონი მიუთითებს "თავისებურებებზე, რომლებიც მზა ნაკეთობაში იქცევს ყურადღებას და ფასდება მხოლოდ მხედველობით" (1(3) ნაწილი). იტალიისა და შვეციის კანონები მიუთითებენ შესაბამისად ნაკეთობათა ან საგანთა იერსახესა და გარეგან სახეზე (იხ. ზემოთ). ამ მოთხოვნების მიზანია,

ხაზი გაესვას იმას, რომ სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა დაკავშირებულია მხოლოდ ნაკეთობათა გარეგან სახესთან ანუ იერსახესთან და არა მათ ფუნქციურ დანიშნულებასთან.

(iv) ფუნქციური დანიშნულებით განპირობებული ფორმის სამრეწველო ნიმუშების გამორიცხვა

10.18. სამრეწველო ნიმუშებისათვის დაცვის მიკუთვნება მხოლოდ ნაკეთობის გარეგანი სახის (ფორმის) გამო, აშკარად გამომდინარეობს, აგრეთვე, მოთხოვნიდან, რომელიც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობისათვის. ამ მოთხოვნის შესაბამისად, სამრეწველო ნიმუშები, რომლებიც განპირობებულია მხოლოდ ფუნქციით, რომელიც უნდა შეასრულოს ნაკეთობამ, ამოიღება სამართლებრივი დაცვიდან. ამ მხრივ ისმო-ს ტიპური კანონი ითვალისწინებს, რომ დაცვა არ ვრცელდება "არანაირ სამრეწველო ნიმუშზე, რომლის გარეგანი ფორმა ემსახურება მხოლოდ ტექნიკური შედეგის მიღწევას" (2(2) ნაწილი). შვეიცარიის კანონი (1990 წლის კანონი სამრეწველო ნიმუშების შესახებ) ითვალისწინებს, რომ სამრეწველო ნიმუშის დაცვა არ ვრცელდება იმ ნაკეთობის დამუშავების პროცესებზე, ტექნიკურ შედეგებზე ან გამოყენებაზე, რომელშიც განსახიერებულია სამრეწველო ნიმუში (მე-3 მუხლი).

10.19. გაერთიანებული სამეფოს 1949 წლის კანონი რეგისტრირებული ნიმუშების შესახებ ითვალისწინებს, რომ ტერმინი "სამრეწველო ნიმუში" არ შეიცავს "იმ კონსტრუქციის შექმნის მეთოდებს ან პრინციპებს, ან იმ ფორმის ან კონფიგურაციის ნიშან-თვისებებს, რომლებიც ნაკარნახევია მხოლოდ ფუნქციით, რაც უნდა შეასრულოს ნაკეთობამ, რომელსაც გააჩნია ხსენებული ფორმა ან კონფიგურაცია" (1(3) ნაწილი). საფრანგეთის კანონის მე-2 ნაწილისა და იტალიის კანონის მე-8 ნაწილის თანახმად, დაცვიდან ამოიღება ნებისმიერი ფორმა ან კონფიგურაცია, რომელიც არსებული საპატენტო კანონის შესაბამისად შეიძლება შეადგენდეს პატენტუნარიან გამოგონებებს.

10.20. ზემოთ ხსენებულ ძირითად მიზანს ემსახურება დაცვიდან ისეთი სამრეწველო ნიმუშების ამოღება, რომელთა ფორმა განისაზღვრება მხოლოდ ნაკეთობათა მიერ შესასრულებელი ფუნქციით. ბევრი ნაკეთობა, რომლისთვისაც გამოიყენება სამრეწველო ნიმუშები, თავისთავად არ არის

ახალი და მას დიდი რაოდენობით ამზადებს სხვადასხვა მწარმოებელი. მაგალითად, ქამრები, ფეხსაცმლები, ხრახნები, დგუშის რგოლები - შეიძლება დაამზადოს ასობით სხვადასხვა მწარმოებელმა და ყველა ნაკეთობა ცალკეული კლასის ფარგლებში განკუთვნილია ერთი და იმავე ფუნქციის შესასრულებლად. თუ ერთი რომელიმე ასეთი ნაკეთობის, მაგალითად, ჭანჭიკის დიზაინი განპირობებული იქნებოდა უბრალოდ ჭანჭიკის მიერ შესასრულებელი ფუნქციით, მაშინ ასეთი სამრეწველო ნიმუშის სამართლებრივი დაცვა გამოიწვევდა ყველა სხვა მწარმოებლის გამოთიშვას იმ ნაკეთობათა დამზადებისაგან, რომლებიც განკუთვნილია იმავე ფუნქციის შესასრულებლად. ასეთი გამოთიშვა გაუმართლებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საპატენტო დაცვის მკაცრი სტანდარტების მიხედვით სამრეწველო ნიმუშს გააჩნია საკმარისი სიახლე და საგამომგონებლო დონე. ამიტომ სამრეწველო ნიმუშები, რომლებიც ნაკარნახევია მხოლოდ ფუნქციური დანიშნულებით, მიეკუთვნება საპატენტო კანონისათვის დამახასიათებელ სფეროს და არა კანონს სამრეწველო ნიმუშების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ მხედველობით აღქმასა და გარეგან სახესთან.

10.21. ვინაიდან სამრეწველო ნიმუშის შესახებ ზოგიერთი თეორიული მოსაზრების შესაბამისად, ფორმა უნდა გამომდინარეობდეს ფუნქციური დანიშნულებიდან, ხშირად ამბობენ, რომ მხოლოდ ფუნქციური დანიშნულებით ნაკარნახევი სამრეწველო ნიმუშების დაცვაზე უარს შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი დაცვიდან მათი მეტისმეტად დიდი რაოდენობით ამოღება. მაგრამ პრაქტიკაში ასეთი საფრთხე უსაფუძვლოა, რადგან ამოღება ემუქრება მხოლოდ იმ ნიმუშებს, რომლებიც აუცილებელია სასურველი ფუნქციური დანიშნულების მისაღწევად. რეალურად გარკვეული ფუნქციური დანიშნულების მისაღწევად არსებობს მრავალი გზა. ამიტომ სამრეწველო ნიმუში ამოიღება დაცვიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნებოდა გარკვეული ფუნქციური დანიშნულების განხორციელება სამრეწველო ნიმუშში ცვლილების შეტანის შემდეგ. მაშასადამე, საკითხი მდგომარეობს იმაში, არის თუ არა სამრეწველო ნიმუში, რომლისთვისაც მოითხოვება დაცვა, ერთადერთი გადაწყვეტა სავარაუდო ფუნქციური დანიშნულებისათვის.

(b) სიახლე ან ორიგინალობა

10.22. ყველა კანონი სამრეწველო ნიმუშის შესახებ შეიცავს პირობას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დაცვა რეგისტრაციის გზით ენიჭება მხოლოდ იმ სამრეწველო ნიმუშებს, რომლებიც ახალი და, როგორც ხშირად ამბობენ, ორიგინალურია. სამრეწველო ნიმუშის სიახლე ის ძირითადი ფაქტორია, რომლის გამოც მისი ავტორი ღებულობს ანაზღაურებას სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის ხარჯზე.

10.23. მაშინ, როდესაც სიახლის პირობა გვხვდება ყველა კანონში, სიახლის ხასიათი, რომელიც საჭიროა როგორც დაცვისუნარიანობის პირობა, განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში. ზოგჯერ მოითხოვება, რომ სიახლე იყოს აბსოლუტური ანუ უნივერსალური, რაც იმას ნიშნავს, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი სამრეწველო ნიმუში უნდა იყოს ახალი ყველა სხვა სამრეწველო ნიმუშთან შედარებით, რომლებიც ოდესმე შექმნილა მთელ მსოფლიოში და გახსნილა ნივთიერი ან სიტყვიერი საშუალებებით. მეორე მხრივ, ზოგჯერ მოითხოვება პირობითი სიახლის სტანდარტი. ამ შემთხვევაში პირობა შეიძლება ეხებოდეს დროს, რაც ნიშნავს, რომ სიახლე შეფასებულია იმ სამრეწველო ნიმუშების მიმართ, რომლებიც გამოქვეყნებული იყო დროის შეზღუდული წინა პერიოდის მანძილზე; ან შეიძლება პირობა ეხებოდეს ტერიტორიას, რაც ნიშნავს, რომ სიახლე შეფასებულია ყველა იმ სამრეწველო ნიმუშის მიმართ, რომლებიც გამოქვეყნებული იყო იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც იმყოფება შესაბამისი იურისდიქციის ქვეშ, და არა მთელ მსოფლიოში; ან შეიძლება პირობა ეხებოდეს გამოსახვის საშუალებებს, რაც ნიშნავს, რომ სიახლე შეფასებულია წერილობითი ან ნივთიერი გახსნის მიმართ მთელ მსოფლიოში და ზეპირი გახსნის მიმართ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც იმყოფება შესაბამისი იურისდიქციის ქვეშ.

10.24. უნივერსალური უპირობო სიახლის სტანდარტის ფართო გამოყენების მოსაზრების არგუმენტია ის, რომ რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები სამრეწველო ნიმუშის ავტორს უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან შექმნა რაღაც ისეთი, რაც მართლა ახალია და, მაშასადამე, იმსახურებს განსაკუთრებულ უფლებათა მიღებას. პირობითი სიახლის სტანდარტის ფართო გამოყენების მოსაზრების არგუმენტი

მდგომარეობს იმაში, რომ სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის ერთ-ერთი მიზანია, ხელი შეუწყოს ახალი ნიმუშის წარმოებას შესაბამისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებში, რათა ამ ტერიტორიის ფარგლებში რეგისტრირებულ ახალ სამრეწველო ნიმუშს არ ჩამოერთვას სამართლებრივი დაცვა იმის საფუძველზე, რომ სადღაც გამოქვეყნდა სამრეწველო ნიმუში, რომელიც არ იყო შემოტანილი მისი ავტორის მიერ ამ იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: პირობითი სიახლის სტანდარტიდან უეჭველად არ გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ პირს შეეძლო მიეღო იურიდიულად მოქმედი უფლებები ამ იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებში მხოლოდ იმ სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის ხარჯზე, რომელიც ნახა საზღვარგარეთ და, უბრალოდ, მიბაძა, რადგან სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონში ხშირადაა პირობა, რომ განმცხადებელი უნდა იყოს სამრეწველო ნიმუშის ავტორი.

D. უფლებები სამრეწველო ნიმუშზე

10.25. სათანადოდ რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის მფლობელებისათვის მინიჭებული უფლებები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობის არსებით მიზანს, ხელი შეუწყოს დიზაინის ელემენტების გამოყენებასა და დაცვას სამრეწველო ნაკეთობებისათვის. ასე, მაგალითად, თუ საავტორო უფლება ანიჭებს ავტორს ნაწარმოების ასლის გადაღების აკრძალვის უფლებას, კანონმდებლობა სამრეწველო ნიმუშების სფეროში ანიჭებს მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას, აკრძალოს სამრეწველო ნიმუშის უკანონო გამოყენება სამრეწველო ნაკეთობებში.

(a) უფლებების მინიჭება

10.26. სამრეწველო ნიმუშის დაცვაზე უფლება ეკუთვნის სამრეწველო ნიმუშის შემქმნელს (ან ავტორს, ან გამომგონებელს). ამ პრინციპის იურიდიული მოქმედების მიმართ წარმოიშობა ორი სადავო საკითხი, რომლებიც ხშირად კანონმდებლობის სპეციალურ დებულებათა საგანია.

10.27. ჯერ ერთი, არსებობს საკითხი სამართლებრივი დაცვის მინიჭების თაობაზე სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელიც შექმნილია მუშაკის ან

მოიჯარის მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში კანონი, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს, რომ უფლება სამრეწველო ნიმუშის დაცვაზე ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს ან შემკვეთს. სამართლის ასეთი ნორმის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სამრეწველო ნიმუშის შექმნა შედის მოვალეობაში, რომლის შესრულებისთვისაც მუშაკს უხდიან ჯამაგირს, ასე, რომ ამ მუშაკმა დამატებით უნდა მოითხოვოს საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობის კომპენსაცია ანაზღაურების არსებული დონის, პასუხისმგებლობისა და ქირავნობის სხვა პირობების შესაბამისად. ანალოგიურად, მოიჯარის მუშაობის შემთხვევაში მას უხდიან თანხას იმ სამრეწველო ნიმუშის დამზადებისთვის, რომელსაც შემდგომ გამოიყენებს შემკვეთი.

10.28. ბევრი თანამედროვე სამრეწველო ნიმუში დამუშავებულია კომპიუტერის მეშვეობით. ისმის კითხვა - ვინ უნდა ჩაითვალოს სამრეწველო ნიმუშისათვის კომპიუტერის დახმარებით შექმნილი იმ დიზაინის ავტორად ან შემქმნელად, რომელსაც მიენიჭება სამართლებრივი დაცვა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოიყენება მიდგომა, რომელიც კომპიუტერს განიხილავს როგორც ერთ-ერთ შესაძლო ინსტრუმენტს, რომლითაც სარგებლობს დიზაინერი ნიმუშის დამზადების პროცესში. ამის საფუძველზე პირი, რომელიც იყენებს კომპიუტერის შესაძლებლობებს სამრეწველო ნიმუშის დასამზადებლად, მიჩნეული იქნება სამრეწველო ნიმუშის ავტორად. შესაბამისი დებულება არის საავტორო უფლებების, სამრეწველო ნიმუშებისა და პატენტების შესახებ გაერთიანებული სამეფოს 1988 წლის კანონის 214(2)-ე ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს, რომ "კომპიუტერის მეშვეობით სამრეწველო ნიმუშის შექმნის შემთხვევაში პირი, რომელმაც ჩაატარა დიზაინის შესაქმნელად აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები, უნდა ჩაითვალოს ამ სამრეწველო ნიმუშის ავტორად".

(b) უფლებების მოპოვება

(i) რეგისტრაცია

10.29. სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა, ჩვეულებრივ, რეგისტრაციის საფუძველზე მიენიჭება. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ექსპერტიზის სისტემა ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციაზე განაცხადის მხოლოდ ფორმალურ ექსპერტიზას. ამ სისტემის შესაბამისად,

განაცხადის ექსპერტიზა ტარდება იმის შესამოწმებლად, რომ იგი აკმაყოფილებს ყოველ ფორმალურ მოთხოვნას განაცხადის მიმართ, რომლებსაც ადგენს შესაბამისი კანონი (მაგალითად, მოცემულია თუ არა განაცხადში სამრეწველო ნიმუშის გამოსახულებათა ან თვით ნიმუშების საჭირო რაოდენობა). მაგრამ არანაირი ძიება არ ტარდება იმის დასადგენად, პასუხობს თუ არა სარეგისტრაციოდ წარდგენილი სამრეწველო ნიმუში, სიახლის ან ორიგინალობის არსებით კრიტერიუმს.

10.30. საკანონმდებლო სისტემის მიხედვით, რომელიც მხოლოდ ფორმალური ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს, სიახლის შეფასების ტვირთი იმ დაინტერესებულ პირებზე გადადის, რომლებსაც განზრახული აქვთ, გამოიყენონ ან უკვე იყენებენ მოცემულ ან არსებითად მის მსგავს სამრეწველო ნიმუშს ბაზარზე. ნებისმიერ პირს, რომელიც დაინტერესებულია ასეთი სამრეწველო ნიმუშის გამოყენებით, შესაძლებლობა ექნება ან გააპროტესტოს იმ ნიმუშის რეგისტრაცია, რომელზედაც შეტანილი იყო განაცხადი, თუ შესაბამისი კანონი ითვალისწინებს გაპროტესტების პროცედურას, ან აღძრას სასამართლო საქმე ამ, მისი მტკიცებით, უკანონო რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე. ამგვარად, ასეთი მიდგომა იძლევა სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის სისტემის შენარჩუნების ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქების საშუალებას. იგი იძლევა, აგრეთვე, სამრეწველო ნიმუშთა სიახლის მიმართ არსობრივი ექსპერტიზის ჩასატარებლად საკმარისი საძიებო ფონდის შენახვასთან დაკავშირებული პრობლემების მოხსნის საშუალებას. ძალიან ხშირად ასეთი საძიებო ფონდის შენახვა თითქმის შეუძლებელია, რადგან უპირობო სიახლის მოთხოვნის საფუძველზე საჭირო იქნებოდა ყველა იმ სამრეწველო ნიმუშის ჩართვა ძიებაში, რომლებიც შექმნილი იყო ნებისმიერ დროს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციის დაწყების დღიდან.

10.31. ექსპერტიზის ალტერნატული სისტემა ითვალისწინებს ძველი სამრეწველო ნიმუშების მიმართ ძიებას და იმის შემოწმებას, აკმაყოფილებს თუ არა სარეგისტრაციოდ წარდგენილი სამრეწველო ნიმუში სიახლის მოთხოვნილ პირობას. ასეთი სისტემა საჭიროებს საძიებო ფონდის შენახვასა და კვალიფიციურ მუშაკთა საკმაო რაოდენობას არსობრივი ექსპერტიზის ჩასატარებლად.

(ii) შექმნა და დაფიქსირება

10.32. ზოგიერთი კანონმდებლობის შესაბამისად, სამრეწველო ნიმუშზე უფლება შეიძლება მოპოვებული იქნეს, აგრეთვე, სამრეწველო ნიმუშის შექმნის ფაქტის საფუძველზე და შესაბამის დოკუმენტში მისი დაფიქსირებით ან ნაკეთობაში განხორციელებით. ამ შემთხვევაში სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლებების მოსაპოვებლად რეგისტრაციის არავითარი ფორმალური პროცედურა არ მოითხოვება. დაცვის ასეთი სისტემის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სამრეწველო ნიმუშების შესახებ საფრანგეთის კანონი და "სამრეწველო ნიმუშის კანონი", რომელიც საავტორო უფლებების, სამრეწველო ნიმუშებისა და პატენტების შესახებ გაერთიანებული სამეფოს 1988 წლის კანონის ნაწილია.

<u>ლიტერატურა</u>

International Bureau of WIPO, <u>The Main Objects of Industrial Property: Inventions, Industrial Designs, Marks, WIPO/ LIC/WL6/91/1</u>

(C) უფლებათა არსი

10.33. სხვა პირებისათვის სამრეწველო ნიმუშის გამოყენების აკრძალვის განსაკუთრებული უფლება, ჩვეულებრივ, მოიცავს უფლებით სამრეწველო ან კომერციული მიზნით განხორციელებული შემდეგი ქმედებების აკრძალვის უფლებას:

(1) ისეთ ნაკეთობათა დამზადება, რომლებშიც გამოიყენება ან განსახიერებულია სამრეწველო ნიმუში;

(2) ისეთ ნაკეთობათა იმპორტი, რომლებშიც გამოიყენება ან განსახიერებულია სამრეწველო ნიმუში;

(3) ნებისმიერ ასეთ ნაკეთობათა გაყიდვა, გაქირავება ან გასაყიდად შეთავაზება.

10. 34. ზოგიერთ კანონმდებლობაში მფლობელის განსაკუთრებული უფლებები ასევე ვრცელდება სხვა პირის მიერ ნებისმიერ ისეთ ნაკეთობათა მარაგის საწყობში შენახვის აკრძალვაზე, რომლებშიც გამოიყენება ან განსახიერებულია სამრეწველო ნიმუში (იხ. მაგალითად, ისმო-ს ტიპური კანონის 21(1)(C) ნაწილი). თუმცა, ზოგჯერ ეს უფლება განსაკუთრებულად

ითვლება იმ გაგებით, რომ იგი ეხება მხოლოდ მოსამზადებელ ქმედებას; მეორე მხრივ, ეს უფლება ხშირად განკუთვნილია მფლობელის უფლებათა განხორციელების გასაადვილებლად, რადგან ხშირად უფრო ადვილია აღმოაჩინო კონტრაფაქციულ ნაკეთობათა მარაგის განლაგების ადგილი, ვიდრე წაასწრო პირს ასეთ ნაკეთობათა გაყიდვის ან გასაყიდად შეთავაზების დროს.

10.35. საავტორო უფლების საპირისპიროდ, სადაც უფლების დაცვის საგანი არის ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ავტორის მიერ (და ამის გამო, როგორც უფლების დაცვის საგანი, განისაზღვრება ავტორის მიერ), სამრეწველო ნიმუშის მფლობელის უფლებათა დაცვის საგანი განსაზღვრულია რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშით. მაგრამ, ჩვეულებრივ, გათვალისწინებულია, რომ მფლობელის უფლებები ვრცელდება არა მხოლოდ ზუსტად ისეთივე რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის უნებართვო გამოყენებაზე, არამედ ნებისმიერი ისეთი სამრეწველო ნიმუშების უნებართვო გამოყენებაზეც, რომლებიც რეგისტრირებული ნიმუშისაგან მხოლოდ არაარსებითი ნიშნებით განსხვავდება.

(d) უფლებების მოქმედების ვადა

10.36. სამრეწველო ნიმუშზე უფლებათა მოქმედების ვადა იცვლება ქვეყნების მიხედვით. ჩვეულებრივი მაქსიმალური ვადა 10-დან 25 წლამდე ფარგლებშია და იგი ხშირად იყოფა მცირე ვადებად, რომლებიც საჭიროა რეგისტრაციის ვადის გაგრძელებისათვის. დაცვის შედარებით მცირე პერიოდი შეიძლება აიხსნას სამრეწველო ნიმუშების კავშირით მოდის საერთო სტილთან, რომელიც ხანმოკლე მოწონებით ან წარმატებით ხასიათდება, განსაკუთრებით, მოდის გამოვლენის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, The Main Objects of Industrial Property: Inventions, Industrial Designs, Marks, WIPO/ LIC/WL6/91/1

(E) კავშირი საავტორო უფლებებთან

10.37. იმ ობიექტებზე, რომლებზეც ვრცელდება დაცვა სამრეწველო ნიმუშის შესახებ კანონის შესაბამისად, შესაძლოა, აგრეთვე, გავრცელდეს დაცვა საავტორო უფლების შესახებ კანონის საფუძველზე. ამგვარად, სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობა დაკავშირებულია როგორც საავტორო უფლებების, ისე სამრეწველო საკუთრების სამართალთან. დავუშვათ, რომ კონკრეტულ სამრეწველო ნიმუშში განხორციელებულია ელემენტები ან ნიშნები, რომელსაც იცავს როგორც კანონმდებლობა საავტორო უფლებათა შესახებ, ისე კანონმდებლობა სამრეწველო ნიმუშების შესახებ. შეუძლია თუ არა ასეთ შემთხვევაში სამრეწველო ნიმუშის შემქმნელს, მოითხოვოს დაცვა ერთობლივად ან ერთდროულად ორივე კანონმდებლობით. როგორც ტიპური კანონის 1 ნაწილის (2) მუხლი ითვალისწინებს, დაცვა ამ კანონით არ გამორიცხავს სამართლის სხვა სფეროში დაცვას, განსაკუთრებით, საავტორო უფლების შესახებ კანონით. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვა შეიძლება იყოს ერთობლივი. ერთობლივი დაცვა ნიშნავს, რომ სამრეწველო ნიმუში დაცულია ერთდროულად და შეთანხმებულად ორივე კანონით იმ გაგებით, რომ სამრეწველო ნიმუშის შემქმნელს შეუძლია მოითხოვოს ერთ-ერთი ან ორივე კანონის (საავტორო უფლების შესახებ კანონისა და სამრეწველო ნიმუშის შესახებ კანონის) დაცვის ნორმათა გამოყენება თავისი ნების მიხედვით. ეს, აგრეთვე, ნიშნავს, რომ, თუ მან ვერ მოახერხა, მიეღო ობიექტის დაცვის უფლება სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონით (ვინაიდან ვერ მოახდინა სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაცია) მას შეუძლია მოითხოვოს ამ ობიექტის დაცვა საავტორო უფლებების შესახებ კანონით, რაც შესაძლებელია ყოველგვარი ფორმალობის დაცვის გარეშე. დაბოლოს, ეს ნიშნავს, რომ სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის ვადის გასვლისას მის შემქმნელს ჯერ კიდევ შეიძლება ჰქონდეს დაცვა საავტორო უფლების კანონით.

10.38. მაგრამ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ერთობლივი დაცვა უნდა განვასხვავოთ დაცვის "თანაარსებობისაგან". დაცვის თანაარსებობა ნიშნავს, რომ შემქმნელს შეუძლია, აირჩიოს დაცვა ან სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონით ან საავტორო უფლებების შესახებ კანონით. თუ მან აირჩია ერთი კანონი, აღარ შეუძლია, მოითხოვოს მეორე კანონის გამოყენება. თუ შემქმნელმა რეგისტრაციაში გაატარა სამრეწველო ნიმუში, მაშინ ასეთი

რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემთხვევაში მას აღარ შეუძლია, მოითხოვოს დაცვა საავტორო უფლების შესახებ კანონის შესაბამისად, სამრეწველო ნიმუშის კონკრეტული გამოყენებისთვისაც კი.

10.39. ერთობლივი დაცვის სისტემა სამრეწველო ნიმუშებისა და საავტორო უფლებების შესახებ კანონების თანახმად არსებობს საფრანგეთსა და გერმანიაში. ხოლო ორივე კანონის ძალით დაცვის თანაარსებობის სისტემა გაბატონებულია სხვა ქვეყნების უმრავლესობაში.

10.40. განსხვავება საავტორო უფლების შესახებ კანონის ნორმებით დაცვასა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონის შესაბამისად დაცვას შორის მდგომარეობს შემდეგში:

(1) დაცვა სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონის შესაბამისად კარგავს ძალას, თუ სამრეწველო ნიმუში არ არის რეგისტრირებული განმცხადებლის მიერ მის გამოქვეყნებამდე ან საჯარო გამოყენებამდე ნებისმიერ ადგილას ან, თუნდაც, იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა. საავტორო უფლება უმეტეს ქვეყნებში არსებობს ფორმალური მოთხოვნების გარეშე. რეგისტრაცია არ არის სავალდებულო;

(2) სამრეწველო ნიმუშების დაცვა, როგორც წესი, ენიჭება მოკლე ვადით - 3, 5, 10 ან 15 წლით. საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა უმეტეს ქვეყნებში გრძელდება ავტორის სიცოცხლის მანძილზე და 50 წელი მისი სიკვდილის შემდეგ.

(3) სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციით მინიჭებული უფლება არის აბსოლუტური უფლება იმ გაგებით, რომ დარღვევას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, იყო თუ არა წინასწარ განზრახული კოპირება. დარღვევას ადგილი აქვს მაშინაც, თუ დამრღვევი მოქმედებდა დამოუკიდებლად და არაფერი იცოდა რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის შესახებ. საავტორო უფლების შესახებ კანონის შესაბამისად დარღვევას ადგილი აქვს მხოლოდ იმ ნაწარმოების რეპროდუცირების შემთხვევაში, რომლის მიმართაც არსებობს საავტორო უფლება.

ლიტერატურა

T. Zongshun, "Industriel Designe", 10 Intellectual Property in Azia and the Pacific.

თავი 11

გეოგრაფიული აღნიშვნა

A. შესავალი

11.1. “Champagne”, “Cognacs”, “Rroquefort”, “Chianti”, “Pilsen”, “Porto”, “Shefbield”, “Havana”, “Tequila”, “Darjeeling” – კარგად ცნობილი იმ სახელწოდებათა ზოგიერთი მაგალითია, რომლებსაც მთელ მსოფლიოში ასოციაციით უკავშირებენ გარკვეული ხასიათისა და ხარისხის პროდუქტებს. ყველა ამ სახელწოდების საერთო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ყოველი მათგანი მიუთითებს არსებული ადგილების, ქალაქების, რეგიონების ან ქვეყნების გეოგრაფიულ სახელწოდებაზე. მაგრამ დღეს, როცა გვესმის “Champagne”, უმალ წარმოვიდგენთ ცქრიალა ღვინოს და არა საფრანგეთის რაიონს, “Cognacs”-ს ასოციაციით ვუკავშირებთ მუხის კასრებში დავარგებულ ალკოჰოლურ სასმელს (eau de vie) და არა საფრანგეთის პატარა ქალაქს, “Chianti” გვაფიქრებინებს წითელ იტალიურ ღვინოზე და არა ფლორენციის სამხრეთით მდებარე რაიონზე, “Pilsen” გაგვახსენებს ლუდს და არა ქალაქს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ხოლო “Tequila”–- კაქტუსიდან გამოხდილ სპირტიან სასმელს და არა ხალისკოს შტატის (მექსიკა) ქალაქს.

11.2. ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ გეოგრაფიულმა აღნიშვნებმა შეუძლება შეიძინონ მაღალი რეპუტაცია და გახდნენ ძვირადღირებული კომერციული აქტივები. სწორედ ამ მიზეზით ისინი ხშირად ხდებიან უკანონო მითვისების, კონტრაფაქციის ან გაყალბების ობიექტი და ძალზე სასურველია მათი დაცვა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

11.3. სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონის გარდა, ალბათ, არ არსებობს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ არანაირი კატეგორიის კანონი, სადაც დაცვის ცნების ისეთ მრავალფეროვნებას შეიძლება შეხვდეთ, როგორსაც ვხვდებით გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში. ეს შეიძლება საუკეთესოდ იყოს დემონსტრირებული თვით ტერმინით “გეოგრაფიული აღნიშვნა”, რომელიც შედარებით ახალია და არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

11.4. პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ არ შეიცავს გეოგრაფიული აღნიშვნის ცნებას. 1 მუხლის მე-(2) პუნქტი წარმოშობის აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებას განსაზღვრავს inter alia, როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტს. ეს არის ტერმინოლოგია, რომელიც ტრადიციულად გამოიყენებოდა და ჯერ კიდევ ოფიციალურად გამოიყენება ისმოს მიერ ადმინისტრირებად კონვენციებსა და შეთანხმებებში. ამ ტერმინოლოგიის მიხედვით, წარმოშობის აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის

დასახელებას შორის განსხვავება შემდეგშია: “წარმოშობის აღნიშვნა” გულისხმობს ნებისმიერ გამოთქმას ან აღნიშვნას, რომელიც მიუთითებს, რომ პროდუქტი ან მომსახურება წარმოშობილია ქვეყანაში, რეგიონში ან კონკრეტულ მხარეში, მაშინ როცა “ადგილწარმოშობის დასახელება” ნიშნავს ქვეყნის, რაიონის ან კონკრეტული მხარის გეოგრაფიულ სახელს, რომელიც გამოიყენება აქედან წარმოშობილი იმ პროდუქტის მოსანიშნად, რომლის ხარისხის მახასიათებლები განპირობებულია მხოლოდ ან არსებითად ამ გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი ან ადამიანის ფაქტორის, ან ერთდროულად როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის ფაქტორების ჩათვლით.

11.5. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას განსხვავებას წარმოშობის აღნიშვნებსა და ადგილწარმოშობის დასახელებებს შორის. სახელდობრ, იმ პირობას, რომ პროდუქტს, რომელიც აღნიშნულია ადგილწარმოშობის დასახელებით, უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები, რომლებიც განსაზღვრულია გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი პირობებისა და ადამიანის ფაქტორის ჩათვლით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება მოითხოვს თვისობრივ კავშირს პროდუქტსა და მისი დამზადების ადგილს შორის. ეს თვისობრივი კავშირი ვლინდება საქონლის გარკვეულ მახასიათებლებში, რომლებიც შეიძლება განსაზღვრული იყოს მხოლოდ ან არსებითად მისი გეოგრაფიული წარმოშობით, მაგალითად, კლიმატით, ნიადაგით ან დამზადების ტრადიციული ხერხით. მეორე მხრივ, მოცემულ პროდუქტზე წარმოშობის აღნიშვნის გამოსაყენებლად უბრალოდ მოითხოვება პირობა, რომ ეს პროდუქტი წარმოშობილია იმ მხარეში, რომელზეც მიუთითებს ეს წარმოშობის აღნიშვნა. ადგილწარმოშობის დასახელება შეიძლება განისაზღვროს როგორც წარმოშობის აღნიშვნის სპეციალური სახეობა. ტერმინი “წარმოშობის აღნიშვნა” მისი ტრადიციული გამოყენების მიხედვით, მოიცავს ყველა ადგილწარმოშობის დასახელებას, მაგრამ ძირითადად იგი გამოიყენება უფრო ისეთი წარმოშობის აღნიშვნებისათვის, რომლებიც არ ითვლება ადგილწარმოშობის დასახელებად.

11.6. ტერმინი “გეოგრაფიული აღნიშვნა” შერჩეულ იქნა ისმო-ს ახალი ხელშეკრულების ობიექტის აღსაწერად იმ სახელებისა და სიმბოლოების საერთაშორისო დაცვის მიზნით, რომლებიც მიუთითებენ მოცემული პროდუქტის გარკვეულ გეოგრაფიულ წარმოშობაზე. ამასთან დაკავშირებით, ტერმინი განკუთვნილია მისი მაქსიმალურად შესაძლო ფართო გაგებით გამოსაყენებლად. იგი მოიცავს სახელებისა და აღნიშვნების დაცვის ყველა არსებულ საშუალებას იმისგან დამოუკიდებლად, მიუთითებენ თუ არა ისინი, რომ მოცემული პროდუქტის თვისებები განსაზღვრულია მისი გეოგრაფიული წარმოშობით (ადგილწარმოშობის დასახელება), ან, უბრალოდ, მიუთითებენ საქონლის წარმოშობის ადგილს (წარმოშობის აღნიშვნა). ეს განსაზღვრა

მოიცავს, აგრეთვე, სიმბოლოებსაც, რადგან გეოგრაფიულ აღნიშვნებს შეადგენენ არა მხოლოდ სახელები, როგორიცაა ქალაქის, რეგიონის ან ქვეყნის სახელები (“პირდაპირი გეოგრაფიული აღნიშვნები”), არამედ სიმბოლოებიც. ასეთ სიმბოლოები მიუთითებენ საქონლის წარმოშობაზე მისი წარმოშობის ადგილის პირდაპირი დასახელების გარეშე. ასეთი არაპირდაპირი გეოგრაფიული აღნიშვნების მაგალითებია ეიფელის კოშკის გამოსახულება პარიზისათვის, მატერჰორნის – შვეიცარიისათვის ან ტაუერის ხიდისა – ლონდონისათვის.

11.7. მეორე მხრივ, ტერმინი “გეოგრაფიული აღნიშვნა” ასევე გამოიყენება 1992 წ. 14 ივნისის №2081/92 EEC რეგლამენტში “სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის შესახებ” და შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების შესახებ (შეთანხმება TRIPS). ორივე ტექსტში ეს ტერმინი გამოიყენება პროდუქტებისათვის, რომელთა ხარისხი და თვისებები განისაზღვრება მისი გეოგრაფიული წარმოშობით - მიდგომა, რომელიც ძალიან ჰგავს ადგილწარმოშობის დასახელებაზე დამყარებულ დაცვის სახეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოშობის “უბრალო“ მითითება არ მიეკუთვნება გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციფიკურ ცნებას, რომელიც გამოიყენება ამ ორ იურიდიულ ტექსტში. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომში ეს ტერმინი გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ყველა არსებული ფორმის გათვალისწინების მიზნით ყველაზე ფართო გაგებით იქნება გამოყენებული.

11.8. როდესაც გეოგრაფიულ აღნიშვნებს განვიხილავთ როგორც კომერციაში გამოყენებულ განმასხვავებელი აღნიშვნების სპეციალურ სახეობასა და აქედან გამომდინარე, როგორც ინტელექტუალური საკუთრების განსაკუთრებულ კატეგორიას, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ისინი სასაქონლო ნიშნებისაგან: თუ სასაქონლო ნიშანი ახდენს იმ საწარმოს იდენტიფიკაციას, რომელიც ბაზარს სთავაზობს გარკვეულ საქონელს ან მომსახურებას, გეოგრაფიული აღნიშვნა მიუთითებს იმ გეოგრაფიულ რაიონზე, სადაც განლაგებულია ერთი ან რამდენიმე საწარმო, რომელიც აწარმოებს იმ გარკვეული სახეობის პროდუქციას, რომლისთვისაც გამოიყენება გეოგრაფიული აღნიშვნა. ამგვარად, არ არსებობს გეოგრაფიული აღნიშვნის არანაირი “მფლობელი” იმ გაგებით, რომ ერთ პირს ან საწარმოს შეუძლია აუკრძალოს სხვა პირს ან საწარმოს გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება, მაგრამ როგორც თითოეულ, ისე ყველა საწარმოს, რომელიც განლაგებულია გეოგრაფიული აღნიშვნის შესაბამის რაიონში, უფლება აქვს, გამოიყენოს მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნა პროდუქტისათვის, რომელიც წარმოშობილია აღნიშნულ რაიონში, მაგრამ შეიძლება უნდა აკმაყოფილებდეს

ხარისხისადმი გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია, მაგალითად, ადგილწარმოშობის დასახელებათა გამოყენების მარეგულირებელ ადმინისტრაციულ დადგენილებებში.

11.9. ვიდრე განვიხილავთ გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის სხვადასხვა ფორმებს, სასარგებლოა, მოკლედ განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება გეოგრაფიულ აღნიშვნათა "დაცვაში". უწინარეს ყოვლისა, დაცვა გულისხმობს უფლებას აუკრძალონ არაუფლებამოსილ პირებს, გამოიყენონ გეოგრაფიული აღნიშვნები პროდუქტისათვის, რომელიც ან არ არის წარმოშობილი აღნიშნული გეოგრაფიული ადგილიდან, ან არ პასუხობს ხარისხის დაწესებულ სტანდარტებს. მეორე ასპექტი, რომელიც ეხება დაცვის პრობლემას, არის გეოგრაფიულ აღნიშვნათა გვარეობით ცნებად გადაქცევისაგან დაცვის საკითხი. როგორც კი გეოგრაფიული აღნიშვნა გადაიქცევა გვარეობით ცნებად, იგი კარგავს განმასხვავებლობას და, მაშასადამე, კარგავს დაცვას. საერთაშორისო შეთანხმების არარსებობის პირობებში საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა გეოგრაფიული აღნიშვნა გვარეობითი ცნება, უნდა გადაწყვიტოს ეროვნულმა კანონმდებლობამ. ისეც ხდება, რომ გეოგრაფიული სახელები ერთ ქვეყანაში განიხილება როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა და დაცულია სათანადოდ, მაშინ როდესაც მეორე ქვეყანაში იგი ითვლება გვარეობით ან ნახევრად გვარეობით ცნებად. გეოგრაფიული სახელებისადმი განსხვავებული მიდგომის საყოველთაოდ ცნობილ მაგალითებს წარმოადგენს ფრანგული დასახელებები "Champagne" და "Chablis", რომელთა გამოყენება საფრანგეთში დაშვებულია მხოლოდ იმ პროდუქტისათვის, რომლებიც წარმოშობილია განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონიდან და დამზადებულია ხარისხის გარკვეული სტანდარტების შესაბამისად, მაშინ როდესაც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისინი განიხილება ნახევრად გვარეობით ცნებად და ამიტომ მათი გამოყენება შეიძლება იმ ღვინოებისთვისაც, რომლებიც არ არიან წარმოშობილნი საფრანგეთიდან. დაცვის ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოგრაფიულ აღნიშვნათა საერთაშორისო დაცვის კონტექსტში და მასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმებით.

B. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა ეროვნულ დონეზე

11.10. რაც შეეხება გეოგრაფიულ აღნიშვნათა ეროვნულ დონეზე დაცვის სხვადასხვა ფორმას, აქ შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი კატეგორია. პირველი კატეგორია შეიცავს დაცვის ყველანაირ შესაძლებლობას, რომელიც არ ემყარება იმ კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომელიც განახორციელებს კონკრეტული გეოგრაფიული აღნიშვნის მიმართ

დაცვას; მაგრამ წარმოადგენს საკანონმდებლო დებულებათა ან სასამართლო პრაქტიკის დადგენილი პრინციპების პირდაპირი გამოყენების შედეგს. მეორე კატეგორია გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვას კოლექტიური ნიშნების (სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტების ჩათვლით) ან სასერტიფიკაციო ნიშნების (ან საგარანტიო ნიშნების) რეგისტრაციის გზით ახორციელებს. მესამე კატეგორია შეიცავს გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის სპეციალურ სახეობებს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების იმ კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგს წარმოადგენენ, რომელიც ახორციელებს დაცვას. ეს კატეგორია, კერძოდ, შეიცავს ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვას, იქნება იგი განხორციელებული სამრეწველო საკუთრების უწყებაში რეგისტრაციის შედეგად, როგორც ეს ხდება რუსეთის ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დეკრეტების მიღების საფუძველზე, რაც პრაქტიკულად დამკვიდრდა საფრანგეთში 1919 წელს ადგილწარმოშობის დასახელებათა შესახებ სპეციალური კანონის მიღების შემდეგ. ეს კატეგორია შეიცავს, აგრეთვე, დაცვას, რომელიც ხორციელდება "სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის ადგილწარმოშობის დასახელებათა და გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის შესახებ" EEC №2081/92 რეგლამენტის შესაბამისად და ღვინის შესახებ სხვადასხვა EEC რეგლამენტის შესაბამისად (მაგალითად, "სპეციფიკურ რეგიონებში წარმოებული მაღალხარისხიანი ღვინოების შესახებ" (EEC №823/87 რეგლამენტი ცვლილებებით EEC №2043/89 წესის თანახმად) და "vins de pays" ("ადგილობრივი ღვინოები") (EEC №2393/89 რეგლამენტი)).

(a) დაცვის სპეციალური სახეები

11.11. უკვე გასული ასწლეულის დასაწყისში მიიჩნეოდა, რომ წარმოშობის აღნიშვნის დაცვისათვის მხოლოდ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნების გამოყენების აღკვეთა არ არის საკმარისი. გარდა ამისა, საჭირო გახდა წარმოების ადგილობრივი, ტრადიციული ხერხების დაცვა და წახალისება. პირველად საფრანგეთში შევიდა ძალაში საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებდა გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვას სამრეწველო საკუთრების დაცვის სპეციალური სახეების, სახელდობრ, ადგილწარმოშობის დასახელების მეშვეობით.

11.12. საფრანგეთის 1919 წლის 6 მაისის კანონმა ცნო ადგილწარმოშობის დასახელებათა არსებობა და დაადგინა პირობები მათ დასაცავად. ამ კანონის შესაბამისად, ადგილწარმოშობის დასახელებას შეადგენს ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის სახელი, რომელიც გამოიყენება აქედან წარმოშობილი იმ პროდუქტის მოსანიშნად, რომლის ხარისხი და თვისებები განპირობებულია ამ გეოგრაფიული გარემოთი, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის ფაქტორის

ჩათვლით. ეს ნიშნავს, რომ დაცვის ეს სპეციალური სახე ვრცელდება მხოლოდ ისეთ პროდუქტზე, რომელიც წარმოშობილია სპეციფიკურ მხარეში და რომლის განსაკუთრებული თვისებები განპირობებულია წარმოშობის ადგილით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დადგენილი უნდა იყოს პროდუქტის თვისებების კავშირი მისი წარმოშობის ადგილთან, ე.ი. იმ ბუნებრივ პირობებსა და ადამიანის ფაქტორთან, რომლებიც ახასიათებს მხოლოდ შესაბამის გეოგრაფიულ რეგიონს. იმის საგარანტიოდ, რომ პროდუქტს განსაკუთრებული ხარისხი გააჩნია, კომპეტენტური ორგანოების მიერ შექმნილი იქნა კონტროლის მექანიზმი და რეგულარულად ტარდება ხარისხის კონტროლი. ადგილწარმოშობის დასახელებით მხოლოდ ხარისხის სტანდარტების შესაბამის პროდუქტების დაცვა ხდება. თავდაპირველად ადგილწარმოშობის დასახელება ეხებოდა მხოლოდ ღვინოებსა და სპირტიან სასმელებს, მაგრამ მოგვიანებით ადგილწარმოშობის დასახელების ცნება გავრცელდა სხვა პროდუქტებზეც, როგორიცაა: რძის ნაწარმი (უმთავრესად ყველი და კარაქი), შინაური ფრინველის ხორცი და მცენარეული წარმოშობის პროდუქტები.

11.13. ფრანგულ ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის სისტემის წარმატებით ფუნქციონირების გამო, ასეთივე ან მსგავსი სისტემა შემოღებული იქნა სხვა ქვეყნებშიც, უმთავრესად ღვინისა და სპირტიანი სასმელებისათვის. იმ შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ქმნის პარიზის კონვენციის 1(2) მუხლში სიტყვა "ან", მიგვაჩნია, რომ ადგილწარმოშობის დასახელება წარმოადგენს წარმოშობის აღნიშვნის სპეციალურ სახეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველა ადგილწარმოშობის დასახელება წარმოადგენს წარმოშობის აღნიშვნას, მაგრამ ყველა წარმოშობის აღნიშვნა არ წარმოადგენს ადგილწარმოშობის დასახელებას.

(b) კოლექტიური ნიშნების ან სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაცია

11.14. მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა შეიძლება ემყარებოდეს არა მხოლოდ საჯარო ან ადმინისტრაციულ აქტს, იგი შეიძლება კერძო ინიციატივის შედეგიც იყოს. რაც შეეხება უკანასკნელ მიდგომას, კოლექტიური ნიშნები ან სასერტიფიკაციო ნიშნები უზრუნველყოფენ გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან სპეციალურ კანონმდებლობასთან ან სასამართლოსთან. საკანონმდებლო ან სასამართლო ღონისძიებებისაგან დამოუკიდებლად. კოლექტიური ნიშნისა და სასერტიფიკაციო ნიშნის (ან ზოგ ქვეყანაში საგარანტიო ნიშნის) ცნებები სხვადასხვაა სხვადასხვა ქვეყანაში. მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით კოლექტიური ნიშანი ან სასერტიფიკაციო ნიშანი შეიძლება გამოდგეს საქონლის ან მომსახურების წარმოშობის აღსანიშნავად, inter alia, და

ამიტომ გარკვეულწილად გამოსადეგია გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვისათვისაც.

11.15. კოლექტიური ნიშანი წარმოადგენს ნიშანს, რომლის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კოლექტიური ორგანიზაციის წევრებისათვის. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს მეწარმეთა, მრეწველთა ან მოვაჭრეთა ასოციაცია ან კოოპერატივი. კოლექტიურ ნიშანს ფლობს ასოციაცია, რომელიც ამ ნიშნით სარგებლობის ნებას რთავს მხოლოდ თავის წევრებს. ასოციაცია შეიძლება იყოს ადგილობრივი ან უცხოური. კოლექტიური ნიშანი აღნიშნავს, რომ პირი, რომელიც იყენებს მას თავისი საქონლის ან მომსახურებისათვის, არის კოლექტიური ნიშნის მფლობელი ასოციაციის წევრი. ჩვეულებრივ, კოლექტიური ნიშნის გამოყენება დარეგულირებულია წესდებით, რომელიც რეგისტრაციაზე განაცხადთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი სამრეწველო საკუთრების უწყებაში. იმ საკითხის გადაწყვეტა, შეიძლება თუ არა გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრირებული იყოს როგორც კოლექტიური ნიშანი, მთლიანადაა დამოკიდებული კონკრეტულ ეროვნულ კანონმდებლობაზე. ზოგ ეროვნულ კანონმდებლობაში სასაქონლო ნიშნების შესახებ გეოგრაფიული აღნიშვნის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაციას გამორიცხავს, თუმცა, უკანასკნელ დროს ზოგიერთმა ქვეყანამ ეს აკრძალვა გააუქმა.

11.16. როგორც კი გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრირებული იქნება კოლექტიური ნიშნის სახით, მის მფლობელ ასოციაციას უფლება აქვს, აუკრძალოს მისი გამოყენება პირებს, რომლებიც არ არიან ასოციაციის წევრები. მაგრამ უფრო ადრინდელ უფლებასთან კონფლიქტის შემთხვევაში ასოციაციის წევრებს შეიძლება ჩამოერთვათ კოლექტიური ნიშნის გამოყენების უფლება. უფრო მეტიც, გეოგრაფიული აღნიშვნის, როგორც კოლექტიური ნიშნის, რეგისტრაცია ვერ შეუშლის ხელს მის გვარეობით ცნებად per se (თავისთავად) გადაქცევას. გარდა ამისა, ზოგი ქვეყნის კანონმდებლობაში შეტანილია გამოყენების მკაცრი პირობა, რომლითაც შესაძლებელია კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება, თუ იგი უწყვეტად არ გამოიყენება.

11.17. კოლექტიური ნიშნებისაგან განსხვავებით, სასერტიფიკაციო ნიშნებსა და საგარანტიო ნიშნებს ფლობს არა კოლექტიური ორგანიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, მეწარმეთა ასოციაცია, არამედ სერტიფიკატის გამცემი ოფიციალური ორგანო, რომელიც გასცემს მოწმობას. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს ადგილობრივი საბჭო ან ასოციაცია, რომლებიც არ არიან დაკავებულნი ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებით ან ვაჭრობით. უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელია ვალდებული, დაადასტუროს, რომ სასერტიფიკაციო ნიშნის მქონე საქონელი სათანადო ხარისხისაა. სასერტიფიკაციო ნიშანი შეიძლება

გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ inter alia დაადასტუროს საქონლის ან მომსახურების წარმოშობა. განაცხადს სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციაზე თან უნდა ახლდეს წესდება, რომლის მიხედვითაც რეგლამენტირებულია სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება. რაც შეეხება გეოგრაფიული აღნიშვნების სასერტიფიკაციო ნიშნებად ან საგარანტიო ნიშნებად რეგისტრაციის შესაძლებლობას, აქ იგივე პრინციპი გამოიყენება, რაც კოლექტიური ნიშნებისათვის.

11.18. იმ შემთხვევაში, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრირებულია როგორც სასერტიფიკაციო ნიშანი ან საგარანტიო ნიშანი, ჩვეულებრივ, იგი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა, რომლის საქონელი აკმაყოფილებს წესდებაში დადგენილ პირობებს. მაგრამ სარგებლობის ასეთი უფლება არ შეიძლება არსებობდეს უფრო ადრინდელ უფლებასთან კონფლიქტის შემთხვევაში. რეგისტრირებული სასერტიფიკაციო ნიშნის ან საგარანტიო ნიშნის მფლობელ ორგანიზაციას უფლება აქვს, აუკრძალოს ამ ნიშნის გამოყენება პირებს, რომელთა საქონელი არ აკმაყოფილებს წესდებაში დადგენილ პირობებს. საზოგადოდ, გეოგრაფიული აღნიშვნის, როგორც სასერტიფიკაციო ნიშნის ან საგარანტიო ნიშნის, დაცვა რეგისტრაციის გზით იმ დაცვის ეკვივალენტურია, რომელიც ენიჭება გეოგრაფიულ აღნიშვნას კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაციის დროს.

11.19. დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციალურ ფორმას, რომელიც მოგვაგონებს კოლექტიური ნიშნის ცნებას, წარმოადგენს ფრანგული "სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტი" (label agricole). იგი რეგლამენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტების შესახებ 1983 წლის ივნისის თვის ბრძანებულების 1991 წლის ბოლო რედაქციით და შეიძლება გამოყენებული იქნეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის. სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტი წარმოადგენს კოლექტიურ ნიშანს, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემულ საკვებ ან არასაკვებ დაუმუშავებელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს (როგორიცაა მარცვლეულის თესლი) გააჩნია სხვა მსგავსი პროდუქტისაგან განსხვავებული სპეციფიკური მახასიათებლების კომბინაცია და ხარისხის მაღალი დონე. სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტი შეიძლება იყოს ეროვნული (ცნობილია როგორც "წითელი ეტიკეტი") ან რეგიონული, ამასთან, უკანასკნელი მიუთითებს თვისებებზე, რომლებიც სპეციფიკურია, ტრადიციულია ან დამახასიათებელია განსაზღვრული რეგიონისათვის. სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტით დაცვას არ ექვემდებარება პროდუქტები, რომლებთან დაკავშირებითაც რეგისტრირებულია ადგილწარმოშობის დასახელება და, აგრეთვე, ღვინის ზოგიერთი სახეობა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ სარგებლობენ ადგილწარმოშობის დასახელებით). სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტის რეგისტრაცია ხდება იმ პირის სახელზე, რომელიც აკონტროლებს მის გამოყენებას.

დეკრეტის მოქმედება არ იფარგლება ფრანგული პროდუქტებით, მაგრამ დღემდე იგი ძალიან იშვიათად გამოიყენება უცხოური პროდუქტებისათვის (უცხოური პროდუქტის მაგალითია ეტიკეტი "შოტლანდიური ორაგული").

(c) კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ

11.20. გარკვეული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებამ საქონლის ან მომსახურებისთვის, რომელიც არ არის წარმოშობილი შესაბამის რეგიონში, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი და, აქედან გამომდინარე, მოატყუოს იგი. გარდა ამისა, ასეთი გამოყენება შეიძლება გახდეს იმ პირის გუდვილის უკანონო მითვისების საფუძველი, რომელსაც მართლა აქვს გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება. არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაზე დამოკიდებულებით ეფუძნება სასამართლო გადაეყვეტილებების მიხედვით ინტერპრეტირებულ საკანონმდებლო დებულებებს ან საერთო კანონს, შეიძლება აღიძრას, რათა ხელი შეუშალოს კონკურენტებს ვაჭრობაში მიმართონ შეცდომაში შემყვან ამგვარ პრაქტიკას.

11.21. თუმცა არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული შედეგიანი სასამართლო დევნის პირობები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, საყოველთაოდ მიღებულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ძირითადი პრინციპები. იმისათვის, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა დაცვისუნარიანი იყოს, მან უნდა შეიძინოს გარკვეული რეპუტაცია ან გუდვილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქონლის პოტენციურმა მყიდველმა გეოგრაფიული აღნიშვნა ასოციაციით უნდა დაუკავშიროს საქონლის ან მომსახურების წარმოშობის ადგილს. გარდა ამისა, ასეთი სარჩელისათვის მოითხოვება, რომ გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება საქონლისა და მომსახურებისათვის, რომლებიც წარმოშობილნი არ არიან შესაბამის გეოგრაფიულ რაიონში, უნდა განიხილებოდეს როგორც შეცდომაში შემყვანი ქმედება, რის გამოც მომხმარებელი ტყუვდება საქონლის ან მომსახურების წარმოშობის ნამდვილი ადგილის მიმართ. ზოგიერთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვება შეცდომაში შეყვანის ასეთი ქმედებით მიყენებული ზიანის ან ზიანის მიყენების შესაძლებლობის დამტკიცება.

11.22. მაშინ, როდესაც საყოველთაოდაა აღიარებული პრინციპი, რომლის თანახმადაც შეცდომაში შემყვანი გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება შეიძლება გახდეს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული სარჩელის საფუძველი, ასეთი სარჩელის შედეგი წინასწარ განუსაზღვრელია. კერძოდ, დონე, რომელსაც უნდა მიაღწიოს მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნის მიერ შეძენილმა რეპუტაციამ სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. შეიძლება მოითხოვებოდეს, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა

უნდა გამოიყენებოდეს ვაჭრობაში განსაზღვრული დროის განმავლობაში, და, რომ შესაბამის მომხმარებელთა ცნობიერებაში შეიქმნას ასოციაციური კავშირი, ერთი მხრივ, გეოგრაფიულ აღნიშვნასა და, მეორე მხრივ, საქონლისა და მომსახურების წარმოშობის ადგილს შორის. ამიტომ გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული რეპუტაცია ბაზარზე, შეიძლება ვერ იქნეს დაცული კონკურენტების მიერ შეცდომაში შემყვანი გამოყენებისაგან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სასამართლო დევნის საფუძველზე. გარდა ამისა, გეოგრაფიულმა აღნიშვნამ, რომელიც არ გამოიყენებოდა განსაზღვრული დროის განმავლობაში, შეიძლება დაკარგოს თავისი რეპუტაცია და ამიტომ ვეღარ იქნეს დაცული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სასამართლო დევნის საფუძველზე. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებისაგან დაცვის არსებობა არ უშლის ხელს გეოგრაფიული აღნიშვნის გვარეობით ცნებად გადაქცევას. გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც გვარეობით ცნებად იქცნენ ცალკეულ ქვეყანაში, კარგავენ თავის განმასხვავებლობას და აღარ არიან დაცვისუნარიანნი ამ ქვეყანაში.

C. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა საერთაშორისო დონეზე მრავალმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით

11.23. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის მარეგულირებელ დებულებებს ისმო-ს მიერ ადმინისტრირებული სამი მრავალმხრივი ხელშეკრულება შეიცავს. ესენია: პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, 1991 წლის მადრიდის შეთანხმება ყალბი ან შეცდომაში შემყვანი წარმოშობის აღნიშვნების აღკვეთის შესახებ, რომელიც უკანასკნელად გადასინჯული იყო 1967 წელს (შემდეგში –"მადრიდის შეთანხმება"), და ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (შემდეგში - "ლისაბონის შეთანხმება").

(a) პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ

11.24. პარიზის კონვენციის რამდენიმე დებულება ეხება კონკრეტულად წარმოშობის აღნიშვნას ან ადგილწარმოშობის დასახელებას: 1(2) მუხლში სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებს შორის მოხსენიებულია "წარმოშობის აღნიშვნა" და "ადგილწარმოშობის დასახელება"; მე-9 მუხლი ითვალისწინებს ზოგიერთ სანქციას, რომლებიც გამოიყენება, inter alia, სხვა სანქციებთან ერთად ყალბი აღნიშვნების პირდაპირი ან არაპირდაპირი ხმარების შემთხვევაში;

მე-10 მუხლი ეხება წარმოშობის აღნიშვნის დაცვას და მე-10ter მუხლი განამტკიცებს მე-9 და მე-10 მუხლების დებულებებს.

11.25. 1(2) მუხლი სხვა ობიექტებთან ერთად ითვალისწინებს "წარმოშობის აღნიშვნის" და "ადგილწარმოშობის დასახელების", როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტების, დაცვას. წარმოშობის აღნიშვნის დაცვის უზრუნველყოფა კონკრეტულად გათვალისწინებულია მე-10 მუხლში, მაგრამ პარიზის კონვენციაში არ არის ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის მარეგულირებელი სპეციალური დებულებები. მიუხედავად ამისა, მე-9, მე-10, და მე-10ter მუხლები გამოიყენება ადგილწარმოშობის დასახელებისათვის, რადგან ყოველი ადგილწარმოშობის დასახელება, განსაზღვრის მიხედვით, წარმოადგენს წარმოშობის აღნიშვნას.

11.26. მე-10(1) მუხლი არის პარიზის კონვენციის ძირითადი დებულება წარმოშობის აღნიშვნის შესახებ. იგი უზრუნველყოფს მე-9 მუხლით სასაქონლო ნიშნებისა და საფირმო სახელწოდებების საქონელზე უკანონოდ გამოყენების საწინააღმდეგოდ დაწესებული სანქციების გატარებას ნებისმიერი საქონლის "ყალბი წარმოშობის აღნიშვნის" მითითებისთვის. ეს ნიშნავს, რომ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არავითარი წარმოშობის აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს ისეთ გეოგრაფიულ ადგილზე, საიდანაც არ არის წარმოშობილი მოცემული საქონელი. დებულების გამოიყენებისათვის არ არის აუცილებელი, რომ ყალბი აღნიშვნა უშუალოდ დატანილი იქნეს საქონელზე, ვინაიდან როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი (მაგალითად, რეკლამაში) გამოყენება ექვემდებარება ასეთ სანქციას. მაგრამ მე-10(1) მუხლი არ გამოიყენება ისეთი აღნიშვნების მიმართ, რომლებიც არაა ყალბი, მაგრამ შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მთლიანად საზოგადოება ან გარკვეული ქვეყნის საზოგადოება მაინც. მაგალითად, თუ სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე გეოგრაფიულ რაიონს ერთნაირი დასახელება აქვს, მაგრამ ამ რაიონებიდან მხოლოდ ერთია საერთაშორისო დონეზე ცნობილი კონკრეტული საქონლის მიმართ, ამ დასახელების გამოყენება იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც წარმოშობილია სხვა ადგილიდან, შეიძლება შეცდომაში შემყვანი იყოს, მაგრამ არ დაექვემდებაროს სანქციას.

11.27. რაც შეეხება სანქციებს საქონლის ყალბი წარმოშობის აღნიშვნის გამოყენების შემთხვევაში, მე-9 მუხლი აწესებს პრინციპს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ საქონელს დაედოს ყადაღა მისი იმპორტის დროს, ან აიკრძალოს მისი იმპორტი, ან ყადაღა დაედოს მას ქვეყნის შიგნით; თუ მოცემულ ქვეყანაში არ არის დაშვებული ასეთი სანქციები, მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთხვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები და საშუალებები.

11.28. მე-9(3) და მე-10(2) მუხლები განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია იმპორტზე ყადაღის დადების მოთხოვნა ან სხვა სანქციების მიყენება - პროკურორს, სხვა ნებისმიერ კომპეტენტურ ორგანოს თუ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს. მე-10(2) მუხლი ადგენს, თუ რა იგულისხმება "დაინტერესებულ მხარეში" და განსაზღვრავს, რომ "ნებისმიერი მეწარმე, მრეწველი ან ვაჭარი - იქნება იგი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც დაკავებულია მოცემული საქონლის დამზადებით, გამოშვებით ან გასაღებით და რომლის საქმეც დაფუძნებულია ისეთ ადგილზე, რომელიც ყალბ წარმოშობის ადგილად არის მითითებული, ან რეგიონში, სადაც ეს ადგილია განლაგებული, ქვეყანაში, რომელიც ყალბად არის მითითებული, ან ქვეყანაში, სადაც ყალბი წარმოშობის აღნიშვნები გამოიყენება, ყველა შემთხვევაში განიხილება როგორც დაინტერესებული მხარე".

11.29. მე-10[bis] მუხლი ეხება დაცვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან და უზრუნველყოფს აღრევის გამომწვევ, ყალბ ან შეცდომაში შემყვან გეოგრაფიულ აღნიშვნათა გამოყენებისაგან დაცვის საფუძველს. მე-10[bis] მუხლი ავალდებულებს პარიზის კავშირის ქვეყნებს, უზრუნველყონ ეფექტური დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან, ზოგადად განსაზღვრავს, თუ რა ითვლება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად და შეიცავს ქმედებათა არაამომწურავ სამი სახის ნუსხას, რომლებიც, კერძოდ, ექვემდებარებიან აკრძალვას.

10.30. მე-10[ter] მუხლი დაკავშირებულია იმავე საკითხებთან იმდენად, რამდენადაც იგი კავშირის სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ, ერთი მხრივ, შესაბამისი კანონიერი საშუალებები და, მეორე მხრივ, ნება დართონ დაინტერესებული მრეწველების, მეწარმეების ან ვაჭართა კავშირებსა და გაერთიანებებს, გარკვეული პირობების გათვალისწინებით განახორციელონ ქმედებები ყალბი წარმოშობის აღნიშვნის აღკვეთის მიზნით.

11.31. წარმოშობის აღნიშვნის მიმართ პარიზის კონვენციის მიერ მინიჭებული დაცვის მთავარი უპირატესობა დაცვის იმ ტერიტორიაზე გავრცელების გაფართოებაში მდგომარეობს, რომელსაც პარიზის კავშირის წევრი-ქვეყნები მოიცავს. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის წევრი-ქვეყნების რიცხვმა 140-ს მიაღწია. მეორე მხრივ, ისეთი აღნიშვნების საკითხი, რომლებიც წარმოშობის ქვეყნისაგან განსხვავებულ ქვეყნებში წარმოადგენენ პროდუქტის გვარეობით დასახელებებს, არ განიხილება პარიზის კონვენციის მიხედვით, ასე რომ, პარიზის კავშირის წევრი-სახელმწიფოები შეიძლება სრულიად თავისუფალნი იყვნენ ამ მხრივ. დაბოლოს, სანქციებს, რომლებიც სპეციალურადაა მოხსენიებული პარიზის კონვენციის ტექსტში, ყოველთვის არა აქვს სავალდებულო ხასიათი და გამოიყენება მხოლოდ ყალბი, მაგრამ არა შეცდომაში შემყვანი, წარმოშობის აღნიშვნებისათვის.

(b) მადრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბ ან შეცდომაში შემყვან წარმოშობის აღნიშვნათა აღკვეთის შესახებ

11.32. მადრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბ ან შეცდომაში შემყვან წარმოშობის აღნიშვნათა აღკვეთის შესახებ წარმოადგენს სპეციალურ შეთანხმებას პარიზის კავშირის ფარგლებში. შეთანხმება მიმართულია არა მხოლოდ ყალბ, არამედ საქონელზე შეცდომაში შემყვან წარმოშობის აღნიშვნათა აღსაკვეთად.

11.33. მადრიდის შეთანხმების 1(1) მუხლი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ საქონელს, რომელიც ატარებს ყალბ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიუთითებს მადრიდის შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაზე ან ასეთ ქვეყანაში მდებარე ადგილზე, როგორც წარმოშობის ქვეყანაზე ან ადგილზე, უნდა დაედოს ყადაღა მადრიდის შეთანხმების ნებისმიერ მონაწილე ქვეყანაში იმპორტის განხორციელებისას.

11.34. პირველი და მე-2 მუხლების სხვა პუნქტები ადგენს, თუ როგორ შემთხვევებში და როგორი სახით შეიძლება იქნეს მოთხოვნილი და განხორციელებული ასეთი ყადაღის დადება ან მსგავსი საშუალება. მუხლებში აშკარად არ არის გამოხატული დებულება იმის თაობაზე, რომ კერძო პირებს შეუძლიათ უშუალოდ მოითხოვონ ყადაღის დადება. ამგვარად, მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კანონმდებლობით დაავალდებულონ ასეთი პირები, მიმართონ პროკურატურას ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.

11.35. მე-3 მუხლი ნებას რთავს გამყიდველს, აღნიშნოს თავისი სახელი ან მისამართი იმ ქვეყნიდან შემოტანილ საქონელზე, რომელიც არ წარმოადგენს ქვეყანას, სადაც ხდება გაყიდვა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ავალდებულებს მას, რომ მის სახელსა და მისამართს თან ახლდეს დამზადების ან წარმოების ქვეყნის ან ადგილის ზუსტი, თვალსაჩინოდ გამოხატული მითითება ან რაიმე სხვა აღნიშვნა, რომელიც საკმარისი იქნება საქონლის ჭეშმარიტი წარმოშობის მიმართ ნებისმიერი შეცდომის თავიდან ასაცილებლად.

11.36. მე-3bis მუხლი ავალდებულებს მადრიდის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს, აკრძალონ ნებისმიერი საქონლის გაყიდვასთან, დემონსტრირებასთან ან გასაყიდად შეთავაზებასთან დაკავშირებული ყველანაირი აღნიშვნის გამოყენება, რომლითაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება საქონლის წარმოშობის მიმართ.

11.37. მე-4 მუხლი ითვალისწინებს, რომ თითოეული ქვეყნის სასამართლომ თვითონ უნდა განსაზღვროს, გვარეობითი ხასიათის გამო რომელი დასახელებები არ ექვემდებარება მადრიდის შეთანხმების დებულებებს. ამ დებულებით

მოცემული არ ვრცელდება მხოლოდ ყურძნის პროდუქციის წარმოების რეგიონულ დასახელებებზე. ეს პირობა არსებითად ზღუდავს მადრიდის შეთანხმების გამოყენების სფეროს, მიუხედავად მნიშვნელოვანი გამონაკლისისა, რომელიც დაწესებულია ყურძნის პროდუქტების წარმოშობასთან დაკავშირებული რეგიონული დასახელებებისათვის, რომელთათვისაც დაცვა უპირობოა.

11.38. 1996 წლის 1 ოქტომბრის ვითარებით საქონელზე ყალბი ან შეცდომაში შემყვან წარმოშობის აღნიშვნათა აღკვეთის შესახებ მადრიდის შეთანხმების მონაწილე იყო 31 სახელმწიფო: ალჟირი, ბულგარეთი, ბრაზილია, უნგრეთი, გერმანია, დომინიკელთა რესპუბლიკა, ეგვიპტე, ისრაელი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, კუბა, ლიბანი, ლიხტენშტაინი, მაროკო, მონაკო, ახალი ზელანდია, პოლონეთი, პორტუგალია, სან-მარინო, სირია, სლოვაკია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ტუნისი, თურქეთი, საფრანგეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი, შრილანკა, იაპონია.

(C) ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ

11.39. ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების შეზღუდული გეოგრაფიული სივრცე განპირობებულია შეთანხმების არსებითი დებულებების სპეციფიკური ხასიათით.

11.40. მე-2(1) მუხლი შეიცავს განსაზღვრას, რომლის შესაბამისად ადგილწარმოშობის დასახელება ნიშნავს "ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიულ სახელს, რომელიც გამოიყენება იქ წარმოშობილი ისეთი პროდუქტის მოსანიშნად, რომლის ხარისხი და მახასიათებლები განპირობებულია მხოლოდ ან არსებითად გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორების ჩათვლით". გამოდის, რომ ლისაბონის შეთანხმების საშუალებით შეიძლება დაცული იქნეს მხოლოდ ის სახელები, რომლებიც შეესაბამება ამ განსაზღვრას. პროდუქტის წარმოშობის უბრალო აღნიშვნები (რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი პროდუქტებისთვის, რომელთა მახასიათებლები გეოგრაფიული გარემოს შედეგი არ არის) არ მიეკუთვნება შეთანხმების მოქმედების სფეროს. ეს შეზღუდვა ხელს უშლის შეთანხმებასთან იმ ქვეყნების მიერთებას, რომლებისთვისაც ცნობილი არ არის ადგილწარმოშობის დასახელების ცნება.

11.41. განსაზღვრის პირველი ელემენტია ის, რომ ადგილწარმოშობის დასახელება უნდა იყოს ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიული სახელი. განსაზღვრის მეორე ელემენტს წარმოადგენს ის, რომ ადგილწარმოშობის

დასახელება გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი პროდუქტის მოსანიშნად, რომელიც წარმოშობილია მოხსენიებული ქვეყნიდან, რეგიონიდან ან ადგილიდან. განსაზღვრის მესამე ელემენტს წარმოადგენს ის, რომ პროდუქტსა და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას შორის უნდა არსებობდეს თვისობრივი კავშირი: "ხარისხი და მახასიათებლები" განპირობებული უნდა იყოს მხოლოდ ან არსებითად გეოგრაფიული გარემოთი. თუ თვისობრივი კავშირი არასაკმარისია, ე.ი. თუ ხარისხობრივი მახასიათებლები გეოგრაფიული გარემოთი განპირობებულია არა არსებითად, არამედ უმნიშვნელოდ, დასახელება არის არა ადგილწარმოშობის დასახელების, არამედ, უბრალოდ წარმოშობის აღნიშვნა. რაც შეეხება გეოგრაფიულ გარემოს, ის შეიცავს ბუნებრივ ფაქტორს, როგორიცაა ნიადაგი ან კლიმატი და ადამიანის ფაქტორს, როგორიცაა ამა თუ იმ გეოგრაფიულ რაიონში ჩამოყალიბებული მეწარმეთა სპეციალური პროფესიული ტრადიციები.

11.42. მიუხედავათ იმისა, რომ მე-2(1) მუხლში მოცემულია ადგილწარმოშობის დასახელებების ფართო განსაზღვრა, მას გააჩნია სერიოზული ნაკლი იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ტოპონიმებს, ჩვეულებრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ან ხელნაკეთისათვის კი არ იყენებენ, არამედ სამრეწველო ნაწარმისათვის. სირთულე წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ მე-2(1) მუხლი მოითხოვს გეოგრაფიულ გარემოსა და პროდუქტს შორის თვისებრივი კავშირის არსებობას მაშინაც, მხოლოდ ადამიანის ფაქტორი რომ ყოფილიყო საკმარისი. ეს კავშირი, რომელიც შეიძლება სამრეწველო ნაწარმის წარმოების საწყის ეტაპზე არსებულიყო, შემდეგში წესების მკაცრად დაუცველობის გამო მისი არსებობის დამტკიცება შეიძლება ძნელი გახდეს. უფრო მეტიც, შეიძლება მოხდეს წარმოების ტრადიციებისა და დახელოვნებული პერსონალის ტრადიციების გადაადგილება ერთი გეოგრაფიული რეგიონიდან მეორეში, განსაკუთრებით, ადამიანური რესურსების მზარდი მიგრაციის გამო, რასაც ადგილი აქვს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

11.43 1(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ ლისაბონის შეთანხმების მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, შეთანხმების პირობების შესაბამისად, თავის ტერიტორიაზე დაიცვან ლისაბონის შეთანხმების სხვა მონაწილე ქვეყნების პროდუქტის ადგილწარმოშობის დასახელებები, რომლებიც ასეთად აღიარებული და დაცულია წარმოშობის ქვეყანაში და რეგისტრირებულია ისმო-ს საერთაშორისო ბიუროში. ამიტომ, ლისაბონის შეთანხმების მიხედვით დაცვისათვის, ადგილწარმოშობის დასახელება უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას. პირველი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილწარმოშობის დასახელება უნდა იქნეს აღიარებული და ექვემდებარებოდეს ასეთად დაცვას წარმოშობის ქვეყანაში (უკანასკნელი განსაზღვრულია მე-2(2) მუხლში). ეს პირობა ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ქვეყნისთვის საკმარისი არ არის მისი ადგილწარმოშობის

დასახელების დაცვა ჩვეულებრივი გზით. თითოეული ადგილწარმოშობის დასახელება უნდა სარგებლობდეს სპეციალური ოფიციალური აქტიდან (საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული დებულება, ან სასამართლო გადაწყვეტილება, ან რეგისტრაცია) გამომდინარე განსაკუთრებული და ზუსტად განსაზღვრული დაცვით. ასეთი ოფიციალური აქტი მოითხოვება იმიტომ, რომ განსაზღვრული უნდა იყოს დაცვის ობიექტის სპეციფიკური ელემენტები (გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ადგილწარმოშობის დასახელების კანონიერი მოსარგებლე, პროდუქტის ბუნება). ლისაბონის შეთანხმების შესაბამისი ინსტრუქციის 1 პუნქტის მიხედვით, ეს ელემენტები მითითებული უნდა იყოს საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადში.

11.44. 1(2) მუხლით დადგენილი მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილწარმოშობის დასახელება რეგისტრირებული უნდა იყოს ისმოს საერთაშორისო ბიუროში. თავად შეთანხმების მე-5 და მე-7 მუხლებსა და ინსტრუქციაში განმარტებულია საერთაშორისო რეგისტრაციის პროცედურა.

11.45. მე-2(2) მუხლში განსაზღვრულია წარმოშობის ქვეყანა, როგორც "ქვეყანა, რომლის სახელი ან ქვეყანა, რომელში მდებარე რეგიონის ან ადგილის სახელი შეადგენს ადგილწარმოშობის დასახელებას, რომელმაც შეუქმნა პროდუქტს მისი რეპუტაცია".

11.46. მე-5(1) მუხლი და ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად გამოცემული ინსტრუქციის შესატყვისი დებულებები განსაზღვრავენ საერთაშორისო რეგისტრაციის პროცედურას. საერთაშორისო რეგისტრაცია მოთხოვნილი უნდა იქნეს წარმოშობის ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ და არ შეიძლება მისი მოითხოვნა დაინტერესებულ მხარეთა მიერ. მაგრამ ეროვნული უწყება მოითხოვს საერთაშორისო რეგისტრაციას არა თავისი საკუთარი სახელით, არამედ "ნებისმიერი, საჯარო თუ კერძო, ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით, რომელსაც ადგილწარმოშობის დასახელებით სარგებლობის უფლება (titulaire du droit d'user) გააჩნია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ისმოს საერთაშორისო ბიუროს განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის ჩატარების არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნია; მას მხოლოდ ფორმალური ექსპერტიზის ჩატარება შეუძლია. ლისაბონის შეთანხმების მე-5(2) მუხლის თანახმად, საერთაშორისო ბიურო შეუფერხებლად აცნობებს რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების წევრი-ქვეყნების უწყებებს და თავის პერიოდულ ბიულეტენში Les Appellations d'origine (ინსტრუქციის მე-7 პუნქტი) აქვეყნებს ცნობებს რეგისტრაციის შესახებ. 1997 წლის იანვრისათვის ასეთი სახით რეგისტრირებულია ადგილწარმოშობის 730 დასახელება ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად, საიდანაც 717 ჯერ კიდევ მოქმედი იყო ამ თარიღისათვის.

11.47. მე-5 მუხლის მე-(3)-დან მე-(5)-მდე პუნქტების შესაბამისად, ლისაბონის შეთანხმების ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს უწყებას შეუძლია რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში განაცხადოს იმის შესახებ, რომ მას არ შეუძლია უზრუნველყოს მოცემული დასახელების დაცვა. ხსენებული ვადის გარდა, უფლება აკრძალვაზე შეზღუდულია მხოლოდ ერთი პირობით - უნდა იყოს მითითებული უარის მოტივები. ლისაბონის შეთანხმებით ამგვარად მითითებული მოტივები არ იზღუდება; ფაქტობრივად, ეს აძლევს ყველა ქვეყანას უფლებამოსილებას, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭოს დაცვა ან უარი უთხრას დაცვის მინიჭებაზე რეგისტრირებულ ადგილწარმოშობის დასახელებას. ყველა ქვეყანაში, რომელიც არ აკეთებს განაცხადს უარის თქმის შესახებ, ადგილწარმოშობის რეგისტრირებული დასახელება სარგებლობს დაცვით. მაგრამ, თუ მესამე მხარე იყენებდა დასახელებას მოცემულ ქვეყანაში რეგისტრაციის შესახებ უწყების მიერ შეტყობინების მიღებამდე, ამ ქვეყნის უწყებას შეუძლია, ლისაბონის შეთანხმების მე-5(6) მუხლის შესაბამისად მისცეს მას მაქსიმუმ ორი წელი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეწყდეს ასეთი გამოყენება.

11.48. საერთაშორისო რეგისტრაციით მინიჭებული დაცვა შეზღუდული არ არის დროში. მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ დასახელება, რომელიც სარგებლობს სამართლებრივი დაცვით, არ შეიძლება ჩაითვალოს გვარეობითად გადაქცეულ ცნებად, ვიდრე წარმოშობის ქვეყანაში იგი დაცულია როგორც საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება. მე-7 მუხლი ითვალისწინებს, რომ რეგისტრაცია არ საჭიროებს გაგრძელებას და მოითხოვს ერთ გადასახადს. საერთაშორისო რეგისტრაცია ძალას კარგავს მხოლოდ ორ შემთხვევაში: როდესაც რეგისტრირებული დასახელება გადაიქცევა გვარეობით ცნებად წარმოშობის ქვეყანაში, ან, როცა საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმდება საერთაშორისო ბიუროს მიერ წარმოშობის ქვეყნის უწყების შუამდგომლობით.

11.49. იმ დაცვის შინაარსი, რომელიც ენიჭება ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებას, შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად, მეტად ფართოა. აკრძალულია ადგილწარმოშობის დასახელების ნებისმიერი არამართლზომიერი მითვისება ან იმიტაცია მაშინაც კი, თუ მითითებულია პროდუქტის ნამდვილი წარმოშობა ან თუ ადგილწარმოშობის დასახელება გამოიყენება თარგმნილი ფორმით, ან მას ახლავს ისეთი ტერმინები, როგორიცაა "სახეობა", “ტიპი”, “დამზადებული”, “იმიტაცია” ან სხვა მსგავსი.

11.50. ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების სამართლებრივი დაცვის აღსრულებასთან დაკავშირებით, მე-8 მუხლი მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე. იგი აზუსტებს, რომ

სამართლებრივი ქმედებების განხორციელების უფლება ეკუთვნის კომპეტენტურ უწყებას და პროკურორს, ერთი მხრივ, და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული, საჯარო თუ კერძო პირი, მეორე მხრივ. პარიზის კონვენციითა და მადრიდის შეთანხმებით (მე-4 მუხლი) დადგენილ ნებისმიერ სანქციებთან ერთად გამოიყენება ყველა სანქცია, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, იქნება ეს სამოქალაქო (ამკრძალავი ნორმები, რომლებიც ზღუდავს ან კრძალავს უკანონო ქმედებებს, ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სასამართლო დევნა და ა.შ.), სისხლის სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული. მაგრამ ლისაბონის შეთანხმება არ აწესებს სტანდარტს სანქციების მიმართ, რომლებსაც ითვალისწინებენ შეთანხმების მონაწილე ქვეყნები.

11.51. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების მონაწილე იყო შემდეგი 17 სახელმწიფო: ალჟირი, ბულგარეთი, ბურკინა-ფასო, უნგრეთი, გაბონი, ჰაიტი, ისრაელი, იტალია, კონგო, კუბა, მექსიკა, პორტუგალია, სლოვაკია, ტოგო, ტუნისი, საფრანგეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.

D. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა საერთაშორისო დონეზე ორმხრივ შეთანხმებათა დებულებების საფუძველზე

11.52. გეოგრაფიულ აღნიშვნათა საერთაშორისო დაცვის კიდევ ერთი შესაძლებლობა მდგომარეობს ორ სახელმწიფოს შორის ორმხრივი შეთანხმებების დადებაში. რიგმა ქვეყნებმა დადეს ასეთი შეთანხმება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1960 წლის 8 მარტის შეთანხმება გერმანიასა და საფრანგეთს შორის წარმოშობის აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებათა და სხვა გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის შესახებ (იხ. ჟურნალი "Industial property", სექტემბერი, 1974 წ., გვ. 373). როგორც წესი, ასეთი ორმხრივი შეთანხმებები შედგება გეოგრაფიულ აღნიშვნათა ნუსხებისაგან, რომლებსაც ადგენენ ხელშეკრულების დამდები მხარეები, და ვალდებულებებისაგან - დაიცვან შესაბამისი ხელშეკრულების დამდები მხარის გეოგრაფიული აღნიშვნები. ჩვეულებრივ, შეთანხმებაში მითითებულია, აგრეთვე, მინიჭებული დაცვის სახეობა. რიგმა ქვეყნებმა უკვე დადეს ამგვარი შეთანხმება. ორ-

მხრივი შეთანხმებები მთლიანობაში სასარგებლოა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გეოგრაფიულ აღნიშვნათა საერთაშორისო დაცვის პრობლემის ეფექტურად გადაჭრა მოლაპარაკებების მრავალრიცხოვნობისა და აქედან გამომდინარე, სტანდარტების გარდაუვალ განსხვავებათა გამო.

თავი 11

გეოგრაფიული აღნიშვნა

A. შესავალი

11.1. “Champagne”, “Cognacs”, “Rroquefort”, “Chianti”, “Pilsen”, “Porto”, “Shefbield”, “Havana”, “Tequila”, “Darjeeling” – კარგად ცნობილი იმ სახელწოდებათა ზოგიერთი მაგალითია, რომლებსაც მთელ მსოფლიოში ასოციაციით უკავშირებენ გარკვეული ხასიათისა და ხარისხის პროდუქტებს. ყველა ამ სახელწოდების საერთო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ყოველი მათგანი მიუთითებს არსებული ადგილების, ქალაქების, რეგიონების ან ქვეყნების გეოგრაფიულ სახელწოდებაზე. მაგრამ დღეს, როცა გვესმის “Champagne”, უმალ წარმოვიდგენთ ცქრიალა ღვინოს და არა საფრანგეთის რაიონს, “Cognacs”-ს ასოციაციით ვუკავშირებთ მუხის კასრებში დავარგებულ ალკოჰოლურ სასმელს (eau de vie) და არა საფრანგეთის პატარა ქალაქს, “Chianti” გვაფიქრებინებს წითელ იტალიურ ღვინოზე და არა ფლორენციის სამხრეთით მდებარე რაიონზე, “Pilsen” გაგვახსენებს ლუდს და არა ქალაქს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ხოლო “Tequila”–- კაქტუსიდან გამოხდილ სპირტიან სასმელს და არა ხალისკოს შტატის (მექსიკა) ქალაქს.

11.2. ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ გეოგრაფიულმა აღნიშვნებმა შეიძლება შეიძინონ მაღალი რეპუტაცია და გახდნენ ძვირადღირებული კომერციული აქტივები. სწორედ ამ მიზეზით ისინი ხშირად ხდებიან უკანონო მითვისების, კონტრაფაქციის ან გაყალბების ობიექტი და ძალზე სასურველია მათი დაცვა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

11.3. სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონის გარდა, ალბათ, არ არსებობს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ არანაირი კატეგორიის კანონი, სადაც დაცვის ცნების ისეთ მრავალფეროვნებას შეიძლება შევხვდეთ, როგორსაც ვხვდებით გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში. ეს შეიძლება საუკეთესოდ იყოს დემონსტრირებული თვით ტერმინით “გეოგრაფიული აღნიშვნა”, რომელიც შედარებით ახალია და არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

11.4. პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ არ შეიცავს გეოგრაფიული აღნიშვნის ცნებას. 1 მუხლის მე-(2) პუნქტი წარმოშობის აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებას განსაზღვრავს inter alia, როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტს. ეს არის ტერმინოლოგია, რომელიც ტრადიციულად გამოიყენებოდა და ჯერ კიდევ ოფიციალურად გამოიყენება ისმოს მიერ ადმინისტრირებად კონვენციებსა და შეთანხმებებში. ამ ტერმინოლოგიის მიხედვით, წარმოშობის აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახ-

ელებას შორის განსხვავება შემდეგშია: “წარმოშობის აღნიშვნა” გულისხმობს ნებისმიერ გამოთქმას ან აღნიშვნას, რომელიც მიუთითებს, რომ პროდუქტი ან მომსახურება წარმოშობილია ქვეყანაში, რეგიონში ან კონკრეტულ მხარეში, მაშინ როცა “ადგილწარმოშობის დასახელება” ნიშნავს ქვეყნის, რაიონის ან კონკრეტული მხარის გეოგრაფიულ სახელს, რომელიც გამოიყენება აქედან წარმოშობილი იმ პროდუქტის მოსანიშნად, რომლის ხარისხის მახასიათებლები განპირობებულია მხოლოდ ან არსებითად ამ გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი ან ადამიანის ფაქტორის, ან ერთდროულად როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის ფაქტორების ჩათვლით.

11.5. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას განსხვავებას წარმოშობის აღნიშვნებსა და ადგილწარმოშობის დასახელებებს შორის. სახელდობრ, იმ პირობას, რომ პროდუქტს, რომელიც აღნიშნულია ადგილწარმოშობის დასახელებით, უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები, რომლებიც განსაზღვრულია გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი პირობებისა და ადამიანის ფაქტორის ჩათვლით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენება მოითხოვს თვისობრივ კავშირს პროდუქტსა და მისი დამზადების ადგილს შორის. ეს თვისობრივი კავშირი ვლინდება საქონლის გარკვეულ მახასიათებლებში, რომლებიც შეიძლება განსაზღვრული იყოს მხოლოდ ან არსებითად მისი გეოგრაფიული წარმოშობით, მაგალითად, კლიმატით, ნიადაგით ან დამზადების ტრადიციული ხერხით. მეორე მხრივ, მოცემულ პროდუქტზე წარმოშობის აღნიშვნის გამოსაყენებლად უბრალოდ მოითხოვება პირობა, რომ ეს პროდუქტი წარმოშობილია იმ მხარეში, რომელზეც მიუთითებს წარმოშობის აღნიშვნა. ადგილწარმოშობის დასახელება შეიძლება განისაზღვროს როგორც წარმოშობის აღნიშვნის სპეციალური სახეობა. ტერმინი “წარმოშობის აღნიშვნა” მისი ტრადიციული გამოყენების მიხედვით, მოიცავს ყველა ადგილწარმოშობის დასახელებას, მაგრამ ძირითადად იგი გამოიყენება უფრო ისეთი წარმოშობის აღნიშვნებისათვის, რომლებიც არ ითვლება ადგილწარმოშობის დასახელებად.

11.6. ტერმინი “გეოგრაფიული აღნიშვნა” შერჩეულ იქნა ისმო-ს ახალი ხელშეკრულების ობიექტის აღსაწერად იმ სახელებისა და სიმბოლოების საერთაშორისო დაცვის მიზნით, რომლებიც მიუთითებენ მოცემული პროდუქტის გარკვეულ გეოგრაფიულ წარმოშობაზე. ამასთან დაკავშირებით, ტერმინი განკუთვნილია მისი მაქსიმალურად შესაძლო ფართო გაგებით გამოსაყენებლად. იგი მოიცავს სახელებისა და აღნიშვნების დაცვის ყველა არსებულ საშუალებას იმისგან დამოუკიდებლად, მიუთითებენ თუ არა ისინი, რომ მოცემული პროდუქტის თვისებები განსაზღვრულია მისი გეოგრაფიული წარმოშობით (ადგილწარმოშობის დასახელება), ან, უბრალოდ, მიუთითებენ საქონლის წარმოშობის ადგილს (წარმოშობის აღნიშვნა). ეს განსაზღვრა მოიცავს,

აგრეთვე, სიმბოლოებსაც, რადგან გეოგრაფიულ აღნიშვნებს შეადგენენ არა მხოლოდ სახელები, როგორიცაა ქალაქის, რეგიონის ან ქვეყნის სახელები ("პირდაპირი გეოგრაფიული აღნიშვნები"), არამედ სიმბოლოებიც. ასეთი სიმბოლოები მიუთითებენ საქონლის წარმოშობაზე მისი წარმოშობის ადგილის პირდაპირი დასახელების გარეშე. ასეთი არაპირდაპირი გეოგრაფიული აღნიშვნების მაგალითებია ეიფელის კოშკის გამოსახულება პარიზისათვის, მატერჰორნის – შვეიცარიისათვის ან ტაუერის ხიდისა – ლონდონისათვის.

11.7. მეორე მხრივ, ტერმინი "გეოგრაფიული აღნიშვნა" ასევე გამოიყენება 1992 წ. 14 ივნისის №2081/92 EEC რეგლამენტში "სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის შესახებ" და შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების შესახებ (შეთანხმება TRIPS). ორივე ტექსტში ეს ტერმინი გამოიყენება პროდუქტებისათვის, რომელთა ხარისხი და თვისებები განისაზღვრება მისი გეოგრაფიული წარმოშობით - მიდგომა, რომელიც ძალიან ჰგავს ადგილწარმოშობის დასახელებაზე დამყარებული დაცვის სახეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოშობის "უბრალო" მითითება არ მიეკუთვნება გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციფიკურ ცნებას, რომელიც გამოიყენება ამ ორ იურიდიულ ტექსტში. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომში ეს ტერმინი გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ყველა არსებული ფორმის გათვალისწინების მიზნით ყველაზე ფართო გაგებით იქნება გამოყენებული.

11.8. როდესაც გეოგრაფიულ აღნიშვნებს განვიხილავთ როგორც კომერციაში გამოყენებულ განმასხვავებელი აღნიშვნების სპეციალურ სახეობასა და აქედან გამომდინარე, როგორც ინტელექტუალური საკუთრების განსაკუთრებულ კატეგორიას, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ისინი სასაქონლო ნიშნებისაგან: თუ სასაქონლო ნიშანი ახდენს იმ საწარმოს იდენტიფიკაციას, რომელიც ბაზარს სთავაზობს გარკვეულ საქონელს ან მომსახურებას, გეოგრაფიული აღნიშვნა მიუთითებს იმ გეოგრაფიულ რაიონზე, სადაც განლაგებულია ერთი ან რამდენიმე საწარმო, რომელიც აწარმოებს იმ გარკვეული სახეობის პროდუქციას, რომლისთვისაც გამოიყენება გეოგრაფიული აღნიშვნა. ამგვარად, არ არსებობს გეოგრაფიული აღნიშვნის არანაირი "მფლობელი" იმ გაგებით, რომ ერთ პირს ან საწარმოს შეუძლია აუკრძალოს სხვა პირს ან საწარმოს გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება, მაგრამ როგორც თითოეულ, ისე ყველა საწარმოს, რომელიც განლაგებულია გეოგრაფიული აღნიშვნის შესაბამის რაიონში, უფლება აქვს, გამოიყენოს მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნა პროდუქტისათვის, რომელიც წარმოშობილია აღნიშნულ რაიონში, მაგრამ შეიძლება უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხისადმი გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია, მაგალითად, ადგილწარმო-

შობის დასახელებათა გამოყენების მარეგულირებელ ადმინისტრაციულ დადგენილებებში.

11.9. ვიდრე განვიხილავთ გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის სხვადასხვა ფორმებს, სასარგებლოა, მოკლედ განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება გეოგრაფიულ აღნიშვნათა "დაცვაში". უწინარეს ყოვლისა, დაცვა გულისხმობს უფლებას აუკრძალონ არაუფლებამოსილ პირებს, გამოიყენონ გეოგრაფიული აღნიშვნები პროდუქტისათვის, რომელიც ან არ არის წარმოშობილი აღნიშნული გეოგრაფიული ადგილიდან, ან არ პასუხობს ხარისხის დაწესებულ სტანდარტებს. მეორე ასპექტი, რომელიც ეხება დაცვის პრობლემას, არის გეოგრაფიულ აღნიშვნათა გვარეობით ცნებად გადაქცევისაგან დაცვის საკითხი. როგორც კი გეოგრაფიული აღნიშვნა გადაიქცევა გვარეობით ცნებად, იგი კარგავს განმასხვავებლობას და, მაშასადამე, კარგავს დაცვას. საერთაშორისო შეთანხმების არარსებობის პირობებში საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა გეოგრაფიული აღნიშვნა გვარეობითი ცნება, უნდა გადაწყვიტოს ეროვნულმა კანონმდებლობამ. ისეც ხდება, რომ გეოგრაფიული სახელები ერთ ქვეყანაში განიხილება როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა და დაცულია სათანადოდ, მაშინ როდესაც მეორე ქვეყანაში იგი ითვლება გვარეობით ან ნახევრად გვარეობით ცნებად. გეოგრაფიული სახელებისადმი განსხვავებული მიდგომის საყოველთაოდ ცნობილ მაგალითებს წარმოადგენს ფრანგული დასახელებები "Champagne" და "Chablis", რომელთა გამოყენება საფრანგეთში დაშვებულია მხოლოდ იმ პროდუქტისათვის, რომლებიც წარმოშობილია განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონიდან და დამზადებულია ხარისხის გარკვეული სტანდარტების შესაბამისად, მაშინ როდესაც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისინი განიხილება ნახევრად გვარეობით ცნებად და ამიტომ მათი გამოყენება შეიძლება იმ ღვინოებისთვისაც, რომლებიც არ არიან წარმოშობილნი საფრანგეთიდან. დაცვის ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოგრაფიულ აღნიშვნათა საერთაშორისო დაცვის კონტექსტში და მასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმებით.

B. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა ეროვნულ დონეზე

11.10. რაც შეეხება გეოგრაფიულ აღნიშვნათა ეროვნულ დონეზე დაცვის სხვადასხვა ფორმას, აქ შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი კატეგორია. პირველი კატეგორია შეიცავს დაცვის ყველანაირ შესაძლებლობას, რომელიც არ ემყარება იმ კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომელიც განახორციელებს კონკრეტული გეოგრაფიული აღნიშვნის მიმართ დაცვას; მაგრამ წარმოადგენს საკანონმდებლო დებულებათა ან სასამართლო

პრაქტიკით დადგენილი პრინციპების პირდაპირი გამოყენების შედეგს. მეორე კატეგორია გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვას კოლექტიური ნიშნების (სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტების ჩათვლით) ან სასერტიფიკაციო ნიშნების (ან საგარანტიო ნიშნების) რეგისტრაციის გზით ახორციელებს. მესამე კატეგორია შეიცავს გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის სპეციალურ სახეობებს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების იმ კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგს წარმოადგენენ, რომელიც ახორციელებს დაცვას. ეს კატეგორია, კერძოდ, შეიცავს ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვას, იქნება იგი განხორციელებული სამრეწველო საკუთრების უწყებაში რეგისტრაციის შედეგად, როგორც ეს ხდება რუსეთის ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დეკრეტების მიღების საფუძველზე, რაც პრაქტიკულად დამკვიდრდა საფრანგეთში 1919 წელს ადგილწარმოშობის დასახელებათა შესახებ სპეციალური კანონის მიღების შემდეგ. ეს კატეგორია შეიცავს, აგრეთვე, დაცვას, რომელიც ხორციელდება "სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის ადგილწარმოშობის დასახელებათა და გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის შესახებ" EEC №2081/92 რეგლამენტის შესაბამისად და ღვინის შესახებ სხვადასხვა EEC რეგლამენტის შესაბამისად (მაგალითად, "სპეციფიკურ რეგიონებში წარმოებული მაღალხარისხიანი ღვინოების შესახებ" (EEC №823/87 რეგლამენტი ცვლილებებით EEC №2043/89 წესის თანახმად) და "vins de pays" ("ადგილობრივი ღვინოები") (EEC №2393/89 რეგლამენტი)).

(a) დაცვის სპეციალური სახეები

11.11. უკვე გასული ასწლეულის დასაწყისში მიიჩნეოდა, რომ წარმოშობის აღნიშვნის დაცვისათვის მხოლოდ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნების გამოყენების აღკვეთა არ არის საკმარისი. გარდა ამისა, საჭირო გახდა წარმოების ადგილობრივი, ტრადიციული ხერხების დაცვა და წახალისება. პირველად საფრანგეთში შევიდა ძალაში საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებდა გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვას სამრეწველო საკუთრების დაცვის სპეციალური სახეების, სახელდობრ, ადგილწარმოშობის დასახელების მეშვეობით.

11.12. საფრანგეთის 1919 წლის 6 მაისის კანონმა ცნო ადგილწარმოშობის დასახელებათა არსებობა და დაადგინა პირობები მათ დასაცავად. ამ კანონის შესაბამისად, ადგილწარმოშობის დასახელებას შეადგენს ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის სახელი, რომელიც გამოიყენება აქედან წარმოშობილი იმ პროდუქტის მოსანიშნად, რომლის ხარისხი და თვისებები განპირობებულია ამ გეოგრაფიული გარემოთი, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის ფაქტორის ჩათვლით. ეს ნიშნავს, რომ დაცვის ეს სპეციალური სახე ვრცელდება

მხოლოდ ისეთ პროდუქტზე, რომელიც წარმოშობილია სპეციფიკურ მხარეში და რომლის განსაკუთრებული თვისებები განპირობებულია წარმოშობის ადგილით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დადგენილი უნდა იყოს პროდუქტის თვისებების კავშირი მისი წარმოშობის ადგილთან, ე.ი. იმ ბუნებრივ პირობებსა და ადამიანის ფაქტორთან, რომლებიც ახასიათებს მხოლოდ შესაბამის გეოგრაფიულ რეგიონს. იმის საგარანტიოდ, რომ პროდუქტს განსაკუთრებული ხარისხი გააჩნია, კომპეტენტური ორგანოების მიერ შექმნილი იქნა კონტროლის მექანიზმი და რეგულარულად ტარდება ხარისხის კონტროლი. ადგილწარმოშობის დასახელებით მხოლოდ ხარისხის სტანდარტების შესაბამისი პროდუქტების დაცვა ხდება. თავდაპირველად ადგილწარმოშობის დასახელება ეხებოდა მხოლოდ ღვინოებსა და სპირტიან სასმელებს, მაგრამ მოგვიანებით ადგილწარმოშობის დასახელების ცნება გავრცელდა სხვა პროდუქტებზეც, როგორიცაა: რძის ნაწარმი (უმთავრესად ყველი და კარაქი), შინაური ფრინველის ხორცი და მცენარეული წარმოშობის პროდუქტები.

11.13. ფრანგულ ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის სისტემის წარმატებით ფუნქციონირების გამო, ასეთივე ან მსგავსი სისტემა შემოღებული იქნა სხვა ქვეყნებშიც, უმთავრესად ღვინისა და სპირტიანი სასმელებისათვის. იმ შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ქმნის პარიზის კონვენციის 1(2) მუხლში სიტყვა "ან", მიგვაჩნია, რომ ადგილწარმოშობის დასახელება წარმოადგენს წარმოშობის აღნიშვნის სპეციალურ სახეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველა ადგილწარმოშობის დასახელება წარმოადგენს წარმოშობის აღნიშვნას, მაგრამ ყველა წარმოშობის აღნიშვნა არ წარმოადგენს ადგილწარმოშობის დასახელებას.

(b) კოლექტიური ნიშნების ან სასერტიფიკაციო ნიშნების რეგისტრაცია

11.14. მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა შეიძლება ემყარებოდეს არა მხოლოდ საჯარო ან ადმინისტრაციულ აქტს, იგი შეიძლება კერძო ინიციატივის შედეგიც იყოს. რაც შეეხება უკანასკნელ მიდგომას, კოლექტიური ნიშნები ან სასერტიფიკაციო ნიშნები უზრუნველყოფენ გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან სპეციალურ კანონმდებლობასთან ან სასამართლოსთან. კოლექტიური ნიშნისა და სასერტიფიკაციო ნიშნის (ან ზოგ ქვეყანაში საგარანტიო ნიშნის) ცნებები სხვადასხვაა სხვადასხვა ქვეყანაში. მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით კოლექტიური ნიშანი ან სასერტიფიკაციო ნიშანი შეიძლება გამოდგეს საქონლის ან მომსახურების წარმოშობის აღსანიშნავად, inter alia, და ამიტომ გარკვეულწილად გამოსადეგია გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვისათვისაც.

11.15. კოლექტიური ნიშანი წარმოადგენს ნიშანს, რომლის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კოლექტიური ორგანიზაციის წევრებისათვის. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს მეწარმეთა, მრეწველთა ან მოვაჭრეთა ასოციაცია ან კოოპერატივი. კოლექტიურ ნიშანს ფლობს ასოციაცია, რომელიც ამ ნიშნით სარგებლობის ნებას რთავს მხოლოდ თავის წევრებს. ასოციაცია შეიძლება იყოს ადგილობრივი ან უცხოური. კოლექტიური ნიშანი აღნიშნავს, რომ პირი, რომელიც იყენებს მას თავისი საქონლის ან მომსახურებისათვის, არის კოლექტიური ნიშნის მფლობელი ასოციაციის წევრი. ჩვეულებრივ, კოლექტიური ნიშნის გამოყენება დარეგულირებულია წესდებით, რომელიც რეგისტრაციაზე განაცხადთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი სამრეწველო საკუთრების უწყებაში. იმ საკითხის გადაწყვეტა, შეიძლება თუ არა გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრირებული იყოს როგორც კოლექტიური ნიშანი, მთლიანადაა დამოკიდებული კონკრეტულ ეროვნულ კანონმდებლობაზე. ზოგ ეროვნულ კანონმდებლობაში სასაქონლო ნიშნების შესახებ გეოგრაფიული აღნიშვნის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაციას გამორიცხავს, თუმცა, უკანასკნელ დროს ზოგიერთმა ქვეყანამ ეს აკრძალვა გააუქმა.

11.16. როგორც კი გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრირებული იქნება კოლექტიური ნიშნის სახით, მის მფლობელ ასოციაციას უფლება აქვს, აუკრძალოს მისი გამოყენება პირებს, რომლებიც არ არიან ასოციაციის წევრები. მაგრამ უფრო ადრინდელ უფლებასთან კონფლიქტის შემთხვევაში ასოციაციის წევრებს შეიძლება ჩამოერთვათ კოლექტიური ნიშნის გამოყენების უფლება. უფრო მეტიც, გეოგრაფიული აღნიშვნის, როგორც კოლექტიური ნიშნის, რეგისტრაცია ვერ შეუშლის ხელს მის გვარეობით ცნებად per se (თავისთავად) გადაქცევას. გარდა ამისა, ზოგი ქვეყნის კანონმდებლობაში შეტანილია გამოყენების მკაცრი პირობა, რომლითაც შესაძლებელია კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება, თუ იგი უწყვეტად არ გამოიყენება.

11.17. კოლექტიური ნიშნებისაგან განსხვავებით, სასერტიფიკაციო ნიშნებსა და საგარანტიო ნიშნებს ფლობს არა კოლექტიური ორგანიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, მეწარმეთა ასოციაცია, არამედ სერტიფიკატის გამცემი ოფიციალური ორგანო, რომელიც გასცემს მოწმობას. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს ადგილობრივი საბჭო ან ასოციაცია, რომლებიც არ არიან დაკავებულნი ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებით ან ვაჭრობით. უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელია ვალდებული, დაადასტუროს, რომ სასერტიფიკაციო ნიშნის მქონე საქონელი სათანადო ხარისხისაა. სასერტიფიკაციო ნიშანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ inter alia დაადასტუროს საქონლის ან მომსახურების წარმოშობა. განაცხადს სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციაზე თან უნდა ახლდეს წესდება, რომლის მიხედვითაც რეგლამენტირებულია

სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება. რაც შეეხება გეოგრაფიული აღნიშვნების სასერტიფიკაციო ნიშნებად ან საგარანტიო ნიშნებად რეგისტრაციის შესაძლებლობას, აქ იგივე პრინციპი გამოიყენება, რაც კოლექტიური ნიშნებისათვის.

11.18. იმ შემთხვევაში, თუ გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრირებულია როგორც სასერტიფიკაციო ნიშანი ან საგარანტიო ნიშანი, ჩვეულებრივ, იგი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა, რომლის საქონელი აკმაყოფილებს წესდებაში დადგენილ პირობებს. მაგრამ სარგებლობის ასეთი უფლება არ შეიძლება არსებობდეს უფრო ადრინდელ უფლებასთან კონფლიქტის შემთხვევაში. რეგისტრირებული სასერტიფიკაციო ნიშნის ან საგარანტიო ნიშნის მფლობელ ორგანიზაციას უფლება აქვს, აუკრძალოს ამ ნიშნის გამოყენება პირებს, რომელთა საქონელი არ აკმაყოფილებს წესდებაში დადგენილ პირობებს. საზოგადოდ, გეოგრაფიული აღნიშვნის, როგორც სასერტიფიკაციო ნიშნის ან საგარანტიო ნიშნის, დაცვა რეგისტრაციის გზით იმ დაცვის ეკვივალენტურია, რომელიც ენიჭება გეოგრაფიულ აღნიშვნას კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაციის დროს.

11.19. დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციალურ ფორმას, რომელიც მოგვაგონებს კოლექტიური ნიშნის ცნებას, წარმოადგენს ფრანგული "სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტი" (label agricole). იგი რეგლამენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტების შესახებ 1983 წლის ივნისის თვის ბრძანებულების 1991 წლის ბოლო რედაქციით და შეიძლება გამოყენებული იქნეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის. სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტი წარმოადგენს კოლექტიურ ნიშანს, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემულ საკვებ ან არასაკვებ დაუმუშავებელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს (როგორიცაა მარცვლეულის თესლი) გააჩნია სხვა მსგავსი პროდუქტისაგან განსხვავებული სპეციფიკური მახასიათებლების კომბინაცია და ხარისხის მაღალი დონე. სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტი შეიძლება იყოს ეროვნული (ცნობილია როგორც "წითელი ეტიკეტი") ან რეგიონული, ამასთან, უკანასკნელი მიუთითებს თვისებებზე, რომლებიც სპეციფიკურია, ტრადიციულია ან დამახასიათებელია განსაზღვრული რეგიონისათვის. სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტით დაცვას არ ექვემდებარება პროდუქტები, რომლებთან დაკავშირებითაც რეგისტრირებულია ადგილწარმოშობის დასახელება და, აგრეთვე, ღვინის ზოგიერთი სახეობა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ სარგებლობენ ადგილწარმოშობის დასახელებით). სასოფლო-სამეურნეო ეტიკეტის რეგისტრაცია ხდება იმ პირის სახელზე, რომელიც აკონტროლებს მის გამოყენებას. დეკრეტის მოქმედება არ იფარგლება ფრანგული პროდუქტებით, მაგრამ დღემდე იგი ძალიან იშვიათად გამოიყენება უცხოური პროდუქტებისათვის (უცხოური პროდუქტის მაგალითია ეტიკეტი "შოტლანდიური ორაგული").

(c) კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ

11.20. გარკვეული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებამ საქონლის ან მომსახურებისთვის, რომელიც არ არის წარმოშობილი შესაბამის რეგიონში, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი და, აქედან გამომდინარე, მოატყუოს იგი. გარდა ამისა, ასეთი გამოყენება შეიძლება გახდეს იმ პირის გუდვილის უკანონო მითვისების საფუძველი, რომელსაც მართლა აქვს გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება. არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაზე დამოკიდებულებით ეფუძნება სასამართლო გადაეყვეტილებების მიხედვით ინტერპრეტირებულ საკანონმდებლო დებულებებს ან საერთო კანონს, შეიძლება აღიძრას, რათა ხელი შეუშალოს კონკურენტებს ვაჭრობაში მიმართონ შეცდომაში შემყვან ამგვარ პრაქტიკას.

11.21. თუმცა არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული შედეგიანი სასამართლო დევნის პირობები განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, საყოველთაოდ მიღებულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ძირითადი პრინციპები. იმისათვის, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა დაცვისუნარიანი იყოს, მან უნდა შეიძინოს გარკვეული რეპუტაცია ან გუდვილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქონლის პოტენციურმა მყიდველმა გეოგრაფიული აღნიშვნა ასოციაციით უნდა დაუკავშიროს საქონლის ან მომსახურების წარმოშობის ადგილს. გარდა ამისა, ასეთი სარჩელისათვის მოითხოვება, რომ გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება საქონლისა და მომსახურებისათვის, რომლებიც წარმოშობილნი არ არიან შესაბამის გეოგრაფიულ რაიონში, უნდა განიხილებოდეს როგორც შეცდომაში შემყვანი ქმედება, რის გამოც მომხმარებელი ტყუვდება საქონლის ან მომსახურების წარმოშობის ნამდვილი ადგილის მიმართ. ზოგიერთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვება შეცდომაში შეყვანის ასეთი ქმედებით მიყენებული ზიანის ან ზიანის მიყენების შესაძლებლობის დამტკიცება.

11.22. მაშინ, როდესაც საყოველთადაა აღიარებული პრინციპი, რომლის თანახმადაც შეცდომაში შემყვანი გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება შეიძლება გახდეს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული სარჩელის საფუძველი, ასეთი სარჩელის შედეგი წინასწარ განუსაზღვრელია. კერძოდ, დონე, რომელსაც უნდა მიაღწიოს მოცემული გეოგრაფიული აღნიშვნის მიერ შეძენილმა რეპუტაციამ სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. შეიძლება მოითხოვებოდეს, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა უნდა გამოიყენებოდეს ვაჭრობაში განსაზღვრული დროის განმავლობაში, და, რომ შესაბამის მომხმარებელთა ცნობიერებაში შეიქმნას ასოციაციური კავშირი, ერთი მხრივ, გეოგრაფიულ აღნიშვნასა და, მეორე მხრივ, საქონლისა

და მომსახურების წარმოშობის ადგილს შორის. ამიტომ გეოგრაფიული აღნიშვნა, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული რეპუტაცია ბაზარზე, შეიძლება ვერ იქნეს დაცული კონკურენტების მიერ შეცდომაში შემყვანი გამოყენებისაგან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სასამართლო დევნის საფუძველზე. გარდა ამისა, გეოგრაფიულმა აღნიშვნამ, რომელიც არ გამოიყენებოდა განსაზღვრული დროის განმავლობაში, შეიძლება დაკარგოს თავისი რეპუტაცია და ამიტომ ვეღარ იქნეს დაცული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სასამართლო დევნის საფუძველზე. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებისაგან დაცვის არსებობა არ უშლის ხელს გეოგრაფიული აღნიშვნის გვარეობით ცნებად გადაქცევას. გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც გვარეობით ცნებად იქცნენ ცალკეულ ქვეყანაში, კარგავენ თავის განმასხვავებლობას და აღარ არიან დაცვისუნარიანნი ამ ქვეყანაში.

C. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა საერთაშორისო დონეზე მრავალმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით

11.23. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის მარეგულირებელ დებულებებს ისმო-ს მიერ ადმინისტრირებული სამი მრავალმხრივი ხელშეკრულება შეიცავს. ესენია: პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, 1991 წლის მადრიდის შეთანხმება ყალბი ან შეცდომაში შემყვანი წარმოშობის აღნიშვნების აღკვეთის შესახებ, რომელიც უკანასკნელად გადასინჯული იყო 1967 წელს (შემდეგში –"მადრიდის შეთანხმება"), და ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (შემდეგში - "ლისაბონის შეთანხმება").

(a) პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ

11.24. პარიზის კონვენციის რამდენიმე დებულება ეხება კონკრეტულად წარმოშობის აღნიშვნას ან ადგილწარმოშობის დასახელებას: 1(2) მუხლში სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებს შორის მოხსენიებულია "წარმოშობის აღნიშვნა" და "ადგილწარმოშობის დასახელება"; მე-9 მუხლი ითვალისწინებს ზოგიერთ სანქციას, რომლებიც გამოიყენება, inter alia, სხვა სანქციებთან ერთად ყალბი აღნიშვნების პირდაპირი ან არაპირდაპირი ხმარების შემთხვევაში; მე-10 მუხლი ეხება წარმოშობის აღნიშვნის დაცვას და მე-10ter მუხლი განამტკიცებს მე-9 და მე-10 მუხლების დებულებებს.

11.25. 1(2) მუხლი სხვა ობიექტებთან ერთად ითვალისწინებს "წარმოშობის აღნიშვნის" და "ადგილწარმოშობის დასახელების", როგორც სამრეწველო საკუთრების ობიექტების, დაცვას. წარმოშობის აღნიშვნის დაცვის უზრუნვე-

ლყოფა კონკრეტულად გათვალისწინებულია მე-10 მუხლში, მაგრამ პარიზის კონვენციაში არ არის ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის მარეგულირებელი სპეციალური დებულებები. მიუხედავად ამისა, მე-9, მე-10, და მე-10[ter] მუხლები გამოიყენება ადგილწარმოშობის დასახელებისათვის, რადგან ყოველი ადგილწარმოშობის დასახელება, განსაზღვრის მიხედვით, წარმოადგენს წარმოშობის აღნიშვნას.

11.26. მე-10(1) მუხლი არის პარიზის კონვენციის ძირითადი დებულება წარმოშობის აღნიშვნის შესახებ. იგი უზრუნველყოფს მე-9 მუხლით სასაქონლო ნიშნებისა და საფირმო სახელწოდებების საქონელზე უკანონოდ გამოყენების საწინააღმდეგოდ დაწესებული სანქციების გატარებას ნებისმიერი საქონლის "ყალბი წარმოშობის აღნიშვნის" მითითებისთვის. ეს ნიშნავს, რომ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არავითარი წარმოშობის აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს ისეთ გეოგრაფიულ ადგილზე, საიდანაც არ არის წარმოშობილი მოცემული საქონელი. დებულების გამოიყენებისათვის არ არის აუცილებელი, რომ ყალბი აღნიშვნა უშუალოდ დატანილი იქნეს საქონელზე, ვინაიდან როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი (მაგალითად, რეკლამაში) გამოყენება ექვემდებარება ასეთ სანქციას. მაგრამ მე-10(1) მუხლი არ გამოიყენება ისეთი აღნიშვნების მიმართ, რომლებიც არაა ყალბი, მაგრამ შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ მთლიანად საზოგადოება ან გარკვეული ქვეყნის საზოგადოება მაინც. მაგალითად, თუ სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე გეოგრაფიულ რაიონს ერთნაირი დასახელება აქვს, მაგრამ ამ რაიონებიდან მხოლოდ ერთია საერთაშორისო დონეზე ცნობილი კონკრეტული საქონლის მიმართ, ამ დასახელების გამოყენება იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც წარმოშობილია სხვა ადგილიდან, შეიძლება შეცდომაში შემყვანი იყოს, მაგრამ არ დაექვემდებაროს სანქციას.

11.27. რაც შეეხება სანქციებს საქონლის ყალბი წარმოშობის აღნიშვნის გამოყენების შემთხვევაში, მე-9 მუხლი აწესებს პრინციპს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ საქონელს დაედოს ყადაღა მისი იმპორტის დროს, ან აიკრძალოს მისი იმპორტი, ან ყადაღა დაედოს მას ქვეყნის შიგნით; თუ მოცემულ ქვეყანაში არ არის დაშვებული ასეთი სანქციები, მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთხვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები და საშუალებები.

11.28. მე-9(3) და მე-10(2) მუხლები განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია იმპორტზე ყადაღის დადების მოთხოვნა ან სხვა სანქციების მიყენება - პროკურორს, სხვა ნებისმიერ კომპეტენტურ ორგანოს თუ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს. მე-10(2) მუხლი ადგენს, თუ რა იგულისხმება "დაინტერესებულ მხარეში" და განსაზღვრავს, რომ "ნებისმიერი მეწარმე, მრეწველი ან ვაჭარი - იქნება იგი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც დაკავებულია მოცემული საქონ-

ლის დამზადებით, გამოშვებით ან გასაღებით და რომლის საქმეც დაფუძნებულია ისეთ ადგილზე, რომელიც ყალბ წარმოშობის ადგილად არის მითითებული, ან რეგიონში, სადაც ეს ადგილია განლაგებული, ქვეყანაში, რომელიც ყალბად არის მითითებული, ან ქვეყანაში, სადაც ყალბი წარმოშობის აღნიშვნები გამოიყენება, ყველა შემთხვევაში განიხილება როგორც დაინტერესებული მხარე".

11.29. მე-10bis მუხლი ეხება დაცვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან და უზრუნველყოფს აღრევის გამომწვევ, ყალბ ან შეცდომაში შემყვან გეოგრაფიულ აღნიშვნათა გამოყენებისაგან დაცვის საფუძველს. მე-10bis მუხლი ავალდებულებს პარიზის კავშირის ქვეყნებს, უზრუნველყონ ეფექტური დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან, ზოგადად განსაზღვრავს, თუ რა ითვლება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად და შეიცავს ქმედებათა არაამომწურავ სამი სახის ნუსხას, რომლებიც, კერძოდ, ექვემდებარებიან აკრძალვას.

10.30. მე-10ter მუხლი დაკავშირებულია იმავე საკითხებთან იმდენად, რამდენადაც იგი კავშირის სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ, ერთი მხრივ, შესაბამისი კანონიერი საშუალებები და, მეორე მხრივ, ნება დართონ დაინტერესებული მრეწველების, მეწარმეების ან ვაჭართა კავშირებსა და გაერთიანებებს, გარკვეული პირობების გათვალისწინებით განახორციელონ ქმედებები ყალბი წარმოშობის აღნიშვნის აღკვეთის მიზნით.

11.31. წარმოშობის აღნიშვნის მიმართ პარიზის კონვენციის მიერ მინიჭებული დაცვის მთავარი უპირატესობა დაცვის იმ ტერიტორიაზე გავრცელების გაფართოებაში მდგომარეობს, რომელსაც პარიზის კავშირის წევრი-ქვეყნები მოიცავს. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის წევრი-ქვეყნების რიცხვმა 140-ს მიაღწია. მეორე მხრივ, ისეთი აღნიშვნების საკითხი, რომლებიც წარმოშობის ქვეყნისაგან განსხვავებულ ქვეყნებში წარმოადგენენ პროდუქტის გვარეობით დასახელებებს, არ განიხილება პარიზის კონვენციის მიხედვით, ასე რომ, პარიზის კავშირის წევრი-სახელმწიფოები შეიძლება სრულიად თავისუფალნი იყვნენ ამ მხრივ. დაბოლოს, სანქციებს, რომლებიც სპეციალურადაა მოხსენიებული პარიზის კონვენციის ტექსტში, ყოველთვის არა აქვს სავალდებულო ხასიათი და გამოიყენება მხოლოდ ყალბი, მაგრამ არა შეცდომაში შემყვანი, წარმოშობის აღნიშვნებისათვის.

(b) მადრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბი ან შეცდომაში შემყვანი წარმოშობის აღნიშვნების აღკვეთის შესახებ

11.32. მადრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბი ან შეცდომაში შემყვანი წარმოშობის აღნიშვნების აღკვეთის შესახებ წარმოადგენს სპეციალურ შეთანხ-

მებას პარიზის კავშირის ფარგლებში. შეთანხმება მიმართულია საქონელზე არა მხოლოდ ყალბი, არამედ შეცდომაში შემყვანი წარმოშობის აღნიშვნების გამოყენების აღსაკვეთად.

11.33. მადრიდის შეთანხმების 1(1) მუხლი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ საქონელს, რომელიც ატარებს ყალბ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიუთითებს მადრიდის შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაზე ან ასეთ ქვეყანაში მდებარე ადგილზე, როგორც წარმოშობის ქვეყანაზე ან ადგილზე, უნდა დაედოს ყადაღა მადრიდის შეთანხმების ნებისმიერ მონაწილე ქვეყანაში იმპორტის განხორციელებისას.

11.34. პირველი და მეორე მუხლების სხვა პუნქტები ადგენს, თუ რა შემთხვევებში და როგორი სახით შეიძლება იქნეს მოთხოვნილი და განხორციელებული ასეთი ყადაღის დადება ან მსგავსი საშუალება. მუხლებში აშკარად არ არის გამოხატული დებულება იმის თაობაზე, რომ კერძო პირებს შეუძლიათ უშუალოდ მოითხოვონ ყადაღის დადება. ამგვარად, მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კანონმდებლობით დაავალდებულონ ასეთი პირები, მიმართონ პროკურატურას ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.

11.35. მე-3 მუხლი ნებას რთავს გამყიდველს, აღნიშნოს თავისი სახელი ან მისამართი იმ ქვეყნიდან შემოტანილ საქონელზე, რომელიც არ წარმოადგენს ქვეყანას, სადაც ხდება გაყიდვა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ავალდებულებს მას, რომ მის სახელსა და მისამართს თან ახლდეს დამზადების ან წარმოების ქვეყნის ან ადგილის ზუსტი, თვალსაჩინოდ გამოხატული მითითება ან რაიმე სხვა აღნიშვნა, რომელიც საკმარისი იქნება საქონლის ჭეშმარიტი წარმოშობის მიმართ ნებისმიერი შეცდომის თავიდან ასაცილებლად.

11.36. მე-3bis მუხლი ავალდებულებს მადრიდის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს, აკრძალონ ნებისმიერი საქონლის გაყიდვასთან, დემონსტრირებასთან ან გასაყიდად შეთავაზებასთან დაკავშირებული ყველანაირი აღნიშვნის გამოყენება, რომლითაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება საქონლის წარმოშობის მიმართ.

11.37. მე-4 მუხლი ითვალისწინებს, რომ თითოეული ქვეყნის სასამართლომ თვითონ უნდა განსაზღვროს, გვარეობითი ხასიათის გამო რომელი დასახელებები არ ექვემდებარება მადრიდის შეთანხმების დებულებებს. ამ დებულებით მოცემული არ ვრცელდება მხოლოდ ყურძნის პროდუქციის წარმოების რეგიონულ დასახელებებზე. ეს პირობა არსებითად ზღუდავს მადრიდის შეთანხმების გამოყენების სფეროს, მიუხედავად მნიშვნელოვანი გამონაკლისისა, რომელიც დაწესებულია ყურძნის პროდუქტების წარმოშობასთან დაკავშირებული რეგიონული დასახელებებისათვის, რომელთათვისაც დაცვა უპირობოა.

11.38. 1996 წლის 1 ოქტომბრის ვითარებით საქონელზე ყალბი ან შეცდომაში შემყვან წარმოშობის აღნიშვნათა აღკვეთის შესახებ მადრიდის შეთანხმების

მონაწილე იყო 31 სახელმწიფო: ალჟირი, ბულგარეთი, ბრაზილია, უნგრეთი, გერმანია, დომინიკელთა რესპუბლიკა, ეგვიპტე, ისრაელი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, კუბა, ლიბანი, ლიხტენშტაინი, მაროკო, მონაკო, ახალი ზელანდია, პოლონეთი, პორტუგალია, სან-მარინო, სირია, სლოვაკია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ტუნისი, თურქეთი, საფრანგეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი, შრილანკა, იაპონია.

(C) ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ

11.39. ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების შეზღუდული გეოგრაფიული სივრცე განპირობებულია შეთანხმების არსებითი დებულებების სპეციფიკური ხასიათით.

11.40. მე-2(1) მუხლი შეიცავს განსაზღვრას, რომლის შესაბამისად ადგილწარმოშობის დასახელება ნიშნავს "ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიულ სახელს, რომელიც გამოიყენება იქ წარმოშობილი ისეთი პროდუქტის მოსანიშნად, რომლის ხარისხი და მახასიათებლები განპირობებულია მხოლოდ ან არსებითად გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორების ჩათვლით". გამოდის, რომ ლისაბონის შეთანხმების საშუალებით შეიძლება დაცული იქნეს მხოლოდ ის სახელები, რომლებიც შეესაბამება ამ განსაზღვრას. პროდუქტის წარმოშობის უბრალო აღნიშვნები (რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი პროდუქტებისთვის, რომელთა მახასიათებლები გეოგრაფიული გარემოს შედეგი არ არის) არ მიეკუთვნება შეთანხმების მოქმედების სფეროს. ეს შეზღუდვა ხელს უშლის შეთანხმებასთან იმ ქვეყნების მიერთებას, რომლებისთვისაც ცნობილი არ არის ადგილწარმოშობის დასახელების ცნება.

11.41. განსაზღვრის პირველი ელემენტია ის, რომ ადგილწარმოშობის დასახელება უნდა იყოს ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიული სახელი. განსაზღვრის მეორე ელემენტს წარმოადგენს ის, რომ ადგილწარმოშობის დასახელება გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი პროდუქტის მოსანიშნად, რომელიც წარმოშობილია მოხსენიებული ქვეყნიდან, რეგიონიდან ან ადგილიდან. განსაზღვრის მესამე ელემენტს წარმოადგენს ის, რომ პროდუქტსა და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას შორის უნდა არსებობდეს თვისობრივი კავშირი: "ხარისხი და მახასიათებლები" განპირობებული უნდა იყოს მხოლოდ ან არსებითად გეოგრაფიული გარემოთი. თუ თვისობრივი კავშირი არასაკმარისია, ე.ი. თუ ხარისხობრივი მახასიათებლები გეოგრაფიული გარემოთი

განპირობებულია არა არსებითად, არამედ უმნიშვნელოდ, დასახელება არის არა ადგილწარმოშობის დასახელების, არამედ, უბრალოდ წარმოშობის აღნიშვნა. რაც შეეხება გეოგრაფიულ გარემოს, ის შეიცავს ბუნებრივ ფაქტორს, როგორიცაა ნიადაგი ან კლიმატი და ადამიანის ფაქტორს, როგორიცაა ამა თუ იმ გეოგრაფიულ რაიონში ჩამოყალიბებული მეწარმეთა სპეციალური პროფესიული ტრადიციები.

11.42. მიუხედავათ იმისა, რომ მე-2(1) მუხლში მოცემულია ადგილწარმოშობის დასახელებების ფართო განსაზღვრა, მას გააჩნია სერიოზული ნაკლი იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ტოპონიმებს, ჩვეულებრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ან ხელნაკეთისათვის კი არ იყენებენ, არამედ სამრეწველო ნაწარმისათვის. სირთულე წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ მე-2(1) მუხლი მოითხოვს გეოგრაფიულ გარემოსა და პროდუქტს შორის თვისებრივი კავშირის არსებობას მაშინაც, მხოლოდ ადამიანის ფაქტორი რომ ყოფილიყო საკმარისი. ეს კავშირი, რომელიც შეიძლება სამრეწველო ნაწარმის წარმოების საწყის ეტაპზე არსებულიყო, შემდეგში წესების მკაცრად დაუცველობის გამო მისი არსებობის დამტკიცება შეიძლება ძნელი გახდეს. უფრო მეტიც, შეიძლება მოხდეს წარმოების ტრადიციებისა და დახელოვნებული პერსონალის ტრადიციების გადაადგილება ერთი გეოგრაფიული რეგიონიდან მეორეში, განსაკუთრებით, ადამიანური რესურსების მზარდი მიგრაციის გამო, რასაც ადგილი აქვს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

11.43 1(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ ლისაბონის შეთანხმების მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, შეთანხმების პირობების შესაბამისად, თავის ტერიტორიაზე დაიცვან ლისაბონის შეთანხმების სხვა მონაწილე ქვეყნების პროდუქტის ადგილწარმოშობის დასახელებები, რომლებიც ასეთად აღიარებული და დაცულია წარმოშობის ქვეყანაში და რეგისტრირებულია ისმო-ს საერთაშორისო ბიუროში. ამიტომ, ლისაბონის შეთანხმების მიხედვით დაცვისათვის, ადგილწარმოშობის დასახელება უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას. პირველი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილწარმოშობის დასახელება უნდა იქნეს აღიარებული და ექვემდებარებოდეს ასეთად დაცვას წარმოშობის ქვეყანაში (უკანასკნელი განსაზღვრულია მე-2(2) მუხლში). ეს პირობა ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ქვეყნისთვის საკმარისი არ არის მისი ადგილწარმოშობის დასახელების დაცვა ჩვეულებრივი გზით. თითოეული ადგილწარმოშობის დასახელება უნდა სარგებლობდეს სპეციალური ოფიციალური აქტიდან (საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული დებულება, ან სასამართლო გადაწყვეტილება, ან რეგისტრაცია) გამომდინარე განსაკუთრებული და ზუსტად განსაზღვრული დაცვით. ასეთი ოფიციალური აქტი მოითხოვება იმიტომ, რომ განსაზღვრული უნდა იყოს დაცვის ობიექტის სპეციფიკური ელემენტები (გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ადგილწარმოშობის დასახელების კანონი-

ერი მოსარგებლე, პროდუქტის ბუნება). ლისაბონის შეთანხმების შესაბამისი ინსტრუქციის 1 პუნქტის მიხედვით, ეს ელემენტები მითითებული უნდა იყოს საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადში.

11.44. 1(2) მუხლით დადგენილი მეორე პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ადგილწარმოშობის დასახელება რეგისტრირებული უნდა იყოს ისმოს საერთაშორისო ბიუროში. თავად შეთანხმების მე-5 და მე-7 მუხლებსა და ინსტრუქციაში განმარტებულია საერთაშორისო რეგისტრაციის პროცედურა.

11.45. მე-2(2) მუხლში განსაზღვრულია წარმოშობის ქვეყანა, როგორც "ქვეყანა, რომლის სახელი ან ქვეყანა, რომელშიც მდებარე რეგიონის ან ადგილის სახელი შეადგენს ადგილწარმოშობის დასახელებას, რომელმაც შეუქმნა პროდუქტს მისი რეპუტაცია".

11.46. მე-5(1) მუხლი და ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად გამოცემული ინსტრუქციის შესატყვისი დებულებები განსაზღვრავენ საერთაშორისო რეგისტრაციის პროცედურას. საერთაშორისო რეგისტრაცია მოთხოვნილი უნდა იქნეს წარმოშობის ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ და არ შეიძლება მისი მოითხოვნა დაინტერესებულ მხარეთა მიერ. მაგრამ ეროვნული უწყება მოითხოვს საერთაშორისო რეგისტრაციას არა თავისი საკუთარი სახელით, არამედ "ნებისმიერი, საჯარო თუ კერძო, ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით, რომელსაც ადგილწარმოშობის დასახელებით სარგებლობის უფლება (titulaire du droit d'user) გააჩნია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ისმოს საერთაშორისო ბიუროს განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის ჩატარების არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნია; მას მხოლოდ ფორმალური ექსპერტიზის ჩატარება შეუძლია. ლისაბონის შეთანხმების მე-5(2) მუხლის თანახმად, საერთაშორისო ბიურო შეუფერხებლად აცნობებს რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების წევრი-ქვეყნების უწყებებს და თავის პერიოდულ ბიულეტენში Les Appellations d'origine (ინსტრუქციის მე-7 პუნქტი) აქვეყნებს ცნობებს რეგისტრაციის შესახებ. 1997 წლის იანვრისათვის ასეთი სახით რეგისტრირებულია ადგილწარმოშობის 730 დასახელება ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად, საიდანაც 717 ჯერ კიდევ მოქმედი იყო ამ თარიღისათვის.

11.47. მე-5 მუხლის მე-(3)-დან მე-(5)-მდე პუნქტების შესაბამისად, ლისაბონის შეთანხმების ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს უწყებას შეუძლია რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში განაცხადოს იმის შესახებ, რომ მას არ შეუძლია უზრუნველყოს მოცემული დასახელების დაცვა. ხსენებული ვადის გარდა, უფლება აკრძალვაზე შეზღუდულია მხოლოდ ერთი პირობით - უნდა იყოს მითითებული უარის მოტივები. ლისაბონის შეთანხმებით ამგვარად მითითებული მოტივები არ იზღუდება; ფაქტობრივად, ეს აძლევს ყველა ქვეყანას უფლებამოსილებას, რომ

საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭოს დაცვა ან უარი უთხრას დაცვის მინიჭებაზე რეგისტრირებულ ადგილწარმოშობის დასახელებას. ყველა ქვეყანაში, რომელიც არ აკეთებს განაცხადს უარის თქმის შესახებ, ადგილწარმოშობის რეგისტრირებული დასახელება სარგებლობს დაცვით. მაგრამ, თუ მესამე მხარე იყენებდა დასახელებას მოცემულ ქვეყანაში რეგისტრაციის შესახებ უწყების მიერ შეტყობინების მიღებამდე, ამ ქვეყნის უწყებას შეუძლია, ლისაბონის შეთანხმების მე-5(6) მუხლის შესაბამისად მისცეს მას მაქსიმუმ ორი წელი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეწყდეს ასეთი გამოყენება.

11.48. საერთაშორისო რეგისტრაციით მინიჭებული დაცვა შეზღუდული არ არის დროში. მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ დასახელება, რომელიც სარგებლობს სამართლებრივი დაცვით, არ შეიძლება ჩაითვალოს გვარეობითად გადაქცეულ ცნებად, ვიდრე წარმოშობის ქვეყანაში იგი დაცულია როგორც საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება. მე-7 მუხლი ითვალისწინებს, რომ რეგისტრაცია არ საჭიროებს გაგრძელებას და მოითხოვს ერთ გადასახადს. საერთაშორისო რეგისტრაცია ძალას კარგავს მხოლოდ ორ შემთხვევაში: როდესაც რეგისტრირებული დასახელება გადაიქცევა გვარეობით ცნებად წარმოშობის ქვეყანაში, ან, როცა საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმდება საერთაშორისო ბიუროს მიერ წარმოშობის ქვეყნის უწყების შუამდგომლობით.

11.49. იმ დაცვის შინაარსი, რომელიც ენიჭება ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებას, შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად, მეტად ფართოა. აკრძალულია ადგილწარმოშობის დასახელების ნებისმიერი არამართლზომიერი მითვისება ან იმიტაცია მაშინაც კი, თუ მითითებულია პროდუქტის ნამდვილი წარმოშობა ან თუ ადგილწარმოშობის დასახელება გამოიყენება თარგმნილი ფორმით, ან მას ახლავს ისეთი ტერმინები, როგორიცაა "სახეობა", “ტიპი”, “დამზადებული”, “იმიტაცია” ან სხვა მსგავსი.

11.50. ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების სამართლებრივი დაცვის აღსრულებასთან დაკავშირებით, მე-8 მუხლი მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე. იგი აზუსტებს, რომ სამართლებრივი ქმედებების განხორციელების უფლება ეკუთვნის კომპეტენტურ უწყებას და პროკურორს, ერთი მხრივ, და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული, საჯარო თუ კერძო პირი, მეორე მხრივ. პარიზის კონვენციითა და მადრიდის შეთანხმებით (მე-4 მუხლი) დადგენილ ნებისმიერ სანქციებთან ერთად გამოიყენება ყველა სანქცია, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, იქნება ეს სამოქალაქო (ამკრძალავი ნორმები, რომლებიც ზღუდავს ან კრძალავს უკანონო ქმედებებს,

ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სასამართლო დევნა და ა.შ.), სისხლის სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული. მაგრამ ლისაბონის შეთანხმება არ აწესებს სტანდარტს სანქციების მიმართ, რომლებსაც ითვალისწინებენ შეთანხმების მონაწილე ქვეყნები.

11.51. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების მონაწილე იყო შემდეგი 17 სახელმწიფო: ალჟირი, ბულგარეთი, ბურკინა-ფასო, უნგრეთი, გაბონი, ჰაიტი, ისრაელი, იტალია, კონგო, კუბა, მექსიკა, პორტუგალია, სლოვაკია, ტოგო, ტუნისი, საფრანგეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.

D. გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვა საერთაშორისო დონეზე ორმხრივ შეთანხმებათა დებულებების საფუძველზე

11.52. გეოგრაფიულ აღნიშვნათა საერთაშორისო დაცვის კიდევ ერთი შესაძლებლობა მდგომარეობს ორ სახელმწიფოს შორის ორმხრივი შეთანხმებების დადებაში. რიგმა ქვეყნებმა დადეს ასეთი შეთანხმება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1960 წლის 8 მარტის შეთანხმება გერმანიასა და საფრანგეთს შორის წარმოშობის აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებათა და სხვა გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის შესახებ (იხ. ჟურნალი "Industial property", სექტემბერი, 1974 წ., გვ. 373). როგორც წესი, ასეთი ორმხრივი შეთანხმებები შედგება გეოგრაფიულ აღნიშვნათა ნუსხებისაგან, რომლებსაც ადგენენ ხელშეკრულების დამდები მხარეები, და ვალდებულებებისაგან - დაიცვან შესაბამისი ხელშეკრულების დამდები მხარის გეოგრაფიული აღნიშვნები. ჩვეულებრივ, შეთანხმებაში მითითებულია, აგრეთვე, მინიჭებული დაცვის სახეობა. რიგმა ქვეყნებმა უკვე დადეს ამგვარი შეთანხმება. ორმხრივი შეთანხმებები მთლიანობაში სასარგებლოა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გეოგრაფიულ აღნიშვნათა საერთაშორისო დაცვის პრობლემის ეფექტურად გადაჭრა მოლაპარაკებების მრავალრიცხოვნობისა და აქედან გამომდინარე, სტანდარტების გარდაუვალ განსხვავებათა გამო.

თავი 12

დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან

A. შესავალი

12.1. არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა, როგორც სამრეწველო საკუთრების დაცვის შემადგენელი ნაწილი, დაახლოებით, ერთი საუკუნის წინ იყო აღიარებული. ეს მოხდა 1900 წელს ბრიუსელის დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელიც ეხებოდა სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის (შემდგომში - "პარიზის კონვენცია") გადასინჯვას, როდესაც ეს აღიარება პირველად აისახა კონვენციის ტექსტში 10bis მუხლის შეტანით. ბრიუსელის დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებულ თავდაპირველ ვარიანტში ეს მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული: "კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქენი (მუხლები 2 და 3) კავშირის ყველა ქვეყანაში სარგებლობენ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ისეთივე დაცვით, როგორიც ენიჭებათ კავშირში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს". რამდენიმე მომდევნო კონფერენციაზე გადასინჯვის შედეგად მუხლის ბოლო რედაქცია [პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტი (1967 წ.)]ამგვარია:

"(1) კავშირის ქვეყნები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ასეთი ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვით.

(2) კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება მეწარმეობისა და ვაჭრობის სფეროში მიღებული პატიოსანი საქმიანობის წესებს, შეადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს.

(3) კერძოდ, იკრძალება:

1. ყველა ისეთი ხასიათის ქმედება, რომელსაც შეუძლია რაიმე გზით გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის დაწესებულების, საქონლის ან სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის მიმართ.

2. კომერციული საქმიანობისას ისეთი ხასიათის ცრუ განცხადებების გაკეთება, რაც კონკურენტის დაწესებულების, საქონლის ან სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის დისკრედიტაციას იწვევს.

3. ისეთი მითითებების ან განცხადებების გაკეთება, რომელთა კომერციულ საქმიანობაში გამოყენებამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება საქონლის სახეობის, დამზადების ხერხის, მახასიათებლების, ვარგისიანობის ან რაოდენობის მიმართ".

12.2. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ძირეული განსხვავება არსებობს, ერთი მხრივ, სამრეწველო საკუთრების ობიექტების - გამოგონების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების და ა. შ. სახით - დაცვასა და, მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებისაგან დაცვას შორის. მაშინ, როცა სამრეწველო საკუთრებაზე უფლებები, როგორიცაა პატენტები, განაცხადის საფუძველზე გაიცემა სამრეწველო საკუთრების უწყებების მიერ და განცხადებულ დაცვის ობიექტზე ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლებებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა დაფუძნებულია უფლებათა არა ამგვარ მინიჭებაზე, არამედ დებულებების სახით კანონში დაფიქსირებულ ან სამართლის საერთო პრინციპით აღიარებულ მოსაზრებაზე, რომ ქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება პატიოსანი საქმიანობის პრაქტიკას, უნდა აიკრძალოს. მიუხედავად ამისა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგი შემთხვევის განხილვისას დაცვის ამ ორ სახეობას შორის კავშირი აშკარა ხდება. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში არარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის უნებართვო გამოყენება განიხილება როგორც არაკანონიერი იმ ზოგადი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც მიეკუთვნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის სფეროს (რიგ ქვეყნებში ასეთ უნებართვო გამოყენებას უწოდებენ “passing off”). არსებობს ასეთი სახის სხვა მაგალითი გამოგონებათა სფეროდან: თუ გამოგონება არ არის გახსნილი საზოგადოებისთვის და ითვლება კომერციულ საიდუმლოებად, მესამე პირთა მიერ კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ქმედების უნებართვო განხორციელება შეიძლება იყოს უკანონო. მართლაც, ზოგი ქმედების განხორციელება გამოგონების მიმართ, რომელიც გახსნილი იყო საზოგადოებისათვის, მაგრამ არ იყო დაპატენტებული ან რომელზედაც ამოიწურა პატენტის მოქმედების ვადა, რიგ სპეციფიკურ შემთხვევებში ასევე შეიძლება უკანონო იყოს (როგორც "მონური იმიტაციის" ("slavich imitation") აქტი).

12.3. ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ეფექტურად ავსებს სამრეწველო საკუთრებაზე უფლებათა დაცვას, მაგალითად, პატენტებისა და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების დაცვას, იმ შემთხვევაში, როცა გამოგონება ან ნიშანი არ არის დაცული ასეთი უფლებებით. რა თქმა უნდა, არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სხვა შემთხვევები. მაგალითად, პარიზის კონვენციის მე-10^{bis} (3) 2 მუხლში მოხსენიებული შემთხვევა, სახელდობრ, კონკურენტის მადისკრედიტებელი ცრუ განცხადებები კომერციული საქმიანობისას, როდესაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა არ ასრულებს ასეთ შემავსე-

ბელ ფუნქციას. ეს არის იმ ფაქტის შედეგი, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცნება მოიცავს მრავალ სხვადასხვა ქმედებას, რაც განხილული იქნება ქვემოთ მოყვანილ ანალიზში.

ლიტერატურა

International Bureau of VIPO, Protection Against Unfair Competention ,WIPO Pub.№ 725(E) (1994).

B. დაცვის აუცილებლობა

12.4. ბოლო წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად რიგი ქვეყნებისა ამჟამად იმყოფება საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლის პროცესში, რომელიც უშვებს როგორც სამრეწველო, ისე კომერციულ საწარმოებს შორის თავისუფალ კონკურენციას კანონით დადგენილი გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. მოვლენათა ასეთ განვითარებას ადგილი აქვს არა მხოლოდ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, არამედ რიგ განვითარებად ქვეყნებშიც. საწარმოებს შორის თავისუფალი კონკურენცია განიხილება როგორც ეკონომიკაში მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა და მთლიანად ეკონომიკის ინტერესების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალება. მაგრამ იქ, სადაც არსებობს კონკურენცია, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებს. ეს მოვლენა შეიმჩნევა ყველა ქვეყანაში და ყველა დროში არსებული პოლიტიკური ან სოციალური სისტემისაგან დამოუკიდებლად.

12.5. კონკურენციას ეკონომიკაში ზოგჯერ ადარებენ სპორტულ შეჯიბრებას, რადგან ორივე შემთხვევაში უნდა გაიმარჯვოს უკეთესმა. ეკონომიკურ შეჯიბრში გამარჯვებული იქნება ის საწარმო, რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს ყველაზე სასარგებლო და ეფექტური პროდუქციით ან ყველაზე ეკონომიური და მომხმარებლისათვის ხელსაყრელი და მისაღები პირობების მქონე მომსახურებით. მაგრამ ასეთი შედეგი შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მონაწილე ითამაშებს გარკვეული ძირითადი წესების დაცვით; მაგრამ როგორც სპორტში, შეიძლება ვინმეს აქაც სძლიოს ცდუნებამ და უგულებელყოს ეს წესები. ეკონომიკური შეჯიბრის ძირითადი წესების დარღვევამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს - დაწყებული ისეთი დარღვევებით, რომლებიც არავის აყენებს ზიანს (რაც შეიძლება ჩაიდინოს ყველაზე პატიოსანმა და ფრთხილმა მეწარმემაც კი), დამთავრებუ-

ლი ბოროტი განზრახვით ჩადენილი დარღვევით, რომლის მიზანია კონკურენტებისათვის ზიანის მიყენება ან მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანა. ასეთი დარღვევები შეიძლება გამოიხატოს ცალკეულ კონკურენტზე პირდაპირ თავდასხმაში, აგრეთვე, "არბიტრის" თვალთმაქცურ მოტყუებაში, ვის როლსაც ეკონომიკურ შეჯიბრებაში, ჩვეულებრივ, მომხმარებელი ასრულებს. მაგრამ, როგორი ფორმაც არ უნდა მიიღოს ასეთმა დარღვევებმა, მათი შეძლებისდაგვარად დროული და ეფექტური აღკვეთა პატიოსანი მეწარმის, მომხმარებლისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.

12.6. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ნაკლებად საიმედოა კეთილსინდისიერი კონკურენციის მიღწევა მხოლოდ საბაზრო მექანიზმების მოქმედების ხარჯზე. თეორიულად, მომხმარებელს, რომელიც ეკონომიკურ თამაშში არბიტრის როლში გამოდის, შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა უპატიოსნო მწარმოებელზე მისი საქონლის ან მომსახურების უგულებელყოფით და პატიოსანი კონკურენტების საქონლისა და მომსახურებისათვის უპირატესობის მინიჭებით. მაგრამ რეალობაში სხვაგვარადაა საქმე. ეკონომიკური სიტუაციის გართულებასთან ერთად მომხმარებელს სულ უფრო ნაკლები შესაძლებლობა ეძლევა, რომ იმოქმედოს როგორც არბიტრმა. ხშირად მას უნარი არ შესწევს დამოუკიდებლად გაერკვეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებში და ჰქონდეს მათზე ადექვატური რეაგირება. მართლაც, სწორედ მომხმარებელი და, მასთან ერთად, პატიოსანი კონკურენტი საჭიროებენ დაცვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან.

12.7. ზოგჯერ არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად ასახელებენ თვითრეგულირებას, მაგრამ პრაქტიკით არ დასტურდება, რომ იგი უზრუნველყოფს არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან საკმარის დაცვას. ეჭვგარეშეა, რომ საწარმოთა ასოციაციების მეშვეობით თვითრეგულირებას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი პატიოსანი საქმიანი პრაქტიკის უზრუნველყოფაში. თუ თვითრეგულირება კარგად არის განვითარებული და ფართოდ გავრცელებული, მას შეუძლია უფრო სწრაფად, ეფექტურად და ნაკლები დანახარჯებითაც კი იმოქმედოს, ვიდრე ნებისმიერმა სასამართლო სისტემამ. მაგრამ თვითრეგულირების წარმატება ან წარუმატებლობა დამოკიდებულია ეკონომიკური თამაშის ყველა მონაწილის მიერ წესების განუხრელ დაცვაზე.

12.8. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეფექტური აღკვეთის მიზნით თვითრეგულირება, ზოგიერთ სფეროში მაინც, უნდა მოხდეს უფლებების განხორციელების უზრუნველმყოფი სისტემით. მხოლოდ ასეთი სისტემით შეიძლება

პატიოსანი მეწარმის უზრუნველყოფა ისეთი პირობებით, როდესაც მისი წარმატების შანსი საკუთარ ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული, და მომხმარებლის უზრუნველყოფა ისეთი შესაძლებლობით, რომ გააკეთოს ოპტიმალური არჩევანი, რათა დაიცვას მისი შეზღუდული რესურსები ზედმეტი ხარჯებისაგან. გარდა ამისა, ასეთი სისტემა არის გარანტია გაუმჯობესებული საბაზრო გამჭვირვალობისა და მაქსიმალური ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად.

12.9. ნორმები, რომლებიც ეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და საქმიანობის შემზღუდველი პრაქტიკის აკრძალვას (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა), ურთიერთდაკავშირებულია და ორივეს მიზანია საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. თუმცა, ამის მიღწევა სხვადასხვა გზით ხდება: ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა იცავს კონკურენციის თავისუფლებას, არ უშვებს შეზღუდვებს ეკონომიკაში და ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას მაშინ, როდესაც კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ იძულებულს ხდის ყველა მონაწილეს, დაიცვას თამაშის ერთნაირი წესები, რითაც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერ ბრძოლას კონკურენტებს შორის. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ზემოაღნიშნული კანონები თანაბრად მნიშვნელოვანია და ურთიერთს ავსებს. ქვეყნებს, რომლებიც ქმნიან საბაზრო ეკონომიკის სისტემას, ესაჭიროებათ ანტიმონოპოლური კანონმდებლობა, მაგრამ კეთილსინდისიერი კონკურენციის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება დაყრდნობა მხოლოდ ანტიმონოპოლიურ კანონზე. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული ნორმების შემოღებით, რაც უზრუნველყოფს არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას.

12.10. კანონები სამრეწველო საკუთრების სფეროში, რომლებიც არეგულირებენ გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, საფირმო სახელწოდებების, გეოგრაფიული აღნიშვნების და ა.შ. დაცვას, არ არის საკმარისად ყოვლისმომცველი, რათა ბაზარზე პატიოსანი ქცევა უზრუნველყოს. უეჭველია ის ფაქტი, რომ სამრეწველო საკუთრების უფლებათა დაცვა შედის არა მხოლოდ მათი მფლობელების, არამედ მომხმარებელთა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებში და, ამრიგად, ემსახურება, აგრეთვე, კონკურენციაში კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზანს. კერძოდ, კონკურენტული პროდუქტისათვის სასაქონლო ნიშნის შესაბამისი უნებართვო გამოყენება წარმოადგენს არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის რეპუტაციის არამართლზომიერ გამოყენებას, არამედ მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანას

პროდუქტის კომერციული წარმოშობის მიმართ (და, მაშასადამე, მისი თვისებების მიმართაც). ამგვარად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის უფრო ფართო სფეროს შემადგენელ ნაწილს, და, რომ სასაქონლო ნიშნების დაცვის უზრუნველყოფა ხელს უწყობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ისეთი აქტების თავიდან აცილებას, როგორიცაა, კერძოდ, სხვისი სასაქონლო ნიშნების უნებართვო გამოყენება (Passing off), განმასხვავებლობის შესუსტება და რეკლამის შედეგების გაუფასურება. იგივე, შედარებით ნაკლები ზომით, ეხება სამრეწველო საკუთრების სხვა უფლებებსაც, როგორიცაა პატენტები, რომლებიც იცავენ გამომგონებლებს მათი შემოქმედებითი ძალისხმევის ნაყოფის არამართლზომიერი გამოყენებისაგან.

12.11. მაგრამ, მიუხედავად მიზანთა ასეთი ერთობისა, ბაზარზე პატიოსანი თამაშის უზრუნველყოფა არ შეიძლება მხოლოდ სამრეწველო საკუთრების უფლებათა დაცვის ხარჯზე. არაკეთილსინდისიერ ქმედებათა ფართო სპექტრი, როგორიცაა, მაგალითად, შეცდომაში შემყვანი რეკლამა ან კომერციული საიდუმლოების დარღვევა, ჩვეულებრივ, არ რეგულირდება კონკრეტული კანონებით სამრეწველო საკუთრების სფეროში. ამრიგად, კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ საჭიროა სამრეწველო საკუთრების შესახებ კანონმდებლობათა შესავსებად ან ისეთი დაცვის მისანიჭებლად, რისი უზრუნველყოფაც არც ერთ ამ კანონს არ შეუძლია. ამ ფუნქციის შესასრულებლად კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ უნდა იყოს მოქნილი, ხოლო დაცვა ამ კანონმდებლობის ფარგლებში არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე ფორმალობაზე, მაგალითად, რეგისტრაციაზე. კერძოდ, კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ადვილად უნდა მოერგოს ბაზარზე ქცევის ნებისმიერ ახალ ფორმას. ასეთი მოქნილობა სულაც არ გამოიწვევს მისი პროგნოზირების შეუძლებლობას. რა თქმა უნდა, კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ არასდროს იქნება ისეთივე კონკრენტული, როგორც კანონმდებლობა პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ, მაგრამ მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ეფექტური და მოქნილი სისტემის შექმნა და, ამასთან, საკმარისი პროგნოზირების უზრუნველყოფა.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, Protection Against Anfair Competention, WIPO Pub, №725(E) (1994).

C. დაცვის სამართლებრივი საფუძველი

(a) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის განვითარება

12.12. საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასულმა ყველა ქვეყანამ შეიმუშავა საქმიანობის არაკეთილსინდისიერი პრაქტიკისაგან დაცვის გარკვეული ფორმები. თუმცა, ამისათვის მათ საკმაოდ განსხვავებული მიდგომა აირჩიეს. მაშინ, როდესაც სამრეწველო საკუთრების კანონმდებლობის სხვა სფეროებში, მაგალითად, პატენტების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონებში, ჩვეულებრივ, მიღებულია, რომ ყველაზე კარგ დაცვას უზრუნველყოფს კონკრეტული და ყოვლისმომცველი საკანონმდებლო აქტები. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის სამართლებრივ ბაზას შეიძლება შეადგენდეს როგორც სამოქალაქო სამართალდარღვევათა საერთო ნორმები, ისე სპეციალური საკანონმდებლო აქტის დეტალური წესები. მიდგომებში ასეთ განსხვავებას ხშირად წმინდა ისტორიული ახსნა აქვს.

12.13. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის კონცეფცია პირველად გაჩნდა საფრანგეთში, დაახლოებით, 1850 წელს. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს არ არსებობდა არაპატიოსანი საქმიანობის არანაირი კონკრეტული აკრძალვა, საფრანგეთის სასამართლოებმა შეძლეს შეექმნათ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის ყოვლისმომცველი და ეფექტური სამართლებრივი სისტემა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის ზოგადი დებულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა ზიანის სავალდებულო ანაზღაურებას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენის შემთხვევაში. რამდენადაც კონკურენტების დაცვის პრობლემა დღესაც არსებობს, პრინციპები, რომლებიც შემუშავებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებებში საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის საფუძველზე, კვლავაც რჩება საფრანგეთში არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან სასამართლო დაცვის მთავარ საფუძვლად. მომხმარებელთა დასაცავად ჯერ კიდევ 1905 წ. ამოქმედდა კანონი პროდუქციის გასაღებისას ჩადენილ თაღლითობასთან ბრძოლის შესახებ; მას შემდეგ იგი შეივსო საკანონმდებლო

აქტებისა და დეკრეტების მნიშვნელოვანი რაოდენობით (მათ შორის, ე.წ. “როიეს კანონით” (Loi Royer") (1973), რომელიც კრძალავს შეცდომაში შემყვან რეკლამას) და კანონებით მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფის შესახებ (1978, 1989 წ.წ.).

12.14. სხვაგვარად განვითარდა სიტუაცია გერმანიაში. იმის გამო, რომ სასამართლოები უარს ამბობდნენ არაკეთილსინდისიერ საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამოქალაქო კოდექსის ნორმების გავრცელებაზე, აუცილებელი გახდა ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური კანონმდებლობის ამოქმედება. შედეგად, 1909 წელს მიღებული იქნა “კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ”, რომელიც დღემდე რჩება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების აღკვეთის საქმეში მთავარ საფუძვლად. კანონი შეიცავს ორ ზოგად დებულებას უპატიოსნო და შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის შესახებ და მათთან ერთად სპეციალურ დებულებებს, მაგალითად, კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ. უფრო მეტიც, იგი თითქმის მხოლოდ კერძო პირთა სარჩელზეა დამყარებული, რაც სასამართლო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას აძლევს კონკურენტებს, მომხმარებლებსა და მეწარმეთა ორგანიზაციებს. გერმანულმა სასამართლოებმა განსაკუთრებით კანონის 1 და 3 მუხლებში შემავალ ამ ორ ზოგად დებულებაზე დაყრდნობით, შეიმუშავა ვაჭრობაში არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმკვეთი ყოვლისმომცველი სისტემა, რომლის მიზანია არა მხოლოდ კონკურენტების, არამედ მომხმარებლებისა და მთლიანად საზოგადოების დაცვა.

12.15. სხვადასხვა იურისდიქციის მქონე ქვეყნებისაგან (ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთი ირლანდია) შემდგარი გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა სხვა გზით წავიდა. მან აირჩია მიდგომა, რომელიც ემყარებოდა საერთო სამართალსა და სამართლიანობას და არ შეიმუშავა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი. ტრადიციულად, ლიბერალური მიდგომა ისეთ საერთო ნორმათა ამოქმედების სურვილს სპობდა, რომლებიც “კეთილსინდისიერებისა” და "არაკეთილსინდისიერების" სუბიექტური გაგების შესაძლებლობას უშვებდა. ის ფაქტი, რომ 1824 წლიდან სხვისი სახელის გამოყენება (Passing off) სამოქალაქო სამართალდარღვევადაა აღიარებული, კონკურენტებისათვის საკმარის დაცვად ითვლება. შედეგად, სამოქალაქო კანონმდებლობის დაცვის საშუალებები კონკურენტებისათვის წინანდებურად დაიყვანება ცალკეულ სასამართლო საქმეზე, რომელიც განიხილება სამოქალაქო სამართალდარღვევათა არაკოდიფიცირებული პრინ-

ციპების საფუძველზე, კერძოდ, ითვალისწინებს დაცვას სხვისი სახელის გამოყენებისაგან, ცილისწამების ან კონფიდენციალური საიდუმლოების გახმაურებისგან. მეორე მხრივ, დებულებები მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი ქმედებისაგან დაცვის შესახებ მიღებული იყო ჯერ კიდევ 1862 წ. შემდეგ იგი თანდათანობით შეივსო მთელი რიგი დამოუკიდებელი ნორმატიული აქტებით მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, 1968 წლის კანონი კომერციული საქმიანობის შესახებ, 1973 წლის კანონი კეთილსინდისიერი ვაჭრობის შესახებ, 1971 და 1975 წლების კანონები საქონლისა და მომსახურების რეკლამირებისა და 1987 წლის კანონი მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ. 1984 წლის EC დირექტივის შესრულების მიზნით 1988 წ. მიღებული იყო დებულებები შეცდომაში შემყვანი რეკლამის კონტროლის შესახებ. გარდა ამისა, აღიარებულია თვითრეგულირების რიგი წესების მოქმედება რეკლამის სფეროში.

12.16. ისევე, როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ განვითარდა სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, განსაკუთრებით, საერთო სამართლის იმ ნორმის საფუძველზე, რომელიც სხვისი სახელის გამოყენებით გამოწვეულ სამოქალაქო სამართალდარღვევას (Passing-off) ეხება. ისევე, როგორც გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-შიც არ იყო და არც არის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამოქალაქო სამართალდარღვევათა ყოვლისმომცველი საერთო სამართლის არანაირი ნორმები. მიუხედავად ამისა, შტატებს შორის ვაჭრობაში საკუთარი პროდუქტის შესახებ ცრუ განცხადებების საწინააღმდეგო შეზღუდული სამართლებრივი ნორმები მაინც იქნა გათვალისწინებული იყო 1946 წლიდან, სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის (ლენხემის კანონის) 43 (a) მუხლის სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ დებულებათა საფუძველზე. 1988 წ. ეს ნორმა გაფართოვდა, რათა მოეცვა სხვა პირთა საქონლის ან მომსახურების შესახებ ცრუ ან შეცდომაში შემყვანი განცხადებებიც. გარდა ამისა, 1914 წელს შეიქმნა ფედერალური სააგენტო - ვაჭრობის ფედერალური კომისია (ვფკ), რომელსაც გააჩნდა შტატებს შორის ვაჭრობაში არაკეთილსინდისიერი ან შეცდომაში შემყვანი ქმედებების სასამართლო დევნის ფართო უფლებამოსილება. მაგრამ ვფკ-ს შესახებ კანონის 5 (a) მუხლი სასამართლო დევნის ნებას არ აძლევს დაზარალებულ კონკურენტებს ან მომხმარებლებს, მაშინ, როდესაც არაკეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო აქტები (ჩვეულებრივ, შექმნილი ვფკ-ს შესახებ კანონის საფუძველზე), რომლებიც მიიღო ყველა

შტატმა XX საუკუნის მეორე ნახევარში, ხშირად აძლევს დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას, მიმართონ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად.

12.17. ზემომოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს რაოდენ სხვადასხვა გზით განვითარდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა სხვადასხვა ქვეყანაში. უკანასკნელ დროს მრავალმა ქვეყანამ მიიღო სპეციალური კანონმდებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით ან შეცვალა ადრე მოქმედი კანონები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ამ სფეროში ახალ საკანონმდებლო ინიციატივათა შორის შეიძლება აღინიშნოს 1986 წელს შვეიცარიაში მიღებული კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ, რომელიც შეიცავს ფართო ზოგად ნორმებს და დეტალურ წესებს, რომლებიც არეგულირებენ სპეციფიკურ ურთიერთობებს ბაზარზე, მაგალითად, მონურ იმიტაციას (Slavish imitation). 1990 წელს უნგრეთმა მიიღო კანონი არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის აღკვეთის შესახებ, რომლითაც რეგულირდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საკითხები; 1991 წლის ესპანეთის კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ შეიცავს დეტალურ ნორმებს მომხმარებლებისა და კონკურენტების საზიანო პრაქტიკის მიმართ; დაბოლოს, 1991 წელს ბელგიამ მიიღო კანონი კომერციული პრაქტიკისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლის დაცვის პრობლემას.

(b) საერთაშორისო დაცვა: სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მე-10bis მუხლი

12.18. პარიზის კონვენციის 1(2) მუხლი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას მოიხსენიებს სამრეწველო საკუთრების დაცვის სხვა ობიექტებთან ერთად, როგორიცაა გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, საფირმო სახელწოდებები და წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, ხოლო მე-10bis მუხლი შეიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დებულებას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ. ამგვარად, პარიზის კონვენციის მონაწილე ასზე მეტ ქვეყანაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვის საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებიც.

12.19. პარიზის კონვენციის მე-10bis (1) მუხლის თანახმად, კავშირის ქვეყნები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვა. კონვენციის მე-10ter მუხლი, გარდა ამისა, ითვალისწინებს ვალდებულებას, უზრუნველყოს "დაცვის სათანადო საშუალებები". კერძოდ, გატარებული უნდა იქნეს ღონისძიებები, რომლებიც დაინტერესებული მრეწველების, მეწარმეების, პროდუსერების ან ვაჭრების კავშირებსა და გაერთიანებებს შესაძლებლობას მისცემს, იმოქმედონ სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით იმ პირობით, რომ ეს არ ეწინააღმდეგება შესაბამისი ქვეყნის კანონებს და არ სცილდება ეროვნული ასოციაციებისათვის ჩვეულებრივ მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

12.20. პარიზის კონვენციის მე-10bis (2) მუხლი არაკეთილსინდისიერ კონკურენციას განსაზღვრავს როგორც კონკურენციის ყველანაირ აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება პატიოსანი ქცევის წესებს მეწარმეობასა და კომერციაში. ასეთი განმარტება შესაძლებლობას აძლევს ეროვნულ სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ "კომერციული პატიოსნების" ცნება. პარიზის კავშირის ქვეყნებს გააჩნიათ, აგრეთვე, შესაძლებლობა, გაითვალისწინონ ზოგიერთი ქმედებისაგან დაცვა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეები არ არიან ერთმანეთის კონკურენტები.

12.21. პარიზის კონვენციის მე-10bis (3) მუხლი იძლევა იმ "კერძო" შემთხვევათა სამ მაგალითს, რომლებიც ექვემდებარება აკრძალვას. ეს მაგალითები განხილული უნდა იქნეს არა როგორც ამომწურავი, არამედ როგორც მინიმალური დაცვა, რომლის უზრუნველყოფაც ყველა წევრი-სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენს. პირველი ორი - აღრევა და ცრუ მტკიცებები - შეიძლება განვიხილოთ როგორც კონკურენციის შესახებ კანონის, კერძოდ, კონკურენტების დაცვის მარეგულირებელი სამართლის „ტრადიციული" სფეროს კუთვნილება. მესამე მაგალითი - შეცდომაში შეყვანა, რომელიც ითვალისწინებს როგორც კონკურენტების, ისე მომხმარებლების ინტერესებს, დამატებული იყო 1958 წ. კონვენციის გადასინჯვის თაობაზე გამართულ ლისაბონის კონფერენციაზე.

12.22. პარიზის კონვენცია მე-10bis და მე-10ter მუხლების გარდა შეიცავს რიგ დებულებებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებისაგან დაცვასთან უფრო ფართო გაგებით არიან დაკავშირებულნი, განსაკუთრებით, სასაქონლო ნიშნებსა და საფირმო სახელწოდებებთან მიმართებაში. მაგალითად, მე-6sexies და მე-8 მუხლები უზრუნველყოფენ, შესაბამისად, მომსახურების ნიშნებისა და საფირმო სახელწოდებების დაცვას. მე-10bis (3) მუხლის ნორმა,

რომელიც არ ითვალისწინებს უშუალოდ საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ აღნიშვნის დაცვას, ამ უკანასკნელზე ვრცელდება მე-10 და მე-9 მუხლების საფუძველზე. პარიზის კონვენციის ფარგლებში დადებული სპეციალური შეთანხმებები, კერძოდ, მადრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბი ან შეცდომაში შემყვანი წარმოშობის აღნიშვნების აკრძალვის შესახებ და ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, ორმხრივ ხელშეკრულებებთან ერთად, სპეციალურად გეოგრაფიულ აღნიშვნათა საერთაშორისო დაცვისათვისაა გათვალისწინებული.

(c) ეროვნული დაცვა: არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობისადმი სამი მთავარი მიდგომა

12.23. პარიზის კონვენციის მე-10bis (1) მუხლის შესაბამისად პარიზის კავშირის წევრი - ქვეყნები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვა. თუმცა, ისინი არ არიან ვალდებულნი, მიიღონ სპეციალური კანონმდებლობა ამისათვის, მაგრამ მათ, თუნდაც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, უნდა უზრუნველყონ ეფექტური დაცვა ყველა აქტისგან, "რომელიც ეწინააღმდეგება კომერციული საქმიანობის პატიოსან წესებს", და, განსაკუთრებით, საქმიანობის ისეთი სახეობებისაგან, რომლებიც აღნიშნულია მე-10bis (3) მუხლში. შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი მიდგომა ზემოაღნიშნულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისადმი.

"მუხლი 9

(1) ყველა ისეთი საქონელი, რომელიც უკანონოდ ატარებს სასაქონლო ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას, ექვემდებარება ყადაღას კავშირის იმ ქვეყნებში იმპორტისას, სადაც ეს ნიშანი ან საფირმო სახელწოდება სარგებლობს კანონიერი დაცვის უფლებით.

(2) ასევე ხდება ყადაღის დადება იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა უკანონო ნიშანდება, ან იმ ქვეყანაში, სადაც საქონელი იქნა იმპორტირებული.

(3) ყადაღის დადება ხდება პროკურორის ან სხვა ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს ან დაინტერესებული მხარის, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მოთხოვნით ყოველი ქვეყნის შინაგანი კანონმდებლობის შესაბამისად.

(4) უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არ არიან, დაადონ ყადაღა საქონელს ტრანზიტის შემთხვევაში.
(5) თუ ქვეყნის კანონმდებლობა არ უშვებს ყადაღის დადებას იმპორტისას, ყადაღა შეიძლება შეიცვალოს იმპორტის აკრძალვით ან ყადაღის დადებით ქვეყნის შიგნით.
(6) თუ ქვეყნის კანონმდებლობა არ უშვებს არც ყადაღის დადებას იმპორტირებისას, არც იმპორტის აკრძალვას, არც ქვეყნის შიგნით ყადაღის დადებას, მაშინ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე, ეს ზომები იცვლება ისეთი ქმედებებითა და საშუალებებით, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ მოცემული ქვეყნის კანონის საფუძველზე მისმა მოქალაქეებმა.

მუხლი 10

(1) წინა მუხლის დებულებები ვრცელდება საქონლის წარმოშობის ან მისი მწარმოებლის, მეწარმის ან მოვაჭრე პირის შესახებ ყალბი აღნიშვნის პირდაპირი ან არაპირდაპირი გამოყენების შემთხვევაში.
(2) დაინტერესებულ მხარედ მიიჩნევა ნებისმიერი მწარმოებელი, მეწარმე ან მოვაჭრე, იქნება იგი იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომელიც აწარმოებს, ამზადებს ან ასაღებს პროდუქტს, ადგილზე, რომელიც ყალბად არის მითითებული პროდუქტის წარმოშობის აღნიშვნად, ან რეგიონში, სადაც ეს ადგილი მდებარეობს, ან ყალბად მითითებულ ქვეყანაში, ან ქვეყანაში, სადაც გამოყენებულია ყალბი წარმოშობის აღნიშვნა.”

(i) სპეციალურ კანონმდებლობაზე დამყარებული დაცვა

12.24. ზოგიერთმა ქვეყანამ აამოქმედა სპეციალური კანონები ან სპეციალური დებულებები უფრო ფართო კანონების ფარგლებში, რომლებიც, ზოგჯერ ზოგადი ხასიათის საკანონმდებლო აქტების დებულებებთან ერთად (როგორიცაა სამოქალაქო კოდექსი) ეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის საკითხებს. ასეთი აქტები ითვალისწინებს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სანქციებს და შეიცავს ფართო ზოგად დებულებებს (ხშირად პარიზის კონვენციის მე-10^{bis} (2) მუხლის მიხედვით), რომლებიც შევსებულია დეტალური წესებით არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის კონკრეტული ფორმების შესახებ. ისინი, როგორც წესი, ითვალისწინებენ სამოქალაქო, ხოლო ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში სისხლის სამართლის

სანქციებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებიდან მრავალმა აამოქმედა დამატებითი კანონები იმ ქმედებათა მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია ზოგიერთ საქონელთან (კვების პროდუქტები, წამლები და ა.შ.), მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან (ტელეხედვა) ან მარკეტინგულ საქმიანობასთან (საჩუქრები, ჯილდო), კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ მაინც რჩება დაცვის მთავარ სამართლებრივ ბაზად ასეთი სახის საკანონმდებლო აქტებში. ხშირად დაცვის მოცულობა გაფართოებულიც კი იყო იმ დაშვებით, რომ ნებისმიერი სხვა კანონის დარღვევა შეიძლება განიხილებოდეს როგორც არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობა, რადგან კანონმორჩილ მეტოქესთან კონკურენციაში ეს იძლევა დაუმსახურებელ უპირატესობას. ზოგიერთ ქვეყანაში კონკურენციის შესახებ სპეციალური კანონის კონცეფცია იქცა ბაზარზე ქცევის შესახებ უფრო ზოგადი კანონის მიღების ან ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან მისი დაკავშირების აუცილებლობის მოსაზრებად, რაც ისეთი საკანონმდებლო აქტების ამოქმედებით უნდა მომხდარიყო, რომლებიც შეხებაში იქნებოდნენ როგორც თვით კონკურენციის ინსტიტუტთან, ასევე კონკურენციის კეთილსინდისიერებასთან.

(ii) დაცვა, რომელიც დამყარებულია ზოგად სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობებზე და/ან „სხვისი სახელის გამოყენებისა" და კომერციული საიდუმლოების შესახებ კანონებზე

12.25. სამოქალაქო - სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც მისდევენ პატიოსანი ბიზნესმენის ინტერესების დაცვის პრინციპს, ასეთ დაცვას, ჩვეულებრივ, ანიჭებენ ზოგად სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. ქვეყნების მეორე ჯგუფში, რომელიც მისდევს საერთო სამართლის ტრადიციებს, სხვისი სახელის გამოყენებასა და კომერციული საიდუმლოების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ (თავდაპირველად მაინც) განხილული საქმეები რჩება კონკურენტების დაცვის მთავარ სამართლებრივ საფუძვლად. რიგმა ქვეყნებმა, რომლებიც შედიან ორივე ზემოაღნიშნულ ჯგუფში, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სფეროში დამატებით მიიღო ცალკეული კანონები, რომლებითაც არეგულირებენ ბაზარზე არასასურველი ქცევის შემთხვევებს, როგორიცაა შეცდომაში შემყვანი რეკლამა, ფასების შედარება, ლატარიები, თამაშები და პრიზები; ასეთი კანონები არსებითად დამოუკიდე-

ბელია სამოქალაქო სამართლის ან საერთო სამართლის პრინციპების ფარგლებში კონკურენტების დაცვის საკითხებისაგან.

(iii) ზემოაღნიშნული ორი მიდგომის კომბინაცია

12.26. პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნების უმრავლესობა, ისინიც კი, რომლებიც თავდაპირველად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საკითხების დარეგულირებას ზოგად სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის მეშვეობით ცდილობდნენ, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპების, პრეცედენტული სამართლისა და სპეციალური კანონების კომბინაციას ითვალისწინებენ. ფედერალური სტრუქტურის მქონე მრავალ ქვეყანაში საკანონმდებლო ხელისუფლების გაყოფამ ფედერაციასა და მასში შემავალ ფედერალურ სუბიექტებს შორის გამოიწვია დაცვის სხვადასხვა ფორმის კიდევ უფრო რთული კომბინაცია. ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში ფედერალურ საკანონმდებლო ხელისუფლებას არანაირი იურისდიქცია არ გააჩნია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირების სფეროში, რადგან იგი განიხილება როგორც შტატის საერთო სამართლის სამოქალაქო სამართალდარღვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ სახელმწიფოებში დაცვას ანიჭებენ შტატები, როგორც წესი, ამ დაცვის მექანიზმი უკეთესადაა დამუშავებული, ვიდრე მაშინ, როდესაც ეს ხდება ფედერალურ დონეზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, საერთო სამართლის საშუალებათა შეზღუდული შესაძლებლობები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დასაცავად თავიდან გაზრდილი იქნა ფედერალური დონის ადმინისტრაციული ორგანოს შექმნით (ვაჭრობის ფედერალური კომისია - ვფკ), ხოლო მოგვიანებით, სასაქონლო ნიშნების შესახებ ფედერალური კანონის (ლენჰემის კანონი) დებულების (მუხლი 43(a)) შეცდომაში შემყვან რეკლამასთან დაკავშირებული ქმედებების ფართო ნაირსახეობებზე განვრცობის გზით. მაგრამ ყველაზე პროგრესული რეგულირება მოხერხდა სხვადასხვა შტატის მიერ აშშ-ში მიღებული ნორმატიული აქტებით, როგორიცაა "კანონები ბიზნესის შესახებ", "ვფკ-ს მცირე კანონები", "კანონები მომხმარებელთა დაცვის შესახებ" და სხვა.

(d) სასამართლო პრაქტიკის როლი

12.27. მიუხედავად ზემოაღნიშნული სხვადასხვა მიდგომისა, ყველა ქვეყანა, რომელმაც შემოიღო არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტური დაცვა, დიდ ყურადღებას აქცევს კანონთა აღსრულებას და, როგორც წესი, სასამართლოებს მოქმედებათა მნიშვნელოვან თავისუფლებას ანიჭებს.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე. სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ ზოგად დებულებაში მოცემული მოკლე ფორმულირება შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული ეფექტური სამართლებრივი სისტემის განვითარებისათვის, მაშინ, როდესაც ყველაზე შთამბეჭდავად დაწერილ საკანონმდებლო აქტს შეუძლია მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის რეგულირების ნათელი და დეტალური წესები უსარგებლოა: ბოლოს და ბოლოს მას გამაფრთხილებელი გავლენა მაინც ექნება ბაზარზე ქცევის მიმართ; მაგრამ სასამართლოების მიერ ასეთი რეგულირების წესების აქტიური რეალიზაციის გარეშე მათ შედეგი არ ექნებათ. კონკურენციის მუდმივად ცვალებად სამყაროში ყველაზე წინდახედულ კანონმდებელსაც კი არ შეუძლია, განჭვრიტოს მომავალში ბაზარზე არაკეთილსინდისიერი ქცევის ყველა შესაძლო ფორმა და უნდა დაეყრდნოს სასამართლოების მიერ კანონის განმარტებას. ამიტომ, მრავალმა ქვეყანამ ბაზარზე გაბატონებული პრაქტიკის ზოგიერთი სახეობის წინააღმდეგ მიმართული თავისი კონკრეტული ნორმები შეავსო საერთო დებულებებით, რომლებიც ნებას აძლევს სასამართლოებს, არააკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის ახალი ფორმები შეიტანონ ზოგად სისტემაში.

D. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტები

(a) ზოგადი განსაზღვრა

12.28. პარიზის კონვენციის მე-10bis (2) მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ჩაითვლება „კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება პატიოსანი ქცევის წესებს". მრავალმა ქვეყანამ, რომელთაც აქვთ სპეციალური კანონები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, მიიღო ასეთივე ან მსგავსი განსაზღვრებანი თავის ზოგად ნორმებში და იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა - "პატიოსანი ვაჭრობის პრაქტიკა" (ბელგია, ლუქსემბურგი), „კეთილსინდისიერების პრინციპი" (ესპანეთი და შვეიცარია), „პროფესიული კორექტულობა" (იტალია) და "ზნეობრიობა" (გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი). სპეციალური კანონმდებლობის არარსებობისას სასამართლოების მიერ კეთილსინდისიერი კონკურენცია განისაზღვრა როგორც „პატიოსანი და კეთილსინდისიერი კომერციული საქმი-

ანობის პრინციპები" ან „საბაზრო ურთიერთობების მორალური ნორმები” (აშშ).

12.29. აშკარაა, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრა როგორც აქტებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება „პატიოსანი ვაჭრობის პრაქტიკას”, „კეთილსინდისიერებას” და ა.შ., არ აწესებს ქცევის მკაცრ საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს, ვინაიდან გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა საკმაოდ ბუნდოვანია. კონკურენციაში “კეთილსინდისიერების” ან „პატიოსნების” ნორმა სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციოლოგიური, ეკონომიკური და მორალურ-ეთიკური პრინციპების ასახვა, რომლებიც შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყანაში (ზოგჯერ ქვეყნის შიგნითაც). ეს სტანდარტები შეიძლება შეიცვალოს დროის მიხედვითაც. გარდა ამისა, მუდმივად ჩნდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების ახალი სახეობები, რადგან ამ სფეროში გამომგონებლობას აშკარად არანაირი ზღვარი არ გააჩნია. კონკურენციის ყველა არსებული და მომავალი აქტების ერთ, ყოვლისმომცველ ისეთ განსაზღვრებაში მოქცევის ნებისმიერ მცდელობას, რომელიც ერთდროულად განსაზღვრავდა ყველა აკრძალულ ქცევას, იქნებოდა საკმაოდ მოქნილი და ექნებოდა საბაზრო პრაქტიკის ახალ სახეობებთან შეგუების უნარი, დღემდე არ გამოუღია შედეგი.

12.30. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცნების ზოგადი განსაზღვრების შემუშავება, და, რომ ყველაზე კარგი იქნება ბაზარზე არაკეთილსინდისიერი ქცევის კონკრეტული მაგალითების ჩამოთვლა. ამის საპირისპიროდ არსებობს რიგი ასპექტებისა, რომლებიც ნათლად ადგენენ, თუ საქმიანობის რომელი სახეა “კეთილსინდისიერი” და რომელი - “არაკეთილსინდისიერი”.

12.31. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კომერციული ქცევის ზოგი სახეობა ყოველთვის (ან, როგორც პარიზის კონვენციის მე-10bis (3) მუხლი მიაკუთვნებს მას "კერძო" შემთხვევას) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტია. ამ აქტებიდან ყველაზე ცნობილია ის ქმედებები, რომლებიც შეცდომაში შემყვანი აღნიშვნების გამოყენებაში მდგომარეობს და იწვევს აღრევას ან დისკრედიტაციას. არაკეთილსინდისიერი კომერციული ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი (მაგრამ არა ამომწურავი) ამ მაგალითების საერთო ნიშანია მეწარმის მცდელობა, მისი პროდუქციისა და მომსახურების ხარისხისა და ფასის თვალსაზრისით წარმატებული იყოს კონკურენციაში არა საკუთარ მიღწევებზე დაყრდნობით, არამედ, უფრო მეტად, სხვისი საქმიანობიდან დაუმსახურებელი უპირატესობის მიღებით ან მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე ყალბი ან

შეცდომაში შემყვანი განცხადებების მეშვეობით. ამგვარად, კონკურენციის კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, ასეთი მეთოდების გამოყენების პრაქტიკა იმთავითვე საეჭვოა.

12.32 კიდევ ერთი მოსაზრებაა აღსანიშნავი სუბიექტურობასთან დაკავშირებით, რომელიც გააჩნია არაკეთილსინდისიერ ქმედებას. ერთი შეხედვით, ცნება "პატიოსნება" მიეკუთვნება ზნეობრივი სტანდარტების სფეროს და იგი უეჭველად მოიცავს რაღაც სახის სამართლებრივ-ეთიკურ სტანდარტსაც. მაგრამ იგი უნდა განვასხვაოთ საკითხისაგან, შეიძლება თუ არა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედება დადგინდეს ბრალის, არაკეთილსინდისიერების ან დაუდევრობის არარსებობის შემთხვევაში. იქ, სადაც კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ განვითარდა ზოგად სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ დებულებების საფუძველზე, ,,არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამოქალაქო სამართალდარღვევის" დადგენა ხდება ზოგიერთი ისეთი სუბიექტური ელემენტის არსებობისას, როგორიცაა "ბრალი" ან "არაკეთილსინდისიერება". თუმცა, პრაქტიკაში ბრალის ან არაკეთილსინდისიერების ელემენტის არსებობას სასამართლო ხშირად გულისხმობს. ამგვარად, ასეთი სუბიექტური ელემენტები არსებითი არ არის კონკურენციის პირობებში კეთილსინდისიერების ცნების განსაზღვრისათვის. მართლაც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტის დასადგენად უპირატესად ობიექტური მიდგომა გამოიყენება; ხოლო სუბიექტური პირობები შეიძლება რელევანტური იყოს სასჯელის ზომის დადგენისას. ზოგჯერ ასეთი ობიექტური მიდგომა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონისადმი ნათლად არის ასახული კანონმდებლობაში. მაგალითად, ესპანეთის 1991 წლის კანონში გამოყენებულია გამოთქმა ,,ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებას ობიექტური გაგებით".

12.33. ბაზარზე "არაკეთილსინდისიერების" განსაზღვრისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი თვით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის მიზნიდან გამომდინარეობს. დასაწყისში შექმნილი კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ მიზნად პატიოსანი ბიზნესმენის დაცვას ისახავდა. შემდგომში აღიარებულ იქნა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია მომხმარებლის ინტერესების დაცვა. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მთლიანად საზოგადოებისა და, კერძოდ, თავისუფალი კონკურენციისადმი მისი ინტერესის დაცვას. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სფეროში სამართალის თანამედროვე ნორმები ემსახურება სამმაგ მიზანს, კერძოდ: კონკურენტების ინტერესების დაცვას,

მომხმარებელთა ინტერესების დაცვასა და, მთლიანად საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურენციის შენარჩუნებას. შვეიცარიის 1986 წლისა და ესპანეთის 1991 წლის კანონებში ნათქვამია, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ სამართლის ნორმების მიზანია კეთილსინდისიერი და ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია უნდა განისაზღვროს, ფუნქციურადაც, კერძოდ, საბაზრო ოპერაციებში მონაწილე ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

12.34. ერთ-ერთ ასეთ, ყოველთვის "დაინტერესებულ" მხარეს წარმოადგენს პატიოსანი ბიზნესმენი. ვინაიდან თავდაპირველად სამართალის ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ შეიქმნა პატიოსანი ბიზნესმენის დასაცავად, ლოგიკურია, რომ ბიზნესმენის ქცევის ნორმები გახდა ამოსავალი წერტილი. ამგვარად, ქცევა, რომელიც ყველა ბიზნესმენის მიერ მიჩნეულია არაწესიერად, არ შეიძლება, ჩაითვალოს კონკურენციის „კეთილსინდისიერ" აქტად.

12.35. მეორე მხრივ, ზოგი ქცევა, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია კომერციული საქმიანობის ერთ რომელიმე სფეროში, შეიძლება საბაზრო ოპერაციების სხვა მონაწილეთა მიერ განიხილებოდეს როგორც "არაწესიერი". ასეთ შემთხვევებში აუცილებელია ქცევის არსებული ნორმების გარკვეული ეთიკური კორექტირება. ეთიკური ნორმა, კერძოდ, გვიკარნახებს, რომ არ უნდა მოხდეს მომხმარებელთა ინტერესების შესუსტება, მაგალითად, უტყუარობის (რასაც ეყრდნობა მომხმარებელი თავის გადაწყვეტილებებში) პრინციპებისადმი უპატივცემულობით, მომხმარებელთა წაქეზებით ანტისოციალური ან სოციალურად საზიანო ქცევისკენაც კი, ან მათ პირად ცხოვრებაში შეჭრით.

12.36. უფრო მეტიც, შეიძლება ზოგ ქცევას, რომელსაც, ერთი შეხედვით, არც სხვა მეწარმისათვის, არც მომხმარებლისათვის ზიანი არ მოაქვს, არასასურველი შედეგი მოჰყვეს მთლიანად ეკონომიკაში. მაგალითად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქონლის დემპინგურ ფასებში გაყიდვამ შეიძლება მოსპოს მცირე და საშუალო ბიზნესი, რაც უარყოფითად იმოქმედებს თავისუფალ კონკურენციაზე. თუ ეს ეკონომიკური ასპექტები გათვალისწინებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონში, ასეთი ქცევა ხშირად აშკარად კვალიფიცირდება, როგორც „არაკეთილსინდისიერი".

12.37. საქმიანობაში „პატიოსნების" განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი. პრაქტიკაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონცეფცია თანდათანობით მივიდა ინტერესთა ბალან-

სამდე. "კეთილსინდისიერებისა" და „არაკეთილსინდისიერების" შეფასებაში განსხვავება ზოგადად იმით აიხსნება, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს განსხვავებული მნიშვნელობები ენიჭება. მაგალითად, ბაზარზე ქცევის ზოგი კონკრეტული სახეობა შეიძლება სხვადასხვაგვარად განიხილებოდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ტრადიციული კანონმდებლობის მქონე ქვეყნებში, სადაც წინანდებურად ყურადღების ცენტრშია პატიოსანი კონკურენტის დაცვა, და ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომხმარებელთა და მთლიანად საზოგადოების ინტერესების დაცვას.

12.38. ამასთანავე, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ მაინც არსებობს ქცევის გარკვეული სახეები, რომლებიც ყოველთვის იქნება შეუთავსებელი კონკურენციაში კეთილსინდისიერების ცნებასთან. ასეთი შემთხვევები ვრცლად არის განხილული ქვემოთ.

(b) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების სახეობები

12.39. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების კლასიფიცირება შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა გზით იმისდა მიხედვით, თუ რა კრიტერიუმებია გამოყენებული, ან მოცემული აქტის ან ქცევის ფორმის რა ასპექტს ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება. აქტი, რომელიც მიჩნეულია როგორც „არაკეთილსინდისიერი", ხშირად ჩადენილია რთულ გარემოებებში, რომლებიც მოქმედ ან ფართოდ გავრცელებულ ნორმათა საფუძველზე თხოულობენ ყურადღებით განხილვასა და შეფასებას. აქტი შეიძლება არაკეთილსინდისიერად იქნეს მიჩნეული რამდენიმე თვალსაზრისით მის დასახასიათებლად შერჩეული მიდგომის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე აქტი შეიძლება ეკუთვნოდეს ორ ან რამდენიმე სახეობასაც კი. ამგვარად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების არავითარი სისტემატიზაცია ან კლასიფიკაცია არ იძლევა გამოყენებული კონცეფციებისა და კატეგორიების გარკვეული ხარისხით ურთიერთგადაფარვის თავიდან აცილების საშუალებას.

12.40. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების სახეობებად დაყოფისა და მათი განხილვის გაადვილების მიზნით წინამდებარე გამოკვლევაში შეიძლება გამოვყოთ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების ორი ფართო ჯგუფი, სახელდობრ, აქტები, რომლებიც მიეკუთვნებიან პარიზის კონვენციის მე-10^{bis} მუხლში პირდაპირ მითითებულ სახეობებს, და აქტები, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული მე-10^{bis} მუხლში.

12.41. მე-10^{bis} (3) მუხლი შეიცავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების არაამომწურავ ნუსხას, რომელშიც შედის ასეთი აქტების სამი სახეობა, სახ-

ელდობრ, ქმედებები, რომლებსაც შეუძლიათ აღრევის გამოწვევა; ქმედებები, რომლებიც სახელს უტეხენ კონკურენტს; და ქმედებები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. პირველ რიგში განვიხილავთ ქმედებებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აღრევა ან საზოგადოების შეცდომაში შეყვანა იმის გამო, რომ ისინი მსგავსია და ზოგჯერ ემთხვევა კიდეც ერთმანეთს, შემდეგ კი - კონკურენტების დისკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტებს.

12.42. არსებობს ქმედებათა მთელი რიგი, რომლებიც არ არის აღნიშნული პარიზის კონვენციის მე-10bis მუხლში, თუმცა სასამართლოების მიერ აღიარებულია როგორც არაკეთილსინდისიერი საქმიანობა და თანდათანობით იქცნენ საკანონმდებლო დებულებათა ობიექტად. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თაობაზე კანონებში სპეციალურ დებულებათა შეტანის საფუძველზე კომერციული საიდუმლოების დაცვის ტენდენცია და, აგრეთვე, შედარებითი რეკლამის საქმიანობის მართვის შესახებ დებულებათა მუდმივი განვითარება. გარდა ამისა, მიუხედავად სამრეწველო საკუთრებაზე განსაკუთრებული უფლებების არსებობისა, სულ უფრო ხშირად ხდება კონკურენტების მიერ სხვისი მიღწევების არამართლზომიერი მითვისებისაგან ("მიტაცება" - "misappropriation" ან "თავისუფალი თარეში" - "free riding") დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის აღიარება იმ პირობით, რომ ასეთი ქმედებები, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, არაკეთილსინდისიერ აქტად ჩაითვლება.

(c) ქმედებები, რომლებიც იწვევენ აღრევას

(i) ზოგადი გარემოებები, რომლის დროსაც ადგილი აქვს აღრევას

12.43. პარიზის კონვენციის მე-10bis (3) მუხლი ავალდებულებს მონაწილე ქვეყნებს, აკრძალონ ყველა ქმედება, რომელსაც ამა თუ იმ ხერხით შეუძლია კონკურენტის საწარმოს, პროდუქციის ან სამეწარმეო ან სავაჭრო საქმიანობის მიმართ აღრევის გამოწვევა. მე-10bis (3)1 მუხლის მოქმედების სფერო მეტად ფართოა, რადგან იგი მოიცავს ნებისმიერ ქმედებას კომერციულ საქმიანობაში ისეთი ქმედების ჩათვლით, რომელიც ეხება ბიზნესმენის მიერ გამოყენებულ სასაქონლო ნიშანს, აღნიშვნას, ეტიკეტს, დევიზს, შეფუთვას, საქონლის ფორმას ან ფერს, ან მის განმასხვავებელ ნებისმიერ სხვა ნიშანს. ამგვარად, აკრძალვას ექვემდებარება არა მხოლოდ აღრევა საქონლის, მომსახურების ან კომერციული საქმიანობის განმასხვავებელი აღნიშვნების მი-

მართ, არამედ აღრევა თვით საქონლის გარეგანი სახისა და მომსახურების გაწევის ხერხების მიმართაც. მაგალითად, იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2598(1) მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც იყენებს სახელწოდებებს ან განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აღრევა ისეთ სახელწოდებებთან ან განმასხვავებელ ნიშნებთან, რომლებზედაც უფლება ეკუთვნის სხვა პირს, ან ახდენს კონკურენტის პროდუქტის მონურ იმიტაციას (slavish imitation) ან ნებისმიერი სხვა ხერხით იწვევს აღრევას კონკურენტის სახელწოდების, ნიშნების, პროდუქციის ან საქმიანობის მიმართ, ჩადის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს. ანალოგიურად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ესპანეთის კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს აღრევა სხვა პირის მოღვაწეობის, მიღწევების ან ბიზნესის მიმართ, მომხმარებლებში კომერციული წყაროს მიმართ ასოციაციის აღძვრის შესაძლებლობის ჩათვლით, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება. საერთო სამართლის ტრადიციების მქონე ქვეყნებში "სხვისი სახელის გამოყენების" (passing off) კონცეფცია საკმაოდ ფართოა იმისთვის, რომ უზრუნველყოს ყველა სახის აღნიშვნის, მითითების, პროდუქტებისა და სხვა ობიექტების დაცვა აღრევისაგან.

12.44. პარიზის კონვენციის მე-10bis (3) მუხლის მიხედვით, აღრევის გამოწვევის "განზრახვა" არაარსებითია იმის დასადგენად, არის თუ არა ასეთი აქტი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი. მაგრამ იმიტატორის მხრივ ბოროტი განზრახვის არსებობა შეიძლება გახდეს სანქციების გამოყენების საფუძველი. გარდა ამისა, არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებით სარჩელის შესატანად აუცილებელი არ არის აღრევის ფაქტის დადგენა; ხშირად საკმარისია აღრევის შესაძლებლობის არსებობა. დაბოლოს, აღრევისაგან დაცვა უზრუნველყოფილია დროში რაიმე შეზღუდვების გარეშე. იგი მოქმედებს მანამ, სანამ იარსებებს აღრევის შესაძლებლობა, მაგრამ იმ პირობით, რომ შესაბამის ბაზარზე კონკურენცია არ ჩაიხშობა და შენარჩუნებული იქნება იმ მითითებათა გამოყენების საკმარისი თავისუფლება, რომლებიც არ იწვევენ სხვა საქონელთან, მომსახურებასა და წარმოებასთან აღრევას. მაგრამ, როგორც კი საბაზრო ბრუნვაში მყოფი ობიექტი გვარეობითი ან საყოველთაოდ ცნობილი ხდება, იგი კარგავს თავის ორიგინალობას ან განმასხვავებლობას და აღრევის შესაძლებლობის განსაზღვრა უფრო ძნელდება.

12.45. ხშირად აღრევას ადგილი აქვს ორ მთავარ სფეროში. ეს არის კომერციული წარმოშობის მითითება, ერთი მხრივ, და საქონლის გარეგანი სახე - მეორე მხრივ. მიუხედავად ამისა, ეს ხელს არ უშლის და არ ზღუდავს სხვა ატრიბუტბების ან მიღწევების დაცვას აღრევისაგან.

(ii) აღრევის სახეობები

12.46. აღრევის დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით. აღრევის ყველაზე ელემენტარულ სახეობასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც მსგავსი ნიშანი იმდენად ჰგავს დაცულ ნიშანს, რომ ამას შეუძლია გამოიწვიოს აღრევა მნიშვნელოვანი რაოდენობის საშუალო მომხმარებლებში საქონლის ან მომსახურების კომერციული წყაროს მიმართ. აღრევის განსაზღვრისას ხშირად განიხილავენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა დაცული ნიშნის განმასხვავებლობის ხარისხი, მისი მფლობელის საქმიანობის მასშტაბები და რეპუტაცია, მომხმარებელთა ინფორმირების დონე და, რა თქმა უნდა, სასაქონლო ნიშნებისა და საქონლის ან მომსახურების მსგავსება. მრავალ ქვეყანაში აღრევის ცნება არ დაიყვანება მხოლოდ უბრალო აღრევამდე საქონლის და მომსახურების კომერციული წყაროს მიმართ, არამედ ვრცელდება აღრევათა იმ შემთხვევებზეც, რომლებიც ერთი და იმავე სასაქონლო ნიშნის ან მსგავსი სასაქონლო ნიშნების ორ მოსარგებლეს შორის მჭიდრო საქმიანი კავშირის არსებობის, ე.ი. ერთი საწარმოს მეორესთან მიერთების შთაბეჭდილებას ქმნის. მაგრამ იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება ერთმანეთთან აშკარად დაუკავშირებელ ან აბსოლუტურად განსხვავებულ საქონელზე, ჩვეულებრივ, არ ექვემდებარება აღრევისაგან დაცვას, ვინაიდან საქონლის ან მომსახურების აშკარა განსხვავება მომხმარებელს უქმნის შთაბეჭდილებას მათი განსხვავებული წარმოშობისა და მოსარგებლეთა შორის კონკრეტული საქმიანი კავშირის არარსებობის შესახებ.

12.47. აღრევის მესამე სახეობას, რომელზედაც მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატების ლენჰემის კანონის 43-ე (a) და კომერციული საქმიანობის შესახებ ავსტრალიის კანონის 53-ე მუხლები, უწოდებენ სპონსორობის მიმართ აღრევას. ასეთი სახის აღრევის შემთხვევაში მომხმარებლები მიიჩნევენ, რომ საქონელსა და მომსახურებას სხვადასხვა წარმოშობა აქვს, და, რომ ორ საწარმოს შორის არ არის ისეთი აქტიური და ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა ერთი საწარმოს მეორესთან მიერთების შთაბეჭდილების შექმნის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მომხმარებელმა, რომელიც ითვალისწინებს ნიშანთა მსგავსებას, იმ

პროდუქტებისა და მომსახურების სახეობას, რომლებისთვისაც გამოყენებულია ნიშანი, და იმას, თუ როგორ აკეთებს ამას მეორე მოსარგებლე, შეიძლება ივარაუდოს, რომ მეორე მოსარგებლის მიერ დაცული ნიშნის გამოყენება ხდება შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მას გარკვეული დროით აძლევს ამ ნიშნის გამოყენების უფლებას. აღრევის ასეთ ტიპს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც მესამე პირი დეკორატიული მიზნით იყენებს ნიშანს (ნებართვის გარეშე) თავის საქონელზე. მაგრამ, წარმოშობის მიმართ და ერთი საწარმოს მეორესთან მიერთების შთაბეჭდილებით გამოწვეული აღრევისაგან განსხვავებით, აღრევის მოცემულ, მესამე სახეობას არ გააჩნია სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში დაცვის სრულად ჩამოყალიბებული საფუძვლების მქონე ისეთივე სტატუსი, როგორიც აქვს სხვა სახეობებს, რადგან მისი ზუსტი იურიდიული ფარგლები ჯერ კიდევ განსაზღვრის პროცესშია.

12.48. აღრევის ასეთი კონცეფცია შეიძლება მიესადაგოს ე.წ. "სარეკლამო" ("publicity") უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია კულტურის, მასობრივი ინფორმაციის ან სპორტის ცნობილი მოღვაწეების სახელებთან, და, აგრეთვე, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გმირების "კომერციული მიზნით გამოყენებაზე" ("merchandising") უფლებებს. ეს უფლებები ეხება მარკეტინგის შედარებით ახალ მეთოდებს, როდესაც საწარმო განსაზღვრული დროით იღებს "ლიცენზიას" გარკვეული მოღვაწეების ან გმირების სახელების ან გარეგნული იერსახის გამოყენებით მათი პოპულარობისა და რეპუტაციით სარგებლობაზე, რათა უზრუნველყოს "ლიცენზიატთა" საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის სტიმულირება. მომხმარებლები, როგორც წესი, შეცდომაში იქნებიან შეყვანილნი საქონელზე ან მომსახურებაზე ცნობილი მოღვაწის ან გმირის სახელის ან გარეგნული სახის გამოყენებით; ისინი მიიჩნევენ, რომ თვით ცნობილმა მოღვაწემ ან გმირზე უფლებების მფლობელმა, ნება დართო თავისი ან გმირის სახელის ან სახის გამოსახულების გამოყენებაზე, რომლებიც შეიძლება რეგისტრირებული ნიშნებიც იყოს.

(iii) აღნიშვნასთან დაკავშირებული აღრევა

12.49. აღრევის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნიშანი, სიმბოლო ან გამოსახულება, რომელიც აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას საქონლის ან მომსახურების გარკვეული კომერციული წყაროს შესახებ მაშინაც კი, თუ წარმოშობის წყაროს სახელწოდება უცნობია. მაშასადამე, აღნიშვნა შეიძლება

იყოს ორგანზომილებიანი ან სამგანზომილებიანი ნიშნები, ეტიკეტები, ლოზუნგები, შეფუთვა, ფერები ან მელოდიები, მაგრამ არა მხოლოდ ესენი. აღნიშვნების მიმართ აღრევისგან დაცვა უკვე შესაძლებელია სასაქონლო ნიშნების, მომსახურების ნიშნებისა და საფირმო სახელწოდებების შესახებ სპეციალური კანონების მიხედვით. მაგრამ ეს დაცვა ხშირად სხვადასხვა სახით არის შეზღუდული. შეზღუდვები შეიძლება ეხებოდეს სპეციალური კანონის გამოყენებადობას გარკვეული სახის აღნიშვნებისათვის ან დაცვის ზუსტ ფარგლებს. ამგვარად, თუ სპეციალური კანონმდებლობა არ იძლევა აღრევისაგან სრული დაცვის შესაძლებლობას, ჯერ კიდევ საჭირო იქნება დაცვის უზრუნველყოფა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის საფუძველზე. ეს ეხება პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის შესაბამისად საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების მიმართ აღრევისაგან დაცვასაც.

12.50. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობა საზოგადოდ შეზღუდულია აღნიშვნათა გარკვეული სახეობებით. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ არ ვრცელდება ლიტერატურულ ნაწარმოებთა სახელწოდებებზე ან ფილმების დასახელებებზე, პროდუქტის გარეგან სახეზე, მაღაზიების ინტერიერზე, ფერებზე ან ფერთა კომბინაციებზე ან საქონლის მორთულობაზე. რაც შეეხება მომსახურების ნიშნებს, ქვეყანათა უმრავლესობას აქვს ასეთი ნიშნების სასაქონლო ნიშნების მსგავსად რეგისტრაციის სისტემები, ხოლო ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ასეთი სისტემა, დაცვისათვის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი ნორმების გამოყენება არის საჭირო. ამასთან, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნები აღიარებულია და ხდება მათი რეგისტრაცია, გარკვეული ფორმები შეიძლება ამოღებულ იქნეს დაცვის სფეროდან. ასე, მაგალითად, ევროგაერთიანების (EC) დირექტივა სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობათა დაახლოების თაობაზე პირდაპირ იღებს დაცვიდან საქონლის ისეთ ფორმას, რომელიც განპირობებულია მხოლოდ მისი ბუნებით, გარეგნულ სახეს, რომელიც მხოლოდ ტექნიკური ან სამრეწველო დანიშნულებით არის განპირობებული, და კონფიგურაცია, რომელიც სძენს საქონელს მის არსებით ღირებულებას. ანალოგიურ შედეგამდე მივყავართ "ფუნქციურობის" დოქტრინის გამოყენებას, რომელმაც განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

12.51. გარდა ამისა, კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ ზოგჯერ ითვალისწინებს მხოლოდ იმ ნიშნების დაცვას, რომლებიც შესაბამისად რეგისტრირებული იყო მოცემულ ქვეყანაში. ამასთან დაკავშირებით, პარიზის

კონვენციის მე-6bis მუხლი გამონაკლისს აკეთებს საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნებისათვის, რომლებსაც არ სჭირდება რეგისტრაცია იმ ნიშნებთან შესაძლო აღრევისაგან დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების ასლებს ან იმიტაციას და გამოიყენებიან იდენტური ან მსგავსი პროდუქტების მიმართ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება საყოველთაოდ ცნობილი იყოს ქვეყანაში მის რეგისტრაციამდე ან გამოყენებამდეც კი, მაგალითად, რეკლამის მოქმედების შედეგად ან სხვა ქვეყნებში მისი რეპუტაციის გამო.

12.52. კანონმდებლობას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ შეუძლია უზრუნველყოს ისეთი აღნიშვნებისა და ნიშნების მიმართ აღრევისაგან დაცვა, რომელთა დაცვა არ ხდება სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის ფარგლებში. მაგრამ აღნიშვნათა დაცვის შესაძლებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება იმ მოსაზრებებზე, რის გამოც სპეციალური კანონმდებლობის მიხედვით არარეგისტრირებულ აღნიშვნებს დაცვა არ გააჩნია. თუ სპეციალური კანონმდებლობა პრინციპში ითვალისწინებს აღნიშვნის დაცვას, მაგრამ ეს აღნიშვნა არ აკმაყოფილებს მის არსებით მოთხოვნებს, დაცვის დაბალანსებული სისტემის პირობებში არალოგიკური იქნებოდა ამ აღნიშვნისათვის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დაცვის იმავე დონის მინიჭება, რომლის მიღებაც მას შეეძლო სპეციალური კანონის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, აღრევისაგან დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშვნას ან ნიშანს, რომელიც ექვემდებარება დაცვას, გააჩნია საკმარისი განმასხვავებლობა, რათა შესაძლებელი იყოს მოცემული ბიზნესმენის პროდუქტების, მომსახურების ან საქმიანობის სხვა სახეობების გარჩევა სხვა ბიზნესმენების ასეთივე ან მსგავსი საქმიანობისაგან. მაგრამ ნიშანთა რეგისტრაციის სისტემის სტიმულირების მიზნით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ზოგიერთი კანონი მოითხოვს არარეგისტრირებული აღნიშვნების დაცვისათვის განმასხვავებლობის მინიმალურზე მეტ დონეს. მაგალითად, კორეის რესპუბლიკის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ კანონის მე-2(1) მუხლი მოითხოვს, რომ აღნიშვნა იყოს „ფართოდ ცნობილი", რასაც რიგ შემთხვევებში შეუძლია ფაქტობრივი დაცვის მოქმედება ერთ კონკრეტულ რეგიონამდე დაიყვანოს.

12.53. იმ აღნიშვნის განმასხვავებლობის ხარისხი, რომელიც არ არის დაცული სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის ფარგლებში, ფასდება იმავე კრიტერიუმებით, რომლებიც გამოიყენება რეგისტრირებული ნიშნების მიმართ, მათ შორის, აღნიშვნის არსით და გარეგანი სახით, აგრეთვე, იდენტური ან მსგავს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აღნიშვნების მიმართ მისი ორიგინალურობით. მაგრამ განმასხვავებლობის არარსებობის შემთხვევაშიც კი (მაგალითად, კონკრეტული საქონლის ან მომსახურებისთვის მითითების აღწერილობითი ხასიათის გამო) იგი შეიძლება დაცული იყოს, თუ მან შეიძინა "განმასხვავებლობა" გამოყენების გზით", ან მიიღო მეორადი მნიშვნელობა ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა. მეორადი მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ნიშანს ბაზარზე მისი ხანგრძლივი და განსაკუთრებული გამოყენების შედეგად მომხმარებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა იცნობს და ამ ნიშნით აღნიშნულ საქონელს კონკრეტულ კომერციულ წყაროს უკავშირებს. გერმანიაში, მაგალითად, სასაქონლო ნიშანი “4711”, რომელსაც ხმარობენ სუნამოსათვის, მიჩნეული იყო საკმაო განმასხვავებლობის მქონედ იმის გამო, რომ საზოგადოება ამ ნიშანს ასოციაციით უკავშირებდა წარმოშობის განსაზღვრულ წყაროს. პრაქტიკაში მეორადი მნიშვნელობის ხარისხი განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების ბაზრით და ამ საქონლისა და მომსახურების მიმართ აღნიშვნის აღწერილობითობის დონით. საკმარისი განმასხვავებლობის მისაღწევად მეორადი მნიშვნელობის დონე (ან მომხმარებელთა პროცენტული წილი) იცვლება სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით. ზოგ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ან ბაზარზე მომხმარებელთა რეაქციის შესწავლის შედეგები ხშირად იძლევა იმ ემპირიულ მონაცემებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მეორადი მნიშვნელობის ხარისხის განსაზღვრა, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში სასამართლოებს თვითონ გამოაქვთ გადაწყვეტილება აღნიშვნების განმასხვავებლობის საკმარისობის შესახებ.

12.54. მეორადი მნიშვნელობის დასადგენად ტარდება ანალიზი, აგრეთვე, იმ აღნიშვნათა მიმართ, რომლებიც სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობით პირდაპირ გამოირიცხებიან დაცვის სფეროდან. მაგალითად, საქონლის კონფიგურაციამ ან ფორმამ, რომლებიც სასაქონლო ნიშნის შესახებ კანონმდებლობათა დაახლოებასთან დაკავშირებული EC დირექტივის შესაბამისად ამოღებულია დაცვიდან, შეიძლება შეიძინოს მეორადი მნიშვნელობა მომხმარებელთა შორის კონკრეტულ ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში აღრევისაგან დაცვა გამართლებულია, რადგან მომხმარებლებს შეუძლიათ შეცდომით გადაწყვიტონ, რომ ასეთივე კონფიგურაციის სხვა საქონელი დამზადებულია

პირველი მეწარმის მიერ. ამასთან, ყოველთვის ადვილი არ არის მეორადი მნიშვნელობის საჭირო დონის დადგენა, რადგან მომხმარებელმა საქონლის კონკრეტული კონფიგურაცია უნდა აღიაროს როგორც მითითება კონკრეტულ წყაროზე. თუ აღნიშვნა ამოღებულია სპეციალური კანონმდებლობის გავრცელების სფეროდან როგორც ისეთი ობიექტი, რომელსაც უარი უნდა ეთქვას დაცვაზე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა მას აქვს წმინდა აღწერილობითი ხასიათი, სავსებით შესაძლებელია, რომ მას უარი ეთქვას დაცვაზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზეც.

12.55. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში დაცვის მოცულობის შეზღუდვას შეიძლება შედეგად მოჰყვეს აღნიშვნების აღრევისაგან დაცვის უზრუნველყოფა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობა, როგორც წესი, რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს ანიჭებს დაცვას პოტენციურად აღრევის გამომწვევი ნებისმიერი გამოყენებისაგან, შესაძლებელია ჯერ კიდევ არსებობდეს განსხვავება აღრევისაგან დაცვის ზუსტ ფარგლებთან დაკავშირებით. მაგალითად, დაცვა ერთნაირი ან მსგავსი ნიშნის გამოყენებისაგან შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ საქონელით ან მომსახურებით, რომლებისთვისაც რეგისტრირებულია ეს ნიშანი. თუ რაიმე ნიშანი, რომელიც რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, გამოიყენება სხვა საქონლის ან მომსახურებისათვის და ასეთმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს აღრევა, დაცვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით ან სხვისი სახელის გამოყენების ("Passing off") პრინციპების საფუძველზე. ჩვეულებრივ, სასაქონლო ნიშნების დაცვა იდენტური ან მსგავსი ნიშნების გამოყენებისაგან ხდება არა მხოლოდ ერთნაირი საქონლის ან მომსახურებისათვის, არამედ მსგავსი საქონლისა და მომსახურებისთვისაც. დაცვის ასეთი ტიპი დამყარებულია პრინციპზე, რომელსაც ზოგჯერ „სპეციალიზაციის პრინციპს" უწოდებენ, რადგან დაცვა დაკავშირებულია სასაქონლო ნიშნის უპირველეს ფუნქციასთან, განასხვაოს ერთი საწარმოს საქონელი კონკურენტებისა და საბაზრო ოპერაციათა სხვა მონაწილეების საქონლისაგან. ამგვარად, თუ სასაქონლო ნიშნის დაცვა შეუძლებელია იმის გამო, რომ საქონელი ან მომსახურება განიხილება როგორც არამსგავსი (თუმცა წარმოშობის მიმართ აღრევა ფაქტობრივად შესაძლებელია), აღრევისაგან დაცვის მოთხოვნა შეიძლება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესა-

ხებ კანონმდებლობის მიხედვით მოხდეს. მაგრამ სასაქონლო ნიშნების შესახებ ზოგიერთ კანონში აღრევის ალბათობა განიხილება, როგორც დაცვის განსაკუთრებული კრიტერიუმი იმის საფუძველზე, რომ საქონლის ან მომსახურებების მსგავსება არის არა გადამწყვეტი, არამედ მხოლოდ ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. სამართლებრივი დაცვის ასეთი სახეობა მოიცავს აღრევის ყველა სახეობას.

12.56. კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება აღნიშვნათა მსგავსების დასადგენად, ზოგიერთი უმნიშვნელო განსხვავების გამოკლებით, ერთნაირია მთელ მსოფლიოში. განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინება ნიშნების გამოსახულების, ჟღერადობისა და არსის (ან სიტყვიერი თარგმანის) საერთო ელემენტები, მაგრამ გადამწყვეტია ერთიანი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს იგი მომხმარებელზე მოცემულ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებაში. მასობრივი მოხმარების საქონლის შემთხვევაში საშუალო მომხმარებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ნიშნების ინდივიდუალურ ელემენტებს. იმის გამო, რომ ორი ნიშანი, როგორც წესი, არ განიხილება გვერდიგვერდ დეტალურად, პრაქტიკაში აღნიშვნებს შორის მსგავსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება. სხვადასხვა საქონლისა ან მომსახურების მსგავსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, განიხილავს თუ არა მომხმარებელი მათ როგორც ერთი და იმავე წარმოშობის წყაროს მქონე საქონელს ან მომსახურებას. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ისინი ფუნქციურად ურთიერთშემცვლელნი ან კონკურენტულნი იყვნენ.

12.57. აღრევისაგან დაცვა ზოგჯერ მეტად შეზღუდულია ე.წ. საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებისა და, კერძოდ, მაღალი რეპუტაციის მქონე ნიშნებისათვის. პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლი ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს, განახორციელონ ამ ქვეყნებში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვა მსგავსი სასაქონლო ნიშნების პოტენციურად აღრევის გამომწვევი ნებისმიერი გამოყენებისაგან, მაგრამ ეს ვალდებულება მოქმედებს მხოლოდ იდენტური ან მსგავსი საქონლის მიმართ. რიგ შემთხვევებში საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების უნებართვო გამოყენებას განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისათვის შეუძლია მაინც გამოიწვიოს აღრევა მომხმარებლებში. მაგალითად, თუ ნიშანი გამოიყენება ფართო ასორტიმენტის პროდუქციისათვის, ხდებოდა მისი აქტიური რეკლამირება და საყოველთაოდ ცნობილია მფლობელის განსაკუთრებული რეპუტაციის წყალობით, მომხმარებლები ასეთ ნიშანს დაუკავშირებენ გარკვეულ წარმოშობასა და ხარისხს, და არა კონკრეტულ საქონელს ან მომსახურებას. ასეთმა ასოციაციამაც შეიძლება გამოიწვიოს აღ-

რევა. მე-6bis მუხლი არ ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს გაფართოებული დაცვის მინიჭებას, მაგრამ ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონი. პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის შინაარსის გასათვალისწინებლად საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ნიშანი "საყოველთაოდ ცნობილი" მოცემულ ქვეყანაში, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით. როგორც წესი, გარკვეულ დროსა და ადგილზე სასაქონლო ნიშნის ცნობილობა ეფუძნება დაინტერესებულ კომერციულ წრეებსა და მომხმარებელთა ჯგუფებს შორის მის რეპუტაციასა და იმიჯს. გარდა ამისა, ხშირად მხედველობაში იღებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ნიშნის დამახასიათებელი განმასხვავებლობა, მოცემულ ქვეყანაში გამოყენების ხანგრძლივობა, რეკლამის მოცულობა და სხვა ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და დამკვიდრებული ასოციაციური კავშირი კონკრეტულ საქონელთან ან მომსახურებასთან.

12.58. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის მიხედვით მსგავსი ნიშნების გამოყენებად მიიჩნევა მისი გამოყენება უშუალოდ სასაქონლო ნიშნის ანუ როგორც მითითება საქონლისა და მომსახურების წარმოშობის კომერციულ წყაროზე. მაგალითად, გამოყენება გაფორმების მიზნით, როგორიცაა ნიშნის გამოყენება სარეკლამო მასალებზე ან უბრალოდ ნაკეთობის (მაგ. კალმისტრის ან საფერფლის) მოსართავად ან რაიმე პროდუქტის (მაგ. ქალის საყურის) კონფიგურაციისათვის სასაქონლო ნიშნის ფორმის გამოყენება ყოველთვის არ შედის სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის ფარგლებში. მაგრამ ასეთი გამოყენებისაგან დაცვა შეიძლება განხორციელდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში. სასაქონლო ნიშნების შესახებ ისეთი კანონის მაგალითად, რომელიც ამ თვალსაზრისით უზრუნველყოფს ფართო დაცვას, შეიძლება მოვიყვანოთ 1971 წ. ბენილუქსის ერთიანი კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, რომელიც იძლევა ფორმულირებას დაცვისუნარიანი სასაქონლო ნიშნების ფართო განსაზღვრებას და უზრუნველყოფს დაცვას სხვა პირთა მიერ იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშნების ნებისმიერი სახის გამოყენებისაგან იმის ჯეროვანი დასაბუთების გარეშე, რომ მათ შეუძლიათ ზიანის მიყენება სასაქონლო ნიშნის მფლობელისათვის.

12.59. კომერსანტებზე ან ბიზნესმენებზე მითითებების უნებართვო გამოყენებისაგან დაცვის ანალოგიურ შეზღუდვებს შეიძლება შევხვდეთ საფირმო სახელწოდებების დაცვის სფეროში. საფირმო სახელწოდებები ეხმარება მომხ-

მარებლებს, გააიგივონ ან განასხვაონ ერთი საწარმო და მისი კომერციული საქმიანობა სხვა საწარმოებისა და მათი კომერციული საქმიანობისაგან. პარიზის კონვენციის მე-8 მუხლი ავალდებულებს საფირმო სახელწოდებების დაცვას პარიზის კავშირის ყველა ქვეყანაში და, ამასთან, არ იძლევა არავითარ ახსნა-განმარტებას მისი დაცვის ხერხებისა და სახეობების შესახებ. მიუხედავად ამისა, საფირმო სახელწოდებები დაცული უნდა იყოს განაცხადის სავალდებულო შეტანისა და რეგისტრაციის გარეშე. ბევრი ქვეყანა უკვე იცავს საფირმო სახელწოდებებს აღრევის საშიშროებისაგან. საფირმო სახელწოდებების დაცვა ხორციელდება როგორც სპეციალური კანონის, ისე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის, სამოქალაქო კოდექსის, მეწარმეთა შესახებ კანონის ან სავაჭრო სამართლის სპეციალურ დებულებათა საფუძველზე. როგორც ზოგადი წესი, დაინტერესებულ საწარმოთა შორის პირდაპირი კონკურენტული დამოკიდებულება არ არის გადამწყვეტი, მაგრამ მნიშვნელოვანია, იმის განსაზღვრისათვის, შეიძლება თუ არა ერთნაირი ან მსგავსი საფირმო სახელწოდების გამოყენებამ მომხმარებელში გამოიწვიოს აღრევა საწარმოების ან მათი ურთიერთდამოკიდებულების მიმართ. ზოგჯერ ადრინდელი საფირმო სახელწოდების გამოყენებისაგან დაცვა სცილდება კონკრეტული სფეროს ფარგლებს და სასამართლოები ხშირად მხედველობაში იღებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა კომერციული პრაქტიკა ან საწარმოს საქმიანობისა და საქონლის ასორტიმენტის გაფართოების შესაძლებლობა. ამგვარად, აღრევისაგან საფირმო სახელწოდებების დაცვის სფერო ზოგჯერ უფრო ფართოა, ვიდრე სასაქონლო ნიშნების დაცვის სფერო სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის მიხედვით.

(iv) აღრევა პროდუქტის ფორმის მიმართ

12.60. მომხმარებელში აღრევა შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტის ფორმამაც. თუ პროდუქტის ფორმა ისე კარგადაა ცნობილი, რომ მომხმარებლები მას კონკრეტულ კომერციულ წარმოშობას უკავშირებენ (მაგალითად, „კოკა-კოლას" ბოთლი), იგი შეიძლება განიხილებოდეს როგორც დაცული აღნიშვნა.

12.61. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ რიგ ქვეყნებში არსებობს სპეციალური კანონმდებლობა სამრეწველო ნიმუშების დასაცავად, რომელიც ავსებს ან ენაცვლება ე.წ. „გამოყენებითი ხელოვნების" ნაწარმოებთა საავტორო უფლების ფარგლებში დაცვას. ასეთი კანონმდებლობა, ჩვეულებრივ, კრძალავს ერთნაირი ან მსგავსი პროდუქტებისათვის ერთნაირი ან მსგავსი გარეგანი სახის გამოყენებას. მაგრამ, ისევე, როგორც სასაქონლო ნიშნების შესახებ კა-

ნონმდებლობის შემთხვევაში, სამრეწველო ნიმუშების დაცვას სპეციალური კანონების საფუძველზე ასევე გააჩნია სხვადასხვა შეზღუდვა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ასეთი შეზღუდვები შეიძლება ეხებოდეს როგორც სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონის ზოგად გამოყენებას პროდუქტების ზოგი გარეგანი სახის მიმართ, ისე დაცვის ზუსტ ფარგლებს, რომელსაც ანიჭებს სპეციალური კანონმდებლობა. თუ, მაგალითად, ნაკეთობის ზედაპირის მორთულობა დაცულია, როგორც სამრეწველო ნიმუში, მხოლოდ იმ პროდუქტების მიმართ, რომლებისთვისაც იგი იყო რეგისტრირებული, ნიმუშის დაცვა კოპირებისაგან (სხვა პროდუქტებზე დეკორატიული მიზნით გამოსაყენებლად) შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში, თუკი კოპირებული ნიმუში შეცდომაში შემყვანია ან იწვევს აღრევას კომერციული წარმოშობის მიმართ.

12.62. უშუალოდ პროდუქტების აღრევისაგან დაცვასთან დაკავშირებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონების მოთხოვნათა უმრავლესობა დადგენილია საპრეცედენტო სამართლის საფუძველზე, რაც ხშირად ხორციელდება "მონური იმიტაციის" (slavish imitation) მითითებით. ამასთან, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამ სახეობასთან დაკავშირებით ხშირად ამტკიცებენ, რომ თავისუფალი ბაზრისათვის დამახასიათებელი პრინციპები ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს აძლევს დიზაინის ან პროდუქტების სხვა ფორმის, გარეგანი სახის ან ვიზუალური მახასიათებლების კოპირების ნებას, თუ ისინი არ არის დაცული სპეციალური კანონმდებლობით, მაგალითად, კანონებით პატენტების, საავტორო უფლების, სამრეწველო ნიმუშების ან სასაქონლო ნიშნების შესახებ. ამ სპეციალური კანონებიდან ზოგი პირდაპირ გამორიცხავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობის საფუძველზე ისეთი დამრღვევი ქმედებებისაგან დაცვას, რომლებიც პირდაპირ მოცულია სპეციალური საკანონმდებლო აქტით, მაგალითად, თუ მოცემული დიზაინი შეიძლება დაცული ყოფილიყო ასეთი კანონმდებლობით. სამრეწველო ნიმუშების შესახებ 1975 წლის ბენილუქსის ერთიანი კანონის მე-14(5) მუხლი, მაგალითად, გამორიცხავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით სასამართლო დევნას დაცვისუნარიანი სამრეწველო ნიმუშების მიმართ, რომლებიც შეიძლებოდა დაქვემდებარებოდნენ დაცვას სათანადო რეგისტრაციის შემთხვევაში. ამგვარად, პროდუქტის ფორმის მიმართ აღრევის მხოლოდ საშიშროება არ კმარა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის დასადგენად, როდესაც სამრეწველო ნიმუშის დაცვის უზრუნველყოფა

შესაძლებელია სპეციალური კანონის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პროდუქტის იმიტაციისაგან დაცვასაც. მეორე მხრივ, პროდუქტის ფორმის მიმართ აღრევის საშიშროება შეიძლება საკმარისი იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე დაცვის მისაღებად, თუ დიზაინი, მიუხედავად გარკვეული ორიგინალობისა, არ შეიძლება ყოფილიყო რეგისტრირებული იმის გამო, რომ არ აკმაყოფილებდა შესაბამისი კანონის სხვა მოთხოვნებს, ან, თუ განაცხადი შეტანილია, მაგრამ რეგისტრაცია ჯერ არ შემდგარა.

12.63. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტის დიზაინი, ფორმა ან სხვა არაფუნქციური მახასიათებელი მომხმარებლების მიერ მნიშვნელოვანწილად უკავშირდება გარკვეულ წყაროს ან წარმოშობას, აღრევის საშიშროება პროდუქტის წარმოშობის მიმართ, როგორც წესი, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი. იმის დადგენა აქვს თუ არა აღრევას ადგილი იმიტაციის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს იმავე ფაქტორებზე დაყრდნობით, რაზედაც ადრე იყო გამახვილებული ყურადღება აღნიშვნების აღრევასთან დაკავშირებით, ანუ იმ საკითხის შესწავლის საფუძველზე, შეიძინა თუ არა საკმარისი მეორადი მნიშვნელობა პროდუქტის დამახასიათებელმა თავისებურებებმა და ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს შესაბამისი დიზაინების მსგავსების საფუძველზე. ზოგიერთ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ აღრევის საშიშროება წარმოშობის მიმართ შეიძლება შემცირდეს დამატებითი აღნიშვნების ხარჯზე, მაგალითად, კარგად დასანახი წარწერის გამოყენებით, რომელიც გამორიცხავს იმის დაშვების შესაძლებლობას, რომ მოცემული პროდუქტი ან მომსახურება დაკავშირებულია გარკვეულ წარმოშობასთან. მაგრამ ასეთი აღნიშვნა იშვიათად მიიჩნევა, როგორც საკმარისი აღრევის რისკის შესამცირებლად.

12.64. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონს ასევე შეუძლია უზრუნველყოს აღრევისაგან დაცვა პროდუქტის კომერციული წარმოშობის მხრივ, თუ იგი ითვალისწინებს სამგანზომილებიანი ნიშნების ან პროდუქტის გაფორმების დაცვას. მაგრამ, თუ პროდუქტის გარეგანი სახე რეგისტრირებული არ არის როგორც ნიშანი, ან, თუ სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის ფარგლებში დაცვის სფეროდან ამოღებულია კონკრეტული ფორმები, პროდუქტის ფორმის მიმართ აღრევისაგან დაცვა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თაობაზე დებულებათა გამოყენებით.

(d) შეცდომაში შეყვანა

(i) ზოგადი დებულებები

12.65. ზოგადი ფორმით შეცდომაში შეყვანა განისაზღვრება, როგორც კონკურენტის პროდუქტებზე ან მომსახურებაზე ცრუ შთაბეჭდილების შექმნის მიზნით ჩადენილი ქმედება. ეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, მართლაც, ყველაზე გავრცელებული და არცთუ უვნებელი ფორმაა. შეცდომაში შეყვანას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული შედეგები: მომხმარებელი, რომელიც ეყრდნობა არასწორ ინფორმაციას, შეიძლება დაზარალდეს ფინანსურად (ან უფრო სერიოზულად). პატიოსანი კონკურენტი კარგავს თავის კლიენტებს. ამასთან, მცირდება ბაზრის პროგნოზირება, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკაზე და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

12.66. იმის გამო, რომ სისწორე სავსებით სამართლიანად განიხილება როგორც პატიოსანი კომერციული პრაქტიკის ერთ-ერთი ძირთადი პრინციპი, არსებობს საერთო აზრი იმის შესახებ, რომ მოტყუების აკრძალვა არის კონკურენციაში კეთილსინდისიერების ფუძემდებლური კრიტერიუმი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარიზის კონვენციის 10^{bis} (3) მუხლის თანახმად, ნებისმიერი მითითება ან მტკიცება, რომლის გამოყენებასაც შეუძლია შეცდომაში შეყვანა, უნდა "კერძოდ" განიხილებოდეს როგორც პატიოსანი ქცევის საწინააღმდეგო.

12.67. ყოველივე ამის გამო პარიზის კავშირის წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობამ თავის სამართლებრივ სისტემებში შეიტანა (ან მიიღო კიდეც სპეციალური კანონი ამ საკითხის შესახებ) ისეთი ქმედებების ან პრაქტიკის აკრძალვა, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეყვანა. გარდა ამისა, სასამართლოებმა შეიმუშავეს ვრცელი საპრეცედენტო სამართალი შეცდომაში შეყვანის საკითხებთან დაკავშირებით. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც უკანასკნელ დრომდე მოტყუებისაგან დაცვა ნაკლებად საიმედო იყო, ისახება საკითხისადმი უფრო მკაცრი დამოკიდებულების ტენდენცია. მაგრამ ეფექტურ იურიდიულ გადაწყვეტათა ძებნის პროცესში ქვეყნები ირჩევდნენ სრულიად სხვადასხვა გზას. ეს განსხვავება, კერძოდ, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ შეცდომაში შემყვანი ქმედებები, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია მომხმარებლისა და არა პირდაპირ კონკურენტისაკენ. იმ შემთხვევებში, როცა მომხმარებლის დაცვა მიეკუთვნება სისხლის სამართლის სფეროს, პრაქტიკული სამართალაღსრულება გადადის სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში. მაგრამ იმ ქვეყნების უმრავლესობამ, რომლებმაც მიიღეს სპეციალური კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, შეიტანეს მასში დებულება, რომელიც კრძალავს შეცდომაში შეყვანას, და, ამგვარად, აირჩიეს ამ საკითხისადმი სამოქალაქო-სამართლებრივი მიდგომა.

12.68. თუმცა მთლიანობაში ნორმები, რომლებიც არეგულირებენ შეცდომაში შეყვანას, საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანია, ქვეყნების უმრავლესობა განასხვავებს შეცდომაში „ჩვეულებრივ" შეყვანას, რაც შეიძლება ჩადენილი იყოს სავსებით კეთილსინდისიერად, და შეცდომაში შეყვანის განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მეტად სერიოზული შედეგი. შეცდომაში შეყვანის ყველაზე სერიოზული შემთხვევებისათვის, როგორიცაა ბოროტი განზრახვით შეცდომაში შეყვანა ან მოტყუება ჯანმრთელობის დაცვის ან ფარმაცევტიკის სფეროში - ბევრმა ქვეყანამ სამოქალაქო სამართლებრივი სანქციების დამატებით სისხლისსამართლებრივი სასჯელი შემოიღო. გარდა ამისა, ზოგი განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც შეიცავს მოტყუების პოტენციურ შესაძლებლობას, მაგალითად, საქონლის გაყიდვა, რომელსაც თან ახლავს პრიზების ან სარეკლამო საჩუქრების გადაცემა, ფასდაკლებით გაყიდვა და სამგზავრო ვაჭრობა, ხშირად ხდება დეტალური რეგლამენტაციის ობიექტი. უფრო მეტი შეზღუდვებია დაწესებული თვითრეგულირების ინსტიტუციებით, რომლებმაც ზოგ ქვეყანაში შეცდომაში შეყვანისაგან დაცვის მაღალ დონეს მიაღწიეს.

12.69. შეცდომაში შემყვანი მოქმედებებისაგან ზოგიერთ ქვეყანაში არსებული დაცვა გარკვეულწილად საერთაშორისო შეთანხმების შედეგია. ვაჭრობისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მაგალითად, ტელევიზიის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით შეცდომაში შემყვანი ქმედებები და პრაქტიკა, განსაკუთრებით რეკლამის სფეროში, იშვიათად შემოიფარგლება მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის საზღვრებით. ეროვნული კანონების განსხვავება გამოიხატება არა მხოლოდ მომხმარებელთა დაცვის სხვადასხვა ხარისხში, არამედ გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებაზე. საერთო ეკონომიკურ ბაზარში შემავალი ქვეყნები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი შეცდომაში შემყვან ქმედებათა შესახებ ეროვნული კანონების ჰარმონიზაციით. მაგალითად, ევროპის გაერთიანებამ 1984 წელს მიიღო დირექტივა შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ მინიმალური ობიექტური კრიტერიუმის განსაზღვრის მიზნით, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, არის თუ არა რეკლამა შეცდომაში შემყვანი. შეთანხმების გარკვეული დონე მიღწეული იყო სკანდინავიისა და აფრიკის ქვეყნებშიც.

(ii) შეცდომაში შეყვანის ცნება

12.70. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ შეცდომაში შეყვანის ცნება არ იზღუდება მომხმარებლისათვის ყალბი წარმოდგენის შემქმნელი ცრუ გან-

ცხადებებით ან მტკიცებებით. საკმარისია ისიც, რომ მითითებას (როგორც პარიზის კონვენციის 10bis (3) 3 მუხლითაა გათვალისწინებული) შეუძლია შეცდომაში შეყვანა. სწორი განცხადებებიც კი შეიძლება განხილული იყოს როგორც ცრუ. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში აკრძალულია ქიმიური ნივთიერებების შერევა პურში და მრავალ ქვეყანაში სარეკლამო განცხადება იმის თაობაზე, რომ პურის ზოგიერთი სახეობა „წარმოებულია ქიმიური ნივთიერებათა დამატების გარეშე", ექვემდებარება სასამართლო განხილვას, როგორც ცრუ, რადგან ასეთი რეკლამა, თუმცა იგი არსებითად მართალია, ქმნის შეცდომაში შემყვან შთაბეჭდილებას, თითქოს რეკლამირებული ფაქტი ექსტრაორდინარულია.

12.71. გარდა ამისა, სულაც არ არის აუცილებელი, რომ რეკლამირებული პროდუქტი ობიექტურად ცუდი ხარისხისა იყოს, საკმარისია ისიც, რომ მითითებას ან მტკიცებას ჰქონდეს მომხმარებლისთვის მიმზიდველობის ძალა. მაგალითად, თუ მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ადგილობრივი წარმოების საქონელს, იმის დეკლარირება, რომ იმპორტული საქონელი ადგილობრივია, კვალიფიცირებული უნდა იყოს, როგორც შეცდომაში შეყვანა, იმპორტული საქონელი უკეთესიც რომ იყოს ხარისხის თვალსაზრისით.

12.72. საყოველთაოდ მიღებულია, რომ სიცრუე უნდა შეფასდეს ადრესატის რეაქციის და არა ავტორთა განზრახვის მიხედვით. მაგრამ ასეთი რეაქციის შეფასება შეიძლება სხვადასხვა ხერხით ქვეყნის, ადრესატის (მომხმარებლის თუ მოვაჭრის), აგრეთვე, საქონლის ან მომსახურების სახეობის მიხედვით. ამ საკითხის გადაწყვეტას პარიზის კონვენცია (ისევე, როგორც EC დირექტივა შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ) მონაწილე-სახელმწიფოებს ანდობს. გამოსაყენებელი კრიტერიუმების მიმართ აზრთა სხვადასხვაობა არის ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე განსხვავებული პასუხების შედეგი:

(1) მიმართულია თუ არა შეცდომაში შემყვან ქმედებათა აკრძალვა საშუალო მომხმარებლის ან (აგრეთვე) ნაკლებად ინფორმირებული და ნაკლებად კრიტიკულად განწყობილი მომხმარებლის დასაცავად?

(2) როგორ განისაზღვრება საზოგადოების რეაქცია - ემპირიული გზით თუ მოსამართლის მიერ გაკეთებული ყოვლისმომცველი შეფასების საფუძველზე?

(3) პირთა რა სავარაუდო რაოდენობის შეცდომაში შეყვანაა საჭირო იმისათვის, რომ განცხადება შეცდომაში შემყვანად იქნეს აღიარებული?

12.73. რიგ ქვეყნებში შესაბამისი ნორმები ემყარება საშუალო მომხმარებლის ცნებას. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლეთა საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, თვლიან, რომ სა-

შუალო მომხმარებელი საკმაოდ ინფორმირებული და ჭკვიანია და ბევრ სახიფათო შემთხვევაში შეუძლია დაიცვას თავი მოტყუებისაგან. ასეთ ქვეყნებში თამასა საკმაოდ მაღლაა აწეული, თუმცა, ხშირად ხაზს უსვამენ, რომ შეცდომაში შეყვანის ფაქტის დასადგენად საკმარისია ,,ადრესატთა არა უმნიშვნელო ნაწილი", ძირითადი ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ ორიენტაცია აღებული იქნეს საშუალო მომხმარებელზე.

12.74. გერმანიაში, პირიქით, ორიენტირია ნაკლებად განათლებული და არაკრიტიკულად განწყობილი მომხმარებელი, რომლის შეცდომაში შეყვანა უფრო ადვილია ცრუ განცხადებებით. ხშირად შეცდომაში შეყვანის ფაქტს ემპირიული მეთოდებით, ძირითადად, მომხმარებელთა გამოკითხვის გზით ამტკიცებენ და თამასა მეტად დაბალ დონეზეა დაყენებული (მომხმარებელთა 10-15%-სათვის).

(iii) შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთება

12.75. იმის გამო, რომ შეცდომაში შემყვან მთავარ სფეროს ვაჭრობაში რეკლამა წარმოადგენს, ქვეყნების უმრავლესობა, რომლებსაც ამ საკითხთან დაკავშირებით გააჩნიათ სპეციალური კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეცდომაში შემყვანი რეკლამის საკითხებს. სხვა ქვეყნებმა პარიზის კონვენციის 10^{bis} (3) მუხლის მსგავსად, "მითითებების ან განცხადებების" უფრო ფართო ცნება აირჩიეს. მაგრამ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ზოგადი ხასიათის დებულებები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, ასეთი განსხვავება მინიმალურია, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერი შეცდომაში შემყვანი ქმედება, გარდა რეკლამასთან დაკავშირებული ქმედებებისა, "პატიოსან სავაჭრო საქმიანობასთან" შეუთავსებელია და, მაშასადამე, შეიძლება შეფასდეს ამ ზოგად დებულებათა საფუძველზე.

12.76. გარდა ამისა, მიღებულია, რომ კონკურენტულ ხერხებს, რომლებიც გამოიყენება დაუსაბუთებელი მტკიცების, აღნიშვნის ან საქონლის პრეზენტაციის მიზნით, არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა. იგივე შეიძლება ითქვას შეტყობინების ფორმაზეც. აქ მხედველობაში მიიღება კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება - წერილობითი, ზეპირი და სიმბოლურიც კი, რაც შეიძლება გაკეთდეს სასაქონლო ნიშნების, ეტიკეტების, ბროშურების, რადიორეკლამის, სატელევიზიო სარეკლამო რგოლების, პლაკატების და ა.შ. ფორმით. საზოგადოდ შეცდომაში შეყვანა დამოკიდებულია მხოლოდ ადრესატზე მტკიცების ზემოქმედებასა და არა ხერხზე, რომლითაც იგი იყო შესრულებული.

12.77. იმისთვის, რომ შეტყობინება მიაკუთვნონ შეცდომაში შემყვან ქმედებას, აუცილებელი არ არის, რომ იგი შეიცავდეს „ინფორმაციას" ამ ტერმინის ნატურალური, ობიექტური გაგებით. მეორე მხრივ, შეცდომაში შეყვანის კონცეფცია შემოსაზღვრულია ისეთი აღნიშვნებით, რომლებსაც შეუძლიათ მცდარი წარმოდგენა შეუქმნან მომხმარებელთა ნაწილს. გარდა ამისა, დაუსაბუთებელ მტკიცებას, აღნიშვნას ან საქონლის პრეზენტაციას შეუძლია შექმნას გარკვეული სახის კონკრეტული შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება იყოს მართალი ან მცდარი. „არაობიექტური" ან მიმანიშნებელი რეკლამა, რომელიც პროდუქტის მიმართ ბუნდოვან დადებით ემოციებს აღძრავს, არ მიეკუთვნება შეცდომაში შემყვან ქმედებებს. თუ ზოგიერთ ქვეყანაში რეკლამით შეთავაზების გარკვეული სახეობები აკრძალულია, ეს გამომდინარეობს არა შეცდომაში შეყვანის შესახებ დებულებებიდან, არამედ დაკავშირებულია პატიოსანი სავაჭრო საქმიანობის შესახებ ზოგად ნორმებთან.

12.78. არ არის აუცილებელი შეცდომაში შემყვან ინფორმაციას მტკიცებითი ხასიათი ჰქონდეს: ნახევრად სიმართლე იმავე დროს ნახევრად ტყუილიცაა. მაგალითად, თუ ხდება იმის მტკიცება, რომ გარკვეული ხარისხის პურის ნაჭერი შეიცავს ნაკლებ კალორიებს, ვიდრე სხვები, მაშინაც კი, როცა ეს მხოლოდ ნაჭრის მცირე ზომით აიხსნება, ასეთი ინფორმაციის მიუწოდებლობას შეუძლია შექმნას ისეთივე ძლიერი მცდარი შთაბეჭდილება, როგორსაც შექმნიდა პირდაპირი განცხადება. შედეგად, გარკვეულ ქვეყნებში შესაბამისი ფაქტების გაუვრცელებლობა აშკარად მოიხსენიება კანონმდებლობაში როგორც შეცდომაში შემყვანი საქმიანობა ან აღიარებულია ასეთად სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. მაგრამ ინფორმაციის გაუვრცელებლობა არ შეიძლება ყოველთვის გაუთანაბრდეს პოზიტიურ მტკიცებას. ვინაიდან ბიზნესმენს არ გააჩნია ზოგადი ვალდებულება, გაამჟღავნოს ინფორმაცია მის მიერ შეთავაზებული პროდუქტის არასახარბიელო მახასიათებლების შესახებ, მოტყუებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება სრული ინფორმაციის არარსებობის გამო ელოდება, რომ პროდუქტს გარკვეული თვისებები გააჩნია.

(iv) გაზვიადება

12.79. შეცდომაში შეყვანის სხვადასხვა კონცეფციათა შედეგები ყველაზე ნათლად შეიძლება დავინახოთ გაზვიადების შესახებ საკითხის განხილვისას. თუმცა აშკარა გაზვიადება ყველა ქვეყანაში არ კვალიფიცირდება, როგორც შეცდომაში შეყვანა (მაშინაც კი, თუ პირდაპირ ჩანს, რომ იგი არაზუსტია),

რადგან ის შეიძლება უბრალოდ გაგებული იქნეს როგორც "საკუთარი საქონლის შექება". კითხვაზე, თუ რა არის უბრალოდ "უსაფუძვლო ტრაბახი" ან "ფაქტების გაბერვა" და რა შეიძლება იქნეს მიღებული მხედველობაში სერიოზულად, სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა პასუხს იძლევა. ზოგ ქვეყანაში (მაგ. გერმანიაში) ამოსავალი პრინციპია ის, რომ საზოგადოება სერიოზულად აღიქვამს ყველა სარეკლამო მტკიცებას, განსაკუთრებით ისეთს, რომელშიც საქონელი წარმოდგენილია როგორც უნიკალური („საუკეთესო", "პირველხარისხოვანი" და ა.შ.) და, აქედან გამომდინარე, ძალიან მკაცრი კრიტერიუმები გამოიყენება. სხვა ქვეყნებს (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და იტალია) უკავიათ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიცია და ტოლერანტულნი არიან ზოგადად ფორმულირებული მინიშნებების მიმართ, კერძოდ, საქონლის უნიკალურობის შესახებ მტკიცების მიმართ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, სასამართლოები, როგორც წესი, საქმეებში ერევიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი, რომელიც რეკლამირებულია როგორც საუკეთესო, სინამდვილეში დაბალი ხარისხისა აღმოჩნდება.

(v) შეცდომაში შეყვანის საბანი

12.80. ცრუ განცხადება შეიძლება შეეხოს ბიზნესის ყველა შესაბამის ასპექტს. შეცდომაში შეყვანის აკრძალვა, პრინციპში, ფორმულირებული უნდა იყოს საკმაოდ ფართოდ, რათა მოიცვას შეცდომაში შეყვანის ყველა შესაძლო ახალი ფორმა, რომელთა გათვალისწინება კანონმდებელმა ვერ შეძლო. მეორე მხრივ, სასამართლოებმა უნდა შესძლონ საკანონმდებლო დებულებების სახელმძღვანელოდ გამოყენება. ქვეყნებში, რომლებიც უპირატესად სამოქალაქო სამართლის მიდგომას იყენებენ, კანონი ხშირად პირდაპირ მიუთითებს, თუ რომელი ქმედებებია, "კერძოდ", შეცდომაში შემყვანი, ამასთან, სასამართლოებს უტოვებს თავისუფლებას, გაითვალისწინოს შეცდომაში შეყვანის სხვა სახეები. ჩვეულებრივ, კანონმდებლობაში, როგორც მინიმუმი, შეაქვთ იგივე მაგალითები, რომლებსაც შეიცავს პარიზის კონვენციის მე-10^{bis} (3) 3 მუხლი, სახელდობრ, "საქონლის სახეობა, დამზადების ხერხი, მახასიათებლები, ვარგისიანობა ან რაოდენობა". ხშირად ამას ემატება მომსახურებისა და გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის მითითება. ზოგიერთ ახლახან მიღებულ კანონში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ შეიძლება შეგვხვდეს შეცდომაში შეყვანის "თანამედროვე" მაგალითები. შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ საბერძნეთის დეკრეტში, მაგალითად, პირდაპირაა მითითება ამა თუ იმ პროდუქტის ინდოსამენტში არსებულ შეცდომაში შემყვან მტკიცე-

ბებსა და პრესაში პუბლიკაციების სახით სხვისი სახელის გამოყენებით რეკლამის გაკეთებაზე. იგივე შეიძლება ითქვას ბელგიის შესახებაც. უნგრეთში, სხვასთან ერთად იკრძალება ნებისმიერი შეცდომაში შემყვანი მითითება გარემო პირობების შესახებ. რიგ სხვა ქვეყნებში კანონები (აგრეთვე, EC დირექტივა შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ) კრძალავს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას რეკლამის მიმცემ პიროვნებასთან დაკავშირებით. ეს ფაქტი საინტერესოა იმითაც, რომ, პიროვნების იდენტიფიცირებაში შეცდომები (თუმცა ისინი, ცხადია, მოიცავენ მოტყუებასაც), ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც აღრევა (ან სხვისი სახელის გამოყენება), რომლებიც უმთავრესად მოცულია სასაქონლო ნიშნებისა და საფირმო სახელწოდებების შესახებ სპეციალური კანონებით. ხოლო კომერციული წარმოშობის არასწორი მითითების განხილვა შეცდომაში შემყვან ქმედებად იძლევა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონით გათვალისწინებული სპეციალური პროცედურების გამოყენების საშუალებას. მაგალითად, მომხმარებელთა გაერთიანებებს შეუძლიათ, იჩივლონ სასამართლოში შეცდომაში შემყვანი სასაქონლო ნიშნების გამოყენების გამო მაშინაც კი, თუ კანონი სასაქონლო ნიშნების თაობაზე არ ითვალისწინებს სასამართლო დევნის შესაძლებლობას სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ.

12.81. მიუხედავად ამისა, შეცდომაში შემყვან ქმედებათა მაგალითების ისეთი ნუსხის გამოყენება, რომელიც შევსებულია ზოგადი ნორმებით, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სანქციები სამოქალაქო სამართლის სფეროდან. სისხლის სამართის კანონმდებლობით აკრძალული ქმედებები, როგორც წესი, შედარებით კონკრეტულად არის ჩამოთვლილი, თუმცა პრაქტიკაში ეს განსხვავება შემსუბუქებულია იმ ფაქტით, რომ კონკრეტულად აკრძალულ ქმედებათა ჩამონათვალი, ჩვეულებრივ, სავსებით ამომწურავია.

(vi) სუბიექტური პირობები

12.82. ყველაზე ფრთხილ ბიზნესმენსაც კი შეუძლია გააკეთოს განცხადება, რომელიც ისე არ იქნება გაგებული საზოგადოების მიერ, როგორც მოელოდა. ამგვარად, შეცდომაში შემყვან განცხადებებს, განსაკუთრებით რეკლამაში, ყოველთვის არ აკეთებენ არაკეთილსინდისიერი განზრახვით. მაგრამ მომხმარებელთა და კონკურენტ ბიზნესმენთა ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურენციაში ტყუილი უნდა აღიკვეთოს მაშინაც კი, როცა რეკლამის მიმცემს არ მიუძღვის ამაში ბრალი. მაგალითად, EC დირექტივა შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ ავალდებულებს წევრ-სახელმწიფოებს, უზრუნველყონ შეც-

დომაში შემყვანი რეკლამის აღკვეთა მაშინაც კი, როდესაც “არ არის დანაკარგის ან ზიანის მიყენების მტკიცებულებანი ან არ არსებობს რეკლამის მიმცემთა მხრივ წინასწარი განზრახვა ან დაუდევრობა”. ის ქვეყნები, რომლებიც არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან ბრძოლის საკითხებში სამოქალაქო-სამართლებრივ მიდგომას ამჯობინებენ, ჩვეულებრივ, აწყდებიან ასეთი სახის უმნიშვნელო სირთულეებს, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც შეცდომაში შემყვანი ქმედებები ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებითაა რეგულირებული, თეორიულად მაინც მოითხოვება ზოგიერთი სუბიექტური ელემენტის არსებობა. მტკიცებულების წარდგენის სირთულის გამო ასეთი „სუბიექტურობის კონცეფცია”ქმნის დაბრკოლებას. ამიტომ პრაქტიკაში სასამართლოები სულ უფრო იშვიათად მოითხოვენ “წინასწარგანზრახულობის” მტკიცებულების წარდგენას. ამ სფეროში ყველაზე ნათელი მაგალითია საფრანგეთი, სადაც შეცდომაში შემყვანი რეკლამის (სისხლის სამართლებრივი) აკრძალვა როიეს კანონის 44-ე მუხლში თეორიულად ჯერ კიდევ მოითხოვს „ბოროტი განზრახვის” ელემენტის არსებობას, მაგრამ ეს მოთხოვნა პირველებმა სწორედ საფრანგეთის სასამართლოებმა დაიყვანეს ჯერ ფაქტების უბრალო ცოდნამდე, ხოლო შემდეგ - გაცნობიერების პრეზუმპციამდეც.

12.83. შეცდომაში შემყვან განცხადებათა აღკვეთის ეს, უპირველეს ყოვლისა, ობიექტური მიდგომა, ცხადია, შემოიფარგლება შეწყვეტა-შეჩერების ქმედებებით (და, შესაძლოა, სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნებით). ყველა ქვეყანაში სასამართლო სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდეს, თუ, სულ მცირე, ადგილი აქვს დაუდევრობას. წინასწარგანზრახულობის ფაქტი ან ბოროტი განზრახვის არსებობაც კი მოითხოვება სამართალდარღვევათა შემთხვევების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევისათვის. მაგალითად, საკვები პროდუქტების, ან სამკურნალო პრეპარატების სფეროში.

(vii) მტკიცებულების მოპოვების ტვირთი

12.84. შეცდომაში შემყვანი რეკლამის შემთხვევაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ უნდა წარადგინოს მტკიცებულება განცხადების სიზუსტის ან შეცდომაში შეყვანის ალბათობის შესახებ. საპროცესო ნორმათა ზოგადი პრინციპების თანახმად, ბევრ ქვეყანაში მტკიცებულების მოპოვების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (ან სახელმწიფო ბრალმდებელს, ან ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს). მაგრამ შეცდომაში შემყვან ქმედებათა სფეროში, განსაკუთრებით, შეცდომაში შემყვანი რეკლამის

შემთხვევაში, დასაშვებია გამონაკლისი ამ წესიდან. მაგალითად, EC დირექტივა შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს, მოითხოვონ რეკლამის მიმცემისაგან მოყვანილი მონაცემების სიზუსტის მტკიცებულება, თუ "ასეთი მოთხოვნის აუცილებლობა გაჩნდება შესაბამის კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე". ზოგიერთი ქვეყანა უფრო შორსაც კი წავიდა და მტკიცებულების მოპოვების ტვირთი დააკისრა მოსარჩელეს ან დაავალდებულა რეკლამის მიმცემი, წარადგინოს "გონივრული მტკიცებულებები" ყველა რეკლამირებული განცხადებისათვის.

(e) კონკურენტების დისკრედიტაცია

(i) ზოგადი დებულებები

12.85. დისკრედიტაცია (ანუ დამცირება), ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც კონკურენტთან დაკავშირებული კომერციული გუდვილის შემლახავი ნებისმიერი ცრუ მტკიცება. შეცდომაში შეყვანის მსგავსად დისკრედიტაცია არის მომხმარებელთა გადაბირების მცდელობა არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების გზით. მაგრამ, შეცდომაში შეყვანის შემთხვევებისგან განსხვავებით, აქ საქმე გვაქვს არა საკუთარ საქონელთან დაკავშირებულ ყალბ ან შეცდომაში შემყვან განცხადებებთან, არამედ კონკურენტსა, ამ კონკურენტის პროდუქციასა ან მომსახურებასთან დაკავშირებულ ცილისწამებასთან. ამგვარად, დისკრედიტაცია ყოველთვის პირდაპირ არის მიმართული კონკრეტული ბიზნესმენის ან ბიზნესმენთა კონკრეტული კატეგორიის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი სახის ქმედებებს ყოველთვის მოჰყვება ამ მიზნისაგან შორს მიმავალი შედეგი. იმის გამო, რომ ინფორმაცია კონკურენტის ან მისი საქონლის შესახებ არაზუსტია, შეიძლება მომხმარებელიც დაზარალდეს.

12.86. პარიზის კონვენციის მე-10bis (3) 2 მუხლი ავალდებულებს წევრ-სახელმწიფოებს, აკრძალონ ყველა "ისეთი ხასიათის ყალბი განცხადებების გაკეთება ვაჭრობისას, რომლებიც დისკრედიტაციას უწევენ კონკურენტის დაწესებულებას, საქონელს, სამრეწველო ან კომერციულ საქმიანობას". მსგავსი დებულება შეიძლება მოიძებნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ მრავალ ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგრამ, ასეთი პირდაპირი აკრძალვის გარეშეც კი საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენციაში დისკრედიტაცია შეუთავსებელია „კეთილსინდისიერების" ცნებასთან. იმ ქვეყნებში, სადაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მარეგულირებელი სამართალი განვითარდა სამოქალაქო სამართალდარღვევათა ზოგადი ნორმების საფუძველზე, დის-

კრედიტაცია განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ერთ-ერთი "კლასიკური" ფორმა. საერთო სამართლის ყველა ქვეყანაში დამცირება ან დისკრედიტაცია, მიჩნეულია სამოქალაქო სამართალდარღვევად; გარდა ამისა, ამ ქვეყნებიდან ზოგიერთმა ახლახან შექმნა საკანონმდებლო საფუძველი ამ სფეროს მოსაწესრიგებლად. იმის გამო, რომ დისკრედიტაციისაგან პირველ რიგში კონკრეტული ბიზნესმენი ზარალდება, ჩვეულებრივ, უპირატესობა სამოქალაქო-სამართლებრივ სანქციებს (აკრძალვა ან ზიანის ანაზღაურება) ენიჭება. მაგრამ უფრო სერიოზულ შემთხვევებში, განსაკუთრებით, თუ ადგილი აქვს წინასწარ ან ბოროტად განზრახულ ცილისწამებას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი სანქციები, ხშირად სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე.

(ii) მითითება კონკრეტულ კონკურენტზე

12.87. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დისკრედიტაცია თავისი ბუნებით მიმართულია კონკრეტული ბიზნესმენის ან ბიზნესმენთა კონკრეტული კატეგორიის წინააღმდეგ. ამასთან, აუცილებელი არ არის ადრესატის დასახელება; საკმარისია, რომ ადვილად მოხდეს მისი იდენტიფიცირება. ამის მიღწევა შეიძლება საწარმოს მოხსენიებით, რომელიც „მდებარეობს X - პუნქტში" ან სპეციფიკური საბაზრო სიტუაციის გამოყენების მეშვეობით, მაგალითად, მხოლოდ ერთი კონკურენტის არსებობისას.

12.88. ხშირად ასეთი ხასიათის თავდასხმის ობიექტს კონკურენტი წარმოადგენს. პარიზის კონვენციის მე-10bis (3) 2 მუხლის თანახმად, ბევრ ქვეყანაში დამცირებისაგან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ დებულებით დაცვა შემოიფარგლება შემთხვევებით, როდესაც, როგორც მინიმუმი, არსებობს გარკვეული სახის კონკურენტული დამოკიდებულებანი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. ზოგ ქვეყანაში, პირიქით, კონკურენტულ დამოკიდებულებათა არსებობის მოთხოვნა მთლიანად იყო გაუქმებული, რამაც უზრუნველყო შედარებით უფრო ფართო მიდგომა დისკრედიტაციის საკითხისადმი: არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თაობაზე დებულებების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ კონკურენტებზე, არამედ მომხმარებელთა გაერთიანებებზე ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, თუ მათ ეკუთვნით კონკრეტული ბიზნესმენის დამამცირებელი განცხადებები.

(iii) თავდასხმის საგანი

12.89. პარიზის კონვენციის მე-10bis (3) 2 მუხლი ცილისწამების შესაძლო ობიექტად ასახელებს კონკურენტის საწარმოს, საქონელსა და სამრეწველო სამეწარმეო ან კომერციულ საქმიანობას. მაგრამ აუცილებელია ნებისმიერი სახის დამამცირებელი შენიშვნების აკრძალვა, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მეწარმის გუდვილს. ზიანის მიყენების გზას მნიშვნელობა არა აქვს. საქმიანობის რეპუტაცია შეიძლება შეილახოს ნებისმიერი მინიშნებებით საწარმოს ან მისი საქონლის, ფასების, მუშაკების, კრედიტუნარიანობის, კვალიფიკაციისა და სხვ. მიმართ. ეს შეიძლება, აგრეთვე, მოხდეს მეწარმის პიროვნების შესახებ, მაგალითად, მისი რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, რელიგიის ან მისი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ გამონათქვამის შედეგად. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ე.წ. „პიროვნებაზე გამონათქვამი", რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს კომერციულ საქმიანობასთან, პირდაპირ არის აკრძალული როგორც დამამცირებელი, ხოლო სხვა ქვეყნებში იგი უკანონოდ ითვლება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ზოგად დებულებათა საფუძველზე.

(iv) განზრახვა ან ფაქტობრივი ზიანი

12.90. გამონათქვამები კონკურენტის მისამართით, რომლებიც მოქმედებს მის კომერციულ გუდვილზე, შეიძლება გაკეთებული იყოს პატიოსნად, თუ პირი, რომელიც აკეთებს ასეთ განცხადებებს, დარწმუნებულია, რომ სიმართლეს ამბობს. ამიტომ დისკრედიტაციისაგან დაცვის ეფექტურობა, ჩვეულებრივ, არ მოითხოვს ფაქტობრივი ზიანის ან წინასწარგანზრახულობის რაიმე მტკიცებულებების არსებობას. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში) საერთო სამართლის ნორმები ისეთ სამოქალაქო სამართალდარღვევათა შემთხვევაში, როგორიცაა დამცირება, თეორიულად მაინც მოითხოვს ბოროტი განზრახვის ან ზიანის მიყენების მტკიცებულებას. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებმა თანდათან შეამსუბუქეს ეს მოთხოვნები, ასეთი კონცეფცია ჯერ კიდევ ზედმეტად ვიწროა, რამაც გამოიწვია ისეთი საკანონმდებლო დებულებების ძალაში შესვლა, რომლებიც ითვალისწინებენ დამცირებისაგან სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ზიანის მიყენების ან განზრახვის არსებობის შესახებ მტკიცებულებათა წარდგენის გარეშე (იხ. ლენხემის კანონის 43 (a) ნაწილი).

(v) ფაქტების მტკიცება

12.91. არსებობს სხვადასხვა აზრი იმის შესახებ, დაყვანილი უნდა იქნეს თუ არა დისკრედიტაცია მხოლოდ ფაქტების მტკიცებაზე. ზოგიერთ ქვეყანაში კანონით დადგენილი დისკრედიტაციის ცნება საკმაოდ ფართოა და მოსაზრების გამოცხადებასაც მოიცავს. სხვა ქვეყნებში სასამართლოებმა ის მაინც ცნეს, რომ ამ სახის მტკიცებებზე ვრცელდება უპატიოსნო კომერციული საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ ზოგად დებულებათა მოქმედება. არსებობს ქვეყნების კიდევ სხვა ჯგუფი, სადაც დისკრედიტაციის დადგენა დამოკიდებულია ძირითადად ფაქტების მტკიცებაზე.

(vi) ყალბი განცხადებები

12.92. საკითხი იმის შესახებ, შეუძლება თუ არა კერძო მოსაზრებამ მოახდინოს დისკრედიტაცია, უნდა განიხილებოდეს სხვა საკითხთან კავშირში, სახელდობრ: უნდა გავრცელდეს თუ არა დაცვა სწორი მტკიცებების შემთხვევაზეც. პარიზის კონვენციის მე-10bis (3) 2 მუხლი ეხება ყალბ მტკიცებებს. მიუხედავად ამისა, ბევრი ქვეყანა უფრო შორს წავიდა და აღიარა, რომ სწორი, მაგრამ კონკურენტის დისკრედიტაციის გამომწვევი შენიშვნები, ექვემდებარება აკრძალვას ან პირდაპირ, როგორც დისკრედიტაციის აქტი, ან იმის გამო, რომ პატიოსანი სავაჭრო საქმიანობის ზოგადი ნორმების დარღვევას მაინც წარმოადგენს. ამგვარად, ნებისმიერი შენიშვნა კონკურენტის მისამართით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არსებითად სამართლიანია, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი, იმ პირობით, თუ ასეთი "შეტევა" ზომაგადასულია ან გამოყენებული გამოთქმები შეურაცხმყოფელი ხასიათისაა. მეორე მხრივ, ზოგიერთი ქვეყანა დისკრედიტაციის ცნებას შემოსაზღვრავს არაზუსტი ან თუნდაც შეცდომაში შემყვანი მტკიცებებით მაინც. აშშ-ში, მაგალითად, სწორი, მაგრამ დამამცირებელი მტკიცებები, არ განიხილება არც საერთო სამართლის სამოქალაქო სამართალდარღვევის ფარგლებში და არც ლენხემის კანონის 43 (a) ნაწილის ან კომერციული საქმიანობის შესახებ შტატების კანონებით.

12.93. ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაში სხვადასხვა მიდგომა აიხსნება „კომერციული ღირსების" შეფასებაში არსებული განსხვავებებით. ქვეყნებში, სადაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა ინდივიდუალური ბიზნესმენის კომერციული რეპუტაციის დაცვას ეფუძნება, როგორც ამას კონტინენტური ევროპის ქვეყნებში აქვს ადგილი, არსებობს „ბიზნესმენის დამამცირებელი სპეციფიკური სამოქალაქო სამართალდარღვევა", რომლის მიმართ, პრინციპში, გამოიყენება მნიშვნელოვნად უფრო მკაცრი წესები, ვიდრე კონკურენციის გარეთ არსებულ სფეროში გაკეთებული შეუ-

რაცხმყოფელი მტკიცებების მიმართ იმის გამო, რომ აუცილებელია ისეთი კონსტიტუციური გარანტიების გათვალისწინება, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვის თავისუფლება. სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის ყოვლისმომცველი სისტემა, დამოკიდებულება ზუსტად საწინააღმდეგოა: მიღებულია, რომ კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ კონკურენტებზე შეტევები გარდუვალია და საჭიროა მათი ფართოდ დაშვება, მაგრამ ეს არ ეხება ისეთ შეტევებს, რომლებიც ყალბ ფაქტებს ეყრდნობა. ასეთ ქვეყნებში, ჩვეულებრივ, მოსარჩელის კისერზეა განცხადების სიყალბის მტკიცებულების მოპოვების ტვირთი (რაც ზოგჯერ გამორიცხავს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას).

(f) კომერციული საიდუმლოების დარღვევა

(i) ზოგადი დებულებები

12.94. კონკურენტუნარიანობა სამრეწველო და/ან კომერციულ სფეროში, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია ტექნიკური სიახლისა და თანმხლები ნოუ-ჰაუს არსებობაზე. მაგრამ ასეთი სიახლეები და ნოუ-ჰაუ ყოველთვის არ შეიძლება დაცული იქნეს საპატენტო უფლებით. ჯერ ერთი, პატენტები გაიცემა მხოლოდ ტექნოლოგიის სფეროში გამოგონებაზე და არ შეიძლება გაიცეს, მაგალითად, საქმიანობის მართვის ახალ მიღწევებზე და ა.შ. უფრო მეტიც, ზოგიერთ ტექნიკურ აღმოჩენას ან ინფორმაციას, რომლებიც კონკრეტულ მეწარმეს უზრუნველყოფენ ღირებული კომერციული ხასიათის უპირატესობით, შეიძლება აკლდეს ის სიახლე ან საგამომგონებლო დონე, რაც მოითხოვება მისი პატენტუნარიანობისათვის. გარდა ამისა, განაცხადის განხილვის პროცესში, ვიდრე საზოგადოებისათვის განაცხადში მოცემული ინფორმაცია არ არის გახსნილი, განმცხადებელი, ალბათ, დაცული უნდა იყოს სხვა პირის მიერ ამ ინფორმაციის ნებისმიერი არამართლზომიერი გახსნისაგან მიუხედავად იმისა, საბოლოოდ გაიცემა თუ არა ამ განაცხადის საფუძველზე პატენტი. თუმცა, პარიზის კონვენცია არ ეხება კომერციული საიდუმლოების საკითხებს, საზოგადოდ არამართლზომიერი გახსნისაგან მისი დაცვის აუცილებლობა აღიარებულია. მფლობელის გარდა ნებისმიერი სხვა პირის მიერ ფასეული კონფიდენციალური ინფორმაციის უნებართვო გამოყენება განიხილება როგორც იმ კომერციული ღირებულებათა უკანონო მითვისება, რომელიც შექმნილია მფლობელის მიერ და შედეგად იგი დაკარგავს თავის

კონკურენტულ და ეკონომიკურ უპირატესობებს, როგორც კი ეს ინფორმაცია გამოყენებული ან გახსნილი იქნება სხვა პირთა მიერ.

12.95. კომერციული საიდუმლოების დაცვა უნებართვო გამოყენებისა და გახსნისაგან ხორციელდება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებების მეშვეობით. ზოგიერთ ქვეყანას კომერციული საიდუმლოების დამცავი განსაკუთრებული დებულებები შეტანილი აქვს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ სპეციალურ კანონში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში. სხვა ქვეყნები საიდუმლოების დაცვას განიხილავენ სამოქალაქო სამართალდარღვევის ფარგლებში. დანარჩენ ქვეყანებში კი ძალაშია შესული სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, კომერციული ან სამოქალაქო სამართლის დებულებები, რომლებიც კრძალავს კომერციული საიდუმლოების არასანქცირებულ გამოყენებას ან გახსნას. მაგრამ სისხლის სამართლის დებულებებს არ გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან, ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში აუცილებლად მოითხოვება ინფორმაციის კონფიდენციალური ხასიათის შესახებ ცოდნისა და ბოროტი განზრახვით ჩადენილი ან მოტყუებითი ქმედებების არსებობის დამტკიცება. ამასთან კომერციული საიდუმლოების გახსნა, სისხლისსამართლებრივი დარღვევაც რომ იყოს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტსაც წარმოადგენს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მუშაკები, კონსულტანტები, დამოუკიდებელი მენარდეები და კომპანიონები ხშირად ფლობენ კომერციულ საიდუმლოებას, ყოველ სასამართლო პროცესს კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით შეიძლება მიესადაგოს სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა ნორმა ქირავნობის ხელშეკრულებებისა და ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით. დაბოლოს, არ არის უჩვეულო ზემოხსენებულ საშუალებათა სხვადასხვა კომბინაციის გამოყენება. კომერციული საიდუმლოების დარღვევა შეიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტიც, სამოქალაქო სამართალდარღვევაც, სისხლის სამართლის დანაშაულიც. მეორე მხრივ, იმ შემთხვევებში, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების მიზნით არაკონკურენტები აშინებენ ან ზეწოლას ახდენენ საწარმოს წარმომადგენლებზე ან მუშაკებზე, ან ნებისმიერი სხვა ხერხით ზემოქმედებენ მათზე ან სხვა პირებზე, რომლებიც ფლობენ საიდუმლოებას, მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნორმები გამოიყენება.

(ii) რომელი ინფორმაცია შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება?

12.96. თუმცა კომერციული საიდუმლოების სამართლებრივი განსაზღვრება იშვიათად არსებობს, ზოგიერთი ქვეყანა (საფრანგეთის მაგალითის მიხედვით) განასხვავებს წარმოების (ანუ ინდუსტრიულ) საიდუმლოებას და კომერციულ საიდუმლოებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა შედეგები სისხლის სამართლის კანონის გამოყენების თვალსაზრისით. საიდუმლო ინფორმაციის პირველ კატეგორიას გააჩნია უაღრესად ტექნიკური ხასიათი და შეიცავს წარმოების მეთოდებს, ქიმიურ ფორმულებს, ნახაზებს ან საცდელ ნიმუშებს. ასეთი ტიპის ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს პატენტუნარიან გამოგონებას, მაგრამ, საზოგადოდ, პატენტუნარიანობა და, კერძოდ, სიახლე, სა-პატენტო სამართლის თვალსაზრისით, არ წარმოადგენს საიდუმლოების დაცვის პირობას. კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს გასაღებისა და გავრცელების მეთოდები, კონტრაქტების ფორმები, ბიზნეს-გეგმები, ფასების შესახებ შეთანხმებათა დეტალები, ცნობები მომხმარებელთა შესახებ, სარეკლამო სტრატეგია და მიმწოდებლების ან დამკვეთთა სიები. ჩვეულებრივ, კომერციული საიდუმლოების შინაარსი განმარტებულია საკმაოდ ფართოდ, და საბოლოო განსაზღვრება, თუ როგორი სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს საიდუმლო, დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. ასე, მაგალითად, იაპონიის კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ კომერციულ საიდუმლოებას განსაზღვრავს როგორც ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება წარმოების ან გასაღების მეთოდებს, ან როგორც ნებისმიერ სხვა ინფორმაციას ტექნოლოგიის ან ბიზნესის შესახებ, რომელიც არ არის ცნობილი საზოგადოებისათვის. მსგავსი განმარტება გვხვდება კომერციული საიდუმლოების შესახებ აშშ-ს ერთიან კანონში, რომელიც მიიღო თითქმის 20-მა შტატმა.

12.97. არსებობს რიგი სხვადასხვა კრიტერიუმებისა იმის განსასაზღვრად, თუ რომელი ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას: რამდენად ცნობილია მოცემული ინფორმაცია საზოგადოებისათვის ან ვაჭრობის ან მრეწველობის მოცემულ სფეროში, რა ძალისხმევა იქნა გამოყენებული და რა ხარჯები იქნა გაწეული კომერსანტის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის შემუშავებისას, რა ღირებულება აქვს ასეთ ინფორმაციას კონკრეტული კომერსანტისა და მისი კონკურენტებისათვის, რა ზომებია მიღებული ინფორმაციის საიდუმლოობის შენახვის უზრუნველსაყოფად და რამდენად იოლი ან რთულია სხვა პირების მიერ ამ ინფორმაციის დაშვებული გზით მოპოვება. სუბიექტური თვალსაზრისით, ნებისმიერ კომერსანტს უნდა ჰქონდეს დიდი ინტერესი, კომერციული საიდუმლოების სახით შეინახოს გარკვეული ინფორმაცია. თუმცა ეს სახელშეკრულებო ვალდებულებებით არ არის აუ-

ცილებელი, მან უნდა გამოავლინოს ინტერესი, ჰქონდეს საიდუმლო ინფორმაცია. ხშირად მოითხოვება სპეციალური ზომების მიღება ინფორმაციის საიდუმლოობის შესანარჩუნებლად. ინფორმაციის კონფიდენციალურად მიწოდების ფაქტი ყოველთვის არ იქნება საკმარისი. ზოგ ქვეყანაში (მაგ. აშშ-სა და იაპონიაში) ინფორმაციის მფლობელის მიერ გამოყენებული ძალისხმევა მისი საიდუმლოების შენახვის მიზნით სასამართლოების მიერ განიხილება როგორც უმთავრესი მნიშვნელობის ფაქტი იმის განსაზღვრისათვის, არსებობს თუ არა კომერციული საიდუმლოება საერთოდ.

12.98. ობიექტური თვალსაზრისით, ინფორმაცია შეიძლება განხილული იქნეს როგორც კომერციული საიდუმლოება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ცნობილია მხოლოდ პირთა განსაზღვრული ჯგუფისათვის, ანუ იგი საერთოდ არ უნდა იყოს ცნობილი ამ სფეროში მოღვაწე ექსპერტების ან კონკურენტებისათვის. პატენტზე განაცხადიც შეიძლება განხილული იქნეს როგორც კომერციული საიდუმლოება მანამ, ვიდრე იგი საპატენტო უწყების მიერ არ იქნება გამოქვეყნებული. ამგვარად, საჯაროდ გამოყენებული ან ნებისმიერი სხვა ადვილად მისაწვდომი ინფორმაცია არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც საიდუმლო. მაგალითად, კომერციული საიდუმლოების გამოყენება ან გახსნა პირის მიერ, რომელმაც მიიღო ინფორმაცია კანონიერი კომერციული გარიგების ფარგლებში და იმ პირობით, რომ მისი მხრიდან არ იყო დაშვებული დაუდევრობა, არ განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება. ამასთან, საიდუმლოება არ შეიძლება აბსოლუტური იყოს, რადგან ყოველთვის არსებობს სხვა პირთა მიერ დამოუკიდებელი გზით ინფორმაციის გაგების შესაძლებლობა. კომერციული პარტნიორები, აგრეთვე, შეიძლება ფლობდნენ ინფორმაციას და ამით არ დაირღვეს მისი კონფიდენციალობა, თუ აშკარაა, რომ საიდუმლოება კვლავაც უნდა იქნეს შენარჩუნებული. იმის განსაზღვრისათვის, გააჩნია თუ არა ინფორმაციას კონფიდენციალობის საკმარისი ხარისხი, რათა წარმოადგენდეს დაცულ კომერციულ საიდუმლოებას, უნდა დადგინდეს შემდეგი: შეიცავს თუ არა იგი ელემენტებს, რომლებიც არ არის კონფიდენციალური მათი ცალკე განხილვის შემთხვევაში? საჭიროა თუ არა, რომ მომსახურეები ეფექტური მუშაობისათვის აუცილებლად ფლობდნენ ამ ინფორმაციას? ინფორმაცია ცნობილია მხოლოდ ხელმძღვანელებისათვის თუ უფრო დაბალი დონის მუშაკებისათვისაც? და მაინც, ყველაზე მყარი მტკიცება არის ინფორმაციის მკაცრი კონფიდენციალური ხასიათი და მისი საიდუმლოების შენახვის სახელშეკრულებო ვალდებულება.

(iii) ინფორმაციის გამოყენება და გახსნა (ყოფილი) მუშაკების მიერ

12.99. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არსებობს სპეციალური დებულებები საიდუმლოების არამართლზომიერი ან არაკეთილსინდისიერი გახსნის შესახებ, ქირავნობის ხელშეკრულებებს შეუძლია გააძლიეროს და შეავსოს კომერციული საიდუმლოების დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის ან სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ ნორმების საფუძველზე. საზოგადოდ მიღებულია, რომ მუშაკებს აქვთ უფლება, ხელფასის მიღების მიზნით გამოიყენონ მუშაობის ძველ ადგილზე მიღებული ყველა ჩვევა, გამოცდილება და ცოდნა მაშინაც კი, თუ ყოველივე ეს კომერციული საიდუმლოების ფლობის შედეგადაა მიღებული. მაგრამ მუშაკმა უნდა გამოიჩინოს კეთილსინდისიერება სამუშაოს მიმცემის მიმართ მასთან მუშაობის პერიოდში და, აგრეთვე, სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ არ გამოიყენოს და არ გაავრცელოს კონფიდენციალური ინფორმაცია იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი გაეცნო მუშაობის პერიოდში. მაგალითად, სამრეწველო საკუთრების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ 1991 წ. მექსიკის კანონის 85-ე მუხლის საფუძველზე ნებისმიერმა პირმა, რომელსაც თავისი მუშაობის, სამსახურის, ფუნქციების ან თანამდებობის, მისი პროფესიული მოვალეობის შესრულების ან საქმიანი ურთიერთობების გამო ჰქონდა შეხება კომერციულ საიდუმლოსთან და გაფრთხილებული იყო ამ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის აუცილებლობის შესახებ, თავი უნდა შეიკავოს მისი გახსნისაგან დასაბუთებული მიზეზების გარეშე და საიდუმლო ინფორმაციის მფლობელის ან უფლებამოსილი მოსარგებლის თანხმობის გარეშე. ამრიგად, ბევრ შემთხვევაში ინფორმაციის გამოყენება ან გახსნა იქნება ქირავნობის ხელშეკრულების ვალდებულებათა დარღვევა (ყოფილი) მუშაკის მხრივ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაცია უნდა ყოფილიყო საიდუმლოდ შენახული. მაგრამ ხშირად ძნელია იმის განსაზღვრა, თუ სად უნდა გატარდეს ზღვარი მუშაობის პერიოდში კანონიერი გზით მიღებული ჩვევების, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებასა და ყოფილი სამუშაოს მიმცემის სამეწარმეო ან კომერციული საიდუმლოების აკრძალულ გამოყენებას ან გახსნას შორის. აშკარაა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც მუშაკის ქცევა არის ქურდობის, მიტაცების, სამეწარმეო შპიონაჟის ან კონკურენტთან მორიგების ტოლფასი, საქმე გვაქვს კონფიდენციალობის წინასწარი განზრახვით დარღვევასთან.

12.100. შრომითი ხელშეკრულებები ხშირად შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც კრძალავენ საქმიანი ან კომერციული საიდუმლოების გახმაურებას, მაგრამ ეს დებულებები, კონკურენციისაგან თავშეკავების ვალდებულებების მსგავსად, არ უნდა იყოს მომავალში მუშაკის პროფესიული შესაძლებლობე-

ბის იმდენად დამაბრკოლებელი, რომ გამოიწვიოს კომერციული საქმიანობის მეტისმეტი შეზღუდვა. სამსახურებრივი ურთიერთობების შესაბამისი ვალდებულებები განისაზღვრება სისხლის, სამოქალაქო და შრომის სამართლის საფუძველზე. ასე მაგალითად, ნიდერლანდის სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლით კომერსანტის კომერციული საიდუმლოების გახსნა თავისივე მუშაკის მიერ კვალიფიცირებულია როგორც სამართალდარღვევა, ხოლო იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2622-ე მუხლი კრძალავს კომერციული საიდუმლოების გახსნას ნებისმიერი სახის კომპანიის დირექტორების, გენერალური მენეჯერების, აუდიტორების მიერ. ასეთი დებულებები არსებითად მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაკი არ არის შეზღუდული საიდუმლოს შენახვის სახელშეკრულებო ვალდებულებით, შეინახოს საიდუმლოება, ან, როდესაც ყოფილი მუშაკი სარგებლობს ინფორმაციით არაკონკურენციული საქმიანობისათვის. თუ ყოფილი მუშაკი შეიძლება ჩაითვალოს ყოფილი სამუშაოს მიმცემის კონკურენტად (მაგალითად, როდესაც მან შექმნა საკუთარი საწარმო საქმიანობის იმავე სფეროში), მაშინ კონფიდენციალური ინფორმაციის გახსნა, ჩვეულებრივ, წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს. აშკარაა, რომ, მაგალითად, ყოფილი სამუშაოს მიმცემის კლიენტების გადაბირება თავის მხარეზე კვალიფიცირებული იქნება როგორც არაკეთილსინდისიერება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მუშაკმა ბოროტად გამოიყენა დამკვეთების სიები ან შინაგანი საქმიანი დოკუმენტაცია უფრო ხელსაყრელი წინადადებების მოსამზადებლად. შეიძლება, აგრეთვე, ადგილი ჰქონდეს კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებას, თუ დამკვეთებთან დაკავშირებული სამუშაოს მიმცემის საქმიანობის შესახებ სპეციალური ინფორმაცია გამოიყენება ამ დამკვეთების გადასაბირებლად, რათა აწარმოონ საქმიანობა სხვა პირთან პარტნიორობით.

(iv) ინფორმაციის გამოყენება და გახსნა კონკურენტების მიერ

12.101. კონკურენტები, როგორც წესი, ძალიან დაინტერესებულნი არიან სხვისი კომერციული საიდუმლოების გაგებით. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კომერციული საიდუმლოება თავისთავად არ არის ისეთი ობიექტის სრული ეკვივალენტი, რომელზეც ვრცელდება სამრეწველო საკუთრების შესახებ კანონით დადგენილი განსაკუთრებული უფლებები, კონკურენტების მიერ სხვისი კომერციული საიდუმლოების გამოყენების ან გახსნის ფაქტის არაკეთილსინდისიერების განსაზღვრა ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული საშუალებების საფუძველზე ხდება. მაგალითად, იაპონიის კანონში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის შესახებ პირდაპირაა ნათ-

ქვამი, რომ კომერციული საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებული წესები არ გამოიყენება, თუ კომერციული საიდუმლოება მიღებულია კანონიერი კომერციული საქმიანობის ფარგლებში იმ პირობით, რომ საიდუმლო ინფორმაციის მომპოვებელმა პირმა არ გამოიყენა ამისათვის უპატიოსნო საშუალებები ან თავისი დაუდევრობით არ თქვა უარი ასეთი უპატიოსნო საშულებების გამოყენებაზე. ამგვარად, კონკურენტებს, რომლებმაც საიდუმლო ინფორმაციის მიღების მიზნით ზემოქმედება კი არ მოახდინეს თავისი კონკურენტის ყოფილ მუშაკზე ან კომპანიონზე, არამედ უბრალოდ ისარგებლეს მათ შორის კონტრაქტის დარღვევით, იშვიათად მოეთხოვებათ პასუხისმგებლობა. კონკურენტის მიერ იმისი გაცნობიერება, რომ საიდუმლოების გახსნა ყოფილი მუშაკის ან კომპანიონის მიერ ხელშეკრულების დარღვევა იქნება, პასუხისმგებლობის განსაზღვრისას წინასწარი განზრახვის მინიმალურ დონედ მიიჩნევა. მექსიკის კანონი, მაგალითად, სამართალდარღვევად თვლის მესამე პირის მიერ გახსნილი კომერციული საიდუმლოების გამოყენებას, როდესაც პირმა, რომელსაც გაუმხილეს საიდუმლოება, იცოდა, რომ მესამე პირს არ ჰქონდა მისი გახსნის უფლება. ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია კონკურენტის მოურიდებელი ჩარევა სხვა პირთა სახელშეკრულებო ვალდებულებებში. თუ, მაგალითად, მოცემულმა პირმა მოისყიდა (ან რაიმე სხვა უკანონო გზით დაარწმუნა) კონკურენტის (ყოფილი) მუშაკი კომერციული საიდუმლოების გახსნის მიზნით, იგი პასუხისმგებელი იქნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამო.

12.102. არსებობს მრავალი სიტუაცია, როდესაც ყველაფერი დამოკიდებულია შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე. მაგალითად, როდესაც მოხდება ისეთი კომერციული საიდუმლოების გამოყენება, რომელიც ორ კონკურენტს შორის ადრე არსებული საქმიანი ურთიერთობების ნაწილი იყო, ის, რომ ნოუ-ჰაუ უნდა ყოფილიყო საიდუმლოდ დაცული, თავისთავად არ გულისხმობს, რომ კონკურენტის მიერ საიდუმლოს გამოყენება ყოველთვის ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ ქმედებად. მეორე მხრივ, კომერციული საიდუმლოების გამოყენებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო დებულებების შესაძლო არარსებობა არ გამორიცხავს არაკეთილსინდისიერ ქმედებას. თუ მუშაკის ან ყოფილი მუშაკის მიერ კომერციული საიდუმლოების გახსნა კონკურენტის მიერ წინასწარი განზრახვით იყო პროვოცირებული, მაშინ ჩაითვლება, რომ კონკურენტი ჩადის სასარჩელო სამართალდარღვევას, თუ მას ასეთი ინფორმაციის მიღების მომენტისათვის შეეძლო სცოდნოდა ან ევარაუდა, რომ მისი

გახმაურება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას. ხშირად მოსამსახურის მიერ კომერციული საიდუმლოების გახსნის პროვოცირება ხდება მუშაკის შეცდენით უკანონო გადაბირების სეპარატულ აქტთან ერთად, რაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის დარღვევად განიხილება.

(g) დაუმსახურებელი უპირატესობის მოპოვება სხვათა მიღწევების ხარჯზე ("თავისუფალი თარეში" - "Free Riding")

(i) ზოგადი დებულებები

12.103. გარდა აღრევის შესაძლებლობისა, არსებობს გარემოებანი, რომელთა მართვა შეიძლება სხვადასხვა შესაბამისი მოსაზრებით, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშვნების, პროდუქტებისა და სხვა საბაზრო დანიშნულებით შექმნილი საგნების იმიტაციასთან. მსგავს შემთხვევებს განეკუთვნება ქმედება, რომლის მიზანია სხვა პირის იმ მიღწევათა საფუძველზე დაუმსახურებელი სარგებლის მიღება, ან ე.წ. "თავისუფალი თარეში" (Free Riding") არამართლზომიერი გამოყენება, რომლებიც აღიარებულია მომხმარებლებისა და საბაზრო ოპერაციებში მონაწილე სხვა მხარეთა - დილერების, საცალო და საბითუმო მოვაჭრეებისა და მიმწოდებლების მიერ. ასეთი მიღწევები ხშირად ეხება გარკვეულ აღნიშვნას ან პროდუქტს, მაგრამ მათ შეიძლება, აგრეთვე, გააჩნდეთ წმინდა ტექნიკური ხასიათიც.

12.104. ასეთ შემთხვევებში დაცვა დამოკიდებულია მთელ რიგ მოთხოვნებზე, რომლებიც განსხვავებულია ქვეყანების მიხედვით. კონკურენციის აქტის არაკეთილსინდისიერების დადგენა ხდება არა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ აშკარად აქვს ადგილი კონკურენტის კუთვნილი აღნიშვნის ან მისი პროდუქტის კომერციული წარმატების ან ტექნიკური მიღწევის გამოყენებას ამ მიღწევების მახასიათებლების არსებითად შეცვლისაკენ მიმართული რაიმე სათანადო ძალისხმევის გარეშე, არამედ არსებული ბიზნესის რეპუტაციისათვის ზიანის შესაძლო მიყენების რისკის საფუძველზეც. როგორც მინიმალური მოთხოვნა, აღნიშვნას ან პროდუქტს უნდა გააჩნდეს განმასხვავებლობა (რაც შეიძლება არ იყოს საკმარისი სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე დაცვის საჭირო დონის უზრუნველსაყოფად). რადგანაც დაცვის ფარგლები შეიძლება დამოკიდებული იყოს განმასხვავებლობის ხარისხზე, აბსოლუტურად ტრივიალური აღნიშვნები ან პროდუქტები, როგორც წესი, არ ექვემდებარება უბრალო იმიტაციისაგან დაცვას.

12.105. წმინდა სისტემატიზაციის თვალსაზრისით ცნებას – "თავისუფალი თარეში" – აქვს ბევრი საერთო ნიშანი ცნებებთან, რომლებიც დაკავშირებულია აღრევის გამოწვევასა და შეცდომაში შეყვანასთან. სხვის კომერციულ მიღწევებზე თავისუფალი თარეში შეიძლება განისაზღვროს როგორც ნებისმიერი ქმედება, რომელსაც ახორციელებს კონკურენტი ან საბაზრო ურთიერთობების სხვა მონაწილე სხვა პირის სამრეწველო ან კომერციული მიღწევების საკუთარი კომერციული მიზნით გამოყენების განზრახვით ისე, რომ არ შეიტანოს არსებითი ცვლილებები ორიგინალურ მიღწევაში. ამ თვალსაზრისით, "თავისუფალი თარეში" იმიტაციის გზით ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ თავისუფალი ბაზრის პრინციპების მიხედვით, სხვისი მიღწევის გამოყენება ან „მითვისება" არაკეთილსინდისიერებად განიხილება მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში. თავის მხრივ, ქმედება, რომელიც იწვევს აღრევას ან შეცდომაში შეყვანას როგორც წესი, გულისხმობს "თავისუფალ თარეშს" სხვა პირის მიღწევებზე და საზოგადოდ მიჩნეულია არაკეთილსინდისიერ ქმედებად.

12.106. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვისი კომერციული მიღწევების გამოყენება ხდება აღრევის გამოწვევის გარეშე არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის აუცილებლობის შეფასებისას, ხშირად აცხადებენ, რომ სხვისი მიღწევების უბრალო გამოყენება შეთავსებადია თავისუფალი კონკურენციის პრინციპებთან. ამგვარად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ დებულებების მიხედვით დაცვა არ შეიძლება უბრალოდ იქნეს მიჩნეული იმ საიმედო დაცვის ალტერნატიულ გზად, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა სამრეწველო საკუთრების შესახებ სპეციალური კანონების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ისევე, როგორც შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური ინტერესების გარკვეული დაბალანსება მიღწეული იქნა პატენტების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების და სხვ. შესახებ სპეციალური კანონმდებლობის მიღების გზით, ასევე უნდა მოხდეს ასეთი დაბალანსების გათვალისწინება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების დროსაც. როგორც ზოგადი წესი, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ დებულებათა საფუძველზე დაცვა არ დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ კოპირებული ან მითვისებული მიღწევა დაცულია სამრეწველო საკუთრების შესახებ სპეციალური კანონებით, და, როდესაც დაცვის სახეობა, რომელიც მოიაზრება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ დებულებათა ფარგლებში, შეიძლებოდა, გარკვეული ვადით მაინც, მიღწეული ყოფილიყო ამ სპეციალური კანონის საფუძველზე ("უპირატესი უფლების" პრინციპი).

12.107. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაცვა, როგორც ასეთი, უნდა მოითხოვებოდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური კანონმდებლობის დებულებები არ მოიცავს კონკრეტული დარღვევის სახეს, მაგალითად, თუ კანონი არ გამოიყენება განსაზღვრულ ვადაზე ადრინდელ მიღწევათა მიმართ, ან, თუ სპეციალური კანონი არ არის საკმაოდ ფართო, რათა უზრუნველყოს კონკრეტული შემთხვევის შესაბამისი დაცვა. სამრეწველო საკუთრების შესახებ ზოგიერთი კანონი პირდაპირ უზრუნველყოფს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ დებულებათა საფუძველზე იმ მიღწევების დაცვას, რომლებიც არ ექვემდებარება დაცვას სპეციალური კანონმდებლობის ფარგლებში. სამრეწველო საკუთრების შესახებ სხვა კანონები პირდაპირ გამორიცხავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე დამატებითი დაცვის შესაძლებლობას გამოგონებების, აღნიშვნების, სასაქონლო ნიშნების ან პროდუქტის ფორმისათვის, რომლებიც ექვემდებარება დაცვას ასეთი კანონების ფარგლებში. მაგრამ მაინც ყოველთვის ნათელი არ არის, თუ ფაქტობრივად ინტერესთა როგორ ბალანსს უზრუნველყოფს კანონმდებლობა სპეციალური კანონის მიღების გზით. კანონების კომენტარებიც კი არ იძლევა ამომწურავ პასუხს ამ კითხვაზე. ამგვარად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე "თავისუფალი თარეშისაგან" დაცვის მინიჭებისადმი საერთო მიდგომა არის ის, რომ დაცვის მინიჭება მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება, რომლებიც გარკვეულწილად უნდა განსხვავდებოდნენ იმ გარემოებებისაგან, რომელთა დროსაც დაცვა სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად მიენიჭება. ასეთ გარემოებათა განსაზღვრა ხშირად შესაძლებელია მხოლოდ „ყოვლისმომცველი” დებულების ფარგლებში და ამიტომ, ჩვეულებრივ, მას ადგენენ პრეცედენტული სამართალით. მრავალ ქვეყანაში უკვე აღიარებულია განსაკუთრებული გარემოებანი, რომელთა შედეგად ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს, "თავისუფალი თარეშის" შემდეგი სახეობებისათვის: სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობის ან რეკლამით შეძენილი პოპულარობის შესუსტება, სხვისი რეპუტაციის მითვისება, მონური იმიტაცია და ე.წ. „პარაზიტული ქმედებები”. ყველა ეს შემთხვევა განხილულია შემდგომ პუნქტებში.

(ii) სასაქონლო ნიშნის განმასხვავებლობის ან რეკლამით შეძენილი პოპულარობის შესუსტება

12.108. საზოგადოდ, როდესაც სასაქონლო ნიშნის უნებართვო გამოყენება განსხვავებული საქონლისა ან მომსახურებისათვის არ იწვევს აღრევას, ადგილი არა აქვს არც სასაქონლო ნიშნებზე ან მომსახურების ნიშნებზე უფლებების დარღვევას და არც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს. ეს გამომდინარეობს სასაქონლო ნიშნების კანონში არსებული "განმასხვავებლობის პრინციპიდან", რაც სასაქონლო ნიშნებისა და მომსახურების ნიშნების განმასხვავებლობის ფუნქციის შედეგია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, კანადაში, ევროპის თანამეგობრობის წევრ-ქვეყნებში (სასაქონლო ნიშნების შესახებ ეროვნულ კანონმდებლობათა დაახლოების შესახებ EC დირექტივის მიხედვით), აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატში ცნობილად აღიარებულ სასაქონლო ნიშნებს მათი განმასხვავებლობის ან რეკლამით შეძენილი პოპულარობის შესუსტების საწინააღმდეგოდ დამატებითი დაცვა ენიჭება. „შესუსტება" გულისხმობს სასაქონლო ნიშნის უნარის შემცირებას ან თანდათანობით დაქვეითებას, რომლითაც იგი მომხმარებელთა შორის ან საერთოდ საზოგადოებაში კონკრეტულ წარმოშობასთან სწრაფ ასოციაციას იწვევს. ვინაიდან იდენტური ან მსგავსი ნიშნების გამოყენება აბსოლუტურად განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისათვის გარდუვალად იწვევს შესუსტებას, გონივრულია, ვიფიქროთ, რომ ნიშნები, რომლებმაც მოიპოვეს გარკვეული პოპულარობა, დაცული უნდა იქნენ საბაზრო საქმიანობის სხვა მონაწილეთა აშკარა მისწრაფებისაგან, საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენონ ასეთი ნიშნის გარკვეული "უნიკალურობა". ნიშნის მფლობელისათვის არსებითი ზიანის მიყენების ალბათობა განპირობებულია იმით, რომ ნიშანმა შეიძლება დაკარგოს გარკვეულ პროდუქტთან უკვე დამკვიდრებული ასოციაციური კავშირის გამოწვევის უნარი. კონკრეტული ნიშნის აღიარების საჭირო ხარისხს განსაზღვრავს საზოგადოების ან მომხმარებელთა შესაბამისი ჯგუფი. იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო ნიშანი ეხება მომხმარებელთა შეზღუდულ ჯგუფზე ორიენტირებულ საქონელს, მას უკეთესი შანსი აქვს აღიარების საჭირო ხარისხის მისაღწევად, ვიდრე ფართო მოხმარების საქონელს. მაგრამ ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა აღიარების საჭირო ხარისხი, მეტად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

(iii) სხვისი რეპუტაციის გამოყენება

12.109. უკანონო მითვისების კიდევ ერთ სახეობას, რომელიც უკანასკნელ წლებში აღიარებულ იქნა როგორც პატიოსანი საქმიანობის საწინააღმდეგო, სხვა სამრეწველო ან კომერციულ საწარმოთა რეპუტაციით ან ეკონომიკურ მიღწევათა „პრესტიჟით" არაკეთილსინდისიერი სარგებლობა წარმოადგენს.

ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ესადაგება საყოველთაოდ ცნობილი აღნიშვნების მითვისებას. მაგალითად, თუ გაყალბების გარეშე მარკირებული პროდუქტის ან მომსახურების ხარისხი მომხმარებელს უბიძგებს, რომ მოცემული სასაქონლო ნიშანი ასოციაციით დაუკავშიროს გარკვეულ წარმოშობას ან პროდუქტის ხარისხის დონეს, მისი უნებართვო გამოყენება სხვა საქონლის ან მომსახურებისათვის, თუმცა იგი არ იწვევს აღრევას წარმოშობის წყაროს მიმართ, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უკანონო მითვისება. ასეთი მიდგომა შეიძლება, აგრეთვე, პროდუქტის გარეგანი სახის მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში აღიარებული უნდა იქნეს, რომ გარეგანი სახე მიუთითებს ხარისხის, რეპუტაციის ან პრესტიჟის გარკვეულ დონეზე. მაგრამ სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა მიდგომა გააჩნია ამგვარი უკანონო მითვისების მიმართ. მაგალითად, მაშინ, როცა საფრანგეთში სხვისი ნიშნის, ან პროდუქტის პრესტიჟის მითვისება, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება, ესპანეთში უკანონო მითვისების ასეთი სახეობა პირდაპირ იკრძალება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის შესახებ 1991 წ. კანონის მე-12 მუხლით. მესამე პირის მიერ მითვისების დასაშვებად გერმანიაში მოითხოვება, რომ ნიშნის მეორადი გამოყენება არ იყოს შესაძლებელი არანაირი მოსაზრებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობა მითვისებასთან დაკავშირებით, თუ არ არსებობს აღრევის შესაძლებლობა, მაგალითად, „სპონსორობის" შემთხვევაში, როდესაც მხედველობაში მიიღება სასაქონლო ნიშნის პრესტიჟი.

12.110. სხვისი სასაქონლო ნიშნის ან მომსახურების ნიშნის უპირატესობის მითვისება შეიძლება ხდებოდეს მეტ-ნაკლებად ფარული ფორმით. მაგალითად, კონკურენტს შეუძლია გამოიყენოს მთლიანობაში მსგავსი, მაგრამ შესამჩნევად განსხვავებული სასაქონლო ნიშანი, რომელშიც შეგნებულად არის გამოყენებული პირველი სასაქონლო ნიშნისათვის დამახასიათებელი და კარგად ცნობილი ელემენტები. გარდა ამისა, მას შეუძლია გამოიყენოს ეს ნიშანი საკუთარი საქონლის რეკლამირებაში, რათა მასზე გადაიტანოს საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის პრესტიჟი ან გამოიყენოს სხვისი ნიშანი განმარტებითი გამოთქმებით - „მოდელის მიხედვით", „ტიპის მიხედვით", „სტილში" და ა.შ. (თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგ ქვეყანაში დაშვებულია სიტყვის - „გამოდგება" ან სხვა ანალოგიურ გამოთქმათა გამოყენება სათადარიგო ნაწილებისა და აქსესუარების მიმართ). ამასთან დაკავშირებით აუცილებელი არ

არის, რომ კომერსანტი იყოს ნიშნის მფლობელის პირდაპირი კონკურენტი, ვიდრე იარსებებს ნიშნის ან შესაბამისი საქმიანობის განსაკუთრებული პრესტიჟისა ან რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა.

(iv) მონური იმიტაცია

12.111. მონური იმიტაციის, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცალკე აქტის, ცნება ევროპის რამდენიმე ქვეყანაში შემუშავდა. არაკეთილსინდისიერი "თავისუფალი თარეშის" ეს ფორმა, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც გამონაკლისი საერთო წესებიდან, რომელთა შესაბამისად შესაძლებელია ისეთი საქონლის ან აღნიშვნების თავისუფალი გამოყენება, რომლებიც არ არიან დაცვისუნარიანნი, რომელთა დაცვის მოქმედების ვადა სპეციალური კანონის მიხედვით ამოიწურა, ან რომელთა მიმართ არ არსებობს წარმოშობის თვალსაზრისით აღრევის შესაძლებლობა. აღრევის შესაძლებლობის არარსებობისას შემთხვევის სპეციფიკურმა გარემოებებმა უნდა გამოააშკარაოს ასეთი აქტის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის რაიმე განსაკუთრებული მახასიათებელი. ჩვეულებრივ, აქტის არაკეთილსინდისიერება იმაში გამოიხატება, რომ იმიტატორს არ სჭირდება ძიება, ინვესტირება, შემოქმედებითი ძალისხმევა და ხარჯები; იგი უბრალოდ ახდენს სხვისი მიღწევის კოპირებას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა კონკურენციის სხვა ეფექტური საშუალებები. იმიტირებულ პროდუქტებს ან აღნიშვნებს ამასთან უნდა გააჩნდეს გარკვეული განმასხვავებლობა, რომელიც არ უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ იმ ტექნიკური მახასიათებლებიდან, რომელიც აუცილებელია პროდუქტის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის, არამედ უნდა უკავშირდებოდეს მის ესთეტიკურ ან დეკორატიულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც უშვებენ საკმაო თავისუფლებას სხვადასხვა ფორმისა და დიზაინის გამოყენების თვალსაზრისით.

12.112. მაგრამ მონური იმიტაციის ყველა კრიტერიუმი ერთნაირი არ არის ყველა ქვეყანაში. იმის გარდა, რომ ზოგ შემთხვევაში განმსაზღვრელ გარემოებებთან ერთად ხდება ისეთი ცნებების გათვალისწინება, როგორიცაა: პოპულარობის შესუსტება, რეპუტაციის უკანონო მითვისება ან „პარაზიტული კონკურენცია", ხშირად აქტის არაკეთილსინდისიერების განსაზღვრისათვის სავალდებულოა ყურადღება გამახვილდეს მკვეთრ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს კონკურენტის მიერ თავისი მიღწევის შესამუშავებლად, ბაზარზე ამ მიღწევის დასანერგად და გარკვეული კომერციული წარმატების ან აღიარების მოსაპოვებლად გაწეულ ძალისხმევასა და იმიტატორის მიერ ასეთი

მიღწევის კოპირებისა და გამოყენებისათვის გაწეულ ძალისხმევას შორის. როგორც საკანონმდებლო დებულების მაგალითი, რომელიც ასეთი სახის არაკანონიერი მითვისების აღსაკვეთად არის მიმართული, შეიძლება მოვიტანოთ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ შვეიცარიის კანონის მე-5(c) მუხლი, რომლის თანახმადაც არაკეთილსინდისიერ ქმედებად განსაკუთრებულად მიიჩნევა ბაზარზე პოპულარობის მისაღწევად სხვის მიერ გაწეული შრომის მზა შედეგის მითვისებისა და სარგებლობის ნებისმიერი აქტი, თუ იგი ჩადენილია რეპროდუცირების ტექნიკური საშუალებების გამოყენების გზით და მისი მიმთვისებლის მხრიდან რაიმე შესაბამისი ძალისხმევის გარეშე. მსგავსი დებულება გვხვდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ესპანეთის კანონის მე-11 (2) მუხლში, რომელიც მესამე პირის მიღწევათა კოპირებას განიხილავს როგორც არაკეთილსინდისიერ აქტს, თუ დაუმსახურებელი უპირატესობა მიიღება სხვა პირის გუდვილის ან ძალისხმევის ხარჯზე.

12.113. მონური იმიტაციის აქტები უნდა განვასხვაოთ ე. წ. „უკუღმა კონსტრუირების" აქტისაგან. ასეთი ქმედებები, როგორც წესი, მდგომარეობს პროდუქტის ან ნივთიერების შემადგენელ ნაწილებად დაშლის ან შემადგენელ ელემენტებად დაყოფის გზით შესწავლის ან ანალიზის საფუძველზე მისი სტრუქტურის, შემადგენლობის ან ფუნქციონირების გარკვევაში, რათა მოხდეს მისი დამზადების ან კონსტრუირების ხერხის განსაზღვრა შემდგომში ამ პროდუქტის ან ნივთიერების გაუმჯობესებული ვარიანტის წარმოების მიზნით. უკუღმა კონსტრუირების ასეთი პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული მრეწველობაში კონკურენტის პროდუქტის შექმნის ტექნოლოგიის შესწავლასთან, მისი კონკურენტუნარიანი (გაუმჯობესებული ან განსხვავებული, მაგრამ ეკვივალენტური) პროდუქტის შემდგომ წარმოებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, ეს არის კონკურენციის ნორმალური განხორციელების ნაწილი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება უფრო ფართო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. მაშასადამე, უკუღმა კონსტრუირების პრაქტიკა თავისთავად არ არის არაკეთილსინდისიერი. მაგრამ უკუღმა კონსტრუირების გზით მიღებული პროდუქტი ან სხვა შედეგი გარკვეულ პირობებში შეიძლება სამრეწველო საკუთრების უფლებათა დარღვევად იქნეს მიჩნეული. მაგალითად, კონკურენტის მიერ უკუღმა კონსტრუირების წესით დამზადებული პროდუქტი ხვდება მოქმედი პატენტის გამოგონების ფორმულის დაცვის ფარგლებში (როდესაც სათანადო ეკვივალენტობის პრინციპი მიიღება მხედველობაში), ადგილი აქვს პატენტზე უფლების დარღვევას. თუ

პატენტზე უფლება არ იყო დარღვეული, მაგრამ ორიგინალური პროდუქტის იმიტაციის ხერხი არაპატიოსანი ან არაკეთილსინდისიერია (იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ადგილი უკუღმა კონსტრუირებას), ასეთი ქმედებები, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენა, სასამართლო დევნის ობიექტია.

(v) პარაზიტული ქმედებები

12.114. ზოგიერთ ქვეყანაში აღიარებულია არაკეთილსინდისიერი თავისუფალი თარეშის კიდევ ერთი სახეობა - „პარაზიტობის აქტები". ამ ცნებას ბევრი საერთო აქვს მონური იმიტაციის კონცეფციასთან. ამ შემთხვევაში სხვისი მიღწევების უბრალო იმიტაცია განიხილება როგორც თავისუფალი საბაზრო სისტემის განუყოფელი ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებულ გარემოებაში ასეთი იმიტაცია შეიძლება გახდეს არაკეთილსინდისიერი. მაგალითად, მოცემული პროდუქტის იმიტაცია, რომელიც არ არის განსაკუთრებულად ახალი ან ორიგინალური, შეიძლება ნებადართული ყოფილიყო, მაგრამ როგორც კი მასში განხორციელებული მიღწევა აღიარებული იქნება სიახლედ ან ძლიერ მიმზიდველი გახდება მომხმარებლისათვის, იმიტატორს მისი ქმედების პატიოსნებაზე პრეტენზიის ნაკლები საფუძველი ექნება. ის, რაც ბალანსს აშკარად იმიტატორის საწინააღმდეგოდ არღვევს, არის მის მიერ ჩვეულებრივი გზით ერთი რომელიმე კონკრეტული კონკურენტის მიღწევების სისტემატური და მეთოდური მითვისება. გარდა ამისა, კონკურენტის მოღვაწეობის სახესთან დაკავშირებულ ზოგიერთ გარემოებას, შეუძლია გამოავლინოს მისი არაკეთილსინდისიერება; მაგალითად, კონკურენტისათვის ნიმუშების შეკვეთა მისი პროდუქტის უფრო ადვილი და სისტემატური იმიტაციის მიზნით, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერება, პარაზიტობა. ზოგი ქვეყანა ასეთ შემთხვევაში ირჩევს მოქნილ მიდგომას, კერძოდ, სასამართლო აკრძალვის გამოყენების სფეროსა და, აგრეთვე, გარკვეულ გარემოებებთან დაკავშირებით დაცვის დროითი შეზღუდვების დადგენის გზით. მაგალითად,. საინოვაციო ხარჯების ამორტიზაცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც იმიტაციის კეთილსინდისიერებისა თუ არაკეთილსინდისიერების განსაზღვრის შესაბამისი ფაქტორი. ამის შედეგად დაცვა მიენიჭება მხოლოდ იდენტური იმიტაციის შემთხვევაში და მხოლოდ მნიშვნელოვნად უფრო ხანმოკლე ვადით, ვიდრე სამრეწველო საკუთრების შესახებ სპეციალური კანონებით არის გათვალისწინებული. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად აშშ-ში) სხვა პირის პროდუქტის უბრალო კოპირება (მაშინაც კი, როცა გამოყენება სისტემატურია ან ხდება კონკრეტული კონკურენტის მიმართ) არ

განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი აქტი, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ადგილი აქვს იმ არაფუნქციური ნიშან-თვისებების კოპირებას, რომლებსაც გააჩნიათ განმასხვავებლობა, ან რომლებმაც შეიძინეს მეორადი მნიშვნელობა.

(h) შედარებითი რეკლამა

(i) განსაზღვრება

12.115. მართალი, მაგრამ მადისკრედიტებელი, განცხადებებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ყველაზე უკეთ ჩანს შედარებითი რეკლამის შესახებ საკითხის განხილვისას. შედარებითი რეკლამა ორი სახეობისაა: სხვისი პროდუქტის პოზიტიურად მოხსენიება (მტკიცება, რომ მისი პროდუქტი ისევე კარგია, როგორც სხვისი), ან ნეგატიური მითითება (მტკიცებით, რომ მისი პროდუქტი უკეთესია სხვის პროდუქტზე). პირველ შემთხვევაში, როდესაც კონკურენტის საქონელი, როგორც წესი, საყოველთაოდ ცნობილია, მთავარი საკითხი მდგომარეობს სხვისი გუდვილის (რეპუტაციის) უკანონო გამოყენების შესაძლებლობაში. მეორე შემთხვევაში, როდესაც კონკურენტის პროდუქტი გაკრიტიკებულია, წამოიჭრება დამცირების საკითხი. მაგრამ შედარების ორივე ფორმა მოიცავს (უნებართვო) მითითებას კონკურენტზე, რომელიც ან სახელითაა მოხსენიებული, ან ლოგიკურად ამოცნობადია მომხმარებლების მიერ.

(ii) საერთო ხასიათის შეზღუდვები: „შეცდომაში შემყვანი" და „მადისკრედიტებელი" შედარებები

12.116. თავისთავად იგულისხმება, რომ შედარებითი რეკლამის დროს დაცული უნდა იყოს შეზღუდვები, რომლებიც მოქმედებენ რეკლამის ყველა სახეობის მიმართ. კერძოდ, ის არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და დამამცირებელი. შედარებები, რომლებიც დამყარებულია ცრუ ან შეცდომაში შემყვან განცხადებებზე საკუთარი პროდუქტის ან ცრუ განცხადებებზე კონკურენტის პროდუქტის მიმართ, აკრძალულია ყველა ქვეყანაში.

12.117. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს განსხვავება „შეცდომაში შეყვანისა" და, განსაკუთრებით, „დისკრედიტაციის" ცნებების შეფასებაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგიერთ ქვეყანაში ითვლება, რომ ‚უპირატესობის ან უნიკალურობის შესახებ განცხადება (მაგალითად, „საუკეთესო" და სხვ.) შეცდომაში შემყვანია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეიძლება მართალი აღმოჩნდეს, სხვა ქვეყნებში კი ასეთი განცხადებები

განიხილება როგორც უვნებელი გაზვიადება. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს განსხვავებებს „დისკრედიტაციისა" და უკანონო „მითვისების" ცნებათა შეფასებაში. ქვეყნებში, სადაც არსებობს საკმაოდ ლიბერალური დამოკიდებულება მართალი, მაგრამ მაინც მადისკრედიტებელი განცხადებებისადმი, შედარებითი რეკლამა, როგორც წესი, დაშვებულია. ვიდრე განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, სასამართლო ინსტანციები საქმეში არ ერევა მაშინაც კი, თუ კონკურენტზე ან მის პროდუქტზე მითითება აშკარად მადისკრედიტებელი ხასიათისა იქნება ან ადგილი ექნება მისი გუდვილის გამოყენებას. ქვეყნებში, სადაც ტრადიციულად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ „პატიოსანი" მეწარმისა და მისი რეპუტაციის დაცვას, შედარებითი რეკლამა ან აკრძალულია, ან ძლიერად მაინც არის შეზღუდული. ზოგჯერ თვითონ კონკურენტის მოხსენიების უბრალო ფაქტი მისი ნების საწინააღმდეგოდ განიხილება როგორც დისკრედიტაციის, და, მაშასადამე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი. იმ წესის შესაბამისად, რომლის თანახმადაც „პატიოსან მეწარმეს უფლება აქვს, სხვებს აუკრძალოს მასზე ლაპარაკი მაშინაც კი, როდესაც ნათქვამი სინამდვილეს შეესაბამება", ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირაც კი კრძალავს ნებისმიერ შედარებას, რომლებშიც საჭიროების გარეშეა ნახსენები კონკურენტი. იმავე საფუძველზე სხვა ქვეყნების სასამართლოები ცნობენ, რომ შედარებითი რეკლამა მეტ-ნაკლებად ეწინააღმდეგება პატიოსანი სავაჭრო საქმიანობის წესებს (და მაშასადამე, ეწინააღმდეგება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის ზოგად დებულებებს). თუმცა, ზოგჯერ ხაზს უსვამენ იმას, რომ სიმართლის შემცველი შედარება შეიძლება სასარგებლოც იყოს მომხმარებლისათვის. სასამართლო თეორია და საერთო სამართლის პრაქტიკა შედარებით რეკლამას უშვებს მხოლოდ გარკვეულ, მეტად სპეციფიკურ გარემოებებში; მაგალითად, თუ იგი პირდაპირ მოითხოვება მომხმარებლის მიერ, თუ გამოიყენება რეკლამის მიმცემის უფლების უკანონო ხელყოფის საპასუხოდ ან აუცილებელია გარკვეული სისტემის ან ახალი ტექნოლოგიის ზოგადი განმარტებისათვის.

(iii) ობიექტური შედარების დაშვებისაკენ მიმართული ტენდენცია

12.118. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში შედარებითი რეკლამისადმი ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება შეიცვალა. თანდათან მოხდა იმ ფაქტის აღიარება, რომ შესაბამისი ფაქტების ობიექტურ შედარებებს შეუძლიათ არა მხოლოდ შეამცირონ მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მოსაპოვებლად გაწეული ხარჯები, არამედ დადებითი ზეგავლენა მოახდინონ ეკონომიკაზე

ბაზრის გამჭვირვალობის გაუმჯობესებით. იმ ქვეყნების სასამართლოებმა, სადაც შედარებითი რეკლამა ტრადიციულად განიხილებოდა როგორც მადისკრედიტებელი, თანდათან შეასუსტეს კონკურენტის შესახებ ინფორმაციის შემცველი ყველა განცხადების აკრძალვის სიმკაცრე. საფრანგეთში, მაგალითად, ფასების შედარება დაშვებულია, თუ ეს ინფორმაცია ეყრდნობა ჭეშმარიტ, საქმესთან დაკავშირებულ და საკმარის მასალას. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ახლახან მიღებული კანონებით არაპირდაპირ მაინც არის დაშვებული შედარებითი რეკლამა. ევროგაერთიანების (EC) დონეზე შემოთავაზებული იყო ახალი დირექტივა, რომელიც ავალდებულებდა EC წევრ-სახელმწიფოებს, დაეშვათ ობიექტური შედარებითი რეკლამა. მთლიანობაში შეიძლება ლაპარაკი მეტად აშკარა ტენდენციის არსებობის შესახებ ობიექტური შედარებითი რეკლამის დაშვების სასარგებლოდ.

(iv) შედარებითი რეკლამის განსაკუთრებული საფრთხე

12.119. მეორე მხრივ, არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ შედარებითი რეკლამის მეშვეობით ბევრად უფრო ადვილია შეცდომაში შეყვანა ან დისკრედიტაცია, ვიდრე სხვა სახის რეკლამების უმეტესობის მეშვეობით. მაგალითად, თუ შედარება ემყარება უადგილო (ან რეალურად არაშედარებად) ასპექტებს, ან, თუ საერთო შთაბეჭდილება შეცდომაში შემყვანია. ასეთი პოტენციური საფრთხე მოითხოვს სპეციალურ გარანტიებს ბოროტად გამოყენებისაგან დასაცავად. ქვეყნებში, რომლებიც უშვებენ შედარებით რეკლამას, განსაკუთრებით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ობიექტური განცხადებებიც კი აუცილებლობის გარეშე არ უნდა იყოს დამამცირებელი, ან, რომ არ უნდა ხდებოდეს არაშედარებადი ფაქტების შედარება. შედარებითი რეკლამის შესახებ დირექტივისათვის 1991 წელს შემუშავებული EC წინადადება უფრო შორს მიდის და პირდაპირ მოითხოვს, რომ მოხდეს მხოლოდ შესაბამისი, ჭეშმარიტი და შემოწმებადი მახასიათებლების შედარება, რათა საერთო შთაბეჭდილება არ იყოს შეცდომაში შემყვანი, რომ შესადარებელ პროდუქტებს შორის არ იყოს აღრევის არანაირი საშიშროება, და რომ არანაირად არ მოხდეს კონკურენტისა და მისი პროდუქტის დამცირება ან დისკრედიტაცია. უფრო მეტიც, რეკლამის მიმცემს შეიძლება მოეთხოვოს ნებისმიერი იმ ფაქტის დამტკიცება, რომელიც მიმოხილვაში გამოყენებული იქნება შედარებითი რეკლამისათვის.

(v) შედარებითი რეკლამა და კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ

12.120. ძალიან ხშირად შედარება შეუძლებელია იმ გარკვეული სასაქონლო ნიშნის მოხსენიების გარეშე, რომელიც მიუთითებს კონკრეტულ პროდუქტზე, მომსახურებაზე ან საწარმოზე. ამ შემთხვევებში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ კანონები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სფეროში, არამედ სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობაც.

12.121. ქვეყნებში, სადაც სასაქონლო ნიშნები დაცულია როგორც მხოლოდ მითითება პროდუქტის ან მომსახურების წარმოშობაზე, სასაქონლო ნიშნის გამოყენება შედარებით რეკლამაში შეიძლება არ მოექცეს სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის მოქმედების სფეროში. მაგრამ არსებობს ქვეყნები, სადაც სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენება შედარებით რეკლამაში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სასაქონლო ნიშნებზე უფლებების დარღვევა. მაგალითად, სასაქონლო ნიშნების შესახებ ბენილუქსის ქვეყნების ერთიანი კანონის მე-13 A მუხლი იცავს სასაქონლო ნიშნის „სარეკლამო ღირებულებას" პოტენციურად საზიანო გარემოებებში ნებისმიერი გამოყენებისაგან (რაც შედარებით რეკლამაში შეიძლება, აგრეთვე, გამოიხატოს არასასურველი მოხსენიების სახით). სასაქონლო ნიშნების შესახებ კანადის კანონი მთლიანობაში იცავს სასაქონლო ნიშნის გუდვილს, ხოლო სასაქონლო ნიშნების შესახებ გაერთიანებული სამეფოს თანამედროვე კანონმდებლობა პრინციპულად კრძალავს სხვის სასაქონლო ნიშანზე ნებისმიერ მითითებას. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, სადაც შედარებითი რეკლამა, ჩვეულებრივ, ნებადართულია, მრავალ შტატში ამოქმედებული ე.წ. "შესუსტების აღკვეთის შესახებ კანონები" თეორიულად შეიძლება გამოყენებული იყოს შედარებით რეკლამაში სხვა პირთა კუთვნილი სასაქონლო ნიშნებით სარგებლობის მიმართ ვინაიდან, აღრევის შესაძლებლობის არსებობისაგან დამოუკიდებლად, ისინი სასაქონლო ნიშანს ანიჭებენ დაცვას ნებისმიერი ქმედებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ნიშნის საქმიან რეპუტაციას ან შეასუსტონ მისი განმასხვავებლობა. მაგრამ ეს კანონები ჯერჯერობით არ არის გამოყენებული ჭეშმარიტი შედარებითი რეკლამის მიმართ, რაც, როგორც ჩანს, აიხსნება შესაბამისი კონსტიტუციური პრინციპების არსებობით. საყურადღებოა, რომ შედარებითი რეკლამის შესახებ EC დირექტივის მიღების თაობაზე წინადადების თანახმად რეკლამის ასეთი სახეობა ნებადართულია იმ პირობით, რომ იგი, კერძოდ, არ გამოიწვევს აღრევას რეკლამის მიმცემისა და კონკურენტის ნიშნებს შორის და არ მოახდენს კონკუ-

რენტის ნიშნის დისკრედიტაციას, არ გამოიწვევს მისი სახელის გატეხას ან არ გამოავლენს მისდამი უპატივცემლობას.

(vi) მესამე პირთა მიერ ჩატარებული შედარებები

12.122. ბევრ ქვეყანაში პროდუქციის მარკეტინგული შესწავლა ხორციელდება მომხმარებელთა ორგანიზაციების და/ან კერძო ან საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ, მაგალითად, პრესის, ტელევიზიისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში წამოიჭრება ორი კითხვა: არის თუ არა ეს ორგანიზაციები პასუხისმგებელი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით და შეიძლება თუ არა მათი კვლევის შედეგების გამოყენება რეკლამაში?

12.123. ქვეყნებში, სადაც კანონით აღარ მოითხოვება კონკურენტული ურთიერთობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, დებულებები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ასეთ ორგანიზაციებზეც ვრცელდება. სხვა ქვეყნებში პროდუქციის „არაკეთილსინდისიერი" კვლევები, რაც უარყოფითად მოქმედებს ბიზნესის რეპუტაციაზე, უწინარეს ყოვლისა, სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ საერთო დებულებათა მოქმედებას ექვემდებარება.

12.124. როგორც ჩანს, არ არსებობს არანაირი საერთო შეთანხმება იმის თაობაზე, თუ როგორ და რა პირობებში შეუძლია რეკლამის მიმცემს, გამოიყენოს ასეთი გამოკვლევის შედეგები. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. გერმანიაში), სადაც შედარებითი რეკლამა საერთოდ არ არის დაშვებული, ასეთი სახის არაპირდაპირი შედარება, პრინციპში, კანონიერად ითვლება. სხვა ქვეყნებში (მაგ. ბელგიაში) კონკურენტებს პირდაპირ უკრძალავენ იმ გამოკვლევის შედეგების დამოწმებას, რომელიც ჩაატარა მომხმარებელთა ორგანიზაციებმა, ხოლო ზოგ ქვეყანაში (მაგ. შვეიცარიაში) ასეთი სახის დამოწმება მკაცრად შეზღუდულია. შედარებითი რეკლამის შესახებ EC დირექტივისათვის შემუშავებული წინადადება ითვალისწინებს მესამე პირების მიერ ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგების გამოყენებას მხოლოდ ამ გამოკვლევის ჩამტარებელი პირის უშუალო თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეკლამის მიმცემი პასუხისმგებელი იქნება ასეთ გამოკვლევებზე დამყარებულ ნებისმიერ სარეკლამო განცხადებაზე.

(i) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სხვა ძმედებები

(i) ზოგადი დებულებები

12.125. როგორც ადრე იყო აღნიშნული, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონები ასახავს საზოგადოების სოციოლოგიურ, ეკონომიკურ და ეთიკურ კონცეფციებს. გარდა უკვე განხილულ ქმედებათა სპეციფიკური კატეგორიებისა, რომლებიც ზოგადად განიხილება როგორც არაკეთილ-სინდისიერი კონკურენცია, არსებობს ქმედებები და საქმიანობები, რომლებზეც ერთ ქვეყანაში შეიძლება ვრცელდებოდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონი, მაგრამ არ არის აუცილებელი, იგივეს ჰქონდეს ადგილი მეორეშიც. ქვემოთ მოყვანილ პუნქტებში მსჯელობის საგანია ის ასპექტები, რომლებსაც ქვეყანათა უმრავლესობა განიხილავს (თუმცა შესაძლოა სხვადასხვა დონით) როგორც „პატიოსანი სავაჭრო საქმიანობის წესების" საწინააღმდეგოს, და, რომლებიც პირდაპირ იკრძალება ან სპეციალური კანონმდებლობით, ან, უფრო ხშირად, ექცევა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგადი დებულებებისა და სხვა სპეციალური კანონების, დეკრეტებისა და ა.შ. მოქმედების სფეროში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოყვანილ პუნქტებში მოცემულია მხოლოდ ცალკეული მაგალითები და არა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ყველა სახეობის ამომწურავი ნუსხა.

(ii) თავის მომაბეზრებელი რეკლამა, შიშის გრძნობის გამოყენება, მეტისმეტი ფსიქოლოგიური ზეწოლა და სხვა

12.126. კონკურენციის შესახებ თანამედროვე კანონმდებლობის მიზანია დაიცვას ყველა ის პირი, ვისაც შეხება აქვს არაკეთილსინდისიერ საბაზრო საქმიანობასთან. როგორც შედეგი, მომხმარებელზე „მეტისმეტი" ზემოქმედება (ან ასეთი ზემოქმედების მცდელობა) შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პატიოსანი კონკურენციის წესების საწინააღმდეგო ქმედება. მაგრამ პრაქტიკაში ძნელია იმის განსაზღვრა, თუ მომხმარებლის მიმართ რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა იქნეს კვალიფიცირებული ესა თუ ის ქმედება როგორც „მეტისმეტი". ვინაიდან ნებისმიერი მარკეტინგული ან სარეკლამო საქმიანობის ნამდვილი მიზანი არის მომხმარებელზე სასურველი ზეგავლენის მოხდენა, "მეტისმეტი" ზემოქმედების დროს უნდა მოხდეს დასაშვები ზემოქმედების გარკვეულ ზღვარს გადაცდენა. ასეთი ვითარება ხშირად იქმნება შემთხვევებში, როცა სხვადასხვა სარეკლამო მეთოდების გამოყენების გზით ხდება მომხმარებლის მანიპულირება, ან შეჭრა მის პირად ცხოვრებაში.

12.127. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში მომხმარებლისთვის საფასურის გადახდის მოთხოვნით ისეთი საქონლის მიწოდება, რომელიც მას არ შეუკვეთია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი პირდაპირ უარს არ იტყვის საქონელზე ან დააბრუნებს მას, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, რადგანაც ასეთი მოქმედება გათვლილია იმაზე, რომ მომხმარებელს ხშირად ავიწყდება საქონლის დაბრუნება ან თავს ვალდებულად თვლის, შეიძინოს იგი. ამასთან, ბევრ ქვეყანაში დაშვებულია შეკვეთის გარეშე სახლში მიტანით ვაჭრობა ("კარდაკარ სიარულით გაყიდვა"), ვიდრე ადგილი არ ექნება მომხმარებლის მოტყუებას და მასზე მეტისმეტ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. შეკვეთის გარეშე სატელეფონო შეთავაზების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს: მაშინ, როცა ზოგ ქვეყანაში ასეთი აქტი თავისი არსით განიხილება როგორც მომხმარებლის პირად ცხოვრებაში შეჭრა, უმრავლეს ქვეყნებში ეს დაშვებულია, იმდენად, რამდენადაც მწირია მომხმარებლის გამოცდილება და არ ხდება მისი ცხოვრების სიმყუდროვის დარღვევა. იგივე შეიძლება ითქვას შეკვეთის გარეშე სარეკლამო მასალების დაგზავნის შესახებაც.

12.128. გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში არაკეთილსინდისიერ ქმედებად განიხილება მომხმარებლის ცრუმორწმუნეობის, ნდობის, შიშის ან მოწყალების გრძნობის ბოროტად გამოყენება. მაგალითად, რეკლამა, რომელიც იყენებს ხანდაზმული ადამიანების შიშს, მომავალში არ აღმოჩნდნენ მოხუცებულთა სახლში, ან აუცილებლობის გარეშე ამახვილებს მათ ყურადღებას სიკვდილის ან ჯანმრთელობის პრობლემებზე, შეიძლება განხილულ იქნეს პატიოსანი სავაჭრო საქმიანობის საწინააღმდეგო აქტად. იგივე შეიძლება ვთქვათ ზოგიერთი ისეთი განსაკუთრებული სიტუაციის კომერციული მიზნით გამოყენების შესახებ, რომელშიც მომხმარებელი ძალზე უსუსურია, მაგალითად, როცა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში მოყოლილ ადამიანებს დაჟინებით სთავაზობენ მანქანის საჭირო ადგილზე გადატანას, ან, როდესაც დამკრძალავი ბიურო მიცვალებულის ნათესავებს მომაბეზრებლად სთავაზობს თავის მომსახურებას. გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში მიღებულია სპეციალური უსაფრთხოების ზომები ბავშვების გამოუცდელობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

12.129. გარდა ამ განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომლებიც ხშირად რეგულირდება სპეციალური კანონებით, ზოგიერთი ქვეყნების სასამართლოებმა გამოყვეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ზოგად დებულებებს დაქვემდებარებულ შემთხვევათა ჯგუფი, რომელიც შეიძლება განსაზღვრული იქნეს როგორც „ფსიქოლოგიური ზეწოლა მყიდველზე" ან „გადამეტებული

ცდუნება". ეს შემთხვევები უმთავრესად თავს იჩენს სპეციალურ მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგალითად, დამატებითი საქონლის უსასყიდლოდ გადაცემის ან ფასდაკლების შეთავაზებისა და ლატარიის ჩატარების სახით.

(iii) გასაღების ხელშეწყობა: პრიზები, საჩუქრები, ლატარია და ა.შ.

12.130. ახალი კლიენტების მიზიდვის ფართოდ გამოყენებულ მეთოდებს მიეკუთვნება პრიზების, საჩუქრების გადაცემა და სტიმულირების სხვა ფორმები, როგორიცაა კონკურსების, ლატარიის ან თამაშების ჩატარება. ვაჭრობის ასეთი ხელშეწყობა შეიძლება იყოს გასაღების ახალი და ეფექტური არხი და, მაშასადამე, სტიმულს აძლევდეს კონკურენციის განვითარებას. მეორე მხრივ, ყოველივე ამას შეუძლია, მოადუნოს მომხმარებლის ყურადღება საქონლის ან მომსახურების რეალური თვისებების მიმართ და ამით მიიტყუოს იგი ისეთი საქონლის შესაძენად, რომელიც მას არ სჭირდება ან ფასთან შედარებით დაბალი ღირებულებისაა. ეს განსაკუთრებით ეხება მარკეტინგის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა თამაშები, ლატარია, კონკურსები, როდესაც სარეკლამო მიზნით გამოიყენება მომხმარებლის მიდრეკილება აზარტული თამაშებისადმი. ასეთი მეთოდების უმეტესი ნაწილი, ასე თუ ისე, რეგლამენტირებულია, ზოგჯერ კი პირდაპირ აკრძალულიც. გარდა ამისა, ისინი ექვემდებარებიან თვითრეგულირებად საშუალებებს. მაგრამ კითხვაზე, თუ, კერძოდ, რომელი ქმედება უნდა განიხილებოდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენად, არ არსებობს საბოლოოდ შეთანხმებული და ერთმნიშვნელოვანი პასუხი. მაგალითად, პრიზების გაცემა ან რაიმე ფასდაკლება, ან საქონლის ყიდვასთან დაკავშირებულ სხვა უპირატესობათა შეთავაზება პრინციპულად იკრძალება ერთ ქვეყანაში, ნებადართულია მეორეში და მეტ-ნაკლებად მკაცრად რეგულირებულია - მესამეში. ლატარია, სადაც პრიზის მიღება მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, ძირითადად აკრძალულია, თუ ის დაკავშირებულია საქონლის ყიდვასთან, და სხვა შემთხვევებში მკაცრად შეზღუდულია. კონკურსები, რომელთა შედეგი რამდენადმე მონაწილის ნიჭით არის განპირობებული, ძირითადად დასაშვებად განიხილება იმ პირობით, რომ არანაირ მოტყუებას არ ექნება ადგილი და მომხმარებელზე არ იქნება ზეწოლა საქონლის შესაძენად. მეორე მხრივ, გაყიდვა „პირამიდის" პრინციპით და სხვა მსგავსი მეთოდები ხშირად განიხილება როგორც შეცდომაში შემყვანი, და, მაშასადამე, იკრძალება (ზოგჯერ სისხლისსამართლებრივი დასჯის სანქციი-

თაც) ან, როგორც მინიმუმი, მკაცრად იზღუდება, მაშინ როცა ტოტალიზატორი ხშირად კანონითაა ნებადართული.

12.131. მთლიანობაში შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყანათა უმრავლესობის სასამართლოები, იმ ქვეყნებისაც კი, სადაც ნებადართულია გასაღების სტიმულირების ზემოთ აღწერილი მეთოდები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ფაქტობრივად არსებულ პირობებს, რომელშიც განხორციელებულია გაყიდვის პროცესი: თუ მომხმარებელი განიცდის ფსიქოლოგიურ ან რაიმე სხვა ზეწოლას, რათა აიძულონ საქონლის შეძენა, თუ გაიცემა მეტისმეტად ძვირფასი და, მითუმეტეს, მაცდუნებელი პრიზები, მაშინ ვაჭრობის სხვაგვარად ნებადართული მეთოდიც კი შეიძლება განიხილებოდეს როგორც „პატიოსანი სავაჭრო საქმიანობის წესების" საწინააღმდეგო.

(iv) კომერციული საქმიანობის დაბრკოლება

12.132. ბოლოს უნდა მოვიხსენიოთ ზოგი ქმედება, რომელსაც შეუძლია კონკურენტის კომერციული საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან დაბრკოლების შექმნა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით. ამის მაგალითი შეიძლება იყოს კომერციული საქმიანობისათვის რეალური დაბრკოლების შექმნა კონკრეტულ ბაზარზე, რაც, ჩვეულებრივ, არაკეთილსინდისიერ ქცევად განიხილება. მეორე მაგალითი შეიძლება იყოს უალკოჰოლო სასმელების ჩამოსასხმელად მეორადი გამოყენებისათვის განკუთვნილი ბოთლის ტარის წინასწარგანზრახული განადგურება მწარმოებლის მიერ ბაზარზე პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფის შესაძლებლობათა შესუსტების მიზნით. სხვა (არაპირდაპირი) დაბრკოლება ხშირად ექვემდებარება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიხედვით კონტროლს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დამატებითი დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონით არის შესაძლებელი. დისკრიმინაცია, ბოიკოტირება და დემპინგი არის დაბრკოლებები, რომლებიც ტრადიციულად მოცულია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დებულებებით, მაგრამ ეს არ გამორიცხავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონების გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევებში მაინც, როდესაც ასეთი ქმედებები ჩადენილია ერთეული მასშტაბით. მაგალითად, კონკურენტების კომერციულ საქმიანობაში დაუსაბუთებელი ჩარევა, საქონლის გაყიდვა უაზროდ დაბალ (მაგალითად, თვითღირებულებაზე დაბალ ფასებში) ან ფიქსირებული საცალო ფასების დაწესება არის ქმედებები, რომლებსაც იაპონიის კეთილსინდისიერი ვაჭრობის კომისია განიხილავს როგორც იაპონიის ანტი-

მონოპოლიური კანონმდებლობით აკრძალულს, მაგრამ რომლებიც თეორიულად შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფორმები. ზოგიერთ ქვეყანაში კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ პირდაპირ კრძალავს გაყიდვას თვითღირებულებაზე დაბალ ფასებში ან "განსაკუთრებულად დაბალი მოგების ზღვარზე". გაერთიანებულ სამეფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგ სხვა ქვეყანაში „გამღლეტი ფასჩამოყალიბება" კონკურენტისათვის ზიანის მიყენების მიზნით შეიძლება აკრძალულ იქნეს კონკურენციის შესახებ კანონების საფუძველზე.

12.133. ასეთი არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის სხვა სახეობებია კონკურენტის კლიენტების გადაბირება ან კონკურენტის მუშაკების ან აგენტების იძულება, დაარღვიონ ქირავნობის ხელშეკრულება ან გაწყვიტონ მასთან ურთიერთობა. როგორც ადრე იყო აღნიშნული, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ასეთ სახეს ხშირად თან სდევს კომერციული საიდუმლოების დარღვევა, მაგრამ იგი შეიძლება თავისთავად იყოს არაკეთილსინდისიერი აქტი. კონკურენტის მუშაკების ან კლიენტებისათვის უფრო ხელსაყრელი წინადადებების შეთავაზების გზით უბრალო წაქეზება, შეიცვალოს მიმწოდებელი ან სამუშაოს მიმცემი, ახასიათებს თავისუფალ კონკურენციას და, მაშასადამე, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც არაკეთილსინდისიერება. მაგრამ ისეთი ხერხის გამოყენება, როგორიცაა კლიენტების, აგენტების ან მუშაკების მოსყიდვა ან მოტყუება, წაქეზება კონკურენციის გაწევაზე უარის შესახებ მოქმედი ვალდებულების დასარღვევად, აგრეთვე, რომელიმე კონკურენტის მუშაკების სისტემატური გადაბირება მისთვის ზიანის მიყენების მიზნით, განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება.

ლიტერატურა

International Bureau of WIPO, Protection Against Unfair Competetion, Wipo Pub. N 725(E) (1994)

თავი 16

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები

A. შესავალი

16.1. ინტელექტუალური საკუთრების სისტემათა უმეტესობაში, ჩვეულებრივ, არსებობს ექსპერტის გადაწყვეტილებაზე პატენტის ან სასაქონლო ნიშნის მიმართ შიდა აპელაციის გარკვეული ფორმა. სააპელაციო პალატები არის, მაგალითად, ევროპის საპატენტო უწყებაში და აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებაში. გაერთიანებული სამეფოს უწყებასთან არ არსებობს ფორმალური შიდა აპელაციის შესაძლებლობა და დავას განმცხადებელსა და ექსპერტს შორის წყვეტს უწყების უფროსი თანამშრომელი.

16.2. როგორიც არ უნდა იყოს შიდა აპელაციის შეტანის მექანიზმი, ინტელექტუალური საკუთრების სისტემათა უმეტესობაში სამრეწველო საკუთრების უწყებათა გადაწყვეტილების შესახებ გასაჩივრებისა და უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების გამო სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოტანაში მნიშვნელოვანი როლი სასამართლოებს ეკუთვნის.

B. სამრეწველო საკუთრების უწყებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

(a) შესავალი

16.3. ქვეყნების უმეტესობაში საპატენტო უწყებათა ფუნქციები თავისი ხასიათით უფრო ადმინისტრაციულია, ვიდრე იურიდიული. მაგრამ იმის გამო, რომ უწყებათა ხელმძღვანელები და ექსპერტები მათი ფუნქციური მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის და მესამე პირთა უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გასათვალისწინებლად ვალდებულნი არიან, მისცენ განმარტებები საკანონმდებლო ნორმებს, ზოგჯერ არსებობს უწყების გადაწყვეტილების საღვთო წერილად გადაქცევის ტენდენცია. რიგ ქვეყნებში უწყების ხელმძღვანელს ან ექსპერტს უფლება აქვს, გამოიძახოს მოწმეები, მიიღოს ფიცი, მოითხოვოს გამოქვეყნებული დოკუმენტების ან წერილების წარდგენა

და მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯების შესახებ. ამიტომ მისი ფუნქციები ხშირად "კვაზისასამართლო" ფუნქციებად ითვლება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საპატენტო უწყების გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ხასიათისაა მიუხედავად იმისა, რომ უწყების ხელმძღვანლის ან ექსპერტის ზოგიერთ ფუნქციას კვაზისასამართლო ნიშნები გააჩნია.

16.4. საზოგადოდ გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას, იყოფა გადაწყვეტილებებად, რომლებიც მიღებულია გამოგონებაზე გაკეთებულ საპატენტო განაცხადზე საქმის წარმოების მსვლელობისას, და გადაწყვეტილებებად, რომლებიც მიღებულია პატენტის გაცემის შემდეგ. შესაბამისად აპელაციები შეიძლება დაიყოს ორ სახეობად, სახელდობრ: "პატენტის გაცემამდე აპელაცია", რომელიც შეაქვთ ზემოთ აღნიშნული პირველი სახის გადაწყვეტილებაზე, და "პატენტის გაცემის შემდეგ აპელაცია", რომელიც შეაქვთ მეორე სახის გადაწყვეტილებაზე. მესამე მხარემ შეიძლება შეიტანოს მხოლოდ "პატენტის გაცემის შემდეგ აპელაცია". ანალოგიურ აპელაციებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი უწყებათა მიერ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გამო.

(b) აპელაცია პატენტის გაცემამდე

16.5. ქრონოლოგიის მიხედვით პირველია საპატენტო უწყების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც იგი ადგენს ან არ ადგენს რეგისტრაციის თარიღს. განმცხადებელს შეუძლია, არ დაეთანხმოს დადგენილ თარიღს და გაასაჩივროს ასეთი გადაწყვეტილება. მაგალითის სახით წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია: საგანაცხადო საფასურის გადახდა ამა თუ იმ ქვეყანაში არის ერთერთი მოთხოვნა შეტანის თარიღის დადგენისათვის. საპატენტო უწყებასა და განმცხადებელს შორის შეიძლება გაჩნდეს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ როდის იყო გადახდილი საგანაცხადო საფასური. საპატენტო უწყება ამტკიცებს, რომ საგანაცხადო საფასური გადახდილ იქნა განაცხადის დოკუმენტების შეტანის თარიღიდან ორი დღის შემდეგ, მაშინ როდესაც განმცხადებელი ირწმუნება, რომ იგი გადახდილი იყო განაცხადის შეტანის დღესვე. თუ გამოგონება, რომელზედაც მოითხოვება პატენტი, გამოქვეყნებული იყო მოცემული განაცხადის შეტანიდან ერთი დღის შემდეგ, მაშინ საპატენტო უწყების გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუ განმცხადებელს არ შეუძლია დაარწმუნოს საპატენტო უწყება, რომ საგანაცხადო სა-

ფასური გადახდილი იყო გამოგონების გამოქვეყნებამდე, მაშინ განაცხადი უარყოფილი იქნება სიახლის არარსებობის მიზეზით. ამიტომ განმცხადებლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას გააჩნდეს განაცხადის შეტანის თარიღის დადგენის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

16.6. განმცხადებელს შეუძლია, აგრეთვე, შეიტანოს სასამართლოში საჩივარი იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულია წინასწარი (ფორმალური) ექსპერტიზის დროს, და რომელშიც საპატენტო უწყება აცხადებს, რომ განაცხადი ითვლება გატანილად. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს, მაგალითად, იმის საფუძველზე, რომ განაცხადში არსებული ფორმალური დეფექტი დადგენილ დროს არ იქნა აღმოფხვრილი ან გამოგონება, რომელზედაც გაკეთდა განაცხადი, ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს ან მორალს.

16.7. ყველაზე ხშირად განმცხადებელს შეაქვს სარჩელი იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის შედეგად, რის საფუძველზეც უწყებას გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს, მაგალითად, იმის საფუძველზე, რომ გამოგონება, რომელზედაც განაცხადია შეტანილი, არ არის ახალი, არ გააჩნია საგამომგონებლო დონე ან არ გააჩნია სამრეწველო გამოყენებადობა. პატენტის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ისიც, რომ გამოგონების ფორმულა ან აღწერილობა შეიცავს არსებით ნაკლოვანებებს, რომლებიც არ იყო აღმოფხვრილი განმცხადებლის მიერ.

(c) აპელაცია პატენტის გაცემის შემდეგ

16.8. გამოგონებაზე პატენტის გაცემის შემდეგ შეიძლება მოხდეს ისე, რომ აპელაცია შეტანილ იქნეს საპატენტო უწყების გარკვეულ გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, საპატენტო უწყებას შეუძლია განაცხადოს, რომ პატენტმა გამოგონებაზე დაკარგა ძალა, რადგან დროზე არ იყო გადახდილი წლიური გადასახადი. მეორე მხრივ, პატენტმფლობელს შეუძლია ამტკიცოს, რომ წლიური გადასახადი გადახდილი იყო დროულად და ამიტომ მას სურს შეიტანოს სასამართლოში საჩივარი გადაწყვეტილებაზე პატენტის ბათილად ცნობის შესახებ. ამ შემთხვევაში აპელაციის განხილვაში უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ ორი მხარე: პატენტმფლობელი და საპატენტო უწყება.

16.9. პატენტის გაცემის შემდეგ აპელაციის მაგალითი შეიძლება იყოს, აგრეთ-

ვე, სარჩელი საპატენტო უწყების გადაწყვეტილებაზე იძულებითი ლიცენზიის გაცემის თაობაზე. როდესაც კანონი ამას ითვალისწინებს, ასევე დასაშვებია საპატენტო უწყების მიერ იძულებითი ლიცენზიის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრებაც. ორივე შემთხვევაში აპელაცია ითვალისწინებს სამი მხარის ჩართვას, კერძოდ, პატენტმფლობელს, მხარეს, რომელიც შუამდგომლობს იძულებითი ლიცენზიის გაცემის შესახებ, და საპატენტო უწყებას.

(d) აპელაციასთან დაკავშირებული პროცედურები

(i) შესავალი

16.10. აპელაციებთან დაკავშირებული პროცედურები, ჩვეულებრივ, განისაზღვრება დებულებებით ან წესებით, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ამ ქვეყნის საპატენტო კანონით, სპეციალური სასამართლოების ნორმებით ან საერთო-საპროცესო ნორმებით.

16.11. იაპონიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო ნორმები; საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო და კანადა, გამოყენებულია შესაბამისი სასამართლოების პროცედურების წესები.

16.12. ჩვეულებრივ, კანონები სამრეწველო საკუთრების შესახებ ადგენს ვადებს, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს შეტანილი აპელაცია.

16.13. პროცედურის წესები განსაზღვრავს, თუ როდის და როგორ უნდა იყოს გადადგმული ყოველი ნაბიჯი. ეს წესები, ჩვეულებრივ, აძლევს სასამართლოს ფართო არჩევანის შესაძლებლობას, რათა მისცეს მონაწილე მხარეებს საშუალება მისთვის საუკეთესოდ წარმართონ პროცესი. მაგალითად, თუ ნებადართულია პატენტის გაცემაზე უართქმული განაცხადის ფორმულაში შესწორების შეტანა, მაშინ დავის გადაწყვეტა შესაძლებელია საქმის მოსმენის გარეშე.

16.14. ჩვეულებრივ, პროცედურის წესები ადგენს ვადებს ყოველი საპროცედურო ეტაპისათვის. მაგალითად, შეიძლება მოითხოვებოდეს, რომ მტკიცებულება წარმოდგენილ იქნეს სასამართლოში სარჩელის შესახებ შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში და შემდეგ მომდევნო თვის განმავლობაში წარ-

დგენილ იქნეს ცნობა (ადვოკატის ბარათი) აპელაციასთან დაკავშირებით.

16.15. საერთო სამართლის ფარგლებში პროცედურის წესები მოითხოვს, რომ თითოეულმა მხარემ - აპელაციის შემტანმა (აპელანტმა) და მოპასუხემ (რომლის გადაწყვეტილებაზეც არის შეტანილი აპელაცია) - აცნობოს მეორე მხარეს ყოველი წამოწყებული საპროცედურო ნაბიჯის შესახებ და წარუდგინოს სასამართლოს იმის მტკიცებულება, რომ შეტყობინება იყო გაკეთებული. თუ საქმეში ჩართულია მესამე მხარე, მაშინ ანალოგიური წესი გამოიყენება მის მიმართაც.

16.16. ჩვეულებრივ, პროცედურის წესები ასევე ითვალისწინებს წესებიდან გადახვევის შესაძლებლობას, რათა საშუალება მიეცეს მხარეებს, სათანადოდ წარადგინონ თავისი თვალსაზრისი. მაგალითად, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვადის გაგრძელება, თუ აპელაციის შემტანი ვერ ასწრებს საჭირო მითითებების დროულად მიცემას.

16.17. ჩვეულებრივ, არსებობს ისეთი წესებიც, რომლებიც აიძულებს მხარეებს, იმოქმედონ მათი საქმის შესაძლო შეწყვეტის შიშით.

16.18. გადაწყვეტილებას იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა პროცედურიდან რაიმე გადახვევა, ყოველ პროცესზე ღებულობს სასამართლო. საერთო სამართლის საპროცესო ნორმების თანახმად, შუამდგომლობა პროცედურიდან კონკრეტული გადახვევის ნებართვის შესახებ შეიტანება სასამართლოში წერილობითი ფორმით დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად და შესაბამისი შეტყობინება ეგზავნება მეორე მხარეს, რომელსაც შეუძლია დაეთანხმოს ან წარდგეს სასამართლოში და გააპროტესტოს ეს შუამდგომლობა. ანალოგიური პროცედურა არსებობს კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში.

(ii) სასამართლო მოსმენისწინა მოსამზადებელი სხდომა

16.19. ხშირად საერთო სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად გათვალისწინებულია დებულება შემათანხმებელი თათბირის მოწვევის თაობაზე საქმის მოსმენის დაწყებამდე, რათა გადაწყვეტილ იქნეს ყველა იმ პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გამოყენებული იქნება მოსმენის დროს; ამის შემდეგ სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს გადაწყვეტილება. შემათანხმებელი თათბირის დროს შეიძლება განხილულ იქნეს საკითხები სიტყვით გამომსვლელებთან, გამოსვლების წესთან, განხილვაზე წარმოსადგენ მასალებთან დაკავშირებით და, აგრეთვე ის, თუ რა ფაქტებს

სცნობენ მხარეები.

16.20. ამ მხრივ სასამართლო ასრულებს სასარგებლო ფუნქციას, რომელსაც ზოგჯერ არაოფიციალურად "ჯიქურ შეჯახებას" (შუბლებით შეჯახება) უწოდებენ. მესამე, უფლებამოსილი მხარის (ანუ სასამართლოს) ჩარევას შეუძლია მოდავე მხარეთა შორის უთანხმოება მოაგვაროს.

(e) მტკიცებულებები

16.21. ტერმინი "მტკიცებულება", რომელსაც ხმარობენ სამართალწარმოებაში, ჩვეულებრივ, ნიშნავს იმას, რაც უნდა წარედგინოს სასამართლოს, რათა მან შეძლოს ფაქტების დადგენა.

16.22. მაგალითად, იმის საუკეთესო მტკიცებულებას, რომ პირი გამოგონებაზე კონკრეტული პატენტის მფლობელია, წარმოადგენს გამომგონებლის მიერ შესრულებული დოკუმენტი ამ იურიდიული ან ფიზიკური პირისთვის გამოგონებაზე პატენტის გადაცემის შესახებ, რომელიც შესაბამისად არის რეგისტრირებული საპატენტო უწყების მიერ. ამას "პირდაპირ" მტკიცებულებასაც უწოდებენ. თუ დოკუმენტი დაკარგულია, შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს მოწმის განცხადება, რომ მან ნახა, როგორ აწერდა გამომგონებელი ხელს დოკუმენტს გადაცემის შესახებ. ეს იქნება მეორადი მტკიცებულება.

16.23. თუ ასეთი დოკუმენტი არსებობს, ის უნდა წარედგინოს სასამართლოს, ხოლო თუ ასეთი არ არის, მაშინ უნდა მიმართონ მეორე გზას.

16.24. მტკიცებულება, რომელიც წარმოდგენილია პატენტის აპელაციის დასადასტურებლად, უმეტეს შემთხვევაში არსებითად განსხვავდება მტკიცებულებისაგან, რომელიც წარმოდგენილია პატენტის გაცემის შემდეგ აპელაციის დასადასტურებლად.

16.25. პატენტის გაცემამდე აპელაციაში, რომელშიც გაპროტესტებული გადაწყვეტილება ეხება უარს პატენტის გაცემაზე, მთავარი საკითხია - არის თუ არა განცხადებული გამოგონება პატენტუნარიანი. ამ საკითხთან დაკავშირებული მტკიცებულებანი უაღრესად ტექნიკური ხასიათისაა.

16.26. გაცემის პატენტის შემდეგ აპელაციაში, რომელშიც გაპროტესტებული გადაწყვეტილება ეხება იძულებითი ლიცენზიის გაცემას ან უარს გაცემაზე, მტკიცებულებები თითქმის მხოლოდ კომერციული ხასიათისაა და ეხება კონკურენციას ბაზარზე, საბაზრო მოთხოვნილებას ან საჭიროებას, საწარმოო ხარჯებს, მეცნიერულ კვლევას, გასაღებას ან გაყიდვას, მოგებას და დანა-

რიცხების ოდენობას. მეორე მხარე, ალბათ, ასევე წარადგენს მტკიცებულებებს, რომლებიც ეხება მის ტექნიკურ პერსონალს, ტექნიკურ საშუალებებს, საბაზრო ღირებულებას, სავარაუდო გასაღების ბაზარს და გასაყიდ ფასებს.

16.27. შეიძლება განვასხვაოთ მტკიცებულებათა სამი ფორმა: "დოკუმენტური მტკიცებულება" - მტკიცებულება, რომელიც წარდგენილია წერილობითი ფორმით ან ნებისმიერი დოკუმენტის სახით; "ნივთიერი მტკიცებულება" – მტკიცებულება, რომელიც არსებობს საგნების და არა მათი აღწერილობის სახით, და "მოწმეთა ჩვენებები" - ექსპერტის მიერ მიცემული ზეპირი ჩვენებები.

16.28. ყველა მტკიცებულება შეძლებისდაგვარად წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. ზეპირი ჩვენებები, თუ ასეთი არსებობს, ჩვეულებრივ, უნდა ჩაიწეროს სიტყვასიტყვით უფლებამოსილი პირების მიერ განსახილველად, მაგრამ თუ მოითხოვება ნებართვა ზეპირი მოწმის ჩვენების მიცემაზე, იგი, ჩვეულებრივ, გაიცემა.

12.29. როგორც წესი, მხარეების მიერ გაკეთებული განცხადებები, ჩვეულებრივ, მიიღება ეჭვგარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი სადავოა დაუსაბუთებლობის გამო. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები. შეიძლება წამოყენებულ იქნეს საბევე თანხის შეტანის მოთხოვნა ასეთი საპროცესო მოქმედებების ხარჯების დასაფარავად. ასეთი ქმედებები შეიძლება შეიცავდნენ მხარეთა მოსმენას, ინფორმაციის მოთხოვნას, დოკუმენტების მომზადებას, მოწმეთა გამოკითხვას, საექსპერტო დასკვნის მიღებას, საბუთების გულდასმით შემოწმებას და ფიცით დამოწმებული წერილობითი განცხადებების მიღებას.

16.30. ზეპირი მტკიცებულებების მიცემის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ან მოწმე, რომელიც იძლევა ჩვენებას, მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ შეიძლება დაიკითხოს მოწინააღმდეგე მხარის ან სასამართლოს მიერ.

(i) დოკუმენტური მტკიცებულება

16.31. დოკუმენტური მტკიცებულებანი შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად. განაცხადის მასალები, მოტივირებული განცხადებები და სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები.

16.32. განაცხადის მასალები, ჩვეულებრივ, შეიცავს საპატენტო განაცხადს გამოგონების აღწერილობის, ნახაზებისა და გამოგონების ფორმულის ჩათვლით,

აგრეთვე იმ შენიშვნებსა და შედავებებს, რომლებიც საპატენტო უწყებასა და განმცხადებელს შორის მიმოწერაშია მოცემული..

16.33. თუ საპატენტო უწყებამ გამოიტანა უარყოფითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე იმ მიზეზით, რომ ლიტერატურაში (ტექნიკის ადრინდელი დონე) არსებობს პუბლიკაცია, რომელიც აბათილებს გამოგონების სიახლეს, საპატენტო უწყების შენიშვნები, ჩვეულებრივ, უნდა შეიცავდნენ ამ პუბლიკაციას უწყების კომენტარებთან ერთად მის მნიშვნელობაზე და, რა თქმა უნდა, უწყების გადაწყვეტილებას და მის საფუძველს.

16.34. განმცხადებლის მიერ მომზადებული შენიშვნები, ჩვეულებრივ, ეხება მოცემულ პუბლიკაციას, ე.ი. შეიცავს კომენტარებს პუბლიკაციაში გახსნილი ტექნიკური გადაწყვეტის სტრუქტურაზე, მოქმედების საშუალებასა და მიღებულ შედეგზე, აგრეთვე კომენტარებს იმის შესახებ, რომ განმცხადებლის გამოგონება განსხვავდება მოყვანილი გადაწყვეტისაგან ყველა ზემოჩამოთვლილი პოზიციით.

16.35. ზოგჯერ "სავარაუდო" მტკიცებულებანი შეიცავს, აგრეთვე, გამომგონებლის მიერ გაკეთებულ განცხადებებს. სიტყვა "სავარაუდო" აქ განზრახ იხმარება, რამეთუ ასეთი "მტკიცებულება" ხშირად მტკიცებულება კი არა, უფრო არგუმენტია. განცხადებები, რომლებიც მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ განაცხადის საგანი პატენტუნარიანი გამოგონებაა, უბრალო ტავტოლოგიას წარმოადგენს და, მაშასადამე, არადამაჯერებელია. ასეთი განცხადებები სხვა არაფერია, თუ არა მოსაზრება, რომელიც არ არის განმტკიცებული მტკიცებულებებით.

16.36. შეიძლება არსებობდეს სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები, მაგალითად ანგარიში ექსპერიმენტის შესახებ, საბაზრო გამოკვლევა, ფოტოები, გრაფიკები, გასაღების ამსახველი ციფრები, მოთხოვნის გარეშე მიღებული რეკომენდაციები. და კიდევ, ყველა ამ მასალის გაცნობა უნდა მოხდეს იმის ჩვენებით, თუ რა არის მათი წყარო, რას უჩვენებენ ისინი, მითითებულ უნდა იქნეს მათი წარდგენის მიზანი და ახსნა-განმარტება მათი ტექნიკური მნიშვნელობის შესახებ.

(ii) ნივთიერი მტკიცებულებანი

16.37. შეიძლება ჩართული იყოს ნივთიერი მტკიცებულებებიც, როგორიცაა მოდელი, მოქმედი მოწყობილობა, რომლებიც აღწერილია თავში ტექნიკის

ადრინდელი დონის შესახებ როგორც გამოგონების ობიექტი.

(iii) საექსპერტო ჩვენებები

16.38. განხილვის მსვლელობის დროს სასამართლო ექსპერტის ჩვენებების სახით ხშირად ღებულობს საერთო მტკიცებულებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადრინდელი გამოყენება, გამოგონების კომერციული წარმატება; ამ დარგის სპეციალისტისათვის საპატენტო აღწერილობის საკმარისი სიცხადით გადმოცემა; გამოგონების სარგებლიანობა და გამოყენებადობა; დაფიქსირებული თარიღებისთვის ზოგადი ცოდნის დონე, ტექნიკურ ტერმინთა მნიშვნელობა; და გამოგონების ფორმულაში მოცემული სიახლე ან მოულოდნელობა, დანახული ტექნიკისა და ცოდნის ადრინდელი დონის შუქზე.

16.39. სასამართლო ექსპერტის სათანადო როლისა და მისი ჩვენებების სათანადო ბუნების კლასიკური აღწერილობა არის მოცემული ლორდ ტომლინის სიტყვაში British Celanesse Courtaulds-ის წინააღმდეგ საქმის განხილვისას (1935) 52 RPC 171-196.

16.40. "ასეთი სახეობის საქმეებში სფერო, რომლის ფარგლებშიც ექსპერტ-მოწმეს აქვს თავისუფლად მოქმედების უფლება, ეჭვს არ იწვევს. მას აქვს ჩვენების მიცემის უფლება ტექნიკის განვითარების მდგომარეობის შესახებ დროის ნებისმიერი მოცემული მომენტისათვის. მას უფლება აქვს, განმარტოს ამ სფეროში გამოყენებული ნებისმიერი ტექნიკური ტერმინის მნიშვნელობა. მას უფლება აქვს, თქვას, შესაძლებელია თუ არა, მისი აზრით, კვალიფიციური სპეციალისტის მიერ იმ მოცემული ჰიპოთეზის არსის განხორციელება, რაც გადმოცემულია გამოგონების აღწერილობაში. მას უფლება აქვს თქვას, თუ რაზე მიანიშნებს ან რას ასწავლის მას, როგორც მოცემული მომენტისთვის ამ დარგის სპეციალისტს, განსახილველი მოწყობილობის ბლოკი ან ამა თუ იმ ჰიპოთეზის არსთან დაკავშირებული წინადადება. მას უფლება აქვს თქვას, შესაძლებელია თუ არა, მისი აზრით, მოცემული ოპერაციის განხორციელება მოცემულ ტექნიკურ სფეროში, და მთლიანობაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს მეცნიერული ხასიათის ფაქტებს. ადვოკატს არა აქვს უფლება შეეკითხოს, ხოლო ექსპერტ-მოწმეს არა აქვს უფლება გამოთქვას აზრი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს გამოგონების მოცემული აღწერილობა; მით უმეტეს, მიუღებელია კითხვის დასმა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს მისთვის, როგორც ინჟინრისათვის ან ქიმიკოსისათვის. მას, აგრეთვე, არა აქვს

უფლება გამოთქვას აზრი, არის თუ არა ეს ნაბიჯი ან ცვლილება აშკარა, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს სასამართლოს მიერ გადასაწყვეტ საკითხს.

(iv) საბაზრო კვლევის მონაცემები

16.41. სასაქონლო ნიშნების საქმეების განხილვისას კონკრეტულ საფირმო დასახელებასთან, სასაქონლო ნიშანთან ან გაფორმებასთან დაკავშირებული "საზოგადოებრივი აზრის" მონაცემების ან საზოგადოებრივი შეფასების გათვალისწინება მართებული და დასაშვებია. უკანასკნელ დროს იყო ცდები, მტკიცებულებების სახით გამოეყენებინათ საბაზრო მიმოხილვისა და საბაზრო კვლევის შედეგები, როგორც საზოგადოებრივი აზრის მაჩვენებელი. მტკიცებულებებად ასეთი მონაცემების გამოყენების შესახებ არსებობს სხვადასხვაგვარი აზრი. საბაზრო კვლევის მონაცემებმა შეიძლება დაადასტუროს გამოკითხვის დროს ცალკეულ პირთა მიერ გამოთქმული აზრი. ასეთ მონაცემებს უშუალო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში არ ძალუძთ გამოავლინონ სასამართლოს წინაშე, ფლობენ თუ არა გამოკითხულები ამ აზრს გულწრფელად და როგორ მივიდნენ ისინი ამ აზრამდე.

(v) მტკიცებულებათა წარდგენა

16.42. საერთო სამართლის ქვეყნებში და ზოგიერთი სამოქალაქო სამართლის მიხედვით მტკიცებულებები ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტების მიხედვით წარდგენილ უნდა იქნეს ფიცის ქვეშ გაკეთებული განცხადების ან ფიცის ქვეშ მიცემული წერილობითი ჩვენების სახით. ეს განცხადებები ან ჩვენებები წარმოადგენენ წერილობით დოკუმენტებს, რომლებიც ხელმოწერილია პირის მიერ, რომელიც მათ შეადგენს სახელმწიფო მოხელის ან სასამართლოს თანამშრომლის თანდასწრებით ისე, რომ ხელმომწერი პირი საქმის კურსში იყოს, თუ რა შედეგი ან სასჯელი მოჰყვება მისი მხრიდან ცრუ განცხადებების გაკეთებას. საერთო კანონმდებლობა შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სასჯელს ცრუ განცხადებების წარდგენისათვის.

16.43. სასამართლო სხდომაზე მესამე მხარის არყოფნის შემთხვევაში ფიცის ქვეშ გაკეთებული ასეთი წერილობითი განცხადებები, ჩვეულებრივ, მიიღება როგორც იმ ფაქტების მტკიცებულება, რაზეც ისინი მიუთითებენ. ამიტომ განცხადების ავტორები მტკიცედ უნდა იყვნენ დარწმუნებული ფაქტების

შესაბამისობასა და სარწმუნოობაში.

16.44. ზოგიერთ ქვეყანაში, განხილვაში მესამე პირის ჩართვის შემთხვევაში, (მაგალითად, თუ ლაპარაკია იძულებითი ლიცენზიის შესახებ) მესამე პირს ეძლევა იმ მხარის "ჯვარედინი დაკითხვის" შესაძლებლობა, რომელმაც გააკეთა გადმოცემული ფაქტების ნამდვილობის დასადგენი მონაცემების შემცველი განცხადება. "ჯვარედინი დაკითხვა" არის პროცედურა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგე მხარე ატარებს ზემოხსენებული განცხადების ავტორის გამოკითხვას. კითხვები შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ თემას, რომელიც წამოიჭრება განცხადებასთან დაკავშირებით, და ზოგადად მიმართულია გაკეთებული განცხადების სიზუსტისა და დასაბუთებულობის გამოვლენისაკენ.

(f) საბოლოო დადგენილება

16.45. სასამართლოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აპელაციაზე, ჩვეულებრივ, გააჩნია შემდეგი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობები: მას შეუძლია არ მიიღოს აპელაცია, დააკმაყოფილოს იგი, დააბრუნოს საქმე საპატენტო უწყებაში ხელახლა განსახილველად, ან, თუ გასაჩივრებული იყო გადაწყვეტილება განაცხადზე უარის თქმის შესახებ, შეიტანოს ცვლილებები გამოგონების ფორმულაში და საპატენტო უწყებას მისცეს მითითება გამოგონებაზე პატენტის გაცემის თაობაზე. თუ სასამართლო საქმეს აგზავნის უკან, საპატენტო უწყებაში, მას შეუძლია მისცეს რეკომენდაციები გამოგონების ფორმულის, აღწერილობის ან ნახაზების შესაცვლელად, რათა დაიძლიოს პოზიციები, რომლებიც ერთმა ან ორივე მხარემ დაუსაბუთებულად დაიკავა. საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილებისათვის, ჩვეულებრივ, არის საპატენტო კანონში ან სხვა ზოგადსამართლებრივ დებულებებში.

c. უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები

(a) პატენტზე უფლებების დარღვევა

16.46. პატენტზე უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმეში სასამართლოს პირველი ამოცანა არის მონოპოლიის მოცულობის ზუსტი შეფასება. ეს სასამართლოსაგან მოითხოვს საპატენტო აღწერილობის ახსნა-განმარტებას. არ დაიშვება ექსპერტის ჩვენების გამოყენება იმ სიტყვების

განმარტებისთვის, რომლებსაც აქვთ საყოველთაოდ მიღებული ჩვეულებრივი მნიშვნელობა ენაში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც გამოყენებულია ტექნიკური ტერმინები, რომელთა შესახებ სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ტექნიკური ახსნა-განმარტება. გამოგონების ფორმულის განხილვისას ასევე არ დაიშვება გამოგონების აღწერილობის ტექსტით სარგებლობა, სიტყვათა ჩვეულებრივი მნიშვნელობის ისე ჩასახლართავად, რომ მოხდეს დარღვევის "ჩაჭერა". სინამდვილეში სასამართლოს პირველი ამოცანა გამოგონების აღწერილობის განმარტებისას არის მისი განხილვა სავარაუდო დარღვევასთან ან ე.წ. "ტექნიკის ადრინდელი დონესთან" ყოველგვარი კავშირის გარეშე.

16.47. შემდეგი ამოცანა, რომელიც დგას სასამართლოს წინაშე, პრაქტიკულია: განიხილოს სავარაუდო დარღვევა და გადაწყვიტოს, ხვდება თუ არა იგი გამოგონების ფორმულით მოცემული და სასამართლოს მიერ დადგენილ ფარგლებში. ხშირად ეს ადვილი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოპასუხეს კარგი კონსულტაცია აქვს მიღებული. სწორედ ასეთ შემთხვევებში ხშირად მიმართავენ ექსპერტის ჩვენებას. უფრო მეტიც, პატენტზე უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებში ხშირად მიმართავენ ექსპერიმენტების ჩატარებას, რათა დაამტკიცონ დარღვევის ფაქტი, რომლის სიმძიმე ყოველთვის მოსარჩელეს ეკისრება.

16.48. მოპასუხის ჩვეულებრივი არგუმენტაცია დარღვევის შესახებ საქმეზე მდგომარეობს იმაში, რომ სავარაუდო დარღვევა უბრალოდ არ ექვემდებარება სადავო პატენტის დაცვის მოცულობას, მაგრამ ხშირად ზემოაღნიშნულ არგუმენტაციაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია შესაგებული სარჩელი პატენტის გაუქმების მოთხოვნით. ისევე, როგორც სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში, არსებობს რიგი სამართლებრივი საფუძვლებისა, რომელთა გამოყენებით მოპასუხეს შეუძლია ეცადოს, სადავო გახადოს პატენტის ნამდვილობა. ასე, მაგალითად, მოპასუხეს შეუძლია მიუთითოს, რომ გამოგონებას არ გააჩნია სიახლე, იგი აშკარაა, პატენტმფლობელს არასაკმარისად და არაცხადად აქვს გადმოცემული, თუ როგორ უნდა განხორციელდეს გამოგონება, გამოგონება არ არის სასარგებლო, რომ პატენტი მიღებულ იქნა შეცდომაში შეყვანის ან ფაქტების დამახინჯების გზით, ან კანონდარღვევით იყო ნასესხები სხვა პატენტიდან. ზოგიერთი ან ყველა ეს საფუძველი არის ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების უმეტეს საპატენტო

ნორმებში. ამ საკითხებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერტის ჩვენებას და არ არის უჩვეულო, რომ შემხვედრი სარჩელის განსახილველად საჭიროა უფრო მეტი დრო, ვიდრე თავდაპირველად შეტანილი სარჩელისათვის. ბუნებრივია, რომ მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში დევს მოპასუხეზე, რომელიც ცდილობს პატენტის გაუქმებას.

(b) საავტორო უფლებების დარღვევა

16.49. პირველი იმ ქმედებათა შორის, რომლებსაც საავტორო უფლებები ზღუდავს, არის რეპროდუცირება. რეპროდუცირება, ჩვეულებრივ, გულისხმობს ნაწარმოების ასლების დამზადებაზე უფლებას, ამასთან, ასეთი უფლების გარეშე ერთი პირის დამზადებაც კი დარღვევად ითვლება. რეპროდუცირება არ არის განსაზღვრული არც ერთ ნორმატიულ აქტში*, მაგრამ მისი მნიშვნელობა, ალბათ, ახლოა "კოპირებასთან". ნიმუშის აღიარება ასლად წარმოადგენს ამ ფაქტისა და მისი შესრულების ხარისხის დადგენის საკითხს. თუ ასლი არ არის ზუსტი, სასამართლომ უნდა განიხილოს მსგავსების ხარისხი და მხედველობაში მიიღოს, რომ დარღვევის არსებობისთვის უნდა იყოს მსგავსების ისეთი ხარისხი, რომელიც იმის თქმის შესაძლებლობას მოგვცემდა, რომ სავარაუდოდ უფლების დარღვევით შესრულებული ნიმუში არის ორიგინალის პირი ან რეპროდუქცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ინარჩუნებს მის უმთავრეს ნიშან-თვისებებსა და არსს.

16.50. მიზეზობრივი კავშირი საავტორო უფლებით დაცულ და სავარაუდოდ უფლების დარღვევით შესრულებულ ნაწარმოებებს შორის არსებითია, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს საავტორო უფლებების დაცვას იმ დაცვისაგან, რომელიც აღიძვრება პატენტის გაცემის ან სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის საფუძველზე, და რომლითაც პატენტმფლობელი სრულ მონოპოლიას მოიპოვებს. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ პირდაპირ ან არაპირდაპირ გააკეთა მისი ნაშრომის კოპირება, რომელზედაც მას საავტორო უფლებები გააჩნია. მან უნდა აჩვენოს, რომ არსებული მიზეზობრივი კავშირი განაპირობებს ამ ორ ნაშრომს შორის მსგავსებას. თუ, მაგალითად, ორი ნა-

---

* საქართველოს კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ მოცემულია ტერმინების - "რეპროდუცირება" და "რეპროგრაფიული გამრავლება (ასლის გადაღება)" - განმარტებები.

წარმოებისათვის გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო ან ორივე მათგანის შედეგი დამოუკიდებლად იქნა მიღწეული, დარღვევას ადგილი არა აქვს.

16.51. ბევრი კანონმდებლობა ზღუდავს ტერმინს - "რეპროდუცირება" ისეთი გამოთქმის დამატებით, როგორიცაა - "ან არსებითი რეპროდუცირება". საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის "არსებითი", დამოკიდებული იქნება ცალკეულ საქმეში არსებულ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე და მათი შეფასება სასამართლოს საქმეა. ერთ-ერთ ფუძემდებლურ სასამართლო საქმეში ნათქვამი იყო, რომ "საკითხი იმის შესახებ, გააკეთა თუ არა მოპასუხემ არსებითი ნაწილის კოპირება, დამოკიდებულია უფრო ხარისხზე, ვიდრე იმის რაობაზე, რაც მან მიითვისა". სხვა შემთხვევაში ნათქვამი იყო: "რისი კოპირებაც ღირს, იმის დაცვაც ღირს".

16.52. არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლოს მოვალეობაა, მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინებით შეაფასოს, მეტისმეტად თავისუფლად ხომ არ ისარგებლა მოპასუხემ სხვისი ნაშრომის ან ნაწარმოების ნაწილით. მეორე მხრივ, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საავტორო უფლება იცავს არა იდეებს (რაც შეიძლება იყოს ან არ იყოს პატენტის შესაბამისი ობიექტი), არამედ უფრო ფორმას, რომლის საშუალებითაც არის ეს იდეები გამოსახული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, სასამართლომ ყოველთვის უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა საავტორო უფლების საფარქვეშ არ მიანიჭოს მოსარჩელეს "50-წლიანი საპატენტო დაცვა".

16.53. ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ დაცვის ყველაზე აშკარა ხერხს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ სადავო ნაწარმოები შექმნილი იყო დამოუკიდებლად. დაცვის სხვა არგუმენტებად შეიძლება გამოდგეს მტკიცებები:

(1) რომ, თუმცა კი ჰქონდა ადგილი კოპირებას, ნაშრომის არსებითი ნაწილის მითვისება არ მომხდარა;

(2) რომ მოცემული ნაშრომი აღარ წარმოადგენს საავტორო უფლების დაცვის ობიექტს;

(3) სხვა სამართლებრივი აქტები, როგორიცაა, მაგალითად, კეთილსინდისიერი საქმიანი ურთიერთობა ან ნაწარმოების გამოყენება განათლების მიზნებისათვის.

(c) სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევა და კომერციული საქმიანობა სხვისი სახელით

16.54. ეს ორი საგანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუ რომელიმე საქმეში ადგილი აქვს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის დარღვევას, მოსარჩელე, ჩვეულებრივ, წამოაყენებს, აგრეთვე, ბრალდებას სხვისი სახელით კომერციის განხორციელების შესახებ. მოპასუხის მიერ თავისი საქონლის მოსარჩელეს საქონლად გასაღების შესაჩერებლად ისტორიულად გამოიყენებოდა ზოგადი ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევის აღსაკვეთად. როდესაც XIX საუკუნის ბოლოს პირველად გაჩნდა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესაძლებლობა, წარმოიშვა განსხვავება ამ ორ დარღვევას შორის. სარჩელთა ამ ორი ფორმის თანაარსებობის მიუხედავად, სხვისი სახელით ვაჭრობა არასოდეს შეწყვეტილა.

(i) სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევა

16.55. ეს დარღვევა არის სამართალდარღვევა, რომელიც წარმოიშობა სასაქონლო ნიშნის ეროვნულ რეესტრში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შედეგად. ბუნებრივია, რომ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია მხოლოდ მაც შემდეგ შეიძლება, როდესაც დადგინდება, რომ ისინი აკმაყოფილებენ განსაკუთრებულ პირობებს, რომლებსაც ადგენს კანონი და ანხორციელებს რეესტრი. რეგისტრაცია მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა შეთავაზებული ნიშნის განმასხვავებლობა, არის თუ არა იგი მოგონილი სიტყვა, ეხება თუ არა პირდაპირ იმ საქონლის ბუნებასა და თვისებას, რომლისთვისაც მოითხოვება რეგისტრაცია, გააჩნია თუ არა მას გეოგრაფიული სახელის ან პიროვნების სახელის მნიშვნელობა და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია როგორც საქონლისათვის, ასევე მომსახურებისთვისაც. ბრიტანეთის თანამეგობრობის მრავალ ქვეყანაში არსებობს სასაქონლო ნიშნების ორი კატეგორია: ე.წ. რეესტრის A ნაწილის და B ნაწილის ნიშნები, რაც დაკავშირებულია განსხვავებული მოსაზრებების წარმოჩენასთან. B ნაწილის ნიშნების კონცეფცია შემოღებული იყო იმ მიზნით, რომ რეგისტრაციის დროს დაეკმაყოფილებინათ განმასხვავებლობის გარკვეულწილად უფრო დაბალი დონის მოთხოვნები და, როგორც შედეგი, უზრუნველეყოთ დაცვის გარკვეულწილად უფრო დაბალი დონე სასა-

მართლო გარჩევის დროს.

16.56. სასაქონლო ნიშნის ფლობის დამამტკიცებელი საბუთია სასაქონლო ნიშნის ეროვნულ რეესტრში შეტანის შესახებ დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ასლი. მაგრამ მოწმობის ასლი გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი ისე, რომ ყურადღება დაეთმოს შემდეგ მონაცემებს მაინც:

(1) თვით ნიშანი და მისი წარდგენის ზუსტი სახე, განსაკუთრებით, როცა ნიშანი გამოსახულებითია;

(2) საქონელი, რომლის მიმართაც მოხდა რეგისტრაცია;

(3) მფლობელის სახელი და სხვა მონაცემები;

(4) რეგისტრაციის თარიღი;

(5) რეესტრის A თუ B ნაწილშია რეგისტრირებული ნიშანი.

16.57. მნიშვნელოვანი განსხვავება იმ სარჩელთა შორის, რომლებიც აღძრულია საქმეზე სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევასთან და საქმეზე სხვისი სახელით კომერციული საქმიანობასთან დაკავშირებით არის ის, რომ, თუ სხვისი სახელით კომერციული საქმიანობისას არსებითია მოსარჩელეს მიერ იმის დამტკიცების აუცილებლობა, რომ მას გააჩნია მაღალი რეპუტაცია, სასაქონლო ნიშნის დარღვევისას ეს არ მოითხოვება. რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს მანამ, ვიდრე სასაქონლო ნიშანი მიიღებდეს რეპუტაციას მისი ფაქტიური გამოყენების მეშვეობით; რეგისტრაციის განხორციელებისათვის საკმარისია, რომ ნიშანს თავისთავად გააჩნდეს განმასხვავებლობა, და რომ მოსარჩელეს ჰქონდეს კეთილსინდისიერი განზრახვა, გამოიყენოს იგი აღნიშნული საქონლისთვის როგორც სასაქონლო ნიშანი. მას შემდეგ, რაც მოხდება რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მფლობელს აქვს დამრღვევთა დევნის უფლება თავისი ფაქტიური სავაჭრო რეპუტაციის დასამტკიცებლად ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხარჯების გაწევის გარეშე. ეს გახლავთ მთავარი მიღწევა, რის გამოც ფირმის გუდვილის (რეპუტაციის) დაცვა უფრო ადვილი და ეფექტური გახდა რეგისტრაციის საფუძველზე.

16.58. სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებაში სასამართლო ხშირად აწყდება ისეთი შესაგებელი სარჩელის შესაძლებლობას, რომლებითაც სასაქონლო ნიშნების რეესტრიდან სადავო ნიშნების ამოღება მოითხოვება. სხვადასხვა ეროვნული კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ადგენს საფუძვლებს, რომელთა მიხედვითაც სასაქონლო ნიშანი შეიძლება ასეთი სახით იქნეს ამოღებული სახელმწიფო რეესტრიდან.

ეს საფუძვლები მიეკუთვნება იმ საფუძვლებს, რომლებიც შეიძლება წარადგინოს მოდავე მხარემ რეგისტრაციის სტადიაზე. გარდა ამისა, არსებობს სხვა საფუძვლებიც რეესტრიდან ამოსაღებად, როგორიცაა, მაგალითად, ნიშნის გამოუყენებლობა.

(ii) სხვისი სახელით უკანონო სარგებლობა

16.59. სხვისი სახელის არამართლზომიერი გამოყენება შეიძლება მოხდეს საერთო სამართლით დაცული სასაქონლო ნიშნის, საფირმო სახელწოდების, ან საქონლის ან მომსახურების სტილის მიმართ, ან შენიღბული მიმსგავსებით, ანუ ნაკეთობისთვის იმის დამატებით, რაც აძლევს მას განსხვავებულ გარეგნულ სახეს, იქნება ეს მიღწეული ფერის, ფორმის თუ შეფუთვის მეშვეობით. თავისი არსით სხვისი სახელის არამართლზომიერი გამოყენება სხვისი რეპუტაციით ან გუდვილით შექმნილი უპირატესობის უკანონო მითვისებაში მდგომარეობს.

16.60. ნებისმიერი ყალბი წარდგინება, რომელიც გათვლილია მეორე მხარის სავაჭრო ან სამეწარმეო საქმიანობისთვის ზიანის მისაყენებლად, სხვისი სახელის არამართლზომიერ გამოყენებაზე სარჩელის აღძვრის საფუძველი შეიძლება გახდეს. მაგრამ ყველა შემთხვევაში საქმის წარმატებული განხილვისათვის მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს ორი გარემოება: პირველი - რომ მას აქვს კანონიერი უფლებები მონოპოლიაზე, სხვანაირად რომ ვთქვათ, მან უნდა აჩვენოს, რომ იგი ფლობს განსაკუთრებულ უფლებას თავისი საქონლის კონკრეტულ სახელწოდებაზე ან სპეციფიკურ სავაჭრო გამოსახულებაზე, ან კონკრეტულ შენიღბულ გაფორმებაზე, და მეორე - მოსარჩელემ უნდა აჩვენოს, რომ მოპასუხემ დაარღვია ეს უფლებები, როცა გაყიდა საქონელი ისეთი სახელით ან გამოსახულებით ან შენიღბული გაფორმებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა და ყიდვისას მომხმარებლების მიერ მოპასუხის საქონლის მოსარჩელეს საქონლად მიჩნევა. უნდა აღვნიშნოთ, რომ აზრი არა აქვს მეორე გარემოების დასაბუთებას, თუ მოსარჩელემ პირველი გარემოების არსებობა არ დაასაბუთა.

(d) უფლებების დარღვევა რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშებზე

16.61. რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშებს დიდი მსგავსება გააჩნიათ გამოგონებებთან. ისინი ადგენენ სრულ მონოპოლურ უფლებას მოქმედების შეზ-

ღუდული ვადით.

16.62. გაერთიანებულ სამეფოში არსებობს სამრეწველო ნიმუშის შემდეგი განსაზღვრა: "ტერმინი "სამრეწველო ნიმუში" აღნიშნავს ფორმის, კონფიგურაციის, ნახატის ან ორნამენტის თავისებურებებს, რომლებსაც აძლევენ ნაკეთობას საწარმოო პროცესის ან ტექნიკურ საშუალებათა მეშვეობით; ამასთან, ეს არის მზა ნაკეთობის ისეთი ნიშან-თვისებები, რომელთა აღქმა და შეფასება მხოლოდ მხედველობით ხდება, და რომლებიც არ შეიცავენ დამზადების მეთოდს ან პრინციპს, ან ფორმის ან კონფიგურაციის მახასიათებლებს, რომლებიც განისაზღვრება მხოლოდ იმ ფუნქციით, რომელსაც ასრულებს ასეთი ფორმით ან კონფიგურაციით დამზადებული ნაკეთობა" (გაერთიანებული სამეფოს რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონის (1949) თავი 1 (3)).

16.63. სხვანაირად რომ ვთქვათ, რეგისტრირებული სამრეწველო ნიმუშის შესაბამისი ობიექტია ნაკეთობაში გამოყენებული ის მახასიათებლები, რომლებიც მხედველობით აღიქმება, გარდა ფუნქციური მახასიათებლებისა. გამოგონებაზე პატენტის მსგავსად, სამრეწველო ნიმუშის არსი განმარტებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ მისი დარღვევისა და ნამდვილობის საკითხების განხილვამდე. შეფასების მთელი პროცედურა ამ შემთხვევაში მხედველობით, ე.ი. სასამართლოს მიერ ვიზუალური შეფასების გზით ხდება. ვიზუალური შეფასების გარდა სხვა დამატებითი მონაცემების აუცილებლობა იშვიათ შემთხვევებში დგება.

16.64. გარდა თავის დასაცავად მოტანილი აშკარა არგუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია იმის დასამოწებლად, რომ ნაკეთობა არ შედის მოცემული სამრეწველო ნიმუშის დაცვის ფარგლებში, მოპასუხე აუცილებლად წარადგენს შესაგებელ სარჩელს სამრეწველო ნიმუშთა რეესტრში ცვლილების შეტანის შესახებ. როგორც პატენტების შემთხვევაში, მას შეუძლია აირჩიოს არგუმენტაცია სიახლის არარსებობის შესახებ, რაც წარმოადგენს ნიმუშის ნამდვილობის ფუნდამენტურ მოთხოვნას ტექნიკის ადრინდელი დონის თვალსაზრისით. პატენტისაგან განსხვავებით, მოპასუხეს ასევე შეუძლია სადავო გახადოს ნიმუში იმის მტკიცებით, რომ იგი ან მისი შემადგენელი ფორმა, ან მისი კონფიგურაციის მახასიათებლები მხოლოდ ფუნქციური დანიშნულებითაა ნაკარნახევი.

D. სასამართლო დაცვის საშუალებები

16.65. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება სასამართლო დაცვის საშუალებები, როგორიცაა, სასამართლო აკრძალვა, ზიანის ანაზღაურება და მიღებული მოგების განსაზღვრა. მრავალი სასამართლო სარჩელი იწყება შუამდგომლობით დროებითი ან შუალედური ხასიათის დამცველი საშუალებების ზოგიერთი ფორმის გამოყენების შესახებ, და უმრავლეს შემთხვევაში ყველაფერი ამ წინასწარ სტადიაზევე მთავრდება.

(a) დაცვის წინასწარი საშუალებები - შუალედური სასამართლო აკრძალვა

16.66. დაცვის წინასწარი საშუალებები უაღრესად მნიშვნელოვანია ინტელექტუალურ საკუთრებაზე ყველა ზემოაღნიშნულ უფლებათა დასაცავად. სასამართლო მოსმენის დაწყებიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე პერიოდში შეიძლება მოხდეს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება გაუსაღებელი პროდუქციის, დაკარგული მოგების, შელახული რეპუტაციის ან მასალების და/ან ინფორმაციის გამოყენების მეშვეობით სხვა ზიანის მიყენების სახით. უფრო მეტიც, დარღვევის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქცევის ხასიათი შეიძლება იყოს ისეთი, რომ ზარალის ან დაკარგული მოგების ანაზღაურება არაადეკვატურ სასამართლო საშუალება აღმოჩნდეს. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მოპასუხე არაგადახდისუნარიანი დარჩა ან მიიმალა. მაგრამ ეს არ არის იმის ერთადერთი მიზეზი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება შეიძლება გახდეს აღკვეთის არაადექვატური საშუალება. უფრო ხშირად ეს გამომდინარეობს სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ბუნებიდან და უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ზუსტი შეფასების სირთულით არის განპირობებული. თუ მსგავს შემთხვევებში მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქცევა თავიდანვე აღიკვეთება, მაშინ ზიანის ანაზღაურების პრობლემა შეიძლება მთლიანად გაქრეს ან გახდეს ბევრად უფრო მსუბუქი, ვიდრე საწინაღმდეგო შემთხვევაში.

16.67. დაცვის ყველაზე ეფექტური და ხშირად გამოყენებული საშუალება არის დროებითი ან შუალედური სასამართლო აკრძალვა, რომლის მთავარი მიზანი, ჩვეულებრივ, ძირითადი საქმის მოსმენამდე status quo-ს შენარჩუნებით ხასიათ-

დება. თუმცა status quo-ს შენარჩუნება სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ჩვეულებრივ, ყველაზე შესაფერი სასამართლო დადგენილებაა, იგი თავისთავად არ წარმოადგენს შუალედური აკრძალვის ძირითად მიზანს. შუალედური აკრძალვის სანქციის გაცემისას სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც სამართლიანობის უზრუნველყოფის ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლევა იმ მომენტისათვის, როდესაც უნდა იყოს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. ამგვარად, სასამართლოს შეუძლია, გასცეს განკარგულება საქმის ადრინდელი მდგომარეობის აღსადგენად ან იმისათვის, რათა მხარეებმა ისეთი სახით წარმართონ თავისი საქმე, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მართლმსაჯულების მოთხოვნებს.

16.68. სულ უფრო იზრდება ისეთ შემთხვევათა რიცხვი, როდესაც სასამართლოს შუალედური აღმკვეთი სანქციები არასაკმარისი ხდება იმისათვის, რათა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები დაცულ იქნეს განმეორებითი დარღვევების საფრთხისაგან. ხშირად ეს იმიტომ ხდება, რომ მტკიცებულებები, რომლებიც საჭიროა შუალედური და საბოლოო სასამართლო დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ შეტანილი შუამდგომლობის განმტკიცებისთვის, ძნელად მისაღებია: მათი მიღება შეუძლებელია ჩვეულებრივი სამძებრო პროცედურების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა, რომ მოსარჩელემ მიაღწიოს დროებითი აღკვეთის სანქციების მიღებას, რადგან მას არ ყოფნის ამისთვის აუცილებელი მტკიცებულებები. ზოგჯერ მოპასუხე იცილებს ან ანადგურებს კონტრაფაქციურ მასალას. უკანასკნელ წლებში აუცილებელ მტკიცებულებათა მიღებისა და შენახვის ოპერატიული და ეფექტური საშუალებები შემუშავებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების მიერ. სასამართლო დაცვის საშუალება წარმოადგენს ex parte სასამართლო განჩინებას შენობაში შესვლის და მისი დათვალიერების, აგრეთვე, მტკიცებულებების ამოღების თაობაზე. ასეთი განჩინებები ცნობილია, როგორც "ანტონ პილერის განჩინება". ასეთი განჩინება შეიძლება აუცილებელი ნაბიჯი აღმოჩნდეს, ვიდრე შუალედური სასამართლო აკრძალვა იქნება მიღებული.

16.69. ხშირად მტკიცებულებათა შეკრება და სასამართლოს მიერ მოსარჩელეს სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებაც კი შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩნდეს, თუ მოპასუხეს არ გააჩნია მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით გამოყენებული იქნებოდა

ზიანის ასანაზღაურებლად. ეს სერიოზული პრობლემაა, თუ გავითვალისწინებთ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე თავის ამრიდებლების მოხერხებულობას, აგრეთვე იმას, თუ რა ადვილია ფულის გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, და ტექნიკურ პროგრესს ამ პრობლემის გადასაწყვეტად. საერთო უფლების სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს და შეიმუშავეს სასამართლო აკრძალვის ე. წ. მარევას (Mareva) ფორმა, რომელიც განკუთვნილია მოპასუხის იურისდიქციიდან ფასეულობათა გადაგზავნის ან მისი იურისდიქციის ფარგლებში მათი განკარგვის და მიმოქცევის აღსაკვეთად, რათა აზრი არ დაეკარგოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება მოპასუხის საწინააღმდეგოდ იქნეს მიღებული.

(b) საბოლოო სასამართლო აკრძალვა

16.70. სამრეწველო საკუთრების დარღვევის შესახებ სასამართლო გარჩევის ნორმალური მსვლელობისას წარმატების შემთხვევაში მოსარჩელეს უფლება აქვს საბოლოო სასამართლო აკრძალვაზე. სასამართლო აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის სასამართლოს კომპეტენცია და მხოლოდ უჩვეულო სიტუაციებში (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წამლის ერთადერთი მწარმოებელია, ან საქმეში საავტორო უფლების დარღვევის შესახებ მეტისმეტად ხანგრძლივი მოსალოდნელი შეფერხების შემთხვევაში) შეიძლება უარი ეთქვას უვადო სასამართლო აკრძალვაზე. თუ იქნებოდა გამოტანილი გადაწყვეტილება სასამართლო აკრძალვაზე, მაგალითად, იმ პატენტმფლობელის შუამდგომლობის შემთხვევაში, რომელმაც მოიგო საქმე, მაშინ ეს იქნებოდა იმის ტოლფასი, რომ მოპასუხეს მიეღო უფლება იძულებით ლიცენზიაზე მოცემული პატენტის მიხედვით იძულებითი ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებული დადგენილი პროცედურების გვერდის ავლით. სასამართლო აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში მოსარჩელეს, რა თქმა უნდა, შეუძლია გამოვიდეს სასამართლოს გაკიცხვის განცხადებით. სამრეწველო საკუთრების სფეროში გამოცდილება მოწმობს, რომ ასეთი ქმედებები მოსარჩელეს მხრივ არც თუ იშვიათია.

(c) მიყენებული ზიანი თუ სავარაუდო მოგება

16.71. სამრეწველო საკუთრების შესახებ საქმეებში ზიანის განსაზღვრა წარმატებული მოსარჩელისგან აუცილებლად მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, აირჩიოს - გამოძიებულ იქნეს მიყენებული ზიანი თუ შეფასებულ იქნეს სავარაუდო მოგება. ეს ორი ვარიანტი, რა თქმა უნდა, ურთიერთგამომრიცხავია, რადგან, თუ მოსარჩელე აირჩევს მოგების დადგენის ვარიანტს, მაშინ მან მოპასუხის ქმედება უნდა მიიჩნიოს როგორც საკუთარი. ვარიანტის არჩევა ყველა შემთხვევაში დამოკიდებულია ფაქტებზე. ზოგჯერ დროის ფაქტორს შეუძლია ითამაშოს არსებითი როლი და პასუხისმგებლობის დადგენასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვა გამოავლენს საკმარის ფაქტობრივ მასალას, რათა შესაძლებლობა მისცეს მოსარჩელეს, მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილება მოგების განსაზღვრაზე. ზოგჯერ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოპასუხე ახერხებდეს სადავო ნაკეთობის ბევრად უფრო დიდი მოცულობით გაყიდვას, ვიდრე ამას შეძლებდა მოსარჩელე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელესთვის უფრო ხელსაყრელია მოგების დადგენის ვარიანტის არჩევა, ვიდრე სხვა გამოძიებათა ჩატარება, რაც, სხვათა შორის, შეიძლება ეხებოდეს წმინდა მოგებას.

16.72. მაგრამ, ჩვეულებრივ, წარმატებული მოსარჩელე შუამდგომლობს, გაიცეს განჩინება ორდერის გაცემის შესახებ მიყენებული ზიანის შესახებ გამოძიების ჩატარებაზე. ასეთ შემთხვევაში რთულ საქმეებში მოსარჩელე შეიძლება წააწყდეს ახალი სასამართლო გარჩევის აუცილებლობას. ეს გარჩევა ისეთივე საფუძვლიანი უნდა იყოს, როგორც პასუხისმგებლობის დადგენისას. ამ მიზეზით სამრეწველო საკუთრების დარღვევის შესახებ დამთავრებული საქმეები იშვიათად მიდის მიყენებული ზიანის შესახებ სრულ გამოძიებამდე. ეს საქმეები, ჩვეულებრივ, იოლად გვარდება როგორც კი დარღვევაზე პასუხისმგებლობა დადგინდება.

17.73. სამრეწველო საკუთრებაზე უფლებათა დარღვევის შესახებ საქმეებში ზიანის შეფასება იცვლება სამართალწარმოების პროცედურათა მიხედვით. სხვისი სახელის არამართლზომიერი გამოყენება და სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევა შეიძლება ერთად განიხილებოდეს ისევე, როგორც საქმეები პატენტებისა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ. არ არსებობს

ერთიანი სამართლებრივი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომაა მართებული კონფიდენციალური საიდუმლოების გავრცელებით მიყენებული ზიანის განსაზღვრისათვის. საავტორო უფლებებთან დაკავშირებული საქმეებისათვის სპეციალური საკანონმდებლო დებულებები არსებობს. მაგრამ არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული პროცედურა ან ფორმულა მიყენებული ზიანის შესაფასებლად. ცნობილია, რომ ზიანი ნებისმიერ ამ სფეროში ძალიან ძნელად ემორჩილება შეფასებას სიზუსტის რაიმე ხარისხით. სასამართლოებმა მიიღეს ეს გარემოება მხედველობაში და უარი თქვეს საერთო წესების დადგენაზე.

16.74. ზიანის შეფასებაში გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს შეფასება ფორმალურად პირობითი ლიცენზიის საფუძველზე: ასეთი სიტუაცია წარმოჩნდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები კონკურენტები არიან, და იგი ძირითადად დამახასიათებელია გამოგონებებთან და სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებული საქმეებისათვის. ზიანი, რომელიც მიყენებულია წარსულში ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, განისაზღვრება ყოველ კონტრაფაქციურ ნაკეთობაზე გადასახდელი ანარიცხების გათვალისწინებით. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში წამოიჭრება პრობლემები, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსარჩელე სინამდვილეში არასოდეს დათანხმდებოდა ლიცენზიის გაცემაზე. ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, კონფიდენციალური საიდუმლოს გაცემასთან ან საავტორო უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების მიმართ. მეორე, დასამტკიცებლად უფრო ძნელი, გზაა მოსარჩელეს მიერ გაუსაღებელი საქონლის მოცულობის განხილვა. ამ შემთხვევაში მოსარჩელეს უფლება აქვს მთლიან დაკარგულ მოგებაზე.

ნაწილი V

საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში

თავი 18
პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ

A. ისტორიული მიმოხილვა

18.1. გასული საუკუნის განმავლობაში სამრეწველო საკუთრების სფეროში რაიმე საერთაშორისო კონვენციის არსებობამდე საკმაოდ ძნელი იყო სამრეწველო საკუთრების უფლებათა დაცვის მიღება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რამეთუ კანონები ძალიან განსხვავებოდნენ ერთმანეთისგან. უფრო მეტი, განაცხადის შეტანა უნდა მომხდარიყო, უხეშად რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე დროს ყველა ქვეყანაში, რათა პუბლიკაციას ერთ ქვეყანაში არ გამოეწვია სხვა ქვეყნებში სიახლის გაბათილება. ამ პრაქტიკულმა პრობლემებმა ასეთი სახის სიძნელეების გადალახვის დიდი სურვილი გამოიწვია.

18.2. პრაქტიკული მოსაზრებების გარდა, იმასთან დაკავშირებით, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში სულ უფრო მეტი ქვეყანა ქმნიდა გამოგონების დაცვის სისტემას, გარდა სამრეწველო საკუთრების ჰარმონიზაციის საერთო სურვილი საერთაშორისო და მსოფლიო საფუძველზე კანონმდებლობის სხვა სფეროებშიც. ეს მოხდა ტექნოლოგიის ნაკადთა ინტერნაციონალიზაციის განვითარებისა და აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების წყალობით, რამაც აუცილებლად საჭირო გახადა ასეთი ჰარმონიზაცია როგორც პატენტების, ასევე სასაქონლო ნიშნების სფეროში.

18.3. უცხოურ გამოგონებათა სათანადო დაცვის ნაკლი განსაკუთრებით აშკარა გახდა, როდესაც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მთავრობამ შესთავაზა სხვა ქვეყნებს მონაწილეობა მიეღოთ გამოგონებათა საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც შედგა 1873 წ. ვენაში. მონაწილეობაზე თავს იკავებენ იმ ფაქტის გამო, რომ ბევრ უცხოელ დამთვალიერებელს არ სურდა საკუთარი გამოგონების გამოფენა არაადეკვატური სამართლებრივი დაცვის გამო, რომელიც ენიჭებოდა ექსპონირებულ გამოგონებებს.

18.4. ამან მიიყვანა ორ შედეგამდე: ჯერ ერთი, სპეციალური ავსტრიული კანონით ყველა უცხოელს, რომლებმაც წარადგინეს საკუთარი გამოგონება, სასაქონლო ნიშნები და სამრეწველო ნიმუშები, ენიჭებოდა დროებითი დაცვა. მეორე, იმავე 1973 წელს მოწვეული იყო ვენის საპატენტო რეფორმის კონგრესი. საპატენტო კონგრესმა მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, რომლებმაც დააწესა რიგი პრინციპი, რაზედაც უნდა დამყარებულიყო ეფექტური და სასარგებლო საპატენტო სისტემა და რომლებიც მოუწოდებდნენ მთავრობას "რაც შეიძლება ჩქარა წარმოეჩინა საპატენტო დაცვის აუცილებლობის საერთაშორისო გაგება".

18.5. როგორც ვენის კონგრესის შედეგი, 1878 წელს პარიზში მოწვეული იქნა სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო კონგრესი. ამ მეორე კონგრესის ძირითადი შედეგი იყო გადაწყვეტილება ეთხოვათ ერთ-ერთი მთავრობისთვის საერთაშორისო (დიპლომატიური) კონფერენციის მოწვევა, "რომლის მიზანი იყო ერთგვაროვანი კანონმდებლობის საფუძვლების განსაზღვრა" სამრეწველო საკუთრების სფეროში.

18.6. ამ კონგრესის შემდეგ საფრანგეთში მომზადებულ იქნა დოკუმენტის საბოლოო პროექტი, რომელიც სთავაზობდა სამრეწველო საკუთრების დაცვას საერთაშორისო "კავშირის" შექმნასთან დაკავშირებით. ეს პროექტი მოწვევასთან ერთად, 1880 წლის პარიზის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, საფრანგეთის მთავრობამ დაუგზავნა რიგ სხვა სახელმწიფოს. კონფერენციამ მიიღო კონვენციის პროექტი, რომელიც შეიცავდა უმთავრესად იმ არსებით დებულებებს, რომლებიც დღემდე წარმოადგენენ პარიზის კონვენციის ძირითად მომენტებს.

18.7. 1883 წელს პარიზში მოწვეული იქნა ახალი დიპლომატიური კონფერენცია, რომელიც დამთავრდა პარიზის სამრეწველო საკუთრების დაცვის კონვენციის საბოლოო მიღებით და ხელის მოწერით. პარიზის კონვენციას ხელი მოაწერა თერთმეტმა სახელმწიფომ: ბელგიამ, ბრაზილიამ, სალვადორმა, საფრანგეთმა, გვატემალამ, იტალიამ, ნიდერლანდებმა, პორტუგალიამ, სერბიამ, ესპანეთმა და შვეიცარიამ. პარიზის კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის, 1884 წლის 7 ივლისს, მას მიუერთდნენ: დიდი ბრიტანეთი, ტუნისი და ეკვადორი, და 14-მდე დაიყვანეს წევრი ქვეყნების თავდაპირველი რაოდენობა. XIX საუკუნის ბოლოსთვის წევრ ქვეყანათა რაოდენობა გაიზარდა 19-მდე.

მხოლოდ ამ საუკუნის პირველი მეოთხედის და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პარიზის კონვენციის წევრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 18.8. 1883 წლის ხელის მოწერის შემდეგ პარიზის კონვენცია რამდენჯერმე გადაისინჯა. გადასინჯვის კონფერენციები შედგა რომში 1886 წელს, მადრიდში 1890 და 1891 წლებში, ბრიუსელში 1897 და 1900 წლებში, ვაშინგტონში 1911 წელს, ჰააგაში 1925 წელს, ლონდონში 1934 წელს, ლისაბონში 1958 წელს და სტოკჰოლმში 1967 წელს. გადასინჯვის უკანასკნელმა კოფერენციამ თავისი პირველი სესია ჩაატარა ჟენევაში 1980 წელს, მეორე – ნაირობში 1981 წელს, მესამე - ჟანავაში 1982 წელს და მეოთხე - ჟენევაში 1984 წლის თებერვალ-მარტში.

18.9. ყოველი გადასინჯვის კონფერენცია, დაწყებული ბრიუსელის კონფერენციით 1900 წელს, მთავრდებოდა პარიზის კონფერენციის გადასინჯვის აქტის მიღებით. გარდა აქტებისა, რომლებიც მიღებული იყო გადასინჯვის კონფერენციებზე ბრიუსელში და ვაშიგტონში და რომლებიც უკვე აღარ მოქმედებდნენ. ყველა უფრო ადრინდელ აქტებს ჯერ კიდევ შერჩათ მნიშვნელობა, თუმცა ქვეყანათა უმრავლესობა ეხლა 1967 წელს სტოკჰოლმში დადებული უკანასკნელი აქტის მოხსენება.

B. ძირითადი დებულებები

18.10. პარიზის კონვენციის დებულებები შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად.

18.11. დებულებათა პირველი კატეგორია შეიცავს მატერიალური სამართლის ნომებს, რომლებითაც გარანტირებულია ძირითადი უფლება, ცნობილი როგორც ეროვნული რეჟიმის თითოეულ წევრ ქვეყანაში.

18.12. დებულებათა მეორე კატეგორია აწესებს კიდევ ერთ ძირითად უფლებას, რომელიც ცნობილია როგრც პრიორიტეტის უფლება.

18.13. დებულებათა მესამე კატეგორია განსაზღვრავს მატერიალური უფლებების დარგის მთელ რიგ საერთო ნორმას, რომლებიც შეიცავენ ან ნორმებს, რომლებიც ადგენენ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, ან ნორმებს, რომლებითაც წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ ან ნება ეძლევათ გაითვალისწინონ ამ ნორმების შესაბამისი დებულებები თავის კანონმდებლობაში.

18.14. დებულებათა მეოთხე კატეგორია ეხება ადმინისტრაციულ ფარგლებს, რომლებიც დადგენილია კონვენციის რკალიზაციის მიზნით და შეიცავს კონვენციის საბოლოო მუხლებს.

(A) ეროვნული რეჟიმის პრინციპი

18.15. დებულებებს, რომლებიც ეხებიან ეროვნულ რეჟიმს, შეიცავენ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები.

18.16. ეროვნული რეჟიმი ნიშნავს, რომ პარიზის კონვენციის ყველა წევრი ქვეყანა უნდა ანიჭებდეს სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებს სამრეწველო საკუთრების ისეთსავე დაცვას, როგორსაც ანიჭებს საკუთარ მოქალაქეებს.

18.17. ასეთივე ეროვნული რეჟიმი უნდა მიექცეს იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან პარიზის კონვენციის მონაწილენი, თუ ისინი ცხოვრობენ წევრ ქვეყანაში ან თუ გააჩნიათ "ნამდვილი და სერიოზული" სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმო ასეთ ქვეყანაში. მაგრამ არავითარი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ ჰქონდეთ საცხოვრებელი ადგილი ან საწარმო ქვეყანაში, სადაც გამოითხოვება დაცვა, არ წარედგინება წევრი ქვეყნების მოქალაქეებს როგორც სამრეწველო საკუთრების სარგებლობით უპირატესობის მიღების პირობა.

18.18. ეროვნული რეჟიმის ნორმა წარმოადგენს პარიზის კონვენციის თანახმად დადგენილ საერთაშორისო დაცვის სისტემის ერთ-ერთ ქვაკუთხედს. ის უზრუნველყოფს არა მარტო უცხოელთა უფლებების დაცვას, არამედ იმასაც, რომ მათ წინააღმდეგ არ იქნება არავითარი დისკრიმინაცია. ამ ნორმის გარეშე ხშირად ძალიან ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც, გამოგონებების, სასაქონლო ნიშნებისა და სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტების სათანადო დაცვის მიღება უცხოეთის ქვეყნებში.

18.19. ეროვნული რეჟიმის ნორმა გამოიყენება, უწინარეს ყოვლისა, წევრი ქვეყნების "მოქალაქეთა" მიმართ. ტერმინი "მოქალაქე" შეიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. იურიდიულ პირთა მოქალაქეობის განსაზღვრა შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს. ჩვეულებრივ, არავითარი ეროვნული კუთვნილება, როგორც ასეთი, იურიდიულ პირთათვის სხვადასხვა ეროვნული კანონმდებლობით არ არის დადგენილი. რა თქმა უნდა, ეჭვს გარეშეა, როდესაც წევრ ქვეყანაში ეროვნულად ითვლება სახელმწიფო წარმოებები, ან სხვა წარმონაქმნი, რომლებიც შექმნილია ამ ქვეყნის საჯარო სამართლის თანახ-

მად. იურიდიული პირები, რომლებიც შებმნილია წევრ ქვეყნის კერძო სამართლის შესაბამისად, როგორც წესი, ჩაითვლებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებად. თუ მათი შტაბ ბინა ფაქტობრივად სხვა წევრ ქვეყანაშია, ისინი აგრეთვე შეიძლება ჩაითვალონ იმ ქვეყნის მოქალაქეებად, სადაც მდებარეობს მათი შტაბ ბინა.

18.20. მე-2 (1) მუხლის თანახმად ეროვნული რეჟიმის ნორმა გამოყენება ყველა უპირატესობათა მიმართ, რომლებსაც ანიჭებენ საკუთარ მოქალაქეებს სხვადასხვა ეროვნული კანონმდებლობები. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა გამოიყენებოდეს კონკრეტული წევრი ქვეყნების მოქალაქეთათვის ისევე, როგორც გამოიყენება სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის. ამ მხრივ ეროვნული რეჟიმის ნორმა გამორიცხავს დისკრიმინაციის ნებისმიერ შესაძლებლობას, რომელიც ზიანს აყენებს სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებს.

18.21. ამასთან ეს ნიშნავს, რომ გამოირიცხება დაცვის ნაცვალგების ნებისმიერი მოთხოვნა. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიღაც წევრ ქვეყანაში საპატენტო დაცვის ვადა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სხვა წევრ ქვეყანაში: პირველ ქვეყანას არა აქვს უფლება გაითვალისწინოს, რომ მეორე ქვეყნის მოქალაქეებს ექნებათ ხანგრძლივობით დაცვის ისეთივე ვადა, როგორიც მათ ენიჭებათ ამ მეორე ქვეყნის კანონით. ეს პრინციპი გამოიყენება არა მხოლოდ კოდიფიცირებული კანონისათვის, არამედ სასამართლოების პრაქტიკის (იურისპრუდენციის), საპატენტო უწყების, ან სხვა ადმინისტრაციულ სახელმწიფო დაწესებულებათა პრაქტიკის მიმართ, რამდენადაც ის გამოიყენება ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

18.22. მაგრამ ეროვნული კანონმდებლობით გამოიყენება სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქისთვის ხელს არ უშლის მას უფრო ხელსაყრელი უფლებების მოპოვებაში, რომლებიც სპეციალურად არის გათვალისწინებული პარიზის კონვენციით. ეს უფლებები გარკვევით არის დათქმული. ეროვნული რეჟიმის პრინციპი უნდა გამოიყენებოდეს ასეთი უფლებისათვის ზიანის მიუყენებლად.

18.23. მე-2 (3) მუხლი აწესებს გამონაკლისს ეროვნული რეჟიმის ნორმაში. ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ეხება სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცედურას, წარმომადგენლობის კომპეტენციას და მოთხოვნას, აუცილებლად "შენარჩუნებულია". ეს ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი საპროცედურო ხასიათის გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც სასამართლო და ადმინისტრა-

ციული პროცედურის მიზნებისთვის ითვალისწინებენ სპეციალურ პირობებს უცხოელებისთვის, იურიდიულად ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხოელთა წინააღმდეგ, რომლებიც წევრი ქვეყნის მოქალაქენი არიან როგორც მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ მოთხოვნა, რომლის თანახმად უცხოელმა გარანტიის, ან გირაოს სახით უნდა შეიტანოს სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული გარკვეული თანხა. კიდევ ერთი მაგალითი მკაფიოდ აწესებს მოთხოვნას უცხოელთათვის ან მიუთითონ მისამართი მიმოწერისთვის, ან დანიშნონ აგენტი ქვეყანაში, რომელშიც გამოითხოვება დაცვა. უკანასკნელი, შესაძლოა, ყველაზე გავრცელებული მოთხოვნაა, რომელსაც უყენებენ უცხოელებს, და აგრეთვე ეროვნული რეჟიმის ნორმის ნებადართული გამონაკლისი.

18.24. როგორც ადრე უკვე იყო აღნიშნული, ეროვნული რეჟიმის ნორმის გამოყენება ვრცელდება აგრეთვე იმ ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ კონვენციაში, პირობით, რომ ისინი ცხოვრობენ, ან აქვთ წევრ-ქვეყანაში სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმო. ამ დებულებას შეიცავს მე-3 მუხლი.

18.25. ტერმინი "ცხოვრობენ" ჩვეულებრივი ინტერპრეტაციით არ უნდა მოითხოვდეს საცხოვრებელ ადგილს ამ ტერმინის ზუსტი იურიდიული მნიშვნელობით. მე-3 მუხლის მნიშვნელობით პირი "მცხოვრებია" ბინადარით, თუ ის მეტ-ნაკლებად მუდმივად ცხოვრობს გარკვეულ ადგილას და არ გააჩნია იქ თავისი იურიდიული რეზიდენცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, უბრალოდ ცხოვრება იურიდიული საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით საკმარისია. იურიდიულ პირთა ადგილსამყოფელი არის მათი ფაქტობრივი შტაბ-ბინის ადგილსამყოფელი.

18.26. თუ საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნიათ, მაშინ შეიძლება იყოს სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმო, რომელიც ანიჭებს პირის ეროვნული რეჟიმის უფლებას. სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმოს ცნება, რომელიც იმყოფება წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე და ეკუთვნის იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ მონაწილეობდა კონვენციაში, განმარტებულია თვით კონვენციის ტექსტში. ის მოითხოვს, რომ საწარმო იყოს ნამდვილი და სერიოზული. ეს ნიშნავს, რომ უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი სამრეწველო, ან კომერციული საქმიანობა. უბრალო საფოსტო ყუთი, ან მცირე სათავსოს არენდა რეალური საქმიანობის გარეშე საკმარისი არ არის.

(ხ) პრიორიტეტის უფლება

18.27. დებულებებს, რომლებიც ეხება პრიორიტეტის უფლებას, შეიცავს კონვენციის მე-4 მუხლი.

პრიორიტეტის უფლება ნიშნავს, რომ ერთ-ერთ წევრ-ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების უფლებაზე ჩვეულებრივი განაცხადის საფუძველზე, განმცხადებელს (ან მის უფლებამონაცვლეს) შეუძლია დროის გარკვეული პერიოდის (6 ან 12 თვის) განმავლობაში გამოითხოვოს დაცვა ყველა სხვა წევრ ქვეყანაში. ეს უფრო გვიანდელი განაცხადები შემდგომ განიხილება ისე თითქოს შეტანილი იქნა იმავე დროს, როდესაც შეტანილი იყო პირველი (ან უფრო ადრინდელი) განაცხადი. სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო გვიანდელ განაცხადებს აქვთ საპრიორიტეტო სტატუსი ყველა განაცხადის მიმართ, რომლებიც ეხება იმავე გამოგონებას და შეტანილია პირველი განაცხადის შეტანის თარიღის შემდეგ. იმათაც აქვთ საპრიორიტეტო სტატუსი ყველა ამ თარიღის შემდეგ ჩადენილი მოქმედების მიმართ, რომლებსაც ჩვეულებრივ უნარი შესწევთ ჩამოართვან იურიდიული ძალა განმცხადებლის უფლებას, ან მისი გამოგონების პატენტუნარიანობას.

18.28. პრიორიტეტის უფლება დიდ პრაქტიკულ უპირატესობას ანიჭებს განმცხადებელს, რომელსაც სურს დაცვის მიღება რამდენიმე ქვეყანაში. განმცხადებლისგან არ მოითხოვება ყველა განაცხადის შეტანა როგორც სახლში, ასევე საზღვარგარეთ ერთსა და იმავე დროს, რამეთუ მის განკარგვაში. 6 ან 12 თვეა იმის გადასაწყვეტად, თუ რომელ ქვეყნებში გამოითხოვოს დაცვა განმცხადებელს შეუძლია გამოიყენოს ეს პერიოდი, რათა გულმოდგინედ მოიფიქროს, თუ რაა საჭირო დაცვის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც ამ შემთხვევაში წარმოადგენენ ინტერესს.

18.29. პრიორიტეტის უფლების უპირატესობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა პირმა, რომელსაც გააჩნია უფლება ისარგებლოს ეროვნული რეჟიმის ნორმით, სათანადო დონეზე შეიტანა საპატენტო განაცხადი გამოგონებაზე, ან სამრეწველო საკუთრების სხვა უფლებაზე ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში.

18.30. პრიორიტეტის უფლება შეიძლება დამყარებული იყოს მხოლოდ პირველ განაცხადზე სამრეწველო საკუთრების ერთსა და იმავე უფლებაზე, რომელიც უნდა შეიტანონ წევრ ქვეყანაში. ამიტომ არ შეიძლება პირველი განაცხადის შემდეგ მეორე შესაძლოა გაუმჯობესებული განაცხადის შეტანა და შემდგომ გამოიყენო ეს მეორე განაცხადი როგორც პრიორიტეტის საფუძველი. ამ

ნორმის მიზეზი აშკარაა: არ შეიძლება დაშვებულ იქნეს ერთი მეორემ მიყოლებით პრიორიტეტის გაუთავებელი მოთხოვნა ერსა და იმავე ობიექტზე, ვინაიდან არსებითად ამას შეუძლია მნიშვნელოვნად გაეზარდა ამ ობიექტის დაცვის ვადა.

18.31. პარიზის კონვენციის მე-4 A(1) მუხლი აღიარებს, რომ პრიორიტეტი შეიძლება მიიღოს პირველი განმცხადებლის უფლებამონაცვლემ. პრიორიტეტის უფლება შეიძლება გადაეცეს უფლებამონაცვლეს ამასთან თვითონ პირველი განაცხადის ერთდროული გადაცემის გარეშე. ეს აგრეთვე, კერძოდ, პრიორიტეტის გადაცემის საშუალებას იძლევა სხვადასხვა პირებისთვის სხვადასხვა ქვეყნებში, რაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება.

18.32. უფრო გვიანდელი განაცხადი უნდა ეხებოდეს იმავე ობიექტს, რომელსაც ეხება პირველი, რომლისთვისაც გამოითხოვება პრიორიტეტი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ორივე განაცხადის ობიექტი უნდა იყოს ერთი და იგივე გამოგონება, სასაქონლო ნიშანი, ან სამრეწველო ნიმუში. მაგრამ შესაძლებელია გამოგონებაზე პირველი საპატენტო განაცხადის, როგორც სასარგებლო მოდელის ოეგისტრაციისთვის, საპრიორიტეტო საფუძვლის გამოყენება, და პირიქით. დაცვის ფორმის ასეთივე შეცვლა ორივე მიმართულებით, აგრეთვე, შესაძლებელია სასარგებლო მოდელებსა და სამრეწველო ნიმუშებს შორის.

18.33. პრიორიტეტის უფლება რომ წარმოიშვას, საჭიროა პირველი განაცხადის "სათანადო წესით" შეტანა. ნებისმიერი შეტანა, რომელიც ჩვეულებრივი ეროვნული შეტანის ექვივალენტურია, წარმოადგენს პრიორიტეტის უფლების ნამდვილ საფუძველს. ჩვეულებრივი ეროვნული შეტანა ნიშნავს ნებისმიერ შეტანას, რომელიც სათანადო წესით ადგენს შესაბამის ქვეყანაში შეტანილი განაცხადის თარიღს. ცნება "ეროვნული" შეტანა განისაზღვრება აგრეთვე განაცხადთა ჩართვით, რომლებიც შეტანილ იქნა წევრ ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად.

18.34. პირველი განაცხადის უკუგამოთხოვა, საქმისწარმოების შეჩერება, ან უარყოფა არ უკარგავს მას უნარს იყოს პრიორიტეტის საფუძველი. პრიორიტეტის უფლება არსებობს მაშინაც, თუ პირველი განაცხადი, რომელმაც წარმოშვა ეს უფლება, უკვე აღარ არსებობს.

18.35. პრიორიტეტის უფლების მოქმედება რეგულირებულია მე-4 B მუხლში. ეს მოქმედება რომ შევაჯამოთ, უნდა ვთქვათ რომ, როგორც პრიორიტეტზე პრეტენზიის განცხადების შედეგი, გვიანდელი განაცხადი უნდა განიხილებოდეს

ისე, თითქოს ის შეტანილი იყო პირველი განაცხადის კიდევ ერთ წევრ ქვეყანაში შეტანის დროს, რომლისთვისაც გამოითხოვება პრიორიტეტი. პრიორიტეტის უფლების წყალობით ყველა მოქმედებას, რომლებიც ჩადენილი იყო დროის პერიოდში პირველი და გვიანდელი განაცხადის შეტანის თარიღებს შორის (ე.წ. საპრიორიტეტო პერიოდი), არ შეიძლება ჩამოერთვას უფლებები, რომლებიც გვიანდელი განაცხადის საგანს წარმოადგენენ.

18.36. კონკრეტული მაგალითების ენით ეს ნიშნავს, რომ საპატენტო განაცხადი იმავე გამოგონებაზე, შეტანილი მესამე პირის მიერ საპრიორიტეტო პერიოდის განმავლობაში, არ იძლევა უპირატეს უფლებას, თუმცა შეტანილი იყო გვიანდელ განაცხადამდე. ამგვარადვე გამოგონების პუბლიკაცია, ან საჯარო გამოყენება, რომელიც გვიანდელი განაცხადის საგანს წარმოადგენს, საპრიორიტეტო პერიოდის განმავლობაში ვერ უარყოფს ამ გამოგონების სიახლეს, ან საგამომგონებლო ხასიათს. ამ მიზეზის გამო მნიშვნელობა არა აქვს განხორციელებულია პუბლიკაცია განმცხადებლის, თვით გამომგონებლის თუ მესამე მხარის მიერ.

18.37. საპრიორიტეტო პერიოდის ხანგრძლივობა განსხვავებულია სამრეწველო საკუთრების უფლების სხვადასხვა სახეობათა შესაბამისად. პატენტებისთვის გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე საპრიორიტეტო პერიოდი შეადგენს 12 თვეს, სამრეწველო ნიმუშებზე და სასაქონლო ნიშნებზე – ექვს თვეს. საპრიორიტეტო პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრისას პარიზის კონვენციაში საჭირო გახდა გაეთვალისწინებინათ განმცხადებლისა და მესამე მხარეთა საწინააღმდეგო ინტერესები. როგორც ჩანს, საპრიორიტეტო პერიოდები, რომლებიც დაწესებულია ამჟამად პარიზის კონვენციის მიერ, შესაბამის ბალანსს ადგენენ ამ ორ საწინააღმდეგო ინტერესებს შორის.

18.38. როგორც აღიარებს კონვენცია, პრიორიტეტის უფლება “მრავალი პრიორიტეტისა” და “ნაწილობრივი პრიორიტეტის” მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ გვიანდელ განაცხადს შეუძლია არა მხოლოდ პრეტენზიის განცხადება ადრინდელი განაცხადის პრიორიტეტზე, არამედ მას შეუძლია შეითავსოს რამდენიმე ადრინდელი განაცხადის პრიორიტეტი, რომელთაგან თითოეული მიეკუთვნება გვიანდელი განაცხადის საგნის სხვადასხვა ელემენტებს. ამასთან გვიანდელ განაცხადში ელემენტები, რომლებისთვისაც გამოითხოვება პრიორიტეტი, შეიძლება შეეთავსონ ელემენტებს, რომლებისთვისაც არ გამოითხოვება პრიორიტეტი. ყველა ამ შემთხვევაში გვიანდელი გა-

ნაცხადი, რასაკვირველია უნდა პასუხობდეს გამოგონების ერთიანობის მოთხოვნას.

18.39. ეს შესაძლებლობები შეესაბამება მოთხოვნილებებს პრაქტიკაში. ხშირად პირველი შეტანის შემდეგ შემდგომ განაცხადთა საგანი წარმოშობის ქვეყანაში – ეს გამოგონების შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა. ასეთ შემთხვევაში ძალიან პრაქტიკული იქნება ამ სხვადასხვა უფრო ადრინდელი განაცხადთა გაერთიანება ერთ უფრო გვიანდელ განაცხადში, როდესაც წლიური პრიორიტეტის ვადის გასვლამდე განაცხადი შეაქვთ მეორე წევრ ქვეყანაში. ეს გაერთიანება ასევე შესაძლებელია მაშინაც, თუ მრავალი პრიორიტეტი წარმოიშნდება სხვადასხვა წევრ-ქვეყნებში.

(c) პატენტებთან დაკავშირებული დებულებები

(i) პატენტების დამოუკიდებლობა

18.40. ნორმას, რომელიც ეხება პატენტების "დამოუკიდებლობას" შეიცავს მე-4 bis მუხლი. ეს ნორმა ნიშნავს, რომ პატენტები გამოგონებაზე, რომლებიც გაცემულია წევრ-ქვეყნებში მოქალაქეებზე, ან წევრი ქვეყნების რეზიდენტებზე, უნდა განიხილებოდნენ როგორც დამოუკიდებელი პატენტებისგან გამოგონებაზე, რომლებიც მიღებულია იმავე გამოგონებაზე სხვა ქვეყნებში, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც არ მონაწილეობენ კონვენციაში.

18.41. ეს პრინციპი გაგებული უნდა იქნეს მისი ყველაზე ფართო მნიშვნელობით. ეს ნიშნავს, რომ პატენტის გაცემა გარკვეულ გამოგონებაზე ერთ ქვეყანაში არ ავალდებულებს არც ერთ სხვა წევრ-ქვეყანას გასცეს პატენტი იმავე გამოგონებაზე. ამასთან ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არ შეიძლება უარი ეთქვას გამოგონების პატენტის გაცემაზე არ შეიძლება ცნობილი იყოს ის ბათილად, ან როგორღაც შეწყვეტილი მისი მოქმედება ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში იმის საფუძველზე, რომ რომელიღაც სხვა ქვეყანაში უარი ეთქვა იმავე გამოგონების პატენტის გაცემაზე ან ის იყო ცნობილი ბათილად, ან შეწყვეტილი იყო მისი მოქმედება. ამ მხრივ გამოგონებაზე რომელიღაც გარკვეული პატენტის ბედი ერთ ქვეყანაში არასგზით არ ახდენს გავლენას პატენტის ბედზე იმავე გამოგონებაზე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

18.42. გამოგონებაზე პატენტის დამოუკიდებლობის პრინციპის სასარგებლოდ მთავარი არგუმენტი და მიზეზია ის, რომ ეროვნული კანონები და ადმინის-

ტრაციული პრაქტიკა ქვეყნებში, როგორც წესი, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გამოგონებაზე პატენტის არ გაცემის, ან მისი ბათილად ცნობის გადაწყვეტილებას ერთ ქვეყანაში მისი კანონმდებლობის საფუძველზე ხშირად არავითარი კავშირი არა აქვს განსხვავებულ სამართლებრივ სიტუაციებთან სხვა ქვეყნებში. უსამართლობა იქნებოდა, რომ მფლობელს დაეკარგა პატენტი გამოგონებაზე სხვა ქვეყნებში იმის საფუძველზე, რომ მან დაკარგა პატენტი რომელიღაც ქვეყანაში ყოველწლიური გადასახადის გადაუხდელობის გამო, ან პატენტის ბათილად ცნობის შედეგად ამ ქვეყანაში იმ საფუძველზე, რომელიც არ არსებობს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში. უფრო მეტი, სისტემა, რომელშიც პატენტები დამოკიდებული არიან უცხოურ პატენტებზე, არ შეესაბამება ეროვნული რეჟიმის ნორმას.

18.43. გამოგონებაზე პატენტების დამოუკიდებლობის პრინციპის თავისებურებები შეტანილია მე-4 bis (5) მუხლში, ეს დებულება მოითხოვს, რომ განაცხადით გაცემულ პატენტს, რომლითაც გამოითხოვება პრიორიტეტი ერთ, ან მეტ უცხოურ განაცხადთა საფუძველზე, გააჩნდეს მოქმედების ორივე ვადა, როგორიც მას ექნებოდა ეროვნული კანონის თანახმად პრიორიტეტის გამოთხოვის გარეშე. სხვანაირად რომ ვთქვათ, იკრძალება საპრიორიტეტო პერიოდის გამოკვლევა პატენტის მოქმედების ვადიდან პირველი განაცხადის პრიორიტეტზე მითითებით. მაგალითად, დებულება ეროვნულ კანონში, რომელიც გამოგონებაზე პატენტის მოქმედების ვადის დასაწყის აწესებს (უცხოური) პრიორტეტის თარიღიდან და არა განაცხადის შეტანის თარიღიდან ქვეყანაში, იქნებოდა ამ ნორმის დარღვევა.

(ii) უფლება გამომგონებლის მოხსენიებაზე

18.44. მეორე მნიშვნელოვან საერთო ნორმას წარმოადგენს მე-4 ter მუხლი, რომელიც ეხება გამომგონებლის მოხსენიებას. ამ საკითხთან დაკავშირებით პარიზის კონვენცია ითვალისწინებს მხოლოდ საერთო ნორმას. მასში დადგენილია, რომ გამომგონებელს უნდა ჰქონდეს როგორც ასეთის მოხსენიების უფლება საკუთარი გამოგონების პატენტში.

18.45. ეროვნული კანონები ახორციელებენ ამ დებულებას რამდენიმე გზით. ზოგიერთი კანონი ანიჭებს გამომგონებელს მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის უფლების განმცხადებლის, ან მფლობელის წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოს საკუთარი სახელის შეტანა გამოგონების პატენტში. მეორენი (და მგონი, ეს

ტენდენცია სულ უფრო მატულობს) აიძულებენ გამომგონებლის სახელის მითითებას პატენტის გაცემის პროცედურის დროს ex officio საფუძველზე. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოითხოვება კიდევაც, რომ პატენტის განმცხადებელი იყოს თვითონ გამომგონებელი.

(iii) იმპორტი; გამოგონებების გამოუყენებლობა და იძულებითი ლიცენზიები

18.46. კონვენციის მე-5 A მუხლი ეხება დაპატენტებული გამოგონების გამოუყენებლობის, პატენტებით დაცული ობიექტების შემოზიდვის და იძულებითი ლიცენზიების საკითხებს.

18.47. შემოზიდვასთან დაკავშირებით დებულება ადგენს, რომ პატენტმფლობელის მიერ პატენტით დაცული ობიექტების შემოზიდვა, რომლებიც კავშირის ნებისმიერ ქვეყანაშია დამზადებული, იმ ქვეყანაში, სადაც გაცემული იყო პატენტი, არ გამოიწვევს პატენტზე უფლების დაკარგვას. ეს დებულება საკმაოდ ვიწროდ არის ფორმულირებული და ამიტომ მას იყენებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულებულია რამდენიმე პირობა. ამის გამო კავშირის ქვეყნებს გააჩნიათ მოქმედების მნიშვნელოვანი თავისუფლება ყველა დაპატენტებულ საქონელთა შემოზიდვის საკანონმდებლო რეგულირების მხრივ ნებისმიერ გარემოებათა მიხედვით, რომლებიც განსხვავდებიან ამ დებულებაში გათვალისწინებულთაგან.

18.48. ეს მუხლი მიეყენება პატენტმფლობელებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უფლება სარგებლობა ნახონ პარიზის კონვენციაში და რომლებსაც, გააჩნიათ რა პატენტი პარიზის კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, შემოაქვთ ამ ქვეყანაში საქონელი (პატენტით დაცული), დამზადებული კავშირის სხვა ქვეყანაში. ამ შემთხვევაში შემოტანილ ქვეყანაში გაცემული პატენტი არ შეიძლება დაკარგული იყოს როგორც სანქცია ასეთ შემოტანაზე.

18.49. ამ კონტექსტში ტერმინი "პატენტმფლობელი" შეიცავს აგრეთვე ნებისმიერ პირს, რომელიც ახორციელებს შემოტანას ასეთი პატენტმფლობელის სახელით.

18.50. შემოტანილი საქონლის მხრივ საკმარისია, რომ ისინი დამზადებული იყოს კავშირის ქვეყანაში. ის ფაქტი, რომ კავშირის ქვეყანაში დამზადებულ საქონელმა შემდგომ გადაინაცვლა სხვა ქვეყნებში და საბოლოოდ შეტანილ

იქნა ქვეყნიდან, რომელიც არ არის კავშირის წევრი, ხელს არ უშლის ამ მუხლის გამოყენებას.

18.51. დაბოლოს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ტერმინი "დაკარგვა" მე-5A (1) მუხლში შეიცავს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც უპირობოდ წყვეტს პატენტის მოქმედებას. ამიტომ ის მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ბათილად ცნობა, გამოთხოვა გაუქმება, ანულირება და ა.შ. საკითხი იმის შესახებ, შეუძლია კი "დაკარგვას" ამ მუხლის მიზნის ან პარიზის კონვენციის შუქზე განმარტებული იყოს როგორც ყველა სხვა ღონისძიებათა მომცველი, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ შემოტანას (ჯარიმა, უფლებათა შეჩერება და ა.შ.), ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა მიხედულებაშია დატოვებული.

18.52. პატენტებისა და იძულებითი ლიცენზიების გამოყენების მხრივ დებულებათა არსი, რომლებსაც შეიცავს მე-5A მუხლი, იმაშია, რომ ყველა ქვეყანას შეუძლია მიიღოს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითავლისწინებენ იძულებითი ლიცენზიების გაცემას. ამ იძულებითი ლიცენზიების მიზანია ბოროტმოქმედებათა აცილება, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს გამოგონებაზე პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებების განხორციელებით, მაგალითად, გამოუყენებლობა, ან არასაკმარისი გამოყენება.

18.53. იძულებითი ლიცენზიები გამოუყენებლობის, ან არასაკმარისი გამოყენების საფუძველზე წარმოადგენენ ბოროტმოქმედებათა არიდების ყველაზე უფრო გამოსაყენებელ იძულებით, პატენტმფლობელის წინააღმდეგ მიმართულ უფლებებს, რომლებსაც ანიჭებს პატენტი გამოგონებაზე ისინი სპეციალურად არის დაქთმული მე-5A მუხლში.

18.54. გარკვეულ ქვეყანაში გამოგონების იძულებითი გამოყენების მთავარი არგუმენტია ის მოსაზრება, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობისთვის პატენტები გამოგონებაზე არ უნდა გამოიყენებოდეს როგორც ქვეყანაში გამოგონების გამოყენებისთვის ხელის შეშლა, ან პატენტმფლობელის მიერ დაპატენტებული ობიექტების შემოტანის მონოპოლიზაციისთვის. ისინი უნდა გამოიყენებოდნენ უფრო ახალი ტექნოლოგიის დასანერგად ქვეყანაში. შეიძლება კი სინამდვილეში მოველოდეთ ასეთ მოქმედებებს პატენტმფლობელისაგან, რაც განპირობებულია უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური მოსაზრებებით, ხოლო შემდეგ დროის საკითხით. გამოგონების გამოყენება ყველა ქვეყანაში, როგორც წესი, არაეკონომიკურია. უფრო მეტი, საყოველთაოდ

ცნობილია, გამოგონების პირდაპირი გამოყენება ყველა ქვეყანაში შეუძლებელია ამიტომ მე-5A მუხლი ცდილობს გაათანასწოროს ეს ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები.

18.55. არ შეიძლება გამოუყენებლობის, ან არასაკმარისად გამოყენების გამო იძულებითი ლიცენზიების გაცემის მოთხოვნა გამოუყენებლობის, ან არასაკმარისად გამოყენების დროის გარკვეული პერიოდის გასვლამდე. ეს ვადა მთავრდება, ან ოთხი წლის შემდეგ საპატენტო განაცხადის შეტანის თარიღიდან, ან სამი წლის შემდეგ გამოგონებაზე პატენტის გაცემის თარიღიდან. ყველა შემთხვევაში გამოიყენება ის ვადა, რომელიც მთავრდება მოგვიანებით.

18.56. სამი ან ოთხი წლის ვადა მინიმალურია. პატენტმფლობელს უნდა მიეცეს უფრო ხანგრძლივი პერიოდი, თუ მას შეუძლია მოიყვანოს თავისი მოქმედების კანონიერი მიზეზები. სხვნაირად რომ ვთქვათ, პატენტმფლობელს შეუძლია წარადგინოს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ სამართლებრივი, ეკონომიკური, ან ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებებმა ხელი შეუშალეს გამოგონების გამოყენებას, ან უფრო ფართო გამოყენებას ქვეყანაში. თუ ეს დამტკიცდა, მაშინ იძულებითი ლიცენზიის გაცემის მოთხოვნაზე უარი უნდა ითქვას, დროებით მაინც სამი, ან ოთხი წლის ვადა მინიმალურია აგრეთვე იმ მხრივაც, რომ ეროვნული კანონმდებლობას შეუძლია გაითვალისწინოს უფრო ხანგრძლივი ვადებიც.

18.57. იძულებითი ლიცენზია გამოუყენებლობის, ან არასაკმარისად გამოყენების გამო უნდა იყოს არაგანსაკუთრებული ლიცენზია და შეიძლება გადაიცეს მხოლოდ საწარმოს ნაწილთან ერთად, რომელიც იყენებს იძულებით ლიცენზიას. პატენტმფლობელმა უნდა შეინარჩუნოს სხვა არაგანსაკუთრებული ლიცენზიების გაცემის უფლება და აგრეთვე თავისი გამოგონების გამოყენების უფლება. უფრო მეტი, იმის გამო, რომ იძულებითი ლიცენზია გაიცემა გარკვეულ საწარმოზე ცნობილი შესაძლებლობის საფუძველზე, ის შეზღუდულია ამ საწარმოთი და არ შეიძლება გადაეცეს ამ საწარმოსგან ცალკე. ეს შეზღუდვები განკუთვნილია იძულებითი ლიცენზიის მიერ უფრო ძლიერ საბაზრო პოზიციების დაკავების შემთხვევათა არიდებისთვის იმ მიზანთან შედარებით, რისვისაც იძულებითი ლიცენზია იყო გაცემული, სახელდობრ, გამოგონების საკმარისად გამოყენების უზრუნველსაყოფად ქვეყანაში.

18.58. მე-5(A) 4 მუხლში მოხსენიებული ყველა სპეციალური დებულებები იძულებითი ლიცენზიების შესახებ გამოიყენება მხოლოდ იძულებითი ლიცენზიებისთვის გამოუყენებლობაზე, ან არასაკმარისად გამოყენებაზე. ისინი არ მიეყენება იძულებითი ლიცენზიების სხვა სახეობებს, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ეროვნული კანონმდებლობით. იძულებითი ლიცენზიების სხვა ასეთი სახეობები შეიძლება გაიცეს ბოროტმოქმედებათა ასარიდებლად, რომლებიც არ მიეკუთვნება გამოუყენებლობას, ან არასაკმარის გამოყენებას. ასეთი ბოროტმოქმედება შეიძლება იყოს, მაგალითად, მეტისმეტად მაღალი ფასები, ან დაუსაბუთებელი პირობები სახელშეკრულებო ლიცენზიებისთვის, ან სხვა შემზღუდველი ღონისძიებები, რომლებიც აფერხებენ სამრეწველო განვითარებას.

18.59. იძულებითი ლიცენზიები შეიძლება გაიცეს აგრეთვე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევებში, როდესაც პატენტმფლობელი ბოროტად არ იყენებს თავის უფლებებს. ცალკეულ შემთხვევაში ეს შეიძლება მოხდეს, მაშინ, როცა პატენტი გამოგონებაზე, ეხება მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესებს. მაგალითად, სამხედრო უსაფრთხოების, ან საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის დარგს.

18.60. არის შემთხვევები, როდესაც იძულებითი ლიცენზია გაიცემა შეუფერხებელი ტექნიკური პროგრესის დაცვის მიზნით რაც გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან. ეს ის შემთხვევაა, როდესაც იძულებითი ლიცენზია გაიცემა ე.წ. დამოუკიდებელ პატენტზე. თუ დაპატენტებული გამოგონების გამოყენება არ შეიძლება გამოგონებაზე უფრო ადრინდელი პატენტის გამოყენების გარეშე, რომელიც გაცემულია სხვა პირზე, მაშინ დამოკიდებული პატენტის მფლობელს გარკვეულ გარემოებაში უფლება აქვს მოითხოვოს იძულებითი ლიცენზია ამ გამოგონების უზრუნველსაყოფად. თუ გამოგონებაზე დამოკიდებული პატენტის მფლობელი მიიღებს იძულებით ლიცენზიას, მას შეიძლება დააკისრონ თავის მხრივ მისცეს ლიცენზია გამოგონებაზე უფრო ადრინდელი პატენტის მფლობელს.

18.61. იძულებითი ლიცენზიების ყველა ამ სხვა სახეობების დაჯგუფება შეიძლება საერთო სახელწოდებით – იძულებითი ლიცენზიები სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. პარიზის კონვენცია ხელს არ უშლის ეროვნულ კანონმდებლობებს გაითვალისწინონ დებულებები ასეთი იძულებითი ლიცენზიების შესახებ, და ისინი არ წარმოადგენენ შეზღუდვათა საგანს, რომლებიც

გათვალისწინებულია მე-5A მუხლით. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იძულებითი ლიცენზიები შეიძლება გაიცეს იძულებითი ლიცენზიებისთვის გათვალისწინებული ვადის დამთავრებამდე, რომლებიც ეკუთვნის გამოუყენებლობას, ან არასაკმარის გამოყენებას.

(IV) უფლებათა შენარჩუნებისთვის საფასურის გადახდის შეღავათიანი ვადა

18.62. მე-5 bis მუხლი ითვალისწინებს საფასურის გადახდის შეღავათიან ვადას სამრეწველო საკუთრების უფლებათა შესანარჩუნებლად. მასში ლაპარაკია გამოგონებაზე პატენტების აღდგენის შესახებ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში.

18.63. უმეტეს ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების გარკვეულ უფლებათა შენარჩუნება, ძირითადად ეს არის საპატენტო უფლებები გამოგონებაზე და სასაქონლო ნიშნებზე, დამოკიდებულია საფასურის პერიოდულ გადახდაზე. პატენტების შენარჩუნებისთვის საფასურს, როგორც წესი, იხდიან ყოველ წელს, და ამ შემთხვევაში მათ უწოდებენ აგრეთვე ყოველწლიურ გადასახადს. გამოგონებაზე პატენტის დაუყოვნებელი დაკარგვა ერთი ყოველწლიური საფასურის გადაუხდელობის გამო, სათანადო დროს, მეტად მკაცრი ზომა იქნებოდა. ამიტომ პარიზის კონვენციამ გაითვალისწინა შეღავათიანი ვადა, რომლის განმავლობაში კიდევ შესაძლებელია საფასურის გადახდა დათქმული ვადის შემდეგ პატენტის შესანარჩუნებლად. ეს ვადა შეადგენს ექვს თვეს, რომლებიც დადგენილია როგორც მინიმალური პერიოდი იმისთვის, რომ ქვეყნებს უფლება ჰქონდეთ დაადგინონ უფრო ხანგრძლივი ვადაც.

18.64. ყოველწლიური საფასურის გადახდის შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადახდა. ამ შემთხვევაში როგორც დაგვიანებული, ასევე დამატებითი საფასური უდა იქნეს გადახდილი შეღავათიანი ვადის განმავლობაში. შეღავათიანი პერიოდის დროს პატენტი გამოგონებაზე ძალაში რჩება პირობით. თუ შეღავათიანი ვადის განმავლობაში საფასური არ იქნება გადახდილი, პატენტი გამოგონებაზე რეტროაქტიურად კარგავს ძალას, ე.ი. ყოველწლიური საფასურის გადახდის ბოლო დათქმული თარიღისათვის.

(V) პატენტები საერთაშორისო ტრანსპორტში

18.65. კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის საერთო ნორმას, რომელიც ზღუდავს პატენტმფლობელთა უფლებებს განსაკუთრებულ გარემოებებში, შეიცავს 5 ter მუხლი. მასში ლაპარაკია მოწყობილობათა გადატანაზე გემებით, საჰაერო ან სახმელეთო მიმოსვლის საშუალებებით წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ასეთი მოწყობილობა დაპატენტებულია.

18.66. ამ დებულების მოქმედება არსებითად შემდეგშია. თუ სხვა ქვეყნების გემები, საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის საშუალებები დროებით, ან შემთხვევით იმყოფებიან კონკრეტულ წევრ ქვეყანაში და აქვთ ამ ქვეყანაში დაპატენტებული მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელი ვალდებული არ არის წინასწარ მიიღოს ნებართვა, ან ლიცენზია პატენტმფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში დაპატენტებული მოწყობილობის დროებითი და შემთხვევითი ყოფნა ქვეყანაში არ წარმოადგენს გამოგონებაზე პატენტის დარღვევას.

18.67. გემზე, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებზე მოწყობილობა უნდა იყოს კორპუსში, მანქანაში, აღკაზმულობაში, მექანიზმებში ან გადაზიდვის სხვა საშუალებებში და უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებათა საჭიროებისთვის.

18.68. დებულება მოიცავს დაპატენტებული მოწყობილობის მხოლოდ გამოყენებას. ის სატრანსპორტო საშუალებაზე მოთავსებულ დაპატენტებული მოწყობილობისარც წარმოების ნებას რთავს და არც მოსახლეობისათვის დაპატენტებული პროცესის გამოყენებით მიღებული პროდუქტების ან დაპატენტებული პროდუქტების მიყიდვის ნებას.

(vi) საერთაშორისო გამოფენებზე ექსპონირებული გამოგონებები

18.69. არსებითი ხასიათის შემდგომ საერთო ნორმას წარმოადგენს დებულება, რომელიც ეხება საერთაშორისო გამოფენებზე ექსპონირებული საქონლის დროებით დაცვას, რომელსაც შეიცავს კონვენციის მე-11 მუხლი.

18.70. მე-11 მუხლში დადგენილი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ წევრი ქვეყნები ვალდებული არიან მათი შინაგანი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყონ ოფიციალურ, ან ოფიციალურად მიღებული საერთაშორისო გამოფენებზე ექსპონირებული პატენტუნარიანი გამოგონებების, სასარგებლო

მოდელების, სამრეწველო ნიმუშების და სასაქონლო ნიშნების დროებითი დაცვა, რომლებიც ტარდება ნებისმიერი წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე.

18.71. დროებითი დაცვის მინიჭება შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით. ერთ-ერთი მათგანია იმის მსგავსი პრიორიტეტის განსაკუთრებული უფლების მინიჭება, რაზედაც ლაპარაკია მე-4 მუხლში. პრიორიტეტის ეს უფლება იწყება გამოფენის გახსნის თარიღიდან, ან ობიექტის გამოფენაზე წარდგენის თარიღიდან. ის შენარჩუნებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, აღნიშნული თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ვადა გაუვა, თუ გამოფენის შემდეგ არ იქნება შეტანილი განაცხადი დაცვის მინიჭების შესახებ ამ პერიოდის განმავლობაში.

18.72. დროებითი დაცვის სხვა საშუალებას, რომელსაც შეიცავს რიგი ეროვნული კანონი, კერძოდ, გამოგონებაზე პატენტებთან დაკავშირებით, წარმოადგენს დანაწესი, რომ გარკვეული პერიოდის, ვთქვათ, თორმეტი თვის განმავლობაში, საპატენტო განაცხადის შეტანამდე, ან პრიორიტეტის თარიღამდე, გამოგონების ექსპონირება საერთაშორისო გამოფენაზე არ შებღალავს გამოგონების სიახლეს. ამ გადაწყვეტილების შერჩევისას ასევე მნიშვნელოვანია დაცვის მინიჭება გამომგონებლისთვის, ან გამოგონების სხვა მფლობელისთვის ასავე პერიოდის განმავლობაში მესამე პირთა არამართლზომიერ ქმედებათა წინააღმდეგ. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ პირი, რომელმაც გამოფინა გამოგონება, დაცულ იქნეს გამოგონების ნებისმიერ კოპირებისგან, ან უზურპაციისაგან მესამე მხარის მიერ განაცხადის შეტანის მიზნით. გამოგონების მფლობელი დაცული უნდა იყოს აგრეთვე გამოგონების მესამე მხარის მიერ გახსნისაგან გამოფენის შედეგად.

18.73. მე-11 მუხლი გამოიყენება მხოლოდ ოფიციალურ, ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენების მიმართ. ამ ტერმინს ინტერპრეტაციას აძლევს წევრი ქვეყანა თავისი ნება-სურვილის მიხედვით, რომელშიც გამოითხოვება დაცვა. მე-11 მუხლის სულისკვეთების შესაბამის ინტერპრეტაციას წარმოადგენს გამოფენის ცნება როგორც "ოფიციალურის" თუ მას ატარებს სახელმწიფო, ან სხვა სახელმწიფო ორგანო და როგორც "ოფიციალურად მიჩნეული", თუ ის არ არის ოფიციალური, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მიჩნეულია სახელმწიფოს, ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ ოფიციალურად. მისი "საერთაშორისოდ" მისაჩნევად საჭიროა, რომ გამოფენილი საქონელი იყოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

(d) დებულებები, რომლებიც ეხება სასაქონლო ნიშნებს

(i) სასაქონლო ნიშნების გამოყენება

18.74. სასაქონლო ნიშნების გამოყენების საკითხს კონვენცია ეხება მე-5 C (1), (2) და (3) მუხლში.

18.75. მე-5 C (1) მუხლი ეხება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების სავალდებულო გამოყენებას. ზოგიერთ ბვეყანაში, სადაც გათვალისწინებულია სასაქონლო ნიშნების ოეგისტრაცია, მოითხოვება აგრეთვე, რომ სასაქონლო ნიშანი მისი რეგისტრაციის შემდეგ გამოიყენებოდეს გარკვეული დროის განმავლობაში. თუ ეს გამოყენება არ სრულდება, მაშინ სასაქონლო ნიშანი შეიძლება ამოღებული იქნეს რეესტრიდან. ამ მიზნით "გამოყენება" როგორც წესი გაგებულია, სასაქონლო ნიშნით მარკირებული საქონლის გაყიდვის მნიშვნელობით, თუმცა ეროვნულ კანონმდებლობას შეუძლია უფრო ფართო განმარტება მისცეს სასაქონლო ნიშნის გამოყენების მოთხოვნის შესრულებას. ხსენებული მუხლი ადგენს, რომ თუ გამოყენება აუცილებელია, მაშინ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მისი გამოუყენებლობის გამო შეიძლება გაუქმებული იყოს მხოლოდ სამართლიანგი ვადის გასვლის შემდეგ და მხოლოდ იმ შემთხვევნვაში, თუ მფლობელი არ წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომლებიც ამართლებენ მისი უმოქმედობის მიზეზებს.

18.76. იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს "სამართლიანი ვადა", დატოვებულია შესაბამისი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის ან ამ საკითხებთან დაკავშირებული კომპეტენტური ორგანოების გადასაწყვეტათ. ეს სამართლიანი ვადა განკუთვნილია იმისთვის, რათა ნიშნის სათანადო გამოყენების ორგანიზაციისთვის ნიშნის მფლობელს მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ბევრ შემთხვევაში მფლობელს უხდება თავისი ნიშნის გამოყენება რამდენიმე ქვეყანაში.

18.77. გადაწყვეტილება ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელი არ წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომლებიც ამართლებენ თავისი სასაქონლო ნიშნის გამოუყენებლობას. ასეთი გამართლება მისაღები იქნებოდა, თუ ის დაფუძნებულია სამართლებრივ, ან ეკონომიურ გარემოებებზე, რომლებიც არ არის დამოკიდებული მფლობელის ნებაზე, მაგალითად, გარემოებებზე, რომლებიც გამოწ-

ვეულია მთავრობის რეგლამენტირების გამო მარკირებული საქონლის შემოტანის აკრძალვით, ან შეფერხებით.

18.78. კონვენცია მე-5 C (2) მუხლში აგრეთვე ადგენს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება მისი მესაკუთრის მიერ ფორმით, რომელიც განსხვავდება ელემენტებით, რაც არ ცვლის ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს, ფორმისგან, რომელშიც ის იყო რეგისტრირებული კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, არ იწვევს რეგისტრაციის ბათილად ცნობის და არ ზღუდავს აგრეთვე ნიშნისთვის მინიჭებულ დაცვას. ამ დებულების მიზანია არ არსებითი განსხვავების დაშვება ნიშნის ფორმის შორის, რომელშიც ის რეგისტრირებულია და რომელშიც გამოიყენება, მაგალითად ასეთი გამოყენებისთვის ზოგიერთი ელემენტის ადაპტაციის, ან გადათარგმნის შემთხვევაში. ეს ნორმა აგრეთვე გამოიყენება ნიშნის ფორმაში მსგავსი განსხვავებისათვის, რომელშიც ის გამოიყენება მისი თადაპირველი რეგისტრაციის ქვეყანაში.

18.79. საკითხი იმის შესახებ, დაეტყობა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავება რეგისტრირებულ ნიშანსა და ფაქტობრივად გამოყენებულ ნიშანს შორის ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს, წარმოადგენს საგანი, რომლის შესახებ კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს გამოაქვთ გადაწყვეტილება.

(ii) ერთი და იმავე ნიშნის ერთდროული გამოყენება სხვადასხვა საწარმოს მიერ

18.80. კონვენციის მე-5 C (3) მუხლი ეხება შემთხვევას, როდესაც ერთი და იგივე ნიშანი გამოყენებულია იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის ორი ან მეტი საწარმოს მიერ, რომლებიც განიხილებიან როგორც სასაქონლო ნიშნის თანამფლობელები. გათვალისწინებულია, რომ ასეთი ერთდროული გამოყენება ხელს არ შეუშლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას და არ შეზღუდავს დაცვას კავშირის არცერთ ქვეყანაში, თუ ასეთ გამოყენებას არ შეყავს საზოგადოება შეცდომაში ან არ ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს. ასეთ შემთხვევებს ადგილი ექნებოდა: თუ ერთდროული გამოყენება შეცდომაში შეიყვანდა საზოგადობრიობას საქონლის წარმოების, ან დამზადების მხრივ, რომლებიც გაიყიდა ერთი და იმავე სასაქონლო ნიშნით, ან თუ ასეთი საქონლის ხარისხი განსხვავდება იმ დონით, რომ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესებს ასეთი შეუსატყვისობის გაგრძელების შემთხვევაში.

18.81. მაგრამ ეს დებულება არ მოიცავს საწარმოთა მიერ ნიშნის ერთდროული გამოყენების შემთხვევებს, რომლებიც არ არიან ნიშნის თანამფლობელები, მაგალითად, როდესაც გამოყენებას ადგილი აქვს ერთდროულად მფლობელისა და ლიცენზიატის, ან მიმღების მიერ კომერციული კონცესიის ხელშეკრულებით. ეს შემთხვევები რეგულირებულია სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით.

(iii) რეგისტრაციის გაგრძელებაზე საფასურის გადახდის შეღავათიანი ვადა

18.82. მე-5 bis მუხლი მოითხოვს, რომ სამრეწველო საკუთრების უფლებათა შენარჩუნებისთვის საფასურის გადახდაზე ნებადართული იყოს შეღავათიანი ვადა. სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში ეს დებულება ეხება, პირველ რიგში, საფასურის გადახდის გაგრძელებაზე, რამეთუ ასეთ გაგრძელებას შეუძლია შეუნარჩუნოს სასაქონლო ნიშანს რეგისტრაციის მოქმედება (აქედან ასეთ რეგისტრაციაზე დამოკიდებული უფლებებიც). რეგისტრაციის გაგრძელების განუხორციელებლობა, ჩვეულებრივ, გამოიწვევს რეგისტრაციის მოქმედების შეწყვეტას და ზოგიერთ შემთხვევაში ნიშანზე უფლების დაკარგვას. კონვენციით გათვალისწინებული შეღავათიანი ვადა განკუთვნილია ნიშნის დაკარგვის რისკის შეზღუდვის გაგრძელებაზე საფასურის გადახდის უნებლიე შეფერხების გამო.

18.83. პარიზის კავშირის ქვეყნებს დაკისრებული აქვთ ვალდებულება დათანხმდნენ შეღავათიან პერიოდს, რომელიც შეადგენს ექვს თვეს მაინც, გაგრძელებაზე საფასურის გადასახდელად, მაგრამ მათ შეუძლიათ გაითვალისწინონ დამატებითი საფასურის გადახდა, თუ ასეთი საფასური გაგრძელებაზე უნდა გადახდილ იქნეს შეღავათიანი ვადის ფარგლებში. უფრო მეტი, ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ მეტი ხანგრძლივობის შეღავათიანი ვადა, ვიდრე კონვენციით დაწესებული ექვსი თვის მინიმალური ვადაა.

18.84. შეღავათიანი პერიოდის დროს რეგისტრაცია ძალაში რჩება პირობით. თუ გაგრძელებაზე საფასური (საჭირო შემთხვევებში კი დამატებითი საფასურიც) გადახდილი არ არის შეღავათიანი ვადის დროს, მაშინ რეგისტრაცია რეტროაქტიულად კარგავს ძალას ე.ი. მისი მოქმედების შეწყვეტის საწყისი თარიღიდან.

(iv) სასაქონლო ნიშნების დამოუკიდებლობა

18.85. კონვენციის მე-6 მუხლი აწესებს სასაქონლო ნიშნების დამოუკიდებლობის მეტად მნიშვნელოვან პრინციპის კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში და კერძოდ, განმცხადებელი, ან რეგისტრირებული ნიშნების დამოუკიდებლობას წარმოშობის ქვეყანაში განცხადებულ, ან რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებისაგან კავშირის სხვა ქვეყნებში.

18.86. მე-6 მუხლის პირველი ნაწილი აწესებს ეროვნული რეჟიმის ძირითადი პრინციპის გამოყენებას განაცხადის შეტანასა და ნიშნის რეგისტრაციისთვის კავშირის ქვეყნებში. ნიშნის წარმოშობის მიუხედავად, რომლისთვისაც გამოითხოვება რეგისტრაცია, განაცხადის შეტანასა და ნიშნის რეგისტრაციის პირობების განსაზღვრისას კავშირის ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ თავისი შინაგანი კანონმდებლობა. ეროვნული რეჟიმის პირნციპის გამოყენება განამტკიცებს ნიშნის დამოუკიდებლობის ნორმას, რამეთუ მისი რეგისტრაცია და უფლებათა შენარჩუნება დამოუკიდებელი იქნება მხოლოდ ინდივიდუალურ შიდა კანონზე.

18.87. ეს მუხლი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ განაცხადი ნიშნის რეგისტრაციაზე შეტანილი კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში პირის მიერ, რომელსაც გააჩნია კონვენციით სარგებლობის უფლება, არ შეიძლება იყოს უარყოფილი, ხოლო რეგისტრაცია გაუქმებული იმის საფუძველზე, რომ განაცხადის შეტანა, ნიშნის რეგისტრაცია, ან მოქმედების გაგრძელება არ იყო განხორციელებული წარმოშობის ქვეყანაში. ეს დებულება აწესებს ნორმას, რომ სასაქონლო ნიშნის მიღება და შენარჩუნება კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში არ შეიძლება დამოკიდებული იქნეს განაცხადის შეტანაზე, იმავე ნიშნის რეგისტრაციასა და მოქმედების გაგრძელებაზე ამ ნიშნის წარმოშობის ქვეყანაში. ამიტომ წარმოშობის ქვეყანაში ნიშნისაგან არ მოითხოვება არავითარი მოქმედებები როგორც მოცემულ ქვეყანაში ამ ნიშნისთვის რეგისტრაციის მიღების წინაპირობა.

18.88. დაბოლოს, მე-6 მუხლი აწესებს, რომ კავშირის ქვეყანაში სათანადოდ რეგისტრირებული ნიშანი უნდა განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი კავშირის სხვა ქვეყნებში რეგისტრირებულ ნიშნებისაგან, წარმოშობის ქვეყნის ჩათვლით. ეს ნიშნავს, რომ ერთხელ რეგისტრირებულ ნიშანს არ შეიძლება ავტომატურად შეეხოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია იმავე ნიშნების მსგავსი რეგისტრაციებისთვის სხვა ქვეყნებში. ამასთან

დაკავშირებით ის ფაქტი, რომ ერთი, ან მეტი ასეთი მსგავსი რეგისტრაცია, მაგალითად, უარყოფილი, გაუქმებული, ან შეწყვეტილია, არ შეიძლება eo ipso, ნიშნის რაგისტრაციას სხვა ქვეყნებში. ამ რეგისტრაციათა იურიდიული ძალა დამოუკიდებელი იქნება მხოლოდ ყოველი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებულ დებულებებზე.

(v) საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები

18.89. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების საკითხს კონვენცია ეხება მე-6 bis მუხლში. ეს მუხლი ავალდებულებს წევრ ქვეყანას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, ან გააუქმოს ის, აგრეთვე აკრძალოს სასაქონლო ნიშნის გამოყენება, თუ მას შეუძლია გამოიწვიოს აღრევა სხვა სასაქონლო ნიშანთან, რომელიც უკვე საყოველთაოდ ცნობილია ამ წევრ ქვეყანაში. ამ მუხლის მოქმედება მდგომარეობს დაცვის გავრცელებაში სასაქონლო ნიშანზე, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია წევრ ქვეყნაში, რომც არ იყოს რეგისტრირებული ან არ გამოიყენებოდეს მოცემულ ქვეყანაში. საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის დაცვა ხდება არა მისი რეგისტრაციის შედეგად, რომელიც აცილებს რეგისტრაციას ან კოლიზიის გამომწვევ სასაქონლო ნიშნის გამოყენებას, არამედ მისი რეპუტაციის უბრალო ფაქტის ძალით.

18.90. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვა ითვლება გამართლებულად იმის საფუძველზე, რომ სასაქონლო ნიშანმა, რომელიც წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს და რომელმაც შეიძინა რეპუტაცია წევრ ქვეყანაში, დასაბამი მისცეს მისი მფლობელის უფლების წარმოშობას. ამ მიზეზით რეგისტრაცია ან აღრევის დონემდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენება უმეტეს შემთხვევაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტის ტოლფასია და ზიანს მიაყენებდა საზოგადოების ინტერესებს, რომელიც შეცდომაში იქნებოდა შეყვანილი ამ ნიშნის გამოყენებით იმავე, ან იდენტური საქონლისთვის იმასთან შედარებით, რომლისთვისაც რეგისტრირებულია საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი.

18.91. მე-6 bis მუხლის შესაბამისად დაცული სასაქონლო ნიშანი უნდა წარმოადგენდეს “საყოველთაოდ ცნობილ” სასაქონლო ნიშანს. არის თუ არა სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი წევრ ქვეყანაში უნდა განსაზღვრონ კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა, ან სასამართლო ორგანოებმა. მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშანი შეიძლება არ გამოიყენებოდეს

ქვეყანაში იმ გაგებით, რომ ამ სასაქონლო ნიშნით მარკირებული საქონელი იქ არ გაყიდულა, სასაქონლო ნიშანი მაინც შეიძლება იყოს საყოველთაოდ ცნობილი ქვეყანაში რეკლამის მეშვეობით ამ ქვეყანაში, ან სხვა ქვეყნებში ჩატარებული სარეკლამო კომპანიის გავლენით.

18.92. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის დაცვა მე-6 bis მუხლის შესაბამისად არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა შეტანილია განაცხადი, რეგისტრირებულია, ან გამოყენებული აღრევის დონემდე მსგავსი სასაქონლო ნიშანი იდენტურ, ან მსგავს საქონელზე. საკითხს პირობათა შესრულების შესახებ განსაზღვრავს ქვეყნის ადმინისტრაციული, ან სასამართლო ორგანოები, რომელშიც გამოითხოვება დაცვა.

18.93. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის დაცვა მე-6 bis მუხლის შესაბამისად გამომდინარეობს წევრი ქვეყნის ვალდებულებისაგან წამოიწყოს ox officio, ამის საშუალებას იძლევა მისი კანონმდებლობა, ან დაინტერესებული მხარის შუამდგომლობით, მოქმედებათა შემდეგი სახეობები:

(1) წევრი ქვეყანა ვალდებულია უარი თქვას აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განაცხადზე;

(2) წევრმა ქვეყანამ უნდა გააუქმოს აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. აუცილებელია, რომ წევრმა ქვეყანამ მისცეს ვადა არა ნაკლებ ხუთი წლისა რეგისტრაციის თარიღიდან, რომლის განმავლობაში შეიძლება მოთხოვილ იქნეს ამ სასაქონლო ნიშნის გაუქმება, თუ კი ეს სასაქონლო ნიშანი არ იყო რეგისტრირებული არაკეთილსინდისიერად, რადგან ამ შემთხვევაში არავითარი ვადის დადგენა არ არის საჭირო;

(3) წევრმა ქვეყანამ უნდა აკრძალოს აღრევამდე მსგავსი ნიშნის გამოყენება. წევრ ქვეყანას თავისი ნება-სურვილით შეუძლია დაადგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა წარდგენილ იქნეს მოთხოვნა; მაგრამ მოთხოვნის წარსადგენად არავითარი ვადის დადგენა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშანი გამოიყენება არაკეთილსინდისიერად.

(vi) სახელმწიფო გერბი, კონტროლის ოფიციალური ბეჭდები და საერთაშორისო ორგანიზაციების ემბლემები

18.94. კონვენციის მე-6 ter მუხლი ეხება სახელმწიფოთა და საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების განმასხვავებელ ნიშნებს. ეს მუხლი ავალდებულებს წევრ ქვეყანას გარკვეულ გარემოებებში უარი თქვას რა-

გისტრაციაზე, ან ცნოს ის ბათილად, აგრეთვე აკრძალოს როგორც სასაქონლო ნიშნები, ან სასაქონლო ნიშნების ელემენტები წევრი ქვეყნების და გარკვეული საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების ამ მუხლში აღნიშნული განმასხვავებელი ნიშნების გამოყენება.

18.95. მე-6 ter მუხლის მიზანია არა სამრეწველო საკუთრების უფლებათა დადგენა შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნებისთვის სახელმწიფოსა, ან საერთაშორისო ორგანიზაციის სასარგებლოდ, არამედ ამ ნიშნების როგორც სამრეწველო და კომერციულ საქმიანობაში სასაქონლო ნიშნების აცილება.

18.96. მე-6 ter მუხლის დებულებები არ გამოიყენება, თუ წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები ნებას რთავენ მისი განმასხვავებელი ნიშნების როგორც სასაქონლო ნიშნების გამოყენებას. ამგვარადვე საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ნება დართონ სხვებს მისი განმასხვავებელი ნიშნები გამოიყენონ როგორც სასაქონლო ნიშნები. უფრო მეტი, წევრი ქვეყნის განმასხვავებელი ნიშნის შემთხვევაში ნებისმიერი წევრი ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ნებადართულია მათი ქვეყნის განმასხვავებელი ნიშნის გამოყენება, შეუძლიათ ისარგებლონ ამით, რომც ეს ნიშნები სხვა წევრი ქვეყნის ნიშნების მსგავსი იყოს.

18.97. მე-6 ter მუხლში მოხსენიებულ სახელმწიფოთა განმასხვავებელ ნიშნებს მიეკუთვნება: გერბი, დროშა ან სხვა ემბლემები, ოფიციალური ნიშნები და კონტროლის ბეჭედი, გარანტიები, აგრეთვე ყოველგვარი მიბაძვა ჰერალდიკის თვალსაზრისით.

18.98. სახელმწიფოთა განმასხვავებელ ნიშნებთან დაკავშირებით მე-6 ter მუხლის დებულებათა მიზანია ამოიღონ რეგისტრაციიდან და გამოყენებიდან სასაქონლო ნიშნები, რომლებიც სახელმწიფოთა გერბების, დროშების და სხვა ემბლემების იდენტურია, ან მსგავსია. ამის მიზეზი ის არის, რომ ასეთი რეგისტრაცია დაარღვევდა სახელმწიფოს უფლებას გაეკონტროლებინა მისი სუვერენიტეტის განმასხვავებელი ნიშნები, აგრეთვე შეეძლო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა ამ ნიშნით მარკირებული საქონლის წარმოშობის მიმართ.

18.99. მე-6 ter მუხლის დებულებათა რეალიზაციისათვის მის შესაბამისად ადგენენ პროცედურას, რომლის მიხედვით წევრი სახელმწიფოებისა და სამთავრობათშორისო ორგანიზაციების განმასხვავებელი ნიშნები გადაეგზავნება ისმოს საერთაშორისო ბიუროს, რომელიც თავის მხრივ დაუგზავნის ამ ცნობებს ყველა წევრ ქვეყანას.

(vii) სასაქონლო ნიშნის გადაცემა

18.100. მე-6 quarter მუხლში ლაპარაკია სასაქონლო ნიშნის გადაცემაზე. 6 quarter მუხლის ნორმა წარმოჩინდება სიტუაციაში, როდესაც სასაქონლო ნიშანი გამოიყენება საწარმოს მიერ სხვადასხვა ქვეყნებში და მას სურს სასაქონლო ნიშანზე უფლების გადაცემის განხორციელება ამ ქვეყნებიდან ერთი, ან მეტი ქვეყნისთვის.

18.101. ზოგიერთი ეროვნული კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნის გადაცემის ნებას რთავს სასაქონლო ნიშნის მფლობელის საწარმოს იმავდროული, ან შესაბამისი გადაცემის გარეშე. სხვები გადაცემის ნამდვილობას გაპირობებენ საწარმოს იმავდროული, ან შესაბამისი გადაცემით.

18.102. მე-6 quarter მუხლი აწესებს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემის ნამდვილობის ცნობისთვის წევრ ქვეყანაში საკმარისი უნდა იყოს, რომ სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმოს ნაწილი, რომელიც განლაგებულია ამ ქვეყანაში, გადაცემულ იქნეს შეძენისთვის გადაცემული ნიშნით მარკირებული პროდუქტების იქ დამზადებისა და გაყიდვის განსაკუთრებულ უფლებასთან ერთად. ამგვარად, სასაქონლო ნიშნის გადაცემის ნამდვილობის ცნობის მიზნით წევრ ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის მფლობელი საწარმოს იმავდროული გადაცემა, მაგრამ ასეთი მოთხოვნა არ უნდა ვრცელდებოდეს საწარმოს ნაწილებზე, რომლებიც განლაგებულია სხვა ქვეყნებში.

18.103. უნდა ავღნიშნოთ, რომ მე-6 quarter მუხლი აწესებს წევრი ქვეყნებისთვის საკუთარი ნების მიხედვით არ ჩათვალონ საწარმოს შესაბამის ნაწილთან ერთად სასაქონლო ნიშნის გადაცემა ნამდვილად, თუ შემბენის მიერ ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენებას ექნება ისეთი ხასიათი, რომ შეცდომაში შეიყვანს საზოგადოებას, კერძოდ პროდუქტის არსებითი თვისებების მხრივ, რომლისთვისაც გამოიყენება ნიშანი. ამ თავისუფლების განხორციელება შესაძლებელია, მაგალითად, თუ სასაქონლო ნიშანი გადაიცემა მხოლოდ საქონლის ნაწილზე, რომლისთვისაც ის გამოიყენება, ან თუ ეს საქონელი სხვა საქონლის მსგავსია, რომლისთვისაც არ გამოიყენება სასაქონლო ნიშანი. ასეთ შემთხვევებში საზოგადოება შეიძლება შეცდომაში იყოს შეყვანილი მსგავს საქონელთა წარმოშობის, ან არსებითი თვისებების მხრივ, რომლებისთვისაც გადამცემი პირი და შემძენი დამოუკიდებლად გამოიყენებენ ერთსა და იმავე სასაქონლო ნიშანს.

(viii) კავშირის ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების დაცვა კავშირის სხვა ქვეყნებში

18.104. მე-6 მუხლში განხორციელებული ნიშნების დამოუკიდებლობის პრინციპის პარალელურად, სასაქონლო ნიშნების მფლობელის სასარგებლოდ, რომლებიც რეგისტრირებულია მათი წარმოშობის ქვეყნებში, კონვენცია აწესებს სპეციალურ ნორმას. ეს განსაკუთრებული ნორმა რეგულირდება კონვენციის მე-6 quinguies მუხლით.

18.105. მე-6 quinguies მუხლის დებულებები მოქმედებენ, თუ რეგისტრაცია წარმოშობის ქვეყანაში გამოწვეულია მისი რეგისტრაციის აუცილებლობით ქვეყანაში, სადაც გამოითხოვება დაცვა. მაშინ როდესაც ეროვნული რეჟიმის პრინციპი განაცხადთა მიმართ მოითხოვს სასაქონლო ნიშნების სრული დამოუკიდებლობის ჩვეულებრივი ნორმების გამოყენებასროგორც ეს არის აღიარებული მე-6 მუხლში), განსაკუთრებულ სიტუაციაში, რომელსაც არეგულირებს მე-6 quinguies მუხლი, მიღებულია სხვა ნორმა, რომელიც ითვალისწინებს წარმოშობის ქვეყანაში რეგისტრაციის ექსტერიტორიულ მოქმედებას.

18.106. ამ სპეციალური ნორმისთვის არსებობს ორი მთავარი მიზეზი. ერთი მხრივ, როგორც სასაქონლო ნიშნების მფლობელების, ასევე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე სასაქონლო ნიშანი გამოიყენება ერთი და იმავე საქონლისთვის. მეორე მხრივ, წევრი ქვეყნების შიდა კანონმდებლობებში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა. ამის შედეგად შიდა კანონმდებლობათა სხვადასხვაობას შეეძლო ხელი შეეშალა იმავე სასაქონლო ნიშნის ერთგვაროვანი გამოყენებისთვის.

18.107. იმისთვის, რომ შეზღუდოს ამ სხვადასხვაობათა ზემოქმედება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე საქონლის მხრივ საერთაშორისო ვაჭრობაში, პარიზის კონვენციის 6 quinguies მუხლი აწესებს გარკვეულ მოქმედებებს, როდის ჰქონდა ადგილი რეგისტრაციას წარმოშობის ქვეყანაში, რაც გამოწვეული იყო რეგისტრაციისა და დაცვის გამოთხოვით სხვა წევრ ქვეყანაში. ამ დებულების მოქმედებას მივყავართ სხვადასხვა ქვეყნების კანონების გარკვეულ ერთერთგვაროვნებამდე სასაქონლო ნიშნების კონცეფციის მიმართ.

18.108. მე-6 quinguies მუხლის გამოყენებისთვის საჭიროა, რომ შესაბამისი სასაქონლო ნიშანი სათანადოდ იყოს რეგისტრირებული წარმოშობის ქვეყანაში. განაცხადის უბრალო შეტანა, ან სასაქონლო ნიშნის გამოყენება მოცემულ

ქვეყანაში საკმარისი არ არის. უფრო მეტი, წარმოშობის ქვეყანა უნდა იყოს კავშირის ქვეყანა, რომელშიც განმცხადებელს აქვს ნამდვილი და სერიოზული სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმო ან, ალტერნატიულად, რომელშიც ის ცხოვრობს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, კავშირის ქვეყანა, რომლის მოქალაქეც ის არის.

18.109. მე-6 quinguies მუხლით დაწესებული ნორმა ითვალისწინებს, რომ განაცხადი სასაქონლო ნიშანზე, რომელიც აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, მიღებულ უნდა იქნეს, ხოლო ნიშანი დაცული ისე, როგორიც არის (თუ გამოვიყენებთ ინგლისური ტექსტის გამოთქმას), ან (თუ გამოვიყენებთ ფრანგული ტექსტის ორიგინალის გამოთქმას), სხვა წევრ ქვეყნებში გარკვეული გამონაკლისებით. ნორმას ხშირად უწოდებენ "telle guelle"-ს პრინციპს.

18.110. უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ნორმა ეხება მხოლოდ სასაქოლო ნიშნის "ფორმას". ამ მხრივ ამ მუხლის ნორმა არ ეხება სასაქონლო ნიშნის ხასიათისა, ან ფუნქციის საკითხებს, როგორც ისინი ესმით ქვეყნებში, სადაც გამოითხოვება დაცვა. ამგვარად, წევრი ქვეყანა ვალდებული არ არის რეგისტრაციაში გაატაროს ან გაავრცელოს დაცვა ობიექტზე, რომელიც არ ექვემდებარება სასაქონლო ნიშნის მნიშვნელობას, რაც განისაზღვრება ამ ქვეყნის კანონით. თუ, მაგალითად, წევრი ქვეყნის კანონის შესაბამისად მოცულობითი საგანი, ან მუსიკალური ნოტები, რომლებიც აღნიშნავენ მელოდიას, არ მიიჩნევა ამ ქვეყანაში სასაქონლო ნიშნებად, მაშინ ის ვალდებული არ არის მიიღოს ეს ობიექტი სარეგისტრაციოდ და დასაცავად.

18.111. მე-6 quinguies მუხლის B ნაწილი შეიცავს გარკვეულ გამონაკლისებს ვალდებულებიდან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მიღების შესახებ "როგორც ის არს" რეგისტრაციისთვის კავშირის სხვა ქვეყნებში. გამონაკლისთა ეს ნუსხა ამომწურავია და, ამგვარად, არანაირი სხვა საფუძვლები არ შეიძლება მოტანილ იქნება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის უარისთვის, ან მისი ბათილად ცნობისთვის. თუმცა ნუსხა არ გამორიცხავს არანაირ საფუძველს დაცვაზე უარისთვს, მაგრამ მას უნდა შეიცავდეს ეროვნული კანონმდებლობა.

18.112. სასაქონლო ნიშანზე უარის, ან ბათილად ცნობის პირველ ნებადართულ საფუძველს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სასაქონლო ნიშანი არღვევს მესამე მხარის უფლებებს, რომლებიც შეძენილია ქვეყანაში, სადაც გამოითხოვება დაცვა. ეს უფლებები შეიძლება იყოს ან უფლებები უკვე

დაცულ მოცემულ ქვეყანაში სასაქონლო ნიშნებზე, ან სხვა უფლებები, ისეთი, როგორიცაა: უფლება საფირმო სახელწოდებებზე, ან საავტორო უფლება.

18.113. სასაქონლო ნიშნის უარის, ან ბათილად ცნობის მეორე ნებადართულ საფუძველს წარმოადგენს შემთხვევა, როცა სასაქონლო ნიშანს ან არა აქვ განმასხვავებელი ნიშან-თვისება, ან წმინდა აღწერილობითია, ან შედგება გვარეობითი სახელწოდებისაგან.

18.114. არსებობს მესამე დასაშვები საფუძველი უარისთვის ან ნიშნის ბათილად ცნობისთვის, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანი ეწინააღმდეგება მორალს ან საჯარო წესს, როგორც ეს ესმით ქვეყანაში, სადაც გამოითხოვება დაცვა. ეს საფუძველი შეიცავს, როგორც სპეციალურ კატეგორიას, სასაქონლო ნიშნებს, რომლებსაც თავისი ხასიათით შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

18.115. არსებობს მეოთხე დასაშვები საღუძველი უარისთვის, ან ნიშნის ბათილად ცნობისთვის, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს.

18.116. არსებობს მეხუთე და უკანასკნელი, დასაშვები საფუძველი უარისთვის, ან ნიშნის ბათილად ცნობისთვის, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანს გამოიყენებს მფლობელს იმ ფორმით, რომელიც არსებითად განსხვავდება იმისგან, რომელიც რეგისტრირებული იყო წარმოშობის ქვეყანაში. არარსებითი განსხვავებები არ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც საფუძველი უარისთვის, ან ნიშნის ბათილად ცნობისთვის.

(IX) მომსახურების ნიშნები

18.117. მომსახურების ნიშანი არის საწარმოთა მიერ გამოყენებული ნიშანი, რომლებიც უწევენ მომსახურებას, მაგალითად სასტუმროები, რესტორნები, ავიაკომპანიები, ტურისტული სააგენტოები, ავტომობილების გამქირავებელი სააგენტოები, სამრეცხაოები და ქიმწმენდა და ა.შ., რათა განასხვაონ მათი მომსახურება სხვა საწარმოთა მიერ გაწეული მომსახურებისაგან. ამგვარად, მომსახურების ნიშნებს ისეთივე ფუნქციები აქვს, რაც სასაქონლო ნიშნებს, მხოლოდ ერთი განსხვავებით, რომ ისინი გამოიყენება მომსაურებისთვის პროდუქტების (ან საქონლის) ნაცვლად.

18.118. მე-6 quinguies მუხლი შეტანილ იქნა პარიზის კონვენციაში 1958 წელს სპეციალურად მომსახურების ნიშნებისთვის, მაგრამ გადასინჯვის კონფერენ-

ციამ არ მიიღო ამბიციური წინადადება მომსახურების ნიშნების სრული გატოლების შესახებ სასაქონლო ნიშნებთან. თუმცა წევრ ქვეყანას ანალოგიურ სიტუაციებში, ან გარემოებებში შეუძლია გამოიყენოს იგივე ნორმები მომსახურების ნიშნებისთვის, რომლებსაც ის იყენებს სასაქონლო ნიშნებისთვის.

18.119. მე-6 quinguies მუხლის თანახმად წევრი ქვეყნები იცავენ მომსახურების ნიშნებს, მაგრამ ასეთ ნიშნებს არ სჭირდებათ რეგისტრაცია. ეს დებულება არ ავალდებულებს წევრ ქვეყანას მომსახურების ნიშნების გამოყოფას თავის კანონმდებლობაში. წევრ ქვეყანას შეუძლია შეასრულოს ეს დებულება არა მხოლოდ მომსახურების ნიშნების დაცვის შეტანით თავის კანონმდებლობში, არამედ ასეთი დაცვის მინიჭებით სხვა საშუალებებით, მაგალითად არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან ბრძოლის კანონებში.

(x) მფლობელის ნებართვის გარეშე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წარმომდგენლის მიერ

18.120. მე-6 septies მუხლი ეხება სასაქონლო ნიშნის მფლობელსა და მის აგენტს, ან წარმომადგენელ შორის ურთიერთობას უკანასკნელის მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის, ან გამოყენების საკითხთან დაკავშირებით.

18.121. ეს მუხლი არეგულირებს იმ შემთხვევებს, როდესაც აგენტი, ან სასაქონლო ნიშნის მფლობელი პირის წარმომადგენელი იყენებს, ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ახდენს თავის სახელზე, ან სარგებლობს სასაქონლო ნიშნით მფლობელის ნებართვის გარეშე.

18.122. ასეთ შემთხვევებში მე-6 septies მუხლი სასაქონლო ნიშნის მფლობელს ანიჭებს უფლებას ხელი შეუშალოს რეგისტრაციას, ან მოითხოვოს მისი გაუქმება ან, თუ ეროვნული კანონი ამის ნებას რთავს, გადააფორმოს რეგისტრაცია თავის სასარგებლოდ. გარდა ამისა, მე-6 septies მუხლი სასაქონლო ნიშნის მფლობელს ანიჭებს უფლებას ხელი შეუშალოს მისი აგენტის, ან წარმომადგენლის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენებას იმისდა მიუხედავად, შეტანილია თუ არა განაცხადი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, ან განხორციელებულია თუ არა მისი რეგისტრაცია.

(xi) სასაქონლო ნიშნით მარკირებული საქონლის სახეობა

18.123. კონვენციის მე-7 მუხლი ითვალისწინებს, რომ სასაქონლო ნიშნით მარკირებული საქონლის ხასიათი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა უქმნიდეს დაბრკოლებას ნიშნის რეგისტრაციას.

18.124. ამ ნორმის და აგრეთვე მე-4 quarter მუხლის, რომელიც ეხება პატენტს გამოგონებაზე შეპირისპირებული ნორმის, მიზანია სამრეწველო საკუთრების დაცვის განხორციელება იმისდა მიუხედავად შეუძლიათ თუ არ შეუძლიათ მოცემულ ქვეყანაში საქონლის გაყიდვა, რომელთა მიმართ გამოიყენება ასეთი დაცვა.

18125. ზოგჯერ ხდება, რომ სასაქონლო ნიშანი მიეკუთვნება საქონელს, რომელიც არ შეესაბამება, მაგალითად, გარკვეული ქვეყნის კანონით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს. კერძოდ, ქვეყნის კანონებს საკვები პროდუქტებისა და წამლების თაობაზე შეუძლიათ დააწესონ მოთხოვნები საკვები პროდუქტის დადგენილობაში შემავალი ნივთიერებებისა, ან ფარმაცევტული პროდუქტის მოქმედების შესახებ და მისი გაყიდვის ნებას აძლევენ მხოლოდ კომპეტენტური ორგანოების ნებართვის შემდეგ საკვები პროდუქტის ექსპერტიზისა, ან კლინიკური შემოწმების საფუძველზე ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენების ზემოქმედების მხრივ ადამიანებზე, ან ცხოველებზე.

18.126. ყველა ასეთ შემთხვევაში უსამართლო იქნებოდა უარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, რომლითაც მარკირებულია ასეთი საქონელი. უსაფრთხოების, ან ხარისხის ინსტრუქციები შეიძლება შეიცვალოს და პროდუქტის გაყიდვა ნებადართული იყოს მოგვიანებით. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი არ არის ასეთი ცვლილებები, ხოლო შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების ნებართვა ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია, ასეთ ნებართვას, თუ მას უყენებენ განაცხადის შეტანის, ან რეგისტრაციის პირობად მოცემულ ქვეყანაში, შეუძლია ზიანი მოუტანოს განმცხადებელს, რომელსაც სურს დროულად შეიტანოს განაცხადი დაცვის მინიჭებაზე სხვა წევრ ქვეყანაში.

(xii) კოლექტიური ნიშნები

18.127. კოლექტიური ნიშანი შეიძლება განისაზღვროს როგორც აღნიშვნა, რომელიც გამოიყენება იმ სხვადასხვა საწარმოთა საქონლისა და მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობის, მასალის, წარმოების საშუალების, ხა-

რისხისა და სხვა საერთო მახასიათებლების განსასხვავებლად, რომლებიც ერთდროულად იყენებენ კოლექტიურ ნიშანს მისი მფლობელის კონტროლით. მფლობელი შეიძლება იყოს ან კოლექტივი, რომლის წევრებიც არიან ეს წარმოებები, ან ნებისმიერი სხვა წარმონაქმნი, საზოგადოებრივი ორგანოს ჩათვლით.

18.128. კონვენციის მე-7 bis მუხლი ეხება კოლექტიურ ნიშნებს. ის ავალდებულებს წევრ ქვეყანას განაცხადების მიღებას და ამ ქვეყანაში დადგენილი განსაკუთრებული პირობების შესაბამისად დაიცვას კოლექტიური ნიშნები, რომლებიც ეკუთვნის "კოლკქტივებს". ეს ჩვეულებრივად იქნებიან საქონლის მწარმოებლების, მრეწველების, მებითუმეთა, გამყიდველთა და სხვა კომერსანტთა კოლექტივები, რომელსაც წარმოებენ და ამზადებენ გარკვეულ ქვეყანაში, რეგიონში, ან მხარეში, ან გააჩნიათ სხვა საერთო მახასიათებლები. სახელმწიფოთა, ან სხვა სახელმწიფოთა ორგანოების კოლექტიური ნიშნები არ არის მოცემული ამ დებულებით.

18.129. მე-7 bis მუხლის გამოყენებისთვის კოლექტიური ნიშნის მფლობელი კოლექტივის არსებობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წარმოშობის ქვეყნის კანონს. კოლექტივს არ უნდა უმტკიცო, რომ მისი არსებობა არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობას, მაგრამ უარი უნდა ეთქვას მისი კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციასა და დაცვაზე, თუ აღმოჩნდება, რომ ამ კოლექტივის არსებობა წინააღმდეგობაშია ამ კანონმდებლობასთან.

18.130. კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციას და დაცვაზე უარი შეუძლებელია იმის საფუძველზე, რომ კოლექტივი არ იმყოფება ქვეყანაში, სადაც გამოითხოვება დაცვა, ან რომ მისი წარმოშობა არ შეესაბამება ამ ქვეყნის კანონმდებლობას. ამას მე-7 bis მუხლი უმატებს კიდევ ერთ პირობას, რომ კოლექტივისთვის საჭირო არ არის იყო სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმოს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, მფლობელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, კოლექტივი, არ არის ა თვითონ სამრეწველო, ან სავაჭრო საწარმოს მფლობელი, შეუძლია იყოს ის, ვინც უბრალოდ აკონტროლებს სხვების მიერ კოლექტიური ნიშნის გამოყენებას.

(XIII) სასაქონლო ნიშნები საერთაშორისო გამოფენებზე

18.131. კონვენციის მე-11 მუხლი შეიცავს დებულებას, რომელიც ეხება საერთაშორისო გამოფენებზე ექსპონირებულ ნიშნებს და რომელიც აგრეთვე გამოიყენება სამრეწველო საკუთრების სხვა ობიექტებისთვის.

18.132. მე-11 მუხლში ჩადებული პრინციპი იუწყება, რომ წევრი ქვეყნები ვალდებული არიან მათი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად მიანიჭონ დროებითი დაცვა სასაქონლო ნიშნებს საქონლის მიმართ, რომელიც ექსპონირებულია ოფიციალურ, ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენებზე, რომლებიც ტარდება ნებისმიერი წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე.

18.133. დროებითი დაცვის მინიჭება შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებებით. ერთ-ერთი მათგანია პრიორიტეტის განსაკუთრებული უფლების მინიჭება, იმის მსგავსად, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-4 მუხლში. დაცვის სხვა საშუალება, რომელსაც შეიცავს ზოგიერთი ეროვნული კანონი, მდგომარეობს წინათსარგებლობის უფლების აღიარებაში სასაქონლო ნიშნით მარკირებული საქონლის ექსპონენტის სასარგებლოდ მესამე პირთა მიერ შეძენილი შესაძლებელი უფლებების წინააღდეგ.

18.134. იმისათვის, რომ ეროვნული კანონმდებლობა გამოყენებულ იქნეს დროებითი დაცვის მიმართ, ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ მტკიცებულებები როგორც ექსპონირებული საქონლის იდენტურობის მხრივ, ასევე მათი გამოფენაზე მოთავსების თარიღის მხრივ, დოკუმენტური დადასტურების ისეთი ფორმით, რომელსაც ისინი ჩათვლიან საჭიროდ (e) დებულებები, რომლებიც ეხება სამრეწველო ნიმუშებს, საფირმო სახელწოდებებს, ადგილწარმოშობის დასახელებებს, წარმოშობის აღნიშვნებს და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას.

(e) სამრეწველო ნიმუშებთან, საფირმო სახელწოდებებთან, ადგილწარმოშობის დასახელებებთან და წარმოშობის ადგილის აღნიშვნებთან და არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული დებულებები

(i) სამრეწველო ნიმუში

18.135. პარიზის კონვენცია სამრეწველო ნიმუშებს ეხება მე-5 quinquies მუხლში.

18.136. ეს დებულება უბრალოდ ავალდებულებს ყველა წევრ ქვეყანას სამრეწველო ნიმუშების დაცვას. არაფერია ნათქვამი იმ ხერხზე, რომლის მეშვეობით მიენიჭათ ეს დაცვა.

18.137. ამიტომ წევრ ქვეყნებს ამ ვალდებულების შესრულება შეუძლიათ სამრეწველო ნიმუშების დაცვის თაობაზე სპეციალური კანონმდებლობის მიღების გზით. მაგრამ მათ შეუძლიათ აგრეთვე აღასრულონ ეს ვალდებულება

ასეთი დაცვის მინიჭების გზით საავტორო უფლების შესახებ კანონის, ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თაობაზე კანონის შესაბამისად.

18.138. მაგრამ ვალდებულებათა შესრულებისთვის მე-5 quinquies მუხლის შესაბამისად მრავალმა ქვეყანამ გადაწყვიტა შეექმნა სამრეწველო ნიმუშების დაცვის სპეციალური სისტემა სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციის ან მათზე პატენტების გაცემის გზით.

18.139. არსებობს სპეციალური დებულება, რომელიც ეხება უფლებათა ჩამორთმევას სამრეწველო ნიმუშების შემთხვევაში. მას შეიცავს მე-5 B მუხლი, რომელიც ადგენს, რომ სამრეწველო ნიმუშების დაცვის მიმართ არანაირ გარემოებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სანქცია უფლებათა ჩამორთმევის ღონისძიებები გამოუყენებლობის, ან დაცული საგნების მსგავსი შემოტანის შემთხვევაში. ამ დებულებაში "“ფლებათა ჩამორთმევა ”შეიცავს ისეთ სრულ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიცაა გაუქმება, ბათილად ცნობა, ანულირება. მაგრამ ასეთი შემთხვევებისთვის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ სხვა სანქციები, ისეთი, როგორიცაა იძულებითი ლიცენზია გამოყენების უზრუნველსაყოფად გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების შემთხვევაში. აქ “გამოყენება” ნიშნავს პროდუქტების წარმოებას, რომლებიც წარმოადგენენ, ან შეიცავენ სამრეწველო ნიმუშს.

(ii) საფირმო სახელწოდებები

18.140. საფირმო სახელწოდებებზე ლაპარაკია კონვენციის მე-8 მუხლში. ეს მუხლი ადგენს, რომ საფირმო სახელწოდებები დაცული უნდა იყოს კავშირის ყველა ქვეყანაში, ამასთან აუცილებელი არ არის განაცხადის შეტანა და რეგისტრაცია იმისდა მიუხედავად, არიან თუ არა ისინი სასაქონლო ნიშნის ნაწილი.

18.141. დაცვის მიზნებისთვის საფირმო სახელწოდებების განსაზღვრა და აგრეთვე ასეთი დაცვის მინიჭების ხერხი დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ნება-სურვილზე. ამიტომ დაცვა შეიძლება წარმოიჩნდეს საფირმო სახელწოდების თაობაზე სპეციალური კანონმდებლობიდან ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ან პიროვნების უფლების უფრო საერთო კანონმდებლობიდან.

18.142. არავითარ შემთხვევაში დაცვა არ შეიძლება იყოს პირობითი განაცხადის შეტანის, ან საფირმო სახელწოდების რეგისტრაციის შემდეგ. მაგრამ,

თუ წევრ ქვეყანაში საფირმო სახელწოდებათა დაცვა დამოკიდებულია სახელწოდების გამოყენებაზე და აგრეთვე იმაზე, თუ რა დონით შეუძლია მეორე საფირმო სახელწოდებას გამოიწვიოს არევ-დარევა ან მიაყენოს ზიანი პირველ საფირმო სახელწოდებას, მაშინ ასეთი მოთხოვნა და კრიტერიუმი შეიძლება გამოიყენოს ამ წევრმა ქვეყანამ.

(iii) ადგილწარმოშობის დასახელება და წარმოშობის ადგილის აღნიშვნა

18.143. პარიზის კონვენციის შესაბამისად (1(2) მუხლი) ადგილწარმოშობის დასახელება და წარმოშობის აღნიშვნა სამრეწველო საკუთრების სხვადასხვა ობიექტებს შორის აის აღნიშნული.

18.144. ეს ორივე ობიექტი შეიძლება, თუმცა ტრადიციულად მივაკუთვნოთ გეოგრაფიულ აღნიშვნათა უფრო ფართო გაგებას და გარკვეული სპეციალური ხელშეკრულებების მიზნებისთვის (მაგალითად, მადრიდის შეთანხმება საქონელზე ცრუ, ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნათა წარმოშობის აღკვეთის შესახებ და ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებათა დაცვის და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ) ორივე ცნება გამიჯნული იყო.

18.145. წარმოშობის აღნიშვნა შეიცავს ნებისმიერ დასახელებას, აღნიშვნას, მითითებას, ან სხვა ნიშანს, რომელიც ეკუთვნის მოცემულ ქვეყანას, ან მასში მდებარე ადგილს, რის შედეგადაც შეიქმნება წარმოდგენა, რომ ამ აღნიშვნით მარკირებული საქონელი, წარმოშობილია ამ ქვეყანაში, ან ადგილას. წარმოშობის აღნიშვნის მაგალითებია ქვეყანათა სახელწოდება (მაგალითად, გერმანია, იაპონია და აშშ), ან ქალაქების სახელწოდება (მაგალითად, ჰონკონგტ, პარიზი და ა.შ.), როდესაც ისინი მითითებულია, რათა მიანიშნონ საქონლის დამზადების, ან წარმოშობის ადგილი.

18.146. ადგილწარმოშობის დასახელებას აქვს უფრო შეზღუდული მნიშვნელობა და შეიძლება ჩაითვალოს წარმოშობის აღნიშვნის სპეციალურ სახეობად. ადგილწარმოშობის დასახელებას წარმოადგენს ქვეყნის, რეგიონის, ან მხარის გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც გამოიყენება იქ შექმნილი პროდუქტის აღსანიშნავად, რომლის თვისებები და მახასიათებლები განსაზღვრულია მხოლოდ, ან განსაკუთრებით გარემომცველ გეოგრაფიულ პირობებით, ადამიანისა და ბუნებრივი ფაქტორის ჩათვლით.

18.147. პარიზის კონვენციის მე-10 და მე-10 bis მუხლები შეიცავენ დებულებებს წარმოშობის აღნიშვნის დაცვის თაობაზე. ეს დებულებები საერთოდ მოიცავენ საქონლის წარმოშობის, ან დამამზადებლის, მრეწველის, ან მოვაჭრის პიროვნების შესახებ ცრუ აღნიშვნების ნებისმიერ პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამოყენებას (საჭიროების შემთხვევაში ადგილწარმოშობის დასახელების ჩათვლით), ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერ აქტს მითითებების, ან მტკიცებათა გამოყენების გზით, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. საქონლის ხასიათისა, ან თვისებების მხრივ, რომლისთვისაც ისინი გამოიყენება.

18.148. კონვენცია მოითხოვს ქვეყნებისგან ცრუ მითითებებით მარკირებული საქონლის დაყადაღებას, ან მათი შემოტანის აკრძალვას, ან ნებისმიერი სხვა ღონისძიებების მიღებას, რომლებიც კი შეიძლება იყოს მათ განკარგულებაში ასეთი აღნიშვნების გამოყენების აცილებისა, ან შეწყვეტისათვის. მაგრამ შემოტანისას ყადაღის დადება გამოიყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასეთი სანქცია გათვალისწინებულია ეროვნული კანონის შესაბამისად.

18.149. კონვენცია ითვალისწინებს, რომ მოქმედებები შეიძლება წამოიწყოს არა მხოლოდ პროკურორმა, არამედ ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ. ამასთან კავშირში მე-10(2) მუხლი ადგენს, რომ ყველა დამაზადებელი, მრეწველი, ან მოვაჭრე, იმისდა მიუხედავად, არის ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი საქონლის წარმოებით, დამზადებით ან ვაჭრობით, დასახელებულია მხარეში, რეგიონში ან ქვეყანაში, რომელიც ცრუდ არის მითითებული როგორც ადგილწარმოშობა, ან ქვეყანაში, სადაც ასეთი ცრუ მითითება გამოიყენება, ნებისმიერ შემთხვევაში მიიჩნევა დაინტერესებულ მხარედ. უფრო მეტი, მე-10 ter მუხლის შესაბამისად დაწესებულია, რომ ქვეყნები კისრულობენ გაითვალისწინონ ღონისძიებები, რათა საშუალება მისცენ კავშირებსა და გაერთიანებებს, რომლებიც წარმოადგენენ დაინტერესებულ მრეწველებს, დამამზადებლებს, ან მოვაჭრეებს, იმოქმედონ კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით ზემოაღნიშნულ ქმედებათა აღკვეთის მიზნით.

(iv) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

18.150. კონვენციის მე-10 bis მუხლი ითვალისწინებს, რომ კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ პირნი, რომლებსაც კონვენციით მინიჭებული სიკეთით სარგებლობის უფლება აქვთ, ეფექტური დაცვით არაკეთილ-

სინდისიერი კონკურენციისაგან. კონვენცია არ აღნიშნავს ასეთი დაცვის მინიჭების ხერხს და ტოვებს მას კანონების მიხედულობაში, რომლებიც არსებობს ყველა წევრ ქვეყანაში.

18.151. მე-10 bis მუხლი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებს განსაზღვრავს როგორც კონკურენციის იმ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პატიოსან წეს-ჩვეულებებს სამრეწველო და სავაჭრო საქმეებში. შემდეგ მუხლში მოტანილია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგიერთი ტიპობრივი მაგალითი, რომლებიც განსაკუთრებით უნდა აიკრძალოს.

18.152. პირველი მაგალითი მიეკუთვნება ისეთი ხასიათის ყველა მოქმედებას, რომლებიც იწვევენ აღრევას ნებისმიერი ხერხით კონკურენტის საწარმოს პროდუქტების ან სამრეწველო, ან სავაჭრო საქმიანობის მიმართ. ეს მოქმედებები მოიცავენ არა მხოლოდ მსგავსი, ან იმავე ნიშნების ან დასახელებების გამოყენებას, რომლებიც შეიძლება შეფასებული ყოფილიყო როგორც მესაკუთრის უფლებათა დარღვევა, არამედ სხვა საშუალებებათა გამოყენებას, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აღრევა. ეს შეიძლება იყოს საფუთავის ფორმა, პროდუქტების სტილი და გაფორმება, გასაღების შესაბამისი ბაზრების, ან გავრცელების პუნქტების გამოყენება, რეკლამის სახეობა და ა.შ.

18.153. მეორე მაგალითი ეხება ცრუ მტკიცებებს ისეთი ხასიათის კომერციული საქმიანობის განხორციელებისას, რომლებსაც შეუძლიათ სახელი გაუტეხონ კონკურენტის საწარმოს, პროდუქტებს ან სამრეწველო ან სავაჭრო საქმიანობას. ყველა ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ან პრეცედენტული სამართლის მიხედულობაშია დატოვებული გადაწყვეტილების მიღება, როდის და როგორ გარემოებაში შეიძლება განიხილებოდეს სახელის გამტეხი მტკიცებები, რომლებიც ზუსტად რომ თქვათ, არ არის ცრუ, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

18.154. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების მესამე მაგალითი ეხება აღნიშვნებსა და მტკიცებებს, რომლებსაც შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება საქონლის ხასიათის, დამზადების ხერხის, თვისებების, ვარგისიანობის, ან ხარისხის მიმართ. ეს დებულება შეიძლება განსხვავდებოდეს წინა შემთხვევებისაგან იმ გაგებით, რომ ის ეხება საზოგადოებრიობის ინტერესებსა და კეთილდღეობას და წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ დებულებათაგანს, რომელიც უფრო მეტად არის დაკავშირებული სამრეწველო საკუთრების როლთან მომხმარებლის დაცვაში.

C. ადმინისტრაციული და საფინანსო დებულებები

(a) პარიზის კავშირის ორგანოები

18.155. პაიზის კონვენციის წევრი სახელმწიფოები ქმნიან სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირს. კავშირის შექმნაში პარიზის კონვენცია მიდის უბრალო ხელშეკრულებაზე შორს, რომელიც ადგენს უფლებებსა და მოვალეობებს. ის აგრეთვე ადგენს იურიდიულ პმრს საერთაშორისო სამართალში საჭირო ორგანოებით გარკვეული ამოცანების შესასრულებლად. კავშირი წარმოადგენს ერთიან ადმინისტრაციულ წარმონაქმნს და ადმინისტრაციულ კავშირს პარიზის კონვენციის სხვადასხვა აქტებს შორის.

18.156. კავშირის ამ კონცეფციის შესაბამისად ქვეყანა, რომელიც ხდება კავშირის წევრი პარიზის კონვენციის ყველაზე უკანასკნელ (სტოკჰოლმის) აქტთან მიერთების გზით, შეკრულია ყველა წევრ ქვეყანასთან და იმ ქვეყნებთანაც, რომლებიც არ არიან სტოკჰოლმის აქტის მხარეები. კონვენციის 27(3) მუხლი იუწყება, რომ ასეთმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს სტოკჰოლმის აქტი კავშირის იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც არ არიან ამ აქტის მხარეები და უნდა ცნოს, რომ წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან შეკრულები სტოკჰოლმის აქტის არსებითი დებულებებით, შეუძლიათ ისარგებლონ მასთან ურთიერთობაში უფრო ადრინდელი აქტით, რომელიც არის უკანასკნელი წარსული აქტებიდან, რომლის მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ.

18.157. კავშირს აქვს სამი ადმინისტრაციული ორგანო: ასამბლეა, აღმასრულებელი კომიტეტი და ისმოს საერთაშორისო ბიურო, რომელსაც სათავეში უდგას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური დირექტორი.

18.158. ასამბლეის შესახებ ლაპარაკია მე-13 მუხლში. ის შედგება ყველა წევრი ქვეყნისაგან, რომლებიც შეკრულები არიან სტოკჰოლმის აქტის ადმინისტრაციული დებულებებით. ასამბლეა-კავშირის მთავარი ხელმძღვანელი ორგანოა, რომელსაც მინიჭებული აქვს ყველა პოლიტიკური და საკონტროლო უფლებამოსილება. მას ეხება კავშირის დაცვისა და განვითარების და პარიზის კონვენციის რეალიზაციის ყველა საკითხი. კერძოდ, ის იძლევა დირექტივებს კონვენციის გადასინჯვას კონფერენციათა მოსამზადებლად. ის განიხილავს და იწონებს მოხსენებებს და ისმოს გენარალური დირექტორის საქმიანობას კავშირთან მიმართებაში და ინსტრუქციას აძლევს მას კავშირის კომპეტენ-

ციაში შემავალი საკითხების თაობაზე. ის განსაზღვრავს პროგრამას, იღებს კავშირის ორწლიან ბიუჯეტს და იწონებს მის საფინანსო ანგარიშებს. მორიგ სესიაზე ორ წელიწადში ერთხელ ისმოს გენერალურ ასამბლეასთან ერთად.

18.159. ასამბლეას აქვს აღმასრულებელი კომიტეტი, რაზედაც ლაპარაკია მე-14 მუხლში. ის შედგება ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედისაგან, რომელსაც ასამბლეა ირჩევს ორ მორიგ სესიებს შორის პერიოდში სამართლიანი გეოგრაფიული განაწილებით. აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება მორიგი სესიისათვის წელიწადში ერთხელ ისმოს საკოორდინაციო კომიტეტთან ერთად.

18.160. აღმასრულებელი კომიტეტი არის კავშირის მცირე ხელმძღვანელი ორგანო. მას ეკუთვნის ყველა ფუნქცია, რომელთა შესრულება უხდება ასამბლეის მორიგ სესიებს შორის პერიოდის განმავლობაში და რომელთათვის ასამბლეა მეტად დიდი ორგანოა. ის ამზადებს ასამბლეის სხდომებს და იღებს ყველა საჭირო ზომებს პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად.

18.161. დებულებებს, რომლებიც ეხება საერთაშორისო ბიუროს, შეიცავს მე-15 მუხლი. ისმოს საერთაშორისო ბიურო წარმოადგენს კავშირის ადმინისტრაციულ ორგანოს. ის წყვეტს კავშირის ყველა ადმინისტრაციულ ამოცანას, ახორციელებს კავშირის ხელმძღვანელი – ისმოს გენერალური დირექტორი – კავშირის მთავარი თანამდებობის პირია.

(b) ფინანსები

18.162. დებულებებს ფინანსების შესახებ შეიცავს მე-16 მუხლი. კავშირს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის შევსება ხდება უმთავრესად წევრი ქვეყნების სავალდებულო შენატანის ხარჯზე. შეტანილი გამოიანგარიშება, ერთეულების კლასიდან და სისტემიდან გამომდინარე, შეტანის შენაჯამებამდე რომელიც საჭიროა გარკვეული საბიუჯეტო წლისთვის. I უმაღლესი კლასი შეესაბამება 25 ერთეულს, VII უმდაბლესი კლასი – ერთ ერთეულს. ყოველი წევრი ქვეყანა თვითონ საზღვრავს კლასს, რომელსაც სურს ეკუთნოდეს, მაგრამ მას აგრეთვე შეუძლია შეიცვალოს კლასი.

18.163. მე-18 მუხლი შეიცავს პარიზის კონვენციის პერიოდული გადასინჯვის პრინციპს. კონვენცია წარდგენილი უნდა იყოს გადასასინჯად მასში ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლებიც მოწოდებულია გააუმჯობესოს სისტემა. ეს გადასინჯვები შეიძლება მოხდეს გადასინჯვის დიპლომატიურ კონფერენ-

ციებზე, სადაც მონაწილეობენ დელეგაციები, რომლებსაც ნიშნავენ წევრი ქვეყნების მთავრობები. მე-18(2) მუხლის თანახმად ასეთი კონფერენციები ტარდება რიგრიგობით ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში.

18.164. პარიზის კონვენციის გადასინჯვის ასეთი კონფერენციების მომზადებას ახორციელებს ისმოს საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებების შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით. ამ პროცესში ისმოს საერთაშორისო ბიუროს შეუძლია აგრეთვე კონსულტაციების მიღება სხვა სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან.

(d) სპეციალური შეთანხმებები

18.165. პარიზის კონვენციის ადმინისტრაციულ მუხლებს შორის მეტად მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს მე-19 მუხლი, რომელიც ეხება სპეციალურ დებულებებს.

18.166. ამ დებულების თანახმად წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ ცალკე ურთიერთშორის დადონ სპეციალური შეთანხმება სამრეწველო საკუთრების დაცვის თაობაზე. მაგრამ ეს შეთანხმებები უნდა აკმაყოფილებდნენ პირობას, რომ არ ეწინააღმდეგებიან პარიზის კონვენციის დებულებებს.

18.167. ასეთ სპეციალურ შეთანხმებებს შეუძლიათ მიიღონ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების ფორმა. სპეციალური შეთანხმებები მრავალმხრივი ხელშეკრულებების ფორმით შეიძლება იყოს შეთანხმებები, რომლებიც მომზადებულია და იმყოფება ისმოს საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციულ მართველობაში, ან შეთანხმებები, რომლებიც მომზადებულია და იმყოფება სამთარობათაშორისო ორგანიზაციების ადმინისტრაციულ მმართველობაში.

(e) მონაწილეობა კონვენციაში

18.168. პარიზის კონვენციასთან მიერთება ხორციელდება ისმოს გენერალური დირექტორისთვის მიერთების აქტის შესანახად ჩაბარების გზით, როგორც ეს არის გათვალისწინებული 21-ე მუხლით. კონვენცია შედის ძალაში მიერთებული ქვეყნის მიმიართ იმ თარიღიდან სამი თვის შემდეგ, როდესაც ისმოს გენერალური დირექტორი აუწყებს ყველა წევრი ქვეყნის მთავრობებს მისი

მიერთების შესახებ. ამიტომ მიერთებას სჭირდება მხოლოდ დაინტერესებული მხარის ცალმხრივი მოქმედება და არ მოითხოვს კავშირის კომპეტენტური ორგანოების არავითარ გადაწყვეტილებას.

18.169. კონვენციასთან მიერთება ავტომატურად მოითხოვს კონვენციის ყველა მუხლისა, აგრეთვე, ყველა მისი უპირატესობათა მიღებას, როგორც ეს არის აღნიშნული 22-ე მუხლში.

18.170. დებულებებს, რომლებიც ეხება დენონსაციას, შეიცავს კონვენციის 26-ე მუხლი. ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია კონვენციის დენონსირება გენერალური დირექტორისთვის მიმართული შეტყობინების გზით. ამ შემთხვევაში დენონსაცია ძალაში შედის ერთი წლის შემდეგ გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.

18.171. მაგრამ გათვალისწინებულია, რომ დენონსაციის უფლების გამოყენება არ შეუძლია არც ერთ ქვეყანას ხუთი წლის გასვლამდე იმ თარიღიდან, როდემაც ის გახდა კავშირის წევრი.

(f) დავები

18.172. საკითხი დავის თაობაზე გაშუქებულია კონვენციის 28-ე მუხლში. ნებისმიერი დავა კავშირის ორ თუ რამდენიმე ქვეყანს შორის, რომელიც ეხება კონვენციის განმარტებას, ან გამოყენებას და ვერ გადაწყდა მოლაპარაკებათა გზით, შეიძლება გადასცეს ნებისმიერმა აღნიშნულმა ქვეყანამ საერთაშორისო სასამართლოში. მაგრამ აღნიშნულ ქვეყნებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მათი დავის დარეგულირების ნებისმიერ სხვა საშუალებაზე, მაგალითად, საერთაშორისო არბიტრაციის გზით. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ისმოს საერთაშორისო ბიუროს არ შეუძლია დაიკავოს არავითარი პოზიცია დავაში პარიზის კონვენციის ინტერპრეტაციისა და გამოყენების მხრივ წევრ ქვეყნებს შორის.

18.173. ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც სურს კონვენციასთან მიერთება, შეუძლია განაცხადოს მიერთების მომენტში, რომ ის არ თვლის თავს შეზღუდულად წინა დებულებებით დავათა გადაწყვეტის თაობაზე საერთაშორისო სასამართლოში.

18.174. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის სამრეწველო დაცვის პარიზის კონვენციის მონაწილე იყო შემდეგი 139 სახელმწიფო: ასტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ალჟირი, ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, ახალი ზელანდია, ბაგამის კუნძულები, ბანგლადეში, ბარბადოსი, ბელორუსია, ბელგია, ბენინი, ბულგარეთი, ბოლივია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბრაზილია, ბურკინა-ფასო, ბურუნდი, გაბონი, ჰაიტი, გაიანა, გამბია, განა, გაერთიანებული არაბეთის ემირატები, ვატიკანი, ვენესუელა, ვიეტნამი, გვინეა, გვინეა-ბისაუ, გერმანია, გონდურასი, დანია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, დომინიკის რესპუბლიკა, ეგვიპტე, ესტონეთი, ზაირი, ზამბია, ზიმბაბვე, თუოქეთი, თურქმენეთი, იაპონია, ისრაელი, ინდონეზია, იორდანია, ერაყი, ირანი (ისლამის რესპუბლიკა) ირლანდია, ისლანდია, იტალია, იუგოსლავია, კამერუნი, კანადა, კენია, კვიპროსი, კოლუმბია, კონგი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეტს რესპუბლიკა, კოსტარიკა, კოტ-დ'ივუარი, კუბა, ლატვია, ლესოტო, ლიბერია, ლივანი, ლივია, ლიტვა, ლიხტენშტეინმ, ლუქსემბურგი, მავრიკია, მავრიტანია, მადაგასკარი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, მაკედონია, მალავი, მალაიაზია, მალი, მალტა, მაროკო, მექსიკა, მოლდავეთის რესპუბლიკა, მონაკო, მონღოლეთი, ნიგერი, ნიგერია, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ნორვეგია, პარაგვაი, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, რუანდა, რუმინეთი, საბერძნეთი, სალვადორი, სამხრეთ აფრიკა, სან-მარინო, სვაზილენდი, სენეგალი, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, სენტ-ლუსია, სენტ-კიტსი და ნევისი, სინგაპური, სირია, სლოვაკია, სლოვენია, სუდანი, სურინამი, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, ტაჯიკეთი, ტოგო, ტრინილადი და ტობაგო, ტუნისი, უგანდა, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ურუგვაი, ფილიპინები, ფინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, შვეცია, შრი-ლანკა, ჩადი, ჩინეთი, ჩეხეთის რესპუდლიკა, ჩილი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ხორვატია.

თავი 21

მადრიდის შეთანხმება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ და მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი

A. შესავალი

21.1. მადრიდის შეთანხმება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (შემდეგ "მადრიდის შეთანხმება") წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც მიიღეს 1891 წლის აპრილში. ამის შემდეგ მადრიდის შეთანხმება რამდენჯერმე გადაიინჯა. უკანასკნელად ის გადაისინჯა სტოკჰოლმში 1967 წელს. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი მიღებულ იქნა მადრიდში 1989 წლის 27 ივნისს. 91 პროტოკოლი, რომელიც ცვლის მადრიდის შეთანხმების ზოგიერთ დებულებას ახალი ქვეყნების მიერთების პროცედურის გამარტივების მიზნით, ძალაში შევიდა 1995 წლის პირველ დეკემბერს და მოქმედება დაიწყო 996 წლის პირველი აპრილიდან. პროტოკოლს მიეძღვნა ამ თავის უკანასკნელი ნაწილი.

B. საერთაშორისო რეგისტრაციის პრინციპი

21.2. მეწარმემ ან კომერსანტმა, თუ მას სურს მიიღოს თავისი სასაქონლო ნიშნის დაცვა რამდენიმე ქვეყანაში, ჩვეულებრივ უნდა შეასრულოს ყოველი ცალკეული ქვეყნის ეროვნულ უწყებათა ფორმალური მოთხოვნები სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისათვის (სხვადასხვა პროცედურები, განაცხადის შექანის აუცილებლობა სხვადასხვა ენაზე, დაცვის სხვადასხვა ვადა, რაც იწვევს რეგისტრაციის გაგრძელების სხვადასხვა ვადას, და ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი რწმუნებულების დანიშვნის აუცილებლობა). გარდა ამისა ეროვნული განაცხადის ყოველ ქვეყანაში შეტანის აუცილებლობას მივყავართ მეტად მნიშვნელოვან ხარჯებთან (ეროვნული გადასახადები, სხვადასხვა რწმუნებულებისა და მთარგმნელების ჰონორარები, რომელთა გადახდა საჭიროა ყოველ ქვეყანაში). მადრიდის შეთანხმების მიზანი ამ გართულებათა თავიდან აცდენაშია. საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადის შესატანად, რომელიც თავის მოქმედებას ავრცელებს მადრიდის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებზე, განმცხადებელს სჭირდება ისმოს საერთაშორისო ფორმალურ მოთხოვნათა მხოლოდ ერთი

ნუსხის დაცვა. განაცხადი შეაქვთ ერთ ენაზე, ფრანგულ ენაზე, ხოლო გადასახადს იხდიან მხოლოდ ერთხელ საერთაშორისო ბიუროში, დაცვის მოქმედების ვადა 20 წელია ყველა ქვეყნისათვის, რომელზედაც დაცვა ავრცელებს თავის მოქმედებას.

21.3. მადრიდის შეთანხმების 192) მუხლის თანახმად, შეთანხმების მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოითხოვონ საერთაშორისო რეგისტრაცია. გარდა ამისა, მადრიდის შეთანხმების მე-2 მუხლი, რომელიც იმოწმებს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-3 მუხლს, ათანაბრებს სხვა ქვეყნების მოქალაქეებს (იმ ქვეყნების, რომლებიც მიუერთდნენ პარიზის კონვენციას), რომლებსაც გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი ან ნამდვილი არაფიქტიური სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო მადრიდის შეთანხმების მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე, მადრიდის შეთანხმების მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებთან.

C. რეგისტრაციის პროცედურა

(a) ეროვნული რეგისტრაცია წარმოგობის ქვეყანაში

21.4. საერთაშორისო რეგისტრაციამდე სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულ უნდა იქნეს ეროვნულ დონეზე წარმოშობის ქვეყნის სამრეწველო საკუთრების უწყებაში. მაგრამ განმცხადებელს არ ეძლევა ამორჩევის უფლება წარმოშობისქვეყნის მიმართ, რამეთუ მადრიდის შეთანხმების 1(3) მუხდი განსაზღვრავს მას შემდეგნაირად:

(1) მადრიდის კავშირის ქვეყანა, სადაც განმცხადებელს აქვს ნამდვილი და არაფაქტიური სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო;

(2) აქვს ასპეთი საწარმო კავშირის ქვეყანაში – კავშირის ქვეყანაა ის, სადაც მას გააჩნია საცხოვრებელი ადგილი;

(3) თუ განმცხადებელს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი კავშირის ფარგლებში – მისი მოქალაქეობის ქვეყანაა, თუ ის კავშირის ქვეყნის მოქალაქეა.

(b) განაცხადის შეტანა საერთაშორისო რეგისტრაციაზე

21.5. განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციაზე უნადა გაიგზავნოს წარმოშობის ქვეყნის უწყებაში და არა უშუალოდ ისმოს საერთაშორისო ბიუროში. ისმოს საერთაშორისო ბიუროში გაგზავნის წინ ეროვნული უწყება

ამოწმებს და ადასტურებს, რომ ნიშანი იმ სახით, რა სახითაც ის მოცემულია განაცხადში სარეთაშორისო რეგისტრაციაზე, შეტანილია სასაქონლო ნიშნების ეროვნულ რეესტრში განმცხადებლის სახელით და რომ საქონელი და/ან მომსახურება, რომლებიც ჩამოთვლილია საერთაშორისო განაცხადში, დაიფარება ეროვნული რეგისტრაციით.

(c) საფასურები, რომლებიც თან ერთვის განაცხადს

21.6. განაცხადს, რომელიც თან ერთვის აუცილებელი საფასურის გადახდა, სახელდობრ:

(1) ძირითადი გადასახადის;

(2) დამატებითი გადასახადის ყოველ ქვეყანაზე, რომელშიც გამოითხოვება დაცვა;

(3) დამატებითი გადასახადის სამზე უმეტეს ყოველ კლასზე იმ შემთხვევებში, როდესაც საქონლისა და მომსახურების ნუსხა შეიცავს საერთაშორისო კლასიფიკაციის სამზე მეტ კლასს, რომელიც დაფუძნებულია ნიცის შეთანხმების შესაბამისად.

21.7. ძირითადი ხარჯების დასაფარავად, მაშინ როცა ორი სხვა გადასახადიდან შექმნილი ჯამი ყოველწლიურად ნაწილდება მადრიდის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის. ყოველი ქვეყნის წილი რეგისტრაციათა რაოდენობის პროპორციულია, რომელთა მიმართ დაცვის გავრცელება მის ტერიტორიაზე გამოითხოვებოდა წარსული წლის განმავლობაში, ხოლო იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ წინასწარ ებსპერტიზას, ამ წილს ამრავლებენ კოეფიციენტებზე, რომელიც ვარირებს 2-დან ოთხამდე არსებული ექსპერტიზის მოცულობის მიხედვით (მადრიდის შეთანხმების მე-8 (5) და მე-6 მუხლები).

(d) პრიორიტეტის უფლება

21.8. საერთაშორისო რესგიტრაციის მფლობელი სარგებლობს პრიორიტეტის უფლებით, რომელიც დადგენილია პარიზის კონვენციის მე-4 მუხლით. ფორმალურ მოთხოვნათა შესრულების გარეშე, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული განაცხადის შეტანის შემთხვევაში (მე-4(2) მუხლი). ეს ნიშნავს, რომ თუ საერთაშორისო რეგისტრაცია ხორციელდება არა უგვიანეს ექვსი თვისა პარიზის კონვენციის ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის პირველი

სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადის შეტანის თარიღიდან , საერთაშორისო რეგისტრაციას. პრიორიტეტი აქვს არა აღნიშნული რეგისტრაციის თარიღიდან, არამედ პირველი ეროვნული განაცხადის შეტანის თარიღიდან.

(e) საერთაშორისო ბიუროს ექსპერტიზა; რეგისტრაცია, შეტყობინება და გამოქვეყნება

21.9. საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადის მიღებისთანავე საერთა-შორისო ბიურო ამოწმებს შეესაბამება თუ არა ის შეთანხმებისა და ინსტრუქციის დებულებებს.

21.10. როდესაც საერთაშორისო ბიუროს აქვს თავის განკარგვაში სწორად გაფორმებული და მთლიანად დაკომპლექტებული განაცხადი რეგისტრაციაზე (ე.ი. განაცხადი, რომელიც აკმაყოფილებს მადრიდის შეთანხმებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს), ის იწყებს ნიშნის რეგისტრაციას, ამის შესახებ აცნობებს დაინტერესებული ქვეყნებს და აქვეყნებს რეგისტრაციას ისმოს საერთაშორისო ნიშნების პერიოდულ ბიულეტენში – "WIPO Gazette of Internationae Markd/Gazette OMP des Masques internationales", რომელიც 1996 წლის ივნისის თვიდან გამოდის ბიულეტენის მაგივრად სახელწოდებით "Les Marques internationales".

(i) არასწორი გაფორმება

21.11. თუ საერთაშორისო ბიუროს არა აქვს თავის განკარგვაში სწორად გაფორმებული და მთლიანად დაკომპლექტებული განაცხადი რეგისტრაციაზე, ის გადადებს რეგისტრაციას და ამის შესახებ აცნობებს წარმოშობის ქვეყნების უწყებას.

21.12. თუ განაცხადი შეტყობინების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში არ იქნება სწორად გაფორმებული, საერთაშორისო ბიურო აძლევს სამთვიან დამატებით ვადას განაცხადის სწორად გაფორმებისათვის; წარმოშობის ქვეყნების უწყების გარდა ის აცნობებს ამის შესახებ განმცხადებელს ან მის რწმუნებულს. ამ შემთხვევაშიც პასუხი უნდა გაეგზავნოს საერთაშორისო ბიუროს წარმოშობის ქვეყნის უწყების მიერ.

21.13. თუ განაცხადი არ იქნა სწორად გაფორმებული მეორე ვადის სამი თვის განმავლობაში, მაშინ წარმოება მის მიმართ ითვლება დამთავრებულად და ყველა ადრე გადახდილი საფასური უკან ბრუნდება (მე-11 (3) წესი).

(ii) საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაცია

21.14. თუ განაცხადში საქონელი და მომსახურება არ არის კლასიფიცირებული ან არ არის დაჯგუფებული კლასების მიხედვით, ან თუ საერთაშორისო ბიურო თვლის, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია არ არის სწორი, მაშინ ის წარუდგენს თავის წინადადებებს კლასიფიკაციის შესახებ წარმოშობის ქვეყნის უწყებას (მე-12 (1) წესი). თუ საერთაშორისო ბიუროს წინადადებათა შედეგად საჭიროა დამატებითი საფასურის გადახდა, საერთაშორისო ბიურო აცნობებს ამის შესახებ განმცხადებელს ან მის რწმუნებულს ან წარმოშობის ქვეყნის უწყებას, თუ აუცილებელი გადასახადი გადახდილი იყო ამ უწყების მეშვეობით (მე-12(1) წესი).

21.15. საერთაშორისო ბიურო განაცხადის სწორად გაფორმებისათვის დამატებით ვადას აძლევს სამი თვის ხანგრძლივობით კლასიფიკაციის შესახებ მისი წინადადების თარიღიდან. (მე-12(3) წესი). თუ ამ ვადის დამთავრებისას საერთაშორისო ბიურო არ მიიღებს შეტყობინებას, რომ არ ეთანხმებიან მის წინადადებებს, ის აწარმოებს ნიშნის რეგისტრაციას მის მიერ შეთავაზებული კლასიფიკაციით (მე-12(4) წესით), ის პირობით, რომ აუცილებელი გადასახადი გადახდილია და განაცხადი სხვა მხრივ აკმაყოფილებს შეთანხმებისა და ინსტრუქციის დებულებებს.

21.16. თუ შეტყობინებას იმის შესახებ, რომ თანახმა არ არის მიღებულია სამი თვის განმავლობაში, საერთაშორისო ბიუროს შეუძლია ან შესთავაზონ ახალი წინადადებები, თუ ვადა იძლევა ამის საშუალებას, ან გაატაროს ნიშანი რეგისტრაციაში იმ კლასიფიკაციით, რომელსაც ის თვლის მართებულად (მე-12(5) წესი), იმ პირობით, რომ აუცლებელი გადასახადი გადახდილია და განაცხადი აკმაყოფილებს სხვა მხრივ შეთანხმებისა და ინსტრუქციის დებულებებს.

21.17. თუ დამატებითი გადასახადი უნდა იქნას გადახდილი და არ არის გადახდილი სამი თვის მანძილზე მაშინ წარმოება განაცხადის მხრივ ითვლება შეწყვეტილად და ყველა ადრე გადახდილი გადასახადი უკან ბრუნდება მე-12(6) წესი). თუ გადასახადი კლასიფიკაციაზე უნდა იყოს

გადახდილი, მაგრამ არ არის გადახდილი სამი თვის განმავლობაში, საერთაშორისო ბიურო აძლევს მეორე ვადას სამი თვის ხანგრძლივობით; თუ განაცხადი არ არის მოწესრიგებული ამ მეორე ვადის დამთავრებამდე, წარმოება განაცხადის მიმართ ითვლება შეწყვეტილად და ყველა ადრე გადახდილი გადასახადი უკან ბრუნდება (მე-12(7) წესი).

(iii) საქონელისა და მომსახურების ნუსხა, რომელიც შეიცავს მეტის-მეტად გაურკვეველ, გაუგებარ ან ლინგვისტური თვალსაზრისით არასწორ ტერმინებს

21.18. თუ საერთაშორისო ბიურო თვლის, რომ საქონელთა და მომსახურებათა აღსანიშნავად განაცხადში საერთაშორისო რეგისტრაციაზე გამოყენებულია მეტისმეტად გაურკვეველი, გაუგებარი ან ლინგვისტური თვალსაზრისით არასწორი ტერმინები, ის აცნობებს ამის შესახებ წარმოშობის ქვეყნის უწყებას და საჭიროების შემთხვევაში, უგზავნის მას თავის წინადადებებს შეტანის შესახებ, ამასთან სთავაზობს საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადის წესრიგში მოყვანას სამი თვის განმავლობაში შეტყობინების თარიღიდან. თუ განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციაზე არ იქნება მოწესრიგებული სამი თვის განმავლობაში, საერთაშორისო ბიურო აძლევს ისათივე ხანგრძლივობის ვადას აღნიშნული განაცხადის წესრიგში მოსაყვანად; ის აცნობებს ამის შესახებ განმცხადებელს და წარმოშობის ქვეყნის უწყებას. თუ განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ არ იქნება მოყვანილი წესრიგში სამთვიანი ვადის დამთავრებისათვის, საერთაშორისო ბიურო ახორციელებს ნიშნის რეგისტრაციას მეტისმეტად გაურკვეველი, გაუგებარი და ლინგვისტური თვალსაზრისით არასწორი ტერმინით, იმ პირობით, რომ წარმოშობის ქვეყნის უწყებამ მიუთითა კლასზე, რომელსაც უნდა მიკუთვნებულ იქნეს ტერმინი, და აღნიშნავს, რომ მისი აზრით, ეს ტერმინი მეტისმეტად გაურკვეველი, გაუგებარი და ლინგვისტური თვალსაზრისით არასწორია. თუ წარმოშობის ქვეყნის უწყებამ არ მიუთითა

კლასზე, საერთაშორისო ბიურო ამოიღებს ამ ტერმინს ex officio და აცნობებს ამის შესახებ წარმოშობის ქვეყნის უწყებას და განმცხადებელს.

D. საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება

(a) ტერიტორიული მოქმედება

21.19. საერთაშორისო რეგისტრაცია მოქმედება და არასოდეს არ შეიძლება იმოქმედოს წარმოშობის ქვეყანაში. წარმოშობის ქვეყანაში სასაქონლო ნიშნის დაცვა ხორციელდება ეროვნული რეგისტრაციის ძალით, რომელიც საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს.

21.20. რაც შეეხება მადრიდის შეთანხმების მონაწილე სხვა ქვეყნებს, საერთაშორისო რეგისტრაცია მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებისთვისაც დაცვა სპეციალურად გამოითხოვებოდა შეთანხმების მე-3 bis (1) მუხლის შესაბამისად. ფაქტობრივად მადრიდის შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანამ ისარგებლა მადრიდის შეთანხმების 3 bis მუხლით მინიჭებული შესაძლებლობებით, რომელიც ითვალისწინებს, რომ ყველა ხელშემკვრელ ქვეყანას შეუძლია აცნობოს ისმოს გენერალურ დირექტორს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგად წარმოქმნილი დაცვა გავრცელდება ამ ქვეყანაზე მხოლოდ ნიშნის მფლობელის სპეციალური განცხადებით.

(b) იურიდიული მოქმედება

21.21. მადრიდის შეთანხმების მე-4 მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშანს, რომელიც იყო საერთაშორისო რეგისტრაციის საგანი, ენიჭება ასეთი რეგისტრაციის თარიღიდან ყველა დაინტერესებულ ქვეყანაში ისეთივე დაცვა, როგორიც მაშინ, ის რომ განცხადებული ყოფილიყო უშუალოდ ამ ქვეყნებში. ამიტომ მადრიდის შეთანხმების ძალით შეუძლებელია ლაპარაკი ნამდვილ "სასაქონლო ნიშანზე" ერთნაირი სტატუსით ყველა ქვეყანაში, სადაც ის მოქმედებს (ეს ეხება, მაგალითად, უფრო შეზღუდულ ფარგლებში, ევროპის საზოგადოებების სასაქონლო ნიშანს) საერთაშორისო რეგისტრაცია წარმოადგენს გარკვეული აზრით ეროვნული ნიშნების გადახლართვას და პრინციპში დამოკიდებულია ყოველი ქვეყნის კანონმდებლობაზე, რომელშიც ის მოქმედებს, ისევე, როგორც ნიშნები, რომლებიც შეტანილია ამ ქვეყნების

ეროვნულ რეესტრში. ეს განსაკუთრებით სწორეა ექსპერტიზის პროცედურის მიმართ, რომელიც მოითხოვება რიგი ქვეყნის კანონმდებლობით.

(c) საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ვადა და თარიღი

21.22. მადრიდის შეთანხმების მე-6 (1) მუხლის თანახმად, საერთაშორისო რეგისტრაციას აქვს მოქმედების ერთნაირი 20 წლის ვადა, რეგისტრაციის მოქმედების როგორი ვადაც არ უნდა იყოს დადგენილი ეროვნული კანონმდებლობის დებულებათა ძალით. მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ ინსტრუქციის მე-10 (1) წესის შესაბამისად ძირითადი გადასახადი შეიძლება გადახდილ იქნეს რეგისტრაციის დროს მხოლოდ პირველი ათწლიანი ვადისა. ამ შემთხვევაში გადასახადის დანარჩენი ნაწილი უნდა გადახდილი იქნეს პირველი ვადის დამთავრებამდე; ამ დებულების შეუსრულებლობისას საერთაშორისო რეგისტრაცია ამოიღება საერთაშორისო რეესტრიდან ex officio.

(d) კავშირი საერთაშორისო რეგისტრაციასა და საბაზო ეროვნულ რეგისტრაციას შორის

21.23. მადრიდის შეთანხმების მე-6(3) მუხლის თანახმად, დაცვა, რომელიც წარმოიქმნება ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგად, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში დამოკიდებულია დაცვაზე, რომელსაც ანიჭებენ ნიშანს წარმოშობის ქვეყანაში. თუ ზემოაღნიშნული ხუთწლიანი ვადის განმავლობაში ნიშანი აღარ სარგებლობს ეროვნული დაცვით წარმოშობის ქვეყანაში, დაცვა, რომელიც წარმოქმნილია საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგად, უკვე ვეფარ გამოითხოვება არც ერთ დაინტერესებულ ქვეყანაში. ამ დებულებას იყენებენ აგრეთვე იმ მომენტიდან, როდესაც ეროვნული დაცვა ნიშნის წარმოშობის ქვეყანაში შეწყვეტილია სასამართლო საქმის აღძვრის შედეგად, რომელიც დაწყებულია საერთაშორის რეგისტრაციის თარიღიდან ხუთწლიანი ვადის დამთავრებამდე.

21.24. თუ სამართლებრივი დაცვა შეწყდება რეესტრიდან საბაზო ეროვნული რეგისტრაციის ამოღების შედეგად განმცხადებლის თხოვნით ან ex officio ხუთწლიანი ვადის განმავლობაში, წარმოშობის ქვეყნის უწყება მიმართავს საერთაშორისო ბიუროს თხოვნით ნიშნის ამოღების შესახებ საერთაშორისო რეესტრიდან. ასეთ შემთხვევებში საერთაშორისო ბიურო ახორციელებს ამ

ოპერაციას არა ex officio, არამედ მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის უწყების თხოვნით.

21.25. სასამართლო საქმის აღძვრის შემთხვევაში საბაზო ეროვნული რეგისტრაციის წინააღმდეგ აღნიშნული ხუთწლიანი ვადის დამთავრებამდე წარმოშობის ქვეყნის უწყებამ უნდა გადაუგზავნოს საერთაშორისო ბიუროს (ex officio ან მოსარჩელეს თხოვნით) სასარჩელო განცხადების ასლი ან სხვა რაიმე დოკუმენტის ასლი, რომელიც ადასტურებს ამ სარჩელს, და აგრეთვე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ასლი. შემდეგ საერთაშორისო ბიურო აკეთებს შესაბამის აღნიშვნას საერთაშორისო რეესტრში (მე-6(4) მუხლი), მაგრამ არ ამოიღებს საერთაშორისო რეგისტრაციის რეესტრიდან ხუთწლიანი ვადის გასვლისას ის ხდება დამოუკიდებელი ეროვნული დაცვისაგან, რომლითაც უზრუნველყოფილია ნიშანი წარმოშობის ქვეყანაში (ზემომოხსენიებული სასამართლო საქმის აღძვრის შემთხვევის გათვალისწინებით); ამგვარად, დაცვის შეწყვეტა წარმოშობის ქვეყანაში უკვე აღარ ეხება დაცვას, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო რეგისტრაციის შედეგად, მადრიდის კავშირის სხვა ქვეყნებში.

E. უარი დაცვის მინიჭებაზე

21.26. სამ ქვეყანაში, სადაც ამას ითვალისწინებს კანონმდებლობა, უწყებებს, რომლებსაც აცნობებს საერთაშორისო ბიურო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, უფლება აქვთ განაცხადონ, რომ დაცვა არ შეიძლება მიენიჭოს ამ ნიშანს მათ ტერიტორიაზე. შეტყობინება მინიჭების უარზე უნდა გაეგზავნოს საერთაშორისო ბიუროს ყველა მოტივის მითითებით არა უგვიანეს ერთი წლის შემდეგ თარიღიდან, როდესაც ნიშანი ფაქტობრივად იყო შეტანილი საერთაშორისო რეესტრში, საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელი სარგებლობს ქვეყანაში, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის შესახებ, სამართლებრივი დაცვის იმავე საშუალებებით, რომლითაც სარგებლობს ეროვნული რეგისტრაციის მფლობელი.

(a) უარის საფუძვლები

21.27. მადრიდის შეთანხმების მე-5(1) მუხლის მეორე წინადადება დათქვამს, რომ საერთაშორისო რეესტრში შეტანილ ნიშანს შეიძლება ეთქვას უარი

რეგისტრაციაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომლებიც პარიზის კონვენციის შესაბამისად გამოიყენება ეროვნული რეგისტრაციის განცხადებული ნიშნის მიმართ, მოტივები, რომლებიც შეიძლება წამოაყენოს დაინტერესებული ქვეყნის უწყებამ თავისი გადაწყვეტილების დასაცავად ნიშნისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მინიჭებაზე უარის შესახებ, ჩვეულებრივ ისეთივეა, როგორც მოტივები, რაზედაც შეიძლება მიუთითოს მოცემულმა უწყებამ, როდესაც უარს ამბობს ამ ნიშნის რეგისტრაციაზე ეროვნული განაცხადის შეტანისას.

21.28. მაგრამ პარიზის კონვენციის 6 quinguies მუხლი ითვალისწინებს, რომ ყოველ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სათანადოდ რეგისტრირებულია წარმოშობის ქვეყანაში (ეს კი ყოველთვის ისეა ნიშნების მიმართ, რომლებიც შეტანილია საერთაშორისო რეესტრში), უნდა მიეცეს ნება შეტანილი და დაცული იქნეს იმ სახით, როგორც "ის არის", კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებში, და რომ უარი რეგისტრაციაზე შეიძლება შეეხოს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებს:

(1) თუ მას გააჩნია ხასიათი, რომელსაც შეიძლება შეეხოს მესამე პირების მიერ შეძენილ უფლებებს ქვეყანაში, სადაც გამოითხოვება დაცვა;

(2) თუ მას არ გააჩნია რაიმე განმასხვავებელი ნიშნები ან შედგენილია მხოლოდ ნიშნებისა ან აღნიშვნებისაგან, რომლებსაც შეიძლება გამოყენებული იყოს ვაჭრობაში პროდუქტების სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, დანიშნულების, ღირებულების, ადგილწარმოშობის ან მათი დამზადების დროის აღსანიშნავად, ან გარდა საყოველთაოდ მიღებულ ყოველდღიურ ენაში, ან იმ ქვეყნის კეთილსინდისიერ და ჩამოყალიბებულ სავაჭრო ჩვევებში, სადაც გამოითხოვება დაცვა;

(3) თუ ის ეწინააღმდეგება მორალს ან საჯარო წესს და, განსაკუთრებით, თუ მას შეუძლია საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანა.

(b) შეტყობინების ვადა, რომელსაც აბზავნიან საერთაშორისო ბიუროში

21.29. მადრიდის შეთანხმების მე5(2) მუხლისა და ინსტრუქციის მე-17 (1) წესის შესაბამისად, შეტყობინება დაცვის მინიჭებაზე უარის შესახებ უწყებამ უნდა გააგზავნოს საერთაშორისო ბიუროში უარის ყველა მოტივის მითითებით

ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანს ერთი წლის ვადის გასვლისას იმ თარიღიდან, როდესაც ნიშანი ფაქტობრივად იყო შეტანილი საერთაშორისო რეესტრში. ეს თარიღი უფრო გვიანია, ვიდრე ნიშნის რეგისტრაციის თარიღი, რათა ეროვნულ უწყებებს მიეცეს იმის გარანტია, რომ მათ განკარგულებაშია მრული ერთწლიანი ვადა ნებისმიერ უარზე გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

(c) უარის განხილვა

21.30. უარის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე საერთაშორისო ბიურო ატარებს შეტყობინების ფორმალურ განხილვას. თუ ის არ შეიცავს არავითარ არასწორ ელემენტებს, რომლებიც ჩამოთვლილია ინსტრუქციის მე-17(2) წესში, ჩანაწერი უარის შესახებ შეაქვთ საერთაშორისო რეესტრში და შეტყობინების ასლი გადაეგზავნება წარმოშობის ქვეყნის უწყებას და ნიშნის მფლობეს ან მის რწმუნებულს.

21.31. საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელი სარგებლობს ქვეყანაში, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის შესახებ, სამართლებრივი დაცვის იმავე საშუალებების, რომლითაც სარგებლობს ეროვნული რეგისტრაციის მფლობელი.

21.32. თუ შეტყობინება უარის შესახებ არ გადაიგზავნება საერთაშორისო ბიუროში აუცილებელი ერთი წლის ვადის განმავლობაში, ან თუ მასში არ არის მითითებული უარის მოტივები, ან ის შეიცავს არასწორ ელემენტებს, რომლებიც ჩამოთვლილია ინსტრუქციის მე-17(2) წესში, ჩანაწერი უარის შესახებ არ შეაქვთ საერთაშორისო რეესტრში. მიუხედავად ამისა შეტყობინება უარის შესახებ გადაეგზავნება საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობეთ ან მათ რწმუნებულთ და წარმოშობის ქვეყნის უწყებას, რომლებიც ატყობინებენ (უწყებასთან ერთად, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება უარის შესახებ), რომ ჩანაწერი უარის შესახებ არ არის შეტანილი საერთაშორისო რეესტრში (ინსტრუქციის მე-17(3) წესი).

F. ცვლილებები, რომლებიც ეხება საერთაშორისო რეგისტრაციას

21.33. საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში საერთაშორისო რეესტრში შეაქვთ ჩანაწერი სხვადასხვა ცვლილებების შესახებ.

(a) ტერიტორიული გაფართოება რეგისტრაციის შემდეგ

21.34. საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება შეიძლება არ გავრცელდეს შეთანხმების მონაწილე რომელიმე ქვეყანაზე ან იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში არ გამოითხოვებოდა დაცვა საწყისი რეგისტრაციის, ან დაცვაზე უარის, რეგისტრაციის ბათილად ცნობის შედეგად ან დაცვაზე უარი ნიშნის მფლობელის მხრივ. ასეთ შემთხვევებში მფლობეს შეუძლია შემდგომ მოითხოვოს დაცვის გაფართოება ამ ქვეყანაზე ყველა ან მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ნაწილისთვის, რომლებიც შეტანილია საერთაშორისო რეესტრში.

21.35. ტერიტორიულ გაფართოებას რეგისტრაციის შემდეგ აქვს იმ ქვეყნებში, რომელშიც ის გამოითხოვება, ისეთივე მოქმედება, როგორც საერთაშორისო რეგისტრაციას. მადრიდის შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად, ეროვნულ უწყებას უფლება აქვს უარი თქვას ტერიტორიულ გაფართოებაზე ერთი წლის განმავლობაში იმ თარიღიდან, რომელზედაც მოდის ჩანაწერი ტერიტორიული გაფართოების შესახებ საერთაშორისო რეესტრში. შესაძლო უარი უნდა ეყრდნობოდეს მოტივებს, რომლებიც მოქმედებენ თარიღზე, როდესაც ტერიტორიული გაფართოება შევიდოდა ძალაში.

(b) სხვა ცვლილებები

21.36. რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში საერთაშორისო რეესტრში შეტანილ იქნეს ჩანაწერები სხვა ცვლილებებზე, ისეთი, როგორიცაა: რეგისტრაციაზე უფლების გადაცემა ან ნაწილობრივი დათმობა, საქონლისა და მომსახურების ნუსხის შეზღუდვა ერთი ან რამდენიმე ქვეყნისათვის, უარი დაცვაზე ერთ ან მეტ ქვეყანაში, რეგისტრაციის მფლობელის გვარისა ან სახელის შეცვლა, რეგისტრაციის ამოღება რეესტრიდან.

21.37. განსახილველად არ მიიღება განაცხადთა ზოგიერთ სახეობა ცვლილებებზე ჩანაწერის შეტანის შესახებ. ეს ეხება, მაგალითად განაცხადს

ნიშნის რეგისტრირებული გამოსახულების ცვლილებაზე ჩანაწერის შეტანის შესახებ ან ახალი საქონლისა და მომსახურების შეტანის შესახებ საქონლისა და მომსახურების ნუსხაში, რომლებიც შეტანილია საერთაშორისო რეესტრში. ასეთ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს ახალი საერთაშორისო რეგისტრაცია (მადრიდის შეთანხმების მე-9(5) მუხლი).

21.38. რაც შეეხება შეცდომებს, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისო რეგისტრაციაზე, მათი გამოსწორება შეიძლება ნებისმიერ დროს, თუ შეცდომა დაშვებულია საერთაშორისო ბიუროს მიერ (23-ე (1) წესი). თუ შეცდომა დაუშვა ეროვნულმა უწყებამ, არსებობს ორი ცალკეული შემთხვევა. შეცდომის გამოსწორება შეიძლება ნებისმიერ დროს, თუ ის (საერთაშორისო ბიუროს აზრით) ზიანს არ აყენებს რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებებს (23-ე(3) წესი). მეორეს მხრივ, თუ შეცდომას შეუძლია ზიანი მიაყენოს რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებებს, თხოვნა გამოსწორების შესახებ უნდა გაიგზავნოს საერთაშორისო ბიუროში გამოქვეყნებიდან ექვსი თვის განმავლობაში, რომელიც შეიცავს შეცდომას (23-ე (2) წესი).

G. რეგისტრაციის ვადის გაგრძელება

21.39. საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელდეს შეუზღუდავად, ყოველთვის ახალი სრული ოცწლიანი ვადით წინა ვადის დამთავრების თარიღიდან (მადრიდის შეთანხმების მე-7 (1) მუხლი).

(a) არაოფიციალური შეტყობინება

21.40. საერთაშორისო რეგისტრაციის ვადის დამთავრებამდე ექვსი თვით ადრე საერთაშორისო ბიურო უგზავნის არაოფიციალურ შეტყობინების ვადის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მფლობეს და ნებისმიერ რწმუნებულს, რის შესახებაც ჩანაწერი შეტანილია საერთაშორისო რეესტრში.

(b) საფასურები

21.41. მადრიდის შეთანხმების მე-7 (1) მუხლის თანახმად, გაგრძელდება ხორციელდება აუცილებელი გადასახადის ჩვეულებრივი გადახდის გზით. უკანასკნელი ისეთივეა, როგორიც არის გადასახადი საერთაშორისო რეგისტრაციაზე.

21.42. ინსტრუქციის 25-ე (2) წესის შესაბამისად აუცილებელი გადასახადი არ შეიძლება გადახდილი იყოს გასაგრძელებელი რეგისტრაციის მოქმედების მიმდინარე ვადის დამთავრებამდე ერთ წელზე ადრე. ის გადახდილ უნდა იქნეს ყველაზე გვიან ამ ვადის დამთავრების თარიღისათვის ან ექვსთვიანი შეღავათიანი ვადის განმავლობაში მიმდინარე ვადის დამთავრების თარიღიდან იმ პირობით, რომ ამ შეღავათიანი ვადის განმავლობაში გადახდილი იქნება დამატებითი შენატანი დადგენილი გადასახადის ჯამის 50% ოდენობით.

(c) გაგრძელების არსი და მოქმედება

21.43. რეგისტრაციის გაგრძელება წარმოადგენს შესაბამისი რეგისტრაციის მოქმედების ვადის მარტივ გაგრძელებას მადრიდის შეთანხმების მე-7 (2) უხლის თანახმად, გაგრძელება არ უნდა შეიცავდეს არავითარ ცვლილებას რეგისტრაციის მხრივ მისი ბოლო სახით, ანუ იმ სახით, რა სახითაც ის იყო შეტანილი საერთაშორისო რეესტრში ოცწლიანი ვადის დამთავრების თარიღისათვის. მადრიდის შეთანხმების ინსტრუქციის 25-ე (6) წესი ითვალისწინებს, რომ დაინტერესებული ქვეყნების ნუსხის შეზღუდვა არ წაროადგენს ცვლილებას ამ მე-7 (2) მუხლის მნიშვნელობით.

21.44. იმასთან დაკავშირებით, რომ გაგრძელება წარმოადგენს რეგისტრაციის მოქმედების ვადის მარტივ გაგრძელებას და არა ახალ რეგისტრაციას, რომელსაც შეუძლია შეიტანოს ცვლილებები თვითონ ნიშანში ან ახალი საქონელი და მომსახურება, დაინტერესებული ქვეყნების უწყებებს არ შეუძლიათ გაგრძელებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა. საერთაშორისო ბიუროსათვის რომ შეეტყობინებინა უარის შესახებ, ამის შესახებ ჩანაწერის შეტანა საერთაშორისო რეესტრში შესაძლებელი არ იქნებოდა, რამეთუ ნებისმიერ შემთხვევაში უარი გაგზავნილი იქნებოდა ერთწლიანი ვადის დამთავრების შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც ოცი წლის წინ ნიშანი რეგისტრირებული იყო საერთაშორისო რეესტრში.

H. შეტყობინებები, რომლებიც ეგზავნებათ ეროვნულ უწყებებს და პუბლიკაციები

21.45. რეგისტრაციის, გაგრძელების, ცვლილებების, დაცვის მინიჭებაზე უარისა და რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ შეტყობინებები

ეგზავნებათ დაინტერესებული ქვეყნების უწყებებს და გამოქვეყნდება ისმოს საერთაშორისო ნიშნების პერიოდულ ბიულეტენში (WIPO Gazzette).

21.46. ყოველი უწყება იღებს ამ ბიულეტენის უფასო ეგზემპლარებს. მადრიდის შეთანხმების მე-3 (5) მუხლის უკანასკნელი წინადადებების შესაბამისად, ბიულეტენში გამოქვეყნება უნდა ჩაითვალოს ყველა ხელშემკვრელ ქვეყანაში სავსების საკმარის გაცნობად, და არავითარი სხვა გაცნობა არ შეიძლება მოეთხოვოს განმცხადებელს.

21.47. მადრიდის შეთანხმების 1892 წელს ძალაში შესვლის შემდეგ საერთაშორისო რეგისტრაცია მიიღო 640 ათასზე მეტმა ნიშანმა. ამ რიცხვიდან 300 ათასამდე ჯერ კიდევ მოქმედია. 1994 წელს განხორციელებული იყო 22 ათასი ახალი რეგისტრაცია და გაგრძელება, ხოლო საერთაშორისო რეესტრში შეტანილი იყო 72 ათასი ჩანაწარი ცვლილებების შესახებ. 1994 წელს 23 მილიონზე მეტი შვეიცარული ფრანკი, რაც წარმოადგენს დამატებით გადასახადებს, მიღებული აქვს საერთაშორისო ბიუროს და დანაწილდა მადრიდის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებს შორის მოცემული შეთანხმების მე-8 (5) და (6) მუხლების შესაბამისად. ეს ციფრები ლაპარაკობენ იმ ინტერესზე, რომელსაც ავლენენ მოსარგებლენი მადრიდის შეთანხმებისადმი, და აგრეთვე იმ პრაქტიკულ და ფინანსურ უპირატესობებზა, რისი მიღებაც შეუძლიათ მონაწილე სახელმწიფოებს.

I. მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ("მადრიდის პროტოკოლი")

21.48. მადრიდის შეთანხმებაში ქვეყნის არამონაწილეობა, რომლებიც ითვლებიან ძირთიად ქვეყნებად სასაქონლო ნიშნების სფეროში, ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოსა და იაპონიის ჩათვლით, წარმოადგენს დიდი ხნის პრობლემას, რომლის გადაწყვეტას ცდილობდა ისმო. უკანასკნელ ათწლეულში წამოწყებული იყო ახალი სისტემის შექმნის სხვადასხვა ცდები, რომლებიც ეხებოდა ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციას. და ბოლოს, მიღებული იყო გადაწყვეტილება ცვლილებების შეტანის შესახებ მადრიდის სისტემაში, რათა გაეხადათ მისაღები ქვეყანათა დიდი რაოდენობისათვის.

21.49. 1989 წლის ივნისში მადრიდში ჩატარებული იყო დიპლომატიური კონფერენცია ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის დასკვნის შესახებ, რომელიც მოწვეული და ორგანიზებული იყო ისმოს მიერ. ის მიმდინარეობდა სამრეწველო საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის შენობაში "Instituto Nacionale de Industria (INI), რომელიც გამოუყო ესპანეთის მთავრობამ. დიპლომატიურმა კონფერენციამ ერთხმად მიიღო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლი.

21.50. პროტოკოლს შეაქვს შემდეგი ძირითადი სიახლე მადრიდის სისტემაში:

(1) პროტოკოლი საშუალებას აძლევს განმცხადებელს საკუთარი ნება-სურვილით შეიტანოს განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციაზე ეროვნული განაცხადის საფუძველზე (და არა მხოლოდ ეროვნული რეგისტრაციის საფუძველზე) (მე-2 (1) (a) მუხლი);

(2) პროტოკოლი აძლევს ხელშემკვრელ მხარეებს 18 თვის (ერთი წლის მაგივრად) ვადის გამოყენების შესაძლებლობის გადაწყვეტილების გამოსატანად დაცვის მინიჭებაზე უარის შესახებ და უფრო ხანგრძლივ ვადას შედავების შემთვევაში (მე-5 (2) (b) - (d) მუხლი);

(3) პროტოკოლი ითვალისწინებს, რომ აღნიშნული ხელშემკვრელი მხარის უწყებას შეუძლია, თუ თვითონ მოისურვებს ამას, მიიღოს გადასახადის მთელი თანხა,რომელსაც ის იღებს ეროვნულ (ან რეგიონალურ) რეგისტრაციაში ან რეგისტრაციის გაგრძელებაში, ამასთან აღნიშნული თანხა მცირდება ეკონომიის ოდენობის მიხედვით, რაც წარმოადგენს საერთაშორისო პროცედურის შედეგს (მე-8 (7) მუხლი);

(4) პროტოკოლი უშვებს გაუქმებული საერთაშორისო რეისტრაციის გარდაქმნას, მაგალითად "ცენტრალური შეტევის" პრინციპის შედეგად, ეროვნულ (ან რეგიონალურ) განაცხადად ყოველ მითიებულ

ხელშემკვრელ ქვეყანაში, ამსთან ასეთ განაცხადებს ექნებათ შეტანის თარიღი და, ასეთი ჩაშუალების არსებობისას, საერთაშორისო რეგისტრაციის პრიორიტეტის თარიღი (მე-9 quinquies მუხლი).

21.51. ეს სიახლენი განკუთვნილია ზოგიერთი დაბრკოლების ასარიდებლად მადრიდის სისტემის უფრო ფართო აღიარებისათვის. პროტოკოლის მეორე მიზანი ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც "კავშირის დადგენა" მადრიდის სისტემასა და ევროპის საზოგადოებათა სასაქონლო ნიშნების მომავალ რეგიონალურ სისტემას შორის. ევროპის საზოგადოებათა სასაქონლო ნიშანი იქნება ნიშანი, რომელიც რეგისტრირებულია ევროპის საზოგადოებათა სასაქონლო ნიშნების უწყებებში, და ამ უწყებაში ყოველ რეგისტრაციას ექნება მოქმედება ევროპის საზოგადოებათა მონაწილე ქვეყნებში (ამჟამად სულ 15 ქვეყანაში). კავშირი აღნიშნავს, რომ რეგისტრაცია მადრიდის პროტოკოლის შესაბამისად შეიძლება დამყარებული იქნეს განაცხადზე ან რეგისტრაციაზე, რომელიც შეტანილი ან განხორციელებულია ევროპის საზოგადოებათა უწყებაში, და რომ ევროპის საზოგადოებები შეიძლება მითითებული იყოს მადრიდის რეგისტრაციაში. ეს გამომდინარეობს კრიტიკოსის მე-2 მუხლიდან. იმისათვის, რომ ევროპის საზოგადოებათა მონაწილეობა მადრიდის სისტემაში იყოს სრულფასიანი, ხოლო ევროპის საზოგადოებათა სასაქონლო ნიშნების უწყებამ დაიკავოს ზუსტად ისეთივე მდგომარეობა, როგორიც აქვთ მონაწილე ქვეყნების ეროვნულ უწყებებს, პროტოკოლი ითვალისწინებს, რომ პროტოკოლის მონაწილე შეიძლება გახდნენ არა მხოლოდ სახელმწიფოები, არამედ ზოგიერთი სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები (მე-14 (1) (b) მუხლი). ევროპის საზოგადოებები ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს.

21.52. უნდა ავღნიშნოთ, რომ პროტოკოლი შეიცავს მუხლს, რომელსაც ეწოდება "მადრიდის შეთანხმების შენარჩუნება" (სტოკგოლმი)". შენარჩუნების შესახებ მუხლის შეტანის მიზეზი მადრიდის კავშირის ახლანდელი წევრი

ქვეყნების მთავრობათა და კერძო ასოციაციათა წარმომადგენლობის მიერ, რომლებიც იყენებენ ახლანდელ მადრიდის სისტემას, ხშირად განმეორებულ განცხადებაშია იმის შესახებ, რომ ახლანდელი სისტემა მთლიანად აკმაყოფილებს მათ იმ სახით, როგორიც ის არის, და მათ სურთ, რომ ის არსებობს.

21.53. შენარჩუნების შესახებ მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ საერთაშორისო განაცხადის ან რეგისტრაციის წარმოშობის უწყება არის პროტოკოლისაც და მადრიდის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს უწყება, პროტოკოლის დებულებებს არა აქვს არავითარი მოქმედება (ე.ი. პროტოკოლი მიუღებელია და მაშასადამე, გამოიყენება მხოლოდ მადრიდის შეთანხმება, რაც წარმოადგენს status quo) იმ სახელმწიფოსა, რომელიც აგრეთვე იმავდროულად არის პროტოკოლისა და მადრიდის შეთანხმების მონაწილე, და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ან ორგანიზაციას შორის, რომელიც პროტოკოლის სონაწილეა, მაგრამ არ არის მადრიდის შეთანხმების მონაწილე (ორგანიზაციებს არ შეუძლიათ გახდნენ მადრიდის შეთანხმების მონაწილე).

21.54. როგორც მადრიდის შეთანხმების, ასევე პროტოკოლის მონაწილეთა შორის ისეთი status quo შენარჩუნების შედეგდთა შორის შეიძლება ავღნიშნოთ შემდეგი:

(I) საერთაშორისო განაცხადი არ შეიძლება ემყარებოდეს ეროვნულ განაცხადს (არამედ მხოლოდ ეროვნულ რეგისტრაციას) (იხ. პროტოკოლის მე-2(1) მუხლი);

(II) დაცვის მინიჭებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ვადად არ შეიძლება იყოს ერთ წელზე მეტი (იხ. პროტოკოლის მე-5(2)(b) და (c) მუხლები);

(III) აღნიშნულ უწყებას არ შეუძლია "ინდივიდუალური გადასახადის" აღება (არამედ მხოლოდ შენატანთა წილი, რომლებიც შეიქმნება დამატებითი გადასახადით) (იხ. პროტოკოლის მე-8 (2) მუხლი) და (IV) არ დაიშვება საერთაშორისო რეგისტრაციის "გარდაქმნა" ეროვნულ რეგისტრაციებად (იხ. პროტოკოლის მე-9 quinquies მუხლი).

21.55. და ბოლოს, უნდა ავღნიშნოთ, რომ მადრიდის კავშირის ასამბლეას შეუძლია უმრავლესობით, სამი მეოთხედი მიცემული ხმით, გააუქმოს მუხლი

შენარჩუნების შესახებ ან შეზღუდოს მისი გამოყენების სფერო ათწლიანი ვადის დამთავრების შემდეგ პროტოკოლის ძალაში შესვლის თარიღიდან, მაგრამ არა ხუთ წელზე ადრე თარიღიდან, როდესაც მადრიდის შეთანხმების მონაწილე მახელმწიფოთა უმრავლესობა გახდა ამ პროტოკოლის მონაწილე.

21.56. 1999 წლის პირველი ოქტომბრისათვის ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანმხების მონაწილე იყო შემდეგი 46 სახელმწიფო: ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ალჟირი, სომხეთი, ბელგია, ბელორუსია, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, უნგრეთი, ვიეტნამი, გერმანია, ეგვიპტე, ესპანეთი, იტალია, ყაზახეთი, ჩინეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ყირგიზეთი, ლატვია, ლიბერია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მაროკო, მონაკო, მონღოლეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, მოლდოვას რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, რუმინეთი, სან-მარინო, სლოვაკია, სლოვენია, სუდანი, ტაჯიკეთი, ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკა მაკედონია, უზბეკეთი, უკრაინა, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხევის რესპუბლიკა, შვეიცარია, იუგოსლავია.

21.57. იმ თარიღისათვის, რომლის წინ ის ღია იყო ხელმოსაწერად (1989 წლის 31 დეკემბრისათვის), ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლს ხელი მოაწერეს შემდეგმა 27-მა ქვეყანამ: ავსტრია, ბელგია, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ეგვიპტე, ირლანდია ესპანეთი, იტალია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მაროკო, მონაკო, მონღოლეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, რუმინეთი, სენეგალი, გაერთიანებული სამეფო, ფინეთი, საფრანგეთი, შვეცია, შვეიცარია და იუგოსლავია. 1996 წლის სამი ოქტომბრისათვის მადრიდის პროტოკოლის მონაწილეა შემდეგი 12 სახელმწიფო: გერმანია, დანია, ესპანეთი, ჩინეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, მონაკო, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო, ფინეთი, ჩეხევის რესპუბლიკა და შვეცია.

თავი 22

ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ

A. შესავალი

22.1. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის დაფუძნების სურვილი გამოითქვა ჯერ კიდევ 1911 წელს ვაშინგტონის დიპლომატიური კონფერენციის ჩატარების დროს. მაგრამ ეს მიზანი მიღწეული იქნა მხოლოდ 1925 წლის 6 ნოემბერს პარიზის კონვენციის ფარგლებში სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმების მიღების გზით (შემდეგ ჰააგის შეთანხმება). შეთანხმება ძალაში შევიდა 1928 წლის 1 ივნისს და გადაისინჯა რამდენჯერმე: ლონდონში 1934 წლის 2 ივნისს (შემდგომში - 1934 წლის აქტი) და ჰააგაში 1960 წლის 28 ნოემბერს (შემდგომში - 1960 წლის აქტი); იგი შეივსო 1961 წლის 18 ნოემბრის მონაკოსა და 1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის დამატებითი აქტებით. 1975 წლის 29 აგვისტოს ჟენევაში ხელმოწერილი პროტოკოლი, რომელიც 1960 წლის აქტის ზოგიერთი მუხლის გამოყენების ნებას რთავს ამ აქტის ძალაში შესვლამდე, უკვე აღარ გამოიყენება, ვინაიდან აღნიშნული 1960 წლის აქტი ძალაში შევიდა 1984 წლის პირველ აგვისტოს.

B. საერთაშორისო დეპონირების პრინციპი

22.2. სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირება წარმოიქმნა გამართლებისა და ეკონომიის აუცილებლობის შედეგად. მისი ძირითადი მიზანია დაცვის უზრუნველყოფა ერთი ან მეტი სამრეწველო ნიმუშისათვის რიგ ქვეყანაში ერთი დეპონირების საშუალებით, რომელიც ხორციელდება ისმოს საერთაშორისო ბიუროში. ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, ნებისმიერ პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს საერთაშორისო დეპონირების განხორციელების უფლება, შეუძლია ერთჯერადი დეპონირების გზით მიიღოს დაცვა თავისი სამრეწველო ნიმუშებისთვის რიგ ქვეყანაში მინიმალური ფორმალობისა და ხარჯების გაწევით. ამგვარად, განმცხადებელს აღარ მოუწევს ცალკეული ეროვნული დეპონირების განხორციელება ცალ-ცალკე ყველა ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვება დაცვა. ეს იძლევა პროცედურათა უცილობელი გარ-

თულების თავიდან აცილების საშუალებას, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყანაში. განმცხადებელს არ სჭირდება საჭირო დოკუმენტების წარდგენა სხვადასხვა ენაზე და თვალყურის დევნება დაცვის ერთბაშად რამდენიმე ეროვნული ვადის დროულად გაგრძელებაზე. ის თავისუფალია, აგრეთვე, რიგი ეროვნული საფასურისა და რწმუნებულებისთვის სხვადასხვა ვალუტით ჰონორარის გადახდის აუცილებლობისაგან. ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, იმავე შედეგების მიღება შესაძლებელია ერთჯერადი ეროვნული დეპონირებით, რომელიც ხორციელდება ერთ უწყებაში, ერთ ენაზე, საფასურების ერთი კომპლექტის ერთ ვალუტაში გადახდის შედეგად.

C. ჰააგის შეთანხმების ძირითადი დებულებები

22.3. ჰააგის შეთანხმება უფლებას აძლევს საერთაშორისო დეპონირების განხორციელებაზე უფლების მქონე პირებს, მიიღონ დაცვა მათი სამრეწველო ნიმუშებისთვის მონაწილე ქვეყნებში, რომლებშიც ისინი მოითხოვენ დაცვას ერთჯერადი დეპონირების გზით, რასაც ახორციელებს ისმოს საერთაშორისო ბიურო.

22.4. საერთაშორისო დეპონირების განხორციელება შეუძლია ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის ნებისმიერ "მოქალაქეს", ანუ ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც არის ამ ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქე, ან გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, ან ნამდვილი და არაფიქტიური სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში.

22.5. საერთაშორისო დეპონირება არ მოითხოვს არავითარ ადრინდელ ეროვნულ დეპონირებას. იგი უშუალოდ ხორციელდება ისმოს საერთაშორისო ბიუროში, დეპოზიტორის ან მისი რწმუნებულის მიერ ბლანკზე, რომელსაც უფასოდ გასცემს საერთაშორისო ბიურო. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო დეპონირების განხორციელება შეიძლება მონაწილე ქვეყნის ეროვნული უწყების შუამავლობითაც, თუ ეს გათვალისწინებულია ასეთი ქვეყნის კანონმდებლობით (მე-4(1)2 მუხლი). მონაწილე ქვეყნის კანონმდებლობას შეუძლია აგრეთვე მოითხოვოს (იმ შემთხვევაში როდესაც ეს ქვეყანა წარმოადგენს სამრეწველო ნიმუშის წარმოშობის ქვეყანას), რომ საერთაშორისო დეპონირება განხორციელებული იქნეს ამ ქვეყნის ეროვნული უწყების შუამავლობით. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა ზიანს არ აყენებს საერთაშორისო დეპონირების მოქმედებას სხვა მონაწილე ქვეყნებში (მე-4(1)2 მუხლი).

22.6. საერთაშორისო დეპონირებას ყოველ იმ ქვეყანაში, სადაც მოითხოვება დაცვა, იმგვარივე მოქმედება აქვს, როგორიც ექნებოდა სამრეწველო ნიმუშებს, დეპონირებულთ უშუალოდ ამ ქვეყანაში საერთაშორისო დეპონირების თარიღით, რაც დადგენილია ჰააგის შეთანხმების სპეციალური წესებით, განსაკუთრებით დაცვის მოქმედების ვადის მიმართ.

22.7. დაცვა შეიძლება, აგრეთვე, მოთხოვნილი და მიღებულ იქნეს, საერთაშორისო დეპონირების გზით, წარმოშობის ქვეყანაში, თუ ამ ქვეყნის შინაგანი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სხვას.

22.8. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომლის შინაგანი კანონმდებლობა ითვალისწინებს დაცვის მინიჭებაზე უარის შესაძლებლობას ადმინისტრაციული ex officio ექსპერტიზის ან მესამე მხარის შედავების საფუძველზე, შეუძლია უარი თქვას დაცვის მინიჭებაზე ნებისმიერი სამრეწველო ნიმუშისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ქვეყნის შინაგან კანონმდებლობას. მაგრამ უარი დაცვის მინიჭებაზე არ შეიძლება გავრცელდეს ფორმალურ მოთხოვნებსა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე, რომლებიც ყოველი მონაწილე სახელმწიფოს მიერ უნდა განიხილებოდეს შესრულებულად საერთაშორისო ბიუროში საერთაშორისო დეპონირების რეგისტრაციისას. არც ერთ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია მოითხოვოს საერთაშორისო დეპონირებათა სხვა პუბლიკაციები, გარდა იმისა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო ბიურო.

22.9. შეტყობინება დაცვის მინიჭებაზე უარის შესახებ უნდა გაეგზავნოს საერთაშორისო ბიუროს, გადაეგზავნოს დეპოზიტორს ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც ეროვნულმა უწყებამ მიიღო პერიოდული ბიულეტენის ის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ცნობები საერთაშორისო დეპონირების შესახებ, რაც გახდა უარის საგანი. დეპოზიტორი სარგებლობს უარის შესახებ გადაწყვეტილებაზე შესადავებლად სამართლებრივი დაცვის იმავე საშუალებებით, რომლებიც მას ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოახდენდა ამ ნიმუშის ან ნიმუშების დეპონირებას იმ სახელმწიფოს უწყებაში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება დაცვის მინიჭებაზე უარის შესახებ.

22.10. თუ შეტყობინება უარის შესახებ არ მოვიდა ზემოთ აღნიშნულ ვადაში, საერთაშორისო დეპონირებას აქვს ისეთივე სტატუსი, როგორც დეპონირებას, რომლის შესახებ ჩანაწერი შეტანილია ყველა სახელმწიფოს ეროვნულ რეესტრში, რომლებშიც მოითხოვებოდა დაცვა.

22.11. საერთაშორისო დეპონირებას აქვეყნებს საერთაშორისო ბიურო ყოველთვიურ ორგანოში „საერთაშორისო ნიმუშების ბიულეტენი“ (“International Designs Bulletin”). პუბლიკაცია შეიცავს, კერძოდ, სტატიის ან სტატიების რეპროდუქციას, რომლებშიც შეტანილი უნდა იქნეს დეპონირებული ნიმუშები.
22.12. დეპოზიტორს შეუძლია ითხოვოს პუბლიკაციის გადავადება მისთვის სასურველი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა საერთაშორისო დეპონირების ან განცხადებული პრიორიტეტის თარიღიდან.
12.13. ყოველი მონაწილე ქვეყნის ეროვნულ უწყებას უფლება აქვს უფასოდ მიიღოს საერთაშორისო ბიუროდან საერთაშორისო ნიმუშების ბიულეტენის ეგზემპლარები გარკვეული რაოდენობით.
22.14. საერთაშორისო დეპონირების მფლობელი სარგებლობს პრიორიტეტის უფლებით, რომელიც დადგენილია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად, თუ ის განაცხადებს ამ უფლებას და თუ საერთაშორისო დეპონირება ხორციელდება ექვსი თვის განმავლობაში პირველი ეროვნული, რეგიონალური, ან საერთაშორისო დეპონირების თარიღიდან, რომელიც განხორციელებულია პარიზის კონვენციის მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანაში, და მოქმედებს ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში.
22.15. საერთაშორისო დეპონირება ხორციელდება საწყისი ხუთწლიანი ვადით. ის შეიძლება გაგრძელდეს ერთხელ მაინც დამატებითი ხუთწლიანი ვადით ყველა ან მხოლოდ ზოგიერთი ნიმუშის მიმართ, რომლებიც შეტანილია განაცხადში დეპონირების შესახებ, ან ყველა ან მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოს მიმართ, რომლებშიც საერთაშორისო დეპონირებას აქვს მოქმედება. იმ მონაწილე სახელმწიფოებში, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ეროვნული დეპონირებისთვის დაცვას 10 წელზე მეტი ვადით, საერთაშორისო დეპონირება შეიძლება გაგრძელდეს არაერთხელ, და ყოველთვის დამატებითი ხუთწლიანი ვადით, დაცვის საერთო ვადის ამოწურვამდე, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული დეპონირებისათვის ასეთი ქვეყნის შინაგანი კანონმდებლობით.
22.16. საერთაშორისო დეპონირება საჭიროებს საფასურის გადახდას (შვეიცარული ფრანკით), რომლის ოდენობას განსაზღვრავს ჰააგის კავშირის ასამბლეა.
22.17. ჰააგის შეთანხმების განხორციელებისათვის სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული. ჩანაწერი საერთაშორისო დეპონირებათა და ნებისმიერი შეს-

წორების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს მათზე, შედის საერთაშორისო რეესტრში და ქვეყნდება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ხოლო საერთაშორისო ბიუროსა და დეპოზიტორს შორის მიმოწერის ენა ინგლისური ან ფრანგულია, იმის მიხედვით, თუ ამ ორი ენიდან რომელი აირჩია განმცხადებელმა განაცხადისათვის საერთაშორისო დეპონირებაზე.

D. ჰააგის შეთანხმებასთან მიერთების უპირატესობანი

22.18. ჰააგის კავშირის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ დაცვა თავისი სამრეწველო ნიმუშებისათვის რიგ სახელმწიფოში მინიმალური ფორმალობითა და ხარჯებით. კერძოდ, მათ არ სჭირდებათ ცალკეული ეროვნული დეპონირების განხორციელება ყოველ ქვეყანაში, რომელშიც მოითხოვება დაცვა, რაც თავიდან აცილებს სხვადასხვა ქვეყანაში პროცედურათა განსხვავების შედეგად წარმოქმნილ სირთულეებს. მათ არ სჭირდებათ საჭირო დოკუმენტების წარდგენა სხვადასხვა ენაზე და მთელ რიგ ეროვნულ დეპონირებათა გასაგრძელებლად ზღვრული ვადისათვის თვალყურის დევნება, რაც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მათ არ სჭირდებათ, აგრეთვე, რამდენიმე ეროვნული საფასურისა და რწმუნებულთა ჰონორარების სხვადასხვა ვალუტით გადახდა. ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, იმავე შედეგების მიღება შესაძლებელია ერთჯერადი ეროვნული დეპონირების მეშვეობით, რომელიც ხორციელდება ერთ ენაზე, გადასახადის ერთი კომპლექტის გადახდის შემდეგ, ერთი ვალუტით და ერთ უწყებაში (ანუ საერთაშორისო ბიუროში).

22.19. ფორმალობის გამარტივება და საზღვარგარეთ დაცვის მიღების ღირებულების შემცირება სასიკეთო გავლენას მოახდენს საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე. ადგილობრივ მრეწველობასა და ვაჭრობას ეძლევა სტიმული თავისი სამრეწველო ნიმუშების დასაცავად ჰააგის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებში და ამ ქვეყნებში თავისი პროდუქციის ექსპორტირების დასაწყებლად. ამიტომ საერთაშორისო დეპონირება ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას.

22.20. თავის მხრივ, მრეწველები და მოვაჭრეები ჰააგის შეთანხმების მონაწილე სხვა სახელმწიფოებში უფრო ადვილად შეძლებენ თავისი სამრეწველო ნიმუშების დაცვას შეთანხმებას მიერთებულ ქვეყანაში და ამიტომ მეტი სტიმული მიეცემათ თავისი პროდუქციის ექსპორტისათვის ამ ქვეყანაში. ამის შედეგი იქნება ვაჭრობის ზრდა და ახალი სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის გაშლის შესაძლებლობა ახალი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც ხელს შეუწყობს მის ეკონომიკურ განვითარებას.

22.21. დეპოზიტორების მიერ გადახდილი საფასურის ნაწილი ყოველწლიურად ნაწილდება საერთაშორისო ბიუროს მიერ ჰააგის შეთანხმების მონაწილე ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებს შორის.

22.22. მონაწილე სახელმწიფოთა უწყებებს არ აკისრიათ არავითარი საგანგებო მოვალეობა ჰააგის შეთანხმების შესრულების მხრივ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს შინაგანი ან რეგიონული კანონმდებლობა ნებას რთავს, ან მოითხოვს საერთაშორისო დეპონირების განხორციელებას მათი შუამდგომლობით, ან აწესებს ექსპერტიზას დეპონირებული ნიმუშების სიახლის მიმართ.

<u>ლიტერატურა</u>

ᲝᲡᲛᲝ-ს საერთაშორისო ბიურო, <u>ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების</u> შესახებ, WO/INF/14 Rev.2

22.23. 1996 წლის 1 ოქტომბრისთვის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმების მონაწილე იყო შემდეგი 25 სახელმწიფო: ბელგია, ბენინი, ვატიკანი, უნგრეთი, გერმანია, ეგვიპტე, ინდონეზია, ესპანეთი, იტალია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, კოტ-დ'ივუარი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მაროკო, მონაკო, ნიდერლანდი, რესპუბლიკა მოლდოვა, რუმინეთი, სენეგალი, სლოვენია, სურინამი, ტუნისი, საფრანგეთი, შვეიცარია.

თავი 23

ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონის შესახებ

A. შესავალი

23.1. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონების შესახებ დაიდო 1994 წლის 27 ოქტომბერს დიპლომატიურ კონფერენციაზე ჟენევაში. სასაქონლო ნიშნების კანონების შესახებ ხელშეკრულების მიზანია ეროვნულ განაცხადთა და ნიშნების დაცვის მიმართ ადმინისტრაციულ პროცედურათა გამარტივება და ჰარმონიზაცია. ხელშეკრულებას შეუძლიათ მიუერთდნენ ცალკეული ქვეყნები, აგრეთვე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის თავისი უწყება ამ ორგანიზაციათა წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე, ისეთი, როგორიცაა ევროპის კავშირი (EC) და ინტელექტუალური საკუთრების აფრიკული ორგანიზაცია (OAPI). ხელშეკრულების დებულებები შევსებულია ინსტრუქციით და ტიპობრივი საერთაშორისო ბლანკებით. ხელშეკრულება არ ეხება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მიეკუთვნება ნიშნების რეგისტრაციას. ხელშეკრულება შედის ძალაში სამი თვის შემდეგ დაწყებული იქიდან, როდესაც ხუთი ქვეყანა ჩააბარებს შესანახად რატიფიცირებულ სიგელებს ან მიერთების აქტებს.

B. ხელშეკრულების დებულებები

(a) ნიშნები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ხელშეკრულება

23.2. მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება გამოიყენება ნიშნების მიმართ, რომლებიც ეკუთვნის საქონელს ან მომსახურებას. ამჟამად ყველა ქვეყანა არ ატარებს რეგისტრაციაში მომსახურების ნიშნებს და ამიტომ ქვეყნის ხელშეკრულებასთან მიერთების შედეგად იგი ვალდებული იქნება რეგისტრაციაში გაატაროს ეს ნიშნები. გარდა ამისა, მე-16 მუხლის თანახმად ასეთი ქვეყანა ვალდებულია აგრეთვე, მიუყენოს მომსახურების ნიშნებს პარიზის კონვენციის დებულებები, რომლებიც ეხება სასაქონლო ნიშნებს.

23.3. ხელშეკრულება არ გამოიყენება კოლექტიური, სასერტიფიკაციო და საგარანტიო ნიშნების მიმართ, რამეთუ მათი რეგისტრაცია, ჩვეულებრივ, მოით-

ხოვს სხვადასხვა ქვეყანაში საგანგებო ცვალებად პირობათა შესრულებას, რაც მეტისმეტად გააძნელებდა ჰარმონიზაციას. ჰოლოგრაფიული ნიშნები და ნიშნები, რომლებიც არ აღიქმება ვიზუალურად, ისეთი, როგორიცაა: ხმოვანი და ყნოსვითი ნიშნები, აგრეთვე ამოღებულია რეგულირების სფეროდან, რადგან მათი კვლავ წარმოება გრაფიკული საშუალებებით ძნელია და მხოლოდ ქვეყანათა უმნიშვნელო რაოდენობა ითვალისწინებს ასეთი ნიშნების დაცვას ეროვნულ კანონმდებლობაში.

23.4. რეგისტრირებული ნიშანი უნდა შედგებოდეს ვიზუალური აღნიშნებისაგან, ხოლო რაც შეეხება მოცულობით ნიშნებს, მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც იღებენ სარეგისტრაციოდ მოცულობით ნიშნებს, ვალდებული არიან გაავრცელონ ხელშეკრულების მოქმედება ასეთ ნიშნებზე.

(b) განაცხადები

23.5. ხელშეკრულების მე-3 მუხლი შეიცავს ცნობათა ამომწურავ ჩამონათვალს, რაც შეიძლება მოითხოვოს უწყებამ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის მიმართ. ასეთი ცნობებია, მაგალითად, განმცხადებლის ან მისი რწმუნებულის თუ სახეზეა ასეთი სახელი და გვარი, განცხადება პრიორიტეტის შესახებ, თუ გამოითხოვება პრიორიტეტი ადრე შეტანილი განაცხადით, ნიშნის ერთი, ან რამდენიმე გამოსახულება ნიშნის ფერისა, ან მოცულობის მიხედვით საქონლის, ან მომსახურების სახელწოდების მიხედვით, რომლებისთვისაც გამოითხოვება ნიშნის რეგისტრაცია და რომლებიც დაჯგუფებულია ნიცის კლასიფიკაციის კლასების მიხედვით, ან განცხადება ნიშნის გამოყენების განზრახვის შესახებ, ან ნიშნის ფაქტობრივი გამოყენების შესახებ. უწყებას არ შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ცნობათა წარდგენა, მაგალითად ამონაწერი სავაჭრო რეესტრიდან, იმის აღნიშვნა, რომ განმცხადებელი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც შეესაბამება განაცხადში ჩამონათვალ საქონელსა ან მომსახურებას.

23.6. ერთი განაცხადი შეიძლება ეხებოდეს რამდენიმე საქონელს, ან მომსახურებას. ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, უწყება ვალდებულია მიიღოს განაცხადი მაშინაც კი, თუ მასში აღნიშნული საქონელი ან მომსახურება ეკუთვნის ნიცის კლასიფიკაციის რამდენიმე კლასს. ასეთ შემთხვევაში ასეთი განაცხადით შეიძლება მხოლოდ ერთი რეგისტრაციის წარმოება.

37.7. უწყებას არ შეუძლია განაცხადის უარყოფა, რომელიც გაფორმებულია წერილობითი სახით ქაღალდზე, თუ წარმოდგენილია ბლანკზე, რომელიც შეესაბამება ინსტრუქციით გათვალისწინებული განაცხადის ტიპობრივ ბლანკს, ან თუ ნებადართულია შეტყობინებათა გადაცემა უწყებაში ტელეფაქსით, განაცხადის ბლანკის შესაბამისი ქაღალდის ასლის სახით, რომელიც მიღებულია ასეთი გადაცემის შედეგად.

(c) წარმომადგენლობა

23.8. ხელშეკრულებების მე-4 მუხლის შესაბამისად ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ განმცხადებლის, ან მფლობელის წარმომადგენელი უფლება მოსილი იყოს განახორციელოს საქმიანობა მისი უწყების წინაშე და რომ პირი,რომელიც არ ცხოვრობს და არ გააჩნია არაფიქტიური და მოქმედი სამრეწველო, ან სავაჭრო მის ტერიტორიაზე, წარმოდგენილი იყოს წარმომადგენლად. ამ დებულების შესაბამისად მინდობილობა შეიძლება ეხებოდეს რამდენიმე არსებულ, ან მომავალ რეგისტრაციას, ან განაცხადს.

(d) შეტანის თარიღი

23.9. შეტანის თარიღის დადგენას აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ გავითვალისწინებთ ამ თარიღისათვის წარმოჩენილ უფლებებს და პრიორიტეტის უფლების გამოთხოვის შესაძლებლობას, რომელიც მოქმედებს აღნიშნული თარიღიდან შემდგომი განაცხადების მიმართ სხვა ქვეყნებში. ხელშეკრულების მე-5 მუხლი ითვალისწინებს ცნობათა მაქსიმუმს, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს უწყებამ შეტანის თარიღის დასადგენად. ისინი შეიცავენ მონაცემებს განმცხადებლის იდენტიფიკაციისათვის და კავშირის დასადგენად განმცხადებელთან ან მის წარმომადგენელთან, ნიშნის გამოსახულებას, საქონლისა და მომსახურების ნუსხას, რომელთათვისაც გამოითხოვება რეგისტრაცია და ა.შ. გარდა ამისა, შეტანის თარიღის დასადგენად უწყებას შეუძლია მოითხოვოს გადასახადის გადახდა, თუ ეროვნული კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნების შესახებ შეიცავდა ამ პირობას ამ ქვეყნის მიერთებამდე ხელშეკრულებასთან.

23.10. თუ გარკვეული საქონლისა და მომსახურების მხრივ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე მიღებულია უარი, ხელშეკრულების მე-7 მუხლი ითვალისწინებს, რომ განმცხადებელს შეუძლია გაყოს განაცხადი, რათა აიცდინოს შეფერხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიღებაში იმ საქონელზე, ან

მომსახურებაზე, რომელთა რეგისტრაციაზე არ იყო მიღებული უარი და შეიინარჩუნოს თავდაპირველი განაცხადის ან მისი პრიორიტეტის, თუ ასეთი არსებობს თარიღი. ამავე დროს განმცხადებელს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო საჩივარი განაცხადის მიმართ, რომელიც ეხება იმ საქონელსა, ან მომსახურებას, რომელთა რეგისტრაციაზე უარი იყო მიღებული.

(e) ხელმოწერა

23.11. ხელშეკრულების მე-8 მუხლი შეიცავს დებულებებს ხელმოწერისა და შეტყობინების წყაროს დადასტურების სხვა საშუალებათა მხრივ, ისეთი, როგორიცაა განაცხადის შეტანა უწყებაში, კერძოდ, თუ შეტყობინების გადაცემა ხორციელდება ფაქსიმილური ან ელექტრონული კავშირით. უწყებას შეუძლია საკუთარი ხელმოწერის მაგივრად ხელმოწერის ნატვიფრის ან შტამპელის, ან ბეჭდის გამოყენების ნება დართოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელმოწერის დამოწმების, სანოტარო დამოწმების, ლეგალიზაციის, ან სხვაგვარი დადასტურების მოთხოვნის აკრძალვას იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმოწერა ეხება რეგისტრაციაზე უარს, თუ ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით.

(b) ცვლილებები და შესწორებები, რომლებიც ეხება განაცხადებსა და რეგისტრაციებს

23.12. ხელშეკრულების მე-10 და მე-11 მუხლები შეიცავენ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებენ განცხადებას გვარის, მისამართის და უფლებამფლობელის შეცვლის შესახებ ჩანაწერის შეტანის თაობაზე. მე-12 მუხლი შეიცავს ცნობათა მაქსიმუმს, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს უწყებამ შეცდომების გასაწორებლად, რომლებიც დაშვებულია განმცხადებლის, ან მფლობელის მიერ ნებისმიერ უწყებაში გაგზავნილ შეტყობინებაში, რაც ასახულია რეესტრში. მე-10 და მე-12 მუხლების დებულებები გამოყენება ცვლილებებისა და შესწორებების მიმართ განაცხადებთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ეს დებულებები ითვალისწინებენ, რომ საკმარისია ერთი განცხადება მაშინაც კი, თუ ცვლილებები ან შესწორებები ეხება რამდენიმე განაცხადს, ან რამდენიმე რეგისტრაციას, ან ერთსაც და მეორესაც. განცხადებაში მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული შესაბამისი ცნობები, რომლებიც არსებობს უწყებაში, და აგრეთვე, გამოთხოვილი ცვლილებები, ან შესწორებები. უწყებას არ შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებაში მოხსენიებულისაგან განსხვავებული დამატებითი ცნობების წარდგენა იმ შემთხვევების გარდა, როდესაც უწყებას უჩნ-

დება დასაბუთებული ეჭვი მიღებული ინფორმაციის უტყუარობის მიმართ, მაგალითად, თუ მას გაუჩნდა ეჭვი, რომ გვარისა და მისამართის შეცვლა სინამდვილებში მფლობელის შეცვლაა. კერძოდ, უწყებას ეკრძალება ნებისმიერი მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა, რომლებიც ეხება გვარსა და მისამართს ან იმას, რომ მფლობელი ახორციელებს მოქმედებებს, რომლებიც შეესაბამება საქონელსა და მომსახურებას, რომლებზედაც ვრცელდება მფლობელის შეცვლა, ან იმას, რომ ყოფილმა მფლობელმა გადასცა თავის საწარმოო ახალ მფლობელს.

23.13. მფლობელის შეცვლის თაობაზე ჩანაწერის შეტანის შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევაში უწყებას შეუძლია მე-11 მუხლის თანახმად, მოითხოვოს ხელშეკრულების დამოწმებული ასლი ან ხელშეკრულების ამონაწერი, მოწმობა ან სხვა დოკუმენტი ნიშანზე უფლების გადაცემის შესახებ. თუ მფლობელის შეცვლა არის საწარმოთა გაერთიანების შედეგი, ან გამოწვეულია იურიდიული გარემოებებით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგალითად, მემკვიდრეობით მიღების, ან ბანკროტობის შემთხვევაში, უწყებას შეუძლია მოითხოვოს, რომ განცხადებას თან ახლდეს მფლობელის შეცვლის დამადასტურებელი დრკუმენტის დამოწმებული ასლი.

23.14. უწყების მიერ დაშვებული შეცდომა უნდა შესწორდეს ex officio, ან მფლობელის თხოვნით.

(g) რეგისტრაციის მოქმედების ვადა და მისი გაგრძელება

23.15. ხელშეკრულების მე-13 მუხლი ითვალისწინებს მოქმედების ათი წლის ვადას სასაქონლო ნიშნის თავდაპირველი რეგისტრაციისთვის შემდგომი ათწლიანი პერიოდებით გაგრძელების შესაძლებლობით. რეგისტრაციის გაგრძელების შესახებ მუხლში ჩამოთვლილია მოთხოვნათა მაქსიმუმი, რომლებიც შეიძლება დაადგინოს უწყებამ. ისინი შეესაბამება მოთხოვნებს განაცხადის შეტანის მიმართ. კერძოდ, უწყებას არ შეუძლია ნიშნის არსობრივი ექსპერტიზის ჩატარება მისი რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით, ან არ შეუძლია მოითხოვოს ნიშნის გამოსახულების, ან მისი გამოყენების მტკიცებულებათა წარდგენა.

(h) ხელშეკრულების სხვა დებულებები

13.16. გვარის, მისამართის და უფლებამფლობელის შეცვლის თაობაზე ჩანაწერის შეტანის შესახებ თხოვნაზე, ან შეცდომის შესწორების შესახებ განცხადებაზე ან რეგისტრაციის გაგრძელებაზე სავარაუდო უარის შემ-

თხვევაში უწყებამ უნდა მისცეს განცხადების შემტან მხარეს, მე-4 მუხლის შესაბამისად, შენიშვნის გაკეთების შესაძლებლობა გონივრული ვადის განმავლობაში სავარაუდო კართან დაკავშირებით.

13.17. საერთოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება ადგენს პირობათა მაქსიმუმს, რომელთა შესრულება შეიძლება მოითხოვოს უწყებამ განაცხადის, წარმომადგენლობის, გაგრძელების მხრივ და ა.შ. უწყებას მაინც აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი ცნობების წარდგენა, მხოლოდ თუ მას გააჩნია საკმარისი საფუძველი ეჭვი შეიტანოს მიღებული ინფორმაციის უტყუარობაში.

13.18. გარდა ამისა, ხელშეკრულება აძლევს უწყებას შესაძლებლობას მოითხოვოს, რომ ნებისმიერი რეგისტრირებული განაცხადი ან შეტყობინება წარდგენილი იყოს უწყების ენაზე ან მის მიერ მიღებულ ერთ-ერთ ენაზე.

(i) სხვა კონვენციათა დებულებების დაცვა

23.19. ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონის შესახებ არ შეიცავს არავითარ ვალდებულებებს ხელშემკვრელი მხარისთვის სხვა საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებაზე. მაგრამ მე-15 მუხლში დათქმულია, რომ ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა დაიცვან პარიზის კონვენციის დებულებები ნიშნების მიმართ. მე-3 მუხლიდან, რომელიც ეხება განაცხადის შეტანას, გამომდინარეობს, რომ ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ნიცის კლასიფიკაციის გამოყენება განაცხადში საქონლისა და მომსახურების დასახელებათა დაჯგუფების მიმართ.

(j) ინსტრუქციები და ტიპური საერთაშორისო ბლანკები

13.20. ხელშეკრულების დებულებები შევსებულია ინსტრუქციით, რომელიც შეიცავს წესებს, რაც ეხება დეტალებს, რომლებიც აადვილებენ დებულებების მიღებას ადმინისტრაციული მოთხოვნებისა და პროცედურების შესახებ ხელ-შეკრულების შესაბამისად. წესები არეგულირებენ მოთხოვნებს განაცხადთა, წარმომადგენლობათა, შეტანის თარიღის, ხელმოწერის, მოქმედების ვადის, გაგრძელების გვარებისა და მისამართების მითითების წესის და განაცხადის იდენტიფიკაციის მიმართ მისი ნომერის გარეშე. წესები აწესებენ, მაგალითად, ნიშნის გამოსახულებათა რაოდენობას, რომლებიც უნდა დაერთოს განაცხადს, ვადებს, რომლებიც ეხება საფასურის გადახდას, და სხვა შეტყობინებებს უწყებაში, ისეთი როგორიცაა მინდობილობის წარდგენა, შესწორებათა შეტანის შეთავაზება მოთხოვნათა დაუცველობის შემთხვევაში და ა.შ.

23.21. ინსტრუქცია შეიცავს აგრეთვე რვა ტიპობრივ საერთაშორისო ბლანკს, რომლებიც ეხება განაცხადის შეტანას, განცხადებას რეგისტრაციის ვადის გაგრძელებაზე, ჩანაწერის შეტანას გვარის, მისამართისა და მფლობელის შეცვლის შესახებ, შეცდომების შესწორებას, რწმუნებულის დანიშვნას, მოწმობას უფლების გადაცემისა და დოკუმენტებს უფლების გადაცემის შესახებ. იმ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნა ინფორმაციის წარდგენის შესახებ არ არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით, მაგრამ მაინც დაიშვება ხელშეკრულების შესაბამისად, მაგალითად, განაცხადის მიმართ. უწყებას შეუძლია მოამზადოს "ინდივიდუალიზებული საერთაშორისო ბლანკი". ეს ბლანკი არ უნდა შეიცავდეს სავალდებულო მოთხოვნებს, რომლებიც ავსებენ ხელშეკრულებას ან ინსტრუქციას, ან ეწინააღმდეგებიან მათ. ტიპობრივი საერთაშორისო ბლანკების, ან ინდივიდუალიზებული საერთაშორისო ბლანკების გამოყენებისას განმცხადებლები და სხვა მხარეები შეიძლება დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ხელშემკვრელი მხარის არც ერთ უწყებას არ შეუძლია უარის თქმა განაცხადზე, ან განცხადებაზე, რომლებიც გაფორმებულია ამ ბლანკების შესაბამისად.

(k) გარდამავალი დებულებები

23.22. ხელშეკრულების გარდამავალი დებულებები საშუალებას აძლევენ ხელშემკვრელ მხარეს გადაავადოს სასაქონლო ნიშნების შესახებ თავისი ეროვნული კანონმდებლობის მოყვანა ხელშეკრულების შესაბამისად 2004 წლის 28 სექტემბრამდე, მაგალითად, ერთი განაცხადის შეტანის შესაძლებლობის მიმართ საქონლისა და მომსახურებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა კლასს, განაცხადში ხელმოწერისა და მინდობილობაში ხელმოწერის დამოწმების მოთხოვნის აკრძალვის მიმართ, განცხადების შეტანის და/ან მტკიცებულებათა წარდგენის მიმართ ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით, მისი რეგისტრაციის გაგრძელების და, აგრეთვე, რეგისტრაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით არსობრივი ექსპერიტიზის ჩატარებაზე უარის თქმის მიმართ.

23.23. 1996 წლის 1 ოქტომბრისთვის ხელშეკრულების მონაწილე იყო შემდეგი ექვსი სახელმწიფო: მონაკო, რესპუბლიკა მოლდავა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, უკრაინა, ჩეხეთის რესპუბლიკა და შრი-ლანკა.

თავი 24
კონვენციები კლასიფიკაციის შესახებ*

A. ნიცის შეთანხმება ნიშანთა რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ

(a) შესავალი

24.1. ნიცის შეთანხმება ნიშანთა რეგისტრაციისათვის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია 1957 წლის 15 ივნისს. ის ძალაში შევიდა 1961 წლის 8 აპრილს, გადასინჯული იყო სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და ჟენევაში - 1977 წლის 13 მაისს (ამ უკანასკნელი გადასინჯვის შემდეგ ტექსტს შემდგომში ეწოდა "ჟენევის აქტი"). აქ განხილულ ტექსტს საფუძვლად უდევს ჟენევის აქტის დებულებები.

24.2. ნიცის შეთანხმების შესაბამისად, საერთაშორისო კლასიფიკაცია შეიცავს:

(1) კლასების ჩამონათვალს, რომელსაც თან ახლავს განმარტებითი ბარათები; ჩამონათვალი შეიცავს 34 კლასს საქონლისათვის და 8 კლასს მომსახურებისათვის;

(2) საქონლისა და მომსახურების ანბანური ჩამონათვალი (შემდგომ "ანბანური ჩამონათვალი"), რომელიც მიუთითებს კლასზე, რომელსაც მიეკუთვნება ყოველი საქონელი და მომსახურება.

24.3. ნიცის კლასიფიკაცია არსებობს როგორც ინგლისურ, ისე ფრანგულ ენაზე, ამასთან, ორივე ტექსტი ავთენტიკურია. ამჟამად არსებობს აგრეთვე ნიცის კლასიფიკაციის ოფიციალური ტექსტები, ან ოფიციალური თარგმანები: ჰოლანდიურ, იტალიურ, ესპანურ, გერმანულ, ნორვეგიულ და რუსულ ენებზე. არსებობს, აგრეთვე, ტექსტები ჩინურ და იაპონურ ენებზე, თუმცა ისინი არ წარმოადგენენ ოფიციალურ თარგმანს.

(b) ნიცის კლასიფიკაციის სამართლებრივი მოქმედების სფერო და გამოყენება

24.4. ნიცის შეთანხმების მე-2(3) მუხლის შესაბამისად, აუცილებლად საჭიროა, რომ ნიცის კავშირის ქვეყნებმა ოფიციალურ ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში შეიტანონ კლასების ნომ-

რები კლასიფიკაციის მიხედვით, რომლებსაც ეკუთვნის ის საქონელი და მომსახურება, რომლებისთვისაც რეგისტრირებულია ნიშანი.

24.5. ნიცის კავშირის ყველა ქვეყანა იყენებს ნიცის კლასიფიკაციას სურვილის მიხედვით. მაგალითად, კლასიფიკაცია არ ზღუდავს ნიცის კავშირის ქვეყნებს არც ნიშნის დაცვის მოცულობის შეფასების და არც მომსახურების ნიშნების აღიარების მხრივ (მუხლი 2(1).

24.6. ნიცის შეთანხმების მე-2(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ ნიცის კავშირის ყველა ქვეყანა იტოვებს უფლებას გამოიყენოს ნიცის კლასიფიკაცია ან როგორც მთავარი, ან როგორც დამხმარე სისტემა. ამით გათვალისწინებულია, რომ ნიცის კავშირის ქვეყნები თავისუფალნი არიან საქონლისა და მომსახურების ნიცის კლასიფიკაციის როგორც ერთადერთი კლასიფიკაციის არჩევაში, რომელიც გამოიყენება ნიშნების რეგისტრაციის მიზნით, ან საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციის არსებული ეროვნული სისტემის შენარჩუნებაში, ნიცის კლასიფიკაციის დამატებით კლასიფიკაციად გამოყენებით, რომელიც მითითებული იქნება ნიშნების ოფიციალურ პუბლიკაციებშიც.

24.7. დაბოლოს, ნიცის შეთანხმების მე-2(4) მუხლი ითვალისწინებს, რომ ნიცის კლასიფიკაციის საქონლისა და მომსახურების ანბანურ ჩამონათვალში თავად ტერმინის შეტანის ფაქტი არავითარ შემთხვევაში არ ეხება უფლებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს ეს ტერმინი.

(c) ნიცის კავშირის ასამბლეა და ექსპერტთა კომისია

24.8. ქვეყანა, რომელიც გახდა ნიცის შეთანხმების მონაწილე, ავტომატურად ხდება ნიცის კავშირის ასამბლეის წევრი.

24.9. ასამბლეა თავის მორიგ სხდომას ატარებს ორ წელიწადში ერთხელ; ჩვეულებრივ, ასეთ მორიგ სესიებს იწვევენ იმავე პერიოდში და იმავე ადგილას, როგორც პარიზის კავშირის ასამბლეას, ისმოს კონფერენციასა და გენერალურ ასამბლეას. ასამბლეა დაკავებულია ყველა საკითხით, რომელიც ეხება ამ სპეციალური კავშირის დაცვასა და განვითარებას და ნიცის შეთანხმების რეალიზაციას. კერძოდ, ის აყალიბებს პროგრამას და იღებს კავშირის ბიუჯეტს.

24.10. ნიცის შეთანხმების მონაწილე ყოველი ქვეყანა ასევე წარმოდგენილია ექსპერტთა კომიტეტში, რომელიც დაფუძნებულია შეთანხმებით. ექსპერტთა კომიტეტს:

(1) გამოაქვს გადაწყვეტილება ნებისმიერ ცვლილებებზე კლასიფიკაციაში;

(2) აძლევს რეკომენდაციებს სპეციალური კავშირის ქვეყნებს კლასიფიკაციის გამოყენებისთვის ხელშეწყობისა და მისი ერთსახოვანი სარგებლობის მიზნით;

(3) იღებს ნებისმიერ სხვა ღონისძიებას, რომელიც არ იწვევს საფინანსო შედეგებს სპეციალური კავშირის ან ორგანიზაციის ბიუჯეტისათვის, ისეთს, როგორიცაა ხელშეწყობა კლასიფიკაციის გამოყენებაში განვითარებადი ქვეყნებისთვის;

(4) უფლება აქვს შექმნას ქვეკომიტეტები და სამუშაო ჯგუფები.

24.11. პრაქტიკაში ნიცის კლასიფიკაციისათვის შემოთავაზებულ ცვლილებებს შეისწავლიან ასეთი ქვეკომიტეტები და სამუშაო ჯგუფები, ხოლო შემდეგ მიიღება ექსპერტთა კომიტეტის მიერ კლასიფიკაციაში შესატანად.

24.12. ამიტომ ნიცის კავშირის წევრობა საშუალებას აძლევს ქვეყნებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ნიცის კლასიფიკაციის პერიოდულ გადასინჯვაში და შეძლებისდაგვარად მოახდინონ ტექნიკური დამუშავებისა და ეროვნული ინტერესებისადმი მისი ადაპტაცია.

(d) ნიცის კლასიფიკაციის გამოყენება და მოდერნიზაცია

24.13. ამჟამად ნიცის შეთანხმების მონაწილე ქვეყნების გარდა 80-ზე მეტი სხვა ქვეყანა სარგებლობს ნიცის კლასიფიკაციით და, ამგვარად, კლასიფიკაციას იყენებს 100-ზე მეტი ქვეყანა.

24.14. ისმოს საერთაშორისო ბიუროში დაფუძნებულია სასაქონლო ნიშნების კლასიფიკაციის სამსახური. მისი ამოცანაა კონსულტაციების ჩატარება კლასიფიკაციის მხრივ ნებისმიერი შემკითხველი პირისათვის. მკითხველი შეიძლება იყოს აგრეთვე ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უწყება, აგენტი, ინდივიდუალური, ან კერძო საწარმო. ეს სამსახური განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ახალი პროდუქტების კლასიფიცირება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები კლასიფიკაციაში. ამასთან, ნიცის შეთანხმების წევრი ქვეყნებისა და, აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნების ეროვნული უწყებები სარგებლობენ ფასდაკლებით მომსახურების მხრივ. ისმოს საერთაშორისო ბიურო ყოველთვიურად იღებს 10-დან 20-მდე

მოთხოვნას კლასიფიკაციაზე სამრეწველო საკუთრების ეროვნული უწყებებისა და მოქმედ სამრეწველო საკუთრების აგენტებისაგან, ნიშნის მფლობელის სახელით.

24.15. ნიცის კლასიფიკაციის განახლება გამუდმებით ხდება. მხედველობაშია მისაღები, რომ ანბანური ჩამონათვალის პირველი სრული პროექტი გაჩნდა 1935 წელს. პროექტი შესწორებებით მიიღეს ნიცის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1957 წელს. ეს ნიშნავს, რომ ნიცის კლასიფიკაცია მოქმედებს უკვე ოცდაათ წელზე მეტ ხანს. ამ ოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი პროდუქტი, რომელიც იყო პირველ ანბანურ ჩამონათვალში, გაქრა ბაზრიდან, მაშინ, როცა გაჩნდა სხვა მრავალი. მაგალითად, გაჩნდა ახალი პლასტიკის საქონელი, ლაზერები, კომპიუტერები, ახალი კომპიუტერული რედაქტორული სისტემები, რომლებმაც მთლიანად რევოლუციურად შეცვალეს მუშაობის ტრადიციული მეთოდები. ყველა ეს ახალი პროდუქტი შეტანილი უნდა იქნეს ანბანურ ჩამონათვალში, ხოლო ბაზრიდან გამქრალი პროდუქტები ამოღებული უნდა იყოს ჩამონათვალიდან. ნიცის კლასიფიკაციის განახლებას ახორციელებს ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც შედგება შეთანხმების მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებისგან (იხ. ზემოთ მე-12 პუნქტი).

24.16. ექსპერტთა კომიტეტი ატარებს სხდომებს რეგულარულ საფუძველზე ყოველ 3-5 წელიწადში ისმოს გენერალური დირექტორის ინიციატივით. ამ მომენტისათვის ექსპერტთა კომიტეტმა ჩაატარა 15 სხდომა. ექსპერტთა კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ანბანურ ჩამონათვალში შესატანი ცვლილებების შესახებ, კლასების სახელწოდებათა ფორმულირებისა და შესაბამისი განმარტებითი ბარათების, აგრეთვე, საერთო შენიშვნების შესახებ, რომლებიც კლასთა ჩამონათვალის წინაა.

24.17. ანბანური ჩამონათვალის შესწორებებმა შეიძლება მიიღოს შემდეგი ფორმები:

(1) ცალკეული პუნქტის ამოღება ანბანური ჩამონათვალიდან. ეს ხდება განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც პროდუქტის შეძენა ბაზარზე უკვე აღარ შეიძლება, ან თუ მოცემული პროდუქტი მოცულია უფრო ფართო გვარეობითი ტერმინით. მაგალითად, ექსპერტთა კომიტეტის შემდგომ სხდომას შესთავაზეს G0288 პუნქტის - ზედაპირი ღარაკის დასაჭდევად – ამოღება ჩამონათვალიდან. ზედაპირი ღარაკის დასაჭდევად გამოიყენება ხუროს საქმეში ღარაკების (ღარების) მისაღებად. ამიტომ (ზედაპირი) წარმოადგენს მჭრელი

ინსტრუმენტის სახეობას, რომელსაც მოიცავს პუნქტი P 0386 – მჭრელი ზედაპირი და ამ სახელწოდების თარგმნას სხვა ენებზე შეუძლია შექმნას პრობლემები;

(2) პუნქტის შეტანა ანბანურ ჩამონათვალში. ანბანურ ჩამონათვალში დამატებული პროდუქტები, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმოადგენენ ახალ საქონელს, რომელიც გამოჩნდა ბაზარზე ექსპერტთა კომიტეტის ორ სესიას შორის. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მზის ბატარეა (S0590) ან მზის კოლექტორი (გამაცხელებელი) (S0591), რომლებიც დამატებული იყო ანბანურ ჩამონათვალში მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა მზის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობა.

(3) პუნქტის ფორმულირების შეცვლა ანბანურ ჩამონათვალში. ზოგჯერ ამის გაკეთება საჭიროა არსებული ფორმულირების დასაზუსტებლად პროდუქტის ფუნქციის ან დანიშნულების დამატების გზით, მაგალითად, „ელექტრონული“ ან „სამედიცინო მიზნებისათვის“, ან იმისთვის, რომ გაკეთდეს განსხვავება ომონიმებს შორის, რომლებიც სხვადასხვაგვარად უნდა იყოს კლასიფიცირებული, მაგალითად, კოსმეტიკური ნიღაბი (C103) და სათამაშო ნიღაბი (C128);

(4) პროდუქტის ერთი კლასიდან სხვა კლასში გადატანა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ცვლილებას ძალიან იშვიათად აქვს ადგილი, რიგ შემთხვევაში ის მაინც აუცილებელია. მაგალითად, ჰალსტუხის სამაგრი და საკინძი უბრალო ლითონისაგან, რომლებიც ადრე 26-ე კლასში მოხვდნენ, როგორც ტანისამოსის ნივთები, ახლა უკვე საიუველირო საგნებს მიეკუთვნებიან და ამიტომაც შედიან მე-14 კლასში.

24.18. კლასების სახელწოდებათა ფორმულირებებისა და განმარტებითი ბარათების გადასინჯვა ასევე გამუდმებით ხდება ყოველი კლასის შინაარსის დასაზუსტებლად და მათი ადაპტაციისათვის ვაჭრობასა და მრეწველობაში ცვლილებებისადმი.

24.19. ისმოს გენერალური დირექტორის მოწვევით ქვეყნებს, რომლებიც არ არიან ნიცის შეთანხმების მონაწილენი, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც სპეციალიზდებიან ნიშნების საკითხებში და, აგრეთვე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ექსპერტთა კომიტეტის სხდომებში როგორც დამკვირვებლებმა.

24.20. პრაქტიკაში ნიცის კლასიფიკაციის განახლება ხდება შემდეგნაირად: თავდაპირველად საერთაშორისო ბიურო სთხოვს ნიცის კავშირის წევრ ქვეყნებს, გამოუგზავნონ მას ნებისმიერი წინადადება კლასიფიკაციის შეცვლის შესახებ, რომელთა განხილვაც მათ სურთ ექსპერტთა კომიტეტის სხდომაზე; შემდეგ მიღებული წინადადებების საფუძველზე საერთაშორისო ბიურო ამზადებს დოკუმენტს, რომელიც დაიგზავნება შესასწავლად მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის წევრ ქვეყნებში. სხდომაზე მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის წევრები წარმოადგენენ თავის შენიშვნებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ექსპერტთა კომიტეტისათვის, ე.ი. განსაზღვრავენ, თუ რომელი წინადადებაა მისაღები, რომელი უნდა უარყონ ან როგორ უნდა შეიცვალოს, რომ მისაღები გახდეს. იმის გამო, რომ მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილე ქვეყანათა რაოდენობა შედარებით მცირეა, მისი მუშაობა უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ეს იქნებოდა ექსპერტთა კომიტეტის შემთხვევაში. ამიტომ ექსპერტთა კომიტეტი მუშაობს შეცვლის შესახებ იმ წინადადებებზე, რომლებიც უკვე იყო განხილული და რომლებსაც არ მოსდევს გაჭიანურებული დებატები. მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ექსპერტთა კომიტეტს შეუძლია შეასრულოს თავისი ამოცანა ოპტიმალურ პირობებში და მიიღოს გადაწყვეტილება უფრო შემჭიდროებულ ვადებში.

ლიტერატურა

ᲝᲡᲛᲝ-ს საერთაშორისო ბიურო, ნიცის ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიშნების რეგისტრაციის მიზნით, VWIPO-CEIPI/IP/SB/93/16

24.21. 1996 წლის 1 ოქტომბრისთვის ნიშანთა რეგისტრაციისთვის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ ნიცის შეთანხმების მონაწილე იყო 47 სახელმწიფო: ავსტრალია, ავსტრია, ალჟირი, ბარბადოსი, ბელგია, ბენინი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, უნგრეთი, გერმანია, დანია, ისრაელი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, ჩინეთი, კუბა, ლატვია, ლიბანი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, მალავი, მაროკო, მონაკო, ნიდერლანდი, ნორვეგია, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკია, სლოვენია, დიდი ბრიტანეთისა და

ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, ტაჯიკეთი, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი, ესტონეთი, იუგოსლავია და იაპონია.

B. ვენის შეთანხმება ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ

(a) შესავალი

24.22. ვენის შეთანხმება ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ მიღებული იქნა 1973 წლის 12 ივნისს დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელიც შედგა ვენაში (ავსტრია). შეთანხმება ძალაში შევიდა 1985 წლის 9 აგვისტოს.

(b) შეთანხმების ძირითადი თავისებურებანი

24.23. ეს შეთანხმება მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა დოკუმენტებთან, კერძოდ, 1975 წლის 15 ივნისის ნიცის შეთანხმებასთან ნიშანთა რეგისტრაციისათვის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ და 1971 წლის 24 მარტის სტრასბურგის შეთანხმებასთან საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ.

24.24. ისევე, როგორც ზემოაღნიშნული შეთანხმებები, ვენის შეთანხმებამ პარიზის კონვენციის შესაბამისად სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ დააფუძნა სპეციალური კავშირი (შემდგომში მოხსენიებულია როგორც კავშირი), რომელიც იყენებს ნიშანთა გამოსახულებითი ელემენტების საერთო კლასიფიკაციას (შემდგომში მოხსენიებულია როგორც საერთაშორისო კლასიფიკაცია). სასაქონლო ნიშნებისა და მომსახურების ნიშნების დიდი რაოდენობა შეიცავს ასეთ გამოსახულებით ელემენტებს, ხოლო კლასიფიკაცია იმ ნიშნების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, რომლებიც შედგება ერთნაირი ან მსგავსი ელემენტებისგან.

24.25. როგორც განსაზღვრულია შეთანხმებაში, საერთაშორისო კლასიფიკაცია შედგება "კატეგორიათა, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ჩამონათვალისგან, რომელთა მიხედვით კლასიფიცირებულია ნიშანთა გამოსახულებითი ელემენტები, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში თან ახლავს განმარტებითი ბარათე-

ბი”. საერთაშორისო კლასიფიკაციის დედანი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ამჟამად ინახება ისმოს გენერალურ დირექტორთან. გერმანული და ესპანური ვერსიები მოამზადა საერთაშორისო ბიურომ.

24.26. წინასწარი მოძიების ჩატარების გაადვილება, რაც საერთაშორისო კლასიფიკაციის ძირითადი მიზანია, შეთანხმების თანახმად არ ახდენს არავითარ ზემოქმედებას ნიშნისათვის მინიჭებული დაცვის მოცულობაზე. მაგრამ სახელმწიფოებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით შეუძლიათ მიანიჭონ კლასიფიკაციას სამართლებრივი კომპეტენცია, რომელიც სცილდება შეთანხმების მიერ მინიჭებულ უბრალო ადმინისტრაციულ შესაძლებლობებს.

24.27. კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო კლასიფიკაცია ან როგორც ძირითადი, ან როგორც დამხმარე სისტემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ გააჩნიათ არჩევანი: განიხილონ საერთაშორისო კლასიფიკაცია როგორც ერთადერთი გამოსაყენებელი კლასიფიკაცია ან გამოიყენონ ის ეროვნულ კლასიფიკაციასთან ერთად.

24.28. შეთანხმება მოითხოვს კავშირის წევრი ქვეყნების პასუხისმგებელი უწყებებისაგან ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში, რომლებიც ეხება ნიშნების რეგისტრაციასა და გაგრძელებას, კატეგორიათა, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ნომრების შეტანას, რომელთა შესაბამისად განაწილებულია ამ ნიშნების გამოსახულებითი ელემენტები. მაგრამ ამ მოთხოვნას არა აქვს უკუძალა იმ მხრივ, რომ შეთანხმების მონაწილე ქვეყნების უწყებები ვალდებულნი არ არიან მოახდინონ კლასიფიკაცია გამოსახულებითი ნიშნებისა, რომლებიც რეგისტრირებულია მათ ტერიტორიაზე შეთანხმების ძალაში შესვლამდე; მეორე მხრივ, მათი კლასიფიკაცია მოხდება ასეთ ნიშანთა რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში.

24.29. ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში რეგისტრაციის შესახებ კატეგორიათა, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ნომრები უნდა გაგრძელდეს სიტყვებით: “გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია” ან შემოკლებით, რომელიც ექსპერტთა კომიტეტმა ჯერ კიდევ უნდა განსაზღვროს.

24.30. შეთანხმება ნებას რთავს წევრ ქვეყნებს დაიტოვონ საერთაშორისო კლასიფიკაციის გამოუყენებლობის შესაძლებლობა (ან არ მიიღონ ის მთლიანობაში) უფრო ზუსტი დაყოფის მხრივ, ან, ვთქვათ, ქვეჯგუფთა მითითების გარეშე. ამ დებულებას მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იმ უწყებები-

სათვის, რომლებიც რეგისტრაციაში ატარებენ ნიშანთა მხოლოდ მცირე რაოდენობას.

24.31. საერთაშორისო კლასიფიკაცია შეიცავს არა მხოლოდ ქვეჯგუფებს, რომლებიც საჭიროა მათში ყველა გამოსახულებითი ელემენტის განაწილებისათვის. ის შეიცავს აგრეთვე დამატებით გამოსახულებითი ელემენტებისათვის განკუთვნილ ქვეჯგუფებს, რომლებიც უკვე მოცულია (ძირითადი) ქვეჯგუფებით, მაგრამ რომელთა დაჯგუფება ითვლება მიზანშეწონილად გარკვეული კრიტერიუმის თანახმად მოძიების გასაადვილებლად.

24.32. სხვა მხრივ, შეთანხმების მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან გამოიყენონ საერთაშორისო კლასიფიკაცია იმ სახით, რა სახითაც ის არსებობს. მათ, მაგალითად, არ შეუძლიათ კატეგორიათა, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შინაარსის ან ნომრის შეცვლა, სხვადასხვა ქვეჯგუფების დაჯგუფება ერთიანი ქვეჯგუფის შესაქმნელად, ან ახალი ქვეჯგუფების შექმნა, იმისდა მიუხედავად, ძირითადია თუ დამატებითი ეს ქვეჯგუფები.

24.33. იმის გამო, რომ შეუძლებელია პასუხისგების დაკისრება უშუალოდ სამთავრობათშორისო ორგანიზაციებზე, შეთანხმება ითვალისწინებს, რომ თუ შეთანხმების მონაწილე ქვეყანა ავალებს ნიშნების რეგისტრაციას სამთავრობათშორისო ორგანოს, მან უნდა მიიღოს ყველა შესაძლებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთმა ორგანომ გამოიყენოს საერთაშორისო კლასიფიკაცია შეთანხმების შესაბამისად. კლასიფიკაციის გამოყენებისას ეს ორგანო იქნება იმავე მდგომარეობაში, როგორც ეროვნული უწყება. კერძოდ, მას ექნება ზემოხსენებული დათქმის გამოყენების ისეთივე შესაძლებლობა.

24.34. შეთანხმებამ დააფუძნა ექსპერტთა კომიტეტი შესწორებებისა და დამატებების შესატანად საერთაშორისო კლასიფიკაციაში, რომლებიც გამოწვეულია ცვლილებებით ტექნოლოგიასა და ვაჭრობაში, ან ნაკარნახევია პრაქტიკით. ექსპერტთა კომიტეტი შედგება კავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან და, გადასინჯვის მხრივ ზემოთ აღწერილი მუშაობის გარდა, მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს კლასიფიკაციის გამოყენებაში, და, აგრეთვე, ხელი შეუწყოს მის ერთგვაროვან გამოყენებას. სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზებულია ნიშნების სფეროში და, აგრეთვე, სხვა სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება წარდგენილნი იყვნენ

დამკვირვებლებად ექსპერტთა კომიტეტის ან გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით.

24.35. ისმოს საერთაშორისო ბიურო ატყობინებს კავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს ექსპერტთა კომიტეტის მიერ შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, მის რეკომენდაციებთან ერთად, რომლებიც ძალაში შედის შეტყობინებიდან ექვსი თვის შემდეგ. მათი დედანი ბარდება შესანახად ისმოს გენერალურ დირექტორს. გარდა ამისა, საერთაშორისო ბიუროს შეაქვს ცვლილებები და დამატებები კლასიფიკაციაში და აქვეყნებს მათ კავშირის ასამბლეის მიერ დადგენილ პერიოდულ გამოცემებში.

(c) საერთაშორისო კლასიფიკაციის უპირატესობანი

24.36. სამრეწველო, ტექნიკურ და სავაჭრო ურთიერთობათა ინტერნაციონალიზაცია მოითხოვს ერთგვაროვანი მექანიზმების შექნას სამრეწველო საკუთრების სფეროში. ასეთივე ვითარებაა საერთაშორისო კლასიფიკაციებთან დაკავშირებით, რომლებიც შექმნილია სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის პროცესში. მათი მეშვეობით ეროვნული უწყებები ღებულობენ ინსტრუმენტებს, რომელთა შექმნა და სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნება სხვა შემთხვევაში მოუწევდა თითოეულ მათგანს. დოკუმენტაციის გაცვლისას საჭირო არ არის მათი რეკლასიფიკაცია.

24.37. ეს უპირატესობანი განსაკუთრებით თვალსაჩინოა განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ყოველთვის არა ჰყავთ შესაბამისი პერსონალი ასეთი ამოცანების გადასაწყვეტად. უპირატესობანი საშუალებას აძლევს მათ დაზოგონ მნიშვნელოვანი თანხები და დრო, რათა შესძლონ ყურადღების გამახვილება სხვა პრიორიტეტებზე.

24.38. ისეთ სპეციფიკურ სფეროში, როგორიც ნიშნებია, უკვე არსებობს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაცია, რომელიც შეიქმნა 1975 წლის 15 ივნისის ნიცის შეთანხმებით. ამ კლასიფიკაციამ შეუქმნა უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან წინასწარ მოძიებაზე, სამუშაო ინსტრუმენტი, რომლის სარგებლიანობა და ეფექტურობა დიდი ხანია დამტკიცებულია.

24.39. მაგრამ ამ მოძიების ჩატარებისას საჭიროა, აგრეთვე, ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიცირებაც. ამგვარად, ერთგვაროვანი კლასიფიკაცია უადვილებს ეროვნულ უწყებებს მუშაობას წინასწარი მოძიების

მხრივ. საერთაშორისო ბიურო, თავის მხრივ, იყენებს ნიშანთა გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციას გამოსახულებითი ნიშნების კოდირებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულია საერთაშორისო პროცედურის მიხედვით მადრიდის შეთანხმების შესაბამისად.

<u>ლიტერატურა</u>

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, <u>ვენის ხელშეკრულება ნიშნების ფიგურატიული ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ</u>, VWIPO-CEIPI/IP/S13/93/17

24.40. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ ვენის შეთანხმების მონაწილე იყო შემდეგი 7 სახელმწიფო: საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, შვედეთი, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი და თურქეთი.

C. ლოკარნოს შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ

(a) შესავალი

24.41. ლოკარნოს შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაფუძნების შესახებ წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილი იყო 1968 წლის 8 ოქტომბერს. ის ძალაში შევიდა 1971 წლის 27 აპრილს.

24.42. ლოკარნოს შეთანხმება შედგება სამი ნაწილისაგან:

(1) კლასებისა და ქვეკლასების ჩამონათვალი; სულ არის 31 კლასი და 211 ქვეკლასი;

(2) საქონლის ანბანური ჩამონათვალი, რომელშიც შეტანილია სამრეწველო ნიმუშები; ეს ჩამონათვალი შეიცავს საერთო ანგარიშით დაახლოებით 6000 ჩანაწერს;

(3) განმარტებითი ბარათები.

24.43. ლოკარნოს კლასიფიკაცია არსებობს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი წარმოადგენს დედანს. ლოკარნოს კლასიფიკაციის

ოფიციალური ტექსტები – იმ ენებზე, რომლებიც შეუძლია მიუთითოს ასამბლეამ, და რომლებიც მოხსენიებულია მოცემული ბარათის მე-7 და მე-8 პუნქტებში, - შემუშავებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმოს) საერთაშორისო ბიუროს მიერ დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების საფუძველზე.

24.44. ამჟამად გაკეთებულია ლოკარნოს კლასიფიკაციის თარგმანი გერმანულ და ესპანურ ენებზე. ხორციელდება აღნიშნული კლასიფიკაციის თარგმანი იტალიურ და პორტუგალიურ ენებზე.

(b) ლოკარნოს კლასიფიკაციის იურიდიული მოქმედება და გამოყენება

24.45. ლოკარნოს შეთანხმების მე-2(3) მუხლის თანახმად ლოკარნოს კავშირის ქვეყნების სამრეწველო საკუთრების უწყებებმა ოფიციალურ დოკუმენტებში დეპონირების ან ნიმუშთა რეგისტრაციის შესახებ და, თუ ისინი ოფიციალურად ქვეყნდება, - ამ პუბლიკაციებში უნდა შეიტანონ ლოკარნოს კლასიფიკაციის კლასებისა და ქვეკლასების ნომრები, რომლებსაც მიეკუთნება ნიმუშის შემცველი საქონელი.

24.46. ყოველ ქვეყანას შეუძლია მისცეს ასეთ კლასიფიკაციას იურიდიული შედეგი, თუ ასეთი არსებობს, რომელსაც ის ჩათვლის საჭიროდ. კერძოდ, ლოკარნოს კლასიფიკაცია არ ზღუდავს ლოკარნოს კავშირის ქვეყნებს დაცვის ხასიათისა და მოცულობის მხრივ, რომელსაც ანიჭებენ ნიმუშებს ამ ქვეყნებში.

24.47. ლოკარნოს შეთანხმების მე-2(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ ლოკარნოს კავშირის ყოველ ქვეყანას შეუძლია დატოვოს უფლება გამოიყენოს ლოკარნოს კლასიფიკაცია როგორც ძირითადი, ან როგორც დამხმარე სისტემა. ეს ნიშნავს, რომ ლოკარნოს კავშირის ქვეყნებს აქვთ არჩევანი, მიიღონ ლოკარნოს კლასიფიკაცია ერთადერთ კლასიფიკაციად, რომელიც გამოიყენება სამრეწველო ნიმუშებისათვის, ან შეინარჩუნონ სამრეწველო ნიმუშების ეროვნული კლასიფიკაციის არსებული სისტემა და ლოკარნოს კლასიფიკაცია გამოიყენონ როგორც დამხმარე კლასიფიკაცია, აგრეთვე, შეიტანონ ის ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში ნიმუშების დეპონირების ან რეგისტრაციის შესახებ.

24.48. დაბოლოს, ლოკარნოს შეთანხმების მე-2(4) მუხლი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი სიტყვის შეტანა საქონლის ანბანურ ჩამონათვალში არ გამოხატავს ექსპერტთა კომიტეტის აზრს იმის თაობაზე, არის თუ არა ამგვარი სიტყვა განსაკუთრებული უფლებათა ობიექტი.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, ლოკარნოს ხელშეკრულებასამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ, WIPO-CEIPI/IP/SB/93/18

24.49. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაწესების შესახებ ლოკარნოს შეთანხმების მონაწილე იყო შემდეგი 26 სახელმწიფო: ავსტრია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, უნგრეთი, გერმანია, დანია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, ჩინეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, მალავი, ნიდერლანდი, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკია, სლოვენია, ტაჯიკეთი, ტრინიდადი და ტობაგო, ფინეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, შვეიცარია, შვედეთი და იუგოსლავია.

თავი 25
საერთაშორისო კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შესახებ ("რომის კონვენცია")

25.1. მომიჯნავე უფლებათა რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის მიმართ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ახორციელებს ისმო. შემდგომ თავებში განხილულია შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელიც ცნობილია როგორც რომის კონვენცია. 26-ე თავში განხილულია სხვა კონვენციები მომიჯნავე უფლებათა სფეროში.

A. რომის კონვენციის ევოლუცია

25.2. მომიჯნავე უფლებების გაჩენა ძირითადად ტექნიკური პროგრესის შედეგია. მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერთა უნებართვო ასლების მოხსნის წინააღმდეგ ღონისძიებები პირველად მიიღო ფონოგრამათა ინდუსტრიამ ეროვნულ დონეზე. გაერთიანებული სამეფოს 1911 წლის კანონმა საავტორო უფლების შესახებ ცნო ხმოვანი ჩანაწერის მწარმოებლების საავტორო უფლება, და ეს მიდგომა შემდეგ გამოყენებულ იქნა ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ, რომლებმაც მიიღეს საავტორო უფლების ინგლისურ-საქსონური კონცეფცია. ეს მოხდა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა, ერთი მხრივ, საავტორო ნაწარმოებისა და, მეორე მხრივ, ფონოგრამის დაცვიდან გამომდინარე შედეგებს შორის. სწორედ ამ კონტექსტში რიგ ქვეყანაში წამოიჭრა საკითხი შემსრულებელთა უფლებების დაცვის შესახებ. საერთაშორისო დონეზე ფონოგრამათა ინდუსტრიაში ასევე სწორედ პროგრესმა შეუწყო ხელი ღონისძიებათა მიღებას ე. წ. მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ.

25.3. როგორც რიგ ეროვნულ კანონმდებლობაში, პირველი წინადადებები, მიმართული ფონოგრამათა მწარმოებლებისა და შემსრულებელთა უფლებების დასაცავად საერთაშორისო დონეზე, ასევე დამყარებული იყო საავტორო უფლებათა დაცვაში მიღებულ მიდგომაზე. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კავშირის დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რომში 1928 წელს, შეთავაზებული იყო, რომ "როდესაც მუსიკალური ნაწარმოები ერთვის მექანიკურ ინსტრუმენტს შემსრულებელთა წვლილის გზით, უკანასკნელნი ასევე სარგებლობენ დაცვის სიკეთით, რომელიც ენიჭებოდა ასეთ დართვას". ამ მიდგომის საფუძველზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც კონფერენცია სთხოვდა მთავრობას განეხილა ღონისძიებათა მიღების შესაძლებლობა შემსრულებელთა ინტერესების დაცვის მხრივ.

25.4. მოგვიანებით, 1934 წელს, საზოგადოებათა, ავტორთა და კომპოზიტორთა საერთაშორისო კონფედერაციამ ხელი მოაწერა სტრეზში შეთანხმებას გრამაფონული ინდუსტრიის საერთაშორისო ფედერაციასთან, რომლის შესაბამისად, ბერნის კონვენციის გადასინჯვის მომავალ კონფერენციაზე, ამ უკანასკნელს უნდა შეეტანა დამატება, რომელიც ითვალისწინებდა: (I) ფონოგრამათა დაცვას ასლების უნებართვო მოხსნის წინააღმდეგ და (II) ფონოგრამათა მწარ-

მოებლების უფლებას სამართლიან გასამრჯელოზე მათი ფონოგრამების საყოველთაო შეტყობინებისათვის ეთერში გადაცემის ან კინემატოგრაფიის საშუალებით. მეორე მხრივ, დაწყებული 1926 წლიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) ამჟღავნებდა შეუნელებელ ინტერესს შემსრულებელთა დაცვისადმი და ეს საკითხი განიხილებოდა მის სესიაზე სამადენაში (შვეიცარია) 1939 წელს. ბერნის კავშირის ბიუროსთან ერთად მომზადებული იყო შესაბამისი პროექტები, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ყოველგვარი პროგრესი ამ სფეროში რამდენიმე წლით შეაფერხა.

25.5. ომის შემდეგ კვლავ დაისვა ბერნის კონვენციის გადასინჯვის საკითხი ბრიუსელის კონფერენციაზე (1948 წ.), მაგრამ შემსრულებლებისა და ფონოგრამათა მწარმოებლებისათვის უფლებების საერთაშორისო დონეზე მინიჭების ცდები საავტორო უფლებების ანალოგიურად, წარმატებით არ დაგვირგვინდა. ამავე დროს ითქვა სურვილი, რომ მთავრობებს გაეგრძელებინათ მუშაობა დაცვის ასეთი სახეობის მინიჭების მიმართულებით. ექსპერტთა სხვადასხვა კომიტეტებმა მოამზადეს კონვენციათა პროექტები, რომლებიც შეიცავდნენ საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა ინტერესების დაცვას: რომის პროტოკოლი (1951), შსო-ს ეგიდით მომზადებული პროექტი (1957) და მონაკოს პროექტი (1957), რომელიც მოამზადა ბერნის კავშირის საერთაშორისო ბიუროსა და იუნესკო-ს მიერ მოწვეულ ექსპერტთა ჯგუფმა. დაბოლოს, 1960 წელს ექსპეტთა კომიტეტი, რომელიც ერთობლივად მოიწვიეს ისმომ, იუნესკო-მ და შსო-მ, შეიკრიბა ჰააგაში და მოამზადა კონვენციის პროექტი. ეს პროექტი მიღებულ იქნა საფუძველად დიპლომატიურ კონფერენციაზე რომში, სადაც შეთანხმებული იყო შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის, ანუ ე.წ. 1961 წლის 26 ოქტომბრის რომის კონვენციის საბოლოო ტექსტი.

B. ურთიერთკავშირი მომიჯნავე უფლებების დაცვასა და საავტორო უფლებებს შორის

25.6. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა გამოყენება, ჩვეულებრივ, გულისხმობდა შემსრულებელთა, ხმის ჩამწერი ინდუსტრიისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა მუშაობას, დიპლომატიურმა კონფერენციამ რომში გადადგა ნაბიჯი საავტორო უფ-

ლების დაცვისკენ. რომის კონვენციის პირველი მუხლი ითვალისწინებს, რომ მის შესაბამისად მინიჭებული დაცვა არ ეხება და არავითარ გავლენას არ ახდენს საავტორო უფლების დაცვაზე ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების მიმართ. შესაბამისად, რომის კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს იმდაგვარად, რომ ზიანი მიაყენოს ასეთ დაცვას. პირველი მუხლის ტექსტიდან ასევე გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საავტორო უფლების ძალით საავტორო ნაწარმოების გამოსაყენებლად საჭიროა ავტორის თანხმობა, რომის კონვენცია გავლენას არ ახდენს ასეთი სახის ნებართვის მიღების აუცილებლობაზე.

25.7. რომის კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ გადაწყვიტა უფრო წინ წასულიყო. მათ განიხილეს შემსრულებლების, ფონოგრამათა მწარმოებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებისათვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესაძლებლობა იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ მიერ გამოყენებულ ლიტერატურულ ან მხატვრულ ნაწარმოებებს, შეიძლება უარი ეთქვათ დაცვაზე ამ ქვეყანაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ არის წევრი საავტორო უფლების თუნდაც ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო კონვენციის. ამიტომ რომის კონვენციაში გათვალისწინებულია, რომ მასთან მისაერთებლად, ესა თუ ის სახელმწიფო უნდა იყოს არა მხოლოდ გაეროს წევრი, არამედ ბერნის კავშირის წევრიც, ან საავტორო უფლების მსოფლიო კონვენციის წევრი (24-ე(2) მუხლი). ამგვარად, ხელშემკვრელი მხარე უკვე აღარ ითვლება რომის კონვენციის მონაწილედ ბერნის კავშირიდან, ან საავტორო უფლების საერთაშორისო კონვენციიდან გამოსვლის მომენტიდან (28-ე(4) მუხლი). საავტორო უფლების კონვენციებთან ასეთი მიჯაჭვის გამო რომის კონვენცია ზოგჯერ განიხილება "დახურულად" იმ ქვეყნების თვალსაზრისით, რომლებსაც მასთან მიერთების სურვილი უჩნდებათ.

C. დაცვის ძირითადი პრინციპი რომის კონვენციის მიხედვით: ეროვნული რეჟიმი

25.8. ბერნის კონვენციის ანალოგიურად, რომის კონვენციით მინიჭებული დაცვა ძირითადად დაიყვანება ეროვნულ რეჟიმამდე, რომელსაც ანიჭებენ წევრი სახელმწიფოები ეროვნულ შემსრულებლებს, ფონოგრამათა მწარმოებლებს და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად (მე-2(1) მუხლი). მაგრამ ეროვნული რეჟიმის მოქმედება შეზღუდულია

კონვენციით გარანტირებული დაცვის მინიმალური დონის მინიჭების მოთხოვნით და, აგრეთვე, მის მიერ გათვალისწინებული სხვა შეზღუდვებით (მე-2(2)მუხლი). ეს ნიშნავს, რომ თვითონ კონვენციით გარანტირებული და დაცვის მინიმალური დონის შემადგენელი უფლებების გარდა და მასში მოცემული მოთხოვნების, გარკვეული გამონაკლისებისა და დათქმების გათვალისწინებით, შემსრულებლები, ფონოგრამათა მწარმოებლები და საერთო მაუწყებლობის ორგანიზაციები, რომლებზედაც ვრცელდება კონვენციის მოქმედება, სარგებლობენ მონაწილე ქვეყნებში იმავე უფლებებით, რომელთაც ანიჭებენ საკუთარ მოქალაქეებს.

D. დაცვის სუბიექტები

25.9. ერთ-ერთ ძირითად საკითხს, რომელიც დგება ამა თუ იმ საერთაშორისო კონვენციის დამმუშავებლების წინ, წარმოადგენს მისი გამოყენების სფეროს განსაზღვრა. რომის კონვენციაში ეს კეთდება ეროვნული რეჟიმის გამოყენებადობის კრიტერიუმთა განსაზღვრის გზით.

25.10. ეროვნული რეჟიმი ენიჭება შემსრულებლებს, თუ შესრულებას ადგილი აქვს სხვა მონაწილე ქვეყანაში (იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ქვეყანას მიეკუთვნება თვითონ შემსრულებელი) ან თუ ის შეტანილია კონვენციით დაცულ ფონოგრამაში (იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ქვეყანას მიეკუთვნება შემსრულებელი და სად ჰქონდა ადგილი შესრულებას), ან თუ ის ტრანსლირებულია ცოცხალი შესრულებით (და არა ფონოგრამით) კონვენციით დაცულ გადაცემაში (იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ქვეყანას ეკუთვნის შემსრულებელი (მე-4 მუხლი). დაცვის გამოყენებადობის ეს ალტერნატიული კრიტერიუმები იძლევა რომის კონვენციის მოქმედების გავრცელების საშუალებას შემსრულებელთა მაქსიმალურად ფართო წრეზე.

25.11. ეროვნული რეჟიმი ენიჭება ფონოგრამათა მწარმოებლებს, თუ მწარმოებელი არის სხვა მონაწილე ქვეყნის მოქალაქე (ეროვნულობის კრიტერიუმი) ან პირველი ფიქსაცია განხორციელებული იყო სხვა მონაწილე სახელმწიფოში (ფიქსაციის კრიტერიუმი), ან ფონოგრამა პირველად, ან ერთდროულად გაშვებული იყო ბრუნვაში სხვა მონაწილე სახელმწიფოში (ბრუნვაში გაშვების კრიტერიუმი (მე-5 მუხლი).

25.12. კონვენცია უშვებს მოქმედების გარკვეულ თავისუფლებას ამ ალტერნატიული კრიტერიუმების მიმართ. გაეროს გენერალური მდივნისთვის შეტ-

ყობინების გზით ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ ის არ გამოიყენებს ბრუნვაში გაშვების კრიტერიუმს ან, როგორც ალტერნატივას, ფიქსაციის კრიტერიუმს. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც რომში კონვენციაზე ხელმოწერის დღიდან უკვე მიანიჭა დაცვა ფონოგრამათა მწარმოებლებს მხოლოდ ფიქსაციის კრიტერიუმის საფუძველზე, შეუძლია გამორიცხოს ეროვნულობისა და ბრუნვაში გაშვების კრიტერიუმები. ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებული იყო ძირითადად ჩრდილოეთის ქვეყნების თანამედროვე კანონმდებლობის საფუძველზე. ამგვარად, რომის კონვენციის განხორციელება ადვილად მიესადაგება დაცვის პირობებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ კანონმდებლობაში.

25.13. ეროვნული რეჟიმი ენიჭება საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს, თუ მათი შტაბ-ბინა მდებარეობს სხვა მონაწილე ქვეყანაში (ეროვნულობის პრინციპი) ან თუ გადაცემა ტრანსლირებული იყო გადამცემით, რომელიც მდებარეობდა სხვა მონაწილე ქვეყანაში, იმისდა მიუხედავად, მდებარეობს თუ არა თავდაპირველი საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაცია მონაწილე სახელმწიფოში (ტერიტორიული პრინციპი). მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი უზრუნველყოფენ რადიო- და ტელეგადაცემათა დაცვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულობისა და ტერიტორიულობის პირობები დაკმაყოფილებელია ერთი და იმავე მონაწილე სახელმწიფოს მიმართ.

E. კონვენციით მოთხოვნილი დაცვის მინიმალური დონე

25.14. შემსრულებლებისათვის კონვენციით გარანტირებული დაცვის გარკვეული მინიმალური დონე გათვალისწინებულია "გარკვეულ მოქმედებათა თავიდან აცილების შესაძლებლობის" ძალით, რომლებიც ხორციელდება მათი თანხმობის გარეშე. კონვენციის ავტორებმა უპირატესობა მიანიჭეს ამ გამოთქმას შემსრულებელთა მინიმალური უფლებების უბრალო ჩამოთვლასთან შედარებით, რათა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, შესაძლებლობა ჰქონდეთ კვლავ განაგრძონ შემსრულებელთა უფლებების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს სამართალდარღვევასა და სასჯელს მასზე. მაგრამ გადაწყდა, რომ მოქმედებები, რომლებიც შეიძლება არიდებული იქნეს შემსრულებლის მიერ, მოითხოვენ მის წინასწარ თანხმობას. ამგვარად, გარკვეულ ქმედებათა თავიდან

აცილების შესაძლებლობა, როგორც ეს კონვენციით არის განსაზღვრული, შემსრულებელთათვის უფლებათა გარკვეული კომპლექტის მინიჭების ტოლფასია.

25.15. ასეთი სახის ქმედებები შეიცავენ: (I) ცოცხალი შესრულების ეთერში გადაცემას ან საყოველთაო შეტყობინებას; (II) არაფიქსირებული შესრულების ჩანაწერის განხორციელებას: (III) შესრულების ფიქსაციის კვლავწარმოებას იმ პირობით, რომ თავდაპირველი ფიქსაცია განხორციელებული იყო შემსრულებლის თანხმობის გარეშე, ან რომ კვლავწარმოება ხორციელდება მიზნებით, რომლებიც ნებადართული არ არის კონვენციით ან შემსრულებლის მიერ (მე-7 მუხლი).

25.16. ფონოგრამათა მწარმოებლები უფლებამოსილნი არიან ნება დართონ, ან აკრძალონ მათი ფონოგრამების პირდაპირი, ან არაპირდაპირი კვლავწარმოება (მე-10 მუხლი). რომის კონვენცია არ ითვალისწინებს არავითარ უფლებამოსილებას ფონოგრამათა შესრულების ნებართვაზე და არ შეიცავს აშკარა აკრძალვას ფონოგრამათა ნებადაურთავი დუბლიკატების გავრცელებაზე, ან ქვეყანაში შემოტანაზე.

25.17. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან ნება დართონ, ან აკრძალონ: (I) მათი გადაცემის პარალელური რეტრანსლაცია; (II) მათი გადაცემის ფიქსაცია, (III) მათი გადაცემების ნებადაურთავ ფიქსაციათა კვლავწარმოება, ან კანონიერ ფიქსაციათა კვლავწარმოება კანონსაწინააღმდეგო მიზნებით და (IV) მათი სატელევიზიო გადაცემების საყოველთაო შეტყობინება ხალხისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში დაყენებული მიმღებების მეშვეობით, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი უფლება არ ვრცელდება ბგერითი (რადიო) გადაცემის საყოველთაო შეტყობინებაზე და რომ პირობები, რომლის დროსაც ასეთი უფლება შეიძლება განხორციელდეს, უნდა განისაზღვრებოდეს ეროვნული კანონმდებლობით. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ რომის კონვენცია არ ითვალისწინებს დაცვას გადაცემათა კაბელით გავრცელების წინააღმდეგ.

F. დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ უფლებათა განხორციელების დისკრეციულ რეგულირებას

25.18. დაცვის მინიმალური დონის დამატებით რომის კონვენცია შეიცავს აგრეთვე დებულებებს, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობას აძლევენ დაცვის გარკვეული ასპექტების საკუთარი შეხედულებით რეგულირების საშუალებას.

25.19. შემსრულებელთა უფლებების დაცვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობამ უნდა დაარეგულიროს დაცვის საკითხი შესრულებისა და მისი ფიქსაციის რეტრანსლაციის წინააღმდეგ ეთერში გადაცემის მიზნით, იმ შემთხვევებში, როდესაც შესრულების ეთერში გადაცემაზე მიღებული იყო შემსრულებლის ნებართვა. სახელშეკრულებო ურთიერთობათა უპირატესი ძალის პრინციპი გამოხატულია დებულებაში, რომ არ შეიძლება ეროვნული კანონმდებლობის იმგვარი გამოყენება, როდესაც შემსრულებლებს არა აქვთ საშუალება კონტრაქტის მეშვეობით გააკონტროლონ თავიანთი ურთიერთობა საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მე-7(2) მუხლი). ამასთან იგულისხმებოდა, რომ ტერმინი "კონტრაქტი" ამ კონტექსტში შეიცავს კოლექტიურ ხელშეკრულებებს და არსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო კომისიების გადაწყვეტილებებს.

25.20. თუ ერთსა და იმავე შესრულებაში მონაწილეობს რამდენიმე შემსრულებელი, თითოეულ მონაწილე მხარეს შეუძლია განსაზღვროს მათი წარმომადგენლობის საშუალებები და ფორმები მათ უფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებით (მე-8 მუხლი).

25.21. რაც შეეხება შემსრულებელთა და ფონოგრამათა მწარმოებლების უფლებების დაცვას, მე-12 მუხლი (რომელიც შეიცავს კონვენციის სადავო დებულებებს) ითვალისწინებს, რომ თუ ბრუნვაში კომერციული მიზნით გაშვებული ფონოგრამა გამოიყენება უშუალოდ ეთერში გადასაცემად ან ნებისმიერი საყოველთაო შეტყობინებისათვის, მოსარგებლემ უნდა გადაუხადოს შემსრულებლებს, ან ფონოგრამების მწარმოებლებს, ან სხვებს, სამართლიანი გასამრჯელო. ეს მუხლი არ ანიჭებს რაიმე უფლება შემსრულებლებს, ან ფონოგრამათა მწარმოებლებს ფონოგრამების ხელმეორე სარგებლობის ნებართვასა თუ აკრძალვაზე. კონვენცია, როგორც ჩანს, იძლევა რა ერთჯერადი ანაზღაურების გარანტიას ფონოგრამით სარგებლობაზე, ქმნის იძულებითი ლიცენზიის მსგავს რაღაცას. მაგრამ ის არ შეიცავს სავალდებულო წესით მითითებას ბენეფიციარის ან ბენეფიციარების ანაზღაურებაზე, შესრულებისა და ფონოგრამის, რომლითაც გამოხატულია ეს შესრულება, ხელმეორედ გამოყენების გამო. მე-12 მუხლში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ ერთ-ერთმა დაინტერესებულმა მხარემ მაინც უნდა მიიღოს გასამრჯელო ამგვარი სარგებლობისათვის. მიუხედავად ამისა, მუხლში ნათქვამია, რომ ამ მხარეებს შორის

შეთანხმების არარსებობისას ამ გასამრჯელოს ერთობლივი მფლობელობის პირობები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ეროვნული კანონმდებლობით (საჭიროების შემთხვევაში).

25.22. მაგრამ ამ დებულებათა განხორციელება შეიძლება ბლოკირებული, ან შეზღუდული იყოს მონაწილე სახელმწიფოს მიერ ნებისმიერ მომენტში შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით (მე-16(1)(a) მუხლი). მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს განაცხადოს, რომ ის არ აპირებს მე-12 მუხლის დებულებების გამოყენებას მთლიანად და სარგებლობის გარკვეული სახეობების მიმართ, მაგალითად, საყოველთაო შეტყობინების მიმართ ეთერში გადაცემის გარდა, ან ეთერში იმ ფონოგრამათა გადაცემის მიმართ რომლებიც შეძენილი იყო კონვენციის ხელმოწერის თარიღამდე და ა.შ. ასევე შესაძლებელია ამ მუხლის გამოყენება მხოლოდ იმ ფონოგრამათა მიმართ, რომელთა მწარმოებელი სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეა. დაცვის მოცულობა და ვადა შეიძლება შეზღუდული იყოს იმდაგვარად, რომ შეესაბამებოდეს დაცვის ისეთ მოცულობას, რომელსაც ანიჭებს სხვა დაინტერესებული მხარე. მაგრამ ის ფაქტი, რომ ორივე დაინტერესებულ ქვეყანაში დაცვა არ მიეჭება ერთი და იმავე ბენფიციარს, არ უნდა განიხილებოდეს როგორც შეზღუდვათა გამართლება დაცვაზე, რომელსაც ითვალისწინებს მე-12 მუხლი.

G. შეზღუდვები

25.23. რომის კონვენცია უშვებს მინიჭებულ უფლებათა გარკვეულ შეზღუდვებს, ხოლო რაც შეეხება შემსრულებლებს, ასევე აწესებს თავად უფლებების შეზღუდვებს.

25.24. ნებისმიერ მონაწილე ქვეყანას შეუძლია გაითვალისწინოს გამონაკლისი პირადი მიზნებით გამოყენების მიმართ, მოკლე ნაწყვეტების გამოყენების მიმართ მიმდინარე მოვლენების შესახებ ცნობებთან დაკავშირებით, მოკლევადიანი ფიქსაციების მიმართ საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ საკუთარი საშუალებების მეშვეობით და გამოსაყენებლად საკუთარ გადაცემებში, აგრეთვე, სხვა სახის გამოყენების მიმართ მხოლოდ განათლებისა და მეცნიერული კვლევების მიზნით (მე-15(1) მუხლი). ეს უკანასკნელი შესაძლებლობა შეიძლება განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდეს განვითარებადი ქვეყნებისათვის.

25.25. კონვენციაში დათქმულ გამონაკლისთა გარდა, ნებისმიერ მონაწილე ქვეყანას უფლება აქვს გაითვალისწინოს ისეთივე შეზღუდვები შემსრულებელთა ფონოგრამების მწარმოებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა დაცვის მიმართ, რაც ენიჭება მათ საავტორო უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით. მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები: იძულებითი ლიცენზიის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც იგი შეეთავსება რომის კონვენციას (მე-15(2) მუხლი).

25.26. კინემატოგრაფიის ინდუსტრიის სურვილი, რომ ჰქონდეს განსაკუთრებული უფლებები მათ პროდუქციაში ჩადებული წვლილის გამოყენებაზე, რომის კონვენციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს, რომ შემსრულებლის მიერ შესრულების ვიზუალურ ან აუდიო ვიზუალურ ფიქსაციაში ჩართვაზე თანხმობის მიცემის შემდეგ, რომის კონვენციის თანახმად, მას აღარ აქვს უფლებები ამ შესრულებაზე.

H. დაცვის ვადა

25.27. რომის კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მინიმალური ვადა შეადგენს 20 წელს იმ წლის ბოლოდან, რომელშიც: (i) განხორციელებული იყო ფიქსაცია, რაც შეეხება ფონოგრამებსა და მათში ჩართულ შესრულებებს, ან (II) ადგილი ჰქონდა შესრულებას, რაც შეეხება ფონოგრამაში ჩაურთველ შესრულებებს, ან (III) მაუწყებლობას ჰქონდა ადგილი, რაც შეეხება ტელე- და რადიო-მაუწყებლობას (მე-14 მუხლი).

1. ფორმალურ პროცედურათა შეზღუდვა

25.28. თუ ფონოგრამათა მიმართ მომიჯნავე უფლებების დაცვის პირობად ქვეყანა მოითხოვს გარკვეულ ფორმალურ პროცედურათა დაცვას, უკანასკნელნი ჩაითვლება შესრულებულად, თუ ბრუნვაში გაშვებული ფონოგრამის ყველა ეგზემპლარი ან სავაჭრო ქსელში მყოფი მათი კონტეინერები, ატარებს P სიმბოლოსაგან შემდგარ ჩანაწერს, რომელსაც თან ერთვის ბრუნვაში გაშვების პირველი წელი. თუ ეგზემპლარებზე ან მათ კონტეინერებზე მითითებული არ არის მწარმოებლის ან მისი ლიცენზიატის სახელი (სახელწოდება), ასეთი ჩანაწერი უნდა შეიცავდეს, აგრეთვე, მწარმოებლის უფლებათა მფლობელის სახელს (სახელწოდებას). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ

ეგზემპლარები და მათი კონტეინერები არ მიუთითებენ ძირითად შემსრულებლებზე, ასეთი ტექსტი უნდა მიუთითებდეს იმ პირის გვარსაც, ვისაც ეკუთვნის ასეთ შემსრულებელთა უფლებები (მე-11 მუხლი). ხაზგასმულია, რომ ეს დებულება არ წარმოადგენს მოთხოვნას ფორმის მიმართ, არამედ მხოლოდ ფორმალურ პროცედურათა შეზღუდვაა, რომლებიც შეიძლება სავალდებულო იყოს ზოგიერთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

J. რომის კონვენციის განხორციელება

25.29. რომის კონვენციას მოიხსენიებენ როგორც "პიონერულ კონვენციას". მაშინ, როცა XIX საუკუნეში დადებული კონვენციები საავტორო უფლებების დასაცავად იყო ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის შედეგი, რომის კონვენციამ განსაზღვრა მომიჯნავე უფლებათა დაცვის ნორმები იმ მომენტში, როდესაც თითო-ოროლა ქვეყანა თუ იქნებოდა, რომლებსაც შემსრულებლების, ფონოგრამათა მწარმოებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის რაღაც წესები მაინც გააჩნდათ. ამიტომ ბუნებრივია, რომ კონვენციის მიღების შემდეგ პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში მისი მიღწევები იზომებოდა არა რატიფიკაციათა, ან მიერთებათა რაოდენობით, არამედ ეროვნულ კანონმდებლობაზე მისი ზემოქმედებით.

25.30. 1961 წლის შემდეგ კანონმდებლობა მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში მიიღო 60-ზე მეტმა ქვეყანამ, რის შედეგადაც რაოდენობა ეროვნული კანონებისა, რომლებიც იცავენ ფონოგრამების მწარმოებლებისა, ან საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებებს, გაიზარდა 90-მდე. 40-ზე მეტმა სახელმწიფომ მიანიჭა დაცვა შემსრულებლებს, ამასთან ამ კანონთა უმრავლესობა რომის კონვენციის პირდაპირი შედეგი იყო. მაგრამ შეუსაბამობა შემსრულებელთა უფლებების დამცავი ეროვნული კანონების რაოდენობას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ფონოგრამათა მწარმოებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დამცავი კანონების რაოდენობას შორის ჯერაც ძალიან დიდია. მაგრამ რიგი ქვეყნებისა მუშაობს შემსრულებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მიღებაზე, რითაც ამ სფეროსადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებს.

25.31. 1974 წლიდან მოყოლებული ეროვნულ კანონმდებლებს შეეძლოთ დაჟრდნობოდნენ ტიპობრივ კანონში შემსრულებლების, ფონოგრამათა მწარ-

მოებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებათა დაცვა, რომელსაც ერთვის კომენტარები, მომზადებული ისმოს, იუნესკო-სა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ – სამი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს რომის კონვენციის მიმართ. ამ დოკუმენტმა მეტად დიდი დახმარება აღმოუჩინა განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს.

25.32. მიუხედავად მომიჯნავე უფლებების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის სფეროში შედარებით ნელი წინსვლისა და განსაკუთრებით არათანაბარი ზომიერი პროგრესისა ამ უფლებებით სხვადასხვა მოსარგებლეთა უფლებების დაცვის საქმეში, რაც დღესაც კი აჩერებს რიგ სახელმწიფოს რომის კონვენციასთან მიერთებისაგან, რადგან ის ითვალისწინებს შემსრულებლების, ფონოგრამების მწარმოებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების ერთდროულ დაცვას - ქვეყანათა რიცხვმა, რომლებიც მიუერთდნენ კონვენციას, მიაღწია 46-ს. მოსალოდნელია, რომ ეროვნული კანონმდებლობის ევოლუცია დაგვირგვინდება რომის კონვენციის ახალი წევრების რაოდენობის მომატებით.

K. რომის კონვენცია და განვითარებადი ქვეყნები

25.33. რომის კონვენციას მიერთებულ ქვეყანათა ნახევარზე მეტი განვითარებადია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მუსიკას, ცეკვებსა და სხვა შემოქმედებით ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოადგენენ მათი ეროვნული სიმდიდრის ნაწილს. ამ ქვეყნებისთვის რომის კონვენციის მნიშვნელობა მდგომარეობს, აგრეთვე, იმ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში, ვისაც წვლილი შეაქვს ამ მემკვიდრეობის გავრცელებაში საზღვარგარეთ.

25.34. კონვენცია განსაკუთრებით მიმზიდველია იმ ქვეყნებისათვის, რომლის კულტურული ტრადიცია ზეპირია და ავტორი ხშირად ერთდროულად შემსრულებელიცაა. ამ ქვეყნებში ფოლკლორულ ნაწარმოებებს უნიკალური ადგილი აქვს და ყველაფერი გაკეთდეს უნდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მსახიობთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ასრულებენ და ამით ინახავენ მათ, იმ შემთხვევაში, თუ მათ შესრულებას იყენებენ მესამე პირები. მაშინ, როცა ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვა საავტორო უფლების

მეშვეობით გაძნელებულია, ხოლო განსაკუთრებული სახეობის დაცვის სისტემის შექმნა, რომელიც სპეციალურად მიესადაგება მათ მოთხოვნილებებს, ითხოვს დროს, ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებს შეუძლიათ მიიღონ არაპირდაპირი, მაგრამ ეფექტური დაცვა შემსრულებლების უფლებათა, ფიქსაციათა და მათი მონაწილეობით რადიო- და ტელეგადაცემათა დაცვის გზით.

25.35. რომის კონვენცია, რომელიც ანიჭებს დაცვას ფონოგრამებით მწარმოებლებს, განსაკუთრებით ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში დარგის შექმნას, რომლის დინამიკური განვითარება არ საჭიროებს მტკიცებას. მეწარმეობის ეს წარმოებული დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კულტურის განვითარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, შეიძლება გახდეს შემოსავლის მნიშვნელოვანი დამატებითი წყარო ეროვნულ ბიუჯეტში, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი საქმიანობა კვეთს ეროვნულ საზღვრებს, უცხორი ვალუტის წყაროც.

25.36. რომის კონვენცია, საშუალებას აძლევს რა შემსრულებლებსა და ფონოგრამათა მწარმოებლებს მიიღონ მატერიალური სარგებელი მათი შესრულებიდან და პროდუქციიდან, ხელს უწყობს ეროვნული კულტურისა და შემოქმედების გაფურჩქვნას. ასევე ცხადია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა ინტერესები დაცულია კანონით, იქმნება მათი უფრო წარმატებული მუშაობის პირობები და მცირდება უცხოურ ნაწარმოებთა დაუცავი შესრულების მხრიდან კონკურენციის შედეგად მიყენებული ზარალი. შესრულებისა და ფონოგრამების ექსპორტის შემთხვევაში ჩნდება მათი საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის დამატებითი სტიმული შესაბამის საერთაშორისო კონვენციებთან მიერთების გზით.

25.37. დაბოლოს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა როლიც განვითარებად ქვეყნებში, რადგან ისინიც დაინტერესებულნი არიან დაიცვან საკუთარი ძვირადღირებული პროგრამები რეტრანსლაციის, კვლავწარმოებისა და საყოველთაო შეტყობინებისაგან. რეტრანსლიაცია ან სატელევიზიო პროგრამების მიღება საზოგადოებრივ ადგილებში შეიძლება იყოს ძალიან მომგებიანი, განსაკუთრებით, როდესაც თავდაპირველი გადაცემა მიძღვნილია ამ თუ იმ ღირშესანიშნავი მოვლენისადმი. ასეთ მოვლენათა ორგანიზატორები ხშირად ტრანსლიაციის ნებას რთავენ

მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკრძალვის პირობით ასეთი გადაცემის საჯარო მიღებაზე მოვლენის მახლობლად, რამაც შეიძლება შეამციროს პოტენციური მაყურებლების რაოდენობა. ამგვარად, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას, უნდა ჰქონდეს უფლება აკრძალოს რეტრანსლიაცია და საჯარო მიღება. იგივე ითქმის შემსრულებელთა ან ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა ჩაწერის ტრანსლიაციაზე: ამ შემთხვევაში საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა არ დაუშვას საერთაშორისო მასშტაბის რეტრანსლიაცია, ან ფიქსაცია საკუთარი გადაცემების კვლავწარმოების მიზნით, რომლებიც ეძღვნება ფოლკლორს.

ლიტერატურა

ისმო-ს საერთაშორისო ბიურო, ძირითადი შეხედულებები მომიჯნავე უფლებებზე – საერთაშორისო კონვენციებში მომიჯნავე უფლებების სფეროში, VWIPO/CR/GE/93/3

25.38. შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა საერთაშორისო კონვენციის წევრია 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის შემდეგი 51 სახელმწიფო: არგენტინა, ავსტრალია, ბარბადოსი, ბოლივია, ბრაზილია, ბულგარეთი, ბურკინა-ფასო, ჩილე, კოლუმბია, კონგო, კოსტა-რიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, ელ-სალვადორი, ფიჯი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, გვატემალა, გონდურასი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, იამაიკა, იაპონია, ლესოტო, ლუქსემბურგი, მექსიკა, მონაკო, ჰოლანდია, ნიგერი, ნიგერია, ნორვეგია, პანამა, პარაგვაი, პერუ, ფილიპინები, რესპუბლიკა მოლდოვა, სენტლუსია, სლოვაკია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, ურუგვაი და ვენესუელა.

თავი 26

სხვა სპეციალური კონვენციები მომიჯნავე უფლებების სფეროში

A. სპეციალური კონვენციები

26.1. წინა თავში განხილული 1961 წლის რომის კონვენცია საერთაშორისო დონეზე ანიჭებს დაცვას მომიჯნავე უფლებების მფლობელთა სამივე კატეგორიას: შემსრულებლებს, ფონოგრამების მფლობელებს და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს. ამ ფუძემდებელი კონვენციის გარდა არსებობს ორი სხვა საერთაშორისო დოკუმენტი, რომლებიც ვრცელდება მომიჯნავე უფლებების ზოგიერთ სხვა სახეობები – კონვენცია ფონოგრამების მწარმოებელთა დაცვის შესახებ მათი ფონოგრამების დუბლიკატების ნებადაურთავი დამზადებისაგან, რომელიც ჟენევაში 1971 წლის ოქტომბერში და ცნობილია როგორც კონვენცია ფონოგრამების შესახებ, და კონვენცია, რომელიც ეხება თანამგზავრის საშუალებით გადმოცემული პროგრამების მატარებელი სიგნალების გავრცელებას. იგი დადებულ იქნა 1974 წლის მაისში და ცნობილია როგორც კონვენცია თანამგზავრთა შესახებ. კონვენციათა მიზანია – მიანიჭოს დაცვა ფონოგრამების მწარმოებლებს და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს ზიანის მიმყენებელ შესაბამის მოქმედებებისაგან, ისეთი, როგორიცაა დარფვევები ან მეკობრეობა.

26.2. რომის კონვენციის თვალსაზრისით, კონვენცია ფონოგრამების შესახებ და კონვენცია თანამგზავრთა შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სპეციალური კონვენციები, რომლებთან მიერთება გახსნილია ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის იმის ძალით, რომ ეს შეთანხმებები ანიჭებენ შემსრულებლებს, ფონოგრამების მწარმოებლებს და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე რომის კონვენციით მინიჭებული უფლებებია, ან შეიცავენ დამატებით დებულებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მას (რომის კონვენციის 22 მუხლი).

B. სპეციალური კონვენციების მიზნები და ამოცანები

26.3. ფონოგრამების შესახებ კონვენციის ანგარიშზე უკვე 53 რატიფიკაციაა ან მიერთება, რაც წარმოადგენს ზრდის მეტად შთამბეჭდავ ტემპს. კონ-

ვენციის ასეთი სწრაფი გავრცელება აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს საერთაშორისო მეკობრეობა და, მეორე მხრივ, საკუთრივ კონვენციის სამართლებრივი მახასიათებლებით.

26.4. მაშინ, როცა მთელი რიგი ქვეყანა ამუშავებდა ახალ კანონმდებლობას მომიჯნავე უფლებების სფეროში, რათა მიესადაგებინათ ის რომის კონვენციის მოთხოვნილებებისადმი, მეკობრეობა ხმის ჩაწერის სფეროში სულ უფრო დიდ გაქანებას იძენდა საერთაშორისო არენაზე. ამასთან უკანონოდ გაყიდული ფირფიტების ღირებულება ასევე სულ იზრდებოდა. ამგვარად, უკე 70-იანი წლების დასაწყისში აუცილებლად საჭირო გახდა სპეციალური კონვენციის მიღება, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა მხოლოდ ფონოგრამების მწარმოებლების ძირთადი უფლებებისა და ინტერესების საერთაშორისო დაცვისთვის, თან მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული, ეროვნული კანონით გათვალისწინებული არსებული ყველა ღონისძიება. ეს საკითხი პირველად დაისვა 1970 წლის მაისში მოსამზადებელი კომიტეტის სესიაზე საავტორო უფლების ორი ძირითადი კონვენციის გადასინჯვის შესახებ. თითქმის 18 თვის შემდეგ ახალ კონვენციას ხელი მოაწერეს ჟენევაში.

25.5. რაც შეეხება ფონოგრამების შესახებ კონვენციის სამართლებრივ მახასიათებლებს, მასში უკვე გათვალისწინებულია ყველა ღონისძიება, რომლებიც ადრე გათვალისწინებული იყო რიგი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში, და ნებადართულია ყველა მათი გამოყენება რომის კონვენციისაგან განსხვავებით, სადაც მიღებულია ერთიანი მიდგომა და ფონოგრამების მწარმოებლებს ენიჭებათ უფლება ნება დართონ, ან აკრძალონ მათი ფონოგრამების კვლავწარმოება. ამგვარად, ქვეყნები, რომლებმაც უკე მიანიჭეს ფონოგრამების მწარმოებლებს დაცვის სხვა საშუალებები და სურთ გაავრცელონ დაცვა საერთაშორისო დონეზე, თავისუფლდებიან საკუთარ არსებულ ეროვნულ კანონმდებლობაში კორექტივების შეტანის აუცილებლობისაგან.

12.6. თანამგზავრების შესახებ კონვენციის მიღება ნაკარნახევი იყო იმ ფაქტით, რომ კავშირის თანამგზავრების გამოყენებამ საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც დაიწყო დაახლოებით 1965 წელს, გამოიწვია ახალი პრობლემა საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციათა უფლებების დაცვის სფეროში.

26.7. ტექნიკის თანამედროვე დონის მიხედვით პროგრამების გადაცემა თანამგზავრების მეშვეობით ჯერ კიდევ არ ხორციელდება პირდაპირ. პროგრამის მატარებელი რადიოსიგნალები თანამგზავრის გავლით იგზავნება დედამიწის შორეულ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივი ფართომაუწყებლობის პროგრამების მიღება გაძნელებულია. მაგრამ პროგრამების მატარებელი და თანამგზავრის მეშვეობით გაგზავნილი სიგნალების მიღება არ შეიძლება უშუალოდ ჩვეულებრივი მიმღები მოწყობილობებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. ისინი ჯერ უნდა მიიღოს მიწისზედა სადგურებმა, რომლებიც გარდაქმნიან მათ ფართო აუდიტორიის მისაღებად ხელმისაწვდომი ფორმით.

26.8. პირდაპირი მაუწყებლობის შემთხვევაში, რომელიც სულ უფრო გავრცელებული ხდება, თანამგზავრიდან გაგზავნილი სიგნალები განიცდიან დემოდულირებას თვითონ თანამგზავრის მიერ. შედეგად მიწაზე გადაცემული სიგნალების მიღება შეიძლება პირდაპირ კოსმოსიდან ჩვეულებრივი მიმღებებით მიწისზედა მიმღების სადგურების მონაწილეობის გარეშე. რაც შეეხება თანამგზავრზე გაგზავნილ სიგნალებს, ისინი მიუწვდომელია მისაღებად საყოფაცხოვრებო იმღებისთვის.

26.9. იურიდიული პრობლემა გამომდინარეობს რომის კონვენციის მე-3 მუხლის ფორმულირებიდან, რომელიც იუწყება, რომ მაუწყებლობა ეთერში ნიშნავს ბგერების, ან სახეებისა და ბგერების ერთად, გადაცემას კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებათა გამოყენებით ფართო აუდიტორიისთვის მისაღებად. რაც შეეხება ტრანსლაციის თანამგზავრიდან, აქ პრობლემა ორნაირია: ერთი მხრივ, საეთერო მაუწყებლობის პირველადი ორგანიზაციის მიერ გადაცემული სიგნალები გამოუსადაგარია მისაღებად ფართო აუდიტორიისათვის; მეორე მხრივ, მიწისზედა სადგურების მიერ ჩვეულებრივად მიღებული წარმოებული სიგნალები გადაიცემა მისაღებად ფართო აუდიტორიისათვის სადენით.

26.10. კონვენცია თანამგზავრების შესახებ გვთავაზობს პრობლემის შემდეგ გადაწყვეტას. ხელშემკვრელი ქვეყნები კისრულობენ მიიღონ ედექვატური ღონისძიებები პროგრამების მატარებელი სიგნალების გავრცელების აკრძალვისთვის გადამცემი ორგანიზაციების მიერ, რომლებისთვისაც არ არის განკუთვნილი თანამგზავრიდან ან თანამგზავრის გავლით გადაცემული სიგნალი. "გავრცელება", კონვენციის განსაზღვით, არის ოპერაცია რომლის

მეშვეობით გამარცელებელი ორგანიზაცია გადასცემს წარმოებულ სიგნალებს ფართო აუდიტორიისათვის. ამგვარად, განსაზღვრებაში შედის აგრეთვე გავრცელება კაბელით.

C. სპეციალური კონვენციების ძირითადი მახასიათებლები

26.11. თუმცა სამართლიანია, რომ კონვენცია ფონოგრამების შესახებ და კონვენცია თანამგზავრების შესახებ გარკვეულწილად ავსებენ რომის კონვენციას, მაგრამ მათი საერთო მიდგომა განსხვავდება უკანასკნელისაგან შემდეგი სამი მიმართულებით.

26.12. ჯერ ერთი, რომის კონვენცია ანიჭებს მომიჯნავე უფლებების მფლობელებს ძირითადად უფლებას ნება დართონ, ან აკრძალონ შესაბამისი პროდუქტის გამოყენება, ამასთან არ უნდა დაივიწყონ საავტორო უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. კონვენციებს ფონოგრამებისა და თანამგზავრების შესახებ, მეორე მხრივ არ შემოაქვთ უფლებათა ცნება მეკობრეობასთან ბრძოლის მიმართ და ხელშემკვრელი ქვეყნების მიხედულობაში ტოვებენ მომიჯნავე უფლებათა სფეროში მეკობრეობის აქტების, ან მასთან ბრძოლის იურიდიული საშუალებების არჩევას.

26.13. მეორე, რომის კონვენცია დაფუძნებულია "ეროვნული რეჟიმის" პრინციპზე. ეს ნიშნავს, რომ რომის კონვენციით გათვალისწინებული დაცვა მინიმალურია და რომ უფლებების გარდა, რომლებიც გარანტირებულია კონვენციით როგორც მინიმალური დაცვა და მასში გათვალისწინებული შენიშვნების ფარგლებში, შემსრულებლები, ფონოგრამების მწარმოებლები და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციები ქვეყნებში, რომლებიც მიუერთდნენ კონვენციას, სარგებლობენ ისეთივე უფლებებით, როგორიც მათი მოქალაქენი. თუმცა კონვენცია ფონოგრამების შესახებ არ მოიხსენიებს "ეროვნული რეჟიმის" სისტემას, ის შეიცავს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა პირდაპირ განსაზღვრას, რომელთა წინააღმდეგ ხელშემკვრელი ქვეყნები კისრულობენ ეფექტური დაცვის მინიჭებას. ამგვარად, კონვენციის წევრები ვალდებული არ არიან მიანიჭონ უცხოლოებს დაცვა ყველა მოქმედებათა მიმართ, რომლებიც აკრძალულია მათი ეროვნული კანონმდებლობით საკუთარ მოქალაქეთა უფლებების დაცვის მხრივ. მაგალითად, ქვეყნები, რომლებშიც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს დაცვას ფონოგრამების საჯარო შესრულების წინააღმდეგ, ვალდებული არ არიან დაცვის

ეს ფორმა მიანიჭონ სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ფონოგრამების მწარმოებლებს, რამეთუ თავისთავად კონვენცია ფონოგრამების შესახებ არავითარი დაცვის გარანტიას არ იძლევა ფონოგრამების საჯარო გამოყენების წინააღმდეგ, რომლებიც კვლავწარმოებული და გავრცელებულია კანონიერი გზით. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენცია ფონოგრამების შესახებ არ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც დაცვის შემზღუდავი, რომელიც ენიჭებათ უცხოელებს ეროვნული კანონმდებლობით, ან საერთაშორისო შეთანხმებით (მე-7(1) მუხლი). კონვენციაში თანამგზავრების შესახებ ასევე არ არის წარმოჩენილი ეროვნული რეჟიმის საკითხი. ეს კონვენცია აკისრებს ხელშემკვრელ მხარეებს მიიღონ საჭირო ზომები იმისთვის, რათა აარიდონ საქმიანობის მხოლოდ ერთი სახეობა, სახელდობრ პროგრამის მატარებელი სიგნალების გავრცელება რომელიმე გამავრცელებელი ორგანიზაციის მიერ, რომლისთვისაც თანამგზავრით, ან თანამგზავრის გავლით მიღებული სიგნალები განკუთვნილი არ არის.

26.14. მესამე, მეკობრეობასთან მაქსიმალურად ფართო მასშტაბებით ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული ახალი საერთაშორისო შეთანხმებები გახსნილი იყო მისაერთებლად გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოებისთვის ან მის სისტემაში შემავალი ნებისმიერი სპეციალიზებული სააგენტოსათვის და აგრეთვე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მიუერთდნენ საერთაშორისო სასამართლოს წესდებას (ხოლო ასეთებია პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანა). რომის კონვენცია, პირიქით, წარმოადგენს ე.წ. "დახურულ" კონვენციას, რომელთანაც მიერთება შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც უკვე მიუერთდნენ საავტორო უფლების ძირითადად საერთაშორისო ორი კონვეციიდან ერთს მაინც.

D. ფონოგრამების შესახებ კონვენციის მატერიალურ-სამართლებრივი დებულებები

26.15. რაც შეეხება მატერიალურ-სამართლებრივ დებულებებს, კონვენცია ფონოგრამების შესახებ განსხვავდება რომის კონვენციისაგან ძირითადად: (I) დაცვის სუბიექტების განსაზღვრის კრიტერიუმების მხრი, (II) დაცვის მოცულობისა და (III) გათვალისწინებული დაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობათა მხრივ.

26.16. დაცვის მინიჭების პირობად კონვენცია ფონოგრამების შესახებ აყენებს მხოლოდ ეროვნულობის კრიტერიუმს. მაგრამ ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელიც 1971 წლის 29 ოქტომბრისათვის ანიჭებდა მხოლოდ პირველი ფიქსაციის საფუძველზე, უფლება აქვს უარი თქვას ამ კრიტერიუმის გამოყენებაზე, რის შესახებ ისმოს გენერალურ დირექტორს უნდა გაუგზავნოს შესაბამისი განცხადება.

26.17. დაცვა ენიჭება არა მხოლოდ ფონოგრამათა დუბლიკატების დამზადების წინააღმდეგ, არამედ უკანონო დუბლიკატების გავრცელებისა და გავრცელების მიზნით ასეთი დუბლიკატების იმპორტის (მე-2 მუხლი). მეორე მხრივ, დაცვის მოცულობა ისეთია, რომ არ ვრცელდება ანაზღაურების მოთხოვნაზე ფონოგრამის ხელმეორედ გამოყენების გამო.

26.18. კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება კონვენცია ფონგოგრამების შესახებ, დატოვებულია ეროვნული კანონმდებლობის მიხედულობაში. ასეთ ღონისძიებებს შეუძლიათ შეიცავდნენ დაცვას ფონოგრამაზე საავტორო უფლების მინიჭების გზით, სხვა კონკრეტული (მომიჯნავე) უფლებების მინიჭებას კანონის მიღების გზით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ან ჯარიმათა სანქციების გზით (მე-3 მუხლი).

26.19. ფონოგრამების შესახებ კონვენციით დაშვებულია ისეთივე შეზღუდვები, რაც არსებობს ავტორების დაცვის მიმართ. კონვენცია ასევე უშვებს იძულებით ლიცენზიებს იმ შემთხვევაში, თუ კვლავწარმოება განკუთვნილია მხოლოდ განათლების მიზნებისთვის, ან მეცნიერული გამოკვლევებისთვის, შეზღუდულია სახელმწიფოს ტერიტორიით, რომლის ხელისუფლება გასცემს ლიცენზიას და ითვალისწინებს სამართლიან ანაზღაურებას.

26.20. რაც შეეხება დაცვის ვადას, კონვენცია ფონოგრამების შესახებ ითვალისწინებს იმავე მინიმალურ ვადას, რასაც რომის კონვენცია: თუ რომელ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია დაცვის რაიმე ვადა, ეს ვადა უნდა იყოს არა ნაკლები 20 წლისა ფონოგრამაში განხორციელებული ხმების პირველი ფიქსაციის წლის შემდეგ ან ფონოგრამის ბრუნვაში პირველი გაშვების წლის შემდეგ.

26.21. უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენცია ფონოგრამების შესახებ ასევე შეიცავს დებულებებს შემსრულებელთა შესახებ. მე-7 მუხლით ეროვნულ კანონმდებლობას შეუძლია იქ, სადაც ეს საჭიროა, გაითვალისწინოს დაცვის გარკვეული მოცულობა, რომელიც ენიჭებათ შემსრულებლებს, რომელთა შეს-

რულება ფიქსირებულია ფონოგრამაზე, და აგრეთვე ასეთი დაცვის მინიჭების პირობები.

E. თანამგზავრების შესახებ კონვენციის მატერიალურ-სამართლებრივი დებულებები

26.22. კონვენციამ თანამგზავრების შესახებ გააფართოვა საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ მინიჭებული დაცვის მოცულობა პროგრამის მატარებელი სიგნალების უკანონო გავრცელების აკრძალვის გზით, რომლებიც გადაიცემა თანამგზავრის მეშვეობით, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ასეთი სიგნალები გამოუსადეგარია მისაღებად ფართო აუდიტორიის მიერ და, როგორც შედეგი, მათი გადაცემა არ წარმოადგენს საეთერო მაუწყებლობას იმ განსაზღვრებით, რომელსაც შეიცავს რომის კონვენცია. უფრო მეტი, კონვენციით თანამგზავრების შესახებ გათვალისწინებული დაცვა ასევე გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა წარმოებული სიგნალები ვრცელდება კაბელით (უსადენო საშუალებებისგან განსხვავებით), ე.ი. საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემათა შეტყობინების საშუალებით, რაც არ არის გათვალისწინებული რომის კონვენციით. მაგრამ ფორმალური თვალსზრისით კონვენცია არ ანიჭებს საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს ახალ უფლებებს. ის მხოლოდ ავალდებულებს ხელშემკვრელ ქვეყნებს ხელი შეუშალონ პროგრამების მატარებელ სიგნალების გავრცელებას რომელიმე გამავრცელებელი ორგანიზაციის მიერ, რომლისთვისაც თანამგზავრს გავლით მიღებული სიგნალები არ იყო განკუთვნილი.

26.23. უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენცია თანამგზავრების შესახებ არ იცავს ტრანსლირებულ პროგრამას, რამეთუ დაცვის ობიექტს წარმოადგენენ საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ გადაცემული სიგნალები. რაც შეეხება უფლებებს პროგრამების მხრივ, კონვენციაში მხოლოდ ნათქვამია, რომ მისი ინტერპრეტირება არ შეიძლება იმდაგვარად, რომ მიაყენოს ზიანი, ან შეზღუდოს დაცვა, რომელიც მინიჭებული აქვთ ავტორებს, შემსრულებლებს, ფონოგრამების მწარმოებლებს და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს.

26.24. კონვენცია თანამგზავრების შესახებ პროგრამის მატარებელი სიგნალების გავრცელება ნებას რთავს უფლებით არ აღჭურვილ პირებს, თუ ასეთი სიგნალები წარმოადგენენ მოკლე ნაწყვეტების მატარებლებს, რომლებიც

შეიცავენ მიმდინარე მოვლენების ცნობებს ან პროგრამის მოკლე ნაწყვეტებს ციტატების სახით, რომელსაც ატარებენ სიგნალები, ან განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, თუ პროგრამა, რომლის მატარებელია გადაცემული სიგნალები, ვრცელდება მხოლოდ განათლების მიზნისთვის, ამასთან უფროსებისთვის განათლების ან მეცნიერული გამოკვლევების ჩართვით.

26.25. კონვენცია თანამგზავრების შესახებ დაცვის ვადის მიმართ მოიხმობს ეროვნულ კანონმდებლობას: ნებისმიერ სახელმწიფოში, სადაც ზემოაღნიშნული ღონისძიებების გამოყენება შეზღუდულია დროში, დაცვის ვადას განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა.

26.26. კონვენცია თანამგზავრების შესახებ არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საეთერო მაუწყებლობის პირველადი ორგანიზაციის მიერ გადაცემული სიგნალები განკუთვნილი არ არის პირდაპირ საჯარო მიღებისთვის თანამგზავრიდან (მე-3 მუხლი). ასეთ შემთხვევებში გადაცემული სიგნალები განკუთვნილი არ არის წარმოებული სიგნალების რომელიმე შუალედური განმანაწილებელისათვის; ისინი პირდაპირ მისაწვდომია ფართო აუდიტორიისათვის.

F. კონვენციები ფონოგრამებისა და თანამგზავრების შესახებ და განვითარებადი ქვეყნები

26.27. მეტად ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყნები, რომლებიც მიუერთდნენ კონვენციებს ფონოგრამებისა და თანამგზავრების შესახებ, ისევე, როგორც ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს რომის კონვენციას, აუცილებელი არ არის წარმოადგენდნენ მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკით. მაგალითად, 53 ქვეყნიდან, რომლებიც მიუერთდნენ კონვენციას ფონოგრამების შესახებ, 24 განვითარებადია; 20 ქვეყნიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას თანამგზავრების შესახებ, 6 განვითარებადი ქვეყანაა. ამ ფაქტის ახსნა შეიძლება მომიჯნავე უფლებების დაცვის დიდი პოტენციური როლით განვითარებად ქვეყნებში.

26.28. კონვენცია ფონოგრამების შესახებ, უზრუნველყოფს ფონოგრამების მწარმოებლების დაცვას და ხელს უწყობს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მრეწველობის ახალი დარგის შექმნას, რომელმაც უკვე აჩვენა თავისი დინამიკურობა. ეს ინდუსტრია, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული კულტურის გავრცელებას როგორც თვითონ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარე-

თაც, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი შემოსავლების წყარო ეროვნული ბიუჯეტისთვის, ხოლო იმ შემთხვევებში, თუ საქმიანობის ასეთი სახეობა კვეთს ეროვნულ საზღვრებს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს უცხოური ვალუტის შემოსვლა. ფონოგრამათა მწარმოებლების საერთაშორისო დაცვა ასევე უწყობს ხელს ფოლკლორულ წარმოებათა დაცვას ფონოგრამებზე უკანონო კვლავწარმოების წინაღმდეგ საზღვარგარეთ.

26.29. კონვენცია ფონოგრამების შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევს ფონოგრამების მწარმოებლებს შემოსავალი მიიღონ მათი პროდუქციის საერთაშორისო გაყიდვიდან, გარდა მხატვრული მემკვიდრეობის გავრცელების ხელშეწყობის და შემოქმედებითი პროცესების წახალისების ინსტრუმენტი. დავას არ იწვევს აგრეთვე ის ფაქტი, რომ უცხოური შემსრულებლებისთვის და ფონოგრამების მწარმოებლებისთვის ანალოგიური დაცვის მინიჭების შემთხვევაში მასობრივი ინფორმაციის ანალოგიური საშუალებები და მოსახლეობა სულ უფრო ფართოდ გამოიყენებენ ეროვნულ მხატვრულ ნაწარმოებებს და უპირატესობას მისცემენ მათ უცხოურ ნაწარმოებებთან. უფრო მეტი, ასეთი სახეობის ნაწარმოებთა ექსპორტისას აუცილებელია მათი დაცვა საერთაშორისო დონეზეც, ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ შესაბამის საერთაშორისო კონვენციებთან მიერთების გზით.

26.30. დაბოლოს, განვითარებად ქვეყნებში საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციები ასევე დაინტერესებული არიან იმით, რომ მათი ძვირადღირებული პროგრამები დაცული იყოს რეტრანსლაციისაგან, კვლავწარმოებისა და საყოველთაო გაცნობისთვის შეტყობინების სხვა სახეობებისაგან, თანამგზავრის საშუალებით მაუწყებლობის ჩათვლით. ხშირად გარკვეული პროგრამის, კონცერტის ან მოვლენის ეთერში გადაცემა ნებადართულია მხოლოდ გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში და პირობით, რომ ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ პროგრამა არ იქნება ნაჩვენები ტელევიზიით. ამგვარად, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ მისი სატელევიზიო პროგრამების რეტრანსლაციის და საყოველთაო გაცნობისთვის სხვაგვარი შეტყობინების აღკვეთის საშუალება. ეს პრინციპი გამოიყენება ფოლკლორული ნაწარმოებების შესრულებას და ჩანაწერთა ტრანსლაციის მიმართ. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საერთაშორისო დონეზე აღკვეთის საკუთარ ეთერში გაშვებული პროგრამების

უკანონო გავრცელება, ან ფიქსაცია კვლავწარმოების მიზნით, რომლებიც ეძღვნება ეროვნულ სიმდიდრეს კულტურის სფეროში.

26.31. საავტორო უფლებების დაცვასთან ერთად, შემსრულებლების, ფონოგრამათა მწარმოებლებისა და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციების, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმების უფლებების ცნობა და საერთაშორისო დაცვა, უდავოდ, ემსახურება სახელმწიფოთა განვითარებას. ამიტომ სასურველია, რომ განვითარებადი ქვეყნების მზარდმა რაოდენობამ შეიცნოს სამართლებრივი დაცვის მინიჭების აუცილებლობა ავტორებისთვის, ფრნოგრამათა მწარმოებლებისთვის და საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციებისთვის როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, რომელიც ქმნის ერთიან ურთიერთდამოკიდებულ სისტემას.

26.32. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის შემდეგი 53 სახელმწიფო მიუერთდა კონვენციას ფონოგრამათა მწარმოებლების დაცვის შესახებ მათი ფონოგრამების დუბლიკატების ნებადაურთავი დამზადების წინააღმდეგ: არგენტინა, ავსტრალია, ავსტრია, ბარბადისი, ბრაზილია, ბულგარეთი, ბურკინა-ფასო, ჩილი, ჩინეთი, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ეკვადტრი, ეგვიპტე, ელ-სალვადორი, ფიჯი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, გვატემალა, ვატიკანი, გონდურასი, უნგრეთი, ინდოეთი, ისრაელი, იტალია, იამაიკა, იაპონია, კენია, ლუქსემბურგი, მექსიკა, მონაკო, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პანამა, პარაგვაი, პერუ, კორეის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, ტრინიდადიდა ტობაგო, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული სამეო, ურუგვაი, ვენესუელა და ზაირი.

26.33. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის შემდეგი 20 სახელმწიფო მიუერთდა კონვენციას, რომელიც ეხება თანამგზავრების საშუალებით გადაცემული პროგრამების მატარებელი სიგნალების გავრცელებას: ავსტრალია, ავსტრია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სასომხეთი, ხორვატია, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, კენია, მექსიკა, მაროკო, ნიკარაგუა, პანამა, პერუ, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სლოვენია, შვეიცარია, ამერიკის შეერთებული სამეფო და იუგოსლავია.

თავი 27

სასელექციო მიღწევათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია

A. შესავალი

27.1. მემცენარეთათვის სელექციის გაუმჯობესებული მეთოდებისა და მცენარეთა ახალი ჯიშების მისაწვდომობა უკიდურესად მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო დარგისა და მებაღეობისთვის. მცენარეთა გაძლიერებულ უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს ავადმყოფობას, უფრო მაღალ მოსავლიანობას და აგრეთვე რიგი სხვა მახასიათებლების გაუმჯობესებას, შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ კულტურის მოყვანის ეკონომიკურ ასპექტებზე და მის გამოყენებაზე საბოლოო მომხმარებლის მიერ. სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის განვითარების ტემპები მთელ მსოფლიოში ისეთია, რომ გაუმჯობესებული ჯიშები მისაწვდომი უნდა იყოს მემცენარეებისათვის რაც შეიძლება ადრე მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

27.2. მაგრამ მცენარეთა ახალი ჯიშების სელექციონერები განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში არიან, რამეთუ მცენარეთა ახალ ჯიშებს, რომლებიც მათ გამოიყვანეს მრავალი წლის რუდუნებით და ჩადებული მნიშვნელოვანი სახსრების შედეგად, ხშირად გააჩნიათ საკუთარი კვლავწარმოების უნარი, რის შედეგად მცენარის გამოყვანილი ჯიშის სარგავი მასალის მცირე რაოდენობის გამოშვება მას ყველასთვის მისაწვდომს ხდის. როგორც გვიჩვენებს გამოცდილება, სელექციონერს არ შეუძლია უზრუნველყოს ისეთი შემოსავლიანობა გამოყვანილი ჯიშის სარგავი მასალის პირველი გამოშვებიდან, რომელიც შეძლებდა მისაღები მოგების გარანტირებას ჩადებული სახსრებიდან და გაწეული ძალისხმევიდან. ამავე დროს დადგენილია, რომ სელექციონერებისთვის მათ მიერ გამოყვანილი ჯიშებით სარგებლობის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება კერძო ინვესტიციების სტიმულირებაში არსებით როლს თამაშობს მცენარეთა მრავალი სახეობის სელექციაში.

B. სასელექციო მიღწევათა დაცვის საერთაშორისო კავშირი (UPOV)

(a) ისტორიული ცნობა

27.3. მცენარეთა სელექციონერებისათვის განსაკუთრებული უფლებების აუცილებლობა ცნო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე 1930 წელს, როდესაც შემოღებული იყო განსაკუთრებული უფლების ისეთი ფორმა, როგორიცაა მცენარის პატენტი, რომელიც თუმცა ვრცელდებოდა მხოლოდ უსქესო გამრავლების მქონე ჯიშებზე, აგრეთვე ევროპის ქვეყნების ჯგუფმა, რომლებმაც 1961 წლის შეხვედრაზე მიიღეს საერთაშორისო კონვენცია სასელექციო მოღვაწეთა დაცვის შესახებ, რომელშიც შემდგომში 1972 და 1978 წლებში შეიტანეს ცვლილებები. ის ცნობილია 1978 წლის რედაქციით როგორც 1978 წლის აქტი. ეს აქტი პოტენციურად იცავს მცენარეთა ყველა ჯიშს, გამრავლების ხერხისა ან ტექნოლოგიის მიუხედავად, რომელიც გამოყენებული იყო მათი გამოყვანის პროცესში.

27.4. 1978 წლის აქტი წარმოადგენს არსებითად სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას, რომლის მიხედვით სახელმწიფოები, რომლებმაც მიიღეს კონვენცია, კისრულობენ შექმნან მცენარეთა სელექციონერების უფლებათა უზრუნველყოფის სისტემა ეროვნულ კანონმდებლობათა ფარგლებში და ამ სახელმწიფოების მიერ შეთანხმებული ერთიანი პრინციპების შესაბამისად.

27.5. 1978 წლის აქტი აფუძნებს სასელექციო მიღწევათა დაცვის საერთაშორისო კავშირს – UPOV (ფრანგული სახელწოდების პირველი ასოების მიხედვით).

27.6. UPOV წარმოადგენს საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციას. ეს ნიშნავს, რომ კავშირის წევრებია სახელმწიფოები და არა კერძო გაერთიანებები ან პირები. UPOV – დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო იურიდიულ პირს. კავშირის შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში, სადაც იმყოფებიან კავშირის საშტატო თანამშრომლები.

27.7. UPOV მჭიდროდ თანამშრომლობს ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით იტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (ისმო), რომელიც წარმოადგენს გაეროს სპეციალურ სააგენტოს. UPOV-ის გენერალური მდივანი არის ისმოს გენერალური დირექტორი, UPOV-ის შტაბ-ბინა მდებარეობს იმავე შენობაში, სადაც არის ისმო; UPOV სარგებლობს მომსახურებით, რომელსაც ანიჭებს UPOV.

27.8. 1978 წლის აქტი ამჟამად მოქმედი კონვენციის აქტია. მაგრამ 1991 წლის მარტის დიპლომატიურ კონფერენციაზე ჟენევაში UPOV-ის წევრმა სახელმწიფოებმა ერთხმად მიიღეს UPOV-ის 1991 წლის კონვენციის ახალი, გადასინჯული აქტი (1991 წლის აქტი). 1991 წლის ახალი აქტი არ შევა ძალაში იქამდე, სანამ მას არ მიუერთდება ხუთი სახელმწიფო, მაგრამ მისი ძალაში შესვლის შემდეგაც კი სავალდებულო იქნება მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც გადაწყვიტეს მასთან მიერთება. კავშირის ახლანდელი წევრი სახელმწიფოებისათვის 1991 წლის აქტი გახდება სავალდებულო მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისა და ახალ აქტთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შემდეგ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ უკვე საკუთარი კანონმდებლობა ახალ აქტს შეუსაბამეს, ხოლო ევროპის კავშირმა შემოიღო დაცვის ფორმა, რომელიც ემყარება 1991 წლის აქტს, რომლის მიხედვით გარანტირებულია სელექციონერთა უფლებები და რომელსაც ძალა აქვს მთელ ევროპის კავშირში.

27.9. ქვემოთ განხილული იქნება 1978 წლის კონვენციის აქტი. ეს აქტი სავალდებულოა კავშირის ყველა ახლანდელი წევრი სახელმწიფოებისათვის და წარმოადგენს საფუძველს სასელექციო მიღწევათა დაცვის UPOV-ის არსებული სისტემისთვის. შემდეგი თავი მიეძღვნა 1991 წლის აქტის ძირითად დებულებებს.

(b) დაცვის მინიჭების კრიტერიუმები

27.10. 1978 წლის აქტი უზრუნველყოფს მცენარეთა ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვის სისტემას, ე.ი. მცენარეთა მასალის ფიზიკური ერთეულის სისტემას, რომელიც შერჩეულია სელექციონერის მიერ მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. იურიდიული უფლების მინიჭებისას მცენარეთა მასალის ერთეულის მიმართ, რომელიც შეადგენს მცენარის ჯიშს და ასეთი უფლების შემდგომი ეფექტური უზრუნველყოფის აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა ზუსტად დადგინდეს მცენარეთა მასალის იდენტურობა. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ მოცემული მცენარეთა მასალა შეადგენს „ჯიშს“ ან მიეკუთვნება მას, კლასიფიკატორი უნდა ხელმძღვანელობდეს საკუთარი შეფასებით, მაგრამ ასეთი შეფასების აუცილებელი ელემენტები უნდა იყოს - მისი სხვა მასალისგან განსხვავების დონე, მისი ერთგვაროვნება იმ გაგებით, რომ სტანდარტული

აღწერილობიდან გადახვევა უნდა ხდებოდეს დასაშვებ ფარგლებში და, აგრეთვე, სტაბილურობა იმ აზრით, რომ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები უნდა გადაეცეს ერთი თაობიდან მეორეს. 1978 წლის აქტის მე-6 მუხლი შეიცავს მოთხოვნებს კავშირის წევრი ქვეყნებისადმი გამოიყენონ სასელექციო მიღწევათა ტექნიკური დაცვის საფუძვლად ისეთი სამი კრიტერიუმი, როგორიცაა: განმასხვავებლობა, ერთგვაროვნება (1978 წლის აქტში გამოიყენება ტერმინი „ჰომოგენურობა“) და სტაბილურობა, დამატებულია აგრეთვე ორი მოთხოვნა, რომლებიც დაკავშირებულია კომერციულ სიახლესთან და გამოყვანილი ჯიშის მისაღებ სახელწოდებასთან, ე.ი. მოცემულია დაცვის სულ ხუთი კრიტერიუმი.

27.11. ჯიშის დაცვის უზრუნველსაყოფად მას უნდა გააჩნდეს კომერციული სიახლე. 1978 წლის აქტის მე-6(1)(b) მუხლი ითვალისწინებს, რომ მოცემული ჯიში განაცხადის შეტანამდე არ უნდა იყოს გამოტანილი გასყიდად ან გამოიყენებოდეს კომერციული მიზნით, სელექციონერის თანხმობით, სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც იყო შეტანილი მითითებული განაცხადი. ამავე დროს სახელმწიფოს აქვს ამორჩევის უფლება ამ დებულების მიმართ და შეუძლია, თუ ჩათვლის საჭიროდ, ნება დართოს ჯიშების გამოტანაზე გასაყიდად ან მათ გამოყენებაზე კომერციული მიზნით თავის ტერიტორაზე ვადაში, რომელიც არ აღემატება ერთ წელს განაცხადის შეტანის მომენტამდე. გარდა ამისა, ჯიში არ უნდა იყოს გამოტანილი გასაყიდან ან გამოიყენებოდეს კომერციული მიზნებით, სელექციონერის ნებართვით, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ექვს წელზე მეტი ხნით, თუ ეს ეხება ზოგიერთ ხის სახეობას და ოთხ წლზე მეტი ხნით, თუ ეს ეხება ნებისმიერ სხვა მცენარეებს. აღნიშნული შეღავათიანი პერიოდები, რაც დაკავშირებულია კომერციალიზაციასთან სხვა ქვეყნებში, ასახავენ ჯიშთ გამოცდის ხანგრძლივ ხასიათს, რომელიც ადგენს ჯიშების აგრონომიულ მნიშვნელობას და საშუალებას აძლევს სელექციონერს ჩაატაროს საჭირო ცდები განაცხადის შეტანამდე სამართლებრივი დაცვის მინიჭების შესახებ სელექციონერის უფლებისთვის დაცვაზე ზიანის მიყენების გარეშე.

27.12. ახალ ჯიშს უნდა მიეცეს სახელწოდება 1978 წლის აქტის დებულების მე-13 მუხლის შესაბამისად. მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ ჯიშს უნდა მიეცეს ისეთი სახელწოდება, რომელიც იქნება მისი გვარეობითი სახელი და ადგენს წესებს, რომლებიც უნდა იძლეოდნენ გარანტიას, რომ ჯიშს, სელექ-

ციონერებისა და მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, მართლაც აშკარა გვარეობითი სახელწოდება აქვს. ამგვარად, სახელწოდება არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ციფრებისგან, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ეს შეესაბამება დაწესებულ პრაქტიკას ჯიშების სახელწოდებისთვის. ის არ უნდა იწვევდეს შეცდომაში შეყვანის, ან გაუგებრობის შესაძლებლობას ამ ჯიშის მიმართ ან სელექციონერის პიროვნების მიმართ. და, რა თქმა უნდა, უნდა განსხვავდებოდეს ნებისმიერი სხვა სახელწოდებისაგან, რომელსაც ატარებს იმავე ან მახლობელი ბოტანიკური სახეობის სხვა ჯიში კავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში.

27.13. განსხვავებულობის, ერთგვაროვნობისა და სტაბილურობის ტექნიკური კრიტერიუმები და, აგრეთვე, კომერციული სიახლისა და დადგენილი სახელწოდების კრიტერიუმები წარმოადგენენ სტანდარტულ პირობებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს სასელექციო მიღწევებისთვის სამართლებრივი დაცვის მისანიჭებლად კავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის შესაბამისად. 1978 წლის აქტის მე-6(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ სელექციონერის მიერ აუცილებელი ფორმალურობის დაცვის შემთხვევაში, კავშირის წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ სამართლებრივი დაცვის მინიჭება დამოკიდებული გახადონ პირობების შესრულებაზე რომლებიც განსხვავდებიან ხუთი ზემოჩამოთვლილისგან.

(c) დაცვის მოცულობა

27.14. 1978 წლის აქტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს უფლებათა იმ მინიმალური მოცულობის ხასიათს, რომლებსაც კავშირის წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ სელექციონერებს. როგორც მინიმუმი, სელექციონერებს უნდა მიენიჭოს მათ მიერ გამოყვანილი ჯიშების სქესობრივი ან ვეგეტაციური გამრავლების მასალის წარმოების განსაკუთრებული უფლება კომერციული გასაღების მიზნით და, აგრეთვე, გასაყიდად გამოტანისა და ასეთი მასალისა და მისი სახესხვაობის კომერციალიზაციის განსაკუთრებული უფლება. სელექციონერის უფლება შეზღუდულია გამოყვანილი ჯიშის სქესობრივი ან ვეგეტაციური გამრავლების მასალის წარმოებით და რეალიზაციით. მაგალითად, თუ განვიხილავთ მარცვლოვან ჯიშებს, სელექციონერს არ გააჩნია ამ ჯიშის მარცვლეულის გაყიდვის განსაკუთრებული უფლება, ეს უფლება მას აქვს მხოლოდ თესლის მიმართ. საქმე ისაა, თუ როგორ დავადგინოთ მხოლოდ

თესლის თუ ამასთან ერთად მარცვლეულის გაყიდვის ფაქტი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 1978 წლის აქტის შესაბამისად სელექციონერის ექსკლუზიური უფლება ეხება მხოლოდ წარმოებას კომერციული გასაღების მიზნით. თუ გამრავლების მასალის წარმოება ხდება არა კომერციული გასაღების მიზნით, ან ასეთი მასალა არ უნდა იყოს კომერციალიზებული, სელექციონერთა უფლებები არ გამოიყენება და, მაგალითად, ფერმერს, რომელიც აწარმოებს თესლს საკუთარ ფერმაში საკუთარი ნათესების განახლებისთვის, შეუძლია ეს გააკეთოს თავისუფლად ყოველგვარი ვალდებულების გარეშე სელექციონერების წინაშე.

27.15. 1978 წლის აქტი განსაზღვრავს უფლებების მხოლოდ მინიმალურ მოცულობას, რომლებიც უნდა მიანიჭონ კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა. კავშირის წევრ სახელმწიფოებს ნებადართული აქვთ, საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში და სურვილისამებრ, მცენარეთა გარკვეული სახეობისა და გვარის სელექციონერებს მიანიჭონ უფრო ფართო უფლებები, ვიდრე ეს წარმოდგენილია ზემოთ, ამასთან გააფართოონ ეს უფლებები გამოყვანილი ჯიშის კომერციალიზებულ პროდუქტამდე. მაგრამ პრაქტიკულად ეს უფლება გამოიყენა ცოტა ქვეყანამ.

27.16. მე-5 მუხლი ასევე მიუთითებს, რომ სელექციონერს შეუძლია შეაპირობოს მის მიერ გამოყვანილი ჯიშის წარმოებაზე ან კომერციალიზაციაზე ნებართვის მიცემა გარკვეული პირობების შესრულებით. ამგვარად, სელექციონერი თავისი ნება-სურვილით წყვეტს, გამოიყენებს თუ არა თავის განსაკუთრებულ უფლებას, როცა აწარმოებს და ყიდის სქესობრივი თუ ვეგეტაციური გამრავლების მთელ, ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით, მასალას ან გასცემს ლიცენზიას სხვა პირს, მაგალითად, როიალტის საფუძველზე. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი პრაქტიკა არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში იმ სახეობებისათვის, რომლებიც გულისხმობენ თესლის დიდი მოცულობით წარმოებასა და რეალიზაციას, იმ შემთხვევაში, როდესაც თესლის საკუთარი მარაგის შენახვის სიმარტივე გავლენას ახდენს ფასზე, რომლის გადახდაზე მზად არიან ფერმერები, სელექციონერები ამჯობინებენ წარმოებისა და გასაღების ყველაზე ნაკლებხარჯიან მეთოდს. მაგალითად, ევროპის ბევრ ქვეყანაში ლიცენზიებს წვრილ მარცვლეულზე ხშირად გასცემენ ადგილობრივ კოოპერატივებს და მარცვლეულით მოვაჭრეებს, რომლებიც აწვდიან ფერმერებს საქონლისა და მომსახურების ფართო ასორტიმენტს. ასეთი ორ-

განიზაციები აწარმოებენ მარცვლეულს კონტრაქტებით ადგილობრივ პირობებში და შემდეგ მიყიდიან მას ადგილობრივ ფერმერებს, რაც იწვევს ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას. სელექციონერი იღებს როიალტის გაყიდული თესლის ყოველი ტონიდან. თესლის უფრო სპეციალიზებული წარმოებისთვის, მაგალითად, ჯვარედინი დამტვერვის სახეობების, ჰიბრიდული ჯიშების, ბოსტნეული კულტურების მაღალხარისხოვანი თესლების, ან ხეების, ან ყურძნის ახალი სახეობების წარმოებისთვის, სელექციონერი, როგორც წესი, ამჯობინებს თესლის ან მცენარის წარმოების ძალიან მკაცრ გაკონტროლებას მის მიერ გამოყვანილი ჯიშის ხარისხის და რეპუტაციის შესანარჩუნებლად. ამ შემთხვევაში მას შეუძლია მიიღოს ანაზღაურება უშუალოდ თესლზე ფასის ხარჯზე. რასაკვირველია, არსებობს მრავალი სხვადასხვაგვარი სიტუაცია, რომლებიც განისაზღვრება თესლისა და ნერგის გასაღების კომერციული სტრუქტურით ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში და, აგრეთვე, კონკრეტული სახეობის წარმოებისა და რეალიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ასპექტებით. 1978 წლის აქტი არ ეხება კომერციული ხასიათის ყველა ამ საკითხს და მხოლოდ ავალდებულებს კავშირის წევრ სახელმწიფოებს ნება დართონ სელექციონერებს მიუთითონ მათ მიერ გამოყვანილი ჯიშების ლიცენზირების პირობები.

27.17. 1978 წლის აქტის მე-5(3) მუხლი შეიცავს ჭეშმარიტად ფუძემდებელ პრინციპს. მასში ნათქვამია, რომ სელექციონერის ნებართვა არ არის სავალდებულო გამოყვანილი ჯიშის როგორც ამოსავალი მასალის გამოსაყენებლად სხვა ჯიშების გამოსაყვანად. ერთადერთი დათქმული გამონაკლისი ამ წესიდან არის შემთხვევა, როდესაც აუცილებელია გამოყვანილი ჯიშის არაერთგზისი გამოყენება სხვა ჯიშის კომერციული წარმოებისთვის. ეს შეზღუდული გამონაკლისი ეხება ჰიბრიდის თესლის კომერციულ წარმოებაში ინბრედული ხაზის გამოყენებას. ყველა სელექციონერისათვის თავისუფლად ხელმისაწვდომია დაცული ჯიშების როგორც ჩანასახის პლაზმის წყაროს გამოყენება – ეს არის 1978 წლის აქტის ფუძემდებელი პრინციპი და მოწმობს იმას, რომ ეს აქტი შექმნეს სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებმა, რომლებიც მშვენივრად ერკვევიან ჩადებული მიღწევების გამოყენების ხარჯზე მცენარეთა სელექციის არსში და პროგრესების უზრუნველყოფის გზებში უკვე არსებულ ჯიშებში.

27.18. 1978 წლის აქტი მოითხოვს სახელმწიფოებისაგან დაცვის მინიჭების არა ნაკლები 18 წლის ვადით ყურძნისთვის, ხეხილის, ტყისა და დეკორატიული ხეებისთვის და არა ნაკლები 15 წლის ვადით ყველა სხვა სახეობისთვის.
27.19. 1978 წლის აქტი უშუალოდ არ ავალდებულებს კავშირის წევრებს ყველა ბოტანიკური სახეობისა და გვარების დაცვას. 1978 წლის აქტი ადგენს, რომ მისი დებულებები შეიძლება გამოიყენონ ყველა ბოტანიკური სახეობებისა და გვარების მიმართ, მაგრამ ის არ ავალდებულებს კავშირის წევრებს დაიცვან ყველა ბოტანიკური სახეობა და გვარი. კავშირის წევრი სახელმწიფოსგან მოითხოვება კონვენციის ძალაში შესვლისას მის ტერიტორიაზე კონვენციის დებულებათა გამოყენება ხუთი გვარის მიმართ იმ პირობით მაინც, რომ წლების მანძილზე კონვენციის გამოყენების სფერო გავრცელდება დაცული გვარების უფრო ფართო წრეზე. კავშირის ბევრი წევრი სახელმწიფო იცავს ყველა სახეობას, რომელსაც აქვს სამეურნეო მნიშვნელობა ამ ქვეყნებში და სულ უფრო ხშირად ავრცელებს დაცვას მთელ მცენარეულ სამყაროზე.
19.20. 1978 წლის აქტის მე-10 მუხლი შეიცავს, სხვა ვალდებულებებთან ერთად, დებულებას იმის შესახებ, რომ დაცული ჯიშის სელექციონერი კარგავს მინიჭებულ უფლებას, თუ მას აღარ შეუძლია წარუდგინოს კომპეტენტურ ორგანოს სათესლე ან სანერგე მასალა, რომელიც მის მიერ გამოყვანილი ჯიშის მიღების საშუალებას იძლევა მისი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლებით, რომლებიც შეესაბამება სელექციონერისთვის სამართლებრივი დაცვის მინიჭებისას განსაზღვრულ მახასიათებლებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სელექციონერმა უნდა შეძლოს მარჯვედ დაიცვას და შეინარჩუნოს თავისი ჯიში, თუ სურს ისარგებლოს სამართლებრივი დაცვით.
27.21. 1978 წლის აქტის მე-2 მუხლი ადგენს, რომ კავშირის ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს გამოყვანილი ჯიშების დაცვა სელექციონერისთვის სპეციალური დამცავი დოკუმენტის ან პატენტის გაცემის ფორმით, ამასთან კავშირის წევრ სახელმწიფოს, რომელმაც აირჩია დამცავი დოკუმენტი რაიმე სახეობის ჯიშების დასაცავად, არ შეუძლია შემდგომში განახორციელოს იმავე სახეობის ჯიშების დაცვა პატენტით. ეს ე.წ. „ორმაგი დაცვის“ აკრძალვაა.
27.22. 1978 წლის აქტის მე-3 მუხლი ადგენს, რომ კავშირის ყველა წევრმა სახელმწიფომ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ, რომელთა ადგილსამყოფელი კავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოა, უნდა გამოიყენოს მათ

მიერ გამოყვანილი ჯიშების ცნობისა და დაცვის ისეთივე სამართლებრივი რეჟიმი, როგორიც ენიჭებათ მათ მოქალაქეებს.

27.23. 1978 წლის აქტის მე-7 მუხლი ადგენს, რომ კავშირის წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ სამართლებრივ დაცვას მხოლოდ შესაბამისი ჯიშის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ განმასხვავებლობის, ერთგვაროვნობისა და კომერციული სიახლის (იხ. ზემოთ) კრიტერიუმების შუქზე. ამ დებულების ინტერპრეტაცია შეიძლება იმდაგვარად, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებს ესაჭიროებათ ჯიშთა გამოცდა, რომელსაც ატარებს კავშირის წევრი სახელმწიფო ან თვითონ სელექციონერი იმ პირობით, რომ გამოცდა ტარდება შესაბამისი მეთოდიკით და სელექციონერი ვალდებულია მცენარის ჯიშის ნიმუში წარმოადგინოს განაცხადის შეტანის მომენტისთვის და დაუშვას უფლებამოსილი წარმომადგენლები ექსპერტიზაზე.

27.24. 1978 წლის აქტის მე-9 მუხლი ითვალისწინებს, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეზღუდონ სელექციონერისთვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლების განხორციელება მხოლოდ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მიზეზების ძალით და რომ ასეთი შეზღუდვის შემთხვევაში კავშირის წევრი ქვეყანა იღებს ყველა საჭირო ზომა, რათა სელექციონერმა მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება.

27.25. 1978 წლის აქტის მე-10 მუხლი ადგენს, რომ სელექციონერის უფლება შეიძლება გაუქმებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯიში არ აკმაყოფილებდა კომერციული სიახლის და განმასხვავებლობის კრიტერიუმებს უფლების მინიჭების მომენტში, ხოლო სელექციონერს შეიძლება ჩამოერთვას უფლება ახალ ჯიშზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ შეძლო ჯიშის წარდგენა ან არ გადაიხადა სავალდებულო საფასური.

27.26. 1978 წლის აქტის მე-12 მუხლი მოითხოვს კავშირის წევრი ქვეყნისაგან წესების მიღებას, რომლებიც ითვალისწინებენ 12 თვის ვადაში პრიორიტეტის უფლების მინიჭებას განაცხადის მიმართ, რომელიც უკვე შეტანილია მოცემულ ჯიშზე სხვა ქვეყანაში. ეს ნიშნავს, რომ კავშირის წევრ ქვეყანაში შეტანილი განაცხადი უნდა განიხილებოდეს ისე როგორც შეტანილი ამ განაცხადის უფრო ადრინდელი შეტანის მომენტში კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში, სადაც გამოთხოვილია პრიორიტეტის უფლება.

27.27. 1978 წლის აქტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს, რომ გამოყვანილ ჯიშზე სელექციონერის უფლების მინიჭება ან უარი უფლების მინიჭებაზე არ არის

დამოკიდებული სათესლე მასალის წარმოების რეგლამენტაციაზე, სერტიფიკაციასა და გასაღებაზე კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში.

27.28. 1978 წლის აქტის 1-14 მუხლები წარმოადგენენ მუხლებს, რომლებიც ადგენენ ძირითად იურიდიულ დებულებებს, რომელთა შეტანას ეროვნულ კანონმდებლობაში კისრულობენ კავშირის წევრი სახელმწიფოები. 1978 წლის აქტის დანარჩენი მუხლები ძირითადად დაკავშირებულია UPOV-სა და მისი მართვის ორგანოების შექმნასთან.

27.29. მაშინვე წამოიჭრება კითხვა: „რატომ გახდა საჭირო ასეთი შესანიშნავი კონვენციის გადასინჯვა და რა ცვლილებები იყო შეტანილი კონვენციის ახალ აქტში 1991 წელს?“

C. UPOV-ის კონვენციის 1991 წლის აქტი

27.30. ტექნოლოგიის დარგში მიღწევებისა და 1961 წლის შემდეგ კონვენციის ფარგლებში მუშაობის დაგროვილი გამოცდილების შედეგად გაჩნდა რიგი წინადადება კონვენციის სრულყოფის შესახებ. ამასთან დაკავშირებით 1987 წ. UPOV-ს საბჭომ გადაწყვიტა ჩაეტარებინა მუშაობა 1978 წლის აქტის გადასასინჯად. უკვე 1987 წელს ჩატარდა UPOV შეხვედრა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან (არსებითად ეს იყო მოსმენა, რომელზედაც UPOV-ს საბჭო ისმენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების აზრს კონკრეტულ საკითხებზე), რომელიც მიეძღვნა კონვენციის შესაძლო ცვლილებებს და რომელმაც ზეგავლენა მოახდინა საბჭოს გადაწყვეტილებაზე დაეწყოთ მუშაობა გადასინჯვის მხრივ. შემდგომში შედგა კიდევ ორი შეხვედრა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან 1989 და 1990 წლებში და შვიდი სამუშაო სხდომა 1988, 1989 და 1990 წლებში UPOV-ს ადმინისტრაციული და იურიდიული კომიტეტების ფარგლებში, რომელთა მიზანი იყო გადასინჯული კონვენციის პროექტის მომზადება. 1990 წლის ოქტომბერში საბჭომ მოიწონა გადასინჯული კონვენციის პროექტი („ძირითადი წინადადებები“) და მიიღო გადაწყვეტილება კონვენციის გადასინჯვის მიზნით დიპლომატიური კონფერენციის ჩატარების შესახებ 1991 წლის მარტში.

27.31. კონვენციაში მონაწილეობა მიიღო იმ მომენტისთვის კავშირის 20-მა წევრმა სახელმწიფომ და აგრეთვე როგორც დამკვირვებლებმა დაახლოებით 30-მა სახელმწიფომ და 24-მა სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციამ. კონფერენციაზე განხილული იყო 130-ზე მეტი წინადადება

“ძირითად წინადადებებში” შესწორების შეტანის შესახებ, ხოლო 1991 წლის 19 მარტს მიღებულ იქნა 1991 წლის UPOV-ს კონვენციის გადასინჯული აქტი (1991 წლის აქტი). კავშირის 15 წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა 1991 წლის აქტს კონფერენციის დამთავრებისას, ან პერიოდში, როდესაც ის ღია იყო ხელმოსაწერად. ხელმოწერის მნიშვნელობა, რასაკვირველია, არა იმაშია, რომ ხელმომწერ სახელმწიფოებს დაეკისროს ვალდებულებები, არამედ კონვენციის საფუძველზე კანონის მიღების განზრახვათა ცნობაში და შესაბამის ეტაპზე კონვენციის რატიფიკაციაში. საერთაშორისო იურიდიული ვალდებულებები იქმნება მხოლოდ კავშირის წევრი სახელმწიფოების ფარგლებში, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას, ან კონვენციას მიერთებულ კავშირის ახალი წევრი ქვეყნების ფარგლებში.

27.32. 1991 წლის აქტის 37-ე მუხლი ადგენს, რომ აქტი შევა ძალაში ერთი თვის შემდეგ, როცა ხუთი სახელმწიფო მისცემს შესანახად დოკუმენტებს მიერთების შესახებ, იმ პირობით, რომ არა ნაკლები სამ ასეთ დოკუმენტს მისცემენ შესანახად კავშირის არსებული წევრი ქვეყნები. 1991 წლის აქტის ძალაში შესვლის შემდეგ 1978 წლის აქტი პრინციპში დახურული იქნება შემდგომი მიერთებისთვის.

27.33. მაგრამ 1991 წლის აქტი შეიცავს ორ “შეღავათიან პერიოდს”. 1978 წლის აქტი დარჩება ღია მისაერთებლად განვითარებადი ქვეყნებისთვის 1995 წლის 31 დეკემბრამდე და ნებისმიერი სხვა ქვეყნებისთვის 1993 წლის 31 დეკემბრამდე. “შეღავათიანი პერიოდის” არსებობა განვითარებადი ქვეყნებისთვის იმ ფაქტის აღიარებაა, რომ განვითარებად ქვეყნებში ადგილი აქვს არსებით ცვლილებებს სასელექციო მიღწევათა დაცვაში, მაგრამ უნდა განვლოს გარკვეულმა დრომ, სამნამ ისინი, ვინც იჩენს ინტერესს, არ მიიღებენ შესაბამის კანონმდებლობას. განზრახული იყო, რომ რამდენადაც 1978 წლის აქტისადმი, როგორც ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლისადმი, დიდი ინტერესი გამოიჩინა მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ, იმდენად შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთ შემთხვევაში 1991 წლის აქტის შემდგომი შესწავლა მის შეტანამდე რიგი განვითარებადი ქვეყნის კანონმდებლობაში. განვითარებადი ქვეყნებისთვის შეღავათიანი პერიოდი სულაც არ ნიშნავს, რომ ახალი აქტი არ შეეფერება განვითარებად ქვეყნებს. პირიქით, დებულებებს, რომლებიც ეხება, მაგალითად, საყურადღებო წარმოებულ ჯიშებს, პრინციპული მნიშვნელობა აქვთ განვითარებადი ქვეყნებისთვის. სხვა ქვეყნებისთვის შეღავა-

თიანი პერიოდი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადებები 1978 წლის აქტის საფუძველზე, ამასთან დაკავშირებით შეღავათიანი პერიოდი 1993 წლის 13 დეკემბრამდე საშუალებას მისცემს მათ დაამთავრონ მუშაობა კანონმდებლობათა შექმნაზე და მიუერთდნენ კონვენციას 1978 წლის აქტის საფუძველზე.

27.34. 1991 წლის აქტის 34(1)(b) მუხლი ვარაუდობს UPOV-ში სახელმწიფო-თაშორისო ორგანიზაციების გაწევრიანებას. ეს დებულება მოწოდებული იყო შესაძლებელი გაეხადა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრობა იმ პირობით, რომ თანამეგობრობა დაამტკიცებს წინადადებას სელექციონერთა უფლების ხელმძღვანელი საბჭოს შესახებ თანამეგობრობაში. ეს წინადადება დაამტკიცა თანამეგობრობამ და ის ძალაში შევიდა 1995 წლის 27 აპრილს. 26(16)(b) მუხლი, რომელიც ეხება კენჭისყრას საბჭოში, და მე-6(3) და მე-16(3) მუხლები, რომლებიც ეხება სიახლეს და უფლებათა ამოწურვას, ასევე შეიცავენ დებულებებს, რომლებიც ასახავენ თანამეგობრობის ინტერესებს.

27.35. 1978 წლის აქტის სტრუქტურა არსებითად გადაისინჯა ახალ აქტში. 1991 წლის აქტში მუხლები გაერთიანებულია ათ ნაწილად, რომლებიც განლაგებულია ქრონოლოგიური წესით და განიხილავენ ჯერ "ხელშემკვრელ მხარეთა საერთო ვალდებულებებს", ხოლო შემდეგ "სელექციონერთა უფლებების მინიჭების პირობებს", "განაცხადის შეტანას სელექციონერის უფლებების მინიჭებაზე", "სელექციონერის უფლებებს", "ჯიშის სახელწოდებას", "სელექციონერის უფლებათა ბათილობას და დაკარგვას". კონვენციის ადმინისტრაციულ და ფინანსურ დებულებებს შეიცავს უკანასკნელი სამი ნაწილი.

27.36. ქვემოთ მიმოხილულია 1991 წლის აქტის ტექსტი მუხლების ნუმერაციის მიხედვით შესაბამისი მუხლების მითითებით ძველ ტექსტში და შეტანილ ცვლილებათა შინაარსი. ყოველი მუხლის ან ყოველი მუხლის ყოველი პარაგრაფის განხილვის საკითხი არ იდგა. განხილულია მხოლოდ მუხლები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შინაარსის თვალსაზრისით.

(a) განსაზღვრებანი

27.37.1-ლი მუხლი შეიცავს განსაზღვრებებს, რომლებიც ძირითადად არ მოითხოვენ დამატებით ახსნა-განმარტებას. (vi) პუნქტი შეიცავს ჯიშის განსაზღვრას. 1978 წლის აქტი არ შეიცავს ჯიშის განსაზღვრას, მაშინ, როცა

1961 წლის აქტი მიუთითებს, რომ "წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის ტერმინი "ჯიში" ვრცელდება მცენარეთა ყველა კულტურულ ფორმაზე, კლონებზე, ხაზებზე, შტამებზე და ჰიბრიდებზე, რომლებიც ვარგისია კულტივირებისთვის და აკმაყოფილებენ მე-6 მუხლის 1 პარაგრაფის (c) და (d) ქვეპუნქტების დებულებებს". ამ ქვეპუნქტების დებულებები განსაზღვრავენ ჰომოგენობისა და სტაბილურობის პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მცენარის ნებისმიერი ჯიში სელექციონერისთვის სამართლებრივი დაცვის მისანიჭებლად. კონვენციის გადასინჯული ვარიანტის მომზადებისას დიდხანს იხილებოდა საკითხი განსაზღვრის შეტანის პრინციპული მიზანშეწონილობის შესახებ; საპატენტო წრეებმა, რომლებიც ადრე თანახმა იყვნენ განსაზღვრის შეტანაზე, რომელიც ერთნაირი იქნებოდა როგორც დაპატენტებისთვის, ასევე სასელექციო მიღწევათა დაცვისთვის, ბოლო დროს ეჭვი შეიტანეს ასეთი განსაზღვრის აუცილებლობაში. როგორც ჩანს, საპატენტო წრეები შეწუხებული იყვნენ იმით, რომ ჯიშის განსაზღვრამ შეიძლება მოიცვას აგრეთვე მცენარეთა უჯრედების ხაზი და რომ ევროპის საპატენტო კონვენციის 53(b) მუხლის გამომრიცხავი პირობები, რომლებიც გამორიცხავს მცენარეთა ჯიშებს დაპატენტებიდან, შეიძლება ახალი განსაზღვრის შუქზე გაგებული იყოს იმდაგვარად, რომ დაპატენტებიდან გამორიცხულია მცენარეთა უჯრედების ხაზებიც.

27.38. ჯიშის განსაზღვრა, რაც 1961 წლის აქტში იყო შეტანილი, თითქმის, თუმცა არამთლიანად, სინონიმურია "ჯიშისა, რომელიც დაცული უნდა იქნეს კონვენციის შესაბამისად". განსაზღვრის შეტანისას 1991 წელს ივარაუდებოდა, რომ მკაფიო განსხვავება უნდა იყოს ჯიშის განსაზღვრასა და ჯიშს შორის, რომელიც აკმაყოფილებს სამართლებრივი დაცვის მინიჭების ტექნიკურ კრიტერიუმებს, რომლებსაც შეიცავს 1991 წლის აქტის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები. ეს მოწოდებულია იმის საგარანტიოდ, რომ ჯიშს, რომელსაც გააჩნია ხარისხის ერთგვაროვნობა, რაც საკმარისი არ აის სამართლებრივი დაცვის მისანიჭებლად, მაინც შეუძლია იარსებოს როგორც ჯიშმა და მხედველობაში იყოს მიღებული საერთო ცოდნისა და განმასხვავებლობის მიზნით მე-7 მუხლის შესაბამისად. იმ ფაქტს, რომ ჯიშის განმარტება უფრო ფართოა, ვიდრე "ჯიში, რომელიც უნდა იყოს დაცული", ხაზს უსვამს ფორმულირება: "სელექციონერისთვის სამართლებრივი დაცვის მინიჭების პირობათა არსებობის მიუხედავად", რომელიც მოყვანილია შესავალ ფრაზაში.

27.39. ნებისმიერი ჯიშის იდენტური განსაზღვრისთვის, რომელსაც უნდა მიენიჭოს, ან არ მიენიჭოს დაცვა, ასეთი ჯიში უნდა განსხვავდებოდეს სხვა ჯიშებისაგან, გააჩნდეს ცალკეული კომპონენტების ზოგიერთი ერთგვაროვანი მახასიათებლები და შეინარჩუნოს არსებითი ნიშან-თვისებები ყოველ თაობაში. განმასხვავებლობა, ერთგვაროვნობა და სტაბილურობა, რაც საჭიროა მცენარეული მასალის ერთეულის იდენტურობის დასადგენად რომელიც წარმოადგენს სელექციონერის უფლებათა ობიექტს, ასევე აუცილებელია, თუმცა უფრო შეზღუდული დონით, იმის გასარკვევად, არის თუ არა მოცემული მცენარეული მასალა ცალკეული ჯიში. განსაზღვრებაში სამი აბზაცი ეხება, შესაბამისად, ერთგვაროვნობის, განმასხვავებლობისა და სტაბილურობის მოთხოვნებს, მაგრამ გადაწყვეტილი იყო ეს მოთხოვნები აღენიშნათ უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე ის, რომელიც საჭიროა დაცვისთვის.
27.40. განსაზღვრაში გამოყენებული გამოთქმა "მცენარეთა ჯგუფი" შეესაბამება ფრანგულ "ensemble végétal" და ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, ხომ არ უნდა შედგებოდეს ჯიში აუცილებლად ერთზე მეტი მთლიანი მცენარისაგან.

(b) ხელშეკრულების მონაწილეთა ძირითადი ვალდებულებანი

27.41. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებას, რომ "ყოველი ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს და იცავს სელექციონერთა უფლებებს", შეიცავს მე-2 მუხლი. 1 მუხლში "სელექციონერის უფლება განსაზღვრულია როგორც "მოცემული კონვენციით მინიჭებული სელექციონერის უფლება". შესაბამისად, კონვენციის მონაწილე ყოველი სახელმწიფო უნდა ანიჭებდეს დაცვას III ნაწილში მითითებული პირობებით (და არავითარი დამატებითი ან განსხვავებული პირობებით), დაცვის მინიმალური მოცულობის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია v ნაწილში და კონვენციის ყველა სხვა შესაბამის დებულებათა თანახმად. მე-2 მუხლის დებულებები შეესაბამება 1978 წლის აქტის 1 და 30(3) მუხლის დებულებებს.
27.42. 1978 წლის აქტის მე-2(1) მუხლის პირველი წინადადებისგან განსხვავებით, 1991 წლის აქტი არ მიუთითებს სელექციონერის უფლებათა დაცვის საშუალებებზე. დაცვა შეიძლება განხორციელდეს სპეციალური sui generés დაცვითი დოკუმენტის ფორმით, პატენტის ფორმით, ან ნებისმიერი სხვა დასახელებით, რაც რეგლამენტირებულია კონვენციით მხოლოდ მინიმალური

დონით. 1991 წლის აქტი ასევე არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც შეესაბამება 1978 წლის აქტის მე-2(1) მუხლის მეორე წინადადებას (ე.წ. "ორმაგი დაცვის აკრძალვა"), რასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ მხარეს, 1991 წლის აქტის შესაბამისად, შეუძლია თავისუფლად დაიცვას სასელექციო მიღწევები არა მხოლოდ დაცვითი დოკუმენტის მეშვეობით, არამედ დამატებით სხვა დოკუმენტების, კერძოდ პატენტების მეშვეობითაც. კავშირის წევრი სახელმწიფო, რომელსაც საშუალება აქვს გასცეს პატენტი დამცავი დოკუმენტის დამატებით, თვითონ წყვეტს, უნდა აირჩიოს თუ არა განმცხადებელმა დაცვით დოკუმენტსა და პატენტს შორის, ე.ი. განმცხადებელმა უნდა შეიტანოს განაცხადი და მიიღოს ერთ-ერთი მათგანი, თუ შეუძლია შეიტანოს განაცხადი ორივე დოკუმენტზე და მიიღოს ისინი. თუ ნებისმიერ კონკრეტულ ჯიშს მინიჭებული აქვს ასეთი კომპლექსური დაცვა, ყოველგვარი წინააღმდეგობათა გადაჭრა დაცვის ორ ხერხს შორის ტარდება კანონმდებლობის და კავშირის წევრ სახელმწიფოთა, რომლებმაც გასცეს აღნიშნული დოკუმენტები, სასამართლო სისტემის ფარგლებში და რეგლამენტირებული არ არის კონვენციით.

(c) სახეობა და გვარი, რომლებიც უნდა იყოს დაცული

27.43. მე-3 მუხლი შეესაბამება 1978 წლის აქტის მე-4 მუხლს და განიხილავს სახეობებსა და გვარს, რომლებიც უნდა იყოს დაცული. 1978 წლის აქტი ავალდებულებს კავშირის წევრ სახელმწიფოებს დაიცვან ხუთი სახეობა მაინც ან გვარი კონვენციასთან მიერთებისას, შემდგომ კი კავშირის ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია გაზარდოს დაცული სახეობებისა და გვარის რიცხვი და რვა წლის შემდეგ დაიყვანოს მათი რაოდენობა 24-მდე მაინც. 1978 წლის მე-4 მუხლი შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი კონვენციის თანდათანობითი გამოყენებისთვის ბოტანიკური სახეობებისა და გვარის მაქსიმალური რაოდენობის მიმართ, ამასთან არ უნდა დააკისრონ კავშირის წევრ სახელმწიფოებს გარკვეული ვალდებულებები მთელი მცენარეული სამყაროს დაცვის მიმართ, ამავე დროს 1991 წლის აქტის მე-3 მუხლი მოითხოვს კავშირის არსებული წევრი ქვეყნებისაგან დაიცვან ყველა სახეობა ახალი ტექსტით ვალდებულებათა აღებიდან ხუთი წლის შემდეგ, ხოლო კავშირის ახალი წევრ სახელმწიფოებისაგან – დაიცვან მცენარეთა ყველა სახეობა და გვარი 1991 წლის აქტით ვალდებულებათა აღებიდან 10 წლის შემდეგ, რაც დროთა

განმავლობაში მიიყვანს სასელექციო მიღწევათა დაცვის მსოფლიო სისტემის შექმნამდე UPOV-ის ფარგლებში, რომელიც მოითხოვს კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსგან დაიცვან მცენარეთა ყველა სახეობა და გვარი.

27.44. ასეთი სისტემის შექმნა მომავალში გამოიწვევს რიგ საინტერესო შედეგს, განსაკუთრებით ახალი ტექსტის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მოცულობის გაფართოებასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ შვეცია გადაწყვეტს თავისი ეროვნული კანონის მოდიფიცირებას და 1991 წლის აქტის რატიფიცირებას, მაშინ მომავალში შესაძლებელი გახდება ბანანის ახალი ჯიშის დაცვა შვეციაში მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯიში არასოდეს გაიხარებს ამ ქვეყანაში, მაგრამ იმპორტის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია ამ ჯიშის გავრცელებასთან ლიცენზიის გარეშე ქვეყნებში, სადაც არ არის სასელექციო მიღწევათა დაცვა. ჯერჯერობით შვეცია როგორც იმპორტიორი ქვეყანა დაინტერესებული არ არის ბანანის დაცვით. იმპორტიორ ქვეყნებში მცენარის ჯიშზე შეგროვილი მასალის ყოველგვარი დაცვის უქონლობა ნიშნავს, რომ ექსპორტიორ ქვეყნებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სელექციონერთა უფლებები, ჯერ არ შეუწუხებია მათ ტერიტორიაზე მცენარეთა ჯიშების მეკობრული გამოყენების შესაძლებლობას ამ ჯიშის გამომყვან სელექციონერებისთვის რაიმე ანაზღაურების გარეშე. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება შეიცვალოს მომავალში იმ სახეობების მიმართ, რომელთა შეგროვილი მასალა ხდება საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი.

(d) სელექციონერის უფლების მინიჭების პირობები

27.45. ეს მუხლები შეიცავენ სელექციონერებისთვის სამართლებრივი დაცვის მინიჭების პირობებს და შეესაბამებიან 1978 წლის აქტის მე-6 მუხლს. შეტანილი იყო არსებითი ცვლილებები ფორმულირებაში, მაგრამ ქვემოთ წარმოდგენილი რიგი აშკარა შემთხვევის გარდა განზრახული არ იყო თვითონ დებულების არსის შეცვლა.

27.46. ახალი ტექსტის მე-6 მუხლი ეძღვნება ჯიშის სიახლის დაკარგვას ადრეული კომერციალიზაციებისას. ამჟამად მოქმედ ტექსტში განაცხადის შეტანის დღისთვის კავშირის ერთ-ერთ სახელმწიფოში სამართლებრივი დაცვის მინიჭების შესახებ ჯიში არ უნდა ყოფილიყო ან თუ ამას ითვალისწინებს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა, არ უნდა ყოფილიყო ერთი წლისა და მეტი

ხნის განმავლობაში – გამოტანილი გასაყიდად ან გამოყენებული კომერციული მიზნით, სელექციონერის თანხმობით ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ახალი ტექსტი კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსგან მოითხოვს გაითვალისწინონ კანონმდებლობით ეს ერთწლიანი შეღავათიანი ვადა – ახლა ის უკვე აუცილებელია.

27.47. 1978 წლის აქტის მე-6(1)(b) მუხლის დებულებები მიუთითებენ, რომ ჯიში არ უნდა იყოს გამოტანილი გასაყიდად, ან გამოიყენებოდეს კომერციული მიზნით, სელექციონერის თანხმობით, განაცხადის შეტანის დღემდე. 1991 წლის აქტის მე-6 მუხლის დებულებები მიუთითებენ, რომ რომელიმე ჯიშის გამრავლების მასალა ან შეგროვილი მასალა ან უნდა იყოს გაყიდული, ან სხვა პირისთვის რამენაირად გადაცემული საკუთრივ სელექციონერის მიერ, ან სელექციონერის თანხმობით ამ ჯიშის გამოყენების მიზნით. 1991 წლის აქტის ფორმულირება არსებითად განსხვავდება 1978 წლის მე-6(1)(b) მუხლის ფორმულირებისაგან და შეუძლია შეეხოს კომერციული საქმიანობის ზოგიერთ სახეობას მცენარეთა ჯიშების მიმართ, რომლებიც არ ექვემდებარებიან კავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მოქმედებას. როგორც მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ინბრედული ხაზის როგორც მშობლის გამოყენება ჰიბრიდისთვის, როდესაც თვითონ ინბრედული ხაზი არ იყიდება და არ გამოიყენება კომერციული მიზნით. განცხადებული იყო, რომ ინბრედული ხაზის ამდაგვარად გამოყენება, რომელიც ალბათ დაცულია კომერციული საიდუმლოებით, ხელს არ უშლის სელექციონერების მიერ განაცხადის შეტანას ინბრედული ხაზის სამართლებრივ დაცვაზე კომერციული მიზნით პირველი გამოყენებიდან მრავალი წლის შემდეგ.

27.48. 1991 წლის აქტის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფი შეიცავს მითითებას საგანგებო წესებზე, რომელთა გამოყენება შესაძლოა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოში გაყიდვასთან დაკავშირებით. ეს დებულება ეხება UPOV-ში ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესაძლო მომავალ წევრობას და შესაძლებლობას აძლევს ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას და ამ თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებს მიიღონ დებულებები, რომელთა მეშვეობით გაყიდვა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში გახდება ჯიშის სიახლის დაკარგვის მიზეზი ამ თანამეგობრობის

ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, რაც შეესაბამება ერთიანი ბაზრის კონცეფციას.

27.49. 1991 წლის აქტის მე-7 მუხლი მიეძღვნა განმასხვავებლობას და უბრალოდ ითვალისწინებს, რომ ჯიში აშკარად უნდა განსხვავდებოდეს ნებისმიერი სხვა ჯიშისაგან, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია განაცხადის შეტანის მომენტისთვის. ამჟამად მოქმედი ტექსტის ფორმულირება, რომლის თანახმად ჯიში უნდა განსხვავდებოდეს ნებისმიერი სხვა ჯიშისაგან ერთი, ან მეტი აშკარად გამოხატული არსებითი ნიშნებით, უარყოფილი იქნა როგორც ზედმეტად გაურკვეველი. სიტყვა "არსებითი" 1978 წლის აქტის ტექსტის კითხვისას ხშირად ბადებდა აზრს, რომ სამართლებრივი დაცვის მისანიჭებლად ჯიში უნდა განსხვავდებოდეს არსებული ჯიშებისაგან მისი ღირსების ამსახველი რაიმე ნიშან-თვისებით. მაგრამ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. UPOV-ს კონვენცია სამართლებრივი დაცვის ნებას აძლევს ნებისმიერ ჯიშს, რომელიც აშკარად განსხვავდება სხვა ჯიშებისაგან მისი მნიშვნელობის ნებისმიერ შეფასებათა მიუხედავად. მრავალი წლის განმავლობაში UPOV-ში გაბატონებულია აზრი, რომ ჯიშის მნიშვნელობა და ღირსება მეტად დამოკიდებულია დროზე და გარემოზე, რომ გამოყენებულ იქნეს როგორც სამართლებრივი დაცვის მინიჭების კრიტერიუმი ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა საერთაშორისო სისტემის ფარგლებში. უფრო მარტივ ახალ ტექსტს არ გააჩნია არაერთმნიშვნელოვნება დაკავშირებული სიტყვასთან "არსებითი".

27.50. 1978 წლის აქტი შეიცავდა საყოველთაოდ ცნობილ ჯიშთა მაგალითების არასრულ ჩამონათვალს, რომელშიც შედიოდა "ჯიშები, რომლებიც შეტანილი იყო ჯიშთა ოფიციალურ რეგისტრში ან იყო შეტანის პროცესში" და არ იყო საყოველთაოდ ცნობილი ზოგადი გაგებით, რამეთუ შესაბამისი ინფორმაცია ყოველთვის არ არის მისაწვდომი ფართო წრისთვის. ამასთან დაკავშირებით ახალი ტექსტის მე-7 მუხლი არ შეიცავს საყოველთაოდ ცნობილ ცნებას და იზღუდება მითითებებით დაცვისთვის გამოყენების ან ოფიციალურ რეგისტრში შეტანის კონკრეტულ მაგალითებზე, რომლებშიც კონვენციის მიზნებისთვის, საყოველთაოდ ცნობა იგულისხმება არსებულად მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია შეიძლება არ იყოს მისაწვდომი ფართო წრეებისთვის.

27.51. იმავდროულად განაცხადი ჯიშისთვის სამართლებრივი დაცვის მინიჭებაზე ან ჯიშის შეტანაზე ჯიშთა ოფიციალურ რეგისტრში ხდის აღნიშნულ

ჯიშს საყოველთაოდ ცნობილს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ განაცხადს მივყავართ ჯიშის სამართლებრივი დაცვის მინიჭებამდე, ან ჯიშის შეტანამდე ჯიშთა ოფიციალურ რეგისტრში. ეს მოწოდებულია ხელი შეუშალოს სისტემის "დანაგვიანებას" "ჯიშების" – განაცხადთა საგნის - დიდი რაოდენობით, რომლებიც უარყოფილი ან უკუგამოთხოვილი იყო და აღარ არსებობენ, რადგან გააუქმა თვით სელექციონერებმა.

27.52. 1991 წლის აქტის მე-8 და მე-9 მუხლების ფორმულირებები, რომლებიც ეხება ერთგვაროვნობასა და სტაბილურობას, განსხვავდებიან 1978 წლის აქტის შესაბამისი ფორმულირებისაგან, მაგრამ მათი არსის განზრახ შეცვლა არ მომხდარა.

(e) განაცხადის ექსპერტიზა

27.53. 1991 წლის აქტის მე-12 მუხლი ეხება განაცხადის ექსპერტიზას და შეესაბამება 1978 წლის აქტის მე-7 მუხლს. ახალ ტექსტში აქცენტი, რამდენადმე, გადატანილია იმაზე, რომ ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ექსპერტიზის ჩატარებაზე, მოქმედებენ "მოყვანის გამოცდისა ან სხვა გამოცდების შედეგთა გათვალისწინებით, რომლებიც უკვე ჩატარებული იყო". საბოლოო ანგარიშით დაცვის გავრცელება მთელ მცენარეთა სამყაროზე 1991 წლის აქტის მე-3 მუხლის თანახმად უნდა აღნიშნავდეს, რომ საექსპორტო ორგანო მოწოდებული იქნება ჩაატაროს ნებისმიერი სახეობის მცენარეთა ჯიშების განმასხვავებლობის, ერთგვაროვნობისა და სტაბილურობის ექსპერტიზა იშვიათი ან უცნობი, ან იმ სახეობების ჩათვლით, რომელთა მიმართ საექსპორტო ორგანოს გააჩნია არასაკმარისი, ან საერთოდ არ გააჩნია ცოდნა და გამოცდილება. აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში საექსპორტო ორგანო დამოუკიდებლად ვერ შეძლებს აუცილებელი ექსპერტიზის ჩატარებას ან ჩათვლის საჭიროდ სთხოვოს სელექციონერს თვითონ ჩაატაროს ექსპერტიზა, ან მხედველობაში მიიღოს სელექციონერის მიერ მიღებული შედეგები. მსგავს შემთხვევებში, სელექციონერის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები მისაღები იქნება იმ პირობით, თუ საჭირო მონაცემები წარმოდგენილია სტანდარტული ფორმატით და მიღებულია ექსპერტიზის მიმდინარეობის დროს, რომელიც ჩატარებული იყო განმასხვავებლობის, ერთგვაროვნობისა და სტაბილურობის ექსპერტიზის ჩატარების UPOV-ს სახელმძღვანელოს ზოგად

შესავალში ჩამოთვლილი წესების მიხედვით, აგრეთვე პირობით, რომ განაცხადის დღისთვის საექსპორტო ორგანოში წარდგენილია ჯიშის ნიმუში.

(f) წინასწარი დაცვა

27.54. წინასწარი დაცვის საკითხები განხილულია 1978 წლის აქტის მე-7(3) მუხლში, რომელიც არ აკისრებს კავშირის წევრ სახელმწიფოებს წინასწარი დაცვის მინიჭებას. 1991 წლის აქტის მე-13 მუხლი, პირიქით, აკისრებს კავშირის წევრ ქვეყნებს უზრუნველყონ სელექციონერთა ინტერესების დაცვა განაცხადის შეტანისა (პუბლიკაციისა) და მის შემდგომ მინიჭებას შორის პერიოდში. მუხლი ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს უზრუნველყონ სელექციონერის უფლებათა სუბიექტი, როგორც მინიმუმი, ტოლფასიან ანაზღაურებაზე უფლებით იმ მოქმედებათა მიმართ, რომლებიც მოითხოვენ სელექციონერის ნებართვას უფლებათა მინიჭების შემდეგ. მუხლი ასახავს რიგი ქვეყნის ამჟამინდელ პრაქტიკას და ნებას რთავს ხელშემკვრელ მხარეებს უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ნორმები მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც აცნობა სელექციონერმა განაცხადის შეტანის შესახებ.

(g) სელექციონერის უფლებათა მოცულობა

27.55. 1978 წლის აქტის მე-5 მუხლი გულისხმობს, რომ "სელექციონერისთვის მინიჭებული უფლება მდგომარეობს იმაში, რომ სქესობრივი ან ვეგეტაციური გამრავლობის მასალის

(1) წარმოებისთვის კომერციული გასაღების მიზნით,

(2) გასაყიდად გამოსატანად,

(3) კომერციალიზებისთვის,

საჭიროა მისი წინასწარი ნებართვის მიღება". მუხლში მითითებულია აგრეთვე, რომ "ვეგეტაციური გამრავლების მასალას მიეკუთვნება თვითონ მცენარეც მთლიანობაში" და რომ "სელექციონერის ასეთი უფლება ვრცელდება აგრეთვე დეკორატიულ მცენარეებზე და მათ ნაწილებზე, რომლებსაც ჩვეულებრივ ასაღებენ ბაზარზე შემდგომი გამოყენებისათვის გამრავლებისგან განსხვავებული მიზნით, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია მათი კომერციული გამოყენება როგორც სარგავი მასალის დეკორატიულ მცენარეთა ან ყვავილთა (მოჭრილი) წარმოებისთვის".

27.56. ის, რომ სელექციონერის ნებართვა საჭიროა მხოლოდ გამრავლების მასალის წარმოებისთვის "კომერციული გასაღების მიზნით", ნიშნავს, რომ გამრავლების მასალის წარმოება, რომელიც განკუთვნილია არა გასაღებისთვის, არამედ მხოლოდ ფერმაში გამოსაყენებლად, სადაც ის იყო წარმოებული, არ შედის დაცვის მოცულობაში. ამას მივყავართ, როგორც ნაგულისხმევია, "ფერმერის პრივილეგიის" წარმოშობამდე, რაც საშუალებას აძლევს ფერმერებს დარგონ თავის ფერმებში გამრავლების მასალა წარსული წლის მოსავლიდან.

27.57. 1991 წლის აქტის მე-14(1) მუხლი ადგენს, რომ დაცული ჯიშის გამრავლების მასალის მიმართ ნებისმიერი წარმოება, სქესობრივი ან ვეგეტაციური გამრავლება, კონდიციონირება გამრავლების მიზნით, გაყიდვის, რეალიზაციის ან გასაღების სხვა ფორმის შეთავაზება, ექსპორტირება და იმპორტირება, ან დაგროვება ნებისმიერი ამ მიზნით მოითხოვეს სელექციონერის ნებართვას. შესაბამისად, დაცვის ძირითადი მოცულობა ვრცელდება ნებისმიერ წარმოებაზე და სქესობრივ ან ვეგეტაციურ გამრავლებაზე მიზნების მიუხედავად და 1978 წლის აქტისგან განსხვავებით არ მიყავს, როგორც ნაგულისხმევია "ფერმერის პრივილეგიის" გაჩენამდე.

27.58. კავშირის წევრ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათში არსებითი განსხვავებების და ამ ქვეყნებში სხვადასხვა პოლიტიკური სიტუაციების არსებობის მიუხედავად უკიდურესად მნიშვნელოვანს ხდის ახალ აქტში დებულების ჩართვას, რომელიც ნებას რთავს სახელმწიფოებს თავისი ნება-სურვილით გამორიცხონ სელექციონერის ნებართვის მიღების აუცილებლობა ფერმაში დამოუკიდებლად წარმოებული თესლის დასათესად. ამ დებულებას შეიცავს მე-15(2) მუხლი. ის იუწყება, რომ "ყოველ ხელშემკვრელ მხარეს, გონივრულ ფარგლებში და სელექციონერთა კანონიერი ინტერესების დაცვის პირობით შეუძლია შეზღუდოს სელექციონერთა უფლებები ნებისმიერი ჯიშის მიმართ, რათა საშუალება მისცეს ფერმერებს გამოიყენონ გასამრავლებლად საკუთარი მიწის ნაკვეთებზე მოსავლის პროდუქცია, რომელიც მიღებულ იქნა საკუთარი მიწის ნაკვეთებზე დაცული ჯიშის დათესვის შედეგად". ამ დებულების სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეყნები ისარგებლებენ ასეთი შესაძლებლობით მხოლოდ სელექციონერთა უფლებების ყოველმხრივი გათვალისწინების შემთხვევაში. ივარაუდებდა, რომ სახელმწიფოები განიხილავენ ყველა ამასთან დაკავშირებულ საკითხს მცენარეთა ყო-

ველი კონკრეტული სახეობის მიმართ. დიპლომატიურმა კონფერენციამ გააკეთა ოფიციალური რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მე-15(2) მუხლის დებულება "არ უნდა განიმარტებოდეს როგორც შესაძლებლობა მიეცეს ე.წ. "ფერმერის პრივილეგიის" პრაქტიკის გავრცელება სოფლის მეურნეობის და მებაღეობის იმ დარგებზე, რომლებისთვისაც ასეთი პრივილეგია არ არის დამახასიათებელი".

27.59. სპეციალურ დებულებებთან ერთად, რომლებიც ეხება დეკორატიულ მცენარეთა და (მოჭრილი) ყვავილების წარმოებას, დაცვის მინიმალური სავალდებულო მოცულობა 1978 წლის აქტის მე-5 მუხლის შესაბამისად იზღუდება საკუთრივ ჯიშის სქესობრივი ან ვეგეტაციური გამრავლების მასალით. მე-5 მუხლის (4) პარაგრაფი ადგენს, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიანიჭონ სელექციონერებს – გარკვეული ბოტანიკური სახეობებისა და გვარი მიმართ – უფრო ფართო უფლება, ვიდრე ეს დაწესებულია მე-5 მუხლით მთლიანად, კერძოდ მისი გავრცელება სასაქონლო პროდუქციაზე. მოცემული დებულებებით ისარგებლა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ. ტექსტის რევიზიის დროს განიხილებოდა პრინციპული საკითხი სელექციონერთა უფლებების გაფართოების შესახებ, უფრო ზოგადი სახით, დაცული სახეობის მოსავლის მასალის ან მოსავლის მასალის გადამუშავებისას წარმოებულ პროდუქციაზე.

27.60. დიპლომატიურმა კონფერენციამ დადებითად გადაწყვიტა ზემოდასახელებული საკითხი. 1991 წლის აქტის მე-14(2) მუხლი შეიცავს დებულებას, რომლის მიხედვით შესაძლებელია სელექციონერების უფლებათა მოცულობის გავრცელება მოსავლის მასალაზე, მთელი მცენარეების ან მცენარეთა ნაწილის ჩათვლით, იმ შემთხვევებში, როდესაც ის მიღებული იყო დაცული ჯიშის გამრავლების მასალის გამოყენებაზე ნებართვის მიღების გარეშე, მაგრამ ეს მუხლი განსაზღვრავს დაცვის მოცულობის შენიშვნით, რომ დაცვის ასეთი მოცულობა არსებობს "იმ შემთხვევაში, თუ სელექციონერს არ ჰქონდა თავისი უფლების რეალიზების საკმარისი შესაძლებლობა მოცემული ჯიშის გამრავლების მასალის მიმართ".

27.61. კავშირის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომლებმაც ხმა მისცეს დიპლომატიურ კონფერენციაზე მე-14(2) მუხლის ტექსტს, მზად არ იყო იმისთვის, რომ სელექციონერებისთვის მიეცათ დაუბრკოლებელი არჩევის საშუალება: უფლების გამოყენება ან გამრავლების მასალის მიმართ ან მოსავ-

ლის მასალის მიმართ. ისინი, მაგალითად, მზად არ იყვნენ ნება დაერთოთ სელექციონერებისთვის გამოეყენებინათ საკუთარი ნება-სურვილით უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე მარცვლეულის და არა თესლის მიმართ. ამასთან ერთად დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღწეული იყო საერთო თანხმობა, რომ სელექციონერს უნდა ჰქონდეს უფლება, რომელიც რეალიზებული იქნება მის მიერ გამოყვანილი ჯიშის მოსავლის მასალის მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც მას არ შეუძლია ისარგებლოს უფლებით გამრავლების მასალის მიმართ. მოყვანილი მაგალითი, რომ სელექციონერს არ შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლება, უფრო ხშირად დაკავშირებულია სელექციონერის მიერ გამოყვანილი ჯიშის მეკობრულ გამოყენებასთან სხვა ქვეყანაში, რომელიც არ ანიჭებს ჯიშს დაცვას, და ამ ჯიშის მოსავლის მასალის შემდგომ იმპორტთან ქვეყანაში, სადაც ეს ჯიში დაცულია. მეორე მაგალითია სელექციონერის მიერ საკუთარი უფლების გამოყენება ნებისმიერი მოსავლის მასალის მიმართ, რომელიც მიღებული იყო მისი უფლების დარღვევით გამრავლების მასალის მიმართ, რაც მისთვის ცნობილი არ იყო.

27.62. მე-14(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ სელექციონერს აქვს დაცვის უფლება მოსავლის მასალის მიმართ "იმ შემთხვევაში, თუ სელექციონერს არ ჰქონდა თავისი უფლების რეალიზების საკმარისი შესაძლებლობა ამ ჯიშის გამრავლების მასალის მიმართ". შესაბამისად, სავარაუდო დამრღვევი ვალდებულია დაადგინოს, ჰქონდა თუ არა მართლა სელექციონერს თავისი უფლების გამოყენების საკმარისი შესაძლებლობა ამ ჯიშის გამრავლების მასალის მიმართ.

27.63. 1991 წლის აქტის მე-14(3) მუხლი ითვალისწინებს სელექციონერის უფლებათა შემდგომ გავრცელებას პროდუქციაზე, რომელიც უშუალოდ მიღებულია მოსავლის მასალისაგან. მაგრამ ეს დებულება არ შედის დაცვის აუცილებელ მინიმალურ მოცულობაში 1991 წლის აქტის შესაბამისად. 1991 წლის აქტისადმი მიერთებულ ქვეყნებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, გაავრცელებენ თუ არა ისინი სელექციონერის უფლებას მე-14(3) მუხლის შესაბამისად. ამ მუხლის თანახმად, სელექციონერის ნებართვა აუცილებელია ნებისმიერი პროდუქციის წარმოების, კომერციალიზებისა და გაყიდვისთვის, რომელიც მიღებულია უშუალოდ მოსავლის მასალისაგან, თუ თვითონ მოსავლის მასალა მიღებულია უფლებათა დარღვევის შედეგად. როგორც წინა შემთხვევაში, ამ მუხლის შესაბამისად სელექციონერის მიერ ნებისმიერი

უფლების გამოყენება პროდუქციის მიმართ, რომელიც მიღებულია უშუალოდ მოსავლის მასალისაგან, შესაძლებელია "იმ შემთხვევაში, თუ სელექციონერს არ ჰქონდა თავისი უფლების რეალიზების საკმარისი შესაძლებლობა მოსავლის მასალის მიმართ". მე-14(2) და მე-14(3) მუხლების დებულებები ერთად ქმნიან იმას, რასაც ეწოდა "კასკადის" კონცეფციის მომხრეები თვლიან, რომ სელექციონერი უნდა სარგებლობდეს თავისი უფლებით მოსავლის მასალის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰქონდა მისი გამოყენების შესაძლებლობა გამრავლების მასალის მიმართ და რომ სელექციონერი უნდა სარგებლობდეს თავისი უფლებით პროდუქციის მიმართ, რომელიც მიღებულია უშუალოდ მოსავლის მასალისაგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰქონდა ამისი გამოყენების შესაძლებლობა მოსავლის მასალის მიმართ.

27.64. როგორც უკვე იყო აღნიშნული, მომავალში დაცვის გავრცელებისას 1991 წლის აქტის ფარგლებში მთელ მცენარეულ სამყაროზე შესაძლებელია მეტად საინტერესო შედეგების მიღება.

(h) ახლოწარმოებული ჯიშების გამოყვანა

27.69. 1978 წლის აქტის მე-6(1)(a) მუხლის დებულებების შესაბამისად, სამართლებრივი დაცვა მიენიჭება ნებისმიერ ჯიშს, რომელიც inter alia*, ერთი ან რამდენიმე არსებითი ნიშან-თვისებით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ჯიშისაგან, რომლის არსებობა განაცხადის შეტანის მომენტისთვის საყოველთაოდ ცნობილია და, აგრეთვე, საკმარისად ჰომოგენური და სტაბილურია. 1978 წლის აქტის მე-5(3) მუხლი ითვალისწინებს, რომ დაცული სახეობა შეიძლება გამოიყენონ როგორც ამოსავალი მასალა სხვა ჯიშების გამოსაყვანად. ეს ორივე დებულება, აღებული ერთად, ქმნის სიტუაციას, რომლის დროსაც არსებული დაცული ჯიშის გამოყენება შეიძლება როგორც ამოსავალი მასალის, ხოლო მისგან მიღებული ახალი ჯიში შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს სელექციონერმა ყოველგვარი ვალდებულების გარეშე დაცული ჯიშის სელექციონერის წინაშე, თუ სელექციის შედეგად მიღებული ჯიში განსხვავდება ერთი ან რამდენიმე არსებითი ნიშან-თვისებით დაცული ჯიშისაგან. რამდენადაც ტერმინი "არსებითი" მოცემულ კონტექსტში განმარტებულია როგორც "არსებითი განმასხვავებლობისთვის" და არა როგორც

*სხვებთან ერთად (ლათ.) – მთარგმნელის შენიშვნა

“არსებითი მნიშვნელობისთვის”, იმდენად ადამიანს, რომელმაც გამოიყვანა ჯიში-მუტანტი ან არსებული ჯიშის უმნიშვნელო ვარიანტი, ან დაუმატა მას გენი უკუშეჯვარების გზით, ან ნებისმიერი სხვა მეთოდით, შეეძლო მიეღო მიღებული ჯიშის სამართლებრივი დაცვა ამოსავალი ჯიშის სელექციონერის ანაზღაურების გარეშე საბოლოო შედეგისთვის. ტიპობრივ მაგალითს წარმოადგენს დეკორატიული ჯიშების ფერის მუტანტების სელექცია, ერთი გენის დამატება სიმინდის ხაზში უკუშეჯვარების გზით (ტროპიკების ხელშემწყობ პირობებში ერთი წლის განმავლობაში შეიძლება ჩატარდეს მრავლობითი უკუშეჯვარება) და აგრეთვე, უკანასკნელ დროს, ერთი გენის დამატება გენური ინჟინერიის გზით. 1978 წლის აქტი არაერთგზის გააკრიტიკეს მრეწველთა წრეებმა იმის გამო, რომ ის საშუალებას არ აძლევს სელექციონერს ხელი შეუშალოს ამგვარ მიდგომებს ახალი ჯიშის გამოყვანის მიმართ. 1991 წლის აქტი წყვეტს ამ პრობლემას და ითვალისწინებს “ახლო წარმოებულობის” პრინციპს. 1991 წლის აქტის მე-14(5) მუხლი ითვალისწინებს, რომ ჯიში, რომელიც ახლო წარმოებულია დაცული ჯიშისგან, არ შეიძლება გამოიყენონ სელექციონერის ნებართვის გარეშე, რომელმაც გამოიყვანა დაცული ჯიში. სხვა ჯიშისგან (ამოსავალი ჯიშისგან) წარმოებულად ითვლება ჯიში თუ:

(a) ის წარმოებულია უპირატესად ამოსავალი ჯიშისგან ან ჯიშისგან, რომელიც უპირატესად წარმოებულია ამოსავალი ჯიშისგან, მნიშვნელოვანი მახასიათებლების გამოხატვის შენარჩუნებით, რომლებიც წარმოშობილია გენოტიპისგან ან ამოსავალი ჯიშის გენოტიპის კომბინაციისაგან;

(b) ის აშკარად განსხვავდება ამოსავალი ჯიშისაგან;

(c) დერივაციის პროცესში შეძენილ განსხვავებათა გამოკლებით, ის შეესაბამება ამოსავალ ჯიშს მნიშვნელოვანი მახასიათებლების გამოხატვით, რომლებიც წარმოშობილია გენოტიპისაგან ან ამოსავალი ჯიშის გენოტიპთა კომბინაციისაგან”.

27.66. მე1-4(5) მუხლში მოცემულია მოქმედებათა მაგალითების არასრული ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ მიიყვანონ მცენარეთა ამოსავალი ჯიშის ახლოწარმოებულთა შექმნამდე, ბუნებრივი ან ინდუცირებული მუტანტების, სომაკლონალური ვარიანტების, ამოსავალი ჯიშის ცალკეული ვარიანტების, უკუშეჯვარებისა და გენური ინჟინერიის მეთოდით ტრანსფორმაციის ჩათვლით.

27.67. ივარაუდება, რომ ჯიშის ახლოწარმოებულის დადგენის საკითხი უნდა გადაწყდეს არა საექსპორტო ორგანოს მიერ სამართლებრივი დაცვის მინიჭების პროცესში, არამედ თვითონ სელექციონერების შეთანხმებით ან უკიდურეს შემთხვევაში სასამართლო წესით.

27.68. ახალი პრინციპის არსებობა მომავალში იმის გარანტიას უნდა იძლეოდეს, რომ ნოვატორი სელექციონერები მიაღწევენ შეთანხმებას მანამ, ვიდრე წამოიწყებენ მოქმედებათა პროგრამას, რომლებსაც შეუძლიათ მიიყვანოს ისინი ჯიშის გამოყვანამდე, როელიც დაცული ჯიშის ახლოწარმოებულია. იმედია, რომ უმრავლეს შემთხვევაში მიღწეული იქნებამშვიდობიანი შეთანხმება სელექციონერებსა და/ან ბიოტექნოლოგებს შორის. თუ მცენარის სელექციონერი დაამატებს თავის ჯიშს გენს, რომელიც ექვემდებარება გამოგონების ფორმულას გენური ინფორმაციის დარგში (“დაპატენტებული გენი”), მიღებული ჯიში შეიძლება დაექვემდებაროს პატენტის მოქმედებას, რაც ნებას მისცემს პატენტმფლობელს ფაქტობრივად აკრძალოს ამ ჯიშის გამოყენება. თუ, მეორე მხრივ, პატენტმფლობელი დაუმატებს დაპატენტებულ გენს იმავე ჯიშს, მაშინ სელექციონერს, რომელმაც გამოიყვანა ჯიში, არ შეუძლია იმჟამად აკრძალოს მოდიფიცირებული ჯიშის გამოყენება. მომავალში, თუ პატენტმფლობელი დაამატებს დაცულ ჯიშს მის მიერ დაპატენტებულ გენს, მაშინ გაჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ მოდიფიცირებული ჯიში იყოს ახლოწარმოებული და დაექვემდებარება დაცული ჯიშის სამართლებრივი დაცვის მოქმედებას. ივარაუდება, რომ ორ სისტემას შორის მიღწეული ბალანსი გაადვილებს ტექნოლოგიათა გაცვლა-გამოცვლას მცენარეთა სელექციონერებსა და ბიოტექნოლოგებს შორის. მცენარეთა სელექციონერები და ბიოტექნოლოგები განიხილებიან ამ შემთხვევაში ისე, თითქოს ისინი დაკავებული არიან საქმიანობის პრინციპულად განსხვავებული სახეობებით. UPOV-ისთვის კარგადაა ცნობილი, რომ მათი საქმიანობა შეიძლება მიმდინარეობდეს ერთი ორგანიზაციის ფარგლებში ან სრულდებოდეს ერთი ადამიანის მიერაც კი, - მიუხედავად ამისა აღნიშნული მიზნით რიგ შემთხვევაში მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ საქმიანობის ორ სხვადასხვა სახეობაზე. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დებულება ახლოწარმოებულთა შესახებ არ გულისხმობს, რომ სელექციონერმა, რომელმაც გამოიყვანა ახლოწარმოებული ჯიში, უნდა აიძულოს ამოსავალი ჯიშის სელექციონერი გასცეს ლიცენზია ლიცენზირების რომელიმე აუცილებელი პროცედურის ფარგლებში. ტექსტის

ახალი რედაქციის განხილვისას ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებული, მაგრამ უარყოფილი იყო.

(i) გამონაკლისი სელექციონერებს უფლებებიდან

27.69. მე-15(2) მუხლი, რომელიც განხილული იყო სამართლებრივი დაცვის მოცულობასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საკუთარი ნება-სურვილით მიღებულ გამონაკლისს დაცვის მოცულობიდან კონკრეტული ფერმერების სასარგებლოდ კონკრეტულ გარემოებებში. მე-15(1)(iii) მუხლი ითვალისწინებს, რომ "მოქმედებები, წამოწყებული სხვა ჯიშების მიღების მიზნით", სავალდებულო წესით გამოირიცხება სელექციონერის უფლებათა დაცვიდან. ამ დებულებაში აღდგენილია 1978 წლის აქტის მე-5(3) მუხლის არსი, რომელიც ითვალისწინებს, რომ სელექციონერის ნებართვა არ არის აუცილებელი დაცული ჯიშის როგორც ამოსავალი მასალის გამოყენებაზე სხვა ჯიშების გამოსაყვანად, რაც ქმნის ე.წ. "სელექციონერის პრივილეგიას". ეს დებულება კონვენციის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს და მას აქტიურად უჭერენ მხარს როგორც თვითონ სელექციონერები, ასევე დაინტერესებული წრეები. სელექციონერის პრივილეგიის პრინციპი მტკიცედ იყო დადასტურებული დიპლომატიურ კონფერენციაზე. ზოგიერთი მონაწილე ცდილობდა იმის ვარაუდი გამოეთქვა, რომ ახლოწარმოებულთა პრინციპის შემოღება წარმოადგენს სელექციონერის პრივილეგიის ფუნდამენტურ გადახვევას. UPOV-ი ამ მხრივ საწინააღმდეგო აზრს იცავს. რაიმე ჯიში ახლოწარმოებულია სხვა ჯიშისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შენარჩუნებული აქვს მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც წარმოშობილია ამოსავალი ჯიშის გენოტიპიდან ან გენოტიპების კომბინაციიდან. შესაბამისად, ჯიში ექვემდებარება ახლოწარმოებულთა ჯიშების შესახებ დებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ძალიან დიდი მსგავსება ამოსავალ ჯიშთან და პრაქტიკულად სარგებლობს ამოსავალი ჯიშის მთელი გენეტიკური სტრუქტურით, შეზღუდული სპეციფიკური მოდიფიკაციების გარდა. 1991 წლის აქტის შესაბამისად, ნებისმიერი ჯიში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ჯიშების გამოსაყვანად და იმ ჯიშების გამოკლებით, რომლებიც ხვდებიან ახლოწარმოებულთა კატეგორიაში, ასეთი ახალი ჯიშები თავისუფლად გამოიყენებიან. ახლოწარმოებულ ჯიშთა პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ სელექციონერს, რომელიც

დაკავებულია ახლოწარმოებული ჯიშების გამოყვანით, ეცოდინება, თუ რას და რისთვის აკეთებს, და ან მიაღწევს შეთანხმებას ამოსავალი ჯიშის სელექციონერთან, ან წააწყდება რისკს უქმად დაკარგოს დრო და ძალღონე, თუ ამოსავალი ჯიშის სელექციონერი უარს იტყვის ლიცენზიის გაცემაზე.

27.70. ეს ახალი პრინციპი განიხილება UPOV-ის წრეებში როგორც დაცული ჯიშის დაცვის ზონის მნიშვნელოვანი გაფართოება. მომავალში ზონა შეითავსებს მინიმალურ ნაკვეთს, რომელიც დაიფარება განმასხვავებლობის არსებული წესით და, აგრეთვე, დამატებით ზონას, რომელიც შექმნილია ჯიშთა ახლოწარმოების პრინციპით.

(j) სელექციონერის უფლებათა ამოწურვა

27.71. სელექციონერის უფლებები (მე-16 მუხლი) არ ვრცელდება მოქმედებებზე, რომლებიც ეხება დაცული ჯიშების ნებისმიერ მასალას, რაც გაყიდული, ან სხვა წესით კომერციალიზებული იყო სელექციონერის მიერ, ან სელექციონერის ნებართვით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ასეთი მოქმედებები:

(1) დაკაშირებულია ჯიშის შემდგომ გამრავლებასთან, ან

(2) დაკავშირებულია ჯიშის მასალის ექსპორტთან, რაც მისი გამრავლების შესაძლებლობას ქმნის ქვეყანაში, რომელშიც დაცული არ არის მცენარეთა სახეობები და გვარი, რომელსაც მიეკუთვნება ჯიში, მასალის ექსპორტის შემთხვევების გარდა არა საბოლოო სარგებლობისთვის.

ამგვარად, სელექციონერის უფლება აკრძალოს ჯიშის გავრცელება, არ ექვემდებარება ამოწურვას.

(k) სელექციონერის უფლებათა მოქმედების ვადა

27.72. მე-19 მუხლი ადგენს, რომ სელექციონერის უფლებათა მოქმედების ვადის მინიმალური ხანგრძლივობა შეადგენს ხეებისა და ვენახისთვის 18 წლიდან და ყველა სხვა სახეობისთვის 15 წლიდან 25 და 20 წლამდე ამ კატეგორიებისათვის შესაბამისად დაცვის 20-წლიანი ვადის შეცვლა 18-წლიანით გამოიწვევს იმას, რომ დაცვის ვადის ხანგრძლივობა განმცხადებელთა უმრავლესობისთვის სელექციონერთა უფლებების დაცვის სისტემაში იქნება ისეთივე, როგორც საპატენტო სისტემაში.

(1) ადმინისტრაციული და დასკვნითი დებულებები

27.73. 1991 წლის აქტის 21-42 მუხლების ადმინისტრაციული და საბოლოო დებულებები აღადგენენ უმთავრესად 1978 წლის აქტის შინაარს.

27.74. 1991 წლის აქტის 35 მუხლი იმსახურებს განსაკუთრებულ კომენტარს. მასში გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც 1991 წლის აქტისადმი მიერთების მომენტისთვის იყო 1978 წლის აქტის მონაწილე და რომელიც, ვეგეტაციური გამრავლების ჯიშების მიმართ, ანიჭებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ფორმით, რომელიც განსხვავებულია სელექციონერთა უფლებებისაგან, უფლება აქვს ასევე მოიქცეს შემდგომში და არ გამოიყენოს მოცემული კონვენცია ასეთი ჯიშების მიმართ. ეს დებულება, ისევე როგორც 1978 წლის აქტის 37 მუხლი, შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონკრეტული შემთხვევისთვის, სადაც ვეგეტაციური გამრავლების ჯიშების დაცვა, კარტოფილისა და მიწავაშლას გარდა, ხორციელდება პატენტის მეშვეობით მცენარეზე (რაც ნაწილობრივ არ შეესაბამება UPOV-ს კონვენციის დებულებებს), ხოლო სქესობრივი გამრავლების ჯიშების დაცვა (ჰიბრიდების გარდა) ხორციელდება სასელექციო მიღწევათა დაცვის შესახებ კანონის ფარგლებში (რაც შეესაბამება UPOV-1 კონვენციის დაბულებებს). შესაბამისად, თუ ამერიკის შეერთებულ შტატები არ შეიტანენ კარდინალურ ცვლილებებს თავის კანონში, ისინი ვერ შეძლებენ მე-2 და მე-3 მუხლის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რომლებიც საბოლოო ანგარიშით გულისხმობენ სელექციონერთა უფლებების მინიჭებასა და დაცვას (ე.ი. უფლებების, რომლებიც შეესაბამება UPOV-1 კონვენციას) მცენარეთა ყველა სახეობისა და გვარისათვის. 1991 წლის აქტის 35-ე მუხლი, რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატების მიმართ, საშუალებას აძლევს მათ შეინარჩუნონ არსებული სისტემა, თუ მანამ, ან ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები არ გადაწყვეტენ გახადონ თავისი კანონმდებლობის მოქმედი დაბულებები უფრო რაციონალური.

D. უკანასკნელი მოვლენები

27.75. ევროპაში პორტუგალიას, რუსეთის ფედერაციას და უკრაინას აქვს UPOV-1 კონვენციის შესაბამისი კანონები და მათ პირველი ნაბიჯები გადადგეს 1978 წლის აქტისადმი მისაერთებლად, ხოლო რუსეთის ფედერაციამ აგრეთვე 1991 წლის აქტისადმი. ბელორუსიაში, ბულგარეთში, ესტონეთში,

მოლდავეთში, ყაზახეთში, რუმინეთში და უზბეკეთში ასევე არის კანონები სელექციონერთა მიღწევების დაცვის შესახებ ან მზადყოფნის მაღალი დონის კანონპროექტები.

27.76. ლათინურ ამერიკაში ჩილეს, კოლუმბიასა და პარაგვაის აქვთ კანონები, რომლებიც შეესაბამება UPOV-1 კონვენციას და პირველი ნაბიჯები გადადგეს 1978 წლის აქტისადმი მისაერთებლად. ბრაზილიაში მომზადებულია "კონსენსუსის პროექტი", რომელიც ჯერ არ არის წარდგენილი კონგრესში. 1993 წლის 21 ოქტომბრის კარტახენის შეთანხმების კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება №345, რომელმაც დასაბამი მისცა სასელექციო მიღწევათა დაცვის სისტემას ბოლივიის, კოლუმბიის, ეკვადორის, პერუსა და ვენესუელას ეროვნულ კანონმდებლობებში. №345 გადაწყვეტილების თანახმად კავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ საკუთარი მიხედულობით შეუსაბამონ თავისი კანონმდებლობა 1978 წლის ან 1991 წლის აქტებს. კოლუმბიის შესაბამისი კანონმდებლობა ემყარება №345 გადაწყვეტილებას და №533 ეროვნულ ბრძანებულებას. ის შეიცავს არსებითად ყველა გაუმჯობესება – სრულყოფას სასელექციო მიღწევათა დაცვაში, რომელიც მოცემულია 1991 წლის აქტში. მექსიკა, ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმების პირობების შესაბამისად თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (NAFTA), ვალდებულია მიიღოს კანონი, რომელიც შეესაბამება 1978 და 1991 წლის აქტებს. კოსტა-რიკამ, კუბამ, პანამამ, გვატემალამ და გონდურასმა დიდი ხანი არ არის რაც გამოავლინეს ინტერესი კანონმდებლობისადმი ამ სფეროში. სავარაუდოა, რომ საუკუნის ბოლომდე ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანას ექნება კანონები, რომლებიც დაიცავენ სასელექციო მიღწევებს UPOV-კონვენციის თანახმად, ხოლო მრავალი მათგანი გახდება კავშირის წევრი სახელმწიფო.

27.77. აზიაში ჩინეთს, ინდოეთს, ინდონეზიას, მალაიზიას, პაკისტანს, ფილიპინებს, კორეის რესპუბლიკას და ტაილანდს აქვთ მზადყოფნის მაღალი დონის კანონპროექტები.

27.78. აფრიკაში კენიას და ზიმბაბვეს გააჩნიათ კანონები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად შეესაბამება UPOV კონვენციას, ხოლო მაროკოს, ტანზანიას და ზამბიას აქვთ მზადყოფნის მაღალი დონის კანონპროექტები. კანონმდებ-

ლობისადმი ინტერესი გამოიჩინეს კოტ-დი-ვუარში, მალავში, მაროკოში, სენეგალში და უგანდაში.

27.79. სასელექციო მიღწევათა დაცვა ასახულია ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ საერთო შეთანხმების ურუგვაის რაუნდის TRIPS-ის შეთანხმებაში. ამ შეთანხმების 27-ე მუხლი მიუთითებს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამორიცხონ დაპატენტებიდან "მცენარეები და ცხოველები, მიკროორგანიზმების გარდა, და მცენარეთა და ცხოველთა წარმოების მნიშვნელოვანი ბიოლოგიური პროცესები, არაბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური პროცესების გამოკლებით. ამასთან, შეთანხმების წევრებმა უნდა უზრუნველყონ სასელექციო მიღწევათა დაცვა პატენტების მეშვეობით ან sui generis ეფექტური სისტემით, ან მათი შეთავსების". sui genris ეფექტური სისტემის მოდელს უზრუნველყოფს UPOV-ს კონვენცია.

27.80. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის სასელექციო მიღწევათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის წევრი იყო 31 სახელმწიფო: არგენტინა, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, ჩილე, კოლუმბია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკია, სამხრეთ აფრიკული რესპუბლიკა, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ურუგვაი. 1996 წლის 1 ოქტომბრისათვის 1991 წლის აქტს, რომელიც ჯერ არ არის შესული ძალაში, ხელი მოაწერა 16 სახელმწიფომ: ბელგია, კანადა, დანია, ჩილე, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. სხვა სახელმწიფოთა დიდმა რაოდენობამ მიიღო UPOV-1 კონვენციის შესაბამისი კანონები ან განიხილავს მათი მიღების შესაძლებლობას.

თავი 28

შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ასპექტების შესახებ (TRIPS)

A. შესავალი

(a) GATT-ი, WTO და TRIPS-ის შეთანხმება

28.1. მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდი მრავალმხრივი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ჩატარდა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში (GATT), დამთავრდა 1993 წლის 15 დეკემბერს. შეთანხმება, რომელიც განასახიერებს ამ მოლაპარაკებათა შედეგებს, შეთანხმება, რომელმაც დააარსა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO-ს შეთანხმება), მიღებულ იქნა 1994 წლის 15 აპრილს მარაკეშში.

28.2. ეს მოლაპარაკებები შეიცავდა, პირველად GATT-ის ფარგლებში, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ასპექტების განხილვას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობაზე. ამ მოლაპარაკებათა შედეგი, რომელსაც შეიცავს WTO-ს შეთანხმების დანართი, იყო შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა ასპექტების შესახებ (TRIPS-ის შეთანხმება).

28.3. WTO-ს შეთანხმება, რომელიც შეიცავს TRIPS-ის შეთანხმებას (რომელიც აუცილებელია WTO-ს ყველა წევრი ქვეყნებისთვის), შევიდა ძალაში 1995 წლის 1 იანვარს. დასახელებული შეთანხმებებიდან პირველმა დაარსა ახალი ორგანიზაცია–მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), რომელმაც მუშაობა დაიწყო 1995 წლის 1 იანვარს.

(b) გარდამავალი შეთანხმებები და ტექნიკური თანამშრომლობა (VI ნაწილი)

28.4. WTO-ს არცერთი წევრი ქვეყანა ვალდებული არ არის გამოიყენოს TRIPS-ის შეთანხმების დებულებები ერთი წლის საერთო პერიოდის დამთავრებამდე, რომელიც მოსდევს WTO-ს დაარსების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს (ე.ი. 1996 წლის პირველ იანვრამდე) (65.1. მუხლი). მაგრამ ზოგიერთი ქვეყნისათვის გათვალისწინებულია დამატებითი გარდამავალი პერიოდები. თარიღი, როდესაც შესაბამისი გარდამავალი პერიოდი მთავრდება

წევრი ქვეყნებისათვის, ითვლება შეთანხმების გამოყენების თარიღად ამ ქვეყნისათვის.

28.5. WTO-ს წევრ განვითარებადი ქვეყნების და აგრეთვე ქვეყნებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე თავისუფალი მეწარმეობით გადასვლის ტრანსფორმაციის პროცესში არიან და რომლებიც განახორციელებენ ინტელექტუალური საკუთრების თავის სისტემათა სტრუქტურულ რეფორმებს და აღმოჩნდებიან განსაკუთრებული პრობლემების წინაშე ინტელექტუალური საკუთრების კანონების და წესების მომზადებისა და განხორციელებისას, უფლება აქვთ გადადონ შემდგომი ოთხი წლით (ანუ 2000 წლის პირველ იანვრამდე) შეთანხმების გამოყენების თარიღი იმ ვალდებულებათა გამოკლებით, რომლებიც ეხება ეროვნულ რეჟიმსა და უდიდესი ხელის შეწყობის რეჟიმს (65.2 და 65.3 მუხლები).

28.6, განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც შეთანხმების თანახმად ვალდებული არიან გაავრცელონ საპატენტო დაცვა ამ ქვეყანაში ადრე არაპატენტუნარიანი პროდუქციის სახეობებზე, შეუძლიათ ისარგებლონ დამატებითი ხუთი წლით (ანუ 2005 წლის პირველ იანვრმდე) შეთანხმების დებულებათა გამოყენებამდე ასეთი პროდუქციის მიმართ (65.4 მუხლი).

28.7. ნაკლებად განვითარებულ წევრ ქვეყნებს არ მოეთხოვება შეთანხმების დებულებათა გამოყენება იმ დებულებათა გამოკლებით, რომლებიც ეხება ეროვნულ რეჟიმს და უდიდესი ხელშეწყობის რეჟიმს 10 წლის განმავლობაში შეთანხმების გამოყენების საერთო თარიღიდან (ე.ი. 2006 წლის პირველ იანვრამდე). ეს ვადა გაგრძელდება ვიდრე მიღებული არ იქნება სათანადოდ მოტივირებული შუამდგომლობის მიღებამდე (66.1 მუხლი).

28.8. TRIPS-ის შეთანხმება განვითარებული წევრი ქვეყნებისაგან მოითხოვსშუამდგოილობით და ურთიერთშეთანხმებულ ვადებში და პირობებით დაამყარონ ტექნიკური და ფინანსური თანამშრომლობა განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული წევრი ქვეყნების სასარგებლოდ, კანონების მომზადებაში დახმარებისა და ადგილობრივი უწყებისა და სააგენტოების დაარსებისა ან გაძლიერების და აგრეთვე პერსონალის სწავლების ჩათვლით (67-ე მუხლი).

(c) ინსტიტუციური ღონისძიებები (VII ნაწილი)

28.9. WTO-ს შეთანხმება ქმნის სამიარუსიან საორგანიზაციო სტრუქტურას WTO-სთვის. უმაღლესი იარუსი მინისტრთა კონფერენციაა, რომელიც იკრიბება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მაინც (IV.I მუხლი). მას უფლება

აქვს მიიღოს გადაწყვეტილება WTO-ს შეთანხმების ყველა საკითხზე. მეორე იარუსია გენერალური საბჭო, რომელიც შედგება ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლისაგან. ის იკრიბება საჭიროებისა და მიხედვით საკუთარ მოვალეობათა და აგრეთვე მინისტრთა კონფერენციის მოვალეობების შესასრულებლად ამ კონფერენციის სხდომათა შორის შესვენებებში (IV.2 მუხლი). გენერალური საბჭო წარმოადგენს აგრეთვე დავათა რეგულირების ორგანოს და სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანოს (IV.3 და IV.4 მუხლები).

28.10. WTO-ს შეთანხმება (IV.5 მუხლი) ასევე აფუძნებს საბჭოს ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ (TRIPS–ის საბჭო), რომელიც გენერალური საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით თვალყურს ადევნებს TRIPS–ის შეთანხმების ფუნქციონირებას (IV.5 მუხლი). TRIPS–ის საბჭოს წევრობა ღიაა ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლისთვის. TRIPS–ის შეთანხმების დებულებების (VII ნაწილის 68-ე მუხლი) შესაბამისად TRIPS–ის საბჭოს ევალება TRIPS–ის შეთანხმების მუშაობის მსვლელობისა და წევრი ქვეყნების მიერ ამ შეთანხმების მიხედვით თავის მოვალეობათა შესრულების შემოწმება. TRIPS–ის საბჭო ასევე უნდა თვალყურს ადევნებდეს TRIPS–ის შეთანხმების განხორციელებას გარდამავალი პერიოდის დამთავრების შემდეგ განვითარებადი ქვეყნებისათვის (ე.ი. 2000 წლის პირველი იანვრის შემდეგ) და ყოველ ორ წელიწადში მის შემდეგ (ან როცა შევსება ან ცვლილება გამოწვეულია ახალი სიტუაციებით (71.1 მუხლი). TRIPS–ის საბჭოს პირველი სხდომა ჩატარდა 1995 წლის 9 მარტს.

(d) შეთანხმებები ისმო-სთან თანამშრომლობის შესახებ

28.11. TRIPS–ის შეთანხმება მოითხოვს კონსულტაციების ჩატარებას შეთანხმების შესამუშავებლად თანამშრომლობისა და ურთიერთხელშეწყობის შესახებ WTO-სა და ისმოს შორის. შეთანხმების პრეამბულა შეიცავს შემდეგ დებულებას: "რადგან გვსურს დავამყაროთ ურთიერთხელშეწყობის ურთიერთობები WTO-სა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას შორის ისევე, როგორც სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.."

28.12. TRIPS–ის შეთანხმება შემდეგ ადგენს, რომ TRIPS–ის საბჭოს თავისი ფუნქციების შესრულებისას შეუძლია მიმართოს კონსულტაციისათვის და მოითხოვოს ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან, რომელსაც ის საჭიროდ

ჩათვლის და რომ ისმოსთან კონსულტაციის დროს საბჭო უნდა ეცადოს ერთი წლის განმავლობაში თავისი პირველი სხდომიდან დაადგინოს შსაბამისი შეთანხმებები ისმოს ორგანოებთან თანამშრომლობის შესახებ (68-ე მუხლი).

28.13. შეთანხმება ასევე მოითხოვს კონსულტაციების ჩატარებას თანამშრომლობის კონკრეტული დარგების მიხედვით ისმოსა და WTO-ს შორის. კერძოდ, 63.2-ე მუხლი, რომელიც ეხება წევრი ქვეყნების მიერ TRIPS–ის საბჭოს შეტყობინების კნონებისა და წევრების შესახებ, ადგენს, რომ "საბჭო ყოველ ღონეს იხმარს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ტვირთი, რომელსაც ამ მოვალეობის შესრულება აკისრებს წევრ ქვეყნებს, და შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი კანონებისა და წესების შესახებ უშუალოდ საბჭოსთვის შეტყობინების ვალდებულებისაგან განთავისუფლების თაობაზე, თუ კონსულტაციები ისმოსთან ამ კანონებისა და წესების შემცველი საერთო რეესტრის დაწესების შესახებ იქნება წარმატებითი. ამასთან დაკავშირებით საბჭო განიხილავს აგრეთვე ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც საჭირო იქნება შეტყობინებისთვის ამ შეთანხმების ვალდებულებათა თანახმად, გამომდინარეობს პარიზის კონვენციის (1967 წ.) დებულებათა მე-6 ter მუხლიდან.

B. ზოგადი დებულებები, ძირითადი პრინციპები და დასკვნითი დებულებები

(I და VII ნაწილი)

ძირითადი პრინციპი, რომელიც ეხება ვალდებულებათა ბუნებასა და მოცულობას TRIPS-ის შეთანხმების შესაბამისად, არის ის, რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ შეთანხმების დებულებები და გამოიყენონ შეთანხმებაში გათვალისწინებული რეჟიმი სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების მიმართ. "მოქალაქედ" მიიჩნევა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც დაექვემდებარებოდა დაცვას, თუ WTO-ს ყველა წევრი ქვეყანა ასევე იქნებოდა შეკრული პარიზის, ბერნის და რომის კონვენციათა დებულებებით და აგრეთვე ვაშინგტონის ხელშეკრულებით ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ინტელექტუალური სქემების მიმართ (IPIC).

28.15. წევრი ქვეყნები თავისუფალი არიან TRIPS-ის შეთანხმების დებულებათა გამოყენების ვარგისი ხერხის განსაზღვრაში მათი საკუთარი იურიდიული სისტემებისა და პრაქტიკის ფარგლებში და შეუძლიათ გამოიყენონ უფრო ფართო დაცვა, ვიდრე მოითხოვება იმ პირობით, რომ ასეთი დამატებითი დაცვა არ ეწინააღმდეგება შეთანხმების სხვა დებულებებს (1.1 და 1.3 მუხლები).

(a) ინტელექტუალური საკუთრების განსაზღვრა

28.16. TRIPS-ის შეთანხმება ადგენს, რომ შეთანხმების მიზნებისთვის ტერმინი "ინტელექტუალური საკუთრება" მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ყველა კატეგორიას, რომლებიც წარმოადგენენ TRIPS-ის შეთანხმების მეორე ნაწილის პირველიდან მეშვიდე კარის საგანს, სეხელდობრ, საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, სასაქონლო ნიშნებს, გეოგრაფიულ აღნიშვნებს, სამრეწველო ნიმუშებს, პატენტებს, ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიებს და დახურულ ინფორმაციას (1.2 მუხლი).

(b) პარიზისა და ბერნის კონვენციების ჩართვა მათზე მითითების გზით

28.17. TRIPS-ის შეთანხმება აგებულია ძველისძველ პრინციპებზე, რომლებიც განმტკიცებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციაში და ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის ბერნის კონვენციაში. ფაქტობრივად ამ ორი კონვენციის თითქმის ყველა მატერიალურ-სამართლებრივი დებულება შეტანილია მითითების გზით უშუალოდ TRIPS-ის შეთანხმებაში.

28.18. რაც შეეხება სამრეწველო საკუთრებას, TRIPS-ის შეთანხმება მოითხოვს, რომ წევრი ქვეყნები იცავდნენ პარიზის კონვენციის 1–12 და მე-19 მუხლებს შეთანხმების II, III და IV ნაწილების შესახებ. ამაში შეტანილია პარიზის კონვენციის ყველა ძირითადი დებულება.

28.19. საავტორო უფლების სფეროში წევრი ქვეყნები ვალდებული არიან დაიცვან ბერნის კონვენციის 1 – 21 მუხლები და მისი დანართი. მაგრამ წევრ ქვეყნებს არ გააჩნიათ უფლება ან ვალდებულება ბერნის კონვენციის 6 bis მუხლის მიმართ, რომელიც ეხება მორალურ უფლებებს ან მათგან წარმოებულ უფლებებს (9.1. მუხლი).

28.20. მაგრამ TRIPS-ის შეთანხმება ადგენს, რომ შეთანხმების I-IV ნაწილი არ შეიცავს არაფერს, რაც ანთავისუფლებს ვალდებულებისაგან, რომელიც შეიძლება ჰქონდეს წევრ ქვეყნებს ურთიერთის მიმართ პარიზის ან ბერნის კონვენციების მხრივ (2.2 მუხლი).

(c) ეროვნული რეჟიმის პრინციპი

28.21. TRIPS-ი ითვალისწინებს ეროვნული რეჟიმის პრინციპს, რომელიც მოითხოვს შეთანხმების წევრებისაგან სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის შეთანხმებით გათვალისწინებული რეჟიმის მინიჭებას ამასთან შესაბამისი უფლებების მიმართ უკანასკნელი განისაზღვრება

პარიზის, ბერნის და რომის კონვენციებისა და UCUM-ის შეთანხმების გამოყენებად დებულებათა კატეგორიებით. შესაბამისი კონვენციებით გათვალისწინებული ამოღება დაცულია TRIPS-ის შეთანხმების კონტექსტში. რაც შეეხება სამრეწველო საკუთრებას და საავტორო უფლებებს, ეს პრინციპი გამოიყენება ყველა უფლების მიმართ. რაც შეეხება უფლებებს, რომლებიც ეკუთვნის შემსრულებლებს, ფონოგრამათა მწარმოებლებს და მაუწყებლობის ორგანიზაციებს, ეს ვალდებულება გამოიყენება მხოლოდ შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებების მიმართ (მე-3 მუხლი). ასევე ამოიღება ამ პრინციპიდან მრავალმხრივ შეთანხმებებში გათვალისწინებული პროცედურები, რომლებიც დადებულია ისმოს ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შეძენისა და მათი ძალის შენარჩუნების მიმართ.

(d) უპირატესი ხელშეწყობის ეროვნული პრინციპი

28.22. TRIPS-ის შეთანხმება შეიცავს უდიდესი ხელშეწყობის პრინციპს, რომელიც ტრადიციულად არ იყო გათვალისწინებული ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა კონტექსტში, მრავალმხრივ დონეზე მაინც. ეს პრინციპი ადგენს, რომ ნებისმიერი უპირატესობა, შეღავათი, პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომლებსაც ანიჭებს შეთანხმების წევრი ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს (წევრობის მიუხედავად), ენიჭებათ დაუყოვნებლივ და უპირობოდ ყველა დანარჩენ წევრი ქვეყნის მოქალაქეებს, ზოგიერთ კონკრეტულ ამოღებათა დაცვით (მე-4 მუხლი). ისევე, როგორც ეროვნული რეჟიმის შემთხვევაში, ისმოს ფარგლებში დადებული მრავალმხრივ შეთანხმებებში გათვალისწინებული პროცედურები, რომლებიც მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შეძენას ან მათი ძალის შენარჩუნებას, გამორიცხულია ამ პრინციპიდან.

(e) არსებული ობიექტების დაცვა

28.23. TRIPS-ის შეთანხმება შეიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც ეხება შეთანხმების მოქმედებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ობიექტების მიმართ, რომლებიც გააჩნია შეთანხმების წევრს შეთანხმების გამოყენების თარიღისთვის. მაშინ, როცა შეთანხმება არ იწვევს ვალდებულებებათა წარმოშობას მოქმედებათა მიმართ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შეთანხმების გამოყენების თარიღამდე მოცემული წევრი ქვეყნის მიმართ (70.1 მუხლი), შეთანხმება აკისრებს ვალდებულებებს ყველა საგნის მიმართ, რომლებიც არსებობენ და დაცულია შეთანხმების გამოყენების

თარიღისათვის, ან რომლებიც აკმაყოფილებენ ან შემდგომში დააკმაყოფილებენ დაცვის კრიტერიუმებს შეთანხმების დებულებების შესაბამისად (70.2 მუხლი). მაგრამ ვალდებულებები საავტორო უფლების მხრივ არსებულ ნაწარმოებთა მიმართ და ვალდებულებები ფონოგრამების მწარმოებლების ან არსებულ ფონოგრამებში შემსრულებლების უფლებათა მიმართ განისაზღვრება მხოლოდ ბერნის კონვენციის მე-18 მუხლით (70.2 მუხლი).

28.24. შეთანხმების წევრს უფლება აქვს გაითვალისწინოს კომპენსაციის შეზღუდული სახსრები მოქმედებების გამო, რომლებიც წარმოადგენენ დარღვევებს შეთანხმების გამოყენების შედეგად და რომლებიც დაწყებული იყო ან რომელთა მიმართ გაკეთებული იყო მნიშვნელოვანი ინვესტიცია შეთანხმების მიღების თარიღამდე. ისინი უნდა შეიცავდნენ სამართლიანი ანაზღაურების გადახდას მაინც (70.4. მუხლი).

28.25. ამ საერთო წესებს გააჩნია გარკვეული გამონაკლისი. კერძოდ, არ არსებობს ობიექტების დაცვის აღდგენის ვალდებულება, რომლებმაც გადაინაცვლა საჯარო სარგებლობის სფეროში (70.3 მუხლი). გარდა ამისა, არ მოითხოვება რაიმე ვალდებულებათა გამოყენება, რომლებიც ეხება გამომთვლელ პროგრამებს, კინემატოგრაფიის ნაწარმოებებს და ფონოგრამებს (მე-11 და მე-14(4) მუხლები), ორიგინალებისა ან ასლების მიმართ, რომლებიც ნაყიდი იყო ამ შეთანხმების გამოყენების თარიღამდე (70.5 მუხლი). შემდეგ, დებულებები, რომლებიც ეხება ნებართვის გარეშე გამოყენების რეგულირების (31-ე მუხლი) და არადისკრიმინაციას ტექნოლოგიის სფეროს მიმართ (27-ე მუხლი), არ უნდა გამოიყენებოდეს უფლების სუბიექტის ნებართვის გარეშე, როდესაც უფლება ასეთ გამოყენებაზე მინიჭებული იყო მთავრობის მიერ შეთანხმების გამოქვეყნებამდე (70.6 მუხლი).

28.26. ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვაზე განაცხადები, რომლებიც განხილვაშია შეთანხმების გამოყენების თარიღისათვის, შეიძლება შევსებული იყოს შეთანხმებით მინიჭებული დაცვის ნებისიმიერი გაფართოების პრეტენზიით, მაგრამ ასეთი დამატებები არ შეიძლება შეიცავდნენ ახალ ობიექტს (70.7. მუხლი).

(f) დათქმები

28.27. შეთანხმების არც ერთ დებულებაში არ შეიძლება არავითარი შესწორებების შეტანა სხვა წევრი ქვეყნების თანხმობის გარეშე (72-ე მუხლი).

(g) უსაფრთხოების მოსაზრებასთან დაკავშირებული გამონაკლისები

28.28. შეთანხმებით გათვალისწინებულია ობიექტების საერთო გამორიცხვა, რომლებიც ცნობილია როგორც არსებითი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, შეთანხმების წევრი ვალდებული არ არის მიაწოდოს ესა თუ ის ინფორმაცია, თუ ის თვლის, რომ მისი გახსნა ეწინააღმდეგება უსაფრთხოების არსებით ინტერესებს. გარდა ამისა, მას შეუძლია წამოიწყოს ნებისიმიერი მოქმედება, რომელსაც ის ჩათვლის საჭიროდ თავისი უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად, რომლებსაც მიეკუთვნება გახლეჩადი მასალები ან მასალები, საიდანაც მიღებულია ისინი, აგრეთვე იარაღით, საბრძოლო მასალითა და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობას და ასეთ ვაჭრობას სხვა საქონლით და მასალებით, რომელიც ხორციელდება უშუალოდ ან არაპირდაპირ შეიარაღებული ძალების მომარაგების მიზნით, ან წამოწყებულია ომის დროს ან სხვა საგანგებო გარემოებაში საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით. მას აგრეთვე შეუძლია წამოიწყოს ნებისმიერი მოქმედება თავის მოვალეობის შესასრულებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით (73-ე მუხლი).

C. ნორმები, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა არსებობას, მოცულობას და გამოყენებას (ნაწილი II)

28.29. TRIPS-ის შეთანხმების II ნაწილი ითვალისწინებს მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა არსებობას, მოცულობას და გამოყენებას. ეს ნაწილი შედგება რვა კარისაგან, რომლებიც ეხება შესაბამისად საავტორო უფლებებს და მომიჯნავე უფლებებს, სასაქონლო ნიშნებს, გეოგრაფიულ აღნიშვნებს, სამრეწველო ნიმუშებს, პატენტებს, ინტეგრალური სქემების ტოპოლოგიებს, დახურული ინფორმაციის დაცვას და ანტიკონკურენტული პრაქტიკის კონტროლს სალიცენზიო კონტრაქტებში (უკანასკნელ ობიექტს არ შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების განმარტება მე-1.2 მუხლში).

(a) საავტორო და მომიჯნავე უფლებები (კარი I)

28.30. სტანდარტების არსებითი ელემენტები, რომლებიც ეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებების არსებობას, მოცულობას და გამოყენებას, შეიცავს შემდეგს:

(1) შეთანხმების წევრები იცავენ ბერნის კონვენციის 1971 წლის პარიზის აქტის 1–21 მუხლებს და გამოყენების შემთხვევაში მის დანართს (რომელიც შეიცავს სპეციალურ დებულებებს განვითარებადი ქვეყნებისათვის). მაგრამ შეთანხმების წევრებს არ გააჩნიათ უფლება ან ვალდებულება შეთანხმების მიხედვით ბერნის კონვენციის 6 bis მუხლის საგნის მიმართ (რომელიც ეხება მორალურ უფლებებს) ან აქედან გამომდინარე უფლებების მიმართ (9.1 მუხლი);

(2) საავტორო უფლებათა დაცვა ვრცელდება გამოსახვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცესებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე როგორც ასეთებზე;

(3) კომპიუტერული პროგრამები, როგორც საწყისი ტექსტი, ასევე ობიექტური კოდი, დაცულია როგორც ლიტერატურული ნაწარმოები ბერნის კონვენციის შესაბამისად (10.1 მუხლი);

(4) მონაცემების კომპილაცია ან სხვა მასალა მანქანით წასაკითხი ან სხვა ფორმით, რომლებიც თავისი შინაარსის შერჩევით ან განლაგებით შეადგენენ შემოქმედების შედეგს, დაცულია როგორც ასეთი. ასეთი დაცვა არა ვრცელდება თვითონ მონაცემებზე ან მასალებზე და არ ეხება საავტორო უფლებას, რომელიც მიეკუთვნება თვით მონაცემებს ან მასალას (10.2 მუხლი).

(5) კომპიუტერული პროგრამების მიმართ, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც პროგრამა არ არის გაქირავების ძირითადი ობიექტი და კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთა მიმართაც მიეცემა კომერციული გაქირავების უფლება. მაგრამ შეთანხმების წევრები თავისუფლდებიან უკანასკნელი ვალდებულებისაგან, მხოლოდ მაშინ, თუ ასეთმა გაქირავებამ არ გამოიწვია ასეთ ნაწარმოებთა ფართო კოპირება, რასაც არსებითი ზიანი მოაქვს კვლავწარმოების განსაკუთრებული უფლებისთვის, რომელიც მინიჭებული აქვთ შეთანხმების ამ წევრებს (მე-11 მუხლი);

(6) ნაწარმოებათა დაცვის ვადა, ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა ან გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებათა გამოკლებით, სადაც ეს ვადა გამოითვლება სხვა საფუძველზე ვიდრე ფიზიკური პირის ცხოვრების ვადა, შეადგენს არა ნაკლებ 50 წელს, რომელიც გამოთვლილია კალენდარული წლის ბოლოდან, რომელშიც ავტორის თანხმობით განხორციელებული იყო პუბლიკაცია, ან ასეთი პუბლიკაციის უქონლობისას 50 წლის განმავლობაში ნაწამროების შექმნიდან; 50 წელი ითვლება ნაწამროების შექმნის კალენდარული წლის ბოლოდან (მე-12 მუხლი);

(7) შეზღუდვები ან ამოღება განსაკუთრებული უფლებების მიმართ დაიყვანება შემთხვევებამდე, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ნაწარმოების ჩვეულებრივ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ლახავენ უფლებამფლობელის კანონიერ ინტერესებს (მე-13 მუხლი);

(8) რაც შეეხება მომიჯნავე უფლებებს, შემსრულებლებს უნდა ჰქონდეთ უფლება არ დაუშვან მათი შესრულების ჩაწერა, რომელიც განკუთვნილი არ არის ფონოგრამისთვის და ასეთი ჩაწერის კვლავწარმოება, საეთერო მაუწყებლობა და შეტყობინება საყოველთაო გაცნობისთვის მათი შესრულების პირდაპირი ტრანსლაციით (14.1 მუხლი);

(9) ფონოგრამათა მწარმოებლები სარგებლობენ უფლებით ნება დართონ ან აკრძალონ საკუთარ ფონოგრამათა პირდაპირი ან არაპირდაპირი კვლავწარმოება (14.2 მუხლი).

(10) სამაუწყებლო ორგანიზაციებს (ან თუ ასეთი უფლებები არ ენიჭებათ სამაუწყებლო ორგანიზაციებს, მაშინ გადაცემის ობიექტებზე საავტორო უფლების მფლობელებს) უფლება აქვთ აკრძალონ ჩაწერა, ჩანაწერის კვლავწარმოება და რეტრანსლაცია საეთერო მაუწყებლობის არსებით, აგრეთვე ასეთ ჩანაწერთა შეტყობინება საყოველთაო გაცნობისათვის სატელევიზიო მაუწყებლობის გზით (14.3 მუხლი);

(11) ფონოგრამათა მწარმოებლებს და ზოგიერთ სხვა უფლებამფლობელებს ეძლევათ გაქირავების უფლება. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ შეინარჩუნონ 1994 წლის 15 აპრილისთვის მოქმედი სამართლიანი ანაზღაურების გადახდის სისტემები ფონოგრამათა გაქირავებისათვის იმ პირობით, რომ ასეთი სისტემები არ აყენებენ არსებით ზიანს განსაკუთრებულ უფლებებს კვლავწარმოებაზე (14.4 მუხლი);

(12) დაცვის ვადა, რომელიც ენიჭებათ ამ შეთანხმებით შემსრულებლებს და ფონოგრამათა მწარმოებლებს, დადგენილია 50 წლით კალენდარული წლის ბოლოდან, რომელშიც გაკეთებული იყო ჩანაწერი ან ადგილი ჰქონდა შესრულებას და სამაუწყებლო ორგანიზაციებისთვის არა ნაკლებ 20წელი კალენდარული წლის ბოლოდან, რომელშიც შედგა გადაცემა (14.5 მუხლი);

(13) რომის კონვენციით დაშვებული პირობების შეზღუდვების, გამონაკლისისა და შენიშვნების გამოყენება შესაძლებელია გარკვეულ მომიჯნავე უფლებებისთვის (14.1–14.3 პუნქტების შესაბამისად), რომლებსაც ანიჭებს შეთანხმება; მაგრამ ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის დებულებები mutatis mutandis გამოიყენება შემსრულებელთა უფლებისთვის ფონოგრამაზე და ფონოგრამათა მწამროებლების უფლებისათვის (14.6 მუხლი)

(b) სასაქონლო ნიშნები (კარი 2)

28.31. სტანდარტების არსებითი ელემენტები,რომელებიც ეხება სასაქონლო ნიშნებზე უფლებათა არსებობას, მოცულობას და გამოყენებას, შეიცავს შემდეგს:

(1) ნებისმიერი ნიშანი, რომლის მეშვეობით შეიძლება განვასხვავოთ ერთი საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოთა საქონელსა და მომსახურებისაგან (მომსახურების ნიშნების ჩართვით), შეიძლება რეგისტრირებული იყოს როგორც სასაქონლო ნიშანი (15.1 მუხლი);

(2) რეგისტრაცია შეიძლება დამოკიდებული იყოს ვიზუალურ განმასხვავებლობაზე, ხოლო ნიშნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნია განმასხვავებლობა, გამოყენების პროცესში შეძენილი განმასხვავებლობაზე;

(3) რეგისტრაცია შეიძლება დამოკიდებულ იქნეს გამოყენებაზე (15.2), მაგრამ გამოყენება არ შეიძლება იყოს რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის პირობა და განაცხადიც არ შეიძლება იყოს უარყოფილი მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ შესაძლებელ გამოყენებას ადგილი არ ჰქონდა სამწლიანი პერიოდის გასვლამდე განაცხადის შეტანის თარიღიდან (15.3 მუხლი).

(4) საქონლის ან მომსახურების ხასიათი, რომლებისთვისაც გამოიყენება სასაქონლო ნიშანი, არ წარმოადგენს დაბრკოლებას ნიშნის რეგისტრაციისთვის (15.4 მუხლი);

(5) შეთანხმების წევრები აქვეყნებენ ცნობებს ყოველ სასაქონლო ნიშანზე და აძლევენ გონივრულ შესაძლებლობას მიმართონ შუამდგომლობით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და შეუძლიათ გაითვალისწინონ რეგისტრაციის წინააღმდეგ შედავების შესაძლებლობა (15.5 მუხლი);

(6) რეგისტრაციის ძალით მინიჭებული უფლებები შეიცავენ განსაკუთრებულ უფლებას აუკრძალონ მესამე პირთ გამოიყენონ იგივე ან მსგავსი ნიშნები იმავე ან მსგავსი საქონლისა, ან მომსახურებისათვის, თუ ასეთ გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს აღრევა, ამასთან საქონლის ან მომსახურების იგივეობის შემთხვევაში, უკანასკნელი ივარაუდება (16.1 მუხლი) ზოგიერთი გამონაკლისის დაცვის პირობით, ისეთი, როგორიცაა აღწერილობითი გამოთქმების კეთილსინდისიერი გამოყენება (17 მუხლი).

(7) გარკვეული უფლებები ენიჭებათ საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებისა და მომსახურების ნიშნების მფლობელებს (16.2 და 16.3 მუხლი);

(8) სასაქონლო ნიშნის თავდაპირველი რეგისტრაცია და რეგისტრაციის მოქმედების ყოველი გაგრძელება ხორციელდება არ ნაკლები შვიდი წლის

ვადით, ამასთან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელებულ იქნეს განუსაზღვრელად ;18 მუხლი);

(9) თუ გამოყენების დადასტურება წარმოადგენს რეგისტრაციის შენარჩუნების მოთხოვნას, მაშინ რეგისტრაციის გაუქმება შეიძლება მხოლოდ ნიშნის სამი წლის გმამოუყენებლობის უწყვეტი ვადის დამთავრებისას განმავლობაში მაინც თუ წარდგენილი არ არის გამოუყენებლობის მნიშვნელოვანი მიზეზები (19.1 მუხლი);

(10) არ დაიშვება გამოყენების ზოგიერთი შეზღუდვები (მე-20 მუხლი);

(11) არ დაიშვება სასაქონლო ნიშნის იძულებითი ლიცენზირება (21-ე მუხლი);

(12) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი შეიძლება გადაიცეს საწარმოს გადაცემასთან ერთად, რომელსაც ეკუთვნის სასაქონლო ნიშანი, ან ასეთი გადაცემის გარეშე (21-ე მუხლი).

(c) გეოგრაფიული აღნიშვნები (კარი 3)

28.32. სტანდარტის არსებითი ელემენტები, რომელებიც ეხება გეოგრაფიულ აღნიშვნათა მომცველ უფლებათა არსებობას, მოცულობას და გამოყენებას, შეიცავს შემდეგს:

(1) "გეოგრაფიული აღნიშვნები" განსაზღვრულია როგორც აღნიშვნები, რომლებიც იდენტიფიცირებენ საქონელს როგორც წარმოშობილს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიის რეგიონში, ან ადგილში, სადაც საქონლის გარკვეული ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია მის გეოგრაფიულ წარმოშობასთან (22.1 მუხლი);

(2) შეთანხმების წევრები უნდა ითვალისწინებდნენ სამართლებრივ საშუალებებს დაინტერესებული მხარეებისათვის შეცდომაში შემყვან აღნიშვნათა გამოყენების ასარიდებლად, რომლებიც აღნიშნავენ ან იძლევიან იმის ვარაუდს, რომ ეს საქონელი წარმოშობილია გეოგრაფიულ რაიონში, რომელიც განსხვავდება წარმოშობის ნამდვილი ადგილისაგან (22.2(a) მუხლი)

(3) შეთანხმების წევრები უარყოფენ ან ბათილად ცნობენ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, თუ სასაქონლო ნიშანი შედგება შეცდომაში შემყვან აღნიშვნისაგან (22.3 მუხლი) და აძლევენ საშუალების, რათა არ იყოს დაშვებული ნებისმიერი გამოყენება, რომელიც წამროადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს პარიზის კონვენციის 10 bis მუხლი აზრით (22.2 (b) მუხლი);

(4) გამოიყენება დაცვა გეოგრაფიული აღნიშვნის წინააღმდეგ, რომელიც თუმც სიტყვასიტყვით სწორია, მაგრამ შეყავს შეცდომაში (22.4 მუხლი), ხოლო ღვინოებისა და მაგარი სპირტიანი სასმელების შემთხვევაში, თუ აღნიშნულიც არის საქონლის ნამდვილი წარმოშობა ან თუ გეოგრაფიული აღნიშვნა გამოყენებულია თარგმანში ან თან ახლავს ისეთი გამოთქმები, როგორიცაა "სახეობა", "ტიპი", "სტილი", "იმიტაცია" ან სხვა მსგავსი (22.1 მუხლი);

(5) არ მოითხოვება დაცვის მინიჭება შეთანხმების სხვა წევრი ქვეყნის გეოგრაფიულ აღნიშვნათა მიმართ, რომლებიც იგივია საქონლისა ან მომსახურების საყოველთაოდ მიღებული დასახელებისა, ან მეღვინეობის პროდუქტების მიმართ, რომელიც იგივია ყურძნის ჯიშის ჩვეულებრივი დასახელებისა, რომელიც არსებობს ამ წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე WTO-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის (24.6 მუხლი);

(6) არ არის დადგენილი გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის ვალდებულება, რომლებიც არ არის დაცული ან რომელთა დაცვა შეწყვეტილია წარმოშობის ქვეყანაში, ან რომლებიც გამოვიდნენ ხმარებიდან ამ ქვეყანაში (24.9 მუხლი);

(7) გათვალისწინებულია გეოგრაფიულ აღნიშვნათა დამატებითი დაცვის პრინციპები ღვინოების და მაგარი სპირტიანი სასმელებისათვის (23-ე მუხლი), ღვინოებისათვის გეოგრაფიული აღნიშვნა-ომონიმების ერთდროული დაცვის ჩათვლით (23.3 მუხლი), აგრეთვე ზოგიერთი გამონაკლისი მატერიალური უფლებებიდან, ისეთი, როგორიცაა წინათსარგებლობის უფლება (24.4) და საკუთარი სახელით სარგებლობის უფლება (24.8), და გარკვეულ შემთხვევაში რეგისტრაციისათვის დროის შეზღუდვა (24.7 მუხლი);

(8) ღვინოებისათვის გეოგრაფიულ აღნიშვნათა დაცვის გაადვილების მიზნით TRIPS-ის საბჭოში უნდა ტარდებოდეს მოლაპარაკებები, რომლებიც შეეხება ღვინოებისათვის გეოგრაფიულ აღნიშვნათა შეტყობინებისა და რეგისტრაციის მრავალმხრივი სისტემის დაარსებას,რომელიც იმოქმედებს ამ სისტემაში მონაწილე წევრი ქვეყნებისათვის (23.4 მუხლი).

(d) სამრეწველო ნიმუშები (კარი 4)

28.33. სტანდარტების არსებითი ელემენტები, რომლებიც ეხება სამრეწველო ნიმუშზე უფლებების არსებობას, მოცულობასა და გამოყენებას, შეიცავს შემდეგს:

(1) შეთანხმების წევრები ანიჭებენ დაცთვს დამოუკიდებლად შექმნილ და ორიგინალურ სამრეწველო ნიმუშებს, ამასთან დაშვებულია გარკვეული სტანდარტები დაცვის უნარიანობის განსაზღვრისათვის (25.1 მუხლი);
(2) მოთხოვნებმა საფეიქრო ნიმუშების დაცვის უზრუნველყოფის მიმართ, რომელიც შეიძლება მიენიჭოს სამრეწველო ნიმუშების უფლებით ან საავტორო უფლებით, არაგონივრულად არ უნდა დააბრკოლონ ასეთი დაცვის მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრეით ღირებულების, ექსპერტიზისა ან პუბლიკაციის მხრივ (25.2 მუხლი);
(3) განსაკუთრებული უფლებები შეიცავენ უფლებას ხელი შეუშალონ მესამე პირებს შექმნან, გაყიდონ ან შემოიტანონ კომერციული მიზნით ნაკეთობანი, რომლებშიც კვლავწარმოებულია ან რომლებიც შეიცავენ დაცულ სამრეწველო ნიმუშს (26.1 მუხლი), გარკვეული დასაშვები გამონაკლისის დაცვის პირობით (26.2 მუხლი);
(4) დაცვის მოქმედების ვადა არა ნაკლებ 10 წელია (26.3 მუხლი).

(e) პატენტები (კარი 5)

28.34. სტანდარტების არსებითი ელემენტები, რომლებიც ეხება პატენტებზე უფლების არსებობას, მოცულობასა და გამოყენებას, შეიცავს შემდეგს:
(1) პატენტები გაიცემა მოწყობილობებზე და ხერხებზე ტექნიკის ყველა დარგში პირობით, რომ მათ გააჩნია სიახლე,შეიცავენ საგამომგონებლო დონეს და გააჩნია სამრეწველო გამოყენებადობა (27.1 მუხლი), იმ ობიექტების გარდა, რომლებიც ქვეყნებს შეუძლიათ ამოიღონ პატენტუნარიანი გამოგონების რიცხვიდან, რომელთა კომერციული გამოყენება აკრძალული უნდა იქნეს მათი ტერიტორიის ფარგლებში საზოგადოებრივი წესრიგის ან მორალის დასაცავად, ადამიანთა, ცხოველთა ან მცენარეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ჩათვლით, ან გარემოსთვის სერიოზული ზიანის მიყენების ასარიდებლად იმ პირობით, რომ მსგავსი გამონაკლისი არ კეთდება მხოლოდ იმის ძალით, რომ გამოიყენება იკრძალება მათი კანონმდებლობით (27.2). ქვეყნებს შეუძლიათ აგრეთვე ამოიღონ პატენტუნარიანთა რიცხვიდან ადამიანთა ან ცხოველთა მკურნალობის დიაგნოსტიკური, თერაპევტული და ქირურგიული მეთოდები, მცენარეები და ცხოველები, მიკროორგანიზმების გარდა, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა გამოზრდის არსებითად ბიოლოგიური ხერხები სხვანაირი, ვიდრე არაბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური პროცესებია (27.3 მუხლი); მაგრამ შეთანხმების წევრები უნდა ანიჭებდნენ დაცვას მცენარეთა ჯიშებს ან პატენტების გაცემით, ან

ეფექტური სისტემით სპეციალური კანონმდებლობის ფარგლებში, ან მათი ნებისიმერი შეთავსებით (27.3 მუხლი);

(2) პატენტები ენიჭებათ და საპატენტო უფლებები გამოიყენება დისკრიმინაციის გარეშე გამოგონების შექმნის ადგილის, ტექნოლოგიის დარგის მიხედვით და იმისდა მიხედვით, იმპორტირებულია პროდუქცია თუ შექმნილია ადგილზე (27.1 მუხლი);

(3) განსაკუთრებული უფლებები შეიცავენ პროდუქტების მიმართ უფლებას ხელი შეუშალონ მესამე პირებს შექმნან, გამოიყენონ, შესთავაზონ გასაყიდად, გაყიდონ ან შემოიტანონ დაპატენტებული პროდუქტი, ხოლო ხერხების მიმართ უფლებას ხელი შეუშალონ მესამე პირებს გამოიყენონ ხერხი და უშუალოდ ამ ხერხით მიღებული პროდუქტი გამოიყენონ, შესთავაზონ გასაყიდად, გაყიდონ ან შემოიტანონ ამ მიზნით (28.1 მუხლი), ზოგიერთი დასაშვები გამონაკლისის დაცვის პირობით (30-მუხლი);

(4) პატენტები შეიძლება იყოს დათმობილი, გადაცემული და აგრეთვე იყოს ლიცენზიის საგანი (28.2 მუხლი);

(5) უნდა დადგინდეს გარკვეული პირობები, რომლებიც ეხება გამოგონების გახსნას საპატენტო განაცხადში (29-უ მუხლი);

(6) ნებისმიერი ნებადართული გამოყენება უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე (რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ იძულებით ლიცენზიას) და ასეთივე გამოყენება მთავრობის მიერ ხორციელდება გარკვეული აღნიშნული პირობების დაცვით (310-ე მუხლი), ასეთივე გამოყენება ნახევარგამტართა ტექნოლოგიის შემთხვევაში შეზღუდულია გარკვეული მითითებული მიზნით (31 (b) მუხლი);

(7) პატენტის გაუქმების ან მასზე უფლების ჩამორთმევის ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯული იყოს სასამართლო წესით (32-ე მუხლი);

(8) დაცვის ვადა არა ნაკლები 20 წლისა განაცხადის შეტანის თარიღიდან (33-ე მუხლი);

(9) იმის მტკიცების ტვირთი, დამზადებულია თუ არა პროდუქცია დაპატენტებული ხერხით, ეკისრება გარკვეულ შემთხვევაში სავარაუდო დამრღვევს (34-ე მუხლი).

28.35. ადრე მითითებულ გარემოებათა დამატებით, როდესაც წევრმა ქვეყანამ WTO-ს შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის (ე.ი. 1995 წლის 1 იანვრისათვის) არ მიანიჭა საპატენტო დაცვა ფარმაცევტულ და სოფლის მეურნეობის ქიმიურ პროდუქტებს, რაც შეესაბამება მის ვალდებულებებს 27-ე

მუხლით, ამ ქვეყანამ უნდა მისცეს ამ თარიღიდან საშუალება,რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება განაცხადის შეტანა პატენტებზე ასეთ გამოგონებაზე. ამ წევრმა ქვეყანამ შეთანხმების გამოყენების თარიღიდან უნდა გამოიყენოს ასეთი განაცხადებისათვის პატენტუნარიანობის კრიტერიუმები, ისე, თითქოს ეს კრიტერიუმები გამოიყენებოდა განაცხადის შეტანის თარიღისათვის ან განაცხადის პრიორიტეტის თარიღისათვის. თუ განაცხადის საგანი აკმაყოფილებს დაცვის კრიტერიუმებს, მაშინ ამ წევრმა ქვეყანამ უნდა მიანიჭოს საპატენტო დაცვა პატენტის მოქმედების ვადის დარჩენილ ნაწილზე განაცხადის შეტანის თარიღიდან (70.8 მუხლი).

28.36. თუ შეტანილია ასეთი განაცხადი, მაშინ ბაზარზე განსაკუთრებული უფლებები უნდა მიეცეს ხუთი წლის ვადით ბაზარზე გასაღების ნებართვის მიღების შემდეგ ან იქამდე,სანამ არ იქნება გაცემული პატენტი პროდუქტზე ან ეს წევრი ქვეყანა არ იტყვის მის გაცემაზე უარს, იმის მიხედვით, რომელი ვადა უფრო მოკლეა, იმ პირობით, რომ WTO-ს შეთანხმების ძალაში შესვლასთან ერთად საპატენტო განაცხადი შეტანილი იყო და პატენტი მიღებული ამ პროდუქტზე სხვა წევრ ქვეყანაში და მიღებული იყო ნებართვა გასაღებაზე ბაზარში ამ სხვა წევრ ქვეყანაში (70.9 მუზლი).

(f) ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები (კარი 6)

28.37. TRIPS-ის შეთანხმება შეიცავს თითქმის ყველა არსებით დებულებას ИСИМ–ის ხელშეკრულების მცირე გამონაკლისით. ИСИМ–ის ხელშეკრულება ითვალისწინებს ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიათა იურიდიული დაცვის რეჟიმს და შეიცავს დებულებებს, კერძოდ დაცვის საგანზე, დაცვის იურიდიულ ფორმებზე, ეროვნულ რეჟიმზე, დაცვის მოცულობაზე, გამოყენებაზე, რეგისტრაციაზე, გახსნაზე და დაცვის ხანგრძლივობაზე. TRIPS-ის შეთანხმების მოთხოვნები შეიცავენ შემდეგს:

(1) შეთანხმების წევრებმა უნდა მიანიჭონ დაცვა ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიებს ИСИМ–ის ხელშეკრულების 2 – 7 მუხლების (6(3) მუხლის გამოკლებით, რომელიც შეიცავს დებულებებს იძულებით ლიცენზიებზე), მე-12 მუხლისა და მე-16(3) მუხლის შესაბამისად (35-მუხლი);

(2) TRIPS-ის შეთანხმება ითვალისწინებს 10-15 წლის მინიმალურ ვადას რთვა წლის მინიმალური ვადის ნაცვლად, რომელიც განსაზღვრულია ИСИМ–ის ხელშეკრულების მე-8 მუხლში (38-ე მუხლი);

(3) TRIPS-ის შეთანხმება შეიცავს ერთი მოქმედების აკრძალვას იმათ დამატებით, რომლებიც მოტანილია ИСИМ–ის ხელშეკურულებაში,

სახელდობრ, ნებისიმერი მოქმედება, რომელიც ეხება ინტეგრალური მიკროსქემის შემცველ ნაკეთობას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის განაგრძობს უკანონოდ კვლავწარმოებული ტოპოლოგიის შენარჩუნებას;
(4) TRIPS-ის შეთანხმება ითვალისწინებს, რომ უცოდინარობით ჩადენილი ზოგიერთი მოქმედებები, არ წარმოადგენენ დარღვევას (ИСИМ–ის ხელშეკრულების მე-6(4) მუხლი აშკარად უშვებს ასეთ გამონაკლისს), მაგრამ გონივრული ანაზღაურება უნდა იყოს გადახდილი არსებული მარაგის მიმართ შეტყობინების შეტანის შემდეგ (37-ე მუხლი).

(g) საიდუმლო ინფორმაციის დაცვა (კარი 7)

28.38. TRIPS-ის შეთანხმება ითვალისწინებს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის პროცესში, როგორც ეს ნათქვამია პარიზის კონვენციის 10 bis მუხლში, წევრი ქვეყნები იცავენ საიდუმლო ინფორმაციას და ცნობებს,რომლებსაც წარუდგენენ მთავრობებს ან სამთავრობო ორგანოებს შემდეგ დებულებათა შესაბამისად (39.1 მუხლი):
(1) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა ხელი შეუშალონ იმას, რომ ინფორმაცია, რომელსაც ისინი მართლზომიერად აკონტროლებენ,გახსნილი, მიღებული და გამოყენებული იყოს ნებართვის გარეშე სხვა პირთა მიერ პატიოსანი კომერციული პრაქტიკის საწინააღმდეგო ხერხით (39.2 მუხლი);
(2) ასეთ დაცვას მოითხოვს ინფორმაცია, რომელიც საიდუმლოა (იმ აზრით, რომ ის საყოველთაოდ ცნობილი და ადვილად მისაწვდომი არ არის იმ წრეებში, რომლებსაც ჩვეულებრივ საქმე აქვთ მსგავს ინფორმაციასთან) და რომელსაც თავისი საიდუმლოების გამო გააჩნია კომერციული ღირებულება და წარმოადგენს მოცემულ ვითარებაში ობიექტს, რომლისკენაც მიმართულია მისი საიდუმლოების დასაცავად სათანადო ღონისძიებები (39.2 მუხლი);
(3) გარკვეული საიდუმლო მონაცემები ცდების შესახებ ან სხვა მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ფარმაცევტული ან აგროქიმიური პროდუქტების გასაღებისთვის ნებართვის პირობა, რომლებშიც გამოყენებულია ახალი ქიმიური ნივთიერებები, დაცულია არაკეთილ-სინდისიერი კომერციული გამოყენებისაგან და გარკვეულ გარემო-ებაში–გახსნისაგან (39.3 მუხლი)

(h) ანტიკონკურენტული პრაქტიკის კონტროლი სახელშეკრულებო ლიცენზიების მეშვეობით (კარი 8)

28.39. TRIPS-ის შეთანხმება, აღიარებს, რომ სალიცენზიო პრაქტიკის ზოგიერთმა სახეობამ ან პირობებმა, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, რომელიც თავის მხრივ ზღუდავს კონკურენციას, შეიძლება არაკეთილსასურველი გავლენა მოახდინოს ვაჭრობაზე და ხელი შეუშალოს ტექნოლოგიის გადაცემას და გავრცელებას (39.1 მუხლი) და იმავდროულად ითვალისწინებს, რომ შეთანხმების წევრებს შეუძლიათ დათქვან თავის კანონმდებლობაში სალიცენზიო პრაქტიკის სახეობები ან პირობები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება წარმოჩნდნენ როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ბოროტად გამოყენება, რადგან არაკეთისასურველ ზემოქმედებას ახდენენ კონკურენციაზე შესაბამის ბაზარში,და შეუძლია მიიღონ სათანადო ღონისძიებები ასეთი პრაქტიკის ასარიდებლად ან რეგულირებისათვის (40.2 მუხლი).

28.40. წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ ურთიერთკონსულტაციების ჩატარებაზე მოთხოვნების მიხედვით ამ მხრივ კანონების დაცვის უზრუნველსაყოფად (40.3 მუხლი) ან იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მოქალაქეები განიცდიან ასეთ პროცედურებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (40.4 მუხლი).

D. ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა (ნაწილი III)

(a) ზოგადი ვალდებულებები (კარი I)

28.41. TRIPS-ის შეთანხმება მოითხოვს, რომ გათვალისწინებული იყოს სამართალგამოყენებითი პროცედურები,რომლებიც ეფექტურ მოქმედებათა ჩატარების საშუალებას იძლევა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დარღვევის ნებისიმიერი აქტის წინააღმდეგ, რომლებზედაც ვრცელდება ეს შეთანხმება, დარღვევათა სასწრაფო არიდების ჩათვლით, და აგრეთვე დაცვის ხერხები, რომლებიც შეაჩერებენ შემდგომ დარღვევებს. ეს პროცედურები უნდა გამოიყენებოდეს ისე, რომ კანონიერ ვაჭრობას არ შეექმნას დაბრკოლებები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვა ბოროტმოქმედებისაგან (41.1 მუხლი).

28.42. პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლებათა დაცვას, უნდა იყოს მიუკერძოებელი და სამართლიანი, ისინი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ძვირადღირებული ან იწვევდნენ ვადების დაუსაბუთებელ გადიდებას ან გუმართლებელ შეფერხებებს (41.2 მუხლი). გადაწყვეტილებები

საქმის არსის მიხედვით უნდა იყოს უპირატესად წერილობითი ფორმით, წარედგინოს სასამართლო განხილვის მხარეებს გაუმართლებელი შეფერხების გარეშე და ემყარებოდეს მხოლოდ მტკიცებულობებს,რომელთა მიმართ მხარეებს ეძლევათ თავისი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (41.3 მუხლი). მხარეებს განხილვაში უნდა ჰქონდეთ საბოლოო ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა და საქმის არსის მიხედვით სულ ცოტა თავდაპირველი სასამართლო გადაწყვეტილებათა სამართლებრივი ასპექტების გადასინჯვის შესაძლებლობა, სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელ განაჩენთა გადასინჯვის გამოკლებით (41.4 მუხლი).

28.43. მაგრამ წევრ ქვეყნებს არ აკისრიათ არავითარი ვალდებულება შექმნან სასამრთლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა იძულებით განხორციელებას და რომელიც განსხვავებული იქნებოდა კანონის გამოყენების სისტემისაგან მთლიანად, აგრეთვე სახსრების განაწილების მხრივ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა იძულებით განხორციელებასა და კანონის საერთო შესრულებას შორის (41.5 მუხლი).

(b) სამოქალაქო–სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურები და დაცვის საშუალებები (კარი 2)

28.44. TRIPS-ის შეთანხმება აწესებს პრინციპებს, რომლებიც ეხება სამოქალაქო-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც უნდა სრულდებოდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დასაცავად, მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურების (42- მუხლი), მტკიცებულებების, (43-ე მუხლი), სასამართლო აკრძალვების (44-ე მუხლი), ზიანის ანაზღაურების (45-ე მუხლი), შესახებ დებულებათა და სხვა საშუალებათა ჩათვლით, ასეთებს მიეკთვნება განკარგულების გაცემის უფლებამოსილების იმის შესახებ, რომ საქონელი ან მის შესაქმნელად გამოყენებული მასალები და იარაღი, რომელთა მიმართ დადგენილია უფლებათა დარღვევა, ამოღებული იყოს ვაჭრობიდან (46-ე მუხლი), უფლება ინფორმაციაზე, მაგალითად განკარგულებათა გაცემის უფლებამოსილება, რომლებიც უწესებენ დამრღვევს ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამფლობელს მესამე პირთა პიროვნების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ კონტრა-ფაქციული საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და განაწილებაში და მათი განაწილების არხების შესახებ (47-ე მუხლი), მოპასუხისათვის ზიანის

ანაზღაურებისა (48-ე მუხლი) და ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენების შესახებ ადმინისტრაციული პროცედურების მიმართ (49-ე მუხლი).

(c) დროებითი ღონისძიებები (კარი 3)

28.45. TRIPS-ის შეთანხმება ადგენს პრინციპებს, რომლებიც ეხება დროებით ღონისძიებებს ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი უფლების დარღვევათა წარმოჩენის არიდებას და კერძოდ სავაჭრო არხებში მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი საქონლის შემოტანის არიდებას, იმპორტირებული საქონლის ჩათვლით უშუალოდ მისი საბაჟო წმენდის შემდეგ და შესაბამისი მტკიცებულებების შენახვას სავარაუდო დარღვევათა მიმართ და აგრეთვე დროებითი ღონისძიებების მიღების მეორე მხარის მოსმენის გარეშე, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ შეფერხება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს უფლებამფლობელს, ან არსებობს იმის რისკი, რომ სამხილი განადგურებული იქნება (50-უ მუხლი).

(d) სასაზღვრო ღონისძიებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოთხოვნები (კარი 4)

28.46. TRIPS-ის შეთანხმება ითვალისწინებს გარკვეულ პროცედურებს, რომლებიც ეხება უფლებათა გამოყენებას მოსაზღვრე ღონისძიებათა მიმართ, რაც საშუალებას აძლევს უფლებამფლობელს, რომელსაც აქვს ეჭვის მტკიცე საფუძველი, რომ შეიძლება განხორციელდეს ყალბი სასაქონლო ნიშნების მქონე საქონლისა ან საავტორო უფლების დარღვევით შექმნილი საქონლის შემოტანა, წარადგინოს წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ საბაჟო ორგანოებმა შეაჩერონ ასეთი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება. დადგენილია პრინციპები საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის გაშვების შეჩერების მიმართ (51-ე მუხლი), ასეთი პროცედურების შესახებ შუამდგომლობის (52-ე მუხლი), გირაოს ან ტოლფასიანი გარანტიის (53-ე მუხლი), შეჩერების შესახებ შეტყობინების (54-ე მუხლი), შეჩერების ხანგრძლივობის (55-ე მუხლი), იმპორტიორისთვის ან საქონლის მფლობელისთვის ზიანის ანაზღაურების (56-ემუხლი), ინსპექტირებასა და ინფორმაციაზე უფლების (57-ე მუხლი), თანამდებობის მიხედვით მოქმედების (57-ე მუხლი), დაცვითი საშუალებების (59-ე მუხლი), უმნიშვნელო რაოდენობის საქონლის შემოტანის (მე-60 მუხლი) მიმართ.

(e) სისხლის სამართლებრივი პროცედურები (კარი 5)

28.47. TRIPS-ის შეთანხმება მოითხოვს, რომ წევრი ქვეყნები ითვალისწინებენ სისხლის სამართლებრივ პროცედურებს და სასჯელს, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა კომერციულ მასშტაბებში ჩადენილი სასაქონლო ნიშნების განზრახ გაყალბების ან საავტორო უფლების დარღვევის შემთხვევაში მაინც და რომ მათ მისცენ ისეთი სამართლებრივი საშუალებები,როგორიცაა პატიმრობა, ფულადი ჯარიმა, დაყადაღება, კონფისკაცია და კონტრაფაქციული საქონლისა და ნებისმიერი მასალებისა და წარმოების იარაღების განადგურება, რომლებიც უპირატესად გამოიყენებოდა სამართალდარღვევათა ჩადენისას.

E. ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვება და მათი ძალაში შენარჩუნება და ამისათვის საჭირო პროცედურები (ნაწილი IV)

24.48. TRIPS-ის შეთანხმება საერთოდ ლაპარაკობს პრინციპებზე,რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოპოვებისა და მათი ძალის შენარჩუნების პროცედურებს. შეთანხმების წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ როგორც შეთანხმებით მოცული სამრეწველო საკუთრების უფლებათა მოპოვებისა და მათი ძალის შენარჩუნების პირობა (საიდუმლო ინფორმაციის გარდა) შეთანხმების შესაბამისი გონივრული პროცედურების და ფორმალობის დაცვა (62.1 მუხლი). გაცემის ან რეგისტრაციის ნებისმიერი პროცედურები უფლებათა გაცემის ან რეგისტრაციის საშუალებას უნდა იძლეოდნენ დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში იმისთვის, რომ არიდებულ იქნეს დაცვის ვადის დაუსაბუთებელი შემცირება (62.2 მუხლი).პროცედურები, რომლებიც ეხება მოპოვებას, ძალის შენარჩუნებას, ადმინისტრაციულ გაუქმებას და ორმხრივი პროცედურები რეგულირებული უნდა იყოს უფლებათა დაცვისადმი გამოყენებული პრინციპებით (62.4 მუხლი, რომელიც მიუთითებს 41.2 და 41.3 მუხლებზე) და საბოლოო ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა უნდა გადაისინჯოს სასამართლო ან კვაზისასამართლო წესით (62.5 მუხლი).

28.49. შეთანხმება ასევე ადგენს, რომ პარიზის კონვენციის მე-4 მუხლი, რომელიც ეხება პრიორიტეტის უფლებას, უნდა გამოიყენებოდეს mutatis mutandis მომსახურების ნიშნების მიმართ.

F. დავათა თავიდან აცილება და რეგულირება (ნაწილი V)

(a) საჯაროობა

28.50. TRIPS-ის შეთანხმება მოითხოვს, რომ კანონებს და წესებს, საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებებს, საერთო გამოყენების ადმინისტრაციულ წესებს და ორმხრივ შეთანხმებებს, რომლებიც ეხება შეთანხმების საგანს, აქვეყნებდესშეთანხმების წევრი ქვეყნების ან იყოს საყოველთაოდ მისაწვდომი სხვა ხერხით (63-1 მუხლი).

28.51. წევრ ქვეყნებს აგრეთვე მოეთხოვება აცნობონ ასეთი კანონებისა და წესების შესახებ TRIPS-ის საბჭოს. ამ საბჭომ თავის მხრივ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ტვირთი, რომელიც დაკისრებული აქვს შეთანხმების წევრებს, ისმოსთან მოლაპარაკებათა ჩატარების გზით ამ კანონებისა და წესების შემცველი რეესტრის ერთბლივი დაარსების შესაძლებლობის შესახებ (63.2 მუხლი).

28.52. TRIPS-ის საბჭო ამასთან დაკავშირებით ასევე განიხილავს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც საჭირო იქნება შეტყობინებისთვის ვალდებულებათა თანახმად ამ შეთანხმების მხრივ, რომლებიც გამომდინარეობენ პარიზის კონვენციის 6 ter მუხლის დებულებებიდან.

(b) დავათა რეგულირება

28.53. TRIPS-ის შეთანხმების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტია დავათა რეგულირების სისტემა, რომელიც დაარსდა WTO-ს შეთანხმების შესაბამისად. თვით TRIPS-ის შეთანხმებას მოჰყავს 1994 წლის GATT-ის XXII – XXIII მუხლების დებულებები (WTO-ს შეთანხმება), როგორც არის ისინი დამუშავებული WTO-ს შეთანხმებაში წესებსა და პროცედურების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ დავათა გადაწყვეტას (რაც WTO-ს შეთანხმების დანართის სახით არის შეტანილი), რომელიც გამოიყენება კონსულ-ტაციებისთვის და დავათა რეგულირებისათვის TRIPS-ის შეთანხმების მიხედ-ვით (64.1 მუხლი).

28.54. მაგრამ 1994 წლის GATT-ის XXIII მუხლის 1( ) და 1(b) ქვეპუნქტები, რომლებიც ეხება დავათა რეგულირების ეგრეთ წოდებულ “არადარღვევათა” შემთხვევებს, არ გამოიყენება დავათა რეგულირებისთვის TRIPS-ის შეთანხმებით ხუთი წლის განმავლობაში მაინც WTO-ს შეთანხმების ძალა-ში შესვლის თარიღიდან (ე.ი. სულ ცოტა 2000 წლის 1 იანვრამდე). ამ პერიოდის ნებისმიერი გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს მინისტრთა კონფერენციამ კონსენსუსით (64.2 და 64.3 მუხლები).

თავი 32
ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის სწავლება

A. შესავალი

32.1 უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა ინტლექტუალური საკუთრების მნიშვნელობის გაგება ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვი. ინტელექტუალური საკუთრების სისტემათა აღორძინებამ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ქვეყნებში უკანასკნელ დროს გამოიწვია რიგი ქვეყანათა ეროვნული კანონმდებლობის მიღება ან გადასინჯვა პატენტების სფეროში გამოგონებაზე, სამრეწველო ნიმუშებზე, სასაქონლო ნიშნებზე; საავტორო უფლებებზე და ტექნოლოგიის გაცემაზე, აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურათა დაფუძნება ან მოდერნიზაცია, რომლებიც რეადიზებენ ასეთ კანონმდებლობას. ამავე დროს იურისტი პროფესია, რომელსაც მიეკუთვნებიან იურისტები სხვადასხვა სამინისტროებიდან, მოსამართლეები და კერძო პრაქტიკის მქონე იურისტები, ცდილობს ფეხი აუწყოს პრობლემებს, რომლებსაც წარმოადგენენ ახალი ტექნოლოგიები, ინფორმაციისა და იდეების გაცვლის ახალი საშუალებები, მათი ზემოქმედება მრეწველობასა და ვაჭრობაზე, ცხოვრების დონეზე. ამ ცვლილებათა პროცესში მასწავლებელთა და მკვლევართა შემადგენლობა მსოფლიოს უნივერსიტეტებში და ინსტიტუტებში მოწოდებულია ხელი შეუწყოს სტიმულირების, სწავლებისა და გამოცდილების გაცემის საქმეს.

32.2 ინტელექტუალური საკუთრების მნიშნელობა თანამედროვე სამყაროში საკმაოდ სცილდება ინტელექტის ქმნილებათა დაცვის ფარგლებს, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკური და კულტურული ღხოვრების ყველა ასპექტზე. ამიტომ ინტელექტუალური საკუთრების კურსი საუნივერსიტეტო პროგრამაში დაკავშირებული უნდა იყოს განათლებისა და სწავლების სხვა მრავალ სფეროსთან.

32.3 ეს თავი მოწოდებულია ხაზი გაუსვას საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების დიდი მნიშვნელობის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და მისცეს რეკომენდაციები მასწავლებლებს და ადმინისტრატორებს, აგრეთვე სახელმწიფო მოსამსახურეებს, ამასთან დაკავშირებით, თუ როგორც უნდა შემუშავდეს ეფექტური საუნივერსიტეტო პროგრამა ინტელექტუალური საკუთრების დარგში.

B. ინტელექტუალური საკუთრების სწავლების პროგრამები

(a) ინტელექტუალური საკუთრების პროგრამათა სახეობები

32.4. სტუდენტთა სექტორი, რომლების 10 თვისაც სასარგებლო იქნებოდა ინტელექტუალური საკუთრების პრობლემათა შესწავლა, მეტად ფართოა. მასში შედიან სტუდენტები, რომლებიც შეისწავლიან მართვის, სამართლის, სიტყვაკაზმული ხელოვნების, ტექნიკის, მეცნიერების, ჟურნალისტიკის და სხვა საკითხებს. ბუნებრივია, რომ ბევრი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს ინტელექტუალური საკუთრების კურსს. მაგრამ პროგრამათა მრავალი სახეობიდან, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ ინტელექტუალურ მაკუთრებას, გამოყოფილია სამი სახეობა, რომლებიც ყველაზე ხშირად შეიცავენ ინტელექტუალური საკუთრების კურსს. ჯერ ერთი მმართველობის თითქმის ყველა პროგრამა შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების საფუძველთა ამა თუ იმ მიმოხილვას. სტუდენტებისათვის, რომლებსაც კერძო სექტორში ან სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის იმედი აქვთ, საჭიროაელემენტალური ცოდნის შეძენა იმ როლის შესახებ, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრება ასრულებს ეკონომიკისა და ვაჭრობის თანამედროვე კონცებციებში. მეორე, იურისტი პროფესიის საბაზო მომზადების პროგრამა შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების კურსს, რომელიც აძლევს სტუდენტებს ზოგად წარმოდგენას ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონების ხასიათსა და გამოყენების ასპექტებზე. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმაც კი, რომლებსაც განსაზღვრული არა აქვთ დასპეციალება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, უნდა იცოდნენ ძირითადი უფლებები, რომლებიც დაცულია ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონთა ფარგლებში. მესამე ასპირანტურათა (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატთა ფარგლებში. მესამე, ასპირანტურათა (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი) სპეციალიზებული პროგრამები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონების თეორიისა და პრაქტიკის უფრო სრულ სპეციალურ სწავლებას. ასეთი პროგრამები განკუთვნილია ხშირად ფრაგმენტულად ცოდნათა შესავსებად, რომელსაც სპეციალისტი იძენს პრაქტიკით, ყველა ასპექტის გაშუქების გზით, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად.

32.5. ინტელექტუალური საკუთრების სპეციალიზებული პროგრამები ეხება სამ ძირითად ასპექტს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში: (1) უფლებათა ხასიათსა და მოცულობის, რომლებიც დაცულია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, (2) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მიღებისა და

რეგისტრაციის პროცედურას (რასაც უწოდებენ “გაფორმების” იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია განაცხადის შეტანა და ექსპერტიზა) და (3) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვისა და რეალიზაციის პროცედურას მათი მიღების შემდეგ (უფრო ხშირად ეს ხორციელდება სასამართლოებში სამოქალაქოპროცესის გზით).

32.6. საგანმანათლებლო პროგრამები მართვის სფეროში ხაზს უსვამენ პირველ ასპექტს-უფლებათა ხასიათსა და მოცულობას, რომლებიც დაცულია ინტელექტუალური საკუთრების ფარგლებში. თუმცა ასეთი ცნობები მხოლოდ ამოსავალი წერტილია ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტისთვის. ისინი წარმოადგენენ ყველაზე არსებით ასპექტებს ხელმძღვანელი მუშაებისათვის კერძოდ სექტორში და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებლებისთვის. ეს პროგრამები ეძლევა ზოგად წარმოდგენას შემოქმედებითი და ტექნიკური პროდუქციის და ხერხების იმ ტიპებზე, რომელთა დაცვა შეიძლება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ფორმებზე, რომლებიც შექმნილია შემოქმედებითი ობიექტების კონკრეტული სახეების დასაცავად და ასეთი დაცვის ეფექტურობაზე. სტუდენტი იძენს იმ ხერხებს შესახებ ცოდნას, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების სასიკეთო ზემოქმედება ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე. ამ ცოდნას მეტად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიანი დაგეგმისთვის და ეკონომიკური გაანგარიშებებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ან ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, ვიდრე ავტორისთვის, მხატვრისთვის ან გამომგონებლისთვის, რომლებიც ძირითადად დაინტერესებული არიან დაცვის მიღების პრაქტიკული ასპექტები.

32.7. მმართველობითი პროგრამების დამატებით უნივერსიტეტების ყველა ძირითადი სასწავლო პროგრამები იურისტებისთვის შეიცავს კომერციული სამართლისა და საკუთრების სამართლის კურსებს, აგრეთვე კურსს, რომელიც ეხება სამოქალაქო და სისხლის პროცესს. ასეთი კურსები აუცილებელი საფუძველია კონცეფციათა ზოგადი გაგებისთვის, რომლებიც ასახულია კანონმდებლობაში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. მასწავლებლებს, რომლებიც ატარებენ ასეთ კურსებს, რაც განსაკუთრებით ეხება კომერციულ, სამეურნეო ან საკუთრების სამართალს, ხშირად შეაქვთ თავები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სხვადასხვა სახეობათა შესახებ განსა-

კურსებით იმ სახეობათა, რომლებიც წარმოადგენენ სტუდენტებისთვის ინტერესს მართვისა ან ეკონომიკის სფეროში.

32.8. უნივერსიტეტების ზოგიერთი იურიდიული ფაკულტეტი შედგება ერთი ან რამდენიმე ჯგუფისაგან, ან მთელი ნაკადისაგან, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც აპირებენ დასპეციალების ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. ეს ჯგუფები გავთალისშ=წინებულია იმისთვის, რომ მისცეს მომავალ სპეციალისტებს ფართო, თუ ღრმა არა, წარმოდგენა ინტელექტუალური საკუთრების შესაძლო ფორმებზე. ასეთი ჯგუფები სასარგებლოა სტუდენტებისათვის, რომლებსაც განზრახული აქვთ დაეხმარონ ავტორებს და გამომგონებლებს მათი ნაწარმოებების დაცვაში ეროვნული ან საზღვარგარეთის კანონმდებლობის ფარგლები და სტუდენტებისთვის, რომლებიც, როგორც საქმის რწმუნებულები, კონსუოტაციას გაუწევენ კლიენტს, კომპანიას კანონმდებლობის იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ზეგავლენას ახდენენ მათ სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარებაზე.

32.9. სტუდენტები, რომლებიც შედიან ინტელექტუალური საკუთრების სპეციალიზებულ ასპირანტურაში (მაგალითად, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მისაღებად), ჩვეულებრივ წარმოადგენენ პრაქტიკის სპეციალისტებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რომლებიც დაინტერესებული არიან ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობათა სამართლებრივი საფუძვლების ცოდნის გაღრმავებით, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა შეძენისა და რეალიზაციის ჩვევების შეძენით. ხშირად პრაქტიკოსი სპეციალისტები ერთი ქვეყნიდან ეწერებიან სხვა ქვეყნების ასპირანტურაში, რათა შეიძინონ ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის უფრო ღრმა ცოდნა ამ ქვეყანაში. ასეთი პროგრამები იძლევიან ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის გაღრმავებულ თკეორიულ საფუძვლებს. მაგრამ ასეთი პროგრამები, რომლებიც დაგეგმილია პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, რომელთა ყოველდღიური მუშაობა სამრეწველო საკუთრებაზე უფლებათა შეძენასა და დაცვაშია, საჭიროა აგრეთვე გამოცდილი პრაქტიკოს მასწავლებელთა ხელმძღვანელობით პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე განაცხადთა განხილვისა და ამ უფლებათა სასამართლო დაცვის უზრუნველსაყოფად გადადგმულ რეალურ ნაბიჯებს.

(b) ინტელექტუალური საკუთრების ფაკულტეტი

32.10. სასწავლო პროგრამების ხარისხი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დამოკიდებული იქნება მნიშვნელოვანწილად მასწავლებელთა მომზადებისა და დაინტერესების დონეზე. ქვეყანაშია მრავალი შტატის მასწავლებელი, რომლებიც სპეციალიზდებიან ინტელექტუალური საკუთრების ერთი ან რამდენიმე ასპექტის შესწავლაზე. მაგრამ ბევრ უნივერსიტეტს არ გააჩნია ასეთი სპეციალისტები და სტუდენტების განათლება ინტელექ-ტუალური საკუთრების სფეროში ეკისრება მასწავლებლებს, რომლებისთვისაც ეს სფერო ძირითადი არ არის მათი სპეციალიზაციის მიმართ. დიდი ხანი არაა, რაც ინტელექტუალური საკუთრების მზარდი მნიშვნელობისა და საყოველთაო აღიარების გამო სულ უფრო მეტი მასწავლებელი სპეციალდება ამ სფეროში. გარდა ამისა, ბევრი პრაქტიკოს სპეციალისტმა, რომლებმაც წლები და ათწლეულები შეწირეს მუშაობის ამ სფეროში, გადაწყვიტა დაეტოვებინა პრაქტიკა და მთლიანად შეეწირა თავი ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისათვის. ყოფილი პრაქტიკოსი სპეციალისტები, როგორც კი შეიძენენ უნივერსიტეტში მასწავლებლობის მუშაობის გამოცდილებას, შეუძლიათ გახდნენ ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობის საუკეთესო მასწათლებლები. შტატის იურისტი იურისტ მასწავლებლებმა, რომლებმაც სურთ დასპეციალება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, უნდა ხელი მოჰკიდონ უამრავ კონკრეტულ ცოდნათა შეძენის არასახარბიელო ამოცანას, რომლებიც აუცილებელია ექსპერტისთვის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. მაგრამ მასწავლებლები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ ამ ამოცანას, ნახულობენ მასში მთელ სამყაროს, რომელიც სავსეა ინტელექტუალური გამოცანებითა და განძეულით და რომელიც სავსებით ამართლებს ყველა ძალისხმევას.

32.11 გამოცდილ მასწავლებელთა შუალედურ წყაროს, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად შნავსონ შტატის მასწავლებლების არყოლით გამოწვეული ვაკუუმი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, წარმოადგენენ პატენტრწმუნებულები, რომლებიც მზად არიან თავისი დროის (ერთი-ორი საღამო კვირაში) ნაწილი შესწირონ ინტელექტუალური საკუთრების კურსის სწავლებას. ასეთ მასწავლებლებს, ჩვეულებრივ უწოდებენ "ადიუნკტ-პროფესორებს" მათ შეუძლიათ ეფექტურად და ეკონომიურად ჩამოაყალიბონ სრულფასოვანი და ხარისხიანი ინტელექტუალური საკუთრების სწავლების

პროგრამა. ეს პროცესი დამყარებულია სიმბიოზზე – ის შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტს ჩააბას თავის პროგრამაში მრავალრიცხოვანი მრავალკვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ თემის ფართო გაშუქებას, რაც მიუღწეველი იქნებოდა მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტის ყოფნის შემთხვევაში, მინიმალური ხარჯებით, ხოლო მეორე მხრივ, ამაღლებს პატენტრწმუნებულის პრესტიჟს, რომელიცსაუნივერსიტეტო მომზადების პროგრამაშია ჩართული, აძლევს მას სტიმულს ახალ დებულებათა მიდევნებისთვის პლუს კმაყოფილება ახალგაზრდა სპეციალისტების სწავლებისაგან, რომლებიც ახლებურად გაიაზრებენ ძველ პრობლემებს. სტუდენტებს მოსწონთ ისტორიების მოსმენა პატენტრწმუნებულის პრაქტიკიდან, ხოლო რწმუნებულები იქნებიან კმაყოფილი აუდიტორიისთვისს ცოდნის გადაცემით, რომელსაც (რაც იშვიათად ხდება რწმუნებულის ცხოვრებაში) მოსწონს მოსმენა და დაჯერება იმისა, რასაც უყვებიან.

32.12. იურიდიულ ფაკულტეტზე ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლების ყველაზე უკეთესად ასწავლიან შტატის პროფესორი იურისტები, რომლებსაც შეუძლიათ საკმარისიდრო დაუთმონ კონსულტაციებს და სტუდენტების სწავლების ამ პროგრამის მიმდინარეობისას მათ მიერ სპეციალობის დასაუფლებლად, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგებათ მათ. ყოფილი პატენტრწმუნებულები, რომლებიც შტატის მასწავლებლები გახდნენ, გააჩნიათ შრომის სპეციფიკური ბაზრის გამოცდილების უპირატესობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და, როგორც წესი, სწრაფად ითვალისწინებენ დამრიგებლობის ჩვევებს. გამოცდილი იურისტ მასწავლებლებს გააჩნიათ იურიდიუდი განათლების სისტემის და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტების მოთხოვნილებათა ცოდნის უპირატესობა.

(c) ინტელექტუალური საკუთრების სწავლება განვითარებად ქვეყნებში

32. 13 უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ისმომ წამოიწყო რიგი ინიციატივა იმ მიზნით, რომ საზოგადოერიობისთვის ცნობილი გამხდარიყო სწავლებისა და გამოკვლევების პროგრამები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში, და ამით გაექტიურებინა სწავლებისა და კვლევის პროცესი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.ეს ინიციატივები დაგეგმილი იყო როგორც ისმოს საქმიანობის დამატება პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებით, რაც

წარმოადგენს განვითარების მიზნით თანამშრომლობის პროგრამის ნაწილს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ისმოს იურიდიულ-ტექნიკური პროგრამის ნაწილს.

32.14. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სწავლებისა და გამოკვლევების სტიმულირების მიზნით ისმომ 1970 წელს გამოაქვეყნა ორი მიმოხილვა, ერთი ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის სწავლების შესახებ და მეორე – საავტორო უფლების კანონმდებლობის სწავლების თაობაზე. ეს მიმოხილვები მოგვითხრობდნენ სწავლების რაოდენობაზე, არსზე, დონეზე, საათების რაოდენობასა და ფორმაზე, აგრეთვე, თანმხლებ ასპექტებზე, რომლებიც ეხება სხვადასხვა უნივერსიტეტებში და უმაღლესი განათლების სხვა სასწავლებლებში. ჩატარებულ კურსებს მსოფლიოს 30-სა და მეტი ქვეყანაში.

32715. თუმცა უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების რაოდენობა, რომლებშიც ასწავლიან ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობას, მკვეთრად გაიზარდა აღნიშნული მიმოხილვის გამოქვეყნებიდან. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ რიგ განვითარებად ქვეყანაში, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნების ჩათვლით, ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა ჯერ არ არის შეტანილი როგორც კომერციული სამართლის კურსის შემადგენელი ნაწილი. ეს ხდება ძირითადად დაინტერესებული სტუდენტების შეზღუდული რაოდენობის გამო.

32.16. მაგრამ განვითარებად ქვეყნებში არსებობს რიგი უნივერსიტეტი და სხვა სასწავლებელი, რომლებშიც ტარდება ინტელექტუალური საკუთრების კურსები. ისინი აგრეთვე ატარებენ პერიოდულ საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოებთან და დაინტერესებულ პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად და ისმოს მხარდაჭერით, ზოგადი ხასიათის შესავალ კურსებს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის სფეროში. უფრო მეტი, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ტარდებოდა სპეციალიზებული კურსები და სემინარები ინტელექტუალური საკუთრების კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, მეცნიერი მუშაკებისათვის, სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის, იურისტებისა და ბიზნესმენებისთვის, რომლებიც გაძლიერებულ ინტერესს ამჟღავნებენ ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის მიმართ. ორგანიზებული იყო აგრეთვე სიმპოზიუმები და სხვა შეხვედრები, რომლებიც მიეძღვნა ინტე-

ლექტუალური საკუთრების კანონების მიმოხილვას მიმდინარე ეკონომიკური, ტექნიკური და სოციალური განვითარების შუქზე.

32.17. ინტელექტუალური საკუთრების საკითხების სწავლების სფეროში ამ პროგრესის პირველ რიგში იყვნენ უნივერსიტეტების მასწავლებლები, რომლებიც აღმოჩნდნენ შორს მჭრეტელი და შეიგნეს, რომ ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს არა აბტრაქტულ ცნებას, არამედსაფირო იარაღს სასურველი ეკონომიკური და კულტურული მიზნების მისაღწევად ასეთი მასწავლებლები წაღალისების ღირსია და მათ მიეცეს მათი იმედის რეალიზაციის შესაძლებლობა.

C. ინტელექტუალური საკუთრების კურსების გამოყოფა

32.18. უნივერსიტეტებში და იურიდიულ კოლოჯებში ჩვეულებრივ ასწავლიან ინტელექტულური საკუთრების კურსების ოთხ ტიპს: მიმოხილვითი კურსები, სპეციალიზებული კურსები, გაძლიერებული დონის სემინარი და პრაქტიკული კურსები.

32.19. მიმოხილვითი კურსების ეს ფარვო პროფილის საბაზო კურსები, რომლებიც განკუთვნილია იმისთვის, რომ მოგვცეს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროს მიმოხილვა ფაქტების საკმარისი ნაკრების ჩართვით სტუდენტების "მადის გასაღვივებლად", რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვიტონ დასპეციალიზება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. მიმოხილვითი კურსების, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს "ინტელექტუალური საკუთრების შესავალი ან "კანონმდებლობა პატენტების, სასაქონლო ნიშნებისა და საავტორო უფლების სფეროში," პოპულარული ბიზნესის სკოლისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში, რომლებსაც სურთ გაარკვიონ კურძო პირთა შემოქმედებითი ნაწარმოებების დაცვის სპეციალიზაციის ეკონომიკური პერსპექტივები. მიმოხილვითი კურსების სწავლება განსაკუთრებით მისაღებია იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც იწყებენ თავის კარიერის ინტელექტუალური საკუთრების სწავლებაში და შეუძლიათ სტუდენტებთან ერთად შეისწავლონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვი გაღრმავებული ასპექტები. მაგრამ ზოგიერთი გამოცდილი მასწავლებელი, რომლებიც სპეციალიზდებიან ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, მიიღებიან სიამოვნების ასეთი მიმოხილვითი კურსების წაკითხვიდან, რადგან სთვლიან, რომ ურთიერთობა

სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან გამუდმებით აფართოებს თვალთახედვას.

32.20. გაძლიერების დონის სემინარები ტარდება იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც უკვე გაიარეს სპეციალიზებული კურსი კონკრეტულ დარგში მზად არიან (უფრო ღრმად) შეისწავლონ ერთი ან მეტი კონკრეტული ასპექტი ამ დარგებში პატენტების სფეროში ასეთი სემინარის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ კურსი, რომელიც განიხილავს გამოგონებათა დაცვის პროცესს დაწყებული განაცხადის შეტანის მომენტიდან შემდეგ ექსპერტიზის პერიოდის გავლისა და უწყების მიერ პატენტის გაცემით, აგრეთვე პატენტის დაცვის უზრუნველყოფის ყველა სტადიის ჩათვლით სასამართლო განხილვის მსვლელობისას. მაშასადამე, სტუდენტი შეისწავლის სასამართლოში საპატენტო დავათა პრინციპების გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს, ანუ იმ საკითხებს, რომლებიც ზოგადად მან შეისწავლა სპეციალიზებული საპატენტო კურსის სწავლებისას. გაძლიერებული დონის სემინარის მეორე სახეობას შეუძლია განიხილოს ინტელექტუალური საკუთრების ისეთი ასპექტი, რომელიც არც ისე ხშირად წარმოიქმნება, რომ გახდეს ცალკე სპეციალიზებული კურსის საგანი. მაგალითად, სემინარი " ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის ანტიმონოპოლიური ასპექტები" შეავსებდა ხარვეზს, რომელიც შეიძლება იყოს საბაზო კურსებში. სემინარები მისცემენ აგრეთვე სტუდენტებს შესაძლებლობას მოამზადონ გამოკვლევები მიმდინარე პრობლემების შესახებ სხვა სტუდენტებისათვის მოხსენების წასაკითხად ან მასწავლებელს მისცემენ შანსს გადასცენ თავისი ვიწრო საგანი დეტალებში ან მოუთხროს ახალ, ჩანასახში მყოფ დარგებზე, ისეთი, როგორიცაა: კანონების ზოოტექნოლოგიათა და კომპიუტერების დარგში.

32.22. პრაქტიკული კურსები ყურადღების კონცენტრირებას ახდენს რეალურ ნაბიჯებზე, რომლებსაც რწმუნებული წამოიწყებდა კონკრეტულ სიტუაციაში ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა მიღებისთვის ან დაცვისთვის. ისეთი კურსები, როგორიცაა: "საპატენტო უწყების პრაქტიკა", "სასამართლო პრაქტიკა საავტორო უფლებაში" და "რწმუნებულის როლი სასამართლო განხილვაში", აიძულებენ სტუდენტებს გააკეთონ სწორედ ის, რაც მათ მოეთხოვებათ მათ სამართლებრივ პრაქტიკაში. ასეთ კურსებს ხშირად კითხულობენ კერძო რწმუნებულები, რომლებიც გამოდიან როგორც ადიუნკტ-

პროფესორები, რომლებმაც უნდა შეასწავლონ კერძოდ ის, რასაც ისინი ყოველდღიურად აკეთებენ.

32.23. სათანადო კურსისი შერჩევა ინტელექტუალური საკუთრების პროგრამაში ჩასართველად დამოკიდებულია სტუდენტების, მასწავლებელთა შემადგენლობაზე და გათვალისწინებული პროგრამის დონეზე. მრავალი საუნივერსიტეტო პროგრამა, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება მესში ინტელექტუალური საკუთრების ჩართვის შესახებ, იწყება მცირედით და სთავაზობს მიმოხილვით კურსს და ერთ ან ორ სპეციალიზებულ კურსს, ისინი თანდათანობით ადიდებენ კურსების რიცხვსა და დონეს სტუდენტების მომზადების დონის ამაღლებისა და მასწავლებელთა შემადგენლობის დაინტერესების მიხედვით. ჩვეულებრივ, ეს სწრაფად ხდება და ხშირად ერთადერთ ლიმიტირებად ფაქტორად რჩება გაფართოებისა და კურსების სხვა სახეობებთან ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი.

D. სასწავლო მასალების შერჩევა და სასწავლო გეგმების დაწერა

32.24. ინტელექტუალური საკუთრების კურსის ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან და რაღაცა აზრით ყველაზე რთულ ასპექტს წარმოადგენს სასწავლო მასალათა შერჩევა. რასაკვირველია, შესარჩევი მასალის სახეობა რაღაცწილად ნაკარნახევი იქნება შეთავაზებული კურსის სტრუქტურით. მაგრამ კურსის შერჩევისშემდეგ მასწავლებელმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ შესაბამისი სასწავლო მასალა უბრალოდ არ არსებობს ნაბეჭდი ფორმით, ან რომ საჭირო მასალა მოიპოვება სხვადასხვა წყაროში და უნდა შეგროვდეს ერთად. თუ სათანადო ტექსების შოვნა შეუძლებელია ან თუ გამოიყენება რამდენიმე ტექსტის კომბინაცია, მაშინ უნდა მომზადდეს შესაბამისი "თემატური სასწავლო გეგმა" მეცადინეობის ორგანიზაციის გასაადვილებლად და სტუდენტების წარმატებითი სწავლებისთვის.

(a) სასწავლო მასალების შერჩევასა და სასწავლო გეგმის დაწერასთან დაკავშირებული ზოგადი შენიშვნები

32.25. პროგრამაში ახალი კურსის შეტანის მოსამზადებელი სამუშაოები მოითხოვს დროს. დიდი შრომა სჭირდება სასწავლო მასალათა და მითითებითი ლიტერატურის შეგროვებას ინტელექტუალური საკუთრების იმ

კონკრეტულ სფეროში, რომლის სწავლებაცაა გათვალისწინებული. სხვა მასწავლებლების მიერ გამოყენებული სასწავლო მასალები შეიძლება გამოდგეს ამოსავალ წერტილად და შეიძლება კიდევაც რეკომენდებული იყოს იმ პერიოდისთვის, ვიდრე მასწავლებელი არ დააგროვებს საკმარის გამოცდილებას ამ კურსის მეშვეობით მასალათა დამოუკიდებელი შერჩევისთვის. მაგრამ ზოგიერთი რეკომენდაცია და რაღაც სასტარტო მასალაც კი არ იქნება ზედმეტი. ეს თავი დაეხმარა დაწყებ ან გამოცდილ მასწავლებელს სათანადო სასწავლო მასალის შერჩევაში ინტელექტუალური საკუთრების კურსებისთვის, რომელსაც ის ხელმძღვანელობს.

32.26. ყველა შემთხვევაში უნდა შეირჩეს ის საკურსო ტექსტი, რომელიც შეესაბამება თქვენს ინტერესებს,გამოცდილებას და სამასწავლებლო სტილს დამწყებმა მასწავლებელმა, რომელიც პირველად კითხულობს ინტელექტუალური საკუთრების კურსს, უნდა შეარჩიოს ტექსტი, რომელიც იქნება საგანმანათლებლო და საინტერესო არაა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ მისთვისსაც. დამწყების მასწავლებლებლებისთვის ყოველთვის საუკეთესო არჩევანი იქნება მასალა, რომელმაც სახელი მოიხვეჯა და დაწერილია მოცემულ დარგში აღიარებული სპეციალისტის მიერ.

32.27. უფრო გამოცდილ მასწავლებლებს და პრაქტიკოს რწმუნებულებს, რომლებიც უკეთ იცნობენ არსებულ მასალას, შეუძლიათ შეარჩიონ ისინი საკუთარი ნება-სურვილით ან გააერთიანონ მასალები, რომლებიც ამოკრეფილი სხვადასხვა წყაროდან, რომ მათი აზრით რაც შეიძლება უკეთ ასახონ კურსის შინაარსი და მიმართულება.ეს იძლევა შერჩეული მასალისა და თვითონ მასწავლებლის ფილოსოფიასა და სტილს შორის მეტი შესაბამისობის მიღწევის შესაძლებლობას, და, აგრთვე, იმის შესაძლებლობის, რომ აცილებული იყოს არევდარევა იმაში, რაც იკითხება კურსის პროცესში და აღწერილია ლიტერატურაში. თუმცა ყოველთვის უნდა ხაზგასმული იყოს აზრთა სხვაობა, მიუხედავად ამისა ასეთი სხვაობა წარმოადგენს ეფექტურ სასწავლო ინსტრუმენტს მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი წარმოადგენს მას სწორედ როგორც სხვაობას, და არა მაშინ, როდესაც სტუდენტს ეჩვენება, რომ არსებობს სხვაობა, რასაც ასწავლის მასწავლებელი და სასწავლო მასალას შორის.

32.28. ძალიან ძნელია მოამზადო საკუთარი სასწავლო მასალა, ამასთან ეს მოითხოვს დიდ დროს. მაგრამ სათანადო სასწავლო მასალის შედარების

დეფიციტის პირობებში ზოგჯერ გვიხდება ამის გაკეთება. მაგრამ მიზანშეწონილი არ არის საკუთარი კურსის ასეთიმ ასალებისთვის როგორც საგამოცდო პოლიგონის გამოყენება. საჭიროა წინასწარ მოჰკიდოს ხელი გულდაგულშერჩევას შერჩევას, გადასინჯვას,რედაქტირებას და ორგანიზაციას მოსწავლეთათვის მის წარსადგენად.

32.29. ვრცელი სასწავლო გეგმა, რომელიც შეიცავს მთელ კურსს, უნდა მიეცეს სტუდენტს მეცადინეობის პირველ დღესვე. სასწავლო გეგმა წარმოადგენს თემათა ჩამონათვალს, რომლებიც განხილული იქნება ამ კურსის ფარგლებში და საკითხავ მასალას, რომელიც მიეკუთვნება ყოველ თემას. სასწავლო გეგმებში აძლევენ სტუდენტებს "სასწავლო გზების

რუკას". კარგ სასწავლო გეგმას შეუძლია გამოჰყოს თემები, რომლებიც გადათვალიერებული იქნება, მათი მოკლე შინაარსით, აღნიშნოს თარიღების, როდის იქნება განხილული კონკრეტული თემა, მიუთითოს საკითხავი მასალის დასახლებაზე და გვერდების ნომრებზე, რასაც მოსთხოვენ სტუ-დენტებს ყოველ მეცადინეობაზე. იდეალში სასწავლო გეგმა უნდა შეიცავდეს კურსის მოკლე ერთსახოვან შინაარსს და წინასწარ გააცნოს სტუდენტს თემების ძირითადი იდეები, რომლებიც უნდა განიხილონ და უზრუნველყონ ის სამომავლო საცნობო მასალით მეხსიერებაში იმის აღსადგენად, რაც გაიარა (ან უნდა გაევლო) მოცემული კურსის პროცესში. სხვადასხვა სასემინარო მეცადინეობისთვის თემათა ცხრილის შედგენისას ყველაზე მნიშვნელოვანი და ძნელ საკითხებს, რასაკვირველია, უნდა გამოიყენონ შესაბამისად მეტი დრო. მაგრამ ზოგიერთი მომატებული სირთულის საკითხები უნდა მოხსენებული იყოს "გაკვრით", რამეთუ ისინი შეისწავლება უფრო მაღალი დონის კურსის სწავლებისას. თემათა შერჩევა და მათი გადაცემის სისრულე მთლიანადაა დამოკიდებული მასწავლებელზე, რომელსაც შეუძლია ამ გამოცდილების შეძენა მხოლოდ პრაქტიკის გზით. სასწავლო გეგმის ეფექ-ტურობის შესამოწმებლად გამოდგება მისი გამოყენება ზოგადი მიმოხილვის სახით კურსის შინაარსის გაცნობისას მეცადინეობის პირველ ჟრეს და კურსის შეჯამებისას უკანასკნელ დღეს. ეს შეესაბამება წარმატებითი ურთიერთობების სტრატეგიას, და სახელდობრ "მოუყევი მათ, რის თქმასაც აპირებ, უთხარი ეს, ხოლო შემდეგ მოუყევი მათ, თუ რა სთქვი შენ".

(b) მასალათა შერჩევა კონკრეტული კურსებისთვის

32.30. მასალები მიმოხილვითი კურსებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების კურსებს შორის. მიმოხილვითი კურსებისთვის ლიტერალ=ტურის შერჩევისას მასწავლებელმა დრო უნდა დაუთმოს მთელი ხელმისაწვდომი ლიტერატურის გადასინჯვას. ხშირად რეკომენდებულია კონსულტანციის მიღება ასეთივე კურსის სხვა მასწავლებლებისაგან სხვა უნივერსიტეტებში და გაგმა, ვუ რომელ ლიტერატურას და რატომ იყენებენ ისინი. უნდა შეირჩეს შეძლებისდაგვარად ისეთი ტექსტები, რომლებიც იძლევიან ყველა თემის დაბალანსებულ აღწერილობებს. მიმოხილვითი კურსის ყველა სტუდენტს ექნება საკუთარი ინდივიდუალური ინტერესი, მაგრამ ყველა სტუდენტს აქვს იმის უფლება, რომ მათ ინტერესებს დაუთმონ სათანადო ყურადღება.ინტელექტუალური საკუთრების ლიტერატურის დამატებად შეიძლება გამოიყენონ სტატიები და ტექსტები, რომლებიცფოკუსირებული ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტზე. ამან შეიძლება შგამოიწვიოს საინტერესო დისკუსიების პროვოცირება და გააღრმაოს სტუდენტების მიერ კავშირის გაგება ინტელექტულური საკუთრებისა და ერის ეკონომიკურ ჯანმრთელობას შორის.

32.31. მიმოხილვითი კურსებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ისმოს მიერ 1988 წელს გამოქვეყნებული წიგნი "ინტელექტუალური საკუთრების საკითხავი მასალები". ეს წიგნი, რომლის გადამუშავებული ვარიანტი დევს თქვენს წინ წარმოადგენს საკითხავ მასალათა კრებულ კანონმდებლობისა და მართვის სხვადასხვა ასპექტების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. ამ წიგნის ტექსტი ემყარება განცხადებებს, რომლებიც ქვეყნდებოდა ისმოს სხვადასხვა პუბლიკაციაში, მაგალითად, კომენტარებში და ტიპურ კანონებში, განვითარებადი ქვეყნებისათვის ლიცენზირების საჰელმძღვანელოს განმარტებით ბარათებში (რომელიც ეხება ტექნოლოგიათა გადაცემას საკითხებს), მოსამზადებალ დლკუმენტებში და ექსპერტთა კომიტეტების ანგარიშებში და საერთაშორისო ბიუროს მოხსენებებში სხვადასხვა მოხსენებებსა და სიმპოზიუმებზე, რომლებიც ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, პირველ რიგში სტუდენტებისთვის აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განვითარებადი ქვეყნებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან სათანადო ლიტერატურის უქონობას ინტელექტუალური საკუთ-

რების სფეროში. ეს წიგნი სასარგებლოა აგრეთვე უნივერსიტეტებისთვის და სხვა სასწავლებლებისთვის რეგიონის განვითარებად ქვეყნებში შესაბამისი პროგრამების მოსამზადებლად ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი საკითხების სწავლებისთვის. თუმცა წიგნი პირველ რიგში განკუთვნილია სტუდენტებისთვის, ის შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც დამხმარე ცნობარი სახელმწიფო მომსახურეებისთვის, რწმუნებულების ადა ბიზნესმენებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ინტელექტუალური საკუთრების საკითხებით. ამ საბაზო ცნობარის დამატებად ისმომ მოამზადატ ეროვნული დამატებითი, რომლებიც შეიცავენ ზოგიერთი ქვეყნის კანონების კომენტარის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ჯერჯერობით ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება: ინდოეთი, მალაიზია, პაკისტანი, ფილიპინები, კეორეის რესპუბლიკა, შრი-ლანკა და ტაილანდი. ეს დამატებითი უნდა შეიცავდნენ ძირითად საკანონმდებლო აქტებს, სასამართლო გადაწყვეტილებებს და სამარლის სხვა წყაროებს, რომლებიც ეხება ყოველ ამ ქვეყანას.

32.32. სპეციალიზებული კურსებისთვის სასწავლო მასალის მონახვა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მიმოხილვითი კურსებისთვის. მიზეზი მარტივია: სპეციალიზებული კურსების სტუდენტთა რიცხვი ნაკლებია მიმოხილვითი კურსების სტუდენტების რიცხვზე, ამიტომ სპეციალიზებული სასწავლო მასალის მომზადება და პუბლიკაცია არც თუ პრესტიჟულია. მაგრამ არსებობს შესანიშნავი მასალა, განსაკუთრებით პატენტების, სასაქონლო ნიშნებისა და საავტორო უფლებათა სფეროში.

32.33. მაგრამ საჭიროა არსებული სპეციალიზებული ტექსტების საგულდაგულო გადასინჯვა მათ შერჩევამდე. მასწავლებელმა უნდა გააკონტროლოს შეამოწმა თუ არა სპეციალისტის მიერ დაწერილი ტექსტი ამ დარგის სხვა მცოდნემ საუკეთესო ტექსტებიც კი მან უნდა შეავსოსო მიმდინარე მასალით, რომელიც გახდის ტექსტს უფრო თანამედროვეს. უფრო ხელმისაწვდომს და უფრო საინტერესოს რეალური პატენტების ასლები, სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციის ასლები ნაკეთობათა მაგალითებით, ეტიკეტები, ნიშნები, რომლებიც ალირების დონემდე ერთმანეთისმსგავსია, ორი მსგავსი სიმღერის მუსიკალური ჩანაწერი –ყველაფერი ეს რეალისტურ ელემენტს მმატებს ტექსტში გადმოცემულ იდეებს.

32.34. თუ სპეციალიზებული მასალის მონახვა შეუძლებელია. მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს მიმოხილვითი ტექსტი, რომელიც შეიცავს ვრცელ თავს იმ დარგში, რომელიც წარმოადგენს სპეციალიზებული კურსის საგანს. ხშირად მიმოხილვითი მასალა, რომელიც მიუღებელია მიმოხილვითი კურსისთვის, იმის გამო, რომ მასში არ არის დაბალანსებული მიდგომა ყველა საგნისადმი, გამოდგება კარგ სპეციალიზებულ მასალად იმ საგანში, რომელიც მასში მეტისმეტად მოჯარბებულია.

32.35. როგორც საინსტრუქციო მასალა, გამოდგება აგრეთვე სახელმძღვანელოები, კანონების კომენტარებით, სასამართლო გადაწყვეტილებები ან საჟურნალო სტატიები. თუმცა ისინი უფრო გამოდგება გაძლიერებული დონის სემინარებისთვის ან პრაქტიკული მეცადინეობებისთვის.ბევრი ამ მასალათაგანი შეიცავს ზოგადი პრინციპების მშვენიერი მიმოხილვას და ადგილად შეიძლება გადაკეთდეს კარგ მოხსენებათა სემინარისთვის.

32.36. მასალის შერჩევა გაძლიერებული დონის სემინარისთვის ხშირად უფრო ადვილია, ვიდრე მიმოხილვითი და სპეციალიზებული კურსებისთვის, რამეთუ ამ მასალის შერჩევაგანპირობებული იქნება სემინარის თემატიკით. განაცხადთა ნიმუშები და სასამართლოს მასალების მიღება შეიძლება შესაბამისი წყაროებიდან. თემატიკური სტატიები და გამოკვლევები შეიძლება გავრცელებული იყოს როგორც საფუძველი დისკუსიებისთვის, მნიშვნელოვანი ცალკეული სასამართლო საქმეც კი შეიძლება თავისთათად საკმარისი მასალა მთელი სემინარისთვის, თუ, რასაკვირველია, შევსებული იქნება კომენტარებით და შემდგომი სქმეებით, რომლებიც ემყარება ამ მთავარ საქმეს.

32.37. პრაქტიკულმა კურსებმა უნდა გამოიყენონიგივე მასალა, რომლითაც სარგებლობენ ამ დარგში მომუშავე სპეციალისტები. კანონები და ინსტრუქციები უნდა გამოიყენებოდეს როგორც პირველწყარო. პროცედურების სახელმძღვანელოები, რომლებსაც აქვეყნებენ სამრეწველო საკუთრების უწყებები, შეიძლება შეიძინონ და შეისწავლონსტუდენტებმა. სასამართლო საქმეების პრაქტიკული კურსების მიმდინარეობისას უნდა დაიცვან სასამართლო წესები და პროცედურები. პრაქტიკული კურსის წარმატება, ხარისხი და გამოსადეგობა პირდაპირი უამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილია კურსის მსგავსება სამართლის ამ დარგის რეალურ საქმეებთან. თუ კურსზე შეისწავლა სამართალწარმოების ან აპელაციის

პრაქტიკა, სტუდენტებს შეცძლიათ მოაწყონ რეალური საქმის მოსმენა სასამრთლოს არქივებიდან ან შეუძლიათ განიხილონ აპელაცია ნამდვილი განცხადებების საფუძველზე, რომლებიც განიხილებოდნენ სააპელაციო სასამართლოში. თუ ისწავლებასაპატენტო ფორმულის შედგენის ხელოვნება, მაშინ გამოგონების გამოყენება რეალური პატენტიდან შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს შეუდარონ ფორმულის საკუთარი ვარიანტები იმ ვარიანტებს, რომლებიც მიღებული იყო სინამდვილეში.

(c) სასწავლო მასალები განვითარებად ქვეყნებში

32.38. განვითარებად ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა შეიძლება შეფასებული იყოს შემდეგნაირად: არსებობს სასწავლო მასალების უმნიშვნელო რაოდენობა, რომლებიც განსაკუთრებით გამოსადეგია განვითარებად ქვეყნებში. ისინი, რომლებიც ხელმისაწვდომია, უფრო ხშირად სამართლისა და პრაქტიკის სწავლების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც შეიძლება არც იყოს გამოყენებული მოცემულ განვითარებად ქვეყნებში.

32.39. ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებელს თვითონ უხდება მასალის შერჩევა ინტელექტუალური საკუთრების კურსისთვის. პრობლემა იმაშია, რომ განვითარებად ქვეყნებში მასწავლებლები-სამართალმცოდნეები მომარაგებული იყვნენ საჭირო დოკუმენტაციით, რომელსაც ისინი შეისწავლიან და რომლის საფუძველზე ისინი შეძლებენ შექმნან სასურველი სასწვალო მასალა ინტელექტუალური საკუთრების პროგრამის გეგმისა და ფორმულირებისას.ასეთი დოკუმენტაცია შეიძლება შეიცავდეს სხვა ქვეყნების კანონებისა და საინსტრუქციო მასალის ტექსტებს, ისმოს საერთაშორისო ბიუროს მიერმომზადებული დოკუმენტებს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა საკითხეთან დაკავშირებით, რომლებიც გამოკვლეულია ან რომლებსაც იკვლევენ, ექსპერტთა კომიტეტების სხვადასხვა ანგარიშებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამ საკითხებით, აგრეთვე დიპლომატიური კონფერენციების პროტოკოლებს, რომლებზედაც მიღებული იყო ახალი ხელშეკრულებები ან გადაისინჯა არსებულიხელშეკრულებები ზემოაღნიშნული გამოკვლევებისა და ანგარიშების საფუძველზე. ყველა მასწავლებელმა იცის თავის კათკდრის შესაძლებლობები და მის მიერ ნებისიმერი ახალი საპროგრამო მასალის აღქმა, რომელშიც შეიძლება ჩართული იყოს, აგრეთვე

სხვა შემაკავებელი ფაქტორები, ინტელექტუალური საკუთრებისსაკითხთა შესწავლისადმი სტუდენტის ინტერეს დონეს ჩათვლით, როდესაც სხვა თემატიკა შეიძლება უფრო მიმზიდველი და პერსპექტიული იმ თვალსაზრისით, რომ სხვა სპეციალიზაციას შეიძლება მიეყვანა უკეთესი მატერიალურ მდგომარეობძამდე, როდესაც სტუდენტი იძენს თავის იურიდიულ პროფესიას.

32.40. იმის დამატებად, რაც ზემოთ იყო ნათქვამი ისმოს დოკუმენტაციის შესახებ როგორც იმ პრობლემათა და შესაძლო გადაწყვეტათა წყაროზე, რომლებიც შეიძლება გამხდაიროყო კურსების საგანი და სასწავლო მასალა, ყურადღება უნდა მიექცეს მოხსენებებს, რომლებსაც წარადგენენ ATRIP-ის ყოველწლიურ კრებაზე უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. უკვე ტრადიციად იქცა ამ ყოველწლიურ კრებებზე მოხსენებათა წარგენა, რომლებიც ასაზავენ მასწავლებელთა გამოცდილებას პროგრამათა შედგენაში და სასწავლო მასალის მომზადებაში. ეს მოხსენებები ქვეყნდება ყოველი ასეთი კრებისთვის. წარდგენილი მოხსენებების ჩამონათვალი, რომელიც დათარიღებულია 1992 წლის 1 ივლისით, შეიძლება მოიძიოს ისმოს მიერ გამოცემულ დოკუმენტში B19/307.

32.41. წიგნის გარდა, რომელიც დასახელებულია "საკითხავი მასალა ინტელექტუალურ საკუთრებაში", რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული, ისმოს მიერ გამოცემული რიგი სხვა პუბლიკაცია შეიძლება წარმოადგენდეს განსაკუთრებულ ინტერესს მასწავლებლებისთვის და მკვლევარებისთვის. ეს პუბლიკაციები ჩამოთვლილია ისმოს პუბლიკაციათაი კატალოგში. როგორც წესი, ისმოს საერთაშორისო ბიურო აკმაყოფილებს მასწავლებელთა მოთხოვნებს ამ პუბლიკაციათი მიმართ, იმათი გამოკვლევით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო შეზღუდული ტირაჟით და რომლებიც დიდი მოცულობის გამო მეტად ძვირია დასამზადებლად. ეს, კერძოდ ეხება დიპლომატიური კონფერენციების პროტოკოლებს და საერთაშორისო კლასიფიკაციებს, განსაკუთრებით საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციას. ამის გამოკლებით, პუბლიკაციები ეგზავნებათ მასწავლებლებს ან მკვოევარებს უფასოდ, საფოსტო ხარჯებსაც კი ფარავს ეს ორგანიზაცია სასარგებლო იყოს შეიძლება აგრეთვე ისმოს და ATRIP-ის მიერ აგმოცემული დოკუმენტების ჩამონათვალი სწავლებისა და გამოკვლევების საკითხებთან დაკავშირებით ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. ამ ჩამონათვალის ინდექსია B19/307 და ის შეიცავს 1992 წლის პირველ ივლისს გამოცემულ დოკუმენტებს.

E. სწავლების მეთოდიკა და სტრატეგია

(a) სწავლების მეთოდიკა

32.42. სწავლების მეთოდიკა სხვადასხვა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა უნივერსიტეტში და სხვადასხვა აქვს სხვადასხვა მასწავლებელს. არ არსებობს ყველა ინსტრუქტორისთვის მისაღები ერთიანი მეთოდიკა, ისევე, როგორც არ არსებობს სტუდენტების ყველა კატეგორიასთან მუშაობის ერთიანი მეთოდიკა. მაგრამ სამართლის დარგში არსებობს ორი სხვადასხვა ძირითადი მიდგომა, რომლებიც ხშირად გამოიყენება. ეს არის თვალსაჩინო სწავლების მეთოდიკა და პრობლემური სწავლების მეთოდიკა.

32.43. <u>თვალსაჩინო სწავლების მეთოდიკა.</u> სასწავლო მასალა,რომლებიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი და ფართოდ გამოიყენება შეერთებული შტატების და გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტების იურიდიულ კოლეჯებში, ემყარებაჩვეულებთი სამართლის პრინციპებს მათი კანონებზე დადებით, ადმინისტრაციულ ინსტრუბციებს და სასამრთლო გადაწყვეტილებათა განმარტებებს. ასეთი კანონმდებლობის სწავლება, ჩვეულებრივ, ხორციელდება ტრადიციული “მაგალითების მეთოდის” მეშვეობით და მოითხოვს გარკვეულ დისციპლინაპულ მიდგომას მასწავლებლებისა და სტუდენტების მხრივ. ეს მეთოდიკა ცნობილია სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ არ გამოიყენება მათში სხვადასხვა მიზეზთა გამო. ზოგიერთი ამ მიზეზთაგანი აიხსნება იმ ფაქტით, რომ სამართლებრივი სისტემის ბუნება, რომელიც არსებობს ევროპის კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნებში და გავლენას ახდენს ფრანგულად მოლაპარაკე აფრიკის რიგ ქვეყანაზე, ლათინური ამერიკის ქვეყნებზე და რაღაცწილად აზიის ქვეყნებზე, არ აკმაყოფილებს სწავლების ამ მეთოდიკას. ინტელექტუალური საკუთრებისადმი მიძღვნილი ასეთი სასწავლო მასალის გამოყენება მოითხოვს, რომ კურსი შედგენილი იყო ჩვეულებითი სამართლის, კანონების, ინსტრუქციებისა და სასამართლოს, კანონების, ინსტრუქციებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა სწორედ ასეთი პრინციპების საფუძველზე და ხშირად მოითხოვს სწორედ ასეთი პრინციპების დეტალურ ახსნა განმარტებას, რათა გაგებული იყოს სამართლის წყაროთა შუქზე სასამართლოებრივი სისტემის ფარგლებში შესაბამისი განვითარებად ქვეყანაში.

32.44. <u>პრობლემური სწავლების მეთოდები.</u> ეს არის მეორე მიდგომა, რომელმაც მოიპოვა პოპულარულობა ჩვეულებითი სამართლის ქვეყნებშიც. პრობლემური მიდგომის შესაბამისად მასწავლებელი აღწერის გარემოებათა კონკურეტულ ნაკრებს, რომლებიც იწვევენ საინტერესო სამართლებრივ პრობლემებს. სტუდენტებისაგან მოითხოვება კანონის შესაბამისი პრინციპების გამოყენება ასეთიპრობლემის ანალიზისთვის და გადასაწყვეტად. ეს მოითხოვს სტუდენტისაგან არა მხოლოდ კანონის ცოდნას, არამედ ძალისხმევას ასეთ გარემოებათა ყველა ასპექტის გააზრებისთვის და კანონის გამოყენება სათანადო შედეგის მისაღწევად. სპეციალისტთა საერთო აზრით, რომლებიც განიხილავენ საკითხს სწავლების მეთოდიკების შესახებ, კერძოდ ისმოსა და ATRIP-ის მიერ ერთობლივად დაფუძნებული სამუშაო ჯგუფი, არის შესაბლებლობა საერთაშორისო დონეზე წარმოადგინონ მაგლითები და სიტუაციათა მოდელები, რომლებიც ასახავენ იანტელექტუალური საკუთრების საკითხებს და როგორ გადაწყდება ეს სიტუაციები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში.

(b) ეფექტურობის შეფასება

32.45. სწავლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ეფექტურ ინსტრუმენტს, თუმც რომელიც ხშირად მხედველობიდან გამორჩებათ ხოლმე, წარმოადგენს ინსტრუმენტი, ცნობილი როგორც "ეფექტრუტობის შეფასება". ეფექტურობის შეფასების ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდს–დასკვნით გამოცდებს– ძალიან ხშირად განიხილავენ როგორც მხოლოდ სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტს. ფაქტობრივად ეს შესანიშნავი ინსტრუმენტია აგრეთვე მასწავლებლის შესაფასებლად გამოცჯის გამოყენების ერთ-ერთ ხერხს როგორც მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტისა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ კონკრუეტული მიზნების ჩამონათვალის ფორმულირება კურსის დასაწყისში და საგამოცდო კითხვების ისე მომზადება, რომ დარწმუნდე, იყო თუ არა მიღწეული ეს მიზნები. სტუდენტების წარმატებები ამ საგამოცდო კითხვებზე პასუხის გაცემისას მასწავლებელს წარმოადგენას იმაზე, თუ რა წარმატებას მიაღწია მან თავისი ცოდნის გადაცემაში.

32.46. მასწავლებლის ეფექტურობის შეფასების მეორე ხერხს წარმოადგენს სტუდენტების მიერ მასწავლებლის ანონიმური შეფასების ჩატარება. კურსის უკანასკნელ დღეს ჩატარებული ასეთი მიმოხილვა, შესაძლებლობას მისცემს

შეიტანონ წინადადებები სწავლების კურსის და მეთოდიკის გაუმჯობესების თაობაზე, და აგრეთვე მისწემს მასწავლებელს შესაძლებლობას მიიღოს ასე საჭირო ობიექტური "უკუკავშირი". ანონიმურობისა და გულწრფელობის უზრუნველყოფისთვის ასეთი ანკეტები არ უნდა შეივსოს მასწავლებლის თანდასწრებით და არ უნდა მოხვდნენ მასთან საგამოცდო ნიშნების დაწერამდე. თუ სტუდენტები იქნებიან მათი შენიშვნების კონფიდენციალობის შენახვაში და იმაში, რომ ნეგატიური შენიშვნები გავლენას არ მოახდენენ მათ ნიშნებზე, მაშინ მოსალოდნელია უფრო ობიექტური შენიშვნები. სასწავლო მასალებისა და გეგმების ხარისხისა და სარგებლობიანობის შესახებ საკითხებიც უნდა იყოს შეტანილი.

(c) სტუდენტების აქტიურობის წახალისება

32.47. სხვა მეტად საგანმანათლებლო ინსტრუმენტს, რომელიც ყველაფრის მიუხედავად ხშირად გამორჩებათ ხოლმე მხედველობიდან, წარმოადგენს სტუდენტების პრაქტიკული აქტიურობის წახალისება აუდიტორის გარეთ. ბევრი იურიდიული კოლეჯი ან უნივერსიტეტი ნებას რთავს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სამართლებრივი მიმოხილვების ან ჟურნალების პუბლიკაციებში. ბევრი ასეთი ჟურნალი სპეციალიზებულია ინტელექტუალური საკუთრების ცალკეულ ასპექტებზე და მათი უმრავლესობა მიესადაგებოდა ასეთ დახმარებას. ზოგიერთი კოლეჯი ატარებს კონფერენციას ინტელექ-ტუალური საკუთრების სხვადასხვა სფეროში. მოგაწილეობა დასწრების ან მისორგანიზაციაში დახმარების გზით მისცემს სტუდენტს პერსპექტივების უკეთ გაგებას ამ სფეროში. და ბოლოს იქ, სადაც საგანმანათლებლო სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაკავებული იყვნენ პრაქტიკული მუშაობით სწავლასთან პარალელურად, მათ შეუძლიათ იმუშაონ არასრული სამუშაო დრო მოსამართლეების, ადვოკატების კანტორებში ან ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო დაწესებულებებში.

F. მასწავლებლებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის კონტაქტები

32.48. კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას ინტელექტუალური

საკუთრების როლის განმტკიცებისა, სწავლებისა და მეცნიერული გამოკვლევების ხელის შეწყობისათვის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. რიგ ქვეყანაში მასწავლებლები და მეცნიერ მუშაკები ხშირად ქმნიან ასოციაციებს მათი საერთო საქმის ხელშესაწყობად. მაგრამ ინტელექტუალური საკუთრების კვლევისა და სწავლების სფეროში ასეთი ასოციაციები ცოტაა.

32.49. ამის შეგნებით ისმომ წამოიწყო ღონისძიებები, რომელბიც მიმართულია უონტაქტების წასახალისებლად მასწავლებლებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სწავლებისა და კვლევის როლის პოპულარიზაციის მიზნით ამ დარგში. 1979 წელს ისმომ მოაწყო მასწავლებელთა "მრგვალი მაგიდა", რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ინტელექტუალური საკუთრების საკითხების სწავლებით. ამ "მრგვალი მაგიდის" მიერ მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე 1981 წელს დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში გამოკვლევებისა და სწავლების სრულყოფის საერთაშორისო ასოციაცია (ATRIP).

32.50. ATRIP-I, რომლეის წევრთა რაოდენობა 250-ზე მეტია, აერთიანებს მთელი მსოფლიოს მასწავლებლებსა და მეცნიერ მუშაკებს. ის იკრიბება ყოველწლიურად, ორ წელიწადში ერთხელ ისმოს შტაბბინაში, ჟენევაში, ხოლო მეორეჯერ მისი პრეზიდენტის ქვეყანაში, რომელსაც ირჩევენ აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად ორწლიანი ვადით. ასციაციააატარებდა ყოველწლიურ კრებებს სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ ევროპის ორგანიზაციაში (EPO) მიუნხენში (გერმანია), ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ),ტრინიტის კოლეჯში (კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო), კოსტა-რიკის უნივერსიტეტში (სან-ზოსე, კოსტა-რიკა) და სალამანჯის უნივერსიტეტში (სალამანკა, ესპანეთი). არც თუ დიდი ხნის წინ, 1993 წლის აგვისტოში, ისინი თავის ყოველწლიურ კრებას ატარებდნენ სტოკხოლმში (შვეცია) თავისი პრეზიდენტის – ეკონომიკის სტოკჰოლმის სკოლის სამართლის ფაკულტეტიდან პროფესორ გუნარა კარნელას თავმჯდომარეობით.

32.51. ATRIP-ის ყველა ყოველწდიურ კრებაზე მასწავლებლები მსოფლიოს ყველა კუთხიდან უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ძალისხმევას მათი კათედრის პროგრამების მოსამზადებელი კომისიების მიერ დადებითი შეფასების მიღებაში ინტელექტუალური საკუთრების ერთი ან მეტი კურსის

ჩატარებით და ასეთი კურსის ან კურსების შინაარსის, პროგრამის, სასწავლო მასალის შედგენაზე დახარჯული დროის, სტუდენტების რაოდენობისა და დონის და მიღწეული შედეგების აღწერაში. ეს მოხსენებები იძლევა კარგ საზრდოს კურსების შინაარსის, სასწავლო მასალისა და სწავლების მეთოდიკის მოსაფიქტებლად, რითაც შეიძლება ისარგებლონ სხვა მასწავლებლებმაც საკუთარი კურსების დაგეგმვისა და გადასინჯვიას.

32.52. ჩინეთში ეროვნულ დონეზე 1985 წელს შეიქმნა ჩინეთის უნივერსიტეტების საზოგადოება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში (CUSIP). მის შემადგენლობაშია ჩინეთის უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლები, უნივერსიტეტების ადა სამეცნიერო – ტექნიკური პროფილის ინსტიტუტების ჩათვლით. მისი მიზანია სწავლებისა დჟა გამოკვლევების ხელშეწყობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

32.53. ამის გარდა, კვლევითი ვიზიტები მასწავლებლებთან შესახვედრად სხვა ქვეყნებში აადვილებენ პროგრამების პროექტებისა და კურსების შინაარსის განხილვას, აგრეთვე აზრთა გაცვლა-გამოცვლას სწავლების მეთოდიკასთან დაკავშირებით. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ისმომო მასწავლებლებისთვის მოაწყო კვლევითი ვიზიტები რიგი განვითარებადი ქვეყნებიდან. მათ მოინახულეს საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები.

G. მასწავლებელთა როლი საკანონმდებლო პროცესში

32.54. ეროვნული კანონმდებლობები და ინსტრუქციები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში რიგ ქვეყანაში ადაპტაციის ან გადასინჯვის პროცესშია. ასეთმა კანონმდებლობამ და ინსტრუბციამ მხედველობაში უნდა მიიღოს ეკონომიკური ცვლილებები და ტექნიკური პროგრესისი ზეგავლენა. მრავალ ქვეყანაში ადაპტაციისა და გადასინჯვის პროცესი ინიცირებულია აღმასრულებელი ხელისუფლებით, რომლის შემადგენლობაში შედიან სამრეწველო საკუთრნბისა და საავტორო უფლების უწყებები, რომელთა თანამშრომლები იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ადგენენ კანონპროექტებს და შემდგომ მონაწილეობენ მათ განხილვაში დაინტე-რესებულ წრეებთან და, ბოლოს, გადაწყვეტილების განხილვა და მიღება ხდება საკანონმდებლო ორგანოების ფარგლებში.

32.55. მრავალ განვითარებად ქვეყანაში სპეციალისტის ნახვა შეიძლება არა მხოლოდ სამრეწველო საკუთრებისა და საავტორო უფლების უწყებებში, არამედ სხვა სახელმწიფო დაწესებულებაშიც, განსაკუთრებით იმ დაწესებულებაში, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობის საკითხებთან და, აგრეთვე, მაკონტროლებელ დაწესებულებებში, რომლებიც უწევენ ზედამხედველობის ტელემაუწყებლობას ან კომპანიათა საქმიანობას ბიზნესის სხვადასხვა სფეროში.

32.56. მრავალ ინდუსტრიულ ქვეყანაში მიღებულია კომისიების ან სხვა სპეციალური საკონსულტაციო ორგანოების შექმნა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების დასახმარებლად რეკომენდაციებისა და კანონპროექტების მოსამზადებლადაც კი სამართლებრივი რეფორმების მიმდინარეობის დროს.

32.57. ანალოგიურად ინდუსტრიულ ქვეყნებში პარლამენტის შემადგენლობაში შედის კომიტეტები და ქვეკომიტეტები რომლებიც დაკავშირებული არიან ინტელექტუალური საკუთრების საკითხებით. ასეთი კომიტეტის თანამშრომლები არიან სპეციალისტები ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში და მუდმივი კონტაქტები აქვთ დაინტერესებულ წრეებთან კონსულტაციებისთვის და საკუთარი დასვენების შესათანხმებლად სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებთან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიცგამოაქვთ განსახილველად სამართლებრივი რეფორმის მიმდინარეობის პერიოდში.

32.58. პირიქით, მრავალ განვითარებად ქვეყანაში, სამრეწველო საკუთრებისა ან საავტორო უფლების უწყებათა რამდენიმე მაღალი თანამდებობის თანამშრომლის გარდა, მთავრობის წრეებში პრაქტიკულად არ არსებობს პოლიტიკისა და მოსაზრებათა გაგება, რომლებიც საფუძვლად უდევს ინტელექტუალური საკუთრების საკითხთა განხილვას. ამ ქვეყნებში ხშირად მასწავლებლებიდა რწმუნებულები, იურისტები უნივერსიტეტებში წამყვან როლს შეასრულებენ კანონმდებლობის მომზადებისა და გადასინჯვის პროცესში. როგორც ადვოკატებმა ან რწმუნებულებმა, აგრეთვე როგორც მასწავლებლებმა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ასწავლიდნენ კომერციული და ეკონომიკური სამართლის საკითხებს, მათ შეიძინეს გარკვეული გამოცდილებასამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება გამოყენებული არ არის გალდაწყვეტილებათა

შემუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების საკითხებთან.

32.59. სულ უფრო მეტად ასეთი სპეციალისტები ცდილობძენ გააფართოონ საკუთარი ჰორიზონტი და ინტელექტუალური საკუთრების საკითხების ცოდნა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ სხვა ქვეყნების კანონებისა და მომიჯნავე საკითხების შედარებითი ანალიზის ჩატარების გზით და აგრეთვე კონსულტაციების გზით სახელმწიფო დაწესებულებათა და წოეებთან სხვა ქვეყნებში. რამდენადაც ასეთი სპეციალისტები გადამწყვეტ როლს შეასრულებენ საკანონმდებლო პროცესში, გასაკვირი ან უნდა იყოს, რომ მათ გამოავლინონ ინფორმაციის მიღების ბუნებრივი მოთხოვნილება, რომლებიც ეხება სხვა ქვეყნების კანონებსა და პრაქტიკის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

32.60. საერთაშორისო გაერთიანება ცდილობს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ სპეციალისტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გამოკვლევებში შემდეგ თავში მითითებულ ინსტიტუტებში ან მოინახულონ სხვა ქვეყნების დედაქალაქები, რომელთა კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კარგად არის დამუშავებული ასეთი სპეციალისტებისათვის სასარგებლოა აგრეთვე კვლევითი ვიზიტები ჟენევაში მიმდინარე საკითხების განსახილველად ისმოს სამდივნოში. ისმოს ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფოთა პირდაპირი შენატანით, განსაზღვრული თანხა გამოიყო იურისტ-მასწავლებელთა დასახმარებლად, რომლებსაც სურდათ კონტაქტის დამყარება თავის კოლეგებთან სხვა უნივერსიტეტებში და სამრეწველო საკუთრებისა და საავტორო უფლების უწყებათა თანამშრომლებთან სხვა ქვეყნებში. რიგ შემთხვევაში ასეთი ვიზიტები ხორციელდებოდა აგრეთვე ამ ქვეყნების უნივერსიტეტებისა და მთავრობების უშუალო დახმარებითა და ხელშეწყობით.

H. კვლევითი ინსტიტუტების ინტელექტუალური საკუთრების კანონის სფერო

(a) შესავალი

32.61. სწავლება საუნივერსიტეტო დონეზე არ შეიძლება იყოს ეფექტური მასწავლებლებისთვის ინტენსიური ინდივიდუალური მეცნიერული მუშაობის

შესაძლებლობის მიცემის გარეშე. ასეთი გამოკვლევები ინტელექტუალური საკუთრების ვიწროსპეციალიზებულ დარგში ყველაზე კარგად შეიძლება ჩატარდეს სხვა მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად, რომლებსაც გააჩნიათ ინტერესთა იგივე ან მომიჯნავე სფერო. ამით აიხსნება უკანასკნელ წლებში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სპეციალიზებული კვლევითი უნტრების ან ცენტრების, რომლებიც აერთიანებენ მეცნიერთა და მასწავლებელთა საქმიანობას, ხშირად როგორცუნივერსიტეტის იურიდიული კოლეჯის ქვედანაყოფის შექმნის ტენდენცია.

32.62. განვითარებულ ქვეყნებში კვლევითი ცენტრები სამართლის დარგში საკმაოდ კარგად ცნობილი მოვლენაა მიუხედავად იმისა, რომ ცენტრები, რომლებიც მიძღვნილია მარტოოდენ გამოკვლევებისადმი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, განვაითარებულ ქვეყნებში არც თუ ბევრია, არსებობს ზოგიერთი მეტად ცნობილი გამონაკლისი საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სამართალის მაკს პლანკის ინსტიტუტი პატენტების, საავტორო უფლებისა და კონკურენციის სფეროში ერთ-ერთი ცნობილი, თუ ყველაზე ცნობილი ცენტრია მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

32.63. განვითარებულ ქვეყნებში კვლევითი ცენტრები სამართლის დარგში საკმაოდ კარგად ცნობილი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრები, რომლებიც მიძღვნილია მარტოოდენ გამოკვლევებისადმი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, განვითარებულ ქვეყნებში არც თუ ბევრია, არსებობს ზოგიერვთი მეტად ცნობილი გამონაკლისი. საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სამართლის მაკს პლანკის ინსტიტუტი პეტენტების, საავტორო უფლებისა და კონკურენციის სფეროში ერთ-ერთი ცნობილი, თუ ყველაზე ცნობილი ცენტრია მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

32.63. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კვლევითი ინსტიტუტის მიზნები, სტრუქტურა და ფუნქციები ჩამოაყალიბა პირველად მაკს პლანკის ინსტიტუტის დირექტორმა; პროფესორმა ფრედერიკ კარლ ბაიერმა. მოხსენებაში, რეგიონალურ სიმპოზიუმზე, რომელიც ეხებოდა სწავლებასა და გამოკვლევებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში, რომელსაც ისმო ატარებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების სახელმწიფლ კომისიასთან ერთად და

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ხელშეწყობით პეკინში, ჩინეთში, 1987 წლის ნოემბერში (რომელიც მოხსენიებულია ისმოს და ATRIP-ის მიერ გამოცემულ დოკუმენტთა ჩამონათვალში, 1992 წლის 1 ივლისის ისმოს დოკუმენტი B19/307. აქედან მოყოლებული თემაიმის შესახებ, როგორ და რა უნდა იყოს ან შეიძლება იყოს გამოკვლეული ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, არა ერთხელ იყო განხილული ATRIP-ის ყოველწლიურ კრებებზე, სემინარებზე და სიმპოზიუმზე, რომლებიც ორგანიზებული იყო ისმოს მიერ განვითარებად ქვეყნებში და შეტანილი მოცემული ეროვნული სიმპოზიუმის პროგრამაში აქ ფილიპინებზე.

32.64. ამერიკის შეერთებული შტატებში ერთ-ერთი პირველი ცენტრი, რომლებიც დაკავებული იყო მარტოოდენ გამოკვლევებით ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, დაკავშირებული იყო ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის იურიდიულ კოლეჯთან და ცნობილი იყო როგორც პატენტების, სასაქონლო ნიშნებისა და საავტორო უფლების ფონდი. შემდგომში ის გახდა ფრანკლინ პირსის იურიდიული ცენტრის ნაწილი და აყვავდა მრეწველობის და ადვოკატების ფინანსური ხელშეწყობით.

32.65. არსებობს აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების სხვა ცენტრებიც, რომლებიც არამხოლოდ კვლევითი სამუშაოთია დაკავებული. ჩრდილოეთ ამერიკაში არსებობს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი ჯონ მარშალის იურიდიულ კოლეჯთან ან (ჩიკაგო, ილინოისი), რომელიც აერთიანებს იური-დიულ კოლეჯს და ასპირანტურას ინტელექტუალურ საკუთრების დარგში გამოკვლევებთან და ინფორმაციის გავრცელებასთან ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. ინტელექტუალური საკუთრების კანადის ინსტიტუტი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა ჰალში (კანადა) და რომელიც მჯიდრო კავშირშია სახელმწიფო სტრუქტურებთან, რომლებიც პასუხის-მგებელია ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე.

32.66. ევროპის კონტინენტზე, ბელგიაში, შექმნილი იყო ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი ლუვეინის კათოლიკურ უნივერსიტეტში.შვეციაში არის სტოკჰოლმის ეკონომიკური კოლეჯის ინტელექტუალური და ინფორმაციის საშუალებათა ენტრი გაერთიანებულ სამეფოში არსებობს დედოფალ მერის კოლეჯის კომერციული სამართლის კვლევითი ცენტრის ინტელექტუალური საკუთრების განყოთილება ლონდონის უნივერსიტეტთან. საფრანგეთში არის სამრეწველო საკუთრების სფეროში საერთაშორისო კვლევის ცენტრი (CEIPI) სტრასბურგი (სადაც ისმო CEIPI-სთან ერთად ყოველწლიურად ატარებს

სამრეწველო საკუთრების სასწავლო კურსს სახელმწიფო მოსამსახურებისთვის განვითარებადი ქვეყნებიდან). არსებობს აგრეთვე ანრი-დებუას კვლევითი ინსტიტუტი სამრეწველო საკუთრების სფეროში პარიზში, უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი სამრეწველო საკუთრების სფეროში (CUERPI) გრენობლში და პოლ რუბლიეს ცენტრი ლიონში.

32.67. აზიაში და წყნარი ოკეანის რეგიონში უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს იურიდიული ცენტრი ფილიპინის უნივერსიტეტთან, რომელმაცბევრი გააკეთა კანონმდებლობათა ანალიზისთვის ინტელქტუალური საკუთრების დარგში, აგრეთვე ჩაატარა ახალი კანონმდებლობის კვლევა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ჩინეთში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპატენტო უწყების, სასაქონლო ნიშნებისა და საავტორო უფლებათა მართვის ჩინეთიჩ უწყებამ ერთობლივი ძალიხმევით შექმნეს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი. უორეის რესპუბლიკაში ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სასწავლო ინსტიტუტი გაიხსნა დაიდუკში 1991 წელს.

32.68; ამ მოხსენიებულ ცენტრებში ხორციელდება ორგანიზებული გამოკვლევები და სამეცნიერო პროექტები როგორც კონკრეტული სპეციალისტებისა, ასევე მჭონე გარკვეულ ამროცანების კვლევითი ჯგუფების მიერ.

32.69. უნივერსიტეტების იურიდიულ კოლეჯებში მოსწავლესსტუდენტები ასევე ჩაბმლი არიან კვლევით მუშაობაში, რამეთუ ეს არის მოწმობის, დიპლომის ან მათ მიერ სწავლების წარმატებითდამთავრების სხვა დამადასტურებელი საბუთის მიღების ერთ-ერთი მოთხოვნათაგანი. მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ უნივერსიტეტში, ტექნიკურ ინსტიტუტში ან ცენტრში, ასევე, ახორციელებენ სამეცნიერო მუშაობას ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საფუძველზე. ამ ცენტრების მეცნიერ მუშაკებს აქვთ სპეციალიზაცია ინტელექტუალური საკუთრების მოცემულ დარგებში. თუმცა ეს ცენტრები დაკავებული არ არიან მარტოოდენ სამეცნიერო მუშაობით ან მარტოოდენ სწავლებით,ისინი ახორციელებენ შესანიშნავ პროგრამებს როგორც კვლევით დარგში, ასევე კადრების მომზადების სფეროში.

(b) ინტელექტუალური საკუთრების კანონის ინსტიტუტისა და ბიბლიოთეკის შექმნა: ჩინეთის მაგალითი

32.70. რამდენიმე წინ პეკინში დაფიქრდნენ, დაინტერესებული უნივერსიტეტების ძალისხმევით შეექმნათ ერთობლივიპროგრამით ან ერთობლივი

ცენტრი, ან ინსტიტუტი ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი საკითხების სწავლებისთვის. ეს იდეა ჩამოაყალიბა პროფესორმა გუა შუკანგმა ჩინეთის სახალხო უნივერსიტეტიდან (პეკინი), რომელმაც შეძლო გაეხარდა ეს საკითხი განთლების სამინისტროს სერიოზული განხილვის საგნად; ამ უკანასკნელმა ასეთი სტრუქტურის ორგანიზაციისთვის თავის მხრივ რჩევისთვის მიმართა ისმოს.

32.71. ამ თხოვნის საპასუხოდ ისმომ მოაწოდა სპეციალისტთა ჯგუფის გაგზავნა პეკინში (ამ ჯგუფში შედიოდნენ პროფესორი დესემონტე ლოზანის უნივერსიტეტიტად, რომელიც ასწავლის აგრეთვე ფრაიზურგის უნივერსიტეტში, ფრანსუა კიურში, რომელიც ამჟამად ისმოს გენერალური დირექტორის მოადგილეა, ხოლო ადრე ასწავლითა ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ საკითხებს ნევშატელის უნივერსიტეტში და გასტ ლედაკისი, ისმოს იურიდიული მრჩეველი) საკითხების განსახილველად განათლების სამინისტროს თანამშრომლებთან და აკადემიის ხელმძღვა-ნელობასთან (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და პეკინის სახალხო უნივერსიტეტის, კინგ ხუას უნივერსიტეტისა და პეკინის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანები) ასეთი პროგრამის, ცენტრის თუ ინსტიტუტის შექმნისა და დაფინანსების პერსპექტივათა შესწავლის მიზნით. გათვალისწინებული იყო აგრეთვე, რომ ეს პროგრამა, ცენტრი ან ინსტიტუტი დაკავშირებული უნდა იყოს უნივერსიტეტებთან ჩინეთის სხვა რაიონებში, კერძოდ ვუხანაში, მანხაში და კსიანაში. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი უნივერსიტეტების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ პეკინში დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად. ბოლოსდაბოლოს პროფესორმა გუო შუკანგმა მოახერხა დაეფუძნებინა ინსტიტუტი ჩინეთის სახალხო უნი-ვერსიტეტის ფარგლებში პეკინში, ამჟამად შეთანხმებები სხვა უნივერ-სიტეტებთან განხილვის სტადიაში.

32.72. განსაკუთრებულად უნდა მოვიხსენიოთ საპატენტო უფლების კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ადრე იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპატენტო უწყების ნაწილი იმის გამო, რომ ის იქ იყო შექმნილი. ამ ინსტიტუტს გააჩნია მდიდარი მასალები ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი საკითხებში. წამყვან როლს ამ ინსტიტუტის ფარგლებს გარეთ ასრულებს პროფესორი ტანგუონგშუანი, რომელიც, ალბათ, ყველაზე გამოჩენილი სპეციალისტია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ჩინეთში. პრო-ფესორი ტანგი იყო აგრეთვე კომიტეტის წევრი, რომელიც განიხილავდა საკითხს კანონმდებლობის ხასიათის შესახებ სამრეწველო საკუთრების

სფეროში, რომლის მიღება განზრახული ჰქონდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და აქტიურად მონაწილეობდა ამ კანონმდებლობის პროექტის მომზადებაში და მის შემდგომ შემოღებაში.

32.73. რამდენიმე წლის წინ პროფესორი ტანგი გამოვიდა იურიდიულ მასალათა ფონდის შექმნის იდეით სამრეწველო საკუთრების სფეროში, რომელიც საშუალებას მისცემდა საპატენტო უწყებას და მეცნიერ მუშაკებს, რომლებსაც სურთ კვლევის ჩატარება, იყვნენ სხვა ქვეყნების საქმის კურსში ისე, რომ არ დახარჯონ დამატებითი ხარჯები და დრო ამ მასალების მისაღებად სხვა ქვეყნებიდან. ამ მიზნის მიღწევაში დასახმარებლად ისმომ მისცა პროფესორ ტანგს ჟენევაში ჩასვლისა და ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი საკითხების შესახებ იურიდიული მასალების გაცნობის შესაძლებლობა ისმოს მეტად ვიწრო სპეციალიზებული ბიბლიოთეკაში. პროფესორმა ტანგმა მოამზადა იურიდიული მასალათა ჩამრნათვალი, რომელიც, მისი აზრით, საჭიროა ინსტიტუტისთვის.

32.74. ახლა საჭირო იყო ასეთი იურიდიული მასალების შეძენის ხერხებისა და სახსრების გამონახვა და მათი ჩამოტანა პეკინში. ცხადია ის მასალები, რომლებიც მომზადებული იყო ისმოს მიერ, დაუყოვნებლივ გადასცა ისმოს საერთაშორისო ბიურომ დ მათი ასლები გაიგზავნა პეკინში. მეორე მხრივ, პროფესორ ტანგის ჩამონათვალში იყო საპატენტო და საავტორო უფლების უწყებების პუბლიკაციები მსოფლიოს სხვადახსვა ქვეყნებში, აგრეთვე პუბლიკაციები, რომლებიც განხორციელებული იყო რიგი კომერციული ფირმის მიერ, რომელთაგან ზოგიერთიმეტად ძვირადღირებული იყო და მათ შესასყიდად არ გააჩნიათ სახსრები. ისმოს საერთაშორისო ბიურომ მიმართა ყოველ სამრეწველო საკუთრების უწყება და ყოველ საავტორო უფლების უწყებას, რომლებიც აქვეყნდებდნენ პროფესორ ტენგისთვის საინტერესო მასალებს, და ეს უწყებები გამოეხმაურენ და გააგზავნეს თავისი პუბლიკაციები პეკინში. ამასთან მათ თავის თავზე აიღეს ყველა ხარჯი. ანალოგიურად იყო გაგზავნილი მოთხოვნები რიგ საგამომცემლო ფირმაში და უნივერსიტეტებში იმ იმედით, რომ ისინი თანახმა იქნებიან თავისი წვილილი შეიტანონ ფონდის შექმნაში უსასყიდლო საფუძველზე პუბლიკაციების მიცემის და გადაგზავნის ღირებულების გადახდის გზით. ბევრი ფირმა და უნივერსიტეტი გამოეხმაურა ამ მოთხოვნებს,ამასთან ზოგიერთმა თავი ნაწამროებთა ყველაზე ახალი გამოცემები შესთავაზა, მაშინროცა სხვებმა შეძლეს მხოლოდ ძველი გამოცემების გაგზავნა, რომლებიც მათ აღარ

სჭირდებოდათ. ასეთი გზით შეიქმნა იურიდიული მასალების მეტად ძვირადღირებული ფონდი ინსტიტუტში.

32.75. ასევე, მხოლოდ უფრო მცირე და მოკრძალებულიმასშტაბით ისმოს შეუძლია, კონკრეტული სამართალი მცოდნე მასწავლებლის თხოვნით, გაუგზავნოს მას დოკუმენტაცია, რომელიც შედგება მოსამზადებელი მოხსენებებისა და ანგარიშებისაგან და ისმოს საერთაშორისო ბიუროს პუბლიკაციებისაგან. ეს, რა თქმა უნდა, გაკეთდა უსასყიდლოდ. რაც შეეხება ისმოს მიერ გამოქვეყნებულ იურიდიულ მასალათა სხვა სახეობებს, პროფესორი ტანგის გამოცდილება შეიძლება იყოს იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მათი შეძენა.

I. დასკვნა

32.76. უნივერსიტეტებმა და სხვა ინსტიტუტებმა თავისი წვლილი შეიტანეს და შემოდგომაშიც შეიტანენ იმ პირთა სწავლებაში, რომლებიც გახდებიან ხვალინდელი დღის კანონმდებლები, მოსამართლეები, ადმინისტრაციული მოხელეები, პრაქტიკული იურისტები და მასწავლებლებიცა და ეცნიერი მუშაკებიც. კვლევითმა ინსტიტუტებმა თავისი წვლილი შეიტანეს და შემდგომშიც შეიტანენ იანტელექტუალური საკუთრების სისტემის ანალიზში და მის გაუმჯობესებე-სრულყოფაში. ახლანდელი და მომავალი თაობები მოწოდებული იქნებიან შექმნან, გამოიყენონ და სრულბმნან ეს სისტემა. მაგრამ ეს რომ გააკეთონ, საჭიროა ცოდნა, მაგრამ საერთო ცოდნა და თუ გინდსამართლებრივი ცოდნაც საკმარისი არ არის. საჭიროა სპეციალიზაცია რაც წარმოადგენს იურიდიული განათლების ნაწილს, რომელიც თავის მხრივ დამყარებულია მეცნიერებისა და ჰუმანიტარული დარგების მტკიცე ფუნდამენტზე.

32.77. შემდეგ, კვლევით ინსტიტუტებს უნდა აღმოუჩინონ უფრო არსებითი ხელშეწყობა, რათა მათ განახორციელონ კნონმდებლობის ფუნქციონირების მუდმივი შეფასება, რომელიც რეგლამენტირებსინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს, და დაზმარება გაუწიონ სწავლების პროცესში,შექმნან საფუძველი კანონმედბლობისთვის, მოსამართლეებისთვის და ადმინისტრაციული მუ-შაკებისთვის არსებული პოლიტიკის, პრინციპებისა და პრაქტიკის გადასინჯვისას.

32.78. უნივერსიტეტებმა და სასწავლო ინსტიტუტებმა უნდა მიიღონ შესაბამისი რეკომენდაციები იმისთვის, რომ მათი ტექნიკური მიღწევებიგახდეს ფართო და დროულად ცნობილი არა მხოლოდ სხვა მკვლევარებისთვის, არამედ მრეწველობისთვისაც, რომ ეს შედეგები აღიარებული და ანაზღაურებული იყოს შესაბამისად მრეწველობაში და ვაჭრობაში დანერგვის გზით გამოცდილების, დროისა და ამ ტექნიკურ შედეგთა მიღწევაში ჩადებულ სხვა რესურსების გათვალისწინებით.

32.79. და ბოლოს, სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტეინტელექტუალური საკუთრების სფეროში შეიძლება იყოს ეფექტური მხოლოდ იმ პირობით, რომ სწავლებაზე თვის გამოკვლევა ის თვის სწავლებისა და კვლევის პროგრამების ეფექტური ორგანიზაციისთვის გამოიყოფა თანხები. იმისთვის, რომ შესრულებული იყოს ეს მოთხოვნები, ეკონომიკის სახელმწიფო და სხვა სექტორებსა და აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იმუშაონ ერთად. ეს ამოცანები მეტად მასშტაბურია იმისთვის, რომ რომელიმე მათგანმა დამოუკიდებლად შეძლოს მათი განხორციელება. ისინი ართმანეთს უნდა ეხმარებოდნენ. ყოველმა მათგანმა უნდა შესთავაზოს თავის კოლეგებს შეუერთდნენ ამ ძალისხმევას სხვა ქვეყნებში და ჩამოაყალიბონ საერთო ინტერესები, რათა მოგვარდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ურთიერთდახმარების აღმოსაჩენად.

32.80. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო) ყოველთვის მზად არის ჟაეხმაროს მთავრობებს, აგრეთვე საგანმანათლებლო და კვლევით ორგანიზაციებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი პრობლემების სწავლებისა და კვლევის სისტემების შეთასების, შერჩევასა და გამოყენების ამოცანათა გადაწყვეტაში, იმისთვის, რომ ისინი რაც შეიძლება უკეთესად შეესაბამებოდეს მთავრობის მისწრაფებებს და მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესებს საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით და ამასთან ინარჩუნებდენე დამოუკიდებელი სასწავლო ინსტიტუტებისა და კვლევითი ინსტიტუტების ტრადიციულ როლს როგორც ცოდნისა და მეცნიერული ძიებისა ბასტიონი.

გამოცემის რედაქტორი მანანა ტაბძე
კორექტორი ნაზი შარაშენიძე
წიგნი აიწყო და დაკაბადონდა “საქპატენტში”